ჩემი მოთხრობა

წინათქმა

„ჩემი მოთხრობა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში განხორციელებული ერთ–ერთი ლიტერატურული პროექტის ბეჭდური ვერსიაა.

იდეის ავტორებმა სხვადასხვა თაობის მწერლებს მივმართეთ თხოვნით, გამოექვეყნებინათ საკუთარი ერთი ნაწარმოები სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

პროექტის განხორციელებისას ნაწარმოების შერჩევის კრიტერიუმები (გამოქვეყნების დრო, გამოქვეყნებისას არსებული განწყობა და სხვ.) ავტორებმა თავად განსაზღვრეს.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა თუ რამდენად დაემთხვევა მკითხველთა მოლოდინი ავტორის არჩევანს.

საინტერესო იყო ავტორთა ასაკობრივი დიაპაზონი, მნიშვნელოვანი იყო მოთხრობათა თემატიკაც.

ვფიქრობთ, ანალოგიური პროექტის განხორციელებას 10 წლის შემდეგ…

საინტერესო იქნება, წინამდებარე კრებულიდან რამდენი ნაწარმოები გახდება მომავალი „რჩეულის“ კუთვნილება, რომელი ავტორები დარჩებიან „მოქმედ“ მწერლებად და სხვ.

ნინო თარხნიშვილი – ამელი

ქაბულში, ყვავილების ქუჩაზე

დოკუმენტური პროზა

ისააკ, ჩემო მეგობარო… ისააკ… შენ ხარ უკანასკნელი ებრაელი, რომელიც ალიმ ქაბულის მიწას მიაბარა. მე მივდივარ… ებრაელები აქ აღარ არიან…

* * *

თქვენ გაიხარეთ, ბატონო ისააკ, ჩემი დახმარებისათვის. რომელ ღმერთს შევწირო მადლობა – თქვენსას თუ ჩემსას? აქამდე რატომ არ გიცნობდით, ხომ არ გავიმწარებდი ყმაწვილ–ქალობას? – ქალი ისეთი გამეტებით ცდილობდა ისააკისათვის მადლობის გადახდას, რომ შავ–აბრეშუმა ჩადრი მის ტუჩებს ვეღარ ფარავდა, ზედ ეგლისებოდა და ისააკი ცოტათი ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, იქნებ ქაბულელი ქალის ტუჩების სიმკვრივე ჩადრს მიღმა მაინც ეგემა.
– რას ხარშავ?
– შენ არავინ გეკითხება.
– არც მაინტერესებს, მაგ ალქიმიკოსობას მანამდე არ მოიშლი, სანამ შენ ცოლს არ დავურეკავ ისრაელში და არ მოვახსენებ, რა საქმითაც ხარ დაკავებული. – რა საქმით ვარ დაკავებული, რა საქმით… გირჩევნია ეგ ფარდა კარგად გადააფარო და საკნის შენს ტერიტორიას მიხედო. მე გეკითხები შენ რას აკეთებ? ჰოდა, შენც შემეშვი რა, – დაძარღვული ხელებით მოიწმინდა მთლად ოფლიც არა, შუბლშეჭმუხნულმა ისააკმა; საფეთქლებთან ჩამოკონწიალებული ორი კულული თავის მარჯვე მოქნევით უკან გადაიყარა და საქმე განაგრძო…
„გამო, გამო, გამოდევნე, თვალნი, თვალნი დაუბნელე, გულში ხიჭვი გაუყარე, პირში გემო დაუკარგე… ძუძუები ჩამოუჭკნე, თეძო–მკლავი გაუტყავე, თმები ჩალას დაუმსგავსე, უნაყოფოდ დააბერე…“ მერე გამურულ მოყვითალო ქვაბში ორი ხელით და ათი თითით მიმხმარ–მომხმარი ბალახბულახი ჩაყარა, ხის კოვზი ამოიძრო ჩამოთხავებული შარვლის უკანა ჯიბიდან და მოყავისფრო მასას გამალებულმა დაუწყო რევა…
რას ჩიფჩიფებს ეგ უწმინდური, სანამ რამე უბედურებას არ დაგვატეხს თავს, არ მოისვენებს – ხელები დაიკაპიწა თმაყვითელმა ზებულორმა, დაჟანგებული ონკანი გააჭრიალა და წვეთ–წვეთად წამონწკანწკარებული წყალი სახეზე შეიწუწა. მერე რაღაც სასწაული ძალით გადაფითქინებული მიტკლიდან თორა დაიხსნა, გადაშალა და ჩუმ დუდუნს მოჰყვა.
ისააკმა ყური მოჰკრა ზებულორის ლოცვას, წელში გაიმართა, ფარდა გადასწია და ჭაღარაწარბებშეკრულმა მიაძახა:

– ეგ თორა ხვალ შებინდებამდე ჩემია.
– სანამ მაგ მჩხიბავობას თავს არ დაანებებ თორა ჩემთან იქნება. – რა ვერ გაიგე, შე ხისთავიანო, მჩხიბავი არ ვარ, ქალებს ვეხმარები ქმრების დაბრუნებაში, ქალებს.
– მაგიტომ მოდიან თავპირწაკრული დედაკაცები საკნის შენ მხარეს მოთქმა–გოდებით? მაგიტომ მიაქვთ ეგ აყროლებული საწამლავი და მერე სხვა ქალებს გულ–მუცელს უთუთქავენ? ნახევარი ქაბულელი ქალები შენს წამალზე ლოცულობენ, დანარჩენი ნახევარი კი შენი წამლის ნაყოფს – დაფუფქულ გულ–მუცელს, დატყავებულ თეძო–მკლავს და ჩალად ქცეულ თმას ტირის.
– რა გელაპარაკო, მაგ ცარიელ თავში მაინც არაფერი შეგივა, თორას კი ხელი გაუშვი, ჩემ მხარეს მიმაქვს – ისააკმა ხის კოვზი ისევ შარვლის უკანა ჯიბეში გაიქანა, მოხუცი ადამიანის კვალობაზე ზედმეტადაც კი გაიშალა მხრებში და ზებულორს თორა ხელიდან გამოსტაცა.
ზებულორი რისი ახალგაზრდა ზებულორი იქნებოდა, გადამხრჩვალი ისააკისათვის თორა რომ დაეთმო და ატყდა აყალ–მაყალი, დავიდარაბა, ტყაპა–ტყუპი, გაწევ–გამოწევა, ჩემია–შენია… და იმდენი ქნეს, სანამ ზებუნებრივი ძალით გადათეთრებული მიტკალი შავად არ იქცა და სიძველისაგან გადაყვითლებული თორა – ნაფლეთებად. მეციხემ (ასე მინდა ამ კაცს რომ ერქვას, პატარბავშვურად), ძლივს გამოწიწკნა ერთმანეთს მთელს ქაბულში გადარჩენილი ორად ორი ებრაელი – მოხუცი ისააკი და ახალგაზრდა ზებულორი და დაემუქრა, ამ აურზაურისათვის დაგსჯით – ფარდას ჩამოგიხსნით და მერე ჭამეთ ერთმანეთი თვალებითო.
წებო იქ არ იყო თორა რომ შეეკოწიწებინათ, და არც ფურთხი, რომ შეეწებებინათ – იმ უწყლობაში ისააკიც და ზებულორიც ისე გამომშრალიყვნენ, რომ იმდენი ცრემლიც კი აღარ ჰქონდათ სატირლად ღირებულიყო… უცრემლოდ ტირილს კი რა აზრი ჰქონდა…დაიხა თორა, დაიხა.

* * *

ქაბულში, ყვავილების ქუჩაზე, ოღონდ არ ვიცი, რომელი ყვავილების ქუჩაზე, იქნებ იორდასალამების, ან აზალიების, ან ლიანების, ან მაგნოლიების, ან ქრიზანტემების, ან უბრალოდ ყვითელგუულა გვირილების ქუჩაზე, ხისკარა, არაფრით გამორჩეული, ცისფერი და ოთხკუთხედი, მთელს ქაბულში ერთადერთი სინაგოგა იდგა… და აბა რა გასაკვირია, რომ ყვავილების ქუჩაზე აუცილებლად უთვალავი ყვავილების მაღაზია უნდა ყოფილიყო. ჰოდა, ამ ქუჩის (მთელს ქაბულში მარტო ამ ქუჩის) მაცხოვრებლებს, ისეთი ყვავილების სუნი ასდიოდათ, მოსიარულე ადამიანების მოწყვეტა თუ არა, დაყნოსვა მაინც აუცილებლად მოგინდებოდა. ამიტომ იყო, რომ იქვე, „ქათმის ქუჩაზე“ მცხოვრებ კაცებს ძირითადად „ყვავილების ქუჩაზე“ მცხოვრები ქალები მოჰყავდათ ცოლებად… და მერე მთელი ცხოვრება ამ ყვავილა ქალებს ჭრელ–ჭრელი ქათმების დევნა და ოჯახისათვის მსუქან–მსუქანი დედლების ჩახოხბილის მზადება ჰქონდათ მისჯილი. მოსაწყენია არა?… თუმცა, ეგ არაფერი…
სამაგიეროდ, ქათმისჭამია ქმრები ყოველ საღამოს მეზობელ ქუჩაზე ყვავილების საყიდლად მიდიოდნენ, მერე თბილ აბაზანას ამზადებდნენ, ჩაყრიდნენ შიგნით ფერად–ფერად ყვავილებს, თავადაც გაიხდიდნენ, ცოლებსაც გახდიდნენ და სურნელოვან

აბაზანაში გულის არანორმალურ აჩქარებამდე ეფერებოდნენ ერთმანეთს … მერე აუცილებლად იბადებოდა ერთი ყვავილების სურნელიანი და ერთიც ქათმისჭამია ბავშვი… აი ასე… ამ „ყვავილების ქუჩაზე“ დამსკდარ და მოყვითალო მიწაზე, ფეხშიშველა, უფრო სწორედ ტიტლიკანა ქაბულელი პატარა ბიჭები ისე დაიქნევდნენ პაწია „ჩიტებს“, ვითომც არაფერი, ისე, არც არაფერი…

ჰოდა, ეს ტიტლიკანა, პატარა ბიჭები მიაკაკუნებდნენ სინაგოგის ხის კარზე და თავქუდმოგლეჯილები (ეს ისე, სიტყვის მასალისათვის, თორემ ქუდები სად ჰქონდათ), რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გარბოდნენ და გარბოდნენ. გამოაჭრიალებდა ზებულორი ან ისააკი სინაგოგას კარს, გამოჰყოფდნენ თავებს, გაიხედ–გამოიხედავდნენ, თუ ძალიან არ დაეზარებოდათ ხელებსაც გაიქნ–გამოიქნევდნენ და ისევ უკან შეიკეტებოდნენ.

არადა, ამ დროს ღმერთი წყრებოდა ქაბულის თავზე, რომელი ღმერთი, ეგ კი აღარ ვიცი. უღვთოდ შავთვალა თალიბები ისე დარიხინებდნენ ჭუჭყიანი „ჰამერებით“ ქაბულის ქუჩებში, რომ ქვის სახლებსაც კი ზანზარი გაუდიოდათ. თუ კარგად შეიყნოსავდი ჰაერს, რკინის სუნი გეცემოდა, მაგრამ სულ ტყუილად, რკინა არაფერ შუაში იყო… სისხლის სუნით ყარდა ქაბული…

– ზებულორ, აქ ხარ? ჩვენს მეზობლად აიდა რომ ცხოვრობდა გახსოვს? ცამეტი წლის ბიჭი ჰყავდა, სულ ერთად დადიოდნენ. ხალხი ამბობდა, ეგენი ისევ ჭიპლარით არიან გადაბმულები, ექიმმა ვერაფრით გადაჭრა და ბოლოს თქვა – რა ვქნა, განა არ შეიძლება დედამიწაზე ერთმა დედა–შვილმა მაინც იაროს სიცოცხლის ბოლომდე ჭიპლარით გადაბმულმაო? – სინაგოგის კარი შეაჭრიალა მესაფლავე ალიმ, რომელიც გამუდმებით რაღაცას აცმაცუნებდა და ფრჩხილები კი დღე და ღამე მიწით ჰქონდა გამოვსებული – და ეს ფრაზები ისეთი სხაპასხუპით წარმოთქვა, გაგიკვირდებოდა.

– ჰო, მახსოვს, როგორ არა, აიდა სულ რაღაც მელოდიას ღიღინებდა, როცა ფანჯრები ღია გვქონდა, ლოცვაში ხელსაც კი მიშლიდა.

– ჰოდა, ახლა აღარ შეგიშლის.

– რატომ?

– თალიბებმა მოედანზე ჩაცხრილეს, მაგის ცამეტი წლის ბიჭი კი იქვე სახელდახელოდ გამართულ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს. არ ყოფილან ის საცოდავები ჭიპლარით გადაბმულები. მოედანზე შეკრებილმა ხალხმა თქვა, ალბათ ამ დედამიწაზე ყველაზე მეტად ამ დედა–შვილს უყვარდა ერთმანეთი და იმიტომ დადიოდნენ სულ ასე ერთადო. რა ვიცი, აბა, მე ლეგენდა ჭიპლარზე უფრო მეტად მომწონდა.

– რას ამბობ კაცო? ის გაჩხინკული ბიჭი ჩამოახრჩვეს? ან როგორ სძლია ტანმა ჩამოსახრჩობად, უწონოს ჰგავდა… რატომ დახოცეს, ჰა, რა დააშავეს? – ჯაშუშები ხართო, მე ვერ ვერკვევი მაგ ამბებში, მოედანზე გაიყვანეს და ყველას თვალწინ ჩახოცეს.

– ისააკს არ უთხრა ეგ ამბავი, რა გაუძლებს მერე მაგის ჯუჯღუნს. ისედაც მთელი დღეები ცხვირჩამოშვებული დადის, მომაბეზრა თავი მაგ ბებერმა.

– ისევ ჭამთ ერთმანეთს?

– ამოიჩემა, ქაბულში უკანასკნელი ებრაელი მე უნდა ვიყოო და ისე მშხამავს, გველს შეშურდება. მალე ოთხმოცის ხდება. იცის, რომ შანსი არა აქვს.

– შენც მაგარი ხარ. შეეშვი რა…

– არა ალი, პატარაობისას სიზმარში მოსე ვნახე.

– რომელი მოსე, კაცო?

– მოსე, მოსე, ჩვენი მოსე… შენ არ გეცოდინება. იმან მითხრა, იცოდე, ქაბულში უკანასკნელი ებრაელი შენ უნდა იყოო. ჰოდა, ახლა მოსეს სიტყვას ხომ არ გადავუხვევ? წავიდეს და მდიოს, მოსემ მე ამირჩია…
– თქვენი საქმის თქვენ იცით, მე მარტო ის ვიცი, რომ ერთერთი ჩემი ხელით უნდა დაიმარხოთ – კარი გამოიჭრიალა ალიმ და მოედნისკენ წაფლახუნდა… მსოფლიოში ყველაზე მოსიყვარულე დედა–შვილი მზის ჩასვლამდე თეთრ სუდარაში უნდა გაეხვია და მერე ისედაც მიწიანი ფრჩხილები კიდევ ერთხელ უფრო მეტად უნდა ამოეტენა მიწით.

* * *

– ეგ დაუცვეთავი მახინჯი ეგა. ერთი უყურე რა ამბავშია. მოსე ვნახეო. მეტი დარდი არ ჰქონდა მოსეს, მაგის დაბლანდულ თვალებში გამოჩენილიყო. ამ სინაგოგადან სულ ბოლოს მე უნდა გამასვენონ. ეს თორაც გულზე უნდა დამაკრან და თან ჩამატანონ – ბუტბუტებდა ისააკი და თან თაფლის სანთელს ახვევდა. ხელის გულებს ისე გამეტებით უხახუნებდა ერთმანეთს, ცოტა ხანიც და ცეცხლი წაეკიდებოდა… ცეცხლი ახლად ჩამოქნილ, თაფლის სანთელს წაეკიდა… სინაგოგის კედელზე ისააკის ჩრდილი ჭერამდე წააგრძელა და ფარდის იქით, მეორე კუთხეში მდგარ ზებულორის ჭერზე აგლესილ ჩრდილს შეუერთა… დღეს ზებულორმა სანთლის ჩამოსაქნელი ცვილი ვერ იშოვა და ისააკის სანთლიდან დახლოებით სამი მეტრის და ისიც გახუნებული ცისფერი ფარდის იქით დაშორებით მდგარს მოუწია ჩუმი ლოცვა. ისააკი ისეთ გამარჯვებულ ებრაელად გრძნობდა თავს, წამით ისიც კი გადაავიწყდა, რომ მისი დედ–მამის გადამდნარი სხეულების ნაფლეთები გერმანელი ნაცისტების ჩექმების ლანჩებს ეკვროდა.
გახუნებული ცისფერი ფარდით სინაგოგა დაახლოებით ათი დღის წინ გადატიხრეს. ზებულორი და ისააკი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დღე–ღამის განმავლობაში ერთმანეთის ყურება მხოლოდ 5 წამის განმავლობაში შეეძლოთ და ისიც მაშინ, როდესაც ერთმანეთისათვის თორა უნდა გადაეცათ. თორის გადაცემის ტრადიციაც დაალოებით 11 დღის წინ დაამკვიდრეს. მიხვდნენ, რომ სხვა შემთხვევაში, თორას გულისათვის ატეხილი ჭიდაობისა და გაწევ–გამოწევის შედეგად შესაძლებელი იყო ეს წმინდა წიგნი საერთოდ შემოჰფლეთოდათ ხელებში და აი, მერე კი მართლა უნდა დაეხოცათ ერთმანეთი.
ისააკი ოთხმოცის, ზებულორი იმის ნახევარი წლისა იყო. ქაბულის პატარა სინაგოგას ჭერქვეშ კი ერთად სრულიად შემთხვევით, ექვსი წლის წინ აღმოჩნდნენ. ისააკის ცოლმა ვეღარაფრით გაუძლო თალიბების გრიხინა მანქანების საბურავების ღრჭიალს და ორ შვილთან ერთად ისრაელში გადაბარგდა. ზებულორმა კი ისრაელში დედ–მამა მოიმდურა და ქაბულში გადმოსახლდა. ეს სინაგოგაც სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა. ქაბულის ბაზარში ვაშლის საყიდლად გამოსულ ორკულულა ისააკს შორიდან მოჰკრა თვალი, უკან აედევნა და სინაგოგასაც მოადგა. მერე ისააკი ნამუსზე შეაგდო, შემომიკედლეო. ისააკმაც დაახლოებით ხუთწუთიანი ფიქრისა და თვალების ღამის ცაზე მიშტერების შემდეგ, ზებულორი თანამესინაგოგედ გაიხადა… და ერთკვირიანი მშვიდობიანი თანაცხოვრების შემდეგ ჭერი გაიხსნა სინაგოგას თავზე. ისააკმა ზებულორისაგან მოსეს სიზმარში ნახვის ამბავი მოისმინა და გაგიჟდა კაცი. კედლებს

ურახუნა ჭაღარა თავი. მოვკვდები და ჩემამდე შენ გაგიტან მკვდარს ამ სინაგოგადან, ბოლო ებრაელი ქაბულში მე ვიყავი და ვიქნები კიდეცო.
მას შემდეგ რამდენჯერ გაუშველებიათ მეზობელ მუსულმანებს თავპირდალეწილი ებრაელები აღაც კი ახსოვთ. ყველამ იცოდა, თუკი მათთვის გაუგებარ ენაზე ბოხი ყვირილი და ბათქა–ბუთქის ხმა ისმოდა ე.ი. ისააკი და ზებულორი თორას ვერ იყოფდნენ. მუსულმანები უკვე იმასაც ვეღარ ითვლიდნენ რამდენჯერ გადაარჩინეს სინაგოგა ჩაწვა–ჩაფერფვლას, იმის გამო, რომ ზებულორი და ისააკი სანთლის დასანთებ ადგილზე ვერ თანხმდებოდნენ. სძულდათ ერთმანეთი ისააკს და ზებულორს, ისე სძულდათ, რომ ერთმანეთის დანახვაზე ტანზე უცნაური ხორკლები გამოსდიოდათ და სანამ ექვსქიმა ვარსკვლავთან თავჩაღუნულები ლოცვას არ წაიკითხავდნენ, ეს ხორკლები არადა არ უქრებოდათ.

* * *

თოთო ბავშვივით უცრემლოდ შესტირა ქაბულის ცამ. მოიღრუბლა, შეიშმუშნა, დაიმანჭა, ჩამობნელდა კიდეც, მაგრამ ბღავილი კი ვერაფრით გადაწყვიტა. ერთ ზეწარში გადაახვია ალიმ გულგამოგლეჯილი დედა და თვალებდაჭყეტილი უწონო ბიჭი. ერთი კაცისათვის გათხრილ საფლავში ჩაეტივნენ ორივენი… მერე უსაშველოდ ფხვიერი მიწა მიაყარა მკვდრებს და წავიდა…

…გუფტამ კი ლაბეტ, გუფტ ლაბამ ობ ჰეყოტ
გუფტამ დეჰანეტ, გუფტ ზეჰი ჰაბ ნაბოტ
გუფტამ სოკჰტეტუ, გუფტ ჰაფეზ გუფტო
შჰოდი ჰამე ლატიფე გუყონ სალუოტ…

ქაბულშიც დაიწყო მზემ ჩასვლა. ფანჯარა გამოაღო ზებულორმა, არსად ისმოდა აიდას ღიღინი, მართლა მოუკლავთ იმ თალიბებს აიდა და მისი საშინლად გამხდარი ბიჭი… გარეთ გამოვიდა ზებულორი, „ყვავილების ქუჩას“ ქვევითკენ ჩაუყვა – ყაყაჩოების პლანტაციისაკენ, ბალა–ჰისარის ციხესიმაგრის გარშემო გაშენებული ყაყაჩოების ზღვისკენ… მიუხედავად იმისა, რომ თალიბები ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანას შარიათის კანონების დარღვევად თვლიდნენ, ქაბულში ერთ–ერთ ყველაზე მომგებიან და სარფიან საქმედ მაინც ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა ითვლებოდა. თან ისეთი ლამაზი იყო იქაურობა, ერთხელ თუ ნახავდი, მერე მთელი ცხოვრება ყოველ დღე თუ არა, ყოველ მეორე დღეს მაინც დაგესიზმრებოდა ეს შავხალა ყაყაჩოები. თავპირწაკრული ქაბულელები წაკუზულები მუშაობდნენ პლანტაციებში. დღისით პლანტაცია მიკროსოპში დანახული სარკომიანი ადამიანის სისხლს მოგაგონებდა – წითელ მინდორზე ამოყრილი მუსულმანების თეთრი უკანალებით, ღამით კი, აი ღამით…
დაღამდა ქაბულში…ყაყაჩოების წითელ მინდორზეც დაღამდა. ნეტავ სულ არ მოსულიყო ზებულორი აქ, ნეტავ თალიბებს იმ დედა–შვილის მაგივრად ეს დაეხვრიტათ და ჩამოეხრჩოთ, ნეტავ ისააკს მართლა ჯერ ეს გაესვენებინა სინაგოგადან და მერე თვითონ მომკვდარიყო, ნეტავ, ალის ცოცხლად დაემარხა თავისი შავფრჩხილებიანი ხელებით ზებულორი, ოღონდ აქ არ მოსულიყო ეს ებრაელი…

ჯერ თვალები კარგად მოისრისა, მერე იფიქრა, ალბათ ყაყაჩოების სუნმა გამაშტერაო და გაიყურსა, რა ვიცი, იქნებ მართლა ყაყაჩოების ბრალი იყო… აბა, ამ სიბნელეში, ამ სიშავეში რას აკეთებდა ეს გოგო? ან თავზე რატომ არაფერი ეფარა? ან ასე უღმერთოდ გრძელი და შავი თმები როგორ გაიზარდა? ან ცალი თვალი კატისას რატომ მიუგავდა და მეორე შავი მაყვლისას? ან გრძელ თითებზე წამოცმულ ბეჭდებს ძირს რატომ ყრიდა და მერე ისევ თავიდან იკეთებდა? ან ამ ღამეში ასე თეთრად რატომ მოჩანდა? ან ტანზე ყაყაჩოსფერი სიფრიფანა ფარჩის გარდა რატომ არაფერი ეცვა? იქნება სულაც ყაყაჩო იყო – ქალი ყაყაჩო… მუსულმანი ქალი ყაყაჩო… ყაყაჩოდან ამტვერებული ქალი–ყვავილი… ან სულაც ბალა–ჰისარის კედლებიდან გადმოსული მოჩვენება… არ იცოდა ზებულორმა ვინ იყო ეს ქალი, არც ის იცოდა, მოჰკლავდა თუ გააცოცხლებდა მასთან მიახლოება, მაგრამ ის კი ნამდვილად იცოდა, რომ თუ არ შეეხებოდა, მერე მთელი სიცოცხლე ამაზე იდარდებდა… შეეხო კიდეც…

* * *

ყოველ საღამოს, როცა სისხლში თეთრი ბურთულაკები მინიმუმამდე მცირდებოდა და წითელი სითხე ჯანმრთელი ადამიანის სისხლად იქცეოდა, ზებულორი ყაყაჩო–ქალას მტვრიან ფეხისგულებს ებრაული ენით ბალა–ჰისარას ციხის კედელთან ლოკავდა და სულ არ ადარდებდა, ეს მუსულმანი კატ–მაყვალ–თვალა ქალი ტვინის დაქვეითებამდე რომ უყვარდა. მერე რა, ერთმანეთის ენა რომ არ ესმოდათ… სამაგიეროდ ხაოიანი ენის სისველეს ერთმანეთის სხეულებზე გრძნობდნენ… მეტი რაღა უნდოდათ…
სინაგოგაში აყალმაყალმაც იკლო. ზებულორს აღარ სცხელოდა ისააკთან საჭიდაოდ. თან ფარდის ჩამოფარებამაც ხელი შეუწყო დროებით დაზავებას… თან ყაყაჩო–ქალამაც…
არ ღირდა ბალა–ჰისარას ციხესიმაგრესთან ხუმრობა. ჯერ მარტო იმიტომ, რომ ქაბულელები იქაურ ავსულებზე ათას ლეგენდას იგონებდნენ და კიდევ იმიტომაც, რომ თალიბებმა ის ტერიტორია რამდენიმე წლის წინ ისე გულიანად დანაღმეს, ეშმაკსაც გაუკვირდებოდა…

* * *

სიზმარი ნახა ისააკმა, ცუდი სიზმარი. დილით წამოდგა, ფარდა გადასწია, ზებულორის მხარეს გაჰყო თავი და გასძახა:
– ვერა ვნახე კარგი სიზმარი, წითელი ქუდი გეფარა თავზე, მოსეს შენსკენ ხელი გამოეშვირა, შენ კიდევ გაჰკიოდი, სინაზე მე უნდა ავიდე, შენ თავი დამანებეო. ცუდის ნიშანი უნდა იყოს ესა, ცუდის ნიშანი…
ზებულორმა ყური მოიყრუა, გულში კი მოხვდა ისააკის სიტყვები. ნეტავ სულ არ ამოსულიყო იმ დღეს მზე ქაბულის ცაზე, საღამოთი ხომ მაინც ატირდებოდა ზებულორის ცოდვით…

* * *

ვის გინახავთ თეთრი ყაყაჩოები? შავხალება თეთრი ყაყაჩოები? …

ბალა–ჰისარას კედლებს და ზებულორს ისე შეესხა ყაყაჩო–ქალას სისხლის წვეთები, თითქოს ცივ ქვებსა და ზებულორს ყაყაჩოებმა გამოაყარაო. ისე გაქრა ყაყაჩო–ქალა, რომ ზებულორს შვიდი წვეთი სისხლის მეტი აღარაფერი დაუტოვა… ნაღმზე აფეთქდა ყაყაჩო–ქალა… მაშინ გაწვიმდა ქაბულში…

* * *

საღამოთი თალიბები დაადგნენ ზებულორსა და ისააკს, ავტომატის კონდახებით დაუტეხეს თავები, ხაკისფერ მანქანაში ჩაყარეს ორივე და სინაგოგას ცეცხლი მიუკიდეს… ზებულორი სიცივემ გამოაფხიზლა, ბნელი საკნის შმორიან იატაკზე პირქვე იწვა და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. გვერდით ისააკი გაშოტილიყო გულაღმა, ხელში კი თორა ჩაებღუჯა.

* * *

ჰოდა, ეს თორა დახიეს ზებულორმა და ისააკმა წუხელ. ძალით არა, ისე, შემთხვევით შემოეხიათ და ახლა რაღა აზრი ჰქონდა ტირილს, როცა ზებულორს უკანასკნელი ცრემლები ბალა–ჰისარას კედლებთან დასცვივდა ყაყაჩო–ქალას სისხლის წვეთებთან ერთად… აღარც ისააკს ჰქონდა ცრემლები… ცეცხლწაკიდებულ სინაგოგას მიაყარა მუჭებით, იქნებ ჩავაქროო…

* * *

დღეს ქაბულის ციხისთვისაც გაიმეტა მზემ ერთი სხივი… ზებულორის და ისააკის საკანში ზოლად შევიდა და დაძონძილი ფარდა შუაზე გახსნა. სიჩუმე იდგა. შუადღემდე ზებულორი საკნის საკუთარ მხარეს იჯდა გაშტერებული და თორას დახევის ამბავს დარდობდა…ეს სიჩუმე რომ ვეღარ აიტანა, ისააკს გასძახა:
– ახლა ხომ ხარ კმაყოფილი? ხომ მიიღე რაც გინდოდა, იჯექი ახლა და შესცქირე მაგ დაფხრეწილ თორას, ჩამოვა მოსე და გაგიმრთელებს. ხმა ამოიღე, არ გესმის?
მდინარე ქაბულს ჩაუყვა, მზე ჩავიდა, გადავიდა, მოსაღამოვდა. რკინის გისოსებიან სარკმელს წითელ–გულა პაწია ჩიტი შემოაფრინდა. ზუსტად იმფერ–გულა, რა ფერის ფარჩაც ყაყაჩო–ქალას ეცვა ხოლმე. სიჩუმისაგან ენადაბუჟებულ ზებულორს ხელისგულებზე დააფრინდა. ცხვირთან მიიტანა ზებულორმა მუჭადშეკრული ხელისგულები და გათეთრდა – კატ–მაყვალ–თვალა ჩიტი მოფრენილიყო ამ ებრაელთან. ფარდა გადასწია ზებულორმა და სიბნელეში, საკნის ცივ და მაგარ საწოლზე გაწოლილ ისააკს გასძახა, მოვიდა ისააკ, ისევ მოვიდა… გესმის ისააკ?
– ისააკ, მოკვდი?
– ჰო, მოვკვდი…
ისააკი ერთადერთი მიცვალებული იყო დედამიწის ზურგზე, რომელიც მიხვდა, რომ მოკვდა და ხმამაღლა აღიარა…

მარიანა ნანობაშვილი

ერთხელ საქართველოში

(ნამდვილი ამბავი)

ნატა ვარადას,
რომლის მონათხრობის საფუძველზე
დაიწერა ეს ნოველა

– კუსპარ… ეი, კუსპარ…
კუსპარა ძილში იშმუშნება, წვრილი თითებით ცხვირს ისრესს, მერე თვალებს.
– ადექი–მეთქი, ბიჭო!
– რა გინდა…
– ადე…
კუსპარა ზანტად ახელს თვალებს. წაწვეტებულ ნიკაპზე იფარებს ჭუჭყიან საბანს. გააკანკალა. ახლაღა იგრძნო დილის სიცივე.
– ადე–მეთქი, ბიჭო. პური ვჭამოთ.
ეგრევე გამოფხიზლდა. მიყურებს დიდრონი წირპლიანი თვალებით.
– რა ვჭამოთო?
– ადე, ნახავ, – დინჯად ვპასუხობ, მსიამოვნებს, რომ უხარია, მაგრამ არ ვიმჩნევ.
კუსპარამ საბნიდან რეიტუზებიანი ფეხები გამოყო, თითებთან გამოგლეჯილი. ჯერ პატარაა და რეიტუზის ტარებას არ თაკილობს. ღამეც მასე სძინავს, აბა, პიჟამოები მაგას არა აქვს და ტიტლიკანა ხომ გაიყინა… ჩემი ნაქონი მაისური აცვია, ისიც გახეულია იღლიებთან, სამაგიეროდ, გრძელი მკლავები აქვს და თბილია. იქვე სკამზე მიგდებულ ტანსაცმელს ვაწვდი, მალე რომ ჩაიცვას, კანკალებს, ცოდოა. ჩემი მაჯის სიმსხო კიდურები აქვს, მეტი კი არა, ცდილობს, ჩქარა გადაიცვას პერანგი და უფრო იხლართება. ვეხმარები.
– რაო, წეღან რა თქვი, პური ვჭამოთო? – მახსენებს საქმიანად.
– ჰო, აგერ თამარაანთან თონე გაუხურებიათ და შემოგვაწოდეს ჩვენც.
ხმას არ იღებს. იცვამს.მხოლოდ მოზრდილი ნერწყვი გადაუვიდა მძიმედ ყელში.
– კარგი ქალია თამარა, – დიდი კაცივით ამბობს, აგემოვნებს წინასწარ ცხელ–ცხელი პურით საუზმეს.
– ჰო, კაი ქალია, – ვეთანხმები. ხომ არ ვეტყვი, ისეთი სახით გადმომიგდო ეს პურები, საკუთარი მოწყალებით გულაჩუყებულმა და თანაც რაღაცნაირად გაღიზიანებულმა, შიმშილით რომ სული არ სძვრებოდეთ კუსპარას და მამაჩემს, არც გამოავართმევდი.
რასა ჰგავს ეს მაიმუნი! ხომ ძმაა ჩემი, მაგრამ რაღაც ეგეთი ბავშვი იყო სულ, გულმიუსვლელი. ძალიან გამხდარი, შავი და ჭუჭყიანი. ეს სხვებისთვის, თორე… ისე ძალიანაც საყვარელია. თვალები აქვს უზარმაზარი და ბოჩოლასავით ნაღვლიანი. ალბათ, დედა რომ არ ახსოვს, იმიტომ. თუმცა, კი ახსოვს, მაგრამ ბუნდოვნად. სამი წლისაც არ იყო, რომ მოგვიკვდა. მაგრამ ამაზე ფიქრი არ მინდა, თორემ მკერდში ისევ მომეწურა რაღაც. საერთოდ, ვცდილობ, არ ვიფიქრო დედაზე. თავიდან ვერ გამომდიოდა, მერე შევეჩვიე ნელ–ნელა. აგერ, კუსპარა მყავს გასაზრდელი. შვიდი

წლითა ვარ უფროსი, კაცი ვარ მაგასთან შედარებით. თვალებში მიყურებს, ყველაფერში მბაძავს, მაიმუნი… თუ ცხვირი ჩამოვუშვი, ეგეც დარდიანდება და ცოდოა. დაჩაგრულია ისედაც. მე რაღაც მაინც მინახავს ცხოვრებაში, ეს კიდევ, რაც გაჩნდა, სულ მშიერი და გაყინულია. დედაც არ ახსოვს. ხოდა…

ორი შოთის პურიდან ერთი საღამოსთვის შევინახე, მეორე სამად გავყავი. შუა ნაწილი კუსპარას გავუწოდე, ერთი ყუა ჩავკბიჩე, მეორე კი მამაჩემს შევუტანე.

მამაჩემი ლოგინიდან მოსასაქმებლად თუ დგება, დგება რა, ვეხმარები და ძლივს ავაყენებ ხოლმე. ხომ როგორი გამხდარია, მაგრამ მძიმეა ძალიან. გულ–მუცელი ჩამწყედება ხოლმე. დედა რომ გარდაიცვალა, შაქარი დაემართა და მალევე დაბრმავდა. სიბრმავეს ვინ ჩივის, რაღაცეები მოეშალა ორგანიზმში და ცუდადაა. მაგას დიეტა უნდა და წამლები. დიეტა კი არა, ნეტა რამე იყოს საჭმელი. ხან რომელი მეზობელი მოგვაწვდის რამეს, ხან რომელი. წამლებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ზოგჯერ ვინმეს საქმეში ვეხმარები და საჭმელს გვაძლევენ. ახლა ყველას უჭირს. შუქი არაა, გაზი არაა, საჭმელი არაა, ქვეყანა დაიქცა. არეულობაა, თბილისის ომის შემდეგ აქაც ძაღლი პატრონს ვერა ცნობს. ვიღაცეები დაძრწიან ქუჩებში, თავწაკრულები, იარაღს აჟღარუნებენ. კუსპარას მარტოს არ ვუშვებ ქალაქში. დაეტიოს სახლში და ითამაშოს მეზობლის ბავშვებთან. მაგაზე ყოველ დღე ჩხუბი გვაქვს, ისე, ბოლოს მაინც მიჯერებს. ცელქია ძალიან, ვერცხლისწყალივით მოძრავი. სულ ეძებს, რა გააფუჭოს, რომ გაერთოს. ხან რომელ ხეზეა ჩამოკონწიალებული, ხან რომელზე. ყველაფერი აინტერესებს, ყველგან ცხვირი უნდა ჩაყოს. „ეს რა არის? და რატომ არის? და შიგნით რა აქვს?“ შემიკლო რა ამ ბავშვმა. ახლახანს, ზაფხულში, ტყეში გამეპარა, ბიჭებთან ერთად ვიყავი გასული და, რომ მოვედი, სახლში არ დამხვდა.. გვიანობამდე ვეძებე მთელ ქალაქში, კინაღამ გავგიჟდი. ყველგან იარაღიანი ტიპები დაძრწიან… ის კი მაყვალზე წაბრძანებულა ბავშვებთან ერთად. მაგრად ვცემე იმ საღამოს და იმის შემდეგ ჭკვიანადაა.

– დათუნას აჭამე უკვე? – მკითხა მამაჩემმა, თბილი პურის ყუა რომ ჩავუდე ხელში.

– ჭამს კუსპარაც, მიდი–მიდი, ეს შენი წილია.

მამაჩემმა აკანკალებული ხელით პური პირთან მიიტანა და ნელა ჩაკბიჩა. ერთხანს ვუყურე, როგორ მძიმედ იქნევდა გასაპარს ყბებს, მერე სულ უფრო სწრაფად. – აცივდა მაგრად. – ვეუბნები. – დღეს სკოლაში არ წავალ, დიტო პაპას გავყვები ტყეში ფიჩხზე, იმასაც მივეხმარები და ჩვენთვისაც წამოვიღებ, კუსპარასაც გავიყოლებ, არაფერი უჭირს, გაატოკოს ხელი.

– კარგი, – მხოლოდ ეს მითხრა.

კუსპარას გაუხარდა, სკოლას რომ აცდენდა. მართლა კუსპარაა, რა. გაწკვლიპული, პატარა. მესამე კლასელსაც არ ჰგავს. მამაჩემი მთასავით კაცი იყო თავის დროზე, მეც რა მიჭირს ვითომ, ეს ვის დაემსგავსა. ცუდი კვების ბრალიაო, ამბობენ… როგორ იღმურძლება, გაგეცინება კაცს. რაღაც შემეკუმშა გულთან, მოვეფერო მინდა წამოზრდილ რბილ თმაზე, ხელიც გავიწვდინე, მაგრამ უნებურად მსუბუქად წავუთაქე. სულ მასე მომდის.

– მიდი, დააბოლოვე, მე დიტოსთან გადავალ, ერთი რას აპირებს. დიტო პაპას უკვე გაემზადებინა ურემი. ერთი ჯაგლაგი ცხენი ჰყავს, შეშას აზიდინებს ხოლმე ტყიდან. ურემში აბამდა.

– აბა, მოდიხართ? – შორიდანვე იყვირა. ახლავე–მეთქი და კუსპარას დასაძახებლად გავიქეცი.
მე და კუსპარა ურემზე, უკან მოვთავსდით, დიტო პაპამ ცხენის სადავეები მოქაჩა და დავიძარით.
– ხო–ხო, ჯიბგირებო, რა ბევრი შეშით დავბრუნდებით! ასეთი კაცი მოგვყვება დასახმარებლად, – წაიჩიფჩიფა დიტო პაპამ, კუსპარას თვალი ჩაუკრა და ცხენს შეუძახა.

კარგი კაცია დიტო პაპა. ტყეში ისე არ წავა, არ მითხრას, თორემ ფეხით რა მაზიდინებს იმ სიშორიდან ფიჩხს. გავიყინებოდით ზამთარში… ჯერ ისედაც ვიყინებით, მაგრამ… მთელი გზა გველაზღანდარავება, გვაყოლებს ხოლმე რაღაცეებს, სკოლის ამბებს და ხითხითებს უკბილო პირით. განსაკუთრებით კუსპარას მოყოლილები უყვარს. კუსპარაც მოაღებს ხოლმე პირს და, რაც იქნება და რაც არ იქნება, ყველაფერს ფქვავს. პაპაც ხითხითებს გულიანად, ხალისობს. დიტო პაპაზე ყველა ამბობს, ოქროს გული აქვსო. უყვართ სოფელში. მეც მიყვარს. დედა რომ გარდაიცვალა, არ ვტიროდი, ყველას ვუბღვერდი. მაინცდამაინც არ მაქცევდნენ ყურადღებას, შე საცოდავოო, შემომტირებდნენ შიგადაშიგ ვიღაც ქალები და ეგ იყო. უფრო კუსპარას ეფერებოდნენ. მე ბავშვობიდანვე ვერ ვიტანდი ვერავის ალერსს, დედის გარდა… თვალდახუჭულ დედას ვუყურებდი და ვერავის ვგრძნობდი გარშემო, მარტო ვიყავი თითქოს ამქვეყნად. მერე ცა და მიწა ერთმანეთში აირია და დატრიალდა. უცებ ვიღაცამ შემანჯღრია. დიტო პაპა დახრილიყო ჩემს თავზე და ყურადღებით შემომცქეროდა.
– ცუდად ხომ არა ხარ, ბიჭო, – ხელი ლოყაზე გამკრა. ხმა რომ არ ამოვიღე, ხელი მომკიდა და ეზოში გამიყვანა. მორჩილად გავყევი. დამსვა და მითხრა: – ბიჭო ლევანა, მე რომ შენხელა ვიყავი, აღარც დედა მყავდა და აღარც მამა. რომ გიყურებ ახლა, ისე ვარ, თითქოს შენი კბილა დიტო გედგე გვერდით და შენსავით გამჩხეროდეს ცრემლი ყელში. ეგრეა ცხოვრება, რას იზამ. ძმა გყავს პატარა, მამაშენს გვერდში უნდა ამოუდგე. როდისმე ყველას დაგვაყრიან თავზე მიწას, ჯერ მე, მერე მამაშენს, მერე შენ, მერე შენს შვილებს, შვილიშვილებს, და ასე, ვიდრე ეს ქვეყანა არსებობს. სანამ აქა ვართ, მუხლი არ უნდა მოგვეკვეცოს, კაცები ვართ. ეგრეა. – და თმაზე ხელისგული გადამისვა. საკვირველია, მაგრამ არ გამიწევია თავი, როგორც მჩვეოდა ხოლმე. მაშინ ავღრიალდი, გული ამომიჯდა, ის კი თმაზე მეფერებოდა უსიტყვოდ.
დიტო პაპას ეს აღარც ეხსომება, მე კი მახსოვს. იმასაც ვხვდები, რომ, მგონი, ერთადერთი ადამიანია ამ პატარა ქალაქში, ვინც ამრეზით და ზემოდან არ გვიყურებს, როგორც მათხოვრებსა და უპოვარებს. თუნდაც მისი ოჯახის სხვა წევრებივით. განსაკუთრებით, მისი სიძე მემტერება, ჩვენი ოლქის მილიციის უფროსი, ბიძინა. სულ მემუქრება, რომ აღრიცხვაზე ამიყვანს, ყველგან ჩემი დანაშაული ელანდება. მგონი, მამაჩემს ვერ იტანს და, შეიძლება, იმიტომ ვძულვარ მეც. ბიძინა აქ პატარა მეფესავითაა. ყველა წითელ კოჭს უგორებს, ყველა ემლიქვნელება. ისიც სიამოვნებისგან დნება. მე კი ფეხებზე მკიდია. გამარჯობასაც არ მეუბნება, შემომხედავს უხმოდ წვრილი გესლიანი თვალებით.თუ მივესალმე, თავს გადაიქნევს ხოლმე, თითქოს, დამაცადე შენ მეო. ახლა აღარც მე ვესალმები. მეტი საქმე არა მაქვს. ყველგან ქვეყნის მტრები ელანდება, და საკუთარი კიდევ. რაც გადატრიალება მოხდა, სულ აიწყვიტა, აქაურობის ბატონ–პატრონი ჰგონია თავი. გამიგონია, მხედრიონელებში ძმაკაცები ჰყოლია. მამამ მითხრა ერთხელ, ერიდე

მაგას, შვილო, ძალიან ბნელი კაციაო. არ ვიცი, რატომაა ბნელი, მაგრამ ჩვენ რომ ვძულვართ, ვიცი. დიტოს კი არა ჰგავს… როგორ გააყოლა თავისი გოგო…
ქალაქს გავცდით… ბორბლები ქვა–ღორღიან გზაზე არახრახდა. კუსპარამ ურემის მოძრაობის მსგავსად ხტუნვა დაიწყო. წავუთაქე, მოისვენე–მეთქი. ამომხედა ეშმაკურად. გამეცინა. ერთხანს გაჩერდა, ცოტა ხანში ისევ დაიწყო ხტუნვა. ხელი ჩავიქნიე. რაც უნდა, ის უქნია. ეგეთია.
კუსპარას დიტო პაპამ შეარქვა კუსპარა. ერთხელ დაუძახა და მთელმა უბანმა აიტაცა. მართლა კუსპარაა რა, კნაჭა, ვერ მოუსვენია ახლაც, ზის, თვალებს აცეცებს, რა შეიძლება გააფუჭოს და რითი გაერთოს. ერთხანს იცმუკა, მერე იქვე ჭილობგადაფარებული ფუთისკენ წაიღო ხელი.
– ეს რა არის, დიტო პაპა?– დაინტერესდა მაშინვე.
– ცულებია, შვილო, ხერხი. მანდ არაფერს მოჰკიდო ხელი, იცოდე. თოფიც მიდევს, რა ვიცი, ოხერი დროა, ათასი ნაძირალა დაწანწალებს… – თოფი? – თვალები გაუბრწყინდა კუსპარას. – ნამდვილი? – და ხელი ჭილობის ქვეშ შეაცურა.
– კუსპარ, – ვეცი ხელებში…
თოფის გასროლამ ყურები დამიხშო და ექოდ გაიგრუხუნა სივრცეში. ვერ ვხვდები, რა მოხდა. კუსპარას დაფეთებულ თვალებს ვხედავ ჯერ, მერე დიტო პაპას უეცრად მოშვებულ სხეულს, უცნაურად რომ გადაეკიდა გვერდზე. ვიგრძენი, რომ რაღაც გამოუსწორებელი საშინელება მოხდა. ამ ძიძგილაობაში თოფმა გაისროლა. და პაპა…
კუსპარამ ერთხანს დამრგვალებული თვალებით უყურა დიტო პაპას მოშვებულ ზურგს და უცებ წვრილი ხმით ატირდა.
– რა ჰქენი, ბიჭო, – ხმა მიწყდება.
სადავეებს გადავწვდი და ცხენი გავაჩერე.
– დიდო პაპა!.. დიტო პაპააა!!
მოხუცი ადგილზევე გათავებულიყო. სახეზე უდარდელი გამომეტყველება შერჩენია, თვითონვე მიკვირს, რომ ამას ვამჩნევ. რომ საერთოდ მიმუშავებს გონება. ბრაზმა და შიშმა ამავსო, ხელუკურმა გავუქანე კუსპარას. მან ტირილი შეწყვიტა და შეშინებული მორჩილად შემომაცქერდა.
ერთხანს ვუყურებთ ერთმანეთს. შიში უფრო და უფრო მეღვრება ყველა ძარღვში და სისხლს მიყინავს.
– წამოდი! – ვეუბნები უცებ, ხელში ჩავაფრინდი და უკანა გზაზე გავიქეცით.
– მოკვდა? – მოფორთხიალობს კუსპარა.
– არ ვიცი. – უცნაურია, მაგრამ ახლა დიტო პაპას სიბრალულის ნაცვლად მხოლოდ შიშს ვგრძნობ. სისხლი ბუყბუყით მაწვება მთელ თავში, ყურებში მიწივის. კუსპარა აღარაფერს მეკითხება. ბოლომდე ვერც მიმხვდარა, რა მოხდა. მეც ვერ მიმხვდარვარ. გაოგნებულები მივრბივართ. ვიცი, რომ რაღაცა უნდა ვიღონოთ, ვიღაცას საშველად ვუხმოთ.
გზას ბოლო არ უჩანს, თუმცა ქალაქიდან შორს არ გავსულვართ. უცებ მოსახვევიდან ურემი გამოგორდა, კაცი ვიცანი – მეზობელ უბანში ცხოვრობს. გიჟივით მივრბივარ პირდაპირ მისკენ, კუსპარას მივაფორთხიალებ.
– ძია ლექსო,… იქ… – სულს ვერ ვიბრუნებ… – იქ…

– რა იყო, რა გჭირთ, – კაცი ცივად გვიყურებს. შეჩვეული ვერ ასეთ მზერას, მაგრამ ახლა ის ბრაზის ნაცვლად შიშს მგვრის.
– იქ… დიტო პაპაა ცუდად.
– რას ჰქვია, ცუდად, – ეჭვით შემოგვხედა ლექსომ. – აბა, დასხედით ერთი. რამდენიმე წუთში ადგილზე ვართ. ლექსომ შორიდანვე შენიშნა დიტო პაპას უცნაურად გადახრილი სხეული, ცხენს შეუძახა…
დიტო პაპას ტუჩთან სისხლის პატარა ნაკადი ეღვრება, ღია თვალები უაზროდ ჩასცქერის რაღაც შორეულს.
– ეს რა არის? – გაფითრდა ლექსო და დასისხლიანებულ ზურგზე უთითებს. – მოკალით?!
თითქოს დავმუნჯდით. ყურებში ისევ მიწივის.
– მოკალით–მეთქი კაცი?! – უკვე ყვირის ლექსო და როგორღაც შეშინებული გვიყურებს. თითქოს საკუთარი შიშის დასაფარად გვიყვირის.
– აბა, ჩასხედით ურემში! – ამბობს მკაცრად, მაგრამ გაბზარული ხმით. მგონი, ეშინია, რომ ზურგით დაჯდეს ჩვენსკენ, შეიძლება იმედოვნებს, რომ არც დავუჯერებთ, მაგრამ ჩვენ მორჩილად ვსხდებით. შვებასაც კი ვგრძნობ, რომ ვიღაცა უფროსი წყვეტს, ახლა რა უნდა ვქნათ.
მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია. არც გვიკითხავს, სად მივყავართ. თუმცა ისედაც ვხვდებოდი.
მართლაც, მილიციის კორპუსთან გავჩერდით.
– მომყევით, – უკვე რიხით თქვა ლექსომ.
როგორც ცუდ სიზმარში, ისე ვარ. კუსპარას ფერი არ ადევს. თვალები რაღაც ერთ საათში ჩასცვენია და ჩამუქებია.
– კუსპარ, – ვეუბნები, — ნურაფრის გეშინია.
– დიტო პაპა მოვკალი. – მეუბნება ისე წყნარად, გული ყელში მებჯინება და ლამის ვიღრიალო.
– არ მოგიკლავს. შეიძლება, მე გამივარდა. თოფი დატენილი ყოფილა… საიდან უნდა გვცოდნოდა… – ვამშვიდებ და უცებ ვგრძნობ, რომ თვითონაც ვმშვიდდები როგორღაც.
ბიძინას კაბინეტში ჯერ ლექსო შედის. გულზე ლოდი მაწევს, მაგრამ მაინც ვამჩნევ, როგორი საზეიმო და მრავალმნიშვნელოვანი სახე აქვს, როგორ ჩქარობს ბიძინას თანადგომა გაუწიოს. გამაცივა, ჩვეულებრივი საღებავაქერცლილი კედლებიც კი მტრულად შემოგვცქერიან. ახლა, ალბათ, კოლონიაში დამამწყვდევენ… კუსპარას სახლში გაუშვებენ, ცხადია, ვინ რას მოსთხოვს რვა წლის ბავშვს… როგორ უნდა იყვნენ მარტო… შიმშილით და სიცივით დაიხოცებიან… მაგრამ… ისე რომ ვუთხრათ… კუსპარას რომ გაუვარდა… ის მაინც არასრულწლოვანია, და მეც არ დამიჭერენ…
ორ წუთში ყველაფერი აირია. ბიძინა გიჟივით გამოვარდა კაბინეტიდან… ხან ერთს გვიყურებს, ხან მეორეს, ისეთი თვალები აქვს, გაგვლეჯს ალბათ. კუსპარა მკვდრისფერი გახდა. მეც ენა გადავყლაპე თითქოს.
– მოკალით, ნაბიჭვრებო?! ვინ დაგიქირავათ? გიყიდეს? მაშინებთ, ხომ? – უცებ მომვარდა და საყელოში ჩამაფრინდა. – მითხარი, შენი დედაც, ვინ დაგავალა!.. ვინ დაგავალა– მეთქი, შენი!.. იცი, ვის ჩავრევ საქმეში? იცი, ვის?! ვერაფერს ვხვდები, ვცდილობ, ხელი

გავაშვებინო, ერთი რომ ძლიერად ავუკრა, გვერდზე მოვისვრი, მაგრამ არ მინდა, უარესად გავაგიჟო.
– ახლავე თქვი, ვინ დაგიკვეთა, თორემ აქვე ჩაგაძაღლებ! – და ხელი ქამარზე დაკიდებული პისტოლეტისკენ წაიღო.
ახლა ისეთი გაცოფებულია, მართლა შემეშინდა, არ მესროლოს. კუსპარა მთელი ხმით აღრიალდა. ირგვლივ რამდენიმე კაცი შეიკრიბა, თანამშრომლები, მაგრამ ხმას არავინ იღებს, არც ბიძინას დამშვიდებას ბედავს ვინმე. ვიგრძენი, რომ პანიკამ ამიტანა.
– ვის უნდა დაევალებინა, ბიძინა ბიძია, შემთხვევით გაგვივარდა… ურემზე ედო…
სახეში მაგრად მომხვდა სქელი მუშტი. სისხლი ამიდუღდა, ძლივს ვიკავებ თავს, არ ვეცე, მაგრამ კუსპარას შეშლილ სახეს ვხედავ და თავს ვიოკებ.
– შემთხვევით, არა? შემდეგი ვინ დაგავალეს? ვისი რიგია? ჩემი ცოლის? ჩემი შვილის? თუ ჩემი?! – ხავის გიჟივით. პირიდან დორბლი სცვივა და საშინელი სანახავია. – თქვენ მაჯობებთ? ვის? ბიძინას?! ახლა განახებთ სეირს! ყველას განახებთ! არავის აზრად რომ აღარ მოუვიდეს ბიძინას შეშინება, აქეთ შევაშინებ ყველას!..
– წამოიყვანეთ! – უბრძანა თავის ხელქვეითებს, – სად მოკალით ის კაცი! გვამი მაჩვენეთ! მე და კუსპარა თითქმის ძალით ჩაგვათრიეს კიბეზე და მანქანაში ჩაგვსვეს. კუსპარა აღარ ტირის. სახე წაშლია. ბრაზმა ლამის დამახრჩოს.. კუსპარას მხრებზე ხელი მოვხვიე და ჩავიხუტე. თვითონაც იმ წამსვე მომეკრო მოცახცახე პატარა სხეულით. გზადაგზა ვიღაცეები ემატებიან. მთელ ქუჩაზე გადაძახილები და ქოქოლა ისმის. რამდენიმე მანქანა აივსო. ბიძინა ჩვენს მანქანაში ჩაჯდა, მძღოლის გვედით, მანქანა ღმუილით მოწყდა ადგილს.
– შეგაჩვენებთ, შეგაჩვენებთ ღმერთი… – იწყევლება გზაზე ვიღაც ხანშიშესული ქალი და ცრემლად იღვრება. დიტო პაპას ნათესავია. – რა კაცი მოკალით, თქვე უჯიშოებო, იმის ფრჩხილის ღირსი არა ხართ მთელი ოჯახი, ვენაცვალეე… კივილი სადღაც უკან რჩება და ქვა–ღორღიან გზაზე მანქანის რახრახში იძირება. მძღოლი ძალიან ჩქარობს, ბიძინას მრისხანების ეშინია…
მალე გზაზე დიტო პაპას ურემიც გამოჩნდა. მანქანის გაჩერებისთანავე ბიძინა გადმოხტა და ურემს ეცა. ნელ–ნელა დანარჩენი მანქანებიც მოვიდა. აქა–იქ შეძახილები ისმის. ჩვენ მანქანაში ვსხედვართ, ერთი მილიციელი გვდარაჯობს, სახე გაქვავებია. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში მამაჩემის სახლში უქეიფია ხშირად. ცდილობს, არ შეგვხედოს.
– ეს რა გიქნიათ, – ამბობს მერე გამკიცხავად.
– ძია ნიკო, არ გვინდოდა… დიტო პაპას რომ ჩვენი შინებოდა, ხომ არც წაგვიყვანდა და არც თოფს დაგვიდებდა ცხვირწინ, – მომეცა იმედი.
ნიკო აშკარად შემცბარია.
– არ ვიცი, არ ვიცი… – გადასარევადაც იცის, მაგრამ ამასაც ბიძინასი
ეშინია.
მერე გარეთ გადმოგვათრიეს.
ყველა აღშფოთებულია.
ყველა სიძულვილით გვიყურებს.
თითქოს ცუდ სიზმარში ვარ და ეს ყველაფერი ჩემს თავს არ ხდება. ნეტა მალე დამთავრდეს ეს დღე, ჩამსვან ციხეში და დამთავრდა…

მაგრამ, კუსპარა.. ბიძინა ისეთი გამხეცებულია, ესეც არ ჩასვას… არა, ვერ ჩასვამს… არასრულწლოვანია… არასრულწლოვანი კი არა, პატარა ბავშვია. თითებთან გამოხეული რეიტუზი აცვია… ხეებზე კონწიალის მეტი არაფერი იცის… „დედაენას“ სწავლობდა სულ ახლახანს… არა, ვერ ჩასვამს კუსპარას… ოღონდ მალე ჩაიაროს ამ საათებმა… მამამ ჯერ ალბათ არაფერი იცის… საწყალი, სულ გაგიჟდება…

ხმამაღალი გადაძახილები არ წყდება. აღგზნებული სახეები ნელ–ნელა სისხლით ივსება… თვალები გადმოცვენაზეა… ერთმანეთს ახელებენ ყოველი სიტყვით… ეს რეები ხდებაო… რა განუკითხაობააო… ყველას ამოგვხოცავენო მასე… ეს ლეკვები ახლა რომ ამას გააკეთებენ, მერე რაღაც იზამენო… საზოგადოებისთვის საშიშნიო… და კანონი დღეს არ კანონობსო… ისევ თავისუფლად ივლიანო… შვილები გვყავსო… ამათი დამკვეთები აღარ გაჩერდებიანო… „ლინჩი“, „ლინჩის წესითო“…

სადღაც გამიგია „ლინჩი“, მაგრამ აღარ მახსოვს, რას ნიშნავს…

რა ხდება… გარშემო წრეს გვარტყამენ… ჯერ ძალიან შორიდან… მერე წრე ვიწროვდება… მძიმე ოხშივარი მეცა, გონდაკარგული ხალხის…

გულმა რეჩხი მიყო… კუსპარას გავხედე – პირი ნემსივით დაწვრილებია მოწრუპულ წაწვეტებულ ნიკაპზე. თვალები კი, – ღმერთო, რა სჭირს ამ ბავშვს. ბავშვიც აღარ არის თითქოს. დაგეშილი პატარა ნადირია, მგლის ხროვაში მომწყვდეული. ბრბო შეჩერდა. როგორღაც დაბნეულები ჩანან ყველანი. უცნაური სახეებით თვალს არ აცილებენ ბიძინას, მზად არიან მის ფეხქვეშ ქვები ლოკონ. უცებ ერთ–ერთი მართლაც დაიხარა, თითქოს ჩემს ფიქრს ასრულებსო, მაგრამ ქვა კი არ ალოკა, ხელში აიღო და შემომხედა.

გული კინაღამ გამიჩერდა, ისე… ყველას თვალებით შემომხედა. მხოლოდ მას ვუყურებდი, მაგრამ ყველას თვალებს ვხედავდი მასზე. კაცმა თვალმოუცილებლივ დამიმიზნა ქვა და მესროლა. განზე გაწევა მოვასწარი და ქვა ამცდა. უცებ ყველაფერს მივხვდი და ვიღრიალე. თითქოს გაიგებს და მიშველს ვინმე. სადღაც… ადამიანი…

ბავშვს ხელი ვტაცე და გაქცევა ვცადე. მაგრამ წრე ამასობაში შეკრულიყო. ჩემმა მოძრაობამ გამოაფხიზლათ… სათითაოდ დახრა და ქვების აღება დაიწყეს…

– ნახე, დედა… – უცებ ბრბოსკენ თითი გაიშვირა კუსპარამ. უცნაურად მშვიდი ხმა აქვს.

– დათუნა, გაიქეცი, ტყეში დაიმალე, – ვუყვირე, მაგრამ ამ დროს ჭახანი გავიგონე, თითქოს რაღაც გასკდაო ჩემს გვერდით, და დათუნა მოცელილივით დაეცა. შეშლილი თვალები ღია და უმოძრაო აქვს… საფეთქელიდან სისხლმა იჩქეფა. ფეხებშორის შეუკავებლად წამომედინა ცხელი ნაკადი.

ეს ჩემი ხმაა.. თუ ვიღაც სხვა ბღავის ჩემი მკერდიდან…

საშინელი ტკივილი მხარში…

…ზურგში…

…ფერდში…

…მუცელში…

… ყველგან…

განუწყვეტლივ…

… პირში სიმლაშე და ბლანტი სისველე…

… აუტანელი ტკივილისგან ჩავიკეცე…

… ყველა მხრიდან მოფრინავს ქვები…

…ხელებს ვიფარებ სახეზე…

… თავზე…
… კეფაში… საშინელი დარტყმა…
სხვისი ხმა მკერდიდან ჩამიწყდა…
… ხავილი ამომდის…
… და უცებ ვხედავ დედას…

ption>
-->

თეონა დოლენჯაშვილი

ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე

15 საათი.

მეთაურს ავოკადო და თაფლი მოაქვს. მე ბრინჯიან სალათას ვამზადებ. სადილების მომზადება არასოდეს მყვარებია, მაგრამ ამ მოსაწყენ საქმეს აქაც ვერ ავცდი. სალი მხოლოდ ჩვიდმეტი წლის არის, ნაზირა კი სამზარეულოში საერთოდ არ შემოდის. თურმე სწორედ წვნიანს ხარშავდა, შვილები რომ ჩაუხოცეს – ხუთი წლის ბიჭი და სამი წლის გოგო. ზუსტად როგორ იყო, არ ვიცი. თვითონ კრინტს არ ძრავს და მუდმივად საათს დაცქერის. თითქოს წამზომი უკვე ჩაურთეს, და მასაც ერთი სული აქვს როდის აენთება.

ჩუმად ვსადილობთ. სალი ყავას ადუღებს. ვარდისფერი ბაგე გაპობია და ჩამოქნილი თითებით ფინჯანში ვერცხლის კოვზს ურევს. აქ ძმამ მოიყვანა. ერთმანეთს კარებთან აკოცეს. „ზეცაში შევხვდებით, ფიდაიო“, – ძმამ უთხრა და წავიდა. სალის წაბლისფერი თმა ლამის წელამდე სცემს. მეთაურმა ერთხელ უკვე უთხრა, შეიკვეცეო, მან კი ინით შეიღება და გაიშალა. ცოტა თავნებაც ჩანს. მე კი ვფიქრობ, უაზრობაა თმას დაჰკანკალებდე, მაშინ როცა სიკვდილისთვის ემზადები.

მე ამინატი ვარ. ნოემბერში ოცდაექვსი შემისრულდა. ეს–ესაა უკანასკნელად ვისადილე. ახლა სიგარეტს ვეწევი და მონისლული თვალებით სარკმელში ვიყურები. სარკმლიდან ვიწრო პარიზული ქუჩა მოსჩანს და წიგნების მაღაზია – პარალელური სამყარო, სადაც ფრანგი გოგოები დადიან და წიგნებს კითხულობენ.
წიგნი მეც წავიკითხე. მეთაურს გამოვართვი. მულიდთა სახელმწიფოზე ეწერა, ალამუთის ციხესა და ფიდაებზე – პირველ ტერორისტ–თვითმკვლელებზე. ახლა უკვე ვიცი, ამ წიგნს ვეღარასოდეს დავასრულებ, მაგრამ წაკითხული გვერდები ჩემი თითბრისფერი სარჭით მაინც ჩავნიშნე – ან სარჭი რაღაში დამჭირდება...

15 საათი და 10 წუთი.

სარკესთან ვდგავარ და თვალებს ვიხატავ. სპორტულ კედებზე თასმებს ვიკრავ. მხარზე ზურგჩანთას ვიგდებ და მავთულებს სახელოებში ვმალავ. მოკლედ, ვემზადები. მეთაურმა უკვე ამიხსნა, როგორ უნდა მოვიქცე. ხუთ საათზე „იმპრესიონისტებში“ გრანდიოზული გამოფენა–აქცია იმართება. რამოდენიმე სენატორიც იქნება. სწორედ იქ უნდა ავფეთქდე... გოგოებს ვემშვიდობები. სადენებსა და საათს კიდევ ერთხელ ვამოწმებ. სალი მიცინის და ხელს მიქნევს „მალე შევხვდებით, ამინატ!“– მეძახის. ზუსტად მის ძმასავით გამოსდის...

15 საათი და 20 წუთი.

მეტროს კრიალა, რეკლამებით აჭრელებულ ესკალატორს მივუყვები. შარლ დე გოლის მეორე ხაზით ვმგზავრობ. ვაგონი გაპოხილ რელსებზე, ეს სამყარო კი ჩემს გასწვრივ მიქრის. მგზავრებს ვაკვირდები. ადამიანები საკუთარ სიღრმეებში ჩაკარგულან. მათ შორის შესაძლოა ისინიც იყვნენ, ვინც ჩემს ბედნიერებას გაინაწილებს და სიკვდილის წარმტაც წალკოტებში წამომყვება. იქნებ რომელიმე მაინც მიხვდეს, რომ ეს ბრჭყვიალა, მბზინვარე ცხოვრება ტყუილია და სინამდვილე სულ სხვაგანაა.

15 საათი და 32 წუთი.

ქუჩა ყოველთვის უცხოა. გამზირზე ჩაყოლებულ მაღაზიებსა და კაფეებს ვათვალიერებ. პატარა, მოხდენილ ბუტიკში შევდივარ და ყველაზე ლამაზ შარფს ვარჩევ. „საუცხოო ნამუშევარია. ბატიკა,“ – არჩევანს მიწონებს გამყიდველი, მერე დახლთან მიდის და შარფს საგულდაგულოდ კეცავს. მე ფულს ვიხდი და ფურცელზე მისამართს ვწერ. ძალიან ძვირფასი შენაძენია, მაგრამ ფული არ მენანება. ეს ჩემი უკანასკნელი საჩუქარია. მას დედაჩემი ხვალ დილით, საკუთარ დაბადების დღეზე მიიღებს.

15 საათი და 37 წუთი.

გადავწყვიტე სადმე შევისვენო. ჯერ მხოლოდ ოთხის ნახევარია და წინ მთელი მარადისობა. დრო უსაშველოდ, უსასრულოოდ იწელება... კაფე „ლა კამპოს“– ძალიან ლამაზი ალაგია. შემინულ კედელთან ვჯდები, ისე რომ ქუჩას ვუყურო. მიყვარს თავ–თავიანთთვის მოფუსფუსე და სხვადასხვა მხარეს მორბენალი ადამიანების ცქერა. ყველას სადღაც მიეჩქარება – გამოფენაზე, ლანჩზე თუ პაემანზე, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ბოლოს ყველა იმ გზას დაადგება, მაგრამ ალბათ სხვადასხვა სამგზავრო ბილეთით.
გარსონს ყავა და მოხალული ნუში მოაქვს. შოკოლადივით სქელი და სურნელოვანი ყავაა. აქვეა მომჟავო ალუბალი და დაჩამიჩებული ატამი. საწყენია, რომ ზურგჩანთის მოხსნა და სკამზე მოხერხებულად გადაწოლა არ შემიძლია. მე ყავას ვსვამ და ზურგჩანთაში ბომბები მიწყვია.

15 საათი და 45 წუთი.

კაფე ერთხმად, ერთგვაროვნად ზუზუნებს. სარკმლიდან „იმპრესიონისტების“ ფასადი მოსჩანს. მოპირდაპირე მაგიდაზე ვიღაც გაზეთს აშრიალებს. ხვალ ყველა გაზეთის პირველ გვერდზე მე ვიქნები და ჩემი მრავალრიცხოვანი და–ძმები ჩემით იამაყებენ. ო, რა საოცარია, ადამიანს სიკვდილის წინაც კი არ შეუძლია მომავალზე არ იფიქროს, მისთვის უკვე დასრულებულ და არარსებულ მომავალზე.
დაჟინებულ მზერას ვგრძნობ...

15 საათი და 50 წუთი.

– ხომ არ შეგაწუხებთ, თქვენს მაგიდასთან რომ ჩამოვჯდე? ყველა ადგილი დაკავებულია, – არაბი ბიჭია. შავი მაისური და გახეხილი ჯინსები აცვია.
პიცას უკვეთავს... მადიანი ვინმე ჩანს.
– აქ კარგად ამზადებენ, – მიღიმის, – მე ტამირი მქვია, თქვენ?
– ამინატი.
– ლამაზი ხართ და სახელიც ლამაზია, – ძალიან სწრაფად მოშინაურდა.
ალბათ ხვდება, რომ ცოტა დრო მაქვს.
– ნაცნობობას ყოველთვის ქათინაურებით იწყებთ?
– არა. ეს პირველი შემთხვევაა. სანამ მოვიდოდი, შორიდან გიყურებდით. საოცარი თვალები გაქვთ.
საათზე ვიხედები.
– სადმე გეჩქარებათ?
– ჰო. სამოთხეში მელოდებიან.
– მეც სიამოვნებით გამოგყვებოდით. დარწმუნებული ვარ, სადაც თქვენ მიხვალთ, ყველგან სამოთხე იქნება.
ქათინაურები მართლაც ეხერხება. მასთან საუბარი მომწონს. ცუდი არ იქნება, თუ ამქვეყნად ერთი ნაცნობით მეტს დავტოვებ.
ტამირი ფორთოხლის წვენით მიმასპინძლდება. საკუთარ თავზე მიყვება. თურმე უნივერსიტეტი უკვე დაამთავრა და ახლა ბანკში მუშაობს. პარიზის ქუჩებში ხეტიალი, კინემატოგრაფი და ფეხბურთი უყვარს.
– შენ რას საქმიანობ? – ცდილობს ჩემი პროფესია გამოიცნოს.
– მე ფიდაი ვარ და ზუსტად ერთ საათში უნდა ავფეთქდე, – ვიცი, არ დაიჯერებს და ამიტომ სიმართლეს ვეუბნები. ის კი იცინის და მეუბნება, რომ მსგავს რამეს მხოლოდ ჩემნაირი უცნაურთვალება გოგო თუ მოიფიქრებს.
– ვინ უნდა ააფეთქო?
– ორიოდე სენატორი. შეიძლება რამდენიმე უდანაშაულო ადამიანიც, მაგრამ სანერვიულო არაფერია. ფრანგებს ისედაც ყველა არაბი ტერორისტი ჰგონიათ.
– პოლიტიკას სხვებმა მიხედონ. შენ შვილებს უნდა ზრდიდე.
– მაგრამ ხვალ შეიძლება ჩემი შვილიც მოკლან.
– და გადაწყვიტე დაასწრო?
გალერეისკენ ვიხედები. „იმპრესიონისტებში“ პირველი დამთვალიერებლები უკვე გამოჩდნენ.
– შენ არ გესმის. ალბათ ვერასდროს მიხვდები. ზეცაში ჰურია ვიქნები და სამოთხეში სამოცდაათ ახლობელს წავიყვან.
თვალს თვალში მიყრის. დიდხანს, თითქმის თანაგრძნობით მიცქერის.
– რატომ ლაპარაკობ ასეთ რაღაცეებს. სიცოცხლე უკვე მოგბეზრდა? – ჩუმად, რბილად მეკითხება.
– არა. რას ამბობ. ძალიან მიყვარს. სწორედ ამიტომ მეჩქარება.

ერთმანეთს მონუსხულებივით შევცქერით. საიდან გამოჩნდა ეს ბიჭი. მაინცდამაინც ახლა, როცა სიკვდილამდე ოციოდე წუთიღა მრჩება. მეც რატომ მოვუშვი ასე ახლოს, რატომ ვეუბნები იმას, რაც არასდროს არავისთვის მითქვამს. თან როგორ მიყურებს...
– ამ საქმეში როგორ გიხდიან? – ცდილობს გაიღიმოს.
– ძალიან კარგად. მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი ვიქნებოდი, თუმცა, ფული აღარაფერში დამჭირდება. იმ თანხას ჩემს ოჯახს გაუგზავნიდნენ, მაგრამ მე გადავწყვიტე ობოლ პალესტინელ ბავშვებს გადავურიცხო.
– და როგორია ის... სიკვდილი?
– ვფიქრობ, ძალიან მაგარი იქნება. უკვე ვგრძნობ. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ.
ტამირი სერიოზულდება. სიგარეტს მინის სქელ, გამჭვირვალე საფერფლეში ასრესს და ჩემსკენ იხრება. მის სუნთქვასა და სიცოცხლეს ვგრძნობ.
ვიბნევი და თვალს ვარიდებ...

16 საათი და 25 წუთი.

ნუთუ, შეიძლება რამდენიმე წუთში შეგიყვარდეს? ახლა ალბათ ყველაფერი შეიძლება. ეს ილუზიაა. სიცოცხლის მაცდური ილუზია, რომელიც თავგზას მირევს, არსებობის მათრობელა, წარმავალ ბადეში მახვევს და ახალ, გამოუცნობ სივრცეებს მიხსნის...
– საბედისწერო ქალს გავხარ, – მეუბნება ტამირი – რა კარგია, აქ, „ლა კამპოსში“ რომ შემოვედი და შენ შეგხვდი. მსგავსი რამ არასდროს არავისთან განმიცდია. – ეს სიგიჟეა. მაპატიე, უნდა წავიდე, – დროა, წერტილი დავუსვა სიცოცხლესთან სახიფათო თამაშს.
– არ წახვიდე, გემუდარები, – ხელზე ხელს მიჭერს ტამირი, – ახლა რომ წახვიდე, ასე მგონია ვეღარასოდეს გნახავ. სულ რამდენიმე წუთი... მას ხომ არ ესმის, რომ რამდენიმე წუთი მთელი ცხოვრებაა, მთელი დარჩენილი ცხოვრება... რომ შეყოვნების უფლება არ მაქვს, არც ფიქრი და სიყვარული შემიძლია, რადგან ფიქრი შიშია, გრძნობა – სისუსტე.
– მართლა ძალიან მეჩქარება. ახლა წავალ და... ხვალ შეგხვდები. თვალები უბრწყინდება. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენს სურვილებს ვიჯერებთ.
– ისევ აქ, ისევ ამ დროს, – მგონი ხმაც უკანკალებს. მისი გულუბრყვილობა და ბავშვური მალემრწმენობა მხიბლავს. გული მეწურება. სისულელეა, გაუგონარი და წარმოუდგენელი სისულელე, მაგრამ მართლა მიყვარს.
– ჰო, ისევ აქ, ისევ ამ დროს, – ვჩურჩულებ და თვალებს ვმალავ. წამწამები მინესტიანდება. რაში მჭირდებოდა ახლა ეს უსარგებლო სენტიმენტები... ისევ მის ცხელ სუნთქვას ვგრძნობ. ტუჩებზე ტუჩებით მეხება... ქუჩის ხმაური, შიშინი, გუგუნი სადღაც შორეთში იკარგება. თეთრ, დამბანგველ, ხელშეუხებელ ნისლში ვეხვევი... ვიძირები...

16 საათი და 43 წუთი.

ერთმანეთს „იმპრესიონისტების“ შესასვლელთან ვშორდებით. არ მინდა გალერეაში შესული დამინახოს, ამიტომ ჯერ ტამირი მიდის. ჯიბეებში ხელჩაწყობილი მიუყვება

გრძელ, ფერად ქუჩას. ღრუბლებიდან მზე შუქდაშუქ, ფრაგმენტულად იჭრება. შენობები ხელისგულზე დადებული კვერცხებივით იფრცქვნებიან. მეჩვენება, რომ ქუჩა უსასრულოდ გრძელდება და ცას უერთდება...
გალერეის ცენტრალურ დარბაზში შევდივარ. ქურთუკის სახელოებში შემალულ სადენებს ხელისგულებში ვიქცევ. დარბაზი ხალხითაა სავსე. ფორმიანებიც მრავლად ირევიან. ინტუიცია უკიდურესად მიმახვილდება, შეგრძნებები საოცრად მიმძაფრდება, გონება გამალებით მუშაობს – ზუსტად ვიცი როგორ მოვიქცე, საით წავიდე, რა ვთქვა და რანაირად გავიღიმო, ისე, რომ ოდნავი ეჭვიც არავის აღვუძრა.
მშვიდად მივაბიჯებ და კედლებზე გამოფენილ ნეოიმპრესიონისტულ მხატვრობას ვათვალიერებ. ბრაკი, პიკასო, ლეჟე... – კუბებად და სამკუთხედებად დაყოფილი პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები. ძალიან ლამაზი ფერწერაა, ცოტა აგრესიული, ცოტა შეშლილი, ცოტა გაურკვეველი. რეალობისა და აბსტრაქციის, ჰარმონიისა და დისჰარმონიის, წესრიგისა და ქაოსის საზღვარზე შემნილი ტილოები თვალს მჭრიან და მჯერა, მათი ავტორები იმასვე განიცდიდნენ, რასაც ახლა მე განვიცდი. სენატორებიც მობრძანდნენ... რეპორტიორებისა და ხელოვნებათმცოდნეების სიმრავლეა. ადამიანებს არ ვუყურებ. თითქოს, მათი სხეულებიც და სახეებიც უმარტივეს გეომეტრიულ ფიგურებად იჭრება.... ძალიან კაშკაშა ფერებია... მეტისმეტი ხმაური... ვიძაბები და მუშტებში სადენები იოფლება... თითებში სიკვდილი მითრთის...

16 საათი და 55 წუთი.

თავში აზრები ირევა, თვალებში – დელონეს „წრიული ფორმები“...
ზუსტად ხუთ წუთში ყველაფერი დასრულდება. ტყუილია, რომ ამბობენ, განვლილმა ცხოვრებამ თვალწინ ჩამირბინაო. არავითარი ჩარბენა – ჩამორბენა არ ყოფილა. მხოლოდ „ლა კამპოსში“ მომლოდინე ტამირი, მწვანე ბაღები და რატომღაც, ზღვის ქვიშიანი ნაპირი წარმოვიდგინე, და ისიც წამით. მერე ყველაფერი გალერეის ხმაურიან სივრცეში აითქვიფა. ერთ–ერთი სენატორის გვერდით ჩემი კარგა ხნის წინ გარდაცვლილი მამა დავლანდე. ძველი, გაცრეცილი ხალათი აცვია და ხელში ჩაის ჭიქა უჭირავს. ჩამუქებული თვალებით მიშტერებია პიკაბიას მონუმენტურ, მონოქრონულ პანოს. ჩემსკენ არც გამოუხედავს. სამაგიეროდ, ორი თვის წინათ თვითმფრინავში აფეთქებული ბაიატი მომიახლოვდა. წელზე შაჰიდის ქამარი შეისწორა და გამიღიმა. „დამხმარეები არ მჭირდება,“– ჩავჩურჩულე და მივხვდი, უკვე სიკვდილისწინა ტრანსში ვიმყოფები.
ექსპოზიციის კუთხეში ვიოლინოები აჟღერდნენ. არა, ეს ჩემი გაცხოველებული ფანტაზიის ნაყოფი არ არის. მართლა უკრავენ. გამოფენა იხსნება. ფოტოაპარატები ჩხაკუნობენ და ერთმანეთში მოსაუბრე საზოგადოების ზუზუნს სასიამოვნო მუსიკა ენაცვლება. საოცრად გამიმართლა. იმქვეყნად დებიუსის მუსიკა და პიკასოს ფერწერა მაცილებს, საუკეთესო, რაც კი შეიძლება საცოდავმა ადამიანმა შექმნას.
სენატორებს ვუახლოვდები. აშკარაა, დიდი მსხვერპლი იქნება. დროა! სადენებს ვიმარჯვებ და... სისხლი ძარღვებში მეყინება. დარბაზის შემოსასვლელში ტამირი დგას და პირდაპირ მე მიყურებს!..

16 საათი და 59 წუთი.

დრო არ უნდა დამეკარგა, მაგრამ იმდენად გავვოგნდი, მოძრაობის უნარიც კი წამერთვა... ტამირს სახეზე გალერეის უზარმაზარი სარკმლებიდან შემოჭრილი მზის ათინათი დათამაშებს, გაღიმებული ჩემსკენ მოიწევს და ალაჰისკენ მიმავალ გზაზე მეღობება. ცოტაც და მასაც იმქვეყნად გავისტუმრებ. როგორ შევაჩერო?! როგორ? როგორ?..

ხილული სამყარო კუბისტურ ტილოებზე დატანილი კომპოზიციებივით იშლება და ჩემს თვალწინ მიცურავს. თვალებს ვხუჭავ. არა, უკვე ყველაფერი გვიანია... გადაწყვეტილება მიღებულია. განაჩენი გამოტანილი! მაპატიე, ტამირ... მე არ მინდოდა. ასე შენ თავად ისურვე. მიყვარხარ, ტამირ! ხედავ?.. ერთიანად ვკანკალებ, გული გიჟურად მიცემს და ჩემი სუსტი, გალურჯებული თითებიც დასასრულისკენ მიიღტვიან...

ხელისგულებში ჩაზრდილი სადენები სისხლძარღვებივით ფართოვდება... მანძილი ორ საბედისწერო ბოლოს – ჩემსა და სიკვდილს, ჩემსა და სიყვარულს შორის უფრო და უფრო მცირდება... ხელები, სხეულები, სულები ერთმანეთს უერთდება და სასიკვდილო წრედი იკვრება!

ხომ გითხარი, რომ ფიდაი ვარ...

მაკა ლდოკონენი

აქა ცხოვრობს ლალოი

აქ ფარდაგი გამიშალე, ლალო – საიქიოს ხალიჩაზე განებივრებ! აქ მაკოცე, დალალოვ, იქ ჩაგიხუტებ ჩამიჩსა! აქ მომიალერსე მარტოსულს, იქ გიქვეშევრდომებ ერთგულად, აქ სიყვარული მაჩუქე და იქააა... იქა, ლალოვ, მე ვიცი იქა!

ჰპირდება წაღმართი თუ თვალთმაქცი, აშურშურე თუ დოდინ–დოდინა, ხმელი თუ ბრგე, ნედლი თუ გამოზრდილი, მეოცნებე თუ გონებადინჯი, ხელმოცარული თუ წარმატებული, ვნებიანი უფხო თუ შეულახავი მუშაკი. ჰპირდება! ჰპირდება და უფრო გულდამშვიდებული ტოვებს – აბა, სახსოვარივით ხომ არ დაურჩება?

სახსოვარი არ უყვარს ლალოსდარს!

ფოჩებიან ფარდას საჩვენებელი თითით მოაშორებს ფანჯრის კუთხეს – უცქერს, სანამ თვალს არ მოეფარება გასტუმრებული. მერე დგას დიდხანს და შესცქერის არაფერს – აბა, რაღა ქნას? აბდალს უთხრეს: „თოვლი მოდისო,“ იმან კიდევ: „აკი, ვდგავარ და ვძაგძაგებო!“ ჰო და ლალოც დგას. დგას და ცრის ტანში – ეგრე სჩვევია, გააკანკალებს ხოლმე.

ვინ იცის, მაგ კანკალი სიამოვნების ჟრუანტელს ნიშნავს თუ ამგვარი ხერხით ცოტა ხნის წინ მოსმენილ საალერსო სიტყვებს ივიწყებს ლალო – თავს აჯერებს: რაის ხალიჩა, რა ჩახუტება, რაის ქვეშევრდომი, რა ერთგულება, რაის აქა–იქა დანაპირები?

მართალიც გახლავთ – ჰა და ჰა, ეზოდან გასვლის წინ სახლის კედელზე დაუწერონ: „აქა ცხოვრობს ლალოი,“ – ნახშირით თუ გუაშით, ცარცით თუ აკვარელით, საპკურით თუ მარკერით.

გაზაფხულზე კი შენობებს თუ გაღებავენ, ის წარწერაც გაქრება, მაგრამ ლალო გულს როდი დაიწყვეტს: მთელი დღე ქუჩაში დადგება, დააკვირდება, როგორ ააგებენ ხარაჩოს, გაღებავენ პარაპეტს, ჩუქურთმასა და თაღს. მუშები გუმანით მიხვდებიან, რომ შენობაზე დაწერილი სიტყვები: „აქა ცხოვრობს ლალოი“ ამ ქალის შესახებ დაუწერიათ და სულ ბოლოს გადაუსვამენ საღებავში ამოვლებულ ფუნჯსა თუ გორგოლაჭოვან საგორავს.

სახლი ხან ლალოს საყვარელ ფერად – მწვანედ იღებება, ხანაც ლალოს ოთახის კედლებივით ცისფრად; ხან ლალოს რუმიანასავით აგურისფერია, ან ლალოს კრებ–ჟორჟეტის პენუარივით ვარდისფერი. ყველა ფერზე ყაბულსაა ლალო, ყველა ფერი ხიბლავს და ეახლობლება. ამიტომაც არ ელევა ენაწყლიანი დამპირებელი თუ ხელმადლიანი სტუმარი, წასვლის წინ მისი სახლის კედელზე რომ მიაწერს გზააბნეულის დასაკვალიანებელ სიტყვებს და ზოგჯერ ისარგაყრილ გულსაც მიახატავს ზედმეტი აღელვებისგან!

როგორც კი ფანჯრის კუთხეს ფოჩებიან ფარდას ჩამოაფარებს, სარკეს ჩამოუჯდება ლალო: თვალს ჩაუკრავს, გაუშინაურდება, ათას წვრილმანს გაახსენებს და ამ მუსაიფში, თმას ხან შუაზე გაიყოფს, ხანაც უკან გადაყრის, წამწამებს აიპრეხს, ფერიმჭამელას ამოიგდებს, ტუჩებს დაბერავს და საცხის ფერს შეირჩევს. მაჯაში მოხრილ მტევანს ნიკაპს ჩამოაყრდნობს, ისე, რომ სარკეში ფრჩხილები გამოუჩნდეს, გამოცდილი თვალით შეაფასებს მანიკიურს და მერე ყვრიმალებზე რბილი ფუნჯით აგურისფერ რუმიანას გადაისვამს.

– განა ლალი ხა–არ, ლალო? აგურის ნატეხი ხა–არ. ლალის გვერდით ვინ დაგდოს, მარტო იმისთვინ რო–ო წითელი ხა–არ! – იტყვის მერე და დაიფშვნება სიცილით, აგურის ნატეხივით ამსუბუქდება, ბეჭზე ჩანთას გადაიკიდებს და წავა. წავა, აბა, ადგილზე დგომა რას არგებს ლალოსდარს! დადის დროის კვალში გავის რიტმული რხევით: პლატფორმით თუ ფრანცუზკებით, ტანგეტკით თუ ესპადრელით, საბოთი თუ სანდლებით, ფლოსტით თუ ლოდკით.
ხან ბაზარზეა, ხან სკვერში, ხან ხიდიდან დაუქნევს ხელს მეთევზეებს, მათი ნადავლით აღტაცებული, ხანაც გაჩერებაზე შეყოვნდება – ყველა მგზავრის დამლოცველ–დამხვდურიაო, თითქოს. ვიტრინებთან ზოზინით ჩაივლის და გამვლელ–გამომვლელის გამოხედვას შეაფასებს. ხარბი თუ ავი თვალი არ აკლია – გააყოლებენ და ზედვე დააყოლებენ:
– ამაზე ისწავლა ჩვენმა უბანმაო! – და ეს სიტყვები, „აქა ცხოვრობს ლალოის“ მსგავსად, გულს უხარებს, სიამაყით ავსებს ლალოს.
– მოვდივარ და სტავლა მომაქვს, – იტყვის და იფშვნება სიცილით, – საყვედურის ღირსი ვა–არ? გასწავლეთ, ჰო–არ წაგართვით? ჩემთვინ ვისურვე, მივითვისე თუ მოვაბრუნე გასტუმრებული?
დაფასებაც თავისებური აქვს ლალოს: პირველი ამბები გარდატეხის ასაკში, ბიჭისაა თუ გოგოსი, ლალოსთან განიხილავენ: ხან ტელეფონით იხმობენ, ხან ფანჯრიდან ანიშნებენ, გადმოდიო. ვის დაზარდება – განა ასე იოლად იპატიჟებდნენ უწინ ოჯახებში?
დაჰყვა ლალო ადამიანის კეთილგანწყობას.
წყენის ადგილი სად აქვს გულში ლალოსდარს!
საღამოობით თუ მოცლილია და ვასილიჩთანაც მიესვლება. მისაღებ ოთახში შევა თუ არა, ქალბატონი ლემონას გადიდებული სურათისკენ გააპარებს თვალს, გულში მიესალმება და ყოველ ჯერზე გაიხსენებს, როგორი ამაყი იყო ვასილიჩის ცოლი, არაფრად აგდებდა და სალამის ღირსად არ თვლიდა ლალოსდარებს.
– მოდი ლალო, მიამბე შენებურები, საშველიანები, – აღიღინდება ვასილიჩი და ლალოც ჩამოუჯდება, სარკესთან მუსაიფში მიღებულ გამოცდილებას ოსტატურად მოირგებს მიხვრა–მოხვრაში, ვერ მოიშლის კეკლუცობას – ლემონას ხსოვნის ხათრითაც კი. ვასილიჩიც ყაბულსაა ლალოსთან დიალოგებზე – მეტი რაღა შეუძლია – ალალად მოყოლილი უბნის ამბების მოსმენა, ლალოსთან მეგობრობა:
– გაფიცებ, მაგ შენს აგურისფერ კამეას, რა გინდოდა გუშინწინღამ იმ სახელოვან ოჯახში, ლალო? რა გაჭირვება ადგათ და რა გაუხერხე, რომ გადაგყვნენ დღეს და აგავსეს პადარკებით?!
– ვაი–მე–ე! მახსენდება და ახლაც ვიფშვნები სიცილით, ვასილიჩ.
– ასეთი რა დაგახვედრეს, შენ რომ გაგაკვირვა და უნახავი გაგხადა?!
–გამაკვირვა სწორედ–რომ.
– მეგონა, კაი დარჩი რეცხვაში, ლალო და მაწბილებ!
– იცინი, ვასილიჩ, მარა, მოგიყვები და, ა, ნახე: დამირეკეს შვაღამეზე და . . შევედი თუ არა, ერკერში გამიყვანეს. ვხედავ, სკამზე დაუყენებიათ თავიანთი ბოვში, ხუთი წლის ვაჩუნა. ბაბუაჩემი რომ იცვამდა ოციან წლებში ისეთ ნიფხავშია გამოწყობილი და აპარპალებს ცრემლიან თვალებს. მოვეფერები–თქვა, დამეთუთქა რატომღაც გული, მაგრამ მაგდენი ვეღარ გავბედე და დავდექი. დავდექი და ვა–არ. აბა, აჩვენე ლალო

ბებოსო, – დედამისმა და უფრო აემღვრა თვალები ბოვშს, ჩააფრინდა თავისი ნიფხვს პაწია ხელებით. მე კიდო, ქე–რო ვიცი, ისე გამცრა ტანში. ახლა მამამისი მეუბნება, ქალბატონო ლალოო... ქალბატონოო და ლამისაა დევიფშვნა სიცილით, მარა ვკბენ ლოყებს შიგნიდან, ვდგავარ ისევლე და მახსენდება მაგის ათი წლისწინანდელი ცქვიტობა. მიუახლოვდა უცებ ვაჩუნას, ჩახადა ნიფხავი და რას ვხედა–ავ, ვასილიჩ, ისე ა–აქვს გაპრიკინებული, მამამისს კი არა და, ცხონებულ ბაბუამისს არ ღირსებია ეგეთი მისდროზე. საღამოს ეწყება და არ აძინებსო, შემომჩივლა დედამისმა. შემიქანდა გული. მოკლედ, რა მეთქვა, აღარ ვიცოდი და ნაცხი აუღეთ–თქვა. ა? რაფერი ნათქმია, მარა, რაც მომადგა ენაზე, ე–ეგ იყო! სიდანო? ჩამეკითხენ. უკანა ტანიდან–თქვა, ვუპასუხე და, ვასილი–იჩ, ლალო არ ვიყვე, თუ მახსოვდეს, რაფერ გამოვედი მაგათგან და რაფერ აღმოვჩნდი ჩემსა. დავჯექი ჩემი ხატების კუთხესთან, დავუნთე ვაჩუნას სანთელი, გამოვისახე პირჯვარი და შევთხოვე ჩემი მხარის სალოცავებს: მოწამეთას და ცხრა ჯვარს, უშველე–თქვა ბოვშვს – დედის ლოცვა ჰო არ წამიკითხავს არასდროს, ან ვისთვის უნდა წამეკითხა, ა–იმ ღამეს გადავშალე ვაჩაჩუნასთვის – რაც მე გულით განვიცადე, ვასილიჩ, იმის გასაჭირი.

– ეშველება, ლალო, რამე? რა უნდა იყოს ნეტავ?

– ეშველებაო!.. ეშველა და ეგაა! ენდვენ ჩემს სიტყვას, წაუღიათ ნაცხი ბაქტერიოფაგში, დაუთესიათ იქ და აღმოაჩნდა რაღაც ჭია, გლისტი, გამოუძვრებოდა ღამე და უღიზიანებდა იმას. გამოუწერეს წამალი ახლა და დაიძინა რავარც იქნა, დაშოშმინდა ბოვში. გადმოვიდნენ მერე წუხელ და რა ბამბანერკები და რა შიკოლადები, რა ხილი, ანანასი და გრეიფრუტი, მანგოს წვენები მომართვეს, უჰ, რა აღარ – შენ რომ იცოდი, ვასილიჩ, კომუნისტების დროს ჩემთვინ საახალწლო პაიოკები, ის გამახსენდა. მადლობა ცხრა ჯვარის

მადლსა და ...

– მერე, ლალო!

– რაღა მერე, ვასილიჩ, მადლობა ღმერთ...

– რაღა მერეო–ო? ჭიის სახელი, გოგო?

– რა სახელი, ვასილიჩ?

– ჭი–ის! ჭიის ლათინური სახელი არ ჩაიწერე?

– ლათინური–ი? რაში მჭირდებოდა მაგ სახელი ...

– რაში–ი? არ გჭირდებოდა–ა? ცოტა ვართ გაჭირვებულები ქვეყანაზე, ასე დიალოგებზე სასიარულოდ რომ შემოგრჩით, ლალო?

– მაგი აღარ მიფიქრია, ხო იცი...

– ლალო, ლალო, მაგას არ მოველოდი შენგან. გრცხვენოდეს, გოგო!

– ...ხვალ... ხვალ ფოტო–ატელიეში მივალთ გოგოები, ვასილიჩ, არ მცალია და ზეგ კი გავივლი ბაქტერიოფაგში... ჩავიწერ. სიდოური სახელიო, რა მითხარი, ვასილიჩ?

– ლა–თი–ნუ–რი, ლალო, ლათინური სახელწოდება...

– ჰო–ო! . . ლათინურს ჩავიწერ! აბა, იმ ოჯახს ვერ მივადგები და ვთხოვ, რა ერქვა ჭიას–თქვა, უხერხულია მაინც, ამხელა პატივი მცეს უკვე და ...

– ფოტო ატელიეში რაღა გინდათ?

– პეტრეა ერთი ჩვენი ძველი ნაცნობი ფოტოგრაფი. მაისის ბოლო შაფათს ვარდებს ვყიდულობთ მე, ინეზა და სარა, ვესტუმრებით ხოლმე და ვიღებთ სურათებს. პატივს

გვცემდა თავის დროზე მაგ კაცი, სულ ჩვენი ფოტოები ჰქონდა გამოფენილი ვიტრინებში. აღარ აქვს მუშაობა ახლა ისეთი და ...
– გასაგებია, ჩემო ლალო, გასაგები. საპასუხისმგებლო დღე გქონიათ გოგოებს, დაუბრმავებთ ხვალ პეტროს თვალს!
– ეჰ, დავბერდით, თორემ, თავის დროზე კი.
– რატომ, რატომ! რო დაიბანოთ სამივემ მარწყვის საპნით რა გიჭირთ! მარწყვის საპნითო და იფშვნება ლალო სიცილით. წასასვლელად ემზადება, ფანჯარას უახლოვდება, ეზოს გადახედავს – ერთი სართულით მაღლა ცხოვრობს ვასილიჩი, მაგრამ მაინც სხვა–ფრად მოჩანს იქაურობა, ლალოს ფანჯარაც მოჩანს, ფოჩიანი ფარდებით. დადგება ცოტა ხანს, გაცრის ტანში, სიამოვნების ჟრუანტელი დაუვლის თუ ასეთი საშუალებით თავის ფარდისმიღმა ამბებს ივიწყებს – არავინ იცის, მაგრამ მალე კი გამხიარულდება, ქალბატონ ლემონას სურათს დაემშვიდობება ირიბი მზერით, ვასილიჩს – ჭიის ლათინურ სახელწოდებას გავიგებო, კიდევ ერთხელ დაპირდება დამაჯეროლობისთვის, ძილი ნებისაო, იტყვის და კიბეზე რამდენიმე საფეხურს რომ ჩაივლის, ისევ დაიფშვნება სიცილით – მარწყვის საპნის გახსენებაზე.
სანამ მაისის ბოლო შაბათი გათენდება, რამდენიმე საათს გაატარებს სარკესთან მუსაიფში ლალო. აბადოკით გადაისწორებს და შუბლიდან მოიშორებს თმას, ტონიკში დასველებული ბამბით გაიწმენდს ლოყებს, კისერს და ყელს, კიტრის მასკას დაიდებს სახეზე, ფრჩხილებს ფორმას გამოუსწორებს ქლიბით, სამკაულს გაამზადებს: აგურისფერ კამეას და სერდოლიტის საყურეებს ჰო–უსათუოდ, ბეჭდებს ზოგს შუა თითზე მოირგებს, ზოგსაც საჩვენებელზე და ისევ შეინახავს, დილისთვის გადადებს არჩევანს.
გამოეწყობა მერე ვარდისფერ პენუარში, ზემოდან წამოწვება ლოგინზე – მაშინვე არ უყვარს ჩაწოლა. ერთ ხელს ლოყის ქვეშ ამოიდებს, მეორეთი საღამურს მოისწორებს თეძოზე და მიაშტერდება პეტრეს გადაღებული სურათებით აჭრელებულ კედელს.
ზოგან შავ–თეთრი მოგონება ხვდება – ზოგან ფერადი: აგერ შიფონის ქვედა ბოლო აცვია, ამ დროს სატინის კაბები იყო მოდაში, ხან ლიპებშია, ხანაც უზარმაზარი ლაცკანები უმშვენებს ჯიბეებს, ბიაზს ჯინსი ცვლის, ჩესუჩას – ორგანზა, კაპრონის სტრელკიან ჩულქს – ბადისებრი კოლგოტები, დრო თან დაატარებს ლალოს. ძალიანაც რომ მოისურვოს, არ მოეშვება, ან სად დაიმალება, როცა ყველამ იცის, რომ „აქა ცხოვრობს ლალოი!“ – შენ არ მოკვდი, ვასილიჩ, რავა გამასულელე და ამაგდე ამ ხნის ქალი?
– აარ გინდააა უკვდავყოოო შენი სახელიიი, ლააა–ლოოო?
– ვიცი, კაი–რო გინდა ჩემთვინ, კარგი რომ დავრჩე რეცხვაში, მარა, ჰო გაგიგონია, აგურს რეცხდნენ და უარესი წვენი გასდიოდაო, ასთე ვარ მეც, – და იფშვნება სიცილით ლალო, სიზმარშიც ისევე, როგორც ცხადში, საბანს იფარებს შემცივნებულ სხეულზე და ერთი წუთითაც არ წარმოიდგენს იმ დღეს, შენობას რომ გადაღებავენ და აღარავინ დაწერს „აქა ცხოვრობს ლალოი!“
უმედობა არ სჩვევია ლალოსდარს!

ალეკო ცქიტიშვილი

ჩემი თავი

ამ ქალაქში თავიდანვე არ უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ რაკიღა აქ ვართ, ვცდილობ, აღარ ვიწუწუნოთ. მით უმეტეს, სოფელი რომ ამერჩია საცხოვრებლად, იქ მართლაც საწუწუნოდ გვექნებოდა საქმე – წარმოიდგინე, კედელზე ლურსმანს ვერ ვაჭედებ და ხარს როგორღა დავჭედავთ?!

აი, ჩემი უფროსი ძმა ნამდვილი სოფლის კაცია. დილით ადრე ადგომა, ძროხის მოწველა, ნაკელის ბოსტანში გატანა, ტყეში თუ სათიბში წასვლა და სოფლის სხვა ყოველდღიური რუტინული საქმეები ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებს. მე კი ასეთი დაუღლელი შემართებით ჰა–ჰა შეშა დავჩეხო, სხვა ყველაფერი იქ მხოლოდ ერთი დღით არის კარგი, როცა ქალაქიდან ჩასული კაცის ტვინი სოფლის ჰაერში ლივლივებს და ფიზიკური შრომა ზედ მალამოდ ედება. ვგრძნობ, ჩემს ტვინს ვერა აქვს კარგად საქმე. ასე მგონია, ამ უზარმაზარი ქალაქის მთელი გამონაბოლქვი მისმა ხვეულებმა შეისრუტა და ახლა ისღა დამრჩენია, დამძიმებული თავით ვიარო, ტვინით სხვისი ნაგავი ვზიდო. შენ ნუ შეშინდები. კიბო კი არ მაქვს. უბრალოდ, თავი ვერ გადამირჩენია – 21–ე საუკუნის ჩემი ჭკვიანი თავი.

თითქოს ცალ–ცალკე ვარსებობთ. ახლაც კომპიუტერში ვართ შემძვრალი და ქათმებივით ვიქექებით. ეს ჩვენი საყვარელი საქმიანობაა, რასაც ისეთივე ნეტარება მოაქვს, როგორც ნაცრის ქექვას ბუხართან. გაზეთებიც კი აღარ გვიზიდავს ისე, როგორც კომპიუტერი. ბუნებრივიცაა. ამ გაზეთებმა სულ დაკარგეს იუმორის გრძნობა. წელს ყველგან ე. წ. მეამბოხე პროფესორების ინტერვიუებია, ყველგან ერთი და იგივე – ინგრევა, ანგრევენ, დაანგრიეს... ჩემი თავი მიმტკიცებს, რომ ეს პატივსაცემი მეამბოხე პროფესორები ყვავილებივით არიან – ყოველდღიურად სჭირდებათ მორწყვა, რომ ფესვთა სისტემა წესრიგში ჰქონდეთ. გაზეთებსაც, ეტყობა, სხვა საქმე არა აქვთ. არ ვიცი. მართლა არ ვიცი. ჩემო ძვირფასო თავო, თუკი ბედი გვიწერია და ამ მილიარდი ინფორმაციის მიღმა სამყარო გადარჩა, ჩვენ რაღა გვეთქმის, კალამი უნდა დავდოთ და გზა ამ მოხუცებს დავუთმოთ. ელემენტარულად, ზრდილობის საკითხია.

არა, ისე კი ნუ გაიგებ, თითქოს აქ ვიმარხები. სამარე შორსაა, როგორც წარსული. თუმცა, ვინ იცის, საიდან გვესმის წარსულის სუნთქვა? იქნებ აქვე კარის ზღურბლთან დგას? სახელურს ჩამოსწევ, გადააბიჯებ და ჰოპლა, ჩვენ მოვკვდით! ამიტომ ვინახავ ელექტრონული ფოსტის ყველა წერილს. როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, მინდა, წერილი წავიღო, უფრო სწორად – წერილები. ამ ამბავს დიდი ნეტარებით წარმოვიდგენ. სულ ერთია, იქ როგორ მივალ, ამოღებულის ხანჯრით, თუ გაზეთ „ასავალ–დასავალით“ ხელში.

აი, მაგალითად, ერთ–ერთი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული: *„ღამის ოთხი საათი ხდება. არაფრით არ მეძინება, ვერ ვახერხებ... ავდექი საწოლიდან და ოთახში ვიბორიალე. მაინც არ მომერია ძილი. მერე კომპიუტერი ჩავრთე. ნამდვილად არ ვიცი, რის მოწერას ვაპირებ. ამ საღამოს რამდენი ვიარე, როგორ დავიქანცე, წესით მკვდარივით უნდა ჩამძინებოდა. არა, მართლა უცნაურია... ჰოდა, სანამ ასე ვწრიალებდი საწოლში და ვერ ვიძინებდი, რაღაც კითხვები მომაფიქრდა. შენთვის მართლა იმდენი სისულელე მომიწერია და მიკითხავს, ეს კითხვები ნამდვილად აღარ გაგიკვირდება. თან უკვე იცი, რომ საშინლად ცნობისმოყვარე ვარ. საშინლად. ამას ვერც აღზრდამ უშველა, ვერც ვერაფერმა...*

შენთან ოთახში ტარაკნები ცხოვრობენ?

ჩემთან ერთი ცხოვრობს და ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს. რამე რომ დაემართოს, გავგიჟდები. შემოსასვლელის კედელზეა ხოლმე განაბული. დღისით საერთოდ არ ჩანს. ძირითადად ღამით ვხედავ. მგონი, მოხუცდა. ეგენი ხომ მალე ბერდებიან. განძრევა ეზარება. ალბათ გრძნობს, რომ მაინც არაფერს დავუშავებ. რას ამბობ?.. ოჯახის წევრია!

გამახსენდა, რა უნდა მეკითხა: პირველად გოგოს რომ აკოცე, რამდენი წლის იყავი?“

წლები ისე ბუნებრივად გადის, გგონია, ფრინველები გაფრინდნენ თბილ ქვეყნებში, ხოლო ჩვენი მშვენიერი წამები აქვე მეორე ოთახში დაბინავდნენ. ამიტომ სულ მოლოდინში ვართ, თითქოს სადაცაა კარი უნდა გაიღოს და ყველაფერი ზუსტად ისე განმეორდეს, როგორც ოდესღაც იყო. კარგა ხანია, მეშვიდე სართულზე ვცხოვრობ და სულ მიკვირს, ერთი და იგივე მერცხლების ოჯახი როგორ ახერხებს წელიწადში ერთხელ სწორედ ამ კორპუსის მეშვიდე სართულზე დაუბრუნებას. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ათასობით კილომეტრის გადაფრენა–გადმოფრენა მშობლიურ ბუდეთა ასეთი მძაფრი ხსოვნით. ნეტავ იქ, რომელიღაც თბილ ქვეყანაში თუ არსებობს ასეთივე მეშვიდე სართული, სადაც ასეთივე მე ვცხოვრობ 21–ე საუკუნის ოხერი თავით? რა თქმა უნდა, არა. აჯობებდა, ფრთები გვქონოდა, მერცხლებივით ორ წარსულს შევქმნიდით ღმერთისგან ბოძებულ ერთ სიცოცხლეში.

ჩემი თავი ცდილობს გიპასუხოს, რომ პირველი კოცნა ჯერ სურვილია და მერე ფაქტი, ამიტომაც ყველა პირველი კოცნა ჩვენი სიზმრების საკუთრებაა. ამ მხრივ, მეც არა ვარ გამორჩეული, მაგრამ აღარ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი, როცა ეს სიზმარი დამატყდა თავს. გამოდის, კოცნათა რიგში პირველი არც თუ ისე ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა. თუმცა, ეს ალბათ გემოვნების საკითხია და არა ზრდილობის. ჩემი თავი კი მიმტკიცებს, რომ ყველა სიტყვა საბედისწეროა, მაგრამ მე ბედისწერას ჩემს გარეთ ვერ ვგრძნობ. ამიტომ ვინახავ ელექტრონული ფოსტის ყველა წერილს. მახსოვს, ერთ–ერთმა როგორ შეგაშფოთა და მთხოვდი, უფრო მსუბუქად და იოლად შემეხედა ყველაფრისათვის. გეთანხმები, *ხანდახან ყველაფერი შავ–თეთრ ფერებში მოჩანს, ჰაერი კი ისეთი მძიმეა, თითქოს მის წონასაც გრძნობ, მაგრამ მაინც ვაგრძელებთ სუნთქვას და საკუთარი ცხოვრების ფილმისთვის თვალის მიდევნებას. ამას ხომ ერთგვარი ინტერესიც ახლავს:*

„ახლა რა მოხდება?“ კარგი ამბები კი თვით ბრაზილიურ და არგენტინულ სერიალებშიც ხდება. და მაინც, როგორია ჩემი ცხოვრების ფილმი? ყველაზე სარწმუნო წყაროს – სიზმრებს თუ დავუჯერებ, შავ–თეთრი უნდა იყოს. თუმცა, დროდადრო, როცა ჩემი თავი მღელვარებს, ცეცხლისფერიც გამოერევა ხოლმე. რამდენიმე წელია, ამაოდ ველოდები ფერად სიზმარს. მინდა, მწვანე მინდორი ვნახო, ლურჯი ტბა, ვარდისფერი ფლამინგოები... ყველაფერი მაინც ხაზგასმულად შავ–თეთრია. ერთადერთი ფერი, რასაც ჩემი სიზმრები მთავაზობენ, ცეცხლისფერია, იდუმალი კატასტროფის მაუწყებელი. გინახავს, დედამიწა როგორ ფეთქდება, ცა როგორ იწვის, თვალებში როგორ შედის ცეცხლი გაღვიძებამდე ერთი წამით ადრე? სწორედ ამას მანახებს ხოლმე ჩემი თავი, როცა მღელვარებს. რამდენიმე დღის წინ ჩემმა უფროსმა ძმამ გუთანში ხარები შეაბა და ვიდრე ხვნას შეუდგებოდა, სიგარეტს მოუკიდა. ნაწვიმარ მიწაზე კვალი ძნელად გადის. გუთანს ტალახი ეწებება, მძიმდება და ხარებსაც მალე ებერებათ ძარღვები. ჩემი ძმა წინ მიდის გაოფლილი, ერთი ხელით ხარებს ეწევა, მეორეთი – სიგარეტს (ეწევა). სიგარეტს უცნაურად დიდი კვამლი აქვს და რაც უფრო მეტად ვაცნობიერებ ამ უცნაურობას, მით უფრო იზრდება განგაშის განცდა. „გადააგდე!“ – ვეძახი. სიგარეტი ნახნავში ვარდება, მაგრამ კი არ ქრება, ალდება. ჩემი ძმის სილუეტი ყოვლისმომცველ კვამლში იფარება და ამ დროს ისმის აფეთქების ხმაც... ცეცხლმოდებული ხარები ცას ასკდებიან... მოხნული მიწა სიმწრისგან წივის... ცეცხლი აწყდება თვალებს...
მეღვიძება... ჩემი უფროსი ძმა?!..
დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო თავო!

თეა თოფურია

პიტნის კალო

ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო. ჩემი საქმეც ასეა, ვირივით. მე ვვიროობ და ამათ კიდევ პიტნა არ ელევათ, ლამისაა ძნები დადგან. აჰა, ამასწინათაც, ამოვიდა ერთი ჩემი მეზობელი და ჭა უნდა გავთხაროთო. რის ჭამე–მეთქი. აი, კორპუსის წინო. ჭა რად გვინდა–მეთქი, – თან ახალგაღვიძებული ვარ, ვდგავარ, თვალებს ვისრესს – წყალი ზედა სართულებზე არ ამოდის და აბა, რა ვქნათო. ვედრო და ბაწარი უკვე გვაქვსო. კინაღამ არ ვუთხარი, ბაწარი თუ გაქვს, ჭა და უფსკრული არა ხარ, მოიბი ბარებ კისერზე–მეთქი, მაგრამ ამისთანებს ხომ სიკვდილს ვერ უხსენებ, სწყინთ.

* * *

რას შვრება, ნეტავ, ის ბავშვი? ვერ მივაჩვიე ესენიც, რომ გაუარონ და მოიკითხონ მაინც. ერთ ქალაქში არ ცხოვრობენ?! ერთი დედ–მამის შვილები არ არიან. ამას წინათაც მითხრა მარინემ, გავუარე, ვუკაკუნე, ვუკაკუნე... ალბათ სახლში არ იყოო. რას გაუგებ მაგას?! ჯერ ბავშვობაში ვერ იტანდა ვერავის, წაიღებდა წიგნებს და საქათმეში სწავლობდა გაკვეთილებს. მაგის გადამკიდე ქათმები შუა ეზოში დებდნენ ხოლმე კვერცხებს. გამოდი–მეთქი, ვეტყოდი და გამოვიდოდა, განა არა, მაგრამ მეორე წუთას გავხედავდი და ახლა ხეზეა ამძვრალი, დაუკავებია პური და ყველი და ღოღნის. რად ვერ იტან, შვილო, ხალხს–მეთქი და აბა,ბრა ვიციო. არ უყვარდა და ასეთი დარჩა უკარება, სად დადიოდა, რას შვრებოდა, ვერაფერს გაიგებდი. მეზობლებს აღარც კი ახსოვდათ, დაბადებული თუ იყო სოფელ–ქვეყანაზე. ესაო, წითურაო, შენი არ არისო, უცებ გაახსენდებოდათ ხოლმე, ისე სხვათაშორის... ეგენი კი არა, მეც ლამის სულ დამავიწყდა, ამასწინაზე ისევ მარინემ მკითხა, რომ დაიბადა, რა დღე იყოო. ვერ გავიხსენე, მგონი თოვდა, მგონი კი ივლისი იდგა. არ მახსოვს, არა, მუცელი რომ ამტკივდა ისიც არ მახსოვს.

* * *

კიდევ კარგი, ბევრი და–ძმა მყავდა და მაგათში ადვილად ვიკარგებოდი ხოლმე, თორემ ამ ცხოვრებას რა აიტანდა. აგერ მეზობლები რომ ჭას თხრიან, ასეთი ჭა მეც მქონდა სოფელში, თხრიდნენ და სანამ წყლამდე ჩავიდოდნენ, შიგ ვიმალებოდი. ერთხელაც მომადგა ჩემი ძმა და ჩამომძახის, ეჰეეო, ჰეეეო... ბნელა და იმას ჰგონია, ჭას ჩასძახის. მეც ავდექი და გავეპასუხე, მომწყდი თავიდან–მეთქი. აღრიალებული გაიქცა, იძახის: დედა დედაა... ვიღაც ქალები მოუყვანეს მერე, გამოულოცეს.

* * *

რა სცხია ადამიანის?! შეგეშინდება ისე იცის უცხოობა. ბებიამისი რომ დავმარხეთ, განა ისეთი რა პატარა იყო, რომ ერთი არ უტირია. სხვები, რომ ღნაოდნენ, მაგას რა?!

მიწისძვრა რომ იყო კიდევ?! ვითომც აკვანში დაგირწევია, სულ არ გამოსულა გარეთ. ვსხედვართ ყველანი ეზოში ძაღლიან–კატიანად და უცებ მომაგონდა, მივავლ–მოვავლე თვალი და არ ჩანს არსად. შევვარდი სახლში, ვიფიქრე, აღარ დარჩა ალბათ ცოცხალი–მეთქი, არადა, არც ამდგარა თურმე ქვეშაგებიდან. გამოვარბებინე გარეთ პერანგისამარა, დაჯდა, არაფერი უთქვამს... ჩუმი იყო, ნეტავ გულში მაინც თუ ლაპარაკობსო, გაიფიქრებდი.

* * *

ცოლის შერთვა რომ დავუპირეთ მაშინაც განა თქვა რამე. იყო თავისთვის, არც კი, არც – არა. თან კი ვჭოჭმანობდი, რა ოჯახი ამას მოეკითხება, ხიდან ვერ ჩამოგვიყვანია–მეთქი. მეზობელ ნინიკას გოგოს ვგულობდი ვითომ, ერთი უბარლო იყო ისიც, შეუმჩნევი, არც აქებდა ვინმე, არც – აძაგებდა. ბავშვს ხომ გააჩენენ და მერე თუნდაც ორივეს ხეზე უთენ–უღამებით–მეთქი, მაგრამ რა... გავიხედე და აღარ არის. ორი წლის მერე ისე მოვიდა, თითქოს აქვე მაღაზიაში გადასულიყოს. განა მკვდარი მეგონა ან რამე ფარსაგი, ვიცოდი, რაც მყავდა, მაგრამ მაინც... მაწონს თბილად ვფუთავ და კარი შემოაღო. ამივარდა ტირილი, რად მიკეთებ, შვილო, ამისთანებს, დედა ვარ–მეთქი.

* * *

ორი წელი ხომ ვიხეტიალე, მერე ისევ მივედი სახლში. ჩემებს საქათმეში ვემალებოდი და ახლა კიდევ ნინიკასიო. განა არ მეტყობოდა, ამ ქვეყნის არ ვიყავი. ავლაგდებოდი ხოლმე შუაღამისას, მაღლა, სულ მაღლა იყვნენ ვარსკვლავები, ლივლივებდნენ ისე, ცა იღუნებოდა. მეც თითქოს ამ ცადაბრეცილზე დავდიოდი, ეს მერჩინა ადამიანებთან ბორიალს. ადამიანი მაშინ მახსენდება, ძალიან რომ მომშივდება ან ძალიან რომ შემცივდება ხოლმე, საჭმელს რომ მაძლევენ, ბუხართან რომ მსვამენ... ძაღლივით ვარ, წუნკალი ძაღლივით, პურის გულისთვის კუდს რომ აქიცინებს. დედაჩემმა კიდევ, რად მიკეთებ, შვილო, ამისთანებს, დედა ვარო. თან მაწონს ახვევდა, ჩემი ძმის ჯემპრში. გულში ვიფიქრე, ჩემს დედობას, მაწვნის დედა ყოფილიყავი არ გერჩივნა?! რძეს მაინც შეადედებდი–მეთქი.

* * *

ღამ–ღამე სიარული უყვარდა. მისი შიშით მოსაშარდად ვერავინ გამოსულიყო გარეთ. დაადებდა ხოლმე თავს და.....მოგვადგებოდა დილით საიდანღაცდან. დაწვებოდა მერე და დაიძინებდა ან ეზოში იჯდა გარეთ. არც რას ვეკითხებოდით, ყველას თავი გვქონდა მინებებული. კიდევ ჩავეძიებოდი, ადამიანები რად არ გიყვარს–მეთქი და არ გისწავლებიათო. განა რა სწავლა უნდა სიყვარულს, შენმა და–ძმებმა როგორ ისწავლეს–მეთქი და გაჩუმდებოდა ისევ. საცოდავი იყო, რაღაცნაირი, თავს ძლივს ეზიდებოდა.

* * *

ყურძენს დამიკრიფდა დედაჩემი და დამიდებდა გარეცხილს. ისეთი თვალებით მიყურებდა ხოლმე... შვიდი და–ძმიდან მარტო მე მიყურებდა ასეთი თვალებით. ჩავღუნავდი ხოლმე თავს, აბა რა მექნა, ექვსი ბავშვის გამონაცვალ საშოში რომ გამომზარდე, ექვსი ბავშვის შარდით აქოთებულ სახვევებში რომ გამომკარი–მეთქი, გულში ვფიქრობდი. საცოდავ დედაჩემს ჩემს მერე ბავშვის გაჩენა არც მოგონებია. რომ დაბერდა და დაპატარავდა, იტყოდა ხოლმე, მერვე ვარო. ჩემი უფროსი ძმა ტკილ ნამცხვრებს მოუტანდა და ჩუმად ჭამდა თავისთვის, შავებში ჩაცმული. შავსაც იმიტომ იცვამდა, რომ სხვებს ეცვათ მაგის ტოლებს. მზისგულზე შავით უკეთესად გამოვჩნდები, ჭრელი კუბოშიც მეყოფაო... სიბერეში დამემგვანა მე თავის ნაბოლარას.

* * *

ქალაქში ისე გაიკრიფნენ, თითქოს ყურძენი დაგიკრეფია. შვიდიდან ერთი არ დარჩა წყლის მომწოდებელი, არც დამლაპარაკებელი. საკუთარ თავს ვექაქანები ხოლმე, ბეხრეკოო, განა მარტო გაჩენაა, აკვანიც გულიანად უნდა გერწია, ქადაც გულიანი უნდა გეცხო, ახლა ერთი მაინც დაგირჩებოდა, გვერდით გეყოლებოდა, ან იქით დააყვედრებდი ან აქეთ დაგამადლებდა–მეთქი.

ვეშაირები ხოლმე ჩემს თავს და თან ველოდები, როდის ჩამოვლენ მორიგეობით, ხან უფროსი, ხან – შუას წინა. უმცროსის კი ამბავიც უნდა იზოგო. რაც წავიდა მას შემდეგ მზის დაბნელება ორჯერ ვნახე, ის კი ვერც ერთხელ. თავიდანვე ასეთი დაქანცული და მისავათებული გაჩნდა და რაც გაჩდა ის დარჩა. ჩემგან თუ გამოყვა და რა ვიზამ?! მეც რა ბრალში ვარ?! ღმერთმა მთელი სამყარო ისე შექმნა თითქოს არაფერი. ადამიანის შექმნამ კი უცებვე დაღალა. მე თუ მეშვიდე ადამიანზე დავიღალე, რაღა გასაკვირია?!

* * *

ამათ კიდევ, ჭა უნდა ვთხაროთო, ბაწარი გვაქვსო. ხოდა, ხომ უნდა მეთქვა, მოიბი კისერზე–მეთქი, მაგრამ ეს ვუთხარი, ჭას რად თხრით, დედას არ უყვარდით, დედა არ გიყვარდათ–მეთქი. დადგა და მომაშტერდა, გაწითლდა, გაპილპილდა. დაეშვა კიბეებზე და მერე მართლა არ მოაყენეს რაღაც ბულდოზერისმაგვარი. აარიხინეს და ვდგავარ, ვფიქრობ, განა მარტო გაჩენაა, და ძუძუს პირში ჩადება, უსულგულოდ ქვეყანაზე რომ ვეთრევი, ახლა ვინღა მასწავლის ადამიანობას წიგნით და რვეულით–მეთქი. ტაძარი როა აგერ, იქ დიდი ხატია, ღვთისმშობლის მიძინების, ქრისტეს მარიამი ხელში უჭირავს, არადა, საერთოდ ხომ პირიქითაა. იქაც დავდგები ხოლმე მართლა ვირივით და მიკვირს, გასაკვირი რაა, მაგრამ მაინც. თან ხომ როგორი ახალგაზრდაა ქრისტე ხატებზე...

ჩავედი. მარინემ, გიკაკუნე, გიკაკუნე, ვერ გაგაგონეო, დედა ვნახე და მწახოსო. ძროხა დაბორიალობდა ეზოში ბღავილით. დასკდომაზე ჰქონდა ცური. სამი დღის მოსაწველია,

ვერ ვდგებიო, დედამ მითხრა. ლოგინში იწვა, დალეული, დალეული, დეკემბრის დღე რომ დაილევა ისე, ხელები ამოეყო საბნიდან. შენც სამი დღის მშიერი ხარ–მეთქი, ვკითხე და ვერ გაიხსენა. დავუწყე ძროხას წველა, აზმუვლდა, გამლუპა რძეში. დავალევინე დედას და მერე ცეცხლს მივეცოდვილე ასანთებად. ბუხართან დამსვიო, ვერ დგებოდა თვითონ. ავიყვანე, სანამ ოთახში სკამს მოვძებნიდი, კარგა ხანი მეჭირა ხელში.

ირმა მალაციძე

თამარა პავლოვნა, ლუსია, ნატაშა, ლუბა და მე

ქ. კოსტრომა
1989 წ.
რა ამბავია ამდენი ქოთქოთი და ფაცი–ფუცი! ეს ხალხი ჭკუიდან შემშლის! პადუმაეშ, მთავარი ექიმი ატარებს ჩამოვლას! ჩამოივლის, თორემ ერთბაშად დიაგნოზი არ შეგიცვალოთ, აი!
ტოჟე მნე!
პირადად ჩემთვის ყველა ერთი ჭირია – გინდ ის შემოსულა, ახალგაზრდა, სათვალიანი, რა ჰქვია? ანატოლი პეტროვიჩი, გინდ სააღდგომო კვერცხივით მოხატული ექთანი, აქსანა და გინდ მთავარი ექიმი.
ერთი ამათ თავში ჩამახედა – წამოცვივდნენ დილაუთენია, სარკის წინ ჩხუბიც კი მოუვიდათ, თმა დაიბულულეს, პომადა წაითხიპნეს, ლოგინების გასწორება დაიწყეს. ზედ ბალიშები დაასკუპეს, სამკუთხედად მოკეცილი. მაინც რა მოსწონთ ბალიშების ზემოდან დაწყობა... ბალიში ლოგინში გამიგია, თავი რომ დადო და დაიძინო. ან ვერ დაიძინო, მაგრამ იფიქრო მაინც. ან ცხვრები დაითვალო. რა მნიშვნელობა აქვს, რას გააკეთებ – დადე თავი და თუ გინდა, იმღერე.
ესენი კი... რაც დარჩათ, იმ დღეებსაც უაზრო ფაცი–ფუცში ატარებენ. კაი, რაა. დაყენდით. დაიძინეთ და მეც დამაძინეთ. არ მეყო, რაც აქამდე დილაობით ლექციებზე ვირბინე, ან რასაც აწი ვირბენ?
აი, ეს კი საკითხავია – ვირბენ კი?
– Вставай, соня! – საბანზე მექაჩება თამარა პავლოვნა. იცის, რომ ვერაფერს ვეტყვი და იმიტომ მედიდგულება. ნატაშას და ლუბას, იცოცხლე, დავიფრენდი. თამარა პავლოვნა კი ძალზე პატივცემული ქალბატონია არა მარტო ჩვენს პალატაში, არამედ მთელ სართულზე და საერთოდ, მთელ საავადმყოფოში, ამიტომ მის ბუზღუნს მოკრძალებული ზმუილით ვეპასუხები.
– Сразу видно, что студентка! — ამბობს ისევ თამარა პავლოვნა და თავს ორაზროვნად აქნევს.
დიახაც, სტუდენტი ვარ. მეორეკურსელი. ორი წელია, ამ გზაზე დავდივარ და აქამდე წარმოდგენა არ მქონდა, რა დაწესებულება იყო იმ თეთრ შენობაში, მათემატიკის აუდიტორიის ფანჯრიდან რომ მოჩანდა. ახლა კი ვიცი, მაგრამ რაღა დროს... ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დავინტერესებულიყავი. საზრუნავი არ მქონდა, თუ რა! მოახლოებულ ჩათვლებზე მეფიქრა, დირიხლეს თეორემა მეზუთხა თუ იმის გარკვევას მოვყოლოდი, რატომ ჰქონდა იმ შენობიდან გამოსულ ხალხს მჟავე გამომეტყველება. რა ჩემი საქმე იყო. არ ემხიარულება კაცს და არ იცინის.
რა ვიცოდი, რომ ცოტა ხანში მეც აქ ამოვყოფდი თავს, თორემ უფრო ყურადღებით დავაკვირდებოდი. იქნებ ვინმე დამენახა, ფანჯარაში გადმომდგარი, ან გადმოჭყეტილი,

როგორც ახლა მე – ჩემს თანაკურსელებს რომ ვუჭვრეტ, ლექციიდან მომავალთ, თორემ დილით ვინ ამაგდებს... ფანჯრის მინაზე პატარა სათვალთვალო ხვრელი გავაკეთე, თითი მივადე, ათი წუთი არ ავუშვი და ყინული ისე დავადნე. ახლა იქიდან ვიჭვრიტები–ხოლმე. არ გამიმართლა, მაინცდამაინც ზამთარში მომიწია აქ ყოფნა. ფანჯრები ისეა მოხატული, გეგონება თოვლის დედოფალმა შეუბერა და გაყინაო. ბავშვობაში ალბათ ასეც ვიფიქრებდი. ახლა კი ზღაპრების აღარ მჯერა. ან როგორ დავიჯერო, როცა ვხედავ, რა ხდება ჩემ გარშემო, ანუ როგორი ხელჩართული ბრძოლაა გამართული არყოფნასა და ყოფნას შორის. ჯერჯერობით, რასაც აქ ვუყურებ, ბედნიერი გამონაკლისის გარდა, ბრძოლა არყოფნის გამარჯვებით მთავრდება.

ვოლგაც გაყინულია. თანაც ისე, ზედ ტანკით რომ გადაიარო, ვერ გაბზარავ. პირველად რომ გაიყინა, ზემოდან სულ არ ემჩნეოდა. მეთევზეებმა ეგრევე წამოიკიდეს მწვანე ყუთები და ყინულის ბურღები და შუაგულ ვოლგაზე ჩამოსხდნენ სათევზაოდ. იმ დილით ავტობუსმა ხიდზე რომ გადაიარა, მეგონა ჰალუცინაცია დამეწყო. არასოდეს მენახა გაყინული მდინარე, თანაც ისეთი, ტალღები ჯერ კიდევ რომ ემჩნევა.. ასე რომ, წყალზე მოსიარულე ხალხის დანახვაზე რამდენჯერმე ფეხზე ვიჩქმიტე, თვალებით მოვიფშვნიტე და მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ახლა კი, ვერ გაიგებ, სად იყო მდინარე და სად ნაპირი. თოვლითაა ყველაფერი დაფარული. „ვალინკებსა და „ბუშლატებში“ გამოწყობილი მეთევზეები ყოველ დილით მოდიან, ბურღავენ ყინულს, ჩაუშვებენ ხვრელში ანკესს და მოთმინებით ელიან, როდის ჩამოჰკრავს ნიშანი. მეც ამ მეთევზეებივით ველოდები, ოღონდ თევზის ანკესზე წამოგებას კი არა, აქედან გაღწევას. არც მოთმინებით გამოვირჩევი, ვცმუკავ, ადგილს ვერ ვპოულობ. ან რა დროს ეს იყო? ნეტავი აქედან ჩქარა გამიყვანა და ვფიცავ, თეორიულ მექანიკას, კი არ ვისწავლი, დავღეჭავ! ანდრეევკინას შაქრად დავადნები და ვეტყვი, რომ მთელი ცხოვრება დირიხლეს თეორემაზე ვოცნებობდი და სამყაროში უფრო მშვენიერი კანონზომიერება არ მინახავს და არც მსმენია! კომკავშირის კრებებზეც ვივლი და ოქმებს საკუთარი ხელით დავწერ! პარტისტორიასაც ვისწავლი, ლენინის ნაშრომებს – ჩავა–ბულ–ბულებ – Шаг вперёд, два шага – назад – ნაბიჯი წინ ორი უკან! სვეტაც ასე გვამეცადინებს, ჩვენი ცეკვის მასწავლებელი, როცა „ტარანტელას“ გვადგმევინებს. ჯანდაბას, ცეკვასაც შეველევი, ოღონდ ცოტა ხნით... ერთი თვით... არა, ორი კვირით. ჰო, ორი კვირით! ღმერთო, ოღონდაც აქედან მალე გამიყვანე!

– Вот он, идет! – აწრიალდა თამარ პავლოვნა. ერთი გამაგებინა, რამ გაახარა. მთავარ ექიმს შლეიფივით მოჰყვებიან ჩვენი ანატოლი პეტროვიჩი, სართულის ექიმი, სვეტლანა ვლადიმიროვნა და ექთანი აქსანა. ცხვირზე სათვალედაკოპსებული ანატოლი პეტროვიჩი „მამაო ჩვენოსავით“ სულმოუთქმელად არაკრაკებს თითოეულის ავადმყოფობის ისტორიას. მე შენ გეტყვი და მოერიდება, პაციენტს პირში ნუ მივახლი, რაღაც დავუმალო, რაღაც მოვატყუოო, გული რომ არ გაუსკდესო, როგორც ჩვენში ხდება–ხოლმე. აბაა! შუბლში ტყვიასავით მოგაჭედებენ, თუ სასიკვდილო არა, ათწლიანი პატიმრობის განაჩენივით დიაგნოზს. არ გინდა ამას გაუძლო?

მთავარი ექიმი უფრო ფრთხილია, ისე სვამს შეკითხვებს, თითქოს დანაღმულ ველზე მიაბიჯებს და აფეთქების ეშინიაო. კაი რამეა ეს ჩამოვლა – ჩამოგივლიან და შეგათვალიერებენ, გასაყიდი საქონელივით. გამოგკითხავენ – რა, როდის და როგორ გტკივა. გაგამხნევებენ, მაგრამ ბევრს ვერაფერს შეგპირდებიან. მერე ისტორიაში

ჩაიხედავენ, მრავალმნიშვნელოვნად აწევენ ცალ წარბს, ან ორივეს, გააჩნია, ვის როგორ გამოსდის. ჩვენთვის, ანუ პაციენტებისათვის ჩამოვლას ის სიკეთე მოაქვს, რომ ექიმის გამომეტყველებიდან ვიგებთ, ვის რომელი სტადია, შესაბამისად კი, ვის რამდენი ხნის სიცოცხლე აქვს დარჩენილი. აბსოლუტური სიზუსტით არა, მაგრამ პლუს–მინუს რამდენიმე თვე შეიძლება გამოიცნო. ყველაფრის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, მე საწუწუნოდ ნამდვილად არ მაქვს საქმე. რა ვიცი, რაღაც ასე მეჩვენება. უფრო სწორად, ჯერ კიდევ მაქვს შანსი, საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ. თანაც ანატოლი პეტროვიჩი ყველაზე დაუძაბავად და ცოტა უდარდელად მარტო ჩემთან იქცევა, ვერ გავიგე, რა ეროვნების ხარ, სახელი გერმანული გაქვს, მამის სახელი – რუსული, გვარი – ქართულიო, – მეუბნება. მგონი, მეარშიყება, მაგრამ ისეთ სახეს ვიღებ, ვითომ ვერ ვამჩნევ – ლუბას მოსწონს ანატოლი პეტროვიჩი.

ერთი თვის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ადამიანის ცხოვრება ერთი დიდი ტკივილია და პატარ–პატარა სიხარულებისაგან შედგება, აბა, შენ ჩვილის ლოყებივით ვარდისფრად რომ გეჩვენება ყველაფერი, მართლა ასე კი არაა საქმეო, სიცილით მოვკვდებოდი – თქვენ ხომ არ გააფრინეთ, თქვენი არ ვიცი, მაგრამ ჩემს ცხოვრებასთან სევდას რა ხელი აქვს– მეთქი. ან სხვა რა უნდა მეთქვა, სად მეცალა ამაზე დასაფიქრებლად. ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც არ დამესიზმრებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც აქ გამომამწყვდევდნენ, წარსულის მოგონებებზე ფიქრით ასე ნაადრევად თავის შესაქცევად. არა, ეს უკვე მეტისმეტია. რა დროს წარსულზე ფიქრია, ან რა წარსული მე მაქვს – რაღაც ცინგლიანი ცხრამეტი წელიწადი!

ახლა კი გულაღმა ვაგდივარ ნიკელის საწოლზე, თეთრ პალატაში, ჩემზე უარეს დღეში ჩავარდნილი ქალების საზოგადოებაში და საკმარისზე მეტი მიზეზი მაქვს, იღბალი ვწყევლო. მე გეგმებს ვაწყობ, ესენი კი ორწუთიანი პალპაციით მინგრევენ ყველაფერს. ამ ტკივილმა ხომ, საერთოდ, შემაღონა, დათარეშობს ჩემს სხეულში... ვერ გავიგე, ვინ მისცა ნება...

პალატაში სულ ხუთნი ვართ – მე, თამარა პავლოვნა, ლუსია, ნატაშა და ლუბა. თამარა პავლოვნა ადგილობრივ ახალგაზრდულ გაზეთში მუშაობს, რედაქტორის მოადგილეა. მისთვის ყოველ დილით სპეციალურად მოაქვთ ჯერ კიდევ თბილი, ტიპოგრაფიის სუნით გაჟღენთილი გაზეთი. დიდი სიამოვნებით ვკითხულობთ, მე – განსაკუთრებით. ჩემს ასაკზეა გათვლილი და იმიტომ. თუმცა ჭკუადამჯდარი არც ნატაშაა. ათი წლით უფროსია ჩემზე, მაგრამ თავში ორპირი ქარი აქვს. პალატაში, ძირითადად, ის ქაქანებს, ათას სისულელეზე ლაპარაკობს, რა ვიცი. მარტო მაშინ ჩერდება, როცა ტკივილი უძლიერდება. მოიკუნტება–ხოლმე საწოლზე და კვნესის, თან ამ არსახსენებელ დაავადებას დედას აგინებს. ასეთ შემთხვევაში მე ან ლუბა აქსანასთან მივდივართ და ძლიერ გამაყუჩებელს ვთხოვთ. აქსანას ყოველი აბი მკაცრად აქვს აღრიცხული, ამიტომ ჩვენ ვერ გვანდობს და თვითონ მოდის პალატაში, ნატაშას სპეციალურ ბლანკზე ხელს აწერინებს და ვიდრე არ დარწმუნდება, რომ აბმა ნატაშას საყლაპავი ჩაიარა და კუჭამდე მშვიდობით ჩააღწია, პალატიდან არ გადის. როგორც კი ტკივილი ჩაყუჩდება, ნატაშა ისევ ლაპარაკის ხასიათზე დგება. მეორე, რასაც, უფრო სწორად, ვისაც მისი დადუმება შეუძლია, თამარა პავლოვნაა. საკმარისია, ერთი გადახედოს და ნატაშას ენა მუცელში უვარდება.

ლუსია კი მშვიდია, მთელი დღე ზის, ჯემპრს ქსოვს და ფიქრობს. ჯემპრი თეთრია, ლურჯი ზოლებით. ამბობს, ჩემს ბიჭს ვუქსოვ, მეზღვაურობაზე ოცნებობსო. გოგოც ჰყავს, ლენა, ხუთი წლის. ლუსია სოფლიდანაა. კვირაში ერთხელ ქმარს ბავშვები ჩამოჰყავს მის სანახავად. ამიტომ კვირაობით ლუსია უთენია დგება, ერთი საათი სარკის წინ ტრიალებს, გაფითრებულ სახეზე „რუმიანას“ ისვამს, წამწამებს იპრეხს და შვილებთან გალამაზებული ჩადის – არ მინდა, ასეთი ფერმკრთალი მნახონ, და საერთოდ, ჩემს შვილებს ლამაზი მინდა ვახსოვდეო – ამბობს.

ვინ დარჩა? ჰო, ლუბა! სიკვდილსაც დავიწყებია. თუმცა ამის იმედი არც იმას აქვს და რაღა დაგიმალოთ, არც მე. როცა ანატოლი პეტროვიჩი ლუბას ავადმყოფობის ისტორიას კითხულობდა, მთავარი ექიმი ჩუმად იდგა და ისე გავიდა, კრინტიც არ დაუძრავს. ლუბა სართავ ფაბრიკაში მუშაობს, მრთველია. რას ართავ–მეთქი – ვკითხე და რა სულელური შეკითხვაა, რას ვართავ და ძაფსო – მხრები აიჩეჩა.

ბებიაჩემიც ართავდა–მეთქი – გავუცინე. რაო, „პრიადილშიცა“ იყოო? – გაიხარა. არა, ერთი სოფლელი ქალი იყო, თითისტარი ჰქონდა, ზედ კვირისთავს ჩამოაცმევდა და ისე დააბზრიალებდა, არა მგონია, იმ თქვენს ავტომატურ ჯარაზე ნაკლებად დაერთო–მეთქი. მართალია, კვირისთავი რუსულად ვერ ვთარგმნე, მაგრამ ავუხსენი და მივხვდიო – მითხრა. მეტი არაა ჩემი მტერი, ის ვერ მიმხვდარიყო. იმას თითისტარი მხოლოდ მანქანაზე აქვს ნანახი. ჩვენებურ, ხის თასში მბრუნავ თითისტარზე, არ მგონია, წარმოდგენა რომ ჰქონდეს.

თამარა პავლოვნა ყოველ დილით რადიოსთან ჯდება და საინფორმაციო პროგრამას უსმენს. დილის გამოშვება მის ყოფილ ქმარს, სვიატოსლავ ნიკოლაევიჩს მიჰყავს, რომელსაც ჩვენც კარგად ვიცნობთ. ხშირად დადის საავადმყოფოში და ყვავილები მოაქვს ყოფილი ცოლისათვის.

პირველად რომ პალატაში შევედი, ყველამ ისეთი თვალებით შემომხედა, ვიფიქრე, წასულია ჩემი საქმე, მეტი არაა ჩემი მტერი, მე აქედან ცოცხალი ვერ გავიდე–მეთქი. დამხვდურებს ჩემმა გამოჩენამ სიბრალული კი არ აღუძრა, მე მგონი, საკუთარი დარდი დაუპატარავა. პალატაში ყველაზე პატარა მე ვიყავი და ალბათ, ამიტომ, შვება იგრძნეს.

ყოველთვის მეუბნებოდნენ, ინტუიცია ასაკთან შედარებით კარგად გაქვს განვითარებულიო. მართალია, არ მესმის, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ინტუიციას ასაკთან... ასე ისინი ფიქრობენ, ვისაც ჰგონია, რომ ინტუიცია გამოცდილებაა და სხვა არაფერი, მე კი ასე არ ვფიქრობ. ინტუიცია მეექვსე გრძნობაა, შინაგანი ხმა. ჰოდა, შევედი თუ არა, ჩემმა შინაგანმა ხმამ მიკრანახა, კი არ მიკარნახა, მიბრძანა, დაჯექი შენთვის კუთხეში, შეიკეტე შენს ნაჭუჭში, დაადე ბოქლომი და ცხვირი არ გამოყო, თორემ ინანებო.

ისე ყველაფერი აგიხდეთ! ვინ დამაყენა, შემომივარდნენ და გამომათრიეს. ვხვდებოდი, რომ ჩემს თანაპალატელებთან გულის გადაშლა, მათი გასაჭირის მოსმენა და თუნდაც საკუთარის თქმა და გულის მოფხანა დიდი შეცდომა იქნებოდა. მაშინვე არა, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი რატომაც – შიშის მეშინოდა. შიში კი მარდია – მგლის მუხლი, ბუს თვალები და არწივის ფრთები აქვს. მაინც მომერია – ღამღამობით მომდევს და მომჩხავის. დედა კი შორსაა და ვერ მიშველის.

ესენი კიდევ ცეცხლზე ნავთს მასხამენ, შხამს მიმატებენ ისედაც ბოღმით სავსე მოთმინებაში. იცოცხლე, ხმას არ ვიღებ, მაგრამ ყურებს ხომ არ დავიცობ, ვისმენ ჭორს

და მართალს ნატაშას მეზობელ ქალზე, რომელსაც ძუძუდან ექვსჯერ ამოკვეთეს კვანძი, მერე კი –È И грудь отсвистнули... როგორ განკურნა ვიღაც ექიმბაშმა უკურნებელი სენით შეპყრობილი ლუბას ბიძაშვილის მეგობარი, როგორ მოაბრუნეს სააქაოში საიქიოს გზაზე შემდგარი, მეოთხე სტადიაში მყოფი ქალი. მე მეგონა, ჭირს გამაგრებული ვხვდები– მეთქი, მაგრამ მართლა ქვითკირის ხომ არ ვარ, დამრია შიშმა ხელი და ისეთი ზლუქუნი ამოვუშვი... კიდევ კარგი, თამარა პავლოვნასაც მობეზრდა ნატაშას და ლუბას გაუთავებელი რატრატი და იყვირა:
– Хватит, у нас его нет, у нас его нет!
გაგახაროს ღმერთმა?! ძლივს არ ჩაიგდეს ენა? თამარა პავლოვნას დაყვირებაზე ორივე გაისუსა. უცებ ლუსიამაც ამოიღო ხმა. აქამდე სულ ჩუმად იჯდა, ახლა კი თამარა პავლოვნას აუბა მხარი:
– В самом деле, что–же вы ребенка–то пугайте?
ბავშვი – ეს მე ვარ. ოთხი ოჯახმიტოვებული ქალის ზრუნვის საგანი. თავს მევლებიან. ჯერ შემაშინეს და ახლა ცივ ნიავს არ მაკარებენ. კარგი დროსია, მაგრამ მაინც არ ვბრაზობ – მომწონს, რომ მანებივრებენ, სახლში მგონია თავი.

* * *

მომბეზრდა დილიდან საღამომდე თეთრ ჭერში ჩამოკიდებული ბურთივით მრგვალი პლაფონის ყურება. კითხვითაც დავიღალე. გუშინ ვიფიქრე, გავალ, დერეფნის ბოლოში ტელევიზორი დგას და ცოტას გავერთობი–მეთქი. თურმე სად ბანაობ! ნატაშამ მითხრა, არ გაგიჟდე და კონცერტის ყურებას არ მოჰყვე – ჩაგქოლვენო. რატომ–მეთქი – გულწრფელად გამიკვირდა.
– Какой все–таки ты еще ребенок! – მითხრა ნატაშამ.
– Тогда почему вообще стоит телевизор? – მხრები ავიჩეჩე.
– Скоро поймешь! – დამაინტრიგა და წავიდა.
მალე მივხვდი, რომ ნატაშა მართალს ამბობდა. ტელევიზორს აქ განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა, როგორც თვით დაწესებულებას, სადაც იგი იდგა. ამაში იმ დილას დავრწმუნდი, როცა უთენია რაღაც ფუსფუსმა გამომაღვიძა. იმ დღეს შემოვლა არ იყო და ვერ გავიგე, სად ეჩქარებოდათ. თვალი რომ გავახილე, ყველა საწოლი უკვე ცარიელი იყო. ნატაშას მოვკარი თვალი – ხალათში ცალხელგაყრილი გავარდა პალატიდან. ლოგინში რაღა გამაჩერებდა, ცნობისმოყვარეობამ ფეხზე წამომაგდო და დერეფნისაკენ მიბიძგა. ტელევიზორის წინ კინოთეატრი დამიხვდა. ავადმყოფები თავთავიანთი სკამებით რამდენიმე რიგად ჩამწკრივებულიყვნენ და მილულული თვალებით მინდობოდნენ ეკრანიდან მომღიმარ და თვალითვალში გაყრილ კაშპიროვსკის. უხმოდ ემორჩილებოდნენ თავიანთ მხსნელს. უსულო საგნებივით ისხდნენ და ეს თაღლითი მათ, როგორც იტყვიან, მასიურად აბოლებდა. წინა რიგში მოხვედრა, ეტყობა, დასწრებაზე იყო. სიკვდილმისჯილთა არმია იმედით სავსე თვალებით შესცქეროდა სასწაულმოქმედ ეკრანს, მე კი ვიდექი, ვუყურებდი და თვალსა და ხელს შუა მენგრეოდა სიმწრით შეკოწიწებული ოცნების კოშკი.
პალატაში როგორ დავბრუნდი, აღარ მახსოვს. შევძვერი ჩემს ჯერ კიდევ თბილ ლოგინში და კატასავით მოვიკუნტე. როგორ მომენატრა დედა. ახლა ხამამაღლა ავტირდები,

როგორც ბავშვობაში ვტიროდი, როცა დედა მენატრებოდა. მართალია, იშვიათად გვეფერებოდა, მაგრამ ახლაც მახსოვს მისი სახის სასიამოვნო სიგრილე. რომ გავიზარდე, გამომიტყდა, როცა იძინებდით, მაშინ გეფერებოდით, არ მინდოდა, ზედმეტად გამენებივრებინეთო.

უჯრიდან საფულე ამოვიღე, შარშან ჩემმა ჯგუფელმა, ელკამ მაჩუქა. გავხსენი და თხუთმეტკაპიკიანები მოვიძიე. ოთხი ცალი მაქვს. ლოგინიდან გამოვძვერი და ქვის კიბეებზე დავეშვი, ტელეფონ–ავტომატებისაკენ. საქართველოს კოდს ვკრეფ, მერე ნომერს და... ყურმილს დედა იღებს... ახლა ავტირდები, მაგრამ თავს ვიმაგრებ. დედა შეშფოთებულია.

– სად დაიკარგე, ვერაფრით ვრეკავ, თითქოს ვიღაც იღებს ყურმილს, მაგრამ მერე ითიშება...

ეტყობა, გოგოები უთიშავენ, ან რა უნდა უთხრან..

– ჰო, რაღაც ხაზები აირია.

– წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე. როგორ ხარ?

ვიგრძენი, როგორ დაიწყეს ჩემს სხეულში ჭიანჭველებმა სირბილი. ყელში ისეთი ბურთი გამეჩხირა, ხმას ვეღარ ვიღებ.

–ალო, ალო! – გაჰყვირის დედა.

– ჰო, აქ ვარ... – ამოვღერღე ცოტა ხნის შემდეგ.

– მეგონა, ისევ გაითიშა... თავს გაუფრთხილდი, გესმის?

– მესმის. მანდ რა ხდება, რა არის ახალი?

– ახალი? მამიდაშენი ფანჯრის რაფიდან ჩამოვარდა და დაჟეჟილობა აქვს.

– როდის აქეთაა კასკადიორობა დაიწყო?

– მინებს წმენდდა და... კიდევ შენი თანაკლასელი მაკა მოიტაცეს. საწყალი გოგო თმებით ათრიეს თურმე. მანქანაში კი არ ჩასვეს, ჩაკეცეს.

– მერე?

– მერე რა, ქორწილი აქვს ამ შაბათს.

– აუ, რა ბედნიერი იქნება?

– რა? არ ისიმის!

– არაფერი. კარგი. მონეტა აღარ მაქვს. ახლა გაითიშება... მერე დაგირეკავ...

ყურმილს ვკიდებ. ერთხანს ხელისგულზე დარჩენილ ორ თხუთმეტკაპიკიანს დავყურებ, მერე კიბეებზე ავდივარ. ნაცემი ძაღლივით ვარ. ისევ ლოგინში მივძვრები და კედლისკენ ვბრუნდები. კაშპიროვსკის სეანსი უკვე დამთავრებულა და ჩემი მეზობლები პალატაში ბრუნდებიან. მოკუნტული რომ დამინახეს, ერთმანეთს გადახედეს.

– Что случилось, болит? – მეკითხება თამარა პავლოვნა. უარყოფის ნიშნად თავს ვაქნევ. ლუსია ჩემი საწოლის კიდეზე ჯდება და თავზე ხელს მისვამს:

– Тебе–то чего бояться, тебе ещё жить и жить! – მეუბნება. ვერ გავიგე, შემომნატრის თუ მამშვიდებს. ალბათ, ერთიც და მეორეც. ხანდახან მგონია, რომ სიზმარში ვარ. ნუთუ ჩემს თავს ხდება ეს ყველაფერი?

* * *

დრო მიდის. ერთი თვეა, აქ ვყურყუტებ, მაგრამ ექთნების მორიგეობის განრიგისა და პაციენტების გუნება–განწყობილების გარდა, არაფერი იცვლება. არა, ერთი რამ მაინც შეიცვალა. ერთ დილას, როცა თამარა პავლოვნას კედლის რადიოზე ჰქონდა ყური მიდებული და ყოფილი ქმრის ბარიტონით ტკბებოდა, კონსილიუმზე გამოიძახეს. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. სახე შეშლილი ჰქონდა. საწოლზე პირქვე დაემხო და აქვითინდა.

– მკერდს მაჭრიანო, – თქვა, ცოტა რომ დაწყნარდა. იმ ღამეს არცერთს გვძინებია, თამარა პავლოვნას ჩათვლით. ჩუმად ვიწექით, თავს ვიკატუნებდით, ვითომ გვეძინა. სინამდვილეში ჩუმ–ჩუმად ვასველებდით ბალიშებს. ყველა საკუთარ სიცოცხლეს დავტიროდით.

მეორე საღამოს თამარა პავლოვნას ყოფილი ქმარი სტუმრების მისაღებ ოთახში დარცხვენილი იდგა და ყოფილი ცოლის აღსარებას ისმენდა, შიგადაშიგ კი თავისთვის ბუტბუტებდა:

– Ты хороший человек, ты не должна была заболеть... დრო ისე იწელება, აღარ ვიცი, როგორ დავაჩქარო კედელზე ჩამოკიდებულ თეთრ საათზე ზოზინით მოძრავი ისრები. ერთი სული მაქვს, როდის ავძვრები საოპერაციო მაგიდაზე და როდის მოვიშორებ ამ ჭირს.

როგორც იქნა, ოპერაციის დღეც დადგა. გარეთ თოვს. მსუყე ფანტელები ისეთი სისწრაფით მოჰქრიან, გეგონება დედამიწის ზურგზე ადგილი აღარ იყოს. ერთმანეთს კაშპიროვსკის პაციენტებივით ეჯიბრებიან, ვინ ვის მოასწრებს დაჯდომას. ადგილის მეტი რაა. თოვლი მოდის და მიდის. მერე ისევ მოდის... ადამიანებიც მოდიან და მიდიან, მაგრამ აღარ ბრუნდებიან. კიდევ კარგი, ახლა საქართველოში არ ვარ. მთელი ნათესაობა დამესეოდა, იქნებოდა ერთი ნერვიულობა და ქოთქოთი. ასე არ ჯობია? უცრემლოდ და უვიშვიშოდ... რუსულად!

მაღალჭერიან, უზარმაზარფანჯრებიან თეთრ საოპერაციოში თითქმის სირბილით შევდივარ და ექიმებთან ჩემი თავი და სხეული ლანგრით მიმაქვს – ა, ბატონო, აქ ვარ, თქვენს წინაშე და თქვენი დანის ქვეშ, თქვენს იმედად და ანაბარად და რაც გინდათ, ის ქენით, ოღონდ მომაშორეთ ეს ჯანდაბიდან მოხეტებული სატკივარი–მეთქი. კი ვიცი, რომ ხელში ჩვეულებრივ მოკვდავებს ვუვარდები, ისეთივე ჩვეულებრივ, მიწიერ არსებებს, რომელთაც ჩემგან მხოლოდ ის განასხვავებთ, რომ უკეთ ერკვევიან მედიცინასა და ონკოლოგიაში, ხოლო არაფერი, როცა საქმე ღმერთისაგან ნაბოძებ სიცოცხლის ვადას და არსებობის ხანგრძლივობას ეხება. ამის არცოდნა ზომას გადასული სიბრიყვე იქნებოდა ჩემგან, ცოდნაზე თვალის დახუჭვა კი, თავის მოტყუება.

გამხადეს და დამაწვინეს. აღარ ვიცი, უხერხულობისაგან სად წავიღო ხელები – გაშიშვლებულ მკერდზე ავიფარო, თუ სახეზე. თავსა და ტანს შორის თეთრი ქსოვილის ტიხარს აფარებენ და უხერხულობა ცოტა მივლის. ახლა თვალებში არავინ მიყურებს. ვეღარაფერს ვხედავ, თეთრი ტილოს გარდა, ამიტომ სმენას ვძაბავ. მესმის რეზინის ხელთათმანების წკლაპუნი, ლითონის იარაღების წკრიალი, ვგრძნობ საანესთეზიო ჩხვლეტას, ხორცის გაჭრას, გაურკვეველ ყრუ ტკივილს და ბოლოს, ნემსისა და ძაფის საკუთარ სხეულზე გვირისტივით გადატარებას. საოპერაციო მაგიდაზე თევზივით ვარ გაშოტილი და ჩემს თავზე გადმომხობილი თვალისმომჭრელი ნათურების ერთობლიობას ავჩერებივარ, მათ გარშემო შემოვლებული ნიკელის ზოლებზე წითელი

ლაქა ირეკლება, მაგრამ თვალს არ ვარიდებ. ასე მგონია, თვალი რომ მოვხუჭო, ექიმებს რაღაც შეეშლებათ, საბედისწერო შეცდომას დაუშვებენ და „ტარანტელაც“, დირიხლეს თეორემაც და საოცნებო მომავალიც ოხრად დამრჩება.
ესეც ასე.
ნამდვილი გმირი ხარო – ამბობს ანატოლი პეტროვიჩი. ვიფერებ და საოპერაციოდან პალატისაკენ ისე გავრბივარ, აქეთ–იქით მეგრელი ჭირისუფლებივით ამომდგარი ექთნები სირბილითაც ვერ მეწევიან. რას დამეწევიან, ხუთკილომეტრიან კროსს ოქროს მაჩვენებელზე ვფარავ. ერთი სული მაქვს, ჩემს მეზობლებს იმ თხილისოდენა ხორცმეტზე, იმ წურბელაზე გამარჯვება ვახარო.
– Что, операцию перенесли? – ყველას მაგივრად მეკითხება ლუბა.
– Как перенесли, все! – ამაყად ვაბობ და შეფუთულ მხარზე ვუთითებ. უცებ ოთხივე ლოგინიდან ხტება, ციმციმ მაწვენენ ლოგინში, ცხელი ჩაი მოაქვთ, საბანს მისწორებენ. ეს ჩემი დღეა. დღეს ყველა ჩემზე ზრუნავს, როგორც რომელიმე სხვა დღეს, თითოეულ მათგანზე – ყველა ჩვენთაგანი.
– Вот молодчина, какая ты молодчина...– ბუტბუტებს ლუსია, ვინ იცის, რის ფასად შემონახული იმედით, თუმცა თავისი ბედით უფრო მეტად შეწუხებული, შეშფოთებული, ეჭვებაშლილი და აფორიაქებული.
მთავარი წინაა. ჯერ მარტი მაქვს გასავლელი და ზამთრის ქება–ძაგება მიადრებს – მთელი საუკუნე გავა, ვიდრე ლაბორატორიიდან პასუხი მოვა.

* * *

ერთი თვეა, რაც ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდი. ვოლგამ დნობა დაიწყო და მსოფლიო რუკასავით დაიბზარა. სვეტა ისევ გვაცეკვებს „ტარანტელას“, ისევ ვიზეპირებ დირიხლეს თეორემას და ვღეჭავ ლენინის ნაშრომებს. ოღონდ ახლა მეორეს „Что делать?“ –ს. ლენინმა ნამდვილად იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ და კიდევ რამდენიმე მილიონი ადამიანი ასე ფიქრობდა. საქმე ისაა, რამდენ ხანს გაძლებს.
ხელში კანაფით შეკრული ტორტის კოლოფი მიჭირავს. საქართველოში ვიყო, იცოცხლე, გამოვაცხობდი „ნაპოლეონს“ ან „პრაღას“, აქ კი საკონდიტროში მოთხიპნილი ტორტით ხელდაშშვენებული ვბრუნდები სიკვდილმისჯილთა საკანში. მიღების დღე არაა, მაგრამ ლექციები ადრე დამიმთავრდა და აქეთ გამოვიქეცი. დილაობით, როცა ინსტიტუტში მივდივარ, ნატაშა და ლუბა ფანჯრიდან მიყურებენ და ხელს მიქნევენ– ხოლმე. თამარა პავლოვნამაც ორჯერ გადმოიხედა. ლუსია არ ჩანს მხოლოდ.
როგორმე უნდა შევიდე. განყოფილებაში შესასვლელი ყველა გზა ზეპირად ვიცი, მოვახერხებ. გამღვალი თოვლის ნაფლეთებს ფეხიდან ბაკუნით ვიშორებ და კიბეზე მივიპარები. მგონი, ვერავინ შემნიშნა. კი, როგორ არა – ანატოლი პეტროვიჩი ფეხდაფეხ მომდევს:
– Ах ты хулиганка!–ო, მიღიმის და თითს მიქნევს. ეს იმას ნიშნავს, რომ პალატაში ჩუმად უნდა შევიდე და არავინ დამინახოს.
აქ ყველაფერი ძველებურად მხვდება. ნატაშას საწოლზე კუბოკრული პლედი ისევ გარდი–გარდმოა გადაფარებული, ლუბას თერმოსი, როგორც ყოველთვის, თავღია დგას

და ადუღებული წყალი ცივი ჰაერის მოლეკულებს სითბოს დაუნანებლად უცვლის. თამარა პავლოვნა საწოლში წევს და წიგნს კითხულობს. ყველაფერი ისეა, როგორც დავტოვე. ერთი რამეა მხოლოდ შეცვლილი – ლუსიას საწოლია ცარიელი. არ მიკითხავს, რატომ. ვხვდები, რომ შეკითხვას აზრი არა აქვს.

ჩემი დანახვა გაეხარდათ. მაგრამ მალე მოიღუშნენ.

– Она не успела докончить свитер, вот он, здесь... – მითხრა ნატაშამ.

Я докончу... – უცებ ბებიაჩემის მიმართ ისეთი მადლიერება ვიგრძენი, ქსოვა რომ მასწავლა...

ნატაშამ ცელოფანის პაკეტში ჩადებული ჯემპრი და თეთრი და ლურჯი ძაფის გორგალი მომაწოდა. მერე ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და ზედ ლუსიას, უფრო სწორად, მისი ოჯახის მისამართი დაწერა.

Докончу и перешлю им... – ვამბობ და ვდგები.

ვემშვიდობები, მაგრამ ვაი ამ დამშვიდობებას. ძლივს ამომდის ყელიდან სიტყვები. კარისკენ მივემართები, ზურგი კი სირცხვილით მეწვის. მგონი, როგორც მოღალატეს, ისე მიცქერენ. არ ვიცი, რატომ მივედი. ის კი ვიცი, რომ აღარასოდეს მივალ მათ სანახავად და არ ვიკითხავ მათ ამბავს. ან რატომ უნდა ვიკითხო – ისევ რომ გამიმუქდეს ჩემი ვარდისფერი სამყარო? თუმცა აღარც ისეთი ვარდისფერი. ცოტა არ იყოს, გახუნდა. ვეღარც იმ სურნელს ვგრძნობ, ჩემს საოცნებო მომავალს რომ ასდიოდა. დავეშვი მიწაზე, რაც არ უნდა იყოს, გავიზარდე – ცხრამეტი წლის და ორი თვის შევსრულდი. ცოტა ხომ არაა. ახლა ინსტიტუტში სხვა გზით დავდივარ. ჩემი თანასაკნელები, ალბათ, ყოველ დილით მოელიან ჩემს დანახვას უკვე გამდნარი ფანჯრებიდან. თუმცა ისე დათბა, ალბათ გაღებაც შეიძლება. მე კი არ მინდა მათთვის ხელის დაქნევა. არ მინდა და მომკალით. არ მინდა ვუყურო, თანდათანობით როგორ შემცირდება მათი რიცხვი. მით უმეტეს, რომ გაზაფხულის სურნელი უკვე მიღიტინებს და მიმღვრევს ისედაც ახალგაზრდულად ამღვრეულ ტვინს. ვოლგა უკვე საბოლოოდ დადნა და მასზე ფეხით თუ არა, პატარა გემით მაინც მოვახერხებ გასეირნებას.

მშვიდობით, ჩემო მეზობლებო!

2004 წ.

ბესო ხვედელიძე

მამა

ძველი გაზეთით თავმოკრული, მოზრდილი კალათი უჭირავს მამას და სახლის ბოლო, ღიაფანჯრიან სართულს თვალებმოწკურული აჰყურებს. ჟივილ–ხივილია შიდა ეზოში – აქეთ–იქით დაქრიან და გორგოლაჭებიანი ფიცრებიდან ხელისკვრით ჩამოგდებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს ბავშვები.

კალათს ძირს დგამს მამა, ჯიბიდან შავ ცხვირსახოცს იღებს, სველ შუბლს იმშრალებს. მერე იქვე მოთქრიალე ონკანთან მიდის, ხელისგულს უშვერს – ჯერ წყალს ხვრეპს, შემდეგ ცხირსახოცს ასველებს, წურავს და კვლავ შუბლზე ისვამს. ძველისძველ, ქუსლებდაბრეცილ, დაჭყლეტილ ფეხსაცმელებშია მამა. არც მუხლებგამობერილ შარვალს ეთქმის ახალი; იღლიებამოსველებული, გრძელსახელოებიანი თაგვისფერი პერანგი კი საერთოდაც დიდი აქვს და უხერხულად ადგას ტანზე.

სველ ცხვირსახოცს გრაგნის მამა. კისერში იფენს. შემდეგ კიდევ ერთხელ აპარებს თვალს სახლის ბოლო სართულისკენ და კალათთან მიბრუნებული სახელურს კიდებს ხელს, აწევას უპირებს, მაგრამ ყოვნდება – უცხო მზერას გრძნობს გვერდიდან.

განზე აპარებს მამა თვალს და სახლის პირველი სართულის ღია კარში მდგომ, თმაწვერაბურძგნულ კაცს ხედავს. თეთრი, ღილებაწყვეტილი, დალაქავებული ხალათი აცვია კაცს, ხელში მაკრატელი უჭირავს და ჰაერში აკრაჭუნებს.

„დალაქი“ – კითხულობს კარის თავზე წითელ წარწერას მამა, კალათს ხელს უშვებს და წელში გამართული იყურება კაცისკენ. ცალი თვალი ირონიულად აქვს მოჭუტული კაცს და ნიშნისმოგებით შეჰღიმის მამას.

უკან იხედება მამა, მაგრამ ვერავის ხედავს და ისევ თმაწვერაბურძგნული კაცისკენ ატრიალებს თავს – კვლავ მისკენაა მზერით კაცი.

კაცისკენ იძვრის მამა. ახლოს მისული ჯიბიდან სათვალეს იღებს, იკეთებს, კაცს აკვირდება. კარის ჩარჩოს მხრითაა მიყუდებული კაცი და ისევ მაკრატელს აკრაჭუნებს.

უბრად დგანან ერთმანეთის პირისპირ კაცი და მამა.

– შენა იოსკა არა ხარ? – სცდება უცებ კაცს გაბანჯგვლული პირიდან.

– დიახ… – იბნევა მამა.

– და ვერ მიცანი, არა? – მალიმალ აფახულებს კაცი თვალებს.

დაჟინებით აკვირდება კაცს მამა და მაინც მხრებს იწურავს.

– სულ ასეთი კი არ ვიყავი… – თავისუფალ ხელს ხშირ წვერზე ისვამს კაცი. უწვერულვაშოდ ცდილობს წარმოიდგინოს თმაწვერაბურძგნული კაცი მამამ, მაგრამ არაფერი გამოსდის.

– აგერ ლუპა მაქვს და ბარემ იმითაც დამაკვირდი, ბლიად… – თავისებურად იცინის კაცი და უცებ უნათდება გონება მამას.

– ე, ვანიჩკა!! – ყვირის გაბადრული.

– ჰე–ჰე… – ხითხითებს კაცი. – მიცნო აი, მიცნო…

– მეც არა ვთქვი, ვინაა… თან ამხელა წვერში… ვიფიქრე მამაოა…

– ჰე–ჰე…

– თეთრი ხალათი… თან მაკრატელი…
– ჰე–ჰე… მაშ…
– …შენც გაგაპარიკმახერეს ვანიჩკა?
– სხვა რა ვქნა… აღარც გავერთო? – გულგრილად იჩეჩავს ცალ მხარს ვანიჩკა და უცებ დასერიოზულებული მარჯვენა ხელს უწვდის მამას. – დალაქი ჯონი! – ამბობს მოწიწებით და აღარ აყოვნებს მამაც – გამოწვდილ ხელისგულზე ხელს ურტყამს და თბილად ეხუტება.

* * *

სადალაქოში სხედან მამა და ვანიჩკა. ხის სკამზე წამოსკუპებულა ვანიჩკა და თეთრ ზეწრებს აუთოებს. მამა სპეციალურ სადალაქო სავარძელში მოკალათებულა და ხელისგულები მუხლისთავებზე უწყვია.
– გადავიდა ბევრი… – როხროხებს ვანიჩკა. – აღარც ჟუჩოკაა, აღარც ბლერო… ბაბო კნეინა გახსოვს? მოკვდა საწყალი… სამი დღის მერე გავიგეთ, სუნი რომ გამოვიდა სახლიდან… ა ამხელაზე იყო დაპატარავებული, სამაგიეროდ ისეთი მძიმე იყო, ისეთი – რვა სულმა ძლივს ავწიეთ კუბო. კუბო რა – ფანერებისგან შევკარით… ვის ქონდა სხვანაირის თავი… ბაღში დავმარხეთ, ღამით, არავის რომ არ დაენახა. სადღაა სასაფლაოზე ადგილი, იმდენი დაიხოცა…
– ჰო… – ამბობს მამა.
– ბაჩო გახსოვს, მხეიძე?… – განაგრძობს ვანიჩკა. – გაიპარა… დამწვითო დაიბარა, ძალიან მცივაო, ვიყინებიო… რა გვექნა… ავუსრულეთ. ეგეც ღამით… პამოიმ მერე ძვლებისგან სკილეტი შეკრა, თეთრად გადაღება და სკოლას აჩუქა. ბიოლოგია უყვარდა საწყალს… ფერფლი ეზოში მოვაბნიეთ… რაჟდენმა კიდევ ცოლი გაუშვა, რაჟდენმა – თამრო ხომ გახსოვს, ვაშლის ნარჩენებზე რომ მკითხაობდა, თამრო?… უცებ მოკვდა საწყალი – ნაგვის მანქანამ გაიტანა ერთ თვეში… მერე ახალი მოიყვანა რაჟდენმა – ისიც თამრო და მთლად უარესი… ლუნატიკი აღმოჩნდა და ყოველღამით სამხედრო ქამრით ცემდა რაჟდენს. იმანაც ვერ გაუძლო… ვინ გაუძლებდა… – რუსეთში გაექცა. რაღაც ჰარმონიული განვითარების ცენტრში მოეწყო ლაბორანტად და კარგათ ვარო…
– ვა… – უკვირს მამას.
– დადუ და გივია კიდევ ზიან – ვალუტის ბუტკა ჰქონდათ სადგურზე, ათდოლარიანებს ნოლიანებს ახატავდნენ და ვინ შეარჩენდა…
– ალიკა? – კითხულობს მამა.
– ვინ ალიკა?… რიჟა ალიკა?… – უკვირს ვანიჩკას. – ეეე, შენ მართლა არაფერი გცოდნია…
თავს უარის ნიშნად აქნევს მამა.
– რიჟა ალიკამ ომი რომ მოხდა, სამხედროს კაბინეტიდან ავტომატი მოიპარა და წავიდა. იმ თვითმფრინავში იჯდა, თავიდან რომ ააფეთქეს – მისი სურათებიანი ბროშკებით დავდიოდით მერე ყველანი, თან შავებში – ის კიდევ ორ წელიწადში გამოჩნდა – თან ვიცე–გენერალ! ეგრევე ალექსანდრე გახდა…
– ვაა…

– აბა აქ ცხოვრებას იკადრებდა?… ეგეც გადავიდა და გადავიდა. ისე, მოდის ხოლმე, დომინოს გვეთამაშება მაზიანზე, ან გარაჟში კონიაკს ვსვამთ და ისე თვრება, სულ რუმინულად მღერის… მაშოც აღარაა შვილებიანად… ჩვენი მაშო. – აჰყურებს ვანიჩკა სარკეზე მიკრული ფოტოებიდან ერთ–ერთს.
ფოტოზე მკაცრი სახისა და მძლავრი ნიკაპის მქონე ქალია გამოსახული, რომელსაც გარს ბევრი ბავშვი ახვევია.
– ბოლოს, მეცხრე გოგო რო ეყოლა სულ გააფრინა, თან ხომ არცერთის მამა არ იცოდა… გაყიდა ბინა, ოთხი ბავშვი ბავშვთა სახლში ჩააბარა, ხუთი წაიყვანა და იალა სამსუნში… მართლა, სადაა სამსუნი?
მხრებს იჩეჩავს მამა.
– რა მნიშვნელობა აქვს ისე… – ამბობს ვანიჩკა და სარკის ზემოთ გაკრულ ფერად პლაკატს აჰყურებს. პლაკატიდან სანახევროდ ტიტველი, ქერათმიანი ქალი იმზირება. – ჰო… ტატო პანკრაშკინი კიდევ საბერძნეთში გადასახლდა… ბოლოს რომ დარეკა, ხუთი წლის წინათ – ოპერაცია გავიკეთეო, ტატიანა პანკრაშკინიდისი გავხდიო… გააფრენ კაცი!… აი ნახე რა პლაკატი გამომიგზავნა… აზზე ხარ? სულ გადაირიენ!.. კიდევ ვინ გითხრა… მდაა… ჰო… დანარჩენები კიდევ ჩვეულებრივად მოკვდნენ… ჰო, მაგდა კიდევ, ზიარ–მაგდა ისევ აქაა… გახსოვს, ზიარ–მაგდა, ერთმანეთი რა მაგრად გიყვარდათ?
ეცინება მამას.
– ახლა ვინ ყავს?
– მაიცა რა!.. ვის რაღათ უნდა… ხურმის ჩირივითაა ტანზე, ჩემი თვალით ვნახე… ერთი იშვილა – ე, ისა… – ეზოსკენ იშვერს ხელს ვანიჩკა. ეზოსკენ იყურება მამაც. ისევ გუნდად ირევიან ეზოში ბავშვები.
– ქერა როა… იოსკას ეძახის…
– მართლა? – მთელ ტანზე ბურძგლავს მამას.
– უ, რა ჩათლახი ბავშვია!.. ამას წინებზე კინაღამ პაჭარი გამიჩინა… ისე, მე მგონი შენ პონტში დაარქვა…
ნაღვლიანდება მამა.
– შენ სადღა ხარ, იოსკა, რო აღარ ჩანხარ? – უტრიალდება მამას ვანიჩკა და ისევ ზეწრებს აუთოებს.
– სოფელში. – პაუზის შემდეგ პასუხობს მამა და სავარძლის სახელურზე თითებს ნაძალადევად ათამაშებს. – ძროხა მყავს… ბატები… ეზო. ვენახი, ხილი, ბოსტანი…
– ვა, ბოსტანი მაგრად ასწორებს!… მაიცა, მერე ვინ უვლის? – უკვირს ვანიჩკას.
– ვინ მოუვლის… მე ვარ… – უხსნის მამა.
– ი ვსო?
– მეტი ვინ გინდა…
– ვა, შენ რა გიჟი ყოფილხარ… მარტო როგორ ძლებ, ტო… ცოლი–მოლი აღარ მოგიყვანია?
– მარტო რა – მეზობლებია…
– მეზობლებს გავკარი! – ფეთქდება უცებ ვანიჩკა და იქვე წყნარდება: სადალაქოში თავს თმაგვერდზეგადავარცხნილი, წვრილულვაშა კაცი ჰყოფს.
– ბატონო ჯონი, პირის ბალანმა შეგვაწუხა…

– სამამდე პროფილაქტიკა მაქვს… – უგდებს პასუხად ვანიჩკა და საათს დასცქერის. – ხუთს რო თხუთმეტი, მაშინ მოდი…
– ბატონო ჯონი, ერთი წამით არ დავაგვიანებთ! – თვალს ეფარება კაცი. მამას უტრიალდება ვანიჩკა.
– ახალია. შენ წინ იყიდა ბინა… მგონი პიდარასტია…
– ხომ არ მოწონხარ? – ეღიმება მამას.
განზე ზიზღით აფურთხებს ვანიჩკა.
– ა, ეგღა მაკლია!.. სულ მაღალ ქუსლებზე კი დადის… თან ტრაკსაც ისე აქანავებს…– მერე შენც რა ტრაკზე უყურებ? – ელაზღანდარება ვანიჩკას მამა და უცებ თავში ირტყამს ხელისგულს. – რამ გამომაშტერა!..
ძველი გაზეთით თავმოხუფულ კალათს ფეხებთან იჩოჩებს მამა და გაზეთს აძრობს. – ვაა… – აღებს პირს ვანიჩკა და თვალები უბრწყინავს. დაუთოებულ ზეწრებს კოხტად კეცავს და უჯრაში ინახავს. მერე უთოსაც თიშავს. ნაირ–ნაირი ნუგბარითაა სავსე კალათი: ვაშლი, მსხალი, თხილი, ბროწეული, კაკალი, ქლიავი, ჩირი, ჩურჩხელა. დაცობილ ბოთლს აქვს თავი ამოყოფილი შუაგულიდან. ბოთლს იღებს კალათიდან მამა.
– ოტკა? – იფშვნეტს ხელისგულებს ვანიჩკა.
– კარალიოკისაა… ჩემი გამოხდილი.
კარადის უკნიდან დაბალ მაგიდას ირებს ვანიჩკა. ბოთლს დგამს ზედ მამა და აქეთ–იქიდან ხილს უყრის.
–ჭიქები, ჭიქები… – დაფათურობს სადალაქოში ვანიჩკა. – ვინ რას შეგარჩენს… აზზე ხარ, რა ბოქლომიც არ დავადე, ყველას აღებენ – შემოდიან, ხან რა მიაქვთ, ხან რა… დილით კიდევ ნახმარ განდონებს ვხვეტავ… საგიჟეთია ნამდვილი, ტო…
ბოლოს მაინც პოულობს ორ დაბზარულ ჭიქას ვანიჩკა. მამა ბოთლს საცობს აძრობს და არაყს ასხამს.
– ვა, ეს უკვე პროფილაქტიკა კი არა, რევიზიაა… – კმაყოფილია ვანიჩკა, სადალაქოს კარს კეტავს და აბრას ატრიალებს.
„შემო“ – იუწყება შიგნითა მხრიდან მუყაოს ოთხკუთხა ნაჭერი.
– აბა, შენ ჩამოსვლას… ჩვენ დახვედრას… – წევს ჭიქას ვანიჩკა და მამას უჭახუნებს.
– კარგათ უნდა ვიყოთ… – დუდუნებს მამა.
უცებ ყლურწავს ვანიჩკა და სახე ემანჭება. მერე ვაშლს იღებს, კბეჩს და ოხშივარს ხმაურით უშვებს ფილტვებიდან.
– ეს სპიდით მკვდარს გააცოცხლებს, ტო! – იძახის აწითლებული და სკამზე ჯდება.
– ამინ… – ამბობს მშვიდად მამა და ისიც სვამს.
ცოტა ხანი უბრად სხედან. მერე ისევ ასხამს ჭიქებში მამა და ვანიჩკას შეჰყურებს.
– და ისინი როგორ არიან? – კითხულობს ხმადაბლა.
– ვინ ისინი? – ვერ ხვდება ვანიჩკა და ისევ ვაშლს კბეჩს.
საჩვენებელ თითს მაღლა სწევს მამა.
– ჩემთან… მარია… ბავშვი.
ჯერ წარბს კრავს ვანიჩკა. მერე პირს აჩერებს.
– ე, არ იცი?
– საიდან აბა? – იჩეჩავს მხრებს მამა. – მე იქ ვარ… ეგენი აქ…
– მაიცა–მაიცა, სულ არაფერი არ იცი?

უარის ნიშნად აქნევს თავს მამა.
– ვა, მე მეგონა რეკავდი ხოლმე, კითხულობდი…
თავს ქინდრავს მამა.
– მაგარი ხარ აი… ეგ რანაირი მამა ხარ, ტო?.. არა, ძმაო, აგერ მე, ჩემი ანჟელა ხო ლოს–ანჟელესში გათხოვდა – მაინც ყოველდღე ვრეკავ, ვაკონტროლებ…
– სოფელში არაა ტელეფონი… – ამბობს თავისთვის მამა და დუმდება.
– ბიჭი კარენოი ლოს–ანჟელესელი გამოუჩნდა… კუტურიეა…
– ვინაა? – ვერ ხვდება მამა.
– არა, განა ეგ ცუდი სიტყვაა, ტო… ფრანგული სიტყვაა… ქალების მკერავს ნიშნავს… ვსმისლე ტანსაცმლის მკერავს. ჩემი ანჟელას ბიჭი… – დანანებით აქიცინებს თავს ვანიჩკა და ვაშლს ახრამუნებს. – შენები რამდენი ხანია არ გინახავს, ესე იგი? ლეტ სემ–ვოსემ?
– ოცდაერთი.
– ო, ბოჟე! – დგება ფეხზე ვანიჩკა და ნერვიულად ცემს ბოლთას. – მერე რას მიზიხარ აქ! დალევას ხომ მერეც მოვასწრებთ… ოცდაერთი რა ამბავია?!
– და როგორ არიან? – კითხულობს მამა.
– როგორ იქნებიან… – ვაშლის ნარჩენს ნაგვის ყუთში აგდებს ვანიჩკა და ხელებს ხალათზე იხოცავს. – ჯანმრთელად!.. ეკლესიაში დადიან. იქ მღერიან თუ რაღაცა. ჰო… მარია ლაბორატორიაშიცაა… თაგვებს ჭრის შუაზე და მიკროსკოპით უყურებს. ვა, ესე იგი გოგოც არ გინახავს?.. აბა შენა ხარ!.. ე, იცი, რა გოგო გყავს?.. ბავშვიო… ვინაა ბავშვი, ეგეთი მეორე არ დადის მთელ პლეხანოვზე, ბიჭები ხოცავენ ერთმანეთს მაგის გულისთვის. ერთი–ორჯერ პერესტრელკაც იყო მურტალი… აეს ვიტრინა მაგათ ჩამიმსხვრიეს, ძლივს ვიშოვე შუშა… – ვანიჩკა ხელს სადალაქოს ფანჯრისკენ იწვდის. – თან რა კეთილი გოგოა, რა კეთილი… ვა, შენც რა მაგარი ხარ… არაფერი არ იცი. მე კიდევ მეგონა ყველაფრის აზრზეა–თქო…
– აბა საიდან? – იწურავს მხრებს მამა.
ისევ სკამზე ჯდება ვანიჩკა და ჭიქას იღებს.
– მერე რას აპირებ?
– მოვიკითხავ. – ამბობს მამა და ხილით სავსე კალათისკენ იყურება.
– უნდა მოიკითხო, აბა რა უნდა ქნა?..
– თან… დღეს ჩვენი ქორწინების ოცდახუთი წლისთავია…
– ეეე… – იქნევს ხელს ვანიჩკა, უცებ მშვიდდება, ტკბება და მაღლა სწევს ჭიქას.
– მოდი, მაშინ ძმაო, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს!..
– ოღონდ ოცდახუთი წლის წინათ… – უჭახუნებს ჭიქას მამა და ერთდროულად სვამენ.
ჩურჩხელას ტეხენ მერე.
– ეს რა დრო გასულა თურმე… – ამბობს თავისთვის ვანიჩკა და ყურიდან ყურამდე გაღიმებული ფიქრებში მიდის.
– და როზა როგორაა? – კითხულობს მამა.
– ეჰ… – სევდიანდება ვანიჩკა. – სადღაა როზა… ჩემი როზა რა ხანია პეტრე– პავლეზეა… ბიუსტიც დავუდგი შავი მარმარილოსი…
ისევ სიჩუმე ვარდება სადალაქოში. ეზოდან ოდნავ თუ აღწევს ბავშვების ჟრიამული.

– მერე რანაირად გაცვია, ტო? – ამბობს უცებ ვანიჩკა და დასერიოზულებული ფეხსაცმელებზე დაჰყურებს მამას.
ხევდება მამა. სახეზე სიწითლე დაურბის. ისიც ფეხსაცმელებზე იყურება.
– მაშინდელია ესენი… – ლუღლუღებს ჩუმად. – ქორწილში მეცვა… დაძველებულა.
– ტუფლები კ ჩორტუ! – ყვირის ვანიჩკა. – მაგრამ შარვალი დაჭმუჭნული და საროჩკა სველი?!.. კაი რა… შენ და ეგრე?
– ცხელოდა ავტობუსში… – იმართლებს თავს დარცხვენილი მამა. – თან სავსე იყო… თან…
– გაიხადე აბა, დროზე გაიხადე!.. – აღარ უსმენს ვანიჩკა. – ხელათ გაგიუთოებ!.. სულ ახალს დაგიმსგავსებ!.. დროზე, ჰე, არ ამაყვირო!
იბნევა მამა.
ფეხზე დგება ვანიჩკა და უთოს რთავს ისევ.
– დიდხანს გელოდო? – უტრიალდება მამას. – დენი ტრიალებს… ვალუტა!
– სირცხვილია… – ლუღლუღებს მამა.
– რა არის სირცხვილი?!… ნიფხავი არ გაცვია თუ რა?…
– ვინმე რომ შემოვიდეს…
– ვინმე კი არა!.. დაკეტილი ვარ, ვერა ხედავ? – ამრეზით იქნევს ნიკაპს ვანიჩკა. – თან წვერიც გასაპარსი გაქ… თმაც გასაკეთებელი. ბოლოს როდის გაიკეთე თუ გახსოვს?.. ყველაფერს მოვუვლით… შენ დალაქი ჯონი არ იცი… ჰე, დროზე–მეთქი! რას მაყაყანებ?!
– შამფურივით ტრიალებს ვანიჩკა და საუთოებელს აწყობს.
მორიდებით იწყებს გახდას მამა. ჯერ პერანგს იხდის და მორიდებით უწვდის ვანიჩკას.
წელსზევით შიშველ მამას მთელ ზურგს უზარმაზარი სვირინგი უფარავს. დიდი ეკლესია აქვს ამოსვირინგებული ზურგზე მამას.
– ეგ რა გაქ, ტო? – ცბება ვანიჩკა, ხალათის ჯიბიდან ლუპას იღებს და მამას ზურგს უთვალიერებს.
– არაფერი… ვიმაიმუნე ჩემთვის… ციხეში…
ზურგზე ისევ ლუპით დასცქერის ვანიჩკა მამა.
– არა, ძმაო, ეს მაიმუნობა კი არა, ხელოვნებაა… ვაა… – იქნევს თავს ვანიჩკა. – მართლა გიჟი ხარ აი… გამოდის, კაი ხანი იჯექი… რამდენი, ესე იგი?
– თხუთმეტი.
თვალიდახამხამებაში ჭიმავს პერანგს საუთოებელზე ვანიჩკა, სველ ტილოს აფარებს და უთოთი სწრაფად უვლის ზედ.
უცებ აუთოებს.
– სუპერ–ლაით! ხომ ვარ იური ჯორკაეფი? – თვალებაბრწყინებული აფასებს თავის ნახელავს და სკამის საზურგეზე ფენს გაუთოებულ პერანგს.
– ვინა? – ვერ ხვდება მამა.
– ჩვენიანია ერთი, კაი ბიჭი… ახლა შარვალი! – უტრიალდება ვანიჩკა მამას.
ჯერ ქამარს, მერე ხვანჯარს იხსნის მამა. შემდეგ შარვალსაც იხდის და გრძელ ფოხანში რჩება.
– სულ არ შეცვლილხარ ისე… – ათვალიერებს ვანიჩკა მამას და შარვალს ართმევს. – ეგრევე გიცანი… იოსკაა– მეთქი. პროსტო თმა გაქ გრძელი… მაგ წვერში კიდე ბანდიტს გავხარ. ერთიც დავარტყათ.

ცალი ხელით უცებ ასხამს ჭიქებში არაყს ვანიჩკა.
– აბა, მოგონებების იყოს!
ჭიქებს უჭახუნებენ და ერთდროულად სვამენ. მერე შარვალს უტრიალდება ვანიჩკა. ღიღინსაც იწყებს. გრძელ ფოხანსა და დაბრეცილ ფეხსაცმელებში ზის მამა. ეზოს გაჰყურებს. კვლავაც გორგოლაჭებიან ფიცრებზე დგანან ბავშვები და აქეთ– იქით ჟივილ–ხივილით დაქრიან.
– გახსოვს, ვანიჩკა, ჩვენი ფიცარი? – კითხულობს უცებ მამა.
ეზოსკენ იხედება ვანიჩკა და იღიმება.
– სხვა რა მახსოვს!.. – ამბობს და შარვალს ატრიალებს. – ის ფიცარი ახლაც შენახული მაქვს ჩერდაკში… ერთი ბორბალი აკლია… მგონი ეგეც მომპარეს… რა სალტოებს აკეთებდი!.. აქ ეგეთი მაგარი ახლაც არავინაა…
კვლავ ფეხსაცმელებზე იყურება მამა.
გაუთოებულ შარვალსაც სკამის საზურგეზე ფენს ვანიჩკა, მაკრატელს სწვდება და ჰაერში აკრაჭუნებს.
– ახლა კი პური და ყველი… აბა სარკისკენ გატრიალდი!…
სავარძლიანად სარკისკენ ტრიალდება მამა და თავის ანარეკლს მორიდებით შესცქერის.
– აი ეგრე… მალადეც!
თავის გაუთოებულ, თეთრ ზეწარს აფარებს ვანიჩკა მამას და კისერთან უნასკვავს.
– ჰე, როგორ ვქნათ… კანი გამოჩნდეს?

* *

სადარბაზოს კიბეებს ნელი ნაბიჯით მიუყვება მამა. ხელში ისევ თავისი, მოზრდილი კალათი უჭირავს – მძიმე და ძველი გაზეთით თავმოხუფული. ფეხსაცმელი კვლავაც ძველისძველი, ქუსლებდაბრეცილი და დაჭყლეტილი აცვია, სამაგიეროდ შარვალი აქვს კოხტად გაუთოებული – თაგვისფერი პერანგიც; თმაც მოდურად, თუმცა ოკრობოკროდ შეუჭრია, წვერიც პირწმინდად გაუპარსავს. მაინც ნერვიულობს, თითქოს გულიც აქა– იქ უცემს – ხან ხმამაღლა, ბრახუნით, ხანაც პირიქით.
სუსტად მბჟუტავი ნათურა ანათებს სადარბაზოს და ისიც ზუსტად ისეთია, როგორიც ბავშვობიდან ახსოვს მამას – გრილი და ექოიანი.
მეორე სართულზე ასულს მაინც ოფლი ასხამს. არ ჩერდება. კიდევ ერთ სართულს ადის და აყურადებს. ხმაურია სადარბაზოში. აქა–იქიდან სხვადასხვა არხებზე ჩართული ტელევიზორის ხმები ისმის:
„…მერე, ერთხელაც იმეილით გამოუცხადებ, რომ ორსულად ხარ – სულაც არაა აუცილებელი მისგან იყო…“
გზას განაგრძობს მამა. კიდევ ერთ სართულს იტოვებს უკან და მხოლოდ მერეღა ისვენებს. ოფლი უკვე ღვარად ჩამოსდის სახეზე. იმშრალებს ცხვირსახოცით და მაინც…
„…მამაო, ჩემი ქმარი ხშირად თამაშობს ტოტალიზატორში, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?…“
ბოლო სართულამდე ასული უკვე მთლიანად სველია მამა – არც პერანგსა და არც შარვალს ეტყობათ რამე ცოტა ხნის წინ გაუთოებულის.

„გვახსოვდეს – ადამიანი ცხონდება (გადარჩება) არა ამა თუ იმ ნიჭით, არამედ ღვთის წყალობით და თავისუფალი არჩევანით: იყოს თუ არა ღმერთთან.“ თავისი ყოფილი ბინის კარს მაშინვე ცნობს მამა. კარი ისეთია ისევ, ხის, მქრქალნაკაწრებიანი:
„იოსკა–სოსკა“… „იოსკა პლიუს მაგდა“… „1980“… „იოსკა, ვანიჩკა, ალიკა, გივია = ძმებს“… „დინამო – არარატ 4:0“ …
ბავშვობისდროინდელი ნაკაწრები სულს უგუბებენ მამას – ყელთან მლაშე გორგალი ებჯინება, კალათს ძირს დგამს და კარს დაკოჟრილ ხელისგულს უსვამს. თითქოს თბება. მერე ჯიბიდან ისევ ცხვირსახოცს იღებს და სველ სახეს იმშრალებს. ხშირ–ხშირად მსუნთქავს გული ამოვარდნაზე აქვს.
„…მართალიცაა! ამ კომპიუტერებმა ხომ სულ გამოგვილენჩეს კაცები, ყავის სმამ საერთოდ მოუსპო მათ ჭეშმარიტი სიყვარულის სურვილი, სიგარეტი კიდევ – ღმერთმა უწყის რა უბედურებაა შიგნით გარეული…
მის უკან კარი იღება ამ დროს. სწრაფად გატრიალებული მამა სპორტულ შორტებში გამოწყობილ იმ წვრილულვაშას ხედავს, ხუთისთვის რომ დაიბარა ვანიჩკამ სადალაქოში.
„…მასთან ბრძოლა უპირატესად სულიერი უნდა იყოს, რაც შედის კიდეც ეკლესიის ფუნქციაში…“
ბინიდან მოხდენილი ნაბიჯით გამოდის კაცი და კარს კეტავს, თან ამრეზით ათვალიერებს მამას. მერე ტანის კოხტაპრუწა ქნევით ჩარბის კიბეებს და თვალს ეფარება.
„…ერთი შეკითხვა მაქვს, მამაო გეგა – ბავშვებს ვამზადებს ინგლისურში და ამის გასამრჯელოდ ფულს ვიღებ მათგან – ცოდვად თუ მეთვლება?…“ ისევ თავისი ყოფილი ბინის კარისკენ ტრიალდება მამა და ფიქრობს. თანდათან წყნარდება, მშვიდდება. მერე ხელს იწვდენს და ზარის ღილაკს გაუბედავად აჭერს თითს. ზარი ბავშვობისდროინდელ ხმაზე ჟღრიალებს და უცებვე წყდება. ყუჩდება თავიდან მამა. შემდეგ ისევ იძაბება. ჯიბიდან სათვალეს იღებს. იკეთებს. ისევ იხსნის და კვლავ ჯიბეში იბრუნებს.
ცოტა ხანში ნაბიჯების ხმა ესმის მამას. ხმა ახლოვდება და უეცრად წყდება. ხვდება მამა, რომ საჭვრეტიდან უყურებენ და წითლდება.
„…ღრმულები, რომლებიც კი ბუნებაში მოიძევება – კლდის ქვაბულები, ვულკანთა კრატერები, ადამიანის ხვრელები – ყოფიერების ამოუცნობი ძალებისკენ მიმავალი იდუმალი გზებია…“ – ღაღადებს ბინაში ჩართული ტელევიზორი. კარს ჯაჭვზე აღებენ და ვიწრო ჭრილში საოცრად ლამაზ, ცისფერთვალებიან, მზით გარუჯულ სახეს ხედავს მამა.
„…თუმცა, შენც მართალი ხარ – ვისღა ახსოვს, რომ ჩვენ სწორედ მათი გულებისთვის ვიკეთებთ ცხვირის, ტუჩების, მკერდისა და კიდევ სხვა ადგილების ოპერაციას.“
ღია კარის ჭრილიდან თავიდან ფეხებამდე ათვალიერებს ენაჩავარდნილ მამას გოგო და მზერას მის დაჭყლეტილ ფეხსაცმელებზე აჩერებს.
– ერთი წამით… – იძახის მერე წკრიალა ხმით და კარის ჭრილიდან ქრება. ვერაფერს ხვდება მამა; – აყურადებს. მხოლოდ ჩქარი ნაბიჯების ხმა ესმის, ნელ–ნელა რომ წყდება.
„…მაგ ჟურნალში, მაგალითად, გლდანში თუ ცხოვრობ, არ დაგბეჭდავენ…“
ცოტა ხანში კვლავ ნაბიჯების ხმა ისმის. ჯაჭვის ჩხარუნიც ისმის და კარიც ბოლომდე იღება. ისევ უსაშველოდ ლამაზი, მზით გარუჯული, ჩამოქნილი გოგო დგას ღია კარში.

„…დღეს დოლარის გაუფასურების ტენდენცია მძლავრობს მსოფლიოში. ამიტომ, ამერიკელებზე თავის შეკავება გმართებთ. გირჩევნიათ კორეელი იყოს, ან ბოსნია–ჰერცეგოვინელი, თუნდაც შვედი…“
ხელში შავი პური უჭირავს გოგოს.
– ხურდები სულ არ დამრჩენია… დედაც არაა… აი ეს გამომართვით… თავისდაუნებურად უშვერს ხელს გოგოს სულ მთლად დამუნჯებული მამა და ისიც პურს აჩეჩებს ხელში.
– იმას ტყუილად ნუ თხოვთ, მაინც არაფერს მოგცემთ… – უთითებს მოპირდაპირე კარზე გოგო და კარს ცხვირწინ უკეტავს.
ისევ ნაბიჯების ხმა ესმის მამას, რომელიც მალევე წყდება.
კვლავ ხმაურია სადარბაზოში – ნაირ–ნაირი ფრაზები სხლტებიან სხვადასხვა არხებზე ჩართული ტელევიზორებიდან.
„…უბრალოდ, თქვენ აძლევთ, კარგად დაუკვირდით, საკუთარ ყველაზე წმინდა ნაწილებს (საიდანაც სიცოცხლე იღებს სათავეს), სასირცხო და ბინძურ მნიშვნელობას!..“
კარის წინ პურით ხელში დგას მამა და ისევ აქა–იქ უცემს გული. ტრიალდება მერე, პურს სუნავს და ნელი ნაბიჯით უყვება კიბეს.
ერთ–ერთ საფეხურზე უცებ შეყოვნებული უკან იხედება მამა და თავის კალათს აჰყურებს. კარის წინ გაფენილ ტილოზე დგას კალათი და თავი მჭიდროდ აქვს მოკრული ძველი გაზეთით.
„…დღეს კი, ყველაფერი ყირამალა! ქალებმა შარვლები ჩაიცვეს და თმა მოკლედ შეიკრიჭეს. ზოგმა ფეხების პარსვასაც კი თავი მიანება – მაინც სულ შარვალი მაცვიაო…“

* * *

შავი პურით ხელში ნელა ჩამოდის კიბეებს მამა. მთლიანად გალუმპულს გრძელსახელოებიანი, თაგვისფერი პერანგი ისევ სასაცილოდ ადგას ტანზე. შარვალიც კვლავ მუხლებგამობერილი აცვია; – ფეხსაცმელიც ძველი, ქუსლებდაბრეცილი და დაჭყლეტილი. ისევ ისეთი, ნაცნობია სადარბაზო – გრილი და ექოიანი – კვლავაც ნათურის სუსტი შუქით განათებული. ბინის კარებიც არ გამოუცვლიათ მაინდამაინც, კედლებიც არ შეუღებავთ, და ყველაფერი, მაშინდელი – იმდროინდელი ჩხაპნილები, ჭერზე აკრული ასანთის ნამწვები, ლაქები – ჯერაც ზედაა: გუშინდელივით, თუ გუშინწინდელივით.
ყოველ საფეხურს ცნობს მამა, ყოველი ნაბიჯი ზრიალით დაუდის მთელ სხეულში და ისევ ცხელა. ოფლი წურწურით ჩამოსდის სახეზე, იქიდან ყელში, მერე უფრო ქვემოთ… თან სადარბაზოდან გამოსულს გორგოლაჭებიან ფიცარზე შემდგარი ქერა ბიჭი ეჯახება და კინაღამ აქცევს.
– Извините дядя, я ненарошно!
ფიქრებიდან უმალ ერკვევა მამა, ნაღვლიანად უღიმის ბიჭს და ხელისგულს უთათუნებს თავზე.
ერთ–ერთი სართულის ღია ფანჯრებიდან სადღეგრძელოები და ჭიქების წკარუნის ხმა ისმის:

„…ამ ჭიქით, ამ უძირო სასმისით, მეგობრებო, მე მინდა ის უდიდესი გულისტკივილი, მწუხარება, თავზარდაცემა და რავიცი გამოვხატო, ჩვენი ძვირფასი ბიჭიკოს დიდებული სიდედრის, ტრადიციების მიმდევარი ქალის, ინტელიგენტი დედის უდროოდ წასვლისდა გამო…“

– შენ რა გქვია?

– Йоска. – პასუხობს ბიჭი და წაგორიალებას აპირებს.

– დამაყენებ? – უთითებს უცებ ფიცარზე მამა.

გაკვირვებით იჩეჩავს მხრებს ბიჭი; მერე ფიცრიდან ჩამოდის, განზე დგება.

„…ამ კეთილშობილმა პიროვნებამ, დამეთანხმებით, ისეთი ნატიფი სიყვარული ჩაგვინერგა ყველას თავისი რაობითა და ვინაობით, და განსაკუთრებით კი ჩვენს დაქვრივებულ ბიჭიკოს, რომ შეხედეთ ხალხნო და ჯამაათნო, რას უგავს ჩვენ ბიჭიკოს თვალები… და არა მხოლოდ თვალები! ეს ხომ დარდის მზერაა, უთქმელი გლოვისა და ვარამის მზერაა და რავიცი!…“

მკვირცხლად ხტება გორგოლაჭებიან ფიცარზე მამა, ცალი ფეხის წვერს მთელი ძალით ჰკრავს ასფალტს და შუა ეზოსკენ მიგორავს. ვიდრე ეზოს შუაგულამდე მიაღწევდეს, ხელში შავი პურით ხტება ჰაერში, წრიულად ბრუნავს და ფეხისგულებით ისევ ფიცარს ებჯინება.

მერე ფრთხილად ჩამოდის, ფიცარს იღებს და ბიჭისკენ მოემართება.

– როგორი იყო?

„…სიცოცხლით აღსავსე, დიდებული და ბრწყინვალე ქალბატონი წავიდა ჩვენგან… წავიდა და დაგვტოვა ყველანი მგლოვიარედ, ძაძით მოსილები, მაგრამ ვითვალისწინებთ რა, რომ სიკვდილის შვილები ვართ ჩვენ ყველანი – წესია ასეთი ბუნების და კანონია იგი მისი, მაშინ ჩვენც იგივ გზას უნდა ვეწიოთ ადრე თუ გვიან… ჰოდა აქედან გამომდინარე, არც ისე დიდი მანძილი უზის შორის სააქაოსა და საიქიოს. იქ გააგრძელებენ სიძე–სიდედრობას ჩვენი ბიჭიკო და…“

აგდებულად ასცქერის ბიჭი მამას და ფიცარს უკმეხად ართმევს.

– Это что, дядя, здесь двадцать лет тому назад один Йоска жил, вы бы видели, как он катался! – პასუხობს ცივად და გორგოლაჭებიან ფიცარზე შემდგარი ეზოს შუაგულისკენ მიგორავს.

თავიდან ფეხებამდე აჟრჟოლებს მამას და სადალაქოსკენ აპარებს მზერას. წვრილულვაშას პარსვითაა დაკავებული ვანიჩკა, ეზოში კი კვლავაც ბავშვების ჟრიამულია – ისევ აქეთ–იქით დაქრიან და ერთმანეთს გორგოლაჭებიანი ფიცრებიდან ხელისკვრით ჩამოგდებაში ეჯიბრებიან ბავშვები.

უჩუმრად ჭრის ეზოს მამა და თაღის გავლით განიერ ქუჩაში გადის. ტრანსპორტის ხმაურია ქუჩაში და დანისლული, მტვრიანი ბუღიც დგას ზაფხულის. ცხელ ნიავს მეგაფონში ნათქვამი წყვეტილი ფრაზა მოაქვს. სადღაც შორიდან მომიტინგეთა გუგუნიც ისმის. ყოვნდება მამა. მდუმარედ დასცქერის შავ პურს. შემდეგ თავს იღებს – აქეთ–იქით იყურება. მერე მძიმედ აქნევს თავს და იქვე მდებარე ლუდხანისკენ იძვრის.

* * *

– ვობლა არი?
– არი.
– მაიტა აბა ერთი. – ჯიბიდან დაჭმუჭნულ ფულს იღებს მამა და დახლზე დებს. – ოღონდ კაი ამირჩიე…
– გაგირჩიო ბარემ?
– მე თვითონ… პური არ მინდა.
– ლუდი?
– არც ლუდი.
თევზს ცელოფანის თხელ პარკში დებს დახლიდარი და ისე აწვდის მამას.
მამა ართმევს. ათვალიერებს. თან ყნოსავს. მერე თვალებს ხუჭავს.
– მაიცა კაცო, შენა იოსკა არა ხარ? – ესმის უეცრად დახლიდარის შეძახილი მამას და ისიც უმალ ახელს თვალს – დახლიდარს უსწორებს მზერას.
ცოტა ხანი მდუმარედ შეჰყურებენ ერთმანეთს.
„…რადიო–რეპორტაჟს გაუძღვება თქვენი ყურმოჭრილი მონა–მორჩილი…“ – დუდუნებს კედლის რადიო.
წარბს კრავს მამა.
– არა! – ამბობს იქვე, უარის ნიშნადაც აქნევს თავს და გატრიალებული სწრაფად გადის გარეთ.

* * *

მდინარის მოაჯირთან დგას მამა და მოაჯირს იდაყვებით ეყრდნობა. წინ გაშლილ, თხელ ცელოფანზე განახევრებული შავი პური და დაქუცმაცებული თევზი უდევს. მისგან მოშორებით, ასევე მდინარის მოაჯირზე, ბეღურები სხედან და პურის ნამცეცებს კენკავენ.
„…ბოლოსდაბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ძლიერ გწყურიათ, ვისი ხელისგულიდან დალევთ წყალს? …თან ხომ გახსოვთ – წყალი ჭეშმარიტებაა, რადგან ის არც ტკბილია და არც მწარე!“ – შორიდან ისევ მომიტინგეთა გუგუნი ისმის.
ნაგავი მიაქვს მდინარეს.
ყარს ყროლის სუნად.
პეწიანად ჩაცმული, გულზე წიგნმიხუტებული მამაკაცი უახლოვდება მამას.
–მაპატიეთ, მაგრამ ხომ არ ისურვებდით უფრო მეტი გაგეგოთ მარადცოცხალი ღმერთის შესახებ? – ეკითხება თავაზიანად.
ძველისძველ, ქუსლებდაბრეცილ, დაჭყლეტილ ფეხსაცმელებშია მამა. არც მუხლებგამობერილ შარვალს ეთქმის ახალი; – იღლიებამოსველებული, გრძელსახელოებიანი თაგვისფერი პერანგი კი საერთოდაც დიდი აქვს და უხერხულად ადგას ტანზე.
თევზსა და პურს შეექცევა მამა.

გურამ მეგრელიშვილი

რატომ ფოსტის ყუთი?

ჩემთვის ყველაზე კარგია რაც დამიწერია და ყველაზე დიდი მიქარვაა ამავე დროს. ამ ნაწერზე ნამდვილი მწერალივით ვიმუშავე: მთელი თვე გამოვიკეტე ნათესავის სახლში და ვწერდი. ეგ იმ დროინდელი ნაწერია, როცა ლიტერატურას ძალიან სერიოზული სახით და ალბათ სერიოზულივე ფეხებით ვუყურებდი და აი, ეგეთივე გამოვიდა: „სერიოზული“.
მუშა ხარ და იმუშავე შენ ბაღში. რაც მოგეცემა სამუშაოდ, იმაზე იმუშავე რას ეძებ რთულ ან იოლ გზებს?
კაი, ჰო, უყურე ლიტერატურას სერიოზულად, ოღონდ სერიოზულად მხოლოდ ფეხებით.
რავიცი, ავირჩიე რა. რამე ხომ უნდა ამერჩია და ეგ ავირჩიე. სხვა თუ არაფერი გააღიზიანებს მაინც ვინმეს.

ფოსტის ყუთი

(ლიტერატურული ვერსია)
Nia-mia@posta.ge
ნუ წაიკითხავ სხვის ფოსტას!
ვიღაცის გამონათქვამი
მიდი, მიდი, წაიკითხე!
ჩემი გამონათქვამი
იქნებ და, რა წერია?!
შენი გამონათქვამი
(„ინტერნეტ–კაფეში, ჩართულ კომპიუტერთან დამჯდარმა შემთხვევით სხვისი წერილები წავიკითხე!“
ამ საფოსტო ყუთის აღმომჩენი 1999წ.)

განცხადება:

1. 1: ამ საფოსტო ყუთის აღმომჩენი გირჩევთ, წაიკითხოთ წერილები შემდეგი თანმიმდევრობით: 1, 7, 9, 12, 14, 3, 6, 8, 15, 13, 16, 17, 2, 5, 11, 4, 18, 10.

2. 2: გამომცემელი გირჩევთ, წაიკითხოთ წერილები შემდეგი თანმიმდევრობით: 18, 6, 5, 16, 17, 14, 13, 11, 7, 8, 1, 3, 2, 4, 12, 9, 10, 15.

3. 3: რეცენზენტი გირჩევთ, საერთოდ არ წაიკითხოთ ეს წერილები.

4. 4: მე გირჩევთ, წაიკითხოთ, როგორიც თქვენი სურვილი იქნება, იმ თანმიმდევრობით!

(1)
შემოსული
11.03.04 ვისგან: ჯემალ კარია

ძვირფასო ნია, იმედია, მოაგვარე ოჯახური პრობლემები, რაც ასე გაწუხებდა. მართალია, ცოტა სიტყვაძუნწი ხარ, მაგრამ ალბათ ეს შენი სიმორცხვის ბრალია.

ჩემი საქმეები გამოსწორდა – ფეხსაცმელი მოვიპარე, როგორც იქნა. მართალია ახლა ტერფების ნაცვლად, ჩემი სინდისი წუხს, მაგრამ რაკი ეს სინანული გულწრფელია, ღმერთი შეიწირავს.
ჩემმა დამქირავებელმა მითხრა, დათქმულ თანხას ვერ გადაგიხდიო, მაგრამ აღარ შევწინააღმდეგებივარ, რადგან, ჯერ ერთი, ყოველ საღამოს, წინა დღის მონარჩენ ერთნახევარ ბუტერბროდს მჩუქნის და მეორეც, ამ შეწინააღმდგებით რაც ვიწვნიე ერთხელ, ისიც მაკმაროს ღმერთმა. ეს ამბავი არ მომიყოლია შენთვის: ხუთი თვის წინ, ოცდამესამე ქუჩაზე თორმეტი ღამე ვირივით მამუშავა ერთმა ბერძენმა და ფულის გადახდაზე უარი მითხრა; შევეკამათე, პოლიცია გამოიძახა და ჩემი თავი დააჭერინა; თურმე ის ჩემისთანა არალეგალებს ამუშავებდა და მერე თავიდან ასე იშორებდა.
ციხიდან გამოსულმა, ბერძენის მაღაზიის და სახლის გადაწვა განვიზრახე. ბენზინი ნაყიდი მქონდა უკვე და ქუჩაც ისეთი იყო, სადაც ბერძენი ცხოვრობდა, რომ წამი და – ვერავინ შეგამჩნევს, ისე გაქრები, მაგრამ სახლის აივანზე ბერძენს ცოლი ეჩხუბებოდა. კაცი თავდახრილი იდგა და ხმას არ იღებდა. ვერ აგიხსნი რატომ, მაგრამ ამის დანახვაზე გადავიფიქრე ხანძრის გაჩენა და წამოვედი.
საკუთარ თავს ვერა ვფლობ, ვერა, მაგრამ მე ხომ ძლიერი არა ვარ, ნია, არა?

(2)
შემოსული
12.03.04 ვისგან: ჯემალ კარია

ნია, წუხელის სიზმარი ვნახე, ვითომ გიღალატე და ისეთი საშინელი გრძნობით გამომეღვიძა, ძლივს მოვსულიერდი. მე არასოდეს, გესმის, არასოდეს გიღალატებ, რადგან ვიცი, რა საშინელი რამაა ღალატი.
პირველს გიმხელ: სანამ აქ ჩამოვიდოდი, სერბეთში, ერთ პატარა ქალაქში მოვხვდი; წყნარი ქალაქი იყო. დღისით მეძინა, ღამით კი ვქურდობდი და ამით ვირჩენდი თავს.

მოკლედ, სანამ საზღვარს გადავიდოდი, იქაურობას კაი ხუთი თვე შემოვრჩი. ზაფხულში კიდევ არა უშავდა – სადაც მომიხელთდებოდა, იქ მეძინა, შემოდგომის ბოლოს კი, ისე აცივდა, ლამის კიდურები წამერთვა. მე იქაურ ბომჟებთან საერთო ენას ვერ ვპოულობდი, თან რამოდენიმეჯერ გამძარცვეს და ამიტომ მარტო ვიყავი. ერთი ხანობა, ძუკნა ძაღლი მივიჩვიე, სულ თან დამყვებოდა, კოჭლი იყო და მე ვაჭმევდი, ღამ–ღამობით კი ერთმანეთს ვეხუტებოდით. ამ ჩახუტებიდან მოგებული მე ვრჩებოდი, რადგან ისეთი დიდბეწვიანი იყო, საეჭვოა შესცივნოდა. მერე ეს ძაღლიც დავკარგე და დანგრეული საბავშვო ბაღის სარდაფიდანაც გამომაგდეს. მაგ დღეს იყო სწორედ, მარჯვენა ხელ–ფეხი რომ გამიშეშდა და მთელი კვირა შიმშილი რომ მომიწია. (იცი, როგორი ქალაქი იყო? ზევიდან რომ გადმოგეხედა, ალბათ სამკუთხედის ფორმა ექნებოდა.) ქალაქის ერთ მხარეს, ეკლესიის მშენებლობას იწყებდნენ; ადრეც მქონდა ნანახი, როგორ მოიტანეს ორი დიდი და ერთი პატარა კონტეინერი და ერთ ღამესაც, ძალიან, უკიდურესად რომ შემცივდა, ღობე მოვარღვიე და პატარა კონტეინერში დავწექი. ვცდილობდი, არ ჩამძინებოდა, რათა არავინ დამდგომოდა თავს, მაგრამ მაინც ჩამეძინა, თუმცა, დილით ადრევე გავიღვიძე და უკანვე გავძვერი. იქვე, ნაგვის ყუთები იყო და საჭმელზე შორს წასვლა არ მომიწევდა. მალე, სამი ბიჭი მოვიდა კონტეინერთან, შევიდნენ, ერთი საათი რაღაცეები იჩალიჩეს და წავიდნენ. საღამოს, ისევ შევძვერი, ისევ ჩამეძინა. დილით ისევ ადრე გავიღვიძე და გამოვედი. ასე გაგრძელდა ერთი კვირა, სანამ ერთ წვიმიან დღეს, რაღაცნაირად არ დამეზარა ადგომა და ხუთი წუთით მეტხანს არ გადავწყვიტე ძილი. ეს ხუთი წუთი მთელ საათს გაგრძელდა და ერთ–ერთი მათგანი თავს დამადგა.

შენთან რა მაქვს დასამალი და თავმდაბლური და ვითომ მორჩილი საუბარი გამოვიმუშავე და ხასიათად მექცა, ჰოდა, ავდექი და თავი შევაცოდე და სამშაბათამდე დამტოვა. სამშაბათობით, ადგილობრივი მღვდელი, პარაკლისს იხდიდა ხოლმე (და თუკი ის ნებას დაგრთავს, დარჩიო, მითხრა). იმ სამშაბათს საერთოდ არ გამოვჩნდი, რადგან, ჯერ ერთი, იეზიდი ვიყავი, მეორეც, არ მსურდა იმ მღვდელს ასეთი ბინძური ვენახე, მესამეც – ყოველ დღე ველოდი გამოჯანმრთელებას და აქედან წასვლას, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ის ბიჭები თავს დამადგნენ და მისაყვედურეს, რატომ არ მოხვედიო. მე, როგორც ყოველთვის, ვიცრუე – საჭმლის საშოვნელად ქალაქის მეორე ბოლოში გავედი და იქ შემოვრჩი–მეთქი. ერთმა ფული მაჩუქა, მეორემ საჭმელი ჩამომიტანა და ტანსაცმელს და საბნებსაც შემპირდნენ. როცა წავიდნენ, გამვლელ ბომჟს დავუძახე და სმა დავიწყეთ. როცა მოვუყევი, რაც ბიჭებმა მითხრეს, შეშურდა და გაგმართლებიაო. სიმართლე გითხრა, მეც დამიჯდა ჭკუაში იქ დარჩენა, მთავარი იყო მღვდელი მომეთაფლა.

მღვდელი მთლად ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. ნება დამრთო იქ მეცხოვრა, თუკი სხვებსაც არ მოვიყვანდი, თავის მრევლს კი კურთხევა მისცა დამხმარებოდნენ, ვისაც რითი შეეძლო. სანამ პარაკლისი ტარდებოდა, საჩვენებელი გამოსვლა ჩავატარე და მარჯვენა ხელით, გაჭირვებით, მაგრამ მაინც, ეზოს ქვებისაგან და ნაგვისაგან გასუფთავება დავიწყე; უნდა ითქვას, რომ ამან გაამართლა – ხალხს გული აუჩუყდა და ზოგმა ფული მაჩუქა, ზოგიც რაღაც–რაღაცეებს შემპირდა. მერე მღვდელმა მომწათლა. ნათლიებად ის ბიჭები დამიდგნენ, პირველად რომ დავინახე კონტეინერთან.

დოსითეოსი დამარქვეს. რომ გითხრა, დიდი გარდატეხა მოხდა მეთქი ჩემში, მოგატყუებ, ერთი ეგაა, იმ დღისით არ დამილევია.
მთელი კვირა, ისე მამარაგებდა მრევლი, მხართეძოზე წოლის და სიგარეტის წევის მეტი არაფერი მიკეთებია, მაგრამ გამძღარ კუჭზე, სევდა და ნოსტალგია მომეძალა; წამდაუწუმ მახსენდებოდა ჩემი სახლი, ჩემი მეზობლები და სასაცილოა, მაგრამ ის არმატურა, წამოსვლამდე ერთი კვირით ადრე რომ ჩავაცემენტე ფანჯრის წინ.
დალევა მინდოდა, რომ ეს ყველაფერი გადამვარდნოდა თავიდან, მაგრამ ნათლიებს შევპირდი აღარ დავლევ–თქო და არ მინდოდა, მთვრალი ვენახე; ამიტომ ვიწექი მთელი დღე, უაზროდ ვაშტერდებოდი ჭერს და აუტანელი სურვილი მიპყრობდა, ამ წყეული ქვეყნიდან დროზე წავსულიყავი იქ, ნანატრ ოცნებების ქვეყანაში.
იცი, ხანდახან, ადამიანის სამყოფელში, ბოროტი კაცივით იპარება ბოროტი აზრები. ასეთი აზრი შემოძვრა ჩემთანაც, როცა ერთ ღამით, ეკლესიის დიდი კონტეინერი გავტეხე.
კონტეინერში ბევრი არაფერი იყო: – ექვსი ხატი, რომელიც ჩემთვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენდა, ოთხი ტომარა ცემენტი, ჯართი, რომელსაც ვერ წავიღებდი და თორმეტი ბოთლი საბარძიმე ღვინო, რომელთაგან ოთხიც ადგილზევე გამოვცალე. ხომ არის წუთები, როდესაც ჩადენილს ნანობ, და უფრო მეტად კი იმას, რომ ამ ჩადენილის გამოსწორება შეუძლებელია, ასეთი წუთები ნამდვილად არ დამდგომია, ამიტომ შეგუებული თავხედობით დავხვდი მეორე დღეს ერთ–ერთ ნათლიას და შეშლილი სახითა და გამომუშავებული არტისტიზმით ვუთხარი: – ღმერთის სახლი... გაძარცვეს! ეს იმდენად ბუნებრივად გამომივიდა, რომ ბიჭმა შეშინებულმა მიმოიხედა და მერეღა შევიდა კონტეინერში.
– წაიღეს რამე? – ვკითხე სრულიად წამხდარმა, მან კი თავი გაიქნია უარის ნიშნად და მომეჩვენა, რომ ყველაფერს მიხვდა, მაგრამ არის ასეთი განცდა, როდესაც შენ ხვდები, რომ ის ხვდება, რომ შენ ხვდები მის გულმოწყალებას და იმასაც, რომ არაფერს გეტყვიან და აქედან გამომდინარე, დაშტამპულ ტექსტს ამბობ, მხოლოდ ფორმალობისთვის. ისიც გიყურებს და ფორმალურად გიჯერებს, რომ გულუბრყვილო არ გამოჩნდეს. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივად აღმომხდარი არტისტიზმით ამოვიძახე: – ლოთი!
– რა? – მკითხა ბიჭმა.
– ვიცი, ვინც გააკეთა ეს საქმე!
– ვინ? – უმალ მკითხა მანაც, თუმცა ეს კითხვა–პასუხობანა ორივესათვის საჭიროებისდაგამო მიმდინარეობდა – მას არ უნდოდა რომ ამ საქმის გამკეთებელი მე ვყოფილიყავი, მე კი თავისთავად არ მსურდა აღიარება, ამიტომაც თამაში გაგრძელდა და
– წუხელის... აქ რომ ორი ლოთი დადის, გინახავს?
– მინახავს!
– წუხელის, ერთ–ერთმა სკოლის ეზოში მიმიპატიჟა სასმელზე. უარზე ვიყავი, აი, ღმერთის წინაშე ვფიცავარ, ღმერთის სახლში ვარ... მაგრამ გადამეკიდა და... მაპატიე, ძმაო, შევცდი, (მცირედის დაბრალება უფრო დიდი დანაშაულის დასაფარავად, – უნამუსო კაცის ილეთი!) წავყევი და გვიანობამდე ვსვით; რომ მოვბრუნდი, შორიდანვე შევნიშნე, რომ კონტეინერის კარი ღია იყო, ოდნავ ღია იყო...
– იმ სიბნელეში როგორ დაინახე?

გავბრაზდი, თამაშისათვის შეუსაბამო კითხვა რომ დამისვა და ნაწყენი ხმით ვთქვი:
– რაღაცა გრძნობით, აი რაღაცნაირი...
– ინტუიციით!
– ჰო, ეგეთი რამით გავხედე და ვიგრძენი. მივედი და... თავში ხელი შემოვირტყი და გავიფიქრე: – როგორ გაბედეს ღმერთის სახლში, ამ... ის მეორე ლოთი ჩვენთან ერთად არ სვამდა და...
ნათლიაჩემმა აღარაფერი თქვა, მიტრიალდა და წავიდა.
გამიხარდა, ასე უმტკივნეულოდ რომ დამთავრდა ყველაფერი, გამიხარდა და ალბათ ამიტომაც დავისაჯე, რადგან ზუსტად ორ დღეში, საკუთარი ფეხით მომადგა მთვრალი კაცი. ძლივას შემოვიყვანე და დავაწვინე. ისეთი გალეშილი იყო, საკუთარი სახელიც კი აღარ ახსოვდა. ჯიბეები ამოვუტრიალე. ტელეფონი და ფული ჰქონდა. დიდხანს ვიწრიალე, ვიწრიალე და სული რომ არ წამცდენოდა რაიმეს მოპარვაზე, გარეთ გავედი და ქუჩას გავუყევი. გზაში ნათლიები შემხვდნენ. მთვრალი კაცი შევიფარე, გამოვაძინებ და გავუშვებ–მეთქი, მოვუბოდიშე და როცა საქციელი მომიწონეს, ცოტა სასმელი ვიყიდე და მივბრუნდი. კაცს ისევ ეძინა და სამათხოვროდ გავედი. საღამომდე ცოტა საჭმლის ფული ვიშოვე და როცა დავბრუნდი, მთვრალი გამოფხიზლებული დამხვდა, თუმცა თავის ტკივილით იტანჯებოდა და ერთ ჭიქა დასალევს ან მინერალურ წყალს ითხოვდა. ფული მქონდა, მაგრამ დავიწუწუნე და პალტოს ჯიბეში მაქვს და ამოიღეო; როცა ვიღებდი, ტელეფონს ერთხელაც დავხედე და რა აღარ გავიფიქრე წამის მეასედში და რა ვიცი, ასე რამ დამძლია, რომ ჯიბეში გავიქანე, გარეთ გავვარდი და როცა მივბრუნდი, ერთი ბოთლი იაფფასიანი რუსული არაყი მივუტანე.
– ტელეფონი მომეცი, ცოლს გადავურეკავ და მომაკითხავს! – მითხრა.
– რა ტელეფონი? „დამინახა ვითომ?“
– როგორ თუ რა ტელეფონი, შენ რომ ჩემი ჯიბიდან ამოიღე, ის ტელეფონი, მობილური ტელეფონი.
და მე ავყვირდი: – რა ტელეფონი, რის ტელეფონი, რაებს მაბრალებ?! მე ღმერთის სახლში შეგიფარე, შე ლოთო და რაებს მიგონებ, აქ? ადექი, გაეთრიე! მე რა ვიცი, სად დაკარგე შენი ტელეფონი?
აქ კი ისიც აყვირდა.
და მთელი ათი წუთი ვიყვირეთ, სანამ პოლიციელი არ გამოჩნდა, რომელმაც რა თქმა უნდა, საქმეში გარკვევა განიზრახა. მე ავუხსენი მას, რომ აქ ვმუშაობ ყარაულად, რომ ეს კაცი ვიღაც ლოთია, რომ შემომივარდა, დანით მემუქრებოდა და ა.შ.
პოლიციელმა აშკარად მე დამიჯერა, რადგან კაცის გასიებული სახე და არყის სუნი ნამდვილად არ ლაპარაკობდა მის სასარგებლოდ. ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, ჩემი ერთ–ერთი ნათლია რომ არ გამოჩენილიყო საჭმლით ხელში. მოვიდა, ყოველივე მოისმინა, მერე ცალკე გამიყვანა და ტელეფონის დაბრუნება მომთხოვა. ჯერ უარვყოფდი, მერე იქნებ სადმე შიგნით იდოს–მეთქი და „ვითომ ძებნისას“ ვიპოვე.
ის კაცი გავისტუმრეთ, პოლიციელს გაუგებრობისთვის ბოდიში მოვუხადეთ და მარტოდ დარჩენილები ერთმანეთს შევაცქერდით, ის კი არადა, მან დახარა მზერა.
– მადლობის მაგიერი იყო, ვიღაცა იყო! ამ ღმერთის სახლში შემოგიყვანე...
– დოსითეოზ!
– ...შემოგიყვანე, დაგაწვინე, არაყი დაგალევინე, ჩემი ფულით...

– დოსითეოზ!
– ...და ტელეფონი მომპარეო. არადა, მოძებნე, რა, იქნებ სად დადე, მე რა, მე...
– დოსითეოზ, გეყოფა! მე ვიცი, რომ ტელეფონი შენ დამალე!
– არა, ძმაო, გეფიცები, აი, ამ ჯვარს, ამ სახლს, ღმერთის სახლში, მე...
– კმარა, არ მჯერა, არც ერთი შენი სიტყვის აღარ მჯერა, მაგრამ მთავარი ეგ არაა.
აღარ მახსოვს რას, მაგრამ რაღაცას კი ვბუტბუტებდი და თავის გასამართლებელ საბუთს ვეძებდი.
– დოსითეოზ, მე ვიცი, ის კონტეინერიც რომ შენ გატეხე, მაშინვე ვიცოდი, მაგრამ დაგიჯერე, შენ კი... მე შენ მეგობრად გთვლი, დოსითეოზ!
მართლა მეწყინა ეს რომ მითხრა, თითქოს არ გამეტეხოს და გავიფიქრე: – „მეგობრად! კი აბა, მეგობრად. მეგობრებს ასე ძაღლივით არ აცხოვრებენ კონტეინერში, მათხოვარივით არ აძლევენ პურის ფულს და საჭმელი არ მიაქვთ ალუმინის ძირგაშავებული ქვაბით.“ თქმით კი ეს ვთქვი: – ის ტელეფონი, რაც მართალია, მართალია, მოხდა რა, მაგრამ ძალიან გთხოვ, კონტეინერის ამბავს მე ნუღარ დამაბრალებ. მე არ გამიკეთებია, აი, მიწას შევჭამ... წავალ, დღესვე წავალ, თუკი ეგეთ რაღაცეე...
მაგრამ ის აღარ მისმენდა, მიყურებდა, მაგრამ აღარ მისმენდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: – რაღა გავაკეთო, ვერ მივხვდი, რა შეიძლება გავაკეთო, რომ შენი ნდობა, ერთგულება და მეგობრობა მოვიპოვო?!
და იცი, რა გააკეთა? – მეორე დღეს, ეკლესიის ასაშენებლად შემოწირული ორიათას რვაასი დოლარი ჩამაბარა, მე კი, ბევრი ფიქრი ვეღარც მოვასწარი, ისე მოვკრიბე ნივთები და გავიქეცი იმ ქვეყნიდან.

(3)
შემოსული
13.03.04 ვისგან: ჯემალ კარია

საქართველოდან ჩამოსულებს, უცბად გამოარჩევ აქ, მაგრამ არანაირად ხელს არ მოგცემს მათთან გამომცნაურება სამი მარტივი მიზეზის გამო: – შესაძლოა დაგაბეზღოს, პირველი; მეორე, რომ შეიძლება გაგქურდოს, მესამეც – ზურგი შეგაქციოს და გული ჩაგწყვიტოს, რაც პირველ ორზე ბევრად უარესია, თუმცა, მე სამივესი მეშინია, ამიტომ, როცა ვინმე ქართულად გამომელაპარაკება, ვეუბნები, რომ სომეხი ვარ, სომხებთან ვებრაელობ, ებრაელთან – იეზიდი ვარ და ასე შემდეგ.
სანამ მოპარვას თავს დავანებებდი, ანუ სანამ უკიდურესად გამიჭირდებოდა, ზანგების კვარტალთან ახლოს, ერთ სტავროპოლელ უზბეკთან და ორ არაბთან ერთად ვქირაობდი ბინას. არაბები მანქანების გამტაცებლები იყვნენ, უზბეკი ჯიბგირობდა, მე მაღაზიებში ვიპარავდი, მაგრამ გასაყიდი ფასის მეხუთედში ვერ გაყიდი აქ საქონელს, რადგან ადგილობრივი გერიდება, ან სულაც ვერ წარმოუდგენია, რატომ უნდა იყიდოს ოცდოლარიანი ნივთი ხუთად, ესე იგი მოპარულია. მოპარულია და POLICE! – დაიყვირებს. თუ რეალურ ფასს ეტყვი და აგათვალიერ–ჩაგათვალიერებს და NO–NO–ს ძახილით მაღაზიაში შედის, ანუ, ისევ ჩამოსულებზე ან ადგილობრივ რუსებზე თუ გაასაღებ საქონელს, ისინი კი ძალიან ცოტას იხდიან, მოკლედ, საჭმლის ფული გაქვს. არაბები წამალს იკეთებდნენ და ჩემდა ბედად დაიჭირეს, თორემ მეც შევჯდებოდი

ნემსზე. უზბეკი და მე დავრჩით, მაგრამ გვიჭირდა ქირის გადახდა და მესამის შოვნა გადავწყვიტეთ. აქ, უცხო მიწაზე, არც ისე ადვილია მესამის შოვნა, რადგან აქ ძნელია ადამიანს ენდო, მაგრამ უზბეკმა, ერთ საღამოსაც, შავ–შავი, ბურთივით მრგვალი, ასე ორმოცი წლის ქალი მოიყვანა. შევხედე, თუ არა, მივხვდი, რომ უეჭველი კავკასიელი იყო და ვეკითხები – არმიანკა? არაო, ქართველი ვარო, შენო? მე იეზიდი ვარ–თქო. სადაურიო? მოსკოველი–მეთქი. დიდად არ დაინტერესებულა ჩემით, მე კი გამოკითხვა დავუწყე. ზერელედ მპასუხობდა. გამოირკვა, რომ გათხოვილი, სამი შვილის დედა ყოფილა, პედაგოგი, გეოგრაფიის მასწავლებელი. აქ სამუშაოდ ჩამოვედი, ვითომ ვიღაცა უნდა დამხვედროდა, არავინ დამხვდა და ვმეძავობო. ნეტა რასა გევხარ, შენთან ვინ დადის–მეთქი, გავიფიქრე და თითქოს მიმიხვდაო, ჩემთან ჩამოსულები დადიან, ხუთ დოლარად ყველაფერს ვაკეთებო, მითხრა და შემათვალიერა, მაგრამ მალევე მიხვდა – ფულის გადამხდელი არ ვიყავი და აღარ გამკეკლუცებია. თბილისში რომ ჩავალ, თუ ღვთის წყალობით, ცოტა ფული მოვაგროვე, ერთ პატარა ბინას ვიყიდი და ქმარ–შვილთან ერთად მყუდროდ ვიცხოვრებ და მერე საზღვარგარეთ ჩემდათავად ფეხის გამდგმელის დედაცო, ისე მწარედ და კაცურად შეიგინა ქართულად, გამეცინა და იმანაც დაეჭვებულმა შემომხედა. რაღა აზრი ჰქონდა დამალვას და გამოვუტყდი, თბილისელი იეზიდი ვარ–თქო. ჯერ შიშით და ეჭვით დამაცქერდა, მერე მიხვდა, რომ აბა, რისი გამთქმელი მე ვიყავი და მადლიერების გრძნობით – ჩემებს, აქ, დიასახლისი ვგონივარო, მომიბოდიშა და გამიღიმა. მეც გავუღიმე და მეტი თითქმის აღარც გვისაუბრია.
მერე, სანამ ერთად ვცხოვრობდით, მგონი მარტო უზბეკის მოძალებული ენერგიის წყალობით მოაგროვებდა იმ ბინის ფულს, თუმცა, მე რა მეთქმის, რაც სიმართლეა–სიმართლეა, ცხელი საჭმელი არ მოუკლია ჩემთვის.
ნეტავი დაბრუნდა თბილისში? ან თუ იყიდა ის ნანატრი ერთოთახიანი?

(4)
შემოსული
14.03.04 ვისგან: ჯემალ კარია

შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი რთულია ამ ქვეყანაში მათხოვრობა, რადგან თუ ხმამაღლა არ მოთქვამ, ვერც შეგამჩნევენ, ხოლო თუ აქცენტი გაქვს, ეს გამაღიზიანებლად მოქმედებს ამათზე, მოკლედ, სჯობს იმუშაო, ან მოიპარო. მე მოპარვა მერჩივნა მანამ, სანამ რუსების ეკლესიაში, საკუთხეველზე ჩამომჯდარი ქრისტე არ ვიხილე.
[მაცხოვარი ჩვენი, სევდიანად იყურებოდა და თავი არ აუწევია. მერე სტიქარში შეიმოსა და მსახურებას შეუდგა. მერე ბარძიმს შეეხო და მეორე სტიქაროსანმა იმხელა ხმაზე დაუყვირა, შევხტი. იესომ უკან დაიხია, სტიქაროსანი ყვირილს განაგრძობდა: რა უფლებით ეხები ქრისტეს სისხლს და ხორცსო და ეგეთები. იესო თავდახრილი იდგა და ბოდიშებს იხდიდა. მსურდა მეყვირა, რომ ეს მისი სისხლი და ხორცია, მაგრამ ხმა ჩამივარდა. იესო კი გარეთ გამოვიდა და გაუჩინარდა...]

(5)
შემოსული
14.04.04 ვისგან: ნია ჩერქეზიშვილი

როგორა ხარ, ჩემო პატარა? მოგენატრე? ძაან, ძაან? რატომ აღარა მწერ კარგ რაღაცეებს? აქ სრული მოწყენილობაა ჩემთვის, ერთადერთი გასართობი ჰაშიში და დისკოთეკაა (არ დამიწყო ეხლა შენი აზიატური გამოხტომები, გთხოვ, უნდა შეეგუო, აბა, მოწყენილობისგან მოვკვდე? ხომ არ გინდა, რომ მოვკვდე?) მაგრამ შენც მახსოვხარ.
ჯგუფს, ჯერ–ჯერობით, ისევ ვერ შევეგუე – ათასი ჯურის ხალხია, ზოგი საიდან, ზოგიც – საიდან. მე და ის პოლონელი გოგო, სურათზე რომ იყო, საბოლოოდ მაგრად დავმეგობრდით. როგორც ვატყობ, აქაურებთან უკეთესია ურთიერთობა, ვიდრე ჩამოსულებთან და ალბათ ასეც მოვიქცევი.
მე ვამჩნევ, შენ ნელ–ნელა გავიწყდები უკვე, სულ უფრო ცოტას და ცოტას მწერ კარგ და სასიამოვნოს. რას გადაეკიდე იმ ვიღაცა მაზოხისტ იეზიდს, ხომ ხედავ რომ არაფერს გწერდი მისი უაზრო წერილების შესახებ?!
ნუთუ მართლა გჯერა, რომ სადღაც ნიუ–ჯერსიში, შუა ქუჩაში, ვიღაც თბილისელის ბლოკნოტი ეგდო, რომელშიც მაინცადამაინც შენი უაზრო იმეილი იყო? BULSHIT! როდემდე უნდა მყავდე ეგეთი გულუბრყვილო?
არ გიფიქრია, საიდან იცის კომპიუტერი?
რაც შეეხება იმას, რომ აქ, უცხოეთში, ვინმე ვინმეს რამეს უშავებს, სრული აბსურდია. შენი მიწა–წყლის კაცის ნახვა უკვე დღესასწაულია, მაგრამ, ეტყობა, მაგ ტიპს, სამშობლოს განცდა არა აქვს. მაზოხისტია ვიღაცაა, საკუთარ თავზე რა ხაზგასმით უარყოფითად ლაპარაკობს, ხედავ? ამით კაიფობს – მანიაკია, ვიღაცაა! ან, ის გჯერა, ვითომ სერბი ახალგაზრდა კაცი, სხვის ფულს მისცემდა ვიღაც ჭუჭყიან იეზიდს? ასე მგონია, რაღაცას წერ და მეკაიფები, მაგრამ მინდა გითხრა, რომ თუ ასეა, ძალიან არადამაჯერებელი და რეალობას მოკლებულია, ინდურ ფილმს ჰგავს. თუ მართლა ვინმე გწერს, მაშინ რაც გითხარი ისეა და აგერ ნახე, თუ ფული არ მოგთხოვოს. ჰო, სერბული ენა საიდანღა იცოდა? მოკლედ, თუ გიყვარვარ, დაბლოკე მისი წერილები და ჩემზე იფიქრე.
სურათს გიგზავნი. კიდევ არ წაგეშალოს.
ჩემს გვერდით რომ დგას, მარჯვნივ, ჯეიმსია, აქაურია. მამამისი რაღაც საპროექტო ფირმის მეპატრონეა. ახლოს არა ვართ, მაგრამ მგონი, ცოტა მოვწონვარ და ხან სად მეპატიჟება, ხან – სად. ძალიან განათლებული და სტრანნია, მგონი ფოტოხელოვანია, თუ რაღაცა.
ჩემს მარცხნივ ლორაა, ისიც ადგილობრივია, ცოტა სტერვაა, მაგრამ ყველა ნორმალურ ბარში იცნობენ და მოკლედ...
ლორას გვერდით ანიაა; მაგას იცნობ უკვე, ჯეიმსის გვერდით კუიბიშეველი ტიპია, კოზმა, ძაან საყვარელი და სასაცილოა, მაგარი ღადავისტი, ეგ ჩითავს ხოლმე ჰაშიშს.
ჩაცუცქული ნიკია, შენი სეხნია. ტყუილად ეჭვიანობ, ცისფერია და საერთოდ არ აინტერესებს ქალები, ჩემი დაქალია.
ნიკის გვერდით ვიღაც გამვლელია, უბრალოდ, ჩვენთან ერთად სურათის გადაღება ვთხოვეთ, ჰოლანდიელია.

გკოცნი, მიყვაააააააააარხარ და წავედი. ძალიან მოწყენილი ვარ და უნდა ვიტირო. დანარჩენს დაგირეკავ და ისე გეტყვი. რა აჩემებაა ეს წერილები?!
PK

(6)
შემოსული
14.03.04 ვისგან: მოგზაურა2001

ნიკი,
დღეს საღამოს მოვფრინავ. ვერ წარმოიდგენ, როგორი დატვირთული ვარ ემოციებით. ეს ქალაქი წარმოუდგენელია. დადიხარ, დადიხარ, დადიხარ და ყოველ ნაბიჯზე რაღაც გაოცებს. გუშინ გავაცნობიერე, რომ სადღაც აქ, ან არა – აქ, ან არა – აი აქ, ჩემი ღმერთი დააბიჯებდა. შესაძლოა სადმე იმავე ქვაზე ჩამოჯდა, სადაც მე ვზივარ, ან იმავე კენჭს დაადგა ფეხი, რომელსაც მე ვადგამ, ან რა ვიცი, – ვერ აღგიწერ, რა!
აქ სულ სიზმრებს ვხედავ; შენ იცი, რომ მე არ მჯერა სიზმრების, მაგრამ აქაური, სიზმრებიც კი უცნაურია. მერე მოგიყვები.

იცი, ჰეროდემ რომ სიზმარი ნახა? – ჰოდა, ნახა, ვითომ მოვიდნენ მასთან ვიღაცა კაცები და ეუბნებიან: – ჰეროდე, ჰეროდე, ძმისმკვლელო ჰეროდე, ეს რა ჰქენი, ძმა ომში დასაღუპად იმიტომ გაუშვი, რომ მისი ცოლი დაგრჩენოდა? ჰეროდე გგონია ან შეცბა ან შეკრთა ან რამე? მერე რა, ამბობს, ადამიანი ვარ, შევცდი, წამძლია ვნებებმა; განა დავითმა თავისი მსახურიც ასე არ მოიშორა თავიდან, მისი ლამაზი ცოლის გამო? ქალი საშიში ცდუნებაა! და იცინის.
– თვალთმაქცი ხარ, მაგრამ უტვინო, ჰეროდე! – უთხრეს კაცებმა – კი, სწორედ ეგრე მოიქცა დავითი, მაგრამ განა დავითმა შენსავით თავი მოაჭრა მის მამხილებელ წინასწარმეტყველს?
– ქალებმა შემაცდინეს! – თქვა ჰეროდემ და გამოეღვიძა.
მე ვფიქრობ, რომ იუდას გამცემლობა შესაძლოა შეუგნებლობით, უკეთ რომ ვთქვა, დაუმორჩილებლობით შეიძლება აიხსნას. მან მაცხოვრის ქადაგებები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და იფიქრა, რომ ეს იყო ადამიანი, ხაზს ვუსვამ, ადამიანი, რომელიც მოვიდა ებრაელი ხალხის რომაელთა ტყვეობიდან გასათავისუფლებლად (სხვათაშორის, პეტრეს საქციელიც ამას მოწმობს, როცა იკითხავს: – ორი მახვილი გვაქვს და თუ გვეყოფაო) ჰოდა, შესაძლოა, იფიქრა, რომ საჭირო იყო იესოსა და ებრაელი პატრიარქების შეხვედრა. ალბათ ფიქრობდა, რომ ისინიც დაინახავდნენ იესოში რაღაცა ისეთს, რაც... არაა, ტყუილია ეს, მაშინ ის ოცდაათი ვერცხლი რაღატომ აიღო? იქნებ უბრალოდ იესოს ღვთაებრივობა ვერ დაინახა და იმედი გაუცრუვდა? ერთი რამ ცხადია, რომ იუდაზე იქნებ ბევრად ცუდად მოიქცნენ სხვებიც და... პეტრემ რა, არ გასცა ქრისტე უარყოფით? მაგრამ მათ სიმდაბლე ეყოთ და იფიქრეს ალბათ, რომ ისიც ღვთის წყალობა იყო, უარესი რომ არ შეგვემთხვაო, იუდა კი დაიგრუზა, ამპარტავნებისგან გასივდა და როგორ თუ ეს მომივიდა, როგორ თუ უარვყავი, როგორ თუ ვერ ვიცანი მასში ღმერთიო! ღმერთმა დაგვიფაროს, ძმაო, ცოდვისგან, უფრო მეტად კი ჩვენს თავზე გადამეტებული წარმოდგენისგან.

წარმოიდგინე ასეთი კადრი: – ეკრანი შუაზეა გაყოფილი. ერთ ნაწილში დაჩოქილი მოსე ღმერთს ესაუბრება, რომელიც მისგან მარჯვნივაა, მეორე ნაწილში კი ქრისტე დგას, უკან მოწაფეები უდგანან, თაბორზე და იესო მოსეს ესაუბრება, რომელიც მისგან მარცხნივაა და ეკრანზე არა ჩანს, მაგრამ თუ გონების თვალით ორივე ნაწილს შეაერთებ და გაამთლიანებ, საინტერესო კადრი გამოვა – მოსე ჯერარგანკაცებულ მაცხოვარს ესაუბრება. რამხელა მისტერიაა და რა დიდი ამოუცნობობა, არა?!
საიდან დამებადა ეგ აზრი და გაიხსენე მოსეს რას ეუბნება უფალი: – მე ვარ, რომელი ვარ! (არამეულად მიახლოებით იეჰვე!) და ქრისტე რას ეუბნება მის შესაპყრობად მისულებს: – მე ვარ! ან მანამდეც, ფარისეების კითხვაზე რომ ამბობს: – ჭეშმარიტად, აბრაამამდე, მე ვარ (იეჰვე)! არ გაგეფიქროს, რომ აქ რამე გრამატიკული შეცდომაა!

დროებით, PULP–FICTION–ების მწერალო!

(7)
შემოსული
12.03.04 ვისგან: ზემხა

ნიკი,
შე უნამუსო, მაინც როგორა ხარ?
ჰევი ბიძია როგორ არის? მარინა დეიდა და ნინუცა? რა ჰქნა, ჩააბარა უნივერსიტეტში? კვდებით ერთფეროვნებით და ხართ, არა?
აქეთ ძალიან დიდი დინამიკაა, ძნელია ამ ტემპს არ აჰყვე. შენი წერის ამბები როგორ მიდის, ახერხებ რამეს? დაიწყე თუ არა ის რომანი, ჯერ–არშობილ ბავშვებზე?
ნამუსი არ გქონდა ადრეც, მაგრამ ასე, ძმაო?
ნია როგორ გყავს, როდის ჩამოდის? არ გაგითხოვდეს იქ, ბიჭო, თორე მერე შენი სუიციდი და იმერული ლობიო, ნაღდი არ მინდა. ლობიოზე გამახსენდა, მარინა დეიდას სთხოვე ჩემი სახელით და თავისი გაკეთებული კიტრის მჟავე და ბროწეულის წვენი გამომიგზავნეთ.
გიგზავნი ახალი პიესის ლიტერატურულ ვერსიას. რომ მეუბნებოდი, დეტექტივებს ვერ წერო, აგერ, ვცადე! შეაფასე და პასუხი მომწერე ვრცელი და დამაჯერებელი.

ატაჩმენტი:

პიესა 3 მოქმედებად
(სათაური ჯერ არ მომიფიქრებია)

მოქმედი პირნი:
მესა ხაბულიანი, იგივე „ბებერო“ – 50 წლის კანონიერი ქურდი
„კოლო“ – 34 წლის კანონიერი ქურდი
გაგა ანდრონიკაშვილი – 19 წლის კანონიერი ქურდი
ბუხუტა – 40 წლამდე ასაკის „კაი ბიჭი“
„ცაცია“ – გამომძიებელი

ბადრაგი
კოსტა – კანონიერი ქურდი (გაურკვეველი ასაკის)
მდუმარე კაცი

„21 ივლისს, საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა აიყვანეს ოთხკაციანი კრიმინალური დაჯგუფება, რომელთაც ბრალი ედებათ... და ა.შ. და ა.შ. დაკავებულთაგან სამი, ე.წ. კანონიერი ქურდია. მიმდინარეობს ძიება.“
ამონარიდი ცნობილი გაზეთიდან
(სტილი დაცულია)

კვანძის გახსნა:

ნიკა, შვილო,
ეს ამბავი ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე დაიწყო, მაშინ მე შენი ასაკის თუ არა, ორი–სამი წლით უფროსი თუ ვიქნებოდი. მესამე სროკს ვიხდიდი ქსნის რაბოჩიში. სახელით არ ვიყავი, მაგრამ ტყავი მებარა და დღე–დღეზე უნდა მომეგვარებინა. ზონას ერთი განაბი ჰყავდა მაშინ – ალიჩოკა, მერე სადღაც ორ–სამ თვეში არაქურდად დატოვეს, მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია, ჰოდა, მოვიდა ეს ალიჩოკა და სვაბოდაზე ერთი მაგარი საქმეა, შენი ხელი სჭირდება და უნდა გავიდეთო. გავიდეთ კაია, მაშინ ის დრო იყო, მაგრად გვავიწროვებდნენ, თან ზედიზედ სამი პაბეგი აიწია იმ წელს და ეგრე ადვილი აღარ იყო გაქცევა, მაგრამ ალიჩოკამ, ცვლის უფროსი ჩვენი კაცია, უფრო სწორად, კოჭლი ტარიელას ბავშვის ნათლიაა და პრობლემა არ შეგვექმნებაო. კოჭლი ტარიელა, ერთი სანზონელი ჯიბგირი იყო, ორი თვის წინ შემოაგდეს და უკვე გაქცევაზე ფიქრობდა. მე, სიმართლე ვთქვა, არ ვენდობოდი, მაგრამ განაბი რომ გეუბნება, ეს კურთხევასავითაა და უარის თქმა არ მოსულა. ჰოდა, მოკლედ, გავედით. გავედით და სად გავედით? – იქვე აგვაგდეს ძაღლებმა. ტარიელა ნომრიანი ნასედკა ყოფილა და ჩაგვიშვა, კი არადა, რაღაცისთვის სჭირდებოდათ ალბათ ალიჩოკას გაქცევა და თვითონ მოაწყეს ეს შოუ. აგვაგდეს და ალიჩოკამ გასასვლელშივე იყნოსა რაღაცა და ის შენი ტარიელა, მეორე ფეხითაც დააკოჭლა, მოკვლა ვერ მოასწრო, თორე იმეტებდა. მე კიდევ, ზუსტად იმ ცვლის უფროსმა დამჭრა ფერდში.
ტყავი მებარა–თქო, წეღან რომ დავწერე, ამიხსნია ადრე შენთვის, რასაც ნიშნავს მაგის დაკარგვა, მითუმეტეს, ძაღლების ხელში ჩაგდება, მაგრამ მესროლეს თუ არა, გონი დავკარგე და...
სახელების დამახსოვრება მაშინაც მიჭირდა, თორემ ნაწერის წაღება რომ პაბეგში არ შეიძლება, ამ დაუწერელ კანონს რა დამარღვევინებდა? თუმცა მთლად სახელები არ მეწერა, რაღაცა ჩემებური აბდა–უბდით, მინიშნებებით მქონდა ჩამოწერილი სია, მაგრამ გაშიფვრა იმ ქლესა გამომძიებელმა, ზოგი თავისით, ზოგიც ნარკოზში მყოფს მათქმევინა თურმე და რომ შემხვდა, წინ დამიდო და რომც არაფერი მოეთხოვა, უკვე ტრუპი ვიყავი მაინც – ქურდები ტყავის დაწვას არ მაპატიებდნენ და ორმაგად მომთხოვდნენ, ეს იმ გამომძიებელმაც იცოდა და ისე მექცეოდა, რომ შემძლებოდა ყელში კბილებით ვწვდებოდი.

უნდა ქურდი გახდე შენ, ძმაო, მითხრა მაშინ გამომძიებელმა, ჩემი ასაკის ბიჭი იყო, ახალდამთავრებული ექნებოდა, რაც დაამთავრა ის, მაგრამ ძალიან გაქექილი ვინმე კი იყო, ხუთიანზე იცოდა ჩვენი ამბები, ჰოდა, უნდა მოაგვარო, სახელით უნდა იყოს შენნაირი კაცი, პატიოსანი ხარ, შენისთანა ქურდები ხალხსაც სჭირდება და ჩვენც და იმ სამყაროსაც, რომელსაც შენ ემსახურებიო. ბოზობას მთავაზობდა, გესმის? უარეს სმერტზე მიშვებდა, თან ორმაგ სმერტზე – სულიერ და ხორციელზე. არაფერი ვუთხარი, თავის მოკვლა მქონდა გადაწყვეტილი, კაცად მაინც მოვკვდები–მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ამას გამომძიებელიც ხვდებოდა ალბათ და დამიდო წინ ის ჩემი ფურცელი და რას ნიშნავს ეს ინიციალებიო, მკითხა. ყურები ვცქვიტე, ნუთუ ვერ გაშიფრა? აბა, რას ნიშნავს ეს ლაპარაკი – მოაგვარე და რაღაცეები?! რა უნდა? რაც უნდოდა რომ მივხვდი, ეს, ზონაზე მიბრუნებულმა გავაცნობიერე, მაგრამ ხომ არის მომენტები, როცა რაღაცა იცი, მაგრამ რაკი სახელები არ ჰქვიათ მოვლენებს, თავს იტყუებ – ვითომ არ იცი! ეს ყველაფერი იმ გამომძიებელმაც იცოდა და ისე მომექცა, ჩემი სინდისი რომ არ აეფორიაქებინა, ჰოდა, მომიგდო უკან ის ქაღალდიც, არც არაფერი უთქვამს, არც არავინ დაუჭერიათ, არც დაუკითხავთ, დამიმატეს წლები და ამით მორჩა ყველაფერი. ვხვდებოდი რაღაცას–მეთქი, კი ვთქვი წეღან, მაგრამ ისე უცნაურად განვითარდა მოვლენები, მთლად კარგად გავერკვიე ყველაფერში–თქო, მოგატყუებ! ასე იყო თუ ისე, როცა მომწათლეს, სინდისი მშვიდი, კუდი კი სუფთა მქონდა და კი მეშინოდა რაღაც პერიოდი რაღაცა გაურკვეველის, მაგრამ ამანაც გადაიარა და იცი შენც, შვილო, ჩემზე მეტად სიმართლის მოყვარული და ძველი კანონების მომხრე თითო–ოროლა თუ იყო, ყოფილ საიუზში. ამ ახალბედა, თანამედროვე ქურდებს როგორც ეშინოდათ და ეშინიათ ჩემი, კი იცი, მაგრამ ეგეთებს უფრო ვერიდები. გასვრილი კაცი უფრო სახიფათოა, ვიდრე მართალი; თუმცა მართალი... მოკლედ, ეგრე დაიწყო ყველაფერი.
რატომ მოვყევი ეს ამბები და, მაშინ გადავწყვიტე, არ დამენდო არავინ, ვინც ოდნავ მაინც გაისვრებოდა...

I მოქმედება

(III სცენა)

(გამომძიებლის ოთახი. „ბებერო“ და „ცაცია“)
„ცაცია“: – ამხელა კაცი, გცემო მაინცა და მაინც?
„ბებერო“: – თუკი ფიქრობ, რომ მაგით რამეს მიაღწევ, მიდი, მარა, ხო იცი, გიცნობ ვინცა ხარ, ისიც ვიცი, სად ცხოვრობ და შენი უმცროსი ქალიშვილი ანუკა რომელ სკოლაშიც დადის, ეგეც ვიცი!
„ცაცია“: – უხ, შენი...
„ბებერო“: – ჰა, ჰა, არაფერი წამოგცდეს, ბიჭო!
„ცაცია“: – ბებერო!..
„ბებერო“: – შენი ბებერო არა ვარ, ბიჭო!

„ცაცია“: – მისმინე, მესა! შენს ხტუნაობას აზრი არა აქვს, ის შენი პატივცემული განაბები, გაბოზდნენ უკვე; იმ არიფსაც... უძლებს კი... ჯერ... მარა, ნიკუშას შევუშვებ, თემქელს და... შენი პარტია–ღა დააკლდება ამ ოპერას.
(„ბებეროს“ სიმშვიდე აფენია სახეზე)
„ბებერო“: – ჯერ ერთი, ძაღლების ნალაპარაკებს მე არ ვუსმენ, ეგ გაირკვევა, ვინ გაბოზდა, ვინ – არა და... არ გვინდა ეს, მოკლედ, მეორეც, ვითომ მაგარი გამომძიებელი კი ხარ, მარა, გეტყობა ტვინის ნასახი არა გაქვს. გაბოზებას მთავაზობ და ისიც არ იცი, რა ტაქტი იხმარო, შე... აი, რო მეუბნები, ის შენი პატივცემული განაბები გაბოზდნენ უკვეო და მაგას ასეთი დამცინავი ტონით ამბობ, ვთქვათ და ვმერყეობდი უკვე, ხო გადავიფიქრე თქვენთან თანამშრომლობა? ეგრე კი არა, ბიჭო, უნდა სინანულით გეთქვა: – ეჰ, ჩემო მესა, მაგარი ვპრესეთ ის შენი ძმაკაცები, ეგენი კი არა, რობოტი ვერ გაუძლებდაო, ჩემში რაღაცა თანაგრძნობის მაგვარი გრძნობა გაჩნდებოდა, მერყეობა გაძლიერდებოდა, შინაგანი პროტესტიც გამიქრებოდა, დავიწყებდი ფიქრს იმაზე, თუ რითი დავპირისპირებოდი ორ გაბოზებულ განაბს, მივიდოდი იმ დასკვნამდე, რომ არ ღირს სისტემიდან ამოვარდნა და დამრჩებოდა ერთადერთი რამ: – მომეძებნა ტექნიკური გაბოზების ტექსტი, მაგრამ შენ რა გესმის ამდენი, შე დებილო?!
„ცაცია“: – მაგარი გაქექილი სვანი ხარ, მაგრამ ჩემთან ეგეთები არ გაგივა! რომ გგონია, იმაზე მეტი ვიცი შენზე და არც ისე უტვინო ვარ, ეგეთები ვჭამო და საერთოდ, ვინ გგონია შენი თავი? – მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პერსონაჟი, თუ დეტექტიური რომანის გმირი? რას ფიქრობ, რომ შენი შვილის ამბები არ ვიცი?
(„ბებერო“ თავს ასწევს, დააკვირდება, გაიცინებს)
„ბებერო“: – სადა მყავს შვილი, შე ვირ–ეშმაკავ?
„ცაცია“: – ბადრაგი!
(შემოდის ბადრაგი, „ბებერო“ დგება, გადის)
„ცაცია“: (მიაძახებს) – მიხვდი ხომ, რაც გითხარი?
„ბებერო“: – ვერა ვერ მივხვდი! (გადის)

(I სცენა)

(ბადრაგს შემოჰყავს ნაცემი გაგა ანდრონიკაშვილი)
„ცაცია“: – დაბრძანდით, გაგა!
(გაგა სახეზე მკლავს ისმევს)
„ცაცია“: – გცემეს, გაგა?
(გაგა ჩუმადაა, თვალებში გაავება ემჩნევა)
„ცაცია“: – ითამაშე, ითამაშე მუნჯობა, მე რა მენაღვლება?! არადა, რომ იცოდე, რა ტყუილად ცდილობ! თუმცა, მთლად ტყუილად მაინც არა – შენი ძმაკაცები გაბო... შენმა ძმაკაცებმა ველარ გაუძლეს, გაგა, ისეთ არაადამიანურ პრესში ჰყავდათ, ამ დამპლებს, რა გასაკვირია, რომ... მოკლედ, სამივემ დაწერა, დარჩი შენ. აქამდე გასაგებიც იყო, რატომ მუნჯობდი, მაგრამ ახლა აზრი დაკარგა შენმა ცდამ, რადგან... ახლა, თუკი ჩემი გჯერა, როგორც მამა–შვილს, ისე გეუბნები, ახლა პირიქით – გიჯობს შენც იმათთან... ხო გაგიგია, ჩათრევას ჩაყოლაო... შენ რომც არაფერში გამოტყდე, იცი რასაც გიზამენ – შეგჭამენ; სამივენი, აი, ასე, აამ, გადაგყლაპავენ, თუმცა, ვიცი, შენ ძალიან, ძაან ჭკვიანი

ხარ და უჩემოდაც კი იცი ეგ, მე უბრალოდ, როგორც ადამიანი, მაინც ჩემს სათქმელს გეუბნები. სვაბოდაზე ვერც ერთი ვერ გახვალთ, ისეთ საქმეზე გაგაბეს, შანსი არაა, მაგრამ შენ იმაზე უნდა იფიქრო, ზონაზე რა აპრავდანიებს აიღებ. კი, შენ ცდილობ სუფთად გამოძვრე, მარა რითი დაამტკიცებ, რომ არ გატეხილხარ? სამივე ხელს დაგადებს და „ბებეროს“ სიტყვას რომ შენი ვერ აჯობებს, თვითონაც კარგად იცი. თუ არ გჯერა, რომ მაგ საქმის ყველაფერი ვიცი, აგერ გეტყვი: – ნახალოვკელ წიკოსთან გაქვთ ტავარი. ჯერ არ ვიჭერ წიკოს იმიტომ, რომ გელოდები. ვიცი „ძაღლებისგან“ არაფერი გჭირდება, მაგრამ შენხელა შვილი მყავს და მინდა მხოლოდ იმიტომ დაგეხმარო, რომ აზრი დაკარგა შენმა სიჯიუტემ. ისიც ვიცი, ვინც მოგიტანათ ეგ საქმე – კოღოს დეიდაშვილმა! კოსტაზე რას იტყვი, შვილო, კოსტაზე საიდანღა ვიცი, მაშინ? მოკლედ, დარწმუნდი, ალბათ!

გაგა: – ტყუილებს ბაზრობ!

„ცაცია“: – ვაა! მე მითქვამს და დალშე შენ იცი! გეუბნები, არ მინდა გაგწირო–მეთქი, თორე, იცი რას ვიზამ? შემოვიყვან აქ თემქელ ნიკუშას, გაგიბაზრებ ერთ ადგილს ვერ მოუფრთხილდა–თქო, თანაც დაწერა კიდეც–მეთქი, ის განაბებიც სუფთები გამოვლენ, ჯოხიც შენზე გადატყდება და დარჩები ეგრეე!

გაგა: – ვერ იზამ მაგას, ცოლ–შვილს დაგიხოცავ!

„ცაცია“: – ვერ დამიხოცავ იმიტო, რო ან გამოეთრევი ცოცხალი ან არა, თანაც მე უკვე ამ დამპალი ქვეყნიდან მაინც ვაპირებ წასვლას.

გაგა: (აგინებს)

„ცაცია“: – ეხლა, იმდენს იზამ, მართლა აღარ დაგინდობ! ეხლა, შენი სახელით ბადრაგს ქსივს გავატან ქურდებთან – კოღო და ბებერო გაბოზდნენო. ხო იცი, ეგ ქსივი ჯერ ვისთანაც მივა, მივა და ისიც იცი, ბებერო რასაც იზამს და მერე ეძებე აპრავდანიები.

გაგა: (აგინებს)

„ცაცია“: – უმადური ხარ შენ, გაგა ანდრონიკაშვილო, უმადური, მარა სიკეთე არ იკარგება! დაჯექი, დაწერე ახლა, შვილო, ბოლო–ბოლო, ერთად რომ იქნებით, ვერავინ ვერაფერს მოგთხოვთ – თქვენს საპადელნიკოში ვინ ჩაერევა? კოსტას კიდე აუხსნით, ან იმ არიფს გადააბრალებთ ყველაფერს და რა პრობლემაა, შეინახავთ რა, მაგასაც ქურდობა არ უნდოდეს, ბებიამაგისამ! მოკლედ, ეგენი არ შეგეშლება!

(გაგა ჩუმადაა, ფიქრობს)

„ცაცია“: – წადი, შვილო, შენს საკანში, აგერ პასტა, ფურცელი (უჯრიდან ამოიღებს, წინ დაუდებს), დაჯექი, დაწერე, ისე დაწერე, რომ რამე შემამსუბუქებელი ვიპოვოთ. ახალგაზრდა ხარ და ნათელ ფერებში უყურებ ყველაფერს, ცოტა ხანში მიხვდები, რომ შენი საქმეც და ჩემი საქმეც, ორივე სიბინძურეა. გაგიმართლა, შენზე ადრე ის ქურდები რომ გამოტყდნენ, ახლა ყველა საქმეში იქნებით და ერთმანეთს ხომ არ დაერევით? მარა სიფრთხილე გმართებს მაინც, ისინი შენი მტრები იქნებიან აწი, ყოველთვის იმას ეცდებიან რომ სადმე წაიბორძიკო და გაგთელონ, რადგან მაგათზე მეტი ვაჟკაცობა და სიმტკიცე გამოიჩინე და ეს არ მოეწონება არავის. ამიტომ, უნდა დაასწრო და იქეთ გათელო, მარა მაგას მოახერხებ ალბათ. წადი აბა, წადი, შვილო!

შემოდის ბადრაგი, გაგა დგება

„ცაცია“: – გაგა, შვილო, იმედია სწორად გამიგებ ყველაფერს!

(გაგა მოტრიალდება, გადმოაფურთხებს; გადის)

(II სცენა)

(ბადრაგს შემოჰყავს „კოღო“. „ცაცია“ რაღაცას წერს, თავს არ სწევს. „კოღო“ ჯდება)
(ხანგძლივი პაუზა)
„ცაცია“: (თავს მაღლა ასწევს) – კოღოო! რას შვრები, ჯერაც ვერ მოიფიქრე გაბოზება, ტო?
„კოღო“: (აგინებს)
„ცაცია“: – რას ერჩი, ბიჭო, დედაჩემს? ოთხოც წლამდეა ქალი მიტანებული, თუ... ახლა გამახსენდა, შენ ხომ ბებრები მოგწონს. ის ნაშა რომ გყავდა, ბებიაშენის დაქალი, მოკვდა თუ ცოცხალია?
(„კოღო“ იგინება, გაცეცხლებულია)
„ცაცია“: – მიდი, შენ იგინე, მე აქ დასაწერი მაქვს რაღაც–რაღაცეები, მოვამთავრებ, მერე „ვიბაზროთ“.
„კოღო“: – აზრი არა აქვს, შე თახსირო! მიდით, მცემეთ, ეგეთები ამიტანია?! დიდხანს ვერ იგრიმიტებთ, მაიცა დაგერევით! სვაბოდინან ხალხს მოგიგზავნი, განანებ, შე ბოზო, არ იცი, რომ ქურდებს ეგრე არ ექცევიან? (აგინებს)
„ცაცია“: – გცემეს? ვინ გცემა, ტო? რას გქვია გცემეს, აგერ დაწერე დროზე საჩივარი, ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადო... (სიცილი აუტყდება)
(„კოღო“ წამოხტება, ისევ დაჯდება)
„ცაცია“ : – ბიჭო, მე თქვენს ჯიშს ორგანულად ვერ ვიტან. ცოლი კი არა, სულ რომ გამიწყვიტოთ ოჯახი, მაინც ჩემს გასაკეთებელს გავაკეთებ! ბებერო გაბოზდა და შენ ვიღა გაგიშვებს ქურდის სახელით? თქვენში არკვიეთ, ძმაო, ვინ ვინა ხართ, მე ჩემი საქმე მაქვს ტონა ნახევარი!
„კოღო“ : – ცაცია, გავიწყდება ვის ელაპარაკები!
„ცაცია“ : – არაფერი არ მავიწყდება! მორჩა თქვენი პარპაში!
„კოღო“ : (სიმწრით იცინის)
„ცაცია“ : – ჰოდა, ესე! ბებერო გაბოზდა, გაგა წერის პროცესშია ახლა, ბუხუტა ჯერ დასამუშავებელი მყავს, მაგრამ მაგის აზრს ვიღა გაითვალისწინებს, ლიფსიტა ვიღას უნდა, სამი ღლავი მყავს, აგერ!
პაუზა.
„ცაცია“: – ბიჭო, ნომრიანი ნასედკა იყავი–მეთქი, მაგას კი არ გეუბნები, უბრალოდ, სადაც ყველა, იქაც – შენ. ათასი საქმე მაქვს: პანაშვიდზე უნდა მოვასწრო წასვლა, ჩემი გოგო ახალი მულტფილმის პრემიერაზე უნდა წავიყვანო კინოთეატრში და საერთოდ, ათასი საქმე მაქვს, ძმაო! დაწერე, თორე ბებერო იქეთ აგკიდებს ბოზის იარლიკს!
„კოღო“: – ეგ საკენკი, ბიჭო, შენ უბნელ ალუმინის ქურდებს დაუყარე; არ მჯერა ბებეროს გატეხვა, ჯერ ერთი, მეორეც, თუ მართლა ეგრე მოხდა, აქეთ მოვთხოვ, ჩემს სიმართლეს ყველგან გავიტან.
„ცაცია“: – ვერ გაიტან და იცი რატომ? – გაგათავისუფლებ!
„კოღო“: – შენ ეგრე ქენი და გავიტან თუ ვერა, ეგ მე ვიცი! (იცინის)
„ცაცია“: – გაგიშვებ, მარა საქმეში არ მოგიხსენიებ!
„კოღო“: – ეგ უფრო მაგარი! მიდი, მიდი, ძლივას არ გაგეხსნა მაგ დიდ თავში ტვინი?

„ცაცია“: – თქვენს საქმეში მთავარი ის კი არაა ვინ ვისზე ადრე დაწერა, მთავარია ეს საქმე თავიდანვე ვინ მოგვცა. ბებერო ინტერესით კვდება. ვიცი, შენზეც ეჭვობს. გაგიშვებ და... ანდა, არ გაგიშვებ, მარა საქმეში ჩავწერ, რომ არ აღიარებ, შემოვიყვან ბებეროს, დაგაპირისპირებთ და ამ დროს გთხოვ გაიმეორო, კოსტას ამ საქმეში მონაწილეობაზე რა იცი, ბებერო ყურებს დაცქვიტავს, ამ ამბავზე მარტო შენ და მაგან იცოდით, შენ თავის მართლებას დაიწყებ, ეს უარესია, არ დაიწყებ და მერე სულ ველარ გამართლდები. გახვალთ აქედან, ბებერო ბადრაგს დანას შეატანინებს, შემოვა შენს საკანში და...
„კოღო“: – დედა არა გყავს? (წამოხტება)
„ცაცია“: – დაჯექი, ნუ ხტუნაობ!
(შემოდის ბადრაგი. შემოაქვს ფურცელი)
„ცაცია“: – ესე მალე დაწერა?
ბადრაგი: (იცინის) – პასტა ძლივს გავაგდებიეთ!
„ცაცია“: – კაი, დაგიძახებ მერე!
ბადრაგი გადის.
„ცაცია“: – აგერ, შენი ნათლული, ჭკვიანია თუ არა, – დაწერა წყნარად და პატიოსნად.
„კოღო“: – მე და გაგა ერთი არა ვართ, მე ფულით მოყომარებული ქურდი არა ვარ, ეგეთებს არა ვჭამ!
„ცაცია“: – ამ რევოლუციებმა და რაღაცეებმა ეს განაბი ხალხიც სულ გადაგრიათ! არა ჭამ და – გაჭმევენ! რა, სამი კაცის წინააღმდეგ წახვალ?
– ეტყობა, ბავშვობაში მაგრად გჩაგრავდნენ, ბოროტი ხარ!
„ცაცია“: – მე ბოროტი კი არა ვარ, მე სისტემა ვარ, სისტემა კი მექანიზმია და ბოროტი ვერ იქნება, სისტემა ყოველთვის იმარჯვებს! შენც სისტემა ხარ, ოღონდ ახლა ამ სისტემიდან ამოხტომას ცდილობ და უნდა იცოდე რომ დამარცხდები!
„კოღო“: – ცაცია, გითხარი, არა ვჭამ და მოვრჩეთ ბაზარს!
„ცაცია“: – მაშინ, მეც გითხარი სცენარი და კი ბატონო! ყველას აწყობს შენი სიკვდილი, ისინიც სუფთები გამოვლენ, ბებეროც შურს იძიებს და დამშვიდდება, საზოგადოებაც ერთ წურბელას მოიშორებს.
„კოღო“: – მაგას ვერ იზამ, დაგიჭერენ!
„ცაცია“: – როდის აქეთ ალაპარაკდნენ განაბები კანონის სახელით?
„კოღო“: – ბოზობას სიკვდილი ჯობია!
„ცაცია“: – ეგ წიგნებში და ლოზუნგებზე! მიტინგზე კი არა ხარ, ბიჭო! თანაც, შენ მაინც ბოზის სახელით მოკვდები!
„კოღო“: – ქურდები არ გაპატიებენ, ბიჭო, არაფერი იმალება!
„ცაცია“: – ნეტა შენ! არ კიდიხარ ყველას, კაიც კია, ერთ კონკურენტს მოგიშორებენ თქვენი ბიზნესიდან. ხო ბიზნესი გაქვს, გოიმების პარსვის ბიზნესი, ა, თქვი!
„კოღო“: – ხო იცი, რომ მე არ მომიცია ეგ საქმე თქვენთვის, რატომ მაბოროტებ?!
„ცაცია“: – თუ კაცად სიკვდილი გინდა, მოიკალი თავი, თუ არა და დაწერე!
„კოღო“: თავს მაგიდას დაარტყამს და დაიღრიალებს.

P.s. (ეს პირველი მოქმედებაა, დანარჩენს ვთარგმნი და ორ დღეში გამოგიგზავნი!)

(8)
შემოსული
14.03.04 ვისგან: ზემხა

II მოქმედება

I სცენა

(საკანი. „ბებერო“ ჩაის სვამს, „კოღო“ სიგარეტს ეწევა, გაგა ტელევიზორს რთავს ერთი არხიდან – მეორეზე)
„კოღო“: (გაგას) – გააჩერე რა, ძმაო!
გაგა: (გამოხედავს, გამორთავს ტელევიზორს) – დაგვერეკასავით კიდევ!
„ბებერო“: – აღარ უნდა მაგას ამდენი ბაზარი, ერთ საათში გადავალ და ვნახავ!
„კოღო“: – როგორ გატყდა, ტო, ალბათ მაგარი პრესეს, არა?!
„ბებერო“: – ბიჭო, გასაგებად არ ვთქვი მაგ თემაზე აღარ ვიბაზროთ–მეთქი?!
„კოღო“: – შენ რანაირად ლაპარაკობ, ძმაო, ხალხი ახსნას მოგვთხოვს...
„ბებერო“: – ბიჭო, ჩემს საპადელნიკო საქმეში ვერავინ ჩაჰყოფს იმ დიდ ცხვირს, თორე აი, ამ დანით მოვაჭრი, გაიგე?! რა არიფივით ბაზრობ?
„კოღო“: – მაიცა რა, ბებერო, ჩვენი საპადელნიკო – ჩვენია, მარა კოსტას რო შემოაგდებენ და იტყვის ის კაცი, ეგრე სადააო, აქ ვიღაცამ თქვენს შორის ილაქლაქა და მშვიდად კი სხედხართ, რა ჩემი ფეხების ქურდები ხართო, რა პასუხს გავცემთ?
„ბებერო“: – ბიჭო, ვერ გაიგე თუ რა, კარების უკან ვიდექი, ცაციამ თემქელი ნიკუშა შეუშვა, ცოტას შევაშინებ და ნახე, როგორ ამღერდესო. ბუხუტამ, ხელები გამიხსენით, ყველაფერს დავწერო. მეთქი, ეგაა და მოითხოვს შპალიერს! მაგარი გამიტყდა. მარა, გაუხსნეს თუ არა ხელები არ ისმის ღრიალი?! შევარდნენ და აქედან ვხედავ: – ვენები კბილებით ამოუგლეჯია, გდია და სისხლისგან იცლება. მერე რეზბალნიცაზეც რო მიუკითხია, იმ ახვარ გამომძიებელს, სულ გადარეულა და თვითმკვლელობის ცდა გაუმეორებია. მოკლედ, დააშინა ეგენი, ვეღარ ეკარებიან, რა დაწერაზეა ლაპარაკი, ბიჭო?
„კოღო“: – მაიცა რა, ძმაო, ეხლა ეგ არ ვიცი, მარა თუ სუფთა იყო, თავის მოკვლა რატომ სცადა?
„ბებერო“: – შე ჩემის გადანგრეულო, აბა, ტრაკი მიეცა?
გაგა: – ძმაო, რო აგვაგდეს, ეგა? საიდან გასკდა ჩვენი ბაზარი? ეგ გასარკვევი არაა, ბოლო–ბოლო?
(გაგა დგება, პარაშასთან მიდის)
„კოღო“: (ჩუმად) – შენც ხო იცი, ამ ჩემისამაც (გაგასკენ ანიშნებს) დაწერა, ჩემი თვალით ვნახე, მარა გავიმეტოთ? ბუხუტა მაინც არიფია, კოსტა მაგას ისე მკაცრად არ მოსთხოვს, ზონაზე კიდე ჩვენთან ერთად იქნება, ჩვენ შევინახავთ, მეტი რაღა უნდა? თანაც (ხმამაღლა) ბოლო–ბოლო, არც ისე მამა–აბრამის ბატკანი მყავს ეგ შენი ბუხუტა, კიდე გასარკვევია, ვისგან გასკდა ეს საქმე, მარა განავალს ქექვა არ უყვარს, ხო იცი?!
„ბებერო“: – ბიჭო, ეგ (გაგასკენ ანიშნებს) თუ იქაურია, ქურდის სახელის ღირსი აღარ არის, მაგრამ ეგ ბრალდებაა, ბრალდებას კიდევ დამტკიცება სჭირდება!

„კოღო“: – რას მიოფიციალურებ, ტო, ხო იცი რო ჩემი ნათლულია, ჩვენი გაზრდილია, ჩვენი პასუხისგებაცაა, ძმაო, თორე...
„ბებერო“: – მაშინ დაჯდეს და ნუ ძველ–ბიჭობს, რა ლაპარაკია, ბიჭო ეგ ლაპარაკები?
„კოღო“: – მეც მაგას არ ვამბობ? ეს ამბები მორჩეს, მე ვიცი... ქურდი–მურდი არ ვიცი, გავაგდებ საზღვარგარეთ, ისწავლოს, ადვოკატი გახდეს, ისევ ჩვენ...
„ბებერო“: – მე ვეტყვი ბუხუტას, მარა თავისი გადასაწყვეტია; ეგრე არაა, ძმაო, ტისკები აიტანო და მერე ბოზობა დაიბრალო, ეგრე არაა!
„კოღო“: – კარგი რა, ბებერო, მა სამი სული ქურდი ვართ და ჩვენში ყოფილა ბოზი!
„ბებერო“: – იქნებ ეგრეცაა, ძმაო, მე რას მეკითხები? იცი რამე – თქვი!
„კოღო“: – აუხსენი, აუხსენი, გაიგებს, გაიგებს, არადა – ხელს დავადებ, რო ბოზია და მოდგეს და ამტკიცოს, რა, სამ სულ განაბს დაგვეჯახება? შენ დაგეჯახება?
(„კოღო“ დგება, პარაშასთან მიდის. გაგა დაჯდება ბებეროსთან)
გაგა: (“კოღოსკენ“ ანიშნებს თავით) – ბებერო, ასპროცენტიანი გავიგონე, მაგან რო ილაქლაქა იქ, მარა როგორ დავუმტკიცო? ხედავ როგორ იბრძვის? ეს საქმეც მაგისგან გასკდა, წინასწარვე გაგვყიდა, მაგის...
„ბებერო“: – თუ ეგრეა, დაბრიდე!
გაგა: (შეცბება) – ვინა?
„ბებერო“: – ვინა და – კოღო! დაბრიდე და დაამტკიცე!
(„კოღო“ ყურებს დაცქვიტავს, მათკენ წამოვა)
„კოღო“: – რა არის, რა ხდება?
გაგა: – არა, არაფერი!
(საკნის კარი იღება, შემოდის ბადრაგი)
ბადრაგი: (ბებეროს) – წამოდი, ოღონდ გთხოვ ბებერო, ათი წუთი, მაქსიმუმ... მომსხნი...
„ბებერო“: – ჯიგარი ხარ! (დგება. გადის)
(პაუზა)
„კოღო“: – ამას (კარებისკენ ანიშნებს) თავი ვინმე ხო არ გონია? განა არ ვიცი, შპალიერი რო გაშალა და პასტა რო ძლივს გააგდებინეს? ისე უჭირავს თავი, თითქოს ჩვენ უნდა გვეშინოდეს რამის. ერთი სისხლი აქვთ ორივეს, ორივე ბოზია და რო მივაბრიდავ, მერე მსდიონ! მაიცა, შემოვიდეს კოსტა, აიწევა ბაზარი და ორივეს ცხრა გრამით დავამძიმებ!
გაგა: – ბაზრის დროს? ეგრე სადაა? მოგვთხოვენ.
„კოღო“: – ვინა, ბიჭო? რას მოგვთხოვენ? საპადელნიკო საქმეში არავინ ჩაერევა, ორივე ბოზი იყო–მეთქი, ვიტყვით, გაიგე? და ავხსნით კიდეც – მკვდრები თავს არ იმართლებენ, გაიგე?
გაგა: – მივაბრიდოთ, მაგათი!..
„კოღო“: – ჰოდა, ეგრე! არ უყურებ ამ ტრაკს?! აზრზე ხარ, ვიღაც არიფს იცავს და ჩვენი დაძირვა მოინდომა, ტექნიკურად! აი, ჭამე (მუცელს წინ გამოწევს), შენნაირები მოუნელებია კოღოს?!

II სცენა

ხელებშეხვეული ბუხუტა ზის, იღება კარი, შემოდის „ბებერო“
„ბებერო“: – როგორა ხარ, შე ბებერო?

ბუხუტა: – ღმერთმა გადამარჩინა, რა!
(გადაეხვევიან)
„ბებერო“: – ერთი, შენებური ჩაი გამიკეთე, რა!
(ბუხუტა ჩაის გააკეთებს, დასხდებიან. სვამენ)
„ბებერო“: – ერთხელ, ერთი ოცი წლის წინ, ავტობუსში, მთვრალ კაცს ვატყავებდით; არც ისე მთვრალი იყო, როგორც მაჩვენებლობდა. ერთი რუსი პადელნიკი მყავდა, ყოველ გაჩერებაზე დაბლა ექაჩებოდა, ჩვენი ჩასვლის დროა, წავედითო. ის კაცი უძალიანდებოდა, ხვდებოდა, რომ თუ ჩამოგვყვებოდა, გავასუფთავებდით და – როდის გიცნობ, ერთად როდის ვართო, ამბობდა, მაგრამ საკუთარ თავს რომ არ გამოტყდომოდა, რომ ეშინოდა, ვითომ მართლა გადამთვრალი იყოო! რუსი იცინოდა, არ იქნება შენი მეტი დალევა, საკუთარ ბიძაშვილს ვეღარ ცნობო! ხალხი ხვდებოდა, არაპირდაპირ ხვდებოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ჩუმად იყვნენ – ცხვარია ხალხი, ჩვენც ცხვრები ვართ, რადგან ჩვენც ხალხი ვართ!
(ბუხუტა დუმს)
„ბებერო“: – შენ იცი, რაზეც მოვედი, მარა ვერ გეტყვი მაგას, სხვა რამე უნდა გითხრა: (ამოიღებს პისტოლეტს, დადებს) აი, აიღე! ხვალე კოსტას შემოიყვანენ, ბაზრის დროს, ფაქტია, რომ ვიღაცა უნდა გაიტისკოს... მე მინდა, რომ... (იარაღს ახლოს მიუწევს ბუხუტას) მე გირჩევ, რომ... აიღე ეს იარაღი და როგორც კი ბაზარი აიწევა, სამივე მიგვაბრიდე, გაიგე?! სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვე, სამი დღეა ვფიქრობ, მარა ვერ ვიპოვე. უნდა გააკეთო ეს, ძმაო, უნდა გააკეთო, მეც მაგათნაირი ვარ, მეც... თავის გამართლებაზე არ იფიქრო, ქურდებმა ყველაფერი კარგად იციან, ერთი–ორს არაოფიციალურად შეგეკითხებიან და პასუხი არ გასცე და... თუ ასე არ მოიქცევი, კოღო დაგასწრებს... გაფიცებ ჩვენ ძმობას, მეც უნდა მესროლო, სხვანაირად აზრი არა აქვს, სხვანაირად, მეც დაგეჯახები, გესმის?! მერე მოხევ, ან რამეს იზამ, მაგაზე არ იფიქრო, მთავარია იცოცხლო, გესმის, იცოცხლო! ამას მარტო შენთვის არ ვაკეთებ, იცოდე და...
ბუხუტა: – ვიცი, რომ ეგრე უნდა გავაკეთო, მაგრამ ვერ ვიზამ, ბებერო. ეგრე რთულად არაა საქმე, ერთ ორ წარტყმას ავიტან, ზონაზეც შემინახავთ რა, მოკვლით კი, შენ ვერ მოგკლავ... რა, მოგკლავ?! – არა ძმაო!
„ბებერო“: – ეგენი უნდა დაისაჯონ, ეგეთები რო... ჩვენნაირები რო არ ისჯებიან, იმიტომაც ქურდულს პატივს...
ბუხუტა: – მოდი, მაგაზე ფიქრს თავი გავანებოთ, ხვალე ის მოხდება, რაც უნდა მოხდეს, სიმართლე გითხრა... კაროჩე, რა!
„ბებერო“: – (მაგიდაზე დადებულ წიგნს იღებს ხელში) რას კითხულობ?
ბუხუტა: – სვაბოდაზე ბერები გავიცანი–მეთქი, ნათესავის სახლში, რო ვამბობდი, მაგათ მაჩუქეს, მაგარი წიგნია, ცოტა რთული მომეჩვენა, მარა წაკითხვის მერე თავში მარტივდება!
„ბებერო“: – (წიგნზე კითხულობს) ბერი პაისი...
ბუხუტა: – ათონზე ცხოვრობდა, ძლიერი ბერი ყოფილა. იუდაზე უწერია, ქრისტე რომ გაუყიდია, თურმე თავს იხრჩობდა, მაგრამ ღმერთს უკანასკნელი შანსი მიუცია და ლეღვის ტოტი, რომელზეც დაეკიდა, დაიღუნა და იუდაც ტერფებით მიწას შეხებია, მაგრამ ისე სურდა თურმე იესოს ჯოჯოხეთშიც დასწეოდა, მუხლი მოუკეცია და ისე დაუხრჩვია თავი.

„ბებერო“: – მერე მათხოვე, ახლა ვერ წავიკითხავ.
ბუხუტა: – ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, ბებერო, ყველაფრის. ჩვენც იუდები ხომ არა ვართ, ბოლო–ბოლო? იმას აპატია ღმერთმაო და ვიღაც ნაბოზარი კოღო მოვკლა? ღირს?
„ბებერო“: – კარგი ძმაო, იფიქრე და მე ჩემს დასასრულს მოვუგონებ ამ ისტორიას, შენ – შენი, ეგ კი (იარაღზე ანიშნებს), იყოს აქ, მაინც!
(კარზე აბრახუნებს, შემოდის ბადრაგი. გადიან)

III მოქმედება

I (და ერთადერთი) სცენა

კამერა. ბუხუტა, „კოღო“, გაგა, „ბებერო“, კოსტა, მდუმარე კაცი.
„კოღო“: – ესეა, ძმაო, ეს საქმე, ესე ვიცი მე და ესე იგი ესეა. მოყვნენ სხვებიც.
გაგა: – ეგრეა, სხვანაირად ვერც იქნებოდა.
კოსტა: – ბებერო, ძაან ყარს ეს საქმე, შენ კიდე არაფერს ამბობ, ძმაო. მე ჩემსას ვითხოვ, ჩემი კიდევ ქურდულია, ჩვენია. თუ ეს კაცი ბოზია (ბუხუტაზე), უნდა მოეთხოვოს, როგორც ბოზს, არადა... (გადახედავს „კოღოს“) თქვენი შინაური ბაზარი კიდე, თქვენ მოაყომარეთ!
„კოღო“: (წამოხტება) – რაღაა აქ გასარკვევი? რას ქვია შინაური ბაზარი? ეს ჩვენი, ყველას ბაზარია, ჩვენი საპადელნიკოა, ძმაო, მარა ერთსაც ვიტყვი, ეს კაცი ჩვენს გვერდით ვეღარ იდგება, ეგდოს თავისთვის, მარა არავისი საქ...
გაგა: (ჩაილაპარაკებს) – რაც ეგ ტისკეს...
კოსტა: (წამოიწევს) – აქ რა, საბავშვო ბაღია? რას ქვია ტისკეს? რას ქვია თავისთვის იცხოვრებს? თუ ბოზია, უნდა მოკვდეს კიდეც! (ბუხუტას) გაიმართლე თავი, ბიჭო, თუ შეგიძლია!
ბუხუტა: – ერთხელ, ბავშვობაში, ჩემმა მეგობარმა კლასის საკეტი გააფუჭა; ხუთოსანი იყო, თან ვძმაკაცობდით, საკონტროლოებს სულ მაგისგან ვიწერდი. ის საკეტი საქმეს უფუჭებდა, ნიშნებს უფუჭებდა და შემეძლო ჩემს თავზე ამეღო ეგ საქმე, მაგრამ არ ვქენი, განა ვერ მივხვდი ან რამე – შეგნებულად არ დავიბრალე და რაზე დავიჭირე იცი მერე თავი? – თურმე, სადღაც გულის სიღრმეში მშურდა იმ ბიჭის, ხო ძმაკაცი იყო, მარა მშურდა და ალბათ გამიხარდა კიდეც რაღაც ისეთი რომ შეემთხვა, რაც მის სახელს ავნებდა. არადა, მთელი ის დღეები ისე მიყურებდა, თვალებით მთხოვდა... რომ ეთხოვა, დავიბრალებდი, მაგრამ არ მთხოვა და მეც ვითომ ვერაფერს მივხვდი, გავჩუმდი.
კოსტა: – შენ რა, გვეკაიფები, ბიჭო?
ბუხუტა: – ყველაზე სასაცილო იცით რა არის ამ ამბავში? ის საკეტი, სინამდვილეში მე გავაფუჭე, იქნებ იმან ეს იცოდა კიდეც...
(მდუმარე კაცი „კოღოს“ და გაგას გადახედავს. „კოღო“ დაიჭერს ამ მზერას, წამოხტება, იარაღს ამოიღებს და ბუხუტას ესვრის. ბუხუტა გადავარდება)
კოსტა: (უკან გახტება) – დაავისვარე, რა!
„კოღო“: – ბოზი, ბოზურად უნდა მოკვდეს!

(„ბებერო“ წამოდგება, ბუხუტასთან მივა, სინჯავს, ცოცხალია თუ არაო. მერე გადაახტება, დანას ამოიღებს და „კოღოს“ გაუყრის. „კოღო“ გადავარდება)
„ბებერო“: („კოღოს“ იარაღს იღებს. გაგას მიუბრუნდება) – გაგა, თქვი, რატომ მოვკალი!
გაგა: (დამფრთხალი) – ეგ იყო, მაგან მოაწყო ყველაფერი, მაგან ჩაგვიშვა, ეგ გაბოზდა, ბუხუტას დავაბრალოთო...
(„ბებერო“ აღარ დააცლის, ესვრის)
„ბებერო“: – თქვენ თვითონაც იცით, როგორ და რა მოხდა აქ, ნუღარ მალაპარაკებთ. (ბუხუტასკენ დაიხრება) ვერ გაიმეტა, ამ საცოდავმა, ერთად არიან გაზრდილები. მაპატიეთ, ძმებო, მარა ვეღარ მოვითმინე, ჩემი გასაკეთებელი იყო ეს საქმე და გავაკეთე! თფუი (დააფურთხებს გაგას და „კოღოს“) ბოზები!
(კოსტა და მდუმარე კაცი დგებიან; მდუმარე კაცი „ბებეროს“ გადაეხვევა. გადიან)
„ბებერო“: – ყარს აქაურობა, მეც ვყარვარ!
(ბადრაგი შემოვარდება)
ბადრაგი: – რა ქენი, ბებერო, დამღუპე?
„ბებერო“: – შენ არავის დაუღუპიხარ და ნუ წივიხარ, გაეთრიე!
(ბადრაგი გადის. „ბებერო“ ჯდება, წერას იწყებს. როცა დაამთავრებს, ადგება, ფანჯარასთან მიდის, თოკს ჩამოაბამს და ჩამოეკიდება. ტერფებით რაფას ეყრდნობა, მაგრამ მუხლებს მოკეცავს და თავს ჩამოიხრჩობს).

„ბებეროს“ წერილი, ანუ
და ისევ კვანძის გახსნა:

მაგრამ აი, მოხდა ისე, რომ ამდენი წლის შემდეგ, როცა ყველაფერი დავივიწყე, გამოჩნდა ის გამომძიებელი. მოვიდა და მითხრა, რომ მუშაობს თურქეთის პოლიციაში, რომ ამ ბოლო დროს, ქართველ სტუდენტებს ხშირად იჭერს და რომ საქართველოში ჩამოვიდა მეგობრის თხოვნით – დააკავებინოს ერთი ვინმე კანონიერი ქურდი, რომლის მეშვეობითაც გავლენ ერთ ცნობილ პოლიტიკოსზე და ასე შემდეგ, ეს საინტერესო აღარაა. მოკლედ, იმ ათ წუთში, რაც ჩემთან დაჰყო, არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რატომ მომძებნა, მაგრამ მე ყველაფერს მივხვდი. მივხვდი, რომ დაჭერილ სტუდენტში შენ გიგულისხმა. არ ვიცი საიდან გაიგებდა შენს არსებობას, მაგრამ ვიცი, რომ შენ გიგულისხმა. თუმცა, ეს თავის მართლება უფროა, რადგან მე ისედაც ვერ შევძლებდი ამ კაცისთვის უარის თქმას, არ ვიცი რა ჰქვია ამას, მაგრამ ასეა!
ვიცი, შეგრცხვება, როცა წაიკითხავ ამ წერილს, მაგრამ ნუ განმსჯი, ნურც თავს დაიდანაშაულებ, გიმეორებ, ეს შენს გამო არ გამიკეთებია!

ჰოდა, შვილო, მოხდა ეგრე. კოღომ (აქაური განაბია, ჰმ, იყო!) საქმე მოიტანა, მე კიდევ ძაღლებს ვაცნობე ყველაფერი. წესით, მშვიდობით უნდა დამთავრებულიყო ეს ამბავი, მაგრამ ბუხუტა არ გატყდა, ბუხუტა ხომ გახსოვს, ჩემი ძმაკაცი, მოსკოვში ოპერაში რომ წაგიყვანა. ძალიან მაგარი კაცი იყო ბუხუტა, ჩემზე და ბევრზე მაგარი, მაგაზე ვაჟკაცი და შემსრულებელი ბევრი არ მეგულება კიდევ, მაგრამ რავიცი, რაც ვიღაც ბერებს გადაეყარა, შეიცვალა, მორწმუნე გახდა, ეკლესიაში სიარული დაიწყო. ამ საქმეზეც არ

უნდოდა წამოსვლა, ძალით წამოვიყვანე, გადავეკიდე და წამოვიდა, ხათრი ვეღარ გამიტეხა. მაგრად დარდობდა რაღაცას, არ ამბობდა, იტყოდა ალბათ, ვერ მოვასწარით ლაპარაკი!
ჩემი თხოვნაა, თუკი ჩემს სიტყვას რამე ფასი კიდევ დარჩა შენთვის: – ვიცი, ის გამომძიებელი ბოროტი არაა, გაგათავისუფლებდა და – მიხედე ბუხუტას დედას, დამარხე მაინც, რო მოკვდება!
მამაშენი

რა სიმშვიდეა, როცა ვინმეს გულს გადაუშლი!

ბიჭო, ეს პიესა დავწერე. ჰა, თქვი, ხომ მაგარია? მეტი რაღა დეტექტივი გინდა? ამას ცოტა კიდევ გავაშალაშინებ და ერთ აქაურ ჟურნალში დავბეჭდავ. ისე, რუსულად უკეთესია, მაგრამ შენ არ კითხულობ, თორემ...
„ბაბაჯანამ“ აჩხუბა ძაღლი? წონა დიდი იყო თუ როგორ? პასუხი ცოტა გრძელი მოიწერე, ნუ ხარ მუდო, ქართული დამავიწყდა, კაცო!

(9)
შემოსული
18.06.04 ვისგან: delivery status
(გაგზავნილი წერილი დაბრუნებულია უკან)

ზამბრი

როცა გძინავს, სულ იღიმი. ჩვილობიდან თვალღია ძილი დაგჩემდა და ისეთი სასაცილო შესახედავი ხარ!.. გამუდმებით მარტოობას არჩევ, ძალიან უკარება და ბუზღუნა ხასიათი გაქვს – ამაში უდავოდ მამას დაემსგავსე. მამაზე როცა გელაპარაკებიან, თვალები გიწყლიანდება და ისეთი საყვარელი სანახავი ხდები... თუმცა, ისედაც პატარა ანგელოზი ხარ!
შე ქვეშაფსია, ამხელა ბიჭი ხარ და ჯერაც იფსამ. დილით, გაიღვიძებ და გაყუჩული და საბანგადაფარებული ატრიალებ მაგ დიდრონ თვალებს. გინდა იმდენ ხანს იწვე, სანამ ღამის კვალი არ გაშრება, მაგრამ მერე შენვე გბეზრდება, თუ გეხამუშება სველ ლოგინში წოლა და როცა ოთახში მარტო რჩები, სწრაფად დგები და სააბაზანოში გარბიხარ.
დედაშენი ხვდება, როგორ განიცდი შენს ქვეშაფსიობას და აბა, რისი დედაა და ვითომცაქარაფერიასავით ალაგებს ლოგინს და როცა ეზოში ხარ, ან სკოლაში, გამოცვლის თეთრეულს და მატრასს ფანჯარაში ჰკიდებს გასამზეურებლად.
შენ იცი, რომ დედას კი არ გამოეპარა შენი ღამის ოინები, უბრალოდ – არაფერს ამბობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაძაბული ელოდები, როდის გისაყვედურებენ და როდის გაიმართლებ თავს და რადგან ეს იგვიანებს, სულ გიკვირს: – ნუთუ ვერ შეამჩნია?
ბაბუაშენი ხანდახან ბუზღუნებს: – ვისა ჰგავს, ეს ვირისთავი? რაღა დროს მაგის ჩაფსმაო და ამ დროს საშინლად გეჯავრება იგი, მაგრამ საღამოს, როცა ნარდის თამაშს დაიწყებთ, ყველაფერი გავიწყდება.

შენი სიზმრები ყოველთვის ერთი წინასიზმრით იწყება: – თქვენი კორპუსის წინ მდგარ ლეღვის ხეზე ადიხარ და ვარდები, ვარდები, ვაააარდეეე... და გეღვიძება და ისევ იძინებ.
თითქოს ხომ ასეთი ჭკვიანი მზერა და მოღუშული სახე გაქვს და, სინამდვილეში, ძალიან გულუბრყვილო, მე ვიტყოდი, სიშტერემდე გულუბრყვილო ხარ. მაგრამ ასეთი არ იქნები მუდამ, აღარც შენი თვალები იქნება მუდამ დიდრონი.
შენ დაამთავრებ სკოლას და იმ წელსვე ჩააბარებ საბანკო–საფინანსო ფაკულტეტზე; კურსზეც ისეთივე დარჩები, როგორიც ბავშვობაში იყავი, მარტოსული და ყველაფერზე შორიდან მოთვალთვალე.
ორი თვე გაძლებ რეჟიმში და პირველი სემესტრის გამოცდებამდე, უკვე ლექციების გაცდენასაც დაიწყებ. უმიზნოდ ხეტიალს დაეჩვევი და დროის დიდ ნაწილს ქალაქის რომელიმე საზოგადო პარკში გაატარებ, მერხზე გადაწოლილი და გოგოებს მიშტერებული.
ერთ დღესაც, სახლში გამოაცხადებ, რომ ყველაფერი მოგბეზრდა, რომ პატარა აღარა ხარ და დროა თავს თვითონ მიხედო. ჩაწყობ ჩანთას და სახლიდან წახვალ. დედაშენი, როგორც ყოველთვის, არაფერს გეტყვის. ბაბუაშენი იბუზღუნებს: – სულ გადაირია ეს თაობა, – აღარც მშობლების სჯერათ, აღარც უფროსების; აი, რა იცის თორის არ ცოდნამო, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი წინააღმდეგობაა და შენ წახვალ!
პირველივე სადგურზე ჩამოხვალ და ფეხით განაგრძობ გზას. გზაში, უცბად გადაიფიქრებ შენს ახირებას და შინ მიბრუნებას დააპირებ, განსაკუთრებით, როცა დაღამდება და შეგცივდება, მაგრამ სიჯიუტე გძლევს და ისევ გადმოიფიქრებ.
ბედი კი არა–და, აუცილებლობაა ცეცხლთან მსხდომ შვიდ კაცს რომ გადააწყდები ქორაზინთან. ერთი მათგანი შენთვის სრულიად უცხო, მშობლიურ, მაგრამ უცხო ენაზე ისაუბრებს. დანარჩენნი კი მოუსმენენ და დროდადრო, რომელიმე მათგანი თუ იკითხავს: – რას ნიშნავს ეგ სიტყვა, ძმაო?
თითქოს შენს მოსვლას ვერც შეამჩნევენ (ასე იფიქრებ, ყოველ შემთხვევაში), მაგრამ შუაღამე რომ გადავა ის, ვინც საუბრობს, მოგიტრიალდება და გკითხავს: – გინდა ჩემთან ყოფნა? შენ დაიბნევი, რადგან, ჯერ ერთი, მოულოდნელი და უცნაური კითხვაა – არ გიცნობენ და არ იცნობ, მეორეც – ყველანი შემოტრიალდებიან და შენ გიყურებენ.
– რა ვიცი, კი, ალბათ... მე... შემთხევით... მე გზა დამებნა და... თქვენთან... მაგრამ იგი თავისთან მიგიხმობს და გვერდით მოგისვამს.
შენ ფეხმორთხმით მიუჯდები და იგრძნობ, როგორი სიყვარულით შემოგხედავს ყველა.
ეს დღე იქნება და სადაც ისინი ივლიან, მუდამ მათთან იქნები, იგი კი თავის საყვარელ მეგობარს გიწოდებს და გვერდიდან აღარ მოგიშორებს.
მანამდე კი, იქ, ცეცხლთან, იმას, სრულიად უცხოს, მუხლზე თავს დაადებ და საიდან აღმოგხდება, მაგრამ მაინც ეტყვი: – მამა! და მერეც, ხშირად ეტყვი – მამა! ის კი გულში ჩაგიკრავს ხოლმე.
მერე სახლში წერილებს მიიწერები, რომ იპოვე ადამიანი, ვის შესახებაც ალბათ ჯერაც არ სმენიათ, რომ იგი სასწაულებს ახდენს;
დედაშენი სიყვარულით ჩაიხუტებს გულში წერილს, ბაბუა კი იბუზღუნებს: – მკვდრებს აცოცხლებს არა – ისა! მომრავლდნენ რაღა, ეს შარლატანები! თუმცა, მაინც გამოაგზავნინებს წერილს დედაშენს კითხვით – საიდანაა ეგ კაცი, რომელი მხრიდანო

და პასუხზე ხელსაც აიქნევს, კი, ზუსტად აი, ასე, აიქნევს და იტყვის: – განა სიკეთეს უნდა ველოდეთ გალილეიდანო?
მაგრამ შენთვის აზრი აღარ ექნება არავის სიტყვას, რადგან შენ ერთადერთ ჭეშმარიტ სიტყვას მოისმენ – შენი მეგობრებისაგან!
და მერე, როცა სახალხოდ არა, მაგრამ პატარა მიწურში, ერთ–ერთი თქვენი მასპინძლის სახლში, რაღაცა ამოუცნობი ძალით, პირველად განკურნავ მომაკვდავს, ატირებული მკერდზე თავს მიუსვენებ და ეტყვი: – მითხარი, მამა, ხომ შენ ხარ ღმერთი?
და რაღა მოხდება მერე, როცა ჯამში მასთან ერთად ამოაწობ პურს და თვალებში შეხედავ და იგი კიდევ ერთხელ მიგანიშნებს, რომ იცის და შენ მაინც აირჩევ და ისიც დაუშვებს, ნუთუ იმ დღეს დაეცემი? არა, მანამდე, ჯერ იქნება და მაგდალაში, ჰო, მაგდალაში, კაცი მოვა თქვენთან და ფეხსაცმელს აჩუქებს იმას. შენ იცი, რომ იმ კაცმა შვილის დასამარხი ფულით იყიდა ეს ფეხსაცმელი და შენს მეგობარს აჩუქა, რადგან ფეხშიშველი დადიოდა და სისხლიანი ჰქონდა ტერფები.
შენ იცი, რაც უნდა მოხდეს: – ის უკან მიუბრუნებს ფეხსაცმელს და მადლობის ნიშნად შვილს გაუცოცხლებს და... მაგრამ არა, შენი მეგობარი ჩაიცმევს და გლოვის ნიშნად მხარზე აკოცებს კაცს.
შენში რაღაც დაიმსხვრევა, მაგრამ ეს ის დამსხვრევა არაა, ან იქნებ ისაა? და მერეც, როცა ძვირფას ტანსაცმელს აჩუქებენ და ის კი ამ ტანსაცმლით მიწაზე ჯდება და... შენ ფიქრობ: – მესამე წელია მას დავსდევთ და შარვალიც კი ვერ გაგვიკერია, ტანზე შემოგვადნა, ის კი არ უფრთხილდება, რა გულით მისცეს, ის კი არ უფრთხილდება, „არ იღებს“! მაგრამ გულის სიღრმეში აღიარებ, რომ ეს შური იყო, პატარა, მაგრამ მაინც შური... ტანსაცმელზე!
ხოლო დიდ ქალაქში წასვლის წინ, როცა თქვენი სამგზავრო ფულით, შეწყნარებული მეძავი ძვირფას სუნამოს შეიძენს და შენს მეგობარს მოასხურებს, შეტრიალდები და წაიბუზღუნებ – ახლა ვიაროთ იმ სიშორეზე ფეხით!
...ის კი, გულში ჩაგიკრავს საღამოს და გკითხავს: – რამე ხომ არ გაწყენინე? შენ თვალებში უყურებ. მართალია, მართალი და ბავშვის მზერა აქვს, მაგრამ პირველად და დამანგრეველად გაგიელვებს გულში: – ყველაზე კარგი ადამიანია, მაგრამ არ არის იგი ღმერთი!
და იმავე საღამოს, როცა სავახშმოდ დასხდებით, განსაკუთრებით ბევრს მოგეფერება [თითქოს ცდილობს გადაგაფიქრებინოსო] და გეტყვის: – ჩემი გული სწუხს შენთვის, მეგობარო!
შენ კი თვალს აარიდებ და უკვე მაშინვე იფიქრებ: – როგორ, როგორ მჯეროდა, მწამდა! სამი წელი, სამი წელი შევალიე ამ კაცს, მთელი სამი წელი! ყველაფერი, ყველაფერი დავტოვე მისთვის – ოჯახი, სწავლა, გართობა, – ყველაფერი! და რისთვის, რისთვის?
ის კი, თითქოს მიხვდაო, იტყვის: – შვიდასჯერ შვიდჯერ რომ შესცოდოს შენმა ძმამ, მიუტევე, ღმერთი კი ყველას მოგიტევებთ, თვით ჩემს უარყოფასაც და იმასაც, რომ ერთი თქვენგანი გადამცემს, მთავარია, რომ გაუძლოთ და მოინანიოთ.
და მერე ჯამი, ლუკმა, და თითქოს ერთი გრძელი ღამე იქნება, როცა მელოტ მთისკენ მიმავალს, შეხედავ და ეცდები გაბრაზება ამოიკითხო მისი თვალებიდან, ის კი ისევ ისე შემოგხედავს, როგორც მაშინ, როცა საყვარელ მეგობარს გიწოდებდა. და შენ გაიქცევი,

სახლში გაიქცევი, ფეხით გაიქცევი. ხალხს დაემალები, თითქოს ყველამ იცისო შენი საქციელი.
იმ თანხას, ჯილდოდ რომ მოგცემენ, უკან დააბრუნებ, მაგრამ დრო აღარ დაბრუნდება უკან, შენ კი საკუთარ თავსაც აჯერებ – არაფერი ისეთი არ მომხდარა!
გაიქცევი, გაიქცევი და სახედაკაწრული, ყველა ფიქრს იმით დაამთავრებ, რომ მთლად ცუდად არ მოიქეცი, – ის ხომ ღმერთი მაინც არ იყო! და მერე, შენივე ხელები დაგღლის, რადგან გეჩვენება, რომ მათ დააჭედეს ლურსმნები და მერე ეზოში შევარდები და [ოღონდ არ გამოტყდე] და შენი კორპუსის წინ მდგარ, [ნაზარეველის მიერ დაწყევლილ ლეღვზე] იმ თოკით დაეკიდები, ბავშვობაში ძაღლს რომ აბამდი...
[აქაც, თითქოს კიდევ ერთხელ მიგანიშნესო, ტოტი დაიხრება და მიწაზე დაადგამ ტერფებს, მაგრამ ო, როგორ ჯიუტად გსურს სიკვდილი და მუხლს მოხრი...]
ეს ყველაფერი იქნება მერე, ზამბრი, ახლა კი, იძინე, იძინე მაგ ფართედ გახელილი თვალებით და ძალიან ნუ დაგაფრთხობს შენი სიზმრის წინა სიზმარი, იქნებ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება კიდევ, იქნებ ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, იქნებ არ აუმხედრდე... ცხოვრებას!

(10)
შემოსული
17.06.04 ვისგან: ჯემალ კარია

მაპატიე, ძმაო, თუკი ჩემდაუნებურად რამეთი გაწყენინე, მაპატიე, ძმაო!

(11)
გაგზავნილი
12.03.04 ვის: ზემხა

ბიჭო, წავიკითხე შენი ნაწარმოები, ყოჩაღ – სუფთა დეტექტივის დედა ხარ! მაგრამ, თუ სიმართლე გაინტერესებს, ძალიან არადამაჯერებელია და საერთოდ, რაღაცა აკლია, თან ვერაფრით ვერ მივხვდი, რისი თქმა გსურდა!

„ბაბაჯანას“ ძაღლმა მოიგო; ათი კილოთი დიდ პიტთან აჩხუბა. ორმოცდახუთი წუთი იჩხუბეს და „ნესი“ პოლის ტილოსავით ათრია იმ ძაღლმა, მაგრამ მეოთხე სკრეჩზე გაჩერდა, მაგარი ნასტილნია ნესი, კიდე იქაჩებოდა, ძლივს დავამშვიდეთ. სამასი დოლარი მედო, ტო, „ბაბაჯანას“ ათასი, რო წაეგო, მივუგუდავდი კიდეც!
არა, რომ ვუკვირდები, ძაღლი, რომელიც პირველ მიშვებაზე მარცხნიდან უტევს, უფრო ამბიციურია და ჟილკის გამო ჩხუბობს. საერთოდ, სჯობს მამალი ძაღლის ჩხუბისას, ოჯახიდან ქალი ესწრებოდეს, მაშინ ძაღლს მისი სცხვენია და ცდილობს უკან არ დაიხიოს, თუ დედალს აჩხუბებ, მაშინ მოწინააღმდეგის ძაღლს უნდა მოეფერო და შენი ძაღლი პატრონის დაკარგვის შიშით უფრო დაუნდობელი იქნება. ძაღლი, რომელიც იმ დღის მშიერია, უფრო თავდაჯერებულად იბრძვის, ხოლო ძაღლი, რომელიც ერთხელ მაინც გაუშველებიათ მოგების პროცესში, უფრო სულსწრაფია.

მოკლედ, ესენი მაინც შენ არ გაინტერესებს და ვეცდები კრიმინალური გაზეთები გამოგიგზავნო, შე დეტექტივა!
ჯოკე!

ქართული თუ დაგავიწყდა და ნოსტალგია მოგეძალა, გაანებე რუსულად რაღაც სისულელეების წერას თავი, აიღე ბილეთი და ჩამოდი აქ, ჩამოდი, წავიდეთ ძველებურად ბულაჩაურში და თუ კიდევ შეჭამ ორმოც ხინკალს, ყველაზე ძვირიან ბორდელში წაგიყვან, შე ცხვირა, შენ!
ჯოკე!

(12)
გაგზავნილი
14.04.04 ვის: gazeti@yahoo.com
პატივცემულო რედკოლეგიავ,
გიგზავნით შეპირებული ნაწარმოების ნაწილს.
ATACHMENT:
ვისი ლურსმნით?
(თვითგამოკვლევასავით)

(ნაწარმოებს არა აქვს სიმართლის პრეტენზია. იგი წარმოადგენს რეალურობის, გამონაგონის, და ავტორის სუბიექტური განცდების ნაზავს. ყოველგვარი დამთხვევა შემთხვევითია, ხოლო ყოველი ისტორიული გადახვევა – სიმბოლური და მიზნად თვითგამოკვლევას ისახავს.)

ბრმა გაუთავებლად ლაპარაკობდა, თუმცა მოხუცი ქალი დიდი ხანია წასულიყო. ალბათ დაღამდა არა? – იკითხა ბრმამ და განაგრძო – ხოდა მეტი აღარაფერი მსმენია იმ კაცზე. იმ დღეს კი, გახსოვს, სამი დღით რომ წავედი? გაზერში ნაცნობები მყავს და მათ მოსანახულებლად ვიყავი. იქ მომიყვნენ ავაზაკის შესახებ, რომელიც სხვის მაგივრად მოუკლავთ და რომლის მაგივრადაც ნაზარეველი მოკლეს! ამ ამბის გახსენებამ რაღაც ჩამწყვიტა შიგნით. რა უღმერთოდ მოვკალით ის კაცი არა, ქალო? შენ გეტყვი საიდუმლოდ და მე ბრმა აღარა ვარ! ნაზარეველმა მთხოვა, არავის უთხრა რომ ხედავო, მე კი მაინც გახარებული შევვარდი ქალაქში და ვხედავ, ვხედავ–თქო ვყვიროდი. შეღებილებმა მაშინვე სათავისოდ გამომიყენეს – აბა, თუ ხედავ, რა ფერის თმა მაქვსო და ასე შემდეგ. მე ვცადე ამეხსნა, რომ ბრმა აღარ ვიყავი, მაგრამ სინედრიონის ხალხმა, რაღაცა მაგიური ძალით შთააგონებს ხალხს და ატყუებს, ვითომც თვალხილული ხარო. ერთმა, მგონი უფროსი უნდა ყოფილიყო მათში, ეგ წმინდა ფსიქოლოგიური ხერხებიაო, ის აჰიპნოზებს ამ იდიოტებს და აჯერებს, ვითომ განკურნაო. მაშინ გავიგე პირველად მისი სახელი. მერე მე გამიშვეს და ერთ თვეში, დაკითხვაზე კვლავ დამიბარეს.
მაშინ, ხალხთან ერთად მეც ვიყავი და უაზროდ ვყვიროდი: მოკვდეს, მოკვდეს–თქო, თუმცა, გეფიცები, წარმოდგენა არ მქონდა მას თუ ასამართლებდნენ. ვიღაც მეამბოხეაო, მითხრეს. ამ იუდას და მათეს პარტია არ გვეყოფოდა, ახლა ვიღაც ახალი გამოჩნდა–

მეთქი, თუმცა თავს ვიმართლებ, მოსაკლავად ყველა ცოდოა. ჰოდა, მტაცეს ხელი და ისევ სინედრიონის წინ აღმოვჩნდი. ჩემს მარცხნივ იდგა ნაზარეველი, ალბათ ერთი ხელის გაწვდენაზე, მაგრამ დაშინებულმა, ვერც კი გავბედე მისკენ მიხედვა. იმ ხმამ, უფროსის ხმამ, კვლავ მკითხა, ბრმა ხარ თუ არაო და არა–თქო, რომ ვთქვი, სიამაყით ამევსო გული, რომ რაღაცა მაინც შემეძლო ამ კაცისთვის გამეკეთებინა, მაგრამ მსახურმა, – ეგ განწირულია მაინც და შენც ზედ მიგაყოლებენ, რა ძალა გადგასო, მიჩურჩულა. ვინა მყავს, ქალო, რომ ჩავებღაუჭე ამ დამპალ სიცოცხლეს და როცა მეორედაც მკითხეს ბრმა ხარ თუ არაო, – ბრმა ვარ–მეთქი. ამ კაცს თუ იცნობო და ბრმა ვარ და როგორ უნდა ვიცნო–თქო და გამიშვეს. გარეთ გამოსულს, გმირივით შემომეხვივნენ და კითხვები დამაყარეს. ყელში ბოღმა მომაწვა და ხმას ვერ ვიღებდი, – რა ჯანდაბად ვთქვი ბრმა ვარ, მე ხომ ბრმა აღარ ვიყავი? მერე, ვინც ირგვლივ მოვიხელთე, ყველას შევევედრე, ღმერთს გაფიცებთ, ნუ ითხოვთ მაგ კაცის სიკვდილს, უდანაშაულოა–მეთქი, მაგრამ ცემა დამიწყეს და გავჩუმდი. იქიდან პირდაპირ სასაუზმეში წავედი. იმდენი დავლიე, სანამ უგონოდ არ დავთვერი და ქუჩაში არ გამაგდეს. დილამდე საკუთარ ნარწყევში ხომ ვეგდე და დილით, ალალბედზე ავწიე ხელი და ტაქსმა გამიჩერა, ულვაშებიანი კაცი იყო, წითური.

გზაში ტირილი მომინდა და ვიტირე კიდეც. მძღოლო–თქო დავუძახე.

დუმდა.

– მძღოლო, მძღოლო! – გავუმეორე.

თავი მოაბრუნა.

– იცი მძღოლო?!.. და რა გქვია სხვათაშორის–მეთქი და მიპასუხა. იცი, დღეს ერთ ადამიანს სიკვდილი მიუსაჯეს, იმან კი, ბრმა ვიყავი და თვალი ამიხილა–მეთქი. უცბად დაამუხრუჭა. არა გჯერა, არა–მეთქი, გამეღიმა, თუ ამას ღიმილი ერქვა. იცი იმ კაცის სახელიო, მკითხა და ვუთხარი და გამომიწოდა ხელი და ჩემი მარჯვენა მარჯვენა ყურზე დაიდო და არის თუ არა აქ ყურიო, მკითხა. დავიბენი – იყო და არის–მეთქი ვუთხარი. ეგ კაცი რომ დაიჭირეს, მეც იქ ვიყავი და მაგისმა მეგობარმა ყური მომაჭრა და მაგან გამიმრთელაო, მითხრა.

მერე ქალქგარეთ წავედით. მე ცოტა ფული მქონდა გადანახული, იმასაც ჰქონდა და დავლიეთ.

ქალო, ქალო, ნეტა მუნჯი არ იყო, შე ოხერო, ხმას მაინც გამცემდი. დაღამდა ნეტავ, თუ არა?

ბრმა წამოიწია და უცბად გაახსენდა, როგორ ჩამოიარა აქ ერთხელ ნაზარეველმა. ბრმამ მოწყალება სთხოვა, მაგრამ როცა იმან თავზე ხელი გადაუსვა, ეს გალღვა. რამ ათქმევინა მაშინ, ვიღაცა გამვლელი იყო ხომ, მაგრამ, ამიხელ თვალებს, ჰკითხა. იმან – გინდა? – შეუბრუნა კითხვა. ბრმამ – ძაან, ძაან მინდა, ძაან! – უთხრა და იმან აუხილა.

მთელი ცხოვრება სანანებლად მექნებაო, გაიფიქრა ბრმამ, თუმცა ერთი რამ ამშვიდებდა, რომ თურმე ერთგულ ხალხსაც მიუტოვებიათ ნაზარეველი და ტაქსის მძღოლმაც, შენ რა გიჭირს, მე ხელიც მომაწერინეს ჩვენებაზე, ვითომ იგი თავს დამესხა მოსაკლავადო, – მითხრა.

ნეტავ რას შვრება მალქოზი?

რას და იმ დღის მერე, ვიღაც კაცი რომ იპოვა ქუჩაში, რომელმაც ნაზარეველის სიკვდილი აუწყა, აღარც გამოფხიზლებულა.

საკუთარმა ნათესავმა გასწირა მალქოზი, გროშების გულისთვის; წამოდი, ერთი კაცია დასაჭერი და ფულს გადაგიხდიანო, უთხრა და წაიყვანა.
ბაღში იყვნენ. ზამბრი ოდნავ ნერვიულობდა და ვისაც ვაკოცებ ისაა, სხვები გაუშვითო, – ამბობდა. რატომღაც მაშინ მალქოზმა გაიფიქრა, რომ ზამბრს უყვარდა ის კაცი და გაუკვირდა კიდეც, თუკი უყვარს, რატომ გასცემსო.
ჯერ მთელი საათი უთვალთვალეს. მაღალს და ორ დანარჩენს სულ ეძინათ. ნაზარეველმა სამჯერ გააღვიძა ისინი. შუბლზე ოფლის მაგიერ სისხლი სდიოდა. სიჩუმე იდგა, რომც გეხმაურა მაინც სიჩუმე იდგა და მაშინ ერთი ხანობა კი იფიქრა, ხომ არ წავსულიყავი სახლშიო, მაგრამ ფულის შოვნის სურვილმა წასძლია. მერე გარს შემოეხვივნენ. ნაზარეველმა საკუთარი სახელი უთხრა და ესენი შიშისაგან მიწაზე დაემხნენ, ზამბრი კი მივიდა და აკოცა, რითაც ყველას ანიშნა რომ ის საშიში არ იყო. ოთხი კაცი მიცვივდა და ხელბორკილები დაადეს. მალქოზი მოშორებით იდგა, მაგრამ მაღალმა მაინცდამაინც მას არ მოუქნია ხმალი და ყური არ მოათალა? მალქოზის ბღავილმა ყველა შეაკრთო და ნაზარეველის სამივე მეგობარი გაიქცა. შეპყრობილმა კი შებორკილი ხელი მოუსვა ყურზე და გაუმრთელა. სხვები ისე იქცეოდნენ, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო და ცემა–ცემით წაიყვანეს ნაზარეველი. მერე იმ ჩვენებებს მოაწერინეს მალქოზს ხელი და როცა ფული მიუყარეს, ზიზღით კი მისწია ორი თითით, მაგრამ მიხვდა, რომ მაინც გაერია იმ ადამიანის ბედში.
ერთხელ, ბავშვობაში, ვიღაც გაეხუმრა აყვანილი ხარო და მას მერე რაღაცნაირად სევდიანი გახდა. მამამისი ფეხბურთის გუნდს წვრთნიდა და მალქოზი ფეხბურთს ვეღარ იტანდა. ისე გახდა ოცდათხუთმეტის, ცოლზე არც უფიქრია. ყველაფერი ჰქონდა „საკუთარი“ და ვერ სვამდა სხვისი ჭიქით წყალს. დედა ადრევე მოუკვდა მკერდის კიბოთი, მამას კი, მეორე ცოლის მოყვანის უფლება აღარ მისცა.
რაღაცნაირად პეწენიკი კაცი იყო. ძმაკაცებს ეცინებოდათ ხოლმე, როცა გულის ჯიბიდან სავარცხელს იღებდა და მანქანის სარკეში ივარცხნიდა თმას. მანქანის სიყვარულმა ტაქსის მძოლობა გადააწყვეტინა, თუმცა მისი გარე ბიძაშვილი, ერთი ხანობა, სინედრიონის წევრის მძღოლად სთავაზობდა ადგილს, მაგრამ რაღაცნაირად გული არ მიუწევდა, შეიძლება იმიტომ რომ ბავშვობიდან ვერ იტანდა „განცალკევებულებს“ და „შეღებილებს“, შეიძლება კი იმიტომ, რომ სულ მათ მორჩილებას ჩასჩიჩინებდნენ სახლში, თუ გარეთ. მერე კი, იმ გარე ბიძაშვილმა, ორიოდე გროშის გამო, ასეთ სამარცხვინო საქმეზე წაიყვანა და ცრუ ჩვენებაზეც მოაწერინა ხელი. რაღაცნაირი შიში იგრძნო, რომ იმის ცრუ დასმენისათვის სამაგიერო გადაეხდებოდა. ამ შიშმა ისე აწამა, ბოლოს უკვე მთელი არსებით ეწადა რაიმე დამართნოდა, რათა ეს მოლოდინი გათავებულიყო, თუმცა, სადღაც ყური მოკრა, თითქოს მეთევზეთა პარტიას ექადაგათ, რომ ნებისმიერი რამ მოგეტევება, თუკი მოინანიებო, მაგრამ მაშინ, ნაზარეველის მაგივრად გათავისუფლებული ყაჩაღი იეშოა–ბარაბა რატომ მოკლესო, ფიქრობდა. და თუმცა იცოდა, რომ ეს თავად ამ უკანასკნელის არჩევანი იყო, აკვიატებულად ელოდა, რომ რაღაცას დააბრალებდნენ.
ბრმისგან რომ შემთხვევით გაიგო ნაზარეველის სიკვდილით დასჯის შესახებ, ცუდად იმ წუთასვე არ გამხდარა. რამოდენიმე დღე გადაბმულად სვამდა და როცა იმ გარე ბიძაშვილმა მოაკითხა და ამან გამწარებულმა საკბენად გაიწია, ვერ შეძლო და მხარზე თავი დაადო და მწარედ ატირდა.

გარე ბიძაშვილმა არაფერი უთხრა, მაგრამ მალქოზი მიხვდა, რომ ისიც რაღაცას ნანობდა. ბაღში მომხდარი სინამდვილეაო? – ეკითხებოდა მალქოზს და დაბნეული განუწყვეტლივ რაღაცას იმეორებდა. თურმე იგი მეთევზეების საიდუმლი შეკრებებს ესწრებოდა, სადაც ხმა გავრცელებულიყო, თითქოს ნაზარეველი გაცოცხლებულიყოს. შენ ხომ გახსოვს მისი მეგობრები მაშინ როგორ გაიქცნენ და მიატოვესო, ეკითხებოდა, ჰოდა, წარმოიდგინე, სახალხოდ აღიარებენ ამას და არავინ არაფერს ეუბნებათ, სულ იმის საქმეებს იხსენებენ და ვიღაც მებაჟეს კარნახობენ და ისიც იწერსო. შენ რომ ყური მოგაჭრა, მაღალი კაცი რომაა, ისიც იქ ტრიალებს გამუდმებით, სულ მოღუშული და თვალებჩაწითლებულია და ამბობენ, ისეთი უშიშარია, გაბედა და სინაგოგაში იქადაგაო. მე ვუყურებ ხოლმე, ისიც მიყურებს, მაგრამ აშკარად ვერა მცნობს, რადგან, რომ მიცნოს ალბათ გამომელაპარაკებოდა.

იმ საღამოს, როცა ნაზარეველი მღვდელთმთავართან მიიყვანეს, ჩვენ ეზოში ცეცხლთან ვთბებოდით. ეგ მაღალი, [ხანანის] მსახურმა შემოიყვანა და ჩვენთან ერთად იდგა. ძალიან ნერვიულობდა, რადგან არც დალია, არც ჭამა, ჰოდა, ტაძრის მოსამსახურე რომაა – როდი, ის გოგო გადაეკიდა, გინდა თუ არა ნაზარეველის მეგობარი ხარო. ის მაღალი გამწარებული უარობდა, არ ვიცნობ მაგ კაცს, ნათესავს ველოდები, იროდიონში მივდივართ და შესასვენებლად გავჩერდითო. მე მაშინვე გამახსენდა, ვინც იყო. იმ არეულობაში წესიერად ვერ დავიმახსოვრე, მაგრამ მერე სახე აღვიდგინე, თან კილოც ჰქონდა და ბიჭებს ვუთხარი: ეგ ნამდვილად ერთ–ერთი ნაზარეველის მეგობართაგანი იქნება–მეთქი. იაკობიც მივიდა და ჩააცივდა, გიცანი, ბაღში ხანჯალი რომ ამოიღე, ის ხარო. მაღალი გაბრაზებული წამოხტა და ქალების მხარეს წავიდა. ბიჭებს მალევე მიავიწყდათ ის და სმა განაგრძეს, მაგრამ მე შენ გამახსენდი, განა ვერ დაგინახე როგორ გაგიმრთელა ნაზარეველმა ყური?! და რადგან ისედაც უწყინარი სახე ჰქონდა, ცუდი ადამიანი არ უნდა ყოფილიყო და ვიფიქრე, ავდგები და, თუ ეს მაღალიც დამთანხმდება, მცველებში ერთი ნაცნობი მყავს, მოვასყიდვინებ და გავაპარებ–თქო (რა ვიცოდი მაშინ, რომ სიკვდილით დასჯას უპირებდნენ და ვინ გაგვაპარებინებდა, ვიღაც მაწანწალა კი არ იყო!); ჰოდა, მივედი იმ მაღალთან გამოვიყვანე და, ვიცი ვინცა ხარ, ცუდი არაფერი მინდა შენთვის, უბრალოდ, სასწრაფოდ მოკრიბე ფული შენს მეგობრებში და მაგ კაცს გაგაპარებინებ–თქო! რაღაცნაირი ეჭვის თვალით დამაცქერდა და ხელი ამიკრა, გიჟი ხარ, ვიღაცა ხარ, რას გადამეკიდეო. მაშინ კი ვიფიქრე, ერთი პირობა, იქნებ მართლა ვცდები–მეთქი, მაგრამ ახლა რომ ვნახე, ხომ ვიცანი?! ხელი ამიკრა თუ არა, რაღაცნაირად გაშეშდა, იქით გაიხედა, სადაც ნაზარეველი ჰყავდათ გუშაგებს, გაიხედა, თვალებიდან სისხლი წამოუვიდა და გარეთ გავარდა. მაშინვე შენ გამახსენდი, ვინატრე, ნეტა აქ იყოს, რაღაცას მოვუხერხებდი–მეთქი, მაგრამ იმ კაცის ბედი აკი გადაწყვეტილი ყოფილა?! როდი ხომ იცი, როდი? რომ გაიგო პატიმარი სასწაულმოქმედიაო, გვერდიდან არ მოშორებია. ჯარისკაცებს ღვინო და პური მიუტანა და ახლოს მიაშვებინა თავი. მერე ამბობდნენ, ავადმყოფი დედის სამკაული მიუტანა და სთხოვა, განეკურნაო.

ნაზარეველი კი, ისეთი მშვიდი იყო, ალბათ ეგონა გაუშვებდნენ (თუმცა მისი მეგობრები ამბობდნენ, იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი და გაცოცხლებაო) და როდის მთელი საათი ესაუბრა.

მერე ზამბრი მოვიდა. შორიდან უყურებდა მას. ნაზარეველს არც ზიზღი, არც გაბრაზება, არც წყენა არ ემჩნეოდა, თავისკენ მიუხმო, მაგრამ ზამბრი არ მივიდა. იაკობი გავახედე

და აგე, მაგ კაცმა გადასცა ნაზარეველი–მეთქი, ვუთხარი. ყველანი ზიზღით აღივსნენ და გავიყვანოთ, ხელკეტებით ვცემოთო, თქვეს. ერთი პირობა, ჭკუაში დამიჯდა ეგ აზრი (ღმერთო მაპატიე და ვიცოდი ფული რომ მისცეს და ვიფიქრე წავართმევთ–მეთქი), მაგრამ მერე შემეშინდა, რომ ჩვენც დაგვაბეზღებდა მღვდელთმთავართან, რომელიც რაღაცა კარგი თვალით უყურებდა, მაგ გველს და გადავიფიქრეთ.

მერე პრეტორიაშიც წაგვიყვანეს და დაგვავალეს გვეყვირა მოკალი, მოკალი იგიო. პილატეს (როგორც ამბობენ, ძალიან მერყევი კაცი ყოფილა) გადაწყვეტილების მიღება უჭირსო. არ ვიცი, ჩვენმა ყვირილმა გაჭრა, თუ ხანანის გავლენამ, მაგრამ პილატემ თავდაპირველი გადაწყვეტილება (ამბობდნენ მისი გაშვება სურსო) გადათქვა და ის კაცისმკვლელი ბარაბა გაათავისუფლა. მერე ჩვენ დავიშალეთ და სახლებში წავედით. გავიგე, ზოგი დარჩენილა და მელოტ მთამდე გაჰყოლია მათ.

როდიმ თქვა მერე, დასჯას საიდუმლოდ თვით ხანანი ესწრებოდაო. ხანანის მსახურზე და მასზე ამბობენ, საყვარლები არიანო და ალბათ მართალიცაა – აბა, საიდან გაიგებდა ამდენს, არა?

როდიმ კი მართლა ხანანის მსახურისაგან გაიგო ყველაფერი, რადგან ნამდვილად საყვარლები იყვნენ. რამდენიმე დღის მერე უამბო კაცმა დაწვრილებით ყოველივე, როცა ერთად იწვნენ და ჭრაქის შუქზე საუბრობდენ.

მსახურმა თქვა:

ჩემს პატრონთან რომ მოიყვანეს იგი, უკვე ყველა ამბობდა, სიკვდილით დასჯას უპირებენო, მაგრამ ბოლომდე არავინ იყო ამაში დარწმუნებული.

ხანანს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოკვდინება, თუმცა, რაკი ოფიციალური მღვდელთმთავარი ის კი არა, მისი სიძე იყო, გაგვაგზავნა წერილით, სადაც უბრძანებდა (კი არ სთხოვდა, უბრძანებდა) ეს კაცი სიცოცხლეს უნდა გამოასალმოთ, თორემ მთელი ერი დაიღუპებაო. მღვდელთმთავარს ეშინია სიმამრის, ეს ყველამ იცის, მაგრამ თვითონაც არანაკლებ სძულდა ნაზარეველი და ამიტომაც იყო, ის ღამე ცივ მიწაზე მჯდომს რომ გაატარებინა. შენ რომ ამოხვედი და მთხოვე, იმას რამე უშველე, თორემ ვისაც არ ეზარება, ყველა ამცირებსო, იმ წუთას გადაწყდა მისი მოკვდინება. არადა, ახლა ვფიქრობ ხოლმე, იმ დღეს სინედრიონის იმ წევრებსაც რომ მოენდომებინათ, ვინც მონაწილეობა არ მიიღო გასამართლებაში, ნაზარეველს სიკვდილი ასცდებოდა. ვითომ ხომ თავი შეიკავეს, მაგრამ ეს თავის შეკავება იგივე თანხმობა იყო.

ხანანი დაესწრო სასჯელის აღსრულებას. ჩვენ საიდუმლოდ წავედით და შორიდან ვუყურებდით ყველაფერს. ნაბრძანები გვქონდა, ყველა იქ მყოფთათვის გვეთვალთვალა და მერეც, თუკი დასაფლავებას მოინდომებდნენ, მორიგეობით გვედარაჯა.

რამდენადაც მე ხანანს ვიცნობ, მგონი იმ კაცის სჯეროდა; სჯეროდა, მაგრამ რაღაცა აკავებდა ეს Eეღიარებინა, ან არ სურდა, რადგან სწორედ მისი იდეა იყო...

ძალიან ეშმაკი კაცია ხანანი და სხვათაშორის, ძალიან მცოდნეც. ხუთი თითივით იცის კანონი, მაგრამ, რაღაცნაირად, ისე მოხდა, რომ რაც კი დაგეგმა ნაზარეველის სამტროდ – სასარგებლოდ გამოუვიდა.

როდი, მე ვიცი, რომ შენც ჩუმ–ჩუმად დადიხარ მეთევზეებთან და გეხვეწები, მოერიდე მათ არა იმიტომ, რომ რწმენა არ დაკარგო, ჰეროდე გაცეცხლებული დასდევს მათ და შესაძლოა რამე დაგაბრალონ და ტყუილად გაეხვიო უსიამოვნებაში.

ამბობენ, ჰეროდეს დედას, წყალში უპოვნია ნაზარეველი, იცი, როდის? ჩვილთა ჟლეტა რომ მოაწყო ჰეროდეს მამამ, სწორედ იმ წელს. იმ ღამის მერე ჰეროდეს უმცროსი ძმა, ორი წლის იეშოა, ძილში გაიგუდა და როცა ნაზარეველი იპოვეს, შვილივით ზრდიდნენო. მერე ასტროლოგებს უწინასწარმეტყველებიათ ჰეროდეს დიდისთვის, რომ ნაშვილები ბიჭი მის წინააღმდეგ აღდგებოდა, რასაც კაცის რისხვა გამოუწვევია და ნაზარეველის მოკვლა განუზრახავს, ნაზარეველი კი ეგვიპტეში გაპარულა და რამოდენიმე წლით გადამალულა.
როდი ყველაფერს გაფაციცებით ისმენდა, რაც კი ნაზარეველს შეეხებოდა. ამიტომ თუ იყო, რომ იმ საიდუმლო შეკრებებსაც მეთევზეებთან, უდიდესი რისკის ფასად ესწრებოდა და ყველაფერს იწერდა, რასაც კი მასზე ყვებოდნენ.
მისი იდეების გაზიარება დაუწყია როდის ძმასაც, რომელიც რომაულ ლეგიონში ჩაეწერა და ახლა პილატეს ცენტურიაში მსახურობდა.
და–ძმა, დეიდის მეშვეობით ამყარებდნენ მიმოწერით კონტაქტს, თუმცა ტელეფონიც ჰქონდათ და ერთსა და იმავე ქალაქშიც ცხოვრობდნენ. ეს მიმოწერა იეჰუდამ გამოიგონა და ორივეს მოსწონდა.
იეჰუდა მოულოდნელად წავიდა ჯარში. უნივერსიტეტში სწავლობდა, მგონი ისტორიის ფაკულტეტზე, როცა მესამე კურსელმა, თავი დაანება ყველაფერს, კომისარიატში გამოცხადდა და ვიღაცის მაგივრად გაუშვეს შორეულ ქალაქ ქორაზინში. სამხედრო ნაწილი ქალაქგარეთ იყო განლაგებული და იეჰუდასაც ძირითადად სამხედროებთან ჰქონდა საქმე. იმ იშვიათ დღეებში, როცა ქალაქში უშვებდნენ, ნაწილიდან არ გამოდიოდა და ზედამხედველის ცოლთან, ოციოდე წლით უფროს ქალთან რჩებოდა. ქალი დედასავით ექცეოდა და თან კაცსაც დანატრული იყო, ამიტომ იეჰუდა მიზეზს ვერ ხედავდა ქალაქში წასასვლელად. ზედამხედველმა ყველაფერი იცოდა მათი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ გასაგები მიზეზის გამო ხმას არ იღებდა კი არადა, თვითონ რომელიმე სხვა ოფიცრის სახლში რჩებოდა. ზედამხედველი არ იყო ბოროტი კაცი, ყოველ შემთხვევაში, იეჰუდას მშობელ მამასავით ექცეოდა და მისივე რეკომენდაციით მიიღეს ბიჭი ცენტურიაში.
ქორაზინიდან იერუსალიმში გადაიყვანეს; თავიდან, ცოტა ამრეზით უყურებდნენ, მაგრამ მერე, რაკი გაირკვა, რომ იეჰუდაც იერუსალიმელი ყოფილა, მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, მითუმეტეს, რომ ცენტურიონი ძალიან კარგად ექცეოდა მორჩილ, საქმისმოყვარე, უშიშარ ყმაწვილს.
ნაზარეველის იდეების შესწავლა, როგორც როდიმ წერილებიდან გაიგო, სასჯელის აღსრულებამდე დაუწყია იეჰუდას. რომელიღაც ბარ–რესტორანში გაუცნია ახალგაზრდა მდიდარი კაცი, რომელიც თურმე ფეხდაფეხ დაყვებოდა ნაზარეველს. ახალგაზრდას ნათანი ერქვა, (მამამისი სინედრიონის წევრი ყოფილა) ჩვენს სახლშიცაა ერთხელ ნამყოფი და სწორედ მაშინ გავიცანიო. თურმე ნათანს და ნაზარეველს ბევრი უსაუბრიათ იმ ღამით. რაღაცა ისეთი მომფენი სიმშვიდე ჰქონდა, შეუძლებელია მისი გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყავიო, უყვებოდა იეჰუდას. თითქოს ის ლაპარაკობდა და მისი სიტყვები მის სხეულს კი არ შორდებოდნენ, თვით მასშივე რჩებოდნენო. როცა ის რამეს იტყოდა, ყველა სიტყვა ჩემს ცნობიერებაში ცოცხლდებოდა და წარუშლელ კვალს ტოვებდაო. მერე, სამარიაში ყოფნის დროს, თავი შეუხსენებია ნაზარეველისთვის და უთხოვია ერთ–ერთ მის თანამოაზრედ მიეღო. მაშინ ორმოცამდე ადამიანი რაღაცა ეჭვის თვალით

მიყურებდა, თითქოს ჩემში სანდო კაცს ვერ ხედავდნენო, მაგრამ ნაზარეველს მშვიდად უთქვამს: – იყავი, თუკი გსურს, მაგრამ რაც გაქვს ის აღარ გექნება და რაც არ გაქვს, იმას შეიძენო.

მე მაშინვე მივხვდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ გაკვირვებული სახე მივიღე და იმანაც ამიხსნაო: – რაც შენთვის ყველაზე ძვირფასია, რასაც ყველაზე მეტად ებღაუჭები, რითაც ყველაზე მეტად ამაყობ, – ის დათმეო.

ნათანმა, უმალ ჩემი სახლი, მანქანა, ოჯახი და საზოგადოება წარმომიდგა თვალწინო, მაგრამ მაინც ვკითხეო: – კი მაგრამ, რა ვუყო ამ ყველაფერს? თუ თქვენ გინდათ, თქვენთანა ვარ და ჩემი, იგივე თქვენია–მეთქი, მაგრამ თავდახრილ ნაზარეველს უთქვამს – არაო, ვინმე შენთვის სულერთებს მიეცი, ჩვენ ყველაფერი გვაქვსო. და რას მივიღებ სანაცვლოდ და არც არაფერს, შეიძლება პირიქით – ბევრმა ზურგიც შეგაქციოს, ვისაც მისცემ, შეიძლება იმან ღამე აღარ გაგათევინოს, მაგრამ, სამაგიეროდ შენ, იმ შენი სახლის საკუთრება აღარ იქნებიო. და მამაჩემი–მეთქი? მამაჩემს ხომ ყველაფერი ეს აქვს და მისთვის არ გითხოვია არაფრის დათმობა–მეთქი და მამაშენს რაც აქვს, იმაზე არაა დამოკიდებული და შენ კი – ხარო. მერე მიჩვენა ვიღაც ახალგაზრდა მხატვარი, რომელმაც თავისი ბრწყინვალე კარიერა, და ცოდნა გვერდზე გადადო და მე მომყვაო. მიეცი ამას გინდა შენი ქონება, გინდაც სამჯერ მეტი, ამისათვის ეგ საშიში აღარაა, რადგან დაკარგვის არ ეშინია, შენ კი, შენ დაკარგვის გეშინიაო, მითხრა და გაჩუმდა.

ნათანი უყვებოდა იეჰუდას, რომ მას მერე ვცდილობ მოწყალების გაცემა ვისწავლო ისე, რომ უპირატესობის განცდა არ მქონდეს, მაგრამ ყველაზე მეტად თავმდაბლობა მიჭირსო. იეჰუდას ურჩევია – მაგაზე საერთოდ ნუ იფიქრებ და ბევრად აჯობებს ეცადო, ჩუმად გაიღო მოწყალება, ნაკლებად დაიტანჯებიო.

ასე რომ, იეჰუდა ნათანს დამეგობრებია და ნაზარეველის იდეების გაზიარებაც დაუწყია.

მერე, მეც იქ ვიყავი, მელოტ მთაზეო, სწერდა როდის; როცა ნაზარეველმა ძლივს ამოათრია ჯვარი და მთელი ეს ხალხიც ამოვიდა, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რადგან კი ვიცოდი ვიღაც რევოლუციონერს რომ სჯიდნენ, მაგრამ ამდენი ცნობისმოყვარე და გულშემატკივარი თუ მოყვებოდა, არ მეგონაო.

ათეულის უფროსს, რაკი დაუნახავს, რომ ამდენი დაინტერესებული ადამიანი მოგროვდა, ფულის შოვნა გადაუწყვეტია და ნაზარეველის დამცირებაზე თანხა დაუწესებია. მსურველები ჯერ ცოტა, მერე კი უამრავი ყოფილა. ერთმა კი, სულაც, ლურსმნების დაჭედების უფლება იყიდა და ამაყად გაემართა ქვით ხელშიო. მაშინ ვნახე იქ ნათანიო; გაფითრებული იდგა და იმ შეღებილს ისეთი ზიზღით უყურებდა, თუ ზიზღს რამე ძალა აქვს, აუცილებლად მოაკვდინებდაო. მე ხელი ავუწიე და მოვუხმე და ისიც, შეშფოთებული მოვარდა და მკითხა აქ რას აკეთებო. მე ფორმაზე დავირტყი ხელი და აი, სამასახურში ვარ–მეთქი, ვუთხარიო; იცი ვინაა ეს კაციო, მკითხა და ტირილი დაიწყოო და მეც ყველაფერს მივხვდიო. მერე ფული ამოიღო და დაუთვლელად ჩამიდო მუჭში და იმ შენს უფროსს უთხარი, ნუღარ ტანჯავს, დროზე მოაკვდინოს და ხალხს ნუ ამცირებინებსო. მე გადავეცი ფული ჩემს უფროსს და ის ახლა ხალხს დაერია და ყველა მი–მოფანტა, თუმცა ბრბო ისედაც დაშლილი იყო უკვე, რადგან წვიმას იწყებდაო.

ჯვარზე გაკრულ ნაზარეველს, რაკი ვიცოდი ვინც იყო და რაკი მის საიდუმლო მიმდევრად მიმაჩნდა თავი, მურიანი ღვინო მივაწოდე ტკივილების შესამსუბუქებლად, მაგრამ არ მოსვა და ლოცვა განაგრძოო. ძლიერ წვიმდაო. ისე წვიმდაო, ნაზარევლის

ტანსაცმლისთვის მოთამაშე ჯარისკაცებიც კი მოფარებულში წავიდნენ და დავრჩით მხოლოდ მე, ნათანი, მეწამულმოსასხამიანი, თავდაბურული კაცი, ნაზარეველის დედა, მგონი დეიდები და ვიღაცა კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა სიკვდილმისჯილსო. რაღაცა მსურდა გამეკეთებინა ნაზარეველისთვის და ახლა წყალი მივაწოდე და მგონი, უფრო ხათრით მოსვაო. ძალიან იტანჯებოდა, ძალიან, რადგან ოფლის მაგივრად სისხლი მოსდიოდაო. ათმეთაურსაც კი გული მოუკვდა მისი ტანჯვის დანახვაზე და ახლა მან შესთავაზა მურიანი ღვინოო, მაგრამ ნაზარეველმა კვლავ უარი განაცხადაო. მერე შავმოსასხამიანმა დაუძახა მეთაურს, რაღაცა უთხრა და მეთაურიც გაჭიმული გამოიქცა და მიბრძანა შუბით ფერდი განმეგმირა ნაზარევლისთვის, რათა ეს ტანჯვა დამთავრებულიყო და სიკვდილი დამდგარიყოო. მე ჩავთვალე, რომ ეს უკანასკნელი სამსახური მაინც შემეძლო სიკვდილმისჯილისთვის გამეწია და შუბი ავიღეო. რომ მივუახლოვდი, თავი დახრილი ჰქონდა და აღარც შემიხედავს, ისე ვაძგერე შუბი ფერდშიო. არ შერხეულა, მაგრამ სისხლი კი თქრიალით წამოვიდა და შუბის წვერით ახლა შუბლი ავუწიე და მივხვდი – მკვდარი იყოო. თვალები ღიად დარჩენოდა, მაგრამ თითქოს მიყურებდა და მეუბნებოდა, რატომ მკლავ, რატომ მკლავ მეო?

იმ დღიდან ცენტურიიდან წამოსულა იეჰუდა. ნაზარეველის მეგობრებს მიჰკედლებია, რომელთაც სახელი გადაურქმევიათ მისთვის და იოსები უწოდებიათ. ახლა, ხან რომელი და ხან რომელი ქალაქიდან იწერებოდა და თანაც ისეთ რამეებს, როდის ხან არც სჯეროდა. ნაზარეველის მეგობარია ერთი, მიცვალებულებს აცოცხლებს, არადა, დასჯის დღეებში უარუყვია იგი. დღედაღამ ტირის და ისე ტირის, თვალებიდან სისხლი სდის და უპეები და გუგები სულ წითელი აქვსო. შუაღამისას, მამლის ყივილზე მუხლებზე ეცემა, მოთქვამს და საკუთარ განდგომას ინანიებსო. მაშინ, ნაზარეველს გამოუხედავს და ისეთ სინანულს და ტკივილს დაუვანებია ამის გულში, სურდა ეყვირა, რომ იცნობს, იცნობს ამ კაცს და მეტიც, მისი თანამოაზრეა, მასთან ერთად იყო ბაღშიც, მაგრამ შემეშინდაო და გარეთ გაქცეულა.

ერთი კიდევ, მისი საყვარელი მეგობარიაო, ოთხი დღის მკვდარი გაუცოცხლებიაო ადრე ნაზარეველს. მასზე ამბობენ უკვდავიაო. თურმე ხან მოწამლეს, ხან ცეცხლში ჩააგდეს, ხან წყალში დახრჩობა დაუპირეს, მაგრამ არ კვდებაო.

როდის აჟრჟოლებდა ამეების წაკითხვისას და ყველაფერს იწერდა მანამ, სანამ ნაზარევლის თანამზრახველობაში არ დასდეს ბრალი და არ გაამათრახეს. როდიმ ვერ გადაიტანა დასჯა და მოკვდა, თუმცა მანამდე როდის ჩანაწერებში გაჩნდა ასეთი წინადადება: – „ლებეიამ, დღეს, მარიამანას მოკვლა სცადა, მაგრამ ქალი გადარჩა. სუსანა ქრისტიანებთან გაიქცა.“

მომხდარი რომ ჩვენს წინ გაცოცხლდეს, უნდა დავიწყოთ სახელიდან – მარიამნა. ეს ქალი მღვდელთმთავრის კანონიერი მეუღლე და ხანანის შვილი იყო. ხანანი ცნობილი გახლდათ თავისი მკაცრი ხასიათით და რა გასაკვირია, რომ შვილსაც განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ზრდიდა, მარიამნა მხიარული გოგო იყო. მამის დასანახად თუ მწუხარე სახე ჰქონდა და მარხულობდა, როცა თავს მარტო დაიგულებდა, სასწაულებრივად გარდაიქმნებოდა და ათასგვარ სისულელეს აკეთებდა. ცამეტი წლისამ პირველად მოწია მეზობლის ბევრად უფროსი ასაკის ბიჭებთან ერთად ჰაშიში.

საერთოდ, მასთან უკვე ყვინჩილობის ასაკს გადაცილებული ბიჭები უფრო ურთიერთობდნენ, ვიდრე თანატოლები. მეგობარი გოგოები მხოლოდ იმიტომ ჰყავდა,

რომ მარტო არავის დაენახა ბიჭებთან, გოგოებიც იმიტომ ემეგობრებოდნენ, რომ მარიამნას თაყვანისმცემლები მათაც ანებივრებდენენ.

მარიამნა ყველაფრის ნებას რთავდა ბიჭებს, მაგრამ როცა საქმე ძალიან მთავარზე მიდგებოდა, აჩერებდა და მკაცრი სახით იშორებდა თავიდან. ბიჭებს ეს უფრო ახელებდათ და მერე უკვე ერთმანეთს დაერეოდნენ ხოლმე.
მარიამნა ორჯერ არასოდეს აძლევდა შანსს ერთსადაიმავე პიროვნებას და უკვე ახლის მკლავებს მინდობილი, ელოდა. ბიჭები მაინც ბიჭები იყვნენ, რაღაცას ვერ ხვდებოდნენ – იმას, რასაც მიხვდა მარიამნას კანონის მასწავლებელი, რომელმაც თამაში აღარ დაუწყო თოთხმეტი წლის გოგოს და გააუპატიურა. მარიამნამ პირველივე ჯერზე მიიღო სიამოვნება და მას მერე აღარც გაჩერებულა. მისთვის არ არსებობდა სუსტი და ძლიერი მამაკაცი ისევე, როგორც შინაური და უცხო.
სამი თვის ფეხმძიმე, ხანანთან დაასმინეს. გაცოფებული ხანანი დამნაშავეს ეძებდა, მაგრამ დამნაშავე უკვე რომში, იზიდას ტაძარში საჯაროდ გმობდა თავის რწმენას. ხანანი მღვდელთმთავრობდა მაშინ და ამ ამბის გახმაურება რაკი არ სურდა, სირცხვილის მოშორების მიზნით თავის ყველაზე უშნო მსახურს შესთავაზა ქალიშვილი ცოლად. მსახური დაიბნა, რადგან ვერ დაიჯერა, როგორ მისცემდნენ ასეთ ქალს მისნაირ კოჭლს, საპყარს და მახინჯს. სახლში უთხრეს, მამამ უთხრა, რამე ხინჯი ექნება, შეიძლება ნამუსახდილია და იმიტომ გთავაზობენ, მაგრამ არაფერი გიჭირს, მოიყვანე, შენ სხვა ქალს მაინც არავინ გამოგატანსო.
ასე გახდა კაიაფა ხანანის სიძე, ხოლო მარიამნამ პირველი საქორწილო ღამე სხვასთან გაატარა. კაიაფა დაათვრეს და დააძინეს, ის სხვა კი სულაც არ იყო საპყარი და არც ცოდვის ეშინოდა.
კაიაფამ აღიარა შვილი, რომელიც ორ თვეში მოკვდა, მარიამნამ კი ყველა მსახური გაიცნო. ამასობაში სიძე სინედრიონის წევრად აარჩევინა ხანანმა და ხმები დადიოდა, თავის ადგილას ამ საპყარს გადაულოცავსო. მთელი სინედრიონი და ხანანის სახლიც, კაიაფას დასცინოდა: ეგ რქიანი გონჯი, ყველამ იგემა მაგისი ცოლი, მაგის გარდაო.
მარიამნა კი, რაც ასაკში შედიოდა, მით უფრო ავხორცი ხდებოდა და მისმა ვნებამ კაცებიდან ქალებსა და ბავშვებზე გადაინაცვლა. მისი საყვარლების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ცნობილია ერთი საყურაღდებო ფაქტი, რომ ერთ–ერთ წვეულებაზე, მარიამნას გაუცვნია პილატეს ახალგაზრდა ცოლი, რომელიც გულში ჩავარდნია და გასაქანს აღარ აძლევდა. ქალს ქმრისთვის მიკიბულ–მოკიბულად შეუჩივლია, მაგრამ, როგორც ამბობენ, პილატე ერთთავად ნარკოტიკზე ყოფილა გადართული და ალბათ ყურადღება არც მიაქცია ცოლის ჩივილს.
მარიამნა კი, ხან საჩუქრებს უგზავნიდა ქალს, ხან ურცხვად და უტიფრად სწერდა წერილებს და საყვარლობას სთავაზობდა. პილატეს ცოლი ძალიან სუსტი და გულუბრყვილო ქალი იყო და ხშირად მოძალადის კოცნას და ხელის მოხვევას სიმორცხვით ვერ უწევდა წინააღმდეგობას, რაც მარიამნას თანხმობის ნიშნად მიუღია და ძალის ხმარებით, ერთ–ერთ მორიგ წვეულებაზე, ოთახში შეუყვანია და კაბა შემოუხევია.
მას მერე, თურმე, პილატეს ცოლი ყველანაირად ერიდებოდა მარიამნას და ან მოგზაურობდა ან სულ სახლში იჯდა. მარიამნას ჯაშუშები მიუგზავნია პილატეს

ცოლისთვის, იქნებ ვინმე საყვარელი ჰყავს და შანტაჟი მოვუწყოო, მაგრამ ჯაშუშებმა სულ სხვა ამბავი მოიტანეს – ქალი ვიღაც შარლატანს გადაეკიდა, მის შეკრებებს ესწრება და თავს იმის მეგობარს უწოდებსო. მარიამნას თავიდან ყურადღება არც მიუქცევია ამ ამბისათვის, მაგრამ როცა ნაზარეველი შეიპყრეს და გასასამართლებლად ჯერ პილატეს, მერე ჰეროდეს, მერე კი კვლავ პილატეს მიჰგვარეს, გაახსენდა და იფიქრა, რომ ამ ამბავს სათავისოდ გამოიყენებდა და ქალს წერილი მისწერა, თუკი ჩემს საყვარლობას დათანხმდები, იმას ვიხსნი, თუ არა და სიკვდილით დასჯა არ აცდებაო. ქალი ჭოჭმანობდა თურმე და ზოგიერთი გადმოცემით, საკუთარი მოძღვრისათვისაც უკითხავს რჩევა. ალბათ პასუხი ნათელია, რადგან შედეგიც ნათელია, თუმცა ზოგი ამბობს, მარიამნა მაინც ვერაფერს შეცვლიდა, რადგან ხანანს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი და მღვდელთმთავარი უბრალოდ აღმსრულებელი იყოო. ასეა თუ ისე, პილატეს ცოლი იმ ამბების მერე სახლიდან გაქცეულა.

მარიამნა პირადად არ იცნობდა ნაზარეველს, ნანახიც არ ჰყავდა, ისე მოსთხოვა ქმარს მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა.

მეორე ვერსიით, მარიამნამ ნახა ნაზარეველი და მის ცდუნებასაც შეეცადა (ამ აზრის მომხრენი იქიდან გამოდიან, რომ მარიამნა ყველა განსასჯელს ნახულობდა გვიან ღამით), მაგრამ თითქოს ვერ შეუბედია მისთვის რამეს კადრება, უბრალოდ, ათიოდე წუთი შორიდან უყურებდაო და მერე მცველი მიუგზავნია, თუ გეშინია, გაგაპარებო. არავინ იცის რა უპასუხეს, რადგან მარიამნა თავისთან მიბრუნებულა, ნაზარეველი კი გაუმათრახებიათ.

ეს ვერსია გამონაგონს უფრო ჰგავს, თუმცა, არცაა გამორიცხული, რომ ისეთ გარყვნილ ქალს, როგორიც მარიამნა იყო, განსაკუთრებული ჟინი არ გასჩენოდა იმ კაცის საცთუნებლად, ვინც ღმერთობას ჩემულობდა; მეორეს მხრივ კი, ცნობილია, რომ ამ ამბების მერეც, როდის ჩანაწერებიდან სავარაუდოდ ვგებულობთ, რომ მარიამნა თავისი ჩვეული ხერხებით ცდილობდა ვინმე სუსანას ცდუნებას, რომელიც ვიღაც ლებეიას ცოლი იყო. ლებეიამ ალბათ ვეღარ აიტანა მარიამნას თავხედობა (რომელიც, როგორც ამბობენ, ქმრების თვალწინვე ეარშიყებოდა მათივე ცოლებს) და მისი მოკვლა სცადა. ლებეია, სავარაუდოდ, სინედრიონის ერთ–ერთი წევრი უნდა ყოფილიყო (სხვანაირად ვერც მოახერხებდა ქალის საძინებელში შესვლას), მაგრამ შეიძლება ვინმე მსახურთაგანიც იყო, ან შეიძლება მარიამნას ნათესავიც კი ყოფილიყო.

ამ ინცინდენტის შემდეგ, მარიამნას სახელი აღარსად ჩანს. ითქვა, თითქოს ის ჭრილობებისაგან მომკვდარიყო (თუმცა დაზუსტებული ისიც არაა, ჭრილობები მიაყენეს თუ არა?!) ასევე შეიძლება რომში გაიქცა ვიღაც ახალგაზრდა რომაელთან ერთადო, ან ერთი სხვა ვერსიით, იგი თითქოს ეგვიპტის უდაბნოში განმარტოებულა, კიდევ სხვა ვერსიით კი, შეიძლება მარიამნა ნაზარეველის მეგობარი გამხდარიყო, რადგან ანტიოქიელ ძმათა ჩანაწერებში მოიხსენიება ვინმე იერუსალიმელი მარიამნა, მდიდარი წარმოშობის ქალი, ვინაც ყველაფერი უარყო და ბარნაბასთან ერთად ქადაგებს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, მარიამნა იმ დღიდან საერთოდ გაქრა თვალთახედვიდან და მასზე მეტი აღარავის სმენია.

მღვდელთმთავარი კი, სასჯელის აღსრულების დღიდან შეიცვალა. როცა მისი სახლი ბრბოსაგან დაცარიელდა და ნაზარეველი მელოტ მთისაკენ წაიყვანეს, სინედრიონის

დანარჩენმა წევრებმა ღვინო მოითხოვეს და ქეიფს აპირებდნენ, მაგრამ მღვდელთმთავრის სულში საშინელმა უფსკრულმა და სასოწარკვეთამ დაისადგურა; იჯდა თავის მწვანე სავარძელში და უაზროდ აცეცებდა თვალებს. მერე იმას მოუხმო, ვინაც სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ მისცა ხმა და გვერდით მოისვა:
– მითხარი, რას ფიქრობ იეშოა ნაზარეველზე?
ის, ვინაც სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ მისცა ხმა, მჭმუნვარე იყო და თავდახრილმა თითქოს მოულოდნელი, მაგრამ მღდელთმთავრისთვის ძალიან საჭირო სამი სიტყვა თქვა. მღვდელთმთავარმა გაიკვირვასავით, სცადა წარბები ზეაეწია, მაგრამ წარბებიც დაღლილი ჰქონდა თითქოს, რადგან ისეთი საწყალი სახით შეხედა იმას, ვინაც სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ მისცა ხმა, თვითონვე შეეცოდა საკუთარი წარმოდგენილი თავი.
მღვდელთმთავარმა მანამდეც იცოდა, რომ იგი, ვინაც სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ მისცა ხმა, კეთილად იყო განწყობილი ნაზარეველის მიმართ.
– ხალხი გააღმერთებს მერე და სჯობს გავამათრახოთ და დავაშინოთო, ამბობდა ის, ვინაც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ მაშინ მისმა ერთმა აზრმა ვერაფერი გადაწყვიტა. ახლა კი, დღეს, როცა იმან, ვინაც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მისცა ხმა, საკუთარი თავისთვის ასეთი საშიში სამი სიტყვა თქვა, მღვდელთმთავარმა მტკივანი კბილივით დამანჭა ისედაც უშნო სახე და გვერდით გაიხედა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ნაზარეველი ღმერთი იყო, მაგრამ რაღაცა დანებებულად მოქმედებდა. ჯერ ფიქრობდა, თუკი ღმერთია, თავს მაინც დაიხსნისო, მაგრამ მერე აღიარა, რომ ყველაფერი თავის გამართლება იყო მხოლოდ.
როცა მის წინ იდგა ნაზარეველი და ამცირებდნენ, მღვდელთმთავარი თვალებში უყურებდა მას და ცდილობდა მათში შიში ან ზიზღი ამოიკითხა, მაგრამ ის იდგა და სიყვარულით უყურებდა მათ.
მღვდელთმთავარმა ჰკითხა მაშინ: – რატომ არ უარყოფ შენდამი მომართულ ბრალდებებს?
ნაზარეველი დუმდა.
მღვდელთმთავარმა კვლავ ჰკითხა: – გაფიცებ ცოცხალ ღმერთს, თქვი, ვინ ხარ შენ?
ნაზარეველმა კი, აწურულმა, როგორც ბავშვმა სტუმრებთან, მაგრამ მშვიდმა, როგორც წიგნმა თაროზე, შეხედა მღვდელთმთავარს და უპასუხა: – მე ვარ ის, ვინც ვარ!
მღვდელთმთავარი შეშინდა. ყველანი მას უყურებდნენ და შეიძლება მისი გაორება გამჟღავნებულიყო, ამიტომ სრულიად გამიზნულად, მაგრამ ვითომ აფექტით შემოიხია სამოსი ტანზე, თასები გადააყირავა, და აყვირდა: – რაღად გვინდა მოწმეები? საკუთარ დანაშაულს თვითონ მოწმობს. გამოუტანეთ სასჯელი და ყველას, ვინც კი ოდნავ დაეჭვდება, მართლა ღმერთი ხომ არაა ეს თვითმარქვიაო? სიკვდილი ელის!
ნაზარეველი სიყვარულით უყურებდა, მაგრამ მღვდელთმთავარი თვალს არიდებდა და მისკენ ზურგით მდგარმა ბრძანა, გაეყვანათ!
მერე, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. გათენებას ელოდა და პილატეზე ამყარებდა იმედს – ის მაინც არ გამოუტანს განაჩენს და გაათავისუფლებსო. იცოდა, პილატეს ეჯავრებოდა მათი რჯულიც და ხალხიც და ასეთ „კანონისამრევს“ სიკვდილით არ დასჯიდა. მღვდელთმთავარმა ისიც იცოდა, მეოთხედმთავრის ცოლი, ნაზარეველის შეკრებებს რომ ესწრებოდა საიდუმლოდ და იქნებ ქალმაც უჩიჩინოს და

გაათავისუფლებინოსო, ფიქრობდა. და რაკი იცოდა რომ პილატე ისეთი ჯიუტი და თავისნათქვამა კაცი იყო, ვისაც ნარკოტიკის მეტი არაფერი აინტერესებდა, შავით თეთრზე ნაწერი გაუგზავნა: – გიბრძანებ, ნაზარეველს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეო.
მოკლედ, მღვდელთმთავარმა მშვენივრად იცოდა ვისაც გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, მაგრამ სინდისის ქეჯნის მიუხედავად, არც უცდია რამე ეღონა. ის კი არა–და, მისივე მოთხოვნით, ნაზარეველის საფლავთან ოთხი შეიარაღებული მცველი დააყენეს, რომლებმაც აკლდამა დალუქეს და ყველა მომსვლელს აუკრძალეს მასთან მიახლოებაც კი.
მერე, როცა ერთი მცველი გულგახეთქილი მოვარდა მღვდელთმთავართან და „ნაზარევლის სხეული გაქრაო“, თითქოს ამასაც ელოდაო, ისე მიიღო ეს ამბავი და ბრძანება გასცა, გუშაგები მოეხსნათ, სამარხში საიდუმლო შესასვლელი გაეთხარათ და ხალხში ხმა დაეგდოთ, ნაზარეველის მეგობრებმა ჩუმად მოიპარეს სხეული და ჭორებს ავრცელებენ, ვითომ გაცოცხლდაო. თავადაც არ იცოდა, რატომ გასცემდა ასეთ ბრძანებებს, მითუმეტეს, რომ ხანანი აღარაფერს ითხოვდა და აღარც სინედრიონის სხვა წევრებს ახსოვდათ ნაზარეველი. და ალბათ გასაკვირი უფრო იმიტომაა მისი ასეთი გულმოდგინება, რომ ნაზარეველის მოკვდინებიდან სწორედ ერთი კვირის თავზე, მღვდელთმთავრობიდან გადადგა და დედამისის სოფელში გადასახლდა.
სიკვდილის დასჯის დღეს კი, როცა იმან, ვინაც სიკვდილის წინააღმდეგ მისცა ხმა, უთხრა – ის ღმერთი იყოო და ამით თითქოს მღვდელთმთავარს სანანებლად გაუხადა საქმე, ამ უკანასკნელმა კიდევ ერთი საბოლოო ბოროტების ჩადენა განიზრახა და ბრძანება გასცა, ხალხში ხმა გაევრცელებინათ, თითქოს ნაზარეველის თორმეტივე მეგობარმა ჩვენება მისცა საკუთარი მასწავლებლის წინააღმდეგ. სინედრიონს ძალიან მოეწონა ეს გადაწყვეტილება, რადგან შორს გამიზნული ეჩვენათ იგი, მღვდელმთავარმა კი ზამბრი მოაყვანინა და ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა დანარჩენ თერთმეტზე.
ზამბრი ისე ხალისიანი აღარ იყო, როგორც გუშინ. ის ფულიც უკან მოიტანა და მაგიდაზე დაუყარა მღვდელთმთავარს...

(13)
გაგზავნილი
16.05.04 ვის: gazeti@yahoo.com

პილატე

ჯერაც ნარკოტიკის გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია და თავს მაღლა არ სწევდა.
ნაზარეველი უზარმაზარი საათის ქვეშ იდგა და ხელებჩამოყრილი, სანთელს ჰგავდა. პილატემ წამით გააპარა მისკენ მზერა და გაიფიქრა: – ღმერთებო, სანთელს ჰგავს, ეს ადამიანი, რა ვქნა?
მერე უცნაურად შეინძრა და წაიჩურჩულა: – რა არის ჭეშმარიტება?
ნაზარეველი დუმდა.

პილატემ ზურგი შეაქცია მას და განაგრძო: – მე განაჩენს არ შევცვლი, გაიგე? განა ვერ შევცვლი, – არ შევცვლი, რადგან... მძიმედ სუნქავდა, რადგან... ვერ ვხედავ შენში ამის სურვილს, თუმცა, გახსოვდეს, რომ... მე დაზუსტებით ვიცი, რომ თუკი ღმერთები, ღმერთი დაუშვებს, მღვდელთმთავარი შენს სიკვდილს მოითხოვს, გამათრახების შემდეგ. შენ სიკვდილით დაგსჯიან, გესმის, და ჩემი წილიც იქნება ამაში. მე არ ვიცი, საიდანა გაქვს ამხელა სიმშვიდე, მაგრამ. რაღაცა... მოკლედ...
პილატე გაჩუმდა და ფანჯრიდან გადახედა ეზოში შეკრებილებს.
– შენი სიკვდილის შემდეგ, საჯაროდ ვაღიარებ შენთან მეგობრობას და ალბათ, იმ დროისათავის მართლაც მთელი გულით მეყვარები, როგორც შენ გიყვარვარ ახლა. მე გადავდგები თანამდებობიდან, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარც ექნება. მე, პილატეს გაეღიმა, როგორც კეისრის ცოლის ნათლულს, ეგრევე არ დამსჯიან სიკვდილით და რომში გამასამართლებენ; იქ, მეორედაც ვაღიარებ შენთან მეგობრობას და მომისჯიან სიკვდილს. მერე, კეისრის საიდუმლო დავალებით, შემომთავაზებენ საწამლავს, რაზეც უარს ვიტყვი. საიდუმლოდ მომკვეთენ თავს, პილატე გამხიარულდა თითქოს, ჩემი ცოლი მოისყიდის ჩინოსნებს, ჩემს სხეულს გამოისყიდიან და დამმარხავენ საგვარეულო სასაფლაოზე, მამაჩემის და საწყალი დედაჩემის გვერდით.
პილატე შემობრუნდა: – ალბათ, ამის მერე მაინც შემინდობენ შენი მეგობრები, შენს არ შველას და იქნებ, გაეცინა, იქნებ წმინდანადაც კი შემრაცხონ!
ნაზარეველი დუმდა.
– ცენტურიონ! – ტაში შემოკრა პილატემ. ცენტურიონი თითქოს ოთახში იყოო, ისე სწრაფად გაჩნდა იქ.
– ასი მათრახი დაარტყით ისე, რომ აი, იქ მდგომთაგან ყველამ დაინახოს ეს, გესმის?
– სუსტია, ვერ გაუძლებს! – ცენტურიონმა თვალი–თვალში გაუყარა თანამდებობას, მაგრამ უმალ დახარა მზერა და ნაზარეველი წინ გაიგდო.
ამბობენ, გამათრახების შემდეგ, ხალხის დიდი ნაწილი სახლში გაქცეულა, მაგრამ სინედრიონს სხვები მოუსყიდია და ძლივს მოსულიერებული ნაზარეველის სიკვდილის მოთხოვნით, ეზოში ყვირილი აუტეხიათ.
პილატე, როგორც ყოველთვის, გათეთრებული თვალებით და გაფითრებული სახით წარმდგარა ხალხის წინაშე და გამოუცხადებია: – ამ დღესასწაულზე, წესის თანახმად, ერთ–ერთს ორი დამნაშავიდან, გადმოგცემთ თქვენ. ნება თქვენია, ვისაც ამოირჩევთ – ის გადარჩება.
აჰა, იეშოა–ბარაბა, კაცისმკვლელი, მძარცველი და მოძალადე, კაცი ყოვლად უვარგისი და ბოროტი, კაცი თქვენნაირი და აჰა, იეშოა ნაზარეველი, აქ მყოფი, თქვენი სინდისი, რომელსაც ბრალი ვერაფერში დავდე, გამათრახებული და დამცირებული, აირჩიეთ!
ხალხმა აირჩია და პილატეც შებრუნდა, თუმცა მალევე გამოტრიალდა, ღვინო და კასრი გამოატანინა და ჩურჩულით, მაგრამ ისე, რომ ყველამ გაიგო, თქვა: – მე მართალი ვარ, ამ პატიოსანი, აქ მყოფის წინაშე, დაე, თქვენზე და თქვენს შთამომავლობაზე იყოს ამის სისხლი!
ამის თქმა იყო და ხელები ღვინით გადაიბანა, ხალხი კი კვლავ აყვირდა: – ჩემზე, ჩემზე იყოს მაგის სისხლი, მე ვზღავ!

(14)
გაგზავნილი
12.02.04 ვის: ნია ჩერქეზიშვილი

გამარჯობა, პატარა!
იყავი დღეს ლექციებზე? ასპირინი დალიე, თუ ისევ დაგავიწყდა? შენ რომ სურათები გამომიგზავნე, მხოლოდ ნაწილის დათვალიერება შევძელი, დრო საერთოდ არა მაქვს. ის დიდთავა ბიჭი ვინაა? მანდ არ ჩამომიყვანოთ...
კოსმოსა წუხელ დავაწვინეთ სამშობიაროში, მე წავიყვანე. ისეთ დღეში იყო, მეთქი, წამი–წამზე ბავშვს გააგდებს, შენც არ მომიკვდე, ჯერაც ველოდებით; მაგისი ბეყე ქმარი ატრიალებს იმ ტელევიზორის ეკრანივით თვალებს და „ბდებდებდე“, ბლუყუნებს, გინდა თუ არა, ბიჭი მეყოლებაო, მე კიდევ გოგო მგონია, ორივეს ქალური ენერგიის პლანეტები აქვთ ზოდიაქოში და არა მგონია შევცდე. დამენაძლევა, იმედია მე მოვიგებ.
ჰო, ამას წინათ, ერთმა ტიპმა მომწერა, ხო იცი?! რა ყველა უცნაურ ადამიანს მე უნდა გადავაწყდე. ვიღაცა იეზიდია, მგონი თბილისელი, უცხოეთში ცხოვრობს, თუ რაღაცა.
ჩემი იმეილის მისამართი ბრუკლინში, ტროტუარზე დაგდებულ ბლოკნოტში უპოვნია, გოგო ვგონივარ; ისეთ საცოდავ რაღაცეებს მიყვება ხოლმე, გული მიკვდება, ძალიან საწყალი ტიპია. ერთ დროს შეძლებულად უცხოვრია, მერე ოჯახი დანგრევია, მიუყიდ–მოუყიდია ყველაფერი და უცხოეთში წასულა, მგონი ჯერ სერბეთში, მერე ევროპა და მერე ამერიკა. ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავიო. ისეთ რაღაცეებს მწერს ხოლმე, თავი მართლა გოგო მგონია.
ძალიან დეპრესიული ტიპია, ზოგ წერილს საერთოდ არც ვკითხულობ, ისე ვშლი. ხან მინდა მივწერო, რომ კაცი ვარ, მაგრამ მეცოდება – ჩემს მეტი არავინა ჰყავს, ვისაც გულს გადაუშლის და მეც ვუსმენ, რა, ჩემი რაღა მიდის?
ნეტავ, ვისი ბლოკნოტი იყო, ვის უნდა ჰქონოდა ჩემი იმეილი ბრუკლინში? წარმოდგენა არა მაქვს!
ჰო, ქალბატონო, რამდენი ხანია არ მითქვამს, რომ
მიყვარხაააააააააააარ!
წავედი, თორემ დრო მითავდება, საღამოს დაგირეკავ!
გკოცნი

(რიგგარეშე)
გაგზავნილი
14.07.04 ვის: lela-nela@hotmail.com

გამარჯობა, ცუდო!
წახვედი და დამივიწყე, არა? ეგაა მეგობრობა, შე უნამუსო?! რა ხალხია ეგ ჩინელები, გაუგე რამე, თუ ვერა?
აქეთ ყველაფერი ძველებურადაა. დავდივარ წინ და უკან და ერთი სული მაქვს, როდის მოვკვდები, თუმცა ეს ჩემი დეპრესიის გამო არაა – უბრალოდ, ისე კარგად ვგრძნობ თავს, არ მინდა რამე დააკლდეს ამ სრულ ბედნიერებას და მსურს ყველაფერი გაიყინოს – მოკვდეს!

მე დავასკვენი, რომ ის სანთელი იწვის მეტხანს, რომლის ძაფიც მარჯვნიდან–მარცხნივ ეხვევა; წარმოდგენა არა მაქვს, ვის რაში გამოადგება ეს დასკვნა, მაგრამ მაინც გეუბნები. ასევე, თმა, რომელიც მარჯვნიდან მარცხნივ იჭრება, გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე ის, რომელიც – პირიქით! (ეს დასკვნა შეიძლება პარიკმახერებს მოეწონოთ).
გოგომ, სასწორის საათს უნდა იბანაოს, თუკი სურს მალე გათხოვდეს, ხოლო თუ უშვილოა – სჯობს, ლომის საათში მარხვა შეინახოს.
ნუ იცინი, ცუდო, არ ვხუმრობ, დავაკვირდი, რომ ყველა საჭმელს აქვს თავისი სქესი და თუკი გსურს, ბიჭი შეგეძინოს, დაეძალე ისეთ საკვებს, როგორიცაა: ბადრიჯანი, კიტრი, სტაფილო, წიწაკა, თევზი, ღორის ხორცის მარჯვენა ნაწილი, მსხალი, სიმინდი და ა.შ.
ხოლო თუ გოგო გსურს, მაშინ: – პომიდორი, კარტოფილი, პური, ლობიო, ძროხის ხორცის მარცხენა ნაწილი, ყველა სახის კომბოსტო, ვაშლი, ბროწეული და ა.შ.
თუ ქალი სექტემბრის პირველ ათ დღეში დაწურულ ღვინოს დალევს, სავარაუდოდ, გოგო ეყოლება, ხოლო თუ მეორე ათ დღეში დაწურულს – ბიჭი!
კაცს ყოველთვის დააკვირდი ცერა თითზე, თუ კაცს ცერა თითი სუსტი აქვს, ეგოისტია და ყოველთვის ზურგს შეგაქცევს;
იმას, ვინც მარჯვენა ჯიბეს უფრო ხშირად ხმარობს, ვიდრე მარცხენას, წვრილმანი დემონები ებრძვიან, ხოლო ვინც პირიქით – პირიქით!
მოკლედ, რაც მოგწერე, სრული იდიოტიზმია და ყურადღებას ნუ მიაქცევ!
გკოცნი, შე ცუდო!

(15)
გაგზავნილი
11.06.04 ვის: ჯემალ კარია

იცი რას გეტყვი, ბიჭო. ჯერ ერთი, მე გოგო არა ვარ, ეგ ზღაპრები საკურთხეველზე ჩამომჯდარ ქრისტეზე და რაღაცეები, მოუყევი ვიღაცეებს; მეორე, თავში ქვა გიხლია, მესამეც, სანამ გაგინე, ჯობია წერილები აღარ გამომიგზავნო, გაიგე?!

(16)
გასაგზავნი
17.05.04 gazeti@yahoo.com

პილატეს დღიური, აღმოჩენილი 1957 წელს,
დოქტორ ჰაუფმანის მიერ
(ბერძნული ვერსია)

1) მესამე დღეა რაც ხმას აღარ გვცემს. იმან კი ამინდიც კი შეცვალა. ხალხი უნდა დაწყნარებულიყო თითქოს, მაგრამ უარესად ბობოქრობს. მღვდელთმთავარი წერილს წერილზე გვიგზავნის თხოვნით, თუ მოთხოვნით, რომ „იმის“ საფლავს ყურადღება არ მოაკლონ ჩვენმა ხალხმა. შიშობს, შესაძლოა (მეგობრებმა) მოიპაროონ და წინასწარმეტყველების თანახმად, გაცოცხლებულად გამოაცხადონ. როგორც

სინედრიონის შეკრების ოქმებიდან გავიგეთ [(ოქმები იხილეთ დანართში)], იმისათვის ბრალი რაღაც სისულელის გამო წაუყენებიათ, თითქოს მან ღმერთობა დაიბრალა, თუ რაღაც ამისგვარი. სასაცილოა, ამ ხალხის აზროვნება. როდის გავაღწევთ აქედან?

2) ჩვენ ვუბრძანეთ შემოეყვანათ ნაზარეველიც და ავაზაკიც. ნაზარეველი თეთრ მოსასხამში ისე გახვეულიყო, თითქოს თავს დამტყდარ უბედურებას ამით ემალებაო. ავაზაკი ამაყად იდგა და თუმცა იგრძნობოდა, რომ ამ სიამაყის უკან შიში იმალებოდა, მაინც პატივისცემით განვეწყეთ მის მიმართ.

– აღიარებ, თუ არა ყველაფერს, რაზეც ხელს გადებენ, ბარაბა? – ვკითხეთ. მან კი, ლამაზი სახისათვის შეუფერებელი კბილები გამოაჩინა და აზრი აქვს კი უარყოფასო, გაიცინა.

ჩვენც გაგვეცინა მის თავხედობაზე და ახლა ნაზარეველის მივუბრუნდით, რომელიც სანთელივით იდგა მარჯვნივ და რაღაც წამით მოგვეჩვენა, თითქოს მართლა სანთელივით ანათებდა.

ყველანი მისკენ მიბრუნდნენ, მაგრამ ჩვენ რატომღაც ვერ შევძელით დალაპარაკება, ცოტა ხნით ჩუმად ვიყავით და მერე–ღა ვკითხეთ:

– რაში გდებენ ბრალს?

ნაზარეველი თავდახრილი იდგა და დუმდა.

– მაშ, შენ ხარ ის, ვინც მეფეს უწოდებს თავს?

– შენ ამბობ! – მისი ხმა ისეთი მოულოდნელი იყო! რატომღაც გვეგონა, რომ მუნჯი იქნებოდა.

– შენი ხალხი ათას რამეს გაბრალებს, თუკი გაიმართლებ თავს, გაგათავისუფლებთ!

ის დუმდა.

რაღაც წამს, გავბრაზდით მასზე. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თოთქოს არაფრად გვაგდებდა ან არ გვისმენდა, მაგრამ მალევე დავმშვიდდით და კვლავ მივმართეთ:

– ჩვენი ცოლი, კლაუდია პომპულა, რომელიც ყველაზე მეტად გვიყვარს, გვთხოვს, რომ გაგიშვათ, მაგრამ მისი თხოვნაც კი ვერაფერს გადაწყვეტს, თუ რამით არ დაგვეხმარე, გესმის?

ის დუმდა.

– და მაინც, ჩვენ გვაქვს ძალა გაგათავისუფლოთ ან მოგკლათ და ვერავინ აღუდგება წინ ჩვენს სურვილს, თუკი გვინდა!

– არავითარი ძალა არ გექნებოდა, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა, ამიტომ მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა, უფრო დიდი ცოდვა აქვს. მათ არ იციან, რას სჩადიან.

– ხომ ხედავ, რომ პატიოსანი კაცია, გაუშვი უფალო, უდანაშაულოს სისხლი მძიმე სატარებელია.

– გაგვეცინა ბარაბას ამ სიტყვებზე, ბარაბასი, ვისაც ორმოცდაერთი უდანაშაულო ჰყავდა მოკლული და გაუპატიურებული.

– შენ ამბობ მაგას, იეშოა–მკვლელო? და ნუთუ მართლა გულით იტყოდი იგივეს, რომ გაგეგო, რომ თქვენ ორიდან ერთი უნდა გავათავისუფლოთ? ბარაბამ კვლავ გამოაჩინა საშინელი კბილები და თქვა: – გიჟი კი არა ვარ, უფალო?!

– ჩვენ ვუბრძანეთ გაეყვანათ ბარაბა და მარტო დავრჩით ნაზარეველთან.

– გვისმინე, კეთილო კაცო, ექვსი წელია ამ ქვეყანაში ვართ და მივხვდით, რომ ვერაფერი სიკეთე ამ ხალხის გულამდე ვერ დადის. გადასახადები შევუმცირეთ, მათ რელიგიას პატივს ვცემთ, წელიწადში ათ ადამიანს, თვით რომის მოქალაქეობასაც კი ვაძლევთ,

მაგრამ მაინც, წერილს წერილზე აგზავნიან კეისართან და გაუმაძღრობას გვწამებენ. ახლა იმასაც გვეუბნებიან, თუ შენ გაგათავისუფლებთ, კეისრის ორგულობას დაგვწამებენ და არარსებულ შეთქმულების მოთავედ დაგასახელებენ შენ, ჩვენ კი, შენს ხელშემწყობად და...

[– რა ტვირთიც გინდა შეგხვდეს, იცოდე, რომ ღმერთი იმაზე მეტს არ გამოგიგზავნის, რისი ატანაც შენ არ შეგიძლია. რაც გინდა მოხდეს, იცოდე, რომ ღმერთი ყველაფერს მოგიტევებს, თვით ჩემს მოკვდინებასაც კი, თუკი მოინანიებ გულით.]

ჩვენ ძალა მოვიკრიბეთ და აგდებულად ვუთხარით:

– შენ მართლა წინასწარმეტყველივით საუბრობ, კეთილო კაცო, მაგრამ, ვეჭვობ, იცოდე რა გელოდება თუნდაც სამ საათში.

[– მე მომკლავენ და ეს გარდაუვალია, თუმცა ამქვეყნიური სამეფო მაინც არაა ჩემი.]

გაგვეცინა, რადგან უკვე გადაწყვეტილი გვქონდა, გაგვეშვა იგი.

– სამი დღის შემდეგ გაგვიხსენე და თუკი შეძლებ, მოდი და გავიხსენოთ დღევანდელი საუბარი.

მას პასუხი არ გაუცია და ვბრძანეთ, გაეყვანათ.

გადავწყვიტეთ, გაგვეშვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლოა თანამდებობის ფასადაც კი დაგვჯდომოდა, მაგრამ ცდა ღირდა მისი თავდაჯერებულობის გასაფანტავად.

რაღაც წამი ვიფიქრეთ, იქნებ გვაიძულა ამ თავისი ვითომ წინასწარმეტყველებით საწინააღმდეგო ნაბიჯი გადაგვედგა და სიცოცხლე გვეჩუქებინა მისთვის–თქო, მაგრამ რაკი გადავწყვიტეთ – გადავწყვიტეთ!

ვუხმეთ მსახურს და ვუბრძანეთ იეშოა საიდუმლოდ გაეთავისუფლებინათ და ხალხისაათვის მეორე გადაეცათ.

– რომელი მათგანი? – გვკითხა მსახურმა.

– იეშოა!

– რომელი იეშოა, უფალო?

გაგვეცინა, ირონია იყო – ორივეს იეშოა ერქვა, ორივე ნაზარეთიდან იყო.

– თეთრმოსასხამიანი!

და მაინც, სინდისი გვქეჯნიდა და გული საშინლად გვიცემდა. შევედით საძინებელში და ვუთხარით: – ძვირფასო, შენი ნება აღსრულდა, გავათავისუფლეთ ნაზარეველი. ისიც ერთ–ერთი ცრუ მესიათაგანი აღმოჩნდა, რადგან საკუთარი სიკვდილი იწინასწარმეტყველა, თუმცა, საინტერესო ადამიანი კი იყო. ჩვენთან დავიბარე, თუ გვესტუმრა, რომშიც მივიპატიჟოთ, გინდა?

კლაუდია ჩუმად იყო და იცრემლებოდა. მერე მკერდზე მოგვეყრდნო და გვიჩურჩულა: – ის ღმერთია, გესმის? ისეთი დამაჯერებელი იყო მისი ტონი, შევიძარით და ოთახიდან გამოვვარდით.

ის დღე და მეორეც გვეძინა, სანამ კლაუდია ოთახში არ შემოგვივარდა და თმაგაშლილმა და სახედასიებულმა, მატყუარაო, არ დაგვძახა. ყველაფერს ველოდით, გარდა იმისა, რაც ქალმა მოგვიყვა:

– ნაზარეველი პრეტორიის ეზოდანვე ცემა–ცემით გაუყვანია ბრბოს.

შენგან გაშოლტილს, ძალა გამოლეოდა და შუა გზაზე წაქცეულა. ოფლის მაგიერ სისხლი სდიოდა შუბლიდან და პირგამშრალს ერთი კი ამოუკვნესია – „წყალი“, მაგრამ ზიზღითა

და შიშით ატანილ ბრბოში ერთი არ აღმოჩენილა ისეთი, ვინც მისთვის წყლის მიწოდებას გაბედავდა.
მელოტ მთაზე ხალხი დიდხანს არ დარჩენილა, რადგან საშინელი წვიმა წამოსულა და თანაც საინტერესოც აღარაფერი იყოო.
მისი ყოველი სიტყვა რატომღაც ლურსმანივით გვესობოდა გულზე და ერთადერთი კითხვა გვიტრიალებდა მხოლოდ თავში: – კი, მაგრამ, როგორ, როგორ?

როგორ ა):

ნაზარეველი გუშაგებმა იმავე საკანში მოათავსეს, რომელშიც იეშოა–ბარაბა იყო. ბარაბამ უკვე იცოდა, რომ ხალხმა მისი გათავისუფლება აირჩია, ამიტომ მშვენიერ ხასიათზე იყო და სიმღერაც კი წამოიწყო, არადა მას აზრადაც კი არ მოუვიდოდა აქამდე, რომ გაათავისუფლებდნენ, რადგან დღეს ისეთმა ხალხმა მოითხოვა მისი გაშვება, ვისი შვილები, ცოლები, ძმები, ნათესავები, ერთი ვერცხლის გულისთვის ჰყავდა მოკლული.
როცა დაიჭირეს, ბარაბა მზად იყო ყველა თანამზრახველი დაესახელებინა, ოღონდ ამით რამე შეღავათი მიეღო და სიკვდილს ასცდენოდა და დაასახელა კიდეც, მაგრამ ისინი შეტაკებაში დაღუპულიყვნენ, ასე რომ მთელი ბრალი მხოლოდ მასზე გადმოდიოდა.
იეშოა–ბარაბა ქვისმთლელების უბანში დაიბადა, აქვე, იერუსალიმში, თუმცა მას ყველა რატომღაც პროვინციელად, ნაზარეველად თვლიდა. დედამისი, ცნობილი მეძავი, ერთ დროს მენელსაცხებლე ყოფილა და სწორედაც მაშინ ჩაისახა გაურკვეველი ადამიანისაგან ბარაბა.
იეშოა–ბარაბა ცნობისმოყვარე ბავშვი იყო, სასაცილოდ დიდი თავი და თვალები ჰქონდა, ამიტომაც დაარქვეს იეშოა – ბაყაყი, მაგრამ მას აზრადაც არ მოსდიოდა გაბრაზება, რადგან გულუბრყვილო იყო.
თოთხმეტი წლისა, დედამისის წყალობით, ამბოხებულ იუდა არიფეეს ძის ხალხში მოხვდა და მთებში გაიხიზნა. იუდა დედამისის საყვარელი და მისი ყველაზე ახლო მეგობარი იყო.
მერე, ერთ დღეს, დედა მოკვდა, მაგრამ იეშოას დიდად არ განუცდია.
როცა იუდას რაზმი გაანადგურეს, მეთაურები კი დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს, ამბობდნენ, მათ დაჭერაში იეშოას ხელიც ერიაო. არავინ იცის, მართალი იყო ეს თუ ტყუილი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იეშოას საიდანღაც ფული გაუჩნდა და იერუსალიმის შეძლებულთა უბანში პატარა სახლიც იყიდა. შეიძლება ეს სულაც ამბოხებულთა გადანახული ფული იყო, რომლის არსებობაც იუდამ მხოლოდ იეშოას (როგორც უახლოეს მეგობარს) გაანდო?! ასეა თუ ისე, იეშოამ სახლიც იყიდა და ცოლიც მოიყვანა, რომელმაც ტყუპი ქალიშვილი გაუჩინა.
იეშოას დიდხანს არ უცხოვრია მშვიდად. ერთ დღეს, ნაცნობი შემოაკვდა და სახლის გაყიდვა მოუწია, რათა მოსამართლეები მოესყიდა.
იეშოა გარეუბანში გადავიდა და ლოთობას მიჰყო ხელი. ცოლს მალევე დაშორდა, სახლიდან გააგდო იმ მოტივით, რომ „მათი გადამკიდე, წესიერად ვეღარ იცვამდა და მათხოვარივით დადიოდა“. იეშოას მართლაც უყვარდა გემოვნებით ჩაცმა და კარგად ჩაცმული, სანამ გაიცინებდა, კარგი შესახედავიც იყო, მაგრამ მაინც აშკარად თვალში გეცემოდათ მისი ცარიელი გამოხედვა, ცივი სახე და ჯიბგირის, თუ მოთამაშის თითები.

ფულისათვის, პირველად, ამ ხუთიოდე წლის წინ მოკლა ქალი და მას მერე, არაერთი ადამიანი გამოუსალმებია სიცოცხლისათვის. იერუსალიმში უკვე იეშოათი აშინებდნენ ბავშვებს, როგორც თავის დროზე ჰეროდე დიდით! მაგრამ იეშოა მოუხელთებელი იყო, თუმცა აკი ბოლოს გააბეს კიდეც?!
პილატესთან გულადი კაცის როლს თამაშობდა, თორემ, სინამდვილეში, შიშისაგან ლამის საჭმელზეც უარი ეთქვა. და როცა ხალხმა მისი მეტსახელი დაიყვირა, მიხვდა, რომ ყველაფერი ჯერ არ დამთავრებულიყო.
როდესაც ნაზარეველი მასთან საკანში შეაგდეს, იეშოა ჯერ არ გაეკარა, შორიდან შეათვალიერა და მერეღა გამოელაპარაკა:
– რა უნდათ თქვენგან, თქვე უბედურო? მაშ, ღმერთობას იჩემებთ, არა? ეგ კი მაგრად მოგიფიქრებიათ, ჰი–ჰი! რა პატივმოყვარეობაა, რა სიამაყეა – ღმერთობა! აი, მე მაგალითად, მე რიგითი ავაზაკი ვარ, კაცისმკვლელი და მოძალადე, მაგრამ კი არ ვყვირი: – ამის გამკეთებელი ვარ, იმის გამკეთებელი ვარ–თქო, პირიქით – ყველას თავს ვაცოდებ და ხედავ, აკი დამიფასდა – სიცოცხლე მაჩუქეს! თქვე კარგო ადამიანო, გადაგეთქვათ, ცოტა ხნით მაინც, არა ვარ ღმერთი, ერთი ჩვეულებრივი გიჟი ვარო, გაგამათრაახებდნენ, გაგაგდებდნენ გარეთ და... თუმცა, პრინციპში, მაშინ მე დამსჯიდნენ სიკვდილით და არც ეგ მაწყობდა, მოკლედ...
მისმინეთ, სად არიან თქვენი მეგობრები? მიგატოვეს განა? ეგრეა, ძმაო, გაჭირვების დროს, ყველას თავისი თავი უყვარს, თუმცა მათ ადგილას მეც (და ალბათ თქვენც) ასევე მოვიქცეოდი.
თქვენ, იქნებ მართლა წინასწარმეტყველი ხართ? აკი სიკვდილით უნდა დაგსაჯონ და მე მაინც, მე მაინც გამიმხილეთ, სანამ აღსრულდებით, ცრუობდით თუ არა?
ნაზარეველმა თავი ასწია და სუფთა თვალები მიაპყრო იეშოას.
ბარაბა შეცბა.
– კარგი, კარგი, ჰო, მე კი მჯერა, მაგრამ, მთავარია იმათ, ჰო, აი, იმათ...
ბარაბა უარესად შეცბა, თვალები დაუვიწროვდა, თითქოს ახლა დაინახაო, ხარბად შეათვალიერა პატიმარი და ხმა დაუმდაბლდა.
– თქვენ... თქვენ, აკი მაინც სიკვდილით უნდა დაგსაჯონ და საბოლოოდ ქენით ერთი სიკეთეც, გაფიცებთ ცოცხალ ღმერთს, მაჩუქეთ...
და ნაზარეველმა საკუთარი თეთრი მოსასხამი მისცა ბარაბას.

ჩემი ფოლდერები (MY FOLDERS)

(17)
ნაწარმოები

როგორ ბ):
(მაგრამ ჯერ, დოქტორ ჰაუფმანის მიერ 1957 წელს აღმოჩენილი, პილატეს დღიურების ებრაული ვერსია):

1) მეორე დღეა, ცუდადაა კლაუდია, ალბათ ამინდის ბრალია. რა უცნაური სიმშვიდეა გარეთ, არადა ორი დღის წინ, ლამის დაენგრიათ აქაურობა ადგილობრივებს.

ხანანმა წერილი გამომიგზავნა, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ნაზარეველის ცხოვრება. ხანანი ცუდად არ ახასიათებს მას, „პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ ჩვენ ადათ–წესებს დაუპირისპირდა მას შემდეგ, რაც განათლება ეგვიპტესა და შუა აზიაში, თუ ჩინეთში მიიღო. მეც მეცოდებოდა იგი სიკვდილისათვის, მაგრამ განა უმჯობესი არაა ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოსო?“
ხანანი არ არის უტვინო კაცი, ალბათ სამართლიანად მოითხოვა ნაზარეველის დასჯა, თუმცა, რას გაიგებ?
[დაკითხვის] ოქმები, რომლებიც ხანანმა გამომიგზავნა, ყურადღებით წავიკითხე და როგორც მივხვდი, მთელი დავა დაიწყო სახელიდან, ანუ ნაზარეველმა საკუთარ თავს ისეთი სახელი უწოდა, რამაც ყველა აღაშფოთა (ამიტომაც, გასაკვირი არ იყო? – იუდას სექტას არ გამოუწვევია ამხელა აურზაური, რაც ამ ვიღაცის ერთმა სახელმა).
ხანანი საუკეთესო წარმომადგენელი იქნებოდა სენატში.
2) ორივე განსასჯელი თითქმის ერთი ასაკის იყო. ერთი, უფრო სუფთად ჩაცმული, რომელსაც თავი არც აუწევია და მეორე, სულ თვალებში რომ მიყურებდა, თუმცა ბოროტი გამოხედვა ნამდვილად არ ჰქონია. ორივე დუმდა და პრაქტიკულად პასუხები არც გაუციათ.
ორივეს ერთი სახელი ერქვა, ორივე ერთი მხარიდან იყო, ოღონდ, ერთი ავაზაკი და მეორე კი – ცრუ წინასწარმეტყველი, მაგრამ პატიოსანი კაცი.
მე წავუკითხე მათ ბრალდებები, თუმცა თავის მართლება არც ერთს არ უცდია, უბრალოდ, ავაზაკმა დაიჩოქა და როგორც მე მივხვდი, უფრო იმ მეორე პატიმრის მისამართით თქვა: – ყველაფერს ვინანიებ, დაე, მომეზღოსო.
მეორეს კრინტიც არ დაუძრავს და რაკი მე კლაუდია მელოდებოდა, დიდად აღარ ჩავძიებივარ და ჰეროდესთან გავაგზავნე განსასჯელად, თუმცა მალევე უკან მოიყვანეს. სიმართლე ვთქვა, ორივე პატიმარი საწყალი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა და გამიჭირდა განაჩენის გამოტანა, ამიტომ ისევ ხალხს მივანდე მათი განსჯა. ხალხმა ავაზაკის გათავისუფლება და მეორის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ადამიანურად, თითქოს შემეცოდა იგი, მაგრამ ალბათ მეორე რომ აერჩიათ, მასზეც იგივეს ვიფიქრებდი, მოკლედ, ერთი გავუშვით, მეორე კი – მოაკვდინეს; მაგრამ რატომ ვწერ ამას – საინტერესოა, რომ ამ ამბიდან მესამე დღეს, ჩემთან მოვიდა ხანანი, შეშფოთებული, ფერ–დაკარგული და გაუთავებლად ერთსა და იმავეს გაიძახოდა: – აღსდგა! აღსდგა!
მე ვცადე გამერკვია, რა ხდებოდა. დაბნეულად და გაურკვევლად, მაგრამ მაინც ამიხსნა, რომ ის, ვინც მათ სიკვდილით დასაჯეს, გაცოცხლებულა. მე, რა თქმა უნდა, არასერიოზულად მოვეკიდე ამ საკითხს (ოჰ, ეს შუმერული მითოლოგია! – თანაც გაზაფხულს რომ დაამთხვიეს!) და ვცადე დამერწმუნებინა, რომ რაკი მათი რომელიღაცა წმინდა წერილი (ისევ და ისევ შუმერების და ეგიპტელების გავლენა!) ამ ფაქტს წინასწარმეტყველებდა, შესაძლოა იმის თანამზრახველებმა მოიპარეს ცხედარი და ახლა ამით სპეკულირებენ, მაგრამ ხანანმა თავი გაიგიჟა, ჩემი ხალხი მეყენა საფლავის მცველადო.
ხანან, ის კაცი საკუთარმა ძმამ დაასმინა გროშების გულისათვის და განა შენი მცველების მოსყიდვა რა ეღირებოდა, რომ ცხედარი მოეპარვინებინათ–მეთქი?!
და აქ საოცარი რამ მითხრა ხანანმა, თუმცა ახლა ეს ფაქტი, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მეჩვენება, რადგან როცა გადამწვარ რომს ვუყურებ, როცა ვიცი ვისი ნახელავიცაა

ყველაფერი, ვფიქრობ, იქნებ ეს ყველაფერი – ნაზარეველის აღზევება (ზეიმით შემოსვლა), მერე შეპყრობა, მერე სიკვდილით დასჯა და მერე (ვითომ)აღდგომა, იქნებ ყველაფერი ეს დაგეგმილი იყო, რათა რომის მოქალაქეებსაც კი ერწმუნათ მისი, როგორც ახლა, როცა ფიქრობენ, რომ ქალაქი, მათი ღმერთის რისხვამ გადაწვაო?!
შესაძლოა ეს ყველაფერი ჩემი ვარაუდია, მაგრამ რატომ გაათენა ორი დღე და ღამე ნაზარეველის საფლავთან ხანანმა?

და ისევ როგორ ბ):

როცა დამიჭირეს, უსამართლოდ მიმაჩნდა ყოველივე და დარდისაგან ლამის მოვკვდი კიდეც. უსამართლოდ! ჰმ, ორმოცი ადამიანის სიცოცხლე მადევს კისერზე და უსამართლოდ! მაგრამ თურმე ერთი საკუთარი, დამპალი, საზიზღარი და პატარა სიცოცხლეც კი ბევრი ყოფილა სხვების ცხოვრების გამოსასყიდად.
შიმშილმა და პროტესტმა არ მიშველა – არავის ვადარდებდი, არც დაუძალებიათ ჭამა, თუმცა ერთი დადებითი მხარე მაინც ჰქონდა ამ შიმშილს – გონება დამეწმინდა, უფრო საღად აზროვნება დავიწყე, თანაც დავმშვიდდი და ეს კი, უმთავრესი იყო ჩემთვის.
სასაცილოა პირდაპირ – ჩემმა ყველაზე ერთგულმა და საყვარელმა მეგობარმა გამცა და დღემდე ვერ გამირკვევია – რატომ? საინტერესოა, მაგრამ რატომღაც სულაც არ ვბრაზობდი მასზე. არა, გაფიქრებითაც კი ვერ ვკიცხავ, არათუ რამე ბოღმა ჩავიდო გულში... იქნებ, იქნებ სადღაც სიღრმეში, მსურდა კიდეც, რომ ბოლოს და ბოლოს ჩავვარდნილიყავი?!
პილატე არაა ცუდი კაცი, ოდნავ გონებაგაფანტულია მხოლოდ. შევხვდი თუ არა, შევატყვე, რომ არც მისმენდა და აღარც მიცდია თავის მართლება.
ხვდები არა, იმ ძირითად თემას რომ გავურბივარ და ათას რამეს რომ ვყვები, მიმძიმს იმ ამბის გახსენება, მაგრამ თქვენთვის, ალბათ უფრო საინტერესო მოსასმენი იქნება.
როცა ჩემთან საკანში შემოიყვანეს, ყურადღებით დავათვალიერე და ვერაფერი დავინახე მასში ისეთი განსაკუთრებული, რასაც მასების მღელვარების გამოწვევა შეეძლო. ერთი ჩვეულებრივი, ვიტყოდი, ძალზედ ჩვეულებრივიც კი, ებრაელი იყო. ასეთები მრავლად არიან, თუკი მიმოიხედავთ. არანაირი განსაკუთრებული ნიშანი, რითაც მის დამახსოვრებას შეძლებდით – არ გააჩნდა. ან ნაიარევი, ან სახის ნაკვთების ფორმა, ან სიმაღლე – არაფერი! სასტიკად ნაწამები, როგორც კი შემოაგდეს და ფილაქანზე დააგდეს, არც განძრეულა და გულაღმა იწვა. თვალებში ცრემლი ჰქონდა – ეს იმიტომ შევამჩნიე იმ ნახევრადსიბნელეში, რომ მის სისხლით დაფარულ სხეულზე, ვარსკვლავივით ციაგებდა ერთადერთი წვეთი ცრემლი მარჯვენა თვალზე.
ეს რა გიქნეს, იმ საზიზღრებმა–მეთქი, ვიყვირე და თვით მეც კი, კაცისმკვლელ იეშოას, გულმა არ გამიძლო და თვალი ავარიდე.
ღმერთი დასჯის, ღმერთი გადაუხდის მათ სამაგიეროს, ადამიანის ასეთი დამცირებისათვის, აღმომხდა მე, მან კი ხელით მიხმო და როცა გვერდით მოვუჯექი, ძლივსგასაგონად აღმოთქვა: [– შვილი გყავს ბარაბა?]
ჯერ გამიკვირდა მეტსახელი საიდან იცოდა, მერე კი უცბად გადამიკვირდა: – კი, და რატომ მეკითხები?

[– შვილმა რომ დაგამციროს ბარაბა, სასიკვდილოდ გაგიმეტოს და მერე მიგატოვოს, სამაგიეროს რითი გადაუხდი?]
ჩემი თავი ვერაფრით წარმოვიდგინე დამცირებულ მამად, მაგრამ გამახსენდა ჩემს მიერ ნაცემი მამაჩემი, მტვერში და სისხლში ამოთხვრილი, როგორც ყოველთვის ნასვამი და ატირებული, ცალ მკლავზე დაყრდნობილი და მეორეთი ჩემი მონატრული: – რატომ მკლავ, შვილო, იეშოა?
ეს არ იყო არც საყვედური, არც შიში, არც რისხვა – ეს იყო უანგარო სიყვარული შვილისადმი და სიყვარულით სიკვდილისადმი მზადყოფნა.
წამოვაყენე პატიმარი და ერთადერთ ნაჯლეჯ ჭილოფზე დავსვი. სუნთქვა უჭირდა, მაგრამ თქვა: – [და მაინც, ღმერთს არ ეჯავრებით, ღმერთს უყვარხართ და მეორედაც კი, მეორედაც კი მზად იქნება თქვენგან (თქვენთვის) ეწამოს].
მერე ლოცვა დაიწყო, მე კი ათასი რამე მიტრიალებდა თავში. ამ კაცთან საუბარში სიცოცხლე ისე შემიყვარდა, სიკვდილის აუტანელი შიში დამეწყო. გარედან კი გაუთავებლად ისმოდა: – ბარაბა! ბარაბა! ბარაბა!
ალბათ მთელი სამი საათი ილოცა, იქნებ გონება არეულიც იყო მოახლოებული უბედურებით?! რატომღაც, მაშინ ჩავთვალე, რომ მასზე მეტად მე ვიყავი სიკვდილისათვის მზად და ამ აზრმა ძალა და მხნეობა შემმატა. მხარზე ხელი დავადე და წამოვაყენე. შემზარავი შესახედი იყო მისი ნაგვემი სხეული და რაღაც წამს, ისიც კი გავიფიქრე – ნეტავ აზრი აქვს კი? – გადარჩება? მაგრამ ეს თვითდახსნის სურვილი უფრო იყო, ვიდრე საღი აზრი, რადგან სხვა გადაწყვეტილება რომ მიმეღო, განა არ დამტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ღირდა, ცდად მაინც ღირდა?
ფეხზე წამოვაყენე და ყოველგვარი ახსნა–განმარტების გარეშე ვთხოვე მოსასხამები გავცვალოთ–მეთქი. მან პირველად ჩამხედა თვალებში და მკითხა: [– ჩემი მეგობარი ხარ, იეშოა?]
არ ვიცი რატომ, მაგრამ ვუპასუხე – არა, უფალო.
მან კი, თავზე ხელი დამადო და სანამ მოსასხამს გაიძრობდა მითხრა: – ვერავინ შესვამს იმავე ფიალას, რომელსაც მე [თუ ზევიდან არაა]! მოვიცვი და გამიკვირდა რატომ არ დაინტერესდა, თუ რატომ ვთხოვე, მან კი ლოცვა განაგრძო.
ხალხი არ ცხრებოდა, ნაზარეველის სიკვდილს მოითხოვდა და მეც და მასაც მშვენივრად გვესმოდა, რომ პრინციპში, მისმა გამოჩენამ სიკვდილისაგან მიხსნა და ძნელი იქნებოდა ჩემთვის ნაჩუქარი სიცოცხლის შერგება.
მცველმა კარი გააღო და დაიძახა: – ნაზარეველი გამოვიდეს!
დადგა წამი, როდესაც ნაზარეველის მაგივრად მე უნდა გადავცემოდი ხალხს განსასჯელად და ეს წამი ალბათ უსაშველოდ გაიწელა, რადგან მცველმა რატომღაც მას შეხედა და გაღიზიანებით იკითხა:
– რომელია იეშოა ნაზარეველი?
– მე ვარ! – აღმომხდა და მისაკენ მივტრიალდი, მან კი მშვიდმა, როგორც კრავმა მინდორზე, შემოგვხედა და ლოცვა განაგრძო.
ყველაფერი დაიმსხვრა ჩემში – ჩემი სიამაყე, ჩემი ცრუდიდსულოვნება, ჩემი სურვილი და ჩემი გამძლეობა. მან გამიმეტა, გესმით, თვალის დაუხამხამებლად გამიმეტა და ნება დამრთო, თავი შემეწირა მისთვის, ვინც თავს ღმერთს უწოდებდა.

ძნელია მივყვე იმ განცდებს, რომელმაც მაშინ ჩემში დაივანეს, მაგრამ ეს დაახლოებით იყო: – გაკვირვება, იმედგაცრუება, შიში, რომ ყველაფერი დასრულდა, სინანული სიტყვებისათვის – „მე ვარ“, ზიზღი საკუთარ მეტიჩრობაზე, ზიზღი ნაზარეველის მიმართ და აუტანელი ტკივილი, რომ თურმე ერთი პატიოსანი ადამიანიც კი აღარ დარჩა და რომ ღმერთებიც იტყუებიან.
მცველი პირქუშად მიმაცილებდა ბნელ ტალანში, გარეთ კი ხალხი ყვიროდა: – მოკვდეს, მოკვდეს იგი!
თვალწინ წარმომიდგა ნაზარეველის ნაწამები სხეული და გავიფიქრე: – ალბათ ვეღარ გაუძლო და... და წამომცდა: – მე არა, ის იყო იეშოა ნაზარეველი! მაგრამ წამომცდა კი? – ღმერთო დიდებულო, კი არ წამომცდა, – შეგნებულად ვთქვი, ოღონდ ვითომ... ვითომ იგივენაირად მოვიქცეოდი, რომ შემწინააღმდეგებოდა და ეყვირა: – არა, ეგ კი არა, მე ვარ ის, ვინც უნდა მოკვდესო. მე დავიჩემებდი – არა, მე ვარ–თქო, მცველი დაიბნეოდა; მე ვეტყოდი ნაზარეველს – ნება მომეცი, ეს მაინც გავაკეთო შენთვის, შენ კი... არაპირდაპირ, მაგრამ სადღაც სიღრმეში ხომ მიჭიატებდა – გმირი ბარაბა, ვინაც თვით ნაზარეველი იხსნა, მისთვის ეწამა!
და აქ ფარდა აეხადა ყველაფერს, რადგან ყოვლადშეგნებულად და ხმამაღლა გავიმეორე: – მე ვარ იეშოა, ძე ნათანისა და არ ძე იოსებისა, თქვენ შეგეშალათ, ვინც თქვენ გჭირდებათ, ის საკანში დარჩა. ეს არაა ჩემი მოსასხამი, ეს ნუ მოგატყუებთ!.. და ამის მეტი აღარაფერი მახსოვს, რადგან გონება დამებინდა და ყვირილი ავტეხე. მერე შუბის ტარი, იატაკზე ხოხვა და სინათლე, და სინათლე და გუშაგი თავზე: – წადი იეშოა, პილატე სიცოცხლეს გჩუქნის, ოღონდ არ დაგავიწყდეს, რომ წინასწარმეტყველებიც ცდებიან! სამ დღეში გელოდება. წადი და ნუღარ იყბედებ, თორემ მეორედაც ვეღარ გადაგარჩენენ.
და მე ვნახე იგი მელოტ მთაზე, მშვიდი, როგორც კრავი მინდორზე, ერთი წვეთი ცრემლით მარჯვენა თვალზე, რომელშიც კიაფობდა ცოცხალი სიტყვები: – არავის ძალუძს იმავე ფიალის შესმა, რომელსაც მე შევსვამ, თუ ზევიდან არაა!
იცოდა, იცოდა!

(18)
სანაგვე ყუთი (RECYCLE BIN)

დანართი

შეკრებისა და მოწმეთა დაკითხვის ოქმები:
ცევუიმების (ღვთის მოსახელეთა სექტის) წევრი – იოაკიმი:
„დღესასწაულამდე სამი კვირით ადრე, თვითმარქვია, თავის ხალხთან ერთად მოვიდა დიდ ტაძარში და საუბარი დაიწყო. მე და ჩემმა თანამოძმეებმა, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი შეჩერება და აურზაურის თავიდან ასაცილებლად (თვითმარქვია და მისი ხალხი შეიარაღებული დადიოდნენ), ვცადეთ სიტყვიერად შეგვეჩერებინა იგი და მოვუწოდეთ, ნება დაერთო ჩვენთვის, მოგვესმინა ღვთისმსახურება, მან კი, ყვირილი ატეხა, რომ ვინც არ მოუსმენდა, დაიღუპებოდა, ხოლო ვინც მოუსმენდა, გადარჩებოდა. მაშინ, ჩვენმა ძმამ – დანიიელმა მშვიდად ჰკითხა: – კი, მაგრამ ჩვენი წინაპრები აბრაამი და სხვანი

დაიხოცნენ და შენ როგორღა გვპირდები საუკუნო სიცოცხლესო?! ამაზე თვითმარქვიამ გვიპასუხა, რომ აბრაამს უხაროდა, რომ მას იხილავდა და რაკი მიხილა, გაიხარაო. ჩვენ მივხვდით, რომ ის არათუ თვითმარქვია და ცრუ, შეშლილიც იყო, მაგრამ მე საჭიროდ ჩავთვალე მეკითხა მისთვის სახელი, ვინც ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო და აბრაამს კი იცნობდა.
თავხედმა ყოვლადგაუგონარი რამ გვიპასუხა: – მან განაცხადა, რომ მისი სახელია [ ].
ჩვენ მისი ადგილზე ჩაქოლვა გადავწყვიტეთ, – ის კი თვალს მიეფარა.“

ვინმე აბრამი:
„მოდიოდა ჩვენთან და მოგვიწოდებდა მრუშობისაკენ, გარყვნილებისაკენ, კერპთთაყვანისმცემლობისაკენ, ღალატისაკენ, სიძულვილისაკენ. მისი წასვლის შემდეგ, სოფლის ხალხი ბოროტით ივსებოდა და ხდებოდა მკვლელობები, ძარცვა და ძალადობა.“

ვინმე ელია:
„ერთ საღამოს მოვიდა ჩემს სახლში თავის ხალხთან ერთად. საკუთარი ყურით გავიგონე, როგორ უხმობდა თავის მეთაურს – არიმანს, მერე ჩემს ღორებს რაღაცა შეულოცა და უფსკრულში გადაჩეხა, მე კი გამაფრთხილა, თუკი ვინმეს მოვუყვებოდი ამის შესახებ, სიკვდილით დამსჯიდა.“

ვინმე სიდონია:
„მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა კაცი და მითხრა, რომ მისი მეგობარი თანხას გადამიხდიდა, თუკი ხმას გავავრცელებდი ხალხში, თითქოს მან უკურნებელი სენისაგან განმკურნა.“

ვინმე ბრმა:
„საჯაროდ ვაცხადებ, რომ როგორი ბრმაც ვიყავი დედის მუცლიდან, ისეთივე ბრმა ვარ ახლაც; მაგ კაცს საერთოდ არ ვიცნობ იმიტომ, რომ ვერ ვხედავ.“

ვინმე იულონი, ჯარისკაცი:
„დავალებული მქონდა თვალყური მედევნებინა მისთვის და მისი მეგობრებისათვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო, იგი ქადაგებდა არა მარტო რწმენის, არამედ სხვა რაღაცეების შესახებაც, კერძოდ, მრავალჯერ მოვისმინე, როგორ განაცხადა, რომ საჭიროა შევწყვიტოთ გადასახადების გადახდა და საჭიროა მასობრივი ამბოხება. მგონი, ვიღაც მეკავშირეებსაც ახსენებდა.“

ვინმე ნათანი:
„ჩემი შვილი გამოაჯანმრთელა, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ბნელ ძალებს უხმობდა, რადგან მრავალჯერ მინახავს, როგორ აღელვებდა ზღვას, ასევე მოუხმობდა სულებს.“

ვინმე კარტაფილუსი:

„განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში მოუმატა ღმერთისა და ხალხის გმობას. ამბობდა, თითქოს სამი ღმერთი, იგივე ერთი ღმერთი ყოფილიყოს.“

ზამბრი:
„მე მოვუსმინე ჩემს წინ დაკითხულებს და ვადასტურებ, რომ ყველაფერი აბსოლუტური სიმართლეა. ყოფილა შემთხვევა, როცა მე თვითონ მომისყიდია მავანი და მავანი, რათა ჩვენთვის სასარგებლო ხმები გაევრცელებინათ.
მე არ მალაპარაკებს არც შურისძიება, არც ზიზღი, არც პატივმოყვარეობა. მე ვაძლევ ამ ჩვენებას იმიტომ, რომ ერთგული ვარ ჩემი რწმენის, ჩემი ერის, ჩემი სინდისის და ამიტომაც, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ნაზარეველს სულ თან დავყვებოდი.
ის ჩემი ნახევარძმაა. მამაჩემმა მისი დედა მოიყვანა ჩვენს სახლში, როცა დედაჩემი, სალომეა, გარდაიცვალა თავისი სიკვდილით, სამოცდახუთი წლის ასაკში. მაშინ მე სამი წლის ვიყავი, მამაჩემი ოთხმოცის. მალევე ის დაიბადა და მოხდა ისე, რომ მამაჩვენმა ის და დედამისი უცხოეთში წაიყვანა, მერე თვითონ მობრუნდა და მიიცვალა. დაზუსტებით ვიცი, რომ ის ეგვიპტელ ქურუმებთან ცხოვრობდა გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ მასზე მაინც იუდა გოლინიტმა და მათე მარგოლატმა იქონიეს გადამწყვეტი გავლენა.
ამ სამი წლის წინ, ის შეხვდა აქლემისტყავიანს, რომელთან თათბირის შემდეგაც თავი ღმერთად გამოაცხადა. მე მოვუწოდებდი ჩემს ნახევარძმას, რომელიც ძალიან მიყვარს, რომ თავი დაენებებინა ამ ქვეყნისათვის საზიანო საქმისთვის, მაგრამ ისინი მოკვლით დამემუქრნენ. დაზუსტებით ვიცი, რომ ხვალ მზადდება შეიარაღებული ამბოხი ჩვენს დედაქალაქში, რომლის დროსაც აპირებენ ხელისუფლების შეცვლას. ნაზარეველი თავის ხალხს კარგ თანამდებობებს ჰპირდება.
მე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვთანამშრომლობ ხელისუფლებასთან, რაც გთხოვთ შემდეგში გაითვალისწინოთ.
მზადა ვარ ყოველივე ზემოთთქმული, ნაზარეველის და მისი ხალხის თანდასწრებითაც გავიმეორო.“

შეკრების ოქმები [საიდუმლო ნაწილი]:

„აშკარაა, რომ იგი ძალიან კარგად იცნობს კანონს და წიგნებს, რადგან შესანიშნავად იყენებს ალეგორიებს. მაგალითად, მისი დედაქალაქში შემოსვლა, კარგად დაგეგმილი ღონისძიებაა, რათა გამართლდეს დავით მეფის ცეკვა კიდობნის წინ.“

„ეს კაცი ღვთისგან არაა და რაკი ღვთისგან არაა, მაშასადამე – ეშმაკისგანაა. წამოუდგენელია ღმერთმა ადამიანის სახე მიიღოს და, თუმცა, ზოგიერთი ჩვენგანი ამტკიცებს, რომ ღმერთი ერთხელ უკვე განკაცდა მელქისედეკის სახით, როდესაც ჩვენმა მამამ აბრაამმა ფეხები დაბანა მას და ძღვენი მიართვა, ჩვენი საერთო აზრია, რომ იგი განკაცებული არიმანია.“

„... და თუ მაინც, იგი მართლა რომელიმე განკაცებული აღმსდგართაგანია (თავად იგი მოსეზე მიუთითებს), მაშინ სჯობს ჩვენი შეცდომით მოკვდეს იგი, მხოლო კაცი, ვიდრე ერი წარვწყმდეთ!“

„ჩვენი მეგობრები, ღვთის მოსახელეთა ორგანიზაციიდან, გვთავაზობენ, მივიღოთ აზრი, რომ იგი განსხეულებული მთავარანგელოზთაგანია...“

„ბატონებო, რომ წახვიდეთ უცხოეთში, დატოვოთ ცოლი შინ და მობრუნდეთ გალამაზებული, მორთულ–მოკაზმული, ტკბილმოუბარი და საკუთარი ცოლის გამოცდა და ცდუნება სცადოთ, მან კი სილა გაგაწნათ და სახლიდან გაგაგდოთ, განა უკმაყოფილო დარჩებით ამით და განა ორმაგად არ შეიყვარებთ მას? ასე, რომ დაე, მოკვდეს იგი და თუკი ჩვენ ვცდებით, ღმერთი გვაპატიებს.“

ოქმზე მინაწერი (სავარაუდო თარგმანი):
„იგი განკაცებულია, მაგრამ ხალხი ამისათვის მზად არაა, სჯობს ამის გაცხადება გადაიდოს!“

ზოგიერთ მოქმედ პირთა შემდგომი ცხოვრების შესახებ (მოკლე დასასრულები):

ზამბრი – თავი ჩამოიხრჩო.
პილატე – საბოლოოდ იგი მაინც გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მოვალეობის ცუდად შესრულების საბაბით. უკანასკნელ წლებში ხელი მიჰყო მემუარების წერას.
კარტაფილუსი – შემდგომში მოიხსენიება იოსებად. ნაზარეველის თავგამოდებული მეგობარი გახდა.
ხანანი – ამ ამბების მოხდენიდან ორ კვირაში გაუჩინარდა.
როდი – გამათრახების შედეგად დაიღუპა.
იეჰუდა – რომში გადავიდა სამსახურში, მოქალაქეობა მისცეს, მაგრამ მალევე უარი თქვა და იერუსალიმში დაბრუნდა.
ნათანი – სახლიდან წავიდა. რომელიღაც მონასტერში ბერებს შეეკედლა. უკანასკნელი ცნობებით, კაბოსანი მორჩილი იყო.
ლებეია – დააპატიმრეს და ეგვიპტეში გადაასახლეს.
სუსანა – მონაზვნად აღიკვეცა, ოპტინოს უდაბნოში.
მარიამნა – საეჭვო პერსონაჟია. იგი, სავარაუდოდ არც არსებობდა, რადგან, ჯერ ერთი არსად მოიხსენიება, მეორეც – საეჭვოა მღვდელთმთავარს ცოლი ჰყოლოდა, რაღაცა შეცდომაა. ცნობილია მარიამნა, მხედართმთავრის ცოლი.
იეშოა–ბარაბა – უცნობია მისი ასავალ–დასავალი, თუმცა, ზოგიერთი გადმოცემით, ნებაყოფლობით ეცვა ჯვარს ვიღაც ქრისტიანის სანაცვლოდ.
კლაუდია პომპულა – საქართველოში გადაიხვეწა.

ეკა ღაღანიძე

კვირაში ორჯერ

ჩვენ ერთმანეთს კვირაში ორჯერ ვხვდებით. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი გასაღები აქვს და შეუძლია სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს მივიდეს იქ. თუმცა ასე არასოდეს ხდება. ვხვდებით საბითუმო აფთიაქის წინ, შუქნიშნის ბოძთან. ნაცნობი ნაცრისფერი ავტომანქანის გამოჩენისთანავე ვძაბავ ყურადღებას, რათა მოვასწრო ნელი სვლით მომავალი „ოპელის“ კარის გამოღება, პალტოს კალთების აკეცვა, კაბინაში შეძრომა ისე სწრაფად, რომ მოძრაობის წუთიერი შეფერხებით გაღიზიანებულმა მძღოლებმა დამაყრუებელი სიგნალებით არ ამიკლონ, თან ნუგზარის კმაყოფილი ღიმილიც დავიმსახურო.

ჩვენ იქ ერთად დავდივართ. ნაცრისფერი ავტომანქანით, რომელსაც მეტად მოხერხებული რბილტყავიანი სავარძლები აქვს და რომლითაც სიამოვნებით ვისეირნებდი ღამის, თუნდაც ჩაბნელებულ, მაგრამ მაინც ლამაზ, სევდით მონისლულ ქალაქში, რომელსაც აქა–იქ მაინც უცინის მორცხვად მბჟუტავი ნათურა. ხოლო თუ ვარსკვლავებიც იგიჟებენ თავებს, ქალაქი ხომ ქალწულივით იწყებს კეკლუცს და სქელ ნაწნავ–მტკვარში სურნელოვან ფიფქებად იბნევს ციმციმა ნაპერწკლებს. თუმცა მე ვიცი, რომ სურვილი იმიტომაც არის სურვილი, რომ კვლავ სურვილად უნდა დარჩეს და რომ ქალისა და კაცის ურთიერთობაში გარემოებებთან შეგუება ცხვირის ჩამოშვებასთან შედარებით უფრო მომგებიანია. ასე, რომ კომფორტულ ავტომანქანაში მჯდარი ვცდილობ დავტკბე იმ ხედის თვალიერებით, რომელიც ორი წელია მინაზე მიკრული ფირივით უცვლელი რჩება. ვეგუები ხედივით უცვლელ შთაბეჭდილებას, რომ დღის ქალაქი ისევე მოსაწყენია, როგორც ყოველდღიურად ერთი და იმავე საწოლის სწორება და თან რამდენიმე სეზონნატარები ფეხსაცმელივით გაცვეთილი.

ნუგზარი გზად ან ნამცხვრის რამდენიმე ნაჭერს ყიდულობს, ყოველთვის ორ–ორ ერთნაირს, ან ნაყინსა და ფორთოხლის წვენს. სასმელი მაცივარშია. ყავაც. თანაც მუდმივად. არ ილევა, არც ყავის მარაგი და არც სასმელი. ნუგზარს გული აწუხებს. არითმია თუ რაღაც ამის მსგავსი. ჩვენ იშვიათად ვწრუპავთ: ის არაყს, მე ლუდს. ცოტ–ცოტას. ისიც იძულებით, რადგან რომელიღაც საერო ან საეკლესიო დღესასწაული აუცილებლად ემთხვევა კვირის იმ ორი დღიდან ერთ–ერთს, როცა ჩვენ ქალაქის გარეუბნის ბლოკის კორპუსის მეექვსე სართულის ერთ ოთახიანში ვიმყოფებით ორი–სამი საათით. ვსხედვართ და ვისრუტავთ პირით სასმელს, ყურებით სიჩუმეს, თვალებით ერთმანეთის მდუმარე სახეებს. ეს ხდება სინათლის მოსვლამდე. ასე ვისვენებთ, ლიფტის მოშლის გამო მეექვსე სართულზე ფეხით ასვლით დატვირთვის განმუხტვით და ენერგიის აღდგენით გამართლებული ჩვენი დროებითი სიმშვიდისას მე ვფიქრობ კროსვორდების შეუვსებელ ლაბირინთებზე, ნუგზარი მანქანის ზეთზე, ან დოლარის მერყევ კურსზე. ნამდვილად ასეა და სრულიადაც არ მეპარება ეჭვი ჩემს ინტუიციურ მონაცემებში. სხვა რა უნდა გააკეთო?! ვსხედვართ და სინათლის მოსვლას ველოდებით. სანთლის ან ლამპის შუქზე კარტს ვერ ითამაშებ, ტელევიზორსაც ვერ

უყურებ. მაგნიტოფონის ელემენტები კი უმრავლეს შემთხვევაში დამჯდარია, მათ დაჭყლეტაც ვეღარ შველით, რადგან აუდიო კომაში ჩავარდნილივით ხრიალებს. ვსხედვართ, ვსვამთ. უფრო ხშირად ჩაის, ვეწევით სიგარეტს. ნუგზარს არ უყვარს ლაპარაკი, მოსმენა ურჩევნია. მამაკაცების უპირატესობა ხომ კარგად განვითარებული სასმენი ორგანოებია. ამიტომ თითქმის ყოველთვის მე ვმეტყველებ. ვუყვები ჩემი სამსახურის ამბებს. რაღაც–რაღაცეებს ვიტყუები კომიქსებში ამოკითხულის ინტერპრეტაციით. ვცდილობ გავართო, თორემ თუ მობეზრდება, შეიძლება გასაღები გამომართვას. მე კი კვირაში ორჯერ აქ სიარული მირჩევნია, არსად წასვლას. ზოგჯერ ტელეფონი რეკავს. სახეს თუ ძაბავს და ყვრიმალთან ნერვი უხტის, ესე იგი მისი ცოლია. ძირითადად სატელევიზიო გადაცემების პროგრამის, ან ჭურჭლის სარეცხი ჟელეს ყიდვას ავალებს. ნუგზარიც თანხმდება და გათიშულ მობილურს მაგიდაზე დებს. ისიც, მობილურიც, მწვანე თვალს მიკრავს და ბაასის გაგრძელების უფლებას მაძლევს.

აი, უკვე ცხრამეტი და კიდევ ორი საუკუნე კვლავ ნავთის ქურა. ღაღანებს „ფუჯიკი“ და დაწითლებულ თითებს შამფურივით ვატრიალებ, თან ვცდილობ გავიხსენო რაიმე ბებიის მონაყოლიდან ნავთის ქურაზე. არაფერი გამომდის. ნავთისა და ნავთის ქურის ამბავი იმდენად ძველია, რომ ბებიებსაც კი აღარ ახსოვთ.

არც ისე იშვიათად გვშივდება კიდეც. სამზარეულოში გავდივართ. იქ მე ვლაპარაკობ, სიგარეტს ვეწევი, უზურგო სკამზე ჩამომჯდარი დროს არ ვკარგავ, კისრის ვარჯიშებს ვაკეთებ ტკაცატკუცით, თან ნუგზარს ვუყურებ, როგორ ჭრის ძეხვს, თქვეფს კვერცხს, აზავებს საწებელს. მერე ათუხთუხებული ტაფის სახელურს სვიტრის ჩამოწელილი მკლავის მეშვეობით ეჭიდება, დათუთქვას აცილებული ხელის მოქნილი მოძრაობით მაგიდაზე დგამს უცნაურ ტაფამწვარს, თითებზე სულს იბერავს და „ჩააქრე“,— მეუბნება სიგარეტზე. ვჭამთ მადიანად. თუმცა ჩვენი ყბების ნელი და ხანგრძლივი მოძრაობა, თეფშებზე გასრიალებული დანა–ჩანგლის მცირე წკარუნი, ეთიკის ყველა ნორმის დაცვით სრულდება. ერთმანეთს ვეპრანჭებით... ყოველთვის მომწონდა მამაკაცები სამზარეულოში. ვჭამ და წამიერ ნაფიქრს ვუღიმი: ჩვენ ორნი კვირაში ორჯერ კი არ დავდივართ ამ ბინაში, არამედ აქ ვცხოვრობთ საერთოდ. „რა კარგია“,— ვაქებ მის ნახელავსა და ჩემს ნატვრას.

სააბაზანოში მორიგეობით შევდივართ. ცხელ წყალში ჩაწოლილი ნეტარებას დიდი ხნით ვერ ვეძლევი, რადგან კარზე კაკუნით მიხმობს და მეც აბაზანიდან იძულებით ამომძვრალი, ნახევრად მშრალი თბილ ქვეშაგებში შეკუნტვით ველი სურნელოვან ქაფში მისი ჯერი ჭყუმპალაობის დასასრულს. „უსაფრთხო სექსი“, ამბობს ნუგზარი ქაღალდის გახევისას ერთი და იმავე ტონით. სექსი პრეზერვატივით. აუტანელია. მაგრამ ისე ვიქცევი, როგორც მას სურს. შეხვედრამდე ვყიდულობ ერთი–ორს იქვე აფთიაქში და ხელჩანთაში ვინახავ. დროებით. გამყიდველი გოგონა ჩემი დანახვისთანავე უთქმელად ირჯება, დახლის ქვედა თაროდან გამოღებულ ზუსტად იმ რაოდენობას მაწვდის, რაც მინდა. მეც ყოველთვის მზად მაქვს ფული, ისე, რომ ხურდის დაბრუნებაზე წვალება არ მოუწიოს. უხერხულია. ადრე, ბავშვობაშიც ვყიდულობდი ასეთ ჭრაჭუნა ქაღალდში გახვეულს. ოღონდ ის საღეჭი რეზინა იყო, აფთიაქის მაგივრად გასტრონომის მოხუცი გამყიდველისათვის მიწევდა ხურდის მიწოდება და ეს ორი გამყიდველი ისევე არ გავს ერთმანეთს, როგორც ჩემი წარმოსახვა და ჩემივე ცხოვრება, რომლებიც წარმატებით ახერხებენ ურთიერთ დანესტვრას. „შენთან ვიგრძენი თავი ნამდვილ ქალად“,— აი,

ფრაზა განკუთვნილი ნუგზარის თვითკმაყოფილებისათვის. და სულაც არ მრცხვენია, რომ ვიტყუები. სიცრუე საჭიროა, რათა კარგად გამოიკეტო საკუთარ თავში და მსუსხავი კითხვებით არ შეგაწუხონ. თუმცა, არა მარტო ის, შენც კარგად ხარ მოკალათებული. საფერფლეში უკვე არაფრისმომცემ სიგარეტის ნამწვსა და დარდს ერთდროულად სპობ. დაკლაკნილი ემბრიონივით ყრია გამჭვირვალე ბროლის თასში და რომ ამჩნევ, თავადაც კმაყოფილი ხარ, რადგან უპენსიო სიბერე გაზეთებისა და ათას ერთი წვრილმანის გაყიდვით შენ არ გემუქრება. ჯერ კიდევ კარგად ხარ. შუაღამით არ გეღვიძება, ხელები არ გიბუჟდება. არც უნებლიე ნერწყვით ასველებ საურს. მელასავით მისუნსულებ. იმედებით ამოხორხლილ ტვინს კოხტად დავარცხნილი თმის ქვეშ მალავ და ცხოვრების შარა–შუკები კი არა, ახალ გაუთოებულ–გაპიწკინებული გზატკეცილები გიღიტინებს ქუსლებზე.

კვირაში ორჯერ, საღამო ხანს ნუგზარი სიმეტრიული სიზუსტით გადანაწილებულ ამბორს სხეულზე მიტოვებს და ჩემს მუცელზე თავჩამოდებული თვლემას იწყებს. მე თითებს დავუცურებ თმაში და ვისმენ ფშუილითა და ტუჩების ცმაცუნით დადასტურებულ მის ნახევარსაათიან ძილს. ამ ბინაში კედლები ძალიან თხელია. სამზარეულოს კედლის საათის რეკვა თავისუფლად აღწევს ჩვენამდე. ბომ, ბომ, ისე ომახიანად რეკავს, თითქოს საუკუნეებს გამოღწეული ბერიკაცი იყოს. არადა ერთი ციდა, თეთრი პლასტმასის თხელი და მსუბუქი ჩინური საათია. ერთი ან ორი წლის თუ იქნება. ზარების რაოდენობა გვაგებინებს, როდის გვაგვიანდება. ვისურვებდი, რომ ეს ბინა სქელკედლებიანი ყოფილიყო, ან ეს საათი გაჩერდებოდეს მაინც... ვიცმევთ აჩქარებით, ჩავრბივართ კიბეებზე, ვსხდებით ნაცრისფერ „ოპელში“ და გზაში მე აღარ ვლაპარაკობ. ისევ აფთიაქის წინ, შუქნიშნის ბოძთან ჩამოვდივარ და შინ ვბრუნდები.

ჯიბეებში ხელებ, საყელოში ცხვირ–პირჩაყოფილი სახლისკენ ფეხით მიმავალი ხანდახან მაინც ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ არ მინდა ნუგზარის ცოლის ნახვა და როგორ მინდა – ის ქალი ჩემზე ბევრად ლამაზი იყოს, რადგან დამტანჯავდა იმის გაგება, რომ ყოველთვის მასთან ბრუნდება.

მივდივარ და ვფიქრობ. მივდივარ და ვფიქრობ.

მერე მბეზრდება სევდიანობა.

მივდივარ და აღარ ვფიქრობ.

დღევანდელი შეხვედრით ნასიამოვნები მესამეკლასელივით ასკინკილით ვიწყებ მოძრავ ფილებთან კლასობანას თამაშს.

შინ ვბრუნდები.

სურვილი, რომელიც ოცი წლის მანძილზე ყოველი დეკემბრის თვის დადგომისას ერთგულად მიბრუნდება, არადა არ კარგავს სიძლიერეს. სუსხიან ზამთარში, როცა ჩემი ცხვირი, ან რომელიმე ყური, მოყინვის სწორუპოვარი კანდიდატურა, წითლდება და მძლავრი მოქნევის შედეგად შესაძლოა დამზრალ მიწაზე დაეპერტყოს, მე მურა დათვივით მინდება ძილი. გამოვიძინებდი სამი თვით და გაზაფხულზე მოსუქებული, გვერდაბგამომთბარი კვლავ მხარში შევუდგებოდი ყოველდღიურობას. თუმცა რაღა დაგიმალოთ და არც მიწაა ამ ქალაქში, არც გაუსაძლისი ყინვა და დათვობამდე ხომ შორი ევოლუციური გზა მაქვს გასავლელი... ვუწყრები თბილისურ ზამთარს, რომელიც ხელს არ მიწყობს სეზონური გულისთქმის განხორციელებაში. აქაურ ამინდს ფუნქციური მოშლილობა–ანტერორეტროგრადული ამნეზია დაემართა.

გათავხედებული მზე ოცგრადუსიან სხივებს ისვრის. ბერძნებისაგან გაბრიყვებულს მართლა ჰელიოსი ჰგონია თავი. თბილა, იანვრის შუა რიცხვებია და უსაქმურობით ხელებფხანია დიასახლისები საბნებს ამზეურებენ. მე ნუდისტური ურცხვობით ვდგავარ სამზარეულოს ფანჯარასთან და თხუთმეტწუთიან ლოდინს სიგარეტის წევით ვუმკლავდები. არც თვალის ვარჯიში მავიწყდება. კითხვით თავს მაინცდამაინც არ ვიტვირთავ. მითუმეტეს, რომ წასაკითხიც აღარაფერი იწერება. კარგა ხანია დაიწერა და წაიკითხა კიდეც. მაინც შემომეჩვია თვალის ასიმეტრია. გუგების ტრენინგები: ჯერ შუშაზე დაჭერილ ნაკაწრს ვაკვირდები, შემდეგ შორეული ხეივნის ზოლს. მერე თვალისჩინის ხვრელის წრიული მოძრაობები მარცხნიდან მარჯვნივ და საპირისპიროდ. თვალის დახუჭვა–გახელა, დახუჭვა–გახელა. აი, მხედველობის გაუმჯობესების საუკეთესო მეთოდი.

ჩვენი სამზარეულოს ფანჯრიდან მხოლოდ კორპუსები ჩანს, შორეული მთის ფერდობსა და ერთ ციცქნა ხეივანს თუ არ ჩავთვლით. მხოლოდ მიჯრით მიწყობილი კორპუსები. სიდიდით – ფანჯრის ჩარჩოში ჩატეული. ფერით – გამოუხეხავი კბილების მსგავსი. ისე, სხვის ფანჯრებში ცქერა დიდი ვერაფერი თავშესაქცევია – უცნობი ფიგურები ნაცნობი, თითქმის შენი მოძრაობებით...

ჰააააა! ... – გაბმულტონიანი შორისდებული და უეცარი ხილვა ორას ოცი ვოლტით მარყამს, რადგან სრულიად მოულოდნელად ვაწყდები მის სახეს. „თვალებპაჭუნა, პირაშკმული შიშველი ქალი სიგარეტით ხელში – საინტერესო სანახავია“, ამას მერე ვფიქრობ, შუაღამით საწოლში აწრიალებული. მანმადე კი, მისი დანახვისის რამის საფერფლე მივარდება ხელიდან, ისეთი სისწრაფით ვხტები განზე. ფარდას ამოფარებული ვეღარ ვბედავ განძრევას. საკუთარ გულისცემას ჯერ ყელში ვგრძნობ, მერე ნიკაპი მიცახცახებს. დახრილი, მეტლახზე გახოხებით უკვე ფანჯრის მეორე მხარეს ვახერხებ წელში გასწორებას და წამების წინ ნავარჯიშებ თვალს ფრთხილად ვაპარებ იმ ფანჯრისაკენ, საიდანაც ახალგაზრდა კაცი კვლავ მიღიმის. ესე იგი არ მომლანდებია. წინ გადმოხრილი სილუეტი შეჭმუხნილი შუბლით მინას მიკვრია და ჩვენი სამზარეულოს შიგნით იმზირება. მეძებს. კისერზე ორჯერშემორკალული ჭაობისფერი შარფის ბოლოები ცალი ხელით მუცელზე მიუკვრია და ისევ იღიმება. გაოგნებული უკან–უკან ვიხევ, ასეთი სვლით დაახლოებით სამი ნაბიჯი უნდა მაშორებდეს კარამდე. კედელ–კედელ თუ ვიმოძრავებ და თანაც არ წავიბორძიკებ, შეუმჩნევლად გავალ. ასეც ვიქცევი. სამზარეულოდან გასული ნუგზარის მიერ სახელდახელოდ გაშლილ ტახტზე გადაფარებულ პლედში კუდმოწყვეტილი ხვლიკივით შესრიალებული ვყუჩდები. ველოდები ნუგზარს. ვერაფრით ვერ ვმშვიდდები. არა, ნუგზარს არაფერს ვეტყვი. კაცებს არ სიამოვნებთ, როცა მათ კუთვნილებას ეპოტინებიან, თუნდაც მზერით. ვინ არის? სავსებით დასაშვებია, რომ სხვა დროსაც მხედავდა. მე ხომ ასეთი ქარაფშუტული ქცევა მაქვს – ვდგავარ ფანჯარასთან შიშველი და ვეწევი სიგარეტს. აქამდე მეგონა, არავინ მხედავდა. ვწევარ და ვერ ვწყნარდები.

– რა გჭირს? – ნუგზარისათვის ზედმეტად აფორიაქებული ვჩანვარ.

– არაფერი, – ვცდილობ დავმშვიდდე და კეთილსინდისიერად შევასრულო ის მოვალეობა, რაც ორი წელია მაკისრია.

წასვლის წინ ვბედავ ფანჯრიდან გახედვას. მოპირდაპირე ფანჯარაში არავინაა. იქნებ არც იყო. მომეჩვენა. რადგან მოჩვენებები არასოდეს ისადგურებენ ჩემნაირ მოსაწყენ

ადამიანებთან, ფანჯრის პაემნები კვლავ გაგრძელდა. ნუგზარის მიერ შხაპის მიღების პერიოდში, ახლა უკვე ხალათწამოსხმული სიგარეტით ხელში ვდგები სამზარეულოს ფანჯარასთან. ჭაობისფერკაშნეიანი მამაკაცი უკვე ხელსაც მიწევდა. ვიდექი, ვეწეოდი, ვიცინოდი, ცოტაც და ვირწმუნებდი, რომ სწორედ ის იყო. ის ერთადერთი, რომლისთვისაც ღამეებს გავათევდი სიურპრიზად ჩემი ხელით ნაქსოვი ჯემპრის შესაქმნელად, კულინარიის წიგნის ფურცლებს გავცვეთდი უგემრიელესი სადილის მოსამზადებლად. ის კი, კისერზე ჭაობისფერკაშნე–შემოგრაგნილი, სავარძელში გადასვენებული გაზეთს იკითხავდა იმ იდუმალი ღიმილით, რომელსაც უშურველად აფრქვევდა.

კვირის თავზე ვიცოდი, რომ მის ოთახში ერთი საწოლი და ერთი სკამი იდგა. ერთი სკამი ზედ დახვავებული ტანსაცმლით, რომელიც ავანგარდის წარმატებულ შედევრს ჩამოჰგავდა. ვხედავდი მაგიდის კიდეს აბაჟურმომტვრეული ლამპით, ჩაის ჭიქით, თიხის ქოთანს ფანქრებისა კალმების ფერადი ხით. მწვანე ფარდის ნაწილი ჩემგან განსხვავებით, მორცხვად ატუზულიყო ფანჯრის კუთხეში და მთელი სივრცე თეთრი დღის ფარდისათვის დაეთმო. მის ოთახში სინათლე არასოდეს ინთებოდა. მე კი მსურდა ოთახის უფრო უკეთ დათვალიერება, ფეხის თითებზე დოგმა და კისრის მარჯვე მოძრაობები არ მშველოდა.

ხუთიდან ექვსის თხუთმეტ წუთამდე. თხუთმეტწუთიანი უცნაური შუალედი, როცა შემეძლო მისი ხილვა. ვინ იყო? მინდოდა, ძალიან მინდოდა ამის გაგება. ვიდექი მისთვის შეუმჩნეველი შინაგანი ღელვით, ღიმილს ღიმილით ვპასუხობდი და ფიქრით ამ ახალგაზრდა კაცის კუთვნილ სამყაროს იმ ნაგლეჯში, სადამდეც აღწევდა ჩემი ყოვლისშეტყობის მოსურნე მზერა. ნუგზარმა არაფერი იცოდა. არც უნდა სცოდნოდა. ხუთიდან ექვსის თხუთმეტ წუთამდე... აღარ მაღიზიანებდა ჩემი საყვარლის აბაზანაში განმარტოება. ვნატრობდი, ამ პერიოდის თუნდაც წამებით გახანგრძლივებას. აბაზანის კარის ჭრიალი თითქოს მიჯნავდა ჩემს იმედსა და ჩემივე ნებით წამოკიდებულ მოვალეობას. უკვე ვხვდებოდი, რომ უკან აღარ დავიხევდი. ბედნიერება ფანჯრის მინის იქით მელოდა. ვბრაზობდი, გაზქურაზე უყურადღებოდ მიტოვებული ჩაიდანივით ვთუხთუხებდი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ცოტა კიდევ უნდა მომეთმინა. სულ ცოტა და მერე ამაყად შემეძლო მიმეხალა ნუგზარისათვის ყოველივე, რასაც ვფიქრობდი მასსა და მის კვირის ორჯერად სექსუალურ აქტებზე. ნუგზარი ჩემს ირონიულ ღიმილს იწვევდა. უცებ აღმოვაჩინე, რომ ის ერთი საცოდავი, ულამაზო, ღიპიანი და მელოტი კაცი იყო და მიკვირდა – აქამდე როგორ ვერ ვამჩნევდი მის უამრავ ნაკლს, რაც დღითი დღე აშკარავდებოდა. პურს ჭრიდა – ღიპი უთახთახებდა, ჭამის დასრულებისთანავე ასანთის ღერით კბილებს ისუფთავებდა და პირის წკლაპუნით ყლაპავდა პირის ღრუში ჩარჩენილ საკვებს, კიბეებზე მისი ასაკისათვის შეუფერებელი ტინგიც–ტინგიცით არბოდ–ჩარბოდა და დაბანის მიუხედავად, იღლიები უყარდა. ვეღარ გამეგო, რატომ ვიყავი მასთან ამდენ ხანს? ალბათ, მებრალებოდა. სხვა რაღა უნდა ყოფილიყო?!... ცოტა კიდევ უნდა მომეთმინა. მანამდე კი ვხარობდი, მჯეროდა, რომ მოპირდაპირე კორპუსში სწორედ ის ცხოვრობდა, ის ერთადერთი... საიდუმლო მქონდა და არავინ მეგულებოდა ჩემი სასიხარულო გულისთქმის დამცხრობი.

ორი კვირის თავზე მისი ფანჯრიდან გადმოკიდებულმა გრძელმა ფორმატმა კიდევ ერთხელ შემაშინა. „ხვალ შვიდ საათზე ოპერის ბაღთან“ – წითელი ფერის მტკაველა

ასოები. სწრაფად დავუქნიე თავი, არ გადაიფიქროს–მეთქი. მას არც კი შეუმჩნევია ჩემი მოძრაობა, ქაღალდს ახვევდა. ამ საღამოს ბევრი ვაცინე ნუგზარი, ვყვებოდი და ვყვებოდი არც ვიცი ტვინში საიდან შემოფრენილ ანეკდოტებს, სიცილისაგან ცრემლები მცვიოდა, ფეხებს ვაბაკუნებდი და „ხვალ შვიდ საათზე“ – კარგად ვიმახსოვრებდი.
იმ საღამოს, როგორც არასდროს, ისე მიმეჩქარებოდა შინისაკენ. უამრავი საზრუნავი მქონდა. მომზადებისათვის რაღაც ოცდაოთხი საათი მრჩებოდა. ეს კი არაფერია ოცნების მამაკაცთან შეხვედრისათვის მოსაწესრიგებლად. მისი ოთახის ფარდა მწვანე ფერისაა. უნდა ვივარაუდო, რომ ეს მისი საყვარელი ფერია. ამიტომ ჩემს გარდერობს კარგად გადავქექავ. აუცილებლად მექნება მწვანე კაბა, ან სვიტერი მაინც. უთუოდ მექნება. თუ არადა რომელიმე მეგობარს ვეთხოვები. ღამე გვერდიდან გვერდზე წრიალში გავატარე. მგონი მეძინა კიდეც, რადგან სიზმრად პაემნის დღეს ვხედავდი: თბილი თოვლი მოდიოდა, ბაღში ვიჯექით გრძელ სკამზე და ფეხებისაგან განსხვავებით ხელის თითებზე მთბილოდა, რადგან მას ჩემი ხელები ჩაებღუჯა და პირთან მიტანილს სუნთქვით მითბობდა. „მე შუათითზე მეჭეჭი მაქვს, აი, ნახე“, ვიცინოდი და თითებზე შეორთქლილ სითბოს, ნაკადულებად ფეხებისაკენ ჩასრიალებულს ვეღარ ვუძლებდი. მერე მე თეთრი ბლის მურაბის კურკას ენის წვერით, ის კი მაგიდის ქვეშ შემძვრალი, ჩემი მეგობრის გოგონას ეთამაშებოდა და ახლა უკვე ვხარხარებდი და ვერაფერს ვპასუხობდი ჩემი დაქალის მიმიკებით დასმულ შეკითხვას ამ უცხო მამაკაცის შესახებ.
დილით ცხრის ნახევარზე დავრეკე სამსახურში. ავადმყოფობის მომიზეზებით ხველებით ავიკელი ყურმილი. გამათავისუფლეს. სად მქონდა სამუშაოს დრო! შვიდ საათამდე ცოტა დრო მრჩებოდა. მწვანე კაბა მართლაც აღმომაჩნდა სახლში. არც ისე ახალი, მაგრამ არა უშავდა რა. რაც მთავარია, მწვანე იყო. აი, მთავარი ატრიბუტი კაბის სილამაზის განმსაზღვრელი, რასაც ვერავითარი ფერი ვერ დაჯაბნიდა დღეს. ლამის ტუჩებიც მწვანედ შემეღება. თვალები ხომ ვერ გადაურჩა მწვანე ლინზების ტარებას. დღეს ასე იყო საჭირო. დღეს მე ლამაზი უნდა ვყოფილიყავი. ისეთი ლამაზი, როგორიც არასდროს...
ეპიზოდი ორთა შეხვედრით დაინტერესებულთათვის.

მოქმედების ადგილი: ჩაის სახლი „ვინსენტ“.

მოქმედების დრო: შვიდი საათი და თხუთმეტი წუთი.

მოქმედი პირები: ქალი – ოცდაექვს წლამდე, მწვანეთვალება და

მწვანეკაბიანი. კაცი – იმავე წლოვანების, ჭაობისფერკაშნეიანი.

მოქმედება: ჩაის სმა.

სურათი ერთადერთი.

კაფე ერთი ოფიციანტითა და ორი კლიენტით. ისმის ნებისმიერი ჩუმი მუსიკა.

დუმილს კაცის რბილი ხმა არღვევს.

კაცი: მიხარია რომ შევხვდით.
ქალი: მეც.
კაცი: ნამცხვარი ხომ არ აგვეღო?
ქალი: ოოო, არა! ექვსის მერე არ ვჭამ.
კაცი: იმიტომაც ხართ ასეთი მშვენიერი გარეგნობის.
ორივე იღიმება.
ქალი: შენობით არ ვილაპარაკოთ?
კაცი: ვილაპარაკოთ.
კვლავ ღიმილი.
კაცი: იქ, იმ სახლში რას აკეთებთ?
ქალი: (ჩაის მოზრდილ ყლუპს ხმაურით ყლაპავს) იცი, ეს თავისებური
პროფესიაა... მე მხატავენ... როგორ აგიხსნა...
კაცი: გასაგებია. მეც ასე ვფიქრობდი. ბევრნი არიან?
ქალი: არც ისე ბევრნი.
კაცი: კარგად გიხდიან?
ქალი: საკმაოდ.
კაცი: რაღაც უნდა გთხოვო.
ქალი: (ფინჯანს ლამბაქზე დგამს, ღრმად სუნთქავს და ცდილობს დამშვიდდეს: ღმერთო ჩემო, რა უნდა მთხოვოს. სახლში თუ დამპატიჟებს, აუცილებლად წავყვები. ხომ არ გაუკვირდება, პირველივე თქმაზე რომ ვთანხმდები? რა მოხდა?!...) გისმენ.
კაცი: როგორ გითხრა... პირველად რომ დაგინახე, მაშინვე გამიჩნდა შენი გაცნობის სურვილი. ვიცი, რომ დამეხმარები... მეც მინდა პოზირება. უთხარი იმათ, არ სჭირდებათ მამაკაცი? ყოფილი წყალბურთელი ვარ და სხეულიც საკმაოდ დაკუნთული მაქვს... ცოტა ფულს მეც ვიშოვი. ამ დროში... ხომ ხვდები?...
არ მაწყენდა. რას ფიქრობ, გამოვა?
ქალი: გამოვა. გამოვა, აბა რა!
ფარად არ არის საჭირო. მით უმეტეს, მწვანე.
ძალიან ვმარტოობ.
იშვიათად, მაგრამ მაინც მინდება ტირილი.
გავიღვიძე. ჩემი ოთახი. სქელი ფარდებით გამაგრებული ღამის სიბნელე. როგორც კი ინათებს, კატას მოვძებნი. სადმე იქნება შემძვრალი. მაინც ვიპოვი. დავალევინებ რძეში გარეულ დიხლოფოსს. ცოტას მოვეფერები და ისიც მოკვდება. ჩემს ფლოს (ასე ერქმეოდა კატას, რომ გადარჩენილიყო) ვეფხვივით ზოლები აქვს. გადავუთვლი. მე იმდენნაირად დავიტირებ, რამდენი ზოლიც აქვს და გულიც დამეღლება. დაღლა კი მათავისუფლებს მარტოობის დარდისაგან...
დღისით თავს უკეთ ვგრძნობ. ტვინს, გამარგლულს სარეველა აზრებისაგან, მსუბუქად ვკვებავ გაზაფხულის მოსვლის იმედით და აღარ ვმარტოობ. ამას წინათ „მზიურთან“ ჩავიარე. სიღრმიდან მუსიკა და მიკროფონთან ჭიდილში დაწყვეტილი ხმა აღწევდა. ახალგაზრდების ნაკადს მეც ჩავყევი. სცენის გარშემო მომრგვალებულ–დააფრაკებული სკამები ჭრელაჭრელა ხალხით ივსებოდა. არაბივით თეთრ ზეწარში გახვეულ ფიგურას

მივუჯექი. სიგარეტს მოვუკიდე. სანამ ერთი ღერი მოვწიე, იმის გაგება მოვახერხე, რომ რაღაც ფესტივალი ტარდებოდა ღია ცის ქვეშ. ბაღის ქვედა ნაწილში მხატვრები დასეირნობდნენ, დროდადრო საკუთარ ნახატებს ათვალიერებდნენ. ამ სცენაზე კი ლექსებს კითხულობდნენ. ვისაც არ ეზარებოდა. ერთი შორტიანი ბიჭი, მონგრეული ფეხებითა და კევის ღეჭვით მიკროფონს არწევდა და „ვისაც ჩემი ლექსები არ მოგწონთ, აი, აქ მკიდიხართო“, – ფეხებშუა გვითითებდა. მე შემეცოდა ტაშის დამკვრელები. სანამ ესენი პოეზიის კითხვაში ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მხიარული გოგონები მუყაოს ყუთებით პრეზერვატივებს არიგებდნენ. მუჭით ამოვიღე და წამოვედი. ნაგვის ყუთში გადაყრამდე ერთი–ორი დღით ჩანთით ვატარე. ისევ აფთიაქში ყიდვა მირჩევნია. ისევ ხურდას ვამოწმებ და გაშლილ ხელისგულს ნაცნობ გოგონას ვუწვდი ხოლმე.

ჩვენ შეგვეძლო ჩემთან შევხვედრილიყავით. ჩემს სახლში. ნუგზარს არ სურს. ამბობს, ქალაქის გარეუბანში შეხვედრა უფრო საიმედოაო. იყოს საიმედო. რახან მას ასე სურს... კვირაში ორჯერ ვდგავარ საბითუმო აფთიაქის წინ, შუქნიშნის ბოძთან, ნაცრისფერ „ოპელს“ ველოდები და გული მიფანცქალებს, ვაითუ, არ მოვიდეს

თამრი ფხაკაძე

რატომ ავარჩიე მაინცადამაინც ეს მოთხრობა და არა რომელიმე სხვა?
პასუხი უმარტივესია: განსაკუთრებულად მიყვარს.
მეტს ველარაფერს ვიტყვი და თუ ვინმე რამეს მაინც მკითხავს, ნიჭარაში შევიმალები.

მე – ლოკოკინა

ხანდახან მგონია, რომ ერთადერთი და განუმეორებელი ვარ. რომ ცისქვეშეთში არავინაა ჩემსავით ერთადერთი და განუმეორებელი... არც ოთხფეხებში, არც ორფეხებში, არც უფეხოებში... იმიტომ, რომ მე – ლოკოკინა ვარ. და მე ვიტვირთე... მე რაღაც ისეთი ვიტვირთე... რაც... რასაც... რაც არავის...
ო, უფალო! რა გულის ამაჩუყებლად ცახცახებს მთელი ეს გამჭვირვალე სიმწვანე...
მე მივცოცავ სადღაც... არსაით... მე უბრალოდ, მივცოცავ და ზურგზე იმას ვგრძნობ, რაც შენ მატვირთებინე უფალო, – ჩემს სახლს! ჩემს ციხესიმაგრეს! ჩემს მძიმე, მაგრამ ტკბილ ტვირთს... როგორ მძიმეს მაინც, ჰა?.. და თან როგორ ტკბილს... და რომ მივცოცავ, უფალო, თან კვალს ვტოვებ... და ამითაც შენ გამომარჩიე სხვათაგან... მივცოცავ ჩემი მძიმე და ტკბილი ტვირთით და ვტოვებ კვალს და ყველამ იცის, – აქ მე ვიყავი, ლოკოკინა, და ბრჭყვიალა, სიფრიფანა კვალი დავტოვე... მხიარული და ნაღვლიანი ერთდროულად...
მაღლა კი სულ ცაა. დიდი და ლურჯი. მე მხოლოდ პაწია ნაწილს ვხედავ, იმიტომ, რომ თავს ვერ ვწევ და მხოლოდ თვალებს თუ ავატრიალებ ძალიან, ძალიან და მაღლა კი არა – წინ, შორს, ჩაგუბებულ სილურჯეს თუ დავინახავ... და დიდრონი ხეები შრიალებენ ზემოთ, და ჩიტები ფრენენ... და მზე?! მზე?!! უფალო, ეს რამხელა ტვირთი ამკიდე! იმხელა, რომ ლამის გამსრისოს ხანდახან... და თან იმდენი რამ არ მინახავს და არ მიგრძნია! არადა, არსებობს სადღაც! უჩემობაში...
მე მხოლოდ ჩრდილების სიგრძე-სიმუქით ვხვდები, სადაა მზე... და კიდევ გუბურაში, გუბურაში ვხედავ ხოლმე წითელი დისკოს ნამტვრევებს... და ალმოდებულ ღრუბლებს...
ახლა ყველაფერი მინდა გითხრა, უფალო! იმიტომ, რომ დიდი, მოოქროსფრო ნათელია ზემოდან ჩამოწოლილი, გარინდული გავკვრივარ მიწას, გარს მაკრავს თბილი ბურუსი და ვგრძნობ, რომ სადღაც აქვე ხარ... სულ ახლოს... იქნებ, ამ ბრჭყვიალა ნამის წვეთებშიც...
ცოდვილი ვარ, უფალო!
არ ვიცი, საიდან დავიწყო...

მე – ლოკოკინა ვარ და ეს შენი ნება იყო. შენი ნებაა, რომ ზურგით დავატარებ საკუთარ სახლს. ან იქნებ მთლიანად იმას, რასაც ადამიანები სამშობლოს უწოდებენ? ვერ გამიგია, უფალო, – თუ ეს ნიჟარა ჩემი სახლია, მაშინ ეს, ირგვლივ ყველაფერი, – სამშობლო გამოდის და თუ ეს ნიჟარა სამშობლოა, მაშინ... მაშინ გამოდის, რომ ირგვლივ ყველაფერი მთელი სამყაროა? და მე მთელ ა მ ხ ე ლ ა სამყაროში ვტოვებ რაღაც კვალს? მერედა, საოცარი არაა? და ცოტა, გასაღიმარიც?..

მაგრამ, უფალო! მსუბუქად და თვინიერად უნდა დავატარებდე ამ ჩემს ტვირთს! მსუბუქად და თვინიერად... მე კი, ზოგჯერ... ზოგჯერ... შემინდე და, იიმხელა სევდა შემომაწვება გულზე, რომ მინდა გამოვძვრე ამ ჩემი სულთანმდევი წიაღიდან და გავვარდე, გადავიკარგო, გავფრინდე – ავიჭრა ზემოთ, უსასრულო, შთანმთქმელ სილურჯეში, დავივიწყო თავი, და დავივიწყო სადღაც, შორს, სურნელოვან ნეშოში ჩაძირული ჩემი სახლი...

ერთხელ...

აი, ყველაფერს გეუბნები, უფალო...

ერთხელ ასეც მოვიქეცი... მთვარიანი ღამე იდგა. გარინდული, მაცდური, უცნაური, იდუმალი ხმებით სავსე... მე მთვარეს ტბორში ვხედავდი შორს, ჩემ გასწვრივ, ბალახებსა და კენჭებს შორის... ის ტბორის ჩამუქებულ ზედაპირზე ირწეოდა და სულ სხვა სამყაროში სახეტიალოდ მიხმობდა. დროდადრო ღამურები მფრინავი შავი ურჩხულებივით გაიფართქუნებდნენ ხოლმე ჩემ შორიახლო და დროდადრო, ბუ გაჰკიოდა საზარელ ხმაზე ღრმა, საშიშ სიშავეში და მე კი, უფალო, იმის მაგივრად, რომ შევყუჟულიყავი ჩემს... არ ვიცი რაში... სახლში, სამშობლოში, თუ იქნებ, სულაც მეში, – ამ ყველაფრიდან გაქცევის გიჟური სურვილი დამეუფლა... სასაცილო არაა, უფალო? ლოკოკინა და გაქცევის გიჟური სურვილი...

დამეუფლა და! თვით ღამურების ფართხუნა, დემონური ფრენაც კი ვინატრე... და უცნაური ლაწალუწით და ბუთა საზარელი გადაძახილებით სავსე წყვდიადში შეჭრაც! თუმცა, რატომ წყვდიადში? ტბორის გლუვ, მოშავოდ მბზინავ ზედაპირზე მთვარე ირწეოდა, ტივტივებდა და მისი მკრთალი ნათელი ირგვლივ ყველაფერს გაყუჩებულ და ნაღვლიან სასაფლაოს ამსგავსებდა... ჰოდა, მეც იქ მინდოდა, უფალო! იმ უცნაურ ჩრდილთა ტორტმანში! იმ შეუცნობელ თავგადასავლებში! მინდოდა პირდაპირ იმ ვეება, უღრან არვიციში შეჭრა!

მაგრამ ზურგზე... ზურგზე ჩემი სახლი მედგა, შენგან ნაბოძები, ჩემი წილხვედრი, და ის ჩემით იყო ის, მე კი მისით ვიყავი მე, ლოკოკინა!

სადღაც, შორიახლო კი ღამეული, გიჟურად მბორგავი სიცოცხალე დუღდა... მტაცებლური ღრენით, ვნებიანი ყმუილით, ცოფიანი ბრდღვინვით და სულაც, დაძაბული, მოცახცახე სიჩუმით სავსე... აი, აი რაზე მსურდა ჩემს ზურგზე სამყაროს შექმნისას ნაგები სიმყუდროვის გაცვლა! ვფიქრობდი ქარისგან დაგლეჯილ აბლაბუდასავით აწეწილ ფიქრებს... ვფიქრობდი, რომ – გავიქცევი!! შორს! შორს... სადღაც... და ყველაფერს ვნახავ... და ყველაფერს ვიგრძნობ... და გულაღმა ამოვტრიალდები და დავინახავ ცას... მთვარეს... ვარსკვლავებს... და მკერდზე გადამირბენენ შავი ღამურების ვეება ჩრდილები... და დავინახავ, როგორ მოწყდება ციდან ვარსკვლავი, როგორ გასკდება გზადაგზა და ფერად, ბრჭყვიალა მტვრად როგორ გადმოიფრქვევა... და იცი, უფალო, აღარც ეს კვალის ტოვება მინდოდა! მინდოდა

ვერასდროს ვერავის გაეგო, რომ აქ ვიყავი... მინდოდა, სამყაროს უზარმაზარ საიდუმლოებს შევრეოდი და მეც ერთი პატარა საიდუმლო ვყოფილიყავი...
უფალო, მიმიხვდი, რა მინდოდა? დიდი, უდიადესი გაქცევა!
და თანაც, თვალცრემლიანი ვფიქრობდი, რომ აგერ, რა დროჟამია ასე ვარ... ზურგით დამაქვს ღვთითნაბოძები თუ ღვთითმოსჯილი ჩემი ტვირთი, ჩემი სახლი... ჩემი, ჩემი მთელი ყველაფერი, და ახლა კი, – ვღალატობ...
ვფიქრობდი, რომ – სწორედ ეს სახლი, სწორედ ეს ჩემი ტკბილი ყველაფერი მსრესს, მბორკავს და მაიძულებს ასე ნელა ვიხოხო, თორემ აი, დავტოვებ აქაურობას, გამოვძვრები და ეჰეეეეეი!! გავფრინდები! გავქროლდები! ქარზე უსწრაფესად! უმსუბუქესად! მთავარია... მთავარია უკან არ მოვიხედო. და მიტოვებული, გამოცარიელებული ე ს არ დავინახო... აი, ეს... ჩემი სასახლე – სატუსაღო... არ დავინახო, როგორ დარჩება მთვარის შუქზე მკრთალად გასხივოსნებული მიტოვებული საფლავივით უნუგეშო და სევდიანი. ვფიქრობდი: მორჩა! თავისუფალი ვარ!! ეს აამხელა სამყარო ჩემმია! და მე – მისი!! ავითქვიფები ამ, ამ აამხელა სამყაროში, ჩავიკარგები ჩემი საბრალო, სასაცილო კვალიანად! მერე... მერე მზე ამოვა! და მე მის ოქროსფერ ნამსხვრევებს კი აღარ დავინახავ გუბურაში, არამედ მთლიანად, ერთიანად შევიგრძნობ და მის ძლევამოსილ ნათელს დავნებდები... ჰოდა,... მთავარია ი ს აღარ გავიხსენო... ის, რასაც ჩემი ერქვა... არ მქონდეს აღარაფერი ჩემი... უფრო სწორად, უფალო, ჩ ე მ ი უნდა გახდეს ყველაფერი! მთელი სამყარო, მთელი თავისუფლება, მთელი სიცოცხლე და თვით მთელი სიკვდილი... ჩემი – ახლა იქნება უზარმაზარი და დიადი რაღაც, და არა ერთი მძიმე და ტკბილი საკანი...
მისმინე, უფალო... სადღაც აქ ხარ ახლა, არა? სულ ახლოს... იქნებ, მთლიანად ეს ხარ, ეს ოქროსფერი თბილი ბურუსი, გარს რომ მაკრავს და გულს რომ მიჩუყებს... ან იქნებ ეს მიწა, – გრილი და სურნელოვანი, ზედ რომ გავკვრივარ...
მისმინე, უფალო...
იმ მთვარიან ღამით შენს ნებასაც ვუღალატე და ნელა, ქურდულად გამოვძვერი ჩემი მშობლიური წიაღიდან და უკანმოუხედავად გავწიე წინ, თავბრუდამხვევი თავისუფლებისკენ!
მივცოცავდი გაცილებით სწრაფად და მსუბუქად უწინდელზე და მთელი ცისქვეშეთი, და თვით ცაც, – ყველაფერი ჩემი იყო! მინდოდა მეყვირა: ეჰეეეეი! მოვედიიიიი!! და მინდოდა შევშვეროდი და თავი დამეხრჩო ზემოდან მოვერცხლისფრო ჩანჩქერებად გადმოღვრილ მთვარის ნათელში... მინდოდა სათითაოდ ჩამომევლო ნამით დამძიმებული ღამის ყვავილებისთვის და აღტაცებით მემცნო, რომ აი, აქ ვარ! სრულიად თავისუფალი! და ჯერაც არ ვიცი, სად დამიღამდება ან სად გამითენდება... და აი, აღარ დავათრევ იმ თავშესაფარს და ვარ თავშ\ეუფარებელი... როგორც ქარი და წვიმა...
მერე... მერე თითქოს უზარმაზარ, აწყვეტილ მეჯლისზე აღმოვჩნდი და თითქოს, გონიც კი დავკარგე ერთ დიდ მორევად ქცეულ ვნებათაღელვაში და სწორედ მაშინ, უფალო, როცა საკუთარი არსებისთვის რაღაც ახალი სახელი უნდა დამერქვა, სწორედ მაშინ... ერთბაშად მოვიწყინე და ზურგზე, რომელზეც უახლოეს წამებში ფრთების ამოსვლას ველოდი, აი ის ადგილი, სადაც უწინ ჩემი სახლი მედგა, სწორედ ის ადგილი, თითქოს... ამიტირდა...

და დავმძიმდი, უფალო... ნელა, მიწაზე ლამის დასრესილმა განვაგრძე გზა, მაგრამ ირგვლივ თხელი და ბრჭყვიალა ყინულივით იმსხვრეოდა ჩემი ოცნება... და ეს უზარმაზარი თავისუფლება სულს მიხუთავდა... და ისე საოცრად და საბრალოდ დამაკლდა ზურგზე ის სიმძიმე, უფალო! და უიმისობა კი ათასგზის უფრო მეტად დამიმძიმდა და მსრესდა, მსრესდა უიმტვირთობა და უცებ იმასაც მივხვდი, უფალო, რომ სწორედ იმ ტყვეობაშია ჩემი თავისუფლება და სწორედ ის... ის ჩემი პატარა სასახლე – საკანი შობს ჩემს სულში ოცნებებს და ლეგენდებს თავისუფლებაზე, თორემ... თორემ თვით თავისუფლება ერთი დიდი, ხალვათი საკანია მერე, რაკიღა იგემებ და არიქა! ჩქარა! სადაა?! სად?! ავწრიალდი, ავფორიაქდი, უფალო და როგორღა, როგორღა მეპოვა ჩემი სახლი? ჩემი ყველაფერი... ჩემი საკუთარი თავი...

და აჰა, მთვარის სხივზე აბრწყინებული წინ... თუ უკან... – არ ვიცი საით, მაგრამ გამიძღვა ჩემივე საბრალო და სასაცილო ნაკვალევი... უნაზეს, ციმციმა ძაფად მიიკლაკნებოდა იგი ჩემი წარსულისკენ და თან, მომავლისკენ და აჰა! აი, ჩემი სახლიც...

ო, რომ იცოდე, უფალო, როგორ გამიხარდა მისი დანახვა, მისი პოვნა, მისი ეს დიადი აღმოჩენა და მასში დაბრუნება... აჰა, შევძვერი, დავბრუნდი ჩემს მშობლიურ წიაღში და მოვირგე თუ არა ზურგზე, მყისვე მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ფრთები, რომელიც ოცნებებში დამაფრენდა...

აი, ყველაფერი გითხარი, უფალო... ახლა ვიცი, რომ გაქცევა არაფერია... მხოლოდ გაქცევაზე ოცნებაა რაღაც და ისიც ვიცი უფალო, რომ... თუმცა, შენ თავად იცი ყველაფერი...

და აჰა, მივცოცავ ახლა ზურმუხტისფერ მარადისობაში, მივცოცავ ჩემი უძველესი ტვირთიანად და მე ვარ მე... ლოკოკინა...

ოდესმე კი, ისევ...

რეზო გეთიაშვილი

კაფე უფსკრულის პირას

უკვე მეორე წელი გადის, რაც აქ ვარ.კოლოფი კვირაში შვიდჯერ ინთება და ქრება. იატაკზე მწვანე დომინირებს, კედლებზე კი ყვითელი და ვარდისფერი შედევრები გაჩნდა. მთლიანობაში, ეს თვეც უგემოვნოდაა გადაწყვეტილი. ღამეში ადგილს ვეძებ.
წინა ფასადიდან დაწეული ფერების ეფექტია, საძინებლიდან ფარანია, თხილნარში, თხილნარიდან – საძინებლის ანთებული ფანჯარა. იშვიათად და ოდნავ აღვიქვამ, მაგრამ ხანდახან მისი ცქერა თვალების დახუჭვასაც მირჩევია. თხილნარში ერთ საათს ვატარებ, საგანგებოდ ჩაცმული.
არაფერი არ ხდება. წარმოიდგინეთ, რომ საკუთარი თავის მეზობლად ცხოვრობთ.
ცუდია, რომ არაფერი არ ხდება და ჩემი თავის მეზობლად ვცხოვრობ. ვიცი, რომ აქ არ უნდა ვიყო. ხანდახან სარა მირეკავს. მოშლილი მაღვიძარას წკრიალი. მაგრამ მე ვამბობ: შენი ზარიც ამ ცხოვრების ნაწილად იქცა.
– ესე იგი, არაფრის ნაწილად?
არაფრის დანაწევრება შეუძლებელია. მაგრამ მე არ მაქვს პრეტენზია არაფრის სტანდარტზე. სამყარო თვითონაა ასეთი. თვითონვე დამკვიდრდება ისეთი ბაჯაღლო არაფერი, როგორიც სიკვდილია.
სარამ იცის ჩემს შესახებ. მეც ვიცი მის შესახებ. არცთუ ისე ბევრი, მაგრამ მთავარი.
– ჩემს იდილიაში დისკომფორტი შემოგაქვს.
სარამ იცის, რომ მის ზარს ჩემს იდილიაში დისკომფორტი შემოაქვს. სხვადასხვა ნაპირზე ვართ და ქაღალდის ნავებს მიგზავნის, რომელშიც ვერ ჩავჯდები. ისინი ჩემს ცნობიერებაში წყნარად ტივიტივებს, ცოტა ხანში ლბება და იძირება.
სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩემი ცნობიერება ქაღალდის ნავებს ჯერ კიდევ ინელებს. სარა კი მეუბნება, რომ მასში უკვე ქაღალდის ნამცეცებიც დაცურავენ. კოლოფის ძირითადი ადგილი უკავია სახლს, მერე ბაღს, მერე მთელს სამყაროს. მთლიანობაში, ამ ყველაფერს შეიძლება სოფელიც ეწოდოს. კოლოფი სავსეა ჰაერით, უჰაერობით, ფურცლებით.
– ნავებს პატარა ტვირთსაც ვატან, შენი ცნობიერების ფსკერი რომ გავამდიდრო.
– რომელიმეს ნაპირზე გადმოვათრევ და გადმოვტვირთავ.
აღარ ვიღიმები. ძველი დეპოზიტები ამოვწურე და ცალმხრივად უკვე გამომრთეს. ადამიანებს საერთოდ ვეღარ აღვიქვამ. მგონია, რომ სოფელში მხოლოდ ბუჩქები შემორჩნენ. არიან მათი წინამორბედი ციური არსებებიც – ბავშვები. ისინი სილას თხრიან, ღრმად ყოფენ ხელებს და სილის ქვეშ ერთმანეთს ჰკიდებენ, დღეებს საპნიან ცრებლებს ატანენ და დილით ხელახლა იბადებიან. ერთი დღე ერთი ცხოვრებაა, დილით კი ცა ოდნავ მაღლაა, კიდევ უფრო მაღლა და ერთ მშვენიერ დღეს ხედავენ, რომ ცა წავიდა და მიწაზე დარჩნენ. აქედან მოყოლებული, ბუჩქები არიან და აღარ ახსოვთ, რას ნიშნავდა მიწაზე, ცაში ცხოვრება. ცას უყურებენ და სიმაღლის შიშსაც ვერ გრძნობენ.
ერთ ბუჩქთან მეც ვმეგობრობ. ნათესავია. ჩვენი სისხლი ოდესღაც ერთ ჭურჭელში ესხა. განსაკუთრებული პატივიც ამ ფაქტორს ერგო, როდესაც სოფელმა თავისი არჩევანი

გააკეთა და დესპანი გამომიგზავნა. პირველად ამ კაცისაგან გავიგე, რა შთაბეჭდილება მოვახდინე სოფელზე და რას გრძნობდა სოფელი ჩემს მიმართ.
მოკლედ მოვჭრი: ამაში ღირებული არაფერია. საკუთარ თავთან მშვიდობის დამყარების მავნე ჩვევა, რაც ყოველთვის ვლინდება ორბიტაზე ახალი პერსონის გამოჩენისას.
შემთხვევითობას კი ყოველთვის ახასიათებს სიბრძნე.
ამის გამო ამბობენ, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. რა მნიშვნელობა აქვს, მჭირდებოდა თუ არა მგობარი, როცა მეგობარი უკვე სახეზეა? ლერი.
– დიახ.
– და რომ გყოლოდა, ცოლად მოვიყვანდი.
– არა! როგორ! ჩვენ ხომ ნათესავები ვართ.
– მერე რა? შენ ხომ და არ გყავს? ღმერთია მოწამე, რომ არ გყავს.
– რა შუაშია ჩემი და, რომელიც არ მყავს?
– მაშინ, ვინ დაგვიწესა ამხელა გადასახადები მიწით სავსეებს?
საყვარელ კითხვას ვუსვამ და ვუმეგობრდები. ზაფხულში ვსაუბრობთ მიწის გადასახადზე და ტრაქტორების პარკზე, რომელიც გაიძარცვა. ტრაქტორები აღარაა, მაგრამ არის მიწა, რაზეც არავინ იხდის. გაზაფხულზე ვახვნევინებთ და მზესუმზირა მოგვყავს. ამხანაგობას ოფიციალურად ვაფორმებეთ და „ლოვ, სექს ენდ დემონი“ ჰქვია. შემოდგომაზე ჩვენი ბიზნესი ფართოვდება და სოფლის განაპირას პატარა, მყუდრო კაფე იხსნება.
– ერთი მშვენიერი ტკივილი მაქვს შენთვის. (სარა) საძინებლის ფანჯარა – მომავლის რამდენიმე გრძელი საათი. თხილნარი – ჩემი არაფრის ერთი ოცდამეოთხედი.
ეჭვგარეშეა, რომ ამ ორ სურათს ვაფასებ.
რაღაცეები მაინც ხდება. ემოციების კარგად შესქელებული ზედაპირი გატოკდება და სახეზე ცოცხალ ღიმილს გაქაჩავს. ღმერთის წინაშე მართალი ვერ იქნები, თუ არ გაიღიმე. მით უფრო, როცა მარტო ხარ.
– სად გავჩერდით?
– მხოლოდ ის არის შენი, რაც გტკივა.
– ეს ჩვენ არ გვითქვამს.
– ეს არაა ის ადგილი, სადაც უნდა გაჩერდე.
ეს ის ადგილია, სადაც თავს ვერაფერს შეაფარებ.
ამიტომ შეგიძლია გაიღიმო.
როგორც მამის მამის მამის მამა იღიმებოდა.
– გაჩერდი!
არანაირი საფრთხე.
შორს ყმუიან გაძვალტყავებული თვითმკვლელობები და წყალსაც წაუღია, თუკი რომელიმე დუმს. სარა:
– მე ვიცი, როგორ ყვავიან ტკივილები შენს ბაღში. – ნაწყვეტ–ნაწყვეტ – თეთრად, ყვითლად და ვარდისფრად, არა? – სინანულით – წადი, დაიძინე, ჩემგან პატიებას მაინც ვერ მიიღებ.
– რაზე?
– იმაზე, რომ დამშვიდდი, შეიშალე და ცალმხრივად გამოგრთეს.

სიგარეტი.
ხანდახან მთლიანად ხელებს ვემორჩილები.
ხელებს მივყავარ, სადაც მათი ნასახლარია.
ჰაერის ქონგურებით.
ხელები გამეთიშნენ.
თითქოს არ იცოდნენ, რომ ყველა თავშესაფარს ვადა გაუვიდა.
ხელების ისტერია.
ღებინების შეგრძნებით.
ჰოდა, მიდი და დაიძინე, როცა ყელში ხელები ამოგდის.
მე ვწერ.
ახლა ყველაფერი ჩემზე მოქმედებს.

* * *

ქალი სახლში უნდა იყოს. ისევე, როგორც ძაღლი, კატა, ქათამი და ყველაფერი, რაც ადამიანმა მოიშინაურა. რადგან თუკი მოიშინაურა, ღვთის წინაშე პასუხისმგებლობაც აიღო და სჭირდება თუ არა, ქუჩაში აღარ უნდა დატოვოს.
ნ. გოგოლი, ლ. ნ. ტოლსტოი, ჯეკ ლონდონი, პლუტარქე, ჰაინე, ტვენი – მათი ხელშეუხებლობა ჩემს სახლში გარანტირებულია. ფსკერზე, უკან, კუთხეში, ყველაზე უმნიშვნელო წიგნი – აი, სამყარო, რაც მაინტერესებს.
წიგნის კითხვა, გავამძაფრებდი, წიგნში გადასვლა, ვიზუალურად ძალიან მოკრძალებული პროცესია. არადა, შენ იქ აღარ ხარ, სადაც ხარ და იქ ხარ, სადაც არ ხარ. სადაც ყველაფერი შენს გარეშე ხდება.
სულ უკან, სულ ბოლოში (კუთხეში), ხელი გადავყავი, ერთი უხამური, უსახური, ყდაგარდატეხებული, წლების მანძილზე არავინ მიჰკარებია, არც აქ და არც არსად. მე დამეუფლება შეგრძნება, რომ მივიწყებული კუნძულის მკვიდრთათვის ჩემი გამოჩენა ნამდვილი დღესასწაულია. ისინი თავის როლს საოცარი მონდომებით შეასრულებენ.
არის წიგნები და ნაწიგნარები. ისევე, როგორც ნასახლარი, ნასოფლარი.
„ლუსი“.
ეს წიგნის სახელწოდებაა.
მე წიგნს ვკითხულობ – ამის გაფიქრებაზე ჩემი შესქელებული ემოციების ზედაპირი ირხევა და სახეზე ცოცხალ ღიმილს ქაჩავს.

* * *

წიგნის მთავარი გმირი ლუსია.
ლუსი ლამაზია, ბოზია და ამ ფაქტორს თავისი დატვირთვა აქვს. ლუსი ლამაზი და გულწრფელი ქალია. ლუსისაც დიდი დატვირთვა აქვს. მან იცის, როგორ იმუშავოს, მაგრამ არ იცის, როგორ, სად და ვისთან დაისვენოს. „დღეს ჩვენს შორის უნდა იყოს სიმართლე! ასდოლარიანი სიმართლე“! – ეს მისი კლიენტია და ფიქრობს, რომ იცის, როგორ დაისვენოს. სინათლე ქრება. ლუსი, მოგვიანებით:
„იყო“?

წიგნის იდეური ხაზი ისაა, რომ ქალი სახლში უნდა იყოს. ისევე, როგორც ძაღლი, კატა, ქათამი და ყველაფერი, რაც ადამიანმა მაოიშინაურა (გამოიყვანა). რადგან თუკი გამოიყვანა, ღვთის წინაშე პასუხისმგებლობაც აიღო და გარეთ აღარ უნდა დატოვოს.
კლიენტი მოლბა. მისი დასვენება პირდაპირპროპორციულია ლუსის დაღლასთან.
ფანჯარა ღიაა და სიგარეტის კვამლი სასიამოვნო სუსხზე იცვლება. ეს ყველაფერი ლუსიმ მოაგვარა. ახლა ფიქრობს, რომ ერთი სამუშაო დღეა, ჩვეულებრივი.
„შენ ვისთან ისვენებ, ლუსი“?
„შენთან შეიძლება“? დგება, იცმევს, მიდის და მომწონს. კლიენტი:
„მერე ის, ვისთანაც აქამდე ისვენებდი“?
ასეთი არავინაა. არც ყოფილა. აუცილებელიც არ ყოფილა. არც ახლაა აუცილებელი. სარა:
– იცი, რა? ამაზე მეც ვიფიქრე: რატომ არ განვიცდით სიმაღლის შიშს, ცაში რომ ვიყურებით?
– სარა!
– საიდან იწყება მიწის ასეთი დაუფარავი სიძულვილი?
– იდეა მაქვს.
„კაფე – უფსკრულის პირას“.

* * *

არ მითხრა, რომ დაცემული ანგელოზები ვართ, მიწით სავსეები… ან იქნებ, ანგელოზებით გაბერილი ერთი მუჭა მიწა. ჩვენი ფანტაზიები ისედაც უსაზღვროა.
წითელი ფიატი გამახსენდა.
ეს თებერვალში დაიწყო, შვიდი–რვა წლის წინ და მერე, ყოველ ორ–სამ თვეში, რეგულარულად. რაღაც აუტანელ სიცივეს ვგრძნობდი და საწოლისკენ გავრბოდი, ვიხურავდი რამდენიმე საბანს და მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი არ იყო, მაინც მყოფნიდა, მქონდა თავშესაფარი და იწყებოდა: დიდი სიცივე, გრძელდებოდა, საათი, საათნახევარი, კანკალი. სიმშვიდე.
მაგარი სიმშვიდე.
ორმოცდაერთგრადუსიანი. აქედან გამოვდიოდი სველი და ახალი, ვიცვლიდი საწოლს და ღრმად ვიძინებდი.
მიკვირს, რომ ამ შეგრძნებებიდან ღირებული არაფერი გამოიწურა. ამის ალბათობა მანამდე არსებობდა, სანამ გაირკვეოდა, რომ ეს იყო მოწამვლა, ჩვეულებრივ, მედიკამენტით, რომელსაც ტკივილის გამო ვსვამდი ან მასმევდნენ. ნუთუ ყველაფერს ასეთი მარტივი მიზეზი აქვს? და მე სისტემატიურად ვიღებდი ამ მედიკამენტს, სანამ ორგანიზმი ბოლომდე შეეგუებოდა.
თითქოს ტყავს ვიცვლიდი: „თუ წვიმს, ფიატით მივდივარ. ადგილი მაქვს ამოჩემებული. ოთხივე მხრიდან სინკარები აწყვია და დამტვრეული ველოსიპედი, ვზივარ და ვმალარიობ. საოცარი სენია მალარია, ის მცირეოდენი ენერგიაც მეცლება და ლამის საკუთარ თავს თქვენობით ველაპარაკო“.
სამყარომ არ გაამართლა. განწყობა და შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ორივე ჩავარდა. დარჩა წითელი ფიატი და თხუთმეტიოდე მეტაფორა: „ახლა მეც ანგარიში

გამიწიეთ, მთელი ღამე ფეხზე დგომით ვიქცევდი თავს და ვიოლინო მოტეხილი ხელივით მეჭირა“ – დაახლოვებით ასეთები.
ახლა იმ ფიატში ვზივარ და გვერდით ლუსია.
– სად მიგყავარ?
სხვაგან, სხვა წიგნში, სხვა სამყაროში, თვითონ ფაქტია ასეთი, სიმაღლის გეშინია?
– რა ქვია შენს სამყაროს?
– კაფე უფსკრულის პირას.
უკვე კაფეში ვართ. ადრე სახლი იყო, აგარაკი. აივანზე საფირმო გარემოა. სიმაღლის შიში. ეს ერთ–ერთი მძაფრი განცდაა იმათთვის, ვისაც სიმაღლის ეშინია. ბიზნესისთვის მოუხერხებელი ადგილია, მაგრამ ვინმეს თუ სოფლიდან გასვლა უნდა, უკეთეს ვარიანტს აქ ნამდვილად ვერ შესთავაზებენ. წინა ფასადი სოფლური სიმყუდროვის განსახიერებაა, შედიხარ და პირდაპირ უფსკრულში ვარდები.
– რას მთავაზობ?
– დასვენებას.
ახალგაზრდა, გაბედული წყვილისთვის ჩვენ არ ვივარგებთ. თუ გინდა,
რამდენიმე მიმზიდველი საღამოს დედოფლად გაქცევ.
საღამოს დედოფალი – მიმზიდველი წინადადებაა.
– რა გქვია?
ამაზე არ მიფიქრია. რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სახელი მაინც უნდა გერქვას.
– მე მარტო ვცხოვრობ.
– სახელი არ გჭირდება?
დამჭირდება. თუმცა, ეს საჩქარო არაა. ლარნაკში ახლად მოწყვეტილ ვარდს დებენ.
– რას აკეთებ?
ვმოგზაურობ. ღვინო ნამვილია. აქაური გლეხები საუკეთესო საღვინე ჯიშის ყურძენს წურავენ.
– სად მოგზაურობ?
ადამიანებში. ქალებში? ქართულში „ქალი“ ბოზის მნიშვნელობითაც იხმარება: ქალებში წასვლა, მოგზაურობა… ლუსი:
– თემო.
თემო – ეს მე ვარ. ლუსი:
– საშიშია.
უფსკრული. უფსკრულში იყურება. ისეთ პოზაში, თითქოს ოდნავ კიდევ რომ გადაიხაროს, ჩავარდებაო. ამ კაფეში მიღებული პოზაა. შიში კი ნამდვილად ღირს იმად, რომ გამოსცადო.
– ესე იგი, მოგწონს.
– უკეთესი იდეა მაქვს: საწოლი – უფსკრულის პირას.
– არაჩვეულებრივია.
– მერე ყურძენს მოვატანინებთ.
– ყურძენი – უფსკრულის პირას.
საუკეთესო საღვინე ჯიშის. ლუსი საღამოს დედოფალი და უფსკრულის დიასახლისია:
– სიამოვნებისგან რომ დაიღლები, ეს კარგია თუ ცუდი?

– ხანდახან ეს ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს უახლოვდება. სიამოვნებისგან სიკვდილიც შეიძლება.

* * *

დიდი ხანია ცხოვრობ.
გყავს შენი თავი, კედელზე გიკიდია სარკე და ფიქრობ: დიდი ხანია ცხოვრობ, გყავს შენი თავი, კედელზე გიკიდია სარკე და ფიქრობ. სასაცილოა.
რა და ეს სიტყვა, ეს ცხოვრება, ეს დილა, ლუსი – ეს სახელი, ეს „ეს“ და ისიც, რაც სარკეშია.
თითქოს წუხელ ვიღაც მოცლილი უსარგებლო დღაბვნით გაერთო, შენ კი დგახარ და საკუთარ თავს მაგრად ისრუტავ. შენ ეგ ჯერ არ ხარ, ნება იბოძე, ღვთიური ვალი აღასრულო – ერთი ღამით კიდევ დაბერდე. ღამით, რომლითაც პატარა ხარ საკუთარ თავზე. თანაც რა იცი, ერთ ღამეში რა დრო გავიდა და ინკოგნიტო მოწიწების დასაფარავად ფიქრობ რომ ეს სასაცილოა. სულაც არ არის სასაცილო.
სარკეში რომ შენზე ნამდვილი ლანდია და არ გამორიცხავ, განსხვავებული აზრიც ჰქონდეს ყოველივე ამის შესახებ.
ასე უმიზნოდ თვალებში რომ შესციცინებ, კიდევ უფრო სასაცილოა. სიკვდილს ხომ არ ელაქუცები?
ან ვინ დაგზრახავს შენი ლანდი რომ შეიყვარო?
თუნდაც ნამდვილი სიყვარულით?
თუმცა, ნამდვილი სიყვარული ეს ის არის, რაც არ არსებობს.
– არსებობს, რაღაც, სხვასთან ყოფნა, ან სხვაში ყოფნა, საკუთარი თავიდან წასვლა… შენ ამეებში, რა თქმა უნდა, კარგად ერკვევი.
– გრძნობებეში?
მართლაც, რა უნდა იყოს სიყვარული, თუ არა გრძნობა? ყველა ცოცხალი ორგანიზმი სიძულვილის რესპუბლიკაა (ეს ლუსიმ თქვა) და თუკი შენს ლანდს შეიყვარებ, გამოდის, რომ შენს თავში მოხვდი? ლუსი:
– დამცინი?
– შენ გინდა, რომ შენს თავში მოხვდე?
– ეს სარკეა.
– წინადადება სინტაქსურად გამართულია?
– ვჩხუბობთ?
– მერე რა? არც ისაა გამორიცხული, საკუთარ თავს ვეჩხუბებოდე.
– მაშინ განაგრძე.
– სისხლსა და ნერვებს ერთ ხაზსაც ვერ გამოაპარებ. ხედავ? კონტურებს დარაჯობენ სიძულვილის მესაზღვრეები და ჩვენსკენაა მომართული
სიძულვილის ორი ქვემეხი. შენი თვალები.
– რაღაცეები აგერია. ეს, უბრალოდ, ერთი სარკეა.
– ეს უფსკრულია!
ასე უმიზნოდ თვალებში რომ შესციცინებ კიდევ უფრო სასაცილოა. სიკვდილს ხომ არ ელაქუცები?

გინდა, ბოლომდე გაცვეთილი შენი სიკვდილის არანაკლებ სიკვდილი ნახო? სარკის კადრი წარსულისკენ დაატრიალე.
უნდა გამოტყდე, რომ ცხოვრება დიდხანს გრძელდება. შენ ის ქალაქი მიატოვე, ქერა კატა გასტრონომში რომ დადიოდა. ის გამყიდველი, რომლისგანაც ერთ მშვენიერ დღეს მეათასე პური იყიდე და გაღიმება დაგეზარა. შენი კიბე, ორი ნაბიჯი, ჩხარა–ჩხური, მერე პური მარჯვნივ უხვევდა, რომ დაჭრილიყო, უფრო სწორედ, დაჭრილიყო რომ ცხელი ჩაის ნაზი ესკორტით გაგეგზავნა გამრჯე კუჭისკენ.
უცებ სოფელ „ენ“–ს მოევლინა საოცრად უცხო ქალბატონი, დაუკავშირდა ერთ საეჭვო ინტერესების მქონე მოგზაურს და მის კაფეს დიასახლისობს. ვინ თამაშობს, ჩვენ თუ სოფელი?
ბეღურები ძალიან მომწონს.
შესაძლოა, ჩემს ფანჯარასთან ბეღურების განსაზღვრული ჯგუფიც ჟივჟივებს, მაგრამ მათი გამორჩევა ცოტა ძნელია.
ეს დილაა,
ჩემი სოფლის უბრალო დილა. როცა გაქვს სახლი, გაქვს სოფელიც და სოფლური უბრალო დილაც.
მე ამეებს მხოლოდ ვქირაობ: სახლს, სოფელს, დილას, ოთხ ოქტომბერს, შეიძლება საკუთარ თავსაც, მდინარეს, ხეებს და ყველაფერს, სიზმრების გარდა. ძილი ჩემი ჯამაგირია.
– ქირაობ ვისგან და რამდენად?
– სოფლისგან. რადგან ეს არ არის ჩემი თამაში. ეს დაკვეთაა. და ვქირაობ საშინლად ძვირად: ყველაფერში ჩემს წუთებს ვიხდი.
– იქნებ, პირიქით, ჩვენ გვქირაობენ? ჯამაგირად კი წუთებს ვიღებთ… (ლუსი) წუხელ, სიზმარში, ვითომ ჩემი ჯვრისწერა იყო.
– ჩვენი ხომ არა?
– არა. ის კაცი ყველაზე ძვირადღირებული ვარსკვლავია ჩემი სიზმრების და მზად ვარ, მისი ერთი ხილვის სიამოვნებას მთელი სამყაროს მარტოობა გადავუხადო. საძაგლობაა, შენი მიზეზით რომ დაკარგავ სისხლით ნათესავს. შვიდი სიცოცხლე შეიძლება ისე გავიდეს, რომ შენმა სისხლმა ამნაირად არავინ აღარ აღიაროს.
– განცდილ განცდებში დაბრუნება მავნე ჩვევაა, უფრო მავნე, ვიდრე ე. წ. „ფუჭი ოცნება“.
– ალბათ… ჰო, მართლა, სერიოზული მეტოქე გყავს.
– ვალერიანე?
– გუშინ თავისი გარეგნობა ვარდისფერი კაბრიოლეტის წიაღიდან შემომთავაზა. „რა დაგემართა“? შეხვედრა ასე გაიხსნა და მისი ორი დიდი ფილტვიდან წამოსული სქელი კვამლი მეგობრულად გადამეხვია. „არ ვიცი, რამე დამემართა“? – გამოვერკვიე.
ვალერიანე: – მორალურად ხომ არ დაეცი?
ლუსი: – გაინტერესებს?
ვალერიანე: – შენ?
ლუსი: – უთუოდ. უფრო სწორედ, მაინტერესებს, ჩვენს მძიმე ხვედრს რა დაემართა. ღმერთს მადლი, რაღაც დამართია.
ვალერიანე: – როგორ გითხრა, შენზე ვერ იტყვი.
ლუსი: – ლერი.

ვალერიანე: – არაფერი, სული გავყიდე.
ლუსი: – ამბობენ, სანთელ–საკმეველი გზას არ კარგავსო.
ვალერიანე: – ჩვენზე უნდა იყოს ნათქვამი… სულზე კი იმას ამბობენ, რომ, თუ არ გაყიდე… აღმოგხდებაო.
ლუსი: – კლიენტი არ მყავს, თორემ დიდი სიამოვნებით.
ვალერიანე: – შემიძლია, ასი ლარი გადაგიხადო.
ლუსი: – დოლარი.
ვალერიანე: – ხუმრობ?
ლუსი: – არ ინანებ! თანხმობის ნიშნად მანქანაში უნდა ჩაგიჯდე?
ვალერიანე: – არც შენ ინანებ.
მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ცხოვრობენ იმ ქალაქში
(გაგრძელება მომდევნო თავში):

* * *

ღვარძლიანებო, გამოკიდეთ საბნები და ხაფანგებით დაიჭირეთ პირდაუბანელი მზე. ლუსის ქრონიკული სიცოცხლე სჭირდა.
რომანტიზმი–მეთქი, ავიკვიატე. ოთახში ფიჭვის სუნი უნდა იდგეს მეთქი. ლუსი უკან აღარ დაბრუნებულა. აფორიზმებით საუბარს შევეჩვიეთ.
სახალისოცაა. ასე, მაგალითად: „ყველა სიტყვა დაგვიანებულია, ყველაზე მოსწრებულიც“, ან: „ცხოვრება თამაშია, მიუდექი შემოქმედებითად“.
შემოქმედება თამაშია, ცხოვრებას მიხედე.
– ლუსი.
– ცხოვრება ცხოვრებაა და თამაში – თამაში. მე არ მინდა, რომ ცხოვრება ვითმაშო.
ან კიდევ თამაშში იცხოვრო.
– რა გინდა?
– წასვლა.
ესეც თქვენი ლუსი.
– და ფიქრობ, რომ ეს მე მეხება?
– არა? (ლუსი)
– ვერ გავიგე. თუ გინდა, რომ სადმე წავიდეთ, მაშინ ეს ცუდი აზრი არ არის, რამე მოვიფიქროთ, მანქანაში ჩავსხდეთ და წავიდეთ… შეგვიძლია ფეხითაც გავისეირნოთ.
– მე საერთოდმინდა, წასვლა.
– აი, ეს, უკვე, მე აღარ მეხება.
– გთხოვ…
– არ ვიცი… თუ წასვლა გინდა, წადი.
ისიც კი არ ვიცი, საიდან უნდა წახვიდე. ამყველაფრიდან? ლუსი, ძვირფასო, ეს კაფეა, კაფე – უფსკრულის პირას. აქედან წასვლა ძალიან იოლია. მაგრამ მე მართლა არ მინდა, რომ წახვიდე.
მაგრამ ერთად–ერთი, რასაც აქ განიცდი, შიშია. და დაიღალე.
– ესე იგი, წასვლა კი არა, დასვენება გინდა.
– არა. აქ ვერ დავისვენებ. ეს ჩემი ადგილი არ არის. არც არავის ვუსურვებ. ეს ციხეა.

– ეს აივანია. და ამ აივნიდან გასასვლელიცაა და წასასვლელიც.
– უფსკრულს მთავაზობ?
– იცი რას ვფიქრობ? მშიშარა არსებები დიდხანს ცოცხლობენ.
– იმედები გამიცრუე. შენთან იმისთვის არ მოვსულვარ, რომ მარტო ვყოფილიყავი.
ეს უკვე რაღაც ახალია. ნუთუ იმისთვის მოვიდა, რომ მარტო არ ყოფილიყო? ლუსი:
– შენ ადამიანები კი არა, დეკორაციები გჭირდება.
– ისეთივე, როგორიც უფსკრულია?
– შენ ის გიყვარს?
უფსკრულზე ეჭვიანობს. რატომაც არა? საკუთარიდან მის სამყაროში გავდივარ და თავისუფლებას ვგრძნობ.
– მე რაღა შუაში ვარ?
უბრალოდ, იცის რა გააკეთოს.
იგივე?
ლუსი ამას არ აპირებს. ჩემს თვალებში მისი სახის ნაკვთები ირევა. აი, მოუსმინეთ:
– უფსკრული შევიყვარო? მერე შენ? მაშინ მე გეტყვი, შენ რა უნდა გააკეთო. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლია საკუთარი სიკვდილითაც მოკვდე.
– ამას ვაპირებ კიდეც.
– ტყუი!
– დაწყნარდი.
– შენ ჩემი მოკვლა გინდა, სიკვდილის მოშინაურება, აივანს უფსკრული გამოაბი და ადამიანებს აჭმევ.
– იცი, რომ დასასრულისკენ მიგყავს?
– ჰოდა, დაამთავრე. ნუთუ ყელში არ ამოგივიდა? ჩემგან კიდევ რამეს მოელი?
– დღესვე წახვალ.
ძალიან საშიში თამაშია.
– სიკვდილთან გინდა განმარტოვდე? (ლუსი)
– მე თავი დამანებე.
– (ლუსი) არა! ეს შენი სიკვდილია! სხვები რატომ უნდა კვდებოდნენ შენი სიკვდილით?!
სხვები რატომ უნდა კვდებოდნენ შენი სიკვდილით!
– მოდი, დავამთავროთ.
ის ხომ პირველივე დღიდან უფსკრულში, ფსკერზე, თეთრ ლაქას ხედავს. დიდხანს ვერ ხვდებოდა, რა იყო. ბოლოს გარდერობში აღმოაჩინა.
ამ ლაქას დღესვე ვიხილავთ.
გადის.
ორი წელია, რაც აქ ვარ, ჩემთან, კოლოფში. კოლოფი კვირაში შვიდჯერ ინთება და ქრება. ნოემბერში იატაკზე წვიმების ყავისფერი ნარჩენები, კედლებზე კი ყვითელი და წითელი შედევრები გაჩნდა. მთლიანობაში, ეს თვეც უგემოვნოდაა გადაწყვეტილი.
ღამეში უკეთესია. წინა ფასადიდან დაწეული ფერების ეფექტია. საძინებლიდან ფანარია, თხილნარში. თხილნარიდან – საძინებლის განათებული ფანჯარა. იშვიათად და ოდნავ აღვიქვამ, მაგრამ ხანდახან მისი ცქერა თვალების დახუჭვასაც მირჩევია. თხილნარში ერთ საათს ვატარებ, საგანგებოდ ჩაცმული.

რაღაცეები მაინც ხდება. ცოტა ხანში ჩემს ნაპირს ქარონის ნავი უნდა მოადგეს. ნავის იდეა სარას ეკუთვნის. მისი ქაღალდის ნავები ჩემს ცნობიერებაში სულ უფრო დიდხანს ტივტივებს. ტელეფონი:
– უნდა მოკლა?
– არა, მე არა. ისე, მან მთავარი დეკორაცია ვერ შენიშნა, უფსკრულმა დააბრმავა.
– ცა? იქ ჩვენ აღარ ვართ. იქ სხვა ლაქებია.
სარამ იცის ჩემს შესახებ. მეც ვიცი მის შესახებ. არცთუ ისე ბევრი, მაგრამ მთავარი. მან ისიც იცის, საიდან გაჩნდა ჩვენში მიწის ასეთი დაუფარავი სიძულვილი და რატომ არ გვეუფლება სიმაღლის შიში, ცაში რომ ვიყურებით.
– დღეს ჩემს ნაპირს ქარონი უნდა მოადგეს.
– ქარონის ნავით გარბიხარ?
– ეს აქედან გაქცევის ერთად–ერთი შანსია.
სხვა ნავები ჩემამდე ვერ აღწევენ.
შენი ქაღალდის ნავებს თუ არ ჩავთვლით.
– არ მოგბეზრდა?
– ჰო, მომბეზრდა.
ამიტომ გავრბივარ.
– არა, საერთოდ, ეს გაქცევები…
– გაქცევასაც გავექცე?
– ქარონის ნავი ცოტა საშიში ხომ არ არის? თანაც ის ჩემამდე ვერ მოგიყვანს.
გაჩერდი. თვალები დახუჭე. კაბის შრიალი. ახლა აივანზე თეთრ კაბაში გამოწყობილ ლუსის ვიხილავთ. ეს ის კაბაა, რასაც ლუსი აივნიდან უფსკრულის ფსკერზე ხედავდა. შენ არასოდეს შეგინიშნავს საკუთარი თავის ლაქა უფსკრულის ფსკერზე?
– მადლობა ღმერთს, მე შენი პერსონაჟი არა ვარ.
– ვითომ?
ქროლვა იწყება. სიკვდილის თერაპია. ლუსი მე აღარ მეკუთვნის. ზურგს უკან ხელებს მოაჯირს კიდებს და უფსკრულისკენ ბოლომდე იხრება. ქროლვა იწყება. ხელები გაშვებაა, ქარონი ნამდვილი მენავეა, ლუსი – ნამდვილი ქალბატონი.
უფსკრულს თვლემა მოერია. ახლა მისი მოფერებაც შეიძლება, ღაბაბზე ხელის მოთათუნება. ერთი უსიამოვნო მომენტი:
საკუთარ სხეულში გადაშვება. დიდი ჟრუანტელის წამები.
გამოფხიზლდები და მშობლიურად უცხო ნაპირზე ხარ, გასავათებული, მაგრამ ახალი.
სიცოცხლეს გაუმარჯოს, სარას.

იკა ქადაგიძე

თოფი

(ნოველა)

„თოფი მეთოფეს,
მეთოფე–სოფელს“…
ქართული ანდაზა

– დამნებდი, თორემ გესვრი! –
საგულდაგულოდ დამიზნებულ თოფს მუქარა მოჰყვა.
შუქ–ჩრდილის გზაჯვარედინთან სიკვდილმისჯილივით გავხევდი. აჩქარებული გულისცემა ფეხისწვერებზე შემოპარულ წყვდიადს ერწყმოდა.
გამბედაობას თუ დაიბრალებ, ტრაბახში ჩამოგერთმევა. თანაც გაუთვალისწინებელ ხიფათს თეორიული დაკვირვებების გადამოწმება არ სჩვევია. საკითხავია მუქარა რამდენად სარწმუნოა. საშიშროება ადამიანის ბუნებას შეულამაზებლად აშიშვლებს. იმ გარემოებასაც თუ გავითვალისწინებთ მიზანში ვინ ამოგიღებს, უკბილო ხუმრობა ჭირის ოფლზე არანაკლებ გესიკვდილება.
კეთილსინდისიერად გაპრიალებულ თოფის ლულას ახლო მანძილიდან პირველად ვხედავდი.
– ნაღდად გესვრი, არ ვხუმრობ! –
ავისმომასწავლებელი მუქარა კვლავ უპასუხოდ დავტოვე.
საკუთარი უმწეობით შეძრწუნებულს მეტყველების უნარი წამერთვა. შინაგანი ალღო დაღუპული სატრფოსავით უჟამოდ გაყუჩებულიყო.
გაუტოკებლად ვიდექი. ირგვლივ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით წაიშალა. მხოლოდ სიშლეგით აბრჭყვიალებული მომწვანო თვალთა ციაგი მნუსხავდა. იმის მსხვერპლად ვიქეცი ვისაც „კარმენი“ ყურმოკვრითაც არ გაუგონია. ჩვენში დარჩეს, წერა–კითხვას ხეირიანად არც იყო დაუფლებული.
ადამიანის ხასიათზე მსჯელობა საჰაერო ფრაზით მოგზაურობას წააგავს. ძნელი დასადგენია ზედაპირული დახვეწილობა ბრაზის ნიაღვარს როდის მისცემს გასაქანს. ხალხმრავლობას გარიდებული უსიტყვოდ ამომიჩემა. კვალში ჩამიდგა, ჩემს აჩრდილს ჯიუტად შეუამხანაგდა და დატენილი თოფის ლულა დამიმიზნა თავგამოდებით. იღბალი ორთაბრძოლაში არ უნდა გამოიწვიო. ადამიანის წამოგება კრაზანას გაღიზიანებასავით ადვილია, მაგრამ როცა სიმარტოვეს ეკედლები და მზად ხარ უსასრულობაში კენტად ჩაინთქა, ვიღაც არასასურველი აუცილებლად მოგბებნის.
მაგრამ სიტყვა?
განსაცდელის ჟამს სიტყვა ჩვილივით უმწეო და დაუცველია, გული შიშით დაყურსული სასაფლაოსავით გახევებულა. საბედნიეროდ ბრაზი გშველის. რისხვა მუდამ შენკენ დაუყვედრებლად მოემართება.
– მესროლე! – ხელთათმანივით გატყორცნილი ფრაზა დენთის სურნელითაა გაჟღენთილი.

მოკლედ, სიტყვა თოფს ეკეკლუცება ამგვარი წინდაუხედაობის გამო ჭკუათმყოფელი მხრებს ამრეზით აიჩეჩს. პასუხი მართლაც წაქეზების ტოლფასია, თუმცა თავის დამცირებას ზოგჯერ ტყვიაზე დაქორწინება ჯობია. ჩემი სათქმელი მივახალე და ახლა, ცნობისწადილით აღვსილი ვიცდიდი: აღშფოთებას დროდადრო გაუმხელელი ეჭვი ჯაბნის. მართლაც საკითხავია ხილასავით გაწნულ სიტყვას იარაღი როგორ გადასწონის?
ძალმომრეობის ტრფიალნი გამარჯვების ლეშს თვითნებურად ქმნიან. ეს გაპრიალებული, საგულდაგულოდ მოვლილი თოფიც (მისი ტანსაცმელიც არ იყო) ამ დაუძლეველი შიშის მაცნედ ელვარებდა.
რა ბედენაა ლაჩრის კერძი გახდე. იქნებ თოფს მოულოდნელად წავატანო ხელი? გუმანი მაიძულებს მტრული მდუმარების ზეწოლა გავაძლიერო. ჯანდაბას სიტყვის გრძნეულება! მოქმედებაც აკრძალული გაქვს, ფიზიკური შესვლა–შემოსვლისას უდავოდ მაჯობებს! და აი იხილეთ, დატკბით, დარწმუნდი, დახვეწილი, არტისტული, გულჩვილი მიჯნური შლეგური მზერითა და ნამდვილი თოფით შეიარაღებული თავის აღსარებას ომახიანი მუქარით როგორ მანდობს!
– მესროლე! – მკვდრადშობილი ცრემლი ყელში მეჩხირება.
ჩემი ყბადაღებული სიმარტოვეც დენთის სურნელითაა გაჟღენთილი.
სხვათა შორის ხელი არ უკანკალებს, არც სინანული ქენჯნის. იარაღს ჩაფრენილი მეწინავე მეომარივით აწვართულა და მზად არის ჩემი ოდნავი სისუსტით უშურველად ისარგებლოს! გული მიგრძნობს, სიყვარულის სახელით ჯოჯოხეთში ძალდატანებით გასტუმრებულ „სატრფოს“ წვიმაც არ შეიფარებს.
მადლობა ღმერთს მხსნელად კვლავ რისხვა მოემართება. წყვდიადს მთვარის შუქი ანაპრალებს, შორიდან ვიღაც მიხმობს და მეც დატენილი თოფის უზადოდ გაპრიალებულ ლულას ზურგი ვაქციე. თოფს, რომელსაც ახლო მანძილიდან პირველად ვხედავდი!
2008 წელი

ვლადიმერ კიკილაშვილი

ოი, არა

ღამეული ქალაქი დუღდა ასფალტისა და ბეტონის ოხშივარში. მოსახლეობის უმეტესობა გაკრეფილიყო აგარაკებზე. აქა. იქ შეღებილი კარებიდან და ფანჯრებიდან ცისფერი ნათება ეფინებოდა მიბინდულ ქუჩებს. ერთ–ერთ ოთახში ორი მამაკაცი იჯდა .დიდი ფეხბურთის მოლოდინში. ერთ–ერთი რომაელ იმპერატორს, ტიტუს ბალბანუსს მიაგავდა ვარცხნილობით. მეორეს შევერცხლილი თმა ამშვენებდა. ჩაციებულ შამპანიურს წრუპავდნენ. ტაბლაზე ხილი ეწყოთ, ყინულიანი ვერცხლის თასი, ვერცხლისავე მაშით.

ბალბინუსმა მყრალი სიგარეტი მოქაჩა და ცისფერი ეკრანი მონაცრისფრო ბოლის ტალღებმა შთანთქა.

– ეს ფოტო შენი შედევრია? – იკითხა იმერელმა ბაბუა–ნათავადარმა მიუნჰაუზენმა და კედელზე გაკრულ ქალის . სურათზე მიანიშნა.

– კომპლიმენტს კაცი არ მოუკლავს! – უპასუხა შევერცხლილმა.

– მე მეგონა მაგაში მოგცეს ის პრემია, შვიდკაცა ჟიურის შვიდივე დადებითი ხმით აფსაიტში რომ აღმოჩნდი. პირველზე ვინ გავიდა, ხუთი ხმა რომ მიიღო?

– კაი, ნუ შემიკალი მაგ კალამბურის გახსენებით! სამაგიეროდ ისეთი ჯილდო მივიღე, მაგათ რომ არ დაესიზმრებათ.

– აბა! გონკურების პრემია გერგო, არა? მაინც, ვისია ეს ფოტო? ავტორი და პერსონაჟი ვინაა?

– იმ გამოფენა–კონკურსზე – „ქალი და კულინარია ფოტოგრაფიაში“ უცნაური რამ მოხდა. კონკურსის დაწყებისთანავე მოვწვი ერთი ქალი. მარტო შემოვიდა. მაღალიო, ვერ იტყოდი, მაღალ ქუსლებზე შემდგარი მოკლე შავი კაბა მხრებ და ზურგ მოშვლეჭილი, შავი თმები და ნაცრისფერი თვალები. ერთი გამოიხედა და დისნეის პლუტოსავით ენაგადმოგდებული გამაშეშა. ხალხი რომ გაიკრიფა, მოვიდა და ავტოგრაფი მთხოვა.

– ბატონო პაპარაცი, თქვენი კალიგრაფიაც ასეთი ლამაზია, როგორც ფოტოები? ნუ მიყურებთ ასე, დედიშობილა მგონია თავი!

– უკაცრავად, მაპატიეთ, ხელოვანის თვალით გიყურებთ, მშვენიერი მოდელი ბრძანდებით.

– უჰუ, თვალებში რენტგენი ხომ არ გქონდეთ ჩამონტაჟებული, დაგიჯერებდით, მშვენიერი კომპოზიციაა. ამას ხელოვნებათმცოდნის თვალით დამნახავი გეუბნებით.

– არ შეიძლება სადმე ჩამოვსხდეთ, ვივახშმოთ ერთად და ვისაუბროთ ხელოვნებაზე? – ვკითხე იმედჩამდგარმა.

– ოი, არა! თქვენ ამერიკაში ნამყოფი ხართ, არა?

– ეგ რა შუაშია?

– იქ იციან ვახშმობანა და თუ ქალი დათანხმდა შეთავაზებას, ესე იგი ლოგინზეც თანახმა იქნება. არა, მე სახლში ვვახშმობ. მიყვარს საკუთარი ხელით მომზადებული კერძები. თქვენი არ იყოს, მეც შემოქმედი ვარ ამ სფეროში.
– ოი, არა! – გავიმეორე მისივე შეძახილი. – კოლეგები ვყოფილვართ! მეც თქვენი აზრისა ვარ, საკუთარი ხელით გაკეთებულ საჭმელს არაფერი სჯობია. ხვალ საღამოს ჩემთან გეპატიჟებით. დრო მჭირდება იმისთვის, რომ კარგად მოვიფიქრო, რით გაგაკვირვოთ ამ გაგანია სიცხეში.
– კიდევ კარგი მოსაფიქრებელი დრო მომეცით, მე მეგონა დღესვე მთავაზობდით ეშაფოტს.
– მაშ ხვალამდე! – ვუპასუხე და გაღიმებულმა დავტოვე საგამოფენო დარბაზი.
– ეს ფოტო მაშინ გადაიღე? – მკითხა ბალიბინუს–ყიფიანუსმა.
– არა. ყველაფერი უცნაურად მოხდა. ჩვენს საუბარს ბურჭულა ისმენდა, პროფესიონალი ფოტოგრაფი, ქალილს სხეულის გადაღების განუმეორებელი ხელოვანი, ხომ გახსოვს საბჭოეთის პერიოდში ამის გამო უსიმოვნებებიც ჰქონდა. ერთი შემომხედა, ჩაიცინა და ისიც გაეცალა იქაურობას. მეორე დღეს მოვამზადე ყველაფერი, რაც ჩავიფიქრე. მაგიდას ლურჯი სუფრა გადავაფარე, თეფში, დანა ჩანგალი, ღვინო, ჭიქები, სანთლები და სავარძელში ჩავესვენე. მოლოდინმა დამღალა და იმედგაცრუებულს ჩამთვლიმა. ზარის ხმამ გამომაღვიძა. საათს შევხედე, თერთმეტი იყო დაწყებული. კარები გავაღე და კინაღამ დავედცი. ხომ გახსოვს ბლოკის ლექსი „უცნობი ქალი“? თითქოს ამ ლექსიდან გადმოსულიყოს.
– უცხო ფრინველის ბუმბულებითით შემკობილი თავსაბურავი, ბეჭდებასხმული ნაზი მტევანი... – დაიწყო ბალნაბუსმა თავისივე თარგმანის დეკლამირება.
– მართლაც საოცრება იყო, ენა დამება. ოთახს თვალი მოავლო, როგორც ჩანს მართლა იყო ხელოვნების შემფასებელი, მაშინვე საუკეთესო ფოტოებთან მივიდა.
– ამას ვიცნობ, ამასაც. აი დღევანდელ მოწონებულ–დაწუნებულ ფოტოს კი სიამოვნებით ვიჩუქებდი.
– დიდი სიამოვნებით გჩუქნით ფოტოსაც და ერთადერთ ნეგატივს. ვუპასუხე გაამაყებულმა მისი შექებით.
– აბა, რითი გამაკვირვებთ, თუ კულინარია მხოლოდ ფოტოებზე გეხერხებათ?
– პირველი თავი – „აკროშკა“, ცივი წვნიანი შეჭამანდი, მაწვნით, კიტრით, კამით, კვერცხით. მაპატიეთ, ბურახი რომ ყოფილიყო მაწვნის მაგიერ, სჯობდა, მაგრამ ამ დროს სად იშოვი ნატურალურ ბურახს?. მეორე თავი – ორნაირი მაქვს: ჯერ ბოსტნეულის ცისარტყელა – სხვადასხვა მოხრაკული ბოსტნეულით და შემდეგ ღორის კანჭი ლუდში. დესერტად, რომ არ მოგატყუოთ, საქმე გავიიოლე და თავი არ შევიწუხე – ნაყინი დაკურკული ალუბლით, ერთი ულუფა, თქვენთვის.
– რატომ ერთი, თქვენ?
– ეს ჩემი მეგობრის ვაჟმა, პატარა აკომ დამმოძღვრა. ერთი ულუფა გაამზადე და გემო იმ ლამაზი დეიდის ტუჩებიდან გაუგეო.
– მე მეგონა, მსგავს საკითხებში თქვენ დამოძღვრა არა გჭირდებოდათ. მიპასუხა სტუმარმა.
– ჰოდა, გასინჯე ნაყინის გემო, ბოლო–ბოლო? – იკითხა ბალნაბუსმა და შამპანიურს ყინულები ჩაუმატა.

– აი, სწორედ ამ დროს გაისმა ზარი კარებზე. არ გავაღებ, – ვუთხარი სტუმარს. თქვენს მეტს არავის ველოდი დღეს.
თვითონ მივიდა კართან და გააღო. კარებში ფოტოაპარატებ ახუნძლული ვოვა ბურჭულაძე იდგა თან გასანათებელ იუპიტერებს მოათრევდა.
– სწორედ კაი დროს მოვედი. გეგონა დამიძვრებოდი? ეს გენიალური სხეული რომ არ აღვბეჭდო, აქვე მოვკვდები! – თქვა მან და გაშეშდა შუა კარებში.
სტუმარმა ქალმა ჩაიღიმა:
– დავიჯერო ეს შემთხვევითობაა? ოი, არა! ბატონო პაპარაცი, ამ სხეულს გადაიღებ ესრთი პირობით: ნეგატივი – მე, ერთი ფოტო, ნებისმიერი ზომის – თქვენ, ბატონო...
– ვოვა, ბურჭულაძე ვოვა, უბრალოდ ფოტოგრაფი... სიმაღლე 172, დანარჩენი – 92ხ58ხ90... ფეხი თეძომდე 64, წელამდე 108... შუქი... დამიჭირე სარკე, აქედან, აქედან მოანათე, იმ იუპიტერს დაბალი ლუქსი! მიუჩრდილე, ასე. პერესვეტი არ მისცე... ნახევრად პროფილი. თეძო კაბის ჭრილში, მეტი... მეტი... მენჯამდე... ხელი თავსაბურავისკენ, ვითომ ისწორებთ, უფრო აზიდეთ, მკერდი დაიჭიმოს... ზომა – 3+ ცოტა სიგარეტის ბოლი... ასე! ო, ღმერთო! ეს რა აბლოჟკა ქალია? სად იყავით აქამდე ქალბატონო? ო, ბედნიერო ამ სხეულისა და სულიერების მფლობელო! ჩემი ოცნების ფოტო, ნება მიბოძეთ, ტერფზე გემთხვიოთ... – და ჩვენი ბომბორა პაპარაცი დაენარცხა მუხლებზე.
– ეს ის სურათია? მართლა? ღმერთმა გაცხონოს ჩემო მეგობარო ბურჭულ! – წარმოთქვა ბალაბინუსმა და ჭიქა დაცალა. – იცი რასა მთხოვდა ხოლმე? მე როცა არ ვიქნები, მწვადი რომ შემოვა, გამიხსენე და დალიე ჩემი სადღეგრძელო. თუ მწვადი არ იქნება და ხინკალი შემოვა – მაშინაც მადღეგრძელე, და თუ არც ერთი იქნება და არც მეორე, ლამაზი ქალი თუ დაინახო, მაშინ მაინც მადღეგრძელეო!
– ეს სურათი სიკვდილის წინ მაჩუქა. ორივე შენთან იყოსო.
– რა ორივე? – ბალბანუსს ბუს თვალები გაუხდა.
– ის ქალი ჩემთან დარჩა... სამუდამოდ. – ვუპასუხე და სურათს შევხედე.
– მოკლედ, ოსტატისა და მარეგარიტას ბოლოკეთილი რომანი, რაღა! ეხლა სადაა?
– შვეიცარიაში ფერმა იყიდა... ზოგჯერ მიდის და ყველი ამოყავს საკუთარი ხელით... ჭყინტი, ჩვენებური ყველი, ნასვრეტებიანი, ჩვენებური დვრიტიით კვეთს... ამბობს, შვეიცარიელებს ძალიან მოწონთო...ოი, არა!... ჩვენი პატარა გოგოც იქაა, საკუთარი ჭრელა ჰყავს და დედამისს ბაძავს, წველის და პატარა ყველის თავუკები იმასაც ამოყავს. გაგასინჯებ თუ გინდა.
– ზოგს რა ბედი აქვს! მე ვერც ტელევიზორი გამოვცვალე და ვერც ცოლი... ამან კი... ცვალა ტელევიზორები და ბოლოს რა მშვენიერებას გამოჰკრა ხელი! მოდი და ნუ დაუჯერებ უფლის დამოძღვრას: ეძიებდე და ჰპოვებდე!

.....

1. „აკროშკა“, გრილი წვნიანი კერძი. მზადდება სხვადასხვა წესით, ბურხზე, მაწონზე, კეფირზე. სიმარტივისთვის მივმართოთ შემდეგ რეცეპტს:

მაწონი გაიდგვიფოს. ჩავამატოთ კუბიკებად დაჭრილი მოხარშული კარტოფილი, ახალი კიტრი, კვერცხი, წვრილად დაჭრილი კამა და მწვანე ხახვი, შევდგათ მაცივარში.

ამ კერძთან სჯობს მომჟავო პური „ბოროდინსკი“
კიტრი სჯობს ნეძინსკის ჯიშის, მინდვრის, ურწყავი, მაგრამ სიმწარე არ უნდა ჰქონდეს. სიმწარის დასადგენად ყუნწის მხრიდან გაუსინჯეთ გემო.

2. ბოსტნეულის ცისარტყელა – 400 გრამი ჩხირებად დაჭრილი კარტოფილი, ამავე რაოდენობისა და ფორმის გათლილი ბადრიჯანი, წითელი და მწვანე ბულგარული წიწაკა, სტაფილო, ყვავილოვანი კომბოსტო, რგოლებად დაჭრილი ხახვი და ასევე რგოლებად დაჭრილი პომიდორი ცალკცალკე მოვხრაკოით ზეთში შეწითლებამდე. დავაწყოთ ფენა–ფენა დიდ თეფშზე, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი კამა, რეჰანი.

რჩევა –
1. ყოველი ბოსტნეულის შეწვისას გამოვცვალოთ ზეთი, ასეთ შემთხვევაში ყოველი მათგანი შეინარჩუნებს საკუთარ გემოს.

2. სჯობს მარილი ზეთშივე ჩაყაროთ, ამით გაიმარტივებთ შეწვასა და საჭმელიც ტანაბრად მიიღებს მარილს.
3. ფრთხილად, თეფში არ გადაგეყლაპოთ!

ღორის კანჭი

მომინანქრებულ ჭურჭელში ჩავასხათ თეთრი ლუდი. კარგად გასუფთავებული ღორის უკანა კანჭი მჭრელი წვრილი დანით დავსეროთ რაც შეიძლება ბევრ ადგილზე ისე, რომ კანი არ დავაზიანოთ. დასერილ ადგილებში ჩავტენოთ დაფნა, მაიორანი, მარილი, სურნელოვანი და შავი პილპილის მარცვლები. მომზადებული კანჭი ჩავდოთ ლუდში და თავდახურულ ჭურჭელში დავტოვოთ 5–6 საათის განმავლობაში. შემდეგ, ამოვიღოთ კანჭი, გადავიტანოთ წყლიან ჭურჭელში და ვთუშოთ დაბალ ცეცხლზე სრულ მზადყოფნამდე. კარგად მოთუშული და დარბილებული კანჭი დავდოთ ტაფაზე, დავასხათ ერთი ჭიქა ახალი ლუდი და შევდგათ ღუმელში გამოსაცხობად. დროდადრო გამოყოფილი სითხე მოვასხათ კანჭს სრულ შებრაწვამდე. როცა მზად იქნება, მივირთვად ცხლად. გარნირად შეიძლება გამოვიყენოთ: მჟავე კომბოსტო, კიტრი, შემწვარი კარტოფილი; საწებლები: დანაყილი ნიორი მარილთან ერთად, პირშუშხა და სხვადასხვა სახის მდოგვი.

რჩევა –
დაჩქარებისა და პიკანტურობის გასაძლიერებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შებოლილი კანჭი, მაგ., „ნიკორასი“.
სასმელები – გემოვნების და ამტანობის მიხედვით: ლუდი, არაყი, დათო ხმალაძის ნუკრიანული ღვინო და სხვა.
პური, რა თქმა უნდა – ჭვავის.

დესერტი:

ნაყინი დაკურკული ალუბალი, ცოტაოდენი კონიაკი ადგვიფეთ მიქსერით და რამდენიმე წუთით შედგით მაცივარში.

დავით ქართველიშვილი

რამდენიმე მინიშნება

რეალურისა და არარელურის განსხვავება შესაბამისი კრიტერიუმის საშუალებით ხდება. რეალობის კრიტერიუმის საკითხი კი დიდი ხანია მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და დღემდე ერთნიშნა პასუხი არ არსებობს

სერგი ავალიანი „მეცნიერული ონტოლოგია“

1.

მარი სამუშაო დღეებში გარეთ ყოველთვის ქუსლებზე დგას; სახლში მოსვლისთანავე ფეხსაცმელებს იხდის და ამ პროცესს მიწაზე დაბრუნებას უწოდებს. არც დღევანდელი დღეა გამონაკლისი.
მიწაზე დაბრუნებული მარი ჩემსკენ მოდის. მე ტახტზე ვზივარ, ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ მარი ჩემსკენ და ტახტისკენ მოდის, უფრო სწორედ მოვიდა.
მარი ტახტზე ჩემს გვერდზე ჯდება, თავს მხარზე მადებს, შიშველ ფეხებს ოდნავ მაღლა წევს და ატყუპებს. მე და მარი, მარის შიშველ – ოდნავმაღლააწეულ – მიტყუპებულ ფეხებს ვუცქერთ. მარი ფეხის თითებს ჯერ ერთად ამოძრავებს (ასე მეც შემიძლია) შემდეგ რიგრიგობით (ასე მე არ შემიძლია); ფეხის თითების რიგრიგობით მოძრაობა მარის თანდაყოლილი ნიჭია, თუმცა არათანდაყოლილი ნიჭი არ არსებობს; გამოცდილების შეძენით ნიჭიერი ვერ გახდები, გამოცდილების შეძენით შეიძლება გახდე ბრძენი, ესეიგი მიხვდე იმას რომ „გამოცდილების შედეგად ნიჭიერი ვერ გახდები და რომ ყველა ნიჭი თანდაყოლილია.
5 წლის ბავშვის განსაკუთრებულად მისაჩნევად ასეთი ნიჭი – ფეხის თითების რიგრიგობით მოძრაობა – საკმარისია. იგივე ნიჭი 28 წლის გოგოს შეფასებაში არაფერს არ ნიშნავს. მარის ჩემთვის მოყოლილი აქვს, როგორი აღფრთოვანებულები იყვნენ მისი ფეხის თითების (რიგრიგობით) მოძრაობით მისი ბებია და ბაბუა; როგორ უკოცნიდნენ (რიგრიგობით) ნიჭიერ, ციცქნა ფეხის თითებს ისინი და როგორი ბადნიერი იყო მაშინ მარი.
მარის საკუთარი, რიგრიგობით მოძრავი ფეხის თითები ბავშვობას და ბავშვობის დროინდელ ბედნიერებას აგონებს, ასე რომ, შეიძლება ითქვას რომ 28 წლის მარისთვის ფეხის თითების რიგრიგობით მოძრაობის ნიჭი პოზიტივია.

2.

მარის რიგრიგობით მოძრავ ფეხის თითებს ვუცქერ და რამდენიმე დღის წინ ერთერთ შემეცნებით არხზე ნანახი მიწაში მოფუთფუთე ჭიაყელები მაგონდება; ამის თქმას

ვაპირებ მარისთვის, მაგრამ მახსენდება, რომ მარის ასეთი არსებებისადმი ზიზღი აქვს და ამიტომაც არაფერს არ ვეუბნები, ჩუმად ვარ და მარცხენა ხელის გუილით თავზე ვეფერები, მარი ფეხებს იატაკზე აწყობს და თვალებს ხუჭავს. მე არ ვიცი სად არის ახლა მარი თავის ფიქრით და განცდით, მხოლოდ იმაში ვარ დარწმუნებული, რომ თავს კარგად გრძნობს. ისე, ვერსიის დონეზე მგონია, რომ უფრო მომავალში მოგზაურობს, ვიდრე წარსულში.
რაც შემეხება მე, კვლავ იქ ვარ; მიწაში მოფუთფუთე ჭიაყელებთან; გაივლის დრო და მე მოვკვდები, მოკვდება მარიც – უფრო ცალცალკე მოვკვდებით ვიდრე ერთად, თუმცა გამორიცხული არაფერია, ვგულისხმობ სიკვდილის სახეობებს და ვარიანტებს – და ჩემს უნიჭო და მარის ნიჭიერ ფეხის თითებს ჭიაყელები შეესევიან, შემდეგ თანდათან მაღლა წამოიწევენ იმედია ამ დროს ჩვენ ვერაფერს შევიგრძნობთ, რადგან შეგრძნებების და დროის მიღმა ვიქნებით. ხანდახან საშინელი რამ მგონია, რომ სიკვდილი შეგრძნებების გამოხატვის უნარის დაკარგვაა. წევხარ სამარეში, დაფუთფუთებენ ჭიაყელები, დაფუთფუთებენ და გჭამენ, შენ ამას გრძნობ, მაგრამ შეგრძნების გამოხატვის უნარი დაკარგული გაქვს, ვერ მეტყველებ, ვერ ყვირი, ვერ ღრიალებ! კიდევ კარგი, რომ ასეთი საშინელი რამ ხანდახან მგონია და არა მუდმივად, რადგან მუდმივად რამის გონება რწმენაა.

3.

მარი თვალებს ახელს და ტუჩებს მიწევს, მანიშნებს რომ ვაკოცო – ვკოცნი. მარი დგება, გარდერობთან მიდის, გარდერობის კარს აღებს, საკიდი გამოაქვს, საკიდს სკამზე დებს და გახდას იწყებს, შარვალს იხდის, საკიდს სკამიდან იღებს და შარვალს საკიდზე კიდებს, შარვლიან საკიდს კვლავ სკამზე დებს და პიჯაკს იხდის, კვლავ საკიდს იღებს სკამიდან და პიჯაკს კიდებს საკიდზე, შევსებულ საკიდს მარი გარდერობში კიდებს და გარდერობის კარს ხურავს. მარი ლურჯ ტრუსიკში და ნაცრისფერ, თხელ, საზაფხულო როლინგში დარჩა, მაინცდამაინც კარგი ფერთა შეხამება ვერ არის, რა თქმა უნდა, არა ფერთა შეუხამებლობის, არამედ შხაპის მიღების მიზნით როლინგს იხდის, კეცავს და სკამზე დებს. ახლა მარი ლურჯ ტრუსიკში და თეთრ მაისურშია, მაისური მოდის მიხედვით ჭიპამდეა, ეს უკვე კარგი ფერთა შეხამებაა: თეთრი მაისური, ხორბლისფერი მუცელი, ლურჯი ტრუსიკი და კვლავ ხორბლისფერი, ოღონდ ფეხები.
– ლამაზი ხარ – ვეუბნები მარის.
– ვიცი – მპასუხობს მარი და მიღიმის.
– გეხუმრე, რას გავხარ – ვცდილობ შევურყიო მარის თვითდარწმუნებულობა,
ცდა წარმატებულია.
– დებილო – ენას მიყოფს მარი და ხანმოკლე პაუზის შემდეგ მეუბნება – მართლა ცუდად გამოვიყურები?
– ლამაზი ხარ, ძალიან ლამაზი შე შტერო – ვდგები და მარისკენ მივდივარ, მარი რამდენიმე ნაბიჯს დგამს უკან და კედელს ეკრობა კედელი თან საყრდენია თან ჩიხი. ორივემ ვიცით რაც მოხდება და ორივეს გვინდა, რომ ეს მოხდეს.
პირისპირ ვდგავართ და ერთმანეთის სუნთქვა გვესმის
– მიყვარხარ – ვეუბნები მარის.

– მეც მიყვარხარ – მეუბნება მარი.
– მე უფრო – ვეუბნები და ვუღიმი მარის
– არა, მე უფრო – მეუბნება და მიღიმის მარი
ეს თამაშია სახელწოდებით, „მე უფრო“

4.

აღარ ვლაპარაკობთ, ერთმანეთს ვხდით, მარის თეთრი მაისური ჩემს ხელშია, ჩემი მწვანე მაისური მარის ხელშია; თითქმის ერთდროულად ვაგდებთ იატაკზე ჩვენს ხელთარსებულ მაისურებს, მარის ბორცვებზე ვეფერები ხელის გულებით, შემდეგ ვიხრები და ბორცვებიდან ქიმებზე გადავდივარ, ვცვლი ზემოქმედების საშუალებასაც, ხელისგულების მაგივრად ენას ვიყენებ. ორი ხელისგულის მაგივრად ერთ ენას, შეიძლება ითქვას, რომ ეს სწორი ბიზნესნაბიჯია, მცირე დანახარჯით ვიღებთ და ვანიჭებთ მაქსიმალურ სიამოვნებას.
მარი გამოცემს ისეთ მშვენიერ ხმოვნებს, როგორებიცაა: ა, ო, უ.
წელში ვიმართები, მარის ყელზე ვეფერები, თან მის ფეხებსშუა ორ თითს ვაბინავებ. ორი ახალმოსახლე თითი აქტიურად ათვალიერებს თავის ახალ ბინას. მარის თვალები დახუჭული აქვს და ერთადერთ ხმოვანს გამოცემს: ა
შემდეგ მარი თვალებს ახელს, მხრებზე მკოცნის, მკერდზე მკოცნის თანდათან ქვეითდება, ესეთი დაქვეითება ორივეს გვსიამოვნებს. მარი მუხლებზე დგას ერთხანს მუცელზე ხელისგულებით მეფერება, ეს ერთიხანი მოკლეხანია, მე თავდახრილი ვდგავარ და მარის ვუცქერ, დროდადრო მარი თავს მაღლა წევს და ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ.
მარი ჩემი მუცლის ფერებას წყვეტს და შარვალს მიხსნის
– ძალიან მინდიხარ – მეუბნება მარი
– მე უფრო – ვეუბნები მარის
ერთმანეთს ვუყურებთ და ვუღიმით
– ადექი – ვეუბნები მარის
მარი დგება
მე მარი ხელში ამყავს, მარი სიამოვნებისაგან ხანმოკლედ კივის, კისერზე ხელებს მხვევს და მე მარით ხელში ტახტისკენ მივდივარ. თახტი აქვეა რამდენიმე ნაბიჯში.

5.

ყველაფერი ტრადიციულად ხდება; ჯერ მარი ათავებს, მერე – მე. ამ (როგორც სადღეგრძელოში ან პრომოპრესკომფერენციაზე ამბობენ ხოლმე) ლამაზ ტრადიციას საფუძველი სამი წლის წინ – ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ თბილისში, საქართველოში, კავკასიაში, ევრაზიის კონტინენტზე ვცხოვრობდით – ჩაეყარა, როდესაც მე და მარი პირველად დავწექით ერთად. მას მერე მარი გამუდმებით მთხოვს ერთხელ მაინც არ მივაქციო მას ყურადღება და მხოლოდ ჩემს სიამოვნებაზე ვიფიქრო, რადგან მარის ჩემი გაგიჟება, გაშმაგება და კოსმოსში გასვლა სურს იხილოს. მარის ვერაფრით ვერ დავაჯერე, რომ მამაკაცები ქალებისაგან განსხვავებით სექსით კოსმოსში ვერ გადიან და

ამის გამოა, რომ არსებობს „ნასა“ და „ბაიკანური“, საერთოდ კოსმონავტიკა. რაც შეეხება მარის თხოვნას, თხოვნა თხოვნად რჩება, ასე რომ ჩემი და მარის ურთიერთობაში ტრადიცია მარის თხოვნაზე უმტკიცესია.
ვწევართ, არა უფრო ვგდივართ და ვქშინავთ, მარის თავი მკერდზე მადევს, დროდადრო თავზე ვკოცნი და თავს ვუჩეჩავ მარის, მარი მუცელზე მეფერება, ვგრძნობ რომ ძალიან მიყვარს მარი და არ მაქვს მიზეზი, რომ ეს არ ვუთხრა, პირიქით მინდა რომ ვუთხრა და ვეუბნები
მიყვარხარ
მარი თავს მაღლა წევს, მიყურებს და მიღიმის, ხმას არ იღებს, შემდეგ თავს ხრის და მკერდზე მკოცნის. მარის თავი კვლავ მკერდზე მადევს, ასე ვართ რამდენიმე ხანს, შემდეგ მარი დგება, იატაკიდან თავის ტრუსიკს იღებს და ოთახის გასასვლელისკენ მიტანტალებს, გზად იატაკიდან თავის მაისურს იღებს, ოთახის გასასვლელთან ჩერდება და მეუბნება:
– შენ რაღაცეებს შენ მიხედე, კარგი?!
– კარგი, – ვეუბნები მარის და მარი ოთახიდან გადის.
რამდენიმე წამის შემდეგ აბაზანის კარის გაღების და დაკეტვის ხმა მესმის, მარი შხაპს იღებს.
მე და მარიმ რამდენჯერმე ვცადეთ შხაპის ერთად მიღება, მაგრამ არაფერი არ გამოგვივიდა, აღმოჩნდა, რომ შხაპის მიღება სექსზე ინტიმური რამ არის და სრულ სიმარტოვეს საჭიროებს.

6.

ვწევარ, აღარ ვაგდივარ, უკვე ვწევარ, მშვიდად ვსუნთქავ, ჭერს ვუცქერ და ჩემი და მარის პირველი შეხვედრა მახსენდება. ერთმანეთი ჩემმა კლასელმა და მარის ჯგუფელმა თათიამ გაგვაცნო, თათიას შემთხვევით შევხვდი ქუჩაში, ამ დროისთვის ის დაახლოებით ორი წლის უნახავი მყავდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ, მოვიკითხეთ, აქეთური–იქითური, შემდეგ თათიამ ერთერთი თანამედროვე მწერლის წიგნის პრეზენტაციაზე შემომთავაზა წასვლა, მე უსაქმოდ ვიყავი და დავთანხმდი, თათიამ ხელკავი გამომდო და დავიძარით.
იმ დროისთვის მე თანამედროვე ლიტერატურაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და ვფიქრობდი ლიტერატურა, როგორც მოვლენა მეოცე საუკუნის ოციან წლებში იყო დასრულებული, ამის შემდეგ იქმნებოდა მხოლოდდამხოლოდ ლიტერატურის ცალკეული ნიმუშები. დიდად აზრი არც დღეს შემცვლია, მაგრამ დღეს თანამედროვე ლიტერატურაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აღარ მაქვს. თანამედროვე მწერლებიდან ჩემი მწერალი დავით ქართველიშვილია, სწორედ ამიტომაც სიხარულით თუ არა, სევდიანად მაინც დავთანხმდი დათოს შემოთავაზებას და მისი პერსონაჟი გავხდი, სიმართლე რომ ვთქვა, მერჩივნა დათოს რომან „იყო საღამო, იყო დილას“ პერსონაჟი ვყოფილიყავი, მაგრამ რომანის დაწერის დროს მე და დათო ერთმანეთს არ ვიცნობდით და არც ახალი ლიტერატურის კონცეფცია ქონდა დათოს შემუშავებული.

რაც შეეხება თავად მოთხრობას, თავისთავად ის ცუდად არ მიდის, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ მე არც პატარა უფლისწულის, არც მოხუცი მეთევზე სანტიაგოს, არც ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ და არც თოლია ჯონათანის დონის მერსონაჟი ვარ. მე ჩამოვთვალე ლიტერატურის, როგორც მოლენის დასრულიბის შემდეგ, ოთხი უდიდესი მოთხრობის პერსონაჟი, ასე რომ შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ამბიციებსაც კარგად ვიცნობ და ჩემს რეალობასაც. რამდენად შეუძლია პერსონაჯს თავად შექმნას თავის თავი, მითუმეტეს ჩემნაირ პერსონაჟს, რომელიც ამავე დროს რეალური ადამიანიცაა, აქვს საქართველოს მოქალაქის პასპორტი, და არალეგალურად ცხოვრობს ამერიკაში, რამდენად შეუძლია რეალურ სანდრო იაშვილს პერსონაჟ სანდრო იაშვილზე ზემოქმედება. დათო ამბობს, რომ ეს საკითხი ჯერ გასარკვევია, რაც შეეხება ძველი ყაიდის პერსონაჟებს, მათი საკითხი საკმარისად არის დამუშავებული მსოფლიო ლიტერატურაში. ამის უდიდესი მაგალითი რა თქმა უნდა სერვანტესის დონ–კიხოტია. ამ საკითხის პირველხარისხოვანი მაგალითბია: უნამუნოს „ბურუსი“, ბორხესის ნოველები, კორტასარის და ბარტის რომანები (ამ ორი მწერლის შემოქმედებას დათო „გარომანებულ ბორხესს“ უწოდებს), დათო მარგველაშვილის რომანი „მუცალი“ და მინიატურები. ასევე დათოს მეგობარი ბესო ხვედელიძის მოთხრობა „ქაღალდის თვითმფრინავები“

– არაფერს არ ვამბობ უამრავ მდარე რომანზე, რომლის პერსონაჯები რომანში რომანს რომ წერენ და შემდეგ რომანი და რომანში დაწერილი რომანი მთლიანდება. – მითხრა ერთხელ დათომ – სისულელეა ეს ყველაფერი.

მარი დათოსთან ერთად იყო მოსული პრეზენტაციაზე.

7.

მარჯვენა ხელში ღვინო, მარცხენაში სიგარეტი, პაჩი–პუჩი, ყლუპი ღვინო და ნაფაზი. შემდეგ ყველაფერი ეს თავიდან, ქმედებები მეორდება, მაგრამ გამეორებები იწვევენ ცვლილებებს გარემოში და ხასიათებში. ყლუპყლუპი ღვინო თანდათან ათრობს სტუმრებს, ხოლო საპრეზენტაციო დარბაზი სულ უფროდაუფრო იბუღება, პრეზენტაციის დასაწყისში დაწყებული ჩურჩული თანდათან გუგუნში გადადის. ხოლო მოკრძალებულ პაჩი–პუჩს წელზე ხელის მოხვევები და შუბლზე კოცნები ცვლიან, კაცები და ქალები ერთმანეთით იმუხტებიან, ასეთ დროს თავს ყველაზე გაუცხოებულად გრძნობს ის, ვისი წიგნის პრეზენტაციაცაა და ჩემნაირი შემთხვევითი სტუმარი.

თათია მეგობრებთან ქაქანმა გაიტაცა და მე სულ დავავიწყდი. ვიდექი კუთხეში და აქეთ–იქით ვიყურებოდი, ვხედავდი ჩემთვის სრულიად უცხო და ტელევიზორში ნანახ სახეებს. „ეს რატი ამაღლობელია, ეს ლაშა ბუღაძე, ეს დათო მაღრაძე.“ ანბანის მიხედვით შემოვიდნენ ჩემს თვალსაწიერში ტელევარსკვლავები.

სივრცე რომელშიც შენი ერთადერთი ახლობელი მეგობრებთან ქაქანითაა გატაცებული კი არა, თავდავიწყებული და შენდავიწყებული, ხოლო ტელევარსკვლავები შორიდანაც კი არ გიცნობენ, უნდა აღიარო, რომ შენი სივრცე არ არის.

წასვლა დავაპირე, სწორედ ამ დროს გაახსენდა თათიას ჩემი იქ ყოფნა, ჩემთან მოვიდა ხელკავი გამომდო და მითხრა.

– წამოდი, ჩემ მეგობრებს გაგაცნობ – დავიძარით

ისინი სამნი იყვნენ, თათიას მეგობრები
– ეს ჩემი კლასელი და ბავშვობის მეგობარი სანდრო იაშვილია – თათიამ მხარზე დამიტყაპუნა მსუბუქად ხელი – სხვათაშორის მეშვიდე კლასში მიყვარდა
– გეთქვა მერე – ვუსაყვედურე თათიას, თათიამ და თათიას მეგობრებმა გაიღიმეს და მივხვდი, რომ გაცნობა კარგად დაიწყო.
თავიდან ცოტნე გამეცნო, მისი და თათიას ურთიერთობა ჩვეულებრივ მეგობრობას რომ გაცილებული იყო და არაჩვეულებრივი სიყვარულის ფაზაში იყო შეჩერებული, იმ წამსვე შევნიშნე, ასევე შევნიშნე, რომ ცოტნე თათიას გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ძალიან აღფრთოვანებულად უყურებდა თათიას, რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ის თავისი გამარჯვებით ტკბებოდა. ქალის და კაცის ურთიერთობის დასაწყისში ყოველთვის იმართება ფარული ომი გავლენის მოსაპოვებლად და რასაც ერთი ან მეორე თავიდან დათმობს მოუწევს მთელი ცხოვრების მანძილზე იგივეს დათმობა, თათიას ცოტნე სრულიად განიარაღებული ყავდა, ასე რომ, მას ან ბოლომდე უნდა გაეძლო თათიასთვის, ან უნდა მოშორებოდა თათიას, ცოტნემ მოშორება არჩია...
შემდეგ წვერებიანი და სათვალეებიანი დათო გავიცანი, თათიამ თქვა, რომ დათო კლასიკოსია, მე გავიფიქრე: „წვერითა და სათვალით თუ ვიმსჯელებთ კი, ის რას წერს ნეტა?“ დათოს ნაწერებს რამდენიმე თვის შემდეგ გავეცანი.....
შემდეგ მარის გაცნობის ჯერიც დადგა...

8.

აბაზანის კარის გაღებისა და დაკეტვის ხმა მესმის. მარიმ შხაპი მიიღო, ტანზე პირსახოცშემოხვეული მარი ოთახში შემოდის, მე მარის ვუყურებ, მომწონს მარის სველი თმა, ძალიან მომწონს.
მარი მე არ მიყურებს, მარი ჩემს მიყრილ–მოყრილ ტანასაცმელს უყურებს
– ეეე, ეგ არის მივხედავო, – მსაყვედუროს მარი და ჩემს მიყრილ–მოყრილ ტანსაცმელს თავად იღებს და სკამზე ალაგებს, შემდეგ ტახტზე ჯდება და მეუბნება:
– ეხლა, რო ვბანაობდი იცი რა გამახსენდა?! – მარი მიღიმის
მე ვერ ვხვდები რა გაახსენდა მარის შხაპის მიღებისას
– რა გაგახსენდა? – ვეკითხები და ვუღიმი ისე რომ ვანიშნებ მაპატიე რომ ვერ მივხვდი– თქო
– ჩვენი ბოლო დღე თბილისში – მარი მარჯვენა ფეხზე მარცხენას იდებს – გახსოვს?! ყველაფერზე რომ ვნერვიულობდით; მშვიდობიანად ვიმგზავრებდით თუ არა, ნორმალურად მოვეწყობოდით თუ არა, ერთად დავრჩებოდით თუ არა.
მახსენდება: მე და მარი ჩალაგებულ ჩემოდნებზე ვსხედვართ ხელგადახვეულები და ერთმანეთს ვამშვიდებთ, რომ ყველაფერი გამოვა და ყველაფერი კარგად იქნება, თუმც რეალურად, რა როგორ იქნება არცერთმა არ ვიცით, რეალურად ადამიანებმა მხოლოდ ჩვენი ოცნებები ვიცით და კიდევ ის რომ უნდა მოვკვდეთ, ადრე თუ გვიან. გავრცელებული აზრის თანახმად სიკვდილი ყოველთვის ადრეა. ვდგები, მარის მუხლზე ვეფერები და შუბლზე ვკოცნი
წავალ მეც ვიბანავებ – ოთახის გასასვლელთან ვჩერდები.
– პირველად რომ დაგირეკე გახსოვს რა მითხარი?! – ვეკითხები მარის

– მახსოვს – მპასუხობს მარი და მიღიმის – შეყვარებული მყავს–თქო.
– მე გკითხე, ვინ–თქო
– მე გავიფიქრე რა თავხედია–თქო, და გითხარი რა შენი საქმეა–თქო.
– მე ჩაგაცივდი
– და მე გითხარი დათო ქართველიშვილი–თქო, შენ კიდე გიჟივით მივარდი ადამიანს „მარი მართლა შენი შეყვარებულია თუ არაო“
– აუ იცი როგორ გამიხარდა, რომ მითხრა: „არა, რა სისულელეა, მე და მარი ხუთი წლიდან ვიცნობთ ერთმანეთს და სიმართლე რომ გითხრა, ქალად საერთოდ ვერ აღვიქვავო“
– სხვათაშორის გუშინ ველაპარაკე – მატყობინებს მარი
– რაო, როგორ ვარო
– რაღაც პრემია არ მიცეს და გაბუტულია. ხან ყველას აგინებს, ხან ამბობს, რომ ეს ყველაფერი სისულელეა და მთავარი ამ ყველაფრის მიღმაა
– მარადისობა გადაძალავს ბოლოს – ვამბობ და მე და მარი ვიცინით – იცი რა მაინტერესებს, მწერლისთვის მარადისობაზე ფიქრი პროფესიული თვისებაა ხომ, თუ არა.
– მწერალს გააჩნია – მეუბნება მარი, ეს მარის პასუხი არ არის, ეს დათოს პასუხია. მარი მწერლობაზე რომ იწყებს მსჯელობას, მისი პირიდან დათო მეტყველებს ხოლმე
– წავალ ვიბანავებ – ვამბობ და მარის თვალს ვუკრავ.
ოთახიდან გავდივარ.
აბაზანის კარს ვაღებ, ზარის ხმა მესმის
– ნახე რა ვინ არის – ვეუბნები მარის და აბაზანაში შევდივარ, კარს ვკეტავ, შხაპის ონკანს ვხსნი და წყალს ვარეგულირებ, შემდეგ დარეგულირებული წყლის ქვეშ ვდგები, მსიამოვნებს წყლის ქვეშ დოგმა.

9.

ამბობენ რომ ადამიანი მიწაა, მიწა წყალში ტალახდება, ეს წყლის და მიწის შეხვედრის შედეგია.
ადამიანი ვარ, მიწა ვარ, წყლის ქვეშ ვდგავარ და არ ვტალახდები, ორში ერთია: ან ადამიანი მიწა არ არის, თუმც ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ მკვდრები მეტყველებენ, ან ადამიანი მხოლოდ მიწა არ არის. ამ ვერსიით გამოდის, რომ სიკვდილის ის ნაირსახეობა, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი, სრული სიკვდილი არ არის. ადამიანი ვარ, მიწა ვარ, წყლის ქვეშ ვდგავარ და არ ვტალახდები, ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მეორე ვერსიას ვემხრობი. ის რაც (უფრო ვინც) ადამიანს წყალში ატალახების საშუალებას არ აძლევს, სულია, პოსტქრისტიანულ საზოგადოებაში სულის შესახებ საუბარი ისევე ცუდ ტონად ითვლება, როგორც ლიბერალების ყრილობაზე ჰიტლერის ხსენება დადებით კონტექსტში. რა თქმა უნდა ეს სულის ქრისტიანულ გაგებას ეხება და არა – წარმართულს, თანამედროვე ადამიანები ძველი წარმართებივით სულს ყველგან და ყველაფერში ეძებენ და პოულობენ საკუთარი თავის გარდა.
ნებისმიერი საზოგადოება ილუზიაა, განსხვავება მხოლოდ ილუზიის მასშტაბებშია. მაგალითად სპორტის მოყვარულთა საზოგადოება უფრო დიდი ილუზიაა, ვიდრე

წიგნის მოყვარულთა საზოგადოება. პოსტქრისტიანული საზოგადოება დასახელებულ საზოგადოებებზე დიდი ილუზიაა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბევრი სპორტისმოყვარული და წიგნის მოყვარული ამ საზოგადოების წევრია. ამ ცნებაში თანამედროვე ფილოსოფოსები და სოციოლოგები დასავლურ სამყაროს გულისხმობენ, მაგრამ ისტორიას თუ გადავხედავთ აშკარა გახდება, რომ პირველი პოსტქრისტიანული საზოგადოება აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა მუსლიმების სახით, ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს დასავლეთიც და აღმოსავლეთიც (გამონაკლისი ებრაელები, ინდოელები და ბუდიზმის მიმდევრები არიან) პოსტქრისტიანულია. დასავლეთიც და აღმოსავლეთიც ილუზიაა, რეალობა თავად სამყაროა – უსასრულო და ყოვლისმომცველი, და ეს სამყარო თავის ბუნებით, უფრო სწორად კანონზომიერებით, ქრისტიანულია. ნებისმიერი საზოგადოება ილუზიაა, სამყაროში მხოლოდდამხოლოდ ცალკეული ადამიანები არსებობენ, საზოგადოების ილუზია სხვა ილუზიების მსგავსად ბოროტი ილუზიაა. საზოგადოების ილუზია იწვევს დაპირისპირებას, მომავალი დიდი ომის მიზეზი საზოგადოების ილუზია იქნება.

10.

ადამიანი ვარ, მიწა ვარ, წყლის ქვეშ ვდგავარ და არ ვტალახდები, ერთში ერთია: მხოლოდ მიწა არ ვარ.
შხაპის ონკანს ვკეტავ, კაბინიდან გამოვდივარ, პირსახოცს ვიღებ და ვიმშრალებ: თავს, ტანს, ფეხებს. სხეულს უნდა მოუარო, სულზე უნდა იზრუნო. ადამიანის მთავარი შეცდომა სწორად ისაა, რომ სხეულზე ზრუნავენ და სულს უვლიან. პირსახოცს ტანზე ვიხვევ, სარკესთან ვდგები, თმაგაჩეჩილი ვარ, თმის დავარცხნას ვიწყებ.

11.

მარისთან დაახლოების შემდეგ მისი ზოგიერთი მეგობარი ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა, იგივე მოხდა მარის ცხოვრებაშიც – ზოგიერთი ჩემი მეგობარი მისი მეგობარი გახდა. მარის მეგობრებიდან განსაკუთრებით დათო ქართველიშვილს დავუმეგობრდი. გარდა ინტელექტუალური სიახლოვისა ჩვენ დაგვაკავშირა ლუდის სიყვარულმა. დათო, როგორც დღეს მაშინაც უფულოდ იყო, რაც შეეხება ჩემს ფინანსურ მდგომარეობას, იმ დროისთვის მე მქონდა, სამწუხაროდ დროებით, მაგრამ საბედნიეროდ მაღალანაზღაურებადი სამსახური; ამერიკელ ენერგეტიკოსებთან ვმუშაობდი თარჯიმნად, ასე რომ მქონდა ფული და მე და დათო ხშირად (კვირაში ორჯერ მაინც) ვხვდებოდით ერთმანეთს, ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით სხვადასხვა აქტუალურ (მაგალითად, ჩემი და მარის მომავალზე) და ნაკლებად აქტუალურ (მაგალითად ქალთა ჩოგბურთზე) საკითხებზე.
ერთხელ – მე მაშინ უკვე წაკითხული მქონდა დათოს მოთხრობების კრებული „დღიურები მირანდასთვის“ და გაზეთ „პარნასში“ დაბეჭდილი რომან „იყო საღამო, იყო დილას“ რამდენიმე თავი – დათომ მითხრა:
– რეალურ ადამიანებზე მინდა ვწერო
– აქამდე არარეალურ ადმიანებზე წერდი? – ვკითხე

– არა, მაგრამ სახელს და გვარს ყოველთვის ვუცვლიდი, ეხლა მინდა, რომ ნამდვილი სახელებით და გვარებით ვწერო.
– მერე წერე,
– აი, შენ – დათომ შემომხედა – მინდა რომ ჩემი პერსონაჟი გახდე, თანახმა ხარ ნამდვილი სახელით და გვარით რომ გახსენო?
– ოო, გააჩნია რას დაწერ ჩემზე, ისე ეს მწერლები სანდო ხალხი არ ხართ, მირჩევნია შემიცვალო სახელიც და გვარიც – ლუდი მოვსვი.
– ეგრე აზრი არ აქვს, წარმოიდგინე გალაქტიონ ტაბიძეზე წერ მოთხრობას და პერსონაჟს ტერენტი გრანელს ეძახი, ელიოტს პაუნდს ეძახი, ჰიტლერს სტალინს, ქართულ ლიტერატურაში არსებობს ერთი ძალიან მაგარი მოთხრობა – დათოს შევნიშნე, ცოტა უფრო მთვრალი რომ ყოფილიყო, ძალიან მაგარის ნაცვლად იტყოდა გენიალურს ან შედევრს – რეზო ჭეიშვილის „რესემონი“, ამ მოთხრობის მთავარ პერსონაჟს ქვია იმანუელი, მაგრამ ყველა ამბობს, რომ მოთხრობა გალაქტიონზეა, თავად მოთხრობაშია ამაზე მინიშნება, მაგრამ ჩემი აზრით მინიშნებებით წერას აზრი აღარ აქვს, მაგალითად მე მინდა დავწერო მოთხრობა ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე, რატომ უნდა ვწერო ამ საკითხზე მინიშნებებით?
– იმიტომ რომ, მტკიცებულებები არ გაქვს, ისე ჩემი აზრით, პოლიტიკური პროზის წერა არ არის შენი საქმე – ოფიციანტს დავუძახე და კიდევ ორი კათხა ლუდის მოტანა ვთხოვე, ოფიციანტმა თავი დამიქნია და წავიდა – პოლიტიკურ პროზას წერენ ლადლემი და ეგეთი მეათე ხარისხოვანი მწერლები.
– სვიფტი, ხომ წერდა პოლიტიკურ პროზას?
– სვიფტი ზუსტადაც რომ მინიშნებების გენიოსია
– მინიშნებები არა, მინიშნებები აღარ არის საჭირო – თქვა დათომ
სწორედ ამ დროს ოფიციანტი მოვიდა, ორი კათხა ლუდი მაგიდაზე დადგა და წავიდა.
ლუდი მოვსვით, დათომ თქვა:
– მოკლედ თანახმა ხარ, რომ ჩემი პერსონაჟი გახდე და ნამდვილი სახელით და გვარით გახსენო?
– კაი რა, რომელი გალაქტიონი ან გრანელი მე ვარ.
– შენ რა გგონია, შენი და მარის სიყვარული გალაქტიონის და ოლოლის სიყვარულზე ნაკლებად მნიშვნელოვანი რამ არის, ან შენი სიმარტოვე გრანელის სიმარტოვეზე ნაკლებად მძაფრია თუ რა?
– ისე, სხვათაშორის გალაქტიონიც მარტო იყო, ძალიან დიდხანს იყო, ძალიან მარტო – ვთქვი მე – ეხლა რაც შეეხება ჩემი და მარის სიყვარულს, რა თქმა უნდა, ჩემი და მარის სიყვარული ყველა სხვა სიყვარულზე მნიშვნელოვანი რამ არის, ჩემი სიმარტოვეც – რომლის დაძლევასაც მარის სიყვარულით ვცდილობ, ჩემთვის ყველაზე მძაფრია, რამდენიმე დღეში კონტრაქტი მიმთავრდება და ჩემთვის ჩემი უმუშევრად დარჩენა უფრო მაშინებს ვიდრე სხვისი უმუშევრობა, მაგრამ ეს ჩემთვისაა ასე, სხვებს მე ვკიდივარ, სხვათაშორის ყველა ზემოთნახსენები პირიც კიდიათ – კათხა კათხაზე მივუჭახუნე დათოს – სხვებს გაუმარჯოს, – ლუდი მოვსვი და დათოს ვკითხე, მარის შეთავაზე პერსონაჟობა? გადაირევა
– უკვე შევთავაზე
– მერე?

– დამთანხმდა
– მაშინ მეც თანახმა ვარ, სადაც მარი, მეც იქ.
ასე გავხდი დათოს პერსონაჟი, იმავე საღამოს მარისგან გავიგე, რომ ის მხოლოდ საკუთარი სახელის გამოყენებაზე დათანხმდა დათოს.
– იმედია, რომ კარგ გვარს შემირჩევს – თქვა მარიმ და თვალები განაბა.
მე დათოსთან არ დამირეკავს და არ დამიწყია; გეხვეწები, გეხვეწები, გეხვეწები მარტო სახელით მახსენე–თქო, „რაც არის, არის, რაც იქნება, იქნება.“ გავიფიქრე.

12.

აბაზანიდან გამოვდივარ, ტანზე პირსახოცშემოხვეული ოთახში შევდივარ, მარის გარდა ოთახში ჩემთვის ორი უცნობი ადამიანია, ქალი და კაცი, ქერები არიან, მიღიმიან, ქალს ხელში ჩანთა უჭირავს, თავს უხერხულად ვგრძნობ, გარდერობიდან ტანსაცმელს ვიღებ და სამზარეულოში გავდივარ, სამზარეულოში ტანსაცმელს ვიცმევ, ვეღარ ვხვდები დავით ქართველიშვილის მოთხრობის პერსონაჟი ვარ თუ ლუის ბუნუელის კინოპერსონაჟი, ოო, ამ პოსტმოდერნის დედა ვატირე მე რა!
ჩაცმული ოთახში ვბრუნდები, თავს უხერხულად აღარ ვგრძნობ, საზოგადოება ილუზიაა, მაგრამ ეს ილუზია რეალურ განცდებს იწვევს ადამიანში, ეს მესამე მსოფლიო ომის დაწყების წინაპირობაა.

13.

მარი უცხოებს მაცნობს:
– ეს ინგუნაა – ქალზე მიმითითებს მარი. ინგუნა ხელს მიწვდის, მე ხელს ვართმევ, სუსტი და პატარა ხელი აქვს და კიდევ სასიამოვნო კანი ინგუნას – ეს კი ალბერტია – გაცნობის ცერემონიალს განაგრძობს მარი, მე და ალბერტი ერთმანეთს ვესალმებით, ხელს ვართმევთ ერთმანეთს, ალბერტის ხელზე და კანზე დაკვირვებას არ ვაწარმოებ.
შემდეგ მარი ჩემს თავს აცნობს ინგუნას და ალბერტს
– ეს ჩემი მეუღლეა, სანდრო.
ჩემი სახელის გაგონებაზე სტუმრებს რა თქმა უნდა გასაგებია ვინც ახსენდებათ
– შემთხვევით თქვენც ხომ არ ხატავთ? – მეკითხება ინგუნა
– არა, სამწუხაროდ არა, ან საბედნიეროდ არა, ზუსტად არ ვიცი სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სამაგიეროდ ზუსტად შემიძლია, გითხრათ რომ არ ვხატავ – ვიღიმი
თემა ამოწურულია
მარი მცირე ინფორმაციას მაწვდის სტუმრების შესახებ:
– ინგუნა და ალბერტი ლატვიელები არიან, სამი წელია რაც ნიუ–იორკში ცხოვრობენ, მათ ჩვენთან შემოთავაზება აქვთ.
ამ მომენტამდე იგლისურად ვსაუბრობდით
– რა შემოთავაზება ვეუბნები მარის – გრუპენსექსი ხომ არ უნდათ? – მახსენდება, რომ გრუპენსექსი ძირძველი ქართული სიტყვა არ არის და თავს უხერხულად ვგრძნობ. ალბერტს და ინგუნას თავს ვარიდებ. საზოგადოება ილუზიაა, მაგრამ ... მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია.

მკაფიოდ მესმის ალბერტის შეკითხვა:
– რა გრუპენსექსი უკაცრავად?
სხვა გზა არ მაქვს განმარტება უნდა მივცე ალბერტს
– ამ ქალაქში – ალბერტისა და ინგუნასკენ ვატრიალებ თავს – უამრავი, რბილად რომ ვთვათ, ექსცენტრული ქალი და კაცი ცხოვრობს, ეს ქალები და კაცები წყვილდებიან. მოგეხსენებათ თანამედროვე სოციალური სისტემა ადამიანებს გარეგანი გაგიჟების საშუალებას არ აძლევს, აქედან გამომდინარე თანამედროვე სიგიჟე – შინაგანი სიგიჟეა, უფრო სწორედ ინტიმური სიგიჟეა, თუმც ეს სულ სხვა და ვრცელი თემაა, ჯობს პირდაპირ გითხრათ სათქმელი, მე და ჩემს მეუღლეს გრუპენსექსის თხუთმეტი შემოთავაზება გვქონდა – „არცერთზე არ დავთანხმდი–თქო, რომ ვუთხრა, პათეთიკურად გამოვა, არ ვეტყვი.“ ვფიქრობ და ვამბობ – ვიფიქრე, რომ თქვენ მეთექვსმეტეები ხართ...
ალბერტი და ინგუნა იცინიან, ალბერტი მეუბნება:
– არა, არა, ჩვენი შემოთავაზება სულ სხვა შინაარსისაა, მაგრამ სანამ მას გაგაცნობებთ, ერთი შეკითხვა რომ დაგისვათ თუ შეიძლება?
– რა თქმა უნდა შეიძლება – ვეუბნები ალბერტს, შემდეგ მარისკენ ვატრიალებ თავს ქართულად ვეუბნები, რომ ყავა ჩაი ან წვენი მოუტანოს სტუმრებს.
– ყავა? ჩაი? წვენი? – ინგლისურად ეკითხება მარი სტუმრებს, ალბერტი და ინგუნა ყავას ირჩევენ
მარი სამზარეულოში გადის
– შეკითხვას ველი – ვეუბნები ალბერტს და ვუღიმი,
– რამდენიმე წუთის წინ თქვენ თანამედროვე სოციალური სისტემა ახსენეთ, თქვით რომ ეს სისტემა ადამიანს გარეგანი გაგიჟების საშუალებას არ აძლევს, რას გულისხმობდით?
– მეკითხება ალბერტი
– თქვენ ჟურნალისტი ხართ? – ვეკითხები ალბერტს
– ექსჟურნალისტი, საიდან მიხვდით? – ალბერტი მიღიმის
– შეკითხვის დასმის მანერაზე – ვუხსნი და ორივე ვიღიმით – ახლა რაც შეეხება პასუხს თქვენს შეკითხვაზე, პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ მხედველობაში დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები მყავს, ამ ადამიანებს ფორმალურად ყველაფრის უფლება აქვთ, მაგალითად მათ შეუძლიათ მშობლიურ ქუჩებში სრულიად შიშვლებმა გაიარონ, როდესაც იგივე ქმედებისთვის ტოტალიტარული ქვეყნის მოქალაქეს, საუკეთესო შემთხვევაში, ხულიგნობის მუხლით გაასამართლებენ, უარეს შემხვევაში ჩაქოლავენ, ან გიჟად გამოაცხადებენ და საგიჟეთში დაამწყვდევენ, ეს შემთხვევა საუკეთესო და უარეს შემთხვევებს შორისაა, დემოკრატიულ ქვეყანაში გარეგნული სიგიჟე გამორიცხულია, რადგან სიგიჟე რაღაცის უარყოფას და უგულველყოფას ნიშნავს, იქ სადაც თუნდაც ფორმალურად ყველაფერი ნებადართულია, ეს შეუძლებელია. დემოკრატიულმა სისტემამ გიჟის ფუნქცია თვითონ შეითავსა და თავის მოქალაქეებს ყველაფრის უფლება მისცა და ამით გარეგნულად გაგიჟების უფლება წაართვა, დემოკრატიულ ლექსიკონში ასეთი სიტყვათშეთანხმება არც არსებობს, რაც შეეხება ტოტალიტარულ ქვეყნებს იქ გარეგნული სიგიჟე დღემდე სოციალური პროტესტის ფორმაა, ეს ჩვენ კარგად ვიცით, ჩვენ ხომ ამ სივრცეში დავიბადეთ; ეხლა რაც შეეხება შინაგან ანუ ინტიმურ სიგიჟეს; ამ მოვლენას ისეთი დიდი

ტრადიცია არა აქვს როგორც გარეგან სიგიჟეს, (ომები, რევოლუციები, მიწიერი სამოთხის აღმოჩენის ცდები, ეს ყველაფერი გარეგანი სიგიჟის ფორმებია) აქედან გამომდინარე ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით ამ მოვლენის შესახებ, ცნობილია ორადორი რამ: შინაგანი გაგიჟების რა ეტაპზე იმყოფება ადამიანი და რა არის ამ მოვლენის საბოლოო მიზანი, ჯერ საბოლოო მიზანი ვთქვათ: საკუთარ თავში სულის აღმოჩენა, ახლა ვთქვათ რა ეტაპზე ვართ: ჯერჯერობით საკუთარ თავში მხოლოდ სექსუალური მოთხოვნილებები აღმოვაჩინეთ, საინტერესო იქნება ვინმემ რომ დაწეროს „შინაგანი კამა–სუტრა“ შემდეგ ეს წიგნი შეადარონ გარეგანი სიგიჟის ეპოქაში დაწერილ „კამა–სუტრას“ და ყველაფერი ნათელი გახდება – გავჩუმდი.

– ესეიგი თქვენ ამბობთ რომ მიწიერი სამოთხის ნაცვლად ადამიანებმა საკუთარ თავში სულის ძიება დაიწყეს, მაგრამ ვინ არის იმის გარანტი, რომ მიწიერი სამოთხისაგან განსხვავებით სული მართლა არსებობს?

– უფალი ჩვენი, იესო ქრისტე.

– და ვისთვისაც ქრისტე ღმერთი არ არის?

– ასეთმა ადამიანმა არც მიწის და არც ცის შესახებ არაფერი არ იცის

– საბრალოა ასეთი ადამიანი – ამბობს ალბერტი, გველიმება

ოთახში მარი შემოდის, მარის გონია რომ მას ვუღიმით.

14.

ხელში სინი უჭირავს, სინზე ორი ფინჯანი ყავა, ფორთოხლის წვენით სავეს გრაფინი, ჭიქები წვენისთვის, შაქარი, ბუტერბროდები და ორცხობილები დევს, ორი ფინჯანი ყავა ალბერტის და ინგუნას შეკვეთაა, შაქარი ლოგიკური დამატება, რაც შეეხება დანარჩენს, ეს მარის ინიციატივაა.

მარი სინს ფრთხილად დებს მაგიდაზე, შემდეგ ყველაფერი სინიდან მაგიდაზე გადააქვს, ამას მარი ძალიან ფრთხილად და მოხდენილად აკეთებს. წელში ოდნავ მოხრილია და ტაკუნა ჩემსკენ აქვს მოშვერილი, „ხელი რომ მივუტყაპუნო მაგარი იქნება“ მეღიმება.

ალბერტი მარის ეხმარება, საშაქრეს იღებს სინიდან და მაგიდაზე დებს, მარი ალბერტს ეუბნება რომ არ შეწუხდეს, რომ თვითონ გააკეთებს ყველაფერს. ალბერტი მარის უღიმის და ბუტერბროდიან თეფშს იღებს სინიდან და მაგიდაზე დებს. „ჩემთვის დიდი სიამოვნება თქვენისთანა მშვენიერი ქალისთვის დახმარების გაწევა.“ ეუბნება ალბერტი მარის, „დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის“ ამბობს მარი, მე თქვენთვის კომპლიმენტი არ მითქვამს, მე უბრალოდ ფაქტი დავაფიქსირე.“ ალბერტი მარის უღიმის.

მე ინგუნას ვუყურებ, ინგუნას ხელში ჩანთა უჭირავს: „ჩანთა ან დადეთ იატაკზე, ან მე დავიჭერ“ ვეუბნები ინგუნას, ინგუნა თავს ჩემსკენ ატრიალებს, მიღიმის და ჩანთას იატაკზე დებს, მე და ინგუნა ერთმანეთს ვუყურებთ და ვუღიმით.

ალბერტი მარის ბუტერბროდის ინგრედიენტებს ეკითხება, მარი იგრედიენტებს თვლის: ძეხვი, პამიდორი, კიტრი, მაიონეზი. „ახლა ძეხვის, პამიდორის, კიტრის და მაიონეზის ინგრედიენტები მითხარით.“ ეუბნება მარის ალბერტი, მარი იცინის, ალბერტიც იცინის, მე ინგუნას ვუყურებ ინგუნა ხან იატაკს უცქერს, ხან მე. მარის და ალბერტს შორის აქტიური ფლირტი, ხოლო ჩემს და ინგუნას შორის პასიური ფლირტი მიმდინარეობს. მარის და ალბერტის ფლირტში ჩართულია სიტყვები, მოძრაობები, სიცილი. ჩემს და

ინგუნას ფლირტში ჩართულია ღიმილი. სხვა მხრივ ჩვენი ფლირტი მდუმარეა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ფლირტი უბრალოდ რეაქციაა მარის და ალბერტის ფლირტზე, აქედან გამომდინარე ჩვენი ფლირტი მეორადია. მეორადი ფლირტი საშინელებაა, რაც შეეხება ბუნებრივ ფლირტს, ის ყველაზე მშვიდობიანი საშუალებაა, იმისთვის რომ ადამიანმა თავისი ერთერთი ყველაზე ძლიერი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და საზოგადოებრივ ცხოველად იგრძნოს თავი.
ფლირტი ბუნებრივია, თუ მეორადი ყოველთვის მალე მთავრდება.
ალბერტი ორცხობილას ჭამს და ყავას სვამს, მეცინება, რამდენიმე წუთის წინ ბუტერბროდით იყო დაინტერესებული.
მარის ვუყურებ, მარი ბუტერბროდს ჭამს და წვენს სვამს
ინგუნას ვუყურებ, ინგუნა ორცხობილას ჭამს და ყავას სვამს
ბუტერბროდს ვიღებ და წვენს ვსვამ.
მე და მარი ბუტერბროდს ვჭამთ და წვენს ვსვამთ,
ალბერტი და ინგუნა ორცხობილას ჭამენ და ყავას სვამენ.
ყველა და ყველაფერი თავის ადგილზეა.

15.

ალბერტი ჭიქას მაგიდაზე დებს, ინგუნაც. მე ჭიქას მაგიდაზე ვდებ, მარიც. ჩემს ჭიქაში უფრო მეტი წვენია ჩარჩენილი ვიდრე მარის ჭიქაში.
ალბერტი ამბობს:
– დროა ჩვენი შემოთავაზება გაგაცნოთ
– კი, დროა – ვამბობ და ვიღიმი
– ოღონდ სანამ ჩვენ შემოთავაზებას გაგაცნობდეთ, მანამ ინგუნა მოკლე, აუცილებელ შესავალს გააკეთებს – ალბერტი ინგუნას გადაცემს სიტყვას.
ინგუნა ამბობს;
– ჩვენ, მე – საკუთარ თავზე აკეთებს მითითებას – და ალბერტი – ალბერტზე მიგვითითებს – იურმალაში დავიბადეთ – იურმალას გაგონებაზე მახსენდება ცნობილი საბჭოთა მუსიკალური ფესტივალი, ამ ფესტივალზე საბჭოთა კავშირის დაშლამდე ერთი ან ორი წლით ადრე მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა ღრმად პატრიოტული სიმღერა იმღერა და პირველი ადგილი დაიკავა. მე მაშინ თოთხმეტი ან თხუთმეტი წლის ვიყავი, სკოლიდან ვიპარებოდი მეგობრებთან ერთად და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მიტინგებს ვესწრებოდი; მახსოვს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი (ახლა ის პოლიტპატიმარია!) სოსო პავლიაშვილის სიმღერა თავისუფლებით გამოწვეულ განთიადზე იყო. იმ დროს ყველა (გარდა მერაბ მამარდაშვილისა და რამდენიმე ინტელაქტუალისა) ფიქრობდა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა მომენტალურად სამოთხედ გადააქცევდა სამშობლოს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო „ცხელ წერტილად იქცა: (ცხელი წერტილი იგივეა რაც ჯოჯოხეთი, თუმც ჯოჯოხეთი იგივე არ არის რაც ცხელი წერტილი, ჯოჯოხეთი ბევრნაირია) სამოქალაქო ომის დროს ჩვენმა მამებმა კვლავ რუსეთისკენ გაიხედეს, მათი აზრით, რუსეთს შეეძლო საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის შეჩერება. ჩვენ,

შვილებს ეს აზრი მაინცდამაინც არ მოგვწონდა და მამებს მონური მენტალიტეტის გამო ვაკრიტიკებდით, მაგრამ რეალურად რამდენად განვსხვავდებით ჩვენ ჩვენი მონური მეტალიტეტის მქონე მამებისაგან? ჩვენ ვისაც ჩვენი სტაბილურობის გარანტიად ამერიკა მიგვაჩნია, თან ეს მაშინ, როცა ამერიკული იმპერიალიზმი ფორმას და ხასიათს იცვლის და გავლენებიდან პირდაპირ დაპყრობებზე გადადის, ამერიკელები აღარავის აღარ ენდობიან და დღითიდღე სულ უფროდაუფრო ემსგავსებიან რუსებს, რაც შეეხება სოსო პავლიაშვილს ის ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს, მე პირადად მისი სიმღერები არ მომწონს, არა მგონია, რომ სოსოს სიმღერებმა სოსოზე დიდხანს გაძლონ, თუმც ვინ იცის რა როგორ იქნება ან ვინ როგორ იქნება?

16.

– ჩვენ, მე – ინგუნა საკუთარ თავზე აკეთებს მითითებას – და ალბერტი – ალბერტზე მიგვითითებს – იურმალაში დავიბადეთ, იურმალა პატარა ზღვისპირა ქალაქია ლატვიაში, არსებობს მცდარი შეხედულება, რომ ზრვისპირა ქალაქებში დაბადებული ბიჭების აბსოლუტური უმრავლესობა მეზღვაურობაზე ოცნებობს, რაც შეეხება ზღვისპირა ქალაქებში დაბადებულ გოგოებს, მათ ოცნებებზე არავინ არაფერს ამბობს, მათი ოცნებების შესახებ მცდარი შეხედულებაც კი არ არსებობს, თითქოს გოგოები არ ოცნებობდნენ – „ფემინისტია“ – ვფიქრობ, „ეხლა დაიწყებს ლაპარაკს გენდერულ ბალანსზე და რაღაც სისულელეებზე, თუმც ინგუნას მიდგომა საკითხისადმი სრულიად მისაღებია, რადგან საქმე ოცნების თანასწორობას ეხება, რა თქმა უნდა ყველა ვოცნებობთ, კაცებიც და ქალებიც, თან მე მგონი, რაც უფრო ასაკი გვემატება, მითუფრო აქტიურად ვოცნებობთ და უფრო სასოწარკვეთილად ვოცნებობთ, ამასწინათ დათოს ველაპარაკე სიტყვა სასოწარკვეთილების შესახებ და ვუთხარი, რომ სასოწარკვეთილება უნდა აღდგეს თანამედროვე ლიტერატურაში, რადგან ეს გრძნობა რეალურად არსებობს. ფემინიზმიდან ოცნებაზე გადავედი, ოცნებიდან სასოწარკვეთილებაზე, ამ სამი სიტყვიდან იქმნება ორი კატეგორია, მეოცნებე ფემინისტები და სასოწარკვეთილი ფემინისტები. ინგუნა პირველ კატეგორიას ეკუთვნის, ყოველშემთხვევაში ჩემი პირველი შდაბეჭდილება ასეთია, მეორე კატეგორიას ეკუთვნის თათია, ცოტნესთან დაშორების შემდეგ ის სასოწარკვეთილი ფემინისტი გახდა, ერთ კვირის წინ მარიმ და დათომ სკაიპში ისაუბრეს, მე სავარძელში ვიჯექი და მათ საუბარს ვუსმენდი. დათომ თქვა: „თათიამ სულ აურია.“ მარიმ გამოსავალი მოძებნა: „კაცი ჭირდება მაგას, კა–ცი“ დამარცვლა მარიმ, მე გამეღიმა, დათომ დაიჩივლა: „მერე მე საიდან მოვუყვანო კაცი?“ მარიმ კვლავ გამოსავალი მოძებნა: „შენ თვითონ ვინ ხარ?“ დათომ თქვა: „მე შეყვარებული მყავს." მარის თვალები გაუფართოვდა ინტერესისგან და ხმასაც აუწია: „ვინ შეყვარებული?“ ასე შეიცვალა თემა „კაცი თათიასთვის“ თემით „დათოს ახალი შეყვარებული“ „არი ერთი“ თქვა დათომ. „სახელი არა აქვს?“ „აქვს“ „რა ქვია?“ „ანა“ მე სავარძელში ვიჯექი დ მესმოდა როგორ ახასიათებდა დათო ანას: ლამაზია, სუფთაა, მიყვარს“...

17.

იურმალა პატარა ზღვისპირა ქალაქია ლატვიაში, არსებობს მცდარი შეხედულება, რომ ზრვისპირა ქალაქებში დაბადებული ბიჭების აბსოლუტური უმრავლესობა მეზღვაურობაზე ოცნებობენ, რაც შეეხება ზღვისპირა ქალაქებში დაბადებულ გოგოებს, მათ ოცნებებზე არავინ არაფერს ამბობს, მათი ოცნებების შესახებ მცდარი შეხედულებაც კი არ არსებობს, უფრო სწორად არ არსებობდა, სანამ პატარა გრანტი არ მოვიპოვე და კვლევა არ ჩავატარე ამ საკითხზე, გამოვკითხე არაზღვისპირა ქალაქებში დაბადებული ათასორასი ადამიანი, და იცით გამოკითხულთა ოთხმოცდაათმა პროცენტმა რა მიპასუხა – მე ინგუნას ვანიშნებ, რომ არ ვიცი – ალბათ ქალთევზობაზეო – ყველას გვეცინება, ინგუნა აგრძელებს – რეალურად ზღვისპირა ქალაქებში დაბადებული ადამიანები ოცნებობენ ზუსტად იგივე რამეზე, რაზეც არაზრვისპირა ქალაქებში დაბადებული ადამიანები, ეს რაღაცა ბედნიერებაა, ბედნიერებაზე ოცნება უბიძგებს ადამიანებს დარჩეს ან დატოვოს სამშობლო – სიტყვა სამშობლოს გაგონებაზე ვფიქრობ, რომ ინგუნა და ალბერტი ფულს მოგვთხოვენ, სამშობლო ღმერთის მერე ყველაზე კარგად იყიდება, ღმერთი და სამშობლო შეგიძლია უთვალავჯერ გაყიდო; ჩემს მოსაზრებას ალბერტის და ინგუნას ვიზიტის მიზეზზე ის უარყოფს, რომ ისინი ლატვიელები არიან, ჩვენ ქართველები; ფული საქართველოს უფრო ჭირდება ვიდრე ლატვიას – ბედნიერებაზე ოცნება უბიძგებს ადამიანებს შექმნან ოჯახი – ინგუნა ფულს არ გვთხოვს, ის განაგრძობს, – ან არ შექმნას ოჯახი და ა.შ. ჩვენ, მე – ინგუნა საკუთარ თავზე გვითითებს – და ალბერტი – ალბერტზე მიგვითითებს – ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ჩვენც ბედნიერებაზე ვოცნებობთ – პაუზა; ვფიქრობ: „რატომ გაჩუმდა, ელის რომ რაღაცას ვეტყვი? რა უნდა ვუთხრა, ხელს ხომ არ ჩამოვართმევ და მიხარია, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ–თქო ხომ არ ვეტყვი: ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი, ყველაზე არაჩვეულებრივი ადამიანიც კი ჩვეულებრივი ადამიანია; არაჩვეულებრივობა შეხედულებაა, თეორიაა, ჩვეულებრიობა მდგომარეობა.“ სწორედ ამ დროს ინგუნას ხმა მესმის, გული მწყდება, რომ ჩვეულებრივ–არაჩვეულებრივზე ფიქრი აღარ შემიძლია, რადგან ორი საქმის ერთდროულად კეთების ნიჭი არ მაქვს. ინგუნა (მე ინგუნას ვუსმენ) ამბობს – როგორც ნებისმიერ ჩვეულებრივ ადამიანს, ჩვენც ხანდახან ძალიან გვწყინდება ხოლმე ჩვენი ჩვეულებრიობა – ინგუნა ოხრავს იმის ნიშნად, რომ ხანდახან მას და ალბერტს მართლა ძალიან წყინდებათ ხოლმე თავისი ჩვეულებრიობა, შემდეგ ამბობს – მოწყენილობა კი საშინელებაა და ამიტომ საშინელი მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად ჩვენ მოვიგონეთ პროექტი, „ნიუ–იურკის მცხოვრებლების გაკეთილშობილება“. ეს ორი წლის წინ მოხდა, მაშინდელი მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად მოგონილი პროექტი თანდათან ჩვენი ცხოვრების მიზანი გახდა – პაუზა, ვფიროობ: „ცხოვრების მიზანი, ხმამაღალი ნათქვამია.“

შემდეგ ინგუნას ვეკითხები:

– შეგიძლიათ ამიხსნათ რას გულისხმობთ ნიუ–იურკის მცხოვრებლების გაკეთილშობილებაში? თუ საიდუმლოა?

არანაირი საიდუმლო – ამბობს ინგუნა, ეხლა მთავარია ინგუნა ყურებამდე არ გაიკრიჭოს, თორემ ვიფიქრებ, რომ მოთხრობაში კი არა სარეკლამო რგოლში ვარ,

სარეკლამო რგოლის პერსონაჟობა საინტერესო არ არის, იმიტომ რომ სარეკლამო რგოლის პერსონაჯები არასოდეს ფიქრობენ. ინგუნა ყურებამდე არ იკრიჭება და მე მიხარია, რომ ეს მოთხრობაა და არა სარეკლამო კლიპის სცენარი.

18.

– არანაირი საიდუმლო – ომეორებს ინგუნა და კვლავ საშიშროების წინაშე ვდგავრ, რომლის წინაშეც 17 თავის ბოლოს ვიდექი, მაგამ ინგუნა ამჯერადაც არ იკრიჭება და მე კვლავ მიხარია, რომ მოთხრობაში ვარ და არა სარეკლამო კლიპის სცენარში – ნიუ–იურკი მსოფლიოს დედაქალაქია, ეს რა თქმა უნდა დროებითი მოვლენაა და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ნიუ–იურკი ამ სტატუსს რომელიმე სხვა ქალაქს გადაულოცავს, გადაულოცავს რა თქმა უნდა ფიგურალურად, თორემ რეალურად ეს ძალიან მტკივნეული პროცესია, ამის გამო შეიძლება ომიც კი დაიწყოს. პირადად ჩემი აზრით, მსოფლიოს მომავალი დდაქალაქი რომელიმე ჩინური ქალაქი იქნება – პაუზა, ვფიქრობ: „რა საჭიროა უჩვენო მომავლის ჭვრეტა? რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აღარც მე ვიქნები, აღარც მარი, აღარც ალბერტი და აღარც თავად ინგუნა, შეიძლება აღარც ნიუ–იურკმა იარსებოს, რა საჭიროა უჩვენო მომავლის ჭვრეტა? ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს“ ინგუნა ამბობს – დროა მომავალს შევეშვათ და დღევანდელ დღეს დავუბრუნდეთ – „დავუბრუნდეთ“ ვფიქრობ: „რა თქმა უნდა აწმყოში დაბრუნება ყოველთვის პირობითია, რადგან აწმყოს რეალურად დატოვება შეუძლებელია, აწმყოს დატოვება სიკვდილია, მიუხედავად ამისა ჩვენ თითქმის იმდენივე რამ ვიცით აწმყოზე, რამდენიც მომავალზე, ჩვენ ვჭვრეტთ აწმყოს, ისევე როგორც მომავალს, ერთადერთი რაზეც თამამად შეგვიძლია ლაპარაკი ეს წარსულია, მაგრამ წარსული ძირითადად სამარცხვინო გვაქვს და ამიტომაც წარსულზე ლაპარაკი არ გვიყვარს. ადამიანები მხოლოდ მომავალში ვართ სუფთები და ღირსეულები და ამიტომაც განუწყვეტლივ ვსაუბრობთ მომავალზე. მომავალი ჩვენს თავებში არსებობს, ასე რომ მომავალი აწმყოს ნაირსახეობაა, რა თქმა უნდა არსებობს ჩვენი ცნობიერების მიღმა არსებული მომავალი, რომელიც თავისთავად ცის აწმყოა, ცის აწმყო მიწის მომავალია“ ინგუნას ხმა მესმის და რადგან ორი საქმის კეთების ნიჭი მე არ მაქვს, ფიქრს ვწყვეტ და ინგუნას ვუსმენ, ინგუნა ამბობს – ნიუ–იურკი თანამედროვე მსოფლიოს დედაქალაქია, ყველა აქეთ იხედება, ყველა აქაურებს ბაძავს, ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითებული ქვეყნების მოქალაქეები აშკარად და სიამაყით – მახსენდება ჯორჯ ბუშის ხანმოკლე ვიზიტით ხანგრძლივად აღბრთოვანებული ქართველები, მართალია ინგუნა – ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები – სასოწარკვეთილად, რადგან გრძნობენ, რომ ამერიკანიზაცია ნეგატიურია, მაგრამ გარდაუვალი მოვლენაა, ამერიკანიზაცია ამით საბჭოთა რევოლუციას გავს, ახლა მოდი ვნახოთ რა მაგალითს აძლევენ აქაურები მსოფლიოს? – პაუზა, მეც არაფერზე არ ვფიქრობ, მეც პაუზა.

19.

ინგუნა ამბობს:

– რა მაგალითს აძლევენ აქაურები მსოფლიოს? ძალიან ცუდ მაგალითს, დამღუპველ მაგალითს, არსად ისე ლოკალურად მოაზროვნე ადამიანები არ ცხოვრობენ, როგორც აქ. ამის მიზეზი რა თქმა უნდა აქაურების ამპარტავნებაა, მათთვის ხომ დანარჩენი მსოფლიო არ არსებობს, უფრო სწორად არსებობს, მაგრამ მეორეხარისხოვანი სტატუსით, და სწორედ ნიუ–იურკელების ეს ლოკალური ამპარტავნება ქმნის გლობალურ პრობლემას. მსოფლიო სულ უფროდაუფრო ლოკალური ხდება, გლობალიზაციის ძირითადი შედეგი ლოკალიზაციაა, აქაურებს შეუძლიათ ეს ყველაფერი შეცვალონ, ამისთვის ისინი უნდა გაკეთილშობილდნენ – ინგუნა ჩანთას იღებს, ხსნის, ჩანთიდან რიგრიგობით ოთხ მინიავტომატს იღებს და მაგიდაზე დებს – აქაურებს მშვიდობიანად ვერ გააკეთილშობილებ.

ავტომატების დანახვაზე სამშობლო მახსენდება: კერძოდ 1991–1995 წლების საქართველო, ჭაობისფერ სამხედრო ფორმებში ჩაცმული გვარდიელები და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი „მხედრიონელები“. ქუჩებში მორახრახე ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. აქეთ–იქით მიყრილი გვამები, ავტომობილებში თავისივე კოლეგების მიერ ჩაცხრილული წონიანი გვარდიელები და „მხედრიონელები“, იოსელიანი, კიტოვანი, სიგუა, შემდეგ ამათ დაემატა შევარდნაძე; ყველგან ყველა ახსენებს: სამშობლოს და საქართველოს, ალბათ სწორედ ამ დროს შემძულდა ეს ორი სიტყვა და შემდეგ წლები დამჭირდა ამ სიძულვილის დასაძლევად. იოსელიანი გარდაიცვალა, დატოვა მემუარული წიგნი „სამი განზომილება“ წაიღო უამრავი ცოდვა, კიტოვანი მოსკოვშია, ხანდახან ტელეხიდებში მონაწილეობს, რაც იყო ისევ ის არის, ამბიციური ნოლი. სიგუას საუკეთესო მეგობრები ყოველთვის ციფრები იყვნენ და ახლა ის ციფრების წინაშეა დარჩენილი, შევარდნაძე პენსიაზეა და ცრუ მემუარებს წერს. გადარჩენილი „მხედრიონელები“ პარლამენტარები გახდნენ, გვარდიელებმა ვერ ივარგეს, მხედრიონი უფრო იტელექუალური ორგანიზაცია იყო, ვიდრე გვარდია, აქედან გამომდინარე ისინი უფრო დახვეწილი მკვლელები და ბიზნესმენები იყვნენ, ვიდრე გვარდიელები. გვარდიელები უფრო პრიმიტიულად კლავდნენ და უფრო პრიმიტიულად აწარმოებდნენ ბიზნესს, რა თქმა უნდა ასეთი მეთოდებით ისინი შორს ვერ წავიდნენ, მხედრიონელები კი მუდამ კომბინაციებს ათამაშებდნენ, დღეს ისინი ლიბერალურ დემოკრატიას და ჩრდილო–ატლანტიკურ კედელს არიან ამოფარებულები, ეს ბერლინის კედელზე გაცილებით მსხვილი კედელია, რომელიც შევარდნაძემ ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ საქართველოში ააშენა.
ინგუნა ცარიელ ჩანთას იატაკზე აგდებს, იატაკზე ცარიელი ჩანთის მსუბუქად დაცემის ხმა მესმის, ვხვდები, რომ შესავალი დასრულდა.

20.

ალბერტი ამბობს:
– დროა გაგაცნოთ ჩვენი შემოთავაზება, გთავაზობთ ავიღოთ ავტომატები, გავიდეთ ქუჩაში და ავტეხოთ უმისამართო, მაგრამ ამავედროს გამიზნული სროლა გლობალური ლოკალიზაციის წინააღმდეგ...

ალბერტს სიტყვას ვაწყვეტინებ.
– რომ გითხრა რომ საერთოდ არ მაღელვებს ეგ გლობალიზაცია–ლოკალიზაციის პრობლემა და აქედან გამომდინარე თქვენს შემოთავაზებაზე უარს ვამბობ, რა მოხდება?
– რა მოხდება და – ალბერტი მიღიმის – ჩავალაგებთ ავტომატებს ჩანთაში, წავალთ, მოთხრობაც დამთავრდება და ჩვენ რეალური ადამიანები ვიქნებით, ვიქნებით მეზობლები, მე და შენ ვიმუშავებთ მშენებლობაზე, ავაშენებთ სახლებს, რომლებშიც ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ, ჩვენი ცოლები ივლიან თავიანთ სამსახურში, მოუვლიან ბუზღუნა პენსიონერებს: თავი გამიმშრალე, ზურგი მომფხანე, ტრაკი გამომიწმინდე. შენი უარით ჩვენ პარალელურ საარსებო სივრცეს ვკარგავთ, გაიხსენე მოთხრობის დასაწყისი, როგორ ეფერებოდი და როგორ გეფერებოდა მარი, რეალურად რამდენი ხანია სექსი არ გქონია მარისთან?
– ეგ არ არის შენი საქმე – ყვირის მარი და ასე ამბობს, რომ დიდი ხანია.
– დაწყნარდი – ალბერტი მხარზე ეფერება მარის – არც მე და ინგუნა ვართ უკეთეს დღეში
– რაიმე სხვა გამოსავალი რომ მოვიფიქროთ? რა აუცილებელია მაინცდამაინც ქუჩაში გასვლა და სროლის ატეხვა – ვეუბნები ალბერტს
– სხვა გამოსავალი ამ მოთხრობაში არ არსებობს, ან ქუჩაში გავდივართ, ან მოთხრობა მთავრდება.

21.

დათოს და ანას პაემნები ერთფეროვანი პაემნებია, მაგრამ სიყვარულის ერთერთი მთავარი თვისებაც ხომ ეს არის, გარკვეულ ტიპის ერთფეროვნების მოუბეზრებლობა კონკრეტულ ადამიანთან. დათოსთვის ეს კონკრეტული ადამიანი ანაა, ანასთვის – დათო. გაივლის დრო და პაემნების ერთფეროვნებას სხვა სახის ერთფეროვნება შეცვლის, მაგალითად ოჯახური ცხოვრების ერთფეროვნება, შეიძლება ითქვას, რომ ის რასაც ცხოვრების მრავალფეროვნებას ეძახიან, სხვდასხვა ტიპის ერთფეროვნების მონაცვლეობით იქმნება, თუმც ისე შეიძლება მოხდეს, რომ ეს ერთფეროვნება დათოს და ანას ცხოვრებაში ბოლო იყოს, არაფრის გამოსვლის და დაშლის შიში მათ ურთიერთობას თანსდევს, ამის მიზეზი წარსულში განცდილი იმედგაცრუებაა.
დათო და ანა სკვერში სხედან, დათოს ხელში ფურცლები უჭირავს და რიგრიგობით კითხულობს, ანა სიგარეტს ეწევა და თან დათოს უყურებს, როგორ კითხულობს რიგრიგობით ფურცლებს; დროდადრო დათოს ეღიმება, ხანდახან ოდნავ ეცინება კიდეც, მაგრამ ძირითადად მაინც სერიოზულია.
ანა სიგარეტს ფერფლავს და დათოს ეკითხება:
– რას კითხულობ არ მეტყვი?!
დათო თავს წევს, ანას უყურებს და პასუხობს:
– ჩემმა მეგობარმა ამერიკიდან მოთხრობა გადმომიგზავნა, მე ხო იცი მონიტორზე კითხვა არ შემიძლია, ამოვბეჭდე და ვკითხულობ, მერე შენც წაგაკითხებ.
– ღირს წაკითხვა? – ეკითხება ანა

– კი – ამბობს დათო – ღირს, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მთელი ოცი თავი მოთხრობის ავტორი მკითხველს მე ვგონივარ, ოცდამეერთე თავში ირკვევა, რომ ავტორი სანდროა, ჩემი მეგობარი, რომელიც ამერიკაშია
– როგორ ირკვევა?
– მე ვამბობ.
– ოო, შენ თუ ამბობ დასაჯერებელი არ არის.
– შენ თუ ამბობ მაშინ დასაჯერებელი არ არის – ვაჯავრებ ანას – ვითომ რატომ?
– იმიტომ! – ანა ენას მიყოფს – ტყუილები გიყვარს
– მართლა სანდროს მოთხრობაა – ვამბობ მე.

22.

მეორე დღეს მე და ალბერტი ტრადიციულად ლიფტთან ვხვდებით ერთმანეთს. მე ალბერტს ვესალმები, ალბერტი მე არ მესალმება. ამით მანიშნებს, რომ ჩემზე ნაწყენია.
ლიფტი ჩერდება, კარი იღება და ჩვენ კაბინეტში შევდივართ. კარი იხურება, ალბერტი მარჯვენა ხელის ცერა თითს ღილაკს აჭერს და კაბინა ქვევით ეშვება. ალბერტი სახეზე არ მიყურებს:
– გამებუტე? – ვეკითხები
ალბერტი არც მიყურებს და არც არაფერს მეუბნება, ლიფტი ჩერდება, კარი იღება, ჩვენ კაბინიდან გამოვდივართ და გასასვლელისკენ მივდივართ. ლიფტის კარის დახურვის ხმა მესმის, ქუჩაში გავდივართ და ავტობუსის გაჩერებაზე ვდგებით. ავტობუსის გაჩერებაზე ჩვენს გარდა სხვებიც დგანან, ძირითადად შავკანიანები. ჩვენი ავტობუსი მოდის, ჩვენ ავტობუსში ავდივართ ავტობუსი თითქმის ცარიელია, ვსხდებით, ალბერტი ფანჯარასთან ზის, მე ალბერტის გვერდზე – ალბერტი მე არ მიყურებს, ალბერტი ფანჯარაში იყურება.
– შევრიგდეთ – ვთხოვ ალბერტს
– ხომ ხვდბი, რომ ცუდად მოიქეცი – მეუბნება ალბერტი.
– შენ რომ გაწყენინე კი, მოთხრობა რომ არ გავაგრძელე – არა, შევრიგდეთ – ხელს ვუწვდი ალბერტს.
– შევრიგდეთ, ოღონდ ერთი პირობით, ახალ მოთხრობაზე იფიქრე – მე თავს ვუქნევ ალბერტს იმის ნიშნად, რომ ახალ მოთხრობაზე ვიფიქრებ, ალბერტი ხელს მართმევს, შევრიგდით – გუშინ დავითვალე, თხუმეტი მოთხრობა გაქვს უკვე გაფუჭებული – ალბერტი მიღიმის, მეც ვუღიმი.
ვიღიმით.

23.

გასახდელში ვართ, ვიცვლით, სამოქალაქო ტანსაცმელს ვიხდით და სამშენებლო ფორმას ვიცმევთ, გულზე და ზურგზე სამშენებლო ფირმის სახელწოდება გვაწერია; გულზე აბრევიატურა, ზურგზე
სრულად, ზუჩებს ვიხურავთ და სამშენებლო ტერიტორიაზე გავდივართ, ჩვენ ვაშენებთ სახლს, რომელშიც ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ. მე და ალბერტი ურიკებს დავათრევთ.

ტექნიკამ ძალიან ბევრ რამეში ჩაანაცვლა ადამიანი, მაგრამ ურიკების გაგორ–გამოგორება ჯერჯეროობით არავის არ შეუძლია, ცირკის გაწვრთნილ დათვებს თუ არ ჩავთვლი, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის კონკურენტები არ ვართ.
ურიკა დანიშნულების ადგილზე მივაგორე, ვცლი, ცარიელი ურიკის შესავსებად ბაზაზე ვბრუნდები, გზაში ალბერტი მხვდება და მანიშნებს, რომ შევჩერდე, ვჩერდები, ალბერტიც ჩერდება, ის ბაზიდან მოდის.
ალბერტი მეუბნება:
– ახალი მოთხრობის დასაწყისი მოვიფიქრე, მომისმინე – ვუსმენ – კაცი მშენებარე სახლის ბოლო სართულზე დგას, მიწამდე დაახლოებით 25 მეტრია, ქვევით პოლიციელები, ჟურნალისტები და უსაქმურები დგანან, მათ გონიათ, რომ კაცი თვითმკველობას აპირებს. პოლიციელები საკუთარ მოვალეობას ასრულებენ და კაცს თხოვენ თავი არ მოიკლას. ჟურნალისტებს ურჩევნიათ, რომ კაცმა თავი მოიკლას, ასე უფრო კარგი რეპორტაჟი გამოვა, სისხლი, ტვინგასხმული ადამიანი, უფრო ეფექტურია, ვიდრე ჰეფიენდი, აი, ნახავ ჰოლივუდი თანდათან ჰეფიენდიდან ტანდათან მთლიანად სპეცეფექტებზე გადავა რამდენიმე ათეულ წელიწადში. დავუბრუნდეთ მოთხრობის დასაწყისს: უსაქმურებისთვის სულერთია გადმოხტება, თუ არ გადმოხტება კაცი, კაცს ხელში პლაკატი უჭირავს, პლაკატზე დიდი ასოებით წერია: სიყვარული. კაცი პლაკატს ხან ცისკენ იშვერს ხან მიწისკენ, აი აქ ვარ გაჩერებული. – ალბერტი მიღიმის
– იცი რა მაინტერესებს, ეგ კაცი მე ვარ თუ შენ? – ვეკითხები ალბერტს მე.
– ჯერჯეროობით არ ვიცი – მპასუხობს ალბერტი მე – მოდი იცი რა ვქნათ, სამსახურის შემდეგ ბარში წავიდეთ, ცოტა დავლიოთ და თან გადავწყვიტოთ შენ ხარ ეგ კაცი, თუ მე ვარ.
ალბერტი ურიკის დასაცლელად იწყებს მოძრაობას, მე ურიკის შესავსებად.

24.

ბარში ყაყანია, კუთხეში ვსხდებით, ალბერტი არაყს და ლუდს უკვეთავს, ვსვამთ, არაყზე ცოტა ვიღრიჯებით, ლუდი დაღრეჯილობას გვიქრობს, ლუდი ცივია და გემრიელი. ალბერტი შეკვეთას იმეორებს, არაყზე კვლავ ვიღრიჯებით, ლუდი კვლავ გვიქრობს დაღრეჯილობას, ლუდი კვლავ ცივია, მაგრამ პირველი კათხასავით გემრიელი ვერ არის. ეს იმიტომ, რომ მეორე პირველი არ არის და ვერც გახდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე უკანასკნელი არ არის, რადგან მხოლოდ უკანასკნელები გახდებიან პირველები. ჩვენ მეორე კათხაზე არ ვჩერდებით, ალბერტი შეკვეთას იმეორებს, ოღონდ არყის გარეშე, ლუდს ვწრუპავთ.
– ძალიან დაღლილი ვარ, ხვალისთვის გადავდოთ მოთხრობაზე ფიქრი – მეუბნება ალბერტი – თანახმა ვარ – ვეუბნები.
კაცი მშენებარე სახლის ბოლო სართულზე დგას. არც სახელი აქვს და არც გვარი. ხელში პლაკატი უჭირავს, პლაკატზე, ერთადერთი სიტყვა, სიყვარული წერია, კაცი პლაკატს ხან ცას უშვერს, ხან მიწას. ქვევით პოლიციელები, ჟურნალისტები და უსაქმურები დგანან, ისინი ფიქრობენ, რომ კაცი თვითმკვლელობას აპირებს პოლიციელები სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებენ და თხოვენ თავი არ მოიკლას, ჟურნალისტებს ურჩევნიათ, რომ კაცი გადმოხტეს, უკეთესი რეპორტაჟი გამოვა, უსაქმურებისთვი

სულერთია გადმოხტება კაცი თუ არ გადმოხტება, და უცბად, ყველაფერი ხვალისთვის გადაიდო, ყველა უკმაყოფილოა, კაცი, პოლიციელები, ჟურნალისტები ჯუჯღუნებენ, უსაქმურებიც.

25.

პირადად მე ერთადერთი რაც ახალი მოთხრობის დასაწყისში მომწონს სიტყვა სიყვარულია, მაგრამ ხვალ ეს სიტყვა შეიძლება სხვა სიტყვით შეიცვალოს. მოკლედ, ყველაფერი ხვალ გაირკვევა, რა თქმა უნდა ხვალ, ყველაფერი თუ ზეგისთვის არ გადაიდო.

26.

დათო ფურცლებს უწვდის ანას, ანა ფურცლებს ართმევს დათოს, ჩანთას ხსნის, ფურცლებს ჩანთაში დებს და ჩანთას კეტავს.
– ხვალ წავიკითხავ – ამბობს ანა
– ხვალ თუ ზეგისთვის არ გადადე, – ეუბნება დათო და უღიმის, მარჯვენა ხელს თავზე უსვამს ანას – წავედით?
– წავედით – პასუხობს ანა
დათო და ანა დგებიან და ნელ–ნელა გადიან სკვერიდან. სკვერიდან გამოსულები სამარშუტო ტაქსს აჩერებენ, ანა სამარშუტო ტაქსში ადის, დათო არა, დათოს სხვა ნომერი აწყობს, ანა ფანჯარასთან ჯდება, დათო და ანა ერთმანეთს ემშვიდობებიან, ხელებს უქნევენ ერთმანეთს.
ხვალამდე.

ქეთი თუთბერიძე

მე და ინა

I

დღეს დილით ადრე კლინიკიდან დამირეკეს, შენი ნახვა უნდათო. როგორც კი ტელეფონის ყურმილი დავკიდე, დაჭყლეტილი კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე და გამახსენდა, რომ დღეიდან აღარ უნდა მომეწია. მაინც მოვწიე. ხვალიდან თავს დავანებებ.
მგონი თოთხმეტი წლის ვიყავი უჩვეულო ტკივილი რომ ვიგრძენი მუცლის არეში და სისველე ფეხებშორის. სკოლის ტუალეტში შევედი და მეწამული სითხის დანახვაზე პირიდან უცნაური ბგერები გადმომიცვივდა. სწრაფი ნაბიჯით მივდიოდი სახლისკენ. თხუთმეტი წუთის მანძილზე ვფიქრობდი, რომ სახლამდე ვერ მივასწრებდი, მოვკვდებოდი და მეც ჩემივე უბნის სასაფლაოზე დამასაფლავებდნენ. საკუთარი პროცესია წარმოვიდგინე და საფეთქლებზე ცივმა ოფლმა გამოჟონა. იმ დღეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საზამთროების გამყიდველ შუახნის კაცს არ მივესალმე. არც შემიმჩნევია, არადა მის სტაფილოსფერ 06 მარკის ჟიგულსა და დაახლოებით იმავე ფერის თმას კილომეტრებიდან ვცნობდი ხოლმე.
სადარბაზოსთან ნაჭრის გასაშლელ სკამზე ჩემი და – ინა იჯდა და მომწვანო კამფეტს წუწნიდა. პიტნის სუნი მეცა, მამა გამახსენდა. ყოველთვის, როცა სამსახურიდან ბრუნდებოდა რომბის ფორმის პიტნის კამფეტები მოჰქონდა ჩვენთვის. მე მამა კარგად არ მახსოვს, თუმცა მისი პორტრეტის აღდგენა ჩემს გონებაში ყოველთვის გრძელი, შავფრჩხილებიანი თითებით იწყება. ინა იცინოდა. ინა თითქმის ყოველთვის იცინის, ხმამაღლა იცინის და ყველაზე მცირედითაც კი ბედნიერია. ყოველ დილით, თუ არ წვიმს, გარეთ გამოდის, დედა უდგამს თავის ნაჭრის სკამსა და პლასტმასის მრგვალ მაგიდას რამდენიმე მისთვის აუცილებელი საგნით და დროდადრო ფანჯრიდან უთვალთვალებს. მეცოდება დედა. ყოველთვის მეცოდებოდა. მთელი დღეები იჯდა ჩემი და ეზოში და ქაღალდის სამყაროს ქმნიდა. მისთვის აუცილებელი საგნები იყო მაკრატელი, თაბახის ფურცლები და ფერადი ფანქრები. ინა ქაღალდისგან თოჯინებს ჭრიდა. მერე კაბებს უფერადებდა და ნაკვთებს ახატავდა – ერთი ვერტიკალური ჯოხი ცხვირი, ერთიც ჰორიზონტალური პირი, ორი შავი წერტილი კი თვალები. ასე გამოიყურებოდნენ მისი ბავშვები. თუმცა ზოგ მათგანს თვალებს საერთოდ არ ახატავდა. ამით ვხვდებოდი, რომ ინამ მოიწყინა. ინა ავად იყო, თანდაყოლილი ტრავმით დაიბადა ანუ ერთი ქრომოსომით მეტი ჰქონდა ვიდრე მე. იმ დღესაც, როცა საუკუნოვანმა ქალურმა წყევლამ მეც მიწია, ინას ოცამდე ქაღალდის გოგონა გამოეჭრა და არცერთ მათგანს არ ჰქონდა თვალები, პირი კი ლათინურ „ო“–ს მიუგავდათ. ეს ახალი ემოციები იყო მათთვის ანუ ინასთვის, იმიტომ რომ ყველა მათგანი რეალურად ჩემი და იყო. ესაა მხოლოდ, რომ მათ ფრენა შეეძლოთ.

II

ხვალ საავადმყოფოში მივდივარ. გარეთ გრილა. ალბათ ჩემს ნაცრისფერ პალტოს ჩავიცვამ, თმას ავიწევ და ასე გავეცნობი მათ. დაჟინებით ითხოვენ ჩემთან შეხვედრას, ალბათ ძალიან ეჩქარებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადაპტაციას ვერც კი მოვასწრებ ჩემს იდეებთან და უმალ რუტინის შეცვლა მომიწევს. რა გაეწყობა, დილით ექვს საათზე ავდგები. საათნახევარი მჭირდება მოსამზადებლად, ერთი საათიც გზისთვის. ისე რა უცნაური ტრანსპორტია ეს მეტრო – სპეციფიური ადამიანების სპეციფიური სუნით გაჟღენთილი. თანაც იმდენად შორს ხარ ქალაქისგან, რომ ზოგჯერ მგონია, ყველაზე დიდი მოგზაურები ისინი არიან, ვინც ხშირად მგზავრობენ ამ ტრანსპორტით. ხვალ ექვსზე გავიღვიძებ და ცხრა საათზე უკვე იქ ვიქნები, დანიშნულების ადგილას. ხვალ წვიმიანი ამინდია გამოცხადებული. არ მიყვარს შემოდგომა და მისი ფერები, რომელსაც იძულებით დაათრევს ეს სეზონი სქელი თოკით თითებზე გამობმულს. დღეს თმა უნდა შევიღებო და რომელიმე მრავალჯერ ნანახ ფილმს ვუყურო, სავარაუდოდ ჟორჟ მელესის „Le voyage dans la Lune“-ს. მე და ინას ბავშვობიდან გვიყვარდა მუნჯი ფილმები და მათი თვალებდაჭყეტილი პერსონაჟები, აჩქარებული ნაბიჯებით რომ დარბოდნენ და თევზებივით ასავსავებდნენ პირებს. ხანდახან ეს უცნაური არსებები საოცრად მაგონებდნენ ინას ქაღალდის გოგონებს. თითქოს მუნჯი ფილმის პერსონაჟებისთვის სული რომ შეგებერა, გაფრინდებოდნენ.

მე უკვე ხუთსართულიან თეთრ შენობასთან ვიდექი. კიბეებზე ასვლისას უკან გავიხედე. მანქანები დამპალი ვაშლის გარშემო მოგროვილ მატლებს ჰგავდნენ. საავადმყოფო ყარდა. თითქმის ყველა კედელი დაბზარულია. ბოლო სართულზე ავედი, რაღაცნაირად უცხო გავხდი. აქ სხვა განზომილება დამხვდა, ქვედა სართულებს საერთოდ არ ჰგავდა. მოგლეჯილია თითქოს და ჰაერში კიდია, როგორც ცალკეული მეხუთე სართული ყოველგვარი საძირკვლისა და საყრდენების გარეშე. არცერთ კედელზე არ იყო ბზარი. ეს სხვა განზომილებაა – რბილი, ფერადი სავარძლები მისაღებში და მანეკენივით მუდამ მომღიმარი ლამაზი, პროვინციული იერის გოგო. ცოტა ხნით სავარძელში ჩავჯექი, პულსი ჩვეულებრივზე სამჯერ ძლიერად მიცემდა. ჩემს პირდაპირ ექიმი იჯდა, წაბლისფერი თმა ჰქონდა, რაც შევამჩნიე, და სათვალე ეკეთა. ზუსტად მისი კლონია, ვფიქრობდი, ზუსტად იმ ექიმის კოპირებაა, ინას რომ სტუმრობდა ხოლმე რამდენიმე თვეში ერთხელ. როგორი უცხო ვიყავი ამ ოთახისთვის, ამ შენობისთვის! ექიმი მელაპარაკებოდა, კითხვებს მისვამდა, მე ვპასუხობდი და სხვა ენაზე ვესაუბრებოდი თითქოს. სხვა მხრიდან მესმოდა ჩვენი ბგერები. იქაურობა სხვა განზომილება იყო; ჩაკეტილი კარი, ოთახიდან მიწის მიზიდულობა საერთოდ არ იგრძნობოდა. ექიმი მაფრთხილებს, რომ რამდენიმე წამში მათ შევხვდები.
საშინლად უცხო ვარ ამ ყველაფრისთვის. მიწასთან კავშირი დავკარგე.

III

თეთრშარფიანი ქალი ძალიან ჰგავდა ასტა ნილსენის პერსონაჟს ურბან გადის ერთ–ერთი მუნჯი ფილმიდან. რატომღაც მომინდა მეთქვა, იცით, თქვენ ასტა ნილსენს გავხართ, მაგრამ გადავიფიქრე. მის ქმარს ღია ფერის თმა და მრგვალი სახე ჰქონდა, მოკლე თითები და გაპრიალებული ფრჩხილები. ხოლო მისი ფეხსაცმლის ფერი და ქურთუკის მატერია მისსავე პროვინციულ წარმომავლობას უსვამდა ხაზს. ეს კაცი არავის ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, კინოდან ტყუპისცალი ვერ შევურჩიე. იცით, თქვენ არც არავის გავხართ. წარმოვიდგინე ასე რომ მეთქვა ამ პატარა წითელი კაცისთვის, რომელიც შეუდარებლად გამოადგებოდათ გოლიათებს ლოტოს სათამაშოდ, და ამაზე უნებლიედ გამეცინა. ჩემი ასეთი საქციელი კი გაკვანძული ძაფის გახსნას ჰგავდა. ვიგრძენი, როგორ ერთბაშად მოეშვა თეთრშარფიანი ქალის სხეული, კისერზე ამობერილმა ძარღვებმა გაფერმკრთალება დაიწყო. ექიმი ინკვიზიტორს მაგონებდა. ყველა ადამიანი ინკვიზიტორია, ვინც დისკომფორტს ქმნის!

მაინც უცხო ვიყავი ამ ყველაფრისთვის.

დიდხანს გაგვიგრძელდა საუბარი. ყრუდ მესმოდა მანქანების ხმაური, რასაც სასიცოცხლო იმპულსები მოჰქონდა ჩემამდე. ერთი სული მქონდა გარეთ გავვარდნილიყავი და მცოდნოდა, რომ ეს შენობა აღარასოდეს მიმაბრუნებდა თავისკენ.

როგორც მერე თავად თეთრშარფიანი ქალისგან შევიტყვე ტელეფონით, თავისი წითელი მეუღლე მეგობრის ბაბუის პანაშვიდზე გაიცნო ათი წლის წინათ. ამას მოჰყვა ოჯახური სადილი, თაიგულები, ტკბილეული, მეგობრებისა და ნათესავების მიერ წაკითხული მერკანტილისტური ნიშნების მატარებელი ლექციების მოსმენა და, რაღა თქმა უნდა, ჰეფი ენდი ანუ ქორწილი. არაფერი იყო ამაში უჩვეულო ჩემთვის; არც „ასტას“ სევდიან ხმას აღვუშფოთებივარ. ჩვეულებრივი, ქართული ტრადიციაა გარიგება, ისევე, როგორც სამარხვო ნამცხვრების ჭამა მძიმე მარხვისას და მრავალი სხვა „მორალისტური“ ტრადიცია თუ რიტუალი, რომელსაც ჩვენი ძველი სისხლი ვერაფრით ფილტრავს. ქორწინებიდან პირველი ხუთი წლის მანძილზე, ყოველ თვე ერთსა და იმავეს ეკითხებოდა „ასტას“ თავისი დედამთილი. „ჩემო ლამაზო, თვიური ხომ არ დაგერღვა?“ ან „ძვირფასო, ხომ არ გადაგიცდა?“. ამ ფაქტების მოყოლისას თეთრშარფიან, მუნჯი ფილმის პერსონაჟს ხმა უკანკალდებოდა (თითქმის ყოველი საუბრის ბოლოს ამ ისტორიას იხსენებდა), მე კი ჩემი პირველი შეგრძნებები მახსენდებოდა სკოლის ტუალეტში. წითელი ფერი მაშინ შემზიზღდა. და საერთოდ, ფერები არ მიყვარს. ალბათ ამიტომაც ვუყურებ მხოლოდ შავ–თეთრ ფილმებს.

საბოლოოდ, ეს ისტორია იმით დასრულდა, რომ უშვილიშვილოდ დაბერებული დედამთილი ასთმით გარდაიცვალა. თანაცხოვრების მეათე წელს კი „ასტა“ მიხვდა, რომ დედობა აუცილებელი ყოფილა, რომ მისი მარტოობა მხოლოდ უშვილობით არის გამოწვეული და ბავშვი ყველაფერს შეცვლის მათ ოჯახურ ცხოვრებაში.

– მე სახლში მყავს სამი კატა და ორი თუთიყუში. ყოველ ახალ წელს მჩუქნიან ახალ ცოცხალ არსებას, მაგრამ ახლა შვილი მინდა. ჩემი ქმარი დამპირდა, რომ დაბადების დღისთვის ამ ბედნიერებას მაღირსებს. – ეს იყო ყველაზე მოულოდნელი და გულწრფელი სიტყვები, რაც კი ოდესმე მომისმენია ქალისგან. შვილი, ანუ საახალწლო ან საშობაო ან ჩვეულებრივი საჩუქარი; საუკეთესო საჩუქარი ანუ შვილი.

შვილი უბრალოდ ევფემიზმია მათთვის, გასართობი სჭირდებათ და პატრონი სიბერეში. უმარტივესი განტოლებაა – ერთმოქმედებიანი, რომელსაც ნებისმიერი ამოხსნის.
ასე დავუკავშირდით ერთმანეთს მე, „ასტა“ და წითელი კაცი. მათ დიდი სიხარულით ამირჩიეს თავიანთ ჭურჭლად.

IV

რამდენიმე წლის წინ მე და ჩემი მეგობარი ბიჭი პარაშუტით გადმოვხტით. იმ ასაკში ექსტრემალური შეგრძნებების ძიებაში ვიმყოფებოდი. შემდეგ ყველანაირმა გატაცებამ გადამიარა. ეს ის ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ბოლო ხმაზე ვკიოდი და ცრემლები მომდიოდა. ჰაერში არ მჭირდებოდა თავის ჩარგვა ბუმბულებით გატენილ ბალიშში და იმაზე ფიქრი, რომ დედას გავაღვიძებდი ჩემი ქვითინით. ოთახის ის კედელი, რომელთანაც ჩემი ლოგინი იდგა, ერთი უცნაური კაცის კედელს ებჯინებოდა. რაც თავი მახსოვს ამ კაცს „კედლის მეზობელი“ ერქვა. მისი სახელით არასოდეს დავინტერესებულვარ. ყოველ საღამოს პიანინოზე უკრავდა ან თავის გაძვალტყავებულ კატას ეჩხუბებოდა. დილაობით კი ფარეხში ჩადიოდა და ახალგაზრდობაში ნაყიდ ძველისძველ თეთრ მანქანას ქოქავდა. გარეთ არც გამოყავდა, უბრალოდ ქოქავდა და კმაყოფილებით აღსავსე სახით სახლში ბრუნდებოდა. ყოველთვის, როცა ლოგინში ვწევარ და მეტირება, ის კაცი მაგონდება კლავიშებზე აღებული აკორდებითა და ყურთასმენის წამღები ძრავის გრუხუნით. პარაშუტით რომ ვხტებოდი, მაშინაც მომაგონდა ჩემი უცნაური მეზობელი და კიდევ ბევრი რამ. ფრენა ხილვებს იწვევს თურმე.
ახლაც ასე მოხდა, თუმცა პატარა სახლებისა და კაკაოსფრად დალაქავებული მიწების ნაცვლად, ერთმანეთში განსხვავებული კადრები ირეოდა – ანალიზები, ექიმები, სინჯარები, მინის ბოთლები, სხვადასხვა ფერის და ზომის ტაბლეტები, უნაყოფო ცოლ–ქმარი, აუტანელი რიტუალები და ახალი სუნთქვა.
პირველი რამდენიმე კვირა ძირითადად ვიწექი. ერთბაშად უცხო გავხდი საკუთარი სახლისთვის, მეგობრებისთვის და, საერთოდ, მთელ სოციუმს გავუუცხოვდი. ვიწექი და ზღაპრებს ვკითხულობდი. წინ კი ცხრა მთა და ცხრა ზღვა მელოდა, რომელსაც ან გადავივლიდი ან არა.
ტელეფონმა დარეკა. ეს გაბმული ზარიც კი მაღიზიანებდა. ყველაფერზე მეტირებოდა. ის ქალი იყო, ვის საჩუქარსაც მე ვინახავდი დროებით. ხშირად მირეკავდა, თითქმის ყოველდღე. გვერდით კედელზე ჭიკარტებით ინას ყვითელკაბიანი ქაღალდის თოჯინები მქონდა გაკრული. არ მიყვარს ყვითელი ფერი, საერთოდ ფერებს ვერ ვიტან, მაგრამ ეს გოგოები ძალიან მიყვარდა. ამ კედელს ინას კუთხეს ვეძახდი.
იმ დღეს არ ციოდა.
დედა ფაფას ხარშავდა სამზარეულოში. მე ჩემს ოთახში ვიწექი და მუსიკას ვუსმენდი, მგონი „Porgy and Bess“– ს. მიყვარს გერშვინი. მერე ჩამეძინა. დედა ყვიროდა. ნაბიჯების ხმა მესმოდა. ვერ ვფხიზლდებოდი. დერეფანში შუქი აანთეს. დედა კიოდა. იმ დღეს ჩვენთან ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. კედლის მეზობელმა დაკვრა შეწყვიტა; აღარც კატას ეჩხუბებოდა.

ინა მამას გვერდით დაასაფლავეს. არ ციოდა, მაგრამ რაღაცნაირად უჩვეულო და უფერული ამინდი იყო. მთელი გზა ვამთქნარებდი. იმ დღის მერე დედას კარადაში ყველა მის ღია ფერის კაბას ჩრჩილი შეესია. ჩვენ სახლში ასამდე ქაღალდის გოგო ცხოვრობდა და ყველა მათგანს ინა ერქვა. ყველას სხვადასხვა ფერის ტანსაცმელი ეცვა თითქმის და მაინც ინას ჰგავდნენ.

_____

თითები მეყინება ხოლმე, ფეხებზეც და ხელებზეც. ონკანში ცხელი წყალი არ მოდის, არც ადრე მოდიოდა, მაგრამ ადრე ქვაბებით ვაცხელებდი და ასეთი პირობები სულაც არ იყო გაუსაძლისი ჩემთვის. გარეთ არ ცივა, მაგრამ მაინც ცუდი ამინდია. ოთახებში დავბოდიალობ.

V

არ მახსოვს როგორ გავიდა ზამთარი. დროის უმეტეს ნაწილს სახლში ვატარებდი. ის კი ვიცი, რომ არა ეს უპატრონო ბავშვთა სახლი ჩემს მრავალგანზომილებიან საშვილოსნოში, უსათუოდ გადავხტებოდი მერვე სართულიდან. ქალაქის ცენტრიდან მოშორებით ვცხოვრობ, პერიფერიაში, ასე ვთქვათ. ამიტომაც იყო, ჩემი შვილის დედა, უფრო სწორად, ჩემი დროებითი ბინადრის ნამდვილი დედა, ყოველ დარეკვაზე მოკრძალებულად რომ მეუბნებოდა – მანქანა ხომ არ გჭირდება, ექიმთან იყავით, ვიტამინებს ხომ იღებთ, შუქი ხომ გაქვთ, წყალი? საბოლოოდ, ექიმს დაჟინებით მოვთხოვე, დასვენება მჭირდება და მაგ ქალს უთხარი ცოტა ხანი დამასვენოს–თქო. თხოვნა დამიკმაყოფილეს. როგორც იქნა ამოვისუნთქე.
მას შემდეგ რაც ცოტა გავიზარდე, დედაჩემი სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. წელიწადში ორჯერ–სამჯერ ჩავდივარ ხოლმე. წელსაც ვაპირებდი, მაგრამ ვეღარ მოვახერხე. ცოტა ხნის წინ დავურეკე. ხუთი წუთი მის საყვედურებს ვისმენდი, ბოლოს მშვიდი ხმით ვკითხე:
– დედა, გიყვარდი? – ძალიან დაიბნა. კითხვა გავუმეორე, ამჯერად ცოტა უფრო ვრცლად და კონკრეტულად. მასთან ლაპარაკის დროს ქვედა ტუჩს და ფრჩხილს ვიკვნეტდი ცერა თითზე.
– სანამ გამაჩენდი, უკვე გიყვარდი, დედა? – როცა პასუხი ვერ მივიღე, მე თვითონ შევცვალე საუბრის თემა და მისი ჯანმრთელობის ამბით დავინტერესდი.
ტელეფონი დავკიდე თუ არა, ტუალეტში გავიქეცი. მთელი საღამო გული მერეოდა. უეცრად თვალწინ დამიდგა ბავშვობაში ნანახი ყასაბი სისხლიანი წინსაფრით და დახლზე ჩამწკრივებული სისიხლიანი ხორცის ნაჭრებით. მეტლახზე ვიჯექი და ბოლო ხმაზე ვბღაოდი, თან გული მერეოდა.
რაღაც უცხო სხეული მამძიმებდა, რაღაც ცხოველი მოძრაობდა ჩემში. მე ხომ კონსერვი ვარ და არა დედა, ჭურჭელი ვარ! ცოცხალი სინჯარა! ჩემი დნმ–ი არაფერ შუაშია ამ ყველაფერთან, არც ჩემი პირველი ჯგუფის დადებითი სისხლი, არაერთი გენეტიკური

პათოლოგიით გაჯერებული. ზოგჯერ მინდებოდა, მთელი ძალით მუშტები ჩამერტყა მუცელში და სისხლად მექცია ეს გაუგებარი წარმოშობის არსება.
მაღაზიაში რომ ჩავდიოდი რუხი ფერის ვირთხა მხვდებოდა ხოლმე თვალში, რომელიც მუდმივად ნაგავთან ფუსფუსებდა. საკუთარი თავი ზოგჯერ ისევე მძულდა, როგორც ის გრძელკუდიანი ვირთხა. როცა ჩემი მეგობარი ბიჭი მირეკავდა დასავლეთ ევროპის ერთ–ერთი ქვეყნიდან, ამ ფრაზას ხშირად ვუმეორებდი. თავიდან ეგონა, რომ სპეციფიური იუმორის გრძნობა გამომიმუშავდა. მერე ყველაფერი ჩვენს დაკონსერვებულ ურთიერთობას მიაწერა. მისთვის არაფერი მითქვამს. არაერთხელ დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე. თემებს ვცვლიდი ხოლმე, როდესაც ჩემი განწყობის ამოხსნას ცდილობდა. ათას რამეს ვიმიზეზებდი, ვატყუებდი. ხანდახან მის გაოცებულ სახეს წარმოვიდგენდი ხოლმე, ჩემი გამობერილი მუცელი რომ დაენახა. მისი ნერვიული ლაპარაკის მანერაც კი ჩამესმოდა და მეცინებოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც მეცინებოდა. ბოლო პერიოდში გავუცივდით ერთმანეთს. ის თვლიდა, რომ ყველაფერი სიშორისა და ათასობით კილომეტრიც ბრალია, მე კი არც არავის ვადანაშაულებდი. და ამ საკითხზე ყველაზე ნაკლებად ვდარდობდი.
ყოველი დღე წინა დღეზე მოსაწყენი და დამღლელი იყო. ერთსა და იმავეს ვაკეთებდი, ერთსა და იმავეს ვჭამდი, ერთი და იგივე ჭიქიდან ვსვამდი ჩაის ან რძიან ყავას, ერთი და იგივე სავარძელში ვჯდებოდი და ცხრა თვის მანძილზე რამდენიმე ამოჩემებულ ზღაპარს ვკითხულობდი მხოლოდ. და ერთნაირი ფერის კაბები ეცვათ კედელზე გაკრულ ინას თოჯინებს. ბოლო კვირის დღეებს კალენდარზე მარკერით აღვნიშნავდი ხოლმე. მალე „ასტა“ თავის საჩუქარს მიიღებდა.

VI

გუშინ საკეისრო კვეთა გამიკეთეს. ვიწრო მენჯი გაქვსო, ბევშვობიდან დამძახოდა ბებია და ლოყებზე გრძელ, ჯიშიან თითებს იფარებდა. რამდენიმე დღეში სახლში გამიშვებენ. ოთახები უცნაური სუნითაა გაჟღენთილი. გულისრევის შეგრძნება მაქვს. ოთახში მარტო ვწევარ, დაცარიელებული და გამოშიგნული საშვილოსნოთი. სუროგატულ დედებს თურმე ცალკე პალატაში აწვენენ, კონტრაქტი ამასაც ითვალისწინებს, თუმცა მე ეს კონტრაქტი ბოლომდე არასოდეს წამიკითხავს. შეგნებულად თავს ვარიდებდი.
გარეთ კარგი ამინდია.
რძე წვეთავს კერტებიდან.
თვალებს ვხუჭავ და ვხვდები, რომ რაღაც ამომგლიჯეს და აღარასოდეს დამიბრუნებენ.

———————————

– გოგო, რა გჭირს შენ ამ ბოლო დროს?!
– არაფერი. – მშრალად ვპასუხობ.
– მომისმინე, ივლისში ჩამოვდივარ. – ხმას აღარ ვიღებ. მოპირდაპირე კედელს ვუყურებ, რომელზეს ინას თოჯინებია ფერადი ჭიკარტებით მიკრული. ამ ბინაში რომ გადმოვედი, ჩემი ძველი სახლიდან რამდენიმე უსაყვარლესი ნივთი წამოვიღე, ის ნივთები, რაც

ვითომ გადასაყრელი იყო. მაგალითად, ძველი ჩაიდანი, სათითეებით სავსე ხის ზარდახშა, ძველი მაკრატელი და ინას ქაღალდის თოჯინები.
მდუმარედ ვიჯექი ლოგინზე და ფანჯარას ვუყურებდი. შედარებით პატარა ზომის ბალიში ჩავიტენე მაისურის ქვეშ და ვეფერებოდი. მე შვილი წამართვეს და გააჩუქეს. ბევრი რძე მდიოდა, თუმცა მის კვებაზე უარი მათქმევინეს. ესეც ეწერა თურმე კონტრაქტში – არავითარი კავშირი სუროგატთან. არავითარი კავშირი ადამიანთან, რომელიც ცხრა თვის მანძილზე თავის სიზმრების კინოჩვენებას უწყობდა და აძინებდა, ზღაპრებს უკითხავდა. თვალები დავხუჭე და სიცარიელეს დავაკვირდი, ყვითელი ფერის იყო.
ტელეფონი გავთიშე. არც დავმშვიდობებივარ, ისე დავკიდე ყურმილი და მისი გაოცებული სახე წარმოვიდგინე წითელ ან ლურჯ სატელეფონო ჯიხურში. კედელს გავხედე ისევ, სიგარეტს მოვუკიდე და მივხვდი, რომ თითქოს ცხრა თვით უკან დავბრუნდი. ამოვისუნთქე. კედელზე ხუთი ქაღალდის თოჯინა იყო გაკრული და ისეთი შეგრძნება მქონდა, ვითომდა ჩემგან პატრონობას ითხოვდნენ. გამეცინა. უჯრიდან რამდენიმე თვის წინ ნაყიდი პიტნის კამფეტი ამოვიღე და პირში ჩავიდე.
გარეთ თბილოდა.
თვითმფრინავმა გადაიფრინა.
მაგიდასთან დავჯექი, მაკრატელი ამოვიღე უჯრიდან, ჟურნალიდან ქაღალდები ამოვხიე და ახალი თოჯინების გამოჭრა დავიწყე. საოცრად დავმშვიდდი. თან საკუთარ თავზე მეღიმებოდა. ინაზე ვფიქრობდი. მკერდზე რძე მაწვებოდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ვცდილობდი აღარ მეფიქრა ჩემს შვილზე და ახალ შვილებს ვჭრიდი, რომლებსაც აღარასოდეს მივაშვილებდი უნაყოფო ადამიანებს.

ირაკლი ქასრაშვილი

მონა

„ახლო უთქს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა“
რუსთაველი

მე მონა ვარ. ოღონდა არა ვიღაც სოვდაგრის ან თუნდაც მხედართმთავრის, მეფის. სულ თორმეტნი ვართ ასეთები – უშიშარი, თავდადებული მებრძოლები და რაც მთავარია, ერთგულნი. მეფის პირადი დაცვა. გვერდით მივყვებით ნადირობისას, მორიგეობით ვდარაჯობთ მის ძილს სასახლესა თუ ლაშქრობაში, ვიგერიებთ აბეზარ მთხოვნელებს, ვიცავთ უცაბედი თავდასხმებისაგან. ყოველი დიდებული, უცხო ქვეყნის ელჩი თუ უბრალო მოგზაური ჩვენ გვაბარებს იარაღს, ვიდრე მას მიუახლოვდებოდეს. მათ კარგად იციან, რომ აუდენციისას თვალს არ ვაშორებთ და ნებისმიერი სახიფათო მოძრაობისთანავე ძირს დავცემთ. ყოველ წამს მზად ვართ მეფისთვის სიცოცხლის შესაწირად. სწორედ ამისათვის გვამზადებდნენ და გვწვრთნიდნენ ბავშვობიდანვე. დედ–მამა არცერთს არ გვახსოვს. მეფეა ჩვენი მბრძანებელიც, მშობელიც და თვითონ სამშობლოც. ზოგჯერ თავის შვილებს გვიწოდებს. სასახლეში ხმები დადის, თითქოს თორმეტივე ძმები ვართ – მეფის ვაჟები, რომლებიც მხევლებისაგან შეეძინა. ნეტავ მართლა ხელმწიფის გვარის ვიყო და არა ვიღაც უგვანო და უჯიშო გლეხისა. მინდვრებში ხშირად გვხვდებიან ისინი – ჭუჭყიანები, ჩამოგლეჯილი ტანისამოსით, ფეხშიშველნი. ქუდის ნაცვლად რაღაც ნაჭერი მოუგდიათ თავზე. ხელად მოიგლეჯენ ხოლმე და წელში ოთხად იკაკვებიან, გვერდით თუ ჩავუქროლებთ. ზურგები მხვდება თვალში – მოხრილი და ოფლით გაწებილი. ერთი–ორჯერ მათრახიც გადამიჭერია, რათა გზიდან ჩამომცლოდნენ. აი, სახეები კი არ მახსოვს. პირი სულ მიწისაკენ აქვთ მიქცეული. ალბათ მიწასავით ჭუჭყიანი და ოღრო–ჩოღრო ექნებათ სახეც. მათი საქმე დღედაღამ შრომაა, რათა ჩვენ – მეომრებს საჭმელი არ შემოგვაკლდეს. ვინც ამ საქმეს თავს ართმევს, დაე იარსებოს, ვინც არა და – მისთვის ზედამხედველი და ჯოხი არსებობს.

მეფე უკვე ასაკში შევიდა. ადრე არ იმჩნევდა, მაგრამ ახლა მგონი უკვე გრძნობს სიბერის მოახლოებას. ცოტა თვალთ დააკლდა, ზოგჯერ მეხსიერებაც ღალატობს. ამას წინათ, მის საძინებელთან ვდარაჯობდი. მთელი ღამე წინ და უკან დადიოდა. მერე ოთახში მიხმო, რაღაცის თქმა უნდოდა, ჩემი სახელი კი დაავიწყდა. რა თქმა უნდა, არაფერი შევიმჩნიე, მაგრამ თვითონ ხომ მიხვდა, რაც მოუვიდა. ვერც გავბედე შემეხსენებინა, რა მერქვა. ვიდექი ასე, გაჭიმული. მან კი მიყურა, მიყურა, მერე ხელი ჩაიქნია და მანიშნა, გადიო. არ გამიკვირდებოდა, გათენებისთანავე თავი რომ მოეკვეთათ ჩემთვის, მზადაც კი ვიყავი ამისათვის. ჩვეულებრივ, მბრძანებლებს გულზე არ ეხატებათ მათი სისუსტის მოწმეები, მაგრამ მეფე კარგად ხედავს ჩემს ერთგულებას და ასე უბრალოდ არ გამწირა.

სწორედ ამიტომ მიყვარს ამქვეყნად ყველაზე მეტად. არადა, ვინ დაძრახავდა? ჩემი სიცოცხლე ხომ მთლიანად მას ეკუთვნის. ოჯახის ყოლის უფლებაც კი არა გვაქვს. საბედნიეროდ, მთლად ქალების გარეშეც არ გვტოვებენ. ჩვენ ხომ ბერები არა ვართ ან რომელიმე ორდენის წევრები. კვირაში ორჯერ ქალაქის განაპირას, საროსკიპოში დავდივართ. იმ შენობაში, როცა ჩვენ ვერთობით, ფეხს სხვა ვერავინ შემოდგამს. ჩამოამწკრივებენ ოცდაათ ქალს, ერთი მეორეზე უკეთესებს. დაადე ხელი და აირჩიე, რომელიც გინდა, რამდენიც გინდა. ოთახები მეორე სართულზე აქვთ, ფართო ფანჯრებითა და კიდევ უფრო ფართო საწოლებით. შედი და ისიამოვნე. ამას წინათ საროსკიპოში ერთი გაბღენძილი ყმაწვილი შემოეხეტა. პირველი ვეზირის გადამწერია თურმე. დარაჯი შიგნით არ უშვებდა და როგორ მიბედავო, რკინის ჯოხით თავი გაუტეხა იმ საწყალს. დარაჯმა ღრიალი მორთო. გამოვვარდით გარეთ ნიფხვების ამარა და ხელში ხმლებით, ვტაცეთ ხელი იმ გადამწერს, გავაშიშვლეთ, დიდ ოთახში ფეხებით დავკიდეთ და იმ თავისი ჯოხით ზურგი ავუჭრელეთ. ყველაზე გამეტებით სწორედ დარაჯი ურტყამდა. მერე მეორე სართულზე ავედით და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო ზუსტად მიაშარდავდა დასისხლიანებულ ზურგზე. ქალები სიცილით დაიხოცნენ. ჩვენს წასვლამდე ასე ეკიდა. მერე ცოცხალ–მკვდარი წაუღიათ სახლში. სულელი. მთელი ცხოვრება კალმის მეტი არაფერი გჭერია ხელში, ხმლის მოქნევაც არ იცი წესიერად, პირფერობით გიშოვნია ორიოდე გროში და რას მოგაქვს თავი პირველი რაინდივით. მთელმა ქალაქმა შეიტყო ეს ამბავი. ორ თვეს ასულიერებდნენ იმ უბედურს. ვეზირმა ჩვენი დასჯა მოითხოვა, მაგრამ ვერ მიართვეს. მეფემ ყურადღებაც არ მიაქცია მის ბუზღუნს. ასე უთქვამს: „თავის თავს დააბრალოს, მე კი მცველებს მცირე გართობას ვერ დავუშლიო“.

გართობას მართლაც არ გვიშლიან, მაგრამ თუკი ამან მოვალეობის შესრულებაში შეგვიშალა ხელი, მაშინ...

შარშან ერთ–ერთ ჩვენთაგანს მეფის ასულის მესაწოლე ქალი შუყვარდა. თურმე, ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს ხან სასახლეში და ხან ქალაქში. ჰოდა, როგორც ხდება ხოლმე ამ დროს, ქალი დაორსულებულა. ეს რა თქმა უნდა, არ იყო გამოუსწორებელი დანაშაული, მაგრამ კაცმა ერთ სისულელეს მეორე მოაყოლა – გადაწყვიტა, ცოლად შეერთო თავის სატრფო. თუმცა, ამ აზრს გულში ფარულად ინახავდა და არავის ანდობდა. შესაფერის დროს ელოდა, რომ მეფეს მუხლებში ჩავარდნოდა და ნებართვა ეთხოვა. თან მისი რისხვისაც ეშინოდა. სასახლეში კი რა დაიმალება და სანამ მცველი ორჭოფობდა, მეფეს და მის ასულსაც უკვე მოახსენეს, რა ხდებოდა მათ ზურგს უკან. ჰოდა, სულ მალე მეფის მცველი საკუთარ ხმალზე წამოგებული იპოვეს, ხოლო მესაწოლე ქალი სამუდამოდ გაქრა სასახლიდან. რა მოხდა, იცოდა მხოლოდ მეფემ და ჩვენ, მისმა მცველებმა. ჩვენ კი საიდუმლოს არასოდეს გავთქვამთ.

იმ საღამოს, ჩვეულებრივ, მეფის საძინებელთან ვდარაჯობდით. შეყვარებული მცველიც იქ იყო. უეცრად, მეფე გამოდის, მიდის მასთან და რაღაცას ეკითხება. ისიც პასუხობს და ორივე საუბრით მიუყვება დერეფანს. ჩვენც უკან მივყვებით. მეფეს აინტერესებდა, გაიშალა თუ არა ბაღში შავი ტიტა. მონამ, ეს რასაკვირველია არ იცოდა და მეფეც თითქოს ამ ყვავილის სანახავად გაემართა მასთან ერთად. მე სულ სამ ნაბიჯში მივყვებოდი. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით მეფე, მაგრამ მაინც მივხვდი,

რა ხდებოდა. შეყვარებულმა მცველმა ალბათ იფიქრა, ჩემი დროც დადგაო და თავისი გულისნადები გაუმხილა მბრძანებელს. თან მუხლებზე მოეხვია და იძულებული გავხდით, გავჩერებულიყავით. მცველი, რომელიც იფიცებოდა, ფეხს არ მოვიცვლი აქედან, ვიდრე თანხმობას არ მივიღებ ქორწინებაზეო, მეფემ მაინც წამოაყენა და გზა განაგრძეს. მეფემ უსაყვედურა, რატომ დამიმალე შენი ამბავიო. მცველი თავს იმართლებდა, მაგრამ მეფე უყურადღებოდ უსმენდა, რადგან უკვე ბაღში გავიდნენ და გაშლილ ტიტას ათვალიერებდა. მერე მიუბრუნდა და ჯიქურ ჰკითხა: „შენ ხომ აკრძალული გაქვს დაქორწინება და მით უმეტეს, შვილის ყოლა?“ მონა ისევ მოჰყვა თავის მართლებას და თავისი სიყვარულის სიძლიერეზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ მეფემ გააწყვეტინა: „არ იცი, რამდენი მტერი მყავს? მარტო შარშან სამი შეთქმულება გამოვააშკარავეთ. ერთხელ შენ შეაჩერე იმ კაცის ხელი, ზურგიდან რომ მიპირებდა მახვილის ჩაცემას ლაშქრობისას, გახსოვს?“ მცველი თავჩაქინდრული დუმდა. „ახლა წარმოიდგინე, რომ იმ შეთქმულის ძმობილებს შენი ცოლი რომ ჰყოლოდათ დატყვევებული, ან შვილის მოკვლით დაგმუქრებოდნენ. განა ასეთივე სწრაფი იქნებოდა შენი ხელი და შეუდრეკელი შენი გული, როდესაც თავდამსხმელი ცხენიდან გადმოისროლე? იქნებ ოჯახზე ფიქრს შეეყოვნებინე ან კიდევ უარესი, შეთქმულთა ბრძანებები შეგესრულებინა?“ მცველმა თავი ასწია. „მეფეო, თუ ჩემს ერთგულებაში ეჭვი გეპარებათ, ამ წამსვე მზად ვარ, მოვკვდე.“ მეფე ნელა აცლიდა ფურცლებს შავ ტიტას. „მე შენი სიკვდილი არ მსურს. მინდა მომავალშიც ისევე არ გქონდეს სისუსტეები, როგორც ახლა არ გაქვს. ან იქნებ, უკვე გაქვს?“ „მბრძანებელო, მე თქვენ არასოდეს გიღალატებთ.“ „მაშასადამე, საცოლესა და ჯერ დაუბადებელ შვილზე მეტად გიყვარვარ?“ „რა თქმა უნდა, ჩემო მბრძანებელო“ მეფე ყვავილებს შორის ბილიკს გაჰყვა ბაღის ბოლოსაკენ. „და მათ სიცოცხლეს უყოყმანოდ ანაცვალებდი ჩემსას?“ „დიახ, მბრძანებელო“. ამასობაში თეთრი მარმარილოთი ნაგებ აბანოსთან მივედით. მეფე აბანოში შევიდა. უკან მივყევით. შიგნით ბნელოდა. უცბათ ვერ გავარჩიეთ, რა ხდებოდა იქ, მაგრამ კვნეს–ჩურჩულმა აუზისკენ მიგვატრიალა. რამდენიმე ნაბიჯში, მის პირას შიშველი ქალი და კაცი დავლანდეთ. კაცი იმწამსვე ვიცანი. მეფის მექისე ჰასანა იყო. მსუქანი სხეულის ქვეშ მოქცეული ქალი თითქმის დაეფარა. მეფე შეჩერდა. სიბნელეშიც კი შევამჩნიე, როგორ გაფითრდა შეყვარებული მცველი და მიხვდი, ვინც იქნებოდა ეს ქალი. მცველმა მახვილზე იტაცა ხელი. წამიც და მასა და მბრძანებელს შორის გავჩნდი. იარაღი რომ ეშიშვლა, შუაზე გავაპობდი, მაგრამ მეფის ერთმა ცივად ნასროლმა ფრაზამ: „წავედით აქედან“, ადგილზე გაყინა. ამ დროს ქალის შეკივლება გავიგონეთ. კივილმა დაბინდული ჰაერი გაკვეთა და შენობაში დატრიალდა უამრავ გამოძახილად, მაგრამ ამისთვის ყურადღება აღარ მიგვიქცევია. უკან დაბუნებისას მეფე მარტო მიდიოდა წინ. უიღბლო საქმრო კი ყველაზე უკან მიჩანჩალებდა. თითქოს არც ესმოდა, რა ხდებოდა გარშემო. სასახლეში შესულს, სანამ მეფემ სამჯერ არ გაუმეორა, დღეს თავისუფალი ხარო, ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ. მისი წასვლის შემდეგ მეფემ გვითხრა: „იცოდეთ, ვინც სისუსტეს ვერ დაძლევს, ის მოღალატე ხდება. ღალატს კი არცერთს არ გაპატიებთ“.

თუმცა მე არ მეშინია, რომ იმ მცველის ბედი მელის, თავი რომ მოიკლა. ვერცერთი ქალი ჩემს შეცდენას ვერ მოახერხებს და არც არანაირ სისუსტეს გამოვიჩენ არასდროს. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს ჩვენს მბრძანებელს, თორემ მისი სიკვდილის შემდეგ რა მელის, ვინ იცის. მემკვიდრე ვაჟი არა ჰყავს და დედოფალი ალბათ ქალების

გარემოცვას ამჯობინებს მამაკაცებისას. არა, დაცვა მასაც დასჭირდება, მაგრამ ისე ახლოს მაინც ვერ მიგვიშვებს, როგორც ამას მამამისი აკეთებს. რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს, შემიძლია მოლაშქრე გავხდე, მაგრამ სად გამუდმებული ხმლის ტრიალი ბრალიან თუ უბრალო შეტაკებებში და სად მეფის დაცვა. საბედნიეროდ, მეფე ბევრ ახალგაზრდას ახალაც სჯობია ჯანით. თუმცა ამ ბოლო დროს ღამით სულ აღარ სძინავს. ჩამობნელდება თუ არა, სანთლებს აანთებინებს მესაწოლეს და გამთენიამდე ბოლთას სცემს საძინებელში. ვიცი, რაც აშფოთებდა. ჩვენ ყველაფერი ვიცით. ქალიშვილის თანამოსაყდრედ დასმა გადაწყვიტა და ფიქრობდა, საუკეთესოდ როგორ მოეწყო ეს ამბავი. არა, უარის თქმას ვინ გაუბედავდა. გამიგონია, რომაელთა იმპერატორმა სენატორად ცხენი დასვაო და ისიც სად – რომში, მსოფლიოს დედაქალაქში! ჩვენ კი მაჰმადიანურ ქვეყნებს შორის ჩაკარგული ერთი პატარა არაბული ქრისტიანული სამეფო ვართ. ალბათ სწორედ ამიტომაა საჭირო ყველაფრის აწონ–დაწონა. ყოველდღე მსტოვართუხუცესს ებაასებოდა მეფე. წინასწარ დაყარეს ხმა ქალის გამეფების შესახებ და აინტერესებდა, რას ფიქრობდნენ დიდებულები, როგორი განწყობა ჰქონდა ხალხს... ჰმ, ხალხი. ის, რაღა თქმა უნდა, საბოძვარს ელოდა. რაც მეტი საჭურჭლე გაიცემოდა, მით უფრო ჩაუვარდებოდათ გულში ახალი დედოფალი. რაც თინათინის გამეფების დღეს ძვირფასეულობა და ოქრო–ვერცხლი დარიგდა... უბირი ხალხი თავ–პირს ამტვრევდა ერთიმეორეს, ყოველ გროშზე ხელჩართული ბრძოლა იმართებოდა. ან საიდან გამოტყვრა ამდენი ხეიბარი, ჩამოგლეჯილ–ჩამოტრეტილი. ქვრივ–ობლებს ხომ ნუღარ იკითხავთ. ლამის ყოველი შემხვედრი ქალი ქვრივი ვარო, გაჰკიოდა, ბავშვებმა კი დაივიწყეს, მშობლები ცოცხლები რომ ჰყავდათ (ალბათ, მათივე შეგონებით) და ობლობისათვის იკლავდნენ თავს. მათრახს შეუჩერებლივ ვატრიალებდი, რათა მეფის ტახტრევნისათვის გზა რომ გამეკვალა ბრბოში. კიდევ კარგი, მოლაშქრეთა ასეული მოგვახმარეს, თორემ გადაგვთელავდა გადარეული ხალხი. ჩემს თვალწინ ერთმა შავებში ჩაცმულმა დედაკაცმა, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, ყური მოაჭამა კაცს, ოქროს მონეტის აღება რომ დაასწრო. ამის შემხედვარეს, გიხარია, რომ მათი მსგავსი არა ხარ და ფულზე მეტად სიმამაცეს და ერთგულებას აფასებ. მეფემ ჩვენც გვიბოძა თითო ნარჩევი ცხენი, აბა საჩუქრების გარეშე ხომ არ დატოვებდა უერთგულეს მონებს. რამდენი სიბრძნე, მოთმინება და სიმკაცრეა საჭირო, ეს უჭკუო ხალხი რომ მართო, აიძულო, კანონებს დაემორჩილონ. მბრძანებლად მართლაც უნდა დაიბადო. რა აუღელვებელი იყო მეფე! იცის, როგორ მოეპყროს ხალხს და ხალხსაც უყვარს იგი, ამიტომ ემორჩილებიან ხალისით. სულ სხვაა დიდებულები. ზოგი მათგანი ცდილობდა გადაეფიქრებინა მისთვის თინათინის თანამოსაყდრედ დასმა. „რა დროს თქვენი სიბერეაო“ – ეუბნებოდნენ, – „თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობიაო“. თვალთმაქცობაში გამობრძმედილებს სიტყვებს რა დაულევთ. მეფე კი უსმენდა და მათ თვალებში კითხულობდა, რა ედოთ გულში. მათი რჩევების ყურისგდება მეფის მოვალეობაა, ხოლო უარყოფა – მით უმეტეს... ჩემი ნება რომ ყოფილიყო, სასახლიდან გასვლას არ ვაცლიდი, ისე წავაგდებინებდი რამოდენიმე მათგანს თავს. ეს სხვებსაც ჭკუაზე მოიყვანდა. მაგრამ ჩვენი მბრძანებელი მოწყალეა. დასაჯა კი არა, დღესასწაულზე მოიწვია ეს ფარული მოშურნეები, მერე, ნადიმის დროს კი თავის გვერდით მიუჩინა საპატიო ადგილი. ჩვენ, მეფის ერთგულ მონებს, დიდი სიფრთხილე გვმართებს. ვდგავართ გაუნძრევლად მეფის უკან და ამპარტავან დიდებულებს თვალს

არ ვაცილებთ. ვინ იცის, რამდენი მათგანი ოცნებობს ჩუმად მეფის ტახტზე, ხლართავს შეთქმულების ფარულ თუ აშკარა ქსელს! ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მეფე, მაგრამ რა ეშველება მის ქვეყანას, როცა თავისი ძლიერი მკლავით ვეღარ შესძლებს მის დაცვას? თინათინი მაინც ქალია. ქვეყანას კი მეფე სჭირდება, ჯარს – წინამძღოლი და ქალს – ქმარი. მეფემ ნადიმზე მოიწყინა და საჯაროდ გამოაცხადა, გულს მიკლავს, ჩემი დარი მეომარი და მონადირე სხვაც რომ არ მოიძებნება ქვეყანაშიო. ყველა გაჩუმდა. ერთადერთი ავთანდილი იყო, შეჯიბრში რომ გამოიწვია. თუმცა სხვა ვერც შებედავდა ამას, რადგან უადგილო ამპარტავნობით შეიძლება თავი წაეგო. ავთანდილს კი მეფე მოწყალე თვალით უყურებდა, შესაძლოა, უკვე თინათინის მეუღლედაც სახავდა და უცაბედი მოწყენა შუაგულ ლხინში მხოლოდ მისი გამოსაცდელი ფანდი იყო. ავთანდილის მამა, ამირსპასალარი, გაცხარებული ბრძოლის დროს მეფისათვის ნასროლ შუბს გადაფარებია და დაღუპულა. მეფემ მისი მცირეწლოვანი შვილი სასახლეში წამოიყვანა და გაზარდა. მერე სპასპეტობაც უბოძა. ზოგიერთი ბედნიერ ვარსკვლავზე რომ დაიბადება, მხედართმთავრობას თამაშ–თამაშით აღწევს. კარგ მეომრად და მონადირედ ითვლებოდა ავთანდილი. შეიძლება, სამეფოში საუკეთესოდაც. არადა, ერთხელ ნახევრადხუმრობით მოინდომა ჩემთან გაპაექრება და მესამე მოქნევაზე ხმალი ხელიდან გავაგდებინე. საშინლად გაბრაზდა და კიდევ შემეჯიბრეო, მითხრა. ისევ ვაჯობე. მაინც არ მომეშვა. მესამედ უკვე დავუთმე. ვითომ, მისი დარტყმა ვერ მოვიგერიე და მსუბუქად დამჭრა. სისხლმა, მკლავიდან რომ წამომივიდა, ხელად დააცხრო მისი გააფთრება, ხმალი მოისროლა და ჭრილობა საკუთარი ხელით გადამიხვია. მას შემდეგ ყოველი შეხვედრისას მომიკითხავს და სულ მეუბნება, ნეტავ როდის გვეღირსება, მტერს მხარდამხარ დავუხვდეთო. მტრის დახვედრა არა, მაგრამ ერთად ნადირობა კი მოგვიწია. თუმცა, სადაური ნადირობაა. ჩვენ, მხლებლებს, პირუტყვი უნდა გამოგვერეკა, ისრები უნდა მიგვეწოდებინა დროულად და დახოცილი უნდა დაგვეთვალა, სროლის უფლება კი მხოლოდ მეფეს და მის გაზრდილს ჰქონდათ.

დილაადრიან გავედით სასახლიდან. ჩვენ თორმეტნი ვახლდით მეფეს, ავთანდილმა კი მხოლოდ ერთი მსახური, შერმადინი იახლა. შერმადინმა ხეირიანად მოსალმებაც არ იკადრა. ზემოდან გვიყურებდა, გეგონება რამეში გვჯობდა. ცხენსაც განცალკევებით მიაჭენებდა. გადავწყვიტე, ჯერ–ჯეროზით არაფერი მეთქვა. მით უმეტეს, სხვა საქმეები თავზე საყრელად მქონდა. მარეკებს ნადირი ტყის პირას, ფართო ველზე უნდა გამოერეკათ. ამის მერე მეფე და ავთანდილი წინ გაიჭრებოდნენ და ნადირის ხოცვას დაიწყებდნენ, ჩვენ კი უკან უნდა მივყოლოდით და ვინ რამდენი მოკლა, დაგვეთვალა, თან ისრების მიწოდებაც არ უნდა დაგვევგვიანებინა. მეფის ისრები თეთრი ფერის იყო, წვეტზე ლათინური ღ მონოგრამით. ავთანდილს კი უბრალო შავი ისრები ჰქონდა, ოღონდ მეფისაზე ორი თითის დადებით უფრო გრძელი. ნადირობისას მეფე მარტო რჩებოდა, დაცვის გარეშე. ქურციკი, ირემი და კანჯარი, რა თქმა უნდა, ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ ტყეში დათვიც საკმაოდ იყო და ერთი–ორჯერ ჯიქის კვალიც შეუმჩნევიათ. თუმცა ოთხფეხა მხეცებზე მეტად ორფეხა მხეცები მაღელვებდნენ. რომელიმე მოღალატეს რომ მოეფიქრებინა და ტყის პირას ჩასაფრებულიყო, სულ იოლად შეეძლო მეფისთვის ისრის მიწვდენა. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ გათენებამდე ექვსნი წავედით და იქაურობა გადავჩხრიკეთ. ვერაფერი საეჭვო ვერ ვნახეთ, მაგრამ სამი

კაცი მაინც ტყესთან დარჩა სადარაჯოდ. ისინი ნადირობის დაწყების წინ შემოგვიერთდნენ. გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება სწრაფად გვეთვალა დახოცილი პირუტყვი და ახლოს ვყოფილიყავით მეფესთან, რათა საჭიროებისას დროულად ამოვდგომოდით მხარში.

მარეკებმა გამორეკეს ნადირი, მეფემ და ავთანდილმა გააჭენეს ცხენები, მოიმარჯვეს მშვილდები, გასტყორცნეს ისრები და ჩვენც უკან გავყევით. ყველა დაცემულ ცხოველთან მივდიოდით, ისარს ვნახულობდით და ვინიშნავდით, ვისი მოკლული იყო. აცდენილ ისრებსაც ვეძებდით და ცალკე ვინახავდით. მინდორი სულ გადავთელეთ. ნადირობის დამთავრებისას სისხლსა და მტვერში ვიყავით ამოსვრილები. შევიკრიბეთ, დავთვალეთ და აღმოჩნდა, რომ ავთანდილს ოცი ნადირით მეტი ჰყავდა მოკლული. კი ვხვდებოდი ასე რომ იქნებოდა, რადგან მის აცდენილ ერთი ისარსაც ვერ წავაწყდი, მაგრამ მაინც გული დამწყდა. არავის არ უნდოდა, მეფისათვის ემცნო დამარცხება. ვიღაცამ ისიც კი თქვა, კენჭი ვყაროთო. მეტოქეები კი იდგნენ ტყის პირას და ამბავს ელოდნენ. ამდენ ხანს მეფის მიტოვება არ გვეპატიებოდა. ბოლოს და ბოლოს, ნადირობაში დამარცხდა, სამეფო ხომ არ დაუკარგავს. თან ვიღაც გადამთიელმა კი არა, საკუთარმა გაზრდილმა აჯობა. „მე მოვახსენებ–მეთქი“ – ის–ის იყო ვთქვი, რომ საიდანღაც შერმადინიც გამოტყვრა. სუფთა ტანისამოსი ეცვა, ერთი ლაქაც არ ემჩნეოდა პერანგზე. მისი ცხენი არც კი გაოფლილიყო. მთელი ნადირობის განმავლობაში თვალი არ მოგვიკრავს მისთვის. ალბათ, სადმე ჩრდილში იყო წამოწოლილი, ახლა კი იფიქრა, ჩემი დროც დადგა და პატრონს ვახარებ გამარჯვებასო. „მოდი აქ“, – დავუძახე. მომიახლოვდა. რიდი არაფრის ჰქონდა. ჰოდა, ისეთი შემოვკარი ყბაში, თავდაყირა გადმოეშვა ცხენიდან და იმ თავის დაულაქავებელი ტანსაცმლით პირდაპირ სისხლის გუბეში ჩავარდა. ყურადღება არც მიმიქცევია. მივაბრუნე ცხენი და გავაჭენე მბრძანებლისაკენ. დანარჩენებიც მომყვნენ.

ავთანდილის გამარჯვების ამბავს მეფე დიდად არ დაუმწუხრებია. როგორც ვფიქრობდი, ისე იყო: ეს ნადირობა მემკვიდრის გამოსაცდელად მოაწყო. ახლა გული დაიმშვიდა და გადაწყვიტა, მცირე ხნით მდინარესთან, ჩრდილში დაესვენათ. მოლაშქრეები, რომლებიც აქამდე მოშორებით მოგვყვებოდნენ, მოგვიახლოვდნენ და მინდორზე დაბანაკდნენ. ჩვენ თორმეტნი მეფის შორიახლოს ვიდექით. შერმადინი არსად ჩანდა. ალბათ მარტოდმატო იკლავდა ბოღმას გულში. მის ბატონს არც მოუკითხია. ან კი ის რა მოსაკითხი იყო.

მდინარე გარს უვლიდა მაღალ, ტყისგან დაბურულ მთებს და მათ ფართო მინდვრისაგან ჰყოფდა. ირგვლივ მწვანე ბალახისა და მიწის სურნელი ტრიალებდა. შორიახლოს შავ ცხენს მოვკარით თვალი. ლაგამი და უნაგირი მსხვილი თეთრი წერტილებით, ალბათ ძვირფასი ქვებით ჰქონდა დაწინწკლული. ჩვენს ცხენებზე მაღალი იყო, გრძელი ფეხებითა და ფართო ტანით. ასეთ პირუტყვს პატრონიც შესაფერისი ეყოლებოდა. მართალაც, მხედარიც იქვე იყო, წყლის პირას იჯდა თავჩაქინდრული. შავ–ყვითელ ზოლიანი, ვეფხვის ტყავის კაბა ეცვა და ასეთივე ქუდი ეხურა. ჩვენს ქვეყანაში ვერავის ნახავდით ასე უცნაურად ჩაცმულს. უცხოელს ჰგავდა. მეფე მისი ვინაობით

დაინტერესდა და გამგზავნა, სთხოვე, მოვიდესო. წავედი. ზის ეს დევგმირივით კაცი დაღონებული, ცალ მხარეს მახვილი ჰკიდია, ჩემსაზე ალბათ ორჯერ გრძელი, მეორე მხარეს კი მაჯის სიმსხო მათრახი. არც მომისმინა. თავის ფიქრებში იყო წასული. გინდ მასთან გელაპარაკა და გინდ იქვე ჩამდინარე წყალთან. მხოლოდ ცხენმა დაიჭიხვინა რამდენჯერმე, ეგ იყო და ეგ. რაღა უნდა მექნა, მოვბრუნდი და წამოვედი. მეფე გაცეცხლდა. მის საბრძანებელში მოსული ვიღაც სალახანა იმასაც კი არ კადრულობს, ეახლოს და პასუხი გასცეს. „აბჯარი აისხით და ახლავე მომგვარეთო“ – გვიბრძანა. ახლა უკვე თორმეტივე წავედით. იმ კაცის შეპყრობა სულ არ მეხალისებოდა. წასულიყო თავის გზით, რას ვერჩოდით. მით უმეტეს, ყველანი გასავათებული ვიყავით ნადირობის შემდეგ, მაგრამ ბრძანებას ვერ გადავიდოდით. რომ მივუახლოვდით, ვეფხისტყაოსანი რაინდი ჩვენი აბჯარის და იარაღის ჩხარუნმა გამოაფხიზლა. მოახტა თავის შავ ცხენს და გააჭენა. თავს ხომ არ დავანებებდით და დავედევნეთ. ეს რომ დაინახა, შემოაბრუნა ცხენი და თვითონვე წამოვიდა ჩვენსკენ. მისი გრძელი მახვილი მზეზე რომ ალაპლაპდა, ჩვენც ვიშიშვლეთ ხმლები. მივუახლოვდით და ნახევარწრეში მოვაქციეთ. ცოცხალი უნდა მიგვეგვარა მეფისათვის, ამიტომ თავდასხას არ ვჩქარობდით. თავიდან ისიც გვათვალიერებდა, თითქოს რაღაცას ელოდა, მერე კი ჩემს წინ მახვილმა იელვა და მარცხენა ლოყა და თმა სისხლმა დამისველა. წინ გადავიხარე და შევეცადე, ბარძაყში მეტაკებინა ხმალი და ამ დრის შუბლით თითქოს კედელს შევეჯახე. თავი გამიხურდა, მიწა დატრიალდა ქვეშ და ცხენიდან გადმოვვარდი. ფოლადის ჟღარუნი, შეძახილები, მათრახის შხუილი და ცხენების ჭიხვინი ერთ გაბმულ ძახილად გაიბა ჩემს გონებაში და უეცრად გაწყდა ჩონგურის დაჭიმული სიმივით. დუმილი და წყვდიადი ჩამოწვა.

თვალები რომ გავახილე, ლურჯი, უდაბნოსავით შიშველი ცა დავინახე. ეული ღრუბელი აქლემივით მიზოზინებდა უსასრულობისაკენ. მეც მივდიოდი სადღაც. უფრო სწორად, ჩემი სხეული მიჰქონდათ. ზურგი მტეხდა. ალბათ საკაცეზე ვიწექი. ჩუმი საუბარი დამტრიალებდა თავზე, მაგრამ სიტყვებმა თითქოს მნიშვნელობა დაკარგეს, უაზრო ბგერებად დაიშალნენ. თავი მიგუგუნებდა. ათასი ჩანჩქერის გრგვინვა ერთდროულად აწყდებოდა ჩემს გონებას და მზად ვიყავი ყველა ეს ჩანჩქერი შემესვა გამშრალი პირით, წყლით გავჟღენთილიყავი, რათა შვება მეგრძნო. მერე ცამ ქანაობა დაიწყო. ის აქლემის მსგავსი ღრუბელიც სულ უფრო გაიზარდა, გარს შემომეხვია, თითქოს გულში უნდოდა ჩავეკარი. ხმები მიწყდა, თვალები ისევ დავხუჭე და მაშინ გავახილე, როცა ტუჩებზე რაღაც სველი შემეხო. მიწაზე ვიწექი და ვიღაც წყალს მასმევდა. ყოველი ყლუპისას ვგრძნობდი, როგორ მიგრილდებოდა წამით გახურებული მკერდი და მუცელი. მერე იმ კაცმა სახე ახლოს მომიტანა და ყურადღებით მაკვირდებოდა. მინდოდა მეკითხა, რა მჭირდა, მაგრამ გაქვავებული ენა ვეღარ მოვაბრუნე და მხოლოდ ღრმად ამოვიხნეშე. თვალები დავხუჭე და ისევ დატრიალდა ჩემს თავზე სიტყვები, მაგრამ ახლა უკვე ვარჩევდი მათ: „გადარჩება?“ „არა მგონია“ და მეორე, უფრო ზუსტი პასუხი: „არა“. „ჰო, ჭრილობა ძალიან ღრმაა“. „რა მოხვდა?“ „მათრახი“. და უცებ დავინახე უცნობი, მდინარის პირას რომ იჯდა და მისი შავი, მაჯისსიმსხო ტყავის მათრახი. ის აღარ ტიროდა. პირიქით, იცინოდა და მათრახს ათამაშებდა. ხმალს ხელი ვტაცე. მსურდა თავი წამეგდებინებინა თავხედისათვის, მაგრამ ჩემი ხმალი ისე დამძიმებულიყო, ვეღარ ავწიე. მაშინ მოვინდომე, შიშველი

ხელებით ვწვდომოდი ყელში, მაგრამ ფეხებიც ვერ ავამოძრავე და უმწეობისაგან დავიღრიალე. დავიღრიალე ისე, რომ ტყის ფოთლები აშრიალდნენ და მდინარე აიქოჩრა. უცნობმა ერთი გადაიხარხარა და მათრახი მომიქნია. მისმა შხუილმა დამაყრუა და დამაბრმავა. შუბლი ამეწვა და ისევ დავიყვირე, ახლა უკვე გაუსაძლისი ტკივილისაგან. ჩემი მოწინააღმდეგე გაქრა, ხმებიც მიწყდა. სრულიად მარტო ვეგდე ტრიალ მინდორში, უპატრონო და მიტოვებული. მერე ისევ გავიგონე სიტყვა, ერთი სიტყვა, რომელმაც გამომაცოცხლა, რადგან ის იყო ჩემი იმედი: „მეფე“. ქუთუთოები გავხსენი და დავინახე. მისი ფიგურა ჰაერში კრთოდა. მე ვიცი, ის მოვა ახლოს, ჩემს ჭრილობას დახედავს, მომიკითხავს, შემდეგ საუკეთესო დასტაქრებს ჩააბარებს ჩემს თავს. იქნებ, გამოვკეთდე კიდეც. ჯერ ხომ ვგრძნობ, ვაზროვნებ, არ მოვმკვდარვარ და სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის არის გადარჩენის იმედი. მეფე ბრძანებს და ამ მტვრიანი მიწიდან წამომაყენებენ, რბილ ლეიბზე გადამაწვენენ. ბრძანებს და ჭრილობას გამიბანენ, მალამოს დამადებენ, რათა ტკივილი დამიამდეს... მეფე მოდის ჩემსკენ და მიახლოვდება საუბარიც. „გაიქცა“, „ვერ დაეწივნენ“, „მეფემ ბრძანა, ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“. ის კი მოდის მდუმარედ, მძიმედ, არავის აქცევს ყურადღებას, მოისწრაფის ერთგული, თავდადებული მონისაკენ. იცის, როგორ მჭირდება მისი გამხნევება. თუმცა, რა ხდება? მეფემ პირი იბრუნა. მე ხომ იმ მხარეს არა ვარ, იქით რა უნდა? აი, შეჩერდა. ახლა ისევ მობრუნდება. თუმცა არა. თეთრი ცხენი მოჰგვარეს. კი მაგრამ, ასე როგორ მომიახლოვდება, ხომ შეიძლება გადამთელოს? მეფე ცხენზე შეჯდა. მისი მხლებლებიც ამხედრდნენ და მათი აჩრდილები ჰაერს შეერია, ქარს გაჰყვა. ისე წავიდა, არც დამხედა, არ დაინტერესდა ჩემი ბედით. მინდა წამოვიწიო, დავუძახო, მოვაბრუნო, მაგრამ თავზე ცეცხლი მიკიდია, სული მეხუთება, ვერ ვინძრევი. ვცდილობ, უფრო ღრმად ვისუნთქო, მაგრამ ფილტვები აღარ იღებს ჰაერს. თავი უარესად მიხურს. სამყარო ირწევა ჩემს ირგვლივ, როგორც ირწეოდა დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ და ისევე ხელფეხშეკრული ვარ, როგორც მაშინ, აკვანში. საიდან მოვიდა ეს მოგონება, ან ის ახალგაზრდა ქალის სახე, ჩემსკენ რომ დახრილა და მიღიმის? ვიძირები მის ლაჟვარდისფერ თვალებში, გამქრალი და გადავიწყებული ბავშვობა მიბრუნდება. ხელებს ვიშვერ ამ უმშვენიერესი სახისაკენ, სხეულის სიმძიმე ქრება და მივეშურები, მივდივარ, მივფრინავ მისკენ, სულ მაღლა და მაღლა.

უილიამ კარდუ

ამანდა კლარა ბოილის „იდუმალი მკვლელობა“

ეს ამბავი ისევე ბანალურად დაიწყო, როგორიც არის მსუბუქი ფლირტი დაწესებულების დაცვის წევრსა და ამავე დაწესებულების დამლაგებელს შორის, და ისეთივე მოულოდნელი დასასრული ჰქონდა, როგორი მოულოდნელიც არის ხოლმე დაცვის იმ წევრისათვის, დამლაგებლი რომ თავის ორსულობის ამბავს შეატყობინებს. იმ დილითაც ჩვეულებრივ გავიღვიძე – დილის თორმეტ საათზე; ჩვეულებრივად ავდექი, პირიც ჩვეულებრივად დავიბანე და საუზმეც, ჩვეულებრივ, ჭიქა თურქული ყავითა და მარგარინიანი ორცხობილათი აღვნიშნე, მაგრამ ბანალურობის ჯაჭვი აქ არ გაწყვეტილა – ტელევიზორშიც, ჩვეულებრივ, საინტერესო არაფერი იყო, ამიტომ არც ჩამირთავს, ისე გავედი სახლიდან, კარში გასაღები ჩვეულებრივ სამჯერ გადავატრიალე და მეოთხე სართულიდანაც, ჩვეულებრივ, სირბილით დავუყევი კიბეს. მეორე სართულზე მეზობელი შემხვდა.

– გამარჯობა, – ვთქვი, – ფუ დავითარსე, – ჩავილაპარაკე, – სახლში ხო არ მივბრუნდე?.. – გავიფიქრე.

მეზობელი არც წითური იყო, მით უმეტეს – არც შავი კატა, მაგრამ მაინც მთარსავდა მასთან შეხვედრა. ამჯერადაც ასე მოხდა, თუმცა, ამაზე – მოგვიანებით.

სადარბაზოდან გამოვედი და მივხვდი, რომ ძალიან ცხელოდა, მივხვდი კი არა და, ცხელ ატმოსფეროსთან შეჯახებამ მიმახვედრა.

ფეხით ავუყევი მზიან აღმართს, მალე ცენტრალური ქუჩაც გამოჩნდა. შორიდან გავაყოლე თვალი ამ ქუჩაზე ნელა, მარშუტკულად მიმავალ ჩემს „მარშრუტკას“.

– ა. ბატონო, თუ არ დამთარსა! – რაღას ვიზამდი?! მორჩილად დაველოდე შემდეგის გამოჩენას, თან იმ ქუჩაზე ათიოდე წლის წინ ამოზრდილ პატარა და ერთადერთი ჭადრის სამ–ოთხ ფოთლიან ჩრდილს შევეფარე. დათარსვის თეორიის დასამტკიცებლად, სამმა პირთამდე სავსე „მარშრუტკამ“ კიდევ ჩამიარა და, ის–ის იყო, ფეხით წასვლაზე ფიქრის დაწყებას ვაპირებდი, რომ მეოთხეც გამოჩნდა. ესეც ჩვეულებრივ დაფეხვილი, გაურკვეველი მარკის მიკროავტობუსი გამოდგა. ძლივს შევეკვეტე მეორე რიგის სკამებში და საგულდაგულოდ დაგმანული ფანჯრის გვერდით აღმოვჩნდი, არადა, ძალიან შორს მივდივარ, „მარშრუტკაც“ ნელა მოძრაობს, სასწრაფოდ რამეზე თუ არ გადავიტანე ყურადღება, ან გაუწყლოვანებით მოვკვდები ამ სიცხეში, ან მირაჟები მომელანდება. დავიწყე თვალების აქეთ–იქით ცეცება საშველის ძებნაში. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ჩემს გვერდით მჯდომი გოგონას დეკოლტედან სანახევროდ ამოჩრილი ძუძუები გახლდათ. ცოტა ხანს ვუყურე, მაგრამ სანახევროდ ამოჩრილი, რაც არ უნდა იყოს, მაინც სანახევროდ ამოჩრილია და, მეტს არც არაფერს უნდა ელოდო მისგან, ამიტომაც თვალი მძღოლის წინ მიმაგრებულ გატეხილ მაგნიტს და მასზე დახარისხებულ ხურდა ფულს მივაპყარი. რამდენი არ ვეცადე, მაგრამ ჩემი ჩახურებული ფანატაზია ვერ ავამოძრავე, ასე რომ, ხურდები და მაგნიტის ნამტვრევი ხურდებადა და მაგნიტის ნამტვრევადვე დარჩა, ძუძუების არ იყოს.

ცოტაც და, ჩემი მთარსავი მეზობლის გინება უნდა დამეწყო, მაგრამ ამ დროს შევნიშნე, რომ ჩემ წინ მჯდარი მგზავრი რაღაცას კითხულობდა. ბედად, ახალი დაწყებული ჰქონდა და პირველ გვერდზე ნათლად ჩანდა ავტორის ვინაობაცა და ნაწარმოების სათაურიც – ამანდა კლარა ბოილი. არასოდეს გამიგია ეს მწერალი. \„იდუმალი მკვლელობა\“ – ვაა, დეტექტივია, მიყვარს დეტექტივები... მოიცა, მოიცა, ამანდა–აგათა, კლარა–ალან, ბოილი – ... ნუ, ჰო, გასაგებია, პირველი თქვენი გამოცანა ამოვხსენი ქალბატონო ამანდა კლარა, აწი ვნახოთ, მთავარია, ეს კაცი ჩემზე სწრაფად არ კითხულობდეს.
– ღმერთო ჩემო, ახლა მოვუსმინე ამინდის პროგნოზს რადიომიმღებით და ხვალაც თოვლი იქნებაო, – დაიწუწუნა მისის ლარსონმა. მისის ლარსონი შუა ხნის ქვრივი გახლდათ, მაგრამ, მიუხედავად ასაკისა, ახლაც მოხდენილად გამოიყურებოდა და, როგორც ბოროტი ენები ამბობდნენ, ახალგაზრდა თაყვანისმცემლებიც არ აკლდა, თუნდაც, მისტერ ზელვეგერი ავიღოთ, ახალგაზრდა ფინანსისტი, რომელიც არც თუ უინტერესოდ უმზერდა ხოლმე მისის ლარსონს და, არავინ იცის, მისი მოხდენილობის თუ იმ აურაცხელი ქონების გამო, რომელიც მისტერ ლარსონმა ასე სულგრძელად დაუტოვა თავის საყვარელ მეუღლეს.
– ესე იგი ხვალაც ვერ წავალთ, – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ფანჯარასთან მდგომმა სერ სომერვილმა, – საშობაოდ ჩამოვედით და უკვე ახალმა წელმაც გაიარა, ნამდვილად ბოროტად ვსარგებლობთ თქვენი სტუმრთმოყვარეობით, მისის ლარსონ, თქვენს ადგილას ყველას კინწისკვრით გავყრიდი ამ ქარბუქში.
ყველამ გადაიხარხარა. საერთოდ, სერ სომერვილი ცნობილი იყო, როგორც ენაკვიმატი ახალგაზრდა, შეიძლება, ამიტომაც იგი ყველას უყვარდა ან, შესაძლებელია, ეშინოდათ კიდეც, მისი მწარე ენის მსხვერპლი არ შევიქნეთო. მაგრამ ახლა სერ სომერვილი რაღაცნაირად მოქუფრული იდგა ფანჯარასთან და ბინდბუნდს გაჰყურებდა ჭიქა ბრენდით ხელში და იშვიათად თუ იტყოდა რამეს.
– სადილი მზად არის ბატონებო, – ოთახში ლივრეაში გამოწყობილი ლაქია შემოვიდა და, ისე, რომ იქ მყოფთათვის არც კი შეუხედავს, განაგრძო, – გთხოვთ, მობრძანდეთ...

* * *

მშვენიერი დასაწყისი იყო, უბრალოდ, ცოტა მთარგმნელს გაუჭირდა, და არა თარგმნისას, არამედ მაშინ, როცა იმ ენას სწავლობდა, საიდანაც თარგმნა ეს ყველაფერი. მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის დეტექტივში, დეტექტივში მთარგმნელი სწორედაც რომ მეოთხეხარისხოვანია.
დროდადრო „მარშრუტკა“ ჩერდებოდა და წიგნზე კონცენტრაციის საშუალებას არ მაძლევდა, რაც ჩემს გონებაში „მარშრუტკის“ ისედაც შერყეულ რეპუტაციას შანს აღარ უტოვებდა რეაბილიტაციისათვის, მაგრამ რადგან ჯიუტი ადამიანი ვარ, ჩემი ხასიათის ამ შესანიშნავი შტრიხის სრული დაძაბვით ვახერხებდი გაგრძელებას.
თუმცა, როცა მეორედ მივუბრუნდი წიგნს, შევნიშე, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი გამომეტოვებინა.
 ... სადილად სისხლიანი ბიფშტექსი, შესანიშნავი ღვინო, ხამანწკის სალათი და კიტრის პუდინგი მოემზადებინათ...“

* * *

ჰო ვამბობდი, მთარგმნელი სცოდავდა–მეთქი, აბა, ღვინო როგორ მოამზადეს სადილისათვის?
... სუფრასთან უჩვეულო სიჩუმე ჩამოწოლილიყო, მხოლოდ დანა–ჩანგლის რაჩხუნი ისმოდა ფაიფურის თეფშებზე, თითქოს ყველა გრძნობდა, რომ იმ დღეს რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო. ბოლოს ისევ მისის ლარსონმა დაარღვია სიჩუმე:
– ქალბატონებო და ბატონებო!..
ყველამ მისის ლარსონს გახედა.
– მომიტევეთ ასეთი ოფიციალურობისათვის, უბრალოდ, თქვენი ყურადღების მიქცევა მინდოდა და არანაირად – დაფრთხობა, – ამის თქმისას მისის ლარსონმა თავისი მომხიბლავი ღიმილით გაიღიმა და სტუმრებს გადახედა.
მისტერ ზელვეგერი მისი ლარსონის გვერდით იჯდა და ერთთავად შეცბუნებული სახე ჰქონდა, თითქოს, რაღაც უმსგავსობაზე თუ ონავრობაზე წაასწრესო, მის გვერდით ახალგაზრდა და უნაზესი მის დორიგანი მოკალათებულიყო და თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა დეიდამისის, მისის ლარსონის, საუბარს, რასაც ვერაფრით ვიტყოდით პოლკოვნიკ უოტსონზე, რომელსაც მეტისმეტი ყურადღებისაგან ხელსახოციც კი ამოეძრო გულისპირიდან, აქაო და, საჭმელსაც კი არ გავეკარები, სანამ მისის ლარსონი სათქმელს არ დაასრულებსო; სუფრის მეორე თავში, სწორედ მისის ლარსონის პირისპირ, სერ სომერვილი იჯდა და, მიუხედავად მისის ლარსონის მკაცრი აკრძალვისა, თამბაქო არ დამანახოთო, ჩიბუხს აბოლებდა, საჭმლისთვის კი პირიც არ დაეკარებინა; შემდეგი მაგიდასთან დაბალი შავტუხა მამაკაცი იჯდა, ძალიან გულმოდგინედ აცლიდა სალათში ფრუცლებს ხამანწკების სალათს და ისე მიირთმევდა, სახელად კი მაიკროფტ მიულერი ერქვა, წარმოშობით ავსტრიელი გახლდათ და სასტიკად სწყინდა, როცა გერმანელად მიიჩნევდნენ ხოლმე. ბატონი მიულერის გვერდით მის ჰადსონი იჯდა, ოცდათხუთმეტიოდე წლის მოხდენილი ქალბატონი, ლილიტისეული* წითური თმით, მწვანე თვალებითა და მაცდური გამოხედვით.

* * *

ამ დროს მარშრუტკამ მკვეთრად დაამუხრუჭა და ჩემი წიგნის პატრონი წინა სავარძელს მიანარცხა, რამაც, რა თქმა უნდა, მის მიერ წიგნის დროებით დახურვა(მადლობა ღმერთს, ცერა თითის შიგ ჩატოვებით) და მწყრალი თვალებით მძღოლისთვის შეხედვა გამოიწვია. ვინ იცის, გულში ისიც კი გაიფიქრა – „ნელა, შეშა ხო არ მიგაქვსო“, მაგრამ უკანასკნელ მომენტში გაახსენდა, რომ ეს ფრაზა საკმაოდ მოძველებული იყო და გადაიფიქრა. სამაგიეროდ, მძღოლმა გამოიჩინა, შესაშური მძღოლურობა, უფრო სწორედ მარშრუტკის მძღოლურობა და მკვეთრი მუხრუჭის შემდეგ თითქმის ისევე მკვეთრად დაძრა მანქანა, ეტყობა, ვიღაც კოლეგისთვის უნდოდა გადაესწრო და მთელი სისწრაფით მიუყვებოდა მანქანებით გატენილ ქუჩებს. პატრულის მანქანასაც კი ისე სწრაფად ჩაუარა, შიგმსხდომმა პატრულმა მეტი რომ ვეღაფერი მოიფიქრა, ჯვარი

გადაგვწერა და მანქანა გააჩერა. არავინ იცის, როდემდე გარძელდებოდა ჩვენი გიჟური რბოლა, მგზავრებს შორის უკმაყოფილებას რომ არ ემატა და ბუნტის საშიშროება არ გაჩენილიყო, ან, შეიძლება, გადაუსწრო კიდეც ამ ჩვენმა მძღოლმა იმ მეორეს... მოკლედ, ასე იყო თუ – ისე, მე კვლავ წიგნს დავუბრუნდი. ნუ დავუბრუნდი ზედმეტად ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდა რადგან მე კი ვუყურებდი წიგნს მაგრამ მისი პატრონი არ ჩქარობდა კითხვის გაგრძელებას, ეტყობა უარყოფითი ემოციის ბოლომდე დაცხრომას ელოდა რათა სრულად დამტკბარიყო დეტექტიური ხელოვნების ამ შესანიშნავი ნიმუშით.
„მარშუტკაში“ კი კვლავ გაუსაძლისად ცხელოდა.
წიგნის პატრონი ჯიუტად არ ხსნიდა წიგნს, მარშრუტკა მონოტონურად ჯაყჯაყებდა, გამახსენდა რომ წუხელ ძალიან გვიან დავიძინე, ვიღაცეები „მარშუტკის“ ჯაყჯაყის რიტმში ბუტბუტებდნენ, მე უფრო მოხერხებულად დავჯექი, „მარშუტკა“ ჯაყჯაყებს, ვიღაცეები ბუტბუტებენ, ჯაყჯაყებს, ბუტბუტებენ, ჯაყჯაყებს, ბუტბუტებენ, ჯაყ... უეცრად „მარსრუტკაში“ ამანდა კლარა ამოვიდა, ცალ ხელში ჩიბუხი ეჭირა მეორეში საქსოვი ჩხირები და ძაფის გორგალი და ნახევრად მოქსოვილი წინდა. დანახვისთანავე გამიღიმა გვერდით მომიჯდა, ზურგით მუხის ხეს მიეყრდნო, ჩიბუხი და საქსოვი მოწყობილობა იქვე ბალახზე დაალაგა და ჯიბიდან სქელყდიანი წიგნი ამოიღო, წიგნის ყდაზე გარკვევიტ ეწერა „იდუმალი მკვლელობა“ ხოლო წარწერის ზემოთ ასევე გარკვევით ოღონდ უფრო წვრილად მიეწერათ: ამანდა კლარა ბოილი. ამანდამ წიგნი გამომიწოდა და უფრო გამიმიღიმა, ეს მე? აღმომხდა მე. ამანდამ თავი დამიქნია და მაქსიმალურად გამიღიმა. არა ვერ ავიღებ. ვთქვი რატომღაც, ამანდამ კი ბატონოს ნიშნად თავი დამიქნია ადგა და დარბაზის კარისკენ გაემართა, დავიწყე ყვირილი: არა ქალბატონო ამანდა თქვენ მე არასწორად გამიგეთ, მე უარი ზრდილობის გულისთვის გითხარით–მეთქი. მაგრამ რად გინდა პირიდან ხმა არ ამომდიოდა ვერც ფეხზე ვდგებოდი და უბრალოდ უზმოდ ყვირილს განვაგრძობდი ქალბატონო ამანდა, ქალბატონო კლარა ქალბატონო ამანდაააააა!.. ამ დროს თვალი გავახილე, თავი უკან გადამავარდნოდა და პირი დამეღო, შესაბამისად გამშრობოდა კიდეც ეს უკანასკნელი, მაგრამ არც ამას და არც კისრის ტკივილს ყურადღება არ მივაქციე ისე დავაცხერი თვალებით „ჩემს“ წიგნს. პირველი რაც შევნიშნე უკვე წაკითხული გვერდები საგრძნობლად გამრავლებულიყო, ნეტა რამე მნიშვნელოვანი ხომ არ გამოვტოვე, გამიელვა მაშინვე თავში და გადაშლილი გვერდს სწრაფად მიმოვავლე თვალი.

* * *

... ღმერთო ჩემო!!! ღმერთო ჩემო!!! ის მკვდარია...
... სახეზე ვარაფერს შეატყობდით, მისი მიმიკა არც კმაყოფილებას და არც უმკაყოფილობას გამოხატავდა...
... ვის რაში დასჭირდა ნეტა? – წაიჩურჩულა ნახევრად აღშფოთებულმა და ნახევრად შეშფოთებულმა...
... პოლიციას ვერ გამივიძახებთ დიდთოვლობის გამო ელსმენის ხაზები დაწყვეტილია...
... ბატონი მიულერის იმედად ვართ, გამიგონია ბევრი ჩახლართული საქმე გაუხსნიაო...

* * *

მოკლედ გასაგებია ვიღაცა მოკლეს – მიულერი იძიებს. მაგრამ ვინ მოკლეს, რა ვითრებაში მოკლეს ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცი... რო ვთხოვო ამ კაცს ეს წიგნი არ მათხოვებს ვითომ, რა უნდა ერთ საათში წავიკითხავ, არა არა არ მათხოვებს რაღაცნაირი კეფა აქვს, კარგი სხვა რა გზაა განვაგრძობ კითხვას ეგებ გზადაგზა გაირკვეს რამე.

* * *

მთელს სახლში სამარისებური სიჩუმე იდგა, სტუმრებიცა და მასპინძელიც ცდილობდნენ ჩურჩულით ესაუბრათ და ფეხაკრეფით ევლოთ იმგვარი ზემოქმედება მოეხდინა ამ საშინელ ფაქტს მათს გუნება–განწყობილებაზე.
– ესე იგი თქვენ ამტკიცებთ რომ პირველად ნახეთ ეს მამაკაცი თქვენს ცხოვრებაში? – მისტერ მიულერი უკვე საქმეს შედგომოდა და დაკითხვა ლაქიასგან დაეწყო. საბრალო რობერტი, სწორედ ასე ერქვა ლაქიას, ისე დაიბნა როცა მასთან მიულერი მივიდა, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა თქვენთან სერიოზული სასაუბრო მაქვსო, რომ პერანგის ზედა ღილიც კი შეიხსნა რაც მანამდე არასოდეს გაუკეთებია საღამოს თერთმეტ საათამდე.
– არა რასა ბრძანებთ სერ, სახეზეც კი არ მეცნობოდა ცხონებული. – აკანკალებული ხმით პასუხობდა რობერტი.
– და სერ სომერვილს რამდენად ახლოს იცნობდით? – თითქოს ისე, სხვათაშორის ჩაეკითხა მიულერი.
– სერ სომერვილი ხშირად სტუმრობდა მისის ლარსონს, ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო, ჩვენებური კაცი უყვარდა, ყოველთვის ცდილობდა რაღაცით ხელი გაემართა. – რობერტს ცრემლიც კი მოადგა თვალზე – ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი რომ ასეთ რამეს ჩაიდენდა, ისეთი მორწმუნე იყო, ყოველ კვირას ეკლესიაში დადიოდა, ასე ამბობდა ჩემს საგვარეულო აკლდამაში უნდა დამსვენონ ასი წლის შემდეგო და ახლა რა გამოვიდა? თვითმკვლელს ვიღა დაასვენებს ეკლესიის ეზოში?

* * *

ესე იგი რას მივხვდი ჩემი ჩახურებული ტვინით – ვიღაც უცნობი მოუკლავთ და სვარაუდოდ ეს სერ სომერვილს ჩაუდენია თან თავიც მოუკლავს, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად ვერ იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისტერ მიულერი თუ ჰერ მიულერი თუ როგორ ეძახიან ავსტრიელებს, გამოძიებას არ წამოიწყებდა. ნელ–ნელა ყველაფერი დალაგდა, ერთი ის ვერ გავიგე ვინ მოკლეს, ვიღაც უცნობიო როგორც მივხვდი, ვაა, გავაგრძელე, გავაგრძელე.
* * *

– თქვენ მაგაზე არ იდარდოთ მისტერ რობერტ, მოუხერხებენ რამეს არ დატოვებენ დაუმარხავს. – თითქოს ქილიკითაც კი თქვა მისტერ მიულერმა.

– ჰო, არ დარჩება, მაგრამ მას უნდოდა ეკლისიასთან.
– ერთი ეს მიბრძანეთ რობერტ, სერ სომერვილს მწარე ენა ჰქონდა, თქვენ არ გამხდარხართ მისი მსხვერპლი?
– მისი მსხვერპლი ყველა გამხდარა ჩემო ბატონო – რაღაცნაირად ნაღვლიანად ჩაიღიმა რობერტმა და მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო სხაპასხუპით დაამატა. – მაგრამ გულში წყენა არასოდეს ჩამიდევს ბატონო, არ ვარ ასეთი კაცი, ერთი წამით მეწყინება და უმალ გადამივლის.
– გასაგებია, გასაგებია.
– თქვენ ხომ არ ფიქრობთ რომ...
– ჩვენ ყველაფერს ვფიქრობთ, ეს ჩვენი მოვალეობაა.
– რასა ბრძანებთ ბატონო ჩემო, როგორ გავბედავდი? და თან ეს ხომ თვითმკვლელობა იყო, იმ მეორე გარდაცვლილს კი საერთოდ არ ვიცნობდი აკი მოგახსენეთ. – შეშინებული ჩურჩულებდა საბრალო ლაქია.
– დამშვიდდით რობერთ, აღელვება არ არის საჭირო, კიდევ ერთ კითხვაზე გამეცით პასუხი, როდის ნახეთ უკანასკნელად სერ სომერვილი და მისტერ ჯინგლზი, ანუ მოკლული რომელზედაც თქვენ აცხადებთ რომ მანამდე არასოდეს გინახავთ.
– როდის ვნახე? როდის ვნახე და სერ სომერვილი გუშინ ვნახე საღამოს ცხრა საათისათვის საკუთარი ოთახის კართან იდგა და ისე აჩხაკუნებდა თითქოს საკეტი გაეჭედაო და კარს ვერ აღებსო შევძახე კიდეც დახმარება ხომ
არ გჭირდებათ სერ მეთქი, სერ სომერვილმა არაფერი მიპასუხა და...

* * *

რა ჭირს ამ კაცს რატომ არ შლის შემდეგ გვერდზე? ე გადაშალე! დაეძინა?
ოდნავ წინ გადავიხარე არა თვალები აშკარად ღია აქვს, აბა რა ხდება? ასე ნელა არავინ არ კითხულობს ათი წუთია უკვე ბოლო ფრაზას ვკითხულობ, „არაფერი მიპასუხა და“, „და მიპასუხა არაფერი“, „მი“, „პა“ აუუ გადაშალე რა, აუ ფანჯარაში იყურება „სუ“ ხა“ აუუ ფიქრებშია წასული!
სკამს ოდნავ შესამჩნევად მივარტყი მუხლი ეგებ გამოფხიზლდეს მეთქი, თითქოს არც არაფერი მომხდარაო ისე განაგრძო ფანჯარაში ყურება დაჭყეტილი თვალებით, მისი უაზრო ფიქრები სადღაც, აბსოლუტურად უსარგებლო სივრცეში დაფრინავდა და არაფრით უნდოდა დაბრუნებოდა ჩემს ამანდას, ჩემს კლარას. გამოფხიზლდი!!!გადაშალე!!! მთელ ხმაზე ყვიროდა ჩემი ორგანიზმი, რა თქმა უნდა ხმის იოგების გამოკლებით, მაგრამ ამ საბრალო ადამიანებს სხვა ხომ არაფერი ესმით გარდა ხმის იოგების მიერ გამოცემული ხმებისა, გადაშალე შე არარაობავ!!! ვინ ხარ რომ ამანდასთან არ მიშვებ?! ვინ მიგდიხარ შე საბრალო?! ვინ ჩაგიგდო ხელში ეს ჭმინდა წიგნი შე მწვალებელო!!! გადაშალე!!! გადაშალე მეთქი!!!
კაცი ჯიუტად არ შლიდა, რაღა დამრჩენოდა ერთი ორმოცჯერ კიდე წავიკითხე „არაფერი მიპასუხა და“ და მეც ფანჯარაში გავიხედე.
„მარშრუტკა“ ნელა, ტაატით მიუყვებოდა მანქანების მდინარეს, მდინარის ნაპირებზე კი ადამიანები დაბორიალობდნენ, როგორც მაშინ მეგონმა აბსოლუტურად უმიზნოდ და გაუაზრებლად, საით მიდიოდნენ რისკენ ილტვოდნენ როცა ამანდა კლარა ბოილის

„იდუმალი მკვლელობა“ აქ, ჩემს თვლიწინ იდო... ე ის კაცი მაიკროფტ მიულერს გავს, კი ნამდვილად ეგ არის, გვერდით კი პოლკოვნიკი უოტსონი მიყვება, აშკარად სამხედრო მიხვრა–მოხვრა აქვს. აბა დანარჩენებსაც თუ ვიპოვი, აი ის უკნიდან მის ჰადსონს გავს, ნუ წითელი თმა აქვს, აბა შემობრუნდი... ფუ ბებერი ყოფილა. აუ გადაშალე რა და უცებ გენიალურმა აზრმა გამიელვა თავში.
– უკაცრავად რომელი საათია – მივმართე ჩემს წინ მჯდომ წიგნის პატრონს. პირველ ჯერზე ვერ გაიგონა, მაგრამ უკან არ დავიხიე და წინგნის პატრონს ახლა უკვე მხარზე შევეხე, კაცი შეცბა უკან გამომხედა ისეთი დაბნეული თვალებით ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე წიგნი ხომ არ ვთხოვო მაინც ვერაფერს გაიგებს ისე მომცემს მეთქი, მაგრეამ უკანასკნელ წამს გამბედაობამ მიღალატა და ისევ, ჩემთვის აბსოლუტურად უსარგებლო ინფორმაცია მოვითხოვე
– უკაცრავად, რომელი საათია?
– ა, საათი, გაჩერებულია.
– გმადლობთ.
ჩემმა მეთოდმა გაამართლა, კაცმა თვალები მოისრისა და წიგნს დახედა. თავიდან ვერ მიხვდა ან კარგი, ვერ გაიხსენა სად შეწყვიტა კითხვა, ორივე გვერდს თვალი გადაავლო, სადღაც დიდხანს შეჩერდა სადღაც ცოტა ხანს და ბოლოსდაბოლოს აღმოაჩინა წყვეტა.

* * *

იმწამს გაღებულ კარში შეიმალა, რაც შეეხება ბატონ ჯინგლზს, ასე ბრძანეთ არა, მე ის სულ ორჯერ ვნახე პირველად როცა კარი გავუღე, თოვლისგან ერთიანად დასველებულიყო და შემცივნებულიც ჩანდა და მეორედ როცა სააბაზანოდან გამოსულს მისი ოთახი ვაჩვენე და სუფთა თეთრეულიც მივეცი, მერე კი ეს ამბავი მოხდა.
რობერტმა თავი ჩაქინდრა და ჩურჩულით დაიწყო მოთქმა: „ეს რა დაგვემართა ეს რა დაგვემართაო“.
– კარგით რობერტ ჯერჯერობით თქვენთან მოვრჩით, დიდი მადლობა დახმარებისათვის. – წარმოსთქვა მიულერმა ხელების ფშვნეტით.
– შემიძლია წავიდე? – გამოცოცხლდა რობერტი.
– კი ბატონო , მიბრძანდით.
– გმადლობთ, დიდი მადლობა, ხომ იცით მე არაფერ შუაში ვარ მე უბრალო მსახური ვარ ბატონო ჩემო. – სხაპასხუპით მიაყარა რობერტმა კერძო დეტექტივს და თან უკანსვლით კარისკენ დაიხია და რადგან თვალები კეფაზე არ ჰქონდა მოულოდნელად შემოსულ პოლკოვნიკ უოტსონსაც დაეჯახა.
– ეშმაკმა დალახვროს, რას ჩადიხართ?! – სიმწრისგან წამოიყვირა პოლკოვნიკმა, რომლისთვისაც რობერტს უნებურად ფეხი დაეგა.
– მაპატიეთ მაპატიეთ – უკვე ღია კარიდან შემოიძახა რობერტმა და მსწრაფლ მიიმალა.
– ძალიან ჩაიხლართა საქმე უოტსონ, მე ვიტყოდი მეტისმეტადაც – მიმრთა ახალშემოსულს ბატონმა მიულერმა.
– ვერ დავიჯერებ რომ თქვენნაირი დიდი დეტექტივი ჩიხში შესულიყო. – თავი გადააქნია პოლკოვნიკმა უოტსონმა და იმ სკამზე მოკალათდა წელან რომ რობერტი იჯდა.

– არა ჩიხამდე ჯერ საქმე არ მისულ, მაგრამ სახლის თითოეული მცხოვრები და სტუმარი გამოვკითხე და ძაფის გორგალის წვერს ჯერ ხელი ვერ ჩავავლე, ერთი მითხარით უოტსონ, იარაღი ხომ თან გაქვთ.
– იარაღი მე მუდამ თან მაქვს. – ამ სიტყვებით პოლკოვნიკმა უოტსონმა თავის სამოქალაქო ტანისამოსის გულისჯიბიდან რევოლვერი ამოიღო.
– შეგიძლიათ რამდენიმე დღით დამითოთ?
– ასე სერიოზულადაა საქმე?
– ჯერ არა, მაგრამ შეიძლება იყოს, ხომ გატენილია? – უოტსონმა რევოლვერი მარჯვედ გადახსნა, დარწმუნდა რომ ყველა ტყვია დოლურაში იდო და მიულერს გაუწოდა.
– ზუსტად ისე როგორც ამერიკულ ფილმებშია. – შენიშნა მიულერმა და ოთახიდან გავიდა.

* * *

– ბიჭო მთელი წიგნის მოყოლას აპირებ?
– არა კარგად ყვება რა გინდა?!
– რას მეკაიფებით შეჩემა.
– არ გეკაიფები, ისე ყვები რო მგონია წიგნს ვკითხულობ, შენ არ გგონია?!
– კი კი მეც მგონია მაგრამ კეთილი ინებოს ამ ლიწერატორმა და აგვიხსნას რატომ გამოგვყარა სამსახურებიდან, რატომ მოგვყარა ამ ზაბეგალოვკაში და რატომ არ გვყიდულობს მეორე ბოთლ არაყს?ჰო და კიდე ადამიანური ენიტ გველაპარაკოს, წიგნის კითხვა სახლშიც მეყოფა
– კაი ჰო, ისა... დაიკო კიდე ერთი მოგვიტანე რა, ესეთი... მოკლედ რა ხდება ძმებო წავიკითხე ეს წიგნი თითქმის ბოლომდე...
– ერთი წუთი შეგაწყვეტინებ რა, მართლა მოგეწონა ეგ დეტექტივი?
– მაცალე! ჰოდა რას ვამბობდი ამომივარდა თავიდან, ა ჰო, მოკლედ წავიკითხე თითქმის ბოლომდე, გავიგე ვინ მოკლეს ვინ ცოცხალია ვის რა ბრალდება მარა აი ბოლო სცენა რო არი ხოლმე ხო იცი დეტექტივებში.
– კი მე ვიცი და ეს დებილია, მერე?
– ჰოდა აი ეგ ბოლო სცენა უნდა დაწყებულიყო ანუ მიულერი რომ ყველას დასვამს და ებაზრება რომ აიო სინამდვილეში ასე მოხდაო და დამნაშავე ესა და ეს არიო მაგ დროს ის ტიპი არ ჩავიდა ‘ მარშუტკიდან“.
– აუ მივხვდი, დებილი ეს კი არა შენ ხარ! რა ჩავიდა, ვერ ჩაყევი?!
– და რო ჩავყოლოდი რა წიგნი წამერთმია და გავქცეულიყავი?
– აბა რა უნდა გექნა? აუ ყვერი ხარ რა, მოდი ყვერებს გაუმარჯოს!
– გაუმარჯოს რა.
– ეე მომისმინეთ რა ბოლომდე, იმიტო არ მინდოდა არყის მოტანა.
– მოიცა დავლევ და გისმენ, აჰა გისმენ, მოიცა აუ ხინკალი გაგვიცხელეთ რა, და მენიუ მოგვიტანეთ რამეს დავამატებთ, ჰო გისმენთ
– შენც ხო მისმენ.
– გისმენ ჰო მეც გისმენ, ბიჭო ამას მგონი მართლა დებილი ვგონივარ ე.
– ჰოდა რა მინდა გთხოვოთ მოდი ეს საქმე მივიყვანოთ ბოლომდე.

– ანუ!
– ანუ გამოვიძიოთ რა.
– მოდი გაუმარჯოს შიზოფრენიკებს, ჩვენი ძმაკაცი შიზოფრენიკია მაგრამ მაგარი კაცია და თან ჩვენი ძმაკაცია, გაუმარჯოს შიზოფრენიკებს კარგად იყვნენ.
– გაუმარჯოს რა.
– ჰო კაი რა გაიბუტე!
– არ გავიბუტე
– აბა სამადლობელს რატომ არ სვამ?
– ეე დავაი რა.
– კაი ვთქვათ დავიწყეთ გამოძიება, მე ვიქნები შრელოკ ჰოლმსი, გენიალური დეტექტივი ეს იქნება დოქტორ უოტსონ, საშუალო მკითხველზე ოდნავ სულელი მაგრამ ერთგული და შენ ვინ იქნები, არტურ მაწ ივო კონან დოილ?
– ბიჭო არავინ არ ვიქნები პროსტა გამოვიძიოთ რა, ვერ დავიძინებ თუ ვერ გავიგე ვინაა მკვლელი, ჩემი ძმები არ ხართ?
– ჰო კაი ვცადოთ ოღონდ ერთიც დავლიოთ ედგარ პოს გაუმარჯოს.
– გაუმარჯოს რა.
– აბა რა გვაქვს მოკლედ ჩამომიყალიბე და ბეზ ხუდოჟესტვინნასწი რა შენი ჭირიმე.
– მოკლედ გვყავს დეტექტივი მიულერი, გვაყვს ამ დეტექტივის დამხმარე პოლკოვნიკი უოტსონი.
– რა ნაცნობი გვარია.
გვყავს, კი არადა გვაქვს ორი გვამი ერთი სერ სომერვილისა რომელსაც იარაღი უპოვეს ხელში და შუბლი აქვს გახვრეტილი
– რომელ ხელში?
– მარცხენა ხელში და ამან დააეჭვა მიულერი რომ ეს თვითმკვლელობა არ იყო.
– თხუპნია ყოფილა ეგ შენი მიულერი, სომერვილი ცაცია იყო, ეს მკვლელმაც იცოდა და მაგიტომ ჩაუდო რევოლვერი მარცხენა ხელში.
– ორი კითხვა.
– სპრშივაიწე ვატსონ.
– საიდან ვიციტ რომ სომერვილი ცაცია იყო? და საიდან ვიცით რომ ის მოკლულია და არა თავი მოიკლა?
– ცაცია რომ იყო იქიდან ვიცით რომ ჩვენმა ძვირფასმა არტურმა თხრობის დასაწყისში გვამცნო რომ სომერვილს ბრენდით სავსე ჭიქა, ისე რა საინტერესოა რატომ არ იცოდა არისტოკრატმა სერ სომერვილმა რომ ბრენდით ჭიქას არ ავსებენ, ნუ კაი ამაზე მერე, სწორედ რომ მარცხენა ხელში ეჭირა, საიდან ვიცით რომ სომერვილი მოკლულუია?ამ კითხვაზე ჯერ პასუხი არ მაქვს ეს ჩემი ინტუიციაა, მაგრამ არ იდარდოთ ჩემო მეგობრებო არც ერთი დასკვნა ჩემს ინტუიციაზე დაყრდნობით არ იქნება გამოტანილი ყველაფერს დავასაბუთებ განაგრძეთ, კონან ვარვარ თუ ვინც ხართ.
– და მეორე გვამი რომელიც სომერვილის გვერდით ეგდო, მაგრამ მერე საერთოდაც გაქრა.
– ვის ეკუთვნოდა მეორე გვამი?

– ა ჰო ეგ მნიშვნელოვანია, მეორე გვამი ეკუთვნოდა სახლში შემთხვევით შემოხეტებულ კაცს, რომელიც საღამოს ჟამს მოვიდა, განაცახადა რომ გზა აებნა ქარბუქში, რამდენიმე მილის იქით მანქანა გაუფუჭდა და ფეხით მოადგა მისის ლარსონის სახლს.
– მერე?
– რა მერე?
– რა რა მერე აქ ყველაზე მთავარია ეს კაცი რომ დაინახეს ვის რა რეაქცია ქონდა.
– ა, ჰო, ნუ რავიცი, მიულერს რა თქმა უნდა არავითარი, მისის ლარსონმა მსახხურებს უბრაძანა სუფთა თეთრეული და აბაზანა გაუმზადეთო, ოღონდ ჩვეულებრივზე მკაცრად გამოუვიდაო, მისტერ ზელვეგერი ოთახიდან გავიდა ახლავე დავბრუნდებიო, სერ სომერვილმა ახალმოკიდებული ჩიბუხიდან თუთუნი გამოყარა და თავიდან გატენაო, მის ჰადსონი კარგ ხასიატზე დადგაო, მის დორიგანი? ჰო მის დორიგანიც გავიდა თითქმის მაშინვე როგორც კი მისტერ ზელვეგერი გავიდა.
– აჰა ნუ გასაგებია, საკმაოდ პრიმიტიულია ეს ყველაფერი, ახლა უყურე, მის დორიგანი და მისტერ ზელვეგერი საყვარლები არიან და ზელვეგერმა არეულობით ისარგებლა და დორიგანი დაიმარტოხელა, მის ჰადსონი მაცდური ქალიაო ანუ ლილიტის პონტში
– ლილიტი ვინაა?
– ლილიტი ვინაა ძვირფასო უოტსონ და... მოკლედ მერე აგიხსნი ერთი ნაშაა რა. ამიტომაც გაუხარდა ახალი მამაკაცის გამოჩენა სახლში, მისის ლარსონის სიმკაცრე უთუოდ დაუპატიჟებელი სტუმრის გამოჩენამ გამოიწვია, ხო იცი არა ინგლისი მონარქია კონსერვატიული სოციუმი. მოიცა პოლკოვნიკი უოტსონი გამოგვრჩა. პოლკოვნიკი უოტსონს რა რეაქცია ქონდა?
– ა ჰო პოლკოვნიკი უოტსონი სასადილო ოთახში არ იმყოფებოდა როგორც, მივხვდი ერთი საათით ადრე გავიდა თავი შეუძლოდ იგრძნოო, მგონი შაკიკი აწუხებდა.
– შაკიკი მშვენიერი დაავადებაა, არ დავლიოთ ერთიც? შაკიკზე გამახსენდა ჩვენს დედებს გაუმარჯოს.
– გაუმარჯოს.
– გაუმარჯოს.
– ვინ დაადასტურა გვამები რომ გვამები იყვნენ.
– უი, მაგაზე არაფერი ეწერა, მარა გული ქონდა გახვრეტილი იწვა თვალღია და არ სუნთქავდაო და...
– კარგი ჰო ეგ მწერლის შეცდომებია ეგ არ გვაინტერესებს, კიდევ რა გვაქვს?
– კიდევ გვყავს უამრავი ხალხი, ყველა ეჭვმიტანილია რადგან ორმაგი გასროლის მომენტში ყველა თავის ოთახში იყო, მიულერი თითქმის ბოლო მივიდა და რადგან ყველა უკვე შეკრებილიყო.
– მოკლედ როგორც ვთქვი ყველაფერი პრიმიტიულადაა თან ძალიან, ყველა ნიუანსი არ ვიცი მაგრამ რა გამოიკვეთა, ეს ჩვენი სომერვილი ნამეტანი მორწმუნე ყოფილა, და საგვარეულო აკლდამაში უნდოდა დაკრძალვა აქ იმალება სწორედ შურისძიების მთავარი დედაარსი, ის ჩვენი მისტერ ჯინგლზი, სწორად მახსოვს ხო, შემთხვევით არ მოხვედრილა ამ სახლში, იგი შურის საძიებლად იყო, ეს იცოდა სერ სომერვილმა რომ მას ვიღაც მოაკითხავდა და სწორედ ამ სახლში მოაკითხავდა ამიტომ იყო ცუდ ხასიათზე და ამიტომ დარდობდა რომ ვერ მიდიოდა, მაგრამ სერ სომერვილი ვერ წარმოიდგენდა რაოდენ სასტიკი შურისძიება ელოდა, მას ეგონა რომ უბრალოდ

მკოლავდნენ, ის კი ისე მოკლეს რომ ყველას თვითმკვლელობა გონებოდა და თან მაინც კანტროლკის პონტში ვითომ სხვა კაციც მოკლა, აქედან გამომდინარე მას ვერსაოდეს დაასაფლავებენ საგვარეულო სასაფლაოზე ეკლესიის ეზოში, ეს იყო და ეს, ის გვამი რატომ გაქრა არ ვიცი მე გავედი, მეჩქარება. შენ რას იზამ დარჩები?
– არა გამოვდივარ მეც.
ორი გავიდა ერთი დარჩა, დარჩა რა, დავრჩი. აუ რა მიქნა ეს ამ ჩემისამ ძმაკაციც ასეთი უნდა, ამანდაში ჩამიფურთხა, ეს რა გამოძიება იყო? არადა ვიცი მართლა ეგრე იქნება როგორც ამან თქვა, თფუუ ფეხბურთის ანგარიშს რომ წინასწარ გეტყვიან ისე ვარ.
ამ ამბის შემდეგ სულ რამდენიმე დღე გავიდა, ცხელი ქალაქის დარბილებულ ქუჩებას მივუყვებოდი ნელი ნაბიჯით, ნაბიჯით იმიტომ რომ „მარშუტკაში“ ცხოვრებაში აღარ ჩავჯდები და ნელით იმიტომ რომ არსად არ მეჩქარება, მემზესუმზირესთან მივედი გამყიდველი კი არა ენის გასატეხია.
– ოცი თეთრის.
მემზესუმზირემ ხელის მარჯვე მოძრაობით შეავს ყველაზე პატარა ჭიქა რაც კი ადამიანის გონებას შეუქმნია შავშავი მარცვლებით და ქაღალდის პარკში ჩამიყარა. ნაყინუ უნდა მეყიდა გავიფიქრე მე და პირველი შავბნელი მარცვალი გავკვნიტე, რბილმა და მძაღე გულმა ხასიათი გამიფუჭა. მთელი პარკი მზესუმზირა მოვისროლე, მაგრამ აქ მოხდა ის რასაც არავინ ელოდით, მე კი ველოდი, უფრო სწორად იმედი მქონდა, უფრო სწორად ვოცნებობდი ამაზე მაგრამ ვერსადოდეს წარმოვიდგენდი თუ ამისრულდებოდა, მიფრინავს ეს მზესუმზირიანი პარკი და სწორედ ისე როგორც ბოლოდროინდელ ამერიკულ ფილმებშია ხოლმე კადრი შენელდა, მაგრამ შენელებაც არის და შენელებაც – აშკარად ვხედავ რომ ფურცელი რომლისგანაც ეს ქაღალდის პარკი გაეკეთებინა უმშვენიერეს და უსათნოეს ქალბატონს, ძალიან ახლობელია ჩემთის, ძალიან ნაცნობი, ჩემი სულის ნაწილია ფაქტობრივად... ეს ხომ ჩემი ამანდაა...
მივვარდი, სასწრაფოდ გავშალე ქაღალდის პარკი და... ისაა კი ზემოთ აწერია ამანდა კლარა ბოილი, მეორე მხარეს კი ასევე ზემოთ „იდუმალი მკვლელობა“, იქვე ასფალტზე ჩავჯექი და ბოლო ორი გვერდის, უფრო სწორად გვერდნახევარის კითხვა დავიწყე.

* * *

არა, არც თქვენ ფროილაინ ჰადსონ თუმცა კი გქონდათ საკმაო მოტივი, მაგრამ არც იმდენად გულქვა ბრძანდებით რომ სერ სომერვილზე შურისძიებისათვის უდანაშაულო მისტერ ჯინგლზი მიგეყოლებინათ ზედ.
– მაშ ვისზე გაქვთ ეჭვი აღარ იტყვით?! – შესძახა მისტერ ზელვეგერმა.
– მკვლელი პოლკოვნიკი უოტსონია!
რა? რას ლაპარაკობთ აღშფოთების ხმები გასიმა აქეთ იქიდან.
– არ გაინძრეთ თორემ გესვრით! – შეძახა პოლკოვნიკმა, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და მიულერს მიუშვირა. – თქვენ ვერაფერს დამიმტკიცებთ.
– ყველაფერი ისედაც ნათელია უოტსონ, თქვენ გქონდათ მოტივი, თქვენ არ იყავით მაშინ იქ როცა სროლის ხმაზე ყველა შეიკრიბა, ოთახში შესვლისას კი ფანჯარა დაგხვდა ღია, სერ სომერვილს საშინლად ეშინოდა გაცივებისა ამიტომ ის ფანჯარას ღიას არ დატოვებდა, ესე იგი ამ ღია ფანჯრიდან მკვლელი გადაძვრა. და მკვლელი

გახლდათ ის ვინც ვერ მოასწრო სროლის ხმაზე დროულად მოსვლა, და ბოლოს თქვენ ერთადერთი ხართ ამ სახლში ვისაც რევოლვერი აქვს.
პოლკოვნიკმა უოტსონმა გადაიხარხარა, რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო სავარძელში მოხერხებულად მოკალთადა და მიულერს მიმართა.
– არ ვიცი შეიძლება თქვენთან გერმანიაში ასე ხდება მკვლელობების გამოძიება, მაგრამ ჩვენში საქმე სულ სხვაგვარადაა. რამდენიმე კითხვაზე მიპასუხეთ ბატონო მიულერ, ჯერ ერთი რად მინდოდა ფანჯრიდან გადახტომა, შემეძლო იქვე დავრჩენილიყავი და მეთამაშა თითქოს მეც სროლის ხმაზე გამოვედი, მეორეც ნუთუ არ გაგიჩნდათ კითხვა სად გაქრა გვამი და მესამე, რევოლვერი? – პოლკოვნიკმა კვლავ ამოიღო ჯიბიდან რევოლვერი, მეორე ჯიბიდან ცხვირსახოცი კარგად გააპრიალა იარაღი და ოთახის შუაგულში მოისროლა. – რევოლვერი ყველა ჩვენგანს შეიძლებოდა ჰქონოდა.

* * *

მიდი უოტსონ მიდი, ეს რა მაგარი ვინმე ყოფილა ე, სასწრაფოდ ამოვაბრუნე ამონახევი გვერდი და ღმერთო ჩემო...

* * *

„იდუმალი მკვლელობა“ დიდი ბულგარელი მწერლის ამანდა კლარა ბოილის ბოლო და დაუსრულებელი დეტექტიური რომანია...

* * *

მოიცა რას ქვია დაუსრულებელი?! რა დაუსრულებელი?! ერთი ათჯერ მაინც გადავატრიალე ამონახევი გვერდი აქეთ იქით, მაგრამ ამაოდ დასასრული ვერსად აღმოვაჩინე. ბოლოსიტყვაობა გადავიკითხე რამდენჯერმე, იქნებ რამე მინიშნება იყოს მეთქი, მაგრამ იქიდან მხოლოდ ის შევიტყე, რომ ამანდა სამოცდაათიან წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სოფიაში, შესაბამისად ბურჟუაზიულ წყობას ამასხარავებდა და რომ რაღაც ბულგარული პრემიების ლაურეატიც კი იყო, არავითარი ვერსია როგორ შეიძლებოდა დასრულებულიყო რომანი საერთოდ არავითარი. იმედი რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ ჩაისახა, მოკვდა, იგი რეალობის რკინის ხელსაწყოებმა(არ ვიცი რას რაქვია) ნაწილნაწილ დაჩხეს და გულიდან ამომაცალეს. ეს რა მიქენი ამანდა?!

* * * * * * * * *

პოეტი ვლადიმირ დოროვი ჩვეულებისამებრ გვიან ადგა, ხალათი მოიცვა და სამზარეულოში გავიდა. რადიო რომელიღაც პარტიული მუშაკის მოხსენებას გადმოსცემდა, ამინდი კი პირიქით მშვენიერი იყო და არაფერს ცუდს არ წინასწარმეტყველებდა.

– ბარბარა! – დაუძახა ვლადიმირმა ცოლს.
– რა იყო? – მოისმა ცოლის ხმა აბაზანიდან.
– ჩემი დეტექტივის ფინალი მოვიფიქრე.
– რა დეტექტივის? ისევ იმაზე ხარ ჩაციკლული? ქალის სახელით აპირებ გამოქვეყნებას?
– მაგაზე ხომ ვილაპარაკეთ?
– ვილაპარაკეთ კი, მაგრამ ვერაფერი გაგაებინე!
– ბარბარა, გაინტერესებს თუ არა?
– ჯერ მიპასუხე რა საჭიროა ეს მასკარადი?
– მილიონჯერ აგიხსენი, მე პოეტი ვარ და არა იაფფასიანი დეტექტივების ავტორი, ჩემი სახელით ვერ გამოვაქვეყნებ, ყველა მიცნობს, ყველა პატივს მცემს, არ შეიძლება დავუშვა რომ ვინმე მიხვდეს, ათასი ჩასაფრებული მელოდება, ოღონდ კი ფეხი წამიცდეს ამიტომ ჯობს თავი დავიზღვიო და ქალის ფსევდონიმით გამოვაქვეყნო.
– და ეს სახელი საიდან მოიგონე ამანდა კლარა?ღმერთო ჩემო მე ვარ ამანდა კლარას ცოლი!
– ამანდა და კლარა ერქვათ ბებიაჩემის დებს, მაგათი გაზრდილი ვარ ფაქტობრივად.
– შენ ჩემი საერთოდ არ გესმის, ჩემი გრძნობები ფეხებზე გკიდია
– რა დროს შენი გრძნობებია ბარბარა? მისმინე რა გენიალური ფინალი მოვიფიქრე.
– წავალ შენგან!
– ვერსადაც ვერ წახვალ იმიტომ რომ იცი, რომ წახვიდე მოვკვდები, ეს კი უკვე მკვლელობა იქნება. – გაიღიმა ვლადიმერმა.
ბარბარა ოთახიდან გავიდა.
ვლადიმერმა ნახევრად ყვირილით დაიწყო:
– მოკლედ გიყვები, ნამდვილი მკვლელი პოლკოვნიკი უოტსონია, ის სინამდვილეში პოლკოვნიკიც კი არ არის ის მსახიობია, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, სომერვილიც ვერ ხვდება, რადგან იგი გრიმშია, და უკვე რამდენიმე წელია ამათთან არის და რადგან ის მსახიობია არ უჭირს გარდასახვა ხვდები ბარბარა? ჰოდა ის მისტერ ჯინგლზი, ვითომ რომ გზა აებნა, ასევე პოლკოვნიკი იყო სწორედ ამიტომ არ იყო იგი ოთახში როცა ჯინგლზი გამოჩნდა, გაიგე? თავის ტკივილი მოიმიზეზა თავის ოთახში ავიდა, გრიმი გაიკეთა, ფანჯრიდან გადაძვრა და კარს გარედან მოადგა, მერე მკვლელობა რომ ჩაიდინა იქაც ვითომ თვითონაც მოკვდა და მაგიტომაც არც იმ ხალხში არ ჩანდა, არადა იქვე ეგდო, ესეც შენი გვამის გაუჩინარების მიზეზი, ა ხო მაგარია ბარბარა?
საძინებლიდან ბარბარა გამოვიდა, ხელში ჩემოდანი თვალებში კი იმედგაცრუება და სევდა ჰქონდა.
– მე წავედი ვლადიმირ! – თქვა ბარბარამ.
და წავიდა.

მაია კილაძე

ყურადღებიანი სინოპტიკოსის დასკვნები, ამოკრეფილი მისივე მემუარებიდან.

თბილისი, კონკრეტული წლის კონკრეტული დღე და მიახლოებითი რიცხვი

<u>რა ხდება მაშინ, როდესაც ამინდი ირევა</u>

რაც უფრო ძლიერად ქრის ქარი, უფრო სწრაფად ვრცელდებიან ჭორები და მით უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო სარეცხის დაფენისას.

<u>სარეცხის დაფენისას საერთოდ საჭიროა სიფრთხილე</u>

მეზობლებმა ნათლად დაინახეს, რომ შუახნის ქალბატონი, ზუსტად დღის რომელიღაც საათსა და 47 წუთზე ავსებდა რა მეხუთე თოკს, რომელზეც მხოლოდ ლურჯი სარჭებით ჰფენდა სარეცხს, თავქვე გადაეშვა აივნიდან. ვიდრე ქალბატონი შვეული მიმართულებით მიექანებოდა, აივნის ქვეშ სასწრაფოდ შეიკრიბნენ მოწმეები და თავაწეულნი ელოდნენ ქალბატონის მიწაზე, უფრო სწორედ კი ასფალტზე დაშვებას. მაგრამ ქალბატონი მტკიცე ხასიათის აღმოჩნდა და არ დაეცა. მოწმეების ჩვენებით, თბილისში (ევროპული და სხვა საზღვარგარეთული დედაქალაქებისგან განსხვავებით) აივნებთან ახლოს შრიალებენ ხეები. აივნიდან გადავარდნილი ქალბატონი ხეზე აღმოჩნდა, ზემოდან გადმოხედა ქუჩას, რომელზეც გაატარა ახალგაზრდობა, ერთი ხმამაღლა დაუსტვინა და ოთახის ფლოსტები, სარეცხის დაფენისას რომ ეცვა, ძირს ჩამოყარა, თვითონ კი ციყვებთან დარჩა საცხოვრებლად.
შუახნის ქალბატონი ამ შემთხვევამდე არ ყოფილა შენიშნული კუდიანობაში და გადასახადებსაც დროულად იხდიდა. კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა, თავი დაეზღვიათ და შუახნის ქალბატონის ბინა ეკურთხებინათ. ამდენად გამოყენება მოეძებნებოდა იმ ფულსაც, რომელიც აივნიდან გადმოვარდნილი შუახნის ქალბატონის დასაკრძალად შეაგროვა არანაკლებ შუახნის და აგრეთვე ქალბატონმა. ეს უკანასკნელი აქტიურობით გამოირჩეოდა ეკლესიაშიც, სადაც მგალობლებზე უფრო ხმამაღლა და რა თქმა უნდა, შეცდომით გალობდა ყოველ შაბათ საღამოს და კვირა დილას.
ინაიდან აივნიდან გადმოვარდნილი ქალბატონის ცხედარი ვერ დაითანხმეს, ხიდან ჩამოსულიყო, წესის ასაგებად მოყვანილი მღვდელი დაითანხმეს, ბინა ეკურთხებინა და გამჭრიახობისთვის შეაქეს კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე, რომელიც ფრიად დამაჯერებლად აკაკუნებდა საკურთხებელი ბინის კარზე, მაგრამ კარს არავინ აღებდა. თავმჯდომარემ ის იყო დააპირა ეფიქრა, რომ შინ არავინ იყო, როდესაც საკმაოდ ინტელექტუალური ფორმის მარცხენა ყურში წინა კორპუსიდან მოსული ინფორმაცია ჩასჩურჩულეს. ბინაში (რაც გარკვევით სჩანდა ინფორმაციის მომწოდებელი კორპუსის

ფანჯრებიდამ) აივნიდან გადმოვარდნილი ქალბატონის დედისერთა ვაჟი იმყოფებოდა შიშველ მანდილოსანთან ერთად, თავადაც არანაკლებ შიშველი და რამდენადაც ბავშვობიდან ღვთისმოშიშება ჩაენერგათ მისთვის, ერიდებოდა მღვდლისთვის კარის გაღება. თავმჯდომარე, რომელსაც მელოტი თავი და სინოპტიკოსის ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა, ოდნავ წამოწითლდა, კეფა მოიფხანა და ზეცას ახედა. დასავლეთიდან საწვიმარი ღრუბლები უახლოვდებოდნენ ქალაქს და თავმჯდომარე შეაწუხა საკუთარი ცოლის ბედმა, რომელიც შეიძლება წვიმას დაესველებინა.

<u>კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარის ცოლი</u>

მსუბუქი ავტომობილები სხვადასხვა ხმაზე გაბმით ასიგნალებდნენ და მძღოლები იმ საგზაო ლექსიკით იგინებოდნენ, რომელიც მართვის მოწმობის აღებამდე ისწავლებოდა. შუქნიშანთან მიდგმულ კოროზიამდეგი ფოლადის კიბეზე ძალიან მსუქანი ქალი ავიდა, რაც შეეძლო სწრაფად, ხელის ბერკეტი ჩამოსწია და ყვითელი მანათობელი ნიშანი აანთო. შემდეგ ქშენით ჩამოვიდა, სახლიდან მოტანილ სკამზე დაჯდა და ვიდრე მწვანის ასანთებად კვლავ კიბეზე აირბენდა, ჰამბურგერის ჭამა განაგრძო.
ქალაქში შუქნიშნები ხელის ბერკეტზე ახალმა გუბერნატორმა გადაიყვანა და ამით დამატებითი სამუშაო ადგილები შექმნა უმუშევარი მოქალაქეებისთვის. თავის ამ დამსახურებას ოდნავი დარცხვენით აღნიშნავდა ხოლმე წვეულებებზე და შამპანურს სთავაზობდა ღრმადეკოლტიან მდივანს.

კორპუსის თავმჯდომარე და მისი ცოლი, რომელიც შესვენებებზე ჰამბურგერებს ჭამდა და არ რცხვენოდა, რომ აფრიკაში ამ დროს ბავშვები შიმშილობდნენ, გუბერნატორის მადლიერები იყვნენ.
სამწუხაროდ ქალაქში საკმარისი რაოდენობის შუქნიშნები არ ჰქონდათ და ბევრი ცოლი კვლავ უმუშევარი დარჩა.

<u>უმუშევარი ცოლების ისტორია</u>

ქალაქის ბინადრები მომთაბარე ტომების შთამომავლები იყვნენ. მათი წინაპრები მეცხვარეობას მისდევდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ. სახეგარუჯულმა მემაწვნემ, რომელიც რძეში წყალს ურევდა, მაგრამ მცირე რაოდენობით, უმუშევრად დარჩენილ ქალებს ურჩია, საბნები და ლებები შეეკერათ და მეზობელ ქვეყანაში გაეყიდათ. ვინაიდან ქალაქში ცხვრებისთვის შესაფერისი პირობები არ იყო, მემაწვნემ ქალებს იოლი ხერხი ასწავლა. ქალებმაც ოთხად გაკეცეს დიპლომები, უკანა მხარეზე ქმრებისთვის გამოსამშვიდობებელი ტექსტი მიაწერეს, მკლავზე გადაიკიდეს კალათები და ღრუბლების შესაგროვებლად გაემგზავრნენ დიდი, ფერადი ავტობუსით. ავტობუსის მძღოლი სახეგარუჯული მემაწვნის გარე ბიძაშვილი იყო, ამიტომ ქალებმა პასპორტები მემაწვნეს ჩააბარეს.
ქმრებს დომინოს თამაში მობეზრდათ და გალოთდნენ. ბავშვები კი იზრდებოდნენ და ელოდნენ, როდის მოხევდნენ მამები ამ დამპალი ქვეყნიდან. დედები კი არა და არ ჩანდნენ. ბოლოს მამები მიხვდნენ, რომ ქარი სულ უფრო სწრაფად ავრცელებდა ჭორებს

და ღრუბლებსაც უფრო შორს ერეკებოდა. მათი ცოლები კი ღრუბლებს მისდევდნენ სახეგარუჯული მემაწვნის გარე ბიძაშვილის ავტობუსით და რაც შორს ერეკებოდა ქარი ღრუბლებს, მოსალოდნელი იყო, რომ უფრო შორს შესტოპავდნენ ცოლები.
ქმრებმა გზა გადაკეტეს და ქართან პირისპირ შეხვედრა მოითხოვეს, რომ კაცურად დალაპარაკებოდნენ.

პროტესტი

გზების გადაკეტვამ უფუნქციოდ დატოვა რამდენიმე შუქნიშანი და გუბერნატორის დასაქმების პროგრამით დასაქმებული საქმოსნები (რამდენიმე მათგანი) კვლავ უსაქმურად დატოვა. ამ უკანასკნელებმა პროტესტი გამოთქვეს ქმრების პროტესტის გამო და გადაუკეტავად დარჩენილი ქუჩები გადაკეტეს. ავტომობილები ახლა ძირითადად ერთი მიმართულებით მოძრაობდნენ, კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარის ცოლს სულ უფრო ხშირად უწევდა კოროზიამდეგი ფოლადის კიბეზე არბენა, უფრო მეტად ქშინავდა და საგრძნობლად შეუმცირდა დღის მანძილზე მირთმეული ჰამბურგერების რიცხვი.
ავტომობილებს შორის გამოირჩეოდა ყვითელი მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც თავზე პირამიდა ედგა, რომელზეც თავის მხრივ სხვადასხვა ფორმის სარკეები დაემაგრებინათ და ქვეშ ტელეფონის ნომერი მიეწერათ. პირამიდის მეორე მხარეს დიდი ასოებით ეწერა: „ყველა ავტომობილის სარკეები“. ყვითელი მანქანის მძღოლი ღამ-ღამობით სარკეებს იპარავდა და საბარგულში ინახავდა. მძღოლებმა აღმოაჩინეს, რომ სარკეების გარეშე დარჩენილი ავტომობილების გაბარიტები შესამჩნევად მცირდებოდა და გადატვირთული მოძრაობის დროს ხელსაყრელიც კი იყო. ყვითელი ავტომობილის მძღოლი სარკეებს ახალგაზრდა გოგოებზე ჰყიდდა. გოგოები სარკეებში იხედებოდნენ და შემდეგ გუბერნატორის გაწვრთნილ ფორმიან ბიჭებს ეპრანჭებოდნენ. ფორმიანი ბიჭები თავის მხრივ ვაჟკაცობას უმტკიცებდნენ გოგონებს და გულიანად სცემდნენ ქარის უფლებების დამრღვევ დემონსტრანტებს, რომლებიც მათგან თავდასაცავად გისოსებისგან შეკრული ოთახებით გადაადგილდებოდნენ.

პერსპექტივა

გუბერნატორი ფორმიან ბიჭებს ღირსი დონ კიხოტის თავქარიანთა ორდენით აჯილდოვებდა ყოველ ხუთშაბათს, ძირითადად ნავახშმევს და მსუბუქი საზეიმო მარშის ფონზე კიდევ ერთხელ დებდა პირობას, რომ იბერია გაბრწყინდებოდა, რისიც არ სჯეროდათ მავანთ. მავანნი გუბერნატორზე ამბობდნენ, ცუდი ბიჭიაო. ძველთბილისელი სომხები კი ამტკიცებდნენ, რომ ნატომდე უმოკლესი გზა იცოდნენ, არც რუკა სჭირდებოდათ და ქმრის მოსვლამდეც ასწრებდენ თავიანთ საქმეს. ვითარებაში გასარკვევად უცხოელი დამკვირვებლები ჩამოდიოდნენ და შემდეგ გაკვირვებულები ეგუებოდნენ ეროვნულ სამზარეულოს. ზონდერები კი ხმებს

ავრცელებდნენ, რომ ძველთბილისელი სომხების ნატო სინამდვილეში ნატალია იყო და უცხოელი დამკვირვებლებიც მასთან ჩამოდიოდნენ თბილისში.
თბილისში ზაფხულობით წვიმდა.

<u>თბილისური წვიმა</u>

ნათელმხილველთა გაზეთში მიცვალებულთა რადიკალური ფრთის განცხადება დაიბეჭდა. ძლიერი წვიმების დროს მათს საფლავებში წყალი ჩადიოდა, რის გამოც მოსვენება ეკარგებოდათ განსვენებულებს. ისინი მოითხოვდნენ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურსა და მერიას ეზრუნა ეროვნულ-მიცვალებულთა საფლავების გადახურვაზე და კბილის პროტეზის სიმაღლესა და სიგრძეში ტყორცნის რიგით მეოთხე რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის ხანშიშესულთა შორის როგორმე სხვა ტერიტორია გამოეყოთ.
იმ სახლებში, სადაც წვიმა არ ჩადიოდა, ქალები ყავას სვამდნენ და სერიალებს უყურებდნენ. პირველ სართულებზე წვიმა არ ჩადიოდა, პირდაპირ შედიოდა. დედები დროს არ კარგავდნენ და დატბორილ ოთახებში ასწავლიდნენ ბავშვებს ცურვას.
როდესაც არ წვიმდა, ბავშვები ეზოში თამაშობდნენ და ხეებს აკვირდებოდნენ, რათა ციყვებთან გადასახლებული შუახნის ქალბატონი საკუთარი თვალით ენახათ.
შუახნის ქალბატონი, რომელიც აივნიდან გადმოვარდა, ციყვებთან ერთად ტოტებზე სასიარულოდ მძიმეწონიანი აღმოჩნდა, მაგრამ ციყვებმა დააფასეს მისი მომჭირნეობა და კეთილსინდისიერება და ზამთრის მარაგის მცველად დააყენეს. იჯდა ფეხშიშველი ქალბატონი და თავისუფალ დროს ლექსებს წერდა. ციყვებს ძალიან მოსწონდათ მისი პოეზია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ციყვებს მანამდე არასოდეს მოესმინათ ლექსები.
შუახნის ქალბატონს ზოგჯერ შემოაწვებოდა სევდა, როდესაც იხსენებდა ერთ ოპოზიციურად განწყობილ პოეტს, ახალგაზრდობაში რომ ჰყვაროდა. ოპოზიციურად განწყობილი პოეტი მანიფესტებს წერდა და ზოგჯერ ლექსებსაც. გულმოდგინედ ელოდა, როდის დააფასებდა ერი და მისივე სახელობის სკოლის წინ ძეგლს თუ არა, ბიუსტს მაინც დაუდგამდა. ბოლოს სკოლაზეც ჩაიქნია ხელი, ავტობუსის მძღოლი გახდა და გარე ბიძაშვილის გამოგზავნილი ქალები წაიყვანა ღრუბლების შესაგროვებლად. ქალებს კალათები მუხლებზე ეწყოთ და ბედნიერი ღიმილით შეცქეროდნენ მომავალს.
თბილისში ქმრები შავი ღრუბლებით დაფარულ ცას შესცქეროდნენ, სათლებში აგროვებდნენ სეტყვას და გაურკვეველი მიმართულებით მიჰქონდათ.
საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში სინოპტიკოსები ამინდის გრძელვადიან პროგნოზს სთავაზობდნენ მაყურებელს.

<u>ამინდის პროგნოზი</u>

... .

... .
მოქალაქეებს ვურჩევთ, დახურონ ფანჯრები.

თამაზ ექვთიმიშვილი

პუანტები

(ნოველა ორ მოქმედებად. ანტრაქტებით)

მეორე მოქმედება

– ზუსტად ასე, – თქვა დედამ, – პატარა რომ იყავი, საღამოობით შუქი არ იყო ხოლმე, ასე დავდგამდით სანთელს... შენ მანდ ჯდებოდი, ჯდებოდი... ჯდებოდი კი არა, სამი ბალიშიც რომ დამედო, მაინც მუხლებით დგებოდი სკამზე და ხატავდი შენ ჭკუაში...

– მამა? – გოგონამ ჩანთიდან პარკი ამოიღო, პარკიდან პუანტები, თასმებით ერთმანეთს გადააბა და ფანჯრის ქვეშ კაუჭზე ჩამოკიდა.
– მამაშენი იქით, ტახტზე. ეძინა, არ ეძინა, ამ კარს არ გვაკეტინებდა. მე მგონი ძილშიც გვისმენდა.
– ახლაც ხომ არ გვისმენს? – გაეღიმა გოგონას.
– გააღე, ჰკარი ხელი, აბა, კარს.

გაღებული კარიდან შეპარული სანთლის შუქი ლურსმანზე ჩამოკიდებულ ფოტოზე აფარფატდა და ვერ მიხვდებოდი იმ ფოტოზე კაცი იცინოდა, ლაპარაკობდა თუ... სიგარეტი კი ეჭირა ტუჩებით და გაშლილი ხელისგული ოთახისკენ ჰქონდა გამოქნეული.

ანტრაქტი 1

– მარი!..
– გაეცი ერთი პასუხი მამაშენს, რა უნდა? – მარის ბებიას ეცოდება შვილი. გატრეტილია – მაინც.
– მარი!..
– გოგო! მამაშენი რომ გეძახის, არ გესმის? – ინასაც ეცოდება ქმარი.

ორმა ქალმა ძლივს გახადა. ტახტზე მიაწვინეს, ბალიში დაუდეს და საბანიც გადააფარეს.
– ინნ–ი–კო!.. მარი!.. ეს რა თოვლი მოდის? რა კაია ე!.. მარი!
– ჰე, გოგო! შენ ყურები ხომ არ გაქვს გასაწმენდი?!.
მარიმ ფანქარი დადო, სკამიდან ჩამოხტა და დედასთან მიირბინა:
– აი, დე! – დედას ფურცელი აჩვენა, – ჩვენი სახლი დავხატე, – მერე ოთახს გახედა: – ბა–ტო–ნო! რა გინდა?!

აი, მარი კი ბრაზობს და სულ არ ეცოდება მთვრალი მამა.
– მმოდი... უნდა გაკოცო!.. თოვლი ნახე?
– კი, ვნახე. დედა არ მიშვებს გარეთ.
– მოდი რა მარი... მოდი მარი!..
– მოდი გოგო!

მეორე მოქმედება

– მარი, პალტო გაიხედე და ამ გახსენებაზე ერთი თაფლის სანთელი აუნთე მამაშენს! – ინა, გრძელ იისფერ კაშნეს უქსოვს მარის და ისეა აზარტში შესული...

მარიმ პალტო გაიხადა, ხელები დაიბანა, დედას ზურგიდან მოეხვია და ლოყა ლოყაზე მიადო.
– დამაგვიანდა, არა? გარეთ ისეთი სუნია, გაზაფხულის, – ფეხით მოვედი სახლამდე... ისეთი კარგი ამბავი უნდა გითხრა!.. მოიცა, ჯერ სანთელი ავანთო... არის ხო, ხატებთან?
– ჰო, დღეს ეკლესიაში ვიყავი...
– თან რა კარგი ამბავიი...

პირველი მოქმედება

– ჰე, ჩამოხტი ახლა, მარი!
დილით ქარმა ფოთლები ჩამოყარა და ტროტუარი, საბავშვო ბაღიდან სახლამდე, ხელში აყვანილი, მამის კისერზე შემოხვეული, წითელ კურტკაში გამოკრული მარის ტიტინით, ტლინკებით და ყვითელი ფოთლებითაა მოფენილი.
– ჩამოდი, გოგო!
– არა, რა?!
– დავიღალე მარი... მაღაზიაში არ შევიდეთ? – მამამ თვალი მოჭუტა.

გაჭრა. უცებ ჩასრიალდა მარი, მინის კარი შეაღო და შევარდა.
– მზია და ციცო დეიდები! ამ ქალბატონს ხუთი წუთით დაგიტოვებთ, რა იქნება? შოკოლადებს აარჩევს... არა, მარი?
– შენ, გოგო სულ ხელით უნდა გატარონ? რამდენი წლის ხარ, მითხარი?
– სამის არა, არა ოთხის – მარიმ ოთხი თითი გაშალა – უკვე გავხდი, ხო, მამი?.. შარშან!
– შენც კიდე! არ შეიძლება, ძალიან გყავს შეჩვეული, – მზიამ თეთრი ქუდი მოხადა ბავშვს, – თბილა ჩვენთან!
– რა არის იცი, მზია? ერთი ნახევარი, ჰა–ჰა ერთი წლის მერე ვინღა ჩამეხუტება, მითხარი ერთი... მარი, ხომ დარჩები?.. ეს უკვე დარჩა და ეგ არი.
– მალე მოდი ხო, მამი?
მარის მამა კარიდან მოტრიალდა:
– მზია, მეგობარი შემხვდა, სამი წელია არ მინახავს. დაველაპარაკები... ეს კარგი გოგოა, ძალიან არ შეგაწუხებთ. ...მალე მოვალ, მამიკო, აბა რა!

მამას მაინცდამაინც დიდი ტყუილი არ უთქვამს, რამდენიმე დღე თუ არ დალევდა, მეგობარივით ენატრებოდა ხოლმე სასმელი.

* * *

– ნანა!
სახლის გასაღები ბარის დახლზე აკაკუნდა.
– ...ლამაზთავლება ნანა!
ნანამ ოფიციანტს თეფშით ბუტერბროდები გადააწოდა და მოიხედა:
– მშვიდობა თქვენ მობრძანებას, ვიფიქრე ხომ არაფერი არ დაემართა–მეთქი.
– ნერვიულობდი? ... ააა!
– რამდენი? – ნანამ ბოლომდე აანთო ცისფერი თვალები.
– ორასი! ოოღონდ!.. კონიაკი!
– ერთ ჭიქაში?
– გეკადრება? თანაც მეჩქარება, ბავშვი მყავს მაღაზიაში დატოვებული.
– ხო, ხო, ხო, რა მამა ჰყავს იმ ანგელოზივით ბავშვს?! რა თქვი ერთხელ, ვინ არისო?
მარის მამამ თითი ასწია:
– შელკუნჩიკის საცოლე! – ჭიქა დაცალა და დახლზე ფული დადო.
– ჰუჰ!.. აი, აი, ახლა არა მიშავს... წავედი, არ მოიწყინო, ამ დღეებში ხშირად შემოგივლი.

მეორე მოქმედება

სანთელმა გაანათა ლურსმანზე ჩამოკიდებული კაცი.
– შუქს რა დაემართა?.. დედა!
– რაღაცას თხრიან იქეთ ქუცაზე... ვაიმე, შენ მშიერი ხარ, შვილო. გამაბრუა ამ საქსოვმა... შენ რაღაც უნდა გეთქვა. მოყევი, მე მოგიტან რაღაცრაღაცეებს... გისმენ, აბა!
დატრიალდა დედა.
– როგორ მინდა ჭადი, რომ იცოდე!
– ჭამე მერე, გადასარევი ყველია.
– ასუქებს!
პატარა ბალერინამ შავი პური თხლად ჩამოჭრა და ყველის ნაჭერს ნახევარი მოატეხა. მამაშენიც ტეხდა ყველს.
რამდენიმე ლუკმა უხმოდ შეჭამა მარიმ, მერე დედას თვალებში შეხედა:
– დე, მამა მიყვარდა?
– როცა არ სვამდა, ძალიან. ტელევიზორის ყურებას არ აცდიდი, თავდაყირა გადადიოდი მამაშენზე...
– ძალიან? და როცა სვამდა?
– ებუტებოდი, თანაც სერიოზულად.
მარიმ ფოტოს გახედა.
– დღეს მგონი მამა ვნახე, – თქვა მშვიდად.

– რა?!
– ჰო... ერთი კოვზი შაქარი ჩამიმატე ჩაიში, – არაფერს მიზამს... ოპერიდან გამოვედით მე და ნუცა. სოფოც იყო მოსული... ქვემოთ ქუჩაზე რომ სუპერმარკეტია, იმის კიბეზე იჯდა. თხელი, მუქი ლურჯი პალტო ეცვა, კარადაში რომ ჰკიდია ისეთი, დაგვინახა თუ არა, ადგა. პალტო შეკრული კი არ ჰქონდა, თითქოს ხალათ აცვიაო – ქამარი ისე ჰქონდა შემოჭერილი. საყელო აწეული. თეთრი პერანგი უჩანდა; ერთი ფოტო გვაქვს, ზუსტად ასე აცვია მამას.
– მერე?
– გოგონებო, რომელი საათიაო.
– ახ! შეამოწმა, შეამოწმა! – დედამ სიტყვა გააწყვეტინა მარის.
– რა შეამოწმა?
– აბა ერთი, როგორ გამოვიყურები, თუ მიპასუხებენო. მერე?
– ვუთხარი საათი. არ მეთქვა?
– რაო, კიდევ რა მინდაო?
– აიო, მე კი მეგონა უკვე ღამეაო.

დედას სუპერმარკეტის კიბეზე ჩამომჯდარი ლოთის მეტი არარაფერი აინტერესებდა:
– მარი ეგ იყო შენი კარგი ამბავი?
– არა, დედა! შენ ვერ წარმოიდგენ, რა უნდა გითხრა!

ანტრაქტი 2

– მარი!.. მამიკო!.. მა–რი!.. რა კაცი, ამ ჩვენ ალუბალს კვირტები აქვს უკვე?

კაცმა შეამჩნია ფანჯრიდან მოთვალთვალე ალუბალი, მალე გაზაფხულს რომ მოიყვანდა თბილისურ ეზოში. მაგრამ იმას ვეღარ ხედავ როგორ არიან დედა–შვილი გართული.
– ხედავ შენ, კაცო?!.. მა–რი!
– გაეცი ხმა, გოგო, მამაშენს!
– ოო, თ–ს ვხატავ. დე, ხო კარგია?
– ვხატავ კი არა, ვწერ!
– მარი!.. მამიკო!.. სად არის, ხალხო, ჩემი ბალერინა?
– უპასუხე, მარი, თორემ ხომ იცი, არ გაჩერდება.
– ბა–ტონო!!
– როგორა ხარ, მარი?
– კარგად!!
– შენ როგორა ხარ–თქო, ჰკითხე ერთი.
– მთვრალი ხარ? – ჰკითხა მარიმ.
– არა, მარი, არა.
მარის მოატყუებ?
– აბა ავად ხარ? რო წევხარ?!
– ავად არი... ავად არის... ხაჩიკა!
– ვინ ხაჩიკა, კაცო, გააფრინე სულ? ინამ აღარ იცის გაიცინოს თუ გაბრაზდეს.

– ხხაჩ... ხაჩ...
– გაჩუმდი, რა, წერს ბავშვი! – აი ახლა უკვე ნაღდად სჭირდებოდა ბებიას დახმარება დედა–შვილს, – და იმაზე იფიქრე ფეხსაცმელი რომ ეხევა, დაეხა და ეგა არი.
– აა! წეერს! ჰოო?.. უკვე სკოლაში დადის?
– ჰო, მეათე კლასშია, არ იცი?
– მაშაყირებთ, არა? კაი, კაი...

პირველი მოქმედება

– ვა, მიშაჯან! რო იცოდე, რა ლამაზი ფოთლები გაყრია თავზე.
მიშა, როგორც ყოველთვის მაღაზიის კუთხეში ბუსავით მოწყენილი ზის „კოკა–კოლას“ ქოლგის ქვეშ და სიგარეტს ყიდის.
– რა ფოთლები, ტო?
მიშამ ტაფასავით კეპი მოიხადა და დახედა.
– ზონტიკზე, მიშაჯან, ზონტიკზე!
– ეე, რა დროს ფოთლებია, თუ ჩემი ძმა ხარ...
– Эх, Миша, Миша! Какой ты неромантичный, ცა ტანემ.
– მოიცა, რა, კაკაია რომანტიკა.
– მიშა! აჰა, შენ შენი ვალი 1 ლარი და ესეც თეთრი; აზა რომ მოვა, მიეცი. დღეს ბულკები გამოვართვი ბავშვებისთვის.
– სად არის შენი გოგო? – მიშა მოვიდა ხასიათზე.
– მზიასთან, ეხლა გამოვიყვან.
– რო გამოივლით, გამოუშვი, ჟუვაჩკას მივცემ. ჰე, უხარია აი, რო ვაძლევ ხოლმე.
ხელის აწევა და ჰაეროვანი კოცნა გაუპარსავ მიშას.

* * *

– ეს რა გიქნია, მარი, გოგო?
– აი, ესეც მინდა, აი, ესეც, აი, ესეცო... – მზის ქუდი დაახურა ბავშვს.
თუ რამ შოკოლადი იყო მაღაზიაში, სულ პატარა ნახევარი ასანთის კოლოფისხელა კანფეტით დაწყებული, დიდი ფილით დამთავრებული – ზუსტად, ზუსტად სიდიდის მიხედვით იყო გამწკრივებული მაგიდაზე.
– ეს ყველაფერი უნდა ვიყიდო, მარი?
– ჩავწერო შენზე? – მზიას ეცინება.
– აი, ამ ქალბატონზე ჩაწერე! – კაცსაც გაეცინა. – არა, ჩაწერა არ მინდა, გადავიხდი; წარმოიდგინე ფული მაქვს. შენ რომ ძალიან მოგეწონა, იმ მოთხრობის ჰონორარი ავიღე დღეს, როგორც იქნა... ჰოდა, წავიღოთ, მარი, ეხლა, თუ გინდა, მთელი მაღაზია.
– ესენი ხო მამი? სულ, სულ ყველა, ხო?
– ერთი ლამაზი პარკი მოგვეცი, მზია, და შიგ... ორიც უფილტრო – на запас!

– ყველაფრი ჩავალაგო,მართლა? მე გავართობ–მეთქი და იმიტომ გადმოვყულაგე. მერე თვითონ დაიწყო ასე კოხტად... არ შეიძლება, გოგო, ამდენი შოკოლადი!
– შეიძლება. მამი, ხო შეიძლება?
მზია თან შოკოლადებს ალაგებს პარკში, თან მარის მამას აკვირდება:
– შენ ელაპარაკე მეგობარს?.. თან კარგად არა?
– სსს! არ გაგვიგოს!
– მარი, ეხლა შენ მოკიდე ხელი მამაშენს და წაიყვანე სახლში.
– სახლში ჯერ რა გვინდა? ჯერ ტოტალიზატორში უნდა შევიაროთ, რამე! ოთხშაბათია – ფეხბურთებია! მარი წამომყვები?.. ბაღში ხო ჭამე საჭმელი?
– ოღონდ შოკოლადებიც წავიღოთ, ხო?
– აბა, რა! აბა, რა! მაგრამ ეხლა ფეხით უნდა ვიაროთ, დავიღალე მამიკო, მოდი გაკოცო.

მეორე მოქმედება

– გისმენ, მარი, აბა...
– დღეს, პარტია მომცეს, დედა!
– რა პარტია, მარი? რა დროს შენი პარტიებია?
– მართლა, მართლა, – მარიმ თავი გაასწორა, მარცხენა ხელი, თითქოს რომელიღაც „პა“–ს ასრულებდა, ნელა გაშალა, – ნახევარი კორდებალეტი აქეთ იქნება, – მერე მარჯვენა მოხარა იდაყვში და ნელა დაუშვა, – ნახევარი აქეთ. მე შუაში, ცალკე... გესმის? მარტო! ნუ, რა თქმა უნდა უკანა ფარდასთან...
– მარი, შვილო...
– ხანდახან წავიცეკვებ ხოლმე. ძირითადად Аншекартье. ტრიალი. ხელები... ჩემს უკან, ფარდაზე, დიდი წითელი მზე იქნება, კაბას სპეციალურად შემიკერავენ.
ინამ სიხარულისაგან ჭამა დაიწყო.
– გამაგიჟებ შენ! რა ბალეტია? სახელი არა აქვს?
– ვაიმე, გაგეცინება. სახელს ეხლა უგონებენ. რაღაც ავანგარდია. არაჩვეულებრივი რამ უნდა გამოვიდეს. ქორეოგრაფია კლასიკაა, მუსიკა მიქსი, მოკლედ...
– გადაირეოდა მამაშენი სიხარულისგან.
ინამ ლუკმა გადაყლაპა, კაუჭზე ჩამოკიდებული პუანტები ჩამოხსნა, ერთმანეთს მიატყუპა და გულზე მიიხუტა:
– თურმე რატომ არ გვასვენებს მთელი საღამოა... გაგიჟდებოდა!

ანტრაქტი 3
– მარი!
– სძინავს, კაცო! რა გაღრიალებს ამ შუაღამისას?
მარის ბებიას არ სძინავს.
– ღამეა, ვითომ?
– ღამეა, ჰო, ღამეა!
არც მარის დედას სძინავს. სერიალია ტელევიზორში.
– ღამე ყოფი–ლა! ფული გვა–აქვს!
– რა ფული?

– არაყი მინდა... ჰა, კარგი ჯანდაბას, ჭაჭა იყოს!
– პირველი საათია. დაკეტილია მაღაზიები!
– აპა–პა–პა! ზაფხულია, ჯერ ვინ დაკეტავდა...
– არა, რა! სამკურნალოა ეს კაცი.
– ჰოოდა! გამიშვით ბორჯომში! მაგრამ ერთი ბოთლი არაყი მომიტანეთ! არა, ჯერ ეს კატა გაიყვანეთ, თორემ – ცხრიანში გატანილი პენალტი ხომ ნახეთ, იმ დღეს, მანჩესტერის კარში... რაღა ჩვენ შემოგვეჩვია ამხელა ეზოში, ბედი არ გინდა?.. ვა!

მეორე მოქმედება

– გაგიჟდებოდა და მთელ მაღაზიას დალევდა, არა?
– ნუ... რაც ჩაეტეოდა...
– რატომ სვავდა ამდენს მამა?
– ჩემს თავთან დავდივარ სტუმრადო, ასე ამბობდა... ვაიმე, შვილო, რა ბედნიერი დღე გაგვითენდა, თუ ხვდები მაინც?
– ვხვდები, დე, ვხვდები.
– ნუციკო?
– ნუცა, дедa, она почти Прима, არ იცი? ოდეტისთვის ამზადებენ, კიდევ რამის თავი ექნება?

მარიმ ჭადის პატარა ნატეხს ყველის ნატეხი დაადო.
– სულ მინდა გკითხო, ბალეტზე ნუცას ხათრით მიმიყვანეთ?
– უჰ! ნუცა ხუთი წლისაც არ იყო, შენ რომ დაიბადე. მამაშენმა დაგანათლა. სხვა არაფრის გაგონება არ უნდოდა. მერე, მითუმეტეს, რომ წამოიზარდე სულ ცეკვა–ხტუნვით დადიოდი. ნორმალური სიარული შენ არ იცოდი. სიმღერაც გიყვარდა...
– მერე, მემღერა...
– არა მგონია ამან იმღეროსო. თან თვითონ უყვარდა ბალეტი.
– ბალეტი უყვარდა??

მარიმ ოთახს გახედა. არა, ახლა ნამდვილად იცინოდა ის.

პირველი მოქმედება

– ვა! იქსი? შენი შვილიშვილია?

ტოტალიზატორ „ტოტო“–ში მარის მამას „იქსს“ ეძახდა ერთი მელოტი, მაგრამ სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, ზამთარ–ზაფხულ პატარა სხვადასხვა ფერის ბრეზენტის კეპით რომ დადიოდა.

თითო–ოროლა ლარით ფრეებს დასდევდა მარის მამა. დიდი კოეფიციენტი აქვს. ფრე კი X–ით აღინიშნება ბილეთში. მხოლოდ ამიტომ და არავითარ შემთხვევაში იმიტომ, იქსს ეძახდა კეპიანი. სხვაც – ხანდახან.
– არა, ბიჭო, შვილია!
– ჰოო?? რა ლამაზი გოგოა, ე! რა გქვია შენ, ა?
– მარი.
– მარიამი?.. შენ გენაცვალე, რა კარგი სახელი გქონია... ჰა, იქსი, რას აპირებ დღეს?
– რას დავაპირებ არ იცი? ოღონდ შენ უნდა დამეხმარო. ბილეთს მე გიკარნახებ. პროსტო, გრადუსში ვარ, არაფერი ავურიო... ჩამოხტი მარი!.. ჰო, ჩამო ერთი წუთით, რაღაცას დავწერ და წავედით.

კეპიანმა ერთი მაგიდა ფანჯარასთან მიაჩოჩა:
– მოდი აქ დავჯდეთ.

მარიმ ერთი პატარა შოკოლადი ამოიღო, გახსნა, პირი გამოიტენა და პირველი მიუსკუპდა მაგიდას.
– ტაკ! – იქსმა ხელები მოიფშვნიტა, – პროგრამა ხომ გაქვს? ტაკ! დავიწყეთ!.. ჯეერ, აი, ეს ორი X–ი ჩამიწერე გერმანიაში... მერე!.. მერე, ეს ერთი ესპანეთში...
– არ იქნება ეგ ნიჩია, ვარიანტი არ არის!
– რას ამბობ ბიჭო! ეგ რადიოში გამოაცხადეს. დალშე ეს ბელგიაში... ჯანდაბას, ესეც შვეციაში. რამდენი გამოვიდა?
– ხუთი. სუფთა იქსი ხარ, რა! რას ამდიდრებ ამ ტოტალიზატორს? მე გეტყვი კარგ ვარიანტს.
– არ მინდა!.. და შენი ხათრით და მტრის ჯინაზე, ესეც მომეცი ინგლისში.
– სამზე მეტი მოგირტყამს როდესმე, ექვსს რო წერ?
– ე! ნახე ყველა სამი და ნოლია, უეჭველი ვიგებ. ქვემოთ მიაწერე ხუთი ლარი.
– სად ყრის მამაშენი ხუთ ლარს?! აუ რა ლამაზი ბავშვია, ე!
– ჰოდა, ეხლა მე და ეს ლამაზი ბავშვი ჩავაკომპიუტერ–ჩავაკომპოსტირებთ ამ ბილეთს და განახებ რა მრგვალი ციფრი გამოვა.

ჩაკომპიუტერდა კეპიანის ხელით დაწერილი ბილეთი.
– ნახე! აი, სავარაუდო მოგება 3645 ლარი 00 თეთრი. ხო ვიგებ?
– ეჭვიც არავის შეეპაროს, – მუშაობს მოთამაშეთა სოლიდარობა, – არ დაგავიწყდეს ვინ დაგიწერა!
– არ გრცხვენია?.. მოიცა, ისე რას აკეთებ ეხლა აქ?.. არაფერს, ხო? ჰოდა, წამო თითო ჩავარტყათ ნანასთან, ა?
– წამო, რა! – მხრები აიჩეჩა კეპიანმა.
– ოღონდ ცოტა ჩქარა ვიაროთ, მე ვიცი, თითო არ გვეყოფა და ეს პრინცესა ბაღიდან მომყავს, გამიგიჟდებიან სახლში... ამოხტი, მარი!

მეორე მოქმედება

– სანთელი ქრება მამას სურათთან. ავანთო კიდე?
– აანთე თუ გინდა, გოგო, მე რას მეკითხები?
– ავანთებ, ავანთებ, ჰო! რაღაც... თითქოს მომენტრა მამა.
– მოგენტრა?
– რატომ გიკვირს, – მარიმ დედას მოხედა, – გგონია არ მახსოვს?

ანტრაქტი 4

ოთახის კარი გაჭრაჭუნდა და სანთელმა შუშაბანდში შავი პირსახოცის ხალათში გახვეული მამა გაანათა. შიშველი ფეხები ფლოსტებში აქვს წაყოფილი. ხელები ღრმა თეფშზე უჭირავს. ოოდნავ ქანაობს.
– მამიკო მოვიდა!
– ჰო, აბა, რაო, რაო? – კარგ ხასიათზეა ინა.
– მშია!.. მარი, როგორა ხარ, მამიკო?!
– კარგად. ლექსს ვსწავლობ.
– ერთი საათის წინ ორი მათლაფა ლობიო გაჭამე და დაგაძინე, რამ მოგაშია?
– მართლა? – მამამ თეფშს დახედა, – კი! მიჭამია! მაშინ... მაშინ არაყი!
– თეფშში დაგისხა?
– ოხ, თქვე ლამაზო მაიმუნებო!.. მარი, მოდი გაკოცო... – მამამ თითი ასწია. – ყველაზე, ყველაზე ლამაზ ჭიქაში!
– მამი! მამი!.. მამიკო!
– ჰო, ჩემო გოგო, რა გინდა, მარი?
– მაღლა ამწიე და კისერზე დაგაჯდები... ჩვენ რო ვიცით!
– აჰ, აჰ, აჰ! ახლა არა რა, მარი. გათენდება და მერე, ხო?

სავარძელთან პატარა მაგიდაზე ბროლის ჭიქით არაყი გაჩნდა.
– ხომ გეყოფა? დაიძინებ დილამდე?
– თუ არ მეყოფა და აქ არ არის ეგ ბოთლი? მაგრამ მარი თუ მეტყვის ლექსს, მაშინ!.. მეყოფა!
– შემოდგომა მოსულა.
– ნაირ–ნაირ ფერებით...

მეორე მოქმედება

– მარი, ავალაგო სუფრა?
– მოიცა, ავანთე სანთელი, მოგეხმარები.
– არა, არა შენ დაჯექი, დაისვენე. მე მთელი დღეა ვზივარ.
– დედა, პატარა რომ ვიყავი, ჩვენ ხომ ფული არ გვქონდა ხოლმე...
– საიდან გვექნებოდა? ბიძაშენი გვეხმარებოდა, თორემ მამაშენი არ მუშაობდა. წელიწადში ორ მოთხრობას დაწერდა და ეგ იყო.
– მე მომწონს მამაჩემის ნოველები. მახსოვს, როგორ წერდა.

– მეც მომწონს, მერე რა?
– იცი რისი თქმა მინდოდა? სტუდიაში როგორ მიმიყვანეთ? ეს ხომ ძალიან ძვირი ღირს!
– ტოტალიზატორში მოიგო მამაშენმა.
– მამა თამაშობდა?
– სხვა საქმე რა ჰქონდა? ერთი ორი ლარით თამაშს, თუ თამაში ჰქვია... საბავშვო ბაღში დაჰყავდი, სვამდა და თამაშობდა.
– იგებდა? – ლოყა მუშტს ჩამოაყრდნო მარიმ.
– ცოტ–ცოტას, ისიც იშვიათად. ერთხელაც გადმოგვხედა ღმერთმა... ღმერთო შენს სახელს ვენაცვალე – ინამ პირჯვარი გადაიწერა, – ხუთი ლარით ოთხიათასი მოიგო.
– მერე, დე, მერე?
– მერე ადგა, წავიდა და ჯერ ხუთი წლისაც არ იყავი, ერთი წლით ადრე სანამ ასაკი მოგიწევდა, ორი კლასის ფული გადაიხადა წინასწარ. შავი ელასტიკები, ჩუსტები გიყიდა და გამოგვიცხადა მე და ბებიაშენს – აი, ახლა თავი დამანებეთ, თუ მოვკვდები, კუბოში რომ ჩამაწვენთ, ცალი ხელი თავქვეშ ამომიდეთო. მთელი წელი აღარც გამოფხიზლებულა და წევს ახლა არხეინად საბურთალოს სასაფლაოზე. საწყალი, შენს სტუდიაში წასვლასაც ვერ მოესწრო... ეჰ!
– ადრე რატომ არ მოგიყოლია ამდენი ამბები?
– არ გიკითხავს, ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო, შენი არ იყოს, სიხარულისაგან ნახევარ მაღაზიას დალევამდე და ამ საღამოს მოკვდებოდა.
– მამა. – თქვა მარიმ.
– ჰო, აი, ცოტა მამაშენის სიზარმაცე რომ არ გამოგყოლოდა, შენგან პრიმა გამოვიდოდა.
– მამა, – თქვა ისევ მარიმ, მერე დედას მოეხვია და ჩაიჩურჩულა:
– დედა, სულ არ არის აუცილებელი, ჟიზელი ვიფრინო სცენაზე...
– რატომ ვითომ, რატომ მიპასუხე ერთი!

მაგრამ მარი დედას არ უსმენდა:
– ... რომ იცოდე როგორ მიყვარს ჩემი პუანტები...

მარსიანი

აფრიკის კარად ვკვდებოდი.

მე გუშინ ხმელი ტარანი ვიშოვე, ორი დოქი ალადასტურიც მქონდა შემორჩენილი. მჭადი გამოვაცხვე, კარგია ტარანზე. დავჯექი საღამოს და მარტო შევექეცი, თუმცა მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალია. ტარანიცა და ალადასტურიც ბლომად მომრჩა, მეორე და მესამე დღესაც მეყოფოდა. ღვინო ნახევარ დოქზე მეტი არ დამილევია.
დავიძინე და მესიზმრა სიზმარი:
ევროპაში ომი იყო გაჩაღებული. მეც ამ ომში ვერიე და საფრთხეში მედგა ფეხი. ძალიან მტრულ გარემოცვაში მოვხვდი: „ამ კავკასიელმა ხეპრემ არ იცის ლათინური!“ გაიძახოდნენ ევროპელები და დაუზოგავად მანადგურებდნენ. როცა საკმაოდ გამანადგურეს, გონება დამიბნელდა და სადღაც განაპირა მხარეში გავახილე თვალი. აქ უზარმაზარი ლომი დამესხა თავს, სადღაც წამათრია: ველოდი, როდის შემჭამდა, მაგრამ რომ აღარ დაადგა საშველი ჩემს შეჭმას? თან ცხელოდა. წამდაუწუმ მიბნელდებოდა გონება; ზოგჯერ ვნატრობდი გამოღვიძებას (ვიცოდი, რომ სიზმარში მჭირდა მთელი ეს უბედურება), მაგრამ სულთამხუთავი ლომი კვლავ დაუღალავად მიმათრევდა სადღაც...
ევროპელთაგან მძიმედ დაჭრილი აფრიკაში მოვხვდი, ლომების პრაიდში: ახალგაზრდა ძუ ლომმა შემიყვარა და მივლიდა, გულმოდგინედ მილოკავდა ჭრილობებს. მისი წყალობით გადავრჩი შეჭმას ლომთა საშინელ საზოგადოებაში. ნათესავადაც მიცნეს მერე და მერე ამ ვეება, ყვითელმა კატებმა; იმ ერთი სიზმრის განმავლობაში ჭრილობებისგანაც განვიკურნე და ნადირობაშიც ავყევი მათ. მას შემდეგ სულ მონადირედ დავდივარ დუნიაზე.
დილით ეს სიზმარი ცოტა არ იყოს გადამავიწყდა, სამაგიეროდ გამახსენდა, რომ დღეს სტუმრები მეყოლებოდა. კიდევ კარგი, ეს მჭადი და ტარანი რომ მაქვს. ვინ მესტუმრება დღეს მე?
გუშინ ქალაქში გურამი და სოგრატი შემხვდნენ, ხინკალსა და ლუდზე დამპატიჟეს: „მომისმინე“, მითხრა გურამმა: „სტუმრების ამოსვლა არ გაწყობს იმ შენს მთაში?“ „ვინ სტუმრებია?“ ვიკითხე მე. სოგრატი ხინკალს იყლაპებოდა და განზე იღრიჭებოდა უაზროდ. „ამის ღრეჭას რას უყურებ“, მითხრა გურამმა, „ხვალ ამოვალთ შენთან მთაში და ამოვიყვანთ მარინე ახვლედიანს და მანანა დეიდას. მაგათ შეიძლება ერთი ვინმეც წამოიმძღვანონ თან. ურიგო არ იქნება ის ერთი ვინმეც. გაწყობს?“ „ჯანდაბას, ამოდით“, ვუთხარი მე „ოღონდ იმათ ისტერიკები არ დამიწყონ იქ“. „ფიქრი ნუ გაქვს, საკმაოდ დახვეწილები არიან“, დამამშვიდა მან. სოგრატმა მეოთხე კათხა ლუდი გადაყლურწა და ჭერს განუცხადა პათეტიკურად: „ჭეშმარიტება იდუმალების ცრუ გადია გახლავთ“. ბრძენი ხარ–მეთქი, ვუთხარი და წამოვედი.
ახლა ვზივარ და ველოდები სტუმრების ამოსვლას. ღრუბლიანი მშრალი დღეა, არც ცივა, არც თბილა... რაკი მონადირის სამფლობელოს ნახვა მოუსურვებიათ, დაე ნახონ; ვინ თქვა, რომ ეს უხიფათო საქმეა, მაგრამ ხიფათი ხომ მშვიდობის ელექსირია, ისევე, როგორც მშვდობაა ხიფათის ელექსირი, თუკი სოგრატს ვერწმუნებით.

ნაშუადღევს ამოვიდნენ გურამის მანქანით. გულმა რეჩხი მიყო: წინა სავარძელში გურამის გვერდით „ის ერთი ვინმე“ იჯდა; ერთ წამს მომეჩვენა, თითქოს რაღაც უხილავ ბადეში ვებმებოდი... უკანა სავარძელში კი ჩვენი ქალების შავ–შავ თვალებს შორის სოკრატის უზარმაზარი მელოტი შუბლი თვლემდა.
მანქანიდან გადმოლაგდნენ. გამარჯობა, მონადირე! მითხრეს მანანა დეიდამ და მარინე ახვლედიანმა. გაგიმარჯოთ, მანანა დეიდა და მარინე ახვლედიანო! ვალში არ დავრჩი მეც. „იმან“ ფერფლისფერთმიანი თავი დახარა, მერე დანისლული თვალებით შემომხედა: გამარჯობა, მონადირე!... გაგიმარჯოს... შევყოყმანდი, ბნელი ძალა ნისლივით შემომაწვა, უცნობი ნისლი: გაგიმარჯოს, ნელლი არისტოჟუ!
– იცანი? – თქვა სოკრატმა – ხომ ვამბობდი, იცნობს-მეთქი!
–სახლში შემოხვალთ? – ვიკითხე მე. მანანა დეიდამ ცბიერად ჩაიღიმა.
– სახლში შემოვალთ. – დამიდასტურა მარინემ.
და შემოვიდნენ. ტარანი და ღვინო სუფრაზე მოვიტანე. მჭადს გაფიცხება უნდა-მეთქი, აღვნიშნე; ბუხარში უკვე ენთო ცეცხლი.
– მოგეხმარები მჭადის გაფიცხებაში! – მითხრა მარინემ.
– ო, შენ ხომ მეოჯახე ხარ დიდი, – ვუპასუხე მე.
– მე ქვრივი ვარ. – თქვა მარინემ.
– ჩემი ქვრივია, – წამოროშა გურამმა.
მარინე ახვლედიანს თავისი ჭლექიანი ახალგაზრდა ქმარი უკვდებოდა ერთ წვიმიან ღამეს. უთვისტომო ქმარს, მარინეს გარდა, მხოლოდ სამი ძმაკაცი ადგა თავს. პატარა სუფრა იყო გაშლილი, სვამდნენ ჩუმად. ჭლექიანმა დალია და მოკვდა. ძმაკაცებმა მარინე მეორე ოთახში გაიყვანეს, პირზე ხელი დააფარეს და ნამუსი ახადეს: პირზე რატომ მაფარებთ ხელს? იკითხა მარინემ, როგორც კი თავი აიშვა. მერე ძმაკაცებმა მხარზე გაიდეს მკვდარი და წვიმიან ღამეში წაიღეს. მარინეც უკან მიჰყვებოდა მათ. გვამი უფსკრულში გადააგდეს: ასეთი იყო მარინეს უცხოელი ქმრის ანდერძი; მერე მარინე ძმაკაცებმა შინ მიაცილეს და ბნელში წავიდნენ. ისევ წვიმდა; გმადლობთ, ბიჭებო, უთხრა მათ და მარტო დარჩა მარინე ახვლედიანი.
– ხომ ხარ ჩემი ქვრივი? – ჰკითხა გურამმა.
– ჰო, შენი ვარ, ოღონდ დაწყნარდი. – ვითომ უდარდელი ღიმილით თქვა მარინემ, მაგრამ მაინც წამოუწითლდა ლოყები.
– მე ვისი ქვრივი ვიქნები შენი აზრით? – მკითხა მანანა დეიდამ ცბიერად.
„რას მეთამაშება ეს ხალხი?“
– სოკრატის იქნება ალბათ. – ვუთხარი მე.
– გაიგონე, შვილო, სოკრატ? – მიუბრუნდა მანანა დეიდა.
სოკრატი ჭერისკენ აბოლებდა.
„ის“ გულხელდაკრეფილი იჯდა და მე მიყურებდა: „ეგეც ქვრივია?“ ვიკითხე მე. არა, „ქალწულია,“ – შემომცინა მანანა დეიდამ: ახლახან გახდა თვრამეტი წლის. ნადიროზა არასოდეს უნახავს. თუმცა არც ჩვენ გვინახავს...,“
გურამი აწრიალდა: „თოფები გაქვთ წამოღებული?“ ვკითხე ჩუმად. „კი ორი,“ მიპასუხა მან. „ტყვიები?“ „კი, სამოცი,“ „რატომ წამოიღეთ მერე.“ „ნადიროზა გვინდა“. „სანადიროდ სისხამ დილით უნდა წახვიდე, ახლა უკვე ნაშუადღევია.“ „რაო?“ იკითხა სოკრატმა.

„ჯიხვები დილაადრიან ჩამოდიან მჟავე წყალზე, „ ვთქვი მე. „ჰოო ჯიხვები...“ გურამმა შემომხედა და სწრაფად მიუბრუნდა მარინეს:
– აღარ გაფიცხდა მაგ მჭადი?
– რაზე ჩურჩულებთ თქვენ მანდ? – გვკითხა მანანა დეიდამ.
„სიზმრების ახსნა თუ იცი, ჭკუის კოლოფო?“ ვეკითხები სოგრატს. „ვიცი და აგრე?“ „დამიგდეთ აბა ორივემ ყური...“
„ის“ კვლავ მომმტერებოდა თავისი ნისლისფერი თვალებით. მარინესავით მაღალი იყო, ოღონდ უფრო ტანთხელი; ჰგავდნენ ერთმანეთს. „მართალს ამბობენ ეგენი?“ მკითხა გურამსა და სოგრატზე. „მართალს,“ ვთქვი მე: „არ უნდა დაუჯერო ალბათ, მაგრამ მართალს კი ამბობენ.“ „რაზე საუბრობთ?“ იკითხა მანანა დეიდამ, ძალიან უცოდველი სახით გვიმზერდა: „შენ გაჩუმდი, მანანა დეიდა, პუტკუნა,“ გურამმა კისერზე მოხვია ხელი. „დაუკრეფავში გადასვლა,“ წაიბურტყუნა სოგრატმა; „ლომზეა ლაპარაკი,“ თქვა გურამმა, „როგორაა, მარინე, მჭადის საქმე? მშია და მეჩქარება მე.“ „ლომი, ლომი!“ აბუზღუნდა მანანა დეიდა; „ის ჯობია, მჟავე წყალზე წამიყვანოთ მალე.“ გურამს გადავხედე": „რა გითხარი მე შენ?“ „ფიქრი ნუ გაქვს,“ ჩამილაპარაკა მან; „არავინაა აქ მიამიტი, რომ იცოდე: ვყველამ მშვენივრად იცის თავისი საქმე.“
– გაფიცხდა მჭადი, – განაცხადა მარინემ.
– აბა ჭამეთ ახლა საჭმელი, – ვთქვი მე. მანანა დეიდამ კიდევ ჩაიღიმა ცბიერად.
– ვჭამთ ახლა საჭმელს. – დამიდასტურა მარინემ.
სუფრას ვუსხედვართ და ნისლიანი მზერა არ მშორდებოდა: „მაშ მართალს ამბობენ, რომ ლომი გყავს აქ?“ „შენც გჯერა სიზმრების?“ „ალბათ არ უნდა დავიჯერო“."
– სანადიროდ წასვლას გაუმარჯოს, – თქვა გურამმა და ჭიქა ასწია.
– თუ მჟავე წყაროზე წასვლას?
– შენ გაჩუმდი, მანანა დეიდა! სადღეგრძელოს წარმოვთქვამ მე აქ.
– სადღეგრძელოები არ მიყვარს. – ვთქვი მე.
– ქალწულები გიყვარს? – მკითხა გურამმა.
„იმან“ გველივით ასწია თავი. თვალები გააკვესა.
– გურამ! – თქვა მარინემ.
– რა იყო? – გავიოცე მე. სოგრატი ახარხარდა. ეჭვი არაა, რაღაც შეთქმულებას მიწყობენ ეგენი მე. ეს თეთრი გოგო ტყუილად არ მიბღვერს, არც მანანა დეიდას მზაკვრული გამოხედვაა სასიკეთო; ჰეი, მონადირევ! ფრთხილად, ჩლუნგო: ქალები, ინტელიგენტები და მეგობრები არასოდეს არ არიან მთლად სანდო.

მარინე ახვლედიანი: „აქ მონადირეს მზერა გაუჩერდა, ფანჯრისაკენ მიაბრუნა თავი. სულ მიკვირდა, ასე დღენიადაგ გაუპარსავი როგორ არის-მეთქი; ოცდაექვსი წლის რომ არ ვიყო და თანაც ქვრივი, მანანა დეიდას კალთაში ჩავუჯდებოდი და მოვთხოვდი, ეს წვერებიანი ბიძია მიყიდე-მეთქი. მე ხომ ობოლი ვარ, მანანა დეიდას გაზრდილი და მიყიდდა. ახლა კი ჩემს დაიკოს ნელლის უნდა ეს წვერებიანი ბიძია ვუყიდოთ... ან იქნებ დრო შეიცვალა, იქნებ ახლა ჩემი პატარა დაიკო თვით ამ „ბიძიას“ ჩაუჯდეს კალთაში და, ლომი მიყიდეო, მოსთხოვოს? წვერებიანი ოქროსფერი ლომი. აქ მონადირეს მზერა გაუჩერდა, ფანჯრისაკენ მოაბრუნა თავი. თუ არასოდეს იპარსავს,

მაშინ დიდი წვერი ექნებოდა, მაგრამ არა, ის წვერმოშვებული კი არა, სულ ორი–სამი კვირის გაუპარსავია, რაც თავი მახსოვს და სულ ასე ოცდაათი წლისაა."„

იმ დროს, როცა მარინე ახვლედიანი ჩემზე ფიქრობდა, ფანჯარასთან ჩამოიარა დიდმა ტყვიისფერმა ღრუბელმა. ჩემს უბრალო და უსიხარულო სახლს შემოესმა ლომის ღრმა სუნთქვა, ამოხვნეშა; ბნელი დღე იყო, შინ ძმაკაცები და არისტოკრატი ქალები მყავდა სტუმრად, ტარანითა და ალადასტურით ვუმასპინძლდებოდი.
„მთავარია არ შეგეშინდეს“, ვუთხარი გურამს ძალზე უხმოდ: „შენ ბავშვი ხარ, მე და სოგრატი – ბებრები“. „ბავშვი არა ვარ“, ძალზე უხმოდვე შემომეკამათა გურამი: „ბავშვებს ოცდაექვსი წლის ქვრივები არ ნებდებიან“ (ხედავ შენ, ეამაყება, თავი მოაქვს). „საჭიროა შენ პირმოკუმული იდგე და ფეხი არ მოიცვალო ადგილიდან, როცა ის ახმაურდება; იცოდე, მთების ექო ათმაგად აძლიერებს მის ბრდღვინვას“. გაეღიმა: „ის ექო თოფის ხმასაც აძლიერებს, ჭკუას ნუ მასწავლი, ბებერო“.
– მოვრჩით ტრაპეზობას? – იკითხა მანანა დეიდამ. – მჟავე წყალზე მეჩქარება!
– თუ სანადიროდ წასვლა გეჩქარება? – ჩაუკრა გურამმა.
– არა, შვილო, ჯიხვები მხოლოდ დილაუთენია ჩამოდიან წყლის დასალევად. – მანანა დეიდამ მე გადმომკრა თვალი: – თუმცა, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, ნათქვამია.
მანანა დეიდა ისეთი რბილი, სიმპათიური გველია, უკეთესს რომ ვერ ნახავ და საერთოდ ეს ხალხი მე კარგს არაფერს დამმართებს, როგორც ვატყობ.
დავიძარით. თოფი, რაღა თქმა უნდა, მეც წამოვიღე, თუმცა არ ვიცი, რაში გამომადგება ამ არასანადირო ჟამს. აღმართს მივუყვებით. დაღამება ჯერ შორსაა, მაგრამ ისე მოიღრუბლა, რომ ათ ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევ; მანანა დეიდას ქარაგმებს საზღვარი არა აქვს, რაც, ეტყობა, ამ თეთრ გოგონას არ მოსწონს; გურამი და სოგრატი თამბაქოს აბოლებენ, მარინე ჩუმად მომყვება გვერდით, ფიქრებს წაუღია. ეს ხალხი მე შიშთან შესახვედრად მიმყავს, თუმცა ამით მე რა ხეირი დამეყრება? სწორედ შიშის გამო მიმატოვებენ განსაცდელში;

მარინე ახვლედიანი: „მახსოვს, როცა გათხოვება დავაპირე ოცი წლისამ, მანანა დეიდამ ჩვენს „იისფერ ოთახში“ დამიმარტოხელა უკანასკნელად, სადაც არაერთი ღამე გვითევია ლექსების კითხვასა და ბუნდოვან საუბრებში და ასე მითხრა: „მარინა, გენაცვალე, შენ ეგ ხუმრობა საქმე არ გეგონოს, გათხოვებაც გამომიცდია და ქვრივობაც“. მე ვაკოცე: „ყოველთვის ასე ქართული, შავი თვალ–წარბი გქონდა, ნანა, გამოცდამდეც და გამოცდის შემდეგაც“. „მტოვებ, მიდიხარ, მარი“, მითხრა წუწუნით, ე. წ. ცხოვრება გიხმობს თავისკენ“. ხოლო როცა ცხოვრება დამთავრდა და უკანვე მოვუბრუნდი, ასე ვუთხარი: „აჰა, გათხოვებაც გამოვცადე და დაქვრივებაც, სულაც არ ყოფილა, სახუმარო საქმე“. „მაგრამ, მარი“, მითხრა მან: „ძარღვები დაგლურჯებია ფეხებსა და ხელებზე, მაგას ძარღვების გაგანიერებას ეძახიან“. „თვალებიც ჩამილურჯდა“, დავუმატე მე: „ჭაღარაც კი გამომერია და საერთოდ შენსავით საღსალამათი ვერ გადავურჩი გათხოვებას და დაქვრივებას, ე. წ. ცხოვრებას, ჩემო გამორძმედილო დეიდა“. მაშინ უმაქნისი ტირილი მოვრთეთ ორივემ, როგორც ეშმაკობისათვის დასჯილმა ბავშვებმა და გვიხაროდა, ბლომად რომ მოგვდიოდა ცრემლი“.

მანამ მარინე ახვლედიანი ფიქრებს უმკლავდებოდა, ტყვიისფერი ღრუბელი სავსებით მოედო სამყაროს. მანანა დეიდა ყველაზე წინ მიდის. ამ უფერულ სიბნელეში მისი შავი, კეფაზე დაგორგლილი ნაწნავი უფორმო ლაქად მოჩანს; ფერფლისფერთმიანი ქალწული ფეხაკრეფით მიჰყვება გვერდით. „ქალწული“ უბიწოების გამოხატველი ცნებაა, მაგრამ რა ანტიუბიწოდ ჟღერს იგი ნეიტრალურ სიტყვა „ქალთან“ შედარებით... და მანანა დეიდამ გაბედა ამ გამაღიზიანებელი ატრიბუტით ეხსენებინა იგი ჩემთან. ერთი ქალწული და ორი ქვრივი; ერთი მონადირე და ორი ძმაკაცი: ძალიან ექვსეულია, წუნს ვერ დასდებ.
აღმართს ავათავებთ და თავქვე დავეშვებით ხევში. მჟავე წყარო საქმიანად ჩუხჩუხებს იქ, უზარმაზარ ლოდებსა და კლდის ნაპრალებს შორის. იგრძნობა ერთგვარი სიღრმე, გამოქვაბული, რომელშიც ხიფათს დაუბუდებია;
„მჟავე წყალი!“ წამოიძახებს მანანა დეიდა, მოუთმენლობისაგან ამჩატებული მისი მსუქანი ტანი გამალებით ჩარბის ხევში, წვივები კი რატომღაც თხელი ლამის გამხდარი აქვს, მუხლებს ძველებური მოქნილობა არცთუ ძალიან დაუკარგავთ: ვიცნობ ამ მუხლებს; „ყველას მოგასწრებთ დალევას!“ მიფოფინებს თავდაღმართში გაბავშვებული ქალი.
„ხიფათია მანდ, ხიფათი!“
ჩაბნელებულ ლოდებში მანანა დეიდამ ჩაიმუხლა, მკერდით გადააწვა იმ ლოდებს და მჟავე წყალს დაეწაფა; მრუმე დღეში თეთრი ფეხები მიამიტად წამოუშიშვლდა... თითქოს უცხო რამ საგუბარი გაიხსნაო, ისე ამოიხვნეშა ღრმა ეხში გაწოლილმა ლომმა: თოფები მოიმარჯვეთ! ვბრძანე მე: მტკიცედ იდექით ფეხზე; უნდა მოიმარჯვოთ თოფები, გურამ და სოგრატ; მერე? უნდა იდგეთ ასე თოფებმომარჯვებულნი; იქნებ მეპატიოს მკრეხელობა და ნადირი ჩამოვიდეს წყალზე... ვთქვათ, ჯიხვები... ნადირობაო? მაგრამ ვინ გაიგონა ქალებთან ერთად ნადირობა?!

მარინე ახვლედიანი: „მაშინ გურამს ფერი წაუვიდა, ყოჩაღად მოიმარჯვა თოფი; სოგრატი უფრო გულგრილი ჩანდა. მონადირემ თავი აიღო, ყურადღებით გახედა ჩაშავებულ კლდეს: მისი დიდი სხეული შეიმართა, სახეზე თითქოს ჩამოსცილდა ჯანმრთელი ნადირის ჩლუნგი იერი, ქანდაკებას დაემსგავსა: სიბნელის მიუხედავად ყველაფერ ამას ძალიან მკაფიოდ ვხედავდი, განსაკუთრებით – გურამის გაფითრებას. გაისროლეს: სამი თოფის გამაყრუებელ ექოს კლდიდან მოსხლეტილი ქვა–ღორღის ხრიალიც წაემატა. გოგოები კლდის პირდაპირ, მოზრდილ ლოდს ამოფარებულნი ვიდექით, მანანა დეიდა ლომთან მიგვრჩა; ლომმა ყვითელი თვალები შემოგვანათა სიბნელიდან... „მე რას მიპირებთ?“ ჩაილაპარაკა ნელლიმ: „ამაღამ რას მიპირებთ მე?“ სიბნელიდან შიშისმომგვრელი ღმუილი შემოგვესმა და მე სწრაფად ვთქვი: „მოსახდენი ალბათ მოხდება“. კვლავ თოფების ჭახაჭუხი, ლოდებთან მიწოლილი აცახცახებული მანანა დეიდა: „არა“ ისე დაიჩურჩულა ჩემმა პატარა დამ: „არა, რატომაა აუცილებელი, ამაღამ ამ გაბურძგვნილმა წვერმა დამიჩხვლიტოს სახე“. მანანა დეიდას შველა სჭირდებოდა, მაგრამ ვერ ვშველოდით, მუხლები გვიცახცახებდა ჩვენ, გოგოებს, და აკანკალებულნი ვეკვროდით ერთმანეთს, სანამ კაცები თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი, თავიანთი თოფების ბათქაბუთქით“.

მარინე ახვლედიანს ეგონა, მისი საბრალო დეიდა განწირული იყო, ჩვენ კი თითქოს ხიფათისაგან ვიხსენით იგი ჩვენი შეუპოვარი კანონადით. მხოლოდ მერე შევიტყვეთ, რომ დიდი გაჭირვებით ფეხზე წამომდგარი, დასველებული მანანა დეიდა გვევედრებოდა: „თუ ღმერთი გწამთ, ნუღარ გაისვრით მაგ თოფებს, დაზოგეთ ტყვიები, გამოგადგებათ, თუ ღმერთი გწამთ, რატომ მესვრით, მომეცით საშუალება თქვენთან ამოვიდე, ჩემს გოგოებთან მინდა ვიყო“, საფრთხე საეჭვოდ აგვიანებდა, თოფები დავუშვით, მანანა დეიდამ კი თან წამოღებული თერმოსი ჩააყურყუმელავა მჟავე წყალში, აავსო და გაჭირვებით, ბორძიკით შეუდგა ხევიდან ამოსვლას... თითქოს ღრუბელმა მაღლა აიწია და მოსინათლდა, ეხში გაწოლილი ლომი ღავღუვით წამოდგა მოჩუხჩუხე წყაროს მიღმა: „შებრუნდით ყველანი და ჩემი სახლისაკენ გასწიეთ აუჩქარებლად,“ ვბრძანე მე.

„დღეს ზოგი თქვენგანი ბავშვობას უნდა გამოეთხოვოს და ეცადეთ, ღირსეული იყოს ეს გამოთხოვება“.

ეტყობა წყალი იდგა ეხშიც, ლომმა გაწუწულ, ჩაშავებულ ტანზე სველი კუდი მოიტყლაშუნა რამდენჯერმე და კვლავ დაიღრიალა, მთები შეზანზარდნენ; „მე რომ გაუნძრევლად ყოფნა მმართებს?“ მითხრეს გურამის თვალებმა. „შენ ვაჟკაცობა გმართებს, დანარჩენი წვრილმანია, გაიგე?“ გულში თერმოსჩახუტებული მანანა დეიდა აღმართში მოქოშინებდა; აბურძგნული სველი ლომი ეხიდან გამოიზლაზნა, ნაკადულში გადმოგაფუნდა და აედევნა, აგვედევნა ყველას; „შვილო სოგრატ, მომიცადე“, დაიკვნესა მანანა დეიდამ; მაგრამ სოგრატი არ უცდის, შეშინებული გოგოები მიჰყავს ჩემს სახლში დასაბუდებლად; ბებერ სოგრატს ამქვეყნად არაფრისა ეშინია, არც იმის, რომ მის საყვარელს ლომი მოსდევს უკან... გაფითრებულ გურამს და მე აცახცახებული მანანა დეიდა მკლავებში ჩაგვივარდა. ლომი ნელი ძუნძულით მოგვდევდა, გვესმოდა მისი ტორების მძიმე თქარათქური ქვებზე.

„მიშველით ბიჭებო?“ გვკითხა მანანა დეიდამ. „შენ როგორმე ეგ თერმოსი არ დაკარგო, მოუფრთხილდი, დანარჩენი ჩვენზე იყოს“. „არ შემჭამს?“ ვედრებით იკითხა კვლავ. „უარესსაც გიზამს, თუკი წრიალს არ მორჩები, ma tante“ „რატომ ახლა არ ისვრით? რატომ მაშინ ისროდით?“ „ჩვენ ჯიხვებს ვესროდით, ჯიხვებზე ვნადირობდით“. „ნუ სტყუით ასე უსირცხვილოდ... ჯიხვები! რატომ ახლა არ გაისვრით მაგ წყეულ სატკაცუნოებს?“ „ტყვიებს ვზოგავთ“.

უომმ... დაიბუხუნა ლომმა.

„დაზოგეთ ტყვიები, ახლა დაზოგეთ... ჯიხვებისათვის გამოგადგებათ, ხოხბებისათვის, კურდღლებისათვის...“ „დავზოგავთ კიდეც“.

გრრ! გრრ!

„ჯიხვები! ხოხბები! კურდღლები!...“

ვგრძნობ, ლომი გაავდა. ეს წყეული ქალი! გურამს ყბები უნდა დავამტვრიო: „ესაა შენი პირობა?“ „რა პირობა?“ „პირობა: ამ დედლებს ისტერიკები არ უნდა გაემართათ აქ და შენ... კურდღელივით არ უნდა დაფეთებულიყავი“.

„დაზოგეთ ტყვიები, კურდღლებო!...“

ერთბაშად ლომს შემოვუტრიალდი თოფით, მაგრამ აღარ დამცალდა: იმ წამს გურამმაც გაისროლა... ბეჭში ცხელი ტკივილი გაიფოფრა, მერე ყველაფერი აყირავდა ირგვლივ.

დამჭრეს, ძირს დამანარცხეს; მთელი დღე გული მიგრძნობდა, ეს ხალხი ხიფათს გადამყრის-მეთქი;
მეზმანა, მომაგონდა:
პარიზში, სასტუმრო „ორმუტსას“-ში ვცხოვრობ; ლათინურისა არაფერი გამეგება; მთელი დღის უაზრო ხეტიალის შემდეგ ვბრუნდები ნომერში და ვცდილობ დავიძინო, მაგრამ მეზობელი ნომრიდან რაღაც მოგუდული ხმები აღწევენ ჩემამდე: ყური მივუგდე, ქალები არიან; გაკვირვებული მივჩერებივარ თხელ კედელს: კი, ნამდვილად ლექსებს კითხულობენ: დერეფანში გამოვძვერი ავი განზრახვით. ვხედავ, სასტუმროს მეპატრონე კარებს აჰკვრია და ისიც იმ ქალებს აყურადებს. მე რომ დამინახა, სწრაფად მოშორდა იქაურობას, აჩქარებით ჩამიარა გვერდზე: „წყეული ლესბიანები!“ გავიგონე მისი ბურტყუნი. მელოტი, ხანშიშესული კაცი იყო, უნდო, გამჭრიახი ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. ნომერში ისევ გაისმა ქალების მელოდიური ღუღუნი. საჭიროა მათს ოთახში შეღწევა: კარს მექანიკურად მივაწექი, თუმცა სულაც არ მიფიქრია, ჩაუკეტავი თუ იქნებოდა, ის კი უხმაუროდ გაიღო და უცნაური, ნაზი იისფერი შუქი შემომეფეთა. ვხედავ შავკაბიან გათქვირულ ქალს, სავარძელში რომ ჩამჯდარა, პატარა წიგნი გაუშლია და ლექსს კითხულობს. მეორე კი, პირველზე ორჯერ უფრო ახალგაზრდა, თეთრკაბიანი, ფანჯრის რაფას იდაყვით დაყრდნობია და მისი დიდრონი შავი თვალები პოეზიით დანისლულა. ვერ ამჩნევენ, რამოდენა ახმახი გავხირულვარ კარებში და რა საეჭვო ყურადღებით შევცქერი მათს პოეტურ გამოვლინებას:

.....ლექსი

დაფარულია ოდეს
რაც გახსენებად ღირდა
თუნდ ქარიშხალი ჰქროდეს
მთვარეც ამოხტეს ზღვიდან
მოგონებათა ქსელში
მაინც დაკარგვას ლამობ
ან გარინდება შეგშლის
იტოტ მორ არკჰად ამმოლ

უმწეობაა შენი
ზღვაზე რომ აფენს სიზმარს
სიზმართა გადაფენით
ფიქრს შეურხევდი ცივ ზღვას
აქუხდებოდა რისხვა –
გამოღვიძება ზევსის
და გარინდებულ ცივ ზღვას
შენი ოცნების მწყემსი
ჯიუტი სინამდვილე
წააფარებდა ჩრდილებს

და მოგიკლავდა სიზმარს
როგორც უმწეო შვილებს
როგორც დახოცილ შვილებს
და როგორც მოკლულ სიზმარს
წააფარებდი სუდარს
თვალგაშტერებულ ცივ ზღვას
ლოდინი ამაოა
სამარით არ ამოვა
რაც სიყვარულად ღირდა
და მოკრძალებით ხვდება
მეხთამტეხელის წყრომას
წყეული გარინდება
ტოტი რომ დაჰკრა ლომმა

„შვილო, გოგო, ვინ მოვიდა!“ დაიძახებს შავკაბიანი ქალი; გოგონა დაფეთებული შველივით მომიბრუნდა. ოთახში შევედი და კარი მივხურე. „არ მინდა, შენთან მირჩევნია!“ წივის გოგონა და ქალს ეხუტება. „ხომ კარგი გაგიზარდე!“ ამაყად მეუბნება ქალი, გოგონას საწოლზე აწვენს და კარისაკენ მიდის: „მე სასეირნოდ მივალ, კეთილშობილური ღირსება არ დაკარგო, შვილო, გოგო“. ოთახში ორნი დავრჩით, კარი მივხურე და დიდთვალება გოგოს მოვეხვიე. „არ მინდა შენთან ყოფნა“, ბუტბუტებს ის და გაუბედავად მკოცნის. „კაბას რატომ მხდი, მრცხვენია“. იისფრად ციმციმებს ოთახი. „მეტკინა, სუსტი გოგო ვარ, ყველა მე მერევა და მაწვალებს“. ქალწული აღმოჩნდა; იმ ქალის ხელში მაშ სხვაგვარი როგორ იქნებოდა. მერე სიგარეტის წევა დავიწყე, ის კი მეჩურჩულებოდა, თან ჯიბრით უმზერდა თავის სისხლს; თამბაქოს კვამლი პოეზიის ბურუსს ერწყმოდა, ლამის პოეტურად ვგრძნობდი თავს.
„შენ ჩემი სამშობლო ხარ; რატომ დამესხი თავს, რა დაგიშავე? ბრძენმა მითხრა, შენი სამშობლო ოდესმე მაინც დაგპეპლავსო. აქ რა გინდა მეომრად, ელინ–ლათინთა ომში შენვინ მოგიშვა?“

ბრუნდება ის ქალი: ხომ „ღირსეულად დანებდი, გენაცვალე?“ კითხულობს შურიანად. ვგრძნობ ჩემთან დაწოლა უნდა: „დამიჭირეს ძუძუ მომჭრეს, რატომ კარგი გაგიზრდია“ – ასე წაიმღერა.
გონს მოვეგე. ირგვლივ არავინ ჩანდა. უსახო სივრცე გულგრილად შემომაჩერდა: ჩემს სახლში ახლა ქალები და ძმაკაცები პარპაშობენ; მე მათ დამჭრეს, გზაზე დამაგდეს და ახლა შესანიშნავად, კეთილშობილურად იშვებენ და იხარებენ ჩემს სამყოფელში. თოფი რა მექნა ნეტავი? გურამს შიგ სახეში უნდა ვახალო. ჩვენ ისეთი ძმადნაფიცები ვართ, სულ ტყვიებით უნდა ვუმასპინძლებოდეთ ერთმანეთს. არც ბებერ ჭკუის კოლოფს, სოგრატს აწყენდა ერთი ტყვია შუბლში. მარინეს რაღა ვუყო, ან მანანა დეიდას? არ ვიცი, როდის ეყოლათ მათ ეს თეთრი გოგონა, ბავშვი, ფრთაქათქათა უცხო ფრინველი: ნელლი

არისტოტელეს მომიქსოვეს და მომგვარეს ჩემმა ძველმა სწორფრებმა: მათაც ხომ არ არგებდათ თითო ტყვია ნეკნებში?

მარინე ახვლედიანი: „მე ტყუილად მაბრალებდა შემდეგ სოკრატი, კივილით აიკელი იქაურობაო. მხოლოდ ის კი კარგად მახსოვს, როგორ ზლუქუნებდა მანანა დეიდა: „რას ვერჩოდით, რა დაგვიშავა, ნუთუ სხვაგვარად არ შეიძლებოდა?“ „არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა!“ დაიღრინა გურამმა. „რატომ უნდა მოგვეკლა, რატომ იყო აუცილებელი“, კვლავ ქვითინებდა მანანა დეიდა. „მკვდარი არ არის“, თქვა სოკრატმა: „მკვდრობამდე კიდევ ბევრი უკლია“.
მონადირე ძირს ეგდო; ლომი ავისმომასწავებელად გაქრა გასროლისთანავე, საეჭვო სიმყუდროვე გამეფდა; „მარჯვე მსროლელი ვარ“, ამბობდა გურამი და თვალებს უაზროდ აცეცებდა. მოგვიანებით, როცა დაჭრილი თავის საწოლში ჩავაწვინეთ, გურამს ვკითხე: „რომელს ესროლე?“ „რა მნიშვნელობა აქვს“, ვალში არ დამრჩა გურამი: „ხომ მოვარტყი, რაც მთავარია“. სოკრატმა ჭრილობა დაათვალიერა და თქვა, ძვალი არ უნდა იყოს დაზიანებული, ტყვიას კუნთში გაუვლია და მეორე მხარეს გასულაო, მაგრამ დაჭრილმა სისხლი დაკარგა ძალიან ბევრი და სანთელივით გაყვითლებული იწვა. „ექიმი...“ ვთქვი მე. სოკრატმა გურამს გახედა წამით და ჩუმად მითხრა: „მე თვითონ ვარ ექიმი. ჩვენს გარდა აქ არავინ უნდა შემოყოს ცხვირი“. „მაგრამ შენ რომ მედიცინა არ შეგისწავლია?“ ჩუმადვე ვთქვი მე. „ხმა გაიკმინდე!“ წამისისინა სოკრატმა. „არც იურისპრუდენცია შემისწავლია, სხვათაშორის, მაგრამ ვიცი რასაც ვაკეთებ“.
ჰო, მართალია: მე გურამი მიყვარს, მონადირე კი ვინ არის ჩემთვის? მხოლოდ სიზმარში თუ მინახავს ზოგჯერ. გურამისგან მე შვილი უნდა ვიყოლიო და გავზარდო, თუ დამცალდა: მე ხომ ჭლექიანი ვარ, ისევე როგორც ზოგი უცხოელი, მაგრამ რა ვქნა, თუ ძალიან მინდა შვილის ყოლა; მონადირე კი ვინ არის მხოლოდ სიზმარი, ძველი, ლამის დავიწყებული სიზმარი; დავიწყებული სიზმრისგან ხომ არ ვიყოლიებ შვილს? ის ახლა დაჭრილია და კვდება, მე კი სიცოცხლე და შვილის გაჩენა მინდა. ჩემი ცხოვრება უკვე დამთავრდა ერთხელ, რატომ უნდა დამთავრდეს მეორედაც?
„ჩაეძინა“, თქვა მანანა დეიდამ. მას უკვე დაემთავრებინა ტირილი და აღარც წეღანდელი შიშისა და სასოწარკვეთის ეტყობოდა რამე (თუმცა იმ სასოწარკვეთის დროსაც არ დავიწყებია თავისი მჟავეწყლიანი თერმოსის ფრთხილად მოთავსება გურამის მანქანაში). დაჭრილს სოკრატის მიერ შეხვეული ბეჭიდან სისხლი აღარ სდიოდა. რაღა გამოსდინდებოდა, დაიცალა სისხლისაგან. ძალიან გაყვითლებული იყო. მგონი ვეღარც ტკივილს გრძნობდა, ისე მშვიდად ჩაეძინა. „ძილში თუ არ გაიპარა, სხვა არაფერი უჭირს“, თქვა სოკრატმა და მანანა დეიდა გარეთ გაიყვანა. გურამი საერთოდ არ მოგვკარებია ახლოს მთელი ამ ხნის განმავლობაში; დაღამებული იყო უკვე, ფანჯარაში ცა მოიწმინდა, ნელლიმ უცნაური თვალებით შემომხედა: „შენც წადი აქედან, ამას მე მოვუვლი“. „შენ რა იცი მოვლა?“ ჩავილაპარაკე მე. „არც შენ იცოდი ერთ დროს, მაგრამ რომ დაგჭირდა, ისწავლე, წადი აქედან“. „ჭრილობა რომ გაეხსნას? სისხლი რომ წამოუვიდეს?“ „ენით ავულოკავ, მომშორდი“. მინდოდა მეთქვა, ძილში რომ გაიპაროს, რას იზამ-მეთქი, მაგრამ უცებ ისე აუბრიალდა თვალები, უკან დავიხიე; ღრენაც კი შემომესმა თითქოს და კარში გავილალე უჩუმრად. გვერდითა პატარა ოთახის ღია კარიდან გურამმა ხელი გამოჰყო და შიგნით შემითრია. ოთახში ბნელოდა, გურამმა

იატაკზე დამაწვინა: „შენ მაინც ხომ იცი“, დამჩურჩულებდა ზემოდან, როცა უკვე გულისწასვლამდე ვიყავი მისული, „შენ მაინც ხომ იცი, რომ ბავშვი არა ვარ...“ ალბათ ჩემი ბედია, რომ მაინცდამაინც მომაკვდავის თუ მკვდრის სარეცელთან უნდა მხდიდნენ ნამუსს; მერე მცირე ხნით გული წამივიდა, როცა გამოვერკვიე, გურამი აღარ იყო ოთახში. აივანზე გავლასლასდი, მაგრამ კარებშივე შევჩერდი და გავისუსე. მოწმენდილი, უმთვარო ღამე იყო, იქვე ძელსკამზე სოკრატი და მანანა დეიდა ისხდნენ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ: „რატომ გავიმეტეთ, რა დააშავა“. „ქალების სანადიროდ წაყვანა შეცდებაა“. „მერე, რატომ შესცოდა“. „შეცოდების გარეშე ვინ დაგსჯის, მუქთად კატები არ პეპლაობენ ჩვენს დროში“. „მე რომ შენთან მუქთად...“ „შენ ჩემი აფორიზმების ხათრით პეპლაობ ჩემთან, ბებერო ნიმფომანო“. „შენც ბებერი ხარ, შვილო სოკრატ“. მრავალი ჩურჩული გამომიცდია მე, მარინე ახვლედიანს, მაგრამ მანანა დეიდასთან რას მოვიდოდი: ყოველთვის, ყოველწამს ჩემზე მეტი ხალისით ეთამაშებოდა ცხოვრებას, ჩემზე ნაკლებად დასჯილი რჩებოდა, ჩემზე გულმაგარიც იყო და ჩემზე სენტიმენტალურიც; და თითქოს გათხოვებით დავაღწიე თავი მის უპირატესობას, მამაკაცს შევეფარე, მაგრამ ეს ამბავიც ნაცადი ჰქონდა და ჩასაფრებული მიცდიდა, როდის მოვუბრუნდებოდი, ჩემი დაქვრივებაც (ესეც ხომ ნაცადი ჰქონდა) წინასწარ გადაეწყვიტა, მხოლოდ რაღაც წლების გასვლა იყო საჭირო.

„ქედმაღალი ხარ, მარინა, გენაცვალე; სასიამოვნო, მაგრამ ცოტა მშრალი ქალიშვილი ხარ, მე არ შევცდები, იცოდე, ამ თვალით გიყურებენ ისინი“, მეტყოდა ხშირად: „შიშს კი მალავ ოსტატურად, თავდაჭერილ მანერებსაც ფლობ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ცივი და პოეტური გოგო ბრძანდები“. ჰო, რაც მართალი მართალია, ჩინებულად მიცნობდა. ტყუილად კი არ მათევინებდა თეთრ ღამეებს ჩვენს იისფერ, ლექსებითა და სიზმრებით სავსე ოთახში. სულ იმისათვის ირჯებოდა, რომ ძირისძირობამდე ვცნობდი, უყვარდა ჩემს წიაღში ჭვრეტა და ფათური; ნეტარებდა – როგორიც შემქმნა, ისეთი ვიყავი. ჩაჰყურებდა ჩემს მფრთხალ სულს, თავისივე გამოზრდილსა და ნასათუთევს. ამაყად მეტყოდა: „ჩემი პატარა ინფანტა ხარ, მარი“. მაცდური დეიდა იყო ჩვენი ქალაქის შავთვალა მანანა; მონადირეც მან არ აცდუნა! და საკითხავიც ეს არის ახლა: გადარჩება თუ არა ამ მსუქანი გველისაგან ნაცდუნები მონადირე? თუ ვერ გადარჩა, ჩვენი გოგონაც განწირულია ობლობისათვის: როგორც კი დაინახა ეს ტყისკაცი, მაშინვე, დაუყოვნებლივ, თიკანივით გულუბრყვილოდ შეიყვარა; ახლა კი, დაჭრილის შემყურეს უცხო, მძვინვარე ერთგულებამ დარია ხელი; ჩვენი მოდგმის მთელმა ქალწულობამ იფეთქა მასში – საშიში ნადირია ჩვენი პატარა გოგო!

სოკრატის აზრით, ჩვენ შეთქმულნი ვართ და არავინ უნდა შეიტყოს ჩვენი საიდუმლო, თუგინდ ექიმიც იყოს; მანანა დეიდა ფიქრობს, რომ არაფერი საჭირო არ იყო მონადირის გამეტება; გურამი თავის ბავშვობას ებრძვის და არავის ზოგავს ირგვლივ – კაცი იქნება, ქალი, თუ სხვა რამ სულიერი; მე უნდა მუცლად ვიღო მისი ბავშვობა...

ჰო, ჩვენ აქ ვსჯელობთ, მოვლენებს ვჭვრეტთ, ერთმანეთთან ვპეპლაობთ, იქ, კი, ჩაბნელებულ ოთახში მონადირე კვდება ან არ კვდება, ღმერთმა იცის ეს, და ჩვენი ნელლი ჭრილობებს ულოკავს; და ყველაფერ ამასთან ერთად საფრთხე დაძრწის ამ სახლის ახლომახლო, ფხიზლად გვდარაჯობს, ალყაში ვყავართ გამომწყვდეული.“

მარინე ახვლედიანს ეშინოდა არ მოვმკვდარიყავი და ახლოს ვერ მეკარებოდა. სხვებიც სადღაც გადაიხვეწნენ. ხედავთ, ჩემს თავს რა ხდება – ერთი უკეთური გასროლა და მონადირე კაცი ნანადირევად არ ვიქეცი?

სასოწარკვეთითა და გაშმაგებით უვლიდა თავის მომაკვდავ სატრფოს, მეუღლეს. ამ მოვლაში ისწავლა მოვლა, შემწე ცოტა ჰყავდა, ნათესავთაგან შერისხული იყო უცხოელზე დაქორწინების გამო: სამი მეგობარი მხოლოდ, ე. წ. ძმაკაცები, ღმერთმა უწყის ვინ იყვნენ – იქნებ გურამი სოგრატი მონადირე ერქვათ სახელად – შველოდნენ, დარდს უმსუბუქებდნენ შეძლებისდაგვარად; მოვლა ისწავლა, ოღონდ მაინც ვერაფერი უშველა და ასე დასტიროდა: არ მოკვდე, უცხოელო, მარტო შენ მყავხარ, ნუ დამტოვებ, ჩემი სამშობლოსი მეშინიაო; მაგრამ ის მაინც მოკვდა და სახსოვრად ჭლექი დაუტოვა. ან იქნებ ეს ჭლექიც საკუთარი, მშობლიური იყო, მხოლოდ უცხო ჭლექით შეზავებულ–მომაგრებული?

მოვლა ხომ ისწავლა!

მეზმანა, მომაგონდა: პარიზში სასტუმრო „ორმუტსას“-ში ვცხოვრობ და ლექსადმეტყველმა ქალმა თავისი გაზრდილის ქალწულობა ჩამაბარა. მერე კი შეშურდა იმ გოგონასი და თვითონაც მოინდომა ჩემთან დაწოლა; ჩვენ დავწექით ერთად, დარცხვენილი გოგონა გარეთ გაიძურწა და კართან იცდიდა. „მეც მომენატრა სამშობლო“, ჩურჩულებს შავთვალა ქალი, „როგორ მოგვაგენი, ძმაო, ამ დასაკარგავში?“ „ლექსების ხმაზე“. „ო, ვიცოდი, ლექსი მიშველიდა, ყოველთვის მშველოდა ხოლმე. ამ გოგომ ხომ არ დაგღალა? სისხლის ნაცვლად ლექსი უდგას ძარღვებში“. „მომისმინე, ვეუბნები მე: სასტუმროს მეპატრონე რატომ გზვერავთ, თუ იცი?“ „იცის, ვინცა ვართ და გამოჭერა–დამუშავებას გვიპირებს“. „ამ გოგოს რატომ შეეშინდა ჩემი, კაცი არ უნახავს?“ „მოღალატე გოგოა, გათხოვებას აპირებს“. „ძალიან გიყვარს შენი გოგო ქალო?“ „ძმაო, უცხოელთათვის დიახაც არ მემეტებოდა მისი უმანკოება“. ასე ვსაუბრობდით, თან დროს უქმად არ ვკარგავდით: სამშობლოს დანატრებული ქალი ღონივრად ალერსობდა, ხოლო გოგონა დერეფანში იდგა კარებს აფარებული და ბოროტ მეპატრონეს იგერიებდა; მეპატრონე ყვიროდა: „აა, მრავალფეროვნება შეიტანეთ რეპერტუარში განა? ეშმაკმა წაგიღოთ, ჩემი სასტუმრო წმინდა დაწესებულებაა, ვის შევალახვინებ მის ავტორიტეტს!“ „არავინ გილახავს კაცო, დაწყნარდი“, უთხრა უცებ გოგომ და ამ მოულოდნელი თავხედური სიტყვების გაგონებაზე მე ვირწმუნე, რომ ეს გოგო ჩემი ნათესავი იყო: ეჰ, სადღა არ დავეძებდი ნათესავებს, ქვეყნის რომელ კუთხეში!

ფრანგი კვლავ გაშმაგებით აწყდებოდა კარებს, პოლიცია ახლავეო, სურდა ეღრიალა, მაგრამ ერთიც ვნახოთ და ამგვარად იღრიალა: „ინტელიგენცია ახლავე! შემოკრბით კეთილშობილნო, ბარბაროსი მახეში გაება!“ სად იყო და სად არა, ოთახში ინტელიგენტთა ლაშქარი შემოიჭრა. მე გაუხდელად ვიწექი და ფეხზე ადგომით შევეგებე თავდამსხმელებს, თმაგაწეწილი, შიშველი ქალი ზეწარში გაეხვია და შავი თვალები ონავრულად უციმციმებდა. „კეთილ ინებეთ და იმართლეთ თავი!“ გაიძახოდა მეპატრონე. გოგონა ქალს მიეხუტა, ქალმა კი სტუმრებს ჩემი თავი წარუდგინა ცბიერად: „ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩემი ნათესავი, მონადირე…“ სტუმრებმა არც კი დაამთავრებინეს სიტყვა, ახმაურდნენ: „სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ბატონო მონადირე!“ „მადლობა, კაცო!“ მივუგე მე: „მითხარით ერთი, რას შემომივარდით აქ?“ „ოო ჩვენ გვაინტერესებს როგორი მონადირე ხართ, რაზე ნადიროობთ“. „მე ჯიხვებს

ვკლავ, მაგალითად“. „ჯიხვი რა არის?“ „თხა იცით?“ თხა იცოდნენ. „ჰოდა, ჯიხვიც თხაა, ოღონდ თხისგან იმდენად განსხვავდება, რამდენადაც მგელი – ძაღლისგან“. „ოო, დახეთ… თვალსაჩინო განსხვავებაა“. „არჩვია კიდევ, ისიც ჯიხვს წააგავს. ორივეს მარილიანი ხორცი აქვს“. „ეს როგორ?“ „მჟავე წყალს სვამენ“. „თქვენი გვარი, მეტრ მონადირე?“ „მარსიანი, ბატონო“. „იტალიელი ბრძანდებით თუ ეე... სომეხი?“ „სვანი ვარ სვანეთიდან“. „ეგ ქვეყანა საითაა?“ „კავკასიის მთებში გახლავთ, აი კოლხეთის ზემოთ, ჩრდილოეთით“. „ოო, რა კარგია, მაშ მედეა იცით, ბატონო?“ „საყვარელი იყო ჩემი“. „მე კოლხ მედეაზე მოგახსენებთ, ბატონო, იაზონის მედეაზე“. „მეც მაგაზე მოგახსენებ, კაცო, იაზონი მე მქვია“. „როგორ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ბერძენიცა ხართ ყველა სხვა სიკეთესთან ერთად?“ „ბერძენი შენ თვითონ ხარ!“ ვუთხარი ჭლექიან ინტელიგენტს, რომელიც, როგორც შევატყვე, ამ ლექსძარღვიან ქალიშვილს ეტრფოდა. ქალიშვილიც სიყვარულით შესციცინებდა და ალბათ აწ დაუბრკოლებლად გაჰყვებოდა ცოლად, რაკი ის მშობლიური განძი – ქალწულობა – მშობლიურ გარემოს მიაბარა. სხვას რაღას წაართმევდნენ ეს ფრანგები თუ ბერძნები?

„სტუმართმმუსვრელო, კმაყოფილი ხართ დაკითხვით?“ მიმართავენ ინტელიგენტნი სასტუმროს მეპატრონეს. ის კი კვლავ გაიძახის: „მონ სენ–ორმუტსას! ვის შევალახვინებ! შორს ჩვენგან ბარბაროსნი, ლათინურის უმეცარნი, კავკასიელნი!..“

გამომეღვიძა. ბეჭში ნატყვიარი ოდნავ მეწვის. საშინლად ღონემიხდილი ვარ და საკვირველია, რომ ეს უღონობა ლამის ნეტარებას მგვრის. ოთახში ბინდბუნდი დგას, განთიადის მომასწავებელი სიგრილე იგრძნობა. „წყალი ხომ არ გინდა?“ მეკითხებიან უცებ. ჩემს გამოღვიძებულ სახეზე ფერფლისფერთმიანი თავი დაიხარა. „შენ მილოკავდი ჭრილობებს?“ მისი თმების ნაზ სურნელებას ვგრძნობ და ვხედავ, ნისლიან თვალებში ერთბაშად ონავრული სხივი გაკრთება:

„წყალი არ გნებავს, წყალი?“

„აქ დაჯექი, საწოლის კიდეზე“, ვთქვი მე.

ნისლისფერი მომწვანო თვალები, ნისლა ქალიშვილი: არ ვიცი, ვინ არის, საიდან გაჩნდა; ჯერ ხელით არ შევხებივარ, არ ვიცი, მის სხეულსაც თუ აქვს ჩვეული ქალური სითბო, ისეთი, მანანა დეიდას და მარინე ახვლედიანის გათქვირულ სხეულებს რომა აქვთ; ეს თეთრი გოგონა იქნებ მათი საერთო პირმშოა, მათი ბნელით მოცული და გათქვირული ურთიერთმგოსნობის ნაყოფი... საზარელი შავთვალა ქალებია ესენი, ვიცნობდი ოდესღაც;

საწოლზე ჩამოჯდა, ფერფლისფერი თმა შუბლზე ჩამოეშალა. მარინესავით დიდი მკერდი აქვს, ოღონდ შედარებით ტანთხელია; ვუყურებ ამ წერწეტა, ყელმაღალა, დიდმკერდა გოგონას და თითქოს გული მიჩუყდება. არასოდეს მგონია ნაზი გრძნობები ქალების მიმართ. არც სხვა საგნების მიმართ. ახლა რაღა მემართება? ეჰ, დაჭრილი ვარ, ძმურად, მეგობრულად, საფუძვლიანად დაჭრილი;

„აბა ერთი ჩემსკენ დაიხარე“.

„რას მიშვრები?“

„გკოცნი. ტუჩები კარგად მომიმარჯვე, თავის აწევა მიჭირს. ძალა აღარ მაქვს“.

„შენ და – ძალა აღარა გაქვს? ბარემ გეთქვა, მკვდარი ვარო! ძალის მეტი რამე გქონია შენს ცხოვრებაში?“

„რა ვიცი“.

„ახლა რას მიშვრები?“
„საკინძეს გიხსნის. რამოდენები გქონია“.
„გვარში მოგვდგამს. ოღონდ... როგორ მიბედავ შენ მაგას? ჯერ ეს არავის გაუბედია ჩემთვის“.
„ვერც ვერავინ გაგიბედავდა. შენ ხომ ჩემთვის გაუჩენიხარ ღმერთს... თუ ამ ქალბატონებს“.
„წყეული ხარ, ყველაფერი იცი“.
„რა ვიცი?“
„იცი, ამათ რისთვისაც ამომიყვანეს შენთან... საგანგებოდ ამომიყვანეს, წინასწარ დამოძღვრილი ვარ ამათგან და ყველაფერი... მაინც ვინ ხარ ასეთი?“
„ბევრი მეკითხება მაგას; მონადირე გახლავარ: ხან საღსალამათი, ხან ფეხმოტეხილი, ხან ბეჭში დაჭრილი“.
„ასეთი ვინ ხარ? მართლა იმგვარი ძალა გაქვს, როგორც ამბობენ?“ საშინლად გაწითლდა.
„რაც მართალი მართალია, ძალიან ღონიერი ვარ“.
„მაგას არ გეკითხები... მრცხვენია იმის თქმა...“
„იმას თუ ამბობ, მაშინ შენ დურგალი უნდა ნახო, დურგალთან მე რას მივალ მაგ საქმეში (იხ. „მე კი სულ მარტოდმარტო დავრჩი)“.
„ეგ ალბათ რაღაც გოლიათი დურგალი იქნება“.
„არა, კაცო, ერთი ბაჯაჯღანა კაცია, ორი თითით შემიძლია წიწილასავით წავახრჩო. მაგრამ ქალად თუ ხარ გაჩენილი, მტრისას, მარტო მის გვერდით ჯდომაც, დაგაორსულებს“.
„უხ, როგორ ვლაპარაკობთ!“
„როგორ და მშვენიერად“.
„ხელებს მოუარე სხვათაშორის“.
„რაღაც ნაზი გრძნობები მეძალება, რომ გიყურებ. ვერ ვიტან ნაზ გრძნობებს“.
„აა, მაშ ვერ იტან? მე კი მაინც შეგაყვარებ თავს, ყველა იმ ქალის მაგივრად, ვინც ნაზი გრძნობების უქონლად გაგიუბედურებია“.
„რას მერჩი“.
„იმ ქალების მაგიერს გიხდი, ვისი ცოდვაც შენს კისერზეა; ვისაც შენს ლოდინში თვალები უღამდება; ვისაც ქმარ–შვილი შეაძულე; ვინც შენი გულისათვის საყვარელი მიატოვა; ვინც ტყვია დაიხალა; ვინც შენი სიყვარულით შენს ნაჩუქარ კატას კოცნის... მე ყველაფერი გაგებული მაქვს, მითხრეს!“
„არ მიქნია ეგენი მე, გატყუებენ მაგ ძაღლისშვილები“.
„და ახლა ნახავ, როგორ გაწამდები, მაგ სისხლისაგან დაცლილ გვამში რომ სიყვარულის ბაცილა შეგეჭრება“.
„ვერ მოესწრებით მაგას, ქალებო!“
„მოვესწრებით, არხეინად იყავი“, უცებ მაკოცა და სწრაფად გასწია თავი, თმა აუფრიალდა, გაკვირვებითა და აღტაცებით მომშტერებია, ლოყები უვარვარებს:
„მოვესწრებით, დარდი ნუ გაქვს!“
„ჩამიგდეთ ხელში, დედლებო“, ვამბობდი დინჯად.

ყელმოღერებული გოგონა ფართო თვალებით შემომცქერის და თავის ფუშფუშა თმას ეფერება თითებით. „დაჭრილი რომ არ ვიყო, მე შენს თმას ხელზე დავიხვევდი და ისე გავხედნიდი-მეთქი“, უილაჯო ჟინიანობით ვეუბნები.
„მაგისთვის ამომიყვანეს აქ“.
„თუ არ გინდოდა, რას მოჰყვებოდი“.
„უნდა მნდომებოდა. ამათ ასე სჭირდებათ.ამათთვის მე ყველაფერი უნდა ჩავიდინო, ჯვარს უნდა ვეცვა“.
„მე ჯვარი არა ვარ“.
„სირცხვილით მოვკვდებოდი, ამათთვის რომ წინააღმდეგობა გამეწია“.
„ეს რა ბნელი ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთში, ეშმაკმა ნუ იცის თქვენი თავი“.
„მარინეს ჩემი ქალწულობა სტანჯავს. არ მინდა ჩემი უფროსი დაიკო იტანჯებოდეს“.
„როგორც ვატყობ, ორივენი ამ პუტკუნა მეძავთ–მეძავის მონები ხართ“.
„გვეცოდება, ბერდება უკვე“.
„სოგრატს ფეხებზე ჰკიდია მაგის სიბერე“.
„სოგრატი ბებერი ჭკუისკოლოფია“.
„გურამი ვიღაა?“
„ძუძუმწოვარა. ბავშვივივით უხარია, მარინემ რომ შეიყვარა“.
„თოფს კი მარჯვედ ხმარობს“.
„ღმერთმა უშველოს. კარგი ჰქნა, ტყვია რომ დაგახალა“.
„მოვკლა თუ დავგჭრა? „
„ხელი არ ახლო. მაგის წყალობაა, ჯერაც რომ...“
„ჯერაც რომ ქალწული ხარ? მერე მარინე რომ იტანჯება შენი თქმით?“
„გაჩუმდი, ასე მგონია, სისხლში მკიდებ ხელს“.
„მოდი, კიდევ ვიკოცნაოთ“.
„შე წყეულო! მიყვარხარ...“
„შენ კი გეგონა, აქეთ შემაყვარებდი თავს“.
„შეგაყვარებ კიდეც“.
მერე ვჩუმდებით. თვალები წამოცეცხლებული აქვს, მთვრალი ნისლი; თხელ კაბაში გამონაკვთული მუხლები მალიმალ უტოკავს: „ო, შენ პატარა კვიცო“, ვფიქრობ მე: „შე გრძელფაფარა თეთრო კვიცო!“
ცოტა მოვიკეთე. შემოვიდნენ ჩვენი ქალები: „როგორა ხარ, მონადირე, არ მოკვდი?“ მკითხა მანანა დეიდამ. „შენც მკითხე რამე მარინე“. „რა გკითხო... კარგად გივლიდა? თავი ხომ არ შეურცხვენია მოვლის საქმეში?“ „მე თქვენ გიცნობთ, ქალებო, თქვენ არ იყავით, პარიზში რომ გიყვარდით>?“ „პარიზში შენ რა გინდოდა, მონადირე, შენი ადგილი სვანეთშია“. „ლექსებს რატომ კითხულობდით, ქალებო, პოეტები ხომ არ იყავით? ვერ ვიტან პოეტებს“. „რას ერჩი?“ „ქედმაღალი ხალხია, ისე მიყურებენ, როგორც რამე ზერელ ეგზოტიკას“. „შენ ეს გვითხარი, ამ გოგომ რარიგ გარგო, კარგად თუ მოგემსახურა?“ „ო, ძაან გოგოა“. „მაშ როგორ! ვენაცვალე მე ჩემს გოგოებს, ბიჭო, მონადირე! „ქალო მანანა, ეს რა გოგოების ფაბრიკა გაქვს გახსნილი?“ „რა ვქნა, შვილო, შემოქმედი ქალი ვარ“. „მე შენი შვილი არა ვარ, თუ შეიძლებოდეს“. „არც მე ვარ შენი ქალო–მანანა, ჩემს სახელს რომ ახსენებ, რამე სოლიდური ატრიბუტიც დაურთე ზედ“. „ატრიბუტებისათვის მცხელა, ტყვია მაქვს ბეჭში ნაგემნი“. „მაგით ვერ გაგვაკვირვებ,

ჩვენც ბევრი რამე გვიგემნია. არ გვიცნობ შენ ჩვენ, მონადირე“. „გიცნობთ, გიცნობთ, პარიზელებო; მაშინ ორნი იყავით, ახლა გასამებულხართ: ეს თეთრი ბავშვი როდის შექმენით?“ „ბავშვიო?“

მზე ამოვიდა ალბათ. ბუნდოვან ოთახში სინათლის სხივი ჩამოეშვა ვიწრო სარკმლიდან, ნელლის ფერფლისფერი თმები ლბილად აციაგდნენ.

„შენ კიდევ მთელი ხარ, გოგო?“ სოფლურად შეუყვირა მანანა დეიდამ. კუთხეში მიიმწყვდია, იქ ჯერაც ბნელოდა: „აქ და აქ მაკოცა“. მე და მარინე ერთმანეთს თვალს ვარიდებდით, სარკმელში ნელა მოცოცავდა სინათლე: „კიდევ რა გაკადრა“. „ველარაფერი. ჭრილობა აწუხებს“. „ესეც როგორ გააბედინე... გვარი არ შემირცხვინო გოგო!“ ისევ მომესმა აშარი შეყვირება.

„რატომ ხარ ჩუმად, მარინე“, ვუთხარი მე: „შენ გგონია, გურამს მოგიკლავ?“ მარინე წამოენთო: „მე არაფერი მგონია და საერთოდ, ჩემი საქმე არაა, რას დამართებთ თქვენ ერთმანეთს“. შემდეგ ერთბაშად მკვდარივით გაუფითრდა სახე, მაგიდიდან სიგარეტი აიღო და ხელის კანკალით მოუკიდა;

„ჰო, მე სულმოკლე და მოღალატე გოგო ვარ“, დაიწყო მარინემ, მიყურებდა და თვალები საზეიმოდ უბრწყინავდა: „მეგონა კვდებოდი და მაინც ექიმი არ მოგიყვანე, გურამის გამო შემეშინდა: გურამისგან მე შვილი უნდა ვიყოლიო, შენ კი ვინ ხარ, რაში მჭირდება? შენ რომ აქ კვდებოდი, მე გურამმთან... (ბავშვს აჩენდა გურამთან, ბავშვობისგან იხსნიდა გურამს) ჰო, აქვე, შენს სახლში, შენს იატაკზე... მადლობელი იყავი ჩვენი, მაგ ლოგინიდანაც რომ არ გადმოგაგდეთ!“ იკივლა მარინე ახვლედიანმა, მთლად აკანკალდა და დაასრულა: „დიდი რამე ხომ არ გგონია ცოცხალი რომ გადარჩი ახლა? კიდევ უარესი საფრთხე მოგაკითხავს, როცა იქნება და იცოდე, ყველასგან მიტოვებული იქნები, მარტო, მარტო ამოგხდება სული!“

კარი უცებ გაიღო და სოგრატის გაბადრული სახე გამოჩნდა. ეტყობოდა, ყველაფერი მოესმინა; მახვილგონიერი სოგრატი ვრცლად გაიღრიჭა, უთმო შუბლი გენიალურად აუპრიალდა:

„ძუ დოსტოევსკი ხარ შენ, მარინე ახვლედიანო!“ თქვა სოგრატმა. იგი მხრებში აიწურა, კუთხეში მიდგა: მანანა დეიდა თეატრალური აღშფოთებით უცქერდა; ოთახში დღის სინათლემ იძალა; მერე მოულოდნელად გავარდა თოფი: წამიც და ლომის გრუხუნი ისე დაგვატყდა, გვეგონა, ჭერი ჩამოგვენგრა თავზე; ოთახში თოფიანი გურამი შემოვარდა, თოფის ტუჩიდან კვამლი გამოდიოდა.

„დავჭერი“, თქვა გურამმა: „სისხლი ვანთხევინე“.

„ისემც შენ რა გითხრა, გურამ!“ მიაძახა მანანა დეიდამ; ყველანი ერთად ვიყავით ახლა, ერთ ოთახში, ერთ ჭერქვეშ; დერეფანში, თქარათქური გაისმა და მოფრიალებულ კარში ლომის საზარელი თავი შემოეხირა:

წამიერი სამარისებული დუმილი; მერე ყვითელმა მხეცმა თვალები დააბრიალა და ვეება ეშვები გადმოყარა: გრრ!

„განდევნე ლომი, ნელლი“.

კლდის ძირას იდგა და ჩემსკენ აპარებდა მზერას. სახლიდან გამოპარულები ვიყავით ჩვენ, ვიცოდით თავს ვეღარ დავაღწევდით ერთმანეთს; არ შევთანხმებულვართ აქ შეხვედრაზე, მაგრამ იმან, რაც ჩვენ შორის ითქვა, აქ, ამ სახიფათო ადგილას მოგვიყვანა ორივენი: აი, ახლა მე მის თმებს ხელზე დავიხვევდი და დანაქადებს შევუსრულებდი; არ

არსებობდა არაფერი, რაც ჩემგან დაიხსნიდა; ეს ფიქრი ალბათ თვალებში გამომეხატა, მან უცებ დაიკივლა და გამექცა… მაგრამ ამ მთებში, ამ გაუვალ კლდეებში, ღმერთს ვფიცავ, ვერავითარი ქალი ხელიდან ვერ წამივიდოდა – მითუმეტეს ასეთი თეთრი, ამაღელვებლად ტანთხელი და მკერდმაღალი, უგონოდ ჩემზე შეყვარებული და უცხო, როგორც დილის პლანეტი; იგი უთავბოლოდ აწყდებოდა აქეთ–იქეთ, გარშემო მიირბენდა და ქანცი ეცლებოდა; ცხენის ძუასავით უფრიალებდა თმები, დროდადრო იკივლებდა, სასოწარკვეთილი ზარი მოჟონავდა ამ ხმაში: „ვიცი, რომ დამიჭერ და დამცემ, ვიცი, რომ უმწეო და უპატრონო ბავშვი ვარ“. და მეც დავიჭირე ეს აკივლებული ბავშვი, ზურგიდან მივწვდი და გულზე მივიკარი, ხერხემალი უთრთოდა… კივილი არ შეუწყვეტია მაშინაც, როცა გულაღმა გავშოტე მოლზე და მისი თმებიც მაჯაზე დავიხვიე, როგორც შევპირდი; აკივლებულ ტუჩებს ვუკოცნიდი და როცა სავსებით დავეუფლე, მაშინაც პირში შემომკიოდა; მერე მობუზული ვიჯექი, დაღლილობისაგან სხეული მიკანკალებდა, დაჭრილი კაცი გახლდით. ის კიდე ჯერ კიდევ იკლაკნებოდა მოლზე. საკუთარ თმებში გახლართული სიყვარული.

ხომ გიყვარვარო?

ძალიან სუსტად ვგრძნობდი თავს. სისხლისაგან დაცლილ სხეულში თითქოს მომაკვდინებელი ბანგი მეღვრებოდა, იქნებ უცხო ბაცილები შეიჭრა… გოგონამ უკნიდან შემომხვია მკლავები, კისერში მაკოცა: ხომ გიყვარვარო? აბა მითხარი, ხომ გიყვარვარ, აბა მითხარი, გამოტყდი, აღიარეო:

იმ მეხისებურმა გრუხუნმა გვისწრო, ასე რომ გვწყალობდა ჩვენი ნათესაობის ჟამს. წამოვდექი და ანგარიშმიუწვდომლად წავბარბაცდი ამ ხმისაკენ, მერე თავბრუ დამესხა და შევჩერდი; და ვხედავ, როგორ ულმობლად გვიახლოვდება იგი, ცოტაც და თავს დაგვატყდება… ხომ გიყვარვარო, ხომ გიყვარვარო, დასწყევლოს ღმერთმა ეს დაძაბუნებული ხელები, ეს არაქათგამოცლილი მუხლები… გრრ! გრრ! კვლავ დავიძარი და ლამის ზედ მივადექი, „ჰეი! „იმავე წამს აფოფრილი ლომი თავს დამეცა და ლოდებში ჩამჩეხა; და აჰა, საბოლოოდ ძალაგამოცლილი და გულგრილი ვწევარ, საოცრად მომეშვა გულზე; ისიც გულგრილად მადგას თავს, ყვითელი თვალებით შორს, სამხრეთს გასცქერის; მეც ვიცი ეგ სამხრეთი და დროა უკვე;

„განდევნე ლომი, ნელლი“.

მან განდევნა – მხეცის ყვითელ ფაფარში ჩახვეული ქალიშვილი ზმორებით გაქრა, დროულიც იყო, განა ჩვენ ყველანი უცხო ხიფათის წინაშე არ ვძრწოდით მთელი ამ ხნის განმავლობაში, განა აფრიკელი ნათესავის ჟამი არ იდგა? მაშა, ერნესტ, აფრიკა ყველას კურნავს, ლათინურის არმცოდნეთაც კი; და როცა ეს იცი, აღსასრულის ჟამს არც ისე მარტოდ იგრძნობ თავს, თუნდაც მთელი ქვეყნის შავთვალა ქალებმა მიგატოვონ.

გვარი როგორ შემირცხვინე გოგოვ, შე წყეულო, ამას ველოდი შვილო, შენგან; კი ელოდი, როგორ არ ელოდი და აჰა, გაიხარე, ჯვარს ეცვა გოგო თქვენთვის, ჩემო დებო, მეტი რაღა შეძლოს პატარა გოგომ;

მარინე ახვლედიანი: „ბოლო ჩანაწერს ვაკეთებ ამ ამბავზე და დაგემშვიდობებით კიდევ: დროა წერტილის დასმისა, დადუმებისა.

გურამიც ჩუმადაა, მის ქოჩორა თავს, გაფითრებულ ლოყებს ვეფერები: ცუდი არაფერი ელის, რაც მოხდა, წარსულს ჩაბარდა: რა მისი ბრალია, რომ შეცდა, ამ წყეულ მთაში

ამოგვიყვანა და მონადირის საბრძანებელში თოფის ხმარებით მაწონებდა თავს, საგმირო საქმეებს მაჩვენებდა!
სოგრატი და მანანა დეიდა მგონი ჩუმ–ჩუმად დამცინიან, ასე რომ დავკანკალებ ჩემს ბედნიერებას. ვინ იცის, სხვებიც დამცინიან... დამცინეთ, მე იქნებ მხდალი და საცოდავი ქალი ვარ, იქნებ სულმოკლეც, მაგრამ ყველანი მიყვარხართ: მე სულ მეშინია, ვაითუ რამე ცუდი დაგემართოთ, ვაითუ მომიკვდეთ… და გულში ვმღერი, როცა თქვენზე ვფიქრობ, ასე მგონია, ეს ჩემი უხმო სიმღერა დაგიფარავთ და გაცოცხლებთ; ვიცი, ცრუმორწმუნე ვარ, მაგრამ ცრურწმენა მშველის, როგორმე ავიტანო ეს ჩუმი, გულდაწურული, შიშისაგან გულგახეთქილი სიყვარული;
შენ კი მონადირე: რომ არ მოგვეშველე და რომ გაგწირე, როცა კვდებოდი; ექიმი არ მოგიყვანე; მაგრამ ხომ მიყვარდი… ხომ ვმღეროდი გულში შენს გადასარჩენად; რა ვქნა, რომ პატარა გოგო აღარა ვარ – ჩემს ყოვლისშემძლე დეიდას კალთაში ჩავუჯდე და წვერებიანი ბიძია მიყიდე-მეთქი, მოვთხოვო; ხომ გავიმეტეთ შენთვის ჩვენი გოგონა, ხომ მოგგვარეთ, მოგართვით; მაშ ანგარიში გასწორებულად ჩავთვალოთ და ცალ–ცალკე მოვკვდეთ, როცა დრო დადგება; ჯერ კი მე უნდა ვიცოცხლო, გურამს შვილი გავუჩინო: აბა შენ რად გინდა შვილი მაგ უკაცრიელ მთებში? ჯიხვი და არჩვი გეყოფა…
მთაში ჰაერი სუფთა და ცივია; მე კი ცხოვრება ვნახე – ჭლექიანი იყო და მსწრაფლწარმავალი; მეც ჭლექიანი ვარ, როგორც ზოგი უცხოელი. მაპატიე ეს ჭლექიანობა.
დრო მიდის, ზოგნი ბავშვობას ეთხოვებიან. მთა მრისხანეა და საშიში: მშვიდობით, მონადირე, ჩემო ძველო სიზმარო“.
მარინე ახვლედიანი გულში მღერის. მშვენიერი ქალია, ქალაქში განთქმული ქვრივი; მისი გურამი ბოლოს და ბოლოს დავაჟკაცდება კიდეც ქალაქის პირობაზე; მანანა დეიდაც ძალიან ქვრივია, ძველი ლამაზმანი, გველეშაპი: აფორისტი სოგრატი ჩაუგდია ხელში, რომელიც ამბობს: „ბოროტება ცხოვრების სპექტაკლია, ხოლო სიკეთე – მისი ანტრაქტიო „ცხოვრებაზე ყველანი მსჯელობენ და კვლავაც იმსჯელებენ, რაღა თქმა უნდა; სხვა რამ საქმეებსაც ბლომად ჩაიდენენ; საამისოდ, იმედია უფრო შესაფერ ადგილს შეარჩევენ, ვიდრე მონადირის სახლია, და ძალიან კარგსაც იზამენ – არ მიყვარს მე მსჯელობა და პოეტობა ჩემს სახლში.
მეზმანა: ჭრილობიდან სისხლი მდიოდა. უზარმაზარი, გიგანტური შუადღე იდგა. მზე არ ჩანდა, ისე იყო სამხრეთი მზით გაჯერებული; ცხელოდა, შავი სიცხის მიღმა გადაშლილიყო მწვანედ, წითლად, ყავისფრად მოელვარე სავანა: კამეჩისა და ანტილოპის ურიცხვი, უშფოთველი ჯოგები ძოვდნენ და შორს, თითქოს ქვეყნის კიდეზე, შამბნარსა და ხეთა ჩრდილებში იწვნენ ოქროსფერი ლომები. ჭრილობიდან სისხლი მდიოდა, ცხელ სამყაროში ნელა, რწევით ვეშვებოდი მიწაზე; ლომები არ იძვროდნენ ამ გარინდებულ უკიდეგანო შუადღეში, უკიდეგანო სიჩუმეში, სამყაროს მიღმა: აფრიკის კარად ვკვდებოდი.
ხვალისთვის. ეს ალადასტური კარგი რამე იყო, მაგრამ კარგადაც გამომიწრუპეს ამ ჩემმა ძმაკაცებმა. თუმცა ვალში ხომ მაინც არ დამრჩნენ: ქალები ამომიყვანეს ქალაქიდან.
ახლა დასაძინებლად ვემზადები. სიბნელეა და სიჩუმე, მარტო ვარ ჩემს ძველისძველ სახლში, როგორც ყოველთვის. ალბათ კარგა ხანს ვერ ვინადირებ, ჭრილობამ დამასუსტა. გურამს დამიხედეთ არ დამჭრა? სანაძლეოს ჩამოვალ, განგებ რომ ესროლა,

ასე კოხტად ვერ მომარტყამდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაინცადამაინც არაფრად სჭირია ჩუბინობა: ლამაზ ქვრივებზე თოფით როდი ნადირობენ. ეს კია, რომ არც იმ ლამაზი ქვრივების სანადიროდ წაყვანაა დიდად სახარბიელო, სოგრატმა მაინც იცის ეს, ჩემი ხნისაა, ბრძენი კაცია. ცოდნით კი ვიცით, მაგრამ ყოველთვის რომ ვერ ვიყენებთ ამ ცოდნას? და აი შედეგიც – გვარიანი ჭრილობა: ხომ შეიძლება უცხო ბაცილები იყოს შიგ შეჭრილი… ექიმს კი არავინ მოგგვრის, არხეინად იყავი.
ჯანდაბას ჭრილობა, მეძინება. ძილს კი კვლავ მოჰყვება სიზმრები, მაგრამ რა გზაა, უნდა გავუძლო. მე უნდა გავუძლო, რადგან მგონი თავადაც სიზმარი ვარ, ყოველ შემთხვევაში, მარინე ახვლედიანი ასე უნდა ფიქრობდეს: მაგას და მანანა დეიდას უყვართ სიზმრები, პოეზია; აკი დამასიზმრეს კიდეც ის უცხო, ფერფლისფერთმიანი არსება… რომელ ალადასტურს არ ჯობდა!
ვწევარ და სიბნელეში და სარკმლიდან გრილის ნიავი უბერავს. კარგი ჰაერია ამ მთაში. საერთოდაც კარგია აქ, მყუდროდ გრძნობ კაცი თავს. თუ შეიშნობ, მთაში ყოფნა ბარეორ ადგილას ყოფნას სჯობს. შესაძლოა დიდი, არააქაური ნადირის გამოჩენამ კაცს თავზარიც დასცეს, მაგრამ ასეთი რამ ძვირად ხდება, უფრო სიზმარს წააგავს. და კაცმა ზოგჯერ სიზმარსაც ხომ უნდა გაუძლოს… აკი ჩვენც, ყველანი გამუდმებით ვესიზმრებით ერთმანეთს, ძილშიაც კი ვერ მოგვისვენია ერთმანეთისაგან.
მეძინება. მანანამ დეიდა ის თერმოსი ხომ მაინც გაავსო მჟავე წყლით. წვეთი არ მოუკლია, ისე წაიღო ქალაქში. ესეც ტროფეი! ყოჩაღ ქალო. მონადირე ვარ მე.
მეზმანა…

ნინო სადღობელაშვილი

ბამბაზიის სამოთხე

პირმომტვრეული მაკრატლით ჭრიდა პატარა ბამბაზიის შარვლებიდან კურდღლებს, ციყვებს და ბამბუკებს.
ჭრიდა, დიდის ამბით კედლებზე აწებებდა.
მთელი საღამო ამ საქმეს მოანდომა. თითის წვერებით მოქმედებდა, ფრთხილად და საგულდაგულოდ. მაკრატლის თითო შემოტარებაზე უნებურად პირს აყოლებდა და მთელი ტანით ზევითკენ იწეოდა.
ბოლოს გამოჭრა როგორც იქნა. შუქზე გახედა ბავშვობაამოცლილ შარვლებს და იქვე გადაყარა.
მერე გაყინული ჩაი მოსვა. ტელეფონზე რაღაც ნომერი აკრიფა და ლაპარაკი გააბა:
– ...როგორა ხართო... დედაშენი როგორ არისო... კიდევ აწუხებს თირკმელებიო? მე რომ კაბა გამოგიგზავნე, მოგერგოო?.. ჩემი ქალიშვილობისდროინდელიაო, მაგაში გამოწყობილი მაგნოლიის ყვავილს ვგავდიო – ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეუბნებოდნენო... მეც ვარ, რა ძველებურადო... ორი მოსწავლე მყავს, ისინიც – თავს არ მანებებენ, შენზე უკეთესთან ვისთან მოვემზადებითო, თორემ, მე კი აღარ შემიძლიაო... ეჰ, დავბერდიო... ჰო, მართლა – წუხელ დამესიზმრეთო... მე და რატი ვიყავით მდინარის პირას, კენჭებს ვისროდით და ამ დროს თქვენც გამოჩნდით, თეთრი ნავით მოდიოდითო... რა სასაცილოები იყავით, დედაშენი შიგ ძლივს ეტეოდა, იმის თეძოების რხევისგან ნავს ჭრიალი გაჰქონდაო... ჰო, მეჩქარება ეხლა მე, ძალიან მეჩქარება და მგონი კარზეც ზარიაო...
ცოტა ქარი იყო, ფანჯრებამდე აწვდენდა ტოტებს. მარტო ეს ხმა იდგა ოთახში,
მხოლოდ ეს და მეტი არც არსაიდან იძვროდა სიცოცხლე.
ღამით ისევ მოვიდა რატის ლანდი. ჩამოუჯდა ცხვირწინ და გაუბოლა მურაბაში გაცვლილი სიგარეტი.
ჰო, ეგრე, – ვანოს, მეზობელს, დიაბეტი და ბევრი სიგარეტი ჰქონდა. რატის – დედამისის მოხარშული მურაბა და, კიდევ – დედამისი ჰყავდა. ცვლიდა ხოლმე, საღამოობით, ლამპის შუქზე ნარდს რომ თამაშობდნენ ან კროსვორდებს როცა ხსნიდნენ ან გაზეთებზე როცა ლაპარაკობდნენ და, რატი ყოველთვის დედის ცხვირწინ ეწეოდა. იჯდა და თან ეწეოდა და თან კედლებს ათვალიერებდა რატის ლანდი. ყველგან თვითონ იყო. იმის გალერეად გადაეკეთებინა დედამისის მთელი სახლი.
... რატი, გრემში ექსკურსია გახსოვს?.. მე და შენ რომ ვიმღერეთ და მერე ექოს რომ ვუსმენდით, მთებს რომ ჩვენს სახელებს ჩავძახებდით ხოლმე?
და თუშეთი? სამი ჭრილობით რომ ჩამომიხვედი... უხ, იმ ერკემალის რქებს ეხლაც ვწყევლი, ჩანგალივით რომ წამოგიგო ზედ... არა, მაინც კარგი იყო. თუშური რომ მასწავლე, გახსოვს? – „ჯეელებ რაგვერ ხართა, დანადუმარნო...“
გახსოვს, ჩვენი მეზობელი, ვანო, „დედაკაცს“ რომ მეძახდა ხოლმე და მე რომ მწყინდა, ძალიან მწყინდა.

დედაკაცო, წყალი მომაწოდე...
დედაკაცო, შენს გახარებას, ეგრე ნუ იბღვირები...
დედაკაცო, გვაცადე მე და შენს ბიჭს კაცურად საუბარი!..
მაშინ მწყინდა, ეხლა მენატრება... გახსოვს?
და თეკლა, მე რომ ბეჭედი მომპარე, იმას რომ წამოაცვი ცერა თითზე!..
და ხო, ხო, ახსოვს რატის ლანდს და უფრო გამწარებით ექაჩება სიგარეტს.
მერე, ამ დანისლულ ოთახშიც ინათლებს.
ჰე, გადტოვებ აწი... – გამთენიისას იტყვის ლანდი და უხმაუროდ შეაშრება კედლებს.
დილის ათ საათზე ლაურა მოვიდა. ფანჯრები დაუხსნა, მტვერი გადაუწმინდა, თეთრეული გამოუცვალა, მიბან–მობანა და ჩამოუჯდა ცოტა ხნით, წინ ყავა დაიდგა და მინაბულმა დაიწყო სმა.
მეც მინდა... – შეეხვეწა მოხუცი.
მოიცა, ხო, მოგიდუღებ! – გამოსცრასავით ლაურამ და ზლაზვნით მოადუღა.
გიყვარს ხო ყავა, ლენა დეიდა? შენ რა გითხარი მე!.. – შესცინა თვალებგადმოკარკლულ მოხუცს, რომელმაც ვერაფერი ვერ გაიგონა.
გიყვარს ხო ყავა! გიყვარს! – უყვირა ლაურამ.
თავი დააქნია.
მარა, შენ რა იცი იმისთანა ყავა, ჩემს სამშობლოში რო ადუღებდნენ! – ესეც ხმამაღლა.
სადაა შენი სამშობლო?! – გაიოცა ლენამ.
იქა... რო გამოგვრეკეს ცხვრებივით. აბა ის იყო ყავა, თუ თორე, ეს წყალწყალა ახლა შენისთანებს თუღა მოატყუებს.
თაგვის სუნია... – უცებ ცხვირი შეიჭმუხნა მოხუცმა.
თაგვის კი არა, იმის!.. შენ რო ფსამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, იმის ბრალია ეგ. რა გითხრა, შედი იმ დასაწვავში, რამე როცა მოგინდება–მეთქი!
უხეშად მისწი–მოსწია სკამები და იატაკი სველი ტილოთი მოამშრალა.
არა, თაგვის სუნია... გაუბედავად თქვა მოხუცმა და თვალები აუწყლიანდა.
ჩემი პური არ შეჭამოს...
რა გიქნია ეს, ლენა დეიდა! – მოისმა უცებ მეორე ოთახიდან კივილი.
ლენამ შეშფოთებით გახედა ქალს და უცებ დამშვიდდა. ღიმილით წაეტანა ხელებზე.
რა გიქნია ეს, რას დაგიმსგავსებია ეს საცოდავი ტანსაცმელი, ვისია?!
მომეცი... – ფრთხილად გამოართვა ბამბაზიის დაფხრეწილი შარვლები და პერანგები, ერთად დააგორგოლა და იღლიაში ამოიჩარა. – აი!.. – ანიშნა კედლებზე.
და, ლაურამ კინაღამ ენა გადაყლაპა მოულოდნელობისგან.
რა არი ესაა, ლენა დეიდა! როგორ გადიწკეპებია ესენი, როგორ ავადღლიზო აქედან!
რა უნდა აადღლიზო, ეს სამოთხეა!..
მშვიდად უპასუხა ლენამ და ლაურა მიხვდა, რომ ახლა მასთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ახლა – არა.
– ჯანდაბას შენი თავი!... – ჩუმად ჩაილაპარაკა, – აჰა, ეს პური და კალბასი, ეს ტყემალი, სუპი ქვაბშია, არ მოიმშიო. მე ხვალ მოვალ. კარები არავის გაუღო, გაიგე? – ხმამაღლა უთხრა.
მოხუცმა თავი დაუქნია და უსაზღვრო ნეტარება იგრძნო, რადგან ლაურა წავიდა.

ლენამ ერთი–ორჯერ კიდევ გადარეკა ცოცხალ და გარდაცვლილ ნათესავებთან და წერილის დასაწერად დაჯდა.
„ქეთინო, შვილო“...
– დაიწყო და უცებ ხელებში საშინელი სიმძიმე იგრძნო, ვერაფრით დაიმორჩილა კალამი.
ამ დროს კარებზე ზარი დარეკეს და ისიც გახარებული წამოფრინდა, ამ სიმძიმისაგან ოდნავ გათავისუფლებული.
ლექსო იყო, რატის ძმაკაცი, რასაკვირველია, მთვრალი.
უყურა მოხუცს, უყურა, მერე მის ხელს დასწვდა, მკვდარი ჩიტივით დაიდო ხელის გულზე და ძველებურად, მაღალფარდოვნად აკოცა.
მოხუცი გაიბადრა, – რა ლამაზი ხარ, ლენა დეიდა, შენ გენაცვალოს ჩემი გახუნებული სიცოცხლე!
მხრებზე ხელმოხვეულმა შეიყვანა ოთახში.
ისხდნენ. სულ ლექსო ლაპარაკობდა. ხელებს იშველიებდა და თვალებს ხშირ–ხშირად ხუჭავდა.
– აი, შენ რომ ვინმემ გაგაბრაზოს, ხო იცი არა, ძაღლივით დავგლიჯავ, ლენა დეიდა, ცოცხლად შევჭან, შენ რომ ვინმემ გაწყენინოს, შენ ჭკვიან თვალებზე რო ცრემლი დავინახო, რატის სულს ვფიცავარ!... ის ქალი ხო არ გიტრაკებს, ლენა დეიდა, მე იმის სუყველაფერი... რა ნუ ვიგინები, განა არ ვიცი, ეგეთი ძაან მზრუნველი რატო იჩითება? საიდან მოგაგნო, ვინ აღმოაჩინა! ეხლა გახდა შენი ნათესავი? რატის მაგაზე არასდროს მოუყოლია!... არ დაეჩაგვრინო, ლენა დეიდა, ისედაც ხო ხედავ, ნახევარი სახლი გაგიზიდა, მე მაგის ანგარებიანი დედა ვატირე!.. რა ნუ ვიგინები, შევიგინები კი არა, შენ დაკრულზე ვაცეკვებ, შენ ოღონდ მითხარი, ცუდად ხო არ გექცევა!..ხო არ გიყვირის ან რამე!.. საჭმელს გიმზადებს?.. მე ხო იცი... ხშირად არა მცალია და ვერ მოვდივარ ხოლმე, თორე, ვისი რამე გვინდა, მე და შენ ხო ძმები ვართ, ლენა დეიდა, შენ ჭაღარა თავს შემოვევლე... განა დამავიწყდება, ლენა დეიდა, დედაჩემს რო უვლიდი და... პურის რიგში რო იდექი ჩვენი გულისათვის და... არა, რატო არ უნდა მოვყვე! არავის დაეჩაგვრინო, ყველას დედა უტირე, გაიგე? ეს ცხოვრება ეგეთი ყოფილა! რა ვიცი, მე ვიცი, აბა ვინ იცის ამ ცხოვრების!.. რატის სულს ვფიცავარ, იმ ქეთინოსაც ერთხელ იქნება მაგრა გამოგილანძღავ, რა არი ესა, დაგტოვა მარტო და აღარც ჩამოიხედა აქეთკენ. ბავშვი მეც მენატრება,ჩემი მერცხალივით გოგო, რატიევნა... სურათები მაინც გამოგიგზავნოს იმ ჩემისამ...
ფულს გიგზავნის, ლენა დეიდა? ის ლაურაა თუ ვიღაც ფეხებია, ის იღებს? შენ გაძლევს? შენ სადა ხარჯავ, ლენა დეიდა?...
მაწონს ყიდულობ?.. ჩემო პატარა ბავშვო... რა საყვარელი ხარ, ლენა დეიდა... როგორ გაგთრებია ფრჩხილები!.. რა? მე რად მინდა? რატის სახელზე ვიყიდო? არა კაცო, ისე ვიყიდი... კარგი რა, ლენა დეიდა!... ოოო, არ გამოგართმევ!.. ეს ბევრია, ამ ფულით მთელი ლუდის ბარი მომივა...
კარგი ჰო, მადლობა... მადლობა ლენა დეიდა და, რატი გაგინათლოს ღმერთმა. შენც ამოგიტან ცივ ლუდს, არ გინდა? არა? მარწყვი იყოს, კარგი. მადლობა ლენა დეიდა, ჯიგარი ხარ...

გაუბედავად ჩაიკეცა ჯიბეში მოხუცის მოცემული ფული და ისევ ლაურას გინებით და ლენას ფერებით გავიდა ოთახიდან.
უსიტყვოდ დაღამდა. ვერ დაწერა ლენამ რძლის სახელზე მისაწერი წერილი

* * *

მერე, ბევრი დღის შემდეგ, იმ ბიჭმა ლექსში ახსენა ქალი, რომელიც ღამე მტკვრის პირას დაინახა და დიდხანს ცნობისმოყვარედ უყურა, რადგან ეგონა, მდინარეში გადახტომას აპირებდა.
ლექსი მსუბუქი და რაღაცნაირად თვითკრიტიკულიც გამოუვიდა. ყველაფერში სირთულეს რომ ეძებდა და ტრაგედიას რომ ხედავდა, იმის გამო ისჯიდა თავს.
არადა, ის ქალი მოხუცი ლენა იყო, საღამოს თავისი სახლის კედლებიდან თავდაღწეული. ძალიან მშვიდად იჯდა ხიდის მოაჯირთან, სიგარეტს ეწეოდა და ფიქრადაც არ მოსვლია მსგავსი სისულელე.
ბიჭი არავინაც არ იყო. ისე, მოპოეტო გამვლელი. ამ ეპიზოდში შემთხვევით მოხვდა.
სიგრილე ამოჰქონდა ახორკლილი მდინარიდან ნიავს. ადამიანები კანტი–კუნტად დაიარებოდნენ. როგორც ყოველთვის, წყვილად, ან მეწყვილის ძებნაში გართულები. ამ ქალაქში მარტოდმარტო სიარულისთვის ბევრი ძალაა საჭირო.
სიგარეტის ნამცეცებზე მტრედები ისხდნენ. ლენას ფეხის წვერებს უკორტნიდნენსავით. გაყინული თვალებით შესცქეროდა ღრუბლებს, რომლებიც სქელი ზამბახებივით გაკროდნენ ზეცას, როგორც მიტოვებულ სასაფლაოს.
ბავშვობიდან უყვარდა მათგან ათასნაირი ფიგურის გამოჭრა. ზოგი ადამიანს ჰგავდა, ზოგიც – ცხოველებს, კოშკებს, ურჩხულებს... მაშინაც ასე იჯდა ხოლმე სახლის აივანზე და გასცქეროდა. და ისე ადვილი, ისეთი ადვილი იყო ამ დროს სახლში ატეხილი წივილ–კივილის მოთმენა!.. აი, თეფშები!.. ჩინური პაგოდებით მოხატული თეფშები ზეცის ლანგარზე, რომლებიც სულ ახლახან მამამ ფეხით დაამსხვრია... აი, ქოთანი, შუადღის ათინათებით აბრჭყვიალებული, ღრუბლის ქოთანი, რომელიც ფრენისას სულ შემთხვევით ასცდა დედის საფეთქელს და კედელს მიენარცხა... აი, სიტყვების ნამცეცები, ბათქაშჩამოშლილი კედელივით დაფხრეწილი სიტყვების ნამცეცები, რომლებსაც სასიკვდილო ტყვიებით ესროდნენ ერთმანეთს მშობლები და ყველა მათგანი ღრუბლებსაც ხვდებოდა... აი, თოკი, ზეწრის თოკი, რომელსაც პატარა გოგო ყოველღამე ჩუმჩუმად გრეხდა, რადგან ერთ მშვენიერ დღეს ამ აივნიდან გადამძვრალიყო ბოლოს და ბოლოს... – და – ბოლოს...
აი, თოკი...ცის ნაგლეჯებისგან დაგრეხილი, რომელიც მას ყოველთვის აკავებდა.
კარგად შეიყნოსა ჰაერი და გაიღიმა – აღარსად იყო თაგვის სუნი. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დაუყვა დაღმართს. შიოდა და საკბილოს ეძებდა.
– ე, ბებო ნახე! – გაუკვირდათ სადარბაზოსთან ატუზულ ბიჭებს მისი მაღალი ქუსლები და ცოტა სულელური, მსუბუქი მიხვრა–მოხვრა.
– ეხლა ეს იქნება ადამის ხნისა, მარა, ეტყობა რამე? საღოლ, ქალებო!
ლენამ ამრეზით გახედა, ნაბიჯს ოდნავ აუჩქარა.
ბრჭყვიალებდნენ ბარაქიანი ვიტრინები, მადის აღმძვრელი საშაქარლამოები. დატკბილული საფუნთუშეები.

შესცქეროდა თავმომწონედ გადმოფენილ ბლითებს და ღვეზლებს და უნებურად გამხიარულდა. გაღიმებულმა შეყო თავი ერთ განათებულ ჯიხურში, მიიხედ–მოიხედა და დაიძახა:
– მშია რა!...
საცხობის სიღრმიდან ორმა თავმა გამოიხედა. მერე ერთმა უკმეხად იბრუნა პირი და მეორეს ანიშნა – შენ მიხედეო. მეორე ზლაზვნით წამოვიდა და ქალს შეაშტერდა.
– რა გნებავთ?
– ერთი ღვეზელი. ერთი ვაშლის ნამცხვარი. ერთი – ნაღების წვენი.
– ოო, აი მაგ უკანასკნელზე ვერ მოვრიგდებით – გაიღიმა
თეთრწისაფარაფარებულმა და კიდევ უფრო შეაშტერდა ლენას.
– კარგი. რაც არის ეგ არის, ჩიტები წვენებს არც სვამენ.
კაცი შეიჭმუხნა. ცოტა გაკვირვებით შეუთვალიერა თვალები.
– ჩიტები რა შუაშია?
– აუჰ, გავიცნოთ ერთმანეთი – დამსახურებული პედაგოგი, უპარტიო, თავისუფალი მოქალაქე...
სახელი არ ათქმევინა, არ დაამთავრებინა. პირდაპირ ჩაუტენა გასაცნობად გამოწვდილ ხელში, რაც უნდოდა და ჯიხურის სარკმლის დახურვა დააპირა.
აფხაზეთის გმირის დედა...
მოესმა ქალის შიგნიდან. და ყბა აუკანკალდა. მერე მხრებში მოკიდა ხელი და სინათლეზე ძალით შემოათრია. მოხუცს დამყოლი სხეული ჰქონდა. წინააღმდეგობის ნატამალიც არ გაუწევია.
– ჯანდაბას შენი თავი!... – ჩუმად ჩაილაპარაკა, – აჰა, ეს პური და კალბასი, ეს ტყემალი, სუპი ქვაბშია, არ მოიმშიო. მე ხვალ მოვალ. კარები არავის გაუღო, გაიგე? – ხმამაღლა უთხრა.
მოხუცმა თავი დაუქნია და უსაზღვრო ნეტარება იგრძნო, რადგან ლაურა წავიდა.
ლენამ ერთი–ორჯერ კიდევ გადარეკა ცოცხალ და გარდაცვლილ ნათესავებთან და წერილის დასაწერად დაჯდა.
„ქეთინო, შვილო“...
– დაიწყო და უცებ ხელებში საშინელი სიმძიმე იგრძნო, ვერაფრით დაიმორჩილა კალამი.
ამ დროს კარებზე ზარი დარეკეს და ისიც გახარებული წამოფრინდა, ამ სიმძიმისაგან ოდნავ გათავისუფლებული.
ლექსო იყო, რატის ძმაკაცი, რასაკვირველია, მთვრალი.
უყურა მოხუცს, უყურა, მერე მის ხელს დასწვდა, მკვდარი ჩიტივით დაიდო ხელის გულზე და ძველებურად, მაღალფარდოვნად აკოცა.
მოხუცი გაიბადრა, – რა ლამაზი ხარ, ლენა დეიდა, შენ გენაცვალოს ჩემი გახუნებული სიცოცხლე!
მხრებზე ხელმოხვეულმა შეიყვანა ოთახში.
ისხდნენ. სულ ლექსო ლაპარაკობდა. ხელებს იშველიებდა და თვალებს ხშირ–ხშირად ხუჭავდა.
– აი, შენ რომ ვინმემ გაგაბრაზოს, ხო იცი არა, ძაღლივით დავგლიჯავ, ლენა დეიდა, ცოცხლად შევჭან, შენ რომ ვინმემ გაწყენინოს, შენ ჭკვიან თვალებზე რო ცრემლი

დავინახო, რატის სულს ვფიცავარ!... ის ქალი ხო არ გიტრაკებს, ლენა დეიდა, მე იმის სუყველაფერი... რა ნუ ვიგინები, განა არ ვიცი, ეგეთი ძაან მზრუნველი რატო იჩითება? საიდან მოგაგნო, ვინ აღმოაჩინა! ეხლა გახდა შენი ნათესავი? რატის მაგაზე არასდროს მოუყოლია!... არ დაეჩაგვრინო, ლენა დეიდა, ისედაც ხო ხედავ, ნახევარი სახლი გაგიზიდა, მე მაგის ანგარებიანი დედა ვატირე!.. რა ნუ ვიგინები, შევიგინები კი არა, შენ დაკრულზე ვაცეკვებ, შენ ოღონდ მითხარი, ცუდად ხო არ გექცევა!..ხო არ გიყვირის ან რამე!.. საჭმელს გიმზადებს?.. მე ხო იცი... ხშირად არა მცალია და ვერ მოვდივარ ხოლმე, თორე, ვისი რამე გვინდა, მე და შენ ხო ძმები ვართ, ლენა დეიდა, შენ ჭაღარა თავს შემოვევლე... განა დამავიწყდება, ლენა დეიდა, დედაჩემს რო უვლიდი და... პურის რიგში რო იდექი ჩვენი გულისათვის და... არა, რატო არ უნდა მოვყვე! არავის დაეჩაგვრინო, ყველას დედა უტირე, გაიგე? ეს ცხოვრება ეგეთი ყოფილა! რა ვიცი, მე ვიცი, აბა ვინ იცის ამ ცხოვრების!.. რატის სულს ვფიცავარ, იმ ქეთინოსაც ერთხელ იქნება მაგრა გამოგილანძღავ, რა არი ესა, დაგტოვა მარტო და აღარც ჩამოიხედა აქეთკენ. ბავშვი მეც მენატრება,ჩემი მერცხალივით გოგო, რატიევნა... სურათები მაინც გამოგიგზავნოს იმ ჩემისამ...

ფულს გიგზავნის, ლენა დეიდა? ის ლაურაა თუ ვიღაც ფეხებია, ის იღებს? შენ გაძლევს? შენ სადა ხარჯავ, ლენა დეიდა?...

მაწონს ყიდულობ?.. ჩემო პატარა ბავშვო... რა საყვარელი ხარ, ლენა დეიდა... როგორ გაგთრებია ფრჩხილები!.. რა? მე რად მინდა? რატის სახელზე ვიყიდო? არა კაცო, ისე ვიყიდი... კარგი რა, ლენა დეიდა!... ოოო, არ გამოგართმევ!.. ეს ბევრია, ამ ფულით მთელი ლუდის ბარი მომივა...

კარგი ჰო, მადლობა... მადლობა ლენა დეიდა და, რატი გაგინათლოს ღმერთმა. შენც ამოგიტან ცივ ლუდს, არ გინდა? არა? მარწყვი იყოს, კარგი. მადლობა ლენა დეიდა, ჯიგარი ხარ...

გაუბედავად ჩაიკეცა ჯიბეში მოხუცის მოცემული ფული და ისევ ლაურას გინებით და ლენას ფერებით გავიდა ოთახიდან.

უსიტყვოდ დაღამდა. ვერ დაწერა ლენამ რძლის სახელზე მისაწერი წერილი

* * *

მერე, ბევრი დღის შემდეგ, იმ ბიჭმა ლექსში ახსენა ქალი, რომელიც ღამე მტკვრის პირას დაინახა და დიდხანს ცნობისმოყვარედ უყურა, რადგან ეგონა, მდინარეში გადახტომას აპირებდა.

ლექსი მსუბუქი და რაღაცნაირად თვითკრიტიკულიც გამოუვიდა. ყველაფერში სირთულეს რომ ეძებდა და ტრაგედიას რომ ხედავდა, იმის გამო ისჯიდა თავს.

არადა, ის ქალი მოხუცი ლენა იყო, საღამოს თავისი სახლის კედლებიდან თავდაღწეული. ძალიან მშვიდად იჯდა ხიდის მოაჯირთან, სიგარეტს ეწეოდა და ფიქრადაც არ მოსვლია მსგავსი სისულელე.

ბიჭი არავინაც არ იყო. ისე, მოპოეტო გამვლელი. ამ ეპიზოდში შემთხვევით მოხვდა.

სიგრილე ამოჰქონდა ახორკლილი მდინარიდან ნიავს. ადამიანები კანტი–კუნტად დაიარებოდნენ. როგორც ყოველთვის, წყვილად, ან მეწყვილის ძებნაში გართულები. ამ ქალაქში მარტოდმარტო სიარულისთვის ბევრი ძალაა საჭირო.

სიგარეტის ნამცეცებზე მტრედები ისხდნენ. ლენას ფეხის წვერებს უკორტნიდნენსავით. გაყინული თვალებით შესცქეროდა ღრუბლებს, რომლებიც სქელი ზამბახებივით გაკროდნენ ზეცას, როგორც მიტოვებულ სასაფლაოს.
ბავშვობიდან უყვარდა მათგან ათასნაირი ფიგურის გამოჭრა. ზოგი ადამიანს ჰგავდა, ზოგიც – ცხოველებს, კოშკებს, ურჩხულებს... მაშინაც ასე იჯდა ხოლმე სახლის აივანზე და გასცქეროდა. და ისე ადვილი, ისეთი ადვილი იყო ამ დროს სახლში ატეხილი წივილ–კივილის მოთმენა!.. აი, თეფშები!.. ჩინური პაგოდებით მოხატული თეფშები ზეცის ლანგარზე, რომლებიც სულ ახლახან მამამ ფეხით დაამსხვრია... აი, ქოთანი, შუადღის ათინათებით აბრჭყვიალებული, ღრუბლის ქოთანი, რომელიც ფრენისას სულ შემთხვევით ასცდა დედის საფეთქელს და კედელს მიენარცხა... აი, სიტყვების ნამცეცები, ბათქაშჩამოშლილი კედელივით დაფხრეწილი სიტყვების ნამცეცები, რომლებსაც სასიკვდილო ტყვიებით ესროდნენ ერთმანეთს მშობლები და ყველა მათგანი ღრუბლებსაც ხვდებოდა... აი, თოკი, ზეწრის თოკი, რომელსაც პატარა გოგო ყოველღამე ჩუმჩუმად გრეხდა, რადგან ერთ მშვენიერ დღეს ამ აივნიდან გადამძვრალიყო ბოლოს და ბოლოს... – და – ბოლოს...
აი, თოკი...ცის ნაგლეჯებისგან დაგრეხილი, რომელიც მას ყოველთვის აკავებდა.
კარგად შეიყნოსა ჰაერი და გაიღიმა – აღარსად იყო თაგვის სუნი. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დაუყვა დაღმართს. შიოდა და საკბილოს ეძებდა.
– ე, ბებო ნახე! – გაუკვირდათ სადარბაზოსთან ატუზულ ბიჭებს მისი მაღალი ქუსლები და ცოტა სულელური, მსუბუქი მიხვრა–მოხვრა.
– ეხლა ეს იქნება ადამის ხნისა, მარა, ეტყობა რამე? საღოლ, ქალებო!
ლენამ ამრეზით გახედა, ნაბიჯს ოდნავ აუჩქარა.
ბრჭყვიალებდნენ ბარაქიანი ვიტრინები, მადის აღმძვრელი საშაქარლამოები. დატკბილული საფუნთუშეები.
შესცქეროდა თავმომწონედ გადმოფენილ ბლითებს და ღვეზლებს და უნებურად გამხიარულდა. გაღიმებულმა შეყო თავი ერთ განათებულ ჯიხურში, მიიხედ–მოიხედა და დაიძახა:
– მშია რა!...
საცხობის სიღრმიდან ორმა თავმა გამოიხედა. მერე ერთმა უკმეხად იბრუნა პირი და მეორეს ანიშნა – შენ მიხედეო. მეორე ზლაზვნით წამოვიდა და ქალს შეაშტერდა.
– რა გნებავთ?
ერთი ღვეზელი. ერთი ვაშლის ნამცხვარი. ერთი – ნაღების წვენი.
ოო, აი მაგ უკანასკნელზე ვერ მოვრიგდებით – გაიღიმა
თეთრწისაფარაფარებულმა და კიდევ უფრო შეაშტერდა ლენას.
კარგი. რაც არის ეგ არის, ჩიტები წვენებს არც სვამენ.
კაცი შეიჭმუხნა. ცოტა გაკვირვებით შეუთვალიერა თვალები.
ჩიტები რა შუაშია?
აუჰ, გავიცნოთ ერთმანეთი – დამსახურებული პედაგოგი, უპარტიო, თავისუფალი მოქალაქე...
სახელი არ ათქმევინა, არ დაამთავრებინა. პირდაპირ ჩაუტენა გასაცნობად გამოწვდილ ხელში, რაც უნდოდა და ჯიხურის სარკმლის დახურვა დააპირა.
აფხაზეთის გმირის დედა...

მოესმა ქალის შიგნიდან. და ყბა აუკანკალდა. მერე მხრებში მოკიდა ხელი და სინათლეზე ძალით შემოათრია. მოხუცს დამყოლი სხეული ჰქონდა. წინააღმდეგობის ნატამალიც არ გაუწევია.
შენა ხარ?.. – ბურდღუნებდა კაცი და მოქანდაკესავით უვლიდა გაქვავებულ ქალს.
სიტყვები არ გამოსდიოდა, თითქოს რაღაცას უფრთხოდა, რაღაცის წამოცდენისა ეშინოდა.
ვინ ბრძანდებით... – ერთი ამოსცრა ქალმა და ხელები გაითავისუფლა.
ვერ მიცანი?.. მართლა ვერ მიცანი?..
ღიმილით ეუბნებოდა კაცი.
ლენა... ოდნავ გაოცებული უყურებდა, მერე თავისი ღვეზელი ჩაბღუჯა და ღიღინით დაიწყო ჭამა.
ლენა.. რა მოგსვლია!.. ცხვირწინ ჩამოუჯდა კაცი, სახე ხელისგულს ჩამოაყრდნო.
მიყურეთ, მიყურეთ. მე ძალიან ლამაზად ვჭამ. – შესცინა ქალმა.
მართლა არ გახსოვარ? არ გადამრიო ეხლა!.. კაცი შესცქეროდა ჭამის დროს ამოძრავებულ ნაოჭებზე, ჩამქრალ თვალებზე, გალეულ ხელებზე.
დღეს რა დღეა? – უცებ ქალმა ჰკითხა.
წითელი პარასკევი.
ერთი მკაცრად შეავლო კიდეებგაჭუჭყიანებულ წინსაფარზე თვალი და აღარ გაუღიმია. ტუჩებმოკუმულმა განაგრძო ჭამა.
ვინ გამოგიშვა გარეთ... შენი ცოდვა ედოს... ამ შუაღამისას ქუჩაში რას აკეთებ?
სახლში დავიღალე, – გულწრფელად ამოიოხრა ქალმა.
კედლის გაფქვილული საათი წუთებს ხმაურით მიერეკებოდა.
გავიგე რატის ამბავი, მარა... ვერ მოვედი. ხო იცი, შენი ქმრის გამო და რამე... მაგრათ ისა... მაგრათ მეწყინა, რა... ეხლა სად არი იმის ცოლ–შვილი, შენთან ცხოვრობენ?
რაღაც გაკლიათ... აი, გიყურებთ და რაღაც გაკლიათ, არ მომწონხართ.
რაღაც ყოველთვის მაკლდა თქვენში! მომრუშხული ამბობდა ქალი თავისთვის, გულუბრყვილოდ.
აი, ყოველთვისო! ესე იგი მიცანი! არ შეცვლილხარ, ისევ ის ქალი ხარ! მიცანი არა, გენაცვალე? – და ისევ მიეტანა.
რაღაც... ათინათი გაკლიათ, ჰო! მოვიფიქრე. ა–თი–ნა–თი! უშუქოდ დადიხართ, მეც მაბნელებთ. გაწიეთ, რა...
შე საცოდავო... რას დამსგავსებიხართ... ეგეთი ჭკვიანი, ეგეთი კარგი... მე გამომყოლოდი! მიგეტოვებინა ის შენი ქმარი და... მაინც ხო თვითონ მიგაგდო პირველმა! არ გეუბნებოდი? ხო გეუბნებოდი!.. ცივ ნიავს არ მოგაკარებდით შენ და იმ შენ შვილსაც. ეს მაინც ხო არ დაგემართებოდა!
გაიწიეთ რა... მეფარებით... – ისევ ისე, გულუბრყვილოდ ამბობდა ქალი.
შენი სიამაყე რა ვთქვი! სულ ეგეთი ამაყი და ყელმოღერებული რო დადიოდი. აგე, რა გიქნა ცხოვრებამ. აგე... ეხლაც არა გჯერა ჩემი?
მაცადეთ... – ხელებს ითავისუფლებდა მოხუცი.
უჰ... ამას ვეღარ წარმოვიდგენდი ესეთს თუ გნახავდი... არა, მართლა ვერა მცნობ თუ იგონებ? იქნებ ამ ყველაფერსაც მართლა იგონებ, ჩემ გასაგიჟებლად? აბა შემომხედე!.. კარგად... კარგად...

ატრიალებდა აქეთ–იქით ლოყებათრთოლებულ ქალს.
მომეშვით რა... ჭამა მაცალეთ... თქვენ მობეზრებული გექნებათ ესენი, თავად აცხობთ. ხო თავად აცხობთ?
კი... – პასუხის გაცემა მოუნდა კაცს.
მე ვერ ვაცხობ ასე კარგად! – გაუღიმა.
დამცინი?.. კიდევ დამცინი კაცო, ეხლა მცხობელადაც მიწუნებ?.. რა ვქნა, რჩენა ხომ გვინდა ოჯახში... შენ ის მითხარი, მარტოდმარტო ვინ გამოგიშვა ამ მდგომარეობაში!
ოხ, რა მომაბეზრებელი ყოფილხართ! თქვენ ვინ გიძლებთ სახლში!.. თანაც, ათინათი გაკლიათ. აი, თვალებს რომ დახუჭავ და მაინც რომ ხედავ, ის გაკლიათ... მომშორდით, მე წავედი...
მოიცა!.. – უცებ იყვირა კაცმა. – სად მიდიხარ!
სახლში... – მხრები აიჩეჩა ქალმა.
მარტოს არ გაგიშვებ!
– სახლში თაგვები მყავს. შეგეშინდებათ და მერე ყვირილი უნდა მორთოთ. მე კი არ მიყვარს მშიშარა და მყვირალა კაცები!
– მოიცა!.. – ისევ იყვირა კაცმა, – გაგაცილებ. ერთი წუთით დამელოდე, აი, ეს ტანსაცმელი გავიხადო და ეხლავე მოვალ.
ქალი ჩუმად შესცქეროდა.
– ხო დამელოდები? აქ იჯექი! არ ადგე! – მხრებზე ისე დაჰკრა ხელი, გეგონება იატაკში ჩააჭედა, არსად რომ არ გაქცეოდა... მერე უცებ შეიხსნა წინსაფარი და საცხობის სიღრმეში გაუჩინარდა.
– ოჰ... რა მომაბეზრებალი კაცია!.. თავი ამატკია. – გაიფიქრა ლენამ, ჯიბიდან ხურდა ამოიღო, მაგიდაზე დააწყო და ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას.
ფერად–ფერადი ფიქრები უციმციმებდა გონებაში: „მგონი მოვეწონე, რა გასაკვირია, მოვეწონებოდი, მაგისთანებისათვის ამირევია თავ–გზა! მარა, რაღაც მაინც აკლდა. ვერ ანათებდა, რა!.. უჰ, როგორ მიყვარდა აქამდე ეგ კაცი, მეც არ ვიცი...“
მერე თვითონვე მიუგდო ყური თავის ნათქვამს და ხმამაღლა გაიმეორა: „როგორ მიყვარდა ეგ კაცი აქამდე...“ რაღაცა შეერჭოსავით გულის კედელში. ეტკინა, მაგრამ არ შეიმჩნია, თავი გააქნია, თითქოს ფიქრები გამოიბერტყაო და შვებით ამოისუნთქა. „ეხლა მოვუყვე ეს მარიკას, გაგიჟდება!..“
გვიანღამემდე იბორიალა ქუჩებში. ერთი–ორმა ძაღლმა გვარიანად შეაშინა. მერე ერთი შედარებით განათებული სადარბაზო ამოარჩია, პირველივე კიბეზე ჩამოჯდა, ტანსაცმელი კიდევ უფრო შემოიფუთნა და დაქანცულს მაშინვე ჩაეძინა.
სიზმარში ნახა: ის თეთრწინსაფრიანი კაცი მორბოდა ქუჩაში და განწირული უყვიროდა. მერე ხეების თავზე მოექცა და მათი კენწეროები გადმოირბინა – იქნებ ზევიდან მაინც დავლანდოო. ეს კი თავისი სახლის აივანზე იჯდა, იქიდან შესცქეროდა წერტილივით კაცს და სიცილით კვდებოდა. მერე ვითომ იმ კაცმა ერთი ხის კენწეროზე ბუდე იპოვა. ბუდეში ვითომ რატი იჯდა, ამოიყვანა პირდაღებული რატი და მაღლა ასწია – აი, ეს მაინც დაინახე, ეხლა მაინც გამოჩნდიო... და მაშინ კი წამოფრინდა ეს და დააპირა წერტილივით კაცისკენ გაქანებულიყო, მაგრამ ვერა. ვერ ადგა. რაღაცაზე დიდი თოკით იყო დაბმული...

ისე, ცხადში, მართლა ირბინა იმ თეთრწინსაფრიანმა, საცხობიდან რომ გამოვიდა და ქალი რომ ვეღარ დაინახა. აქეთ ეცა, იქით ეცა, ბევრიც უძახა, მაგრამ ვინ გააგონებდა!..
სახლში მოწყენილი მივიდა. ცოლის გემრიელ ვახშამზე უარი თქვა, არც შვილებს ჩაუყარა წლობით გაუხსნელ ყულაბაში ფული. დილით ცოლმა ბალიშის ქვეშ ხურდები აღმოუჩინა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაასკვნა – უკვე კაპიკებს დასდევს, სულ გაუვაჭრდა სულიო...
აბა, რა იცოდა, ის ხურდა ლენამ დაუწყო წინა საღამოს მის ქმარს მაგიდაზე. მეტი არც ღირდა მისი გვერდემმომწვარი ღვეზელი.

* * *

სახლში, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა, პატარა სასამართლოსმაგვარი რამ გაიმართა.
ლაურა სახეაწითლებული, აღელვებული გადი–გამოდიოდა ოთახში და ნახევრადჩამქრალ სიგარეტს ჰაერში ასავსავებდა.
– არა, მე რა პასუხს მცემდი ერთი. ამხელა უტვინო ქალი როგორა ხარ! სად მიდიოდი, რომ მიდიოდი, რა გითხარი მე, არსად წახვიდე–მეთქი, ჩემს აქ არ ყოფნაში ფეხი არსად გაადგა–მეთქი! – ყვიროდა.
ერთი–ორი მეზობელი განგებ ტრაგიკული სახით იჯდა ოთახის სხვადასხვა კუთხეში. ზოგი ფეხზეც იდგა.
ლაურა, თავის სიმართლეში და განგების ძალით თავიდან აცდენილ საშიშროებაში დარწმუნებული, კიდევ უფრო მეტ ექსპრესიას მატებდა სოლო გამოსვლას.
– გეკითხები, ლენა დეიდა, რა მოხდებოდა, შენ რომ შემთხვევით ამ პატიოსან ქალს არ ეცნე და სახლამდე არ მოეყვანე! გადაბრუნებოდა ვთქვათ ამასაც ფეხი – (მეზობელზე ანიშნა) – არ წასულიყო იმ ღამით თავის გოგონასთან... შენ ვინ მოგნახავდა და საერთოდ, რა პასუხს გვაძლევდი ჩვენ, ამაზე არ გიფიქრია?
მოხუცი თავჩაღუნული იჯდა. ათასში ერთხელ ცრემლი უმწიფდებოდა თვალებში და მძიმედ სცვიოდა, ხმას არ იღებდა.
– რა გაკლია, ლენა დეიდა, ძმურად მითხარი, რა!.. ჩემ ხელში რა გაკლია, გაკლია რამე?..
მღელცვარებისაგან ყველა სიტყვა შემოეფანტა ლაურას.
– იქნებ ამ პატიოსანმა ხალხმა იფიქროს, რომ მე შენ ყურადღებას არ გაქცევ, მე შენ გავიწროებ... რამეს გაკლებ... ხომ ვარ მეც ცოდვა, რა პასუხი მივცე ამ ხალხს, ლენა დეიდა?!..
„ხალხი“ თავის კანტურით ეთანხმებოდა ყველაფერზე. მერე ისიც ერთხმად აღნიშნეს, რომ ლაურას მათი მეზობლისთვის მართლა არაფერი დაუკლია.
– ჭირი იმ შენ რძალსაც, რომ ვერ მოგხედა ერთი!.. მე რატო უნდა მიწევდეს ამეებზე ნერვიულობა!
თავი ვეღარ შეიკავა ლაურამ და ატირდა.
მოხუცი თითებს იწვალებდა და ისევ ისე, ათასში ერთხელ წყდებოდა თვალებიდან მწიფე ცრემლები.

– ხალხო, რაღაც უნდა მოვიფიქროთ. ასე აღარ შეიძლება. ახლა ეს გარეთ ბორიალს მიეჩვევა, ვინ იცის როდის გაგვეპაროს, რა მოიწიოს, მე სულ აქ დასაჯდომად არ მცალია. ვერც თქვენ უყარაულებთ დღედაღამე. რამე უნდა მოვიფიქროთ...
და, ჩუმად ფიქრი და საუბარი დაიწყეს ისე, რომ მოხუცს არაფერი ესმოდა.
მოგვიანებით, ცოტა დამშვიდებული სახეებით მეზობლები ოთახიდან გალაგდნენ. ლაურა კი რამდენიმე წუთით აივანზე გავიდა, გული გაიგრილა. მერე შემობრუნდა და ლენას ზურგიდან დაუჯდა. მოხუცი არც განძრეულა.
– ეხლა მარტო მე და შენ ვილაპარაკოთ... – წყნარად უთხრა ლენას. ქალმა გაიღიმა.
– სად იყავი გუშინ, ლენა დეიდა? – მაქსიმალური სიმშვიდით ჰკითხა ლაურამ.
ქალმა მხრები აიჩეჩა.
– არ იცი, არა? კარგი. მე შენთვის ვინ ვარ. ლენა დეიდა?
ქალმა ისევ მხრები აიჩეჩა.
– არც ეს იცი, არა?... მაშინ მითხარი, ჩვენს წამებას ბოლო როდის მოეღება, ლენა დეიდა?
ხვალ... – უცებ უპასუხა მოხუცმა.
ხვალ? – ახლა ლაურამ გაიკვირვა. – ხვალ რა ხდება?
ისე...
მაშინ, თუ ისე, დღეს რატო აღარ!
ისტერიკის მისხალი გაჩნდა ლაურას ხმაში.
დღეს ვერა... წითელი პარასკევი ყოფილა.
ოჰოჰო! ეგ უკვე იყო. დღეს სხვა დღეა და მე და შენ რაღაც უნდა ვქნათ. უნდა გადავწყვიტოთ!
რა უნდა გადავწყვიტოთ, შვილო!..
ლაურას წამით სისხლი გაეყინა. ეს „შვილო“ რაღა უბედურებაა!.. – გაუელვა.
– რა და შენ ყველაფერი უნდა იცოდე, ლენა დეიდა. პატარა აღარ ხარ და, უნებურად შვებით ამოისუნთქა.
მოხუცმა ფართე თვალებით შეხედა. სადღაც გონების კუნჭულში გაცხარებით ზუზუნებდა რაღაც.
გაბოზებულა შენი რძალი იმ დასაწვავში! – ძალიან ხმამაღლა თქვა ლაურამ.
რა?.. – მართლა ვერ გაიგო ლენამ.
გაბოზებულა შენი რძალი საზღვარგარეთ! ბოზობით ნაკეთებია ეს ფული, რასაც გიგზავნის! გაიგე?
გაიგო. უფრო ძალიან აზუზუნდა გონებაში რაღაც.
იმ შენი რძლის დაქალი ჩამოვიდა უკვე. დამირეკა, შევხვდი. მომიყვა. აღარ დაელოდოსო, შენზე მითხრა. იქ ისე წახდა, აღარც ღირს მაგის აქ ჩამოსვლაო... არ გეუბნებოდი, მეცოდებოდი.
ესეც გაიგო.
ბავშვი კი ყოფილა კარგად. მაგრამ დედამისთან ურჩევნია...
ჩუმად იყო.
მითხარი რამე, ლენა დეიდა, რა კრიჭა შეკარი! კარგად ხო ხარ!.. – აღიზიანებდა მოხუცის სიჩუმე. ის კი ისევ ისე იჯდა და ყველაფერი კარგად ესმოდა.
დეგენერატი ისა!.. სულ ეგრე იციან, წავლენ და აუშვებენ აფრებს! აბა, აქ იბოზონ, თუ მაგრები არიან!.. ხო კარგად ხარ, ლენა დეიდა, წყალი ხო არ გინდა?

ჩუ... – ტუჩებზე ხელი მიაფარა უცებ, – იქნებ უყვარს?..
ეს ისე თქვა, ისე, გულწრფელად, რომ ლაურა ვეღარ მიხვდა, მას დასცინოდა თუ თავის რძალს. სამზარეულოდან წყალი გამოიტანა, თვითონაც მოსვა და მოხუცსაც მიაწოდა.
რად გინდა ეხლა ესეთი ფული, რა ჯანდაბად გინდა... შევუთვალოთ აქედან, რომ აღარ გჭირდება... მისგან რო აღარაფერი არ გჭირდება!..
ჰო, შევუთვალოთ – დაეთანხმა.
შენ არ შეგეშინდეს, ლენა დეიდა, აქ არა ვარ? იცი, ერთი კარგი ადგილი ამოვარჩიე შენთვის. აბა, ამ სახლში გამომწყვდეული როდემდე უნდა მყავდე! ხო ხედავ, მეც ვმუშაობ, სულ აქ ხომ ვერ დაგიჯდები! იქ კიდე, ისეთი კარგია... მე ვიყავი, ვნახე, თან ჩემი ძალიან ახლობელი მუშაობს, შენზე მითხრა, დედოფალივით მოვუვლიო. თან, ხალხია იქა, შენი ტოლები, უფრო მხიარულად იქნები!
გაუბედავად ეფერებოდა მხრებზე და ცდილობდა, მისი თვალები მოეხელთებინა.
ხო, ლენა დეიდა? რას იტყვი, წავიდეთ იქა?
სად... – ხმადაბლა იკითხა მოხუცმა.
იქა... კარგ სახლში. მე მოვალ ხოლმე, ცხელ საჭმელს მოგიტან, ყავას მოგიტან. შენ იქ იმდენ დაქალს გაიჩენ! მერე გამაცანი ხოლმე ისინი და ვიყოთ ასე... აქ ცოდო ხარ, ლენა დეიდა, შენ გულს გადაასკდები, მოგონებები შეგჭამენ... თან მარტო! უიმე, საშინელებაა!
ტელეფონი იქნება?
ლაურას სიცილი აუტყდა.
ალბათ კი. რა ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია. ვისთან უნდა დარეკო ხოლმე, ლენა დეიდა?
ქეთინოსთან... – თქვა და კიდევ ერთი მწიფე ცრემლი დაიგორდა ხელებზე. სულ ვეღარ გაარკვია ლაურამ, ესმოდა ეს ყველაფერი მოხუცს თუ მალავდა, რომ ესმოდა.
ჩვენებს უკვე ველაპარაკე. ყველამ მოიწონა ეს აზრი. ეხლა ოცდამეერთე საუკუნეა, ლენა დეიდა, დასაძრახი კი აღარაფერია ამაში. რა ვიცი... ნეტა ერთი, კაცმა არ იცის სადა ჯობია, აქ თუ იქ სადაც გეუბნები...
ყველაფერი უკვე მოეგვარებინა. რამდენიმე დღეში მაღალ ქუსლებზე შემდგარი და ჩანთაატატებული მოხუცი ერთ პირქუშ საავადმყოფოში ტაქსით მიიყვანეს. იქ გულისხმიერად შეხვდნენ. როგორც ჩანს, მოეწონათ. ჩააცვეს თეთრი, უხალისო პერანგი და მიუჩინეს თავისი კუთხე.
დერეფანში ბლომად პასკის ნაფხვენები ეყარა და აჟივჟივებული პაციენტებიც მხიარულად ულაწუნებდნენ წითელ კვერცხებს ერთმანეთს მოტვლეპილ თავებზე.
ყველას საქმიანი იერი ჰქონდა და დიდი ფუსფუსი იყო ატეხილი. მოხუცმა მალევე გაარკვია – ახლად დამთავრებული ომიდან სიკვდილს გადარჩენილები და დაჭრილები შინ ბრუნდებოდნენ თურმე. პაციენტები დიდ დახვედრას უწყობდნენ. ყველას ყვავილები უნდა სჭეროდა ხელში და იქამდე მდგარიყო „ლოდინის ადგილას“, სანამ ჩამოსულებს შორის თავისიანს, ნაცნობს არ აღმოაჩენდა.
ასე დაუბრუნდებოდა ყველა ერთმანეთს და არავინ აღარ იქნებოდა მარტო – ეს ჩანაფიქრის ავტორის მიზანი იყო.
ლენას საავადმყოფოში სიყვარულიც ეწვია. იქ იპოვა კაცი, რომელსაც, მისი თქმით – ათინათი ჰქონდა და ისინი ყოველ საღამოს ერთად სეირნობდნენ აკაციის ხეივანში.
ჰქონდა ტელეფონიც. ის ხშირად რეკავდა თავის ცოცხალ და გარდაცვლილ ახლობლებთან და ათას რამეს უყვებოდა.

ხანდახან ძალიან ცუდად იყო. გონების კუნჭულში გაუსაძლისად ზუზუნებდა ხოლმე რაღაც და არაფერი შველოდა. ამ დროს მთელი სხეული ეკრუნჩხებოდა და ეგონა, ახლა მაინც გაწყდებოდა ის სამაგელი, უხილავი თოკი და ახლა მაინც დააღწევდა თავს გარშემო ყველაფერს... მერე ისევ დამშვიდდებოდა, გაყუჩდებოდა და პატარ–პატარა ფიქრებით ირთობდა თავს.
ერთხელ, ერთადერთხელ ააღელვა მხოლოდ ძველი ნაცნობის გამოჩენამ. თავის პალატაში ლექსო ესტუმრა – რატის ძმაკაცი. მთვრალიც არა, უფრო – ნამთვრალევი. რაღაცნაირი, მორიდებული ჩანდა. თავდახრილი შესცქეროდა. მერე ძველებურად ხელები დაუკოცნა და მოჰყვა ლაპარაკს:
– შენ შემოგევლოს ჩემი ფერმკთალი სიცოცხლე, როგორა ხარ, ლენა დეიდაო, ეს რა აპარტამენტები მოუწყვიათ შენთვის, ამას ვიფიქრებდითო?!.. არა, ისე არა უშავს, მე უფრო საძაგლობა მეგონა... შენი ჭირიმე, ჩემო პატარა ბავშვო, ჩემო თეთრო ბავშვო, ლენა დეიდაო... ვინ იცის, იქნებ აქა სჯობია, მე ამ ცხოვრების დედაც და სუყველაფერიც... რა ნუ ვიგინები, შევიგინები კი არა, მეტსაც ვიზამ, შენ აქ ხო არავინ გიტრაკებს ან რამე... ხო კარგად გექცევიანო... მაგრად გული მტკივა, მტკივა კი არა, ლამის არის გასკდეს და გაწყალდეს, აქ რომ მეგულები, მაგრამ კაცმა არ იცის, იქნებ ესე ჯობიაო, ლენა დეიდა... იმ ლაურამ, აქ რომ მოგიყვანა, მე ამაზე ბევრი ვიფიქრე. ერთიხანი იმის დახრჩობაც კი მინდოდა კატასავით, მარა, შენ არ იცი, გარეთ რა საგიჟეთია, ეს იმასთან მოგონილია და, იქნებ ესე უფრო უკეთესი იყოს, ლენა დეიდაო... რატის სულს ვფიცავარ, ოდესმე ხომ ის ქეთინოც ჩამოვა, სულ ენით უნდა ვალოკინო რატის საფლავი, ეს რა ქნა იმ დამპალმაო... რა ნუ ვილანძღები, შენი გულის ჭირიმე, აბა რაღა დამრჩენიაო... მე ვარ რა, ძველებურად, დაკერებული შარვალივით... დიდი ცხოვრებისათვის აღარ გამოვდგები. პატარებში გავდივარო... შენი სახლი – ჰო! მოგენატრა, ლენა დეიდაო?.. ხშირად ავდივარ, ძალიან ხშირად... მე და ის ლაურა ვალაგებთ ხოლმე და... ისაო... რა, შევრიგდითო? კი რავი, მე მაგის აუტირებელი დედაცაო... არა, ცუდი ქალი არ უნდა იყოს, რას გაიგებ ქალებისასო... ჰო, ეგრე, ავდივარ ხოლმე, მივალაგებთ, მერე იმ კრესლოებში ჩავსხდებით, ავიღებთ ჭიქებს და ლუდს და ვსვამთ, ხო იცი, როგორ გვიყვარდა მე და რატის ლუდიო... როგორ მენატრები, ლენა დეიდა და, ერთი სულ მინდოდა მეკითხა, იმ შენ ოთახში კედლებზე რეები გაქვს მიწებებული. ბამბაზიის კურდღლები და ბამბუკები?.. მომწონს რომელია, კაცო, რო ვწევარ და... კი არადა, რო ვდგავარ და ვუყურებ და ეს ერთი ციცქნა რეებია ან რატოა, ვფიქრობო... ლაურას კი ვეკითხები, მარა აბა იმან რა იცის, იმან შენი ლამაზი ამბები საიდან იცისო... რატის ბავშვობის შარვლებიაო?.. რას მეუბნები, ლენა დეიდა, შენ ამოჭერი სათითაოდო?.. აუ, საღოლ,რა! აუ, რა მაგარი ხარ,ლენა დეიდა, მოდი ხელებში გაკოცოო... და, რა არის ეგა?.. სამოთხეაო?.. ჰო, მეც არა ვთქვი, რათ მიყვარს შენი სახლი, სამოთხე არა ყოფილა შიგაო, სამოთხე... ლენა დეიდა, შენ რა იცი, ეგ რა არისო!.. ეჰ, სადმე მეც რომ ჩემი სამოთხე გამომაჭრევინა და მერე თუ გინდა მეც აქ მოვხვედრილიყავიო...
აბა, წავედი ეხლა ლენა დეიდა და, რატის სულს გაფიცებ, თუ ვინმე გაბრაზებს ან გიყვირის, ან რამე, მითხარი და დედას ვუტირებო... წავედი აბა და დარდი არ გქონდეს... ჰო, ჩემი დარდიო...
ეს ერთადერთხელ იყო. მეორე დღეს ლენამ და მისმა რამდენიმე მეგობარმა საჩვენებელი ფრენის დროს ახალ პლანეტაზე გადაინაცვლეს.

გიგი ცირეკიძე

სევდიანი ისტორია

ეძღვნება ავთოს და პაატას

ვსევლოდ კარიფაევი პრემიერისთვის ემზადება.
ამ დროს ქალაქის მეორე მხარეს პატაში იბნ ამერჰან სირბირი ტერორისტულ აქტს გეგმავს და ბომბს ამზადებს.
ბომბის დამზადება პატაშიმ ბავშობაში ბაბუისგან, დიდი პატაში იბნ ამერჰანისგან ისწავლა, დიდი ნიჭი გამოამჟღავნა მაშინ ამ საქმეში პატარა პატაშიმ.
ბაბუას სიამაყისგან თვალები აენთებოდა და თავის მეგობრებთან, თრიაქის მოწევისას, შვილიშვილის მიღწევებით ტრაბახობდა.
ვსევლოდი პატარაობისას ფიზიკურად სუსტი იყო და ამიტომ თანატოლებთან თამაშს კინოს ყურებას ამჯობინებდა.
მსახიობი სურდა ვსევლოდს გამოსულიყო, მაგრამ ნიჭი და პატრონი არ ეყო ამისთვის.
პირველი ბომბი პატაშიმ 6 წლისამ გააკეთა.
ისეთი განსაკუთრებული არაფერი, მარტივი კონსტრუქციის ბომბი იყო.
ორად ორი კატა მოკლა მხოლოდ.
პატარა ვსევლოდის დაბადების დღეზე მამამ კინოკამერა აჩუქა.
დარბოდა ვსევლოდი და ეზოში ყველაფერს იღებდა.
გადაბმული ძაღლების და სამფეხა კატის კინო გადაიღო.
საინტერესო კინო იყო: ძაღლები გადაბმულები არიან (ვსევლოდიმ ჯერ არ იცის რატომ, პატარაა) დარბიან აქეთ იქით, უეცრად სანაგვე ბუნკერიდან გაქუცული, გასაცოდავებული, სამფეხა კატა ამოხტა, ძაღლებს მის დანახვაზე ძაღლობა გაახსენდათ და კატას გამოეკიდნენ, ფისოც გაიქცა.
სევდიანი ისტორია გამოვიდა, მაგრამ უსცენარო.
სცენარი ვსევლოდმა კინოს ნახვის შემდეგ დაწერა.
პატაში სკოლაში დადის უკვე. ნიჭიერი მოწაფეა, ყველაზე მეტად ქიმიის გაკვეთილი უყვარს, აკვირვებს მასწავლებელს ქიმიის კარგი ცოდნით.
ერთხელ პატაშის დილას სკოლასთან ცუდი ბიჭები დახვდნენ და სადილის ფული წაართვეს.
იტირა პატაშიმ.
ისევ დიდი სიამაყით ყვება დიდი პატაში იბნ ამერჰან სირბირი მოხუცებში თავისი შვილიშვილის წარმატებების ამბავს.
რაიონის მუნიციპალიტეტი სკოლის ახალ შენობას აშენებას აპირებს მათ უბანში.
ძველი დაინგრა.

სკოლის დამთავრება, მოთხრობების წიგნის დასასტამბი ფულის ჩუქებით აღუნიშნა ვსევლოდს, მამამ.
წიგნიც გამოვიდა: „სევდიანი ისტორიები“
წიგნის გარეკანზე ახლგაზრდა ვსევლოდის სურათი იყო გამოსახული.
პატაშის სკოლა არ დაუმთავრებია, იმიტომ რომ აღარ ააშენეს სკოლა მის უბანში, სხვაგან წასვლის სახსრები კი მას არ გააჩნდა.
ვიდრე სკოლაში დადიოდა პატაშიმ კითხვა და ქიმია ისწავლა. პირველი და ბოლო წიგნი რომელიც მან წაიკითხა „სევდიანი ისტორიები“ იყო. ქიმია. პატაში უკვე სერიოზულ შეკვეთებს ღებულობდა და ზოგ-ზოგიერთისთვის არასასურველ ხალხს უმტკივნეულოდ აშორებდა ამ მიწას.
ვსევლოდმა თავისი ბავშობის ნატვრა აისრულა და კინო ინდუსტრიაში ჩაება.
ვსევლოდი ცნობილი სცენარისტი გახდა.
მისი სცენარით გადაღებლი ფილმები ჰიტები იყო და ბევრი ფული მოჰქონდა.
პატაშის მოღვაწეობა უკვე მარტო კერძო შეკვეთებით არ შემოიფარგლებოდა.

ის უკვე დამოუკიდებლად მოქმედებას მიეჩვია და ლუდის ქარხანა ააფეთქა.
მსხვერპლი ბევრი ადამიანი იყო (ძირითადად ქარხანასთან გამვლელი ხალხი).
ბაბუა უკვე ვეღარ ამაყობს თავისი შვილიშვილის მიღწევებით.
მოკვდა ბაბუა, დიდი პატაში იბნ ამერჰან სირბირი.
ახალი ფილმის პრემიერაა ვსევლოდის მშობლიურ ქალაქში.
ამ ფილმის რეჟისორიც და სცენარისტიც თვითონაა და ამიტომ საგულდაგულოდ ემზადება და ნერვიულობს ვსევლოდი.
მთელი ელიტა აქაა და ელოდება ფილმის დაწყებას.
მუხლები უკანკალებს ვსევლოდს.
პატაში გახარებულია, ასეთი შემთხვევა მას ალბათ არც მიეცემა, ვიღაც ცნობილი რეჟისორის ფილმის პრემიერაა, რომლის დასასწრებადაც ნაღები საზოგადოებაა ჩამოსული.
არა, ასეთი შანსის გაშვება არ შეიძლება.
საგულდაგულოდ ამზადებს ბომბს პატაში.
ვსევლოდი საპატიო ექსკორტის თანხმლებით კინოთეატრის შესასვლელს უახლოვდება, უეცრად ხალხს ვიღაც კაცი ისტერიკული ყვირილით არღვევს, ვსველოდმა უკან იხედება და ხედავს დაახლოებით მისი ხნის მამაკაცი სევდიანი თვალებით, ბომბით ხელში მისკენ მორბის…
პატაში ყურადღებით ათვალიერებს ახმაურებულ ბრბოს, მომენტს ელოდება როცა ბომბის აფეთქებას შეძლებს.
აი დიდი ლიმუზინიც ჩერდება.
მანქანიდან დაახლოებით მისი ხნის მამაკაცი გადმოდის სევდიანი თვალებით.
პატაში მიხვდა, რომ ესაა ყველაზე მთავარი ფიგურა აქ და მომენტიც დადგა.
გამშვები მექანიზმი მოქმედებაში მოყავს პატაშის და ყვირილით ამ კაცისკენ გარბის…
უკვე ელოდება ვსევლოდი როდის დატოვებს მისი სული ხორცს, შიშის გრძნობაც კი არ უჩნდება.

უეცრად ბობმიანი მამაკაცი ჩერდება და ყურადღებით აკვირდება მას, შემდეგ უკან ბრუნდება და ბრბოში იკარგება.
ვერავინ ვერ მიხვდა რა მოხდა, ყველა გაკვირვებულია, დაცვამ ბომბი ვერ შეამჩნია და ამიტომ რეაგირებაც კი ვერ მოახდინა.
ვსევლოდი გაკვირვებულია, თითქოსდა უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი და ამ დროს არაფერიც არ მოხდა.
ისიც ვერ მიხვდა რატომ არ გააკეთა იმ კაცმა თავისი გასაკეთებელი.
პატაში რატომღაც შეჩერდა და ამ კაცს აკვირდება და უეცრად საშინელი ეჭვი უჩნდება: „ეს ხომ ის არის „სევდიანი ისტორიების“ ავტორი, არა არ შეიძლება ამ კაცის მოკვლა.
უნდა გავიქცე სწრაფად სანამ ვინმე რამეს მიმხვდარა“.
პატაში გაიქცა, ბრბოში ჩაიკარგა და თან სინანულის გრძნობაც გაჰყვა „რა შანსი არ გამოვიყენე“.
ვსევლოდმა ეს ფაქტი ღვთიურ ნიშნად მიიღო და ამის შემდეგ კინოს და კინოინდუსტრიას არ გაჰკარებია.
ვსევლოდ კარიფაევი ნამდვილი მწერალი გახდა.
ისევ აგრძელებს პატაში იბნ ამერჰან სირბირი თავის გზას და უმტკივნეულოდ ბოლოს უღებს ზოგ-ზოგიერთისთვის არასასურველ ადამიანებს და შენობებს.
ბოლოს სანაყინე ააფეთქა პატაშიმ!

ადარნასე

ვლასა კორიფაძე

თვალი გავახილე. ნელი, ნელი ხმით ვთქვი: „წყალი“. მწყუროდა. იქვე იდგა წყალი, მაგრამ მარჯვენა მკლავი აღარ მქონდა თითქოს. მთელი ღამე მესიზმრებოდა: უხვად იღვრებოდა ქარაფებიდან წყალი. მაინც არავის მოჰქონდა იგი. „წყალი“ – დავიძახე უძლური ხმით, მაგრამ დედამაც არ მომიტანა წყალი…
ტელეფონმა დარეკა. დიდხანს, დიდხანს რეკა, მერე ჩაიქნია ხელი. თავი შევაბრუნე ბალიშზე, მაინც არ იკლო ტკივილმა…
ისევ დარეკა ტელეფონმა. როგორც იქნა მივწვდი, დავხედე ეკრანს. პაატაა.
– პაატას გაუმარჯოს, –ამოვიკვნესე.
– როგორ ხარ, ად? – ამოიგმინა.
– უმოწყალო პახმელიაზე, შენ?
– ცალ თვალში ვიხედები 10 პროცენტით.
– მეორეში?
– სულ ვერა.
– ეუჰ, რა ვქნათ?
– 15 წუთში გამოგივლი, სანაპიროზე გავიდეთ, ლუდი და თევზი ავიღოთ და დავჯდეთ სადმე.
– რო ვერ ვდგები? ახლა რამე წამალი თუ არ დავლიე, მოვკვდები…
– ახურებ, ლუდია მაგის წამალი. მერე თან ჩებაკსაც რომ გაგლიჯავ, იფ, იფ, როგორია?
– გლიჯავს.
– მერე? მოდიხარ?
– თავს ვერ ვწევ, ისე ვარ.
– კაი, აბა, სხვას დავურეკავ… შენ წამალი დალიე.
– მოიცა! 15 წუთში ჩამოვალ.
– მიდი.
ორშაბათი დღე გათენდა.
ლუდი და თევზი ავიღეთ და ვზივართ მანქანაში.
– სად გავიდეთ?
– ლექსოს დავურეკოთ და მაგასთან ოფისში.
– კაია, დაურეკე.
– …ქრისტე აღსდგა!.. ლექსოს გაუ!.. რას შობი, რაფერ ხარ?.. კაი, რა დროს მუშაობაა?! მე და პაატა ვართ… აჰა! ოქეი, შეგეხმიანებით… ოქეი… კაი, შენ გადმორეკე…
– რაო?
– ვიღაცას ველოდებიო… თუ დროზე მოვაგვარე საქმე, გადმოგირეკავთო.
– მდაა.
– მდა.

– აბა რა ვქნათ? ეგ როდის მოაგვარებს… „მეგრელებში“ არ შეგვატანინებენ თევზს?
– პრობლემა არაა… მაგრამ ლუდსაც ხო არ შევიტანთ?!
– ხო… არა…
– თანაც დღეს ეგენი არ იმუშავებენ, რაიონებში იქნებიან გასულები, სასაფლაოზე.
– მართალია… ამის დედა ვატირე, აქაც რომ კაციშვილი არ დგას არ კაიფობ?! ვინმე მაინც იდგეს. ორი კაციც რომ იყოს, მეც თუ არ დავმდგარიყავი!.. სადაა ეს ხალხი…
– სადაა და კარგად იცი სადაცაა… ისე, ჩვენც იქ ხო არ გავსულიყავით? აა?
– სად იქ?
ერთმანეთს გადავხედეთ და გადავიხარხარეთ.
– წავედით!
– რომელში? – დაქოქა მანქანა პაატამ.
– რომელიც უფრო ახლოა.
– არა, რომელიც უფრო ძველია!
– მართალია!
საფლავებს შორის მივიკვლევთ გზას. ხალხმრავლობაა.
– ახლა სადმე ძველი, უპატრონო საფლავი უნდა მოვძებნოთ.
– კი, მიტოვებული… მადლია…
– ნამდვილად.
– ბალახგადავლილი… უსურათო, რაც შეიძლება უპრეტენზიო და უბრალო საფლავი…
– კი, ჩვენი სუფრა რომ არ ითაკილოს…
ვიარეთ.
– აგერ, შეუღობავი, მოუვლელი, ძველი ჩანს, რაც მთავარია, ახლომახლო არავინაა…
– ეს იყოს!
– ეგ არის!

„ვლასა კორიფაძე
1911-1987“

– წავა… თუმცა არც ისე ძველია…
გავშალეთ და შევუდექით…
– კარგი კაცი იყო ბაბუაჩემი ვლასა კორიფაძე. – დაიწყო პაატამ. უბატონოდ ბავშვებსაც კი არ გაგვცემდა ხმას. წელი არ გავა აქ რომ არ ამოვიდე აღდგომას და ლუდი და თებზი არ ამოვუტანო. ძალიან უყვარდა საწყალს. მე მეტი რა პატივისცემა შემიძლია…
– სადაური ბაბუაშენი ვლასა იყო. – გავაპროტესტე მე. – ჩვენი მეზობელი იყო, ძველი თბილისელი… კომპოზიტორი კი არა და ელექტრიკი, ალალმართალი, ხელოსანი კაცი. ცოლ-შვილი არ ჰყავდა, საცოდავს, არც ნათესავი, მეზობლებმა დავმარხეთ ბოლოს სამადლოდ. ასე სკრომნად, როგორც შევძელით… ბინა კი მთავრობამ წაიღო…
– ელექტრიკი კი არა, ჩვენი სკოლის მასწავლებელი იყო. ძალიან მკაცრი, თოფივით გვეშინოდა ბავშვებს, მაგრამ რიდი გვქონდა და პატივისცემა…
– ო, კაია. ისტორიას გვასწავლიდა. მაგან შემაყვარა საქართველოს ისტორია… ადარნასე პირველი, რამე…

– არა! რა ისტორიას, მათემატიკას გვასწავლიდა!.. ხო, გუშინდელივით მახსოვს, ერთხელ ორიანი დამიწერა, ისაო, რა ქვია… გაკვეთილი რატომ არ იციო… ეჰ, მაშინ რას წარმოიდგენდა, რომ გავიზრდებოდი და ბულის ალგებრაზე დავწერდი, მოთხრობას…
– ეჰ, აცხონოს… დავლიოთ, დავლიოთ… მაგრამ რა დავლიოთ, არაყი მაინც წამოგველო.
– აბაა, თან მარტო ლუდსაც ვეღარ გამოვყავარ ამ ბოლო დროს, ხო იცი.
– ვლასას არც ეწყინება, ლუდით თუ დავლევთ. ძველი კაცია, ადრე სვამდნენ ლუდით სადღეგრძელოებს, ჩვეულებრივად. ეს მერე შეიცვალა ტრადიცია, წყლის გარევა რომ დაიწყეს ლუდში, წყლით ხომ არ ადღეგრძელებდი კაცს…
– სანაპიროზე უყვარდა ხოლმე ლუდის დალევა… რამდენჯერ მინახავს, ვიტალასთან ერთად…
– აბა ვიტალა?
– ჩვენი ზავხოზი.
– კი, კაია…
– გაიანე გახსოვს, გაიანე? მაგის შვილიშვილი. აუ, რა გოგო იყო! შავი იყო მაგრამ თეთრს ჯობდა!
– როგორ არ მახსოვს, შენ რომ ეარშიყებოდი. ის კიდე მე მიჟუჟუნებდა თვალებს…
– ეხ, რა გულუბრყვილო ხარ! შენ თავს როგორ არჩევდა ჩემს მწვანე თვალებს. დაგავიწყდა, რამდენი უტრიალე და არ გამოგივიდა არაფერი.
– შენ გამოგივიდა?
– ჰმ, აბიჟაეშ ნაჩალნიკ!
– მიდიი…
– ვლასა მასწავლებელო, სიკვდილის მერეც სიკეთეს მთესველო, გაჭირვებულის და გზააბნეულის ხელის მომმართავო…
– შენ სიცოცხლეშიც არ ჰგავდი სხვა მკვდრებს… კვერცხი რომ უნდა უგორო მთელი ცხოვრება… და მერეც…
– კვერცხი მაინც წამოგველო.
– აბაა… თევზი ხოა ქვირითიანი.
– კია…
– ლექსო რეკავს! ჰო, ლექსო… სად ვართ და ვლასა მასწავლებლის საფლავზე ვართ… უშენოდ, კი, შენ არ გეცალა და… უნდა გამოხვიდე, აბა რა უნდა ქნა! ხომ იცი, შენ განსაკუთრებულად უყვარდი ვლასას… აქ ვართ, მოკლედ… არაყი წამოიყოლე!.. ჰო, გელოდებით აბა…
– ლექსო უყვარდა ძალიან ვლასას. მაგის საყვარელი მოსწავლე იყო. გაკვეთილი იცოდა, არ იცოდა, ხუთიანს უწერდა მაინც! ვა! ნეტა რატო?
– კაი, კაი, მორჩი ახლა, ვიღაცეები მოდიან და დაგვერხა მგონი.
– დაიკიდე, რაღა აქ მოვლენ…
შუახნის ცოლ-ქმარი, ერთიც ახალგაზრდა, შავგვრემანი ქალი, ბავშვიანი. ოჯახი, მოკლედ, კორიფაძეების. მოსულან, მოგვჩერებიან (რატომ აქვს ამ ბავშვს მწვანე თვალები!).
– მოიცა, სად გარბიხარ!..
– წავედით, სანამ დროა…

– მობრძანდით, ქალბატონო… ჩვენ მივდივართ უკვე… ამას ავიღებთ… არაა ნაგავი, ჩებაკია… ავალაგებთ, ქალბატონო, უკაცრავად…
უკან აღარ მიგვიხედავს. წყევლა და ქოქოლა გამოგვაყოლეს…
– გატანჯული ვყავდით ბავშვები.
– მაგან შემაჯავრა მათემატიკა…
საფლავებს შორის მივიკვლევთ გზას.

„ერისტო სულაკაძე
1892-1969“
– იყოს ეს.
– ეგაა…

ნატა ვარადა

ბაყია და ქანქილოზა

ფამფილაურ-ჩიხრიხაანები

„მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმნან.
(ლუკა.23.34)

ფამფილაურებში გზა ჭანჭყრობია.
აქეთ ფეხით გავლას ყველა ერიდება. კალოში ტალახში რჩება, უარეს შემთხვევაში – ფეხიც, მაგრამ ჩიხრიხაანები** არ ეპუებიან. აქ, ამათი სალოცავი, უშველებელი წიფხი თუთის ხე დგას და მის თვალშესავლებად აბა, რა შაო და ხარიენა შეაშინებთ.
„ქურმუხ“ – ადრე სურვილის სწრაფშესმენისათვის უშობელს, ყვინჩილას და ერთხელ ნაკრუხალ დედალს მოითხოვდა. რა ხანი გამოხდა, ერთი ცალი კანფეტი „ჩინო“ და კევი „ტურბო“, ყველაზე ტურტ ოცნებასაც აყაბულებდა.
– ე, აი, გამიქრობ ამ გრუზა თმიდან, ლამის ნეკა თითის ტოლა ტილებსა?! გამიქრე, რა. ხო, შეგიძლია და მიდი, რა.. რა არი, რო, მაწვალებ, ჰა? – ჩასძახებდა ხაპიაანთ თორმეტი წლის წითური გოგო. მეტოქე, რომ ჰყავდა, პოლორჭიკა. აი, ის, მუცლისთმიანი რომ დაუტოვებია ფეხობას და ტილი რაა, წილის არ უჩერდებოდა თავზე.
– ქურმუხ!
ბარო! აჰაა, ეგე, შენა „დონალდო“. ხირმიხიტოოანთ ჩხოტა გოგო,ი შააგნებინე რა, რო, ჩემნაირი მეჯირითე მთელ ჩიხრიხიაანებში, არაა, მარტო,ი, მე და შნილა ვართ.
შრიალებდა წიფხა ქურმუხა და ჩიფჩიფებდა შორიახლოს, მიწისპირა ბინაში მცხოვრები, მზესუმზირის გამყიდველი ჩარექა. მზესუმზირას ხო მუდმივად შმორის სუნი დაკრავდა და გემოც რაღაცნაირი, მიმწვრისა ჰქონდა. იცოდნენ, ლეღვის ფოთლების ბოლზე ხალავდა, სხვა არც არაფერი. ჩარექა ცალობით ყიდდა ჩინოს, დონალდოს, ტურბოს.. ასევე, ცალობით ყიდულობდნენ, ხაპიაანთ წრიპა გოგო, ჩიხრიხაანთ შნილა და ხანდახან – ჩხოტა გოგოც და პოლორჭიკაც. ჩარექასი რა მიდიოდა?!

* * *

ბაყიას მეზობელია ქანქილოზა და ქანქილოზასი – ბაყია. სახლები გვერდიგვერდ დგას, თვითონ, ისერა მეზობლობენ ერთმანეთთან. ბაყიას, ერთადერთი ვაჟი ქალაქმა გადასარყა. დედა, რა სახსენებელმა კიბომ გადაშროშნა, ცოლი – უხსოვარ დროს გაიხაპა ახლომახლო ტუპკირ კაცებში. სხვა რაღა დარჩენოდა ბაყიას ადგა და სმა დაიწყო. იმდენად შეიყოლია ქვევრის მადლმა, სანამ წყევლად არ ექცა და ისეთი მსმელი გახდა – პირწავარდნილი განიადაგებული ლოთი. რა შავქვად ვიხლიო, რომელ თავშიო; – თვით ირონია შერჩენილმა თქვა ოჯახის ქონებაზე, ნელ-ნელა რომ ყიდვა დაუწყო. ბევრი

ნივთიც ეზოდან თავისით ქრებოდა. ასე სულ გაანიავა, შეჭამა. წიკა-მაკა ნივთებიდან ყაპა-ყუპაზე გადავიდა, ბოლოსკი, ბაღ-ბოსტანის ჯერმაც უწია. ღიჭიაანთ ჩეკას, იმდენი ხანი, თვალი ეჭირა – ეზო-კარმა სუულ დააბრმავა მოხუცი. მეტიც, იმაზე ძვირი გადაუხადა, ვიდრე ის მიწა ღირდა. „ერთი ადლი არ მინდა შენი მუქთადაო; – იღმაჭებოდა უშნოდ, ისედაც უმსგავსი ბრმა. ღამე ბაყიამ ამ თეთრებად ჩახურდავებულ მიწას თვლა ვეღარ უყო. ერეოდა და ამთავრებდა. სვამდა. იწყებდა, ერეოდა ამთავრებდა სვამდა. სვამდა ერეოდა ამთავრებდა. დაბოლოს, მარტო სვამდა.
მთვარე ჟანგიან მთას რომ გამოედო, ქანქილოზაც შემოიძურწა. თავის ჩრდილს შემოყვა, სხვა არც არავინ შემოჰყოლია.
– ბაყიაო, ბაყიაო. ფულმა უნდა მოგვიღოს ბოლო,ო? ფული აქეთ უნდა იხმარო და ეგ პატრონმკვდარია ეგაო. ჯანი გავარდეს მაგასაო.
– ამი დედაც ვატირე, ჩამაასხიო; – გაბეცდა ბაყია და ჩამაასხა ქანქილოზამაც: „ერთი კარგი საქმე წამოვიწყე, – გული გადაუშალა მეზობელს – ჩემ ძმობილ ლეკ რობიზონა მკალავსა, ღუშაყში რო ცხოვრობს, სპილენძი უნდა გადავუზიდო. ის დაღესტანში წაიღებს. სპილენძიით ააქთ ამ ოხრიშვილებ ეზოები გამოტენილი. ხელი უნდა გამიმართოო. მჭირდება. მაიტა და ერთ თვეში დაგიბრუნებო; – პასუხს არ მოუცადა, ჩაიჭყუნა ფული გაზინტლულ შარვლის უბეში, კრა ფეხი კარს და თავის ამოზიდულში თავჩარგულ ბაყიას „ფუ, შენი მამგონისაცო“; – დააძახა, ღობესაც მერეღა თუ გადაევლო. ალბათ.
დილაა და ბაყია ქანქილოზას ბირჟაზე არ დახვდა? ენგრე და ენგრეო, მაშა, კაცო; – ბაქი-ბუქობს კაცებში ჩამდგარი. ბრმა ჩეკაც იქ ზის, თავს აკანტურებს. ქანქილოზამ იგუმანა და თქვა: სიტყვა სიტყვააო. ერთ თვეში კაპი-კაპიკ უბეშ ბეშ კაპიკადო. ხორცს გადმოვიტან ლეკებისგან, გავყიდი და დაგიბრუნებო. დაიჯერეს. დაღესტანი ამის დოსტებით სავსეა. იქედან, მკვდარ მაკე ცხენებს აზიდინებენ და ქანქილოზაც ფამფილაურებში გროშის ფასად ყიდის.
– დეკეულია, უშობელა. ფული დაჭირებია ამი პატრონ, თორეე დასაკლავად რაჰ გაიმეტებდაო. ხალხი ქესეტად არი და მეც იაფად ვყიდიო, აბა, სულს ხო არ ამოვხდიო – მეყასბეობდა კაცი.

* * *

ერთი თვე როგორც ტყვია თვალსა და ხელს შუა გავარდა. გადასარყული ბიჭი ქალაქმა უკან ამოუშვა და ბაყიას სახლში დააბრუნა. არყო ნამეტანი გაქალაქებულიყო, გაცვეთილიყო, წამხდარიყო. თუმცა, მამის ნამუსის ქუდმა კი შეაკრთო.
– რამ გაგალოთა?
დაუკეტა მარანი.
– მიყურე შენ მე, გამოგასწორო როგორო.
მიადგა ბაყია ქანქილოზას და უთხრა: ღვინოზე მეტად დღეს შენ მჭირდებიო. – არყომ თუ გაიგო, ეზო-კარი ჩეკასია, მარან იქეთ დამატოვებინებს და ჩამაცეცხლეო..
წახდა ქანქილოზა.

იქანქილოზა და ბაყიას თავის მარანში შეუძღვა. შარანი ღვინის ნაცვლად დაძმარებული შეაძლია, – დალევ და ღმერთად ქცევა ერთიაო; – უცინის. დედას პურად თავმომხმარი წიწაკის მწნილი მოაჩვენა. რა, მე შენ გეტყვი და ვითომ გაუჭირდებოდა თუ?!
ასე შეიჩვია და დაიძმობილა.
სხვა გზა აღარ დარჩა არც ერთს, ერთმანეთის გარდა.

* * *

დღეობაა. თევდოროზა ღუშაყში.
ცხენიტაჭკით ხირმიხიტობს ქანქილოზა. ქუდი გვერდზე დაუხურავს და გვერდით ბაყია მოუსვამს. ბაყიაც ჩიხრიხინობს, თავისთვის, რაღაცას. შენ, ბიჭო, ანაგურელოო. მზე ადგას ალაზანს. არწევს.
ხალხი, ზოგი ფეხით, ზოგი ტაჭკით ბოგირზედ კი მიიჩქარის. რა თქმა უნდა, დღეობაში.
ჭიდაობას უყურებენ, თვალს წყალს დაალევინებენ, ლატარიას დააბზრიალებენ, მამალოებს გაკვნეტენ.
მერე მკალავი ლეკი, აქეთ-იქით გამოიდებს ამათ, ფამფილაურებს და გააჩაღებენ პურ-მარილსაც.

* * *

შესაღამოვდა თუ არა და წვიმამაც დასცხო. ცამ პირი შეკრა ეშმაკთან. ითქეშა.
– მოუდიდდება ალაზანს კალაპოტი, მოერღვევაო. მოვარდებაო დიდი ტალახიანი წყალი, დარჩითო, ამაღამ აქ გაათენეთ, დილას წადითო.
ქანქილოზამ დროაო და ჩემი ცხენტაჭკაო. მომენტი ხელში ჩამმვარდნიაო. ადრენალინმა შეასხა და მოკიდა ბაყიას კისერში ხელი და ჰერიიიი, შეაგდო თივის ზვინივით ტაჭკაზე, თვითონაც წამწამდახამხამებაში მოექცა ზემოდან და აუხირდა რობიზონას, თან თვალიც უყო: – შარი გამოგლევიაო – იბრუნა მასპინძელმა პირი.
ღუშაყს ჩაცდნენ, მოზღვავებულ მდინარეში შეაგდო ცხენი და დაფრთხა ცხოველი. ქანქილოზამ იმარჯვა. გადმოხტომა ძლივს მოასწრო, თორემმ..
წაიღო, ჩაყლაპა ცხენი ალაზანმა..
ამოდის კალაპოტიდან ქანქილოზა, ამოიზლაზნება და ამბობს:
– ბაყიაო, ბაყიაო, ბიჭოს, რა დაგმართნიაო.
– ქანქილოზავ, ჩემი ვალი ჯოჯოხეთშიც გმართიაო.
ამ ჩაგუბებულმა ხმამ კი სულ ერთი წამით შეაზანზარა ქანზილოზა.
ფალაფოშად ჩაეკეცა ფეხი.
გაუთეთრდა პირი-სახე.
მოექცა ღრანჭი.
გამთენიისას, ფამფილაურებში მაინც რა იცი, რა ხდება, თავში ხელების ცემით და ვაი-უშველებელის ძახილით კი შევარდა.
„გამტაცაო, გამტაცაო ბაყია ალაზანმა. წაიღო ჩვენი ჭირიო. დაიჩემა ამ უბედურმა. არყო არ გამიფრთხილებია, ღამეს აქ ვერაფრით დავრჩებიო. ვუშალე არ დაიშალა. ვუშალე, არა და არაო. წერა იყო, რა იყო. თავის წერამ დაღუპა. ცხენი კი მყავდა ერთგულიო..“

სულ გაფაფხაჭელდა მთელი კვირა ფამფილაურებში ამინდი. კვირა დილას კი აიკრა არყომ გუდა-ნაბადი, გამოკეტა სახლი და ხელმეორედ გადაისარყა.
დასჩემდა ქანქილოზას ბაყია სიზმრებში. მოსვენება დაუკარგა, ძილ-ღვიძილი გაუერთიანა. თვალი ვეღარ მოუხუჭავს, წათვლემს და აიიი, დედასა: არ მოჭენაობს მაკე ცხენებზე ამხედრებული ბაყია? ფაფარაშლილ ფაშატებს კვიცები გამოვარდნაზე ჰყავთ, დასჭყივის ბაყია და სადაცაა, ქურმუხთან თავმოყრილ ფამფლილაურებს, ქანქილოზასკენ და ჩარექას მიწურისკენ ხელით უნდა მიანიშნოს და.. ეღვიძება ოფლში გახვითქულს.
– ქანქილოზავ, ქანქილოზავ.. კაცოოო, – გალავანს ღიჭი მოადგა.
– რაო? თალათინას ხმაა? არა! ომის 50-წლისთავი ამასწინებზე ვიზეიმე, ყური მატყუებს, გადის ვერანდაზე და თან ფეხი უკან უცდება.
– გამგებელმა მესაფლავედო. გაიგევი? – გაღიჭდა მეზობელიც.
– ჰოო, ჰოოო.
ბაყიას ოინებიაო.
მოეშვა ქანქი.

* * *

სასაფლაო ქალამნად ექცა და ყვავ-ყორანი ქუდად.
თიბა და თიბა ბალახი, ააწიოკა გველ-ბუდანი.ზიდა თივა და სააღდგომო კვერცხ-პასკა, შინ. დანაყრდა, მაგრამ მივაა, ნამგლით მივაა.. ჩათიბავს ბაყიასაც, უბრალო ქვას გადაურბენს მწვანე ბოღმეჭა ხვლიკი და აჰააა, ხმა სილანგიც ჩაუდგება ყურში:
– ქანქილოზავ, სად მიხვალო,
ნამგლითა და ცელითაო.
ეგრე კარგად მამიარე
ნუ გადახვალ პირობასო!
დაფრთხება გადავარდება ჩაჯდება ქანქილოზა. გულამოვარდნილია. მერე, ფეხებში სისველესაც გრძნობს. იფსავს კაცი, თუ რა არის?! მერე და მერე, კიდეც ჩაეხუტება საფლავის ქვას და აკურცხალდება:
– მაჯობეო, ბაყიავ.
დამიყენე დარაჯად.
და ამ თიბვა-თიბვაში
შენს ვალსაც კი დავფარავ!
რა ეშაირებოდათ, მაგრამ ჟამი იყო, დღეს ღამესგან ვერ გაყრიდი.

* * *

მზის ჩასვლის მერე, შებინდებისას ფამფილაურებში გავლას, დიდიც ერიდება და პატარაც. ასეა და ასე იყო, ათადან ბაბადან მოყოლებული. სინათლეზე კიდევ წაგცდება ფეხი: მოკლეზეო, გადარბენითაო, პირჯვრის წერითაო, მაგრამ აიი, ღამეე…
აკრძალულია.

ტკბილი და იდუმალი, მაგრამ აკრძალული.
გამოდის თურმე ცხენიანი კაცი, ჩაეფლობა წელამდე ტალახში და წიფხა თუთის ხესთან აანთებს სანთლებს. აანთებს ჩააქრობს. აანთებს და ჩააქრობს.
– რამ აგაშენა შენა, ქურმუხო დიდოოო!. რამ ამოგიყვანა და გაგზარდა წმინდებზეო, ტალახი რომ ვერ ამომშრალა ხეირიანადო.
იქვე, შორი ახლოს, ნანგრევებიდან გამოყოფს, გამოიწვდის გამხმარ ხელებს ოთხადმოკეცილი დედაბერი და დაჩიფჩიფებს:
– ქურმუხ, მევალეს ვალი გადაახდევინე ქურმუხ, შეუნდე ყველა მპარავსა. დაგვასვენე, ქურმუხ!
წასულა თალათინა ომში და ხშირ-ხშირადაც აუტალახებია ჩარექას ბინა, შუაღამეს, წმინდებზე მიმავალ ქანქილოზას.
დარჩენილა თალათინა ომში.

……
აქ: ჩიხრიხა – ქვევრის საწმენს გრძელ ჭოკს ჰქვია, მგონი! სხვა ამგვარი სიტყვები სადაც შეგხვდეთ, გააგრძელეთ კითხვა და რა მნიშვნელობა და აზრიც თავში მოგივათ ჩათვალეთ რომ სწორია..

2007 წლის.
12 სექტემბერი.
სამსახური.
5:47

ხათუნა თავდგირიძე

დონ მანუელი და ოქროს თევზი

ერთხელ ოქროს თევზმა და დონ მანუელმა ადგილები გაცვალეს.
როცა მანუელმა ციცქნა და დახავსებულ აკვარიუმში ამოჰყო თავი, თავდაპირველად არც დაიჯერა. თავისი უცნაური მდგომარეობა, ჯერ ხანგრძლივი ლოთობის შემდგომ პახმელიას მიაწერა, მერე კი, იფიქრა, „ყველაფერი ჩემი ალ-ქაჯი ცოლის ბრალია, ყოველ დილით, რომ სახლიდან ვრცელი პათეტიკური წყევლით მისტუმრებს, „სასმელში დამხრჩვალი მენახეო“, ვგონებ, სრულად ციტირება არც არის საჭირო, აკვარიუმში კი არადა, ადვილი შესაძლებელი იყო „მარიამის ღრმულშიც“ ამომეყო თავი. აჰა, აღსრულდა კიდეც მისი სიტყვები, ვიხრჩვები! ვიხრჩვები და ეგ არი!“
მაგრამ არა, მანუელი სულაც არ იხრჩობოდა. პირიქით, დამყაყებული წყლით სავსე ახალ სამკვიდროში თითქოს უკეთესადაც სუნთქავდა. ამ მხრივ, თავს საუცხოოდ გძნობდა. ზუსტად ისე, როგორც თევზი წყალში. დიახ, როგორც თევზი წყალში! უბრალოდ, მოულოდნელი ცვლილებით გამოწვეული უხერხულობისა და დაბნეულობის განცდა უნდა დაეძლია.
თუ მისი ფსიქიკური მდგომარეობით ვიმსჯელებთ, ის მზად არ აღმოჩნდა ამ უცაბედი მეტამორფოზისთვის. როცა არსებული ვითარება ნაწილობრივ გააცნობიერა, ანუ დარწმუნდა, რომ ნამდვილად წყლით სავსე აკვარიუმში იჯდა, შეეცადა კეფა მოეფხანა. ჩვევად ჰქონდა, მნიშვნელოვანი აღმოჩენების მიჯნაზე კეფაზე ხელის შევლება, მაგრამ ხელი რომ ვერ გაანძრია და თავისი გაბანჯგვლული სხეულის ნაცვლად, ქერცლიანი ლაყუჩები შეუცანცარდა, შიშისგან გული კინაღამ გაუსკდა. მიხვდა, ყველაფერი იმაზე გაცილებით რთულად იყო, ვიდრე წარმოედგინა. არ ვიცით, იქნებ, დონ მანუელი იმედოვნებდა, რომ აკვარიუმში თევზის კი არა, ადამიანის ფორმით გამოცხადდებოდა, მაგრამ ასეთი დეტალების გარკვევით თავიდანვე, შეთანხმების დადების მომენტში თავი არ შეუწუხებია. მაშინ მხოლოდ ცოლის ხელშეუხებლობის პრეზუმფციის დაზუსტებით იყო დაკავებული. ამიტომ, ახლა, კიდევ ერთი მოულოდნელი და ფრიად უსიამო ფაქტისთვის მოუხდა თვალის გასწორება: „მანუელ! დონ მანუელ! შენ თევზი ხარ, გესმის, თევზიიიიიი!!!!
მანუელმა ისევ ლაყუჩები შეაცანცარა და წონასწორობადაკარგულმა მთელ ხმაზე იღრიალა:
– მარგოოოოო . . . . .
კუდიანმა, მაგრამ კეთილმა მარგომ ვერაფერი გაიგონა. თუმცა, სწორედ იმ დროს მისდაუნებურად აკვარიუმისკენ მიიხედა (ქალური ინტუიციით, რათქმაუნდა!) და დიდზე პირდაღებული თევზი რომ შეამჩნია, ნაზად მიუალერსა: „ისევ მე, ჩემო წითელქუდავ, თორემ იმ ლოთს სად ახსოვს შენი ჭამა-სმა, რა იცის, თევზებსაც რომ სჭირდებათ ჯანსაღი კვება!“
და რაღაც სპეციფიური სუნით გაჟღენთილი ფხვიერი მასა მანუელის თავზე დაუშვა.
– მარგოოოოო . . . .

ახლა სასოწარკვეთილი ხმით ამოიხრიალა მანუელმა. უფრო სწორად, მას ეგონა, ასე. მას ეგონა, რომ ხმა გაიღო, თორემ პირიდან სიტყვები კი არა, მხოლოდ ჟანგბადის ბუშტუკები დასცვივდა ერთმანეთის მიყოლებით. რეალობა ასეთი იყო: მანუელი აკვარიუმის წყალში იჯდა და პირშიც წყალი ჰქონდა დაგუბებული!
მალე კეთილმა, მზრუნველმა მარგომაც ზურგი შეაქცია და მიმხმარი კურტუმოს თამაშით სამზარეულოში გავიდა.
ასე დაიწყო მანუელის წამება.

* * *

დონ მანუელი (ასე უწოდებდა მანუელი საკუთარ თავს), ერთი ახალგაზრდა, უქნარა კაცი გახლდათ. მართალია, მშობლებმა პატარაობიდანვე კარგი განათლება მისცეს, თავი ათასი წვრილმანით და მსხვილმანით სულ ძალად გამოუტენეს, მაგრამ მანუელის განვითარება თეორიული ცოდნის მიღების სტადიაზე შეწყდა. ვერავინ და ვერაფერმა აიძულა თეორიებისა და იდეების კონკრეტულ საქმეში გამოყენება. ოკეანოლოგობა კი იმაში გამოადგა, რომ ქალაქის სახელმწიფო დელფინარიუმის დარაჯად მოეწყო. ესეც ისე, სათქმელად რომ ჰქონოდა, „ვმუშაობ, ღამეებს ვათევ, ბატონებო, მეტი რაღა გინდათო“. სინამდვილეში, კვირის ერთადერთ უძილო ღამეს თუ არ ჩავთვლით (იგი კვირაში მხოლოდ ერთ დღეს მორიგეობდა), მანუელი მთელ დღეებს მეზობლებთან ჭადრაკის თამაშში, ლოთობასა და თავისი ერთადერთი ნუგეშის, მშვენიერი მარგოს წყევლა-კრულვის მოსმენაში ატარებდა. წყევლა, ეს საშიში, თანაც, უხამსი და მდაბიური ჩვევა, ვერაფრით მოაშლევინა მარგოს, მაგრამ, დონ მანუელი, ღრმად იყო დარწმუნებული ცოლის გულისხმიერებაში. კერძოდ იმაში, რომ წყევლის ამ უიშვიათეს ზეპირსიტყვიერ შედევრებს, მარგო გულში, ჩუმად ერთ მაგიურ სიტყვასაც – „აღარა“-ს აუცილებლად აყოლებდა. ჰოდა მანუელი, უეცრად აკვარიუმის დამყაყებულ წყალში რომ აღმოჩნდა, პირველად მაშინ დაეჭვდა მარგოს გულწრფელობაში, ან, „აღარას“ თქმა თუ დაავიწყდებოდაო.
აკვარიუმში კი თავი ფრიად უჩვეულო და მეტად საგულისხმო შემთხვევის წყალობით ამოჰყო.
საქმე იმაში გახლდათ, რომ დონ მანუელი, ეს ზარმაცი და ყოვლად გამოუსადეგარი კაცი, არშემდგარი ოკეანოლოგი და დელფინარიუმის დარაჯი, მეოცნებე პოეტად, ნამდვილ ლირიკოსად იყო დაბადებული. ოცნებაში ბადალი არ ჰყავდა დონ მანუელს. ამ საქმეში ისევე იყო გაწაფული, როგორც მარგო წევლა-კრულვის იმპროვიზირებაში. მერედა, როგორი განაბული და შთაგონებული გამომეტყველება ჰქონდა ამ დროს მანუელს! რა ხიბლი ჰქონდა ასეთ დროს! მარგოსაც როგორ უყვარდა და აღაფრთოვანებდა ასეთი მანუელი! აი, ამ წუთებში, მისი ქმარი დელფინარიუმის უბრალო დარაჯი, ვინმე მანუელი, კი არა, დიდი ოკეანოლოგი და ნამდვილი ჯენტლმენი, დონ მანუელი გახლდათ. დიახ, მხოლოდ და მხოლოდ დონ მანუელი! ხანდახან, საქმით ქანცგაწყვეტილი ქალი, უკმაყოფილოდაც შეაქანებდა მანუელს და ფიქრებში წასულს, იმ ვარდისფერ გზებზე მიაწევდა: „მაგ ოცნებისთვის შემიყვარდით, ძვირფასო დონ მანუელ, და თქვენც ოცნებაში ამომხადეთ სული!“. მაგრამ ეს მთლად საყვედურიც არა,

უფრო, ნოსტალგიანარევი და ვნებაშეპარებული, რაღაც, მარგოსეული უღიმღამო ფლირტი გახლდათ. თანაც, მარგოს ერჩივნა, მანუელს ოღონდ არ დაელია და ეოცნება იმდენი, რამდენიც უნდოდა. მანუელიც ოცნებობდა და ოცნებობდა. თავისივე შემუშავებული, რაციონალურ (ნაწილობრივ, ირაციონალურ) მოთხოვნილებებს დაქვემდებარებული, თანმიმდევრული და სტრუქტურულად გამართული „ოცნებების სისტემაც“ კი გააჩნდა. „ოცნებების სისტემა“ მანუელს სქემატურად სპეციალურ ცხრილში – „ოცნებების ტაბულაში“ ჰქონდა ასახული. ამ ტაბულაში ოცნებათა რაოდენობა და თანმიმდევრობა მკვეთრად იყო განსაზღვრული. მანუელს ისინი ხარისხის, შინაარსობრივი ტევადობისა და დროის შესაბამისობის მიხედვით ჰქონდა დალაგებული. ერთი სიტყვით, მანუელს ოცნებების სფეროში საკმაოდ შრომატევადი სამეცნიერო სამუშაოები ჰქონდა ჩატარებული. თეორიული კვლევის შედეგებითაც კმაყოფილი იყო. ერთადერთ დაბრკოლებად, ამ მეცნიერული მიღწევების ტრანსცედენტურიდან ემპირიულ ჭრილში გადატანა რჩებოდა. არ არსებობდნენ „ცდის ობიექტები“, „ექსპერიმენტული საგნები“ და ა. შ. აქ მანუელი უდაოდ ჩიხში იყო შესული.

მანუელი თუმცა ყოველთვის მარტო რჩებოდა თავის კვლევით ლაბორატორიაში, იქედან გამოსული პირდაპირ აუდიტორიას მიაშურებდა. ძნელია, დონ მანუელის ვერბალურად გამოხატულ ოცნებათა ადრესატების დადგენა. თუმცა, გამორიცხვის მეთოდით თუ, ვიმსჯელებთ, იგი ყველაზე ხშირად და მიზნობრივად, მაინც გამჩენელ ღმერთს და სახელმწიფო დელფინარიუმის უზარმაზარი აკვარიუმიდან წამოყვანილ, ერთ პატარა, წითელქუდას ჯიშის თევზს მიმართავდა. საკუთრივ მათთვის, რთულ ტერმინოლოგიურ მონაკვეთებს ამარტივებდა და შედარებით უბრალო, ყველასათვის გასაგებ ენაზე გადმოსცემდა. ჯერ უწყინარ, მსუბუქ ოცნებებს მოჰყვებოდა, მერე კი, თანდათან, რომ გახურდებოდა, მთავარ, საკვანძო საკითხებსაც გადასწვდებოდა. გზა და გზა ხმასაც უმატებდა, იქნებ, ასე ხმამაღლა ნათქვამი, უფრო გაიგონოს და გაითვალისწინოს გამჩენელმა ღმერთმაო.

წითელქუდასთან უფრო შინაურული და გახსნილი საუბრები ჰქონდა:

„ეჰ, ჩემო წითელქუდავ, რატომ არ ხარ შენ ოქროს თევზი, რამდენ სურვილს ამისრულებდი!...“ – ღრმად ამოიღვნეშებდა დონ მანუელი და მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა თავის ბითურ და ბითურ ოცნებებს. ძალიან შორს რომ გაუტევდა და ცოტა ინტიმურ საკითხებშიც რომ შეტოპავდა, მაშინღა მოაგონდებოდა, ძალიან ხმამაღლა ვლაპარაკობ, მარგომ არ გაიგონოსო და ახლა ჩუმად მიუბრუნდებოდა თავის პატარა, თევზს:

„კიდევ კარგი რომ არ გესმის, შე ჩემა, კიდევ კარგი! აბა, ახლა შენ რომ გესმოდეს, როგორ ვოცნებობ ჩემი მარგოს ძუძუების გაზრდასა და მიმხმარი ტრაკის გამოვსებაზე, ხომ დამცინებდი, მაგას ოქროს თევზი რად უნდაო?!“

ოქროს თევზს კი ყველაფერი ესმოდა და დასცინოდა.

* * *

ოქროს თევზი ძალიან შეაწუხა მანუელის სისულელეების ჩმახვამ. მოთმინების ფიალა ევსებოდა. პატარა ამბავი არ გახლდათ, ყოველდღიურად, მანუელის მთვრალი

ნარატივისა და დაბიჟინებული სიფათის ატანა. თანაც დამყაყებულ წყალში ყურყუტი სულაც არ ეპიტნავებოდა და ეკადრისებოდა. ოქროს თევზი იყო ბოლოს და ბოლოს, უბრალო კი არა! თითქოს ის არ კმაროდა, საკვების ჩაყრა და წყლის გამოცვლა რომ ავიწყდებოდათ, გულაჩვილებული მანუელი თევზს საალერსოდ აკვარიუმში ხელით რომ დასდევდა, ან გაბრაზებულზე უფერფლავდა, ახლა ეს საზიზღარი, დაშტამპული ოცნებების თხრობაც რომ დასჩემდა! მანუელის ოცნებები თევზს ისე ჰქონდა გაზუთხული, რომ მძინარესაც შეეძლო მათი ზუსტი თანმიმდევრობით ჩამორაკრაკება.

„ეს რა დღეში ჩავცვივდით მე და მარგო!“ – შფოთავდა ოქროს თევზი და გამოსავალს ეძებდა. ერთხელაც, მანუელის მორიგ გულის გამაწვრილებელ მონოლოგს რომ ისმენდა, გონება გაუნათდა:
„ეს კაცი მთლად იდიოტია და ამის მოტყუებას კი, რა უნდა!“
და აკვარიუმის მომწვანო ბლანტი სითხედან მაცდურად გამოსძახა:
– დონ მანუელ, დონ მანუელ, ჩემო ბატონო!
– ეს რა ამბავია!
– მე ვარ, დონ მანუელ, შენი წითელქუდა!
– შენ ლაპარაკობ??????
– როგორც თავად შეამჩნიეთ . . .
– ჰმმმმმმ . . . და შენ, ყველაფერი გაიგონე, წითელქუდავ?
– დიახ, ჩემო ბატონო.
– მარგოს ხომ არ ეტყვი? – შეევედრა მანუელი.
– მე მხოლოდ შენ გემსახურები, ბატონო!
– მაშ, შენ მართლა ოქროს თევზი ხარ?
– ოქროს თევზი ვარ და ყველა შენს სურვილს ავასრულებ!

ბედნიერებისგან გაოგნებული მანუელი ადგილზე ხტოდა და გაზეპირებულ სურვილებს მოულოდნელი ბედნიერებისაგან დაბნეული თავს ვეღარ უყრიდა. პროფესიული აღტყინებაც ერთიორად გაუმძაფრდა: „აჰა, ცდის ობიექტიც გამოჩნდა!...“ მერე, ცოტა რომ დამშვიდდა, გადაწყვიტა: „მის ძალას ჯერ მარტივ სურვილებზე გამოვცდი, სად მეჩქარება, ძირითადი და საკვანძო ოცნებები შემდეგისთვის იყოსო.“
– აბა, წითელქუდავ, ერთი კარგი პურმარილი გაჩარხე, რა ხანია, ჩემებურად არ მომილხენიაო!
მანუელს წინადადება დამთავრებული არც ჰქონდა, რომ მარგომ ჩვეულებრივზე გრძელი წყევლა-კრულვა მიაყარა სასმლითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთულ მოულოდნელ სტუმრებს, სასტუმრო ოთახში რომ უკითხავად შელაგდნენ. ბავშვობის მეგობრებს მანუელი ახლა ნამდვილად არ ელოდა და აკვარიუმში პატიოსნად განაბულ წითელქუდას საჩვენებელი თითი ეშმაკურად დაუქნია – „ეგ, სულ შენი ოინებიაო.“
სმა-ჭამასა და მოლხენას რომ მორჩა, ღრიალი და უჩვეულო ცეკვა-თამაში წამოიწყო. თან, სულ მაღალ ხმაზე გაჰკიოდა, „შენ გენაცვალე, შენ გენაცვალე, ჩემო წითელქუდავ!“
მეგობრები წამოიშალნენ, „დათვრა ეგ კაცი და დროზე გავასწროთ, პათოლოგიურიაო“. მის პათოლოგობას მიჩვეულნი იყვნენ, ახლა მხოლოდ ის უკვირდათ, „ეგ წითელქუდა ვინღაა, ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ მის სადღეგრძელოს რომ გვასმევდა, ადრე

მარგოზე იყო ჩაციკლული, ახლა ეტყობა ვიღაც პაწია ჩიტუნა – „წითელქუდა“ გამოუჭერიაო „.

* * *

მეორე დილით, ღრმა პახმელიაზე მყოფ მანუელს თავისი ოქროს თევზი არ შეუწუხებია ლუდისა და მინერალური წყლის ამოტანით:
„ეგ, მის სტატუსს არ შეეფერება!“ – დაასკვნა მანუელმა თავისთვის და ამიტომ, ისევ მარგო დაასაქმა. თანაც, უნდოდა, სულ ცოტა ხნით მაინც, დამტკბარიყო წითელქუდასთან მარტო ყოფნით. რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა მოლაპარაკებოდა.
– წითელქუდა!
– გისმენ, ბატონო!
– შენ ოქროს თევზი ხარ და მე რომც არ გითხრა, ისედაც იცი ყველაფერი. ისედაც იცი რა მინდა. შენ იცი რა მინდა ახლა და საერთოდ, ზოგადად როგორ მინდა რომ იყოს ყველაფერი, ხომ იცი?!
– ვიცი, ყველაფერი ზეპირად მაქვს ნასწავლი!
– მერე და, რაღას მალაპარაკებ, შე ოქროს თევზო, მიდი და გააკეთე შენი საქმე!
– არ გომოვა ეგ ამბავი, მანუელ!
– როგორ თუ არ გამოვა, მეკაიფები, თუ რა არი?! – გაცოფდა მანუელი.
– გამოვა, მაგრამ მანამდე შენც ჩემთვის რაღაც უნდა გააკეთო!
– რააა?!
– მეც ჩემი პირობები მაქვს, მანუელ!
– ახ, აი, როგორ ყოფილა საქმე!
– აბა შენ რა გეგონა, ყველას თავისი ინტერესები ამოძრავებს!
– ეს რა დროში ვცხოვრობთ, ყველა გაფუჭდა, ოქროს თევზებიც კი! ყველა გამორჩენაზეა! სადღაა ის დრო, ოქროს თევზები და ჯინები უანგაროდ რომ გემსახურებოდნენ! მაინც რა გინდა?!
– რამდენიმე დღით ადგილები უნდა გავცვალოთ, მერე კი რასაც მთხოვ სუყველაფერს აგისრულებ!
– რააა? როგორ თუ გავცვალოთ? შენ თავში წყალი გაქვს, ძმაო! ეტყობა რაც პირიდან გამოუშვი თავში დაიგუბე! მომინდომა ბიჭმა მარგოსთან ჟიმავი! ეგ ოჯახის ქალია და პატივი ეცი!
– ავადმყოფობას მოვიმიზეზებ და საწოლში ზურგს შევაქცევ!
– ვითომ არ იცნობდე მარგოს, მაგას რამე თუ უნდა, ავადმყოფობაც და მორიდებაც ფეხზე ჰკიდია! თუ გახსოვს, მაინც რამდენჯერ, სულ ძალად გამჟიმა შენს თვალწინ!
– აუ, მაგას რა დამავიწყებს! ზუსტად ოცდაცხრაჯერ! ოცდამეათეზე მეზობელი შემოგესწროთ, თორემ დამრგვალდებოდა!
– თვალები დახუჭული თუ გქონდა, მაინც?!
– აბა რა, სხვის ცოლზე ყურებას როგორ ვიკადრებდი!

– წესიერი კაცივით ლაპარაკობ, მაგრამ მაინც არ გენდობი. გულში სხვა გაქვს ჩადებული, შენ ჩემს მარგოს ეხუტებოდე და მე აკვარიუმში ვიჯდე, არ გამოგივა! აი, გამომიჩნდა ჭკუის კოლოფი! ეგ არ მოხდება, ძმაო!
– მარგო რაში მჭირდება, ადამიანობა მინდა გამოვცადო, სულ ცოტა ხნით!
– ჰმ! დიდი ვერაფერია!
– მოკლედ, საბოლოო სიტყვა მითხარი მანუელ, ახლავე გადწყვიტე!
– „მანუელ“ კი არა, „დონ მანუელ”! კარგად დაიმახსოვრე, „დონ მანუელ“!
– საბოლოო პასუხი მითხარით, დონ მანუელ!
– არა-მეთქი! არა-მეთქი, შე ჩემა!
– კარგი, როგორც იტყვი, ოღონდ ჩემთან წუწუნს აღარ მოჰყვე, მაინც აღარ მოგისმენ, სხვა ოქროს თევზი იპოვე!
მანუელი სავარძელში მძიმედ ჩაეშვა და ორივე ხელი თავზე შემოიწყო. აი, ახლა, ამ გამომძალველი ოქროს თევზის წყალობით, ოცნებების სფეროში გაწეული მთელი შრომა და წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, სულ წყალში ეყრებოდა. სასოწარკვეთილმა, ერთ წუთს თავის მოკვლაც იფიქრა, მაგრამ რაკი ვერც თავი მოიკლა და ვერც თითქმის ხორცშესხმულ ქიმერებს შეელია, მთელი თავისი ბრწყინვალებით, მაცდურად რომ უღიმოდნენ დროისა და სივრცის სულ სხვა განზომილებიდან, ოქროს თევზის წაყენებული პირობების გადასინჯვას შეუდგა:
„მხოლოდ რამდენიმე დღე! რამდენიმე დღეს ფეხებდაკიდებულიც გაძლებს კაცი, თუ იცის, რომ მერე სამოთხე ელოდება. აი, ეგ ოქროს თევზი, ოქროსია, უბრალო კი არ არი! ხო ძლებს იმ აშმორებულ აკვარიუმში და მე ვიღაც უბადრუკი მანუელი, თუნდაც, დონ მანუელი, ვინ ვაგდივარ, რომ იქ ჩასვლა არ ვიკადრო?! “
მანუელმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და აკვარიუმის დახავსებულ კედლებთან, ოქროს თევზის წინაშე გამოცხადდა. ტუჩები ვნებიანად, ძალიან ახლოს მიუტანა და უჩურჩულა:
– თანახმა ვარ! მხოლოდ იცოდე, ჩემი ცოლისთვის თუ თითიც დაგიკარებია... ისევ თევზი რომ გახდები, ჩემი ხელით ჩაგახრჩობ მაგ შმორიან აკვარიუმში!
– კარგი, შევთანხმდით! – თქვა ეშმაკური ღიმილით ოქროს თევზმა, თან გულში ცინიკურად ჩაიქირქილა, „ხომ ვამბობდი ეგ კაცი იდიოტია-თქო!“ და ისევ მანუელს მიუბრუნდა:
– ახლა კი საქმეს შევუდგეთ. ჩვენი შეთანხმება ძალაში მაშინ შევა, როცა შენს სურვილს დამიკონკრეტებ, ანუ, ოფიციალური თხოვნით მომმართავ, ხმამაღლა ან გულში, აი ასე: „ოქროს თევზო, შენი ადგილი – მე, ჩემი ადგილი – შენ!“ გახსოვდეს, მანუელ, ტექსტობრივ სიზუსტეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ერთმა გადაცდომამაც, შესაძლოა, კატასტროფა გამოიწვიოს“ – და ოქროს თევზმა, კიდევ ერთხელ, ახლა უკვე დამარცვლით, გაიმეორა ჯადოსნური სიტყვები: „ო-ქრ-ო-ს თ-ევ-ზ-ო, შ-ე-ნი ად-გ-ი-ლი – მ-ე, ჩ-ე-მი ად-გ-ი-ლი – შ-ენ!
მანუელმა პირადად, ზედიზედ სამჯერ, დაადასტურა აკვარიუმში გადაბარგების დაუოკებელი სურვილი და როცა, მისდაგასაოცრად, თავი აკვარიუმის დამყაყებულ წყალში მართლა ამოჰყო, საკუთარი უბედურება, მაინც კეთილ და გულისხმიერ მარგოს დააბრალა: „მაგ ეშმამ მომიშორა თავიდან, მაგის წყევლა რომ არა, არც ამ ყალთაბანდ ოქროს თევზს გადავეყრებოდი და არც აკვარიუმში ვიჯდებოდი ახლა!.“

* * *

აკვარიუმში მოყუჟული დონ მანუელი თავის ახალ სამყოფელთან ადაპტაციას გადიოდა. „სულ რამდენიმე დღე! მხოლოდ რამდენიმე დღე!“ – ამაოდ ამშვიდებდა საკუთარ თავს. გზადაგზა ოქროს თევზიც მეგობრულად ეხმიანებოდა, როცა მეტისმეტ შფოთს შეამჩნევდა: „ბიჭო, თავი თუ მოიკალი, სულ ოხრად დაგრჩება ახდენილი ოცნებები. მაინც რა გაღელვებს, საკუთარ ოჯახში ხარ, შინაურულ გარემოში, ახლობლებით გარემოცული?! აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, რაიმე შეცდომა რომ მომხდარიყო, ხომ იცი, ასეთ საჩოთირო საქმეებში, სრული გარანტიები არ არსებობს და შენც, აქაურობის ნაცვლად, სახელმწიფო დელფინარიუმის უზარმაზარ აკვარიუმში, ათასობით შენნაირ წითელქუდას შორის რომ ამოგეყო თავი, მაშინ რა დღეში იქნებოდი!“

ოქროს თევზი მანუელს ერთ სასარგებლო რჩევასაც აძლევდა: „სანამ მაქ ზიხარ, დრო თავზე საყრელად გაქვს, იოცნებე! იოცნებე, მანუელ! ახალ-ახალი ოცნებები მოამზადე!“

მანუელი კი ვეღარ ოცნებობდა. მხოლოდ ბრაზობდა და ხმამაღლა უხამსად იგინებოდა. ეს მას ეგონა, რომ იგინებოდა, სინამდვილეში, პირში დაგუბებული წყლიდან, სიტყვების ნაცვლად მხოლოდ ჟანგბადის ბუშტუკები სცვიოდა ერთმანეთის მიყოლებით.

ასეთ წამებაში გაატარა სამი დღე და ღამე. მეოთხე დილას აღგზნებულმა გამოიღვიძა, „ახლა კი დაიწყება ჩემი დაუსრულებელი ბედნიერებაო“ და ოქროს თევზი თვალებით მოძებნა. მაგრამ ოქროს თევზს, მანუელივით, სულ შუადღემდე ეძინა. მარგოს კი ამ დროისთვის, მთელი სახლი უკვე გალაგებულ-გადმოლაგებული და სადილიც მომზადებული ჰქონდა.

„ცოტაც მოითმინე და აქედან სულ სხვანაირი მანუელი გამოვალ! ნამდვილი დონ მანუელი გეყოლები, ჩემო მარგო! სულ ცოტაც მოითმინე! ათ მსახურს და ამაზე ორჯერ მეტ სეფე-ქალს დაგახვევ თავზე, ჩემო მარგუშა!“

ამას ფიქრობდა მანუელი, უცებ ოთახში შემოსული ოქროს თევზი რომ დალანდა. აღშფოთებულმა, მაშინვე მიაძახა:

– წითელქუდავ! სად ხარ ამდენ ხანს?! დროა, შენს ადგილას დაბრუნდე!

– რაო?! უკაცრავად?! „წითელქუდა“?! ეხლავე შეწყვიტეთ ეგ მდაბიური ფამილარობა და ღირსეულად მომმართეთ: „დონ მანუელი!“ არ დაგავიწყდეთ, „დონ მანუელი!“ ახლა კი, მომახსენეთ რა გნებავთ!

– ერთი შენ, შენს ადგილას დაბრუნდი, „დონ მანუელი“ ხარ, თუ ვიღაცა ხარ!

ოქროს თევზმა ირონიული ღიმილი სტყორცნა აკვარიუმს და მანუელის ჭკუის სასწავლებლად სამი დღე აღარ გამოჩენილა.

მეოთხე დილით, მანუელმა, ოქროს თევზის მუხლებზე ჩამომჯდარი თავისი ცოლი დაინახა, აღრიალდა და გაცოფებული, აკვარიუმიდან კინაღამ ამოხტა:

– მოდი, ვილაპარაკოთ! კაცურად ვილაპარაკოთ! გავარკვიოთ ერთხელ და სამუდამოდ! – ბზრიალებდა მანუელი აკვარიუმში, პირიდან ჟანგბადის პუშტუკებს ყრიდა და ლაყუჩებში ოხრავდა.

– რაზე გელაპარაკო, შე ჩემა! – მიუბრუნდა ოქროს თევზი მანუელს, მარგო რომ ოთახიდან გავიდა.

– რაზე და, ჩვენს შეთანხმებაზე! დამაბრუნე! შენ – თევზი, მე – ადამიანი!

– არ შემიძლია მანუელ, ოქროს თევზი ხომ აღარ ვარ, სასწაული მოვახდინო, ახლა დონ მანუელი ვარ!
ბრაზისაგან გაგიჟებული მანუელი, ერთმანეთის მონაცვლეობით, მიენარცხა აკვარიუმის ოთხივე კედელს.
– დამშვიდდი წითელქუდავ, რა დღეში ხარ, ასე ნერვებს გაიფუჭებ!
– დამაბრუნე-მეთქი!
– აჰა, როგორი ყოფილა დამყაყებულ წყალში ყურყუტი?! – ახლა ოქროს თევზი გადავიდა შეტევაზე და ყველა ცოდვა გაუხსენა მანუელს.
– დამაბრუნე და გპირდები, ყოველ დღე გამოგიცვლი წყალს! – ევედრებოდა საწყალი მანუელი.
– როგორი იყო, დღეჩაგდებით რომ მაჭმევდი და მაშიმშილებდი?!
– ეს აღარ განმეორდება!
– „წითელქუდას“ რომ მეძახდი, ამ ოქროს თევზს, ხო იცი, რო მაგრა მიქარავდი!
– განსაკუთრებული სიყვარულის გამო გეძახდი, აბა საიდან უნდა მცოდნოდა, თუ გწყინდა!
– ერთ საღამოს რომ კინაღამ შემწვი, გახსოვს?!
– პათოლოგიური სიმთვრალე მაქვს, თვითონ იცი!
– აი, მაშინ მარგოს რომ არ გადავერჩინე, ჩემი ერთი ფხაც არ იქნებოდა ამქვეყნად! მაგ ამაგს არ დავუკარგავ მარგოს! ყველა სურვილს ავუსრულებ! სულ ხელისგულზე ვატარებ!
ამ გაცხარებულ კამათში იყვნენ, მარგო რომ ოთახში შემონარნარდა და ქმარს მაცდური ღიმილი ესროლა. მერე მიუახლოვდა, პერანგში ხელი ნაზად შეუცურა და ღილები დაუხსნა. ოქროს თევზიც წამოენთო, აღეგზნო და ვნებამორეულმა, მშვენიერი მარგო, პირდაპირ მანუელის თვალწინ ზედიზედ სამჯერ გაჟიმა.
– შე, კახპავ! შე, კახპავ! ოჯახის შემარცხვენელო! თავსლაფდამსხმელო!
ღრიალებდა და იფურთხებოდა მანუელი. პირიდან ჟანგბადის ბუშტუკებს ყრიდა და ლაყუჩებში ოხრავდა.
თითქმის ერთი კვირა დასჭირდა მანუელს ამ შოკიდან გამოსასვლელად. მერე კი, ცოტა რომ დამშვიდდა, სამუდამოდ შეიზიზღა მარგო. ზედაც აღარ უყურებდა. თითქოს მათ სახლში საერთოდ არ ცხოვრობდა ქალი. ამ შურისძიებამ შვება მოჰგვარა. თანაც, თავის გასაჭირთან მარგო სადღა ახსოვდა! მიხვდა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოატყუეს! გააცურეს! „ახია ჩემზე!“ – ფიქრობდა აკვარიუმის აშმორებულ ფსკერზე მიგდებული მანუელი, – „ოკეანოლოგს რომ ერთი ლიფსიტა წითელქუდა თევზი მოგატყებს, უარესის ღირსი ხარ! სწორედაც აკვარიუმში უნდა იჯდე, აბა გარეთ თავი როგორ გამოგეყოფა! ისე, მაინც რა მრჯიდა, საქმე დალეული მქონდა, თუ რა იყო, ეგ თევზი რო სახლში მოვათრიე?! კეთილშობილი ცხოველები დაილია ამქვეყნად?! ძაღლი, კატა, თუთიყუში ან უკიდურეს შემთხვევაში, კუ, მაინც მომეყვანა, ამათ ხო ნამდვილად არ ექნებოდათ „სურვილების ასრულების“ ამბიცია და თუ ექნებოდათ, ასე ადვილად ვერ დამაბოლებდნენ!“ – და მანუელი, ვინ იცის უკვე მერამდენედ, ასხამდა ტვინს აკვარიუმის დახავსებულ შუშის კედლებს.
– ეს თევზი სულ გადაირია! – იძახდა მარგო.

– დეპრესია აქვს, საყვარელო! ჰო, ასეა, ნუ გიკვირს, თევზებსაც აქვთ პერიოდული დეპრესია – დამაჯერებლად და ვრცლად უხსნიდა დიდი ოკეანოლოგი დონ მანუელი თავის ძვირფას მარგოს თევზების ფსიქიკური აშლილობების უცნაურ დეტალებს.
– ამას ახლა ფსიქოანალიტიკოსი სჭირდება! რა სამწუხაროა, რომ თევზების ფსიქოანალიტიკოსები ჯერაც არ არსებობენ, ახლა ვერაფრით ვეხმარებით ჩვენს წითელქუდას! – გულწრფელ სინანულს გამოთქვამდა ოკეანოლოგი.

* * *

სანამ აკვარიუმის ბინძურ ფსკერზე დონ მანუელი „თევზის დეპრესიით“ იტანჯებოდა, მის ოჯახში გადმობარგებული ოქროს თევზი, თავისი ყოფილი პატრონის დანატოვარი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული. დროს ტყუილად არ ფლანგავდა. საქმე მართლაც თავზე საყრელად ჰქონდა. ახალ ცხოვრებას იწყებდა და ოჯახის კეთილდღეობაზე უნდა ეზრუნა. თანაც, ალ-ქაჯი მარგოს ეჭვების გაფანტვა იოლი საქმე არ გახლდათ. ამიტომ, ერთ-ერთ უახლოეს ვნებიან ღამეს, ცოლს, სრულიად საიდუმლოდ, ჩურჩულით გაუმხილა: „საყვარელო, უცხოეთში მცხოვრები შორეული ნათესავისაგან დიდი მემკვიდრეობა მხვდა წილად, აწი აღარაფერი მოგაკლდება, ყველაფერი გექნება, რასაც კი ისურვებ . . .“
ის დღე იყო და, მართლაც, მარგოს აღარაფერი მოჰკლებია. ყველაფერი ჰქონდა, რაზეც თუ ოდესმე უოცნებია. ისიც ჰქონდა, ფიქრადაც რომ არ გაუვლია არასოდეს. ყველაზე მეტად კი, მაინც, თავისი საყვარელი მანუელის უეცარი ფერიცვალება აბედნიერებდა. ოქროს თევზი, ახლა უკვე, დონ მანუელი, მართლაც თითით საჩვენებელი მეოჯახე კაცი გამოდგა. ლოთობასაც თავი დაანება და შუადღემდე ძილსაც. მარგოსაც სულ უფრო და უფრო ცხელ, ვნებიან ღამეებს უძღვნიდა. ზუსტად ისეთი ცხოვრება მოიწყო, როგორიც მანუელს ჰქონდა წარმოდგენილი და დაგეგმილი. მისი ყველა ოცნება ხომ ზეპირად იცოდა! გულითად მადლობასაც სწირავდა მანუელს, თავის დროზე გაწეული მტანჯველი, მონოტონური გაკვეთილებისთვის, რომლის წყალობითაც მისი ოცნების თითოეული პუნქტი და თითოეული ქვეპუნქტიც კი, უზუსტესად ახსოვდა. ამიტომ ფიქრით ზედმეტად თავს არ იწუხებდა, სულ მანუელის ოცნებების ასრულებაში იყო!

– საუცხოო ადამიანი ყოფილხარ, ჩემო მანუელ, საუცხოო! სულ შენი დამსახურებაა ჩემი კეთილდღეობა! – ესიტყვებოდა ოქროს თევზი აკვარიუმის წამებულს.
– ახლა, რას მემლიქვნელები, თვითმარქვიავ, კიდევ რას გინდა გამომრჩე, ოცნებები ხომ არ გაგითავდა?!
– თუ რაიმე ახალი და საინტერესო ოცნება გაქვს, მითხარი, სიამოვნებით ავასრულებ!
– ასეც ვიცოდი! თქვენ, ოქროს თევზებს, ერთი სერიოზული და გადაუჭრელი პრობლემა გაქვთ. სურვილების მხოლოდ ასრულება შეგიძლიათ, გამოგონება კი არა! თქვენ შთაგონებასა და Fფანტაზიას ხართ მოკლებულნი და ეგ ჯადოქრული უნარი საკუთარი თავისთვის არაფერში გარგიათ! ადამიანებიც ამიტომ გჭირდებათ! ადამიანები იმისთვის გჭირდებათ, რომ მათი ოცნებები, სურვილები, ცხოვრება მოიპაროთ!
– ა-ჰაა! უყურე! შენ მთლად ისეთი იდიოტი არ ყოფილხარ, როგორიც მეგონე, თუ მანდ ყოფნამ გამოგაჭკვიანა?!

– იდიოტი თვითონ ხარ. მე ყოველთვის მოაზროვნე იდეალისტი ვიყავი, მაგრამ ვერავინ მიგებდა!
– რაც მართალი, მართალია, ძმაო! არ ვუარყოფ! ჩვენ, ოქროს თევზებს, ჩვეულებრივი თევზებივით პრიმიტიული ოცნებები და მისწრაფებები გვაქვს, რას იზამ, თევზის ბუნებას ვერსად გაექცევი. მაგრამ, რაკი ოქროსი, ანუ, განსაკუთრებულნი ვართ, უფრო დიდი ამბიციები გაგვაჩნია, უბრალო თევზების მსოფლხედვა არ გვაკმაყოფილებს, ჩვენი თვალსაწიერის გაფართოებას ვცდილობთ. ამ დროს გამოჩნდი შენც, შენი ოცნებებით და იდეებით! არ დაგიმალავ, მანუელ, მაშინ თევზის ალერგია მჭირდა შენს პათეტიკურ აღსარებებზე, მაგრამ ახლა, წარმოუდგენლად მადლიერი ვარ იმ დღეების! შენი ოცნებებით და აზრებით, ზედ გამოჭრილი ხარ ჩემთვის!
– ახლა ჭკუა ნასწავლი მაქვს, ჩემგან ერთ ოცნებასაც ვეღარ ეღირსები, სანამ ამ ბინძური აკვარიუმიდან არ გამიყვან! აქედან გამიყვანე, ოქროს თევზო, მეტი აღარ შემიძლია, აქ ყურყუტი!
– კარგი რა, რა არ შეგიძლია! მთელი ცხოვრება აკვარიუმში არ ზიხარ?! სულ დამყაყებულში არ ცხოვრობ?! მთელი სიცოცხლე აშმორებულ ოთხ კედელს არ გაშორებიხარ! მთელი ცხოვრება პირში წყალი გაქვს დაგუბებული და ახლა აღარ შეგიძლია?! გამოფხიზლდი ამ ბოლოს, თუ როგორ არი?!
მანუელი გაჩუმდა. არაფერი უპასუხა. აკვარიუმის ფსკერზე ჩაეშვა და პირში ისევ წყალი ჩაიგუბა.
– მანუელ, მანუელ, წითელქუდავ! – ამაოდ იხმობდა ზემოდან ოქროს თევზი, – ამოდი, ნუ იბუტები, ბიჭო, ჟანგბადის ბუშტუკებით თამაში უნდა გასწავლო, თევზების საყვარელი თამაშია, მოგეწონება . . .
მანუელი კი აკვარიუმის ფსკერზე ეგდო და ლაყუჩებში ოხრავდა.
აკვარიუმის ფსკერზე ჩაძირული მანუელი, პროტესტის ნიშნად აღარასოდეს აპირებდა ხმის გაღებას. მართლაც ასე მოიქცეოდა, რომ არა, კიდევ ერთი მოულოდნელი, მანუელისთვის შოკისმომგვრელი ამბავი. ერთ ჩვეულებრივ დილას, მან მარგოს ათქვიფინებული ძუძუები, ამოვსებული საჯდომი და გამოზნექილი მუცელი შეემჩნია.
– რა სჭირს მარგოს, რა უცნაურადაა გავსებული, რა უქენი?! – შესძახა შეშფოთებულმა მანუელმა ოქროს თევზს, როგორც კი ამის საშუალება მიეცა.
– რა უნდა ჭირდეს, ორსულადაა, შე ჩემა! შენი ყველაზე სანუკვარი ოცნება ავასრულე, მანუელ!
მანუელი კიდევ ერთხელ დაეწარცხა აკვარიუმის ფსკერს. მერე კი, ცოტა გონს რომ მოეგო, ისევ ამოცურდა და თევზს მიახალა:
– თვითმარქვიავ! როგორ ბედავ! ცოლი ხომ წამართვი, ახლა ჩემი შვილიც გინდა მიითვისო?
– შენი შვილი?! საიდან?!
– ჩემი! ჩემი შვილი! – ღრიალებდა მანუელი.
– ბავშვი ვისია, ამას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, ეგ ექსპერტიზის საქმეა!
მანუელს აღარ ესმოდა რას უმტკიცებდა ოქროს თევზი. თავს ისე გამალებით და დაუნდობლად ურტყამდა აკვარიუმის კედლებს, რომ საბოლოოდ დაებინდა გონება.

– მოკვდები! მოკვდები! ასე გული გაგისკდება, შე ჩემა! – ახლა ოქროს თევზი ბზრიალებდა აკვარიუმის გარშემო და სიტყვებთან ერთად, პირიდან, ფურთხის ნაფლეთებს ისროდა.

* * *

თითქმის ერთი კვირა ეგდო მშიერ-მწყურვალი მანუელი აკვარიუმის ფსკერზე. რამდენიმე დღე კი ემუდარა ოქროს თევზი, „არ გინდა, მანუელ, შენს ცოდვას ნუ მაყურებინებ, თავს ძალით ნუ მოიკლავო“, მაგრამ ბოლოს მობეზრდა და შეეშვა. კვირის თავზე კი, მარგომ აკვარიუმის ზედაპირზე ამოტივტივებული, მკვდარი წითელქუდა რომ ნახა, ერთი შეჰკივლა: „მომკვდარხარ, შე უბედუროოოოო…“ გულწრფელად უკვირდა დაღვრემილ მარგოს: „დეპრესია თევზს რატომ უნდა სჭირდეს?! არის რა, თავისთვის აკვარიუმში, უშრომლად ჭამს და სვამს, დარდი არ აწუხებს და იდეები, ცოლ-შვილი და საყოფაცხოვრებო პრობლემები, ნეტა, რაღა ეგ დეპრესია აიჩემაო.“ მერე, ისე, რომ ქმრის სახლში დაბრუნებას არ დალოდებია, მკვდარი თევზი აკვარიუმიდან მოოქროვილი სასაუზმე კოვზით ამოიყვანა და უნიტაზში ჩარეცხა. ერთი მსხვილი და მარილიანი ცრემლიც თან მიაყოლა, ისე, ყოველი შემთხვევისთვის.
სახლში გვიან დაბრუნებულმა მანუელმა სამზარეულოში გასარეცხად გამოტანილი ცარიელი აკვარიუმი რომ ნახა, იქვე სკამზე მძიმედ დაეშვა.
არაფერი უთქვამს. ასე მას ეგონა. მას ეგონა, რომ არაფერი უთქვამს. სინამდვილეში კი პირიდან ჟანგბადის ბუშტუკების ნაცვლად უსაშველო, ადამიანური სევდა გადმოაფრქვია, ფილტვებიდან კი ღრმა ოხვრა აღმოხდა. ახლა ის არც დამყაყებული აკვარიუმის წითელქუდა თევზი იყო, არც პირში წყალჩაგუბებული მანუელი. ის, ახლა, დონ მანუელი იყო, ნამდვილი დონ მანუელი!
– დავბრუნდი მარგო! ისევ ჩემს სახლში ვარ, ისევ შენს გვერდით ვარ, ჩემო მარგო! შენ რომ ოცნებობდი, ისეთი მანუელი დავბრუნდი! – ეხვეოდა მანუელი მონატრებულ ცოლს და ბოლომდე ვერც გარკვეულიყო, როგორ მოხდა, რომ ისევ აკვარიუმში არ იჯდა. არც ოქროს თევზი იჯდა აკვარიუმში, ისიც გათავისუფლებულიყო და ოკეანის მლაშე წყლებში ლაღად მიცურავდა. ისიც ბედნიერი იყო და თავისუფლებით ტკბებოდა. მასაც ჰქონდა თავისი წილი ცხოვრება და თავისი წილი ოცნება, თუმცა, უზარმაზარ, უკიდეგანო ოკეანეში ყოველთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ პატარასა და უსუსურს, ამქვეყნად ყველა სურვილის ასრულება შეეძლო…

მიშა ბახსოლიანი

ბაბუს გადაეკეტა

– გიო?
– ო.
– რა გჭირს ბრატ?
– მშია.
– თუ გცემეს?
– ჯერ მშია.
– მერე?
– მაჭმევ რამეს?
– რა გინდა?
– ფაფა, კბილები აღარ მაქვს?
– რატო ტო, გცემეს?
– ხო
– ვიცნობ?
– კი.
– ვინ იყო?
– ემზარი?
– დათოს პაპა?
– ხო.
– ვახ ჩემი. რას გერჩოდა?
– რავი პროსტა.
– წამო, წამო აქვე საფაფეში შევიდეთ და თან მომიყევი.
– რა მოგიყვე. რა მასტიცაა არ იცი. დილით დამირეკა ჩამო შენთან რაღაც საქმე მაქვსო.
– აუ და შენც დაუჯერე არა?
– ხო რავიცი. ბიჭო ძმაკაცის ბაბუა თუ რამეს გამიჩალიჩებდა რას ვიფიქრებდი. ჩამოვედი და ეგრევე დამიშვა.
– ეგრევე?
– ეგრევე რა. ჯერ ცოტა მაგინა.
– მერე?
– მე გამიტყდა, უფროს კაცს ხელი როგორ დავარტყა-მეთქი და ერთი პანჩური ამოვარტყი მარტო. იმან კიდევ: ვის უბედავ შე სირისტიანოო და დამიშვა და დამიშვა. ხან ტროსტი მირტყა, ხან პროტეზი. ნახევარი საათი მუხლებიდანთავი არ ამომიწევია. რაც მაყუთი მქონდა ამახია და სადღაც წავიდა.
– გიჟია რა ეგ ჩემისა, წამო ვჭამოთ და დათოსაც გადავურეკავ, ცოტა დააწყნაროს ეგ კვერცხი

ბაბუ მარკეტში

– ვაშლი გაქვთ?
– დიახ, რომელი გნებავთ?
– ყვითლები ამირჩიეთ. მწიფე. მწვანე პლასტმასები არ მინდა
– ესენი მოგწონთ?
– მომეცით ოღონდ ერთი ჭიანიც რომ შემომაპაროთ, დავბრუნდები და ტრაკში გაგიკეთებთ სათითაოდ ყველას.
– უკაცრავად?
– დროზე ქალო შენთან სალაყბოდ არ მცალია
– აი ინებეთ.

ბაბუ გაჩერებაზე

– ბაბუ გამაშვებინე რა ზარი?
– ზარი რომ გამაშვებინეს, იმიტომ მაქვს ეს ტელეფონი. წადი ბიძიკო სანამ ორი ტელეფონით დამიწყია სიარული.

ბაბუ ტაქსში

– ნელა იარე ბიჭო მოგსდევს ვინმე? მე არსად მეჩქარება.

– მე მეჩქარება, ბიძაჩემო, მეორე გამოძახებაზეც უნდა მივიდე.
– ნელა იარე- მეთქი სანამ გადამკეტვია და გადამისვრიხარ უკანა სიდენიაზე.
– რაა?
– რა კი არა დააგდე სიჩქარე სანამ დაგაგდე პედლებთან, შე ნაბოზვარო.

ორი წუთის შემდეგ

– ა. ახლა სულ კი ნუ მოკვდები. ცოტა დროზე ბიჭო. ის კი არ მითქვამს თხუთმეტით იარეთქო. ვინც შენ პრავა მოგცა და რულზე დაგსვა, იმის დედა მოვტყან მე.

ბაბუ ბოზებში

– რაა ქალო ეს?
– ტანგა.
– ტანგა კი არა გამოიღე ტრაკიდან მაგ შნური და შემაყოფინა საცხა, თორემ გავა ეს ერთი საათი და თუ გგონია მეორე საათის ფულს დაგიმატებ, მიგიქარავს.

ბაბუ კედელთან

– ამხნის კაცი ხართ და სად ფსამთ, არ გრცხვენიათ?

– შეყავი ქალო თავი ფანჯარაში და მაცადე!
– ზურაა, ზურააააააა!!!
– ვის ეძახი?
– ჩემს ქმარს.
– ჩაიგდე შვილო ენა თორემ ჩაგიდე სოსკა.
– ზურააა!!
– რაო არ მოდის შენი ქმარი?
– ზურაა!
– აწი ჩემითაც დავიფერთხე და ზმეიკას თუ შემიკრავს მოვიდეს...

ზურა სამუშაოდან დაღლილი მოვიდა. როგორც ყოველთვის გამხდარი იყო და მანქანის სუნი ასდიოდა. ჯერ მაცივარი გახსნა, შემდეგ ტუფლები გაიხადა, ბანაობის დროს ვერაფრით გადაწყვიტა სოკო ცივად ეჭამა, თუ ყველთან ერთად გაეცხელებინა და ზედ მაიონეზიც მოესხა. ბოლოს ორივე დაიკიდა და მარკეტიდან ძეხვი ამოიტანა. მოგრძო ხორცის ნაჭერზე გარკვევით ეწერა ვიღაცის გვარი ზეიკიძე და ვარგისიანობის ვადა 20.05.08. ტაფა ცეცხლზე შემოდგა და მომცრო დანით ის ის იყო პირველი ნაჭერი უნდა ჩამოეჭრა ძირითადი მასისთვის, რომ საიდანღაც მოვარდნილმა ჩრდილოეთის ქარმა, თვალებზე კალენდარი ააფარა...

– ზურა!!
– ო.
– აქ ვიღაც ბაბუ ჩვენს კედელს აფსამს
– დაიკიდე და მოდი.
– რა იყო?
– აქ რა წერია?
– ზეიკიძე.
– აქ ?
– ვარგისიანობის ვადა 20.05.08
– აქ?
– კალენდარი
– აქ?
– წითელი რიცხვებით აღნიშნულია დასვენების დღეები, ლურჯით მარხვის დღეები, მწვანედ დღეები როცა კარგი ამინდი იქნება, შავად გასვენებისთვის გამოსადეგი დღეები, თეთრად ფონი...
– აქ?
– დათოს პლიუს ნინო მინუს ბესო პლიუს ასი დოლარი გაყოფილი ორზე
– აქ?
– დამზადებულია საქქაღკომ– ში 20.07.11
– აზრობ. აზრობ, რა ყლე ქვეყანაში ვცხოვრობთ?
– რა გჭირს ზურა?
– კიდევ მე რა მჭირს? ნახე რა ძეხვი მომყიდეს ამ დამპლებმა.
– კარებს გავხსნი აკუნებენ.

– დროზე მოდი.

ზურამ იგრძნო, როგორ ჩაუჯდა სკამი კალთაში და საზურგით მკერდზე მიეყუდა. მერე საიდანღაც ხმაც შემოესმა:
– რას იბუზები ბიჭო. ოცი წელია მაზიხარ და ხმას არ ვიღებ. ორ წუთს არ გაინძრე ცოტას დავისვენებ. ჩვენ შორის სკამის დედას შევეცი, რამ გაგვყო ტო ორივე მურმანას გაკეთებულები არა ვართ? დაჟე მაგარ რაღაცას გეტყვი. მამაშენმა ჯერ მე გამაკეთა, მერე დაღლილი დაჯდა, ცოლი კალთაში ჩაისვა და შენზე იჩალიჩა. პაჩტი ტყუპები ვართ რა. ოღონდ ეხლა არ დაიგრუზო ძმას მთელი ცხოვრება შუბლზე ტრაკით ვეჯექიო და გული არ წაგივიდეს. დასტოინად... წადი ცოლს გახედე, მგონი გეძახის?

– ზურაა
– ხო.
– მოდი ეს ბებერი მომაშორე სახლში შემოსვლა უნდა , ისაა წელან ფანჯრების ქვეშ რომ ფსამდა.
– შემოუშვი.
– შემოდი შემოდი. დაბრძანდი. ოღონდ მანდ არა, აი აქ. შენ ის არ ხარ დღეს ტაქსით რომ გაგიყვანე სასტუმროსთან.
– ეე. კი
– ე კი არა ეხლა დაგაბამ და დაგაფსამ ბაბუ, მერე ამ ძეხვს ტრაკში გაგიკეთებ შეგფუთავ და გვერდით მარკეტში წაგიღებ, ნამყოფი ხარ მარკეტში?
– დილით ვაშლი ვიყიდე.
– ძალიანაც კარგი, აი მანდ მიგიყვან და გამყიდველს ვაიძულებ ეგ ძეხვი ტრაკიდან კბილებით გამოგაძროს
– ძალიან კარგი. შეიძლება ერთი შეკითხვა დაგისვა
– კი
– გადაგეკეტა?
– ხო
– მეც. მეც გადამეკეტა. ძალიან გადამეკეტა . ისე გადამეკეტა, რომ გადამეკეტა. ბოლომდე გადამეკეტა. ხოდა აიღე ეგ ძეხვი, მე ჩემ ვაშლებს ავიღებ და წავიდეთ, რამე გავაფუჭოთ. მოსულა?
– მოსულა.

ბაბუ და ზურა მარკეტში

– ქალბატონო!
– დიახ
– ვადაგასული ძეხვი ტრაკში მოგხვედრიათ?
– დიახ
– რაა ?
– და ვაშლი ქალბატონო?

– ვაშლები აი იმას შეტენეთ, მეზობელ სექციაში. ოღონდ იჩქარეთ თორემ თხუთმეტ წუთში ვიხურებით.
– ვაა
– დაიკიდე ვასწრებთ.
– ესე თუ იდგებით ვერ მოასწებთ.

ვერც მოასწრეს

P.s . მისამღერი რომელიც არასდროს უმღერიათ

გიო კარგი ბიჭია
მას არ უყვარს თამაში
დილით ადრე ადგება
შემოჯდება ლამბაქზე
– გიო ჩამო თეფშიდან!- ყვირის დედა
– დე ლამბაქზე ვარ.
– ჩამოეთრიე.

ლევან ლორია

მე და დუდუ

პროლოგი

წვიმს. კარგია წვიმა ღამით, თორმეტ საათზე, როცა არსად არ ხარ წასასვლელი, როცა შუქი არ ქრება და გიხარია, რომ სადღაც, ვიღაცა ღამეს ათევს შენთვის, რომ ამ წვიმაში და უკუნ სიბნელეში შენი პატარა ნაქირავები ბინა განათებული იყოს. კარგია წვიმა, თუ რა თქმა უნდა წარღვნა არ არის, თქეში და ღვარცოფი.
აი ემ დუდუ

უცებ ძახილი მესმის...
– ჩემი ძმა, ფანჯარა გამიღე რა...
ვაი, იქნებ მეყურება? სახლში მარტო ვარ, მერვე სართულზე ფანჯარა ვის უნდა გავუღო?
– ბიჭო, ფანჯარა გააღე... გინდა ფილტვების ანთება ავიკიდო? იქნება ორმხრივი სველი პლევრიტიც დამმართო? – ისევ მეორდება იგივე ხმა, თან თითქოს ფანჯარაზე აკაკუნებენ. მივდივარ ფანჯარასთან, ვაღებ და უცებ ოთახში ჩიტი შემოფრინდა. თუთიყუშია. ალბათ ვინმეს გაუფრინდა. შეიძლება არც არავის გაუფრინდა და თავისთვის დაფრინავს. ოთახში რამდენიმე წრე გააკეთა, მერე კარადაზე შემოსკუპდა და აქეთ-იქეთ მოყვა სიარულს, თან საუბრობს...
– რა წვიმაა, რა. გასაწური ვარ. შენ კი რა ყრუ ხარ?
– არა, ყრუ არ ვარ, მაგრამ...
– გასაგებია. სტუმარს არ ელოდებოდი ფანჯრიდან. კარგი კაცი ყოველთვის სტუმარს ელის, ფანჯრიდან და კარიდანაც. ხო მართლა კატა არ გყავს, ხო?
ვიცი, რომ თუთიყუშების გარკვეული სახეობებს აქვთ უნარი იმეორონ რაღაც ფრაზები, მაგრამ ეს არ იმეორებს, პირიქით მშვენივრად საუბრობს, თანაც სიტუაციის შესაბამისად...
– არა, მე არ მყავს, მეზობლის კატა შემოივლის ხანდახან...
– ვერ ვიტან კატებს, აირჩიე ან მე ან ის...
– აბა კაცი სულ მუდამ სტუმარს უნდა ელოდოსო? ისიც სტუმრად შემოდის...
– შენ რა სიტყვაზე მიჭერ?
– არაფერსაც არ გიჭერ. თუ გინდა წადი...
– ყოჩაღ ბიჭო... ასეთ ამინდში ძაღლს არ გააგდებენ გარეთ, და შენ... არსადაც არ წავალ...
– მაშინ იყავი. არაყს დალევ? მოგიხდება, შეგათბობს...
– არ მინდა არაყი, ცუდი სიმთვრალე მაქვს, ვიგინები, შეიძლება პოლიტიკურზეც ჩამსვან...
– ჩიტებზე სისხლის სამართლის კოდექსი არ მოქმედებს.
– გეგონოს. ახალი ამბავი იცი?
– რომელი?

– ერთი ბიზნესმენი ჩიტი, მეორე ბიზნესმენ ჩიტს ღამის სამ საათზე ვერის ხიდზე უყვება ანეკდოტს პრეზიდენტზე...
– მერე?
– მერე ორივეს დილით თავზე ჩიტების ფინანსური პოლიცია დაადგათ...
– სად გავიცინო?
– ნახტომში...
ასე მოხდა ჩემი გაცნობა დუდუსთან. თავიდან კაკადუს ვეძახდი, იმიტომ რომ ეს ჯიში გამიგონია მხოლოდ თუთიყუშების. მერე შემეზარა, რა გრძელი სახელია-მეთქი და დუ დავარქვი, მაგრამ არ მოწონდა – ეს რა სახელია, ნარდს ხომ არ მეთამაშებიო და მეც დუდუ დავარქვი. მერე იმაზე მეჩხუბა, რას მიმეორებ, ყრუ ხომ არა ვარ შენსავითო, მაგრამ შემდეგ შეეჩვია და მოეწონა კიდეც, „მე ვარ დუდუ“ , – გაიმეორა ხუთჯერ და დესერტად თუ მჟავედ, თუ რა ვიცი რატო, ერთი ინგლისურადაც დააყოლა – „აი ემ დუდუ“ .

2. დუდუს ბინა უნდა

დუდუ ჩიტი კი არა პარლამენტია, სულ ლაპარაკობს. საქმეს არ აკეთებს, მაგრამ ლაპარაკობს. თანდათან შევეჩვიე. ასე მგონია ყოველთვის იყო ჩემთან. ერთ დილით, მაღვიძებს...
– ბინა მინდა... ცალკე მინდა ბინა...
– რა ბინა მოგინდა, მე თვითონ ნაქირავებში ვარ?
– არ შემიძლია ამდენი სტუმრის ატანა, ბინა კი არა სასტუმრო გაქვს...
– სად გაგიგია ჩიტს, გინდაც მოლაპარაკეს, ბინა ქონდეს?
– აბა რა აქვს?
– ჩიტს აქვს ბუდე, მიდი და ააშენე...
– მნახა მშენებელი-ინჟინერი...
– აბა მე მნახე „ცენტრ-პოინტი“ ?
– ეს ვინღაა?
– ბინებს არიგებს უფასოდ.
– მაგას ვინ ჭამს, უფასოდ არავინ არავის არაფერს არ ურიგებს!
– ვითომ რატო?
– უფასოდ ყველია სათაგურში...
– ვა! მოდი გინდა გალიას გიყიდი..
– ოჯახში რამდენი ხართ ასეთი ჭკვიანი, საკუთარი ფეხით ჩავჯდე? სროკზე მიშვებ ბიჭო?
– აბა რა გიყო...
– მოვიფიქრე: მაშინ გალია იყიდე, შენ გალიაში ჩაჯექი, მე კიდე ბინაში ვიქნები...
– სად გინახავს ადამიანი გალიაში?
– „კურიერში“ ... ხო კარგი, მიყიდე გალია, ოღონდ უკარო...
– უკარო გალია სად გიშოვნო?
– მე უნდა ვიყო ჩიტი და შენ „ჰომო საპიენსი“ ? შენც კარიანი იყიდე და მერე მოაძვრე...

3. სტუმრად დაბადების დღეზე

მოვუტანე გალია. კარები მაინც არ მომაძრობია, რა იცი შენს არ ყოფნაში კატა შემოვიდეს, დაცული ვიქნებიო: „გქონდეს გალია და იქნები დაცული“ – ყვიროდა მთელი დღე... ახლა მასაც აქვს ჩემს პატარ ოთახში საკუთარი ოთახი...

დღეს სახლში დაბრუნებულს დუდღუნით დამხვდა....

– რომ შემოდიხარ, გამარჯობა არ უნდა თქვა? – ვითომ დილით არ ვნახე....

– ათასი ოკეანე ბოდიში დუდუ, გაუმარჯოს, როგორა ხარ?

– ეგრე რა... რავი, ვარ?

– რატომ ასე გრილად..

– აბა ცხლად როგორ არის?

– უნდა თქვა: „ძალიან კარგად“ .

– „ძალიან კარგად“ გიჟები არიან... შენ როგორა ხარ?

– ძალიან... აქამდე მეგონა კარგად ვიყავი...

– რატო?

– აი, დღეს დაბადების დღეზე მივდივარ.

– შეგეშალა, კი არ მიდიხარ, მივდივართ. გამოვყრუვდი სახლში მარტო. ქუჩაში კიდე ყველას ვერ ენდობი...

... დაბადების დღე არ მოეწონა დუდუს. სანამ სუფრასთან დაგვსხამდნენ, ბიჭებთან ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურს ვარჩევთ. მესმის დუდუს განწირული ყვირილი.

– მომაცილე ეს გოგოები!

– ბიჭო, გოგოები თავზე გევლება მეტი რა გინდა?

– გამჭვარტლეს, რამდენს ეწევიან!

– ვა, დუდუ ჯანმრთელი გინდა მოკვდე? – ახლა უკვე ბიჭები არ ასვენებენ...

– შენ მოკვდი და მეისუპე თუ კარგია! – უქცევს უცებ კუთხურად დუდუ...

– ვაიმე, მამა! დუდუ წყევლა არ გიხდება...

– სახეს მიგინგრევ ბიჭო ნისკარტით, ცოტა წესიერად...

– კარგი დუდუ შეგვიცოდე...

– ვის დასცინი შენ, ოფიციალურად ხელში სავარცხელი არ გჭერია ათი წელია...

ბიჭები სიცილისგან ცუდად ხდებიან... დუდუ ამრეზილი იყურება... არ მოწონს სიტუაცია... ოთახში რამდენიმე წრეს აკეთებს და მხარზე მაჯდება.

– კეტონალი და კეტონალი!

– რა ხდება დუდუ?

– თავი ამატკივეს რა, წავიდეთ აქედან!

– სად უნდა წავიდეთ, ჯერ სუფრა, უნდა გაიშალოს!

– აბა სად არის საჭმელი?

მასპინძელი არ ელოდა თუ ჩემთან ერთად დუდუც მოვიდოდა.

– მეზობელთან გავალ, იადონები ყავს, ფრინველის საკვები ექნება და გამოვართმევ....

– არ მინდა საჭმელი, იადონები მირჩევნია! – ყვირის დუდუ...

იადონებზე მეზობელს უარი ეთქვა., – „ჰარამხანა კი არა მაქვსო“ . საჭმელი კი იმდენი გამოეტანებინა, ხუთ დუდუს ეყოფოდა. მასპინძელმა პინინოზე ნაჭერი გადააფარა და

იქ თეფშზე დაუყარა. ჯერ მარცვლეულს გადახედა ცალი თვალით... მერე მომტანს... ეტყობა სანდოდ მიიჩნია ორივენი და გემრიელად შეექცა. მერე ის არ ესიამოვნა, მარტო რომ იყო, ცალკე...

– ცოტა სკამი არ არის, სუფრასთან დამსვით, რა... მე რა, „მუზიკანტი“ ვარ?!

მასპინძელმა სკამზე წიგნები დაულაგა და უკვე ისიც მაგიდის სრულუფლებიანი წევრი გახდა თავისი მარცვლეულის ულუფით...

– ახლა მივხვდი რატომ აქვთ ამდენი წიგნები სახლში! – გამოიტანა დასკვნა დუდუმ...

ცოტა ხნით დაწყნარდა, მერე ისევ მოყვა ძახილს.

– ხო ვჭამეთ საჭმელი, ახლა წავიდეთ...

– კარგი რა დუდუ, რას იტყვიან, საჭმელად მოვიდნენო...

– აბა რისთვის მოვედით...

სუფრა შეთვრა. თამადას ყურადღებას არ აქცევენ. გოგოები რომელიღაც ნაცნობს ჭორავენ, ბიჭები ანრის „ბარსელონაში“ და კაპელოს გადაყენებას...

– სადღეგრძელო უნდა ვთქვა, მომისმინეთ! – იძახის თამადა და ჭიქას გულმოდგინედ ურტყამს ჩანგალს. არ უსმენენ...

– სადღეგრძელო უნდა ვთქვა, მომისმინეთ! – დაიძახა დუდუმ და თეფშზე ნისკარტი დასცხო რამდენჯერმე... სუფრა გაისუსა... ყველა დუდუს უყურებს...

– ეგრე რა... – ამბობს დუდუ კმაყოფილი... – გაგიმარჯოთ...

4. ჩვენ მთვრალები ვართ, ანუ შეზარხოშებულზე საუბრები დუდუსთან...

დავბრუნდით სახლში. მე მთვრალი ვარ, მგონი დუდუც...

– დავთვერი დუდუ...

– გაგიჭირდებოდა!

– ერთი სადღეგრძელო მინდა, დასალევი გვაქვს რამე?

– კი, ნოშპა...

– გრადუსიანი?!

– ვერცხლისწყალი.

– მწამლავ დუდუ?

– შენც ნუ დალევ...

– ერთი სადღეგრძელო მათქმევინე...

– ჩუ, ენას ვერ ატრიალებ პირში...

– დუდუ, არ გინდა სექტემბერში სკოლაში წაგიყვანო?

– რა მინდა სკოლაში?

– გამრავლებას ისწავლი...

– გამრავლებას სკოლა რა უნდა, ცოლი უნდა!

– ხო მართლა შენი ოჯახური მდგომარეობა როგორია.

– სამი ცოლი გამოვიცვალე, ვეძებ მეოთხეს.

– და რატომ გამოიცვალე?

– კვერცხი ვერ დავადებინე ვერცერთს, ფიგურას კვერცხის გულისთვის გავიფუჭებო?

– მათემატიკურ გამრავლებაზე როგორა ხარ...

– მატემატიკურიც ვიცი..
– აბა რამდენია ხუთჯერ ხუთი?
– ცოტა იოლი მომეცი რა არის პირდაპირ ოცდახუთიდან იწყებ, ბარემ მკითხე პი რიცხვი მეასედამდე სიზუსტით რას უდრისო და ნიუტონის ბინომი...
– ვაა, შენ ეს საიდან იცი?
– პირველად ჩემთან ერთი მათემატიკოსი ცხოვრობდა, პირს დააღებდა და პის აბოდებდა, სამი მთელი თოთხმეტი არ არისო და რამე...
– მერე...
– მერე მალიარი...
– რა მალიარი?
– მატემატიკოსის მერე მალიართან ვცხოვრობდი...
- არ თქვა ახლა მეც მალიარმა შემღებაო...
– შეღებვა არა, კლიენტი რომ მოვიდოდა, ჩემს ფრთებს აჩვენებდა: „ა მოჟეტ ბით ეტოტ კალორ?“
– მერე?
– ერთხელ ფერი ვერ დააყენა ზუსტად, კლიენტმა არ მეჩხუბოსო და იმ წვიმიან ღამეს გადაღებვა მომინდომა, კიდე კარგი ავეთესე.
– ხო მათემატიკოსიდან რატომღა წამოხვედი.
– ამერიკაში გაფრინდა, იქნებ იქ ვიპოვო სამუშაოო. მეც მივყავდი, არ წავყევი... ფრენას ვერ ვიტან...
– დუდუ, პრეზიდენტი მოგწონს?
– კი, მაგარია, მე ამდენს ვერ გავქაჩავდი.
– რა გაქაჩვაზე ამბობ?
– ჯერ ეს ერთი რომ ჩემზე მეტს დაფრინავს, მერე ის რომ მე კატის მეშინია, მაგას კი მელის არ შეეშინდა!
– რომელი მელის?
– რომელი და თეთრი. როგორ უძახოდა: – „გადადექი, გადადექი“ . სანამ შენთან მოვფრინდებოდი, ერთ ბინაში შევფრინდი, კატა დამხვდა, სავარძელზე, წინ ჩაი ლამბაქით, ვეძახე: „გადადექი, გადადექი! მეც მინდა ჩაი“ . კინაღამ შემჭამა...
– რამეს არ ურჩევდი?
– როგორ არა, ერთი ვეზირი ყოველთვის უკან ედგეს, რომ უთხრას: „შენ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, რომ მოკვდები პალტოსაც არ ჩაგაყოლებენ“ და ასე უმეოროს ყოველ ნახევარ საათში ერთხელ...
– შენ არ გინდა ვეზირობა...
– ვისა ბიჭო, მე მეფე ვარ ჩემი...
– არ შეიგინო...
– არ ვიგინები, ჩემი თავის მეფე ვარ მეთქი რა...
– დუდუ პატრულზე რას იტყვი?
– თავი გამანებე, მოგზავნილი ხომა რა ხარ? გინდა დამიჭირონ?
– რას ერჩი, ხალხი ამბობს ადრე ქუჩაში ვერ გაივლიდიო, ახლა კი ...
– ახლა კიდე ვერ მიფრენია...
– ეს რას ნიშნავს?

– ამას წინათ დამაკავეს და აბა ფრენის მოწმობა მოიტანეო...
– დუდუ ფეხბურთი მოგწონს?
– რომელი?
– რა რომელი?
– რომელი ფეხბურთი? ქართული?
– თუნდაც. აი ჩვენ ნაკრებზე რას იტყვი?
– გამორთე, ესენი ამხანაგურ თამაშებს თამაშობენ მხოლოდ კარგად...
– კარგი რა ასეც არ არის... თასების თასი ხომ ავიღეთ...
– ერთხელ. მახსოვს. პატარა ვიყავი მაშინ და დედა კი არ მითქვამს, „დინამო“ „დინამოს“ ვიძახდი... და საერთოდ, მეც მინდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა...
– ვითომ რატო?
– ფეხბურთი არც მე მაქვს ნათამაშები, არც ახლანდელ პრეზიდენტს...
– სამაგიეროდ რა მამა ყავდა..
– მემკვიდრეობით მეფობა გამიგია, პრეზიდენტობა არა...
– დუდუ ლიტერატურა გიყვარს?
– ხო ვთქვი მთვრალი ხარ-მეთქი?!
– რატო?
– აბა შეიძლება კარგი ლექსი არ გიყვარდეს?
– არ მითხრა ახლა ლექსებს ვწერო?!
– არა, არ ვწერ, ვიმახსოვრებ.
– აბა მითხარი რამე ლექსი?
– ოკეი,
„ – არაყი?
– ლუდი.
– ერთი?
– ერთი.
– ინებეთ!
– გმადლობთ.
ვჯდები კუთხეში.
გარეთ წვიმს,
გნატრობ...“
– მაგარია დუდუ, ვისია?
– არ ვიცი. მთვარია კარგია?
– მაგარია. ხვალ ერთი ტოლჩა ლუდი ჩემზეა...
– მოსულა...
– გახსოვს რომ მოხვედი, როგორ წვიმდა?
– ხო...
– რა მაინტერესებს, გახსოვს ის საღამო? რატომ მაინცდამაინც ჩემს ფანჯარაში შემოფრინდი?
– იმ საღამოს შენ ფანჯარასთან იდექი და წვიმას უყურებდი...
– მერე...

– ვიფიქრე მე მიყურებდი...
– შენ გიყურებდი დუდუ...
– მართლა?
– კი. კაი დავიძინე, არ დამიწყო ახლა ძახილი, სინათლე ჩააქრეო, მიდი შენ თვითონ ჩააქრე...
– ხო კარგი, ვისწავლე უკვე...
– გძინავს დუდუ?
– არა...
– რა კარგი ლექსი იყო...
– ხო...
– ნახე, წვიმა წამოვიდა...
– ხო, ახლა დაცხებს. დღეს ძალიან დაიხუთა...
– წვიმამ მონატრება იცის...
– ხო...
– ხვალ სტუმარი გვეყოლება...

5. სტუმარი მყავს

– ეს ვინ მოიყვანე, ბიჭო კიდე ბოზი?
– არა საცოლეა.
– მერამდენე? არ დაუჯერო გოგო გატყუებს... პალუნდრა...
– თემო, ვინ არის ეს.
– ეს დუდუა, არ დაუჯერო ერთი სიტყვა, აფერისტია.
– იქნება და შენ მატყუებ?
– გოგო ჩემი არ გჯერა და ამ თუთიყუშის გჯერა, სამჯერ მყავს გაპუტული. ისე გამაბრაზა, ვხარშავდი.
– გამიღე გალია, ჩემი ბურდღა არ იქნება ამ ოჯახში...
– ღია არ არის?
– სამ აფირისტ, დურაკ.
– გარსევანს შემოვუშვებ ახლა გალიაში? – გარსევანი ჩემი მეზობლის კატაა, ვაშინებ.
– რატო თემო? – უცებ გადავიდა შემრიგებლურ ტონზე.
– კიდე რატოო? რა შემიშინე ეს გოგო ძლივს აქამდე მოყვანილი?
– ხო კარგი, ვიხუმრე... თემო ისეთი პატიოსანი ბიჭია, ჯერ ტიტველი ქალი არ ყავს ნანახი... არც მე, დამენახე რა...
– დაგანახვებ მე შენ...
– აბა მიდი...
– დუდუ, უზდელი ხარ...
– არ ვარ....
– ადექი დუდუ, სასამართლომ შინა პატიმრობა გამოგიცხადა აბაზანაში...
– არ მინდა აბაზანა, არ მინდა აბაზანა...

6. დუდუს ყავს სტუმარი

დილით გაბრაზებულია დუდუ. ხმას არ მცემს.
– ხო კარგი რა დუდუ, თქვი რამე, ხო იცი ზედმეტი მოგივიდა, თან აბაზანაში ვინ არ ყოფილა.....
– მთელი ღამე?
– აბაზანა კი არა, ტიპი ვიცი საერთოდ სახურავზე ცხოვრობს...
– არ გელაპარაკები!
– რა დეპრესიაში ხარ, ბაწრები ხომ არ გადავმალო?
– ბაწრები შენ გინდა...
– კარგი, ფრთებით მაინც მანიშნე რამე!
– განიშნებ. დღეს სამიდან ოთხამდე სახლში არ გნახო...
– რა ხდება დუდუ, ხომ მშვიდობაა?
– სტუმარი მყავს..
– ვინ?!
– არ არის შენი საქმე!
– კაი დუდუ...
... ზუსტად სამ საათზე კარებთან ვარ დარჭობილი. ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმის. მგონი გადააგდეს დუდუ.
– კარებს მოცილდი ბიჭო! – მესმის უცებ ხმა.
– დუდუ პირადობის მოწმობა დამრჩა., სულ ერთი წამით შემოვალ რა...
– დაახვიე...
– სულ ერთი წამით...
– არა-მეთქი!
– ბიჭო სარძლო არ უნდა გამაცნო?
– ჯანდაბას, შემოდი!
შევედი. მართლა დამხვდა სტუმარი. თუთიყუში იყო. დუდუს გავდა, მაგრამ ფერები ცოტა სხვა ეტყობა დედალი.
– გაიცანი ეს დოდოა... ეს კიდე ჩემი მეგობარი თემო... – გვაცნობს დუდუ ერთმანეთს.
– სასიამოვნოა...
დოდო აშკარად მორცხვობს.
– კარგი, მაპატიეთ, გავიქეცი აბა...
– პირადობის მოწმობა?!
– რა პირადობის მოწმობა?
– აფირისტ...

ეპილოგი

დუდუს ამბავი ბევრმა გაიგო, ხო იცით, რა პატარაა ჩვენი დედამიწა. უკვე სამმა მითხრა, გამაცანიო. უცხოეთიდანაც კი ვღებულობ წერილებს. მოდით, პრობლემა არ არის, ჩემი მისამართია მეერვე სართული, კარები, რომელზეც ვიღაცას მიუწერია: „თემო და დუდუ“ . რომ მოხვალთ ლუდი წამოაყოლეთ. დუდუმ თუ ლუდი არ დალია, ისე ამ

ბოლო დროს სიტყვას ვერ ათქმევინებ. ოღონდ საქმე ისაა რომ მარტო არ უყვარს დალევა!!!... ზარი არ მუშაობს... კარები ღია იქნება, მაგრამ თქვენ მაინც დააკაკუნეთ, ზრდილობის ნიშანია...

... წვიმა წამოვიდა. კარგია წვიმა... მონატრება იცის...

25 ივნისი, 2007 წელი

კახა ჭაბაშვილი

რიგითი პალკანას გადსარჩენად!

უდროოდ გარდაცვლილ კოკის ეძღვნება

პალკანას საშინლად ჭკვიანი და ლამაზი თვალები ქონდა. ლაპარაკიც არ გვჭირდებოდა, ისე უსიტყვოდ ვუგებდით ერთიმეორეს – ეგა, პალკანა, ემგვერაძე (შემდგომში „ემგვერა“) და მე. მოკლედ, მე და ემგვერა მესამე კლასში ვართ და პალკანა პატარაა ჩვენზე გაცილებით, სამი წლისაა, მაგრამ ყველაფერში გვჯობია, სინდისს ვფიცავარ. სირბილი გინდა, ჩხუბი გინდა... ტყუილსაც, რო მოკლა, ვერ ათქმევინებ! ერთადერთი ერთგულებაში ვართ ერთნაირები – სამი მეგობარი – იმ მწერლისა არ იყოს, იმისი, რემარკის...

ვინმეს რო ეთქვა, პალკანას გულისათვის მეორე სართულიდან თუ გადმოხტებიო, დროს მარტო ფანჯრის რაფაზე აფოფხებაში დავკარგავდი, – საიდან გადმოვხტე, აბა, მანახეთ-მეთქი ვიტყოდი!

უაზროდ ჭკვიანი რაღა არი? ეგ არი ის რომ, ყვითელბეწვიანი, მკერდმაღალი ძაღლი ერთს რო ამოგხედავს და გაგეფიქრება – რა უნდა ამ ჩემისას, რას მეუბნებაო? ხოლო იმას რო ვერა ხვდები, რისი თქმა უნდა პალკანას, ეგ უკვე შენი პრობლემაა.

არც ემგვერამ და არც მე ვიცით, პალკანას პალკანა ვინ დაარქვა. ერთი ის იყო, რო რაც მე სკოლა მახსოვს, (სამი წელია) დილაობით რო მივდივართ სკოლაში მე და ემგვერა, ეგ ძაღლი სადარბაზოს შესასვლელთანაა წამოწოლილი და ჩვენ დანახვაზე სიხარულით უთრთის ტანი – აი, როგორ, იცით – ჟრჟოლა კუდიდან ეწყება, – კი არ აქიცინებს (ამაყია!), მერე ბეწვი წამოებურძგლება და უცხოს ეგონება, ეს ძაღლი საკბენადაა მზად და მოვერიდოო, ჩვენ ჩვენი მუღამი გვაქ! თავისუფლად შემიძლია გაღებულ პირში ხელი ჩავუყო, ანაც ზურგზე შემოვაჯდე. პრობლემ იოხ! პალკანას მარტო მე კი არა, მთელი ჩემი კლასი რო შეაჯდეს, ყველას ზიდვა შეუძლია, მაგრამ სად არი მასე ხალხო! ფრთხილად, ბრატ, პალკანასთან ზედმეტი არაფერი მოგივიდეთ, თორე, ბარძაყის ან დუნდულის მოვლა მოგიწევთ კარგა ხანს! უბნის ყოჩი იყო პალკანა!

არადა, მე და ემგვერასაც მოგვიწია მაგ ყოჩის გამო 2-2 თვით საავადმყოფოში წოლამ! ნემსების კეთებამ და ფაფის ჭამამ!

ჰა, ჰა! ეგრევე ის გაიფიქრე ხო, ამ პატარა ბიჭებს ქუჩის მაწანწალა ძაღლი, პალკანა დაკბენდაო, არა?

ამ ფრაზის გამეორება, ალბათ რამოდენიმეჯერ მომიწევს!

ცოტა შორიდან მოვყვები:

მეოთხეკლასელებიდან ზოგიერთმა იცოდა მხოლოდ, მეხუთეკლასელების ნახევარზე მეტი იქ დადიოდა, მაგის ზემო კლასებში კიდე პრობლემა არ იყო – ყველა! თუმცა, ასეც არ შეიძლება, ძვირფასო მშობლებო, სკოლის ასაკის ბავშვებს ყურადღება მიაქციეთ, თუ შეიძლება!

არა, ბევრიც არაფერი:

სკოლიდან ასე, სამასი-ოთხასი მეტრის მოშორებით წყალსაცავი იყო, მრგვალი წყალსაცავი, რომელსაც ლოგიკური სახელი ჰქონდა „კრუგლი!“ ზაფხულის ცხელ დღეებში მე და ეძგვერაც საკმაოდ ხშირი სტუმრები ვიყავით ამ წყალსაცავისა, თუმცა შიგ ჩახტომასა და გაგრილებას ვერც ერთი ვბედავდით. არადა, ცურვა ორივემ მშვენივრად ვიცოდით, მაგრამ მშიბლების დამჯერი შვილები გვერქვა. ყველა ვიზიტზე პალკანა თან რო გვახლდა, მაგის გამეორება ზედმეტობა მგონია და მგონი არცა ღირს.

იმ დღეს, ეძგვერას, არ ვიცი რა ღმერთი გაუწყრა... კრუგლიზე ასულები აღტაცებით ვაკვირდებით წყალში მოლივლივე მეხუთეკლასელებს და ზემოთ. ამან, მეც უნდა ვიბანავო, რაც იქნება, ის იყოსო! მაშინვე გავახსენე მშობლებისათვის მიცემული პირობა, რო წყალში არაფრისდიდებით არ ჩავიდოდით, მერე ის ვუთხარი – საცაა პიონერები გავხდებით და ნაღდ პიონერს კრუგლიში ჭყამპალი არ შეშვენის-მეთქი, მაგრამ ეძგვერას იმ დღეს ეტყობა ხატის ღვინო ქონდა დალეული.

თავიდან თამამად გადახტა. ერთი 8-9-ჯერ მოუსვა მკლავური და აქეთ უკვე ღრმავდებდა და ვუყვირე – ეძგვერ, გეყოფა, ახლა აქეთ გამოცურე-მეთქი. იმან მშვენივრად გაიგო ჩემი ყვირილი და შემობრუნდა. ორი-სამი მოსმაც და, ეძგვერა აღარც ხმას იღებს და ვატყობ ნელ-ნელა საცაა ჩაძირვას დაიწყებს. მე ჯერ ისე არ ვიცი ცურვა, რო ერთგული მეგობარი გადავარჩინო დახრჩობას. არადა, ახლოსაც არავინაა, ვისაც შუძლია მიუსწროს! იასნია, მე ჩემსას შევეცდები!

მოკლე შრავალი გავიძრე, (ხო გახსოვს, მაშინ ჩვენ, პატარებს ყველას მოკლე შარვლები გვეცვა და გრეხი იყო), ზემოდანაც წამოვიხადე პერანგი და რო ვაპირებ, წყალში გადავეშვა, რაღაცა მუჯლუგუნს ვგრძნობ ფერდში. ძაან გამიხარდა – მეთქი ვინმე უფროსმა შენიშნა ეძგვერა და ამ წუთში გადაარჩენს-მეთქი, მაგრამ სანახევროდ რო შემოვტრიალდი პალკანა შემრჩა.

ერთმანეთს ვენდობოდით! ვინმე უფროსი კი არა, რესპუბლიკის ჩემპიონი რო გამჩითვოდა დასახრჩობად განწირულთა გადარჩენაში, ალბათ, ამაზე მეტად არც გამიხარდებოდა:

– პალკან! მიდი, აბა შენ იცი, ერთგულო პალკან! – დავიბღავლე.

არავინა თქვას, დედამიწაზე მობინადრე რომელიმე დელფინი პალკანაზე ჭკვიანი და გაგებულიაო!

ამან მყისიერად ისკუპა და რამდენიმე წამიც არ დასწირვებია, უკვე ეძგვერასთანაა. აესე – წინა ორივე ფეხს გაიქნევს, თავს გააბარტყუნებს და უკანა ფეხებითაც სხარტად მიცურავს. მაგრამ აი, რო მივიდა ეძგვერასთან, ახლა რაღა ქნას არ იცის. ამას ცივი წყლისაგან, როგორც ეტყობა ორივე ფეხის ძარღვი აქ განასკვული და საცოდავად ხელებსღა იქნევს... უკვე ბლომად წყალი აქ ნაყლაპი.

პალკანამ ჩაყვინთა და გაუჩინარდა. ეეე, პალკან ასეთ დროს ღალატი ვის გაუგია, ძმაო? თუმცა არც მჯეროდა იმისი, რასაც ვფიქრობდი... რის ღალატი, რა ღალატი! უცებ ეძგვერა წყლის ზედაპირიდან ასე 5-6 სანტიმეტრზე მაღლა ამოიწია და ჩემკენ გამოცურდა. პალკანა არსად ჩანს!

ხო არ გგონია, რო, რაკი აღარ გამოჩნდა, პალკანა ეძგვერას გადაარჩენს და თვითონ დაიხრჩობა?!

არა, ჩემო კარგო!

ამ გაწამაწიაში რო ვართ, უფროსკლასელებმაც დაინახეს და ზოგიერთმა კიდეც ისკუპა წყალში ეძგვერას გადასარჩენად (მასწავლებლის შვილია ეს ეძგვერა ბოლო-ბოლო). თუმცა, რად გინდა, ვერ მიუსწრეს! ეძგვერა უკვე ნაპირზე მყავს ამოთრეული და მის გვერდით პალკანა ქასქასებს! აბა, ამას შეხედეთ, ხალხო – თან ლოკავს ეძგვერას – თან ბრაზიანად უღრენს – ხო გითხრეს, წყალში არ ჩახვიდეო, შეიძლება ასედაც ეუბნება – შე ჩემისა, ხო გითხრეს გარკვეულად, წყალში არ ჩახვიდე, შენ რო რამე მოგსვლოდა, რა უნდა მექნაო!

ჩვენი ქალაქის ნებისმიერ უბანში ძაღლი თუ გაცოფდა...

მტრისას და ავისას!

ნოდარ დუმბაძის მოთხრობას არაფერს ვერჩი, მაგრამ გაცოფებული ძაღლის უბნის ძაღლებს რამენაირად იზოლაცია რო უნდა გაუკეთო, ეგ ნაღდია! არა, დახოცვას არ ვგულისხმობ! რამენაირად, სხვანაირად!

ჩვენს უბანში გაცოფდა ერთი ძაღლი – ბრუნო ერქვა. საოცრად უწყინარი ვინმე – ბალონკა, მაგრამ ეტყობა სხვა უბნის ძაღლებთან მოუვიდა სტიჩკა და იქ კიდე ვიღაცამ გაჰკრა ცოფიანი ბრჭყალი!

კარგი ცუგა იყო ბრუნო... აი, ხო გაცოფდა, მაგრამ არც არავინ დაუკბენია, არც დაუდორბლია! მიხვდა, რო ბავშვებისათვის საშიში, და საერთოდ ჯანმრთელობისათვის საშიში გამხდარიყო მისი არსებობა და აესე, უმოძრაოდ, უმოქმედოდ წამოწვა სკოლის შუა ეზოში. მაშინ გავიფიქრე, რო ეს წამოწოლა პროტესტის ერთგვარი გამოვლენა იყო! ბავშვები ათას რამეს ურტყამდნენ (ხანდახან რა სასტიკები არიან ბავშვები!), ეს კიდე ხმასაც არ იღებდა – წყნარად იწვა, ცას შესცქეროდა!

არა, ხანდახან ზედმეტი რო მოსდიოდათ ბავშვებს ჩარტყმა და რამე შემზარავად წამოიღრენდა და კბილებსაც ისე აელვებდა, ყველა უკან იხევდა და მაშინ იყო ჩვენმა პალკანამ რო...

ოოოო, ისეთი დაიღრინა! თან თეთრი ეშვები!

ბრუნო საშინელ ტანჯვაში მოკვდა!

ვპერიოდ ჩორტი! ახოტა ნაჩინაეტსია! – მთელ უბანს „აბლავას“ ხალხი შემოესია და ძაღლი აღარ მოიპოვებოდა უკვე. რაღა თქმა უნდა პალკანას არავინ შეხებია!

რატო და საყელურიც ვაყიდინეთ ეძგვერას მშობლებს (ბოლო-ბოლო შვილი გადაურჩინათ), რეგისტრაციაშიც იყო გატარებული, მაგრამ ამხელა ძაღლს სახლის, კორპუსის პირობებში ნაღდად ვერ შეინახავდა ვერავინ.

როგორც წესი, მე და ეძგვერა მესამე სართულზე შევხვდით ერთმანეთს. დილაა, ცხრის ნახევარი და სკოლაში მივდივართ. დღესაც რო დავაგვიანოთ, ვიცით უკვე, მაგრად დაგვერხევა – მშობლებს დაიბარებენ და ჟურნალშიც ორიანი ცუდი ყოფაქცევისათვის!

– გავრბივართ? ეძგვერა მეკითხება;

– მა რაა! – მინდა ვუპასუხო, მაგრამ...

სული რა არის, რავიცი მესამეკლასელმა ბავშვმა, მაგრამ ნაღდად სულისშემძვრელი ყმუილი მესმის. ნაღდად ისინი არიან – „აბლავაა“ !

– პააალკააან!

პალკანა, როგორც წესი, კიბეებთან გველის. ერთი სული აქ, როდის დაგვინახავს, რო ჩვენ არაფერი გვემუქრება – ჩვენ რო არ დაგვიწერენ ეს საზიზღარი ძიები, ბადით ხელში და

კიდეც დაგვინახა. მერე დააწვა და „მეძაღლეებისაკენ“ გაქანდა, მორიგ ფინიას რო იწერდნენ – სახელად კოკის.

მე და ეძგვერა გამალებული გავრბივართ! პალკაააან! – ტირილს ბევრი აღარაფერი მიკლია. პალკანა გარშემო ურბენს მეძაღლეებს და ისე შემზარავად ყმუის, რო ეძგვერა ხმამაღლა ღრიალებს:

– ძიებო, ეგ ძაღლი ჩვენი ძაღლია, არ წაიყვანოთ,

რაა, გეხვეწებით!

იმათ, რა სუ არ ეკიდათ!

კოკი ძაღლსაჭერ მანქანაში შეაგდეს და პალკანას

მოუბრუნდნენ.

ეეე. ძვირფასო ძაღლმჭერებო, თქვენ პალკანა

ცუდად გიცვნიათ. არადა სუ იმას გაიძახით კინოლოგები ვართ, ძაღლის ლუბოი ავან-ჩავანი მშვენივრად გვესმისო.

პალკანამ იმათ დედებს ძაან გულთბილი მოკითხვა

გადასცა! ერთს ცრუ მოძრაობით ეცა და მისი ბარკლიდან კარგა მოზრდილი ნაჭერი დაითრია, მეორეს დუნდული გაუფატრა. ამათ, მეძაღლეებს, რა იცი, რა ხდება, იარაღის ტარების უფლება ჰქონდათ და კიდეც ჰქონდათ იარაღი! ერთმა გააძრო და ესროდა კიდეც, ალბათ, მაგრამ...

კუდუსუნის მხარე თავის კუდიანად ეძგვერას უჭირავს, მე კიდე კისერზე მაქ შემოხვეული ხელი და ვეუბნები: – ძმურად გეხვეწები, პალკან, ნუ მკაწრავ... რა ვუყოთ, კოკი მარტო შენი მეგობარი კი არ იყო, ჩემიც იყო. მიჰყავთ, რა ვუყო... იმას ვეღარ გადავარჩენ და შენ მაინც დარჩი-მეთქი...

პალკანამ შემხედა – შიგ თვალებში შემხედა და მაშინ მივხვდი, მესამეკლასელი ცინგლიანი. არა, რას მივხვდი, იცი? პალკანამ მითხრა – კოკი მიყვარსო...

მოკლედ, დიდის წვალებით ავათრიეთ ჩვენი პალკანა მეოთხე სართულზე და საშრობში გამოვკეტეთ. გასაღები კმაყოფილმა ეძგვერამ ჩაიდო!

თუმცა, მე და ეძგვერასაც მოგვიწია პალკანას გამო 2-2 თვით საავადმყოფოში წოლამ! ნემსების კეთებამ და ფაფის ჭამამ!

ჰა, ჰა! ეგრევე ის გაიფიქრე ხო, ამ პატარა ბიჭებს ქუჩის მაწანწალა ძაღლი, პალკანა დაკბენდაო, არა?

ამ ფრაზის გამეორება, ალბათ რამოდენიმეჯერ მომიწევს!

ოოოო, მშობელთა კრებაზე მაგრა დაგვამუშვეს! აღმოჩნდა თურმე, რო მე და ეძგვერა ძნელად აღსაზრდელი ბავშვები ვართ, რო ხელს ვუშლით ჩვენი საზოგადოების ნორმალურ არსებობას, რო ჩვენგან რეციდივისტებისა და ყაჩაღების მეტი არაფერი გამოვა. ეძგევრასა და ჩემი მშობლები თავჩაღუნულები ისხდნენ და ბოლოს მამაჩემმა დირექტორს მიმართა:

– თქვენ, ბატონო გოგი, თქვენ შემთხვევით,

უკაცრავად და ხო არ ანძრევთ? – ძაან მაგარი მამა მყავს! ვენაცვალე!

– ბავშვებს ცხოველები უყვართ, კერძოდ ძაღლი და,

რა სიყვარულს უკრძალავთ?

ადგა და გავიდა მამა.

ყველაფრისათვის დიდი მადლობა, მაამ, ჯიიიიიგარი ხარ!

დირექტორს ენა რავი სად, მაგრამ ჩაუვარდა...

პალკანა გადარჩა...

მამაჩემმა, შვილო, მასე თუ გიყვარს ეგ ძაღლი, აიღე და სახლში ამოიყვანე, პრობლემა არ არისო. მაგ შენს დირექტორს, საჭირო თუ გახდა, პალკანას სოროს სანატრელად გავუხდიო, მაგრამ ვერა...

მე, ეძგვერა და პალკანა იმიტომაც ვიყავით ასე კარგად, რო ჩვენ ურთიერთობებში არავინ ერეოდა და უცებ, ნახე თავად სკოლის ბატონი გოგი დაინტერესდა, მერე მშობელთა კრება და რამე...

აარა! მამა, ყველაფრისათვის მადლობა, მაგრამ პალკანა ეზოს ძაღლია, მაგას სამოთახიან ბინაში, თანაც მეხუთე სართულზე-მეთქი... დაიტანჯება, ვერ გაქაჩავს...

თუმცა, მე და ეძგვერასაც მოგვიწია მაგის გამო 2-2 თვით საავადმყოფოში წოლამ! ნემსების კეთებამ და ფაფის ჭამამ!

ჰა, ჰა! ეგრევე ის გაიფიქრე ხო, ამ პატარა ბიჭებს ქუჩის მაწანწალა ძაღლი, პალკანა დაკბენდაო, არა?

ამ ფრაზის გამეორება, ალბათ რამოდენიმეჯერ მომიწევს!

ყველაზე მეტად დამატებითი, მეექვსე გაკვეთილი მეზიზღება. არც პალკანას უყვარს. სკოლის ჭიშკართან წამოწვება, თავს წინა თათებზე დაიდებს და არი გაყუჩებული. მეექვსე გაკვეთილად ქართული წერა გვაქვს და რა თავისუფალი თემაა – ვინ მიყვარს ყველაზე მეტად დედამიწის ზურგზე, ის უნდა დავწეროთ. მესამეკლასელმა ბავშვმა მშვენივრად კი ვიცი, ვიცი, ვინც მიყვარს ყველაზე მეტად, მაგრამ იმას ვერ ვხვდები ამის ფურცელზე გადატანა რაღა საჭიროა!!!

იდიოტივით ვზივარ და არფერს ვწერ.

არც ეძგვერა.

ჩვენ, ორივეს ჩვენი მშობლები, ესე იგი დედა და მამა ყველაფერს გვირჩევნია ამ ქვეყანაზე და მერე მოდის სხვა რაღაცეები – ვის ლიმონათი, ვის შოკოლადი, ვის ფახლავა და ასე შემდეგ...

ალიონა მასწავლებლის გაკვეთილზე განძრევაც კი შეუძლებელი რამ იყო...

თმას თავი დაანებოთ, თითების კანკალსაც, ციებიანივით ცახცახსაც და ხმა მესმის ხალხო... ასეთ ხმას მარტო პალკანა თუ გამოსცემდა!

ეტყობა თვლემდა ჩვენს მოლოდინში და მაშინ წამოეპარნენ მეძაღლეები და გადააცვეს თავზე ის საზიზღარი ბადე. წაიყვანენ ახლა ჩვენს პალკანას – თავში ჩარტყმით მოკლავენ და მერე საპონს გააკეთებენ მაგისი ხორცისაგან. ტყავი, რა ვიცი შეიძლება ჩუკოტკური მგლის ტყავადაც გაასაღონ (ტანად დიდია და იმიტო!);

ეძგვერამაც წამში იცნო პალკანას განწირული ყეფა! არა, ჩვენ კი არ გვეძახდა, მიშველეთო. იცოდა, ბადეში გახვეულს აღარაფერი უშველიდა (დასაწყისში ხო ვთქვი ძაან ჭკვიანი თვალები ქონდა-მეთქი!), უბრალოდ გვემშვიდობებოდა მე და ეძგვერას და მაშინ იყო, ძმებო, რო არც ეძგვერას და არც მე არაფერი გვახსოვს...

დანარჩენი კლასელებმა და მშობლებმა გვიამბეს:

ალიონა მასწავლებელი გვკიდია და მე და ეძგვერა ფანჯარაზე ვართ გადაყუდებულები

– ბიძიაააააააა! ეგ ძაღლი ჩვენია, კარგი ძაღლია, პალკანა ქვია! გეხვეწებით! გემუდარებით! არ წაიყვანოოოოოთ!

ძაღლმჭერებს ჩვენი ყვირილი კი ესმით, მაგრამ დიდ ყურადღებას არ გვაქცევენ. სამაგიეროდ პალკანა გვხედავს და ჩუმდება, აღარც წკმუტუნებს, აღარც ყეფს.
თითქმის მანქანაში შეაგდეს და ვხვდები, რო რამე რო არ გავაკეთოთ, რამოდენიმე საათში ჩვენი პალკანასაგან საპონი გაკეთდება.
ემგვერა და მე ერთმანეთს შევცქერით და მტკიცედ ვიღებთ გადაწყვეტილებას....
ზემოთ არა ვთქვი?
ვინმეს რო ეთქვა, პალკანას გულისათვის მეორე სართულიდან თუ გადმოხტებიო, ერთ წამსაც არ დავკარგავდი ფიქრისათვის, – საიდან გადმოვხტე, აბა, მანახეთ-მეთქი ვიტყოდი!
ქართულის გაკვეთილები მეორე სართულზე გვიტარდებოდა!
ახლა მთავარია, მეძაღლეების ყურადღება მივიქციოთ რამენაირად და – ერთი, ორი, სამი და ისეთი ღრიალი მოვრთეთ მე და ემგვერამ, იმ მომენტში მთელი სკოლა დადგა ფეხზე, მაგრამ გვიან იყო უკვე.
გამიხარდაააააა! მეძაღლეებმა დაგვინახეს!
ორი ცინგლიანი მესამეკლასელი მეორე სართულის ფანჯრის რაფაზეა ამძვრალი და ხელებიც გაშლილი აქვთ გადასახტომად. მაგრა შეშინდნენ ეგენი, თუმცა, არც იცოდნენ, რო ჩვენ პალკანას მეგობრები ვიყავით! დააღეს პირები და გვიყურებენ ეგ ჩემისები. პალკანას ხელს არ უშვებენ! პალკანა კიდე გვიყურებს და ვგრძნობ – ბიჭებო, თავს მიხედეთ, ამათი პატრონის დედაც, მე რაც მომივა, მომივიდეს, არაფერი იტკინოთო...
მეძაღლეებმა ვერავითარი კავშირი ვერ დაინახეს პალკანასა და ორ ცინგლიან სკოლის მოსწავლე შორის და პალკანას უფრო საიმედოდ მოყუჩება განაგრძეს.
ემგვერას გავხედე და იმანაც მზადყოფნა მანიშნა!
აბა, ერთი, ორი, სამი!
გადავეშვით!
აღარც მეძაღლეებს, აღარც სკოლის დირექტორს, განათლების სამინისტროს პირველ პირს, ჩვენს მშობლებს....
ვიღას ეცალა პალკანასათვის...
მეძაღლეებმა, იასნია პალკანას თავი ანებეს და თავპირისმტვრევით გამოქანდნენ.
ჰოდა, მე და ემგვერასაც მოგვიწია პალაკანას გამო 2-2 თვით საავადმყოფოში წოლამ! ნემსების კეთებამ და ფაფის ჭამამ!
ჰო, მართლა!
კიდე კაი, პალკანა მიხვდა, რო სწორედ მისი გულისათვის ჩავიდინეთ და არც ამაგი ჩაგვიყარა წყალში. ანუ ჩენკენ კი არ გამიქცა, როგორც იცოდა...
დამფრთხალი და შეშინებული კი არა, დინჯი ნაბიჯით გაუყვა გზას!

ირმა ტაველიძე

მე, ფრედერიკი

წვიმა და სამუშაო დღე ერთდროულად დაიწყო.

ოთახში რთული შემადგენლობის სუნი დგას, ღამენათევი, საამაყო წარსულზე მეტყველი. ბიჭები არ ჩანან. დამლაგებელი თერთმეტამდე არ მოვა და არც შავეტიკეტიან ბოთლებს, ნამწვებით სავსე კოლოფებს, ეგზოტიკურ სანელებლებში ჩამბალი კარტოფილის ყუთს გაიტანს. მარხვაზე არიან, გოჭები!

tavelix@yahoo.fr -ზე ორი წერილი დამხვდა: რუანიდან და საბურთალოს ინტერნეტ-კაფედან. (პირველი გრძელი და უშინაარსოა, მეორე – შესაშური ინფორმაციულობით მოკიაფე, კომპაქტური: „7-ზე, „სუპერის“ წინ“ , პეკინზე“).

ჩამობნელდა. სურვილად სახეცვლილმა სიტყვების კომბინაციამ ჯერ გულის კიდე მომწიწკნა, მერე ტვინის ხვეულებში სიროფივით მდორედ ჩაიღვარა: იქნებ არ მოვიდნენ...
როგორც ყოველთვის, თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ.
მოთენთილსახიანი ფოტომოდელების ღიმილი. პრივეტ! გასაღებების ჩხაკუნითა და პოლიფონიური იავნანით გამოფხიზლებულები. პორნოსაიტების ჭია-ღუა.
– შეცვალე რა, ამ მუსიკაზე სულ ის ეპიზოდი მახსენდება...

პირველი შეკითხვა: რატომ მინდა, რომ სარეკლამო კომპანიის ყველა თანამშრომელს ენა სასაზე მიეწებოს?

სახელები: გი, სერგი, მამუკა, მიშკა, დათუნა (ხანდახან ეკაკოც, კლიენტთა მომსახურების განყოფილებიდან, მთელი დღე ჩაის-ჭიქის-ფსკერზე-ჩარჩენილ-ლიმონისფრად გადაღებილ ჩვენს ოთახში რომ ზის).
როგორც ყოველთვის, შთაგონებული სახეებით უსაქმურობენ და აჭრიალებული სკამის პასუხად, საყვედურნარევ კითხვებს მიბრუნებენ:
– უკვე მორჩი?
– ჰო.
– ის ადაპტაცია, სპილოების ოჯახი და ანტიბაქტერიული საპონი?
– ჰო.
– სლოგანები?
– ჰო. და იმათ გადავუგზავნე.
– ვააა... როდის ქენი ეგ ყველაფერი?
– ამ დილით. ორშაბათამდე მოსასწრები სცენარიც ქსელშია. ნახავ?

– მინერალური ჭყლის სახელი?
– „თებრონე“.
– სხვა ვარიანტები არა გაქვს?
– მაქვს.
– იფიქრე რა, სხვა სახელებზეც იფიქრე...

წვიმის ხმას ფრანგული მელოდრამების განწყობა მოაქვს – მოტკბო და არომატული სევდა, ერთი გულის კოვზი ტკივილი, მოგონებების კრემ-შანტიი. ვამჩნევ, რომ ხელი უნებართვოდ, საკუთარი ინიციატივით მოძრაობს და ხსნის საქაღალდეს, სახელწოდებით „tavelix“ „ და მერე სხვა საქაღალდეს, რომელშიც სურათებს ვინახავ. არ ვიცი, ეს საათივით აწყობილი თავდაცვის მექანიზმია, თუ სიყვარულის გაფუჭებული მაღვიძარა.
ამ თითებთან ისტორიული პერიპეტიები არ მაკავშირებს, არც გაზიარებული სითბო, არც არაფერი – ერთმნიშვნელოვნად ფიზიკური.

უცებ სურვილი მიჩნდება, რომ რაღაც მოვყვე.
ვწერ:

„იმ ქვეყნის, ანუ საბჭოთა კავშირის მრავალსართულიან შენობებში მოწესრიგებული და კანონმორჩილი ბავშვები ცხრა საათზე იძინებდნენ. ამას ბურჟუაზიული სენი – ქრონიკული უძილობა – დაბადებიდან დაჰყვა (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე სჯერა), რის გამოც იმ იოლადმოსაგონარ წლებში იძულებული იყო, ყოველთვის ბოლომდე ენახა ფილმი, რომელსაც სასკოლო ღონისძიების პროგრამასავით მოსაწყენი და ერთფეროვანი გადაცემების ბოლოს ან გამოიმეტებდნენ, ან – არა. როცა ყველას ეძინა, ტახტის კუთხეში მიმჯდარი, ლიმონის ხესავით შეფუთული, მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, ღამის კინოსეანსიც ისეთივე მომაბეზრებელი არ აღმოჩენილიყო, როგორც კლასის დამრიგებლის გაუთავებელი ბუზღუნი: რა სუნია, ისევ ის დაისხი, არა? აბა, თითები მაჩვენე... ხელი, ხელი გამოშალე-მეთქი. ეს რა არის? ჩემი სიკვდილიიი, ამის შეღებილ ფრჩხილებს შეხედეეეთ... კინოში ქალებს თეთრი ქურქები ეცვათ და ბევრს ეწეოდნენ, ან გვირილებით გადათეთრებულ მინდორში გარბოდნენ, ან კრებას იწვევდნენ, გაფართოებული შემადგენლობით, დამალულ სიტყვებს შორის გაჩენილი ხანძრით, საკუთარი ხელით გათხრილი სამარეებითა და დამღუპველი დუმილით. ეს კარგად ნაცნობი სურათი იყო. თანდათან სულ უფრო იოლი გამოსაცნობი ხდებოდა, რა რას მოჰყვებოდა, ვის შეიწყალებდნენ, ვინ გამწარდებოდა და თვითმკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობას დაიბრალებდა. თუმცა ხანდახან სხვა კადრებიც ჩნდებოდა: მოცეკვავე წყვილი, ქალის მოშიშვლებულ ზურგზე მსუბუქად მოსრიალე ხელი, ვითომ-უსახელო სურვილით სავსე თვალები, სხვადასხვა ინტონაციით ნათქვამი „მიყვარხარ“ და ამ ფრაზით დამთავრებული კინო. შავ ფონზე თეთრი ტიტრები. ან პირიქით.

ისინი, ვინც მომდევნო თვეებისა და თითქმის ოცი წლის შემდეგაც არაერთხელ გაახსენდება, მაშინ ნახა – ტახტის კუთხეში მოკუნტულმა, სასაცილოდ

ფეხმორთხმულმა და ფოჩებიან შალში გახვეულმა. შავ-თეთრი ტელევიზორი მალევე გამორთო (იმ კადრის გარდა, მაინც ველარფერს ხედავდა), თვალებზე ხელი აიფარა და წარმოსახვით ნიჟარაში შეყუჟულ ლოკოკინა – დელიკატესად იქცა. ფრანგული ფილმი იყო, ცნობილი მსახიობებით. თხელკაბიანი ქალი მაღაზიის ვიტრინასთან თუ ბარ-რესტორნის შემინულ კართან იდგა (ეს არაარსებითი დეტალია). ირგვლივ ხალხი ირეოდა, დამახასიათებელი, გაბმული კინო-ზუზუნით. სადღაც ფორტეპიანოზე უკრავდნენ. როგორც ჩანს, კადრს მიღმა დარჩენილი შავკანიანი მუსიკოსი ოინბაზობდა. ხალხმრავლობის მიუხედავად, კაცმა იოლად შეამჩნია, საკუთარ თავში დარწმუნებული მონადირის ნაბიჯებით მიუახლოვდა, გაუღიმა და ამ დროს რაღაც ისეთი ჩაიდინა, რამაც თვალებგაფართოებული ბავშვი ერთ გაწელილ წამში კინაღამ მოკლა – მისალმებისთანავე მარცხენა ხელის საჩვენებელმა და შუა თითებმა მსახიობი ქალის ძუძუსთავს მიაგნეს და სანამ კაცი აუღელვებლად ლაპარაკობდა, კაბის თხელ ქსოვილში იოლად შესამჩნევი მოძრაობით მოსინჯეს...“

მეორე შეკითხვა: „რა აზრი აქვს ამ თამაშის წამოწყებას, როცა პირველი შთაბეჭდილების შეცვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია?“

მოკლე დახასიათება:
გი პროდიუსერია, ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო და, პერიოდულად, ფეხმოტეხილი ქოფაკივით უბედური.
სერგი ამსტერდამში გატარებული სექტემბრის შემდეგ ისე შეიცვალა, ძველი ფოტოებიდან საკუთარი თავი ამოჭრა და სარეკლამო კოლაჟებისთვის იყენებს (ესენი ამბობენ, „გაპიდარსდაო“, მაგრამ დილაობით ისეთი ნატანჯი სახე აქვს... ვერ ვიჯერებ).
მამუკასთან ურთიერთობა ვერ ავაწყე. ესეც დიზაინერია და თუ მოინდომა, მარსზე ყვავილების ქვეყანას გააშენებს, საკუთარი ბაღში დაკრეფილ ყაყაჩოებს გულზე გადაიყრის, კრატერების პირას ჩოქვითაც იფორთხებს... მაგრამ ხანდახან შენც უნდა გაუსწორო და მეტი საქმე არა მაქვს, რაააა...
მიშკას თანამშრომლებთან ფლირტი სავალდებულო ჰგონია. ბავშვია, ბავ-შვი.
და ბოლოს, დათუნა, როგორც ყველაზე ჭკვიანი, ხვდება, რომ ამ რადიაციულ, ჯანმრთელობისთვის მავნე ატმოსფეროში დიდხანს ვეღარ გავძლებ. ეჭვიც არ მეპარება, წარმოსახვით უკვე არაერთხელ დამემშვიდობა, მანამდე კი ორივე ხელი ჩაიქნია, უფრო არტისტულად – სონიერიკსონიანი.

ბიჭებმა იციან, რომ შემოქმედებითი ჯგუფი დაშლის პირას არის და მიზეზი მე ვარ (ისევე, როგორც სახელმწიფო, კანონი სარეკლამო კომპანიების საქმიანობის შესახებ, გვიანი შემოდგომის წვიმიანი დღე, სეზონური დეპრესია). ამიტომ აღიზიანებთ ყველაფერი.

tavelix@yahoo.fr -ზე კიდევ ერთი წერილია, ამჯერად ნიუ-იორკიდან: „ცოლ-ქმრობა ერთი გრძელი და სევდიანი ამბავია, ირმა“.ვიზიარებ. ვიზიარებ.

მაგიდაზე აუცილებელი ანტიდოტი, ფრედერიკ ბეგბედერის ბესტსელერი – „99 ფრანკი“ დევს. წაკითხულის გადაკითხვა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ახლა საამისო განწყობა არ მაქვს.

– ქვემოთ ჩავდივარ.
– „სეშენი“ არ დაგავიწყდეს, სამზე...
– ოკე.
– ხო იცი, «სეშენ ვეჩენ».
– ჰო, კაი.
– ეგ ვინ არი, სურათზე?
– ჩემი ბოლო სიყვარულია.
– ჰოოო? რა ჰქვია?
– რა ვიცი, რა აღარ...
– კარგი წადი და არ დაიგვიანო.
– „სეშენზე“ რას ვაკეთებთ?
– მინერალური წყლის სახელს ვარჩევთ, კიდე ის – «ივენტის» ორგანიზება რომელიღაც ბენზინგასამართი სადგურების ქსელისთვის და ტორტიც იქნება რა, მიშკას დაბადების დღეა...
– გა-სა-გე-ბი-ა.
- და ეგ შენი აქტიორი აქამდე რატომ არ ვიცოდით?

მესამე შეკითხვა: რა ჰქვია ამ ბიჭს?

გვიანი შემოდგომის ქარიანი დღეა – საზიზღრად მტვრიანი, ხმელფოთლიანი. აღარ წვიმს, მაგრამ სველ ტროტუარზე სეირნობა და ცივი ჰაერის მომცრო ულუფები ათასობით სინათლის წელიწადით მაშორებს სიამოვნებას.
მშია.
„კონტინენტალში“ დიეტურ იოგურტს ვყიდულობ და მერე, კუთხის კაფეში, წითელწინსაფრიან ნაცნობ ქალს ვეუბნები:
– უშაქრო ჩაი, კექსი და ერთი კოვზი სიყვარული, s'il vous plait.
აქ თითქმის არასდროს აქვთ ის, რაც მინდა.
(შემეძლო, წინდახედული ვყოფილიყავი და გარედან შემომეტანა მუხლების კანკალი, გადაფითრება, დაბნეულად წამოსროლილი სიტყვები ან სრულიად უადგილო, გაუმართლებელი სიჩუმე).
მერე ისევ ნოემბრის ამინდს – მარცხენა ფეხზე ამდგარ დედინაცვალს – ვუბრუნდები.

ბიჭების გაღიზიანების ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ის არის, რომ, სტატუსის მიუხედავად, შემოქმედებითი ჯგუფის სუპერ-წევრად არცერთს არ ვთვლი. არცერთი არ მაინტერესებს. არ ვიპრანჭები. არ ვეპრანჭები. ნებისმიერ შესაძლებლობას ვიყენებ, რათა თვალს და ხელს შუა გამოვეცალო, პორნოფილმების უჰაერო სივრცეს შევატოვო, ეს ვითომ-არმსტრონგები, გაგარინ-ჯუნიორები... მიზეზი? მეტი ჟანგბადი და სიმწვანე

მინდა. სხვა მიზეზი? ალბათ ისიც, რომ სამწუთიან სექსსა და შემწვარ კარტოფილზე გადარეული გოჭები არიან. კიდევ ერთ მიზეზი: საქაღალდე „tavelix“-ის შიგნით მოთავსებული საქაღალდე. სხვა რა ვთქვა, თუ ფილოსოფიურ განსჯას ელოდით, თავს შევიკავებ.

ჰო, მთავარი: ვფიქრობ, რომ საწოლშიც ისეთივე არაშემოქმედებითები იქნებიან, როგორც საერთაშორისო სატელეფონო ოპერატორის ბროშურაზე მუშაობისას.

ეჭვიც არ მეპარება, ათასჯერ აქვთ გადათხრილი, გახსნილ-დახურული, გადალაგებულ-გადმოლაგებული ჩემი ყველა ფსევდო-საიდუმლო, C და D დისკებზე შენახული ფოტო-მოგონებები, გაუგზავნელი წერილები, დაუმთავრებელი რომანის ფრაგმენტები... რასაკვირველია, ვერ ხვდებიან, რომ ხანდახან მხოლოდ დროის გასაყვანად ან მათ გასასულელებლად ვწერ.

აი, მოვედით: მაღაზია „ჯენტლმენი“ 30%-იანი საშემოდგომო ფასდაკლება. შალის სვიტერები 99 ლარად.

დიდ სარკეში საკუთარ ანარეკლს ვუღიმი. ეს იმ კაცების სამყაროა, რომლებსაც, სულ ცოტა, 99 ლარი მაინც აქვთ საბანკო ანგარიშზე, ანუ პორტერსა და „ორ ლულაში“ შემწვარ კარტოფილზე შეშლილი გოჭების სავანე. მიუხედავად ამისა, შალის სვიტერებს ფერის, ფორმის, ზომის მიხედვით ვარჩევ და ვცდილობ, გამოვიცნო, რომელს აირჩევდა ის და რომელს – ფრედერიკ ბეგბედერი.

მეოთხე შეკითხვა: „რა ვაჩუქო მიშკას დაბადების დღეზე?“

სამი ხდება. „ლიტერატურულ კაფეში“ შევრბივარ და გამომცემლობების სტენდებზე გამოფენილ ეგზემპლარებს ზედაპირულად ვესალმები (შენც აქა ხარ?) წიგნების სათაურებს ნაჩქარევად ვყლაპავ (რა იყო, ცოტა მოკლედ ვერ თქვი?). ერთი-ორი ყელზეც მადგება და ლექსები, ლექსები, ჩქარა! ირმების გუნდი იხრჩობა... ჰო, გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მივიღო – ბრმად, ხელის ცეცებით. სტაკატო.

დარწმუნებული არა ვარ, რომ წაიკითხავს, თუმცა ნებისმიერი საჩუქარი დეკორატიულ ფუნქციასაც წარმატებით ითავსებს და არც ეს იქნება გამონაკლისი (რატომღაც მახსენდება: „ცოლ-ქმრობა გრძელი და სევდიანი ამბავია“ . ყდაზე ხომ არ მივაწერო? არა, ჩემი სიტყვები ეგონება. გამამწარებს).

ოფისში მიბრუნებულს სიცარიელე მხვდება. ასე იციან: დროს დანიშნავენ და მერე დამნაშავეებივით გარბიან აქეთ-იქით.

tavelix@yahoo.fr -ზე ისევ ორი წერილია: საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშესგან (დეკემბრის პროგრამა), და მამუკასგან: „სამარხვო ნამცხვრებზე და კონიაკზე გავედით, მილაშკა“.

რა ვაკეთო? ყველანაირად განწირული რომანის კიდევ ერთ ეპიზოდს ვწერ:

„პირველად იყო და ყველა ნივთს ახალგედა არქეოლოგის თვალით უყურებდა. გრძნობდა, რომელს მეტი ღირებულება ჰქონდა, რომელს – ნაკლები, თუმცა დარწმუნებული ვერანაირად ვერ იქნებოდა. წინასწარ მაინც არ განესაზღვრათ მომსვლელისა და დამრჩენის ადგილი – ფეხმორყეული სკამით, ოქროსფერზოლიანი თეფშით, ძველებური დანა-ჩანგლით. მხიარულობდნენ (როგორც ყოველთვის). ესენი აქ, ის – სამზარეულოში, სადაც რიგ-რიგობით შედიოდნენ შემთვრალი კაცები და სიყვარულს უხსნიდნენ. არა, ისეთ ამბავში კი არა... სუფრასთანაც იჯდა, თან თვალს აპარებდა, უტიფარი, დაუფარავი გაუმაძღრობით, ნეტა რას მიშტერებიაო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ნივთები უცხო ხელის შეხებისთანავე უკიდურესად ინტიმურნი ხდებოდნენ და მისი მზერის ქვეშ მოურიდებლად შიშვლდებოდნენ... ქალების კისკისი ყურადღებას უფანტავდა. ისხდნენ, სვამდნენ – ამის გარდა და კიდევ, იმ გადარეულის, ყველაფრის ხელში აღება, თითებით მოსინჯვა რომ უნდოდა. სასმელის გარეშეც მთვრალი იყო – გარემოებების ხელსაყრელი დამთხვევის წყალობით, იქნებ ჩვევის უმტკიცესი ძალითაც კი. ეს ადგა, სამზარეულოში გავიდა. შევათბობო. შუქის ანთებაც ვერ მოასწრო, ფეხდაფეხ ადევნებულმა მოცეკვავესავით მსუბუქად რომ შემოაბრუნა და სხეულზე მიიკრა. წამში მოიფიქრა, როგორ უნდა აერიდებინა სახე, ტუჩები, საით უნდა გაეწია თავი და მერე რა ეთქვა – ეფექტურად, თეატრალურად, მძაფრი შთაბეჭდილების მოსახდენად. ერთი სიტყვით, ნაცნობი სცენა იყო, ნაცნობ დეკორაციებში. იმ საღამოს გულწრფელად უნდოდა, ტუჩები, ენა გადაერჩინა – სასურველი ალერსის კოქტეილისგან, სისულელის ტკბილი დესერტისგან...

მაგრამ ის, რაც სინამდვილეში მოხდა, წარმოსახვის ზღვარს იმდენად სცილდებოდა, რომ ჩურჩულიც კი სრულ შეუძლებლობად იქცა. სცენარი შეიცვალა. გაოცებისა და სურათის არაბუნებრივი სილამაზისგან სუნთქვაშეკრული მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ბოლომდე მაყურებლად დარჩენილიყო და უმცირესი წვრილმანებიც კი მეხსიერების ფართოფსკერიან თასში შეეგროვებინა – მარცვალ-მარცვალ. უცნაურად შემთვრალს კოცნა არც უცდია, სახეც კი არ მიუტანია ახლოს. მთვარის შუქით განათებულ ოთახში, პასიურ რეჟიმში მთვლემარე მაცივარსა და ძველ გაზქურას შორის იდგნენ და კედელს აკრულ, წაგრძელებულ ჩრდილებს სრულყოფილ კომბინაციას სთავაზობდნენ: ამას უცნაური სიმშვიდე დაუფლებოდა, ის კი, მუხლებით მკრთალფიგურებიან ფილებს დაყრდნობილი, მარცხენა ძუძუს სწოვდა – სავსე მთვარესავით ნათელსა და მდუმარეს...“
– იმ შენ აქტიორს სწერ?
გი და ბიჭები ხმაურით შემოლაგდნენ.
– აბა, წავედით, წავედით „მითინგ ჰოლში“. განსხვავებული დღე განსხვავებულად უნდა აღვნიშნოთ.
მამუკა სანახევროდ სავსე პარკებსა და ხის მასიურ ჩარჩოს მოათრევს (ეს, ალბათ, საჩუქარია).
– ბასასუნააააა!!!! იუბილარიიი!!!

ეკაკო.
– მიშ, გილოცავ და რა ვიცი...
ორიგინალური მილოცვის ავტორობა ბოლომდე შევიფერე.

მეხუთე კითხვა: რატომ არ ვცდილობ, რომ ერთი ნაბიჯი მაინც გადავდგა პროფესიული განვითარებისა და ხელფასის ზრდის გზაზე?

როგორც წესი, არ ვსვამ. ბიჭები სვამენ და სიგარეტის ფენოვან კვამლში გახვეულ ოცნებებს ფრთხილად მაპარებენ.
(სუსტი ბრონქები მაქვს, თავი დამანებეთ...)
დათუნას უნდა, რომ ისეთი რესტორანი ჰქონდეს, სადაც მხოლოდ შეყვარებულები ივლიან და იმიჯი: „ფეშენია, თუ გოგოს ყველაფერს იქ სთხოვ“ . საჰაერო ბუშტების ლივლივი. ალისფერი ვარდების თაიგულში ან გულის ფორმის ტორტში დამალული ბეჭედი. ყველგან გულები, გულები, გულები... ნუ, კლიენტი მოდის, იხდის, მერე გვიყვება იმ გოგოზე, რა ტიპია, რა გაუსწორდება, რაზე დაეცემა და ჩვენ (ვინ ჩვენ?) ვაწყობთ უსერიოზულეს „სეშენს“ „ ვართ ერთ ამბავში, ვგეგმავთ, საქმეს ვინაწილებთ... და გოგოს რა დაემართება, ხო აზრზე ხარ, სიურპრიზებს მოვუწყობთ, ისეეთს, ისეეთს... არა, სერგო?
სერგი ჩუმადაა, თუმცა რამდენიმე წუთში მინი-სამოთხის საკუთარ მოდელს ქმნის: იგივე ვარიანტი + პლანი. არაა, აქ უკვე ბეჭდები და რამე აღარ ასწორებს... მოკლედ, მყუდრო კაფე, სადაც იმენა იმისთვის შედიხარ, რო დაბოლდე. ზიხართ შენ და ის გოგო დაბოლილები და ბაზრობთ, ჰე, ჰე... მოსაწევების ფართო არჩევანი, მარტო მენიუს გადაშლით რო იკაიფებ, ტო!
მიშკა მთვრალია და ბოლომდე გულწრფელი:
– მეც მინდა რესტორანი... ოღონდ ჩვეულებრივი.

„სეშენი“ გაურკვეველი ვადით გადაიდო. მბეზრდება ეს საკოლმეურნეო ბაზარი. სამუშაო ოთახში ვბრუნდები.

tavelix@yahoo.fr -ზე 1910 წელს გაგზავნილი წერილის ნამსხვრევი ბრწყინავს: „Когда у меня спрашивают: „А как вам понравилась Третьяковская галерея? “ - я отвечаю кратко: „Я была там с Борей“ .

მეექვსე შეკითხვა: რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ სურათი გაცოცხლდეს?

გი ჩემს კომპიუტერთან დაიხარა და მიხსნის, რომ მინერალური წყლის სახელად „თებრონე“ არ ივარგებს, რადგან კლიენტმა ოთხმარცვლიანი სიტყვა მოითხოვა, ღია ხმოვნებით, ჟღერადი, იოლად წარმოსათქმელი. ტე-ბე-რო-ნე. ტებერონე. კარგია! კომპანია ძირითად აქცენტს სამხრეთ ევროპაზე აკეთებს, ექსპორტის მნიშვნელოვანი წილიც სწორედ ამ მიმართულებით წავა და მაგარია: ტებერონე! ტე-ბე-რო-ნე. Si, certo.

– ბასასუნებოოო!!!

ეკაკო.
შემორბის, მაგიდებზე პრეზერვატივებს ყრის და:
– დირექტორმა, კაცებს ექვსი, ქალებს – ორიო.
და ბინძურ გოჭებს?
როგორც ჩანს, რაღაც აქციაა – ამ კედლებში, ჩაიში-ჩარჩენილ-ლიმონისფრად გადაღებილი სამყაროს ტენიან მიკრო-კლიმატში სრულიად წარმოუდგენელი.
საიდუმლო ერთუცნობიანი განტოლებასავით მარტივად იხსნება: ორ დღეში პრეზერვატივებს ვადა გასდის.

კომპანიის საჩუქარს შარვლის უკანა ჯიბეში ვინახავ და საქაღალდეებს ვუბრუნდები.
ულამაზესი თითები აქვს. ვიტყოდი, მწერლის-მეთქი, მაგრამ, მწერლებს წარმოუდგენლად ჩვეულებრივი ხელები და თითები აქვთ (თუმცა ხომ შეიძლება, ამ ფაქტსაც ჰქონდეს ხიბლი, წიგნების, ანუ წარმოებული პროდუქციის ხარისხის პირდაპირპროპორციულად?).
აი, სად და როგორ კვდება რომანტიკა.
მწერლის თითები. ვერცხლისფერი შუქი. რატომ ავიკვიატე?
სწორ შედარებას ვეძებ, ვერ ვპოულობ და ისევ უსაქმურობის დროს დაწყებული რომანის სხეულთან მივდივარ:

„ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ახირება იყო, მეტი არაფერი. ესკალატორზე ფეხის შედგმისთანავე ეწყებოდათ. არა, თვითონ კი არ იწყებდნენ, რაღაც, წარმოუდგენლად მძაფრი და უმართავი, ერთი მიმართულებით ფიქრს, იმპულსურ ქმედებებს, გაუაზრებელ ქცევას აიძულებდა. ორივე აღიარებდა, რომ ამ შეთქმულებას მესამე თანამონაწილეც ჰყავდა. ვინ? ვინ და ხალხი, მეტროპოლიტენის გულ-მუცელში საქმიანად მოფუსფუსე, აჩქარებული სვლით მოძრავი ბაქტერიები, მიკრობები (კიდევ ერთი გასათვალისწინებელი გარემოება: შიში – ელემენტარული, სიღრმის, მიწისქვეშა სიბნელის, ცოცხლად დამარხვის, ცალ-ცალკე დამარხვის). ესენიც, ვაგონის კედელს აკრულები, ტროპიკული მცენარეებივით გადახლართულები, იდგნენ და ამასაც თუ დგომა ჰქვია... მგზავრების უკმაყოფილო სახეების, უხერხული შმუშვნის ფონზე გატაცებით, თავდავიწყებით, მოზარდებისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით ერთმანეთს კოცნიდნენ – ხანმოკლე პაუზებით, სადგურიდან სადგურამდე. აუხსნელი იყო, რატომ აქ და არა – სხვაგან? რატომ მაინცდამაინც ამ ხალხისთვის? ვინ დაუდგებოდა თავდებად, რომ ვაგზლის ცარიელ შენობაშიც იმავეს არ გაიმეორებდნენ, ან უფრო წარმოუდგენელ, თავხედურ სანახაობას არ მოუწყობდნენ საკუთარ შიშს, უკვე განუყოფელსა და დაუნაწევრებელს“?

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ახირება იყო, მაგრამ რიტუალური სიმშვიდითა და აუღელვებლობით მოწყობილ დადგმას უფრო ჰგავდა...“

– პრივეტ!

იძულებული ვარ, ლიტერატურული წყვილი მეტროსადგურ „ვაგზლის მოედანთან“ მივატოვო და თავი ავწიო.

მიშკა მთვრალია.
მიშკას ჩარჩო-საჩუქარში უძვირფასესი თავი აქვს გაყოფილი და მადლობას მიხდის, ბრმად არჩეული მოთხრობების კრებულისთვის:
– მაგრად ჩამოვრჩი რა... ისე, ეს თანამედროვე მწერლები ყველა ერთმანეთს ჰგავს, ერთ პონტში წერენ, პახაბნობებს ან ვაფშე გაუგებარ რამეებს. ესეა, ესე. პრინციპში, აღარც ვკითხულობ არაფერს და სპასიბა რა... ამას უეჭველი წავიკითხავ.

(წელან სხვა სურათის გაცოცხლება ვინატრე).

ახლა რა უნდა ვქნა? ტერორისტული აქტის მოსაწყობად დრო თითქმის აღარ დამრჩა. ისინიც ისეთი საწყლები და დაუცველები ჩანან, წასაშლელად ხელი არ მიბრუნდება.

„და ცხოვრობდნენ მშვიდად და შემოქმედებითად, ბედნიერების შესამჩნევი ნიშნებით“.

სამუშაო დღე დასასრულს უახლოვდება, პირობითობების ბოლო ულუფებით, უაზრო წვრილმანების მარყუჟით. მახსენდება, რომ შვიდზე პეკინზე უნდა ვიყო. ვჩქარობ.

– იმას ხვდები?
– ვის?
– აქტიორს, შენს ბოლო სიყვარულს.
– მე გკითხე, გუშინ რა შეუკვეთე „ორ ლულაში?“
– ხო ნახე...
– ამ დილით დამლაგებელმა გაიტანა.
– კარგი, საწყენად კი არ მითქვამს.
– ოკე, არც მე მწყენია.

ბიჭების გაღიზიანების კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ მთელი კვირა ერთიდაიმავე შალის სვიტერით და მოდიდან გასული შარვლით დავდივარ. ამასწინათ მეგობარსაც ვუთხარი: „ხანდახან ერთფეროვნება უცნაურად მამშვიდებს“ .“არა, იმას არა, რომელმაც ამ დილით მომწერა: „ცოლ-ქმრობა ერთი გრძელი და სევდიანი ამბავია, ირმა“ . მოკლედ, ეს არც პროტესტია და არც – თავის აგდება. უბრალოდ, რეალობაა, ჩემი 99 ლარიანი გარდერობი.

მეშვიდე შეკითხვა: თუ სოციალური იმიჯი ასეთი მნიშვნელოვანია, რატომ ვაკეთებ ყველაფერს იმისთვის, რომ სამსახურიდან გამათავისუფლონ?

შვიდზე, „სუპერთან“ არავინ მელოდება. შუშის კარს ვაღებ და ნივთებით ამოვსებულ აკვარიუმში ვეშვები. ფსკერზე საფერფლე-ნიჟარებია, ვერცხლისფერი საშაქრეები, ჩაის ჭიქები, სხვადასხვა ფორმის კოვზები, პორტსიგარები, საფულეები, ზემოთ – ფაიფურის

სათამაშოები, დეკორატიული ზარები, ლამპარი. თვალი ხან იქით გამირბის, ხან – აქეთ. მარჯვნივ ქვაბების კოლექცია და გაურკვეველი დანიშნულების თასებია, დაბალ სვეტებად აღმართული, გაშლილი ქოლგების ჩრდილს გამორიდებული, მარცხნივ – სურათის ჩარჩოები და ის, რასაც ვეძებ: სურნელოვანი სანთლების თარო.

– აი, ეს გუშინვე მომეწონა და ფრანგულია, არა?

უცნაური სუნი, აღწერის მცდელობასა და სიტყვების ბადეს მუდმივად რომ უსხლტება: თეთრი ვარდის ფურცლები, ქოქოსის რძე და სექტემბრის ზღვის ქაფი, ბოლო აკორდი: „Nina Ricci“ -ს „Premier jour“ … ერთი სიტყვით, სუფთა რომანტიკა, მინარევების გარეშე.

სიფრიფანა ქაღალდში მიხვევენ. Merci

ის სვიტერიც უნდა ვიყიდო – რამდენიმე ზომით დიდი, ლურჯრომბებიანი – ჩემთვის, ფრედერიკისთვის.

უახლოეს ინტერნეტ-კაფეში საფოსტო ყუთს ვხსნი და საკუთარ თავს ვწერ: „ხვალ, 7-ზე, „ჯენტლმენთან“.

მაგდა კოტრიკაძე

ელ–ლილე

ჰოი, ლილეო დაჯაბნე სიბნელე!...

თავი I

მზემ შვილივით ჩაიკრა გულში დედამიწა, სინათლემ შთანთქა ბნელეთი, უკუნი ფერხთით დაეცა მის ჩრდილქვეშ. ხატიერი ნათება დედის რძით გაჟღენთილი ცისა ისეთი სავსე და ნოყიერი იყო მაშინ, რომ ვერავინ იტყოდა მასზე უარს.
მხოლოდ შუმერთა გამაყრუებელი მღერა იყო საგალობლად იმ დილისა, მდუმარე მხრები გაერუჯა მზეს მთებისთვის, მიწა გაეხარებინა ხანგრძლივი ნათებით. ტუჩები გაეხასებინა მდელოს, საკოცნელად დაეფინა კაცთათვის. ჰოი, გაზაფხულო, რარიგ დიდია შენი შესაწირი.
„დედოფალო ჩემო, ნათელ ცად შობილო ასულო! დედოფალო დედავ, ლაგვაშის ფუძევ! შენს მზერას ერისთვის სიუხვე მოაქვს...“
სამთა მოძალებული სიამი დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს სასმისები შემოუტანეს, ძმათა ნაჭდევებიდან სისხლი გადმოიქცა, თითომ–თითო თასი აავსო, მერე ერთიმეორეში გაცვალეს და ალავერდულად შესვეს. წვეთიც არავის გადმოქცევია პირიდამ. მოვიდა ქალი ვინმე სხვა და მოუბანა სამთავეს ჭრილობა, მდუმარედ. არც შიში, არც კრძალვა არ იხატებოდა ქალური იმის დიად სახეზე. ცოდვილობა არსად იყო, მხოლოდ სიხარული უჩნდათ პირისახეზე მეომრებს.
ბოლოს ქალმა დაილოცა

– ლაგვაშის ფუძე გფარავდესთ! იყავნთ ვაჟები!

– ვაჟნი თავდახრილნი გამოსთქვამდნენ მადლიერებას.

ეს ის წამი იყო, სწორედ სიტყვაც რომ ვერაფერს შეჰმატებდა. გასამდა გული და ჯანი. ტაბა წელში გასწორდა მხრები გადაიყარა უმთვარო ღამესავით. თავი სულის ხატს გაუსწორა. აკვირდებოდა ორ პიროვნებას, მათ სახეებს, განსაკუთრებით თვალებს. კაცთა თვალები ხშირად მეტად მეტყველია ვიდრე თავად სიტყვა. სახედაღვრემილი, წარბდახრილი, მეხისდამცემი მზერა გასამდა. შიშმა თითქო ქუდი დაიხურა და წავიდა, აქ არა მესაქმება რაო. ძალაა მეგობრობა, უთქმელი საქმის კეთება, დროის გამოცდა.
ქვახე გავიდა ოთახიდან დაიფარა თავშალი და ეკლესიის კარებთან შეახანა.

– სალამი მეუფეო, შენთან მოვედი, პატიებისთვის.

მდუმარედ უპასუხა ცამ, მზით დასარკულ ველს სიმწრის ცრემლები მოადგა.

– სამთავე გაიწირება, არღარა უშველის მათ. ღამით, უმზეო ცას დააჩნდება მათი სისხლის წვეთები.

ქვახეს საოცარი სიზმრები ესიზმრებოდა, საზარელი შიში იპყრობდა ხოლმე როდესაც მოიგონებდა გაყინულ მზის სახლს, ცივი დილის ყინულოვან მანათობელს. თითქოს დრო გაჩერდა, თითქოს ...

სამთავე ვაჟს კარგად იცნობდა ქვახე, ერთი ძმა იყო მისი – ტაბა, ორი შვილი – კირილე და ქებუ. ეხლა მათ დიდი უდაბნოს დასალაშქრად აელესათ ხმლები და ამიტომაც შეჰფიცეს თანადგომა ერთმანეთს.

იმ უდაბნოში არარაისგან შეიქმნა ყოველი!

ოქროს ხანჯალი კი კვლავ ურის სამეფოში იმალებოდა. მისი ხელში ჩაგდება ძალიან ბევრს სურდა, არც ტაბა იყო გამონაკლისი. იმ დღით ეახლა დასა და დისშვილებს მამის ხმლის მოსატაცებლად ვიომოთო შესთავაზა, ძმებმა სისხლით დასდეს პირობა. ხმალს უჩვეულო ძალა ჰქონდა, მასში იყო რაღაც, რაც ყველაფრის დაძლევაში ეხმარეობოდა ადამიანს, გონება კაცთა და ძალა ფარაონთა, ოლიმპოს სინათლე, ცის კიდე.

ყვითელი სილაქვის კონუსიც ხომ ამაზე მოგვითხრობდა, – მაღლა მზე, დაბლა, – ღმერთი, მერე, – მეფე, ძირს დაცემული მეომრები. ნამდვილი პოემა ქვაში ნაკვეთი აზრისა.

ქვახე იდგა ნინტუსის ტაძარში, კრძალვით უჩოქებდა ბრინჯაოს ქანდაკებას, ომის წარმმართველს. მის წინ იშხვართებოდნენ მეომრები, ერთურთისთვის წაევლოთ ქამრებში ხელი და მკერდი–მკერდს მიებჯინათ. ეს სცენა ჭიდაობის აქტს მოაგონებდა ადამიანს. კუნთის სიჭარბე ხატავდა დაძაბულ სხეულებს, მაგრამ რატომ დაუსვენებიათ მათი ხატი ამ ტაძარში ან რისთვის იბრძოდნენ ეს ორი გმირი ვერავინ გეტყოდათ. დაკვირვებული თვალი გამოარკვევდა ორ, თანაბარი ძალის მქონე მეომარს, გამარჯვებისთვის მებრძოლებს. დუმან ლაგაშელი მეომრები. ნიმრიდის მძლავრი, ფრთოსანი ხარი.

ტაბა შინიდან დამწუხრებული გამოვიდა, არარა ახარებდა მის დაღვრემილ სახეს, მიტოვებული მარტოსული აზრებს ეჩოქებოდა. ხელში ღრიანკალიანი ბეჭედი ეპყრა, ოქროს მძიმე შრით გარსშემოვლებული. ეს სამკაული შუმერთა დედოფალს ევას დარჩენოდა მის თავსასთუმალთან. იმ ხანად შუმერთა უძველესი დინასტიის ტახტრევანზე იჯდა ურ მეორე, ასაკოვან მეფეს შერთეს რა ხეოფსის ქალიშვილი ევა ბედნიერებისგან მისი შევერცხლილი წვერიც ბრწყინავდა, არ იყო ურიგო ვაჟკაცი, მაგრამ ძალ–ღონეს ვეღარ ფლობდა. მეხსიერებაც, ლამაზი ქალის არ იყოს ღალატობდა და ბევრი რამ ავიწყდებოდა, ზოგიერთ რამეს ვერ ხედავდა, თუ არ ხედავდა ...

ღვინით გალეშილ მეფეს მორიგი სასმისი მიართვეს, მწყურვალივით დაეწაფა და გამოსცალა. გვერდი იცვალა თუ არა ფიქრებს მიეძალა, საზარელსა და მუხდალს. მეფური ცხოვრებით უკმაყოფილო გახდათ, ყველაფრით დაჯილდოვებულს ახალგაზრდა მეუღლის სიყვარული ვერ ათბობდა, ამით მეტად დამწუხრებული იყო და გამოსავალს ეძებდა. მეფური ღირსება თავისას გაჰყვიროდა, არა!! არა და არაო! შინაგანად კი თითქოსდა ამართლებდა ევას ევურ ღალატსა და სიძვას.

– იტყოდა ხოლმე : ყველა ქალი მდედრია, ეს არის მისი ღირსებაც და ნაკლიც.

თავადაც ასე ფიქრობდა და პატიობდა, მაგრამ სამეფო კარი, სამეფო გვარი, ხალხი უკვე სხვაგვარად უყურებდა ყველაფერ ამას, არ მოსწონდათ, საჭორაო და საქილიკოდ ექციათ.

– არა, მე ასე არ დავეცემი! მე მეფე ვარ! შუმერთა მეფე და სარდალი!

ყვირილზე, მოახლე შემოვიდა, სახელად კოლხა, მშვენიერების ქალღმერთს რომ უგავდა სახე, ფრესკა იყო თითქოს არიული, ცისფერთვალა, ჯანმრთელი რასის სისხლსავსე შვილი. თმა ტანს ეფონება, ხელები კრძალვით შლიან სხეულს, მხრები მეფურ

გვირგვინად დაჰხვევია ნორჩ გვამს. მშვენიერება იხედება კოლხას თვალებიდან, უსაზღვრო ზღვაა ბაიათა ფერის ნუგეში, დაგრეხილ მთათა ნაწნავია მისი წამწამი, ხშირ ვარსკვლავთა სადგომია ბაგეთა გმინვა, შუაღამის გრძელ სამოსელში.

– სულაც არ სჭირდება მის სხეულს სამოსი, გაიფიქრა ურმა, გვერდით მოისვა. მიამბე შენი სიზმარი კოლხავ, გუშინ რა იხილე?

– ქალმა მიუგო: თქვენ მესიზმრეთ, მაგრამ სხვა დროს იყოს, ხვალ... უცებ შეჩერდა, და გაინაბა დამნაშავესავით.

– ვერაფერს გამომაპარებ ქალავ, მომიყვევი ყოველი! მეფურ ბრძანებას ხომ ვერ გადაუხვალ?

– გადაუვალ!

– ათი ლახტი! დაიღრიალა მეფემ. უმალ მეომრები შემოცვივდნენ, ერთმანეთის მიყოლებით ათმა კაცმა შემოაღო დიდრონი მუხის კარი. დაბნეული აცქერდებოდნენ მეფეს და თანაც მზრუნველ თვალებს აცეცებდნენ გარშემო.

– გაიყვანეთ ეს უღისი აქედან, დაე ყველამ თითო ლახტი გააწნას მას, გულთა მეკობრეს, მძარცველს, სატანას!

მეომრებმა უთქმელად გაიყვანეს მშვენიერი ასული, ამის დანახვაზე გულიც დაედაღებოდა ყველას, მაგრამ არა მათ ვინც მეფის ერთგული გამგე იყო. მხრები გადაიყარა, წელში გასწორდა, თვალები წვალებით მინაბა, ხელები მკერდს ააკრა, თავი ტკივილით ჩაკეცა კისერში, გაიარა ცრემლიანი ნაბიჯებით მთელი დერეფანი, მერე კი სარდაფი, მიეყრდნო ძელს და საწვალებლად გაემზადა.

– ბედნიერება ტკივილით მოდის! ოცნება წვალებით ცხადდება! გაიფიქრა, მერე კი გაისმა მძაფრი, შემზარავი, მონოტონური ლახტის ხმა, ასე ძლიერ ათამდე დათვლა არასდროს გასჭირვებია კოლხას. ბამბის ქულებივით სვცვიოდა ძირს კანის ნაზი და რბილი ნაწიბურები, ტკივილი და ცრემლი ერთვოდა ერთმანეთს, ბოლოს კარიდან ვიღაც ორმა ხელი ჩაჭიდა და იმ ოთახში შეიყვანა რომელშიც ცხოვრობდა უკანასკნელი სამი წლის მანზილზე ტყვედ და საყვარლად.

თავი II

სასურველი შეხვედრის მოლოდინი აწვალებს ევას, ტანში აქვეწარმავლებული შრიალი იტალღება, კისერი ელავს სურვილით, თვალები აშტერდება საგნებს, უბედურების სურნელი იფრქვევა მისი სამოსელიდან. მომწვანო ტანსაცმელი ჩითავს ფეხებს, გრძელი ხელები თმებს ეფერება, შავსა და ჯერ კიდევ ნესტიანს, სახე მალი–მალ იხედება თმის ჩრდილქვეშ. ასეთი მზერა გიწვევს და გათროობს, გველივით გელაქუცება, გეპარება, მერე კი დამორჩილებულსა და თავდამძიმებულს წიხლისკვრით მოგისვრის, ჭრილობის მორჩენას მხოლოდ თავად თუ მოისურვებს... საშიშია მასთან სიახლოვე, დაგწვავს, ცეცხლივით მოგეკიდება, გვალვასავით დაგისერავს უწყლბის იარებს, თავად აგიყვანს ეშაფოტზე და ბედნიერებით გაბანგულს თავს მოგაკვლევინებს, ღალატს დაგწამებს, ოჯახს გაგყრის, დაგაჩოქებს და დაგამცროობს, მაინც ის იქნება ძვირფასი შენთვის ყველაზე და ყველაფერზე ამ ქვეყნად. უმისობას ვერ გაუძლებ, მოკვდები, ორთავე

შემთხვევაში გაიწირები, მაინც ბედნიერი ხარ შენი ბედით, საოცარია ღრიანკალიანი ბეჭდის მფლობელი.
შავ ტახტრევანზე მოიკალათა და მოახლეს მოუხმო. შემოვიდა ჩარი, მოხუცი ქალბატონი, ევას აღმზრდელი, დედობილი და მოამაგე.
– სალამი შვილო! მიესალმა ალალად
– ადრე რად არ მოხვედი, თმა მაქვს დასავარცხნი, ჯაგრისი დამისვი, ნელა, ისე რომ ძილი შევიბრუნო ჯერ ადრეა გასაღვიძებლად, არსად ვჩქარობ, არავინ მელის.
– მეფე უკვე ფეხზეა ევა, მოგიკითხა, ანგელოზმა გაიღვიძაო?
– სასაცილოა, ცხოვრებაში ყოველთვის ასეა, ის გეძალება ვინ გეზარება და გმაგს.
– ნუ იტყვი ამგვარად. ჩარი დამწუხრდა, რაღაცას გრძნობდა და ეს რაღაც ძალიან აკრთობდა.
უვლიდა და ეფერებოდა თითქო ისე დაულაგა ძუისოდენა თმა ქალბატონს, მის ხელში აღზრდილს. დედა ასურელი ჰყავდა დედოფალს, სახელად ხათუნი ულამაზეს ქალბატონს უხასიათობა ქორწილის დღიდანვე დაეტყო, სულ მალე ხალხმრავლობა შეიძულა, შიშები და ბნედა შემოეჩვია, ამას დაერთო ყვირილი, ტირილი და ზედმეტად ემოციური საუბარი. ბოლოს ერთი ქალი მიუჩინეს სახელად დრონა, მის გვერდით იყო და არასდროს ტოვებდა განმარტოვებით. ხათუნს ქალიშვილი შეეძინა,– ევა, მამის ერთადერთი სიხარული და იმედი. ძლიერი ოჯახი გახლდათ, გორი ევას მამა მეხამლეობის დიდოსტატი გახლდათ. შუმერთა კარზე მასზე ძლიერ ფოლადს ვერავინ აკეთებდა, ამიტომაც მეფის კარზე დაახლოვებული პირი იყო. ევა ჯერ კიდევ სულ პატარა იყო, როდესაც მის ოჯახში უბედურება დატრიალდა.
ზამთრის ცივი დღე გათენდა გარეთ საშინელი სუსხი ტრიალებდა, ქარი თოვლს ბალეტს აცეკვებდა, ფიფქები გამეტებით ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ოჯახისწევრები კივილმა გამოაფხიზლა. ეს ხმა ხათუნისას მიამსგავსეს, გორი ლოგინიდან გიჟივით წამოხტა, პერანგისამარა გაექანა ხმაურის მიმართულებით. ბუნდოვნად დაინახა ხათუნის სილუეტი, აღელვებული მდინარე პირღია ხახადაღებული, მშიერი ცხოველივით მისჩერებოდა. წამიც და შთანთქავდა შეშლილის ულამაზეს სხეულს. გორის ძლიერი ხელი ქეჩოში წვდა მეუღლეს. მან ხელი ჩაავლო გორს და გადაიყოლა აბობოქრებულ მდიანრეში. ტიგროსმა დაასაფლავა ორთა სიყვარული. ასეთი ძლიერი გრძნობა მხოლოდ შეშლილთა არგო ღმერთმა. საოცარია, ვის რას მიაგებს უფალი.
ევას კი ბედი გაეხსნაო თითქოს ერთიმხრივ დაობლებულსა და დადაღულს, შუმერთა მეფის ურის დედამ დეონმა მოწყალების კალთა გადმოაფარა და იშვილა. დრო მიიწელებოდა მოწყენის ლაჯებში, ხაზი–ხაზს კვეთდა, სიტვა–სიტყვას პოულობდა, ხელი–ხელს ბანდა, ტალღა–ტალრას კრავდა ხელს. დროს კბილებში გამოსცრა ოცდაერთმა წელმა. დამშვენდა ევა და დანაზდა. მისი სახე ჩვილის მიამიტობას ასხივებდა, მისი გული კი ამპარტავნებით იწვოდა,–დედოფალი უნდა გავხდეო. ურს ადრეც აწვალებდა მისი სილამაზე, მაგრამ ერთმა დღემ ყველაფერი არივ–დარია.
სასახლის კარზე წვეულება მოეწყო, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ყველა თავდახრილი იდგა, ქალბატონებს ყველმოღერილებსა და ბედისმაძიებლებს ვერაფრით მოედრიკათ კისერი, სიმდიდრის სურვილით აევსოთ ხორციანი ჯიქნები, საკადრისი პასუხი უნდა გაეცათ მეფეს შემოწირული კომპლიმენტისთვის. ური დარბაზში

შემოვიდა თუ არა ყველა განზე გადგა და გზა დაუთმო მეფეთ მეფეს, შუმერთა წინამძღვარს.
მოულოდნელად, როდესაც აღარავის ელოდნენ დარბაში კვიცივით შემოხტა ევა, ყვითელ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილს ყველა დააცქერდა, შავი თმა ტალღავდა სამოსელს, გული თრთოლვით მიიწევდა მეფისკენ, ზედმეტად ახლოს მიუახლოვდა მბრძანებელს და თავი დახარა, მთელს დარბაზში მხოლოდ მისი თვლები ანათებდა, ეს თვალები აშკარად ურის გულთამპყრობელი გახლდათ. შავი მტაცებელი მზერა გაჭაღარავებულ მეფეს სულს უფორიაქებდა. მაინც მოწყალედ იჯდა და არაფერს ამბობდა.
მისი ფიქრი იხატებოდა თვალთა გარშემო გაჩენილ ასაკის ნაოჭებზე. ბაგე ზმანებით გაექცა მარცხნივ, ტუჩი სურვილით აილოკა, ტანში რაღაც ბურთმა გამალებით დაიწყო ხტომა.

– კი თუ არა? მერე? და მერე? და მაინც!

ყველაფერი ჩვეულებრივ დასრულდა, ისე როგორც სრულდება ხოლმე ასეთი ყალბი მიკითხვ–მოკითხვა, ისტორიების და ამბების გაზიარება. ემოციური ხარხარი და თავშეკავებული მდუმარება. ფული და ფულთან ჭიდილი.
ურმა მთელი ღამე მჯდომარედ გაატარა. გამთენიას ჩვეულებისამებრ წამოდგა, მოიცვა მოსასხამი და სარკეს ჩააშტერდა.

– ეს მე ვარ! მე მას მამადაც კი შევფერი, ხნიერ მამად! ის ისეთი ხალასი და მშვეიერია... მთელი დღე ევას სხივთან ერთად გაატარა, ვერაფერი ახარებდა მის სულს, მხოლოდ მისი ღიმილი, ყვითელი, ფუმფულა კაბა, ოქროსფერი ყელსაბამი რომ ამშვენებდა, თვალები, მისი მზერა დამატყვევებელი. კიდობანია გრძნობათა და სურვილთა, ვნებათა და სასოწარკვეთილებათა. კოცონი, რომელიც დაწვას მიპირებს.

– სალამი მეფეო, ღიმილით მიმართა ურს

– გვიანი სალამი! დამწუხრებლმა უპასუხა დედოფალს.

– რატომ არ შემაღვიძე მეფეო? ჩაიცინა

– მე თქვენ არასდროს გიფთხობთ ძილს... ვერ გავბედავდი თქვენი სიმყუდროვე დამერღვია ანგელოზო.

– არაფერი არაფლისგამო არ ხდება მეფეო, ეს თქვენ ჩემზე უკეთ უწყით.

– ჩემო ერთგულო მეუღლევ და მეგობარო, ვერავიში ვერ გაგცვლით, არც კი გავიფიქრებ მსგავს სისაძგლეს.

– ცხადია, თქვენ ამას ვერ იკადრებთ! თვალები ოდნავ მილულა ევამ, ისე თითქოს ვაშლი უჭირავს ხელში, ის, სწორედ ის ვაშლი, რომლითაც სამოთხე დაკარგა მდედრმაც და მამრმაც.

– მშვენიერი ავაზაკია, გაიფიქრა მეფემ და მოუბრუნდა. ევა ახალი სამოსი მინდა შეიძინო ეს ტანსაცმელი სულაც არ მომწონს, არ შეჰფერის თქვენს მდგომარეობას, ტიტულს.

– გემოვნებას მიწუნებთ ბატონო?

– უბრალოდ თქვენთვის საუკეთესოს ვიმეტებ, ასე არ არის?

– ძალიან გამეტებული ხართ ურ.

– მინდა ყვითელი კაბა გეცვეს, თოჯინა, ასე მინდა.

– კარგი! განაცხადა დედოფალმა და მწარე ნერწყვი გადაუშვა თითქოს პირდაპირ სასულეში.

მიდიოდა მეფის განსასვენებლიდან და ფიქრობდა: რამდენს ბედავს, რას მკადრებს. ნუთუ შესაძლებელია მას რაიმე ჩემში არ ხიბლავდეს? საოცრებაა პირდაპირ, მე მთელი სახელმწიფო ფეხქვეშ მეგება, მე ყოველი მამაკაცი, თუგინდ ცოლიანი, ვერავინ მეტყვის უარს, ვერავინ მომცემს მსგავს შენიშვნას. ის კი...

შედის ოთახში ჩარი ეგებება.

– ჩემს მკერავს დამიძახე! მკარცი ტონი თითქო ჭრის ირვლივ ყველაფერს.

– ეხლავე შვილო. პასუხობს ჩარი.

ოთახში მალევე შემოდის დედოფლის მკერავი.

– მინდა ყველაზე ძვირფასი ფარჩის, შეყოვნდა უცებ და გაიხსენა, ყვითელი კაბა, ხო ყვითელი კიდევ გაიმეორა. ძალიან სადა და მეფური! დააყოლა მრისხანედ. მერე ხელზე დაიხედა და გაახსენდა მისი ბოლო გატაცება, სადაა ჩემი ბეჭედი, დედის უკანასკნელი საჩუქარი? ყველა კუთხეს ეცა, დაქექა ირგვლივ ყველაფერი, საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა მოახლეები მასავით დაემხო მიწაზე.

– წამოდექით, უცებ დაიღრიალა! ის აქ არ არის.

– გადით გარეთ მოიცადეთ მიმართა მორიდებით ჩარმა მოახლეებს.

მათაც დატოვეს ოთახი და გავიდნენ.

ერთისმხრივ გაავებულ დედოფალს, მეფის უხასითობა დაერთო, სამეფო კარზე სრული ქაოსი სუფევდა. ურმა მოინდომა კოლხას ნახვა. ფიქრობდა: იქნებ ეხლა მაინც ვათქმევინო რა ესიზმრაო. ყველაფერი თითქოს ნისლმა მოიცვა. ფანჯარასთან მივიდა და რაფას დაეყრდნო. მარმარილომ გააგრილა მისი მხურვალე ხელისგულები, თავი გადახარა, დაღლილი მეფური სახე მიიღო. დაუყოვნებლივ შემოვიდა ოთახში მისანი,– კოლხა. მისი თვალები ასხივებდა სინათლეს, მომაჯადოვებელსა და ნატიფს. ნერწყვი გადასცდაო თითქოს ისე დახარა თავი და მინაბულ თვალთა ქუთუთოებს უბრძანა, არ უყუროთ! მერე წელში გასწორდა ნატკენი მხრები გაასწორა და ტანი ძველებურად აზიდა. თმა, რომელიც უკანალს თამამად უფარავდა კანკალით აციებულ სხეულს ერტყმოდა სამოსელივით.

– მეფეო, თქვენი მხევალი მოვიდა.

– სალამი კოლხავ! მიუგო ურმა

– მელოდით?

– აბა მომიყევი ყოველი. უბრძანა და აუთრთოლდა ქვედა ბაგე, მაშინ როდესაც სხეული სრულად შეიგრძნო. მომიყევი!

– არა, მეფეო ჯერ ადრეა, თავს გაუფრთხილდით.

– ვინ მოგცა უფლება ჭკუა დამარიგო, შენ გულთა მეკობრევ.

– მე თქვენი საყვარელი ვარ მეფეო, სწორედაც მეკობრე!

– მოდი!

ორთა მოძალებული ტრფიალი დიდხანს გაგრძელდა, სწორედ იმდენხანს რამდენხანსაც გრძელდება ხოლმე ხორცილი ნდომა, ლამაზი იყო მდუმარე ძუ და მშვენიერი. დაუოკარი წყურვილი მოიკლა თუ არა ურმა ეცა მაჯისსიმსხო თმაში, მოითრია, თითქოს ჯავრი იყარა ევაზე და უბრძანა გარეთ გასულიყო.

ევამ დატოვა დიდრონი და ცარიელი მეფის დარბაზი ისე, როგორც ტოვებენ ბრძოლის ველს მეფენი გამარჯვებისას.
– სიყვარული ბრმაა, ბრმა და მუნჯი! – გადიგდო თმა ზურგზე, თვალები უფრო მაგრად მილულა ვიდრე წელან და გაიფიქრა, – დაეწაფე წყაროს სანამ ის შენია, თორემ მოვა უეცარი სიკვდილი და ხელიდან ღვინის თასივით გაგაგდებნებს, მთვრალო წუთისოფელო არაფერი იცი, ვერაფერს ხვდები, შესვი სასმისი იქნებ დათვრე და დაგავიწყდეს ჩემი სახლის კარები, დაივიწყე ჩემი გზა, დაივიწყე ჩემი მწველი თვალები, უშენობით უფრო კარგად ვარ, უშენობით აღარ დავიკარგები, უღრანია ტყე და ღრმაა ზღვა რომელიც მე უნდა გავცურო, ჰოი, ბედისწერავ, რატომ ამომირჩიე, მითხარ!...

თავი III

თავდავიწყებით თოვდა იმ დღეს, სიცივისა და სიმარტოვის შეგრძნება აბათილებდა ერთმანეთს, ცვიოდა ციდან განწირული ფიფქი, რომელსაც ფეხსაცმლის ჩასაქოლად გამოწვდილი მკლავები ჩაეფსკვნა ხეთა ფუღუროებისთვის, დღევანდელი დღე არ ჰგავდა გუშინდელს, თითქოს ყველაფერი გამქრალიყო, მარტო თვალთა ბაიებს თუ ახსოვდათ და სული იგონებდა, რა მოხდა გუშინ...

ოთახის ერთ ბნელ კუთხეში ტაბა იჯდა ასურელ მეფიწულთა ბიძა, ძალიან დამწუხრებულსა და საგონებელში ჩავარდნილს უგავდა პირისახე. უკვე ბინდდებოდა, ცა ისარკავდა მზის პირისნაბანს, მიწაზე გადმოქცეულს. ორმოციოდე წლის კაცის გონება რაღაც უღიმღამო ფიქრებს ებრძოდა თავდავიწყება და შეჭირვება. შუმერთა დედოფალზე შეყვარებულს ყველაფერი ჩირად უღირდა, მიუხედავად იმისა რომ ეს ურთიერთობა ძლევის ხმლის მოსაპოვებლად დაიწყო ახლა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მხოლოდ ეს ქალი, თუ ქალღმერთი გახლდათ. მისი თეთრი, ხავერდოვანი, ნაზი კანი, უფსკრულივით ღრმა თვალები, თილისმებივით მტევნები, ყელი გვირგვინი ორ სამყაროს შორის, გონებისა და მშვენიერი სხეულის... ლამაზია ღამესავით, იდუმალი და მწველი.

შუმერთა და ასურელთა შორის დიდი მტრობა იყო ოდითგანვე ჩამოვარდნილი. გამაჯვების ხმალი ჯერ შუმერებს ეკუთვნოდათ, მეფე ურ I–ს, შემდეგ ასურელებმა მოიპოვეს ბრძოლით. გავიდა ხანი და შუმერებმა ღალატით ჩაიგდეს ხელთ გამარჯვების ხმალი. ქვახე მაშინ დაქვრივდა, და მეფისწულნი დაობლდნენ. ბარძიმი უმოწყელოდ გამოასალმეს სიცოცხლეს, მუხანათმა ბედმა უმუხდლა. ოთახში მარტო მყოფ მეფეს ღამის წყვდიადში მიეპარა მტერი და ყელი გამოჭრა. სისხლით დაცლილი მეფე გამთენიას ქვახემ იპოვნა, ელ–ლილეს შეჰფიცა არასოდეს დაივიწყებდა ამ სირცხვილს, სისხლს სისხლს დაალევინებდა და დანაყრდებოდა თავადაც, მხოლოდ მაშინ თუ მოისვენებდა, მხოლოდ მაშინ თუ იგრძნობდა შვებას. ქვახე განკაცდა, მისი ყოველი ასო დაიმუხტა დიდი ძალით, სხეულის ყველა შრე გრძნობდა თუ რა საოცარი ძალა შეემატა, ტკივილები გვაკაჟებს ხოლმე. გადავიდა დრო, დაილია ბევრი სასმისი, მოვიდა და წავიდა ბევრი გაზაფხული, აყვავდა ნუში და დაათოვათ ხეებს, მერე გაშემოდგომდა, ბოტკინიანი ტყეები ხელებს ასავსავებდნენ, გაზადხულის თბილმა სიომაც დაჰკრა,

ჩვილი სამოსი ჩაიცვეს მინდვრებმა. ყველაფერი ისე მიდიოდა როგორც უკაცო ოჯახში, უიალქნო გემში, მოუვლელ ვენახში. ჭირდა ქვეყნის მართვა, თავდაპირველად ყველაფრის მეპატრონეობა ბიძამ,– ტაბამ ითავა. ისეც ხდება ხოლმე ცხოვრებაში ადამინს ანდობენ საქმეს რომლისთვისაც არ დაბადებულდა და ხელმეორედაც რომ გაჩნდეს თავს ვერ გაართმევს. ამ შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა, ტაბასთვის მეფობა უცხო ხლი იყო. დღეები ცეცხლივით იწვოდნენ, ჭიაკოკონობდნენ და იდევნებოდნენ დღეთა საზომიდან. ერთს მეორე მოსდევდა მეგობრებივით, ასე გადიოდა წელი და წლები. ტაბა სიყვარულისთვის იყო მოვლენილი ამქვეყნად, პოეტ მამაკაცს მეტი რა უნდა ექნა თუ არა ეწერა სტრიქონები, ეწერა და მერე დაემღერებინა.

ეხლა ევას დაეფიქრებინა, მისი სული შეეპყრო, ნდომით აღვსილს საწადელის ასრულება სურდა, ევაზე ფიქრს მიეძალებოდა, იწვოდა მისი სავსე მკერდის სურვილით, ზოგჯერ ასეც ხდება, ვერ უმკლავდები წყურვილს, რადგანაც ამ წყურვილისთვის ვჩნდებით, უფრო სწორედ იმისთვის რომ ეს წყურვილი მოვიკლათ. არაფერია იმაზე რთული ვიდრე საყვარელი ადამინის პოვნა, არაფერია იმაზე იოლი ვიდრე საყვარელი ადამიანის დაკარგვა. ცხოვრება თავად გვაძლევს და გვართმევს მას სიცოცხლესავით. ჩვენ არჩევანის საშუალება არ გვაქვს, უბრალოდ მარიონეტის თეატრის სოლისტები ვართ, ცარიელი სცენის ერთგული დარაჯნი. სასაცილოა, რა ახლოს და რა შორს ვართ სამოთხიდან. ვარაფერს ვუწყით, ვერაფერს ვცლით, გვიყვარს და ვეტრფით, ვკარგავთ, რომ უფრო უკეთ შევიგრძნოთ რარიგ გვიყვარდა. საოცარია ბედისწერის დამწერი, მომე, ეგ კალამი, გენაცვალე და მე თავად ვუწყი ვინ და როდის სურს ჩემს ოცნებას. მაგრამ არა! დიდი არა!

ღმერთო დამითმე ეს განძი და მე გაჩუქებ ჩემს ცხოვრებას, საოცარია, – მწვალებელი უფრო საყვარელია ვიდრე სინზე მორთმეული ოქრო. ის რაც არ არსებობს ვერ გაჰქრება, სიყვარული მოკვდავთა ხავსია, რომელიც ზამთრის მოახლოვებასთან ერთად ქრება, სუსტი ყვავილივით. ვნება კი ელვასავით დაჰკრავს გონებას, გაგინათებს და ერთთავად დაგიბნელებს. გაგითბობს სხეულს, გაგივსებს სულს ჰაერის გრილი მოფერებით. მაგრამ ეს ის არ არის ვიღაც–ვიღაცეები სასომიხდილნი რომ მოელიან, ხვეწნითა და ოცნებით გამსჭვალულნი, მთელი ცხოვრება რომ დასტრიელებენ და ფუტკრობენ. ის თავად მოდის ყველაფერს გართმევს ახლით გმუხტავს, ვნებაა სამოთხე!

ამ ფიქრებში გართულს მიეძინა, შავ ზეწარს პრიალი გაჰქონდა, რამდენჯერმე გადაეფინა საწოლს რბილ საბნად მშვენიერი ქალი და ღრმად ჩაიძინა.

თავი IV

ქვახეც იყო ოდესღაც ნაზი ქალი. სუსტი და უმწეო. მეუღლე და დედა, სიფრიფანა კანჭებით, ფერმკრთალი სახით, უსუსური ხელის მტევნებით, მასაც უთრთოდა სხეული საყვარელი მამაკაცის დანახვისას, ელავდა მისი თვალები ვნებითა და ემოციით სავსე. ქვახეც ეკითხებოდა მთვარეს აზრს, ხორციანი სხეულით ეტმასნებოდა და სულიერი მზეით აჩერდებოდა ერთადერთ სყვარულს. მაგრამ ეს თითქოს დავიწყებია, ახლა მასში მხოლოდ ვაჟიშვილების ცხოვრებას შეევსო ქალურობის სიცარიელე. დედობრივი

ინსტიქტები აცოცხლებენ მის მოქანცულ სხეულს, დაღარულ თვალებს, უემოციო ხელებს. მაგრამ ის დღესაც დედოფალია, უცვლელი და შეურყვნელი.

თუმცა მისი მეუღლის მუხანათური მკვლელობის შემდეგ იყო ერთი ადამისნი, რომლესაც ერთგულად უყვარდა დედა დედოფალი. ეს ამაყი და გამბედავი მთავარსარდალი ჯარნი იყო. მამაკაცის და მამაკაცობის სახე. ქალბატონთან შეყვარებულ მამრად იქცეოდა და იწვოდა თითქოს მისი სურვილით, მაგრამ ქვახე აქაც თავს იკავებდა, ბოლომდე ვერ პატიობდა ყმას ამგვარ თავხედ მზერას. მთავარსარდლის უჩვეულო მზერა ეჭვიან თვალებს არ გამოჰპარვიათ. მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო დედოფლის თავშეკავებულობაში და როგორც წმინდანს ისე შესცქერდნენ. ეს ასე იყო თუ არა მხოლოდ ამ ორის საიდუმლოა და ვერავინ გასთქვამს.

– უბედურებაა მგონი ჩემს თავს! ქვახემ ჯარნის შეხედა მკაცრად
– დაჩოქილმა ჯარნიმ უტყვად ახედა და მიანისნა რომ იცოდა ყოველივე
– შენ იცი! წარმოთქვა საპასუხოდ და ბაგე ვეერივით აიქნია
– დიახ ქალბატონო
– გვერდიდან არ მოშორდე მათ! შენ მოვალე ხარ!
– ჯარნი უთქმელად გავიდა.

გაფატრა ღამე დღემ, მიწამ უდღეო ღამესავით დაიჩოქა მზის წინაშე. ქვახე მზეს ურიგდებოდა.

– ლილეო მითხარი რას გვიპირებ? მაჩუქე ორი სიცოცხლე და ერთი სიკვდილი. მაჩუქე და სანაცვლოდ გამიშვი მასთან, ო, როგორ მომნატრებია! მარტოობა შენც ხომ გიჭირს? ჩარიელი სული, მიტოვებული სარეცელი, უხმლოდ დარჩენილი ქვეყანა. ხელოდა დარჩენილი ოჯახი, უღვთოდ განწირული ქალი. ლი–ლე–ო ისმინე ჩემი შეძახილი – დაჯაბნე სიბნელე!

თავი V

ტაბას ევა სწყურია. შეხვედრის ნდომა იმდენად დიდია, რომ სურვილების ქაოსში გახვეული მამაკაცისათვის გადაულახავ ვნებად იქცა. ვეფხვის კლანჭებსა და მორიელის შხამში გახვეული მამრი მდედრის საუცხოო სურნელითაა აღვსილი. მას თითქოს სხვაგვარად აღაგზნებს ეს არტახები, პატარა ბავშვის ნდომით ითავისუფლებს თავს და ადგილიდან ვერ იძვრის. დაიმარტოხელა ოცნებამ და სულს ხდის. სურვილი, წყურვილი და მოლოდინი, აკრძალული ვაშლოვანი, აკრძალული ხეხილი, უსაზღვრო ხორციელება. შეხვედრის წამი ახლოვდება, ტაბა ფორიაქით დადის ოთახში, ირგვლივ საოცარი ნდომიერი სურნელი ტრიალებს. იღება კარი და ქალი შემოდის. მისი მკვრივი და ჯანმრთელი ტანი იტალღება თმებით, მკერდიდან მკლავებში ჩაღვრილი სიფაქიზე და სისავსე სურვილით ჭრელდება და მომწვანო სინათლე ეღვენთება თვალებიდან.

– ტაბა?!
– ჰო!
– რატომ გაქვავებულხარ?
– მოდი!
– დაიჩოქე!

ტაბა უთქმელად ეცემა ქალის ფეხებთან და ცოდვილივით ფეხებს უკოცნის, მისი ძლიერი და გამბედავი ხელები აფთარს იმორჩილებენ, მისი მკლავები ერტყმიან და ცვეთენ ევას. ის ცხვარივით ნებდება მგელს და სიამოვნებით ცვდება საყვარელი ადამინისთვის. მისი ხელი თავზე ეხება ტაბას, ყურის ბიბილოებსა და ყელს ეხება, ევას ტუჩები თვალებს ეკვრის, თითებს ყელსა და ძლიერ მკერდს ასავსევებს. საოცნებო ნეტარებაა ორთა თამაში. ირგვლივ თითქოს სხვა არავინაა, თითქოს აღვირახსნილი ცხენების ჯირითია და მოწყურებულ მხეცთა ჭიდილი პირველობისთვის, თუ ვინ გაიტანს პირველი ლელოს, ვინ გაუძლებს ამ გამჭოლ მზესა და ძლიერ მოწინააღმდეგეს. გახელებული ტაბა წამოდგომას ცდილობს მაგრამ ღრიანკალი შხამს უშვებს და ხელებასავსავებულ მამრს გონაბას აკარგვინებს. ბრძოლისველიდან გამარჯვებული ევა გამოდის და ისე ტოვებს ოთახს, რომ ტაბა ამას ვერც ამჩნევს. ევა მიდის და თან მიაქვს გამარჯვების კვერთხი, ეხლა აღარაფრის უნდა ეშინოდეს მის სამეფოს ხმალს ვეღარავინ წაართმევს.

გათანგული ტაბა იღვიძებს, ოთახში არავინაა კართან მოკლული მცველი აგდია. გამარჯვების კვერთხი აღარსადაა, მხოლოდ ღრიანკალიანი ბეჭედი უღიმის საწოლის კუთხეში. წამოიწია სარეცელიდან, წამოდგა, ჯერ კიდევ გაბრუებული. პირიდან სიკვდილის სუნი ამოსდის. რა ახლოსა ვართ მასთან რასაც მუდმივად გავურბით. თავგანწირვაც ამაოა ახლა, ყველაფერი რაც მას უყვარდა, ან ეგონა რომ უყვარდა გაუჩინარდა, გაუფერულდნენ ევასთან გატარებული წამები, წამებით, წვალებით, თვლემით. გათავდნენ, გადაათენდნენ, გაშიშვლდნენ, გაყინულისფრდნენ, სხედან სახეები, ცივი და აცვილისფერებულნი, სახეები და უტყვი თვალები, მათ უწყიან, მათ იციან! როგორ თქვა ამ გამოუცდელმა ჭარბასაკიანმა მამაკაცმა იდეალებზე უარი. ო, ეს ბეჭედი! ო, ამ ბეჭდით დადაღულა ტაბას მკლავები. სხეული უსულობას ტირის, წინ ფეხმძიმე ორსულა უღიმის. საზარელო! სა–ზა–რე–ლო! უნდა ხმამარლა იყვიროს. ნაღალატევი მარტოსული შიშით გასცქერის მომავლის ფანჯარას.

მოდი ლილეო! ამოანათე ფორთოხლისფერო სილაჟვარდევ! მხოლოდ შუმერთა გამაყრუებელი მღერა ისმის: ჰოი, მზეო რარიგ დიდია შენი შესაწირი.

„დედოფალო ჩემო, ნათელ ცად შობილო ასულო! დედოფალო დედავ, ლაგვაშის ფუძევ! შენს მზერას ერისთვის სიუხვე მოაქვს.“

ნაღალატევია დედამიწა დღეს! ნაღალატევია სამყარო ამ ჭირისუფლიან საღამოს. წინაპართა სულები წვალობენ, იწვიან, თვრებიან, ილეშებიან, ივიწყენებ, რომ ტაბა მათი ძეა. ტაბასაც სურს უბრალოდ გაქრობა, სურს. მის სხეულს, ღრმა სიამოვნების კვალი ჯერ კიდევ რომ კარგად ატყვია, ზემოდან დასცქერდეს, როგორც გარდაცვლილს თავის სული. ზუიან უამინდობის ქვემეხები. შუმერები ხმლებს ქარქაშში აგებენ, შუმერები ბრძოლის ველიდან გარბიან. ევას მოპარული ბარძიმი უჭირავს და შიგ შუმერთა სისხლი ჩხრიალით იღვრება. ტაბას უნდა გამოჰგლიჯოს ხელიდან ბარძიმი, მაგრამ ვერ ძალუძს. ასურთა დედოფალი ახლად მოგლეჯილი მწვანილივით ქორფაა, მისი ნესტოები სულ სხვაგდარ ჰაერს ისუნთქავენ მსუყე, გამარჯვებითა და დედოფლური განცხრომით სავსეს. იხოცებიან ბრძოლის ველზე უსახელო ახალგაზრდები, ოჯახები ივსება მათი სურათებით, გაშავდა ქვეყანა!

ოი, ნანა! ნანინაი ნანა!
შინ მშვიდობით ვერ მოხველ განა,
სად მიხვალ, შვილო!
გულო ჩემო, გინატრე განა.
ოი, ნანა! ნანინაი ნანა!
მზე გადვიდა, მთებს მიეფარა,
უსულოდ ვარ, უშენოდ ვაჟავ!
მტერმა გძლია, გაჯობა განა.
არ შევარჩენთ შენს ცოდვას ნანა!
ოი, ნანა! ნანინაი ნანა!
გააწითლეს მზე, სისხლი ღვარეს,
ლილეო, დაჯაბნე ბნელი, გამომეც მნათი!
ოი, ნანა! ნანინაი ნანა!
შვილი ჩემი მომიკლეს განა!

– იტირეთ დედებო! ღალატით მოკლეს თქვენი შვილები! იტირეთ დედებო გასუდრული ვაჟების სამარეებთან!
დაჭრილ და გაფატრულ მეომრებს სახე მაინც მშვენიერი და მოწყალე აქვთ, ეპატიოთ მათ ყველა ცოდვა! მიეტევოთ მათ ყველა დანაშაული, რადგანაც ისინი არიან პატიოსანნი სამშობლოს, წარბშეღრუბლვილის, წინაშე. გამარტოსულდა ბუნებაც თითქოს, გაივსო პეშვი ტიალმა ღამემ, არსად არ მოსჩანს მფრინავი რაში, არსად არ მღერის მუსიკას ქნარი, მკრთალია შუქი, ბნელია ღამე, უშურველია ტყე და გარემო, ჩაიცვეს მგლებმაც ძაძები ქალის და ყეფენ ძაღლები, ვით მამები გმირთა. წითელი ფარჩა ჩაუცვამს მთვარეს, თვალებს ნიღაბი საკარნავალო, გაისმის სადღაც ხმაური ბავშვის სუმერებთ კი კრძალავენ აწმყოს.

თავი VI

– ხედავ ურ? ხედავ? როგორ დავჯაბნეთ შუმერები! ჰა, ჰა ცივი, გამჭოლი ხმა თლის ჰაერის სქელ შრეს და მეფე ურს აფხიზლებს.
– მოვიგეთ? ჰო, მოვიგეთ. ცოტახნით დაივანა სიჩუმემ, რომელიც ისევ ევამ დაარღვია.
– მეფეო, დიდებულო მეფეო! გამარჯვებულო მეფეო!
– მეფემ ჩაიცინა, მაინც ეამა ქება გამარჯვებულს. დიადია შენი წილი დედოფალო.
– მართალს ბრძნებ! ვიცოდი ჩემი წვლილი დაუფასებელი არ დარჩებოდა. ახლა რა სიამეს მპირდები მეფეო?
– ევიანთა მოდგმისა ხარ დედოფალო, კაცნი არ უნდა გენდონ შენ!
გამარჯვებით არეული ხალხი ერთმანეთს ულოცავენ შუმერთა მარცხს, ეფერებიან საკუთარ ძეებს, ზრდიან მორიგი ომებისთვის, დრო ხომ მშიერი ლომივით ხორცსა და სისხლს ითხოვს დროდადრო, დრო უძღები ხროვაა!

თავი VII

– ოი! მზეო მოვედი შენი სისხლი მწყურია. მზეო! რად არ გრცხვენია ამ ქვეყანას რომ ათბობ! გაჰქრი ლილეო! აჰგლიჯე ეგ ზეცა ახლადგამომცხვარი პურივით და გადასანსლე. დროა! დროა! შვილებო! კირილე, ქებუ სადა ხართ? კირილეეე? ქებუუუ?
დიდხანს ხაოდა უტყვი ქვახე, დიდხანს გაჰქონდა მის წიოკს ველ–მინდვრებზე მტვერი და ხავერდი. სიოდნენ მის თავში მისთვის უცნობი ფრინველები, ესაუბრებოდა ველურ ბუნებას და ვერ გამორკვეულიყო მწუხარების მორევში ჩაწოლილი.
– ვფიცავ თქვენს თავს, რომ ამ უბრალო სისხლს არავის შევარჩენ, ვფიცავ! თქვენს დაკლულ სხეულს თქვენი სისხლით აპოხილ მიწაზე თვენივ მტრებს მოსავალს არ მოვაყვანინებ!

ქვახემ მოიხმო მასთან ტაბა და კარგად ჩაჰკითხა. მერე გაუწოდა ნაკურთხი ღვინო, შესვი მათი მოსაგონარიო შესთავაზა. გამოემშვიდობაო თითქოს ისე ჩაკოცნა და გააცლა სასუფეველში.
დავარდა იატაკზე ტაბას გაწვრთნილი სხეული, გაილეშა და დადუმდა, სულ ბოლოს ერთი მორიდებით შეხედა მკვლელს, თითქო ხვდებოდა, რომ დაიმსახურა ამგვარი ხვედრი და სული ღმერთს მისცა. თვალები აღსარებას აბარებდნენ დედობილს, თვალები პატიებას ითხოვდნენ, თითები თრთოდნენ, სული აფორიაქებული გახლდათ, ცრემლები ღვარად დიოდა გაცრეცილი თვალებიდან, ქვახე მოთმინებით ელოდა უახლოესი ადამიანის სულს, ხელით ეჭირა მისი თავი და ვედრებით შესცქეროდა.
ტაბა ღირსეულად დაიტირა ასურეთმა, რადგან ვერავინ გაბედა ქვახეს შიშითა და მოკრძალებით საიდუმლოს გამხელა. თავად ქვახემაც პატივი მიაგო და სამთავეს ერთად დასტიროდა. დრომ ჯაჭვი მომავლის სარკმელში გადაჰკიდა, ცხოვრებამ თავის ფეხსაცმლით დაიწყო გზაზე სიარული, ქვახე მტრებს გაურიგდა შუმერთა დასალაშქრად შეერთო. იმ დღიდან დაიწყო მზადება, ყველანი ერთად იყვნენ,კეთდებოდა იარაღი, მზადდებოდა სანოვაგე, თბილი და მყუდრო გაზაფხულიც უახლოვდებოდათ კარს. შედგა გეგმა, ბრძოლისათვის სათანადო ადგილიც შეირჩა. ქვახემ არიადესთან ერთად გადაწყვიტა წერილი მიეწერა ურისთვის.
„მეფეო ურ დროა სისხლმა სისხლი დალიოს! ზეცაც გაწითლდა ვაჟთა ჩემთა სიკვდილის შემდეგ, კარგად უწყი შუმერთა სამეფო ორ ავხორც წყვილთა შერწყმით არ დაეცემა. ევას ტაბას ამბორი გადაეცი, გიგზავნი ბეჭედს!“ ამ სიტყვების დაწერისას დააკვირდა იმ ღრიანკალიან ბეჭედს ევას რომ ეკუთვნოდა ოდესღაც და გაიფიქრა – მაპატიე ღმერთო! ... ჩემი შვილები... შუმერთა სამეფო... ხმალი და გრააალი!“

თავი VIII

ური მზეს უყურებს, კმაყოფილია იმით რომ ის ისევ ანათებს, ბედნიერია რომ ინათა და ღრუბელთა შიგანი ახლადდაკლული ხბოსავით გაფატრა, გაახურა უცოდველი ქალივით პირველი ცოდვისას, ცხოველური ვნება იღვრება ურის ნაოჭა თვალებიდან, სად არის ნეტავ საოცარი ევა, ეშმაკის უთქმელი ცოდვა, მისთვის კი ცხოვრების ოლიმპი.

ოთახში შემოდის მოლარეთუხუცესი ბართლომე და რაღაც გრაგნილს გადასცემს მეფეთ მეფეს. მეფე უმალ ხსნის გრაგნილს და კითხულობს დედოფალ ქვახეს და მეფე არიადეს გამოგზავნილ წერილს. ურისთვის ყველაფერი დღესავით ნათელია, მან იცის რომ მალე შემზარავი ომია მოსალოდნელი, რომ ევამ, მისმა ქალბატონმა შუმერთა მთავარსარდალთან უღალატა, ამ წამს ხვდება, რომ ცხოვრება ფუჭად განვლო, ახლა მისთვის ყოველივე ამაოა. ამ ფიქრებს ეძალებოდა, როდესაც ოთახში კოლხა შემოვიდა.

– კოლხა!? ჩემო კოლხა, შენ სიკვდილამდე გცემე, შენ ლამის მოგკალი, ოი, წყეულო ბედისწერავ!

– არა, მეფეო არა!

– რაო, რა გსურს გულთმისანო?

– ეგ არ ქნათ მეფეო! ის ულამაზესი არსებაა!

– რატომ დამინდე მაშინ? რატომ დაუმალე შენს მეფეს!

– თქვენ ეს დაიმსახურეთ! (მკვახედ და გამბედავად მიუგო კოლხამ)

– მე მეფე ვარ!

– ეს ისედაც ცხადია! ეს ყველამ იცის, მეფეო ხშირად ადამიანები კარგავენ ყველაფერს, თუმცაღა ჰგონიათ რომ ამ ქვეყნიერების ბატონ–პატრონები არიან, ასეა მეფეო შენ ადამის ანი ხარ, პირველი ასო და ჯერ კიდევ ბევრი რამ რისთვისაც მოგიხდება გადახდა წინ არის. შენ ქურდი ხარ მეფეო, სხვათა ოცნებების მძარცველი. წამართვი ჩემი ქვეყანა, ჩემი ოჯახი, ჩემი კუთხე, სული, ოცნება, შენ მე ცხოვრება მომპარე!

– მა–პა–ტი–ე! უღირსს ბატონს, მითხარი როგორ მოვიქცე! (აღრიალდა მეფე და კოლხას მუხლებში ჩაუვარდა).

– გაეთრიე ავხორცო ბერიკაცო! გვიანია! გვი–ა–ნი–ა!

წუთით სამყარო წყვდიადმა მოიცვა და მზემ თვალები დაითხარაო თითქოს ლილეს ლელო გაჰქრა, სიბნელე, ღამიანი ცხოვრება, უმზეო, ულილეო, უიმედო, უემოციო. აქვითინებული მეფე, გარყვნილი დედოფალი, წაშლილი ცნობიერება, შემომცვდარი ტანსაცმელი. ვაშლები და ვაშლის ხეები, ხეხილი, უამრავი ცოდვილნაკელიანი ხილ–ხული. ურს ელანდებოდა ევა, როემლიც ვაშლის ხის ძირას ზის და ჰაერში ჟონგლიორივით აფრიალებს ცეცხლოვან ბურთულებს, მპალი ბურთები ძირს სცვია, უფრო ღრმად სადაც ური იწვა და ამბორის მოლოდინში მყოფს მატლმოდებული ვაშლები გულს აცვიოდა.

სიმშვიდეს ევა არღვევს.

– სალამი საყვარელო! გაისმა საოცრად მშვენიერი ხმა.

– სალამი? ჰა, ჰა სალამი?

– გაგიჟებულხარ მეფეო!

– ჰოი, ავსულო რატომ ხარ ასეთი გამბედავი შენ ხომ გამყიდველი მრუში ხარ და არა დედოფალი! წარმოთქვა მეფემ და ალესილმა ხანჯალმა სხეული დაასველა და დაანოტივა წელი, მთელი ტანი, მოკეცა წაქცეული ცხვარივით. დედოფალი აღარარის! – მოვკალი ჩარი! ჩარი! ყვირის მხეცის გამომეტყველებით. უმალ შემორბის მოხუცი ჩარი და მუხლზე ეცემა.

– შვილო, შვილო ევა! ვაი მეე! ვაი მეე!

იხუვლა ცამ და გამეტებით გაწვიმდა, ცამ დედამიწას საწვიმარი ჩააცვა, თვალები დაუკოცნა, ცის თაღიდან სიცოცხლე გადმოიფრქვა, ჩამოიქცა, გაფითრდა შვილმკვდარი დედასავით.

ჩარი იხოკდა ლოყებს და ცრემლებს ხელისგულებით იწმენდდა, თავს გველნაკბენივით არწევდა, თითებს იმტვრევდა და სნეულივით კვნესოდა. ოი, შვილოო ამ ხელებით გაზრდილო, ჰოი, ღამეო შენ წამართვი ის, უიმედობაა ჩემი სარეცელი ახლა.

ური ავსებს ლამაზ ვერცხლისფერ ჭიქას, რომელშიც მოლივლივე სითხე ასხია, ნარინჯისფერი სითხე კლავს ასურთა უკანასკნელ მეფეს. მზე გადაიხარა, დრო გავიდა, გაისმა ცხენების თქარუნის ხმა, ცხენების გამაყრუებელი ხმა უფრო და უფრო ახლოდან ესმოდათ ასურელებს. ვარსკვლევაბმა დააწვიმა თავზე და წალეკა ძველი ძალიან ძველი ამბავი ასურეთისა და შუმერთა უძლეველობის, ეხლა კი ორ ძლევამოსილ ვაჟკაცს ერთმანეთში წაუვლიათ ქამრებში ხელი და ჭიდაობით ირთობენ თავს, ქვის ქანდაკებად ქცეულნი.

ქვახე დააკვდა შვილთა საფლავებს, დიდ, ცივ სევდიან ზამთარს, ღარიბი იყო იმ წელს შემოდგომა. გვარინად აწვიმდა გამოყვითლებულ ხეებს, სურნელება ავსებდა გარემოს, თრთოდა გული უიმედოთა, რომელთაც ეგონათ, რომ კოლხა არ გადარჩა, თუმცა მან გამოასწრო იმ საზარელ ხოცვას, სისხლის მდინარებას, თან წაიღო გამარჯვების ხმალი და გრაალი, წავიდა იქ, სადაც გუშინ კოლხეთი დაარსდა, დღეს კი მისი ნაშიერები დააბიჯებენ, ამაყი, ლამაზი, დაუმორჩილებელი მონების სახელით!

ამბობენ კოლხა ქვახეს ლოცვამ იხსნაო, მზისთვის მიძღვნილმა ლოცვამ: „დედოფალო ჩემო, ნათელ ცად შობილო ასულო! დედოფალო დედავ, ლაგვაშის ფუძევ! შენს მზერას ერისთვის სიუხვე მოაქვს...“ კოლხავ, მოიხსენი მონის უღელი! იყავ თავის უფალი!

ბაჩო კვირტია

რატომ ეს მოთხრობაო? – მეკითხებიან.

მარტივად ვუპასუხებ: გამორჩეულად მიყვარს – ამბავიც, გმირებიც, დასაწყისიც და დასასრულიც. თანაც, ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ ლიტერატურულ კონკურსზე ბევრი როზგი მოხვდა და ამან ძალიან გამახარა – იმიტომ არ ვამბობ, რომ ორიგინალური ვიყო. ზოგადად, მე მკითხველის სიმრავლე და, შესაბამისად, აზრთა სიბევრე, სიჭრელე მიზიდავს. დღეს თუ რამეს ვწერ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. კონკრეტულ შემთხვევაში კი, ვინმე შეგაქებს თუ კრიტიკოსად შენიღბული გაგლანძღავს და გოლოს გირჩევს, წერის ნაცვლად, სხვა რამე აკეთო, საერთოდ არაფერს ნიშნავს. მით უმეტეს, როცა საკუთარი თავის გჯერა და თან ისიც კარგად იცი, რომ ყველაფერი მართლა სისულელეა.

ზეიკო დედას ბაღი

თინა იცი როგორი ქალია? აი, ქმარმა რომ მიატოვა, ორმოცდაორი წლის რომ არის, გვიან რომ გათხოვდა და შინ ორი პატარა შვილი რომ უჯღავის – ერთი სამი წლის, მეორე წლინახევრის და უმცროსს რომ აძინებს და ეს სამი წლისა კიდევ საწოლში ყირაზე რომ გადადის. მერე თვითონ თინას რომ ჩაეძინება, იმ წლინახევრისას ისევ რომ ღვიძავს, ეს სამი წლისა კიდევ ხან თმაზე მოქაჩავს, ხან ყურზე უკბენს, აღრიალდება ის წლინახევრისა, ტირის, ტირის, შუაზე იხევა. ახტება ეს სამი წლისა მთელი ძალით, გაიშვერს ფეხებს და ლოგინზე უკანალით ებერტყება. მერე საწოლს მორყეული, თინას ხელით ვითომ გამრთელებული ფეხი მოტყდება და საწოლი სტერეომეტრიულად იცვლება. სძინავს თინას ტკბილად, არაფერი არ ესმის, ვერც იმას გრძნობს, გადაქანებულ საწოლზე დაყაჩაღებული მექსიკური სოფლის მოკლული მკვიდრივით რომ გდია და გულზე აღნავლებული ბავშვი რომ აწევს. ის სამი წლისა კიდევ ჩაკეცილა კუთხეში და ცხვირიდან გამოღებულ ლორწოს თითით კედელს აწმენდს.

თინას ფანჯრიდან უზარმაზარი შემწვარი ქათამი მოჩანს. კარგად ჩასუქებული, ცხიმისგან ალაპლაპებული. ღამით ისე შუქდება, ბევრ არქიტექტურულ შედევრს შეშურდება ასეთი განათება. შებრაწულ ფრინველს ირგვლივ სალათის ფოთლები, მოხარშული კარტოფილი, მწვანე ბარდა და სხვა შესაფერისი გარნირი აქვს შემოწყობილი და რიტორიკულ-ფილოსოფიურ-შემეცნებითი ხასიათის სლოგანიც ამშვენებს. ტექსტი დაახლოებით ასე ჟღერს: წაიღეთ სახლში ნეტარება... ან ასე: შემწვარი უმანკოების უბადლო ათინათი... ან ასე: მოაგლიჯე ბარკალი სრულყოფილებას...

როგორც ვიცი, ჰაერში აღმართულ ქათმის ამ უზარმაზარ გამოსახულებას ბილბორდი ჰქვია.

აი, ასეთი გოგოა თინა.

* * *

– რა დამავიწყებს ზეიკო დედას?.. ელენე, მისმენ?.. ხო, მისმინე, გენაცვალე... მოდი, ეს ბალიში ცოტა ზემოთ ამიწიე... ოოო, კარგია!.. კაი ქალი ხარ... გემრიელი ქალი ხარ, გენაცვალე, დიდი მადლობა!.. შენა, გაინტერესებს, რასაც გიყვები?.. მე მეგონა, ისე რა გაინტერესებდა... ხოდა, რა ბაღი ჰქონდა იცი, ზეიკო დედას?.. ზღაპარი, რა!.. თვითონ იცი, ვის ჰგავდა?.. აი, ამერიკელი მსახიობი რო იყო, რა... რა ერქვა?.. ბეტი... ბეტ დევისი!.. ამენ! – რო იძახდა ბოხი ხმით, ხო გახსოვს?.. არ მინდა, მეტი არ დამაფარო, მერე ვიოფლები მურტლათ... ხოდა, ამ ზეიკო დედას ბაღი ჰქონდა, ჩემო ელენე, საოცრება, რა!.. სად იყო ისეთი ენდემური ეგზემპლარები მაშინ თბილისის ბოტანიკურში, ამას რო ორანჟერეაში ედგა!.. არ წახვიდე, რა, იყავი ცოტა ხანი... ხო, კაი, კაი... საქმე, საქმე... მერე იტყვი, ნეტა სულ იმასთან ვმჯდარიყავიო... არაფერი! შენ არ გეუბნები!.. მანდედან მომისმენ?.. კაი მაშინ...

* * *

დგაფან!..

აი, ეს მომენტი უყვარს ყველაზე მეტად – გადახტომა და სანამ ამოყვინთავს, წყალქვეშ აუზის თვალიერება. დღე გრძელდება, ახლა წყალქვეშ ვარ – ამას ამბობს ხოლმე ყოველთვის, სანამ წყლის ზედაპირზე ამოვა. ძალიან მოსწონს ცისფერი, პატარა პროჟექტორებით გაბრდღვიალებული სივრცის მოხილვა. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, აუზი ცარიელი ყოფილიყო, მაგრამ ესეც ცოტა არასასიამოვნოა – ამოდენა აუზში მარტო რა გააჩერებს?.. ჯანდაბას, იყოს სხვებიც – მოძრავი ფეხები, მსუქანი და გაძვალტყავებული უკანალები, რეზინისქუდიანი და მუქსათვალიანი, ასაკიანი ქალები და მამაკაცები, ამფიბიის მოძრაობით უდრტვინველად რომ ცურავენ და ჰუმანოიდებს რომ გვანან.

არა, ცოტა უხერხულია ცარიელ აუზში ცურვა...

ნიკი ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ აუზს კვირაში ორჯერ, ხანდახან უფრო ხშირად აკითხავს. გააჩნია, როგორ გუნებაზეა და როგორი აურა ტრიალებს იქ, სადაც იმ დღეებში უწევს ყოფნა. ანუ ნიკის იმის თქმა უნდა, რომ აუზში ცურვა და იქაურ გარემოში გადანაცვლება შესაფერის განწყობას, მუხტს მოითხოვს და ეს თუ დაკარგული აქვს, აუზს ვერაფრით ვერ ესტუმრება. ნიკის ძალიან უყვარს აუზის გასახდელში თავიდან ფეხებამდე გაშიშვლება. შეუძლია წინასწარ, შინ ჩაიცვას საბანაო კოსტიუმი და გასახდელში გაშიშვლება აღარ დაჭირდეს, მაგრამ ასე ურჩევნია. სიშიშვლის არ რცხვენია, თანაც იცის – საოცრად ლამაზი სხეულის პატრონია და ისიც შემჩნეული აქვს, რომ შიშველს ქალებიც კი გულგრილად ვერ უყურებენ.

ნიკის ეს უზომოდ სიამოვნებს.

* * *

– ზეიკო დედა, ბავშვი მიკვდება, ზეიკო დედა, სპეკულიანტის ვალი მაქვს და ფული მაკლდება, ზეიკო დედა, რა ვქნა, ერთხელ შემოვუშვი და კარგ გინეკოლოგს ხომ არ იცნობ, ვერაფრით ვერ დავიტოვებ, ზეიკო დედა, ორი კბილი ნიორი მასესხე... იმიტომაც ეძახდნენ დედას, გესმის შენ?.. ებრაელის ქალი იყო, შინაბერა. ძალიან ლამაზი და მაგარი. ბეტ დევისს ჰგავდა გაჭრილი ვაშლივით, თუ უკვე გითხარი ეგა?.. ხო ლამაზი და დახატული იყო, მაგრამ რაღაცა ჰქონდა, რა... საშიში... რო შემოგხედავდა, სუ მყინვარის წყალი დაგივლიდა მთელ კორპუსში – თავიდან ქუსლებამდე...

* * *

თინა პროფესიით ფსიქოლოგია და როდესაც სამსახურიდან, თბილისის ერთ-ერთი ცნობილი კაფედან შინ ბრუნდება და საიდანაც ნარჩენი საჭმლის შინ წაღება კატეგორიულად აკრძალულია და კაფეს თითოეულ თანამშრომელს სამუშაო დღის ბოლოს ჩანთებს უმოწმებენ, მის სახლთან აღმართული ქათმის უზარმაზარი ბილბორდი უკვე განათებულია ხოლმე. თინა ამბობს, რომ იმ წუთებში, როცა შინ ვბრუნდები, ჩემი სულიერი მდგომარეობის განსახიერება ბილბორდის ქათამიაო.

კაფეში თინა ჭურჭელს რეცხავს. რეზინის ხელთათმანები აცვია, აქაფებული ღრუბელი უჭირავს და კაფეს თითოეულ თეფშს, ჭიქას, ფინჯანს, ლამბაქს, ჯამს, ჩანგალს, დანას, კოვზს და სასოუსეს ცნობს, რომლებსაც თანამშრომლებს ეძახის – ისე, თავისთვის, გულში. თინა ამბობს, რომ დასვრილი თეფშის მიხედვით ადამიანის დახასიათება შეუძლია. მაგალითად, თუ თეფშზე ძვლები და კეტჩუპის კვალია, სადილი ამბიციურმა, თამამმა და ცოტა არ იყოს, თავხედმა ადამიანმა მიირთვა; თუ თეფშზე მაიონეზის, სალათის ფურცლების ნარჩენებია და თევზის ფხებიც შეიმჩნევა, ამ თეფშით გონიერი, გულჩათხრობილი, მაგრამ ფეთქებადი ხასიათის ადამიანი სარგებლობდა; აი, იმ თეფშზე კი, სადაც ბისკვიტის, გამომცხვარი ბეზეს ნამცეცებს და მარწყვის ყუნწს აღმოაჩენს, თინიკო უსათუოდ იტყვის, რომ გულუბრყვილო, მშიშარა და ფეხის ხმას ამყოლ ადამიანს ეკუთვნისო, რომელიც ძალიან დიდხანს მოტყუებული და იმედგაცრუებული ცხოვრობს, იჩაგრება და მუდამ გულნატკენია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საკუთარი კეთილშობილებით ყველას ამარცხებს და ბედნიერებას ზეიმობსო. მისი კვერი ბოლოს მაინც გამოცხვებაო.

ესეც ისე – თავისთვის, გულში.

* * *

ნიკის ძალიან მოსწონს, როდესაც ჯინსის შარვლის ქვეშ ტანგას ნიფხავი აცვია და ჩამუხლულს ან ჩამომჯდარს ზურგიდან საცვლის განივი და მართობული ნაწილები მოუჩანს ხოლმე.

ნიკი მამამისს აღმერთებს. ზუსტად ასე ამბობს – მამაჩემს ვაღმერთებო, როცა კი სიტყვა მოიტანს. როგორც ნიკის მიაჩნია, მამა რომ არა, ცხოვრებაში ნული იქნებოდა.

ნიკის სხეულს სამი პირსინგი ამშვენებს. ვერცხლისგან დამზადებული წარბზე და ჭიპზე, მესამე – ოქროსი – ფეხებშუა, მცირე სასქესო ბაგეებს შორის.

ნიკის საყვარელი ცურვის სტილი ბრასია. მისი აზრით, ბრასით ცურვა ძალიან სექსუალურია და ქალს განსაკუთრებით უხდება. ესეც რომ არა, ნიკიმ იცის – ბრასით ცურვისას აუზში მამაკაცები წყალქვეშ ათვალიერებენ ხოლმე და ეს არ არის ის სიამოვნება, რომელზეც უარის თქმა ღირს. თუმცა ნიკი ამბობს: განა არსებობს სიამოვნება, რომელზეც უარი უნდა თქვაო? არ არსებობსო.

ნიკი ამბობს, რომ ყველაფერი სისულელეა. აბსოლუტურად ყველაფერი. ძალიან კარგად იცის, რომ ყველაფერი სისულელეა, მაგრამ ეს ვინმემ უნდა დაუმტკიცოს. ნიკიმ უნდა იგრძნოს, რომ ყველაფერი სისულელეა, თორემ ცხოვრებას ძველებურად გააგრძელებს და უბრალოდ ისევ იტყვის, რომ ყველაფერი სისულელეა.

* * *

– ზეიკო დედა თავის ბაღში ყველას კი არ უშვებდა... ჩვენს პირდაპირ, ბოლო სართულზე ცხოვრობდა. უზარმაზარი ვერანდა ჰქონდა, შემინული, ცალკე შესასვლელით, და იქ ახარებდა თავის ედემს. ძაან უცნაური ქალი იყო: ყველას ქომაგობდა, ხელს უმართავდა, სიტყვას შეაწევდა, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობა არ იცოდა. არ უნდოდა, რა... მასთან შესული და მისგან გამოსული არასდროს არავინ მინახავს. ზოგჯერ გაქრებოდა ხოლმე – კარგა ხანს არ ჩანდა, თვეობითაც კი. ყურმოკრულით ვიცოდი, ისრაელში დადის ჩუმად, ნათესავებთანო. თავისი გასაშტერებელი მცენარეებიც ალბათ იქიდან ჩამოჰქონდა. ერთ მშვენიერ დღესაც გავიხედავდი და... შემინულ ორანჟერეაში ქერათმიანი მოლანდებასავით გამოჩნდებოდა, სარწყავით ხელში. ელენე, მისმენ, გენაცვალე?.. რო დაიღლები, მითხარი... როცა ზეიკო დედა გაქრებოდა, ბაღს ვიღაც ცალთვალა, ყრუ-მუნჯი ბერიკაცი აკითხავდა. ბრმა ფოსოში დახატული შუშა ჰქონდა ჩასმული, ნამდვილ თვალს უშნოდ მიმსგავსებული. ეზოს ონკანზე სარწყავი და ვედრო ჩამოჰქონდა. ერთადერთხელ ვნახე ახლოს... მაშინ საქორწინო ბიჭი ვიყავი ჯერ კიდევ, ონკანთან ვიდექი და პაპიროსს ვაბოლებდი. მოვიდა ბერიკაცი. წყალს ვედრო შეუდგა. შუშის თვალით ჩემზე იყო მოშტერებული, საღი თვალით ვედროს ჩაჰყურებდა. ქამელეონივით, რა... ელენე, ჩაგეძინა, გენაცვალე?..

* * *

თინა და ელენე სამზარეულოში, ფანჯარასთან სხედან. ღამეა. ბავშვებს სძინავთ. თინა მაგიდაზე დადგმულ პატარა ქვაბს თავსახურს ახდის და ისევ დაახურავს. ქვაბში მოხარშული წიწიბურაა. ელენე ჩუმად ზის. ფანჯარაში იყურება. გარეთ შემწვარი ქათმის ბილბორდი ანთია – წაიღეთ სახლში ნეტარება... თინაც დუმს. ელენეს უყურებს. ელენე ფანჯარაში იყურება. ქუჩაში მანქანები მოძრაობენ, ასიგნალებენ, თითქოს საკუთარ ენაზე მეტყველებენ. ელენე შინ წასვლას ჩქარობს, მამაშენია საპატრონოო. თინა ეხვეწება, რომ ცოტა ხანს დარჩეს. ელენე ეუბნება, რომ საამისოდ ქმარი ჰყავდა და ოდნავ

მაინც რომ გაფრთხილებულიყო, ახლა გვერდით ეყოლებოდა. თინას ეღიმება და უყვება, კაფეს უფროსობამ ჩემს ერთ-ერთ თანამშრომელს ჩანთაში დამალულ საფულეში ჩაკუჭული ხაჭაპურის ნაჭერი აღმოუჩინა და მთელი პერსონალის წინაშე შეარცხვინაო. ელენე თინას ეუბნება, მუხლებზე უნდა დამდგარიყავი, ყველაფერი უნდა მოგეთმინა და აგეტანა ოჯახის შესანარჩუნებლადო, სამაგიეროდ ახლა ასეთ დღეში აღარ იქნებოდიო. თინა ისევ იღიმება და ამბობს, რომ შერცხვენილი თანამშრომელი გოგოებმა შინ გააცილეს და მასთან დარჩნენ – იმ ქალს ისტერია დაეწყო და თავის მოკვლას აპირებდაო. ელენე თინას ეუბნება, ამ ქვეყანაზე არავინ გეცოდება, არც მამა, არც შვილები და არც საკუთარი თავიო. შენი შვილების ცოდვით გული მეწვის და თავს შენი შერცხვენილი თანამშრომელი კი არა, მე მოვიკლავო. თინა ცოტა ხნით ჩუმდება, მერე ეუბნება, რომ ამას წინათ ვიღაც გოგო დაინახა, კაფეს საპირფარეშოს ღია კარში იდგა და თავი კედელზე ჰქონდა მიდებულიო. მე მგონი ნარკოტიკები ჰქონდა გაკეთებული, მთვრალს არ ჰგავდაო. ორმოცდაორი წლის ასაკში ოჯახის დანგრევა შენ სად გაგიგია? ვისი და რისი იმედი გაქვს, ან ორ-ორ ბავშვს რომ აჩენდი, ტვინი გქონდა თავში?.. სამზარეულოდან რაღაცისთვის გამოვედი და დავინახე. უძრავად იდგა. გულისპირი და შარვალი სველი ჰქონდა. ხან ვინ გაკრავდა გვერდს, ხან ვინ. სამზარეულოში შესვლისას ისევ გავხედე და შევჩერდი – სრულიად ფხიზელი მიყურებდა, თვალს არ მაშორებდა. რა მოხდა, არ ვიცი. ასე უცებ რამ გამოაფხიზლა?.. მამაშენს მიხედვა რომ უნდა, მე რატომ უნდა გახსენებდე ამას?.. მაინც და მაინც ცოცხლად უნდა დალპეს?.. თუმცა რას გელაპარაკები, ჭკუიდან ხარ გადასული... მოვკიდებ ხელს და სამკურნალოდ თვითონ წავიყვან. ბავშვებსაც წავიყვან... ერთი განახა, რა დღეში გყავს!.. იტირე, ელენე, იტირე... ახლა გულში გელაპარაკები და მადლობას გიხდი. თუმცა გგონია, რომ უმადური ვარ. შენ რომ სიკეთეს აკეთებ, რანაირი დედინაცვალი ხარ ამის მერე?.. წადი, ქმარს მიხედე, მარტოა მამაჩემი და საპატრონოა. მე ბავშვებს მივუწვები და დავიძინებ. ხვალ დილით არ დაგაგვიანდეს... არასდროს გაგვიანდება, მაგრამ მაინც... ახლა ჩემი სულიერი მდგომარეობის განსახიერება აი ის დიდი, შემწვარი ქათამია... ხვალამდე, ელენე...

თინა ფანჯარასთან მარტო ზის.

გარეთ ქათმის ბილბორდი ანთია – შემწვარი უმანკოების უბადლო ათინათი...

* * *

გლობალური... დათბობა... კილი... კილიმანჯა... კილიმანჯაროს... მთაზე 10... 10 წელიწადში... თოვლს... გააქრობს... ნიკი საწოლზე მუხლებით ზის. იატაკზე დაგდებული ჟურნალის ყდაზე წარწერა ხან გამოჩნდება, ხან საწოლის კიდეს ეფარება. ნიკის სხეულში თითქოს მცენარის თესლი ღვივდება, მერე ღერო ამოიზრდება, უსწრაფესად მაღლდება, იფოთლება და ყვავილს იკეთებს. ნიკის თვალწინ ყველა საგანი ერთ სიბრტყეზე, ზევით და ქვევით უფრო და უფრო სწრაფად მოძრაობს, სანამ ნიკის სუნთქვა არ გაუხშირდება, სანამ ნიკის პირი არ გაუშრება, სანამ ნიკის კუნთები მის საშოში მოძრავ ასოს ღვედივით არ შემოეჭირება. და ნიკი არაფრისმხედველი თვალებით ჭაღს ხედავს, რომელიც ბედნიერია, ფანჯრებს და ფარდებს, სავარძლებს და მაგიდას, ტელევიზორს, გრეიფრუტის წვენს ჭიქაში, სიგარეტის კოლოფს და ტანგას ნიფხავს, რომელიც ლანგარზე დაწყობილ ხილზე აგდია. ნიკი ვერაფერს ხედავს, თუმცა ხედავს,

რომ ყველაფერი ბედნიერია, ყველანი ბედნიერები არიან. ნიკის არაფერი ესმის, მაგრამ იცის, რომ მთელ ხმაზე გაჰკივის და ერთი სული აქვს, ქვეშ მოქცეულ ძეხორციელს მთელი ძალით დააწვეს, როგორმე გასრისოს, მტვერი გაადინოს და გაათავოს! ერთხელ და სამუდამოდ გაათავოს!!!

დღეს რა ვქნათ?.. ბიჭი სიგარეტს ეწევა და პირქვე მწოლიარე შიშველი გოგოს დუნდულებს შორის თითებს ნაზად ატარებს. გოგო არ პასუხობს. ბიჭი უკანალზე ხელს დაუტყაპუნებს. გოგო უკმაყოფილოდ ამოიკვნესებს. კლუბში წავიდეთ... გერმანელი დიჯეია ჩამოსული... არ გინდა?.. უჰუ... ნიკიი... ნიიკიი... ნიკი!.. კაი, შემეშინდაა!.. ერთი წუთით გადმობრუნდი... ჩურჩულით ეუბნება ბიჭი. ნიკი გადმობრუნდება. აი... ბიჭი საბანს გადაიხდის. ნიკის სიცილი აუვარდება. აი!.. The champion in heavy weight!.. ნიკი იცინის. შენ იცი ვინ ხარ?.. ვინ ვარ?.. კილიმანჯარო... ვიინ?.. კილიმანჯარო... ნიკი ბიჭს სხეულზე ააცოცდება და სიამოვნებისგან თვალებს მილულავს. კილიმანჯარო ვინაა?..

* * *

– ვისთან აღარ მიგვასწავლა, ვინ აღარ გაგვაცნო ზეიკო დედამ... ვიარეთ მე და საწყალმა ლიანამ, ვიარეთ და ცხრა მთა-ზღვა შემოვიარეთ... ხან სად აბობღდებოდა ის საცოდავი, ხან სად წამოწვებოდა... ხან მე მაბრალებდნენ, ხან იმას. ბოლოს ყველამ ყველაფერი იმას დააბრალა. რაღა უნდა ექნა იმ ჩემი ცოდვით სავსეს – უყურებდა კაცი და ქალი, ვინ აღარ ათვალიერებდა წინიდან და უკნიდან. მე კიდევ ვიდექი და ვიდექი დერეფნებში, ველოდებოდი და ველოდებოდი... ბოლოს შვილი მაინც არ გაგვიჩნდა... ჰი-ჰი-ჰი... ერთ დღესაც, როგორც ჩვეოდა, ზეიკო დედა გაქრა. გამოჩნდა ისევ შუშისთვალა ბერიკაცი, ოღონდ წინანდელისგან განსხვავებით, დილაობით დიდი სამგზავრო ჩანთით მოდიოდა. რა დაჰქონდა, არავინ იცოდა, ან რა ჩვენი საქმე იყო?.. დილაობით მძიმედ ეჭირა, საღამოს შედარებით მსუბუქად მიჰქონდა. მეზობლები ამბობდნენ, ეტყობა ბაღში გრუნტს ცვლის და ჩანთით მიწას დაათრევსო. თვეები გადიოდა, ჩემო ელენე, და ზეიკო დედა არსად ჩანდა. სამეზობლოში უკვე ლაპარაკობდნენ, მგონი სამუდამოდ დაგვტოვა და წავიდა თავის ისრაელშიო. ჩემი და ლიანას თავს კიდევ დიდი სიხარული ტრიალებდა... ღმერთმა შვილი გამოგვიგზავნა!.. ერთ დალოცვილ დღეს სახლის კარი გავაღეთ და სასწაული დავინახეთ... ზედ ზღურბლთან ახალშობილი იწვა. საგულდაგულოდ შეხვეული და გასაოცრად ლამაზი. საწყალ ლიანას თავიდან ძალიან შეეშინდა, უარზეც იყო. რა იციო შენო, იქნებ რა გადაუტრიალდეს თავში მაგის პატრონსო და ყელები არ დაგვჭრასო. კარგი, გენაცვალე მეთქი. მივდექი, მოვდექი, ვინც საჭირო იყო, ყველა ჩავრიე, მთელ ქვეყანას გავაგებინე – აი, ძმაო მეთქი, ჩვენი სახლის კართან ბავშვი დაგრჩენიათ და თუ არ გადაიფიქრებთ, ჩემი და ლიანასი გახდება მეთქი. შენც არ მომიკვდე! კრინტი არ გამიგია. ისე, ცოტა არ იყოს, მიკვირდა – სხვის კარზე მიგდებული და ეგეთი მოვლილი ბავშვი არ მენახა და არ მსმენოდა... ისეთი იყო, ელენეს ვენაცვალე, როგორც ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი!.. აი, ასე გაჩნდა ჩვენი თინა... გაჩნდა და ჩვენთან მოვიდა... ახლა კიდევ აღარ მოდის, აღარ მნახულობს... ბავშვებს მოგიყვან, განახებო, აღარც ეგ ახსენდება... არც სიძეს ვახსენდები... არც შენ არაფერს მეუბნები... როგორ არიან იქით!.. არ გესმის, გოგო!.. არ ესმის...

* * *

– თინა, მეორე გუბკა ხო გაქ?.. კი... მომეცი... რა ხდება, აქეთ რატომ გამოხვედი?.. ძალიან ბევრი ხალხია და ჭურჭელი აღარ ჰყოფნით. გოგოებმა, მიეხმარეო. იმ ახვრებსაც ეს არ უნდათ?.. აი, გუბკა... მიზეზი მიეცი და... ის კრანი ხომ მუშაობს?.. კი... ამეებს სულ მე გავრეცხავ, ახლები რო შემოვა, იმას შენ მიხედე... მოიცა, ნაწილ-ნაწილ წაიღე, მძიმეა... მიდი, მიდი, დაუჩქარე!.. ისეთი აძაღლებულია ის ნაგავი, რო... რომელი?.. ის თავგასიებული!.. ხო იცი, რა უთქვამს?.. რაო?.. ნარჩენების ჭამაც უნდა ავკრძალოო... გადაიხადონ ფული და ჭამონო... მერე?.. რა, მერე?.. იმუშავებ მშიერი... ხელთათმანები არ გინდა?.. გაქვს ზედმეტი?.. აჰა... გაიხარე... თავშიშველს ვისაც ვნახავთ, ეგრევე გავუშვებთო... გაურეცხავი ფორმით ვისაც ვნახავთ, ეგრევე გავუშვებთო... ოთარმა მითხრა, შეფ-პოვარმა... აი, ლალიც მოსულაა!.. რა მოგვიტანე, ლალიკოო?.. ნაყროვანება... ოოო, ყოჩაღ!.. იმდენი ხალხია, რო შეიძლება შეიშალო!.. რამ დაამშია ასე, ყველა ერთად?! ეე, ჩემო ლალი, დამშევა შენ ჩვენი ნახე... მიდი, ეგენი თინასთან ჩაალაგე... აბა, ეგა თქვი შენა... იცი ხო შენც?.. ვიცი, ვიცი... არა მგონია, ეგ იკადრონ... კარგი რა, თინა, განათლებული ქალი ხარ. ეგ შეეშლებათ მაგათ – რო აუცილებლად უნდა იკადრონ?.. დაუჩქარეთ, გოგოებო, ორი ამდენი კიდევ მოსატანი მაქვს... ხო, ხო, ლალიკო... მიდი, ჩქარა მოიტანე!.. რა ქენით გუშინ, ნონა როგორ დატოვეთ?.. უჰ, არ მკითხო, თინა... რაღა დავტოვეთ, ღამის 2 საათზე წამოვედით... ვინ და ვინ დარჩით?.. მე, რიტა და კუსა... ჯერ ხო სასწრაფო გამოვიძახეთ... ამეებს რა ვუყო ახლა?.. საშრობში უნდა ჩაალაგო... მოიცა, მე გავაკეთებ... მერე?.. ხოდა, გაუკეთეს დამამშვიდებელი... მერე დედამისთან დაგვარეკინა... მოვარდა საწყალი ქალი, გულგახეთქილი... რაც მაგან ესენი წყევლა, ფეხზე როგორ დგანან?.. ხოდა, როდის-როდის, ჩაეძინა... ოთხი წლის გოგო ჰყავს, ისეთი საყვარელი... ქმარი?.. მე რა ვიცი ქმარი?.. ვიღაცას კი ეძინა გვერდით ოთახში და, ქმარი იყო ალბათ... ისე წამოვედით, არც ამდგარა... ხოდა, გითხრა: ჩვენ ხო აქეთ-იქით დავრბივართ – აბა წყალიო, აბა ექიმიო. ამან დაითრია დედამისის ჩანთა, დაჯდა მაგიდასთან და... რას ეძებდა, არ გაინტერესებს?.. აბა, გოგოებო, მოვიდა!.. ნაყროვანება მოვიდა!..

* * *

ყველაფერი ჭრიალის მსგავსი ხმის რიტმით იწყება, რომელსაც წითელი და იისფერი ნეონის კოლონათა მონაცვლეობითი გაელვება სინქრონულად მოყვება. რიტმს საფეხურისებრად ამავალი ნოტები უერთდება, ამავალ ნოტებს, ტაქტებს შუა, სპილოს ძახილის იმიტაცია ემატება, სპილოს ძახილს პერკუსია, და უეცრად, საშინელი მსხვრევის ხმით ყველაფერი წყდება. ჩაბნელებულ სივრცეში ადამიანთა ბღავილი, კივილი და სტვენა მოისმის, თითქოს გასაიდუმლოებული ლაბორატორიის საცდელ კამერაში ხალხი შეუყრიათ და უსასტიკესი ექსპერიმენტი ეს-ესაა, დაიწყოო. სიბნელეში საკონცერტო ბოლი მოჩვენებასავით საიდანღაც ამოიზრდება და ჰაერში ზლაზვნით იშლება. ეიფორიულ ისტერიას ელექტრონული ფონი უერთდება, რომელიც

თანდათანობით მატულობს, ძლიერდება, თითქოს უმძლავრესი მექანიზმი ამოქმედდა და ძალას იკრებსო. ბოლით სავსე დარბაზში ფერადი შუქები კრთის, ელექტრონული ფონი კულმინაციას აღწევს, ადამიანთა ხმებს ფარავს და ბასების უძლიერესი დარტყმა, ერთბაშად ყველა პროჟექტორის გაბრდღვიალება ბირთვულ აფეთქებას ემსგავსება. ეგზალტირებული ადამიანების მასა ცეკვას იწყებს. ეიფორიული, გაოფლილი სახეები ერთმანეთში ირევა, მოზღვავებულ ჰორმონებს სათვალავი არა აქვს და ყველა მათგანი ინსტალირებული ფანტომი ხდება, რომელმაც მხოლოდ ერთი ბრძანება უნდა შეასრულოს – ენერგიის ამოწურვამდე იცეკვოს. დარბაზის სიღრმეში, შემაღლებულ ადგილზე მელოტი ალბინოსი – გერმანელი დიჯეი მიქშერთან დაბმული ნადირივით ხტის. მკერდზე წრიულად ამოჭრილი მაისური აცვია და გახვრეტილ კერტებზე ვერცხლის პატარა რგოლები აქვს გამობმული. კისერს სვირინგი – გამოჭრილი ყელის იმიტაცია უმშვენებს. ფრჩხილებზე შავი ლაქი უსვია, მარჯვენა ყურზე პენისის ფორმის კულონი ჰკიდია.

მოცეკვავეების უკან, მოშორებით, ნახევრადბნელში, ნახევარწრის ფორმის დივანზე ორი წყვილი ზის. ერთ-ერთ გოგოს მაგიდაზე დაწყობილ მკლავებში თავი აქვს ჩარგული. გვერდით მჯდომი ბიჭი წამდაუწუმ თავს აწევინებს, ნიკაპში ხელს ჩაავლებს და ანჯღრევს. გოგოს რეაქცია არა აქვს. საკუთარ მკლავებზე საწყის მდგომარეობას მოწყვეტით უბრუნდება. მეორე წყვილი თავისთვის ერთობა და ვერაფერს ამჩნევს – გამაყრუებელი მუსიკის რიტმს აყოლილები, ვნებისგან გავეშებულები ერთმანეთს ისე კოცნიან, თითქოს ცოტაც, და რომელიც დაასწრებს, ის მოაჭამს პარტნიორს ტუჩ-ნიკაპსო. მაგიდაზე ჩამოძინებულ გოგოს ბიჭი არ ეშვება და ყურში მთელ ხმაზე ჩაყვირის:

ნიკი!.. ნიკიი!.. შემომხედე!.. შემომხედე!.. აი ასე!.. გემის ჩემი ხმა?!. კარგია! კარგი გოგო ხარ!.. აი, მოხიტო მოგიტანეს!.. არ დაიძინო, გესმის?!. გინდა, წავიდეთ?!. არა?!. მაშინ არ დაიძინო!.. არ დაიძინო!..

ბიჭი მეორე წყვილს ეძახის. არ ესმით. სიგარეტის კოლოფს დაწვდება და მთელი ძალით ესვრის. კოლოფი გოგოს თავში ხვდება. გაოცებულები მოიხედავენ. ბიჭი რაღაცას მთელ ხმაზე უყვირის. გოგო მიმოიხედავს და მაგიდის ქვემოდან ჩანთას ამოიღებს, გაუწვდის. მეორე ბიჭი გადმოიხრება და ნიკის სახეში სულს შეუბერავს. იცინის. ნიკის რეაქცია არა აქვს.

რა მოუვიდა!.. ვეუბნებოდი, ამ ჩემისას, აგაგდებს მეთქი და!.. რამდენი აითვისა!.. ორნახევარი!.. ბოლომდე გაუფერადებია, რა!.. რა თქვი?! ბოლომდე გააფერადა მეთქი!.. რამე მომაწოდეთ, პირი მოვწმინდო!.. ნიკის მეორე გოგო მიუჩოჩდება. ნიკი! ნიკი! გესმის ჩემი?! ტუსია ვარ! ვაიმეე!.. რა არი?! შარვალი სუ სველი აქვს!.. ჩანთაში მანქანის გასაღები მოძებნეთ, უნდა წავიყვანო!.. ერთი წამით, რაღაცას მეუბნება!.. ტუსია ნიკის პირთან ყურს მიიტანს. რაო!.. მოიცა!.. რა თქვი, ნიკიი?! მშიაო!.. მშიაო?! ხო, მშიაო!..

ბიჭი ნიკის წამოაყენებს, მხარში შეუდგება და დარბაზიდან გამოყავს. კლუბში მუსიკა სრულდება, რასაც არანორმალური ყვირილი, კივილი, სტვენა და ტაში მოყვება. დარბაზი ბნელდება და ყველაფერი თავიდან იწყება. დივანზე დარჩენილი წყვილი შეწყვეტილ საქმეს აგრძელებს. ბიჭის კალთიდან გოგო ნელ-ნელა ქვემოთ ჩაძვრება. ბიჭი ქურთუკს იხდის და მაგიდის ქვეშ, მუხლებზე დამდგარ გოგოს თავზე გადააფარებს. All

begins nooow!!! ცხოველური ხმით ღრიალებს ალბინოსი დიჯეი და ბირთვული აფეთქებაც არ იგვიანებს.

* * *

– თინას პოვნიდან ლიანამ ხუთი წელიწადი იცოცხლა... ძალიან უბედური იყო ცხონებული... ცოლადაც იმიტომ შევირთე, რომ მეცოდებოდა... მერე შემიყვარდა... მერე, უნაყოფო რომ აღმოჩნდა, ისევ მეცოდებოდა... ძალიან მეცოდებოდა... ეჰ... გაჩუმდი, შე კეთილძაღლო!.. რა კაცის საქმეა ქალივით ზლუქუნი!.. ტფუი, შენი!.. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ლიანას სული!.. მაპატიე, ელენე, გენაცვალე... ვიცი, რომ არ უნდა ვლაპარაკობდე ამას... გეწყინა?.. ხმას არ იღებ და რა გავიგო?.. თინამ ახლაც არაფერი იცის... დედამისი ლიანა ჰგონია... შენზე კიდევ იცი, რა მითხრა ერთხელ?.. ეგ რომ სიკეთეს აკეთებს, რაღა დედინაცვალიაო?.. ნუ იფიქრებს, რომ უმადური ვარო... ნუ იფიქრებ, გენაცვალე, რომ თინა უმადურია... დღევანდელი მაწონი ძალიან მჭავე იყო, ელენე... რო შევჭამე, ნახევარი საათი მაკაკასავით ვიჭყანებოდი... ხოდა, რას გეუბნებოდი?.. მეზობლები კი ამბობდნენ, ზეიკო დედა ისრაელში სამუდამოდ გადაბარგდაო, მაგრამ რა იცოდნენ?.. გამოჩნდა... უფრო გალამაზებული, გაახალგაზრდავებული, ოღონდ დასევდიანებული და დამძიმებული ჩანდა. თინიკო მაშინ ოთხი-ხუთი თვის იქნებოდა. ძალიან გაუხარდა ზეიკოს ჩვენი ამბავი: ღმერთს ყვარებიხართო, ასეო, ისეო, ოღონდო ახლა ნუ კი დანებდებითო – მოინდომეთ და ღვიძლი შვილიც გააკეთეთო... ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა მაშინ და ისეთი ტან-ფეხი, ისეთი დახატული სახე ჰქონდა, ოცი წლის გოგოებს ტოლს არ უდებდა. მეზობლები ისევ ჩურჩულებდნენ, მთავრობა ავიწროვებს – გაუგეს, ისრაელში რომ დაიპარება და სათვალთვალოდ ხალხი მიუჩინესო. ზეიკოც აქამდე ხომ სულ კარჩაკეტილად იყო, ჩამოსვლის მერე სულმთლად შინ გამოირაზა. ერთადერთი, რაც ზეიკო დედას ცხოვრებაში არ შეცვლილა, მისი სიკეთე იყო – ძველებურად ყველას ეხმარებოდა ცხონებული... ჩვენს თინიკოს ძალიან ანებივრებდა, სიყვარულს უცხადებდა, მაგრამ უკვე აშკარად ვეღარ იდგა ისე მაგრად... უკვე ქესეტად იყო, ხალვათად... რა ხდებოდა მის თავს, არავინ იცოდა... ვერც ვერავინ ეკითხებოდა – ვერ უბედავდნენ... მისი კედლის მეზობლებს ოჯახში ერთი ბიჭი ჰყავდათ, მირზა ერქვა... მახსოვს ეგ ბავშვი... ცალ ფეხზე შვიდი თითი ჰქონდა, მეორეზე – ოთხი... ხოდა, ეს მირზა ღამე ტუალეტში მოსაფსმელად ვერ შედიოდა, კედლის იქით ზეიკო დედას ტირილის ხმა მესმისო... ვინ გაბედავდა ეკითხა, რატომ ტირი, ზეიკო დედაო, მაგრამ... ტიროდა, ელენე, თანაც ყოველღამე... ისევ არ მისმენ, არა?.. აი დარდი...

* * *

კაფეს საპირფარეშოდან ნიკი გამოდის. გულისპირი და შარვალი სველი აქვს. დარბაზში გამოივლის და მაგიდასთან ჯდება. ვიღაცეები თვალს აყოლებენ – შარვალს სისველე ძალიან ემჩნევა. მაგიდასთან ბიჭი ზის. აკანკალებული ხელით სიგარეტს საფერფლეში ჩააჭყლეტს. ჭამე, ყველაფერი მოგიტანე... მანქანის გასაღები მომეცი... რად

გინდა მანქანის გასაღები?.. შენ ჭამე, მე უნდა წავიდე... რა გაცინებს?.. როგორ უნდა წახვიდე, ფეხზე ძლივს დგახარ!.. ყველაფერმა გამიარა... ასე უცებ?! ქვეშ იფსავდი, ისეთ დღეში იყავი და ახლა გინდა თქვა, რომ... ხო, კარგად ვარ... არ ვიცი, ტუალეტის კარებში ვიდექი და უცებ კარგად გავხდი... ღადაობ... არ ვღადაობ, გასაღები მომეცი... ვიღაც ქალი დავინახე და მაშინვე გამოვფხიზლდი, დედა მომიკვდეს... ქერა იყო, ცისფერთვალება... ცელი ხო არ ეჭირა ხელში?.. იდიოტივით ნუ იცინი... ვიღაც მსახიობს მივამგვანე, ოღონდ არ მახსოვს, რომელს... სიგარეტი მომეცი... აჰა, გენაცვალე... მანქანის გასაღებიც... კი, ჩემო სიცოცხლე... მე წავედი... მოიცა, სად მიდიხარ?.. კარს არ გამიღებ?.. იცი რა, მოდი შენ ახლა ტაქსით წადი... რაა?.. ხო, ტაქსით წადი... ხო, და კიდევ ისა... აღარ დამირეკო და არ მომაკითხო, სანამ მე არ დაგირეკავ... ე, ნიკი, რა მოგივიდა, ტო?!

ნიკი ღილაკს აწვება. შუშა იხურება. გასაღებს გადაატრიალებს. მანქანა იქოქება. ბიჭი შუშაზე აკაკუნებს. ნიკი ღილაკს აწვება. რა გინდა?.. ჩემდათავად შენთვის წამლის მომცემის... დაამთავრე?.. არა, ტაქსის ფული არ მაქვს... ფული გუშინ აგიღია, დაუკითხავად და თანაც ძალიან ბევრი... სად წაიღე?.. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... აჰა... დაჭმუჭვნილ ბანკნოტს ფანჯარაში უგდებს. მანქანას მოწყვეტით დაძრავს, თუმცა რამდენიმე წამში ჩერდება და უკუსვლით ბიჭთან ბრუნდება. აი ამ მაზალო ხუმრობებისთვის ერთხელაც იქნება... გააღე, რაღას უცდი?.. რაღაცის თქმა დამავიწყდა... გააღე და მერე მითხარი... შენი სახელი გამახსენე?.. აუ, დაიწყო ისევ... კარგი, დაიკიდე... კარგად მომისმინე, ბიჭი: ყველაფერი სისულელეა... სულ ყველაფერი...

* * *

– „ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება, სიო სარკმლით მონაქროლი“ ... როგორ მიყვარდა ეს ლექსი, ჩემო ელენე... რა იცი, როგორ მიყვარდა... მაგრამ ახლა ისე მიყვარს, როგორც არასდროს... შენ რომ მოგიყვანე, ზეიკო დედა ჩვენს მეზობლად უკვე აღარ ცხოვრობდა... წავიდა ჩუმად, დადარდიანებული, გულნატკენი... ჯერ ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს... ყველაფერი გაუზიდეს... ორი დღის განმავლობაში, ღამ-ღამობით მოდიოდნენ... ზეიკო დედა ბაღში იჯდა ხოლმე და უცდიდა, როდის წაეთრეოდნენ... მერე უცხო ქვეყნის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილად ცნეს... სულ რამდენიმე საათით გაასწრო... ისეთი მაგარი კი იყო ჯერ კიდევ, რომ იმ ნაძირალებისგან თავის დახსნა მოეხერხებინა... უბანში ფული ავკრიბეთ... ხალხი ბოლო კაპიკს იძლეოდა... მერე შავ ბაზარზე დოლარი ვიყიდეთ და ზეიკო დედას შევუთვალეთ. ოცდათორმეტი ათასი იყო... აიღო ცხონებულმა, იმიტომ, რომ მართლა ჭირდებოდა... თურქეთის საზღვარზე გადააპარეს. იქიდან სირიაში გადავიდა. სირიიდან – სამშვიდობოს, თავისებთან... იმ დღეს, გამთენიისას სამეზობლოში არავის ეძინა, ყველა ეზოში იდგა, რომ ზეიკო დედას დამშვიდობებოდა. ერთი დიდი ჩანთა წერილებით იყო გამოტენილი – ხალხი, ვინც ვერ დაემშვიდობა, მადლობას უთვლიდა. მერე ჩემთან მოვიდა, თინიკო მოიკითხა. სძინავს მეთქი. ამიყვანე სახლშიო. მე და ლიანამ პირი დავაღეთ – ასეთი რამ ზეიკო დედას არასდროს არავისთვის უთქვამს. ავიყვანეთ. თინას ეძინა. სამი წლის იყო მაშინ. ბედნიერი იყავი, ჩემო პატარა გოგოო... თვითონაც ვერ ვხვდები რატომ, მაგრამ ეს რომ თქვა, კინაღამ გული გამისკდა... ხელჩანთიდან პატარა,

ლამაზი თოჯინა ამოიღო და თინიკოს გვერდზე მიუწვინა. ლიანას გადაეხვია, დაემშვიდობა და უთხრა, შინ დარჩი, ბავშვს ნუ დატოვებო. კიბეზე რომ ჩავდიოდით, გაჩერდა, ჯიბიდან დალუქული ბარათი ამოიღო და მეუბნება, სიტყვა მომეცი, რომ ამ ბარათს მანამ არ გახსნი, სანამ ჩემი სიკვდილის ამბავს არ შეიტყობო. თინიკოს გეფიცები მეთქი... მერე მანქანამ მოაკითხა, ჩაჯდა და წავიდა. ბარათი შესახებ არავისთვის მითქვამს. წლები გადიოდა, ჩემო ელენე, და ზეიკო დედაზე ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. საგულდაგულოდ შენახული დალუქული ბარათი კიდევ მოსვენებას არ მაძლევდა. თან ვფიქრობდი, ღმერთმა ასი წელი აცოცხლოს ზეიკო დედა, მაგრამ მისი სიკვდილის ამბავს მე როგორ გავიგებ, ძველი სამეზობლოდან თითქმის აღარავინ შემომრჩენია, ზოგი მოკვდა, ზოგი გათხოვდა და წავიდა, ზოგმაც საცხოვრებელი გამოიცვალა და საერთოდ დამეკარგა მეთქი. ლიანას გარდაცვალებიდან, ცოტა ხანში, მეც დავტოვე ჩემი უბანი და სხვაგან გადავედი. ახლახან, ჩემო ელენე, რამდენიმე წლის წინ, როცა ჯერ კიდევ ფეხზე დავდიოდი, ქუჩაში უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი გამომელაპარაკა. აი, ზუსტად ის დღე იყო, ვარდებით ხელში ძალიან ბევრნი რომ ვიდექით და ვიღაცეები ჩაის დასალევად კარს რომ ამტვრევდნენ... ქაშუეთთან, ჭადარს ვიყავი მიყრდნობილი. უცნობმა სახელით და გვარით მომმართა. ხომ არ მეშლებაო?.. არა მეთქი. დალუქული ბარათი რომ გაქვთ, ხომ არ გაგიხსნიათო?.. ელდა მეცა... რა ბარათი მეთქი?! მამაკაცმა ჯიბიდან დაკეცილი ფურცელი ამოიღო და გამომიწოდა. მე ისრაელიდან ვარ ჩამოსულიო. თქვენი მონახვა მქონდა დავალებულიო. ბინა გამოგიცვლიათ და ძლივს მოგაგენითო. დღეს სახლთან გდარაჯობდით და გამოგყევითო. რაშია საქმე მეთქი?.. უნდა შეგატყობინოთ, რომ ამ ოციოდე დღის წინ თქვენი ყოფილი მეზობელი ზეიკო დედა გარდაიცვალაო... ამ ფურცელზე ზეიკო დედას ნათესავების სახელები და ტელეფონის ნომრები წერია, შეგიძლიათ დარეკოთ და გადაამოწმოთო. ბოდიში მომიხადა, დამემშვიდობა და წავიდა. თავქუდმოგლეჯილი შინისკენ გავვარდი. ქუჩაში გამოსულ უთვალავ ხალხში გზას ძლივს მივიკვლევდი. ცენტრალურ ფოსტასთან შევჩერდი. გული ამოვარდნაზე მქონდა. იმ წუთებში ვიგრძენი, რომ ბარათის გახსნის მეშინოდა... არადა, მთელი ის წლები თურმე ფორიაქში და ბარათზე ფიქრში გამეტარებინა. ამასაც იმ წუთებში მივხვდი. უცებ დავკარი ფეხი და ფოსტაში შევედი. დაკეცილი ფურცელი გავხსენი და ოპერატორს პირველივე ნომერი ვუკარნახე. ყურმილი ვიღაც ქალმა აიღო... თბილისიდან ვრეკავ მეთქი, ესა და ესა ვარ მეთქი... მე ზეიკო დედას კუზენი ვარო, რუსულს ამტვრევდა. მივუსამძიმრე. დღეს თქვენ ვინც დაგელაპარაკათ, ჩემი შვილიშვილიაო. მერე მკითხა, ბარათი გახსენითო?.. არა, ჯერ შინ არ მივსულვარ მეთქი. ატირდა. იცით, აი მაშინ, როცა ზეიკო დედა დიდი ხნით გაქრა და გეგონათ, რომ სამუდამოდ დაგტოვათ, სინამდვილეში შინ იყო გამოკეტილიო, ხოლო იმ ყრუ-მუნჯ ბერიკაცს დიდი ჩანთით მიწა კი არა, საჭმელი და სასმელი დაჰქონდა ზეიკოსთანო... ზეიკო დედა კიდევ იჯდა და ელოდებოდაო... ვის, ბერიკაცს მეთქი?.. არაო... ეს ყველაფერი ზეიკო დედას დავალებით სიტყვასიტყვით გადმოგეცითო, ვიცოდი, რომ დარეკავდითო. სხვასთან რომ დამერეკა მეთქი?.. სადაც არ უნდა დაგერეკათ, ყველგან ერთსა და იმავეს მოისმენდითო... ქალბატონო, მითხარით, რა ხდება მეთქი!.. ახლავე წადით შინ და ბარათი გახსენითო! – კი არ მითხრა, მიბრძანა და ყურმილი დაკიდა...

* * *

ღამეა. თინა ფანჯარასთან ზის. ბავშვებს სძინავთ. გარეთ ბილბორდი ანთია, ოღონდ ცარიელია. შემწვარი ქათმის გამოსახულების ნაცვლად, შუაში მობილური ტელეფონის ნომერი წერია. მაგიდაზე თავმოგლეჯილი თოჯინაა დასკუპებული, გვერდით ორი ფურცელი დევს. ნაკეცები ეტყობა. ორივე ხელნაწერია.

ერთ ფურცელზე წერია:

„მამა გენაცვალოს!

ეს წერილები შენს უჩუმრად იმ თოჯინაში შევინახე, რომელიც დიდი ხნის წინ ზეიკო დედამ გისახსოვრა. ელენეს დავუბარე, რომ ამის შესახებ მაშინ ეთქვა, როცა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. თუ ახლა ამ წერილს კითხულობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ზეციდან გლოცავ და გთხოვ, ნუ დამძრახავ ჩემი დუმილის გამო.

ბავშვები დამიკოცნე! ბედნიერებას გისურვებ, ჩემო ერთადერთო!

მამაშენი.“

მეორე ფურცელზე წერია:

„ჩემო ძვირფასებო!

წინასწარ გთხოვთ პატიებას, თუ ეს წერილი აგაფორიაქებთ და გულს დაგიმძიმებთ.

მთელი ცხოვრება უშეცდომოდ გავატარე და მეგონა, აღარაფერი შემეშლებოდა, მაგრამ... დამვიწყებია, რომ ადამიანი ვარ...

ჰო, ადამიანი ვარ, რომელმაც მიუტევებელი შეცდომა დავუშვი, თანაც ასეთი შეცდომისთვის ძალიან შეუფერებელ ასაკში! თუმცა ცოდვის გამოსასყიდად, გადავწყვიტე შეცდომა სიკეთედ მექცია და ამისთვის თქვენ აგარჩიეთ, რომლებსაც ეს სიკეთე ყველაზე მეტად გჭირდებოდათ...

თქვენი ნებაა და თქვენი გადასაწყვეტია, წააკითხებთ თუ არა ამ წერილს თინას, მაგრამ ვინიცობაა წააკითხოთ, ორ სიტყვას მისთვისაც დავწერ!

ჩემო თინიკო! ჩემო საყვარელო!

ეს საიდუმლო მაშინ გაგიმხილე, უკანასკნელად რომ გნახე, როცა გემშვიდობებოდი, მაგრამ შენ არ გაგიგია. გეძინა.

წინ რთული ცხოვრება გელის. ვიცი, ვგრძნობ ამას, მაგრამ შენი კეთილშობილებით ყველას მოერევი და თავს შეაყვარებ. ბოლოს და ბოლოს შენი კვერი მაინც გამოცხვება!

ბედნიერებას გისურვებ, ჩემო ერთადერთო!

შენი ზეიკო დედა.“

* * *

– მერე რა იყო?.. არაფერი. დავიშალეთ მეზობლები, დაღონებულები, გულდაწყვეტილები. ამოვედი შინ. ლიანა იჯდა და ცრემლები მოსდიოდა. აი, მაშინ დავინახე კიდევ ერთი სასწაული და მას მერე მსგავსი არც არაფერი მინახავს და აღარც არაფერს გავუკვირვებივარ... ფანჯარასთან მივედი და ზეიკო დედას ბინისკენ

გავიხედე... მშვიდი, უღრუბლო დილაა. ხეზე ფოთოლი არ ტოკავს. უცებ ვხედავ, ზეიკო დედას ბაღში საოცრება ხდება: მცენარეები, ხეები, ბუჩქები ისე ირხევიან, თითქოს შემინულ ორანჟერეაში გრიგალი შეპარულა და იქაურობას ანგრევსო... მინდა ლიანას დავუძახო, მაგრამ ფანჯარას ვერ ვშორდები, ხმას ვერ ვიღებ... ხეები კიდევ ირხევა, ქანაობს, თავს იკლავს, ბუჩქები, დიდფოთოლა მცენარეები აქეთ-იქით აწყდება!.. ზეიკო დედას ბაღში ქარიშხალია!.. გამოვიპარე გარეთ, გიჟივით გავვარდი... ავედი ვერანდაზე – არაფერი არ ხდება, ბაღის კარი ჩაკეტილია, შიგნით არავინაა... შინ რომ დავბრუნდი, ვეცი ისევ ფანჯარას, თან გული მიძაგძაგებდა... არაფერიც აღარ იყო... აი ასე, ჩემო კარგო... ახლა იქნებ გვერდი შემიცვალო, ცოტა ხანი თვალს დავხუჭავ... გვიანია უკვე ალბათ... ან შეიძლება ძალიან ადრეა... რა მნიშვნელობა აქვს?.. არაფერი...

* * *

საინტერესოა... შეიძლება თუ არა ადამიანმა ადამიანს უბრალოდ შეხედოს და ამქვეყნად ყველაფერზე თუ არა, ბევრ რამეზე აზრი შეეცვალოს? ან სულაც – ხელახლა დაიბადოს? იქნებ ასეც ხდება? იქნებ მთელი ჩვენი ცხოვრება სულ ცვლილებებია, რომელსაც ერთმანეთის დანახვით, გაუცნობიერებლად განვიცდით – სულერთია, ნაცნობები ვიქნებით თუ უცნობები. თუმცა ძალიან იშვიათად, ცხოვრებაში სულ რამდენჯერმე, ეს გრძნობა მეტისმეტად გაფაქიზდება ხოლმე და ჩვენი გონება ყველაფერს თავიდან ბოლომდე გვიშიფრავს – მარტივად, გასაგები ენით გვიხსნის, როგორც მასწავლებელი დაწყებით კლასში: აი ია, აი თითი, აი თუთა, აი თათი...

ეს სიტყვები თინამ მითხრა, რომელიც პროფესიით ფსიქოლოგია და თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ კაფეში მუშაობს. ორმოცდაორი წლისაა, გვიან გათხოვდა და ორი შვილი ჰყავს – ერთი სამი წლის, მეორე წლინახევრის...

კაცმა რომ თქვას, იქნებ მართლა ისე ხდება, როგორც თინა ამბობს?..

იქნებ არის ამ ვარაუდში ჭეშმარიტება?..

თუ მართლა სისულელეა ყველაფერი?..

თამთა ირემაძე

ეს მოთხრობა ახალი მოთხრობაა, რომელიც ლიტერატურულ კონკურს „წეროსთვის“ დავწერე. განსხვავებულიცაა ცოტა, ფანტასტიკა და აბსურდი, ქვეცნობიერი და ცნობიერი, დროის გაყინვა და სულ წარსულით ცხოვრება, რომელიც უამრავ ადამიანს ჭირს როგორც დაავადება და წინ წასვლაში უშლის ხელს, ამ კაცის ერთ მონოლოგში, კერძოდ ლილისა და ლუსიასთან მიმართებაში იჭედება.

შემოდგომიდან (ერთი და ორი. 12)

შე-მოდგომიდან

გოგო ზის მოკლე ჩითის კაბით კაკლის ხის ქვეშ და წენგოიან კაკალს არჩევს გაყვითლებული თითებით. კაბა გულთან ამოღებული აქვს და ჩახსნილი.
ჯერ ლიფს არ ხმარობს.
თხელი კანი აქვს, ქერისფერი.
მზედაკრული.
ცამეტის იქნება, ან თოთხმეტის?
ჩემმა გოგომაც ლიფის ხმარება 13 წლიდან დაიწყო, არა 12– იდან.

ჯერ მხრებში ამოიხარა, მერე ხელების გულზე გადაჯვარიდინება და გვერდულად დგომა დაიწყო უხერხულად, მერე ერთ დღესაც დედაჩემმა თვალის ჩაკვრით მითხრა: ლუსიას მაღაზიაში მე გავიყვან ამ შაბათსო. მაღაზიიდან რომ დაბრუნდნენ, ლუსია თავის ოთახში შევარდა და კარი ჩაიკეტა.
დედაჩემმა მაშინაც თვალი ჩამიკრა და მე უსიტყვოდ გავუგე: ეს, მხოლოდ ჩვენ, ქალებმა, ვიცით და შენ და ლუსია მეგობრები ვეღარ იქნებითო.
მერე ეზოს თოკზე პატარა თეთრი ლიფი გაიკიდა, წყალი წურწურით რომ გასდიოდა, მერე პატარა ბამბის ლიფს ლამაზი, არფიანი ლიფებიც მიემატა და მე სახლის დატოვებამდე სულ მეჩვენებოდა, რომ ლუსიამ რამდენიმე წელი ერთად გამოტოვა, ორ–სამ წელს ერთბაშად გადააბიჯა და დედამისის ასაკში აღმოჩნდა თავისდაუნებურად. ისიც, მეჩოთირებოდა, როცა მის გადაყვლეფილ მუხლისთავებსა და გაპარსულ ფეხებს ერთად ვხედავდი ან მის ჯიუტ, გაუცხოვებულ მზერასა და ბუსუსებს მკლავებსა თუ ზედა ტუჩზე. მერე ლუსიას თვალს და ხელს, როგორც ბავშვი ისე ვარიდებდი და მის მოუწესრიგებელ ტანსაცმელს სკოლის მერე ერთი ხელის შევლებით ვეღარ ვასწორებდი, რადგან რამდენიც კი კაბას დავუფერთხავდი, თუ საყელოს გავუსწორებდი, ლუსია წითლდებოდა და უხერხულად იშმუშნებოდა. მერე მე როგორც იქნა მივხვდი, რომ მამა დედის ადგილს ვერასოდეს დაიკავებდა ქალიშვილის ცხოვრებაში და მე უბრალოდ მისი მიხურული კარის უკან დავიწყე ბორიალი.

კაცს გულთან გაკენწლა, ზუსტად ისევე, როგორც წლების უკან. სიმარტოვემა და მიტოვებამ, როგორც დეპრესიამ, ერთბაშად მოუარა და ადგილზე გაყინა.
იდგა ლუსიას საძინებლის კართან და არა ვიღაც გოგოს ღობის წინ.
იდგა სახლში გაჭუჭყულ ხალზე, (ქალის ხელი სულ რომ აკლდა), და არა მწვანე ბალახზე.
გრძნობდა ლუსიას მძიმე სუნამოს სუნს და არა დახეჩილი წენგოსას.
ხედავდა თავის გოგოს კაკლის ხის ქვეშ და არა ვიღაც სხვა მუქთმიანს.
ჩითისკაბიანის დაჟინებული მზერა იგრძნო, მზერა იყო გაკვირვებანარევი, კითხვებით სავსე და აი, იმ წამსვე თუ არ გაშორდებოდა იმ ადგილს, (რასაც ვიღაცის ღობის პირი ერქვა), ან იმ წამსვე თუ არ ალაპარაკდებოდა, ეს მოკლეკაბიანი გოგო ადგებოდა და თავისი გზით წავიდოდა.
შეეშინდა.
მაჯას დახედა და გოგოს რაღაც კითხა ღიმილით. უფრო სწორად არაფერი კითხა, მაგრამ გაიგო რომ უპასუხეს, საათი შენ თვითონვე უნდა ატაროო.
გოგომ კაკლის ჭამა შეწყვიტა.
კაცს შიოდა.
ბავშვივით გამობუსხულ ტუჩებთან თეთრი ლებნის ნაწილი ეგდო, რძისფერი, კნატუნა. გემოც კი იგრძნო. ღობის კარს შეეხო და წინ გადაიხარა. თვალით, როგორც დიდი ხნის ნაცნობს ისე ანიშნა: აი, მანდ რაღაც გაგდიაო. გოგომაც იმ წამსვე მოისვა პირზე ხელი, მერე ქვედა ტუჩი ზედა კბილებით გადაიფხიკა, მერე მთელი მაჯით გადაიპრიალა ლოყებიც და ნიკაპიც და კაცს მიაშტერდა ისევ უსიტყვოდ.
კაციც იდგა და უყურებდა აწითლებულ გოგოს,
გოგოში– თავის გოგოს,
თავის გოგოში – საკუთარ თავს,
საკუთარ თავში– გულდაწყვეტილ მამას,
გულდაწყვეტილ მამაში – მუდამვიღაცისმაძიებელ კაცს,
კაცში – ლილის,
ლილიში– ლტოლვას,
და ლტოლვაში– ისევ სიმარტოვიდან დაძრომას.
განვლილი წლები, როგორც ცარიელი წიგნები ისე ელაგა ვიღაცის თაროზე, თვითონ უბრალოდ დააბიჯებდა ამ სიცარიელით სავსე და ვერსაით მიდიოდა. მთელი ცხოვრება წელს იტკიებდა და მიჭირს წინ სიარულიო, ექიმებს შესჩიოდა.
ჰო, რაღაც უნდა ვკითხო.
გოგო ფეხზე დგება და წინ მოდის.
არ აქვს გადაყვლეფილი მუხლები
კაბას იფერთხავს.
ან რატომ უნდა ჰქონდეს გადაყველეფილი.
კაბას მუხლების ქვემოთ იწევს.
ამასაც გრძელი ფეხები აქვს და გამხდარი
პირზე ისევ ისვამს ხელს,
თითქოს რაღაც ეგდოს,
იღიმის და წითლდება.

ზედა ტუჩზე ღინღლი ამას უფრო მუქი აქვს
თვალს თვალში უყრის.
მუქი ტუჩები აქვს.
ლამაზია.
გოგო ღობის კარს კეტავს და სახლისკენ მიდის უხერხული ტანის რხევით.
– რამდენი წლის ხარ? – კაცი ხმას აწევს ზურგსუკან.
– რა? – დანგრეული ინგლისურით კითხულობს გოგო და კაცს ტუჩებზე აჩერდება.
– რამდენი წლის ხარ?–ჩრდილო– ამერიკულ აქცენტს იშორებს კაცი.
– მე ვარ ოცდაორი წლის,– ჩამარცვლით პასუხობს გოგო და დაბნეული იღიმება.
– მართლა?– რატომღაც სწყინს.
– ?–გოგო მკერდზე ხელებს იჯვარედინებს.
კაცს კაკლის ხეზე გადააქვს მზერა და მორცხვად ეკითხება:
– მე რამდენი წლის ვიქნები, აბა?
– მე არ ვიცი.– გოგოს წინ გაფანტული თეთრი კბილები უჩანს. წენგოიანი ტუჩების ფონზე, კბილები უფრო თეთრად უელავს.
– სახელი რა გქვია? – ისევ უაქცენტოდ კითხულობს კაცი.
– ჩემი სახელია ნიცა,–გოგო წიგნიდან ნასწავლი ინგლისურით მარცვლავს თითოეულ სიტყვას.
– მე რა მქვია გინდა გითხრა? – კაცი კითხვის დასმაში ეხმარება, თუმცა ხვდება, რომ გოგო არაფრის შეკითხვას არ აპირებს.
– ? – გოგო იცინის.
– გათხოვილი ხარ?
– რა?
– მარტო ხარ?
– არა, მე მოხუცს ვუვლი.
– გასაგებია.
– რომელი საათია?–გოგო დაზეპირებეულ ფრაზას პოულობს ისევ დამწყებთა ინგლისურის წიგნიდან და უხერხულ დუმილს არღვევს.
– აი, – მობილური ტელეფონის ეკრანს მისკენ იშვერს. გოგო წინ იხრება. მზემოკიდებული კანი უხდება.
– მე უნდა სადილი გავამზადო, ახლა არის სადილის დრო,–ამბობს ნელა და უკან– უკან მიდის.
კაცს უფრო შია. გოგო ხელს იქნევს და ღილს იკრავს გულთან.
– ხვალ გნახავ, შეიძლება?
შეკრული ღილიდან მზერა მის ცარიელ ხელებზე გადააქვს, წენგოიან თითებს უხერხულად ისრესს ნიცა. უბრალოდ, არ იცის ხელები სად წაიღოს, ან როგორ გააქნიოს და მაგიტომ, თორემ ის კი უნდა იცოდეს რომ ყვითელ წენგოს ასე ადვილად ვერ ამოიყვანს კანიდან.
– ხვალ გნახავ ამავე დროს, შეიძლება? – გოგო უკან ისევ არ იყურება და კაცი ხვდება, რომ არაფერს ამბობს, რადგან ქვედა ტუჩის კუთხე ისევ კბილებშუა აქვს მოქცეული.
გული უფრო წყდება, როცა გოგოს ზურგსა და მიწაზე მიყრილ-მოყრილ კაკლის ნატეხებს ერთად ხედავს. ნედლი კაკალი, მარტო კი არ ნაყეს და არჩიეს, არამედ, ასე

გაფურთხული დატოვეს მიწის ზემოდან, ისე ხის ძირას მაინც ჩაეყარა?! გამვლელ-გამომვლელი ახლა ფეხით გათელავს და მიწას წიხლით ჩააზელს სათითაოდ.
გოგო ხის ჩრდილს გასცდა და მზემ ჩითის კაბაში თამამად გაატანა.
კაცმა თვალი აარიდა, ღობის კარს ხელი გადაუსვა, ტელეფონის ეკრანზე საათს უშინაარსოდ დახედა და გზა გააგრძელა მხრებაწურულმა.
ჭიქა ყავაზე, ცარიელ კაფეში:
– მხრები და ხერხემალი სულ მტკივა, არა მტკივა კი არა, მღრღნის შიგნიდან, აი, ისე, რომ გინდა ხელი შეიყო სხეულში, დაიქავო მთელი ტანი, (არა, დაიქავო კი არა, დაიფხანო, დაიგლიჯო რაც ძალი და ღონე გაქვს), ისე რომ ძვლები დაიქერცლო და დაისისხლიანო, ისე, რომ მეორედ ან კაი ხანი აღარ შეგაწუხოს წელმა და სიარული დაიწყო ისევ...– სულ ასე იწყებს გულის გადაშლას, მერე ყავას წრუპავს და მოღუშული სახით ფანჯრის მიღმა იყურება:
– ჰო, მთელი ცხოვრება, რაც ლუსიას დედა დაიღუპა, მხრებში ვერ ვიშლები, წინ ვერ მივდივარ, რადგან ხერხემალს, როგორც კიბორჩხალის ფეხებს ისე ვიყენებ და ჩემს კლანჭებში ლილის ვინახავ. არ მინდა რომ დამეკარგოს, ხელი გამეშვას და მარტო დავრჩე. არა, მარტო ლილის არა, ლუსიასაც სულ თან დავატარებ.
ლილის თვალები მესამე თვალად შუბლში მაქვს ჩაკირული და ჩემი სულის აღმავლობასა თუ დაღმავლობას ასე ვუყურებ. ლილის თვალებით ვხედავ საკუთარ თავს და სულ მეშინია, რომ ლილის თვალი სადმე არ ამომვარდეს და ხედვა არ დავკარგო.
ლილი თუ დარეკავს და ლუსიას იკითხავს, მიხარია, რადგან მის ხმას ვიგებ, რადგან სახელით მომმართავს, და მაშინ მ ე ვარ, ჰო, მე მ ე ვარ! მ ე ვარსებობ! ყურმილის იქით ის ისე შორი არ ჩანს, ყურმილის იქით ის რბილია, იქაა და მე მესმის მისი.
ლილიმ რომ იცოდეს, რომ ის ჩემში მყავს გადებული, როგორც მამოძრავებელი ძალა და ყველგან დავატარებ, იტყოდა, შენი სხეულის ხერხემალი მე გამოვდივარ მაშინო, და გაიცინებდა. მე კი სრულიად სეროიზული სახით ვეტყოდი, მარტო სხეულისა კი არა, სულის ხერხემალიც შენ ხარ–მეთქი და ის უეჭველად, დამიჯერებდა. (თუმცა უხერხულობის დასამალად ალბათ მაინც გადაიკისკისებდა და გადაისკისებდა ისე, როგორც მიუხვედრელი პატარა გოგონები იცინიან რაღაცის რომ სრცხვენიათ).
ლილი, ჰო, გამიგებდა, მაგრამ ჩემი გოგო არც კი მომისმენდა. უფრო გამიუცხოვდებოდა და ამიჯანყდებოდა, როგორ უნდა მოგწონდეს ჩემი მეგობარი ამხელა კაცსო? კარს უფრო გრიალით მიიჯახუნებდა და უფრო ხმამაღალზე ჩართავდა როკს ან მძიმე მეტალს. მერე მთელი სახლი ისე იზრიალებდა, რომ ჩვენი ერთად გაჩერება შეუძლებელი გახდებდოდა.
კაცი როკის არასასიამოვნო ხმის გახსენებაზე ჩერდება და გამომშრალ პირს გაციებული ყავით ისველებს. მერე შემაღლებული ხმითა და დანანების ტონით აგრძელებს:
– თავს ვიმართლებ სულ, ყველასთან და საკუთარ თავთანაც: აი, სიყვარულმა რომ იცოდეს ასაკი, რომ იცოდეს ფერი და გემო, რომ იცოდეს, სად და როდის, რომ იცოდეს, ვისთან და რასთან, ხომ ყველაფერი გაცილებით იოლი იქნებოდა? მაგრამ როცა სიყვარულის სიგიჟე შეგეყრება, როცა უბრალოდ ვერ ესმით შენი და ექიმს თუ ექიმბაშს ვერ დაუდგენია რა უნდა გჭირდეს სხეულის თუ სულის ხერხემალში, მაშინ უბრალოდ დადიხარ, წარსულიდან აწმყოზე გადმოკიდებული და თავს იმართლებ. მხრებს წურავ მაღლა, ხერხემლის ყველა ნეკნს ძაბავ შიგნიდან, რომ არ მოგიაროს ჩასახლებულმა

დეპრესიამ და ქავილი არ აგიტეხოს ტანის დაგლეჯვამდე. დაატარებ ლილის, ასე გამომწყვდეულს და გაფიქრებაც კი გზარავს, რომ ერთხელაც შეიძლება ხერხემლის ყველა მალამ პირი დააფჩინოს და ლილი გაგიქრეს კლანჭებიდან... აი, ახლა, ასე ჭიქა ყავაზე ვსხედვართ, ლილი ზუსტად ჩემს გვერდითაა და მე გულს მისი თანდასწრებით ვხსნი, დასამალი, ჰო, რა მაქვს მე მასთან? მერე რა რომ ფიზიკურად მართლა აქ არაა, მერე რა, რომ ის შეიძლება სხვა კაცის გვერდით სახლობდეს ამ დროს და სულ სხვა კაცს უმაგრებდეს წელს? მთავარი ხომ ისაა, რომ ის არსებობს, დროის ზუსტად იმ განზომილებაში და სივრცის იმ ნაწილად, რომელსაც მე ვიცნობ და მიხარია, რომ მისი თანყოლა ყველგან შემიძლია?

მერე ხმას სულ უწევს და ფინჯნის ძირას ჩალექილ შაქარს ნელ– ნელა ურევს (ისევ დანანებით):

...ისე, როგორ მჯეროდა, რომ მხოლოდ ლილი შეძლებდა ლუსიასთან გარღვეული ურთიერთობის აღდგენას?! მასთან ჩამტვრეული ხიდის გაშენებას ისე, რომ მე ამ ხიდზე შევმდგარიყავი, მხრებგაშლილი, წელაუტკივარი და გამევლო წარსულიდან აწმყოში?! ისე როგორც და ლუსიამ შეძლო... როცა უცბად აიყარა ტანი და ჩემი სახლის კედლებიდან ამოიზარდა. მაშინ ხომ ყველაფერი იქნებოდა ისე, როგორც ცხოვრების შემოხაზულ სქემაშია ჩადებული სამ ფენად: წარსულად, აწმყოდ და მომავლად? და არა წარსულად, წარსულის წარსულად და აწმყოს წარსულად?

კაფის კარი ვიღაც ბიჭმა გაუხსნა და გზა დაუთმო. ტკბილი ჩაისა და შოკოლადის სუნმა მაშინვე გაახსენა, რომ შიოდა.

კაფე სავსე იყო უცხო ადამიანებით. რამდენი ჯურის ხალხია ისე, და ყველას რომ თავისი პატარა სამყარო აქვს?

ჩინელი ბიჭი, ყვითელი კბილებით აქუცმაცებდა თურქულ ფახლავას და ქიშმიშები პირიდან პანტა-პუნტით სცვიოდა. მერე სათითაოდ იღებდა თეფშიდან ჩამოყრილ ნამცეცებს და მსხვილ ტუჩებში მოკლე თითებით იჩურთავდა. ჩინელი გოგო, თვალები რომ გაეგრძელებინა შავი ფანქრით, რაღაცას გამალებით უხსნიდა ბიჭს, ოღონდ დაბალ ხმაზე, თავიანთ ენაზე, ანუ იმ ენაზე, აი, სხვა ჩინელებიც რომ ვერ გაიგებდნენ.

კუთხეში მოხუცი ქალი იჯდა, ალისფერი თმითა და ალისფერივე ფრჩხილებით, სიგარეტს აბოლებდა, აი, გულს აყოლებს რაღაცასო, რომ იტყვიან ისე. ჩამვლელი დაინახავდა, მაგრამ ვერ მიხვდებოდა მისი გულის სადარდებელს, უბრალოდ მოდას აყოლილ მოხუცად აღიქვამდა.

ნამცხვრების დახლთან პატარა გოგო იდგა, ისეთი პატარა, როგორიც ჩითისკაბიანი ეგონა თავიდან. მრგვალი თვალებითა და ღიმილით ხან რომელ კლიენტს უყურებდა და ხან – რომელს.

კაცმა როგორც კი ქოლგა კედელთან ააყუდა, გოგო მის წინ გაჩნდა. კალამი მარდად მოიმარჯვა მარცხენა ხელში და საღეჭი რეზინა ენის ქვეშ ამოიდო:

ცაციაა.

– რა მოგართვათ?–დაზეპირებული წინადადება, ჩრდილო– ამერიკული, მშობლიური აქცენტით მიაჯახა კაცს. აი, ისეთი აქცენტით, მარტო ოფიციანტსა და კლიენტს რომ ეტყოდა რაღაცას.

– მენიუში ჩავიჭყიტები ჯერ,– თქვა კაცმა და გოგოს გადახსნილ თეთრ ხალათს თვალი აარიდა.

– სანამ მენიუს დაათვალიერებთ, შავ ყავას მოგიტანთ? – თვალი თვალში გაუყარა გოგომ და მაშინვე დაამატა: – შავ ყავას ხომ თქვენ სულ უკვეთავთ, სერ?
გაუხარდა, რომ იცნობდნენ, როგორც კლიენტს და ისიც გაუხარდა, რომ ახსოვდათ, თუ რას უკვეთავდა.
– არა, დღეს ლიმნიან ჩაის დავლევ, გმადლობ,– უხერხულობა რომ დაემალა, ჩაი მოითხოვა.
– აჰ, ჩაის? ახლავე!
შეცბუნებული სახითა და მაღლა აწეული საჯდომის ქნევით გაშორდა გოგო. ხელები ამანაც არ იცოდა სად წაეღო, ისე საოცარია, ადამიანი ხელებით გამოხატავს თავს ყველაზე მეტად და უჭირს ამ ხელების სხეულთან ტარება. მხრები გაასწორა, ფანჯრიდან გაიხედა, ალისფერთმიანი მოხუციდან სასწრაფოდ მზერა ისევ ოფიციანტზე გადაიტანა, რადგან ტანში შეციებულივით გააჟრჟოლა. გოგო წყალს ასხამდა ქაფქაფა ჩაიდნიდან, მეორე ხელით ლიმნის ნაჭრებს ალაგებდა ლამბაქზე და მდუღარე ჩაის ორთქლს სიცხით აპრიალებულ სახეს ფრთხილად არიდებდა.
ჩაიში მე, ჩემს ზემოთ მრგვალსახიანი გოგო. ჩემი არეული თვალების ისე მერიდება, როგორც ამოსახსნელი ამოცანის თუ გამოცანის ბავშვობაში. გოგო მიდის და დარიჩინის, შოკოლადის და შაქრიანი ჩაის სუნს ერთად ტოვებს. მიმჭკნარ ვარდიან შუშის ლარნაკს ზუსტად დახლის შუაში დგამს და კლიენტებს ლარნაკის ზემოდან ადევნებს თვალს ღიმილით.
გოგო ლამაზია, პატარა და მიუხვედრელი.
ჯერ არ აქვს ქალის სუნი.
ლილის ჰქონდა რბილი სუნი, დილით დასხმული სუნამოსი და თავისი ერთად არეული. მის სახლში როცა რჩებოდა, სახლის კედლებს ის რბილი სუნი ყვებოდათ ლილის მეორედ სტუმრობამდე. ისე, ლუსიასთვის გინდაც აეხსნა, რომ ლილი შენზე რამდენიმე თვით დიდია, და უფრო მოწიფულიც, ვიდრე შენო, არაფერი შეიცვლებოდა. რას გაუგებდა ლუსია მამას? როგორც მეგობარს ისე ხომ არ მოუსმენდა ჭიქა ლუდზე? ქალიშვილები საერთოდ როდის იყო მამებს უგებდნენ, მით უმეტეს მაშინ როცა მამები მამაკაცის კუთხიდან ენახვებიან?
ჩითის კაბიანი გოგო ზურგიდან გაზრდილ ლუსიას გავდა, მუქი თმითა და გამხდარი მხრებით.
წელში გაჰკრა, მხრები ყურებამდე აზიდა და ფანჯრიდან ცარიელ გზას გახედა. გზა ისეთი ცარიელი და ნაცრისფერი იყო, რომ გონება ვერაფერმა დაუკავა და ისევ წლების უკან გადავარდა.
ლუსია 8 წლის იყო დედა რომ დაეღუპა. მაშინ გაშორებულები იყვნენ უკვე. სკოლიდან თვითონ გამოიყვანა და ქალაქგარეთ გაასეირნა. ოქტომბრის მზიანი დღე იყო, რიცხვი 12. უნდოდა ნელ–ნელა ეთქვა, რომ დღეის მერე სკოლიდან მე გამოგიყვანო, დედა ჯერ ჯეროზით საავადმყოფოში იქნებაო, მხოლოდ იმიტომ რომ კარგად გამოჯანმრთელდესო, სკოლიდან ხან ბებიაც გამოგიყვანსო და ხან ბებიას მეგობარიცო, ხომ იცი, ბებიას რა ძალიან უყვარხარო და მე ისიც ვიცი, შენ როგორ გიყვარს ბებიასთან ყოფნაო...მაგრამ როგორ დაეწყო ზუსტად არ იცოდა, და ლუსიას ზურგს უკან ისე მიბანცალებდა, როგორც კარგად გაწვრთნილი გოშია. გოგო ფეხს არ აჩერებდა, წინ– წინ მირბოდა ჩამოშლილი თმით და აშკარად არიდებდა თავს მასთან ერთ ხაზზე სიარულს.

ისე, მამასთან სალაპარაკო არც ჰქონდა არაფერი და იქნებ მისი სკოლაში მოულოდნელი სტუმრობაც კი აფრთხობდა გოგოს?!
როგორც კი ტყეში შევიდნენ ლუსიამ კაცის იქ ყოფნა სულ დაივიწყა, ფოთლების კრეფა დაიწყო მიწიდან. სულ სტაფილოსფერ და მზისფერ ფოთლებს არჩევდა ზომის მიხედვით, იქნებ იმიტომაც რომ ოქტომბრის მოღრუბლული დღე გაეხალისებინა იმ ფერებით? როცა კაბის კალთა ბოლომდე ამოივსო და თავი ძლივსღა მოუჩანდა, ბებერი ხის ძირას, როგორც ტყის გოგონა, ისე მოკალათდა.
– შეგცივდება ლუსი, მიწა სველია, – მოგუდული ხმით ამოიხრიალა.
– ჰა? არ შემცივა, არა...და შენ რატომ გამომიყვანე დღეს სკოლიდან?
– ვერ გავიგე?
– სულ ხომ დედას გამოვყავარ სკოლიდან და დღეს შენ რატომ გამომიყვანე?
– აჰ, ჰო, ეგ უნდა მეთქვა მეც. დღეს ვერ იყო დედა კარგად და საავადმყოფოში წავიდა, რომ კარგად გახდეს. როცა გამოჯანმრთელდება და გამოვა საავადმყოფოდან, ისევ დედა გამოგიყვანს, ახლა კი ჯერ ჯერობით ჩემთან დარჩები და იქიდან ივლი სკოლაში. ისე რა კარგია, რომ სკოლა ახლოსაა არა, ჩემი სახლიდან? ადრე ადგომა სულ აღარ დაგჭირდება. დედაშენმა თქვა ეჯავრება დილით გაღვიძება ლუსიასო. ახლა კი ზარის დარეკვამდე ნახევარი საათით ადრე ადგები, ისაუზმებ და მე წაგიყვან მანქანით. მერე მე ან ბებია დაგელოდებით სკოლის ეზოში და სახლში მოგიყვანთ. სამსახურს იმ ზაფხულს თავს დავანებებ და სამოგზაუროდაც წავალთ, იქ, სადაც შენ გინდა, ლუსი. მერე შემოდგომაზე, აი, ამ დროს რომ დავბრუნდებით, შენ სკოლაში დაიწყებ ისევ სიარულს, იქნები ყველაზე ბეჯითი გოგონა და მე რასაც მეტყვი ყველაფერს შეგისრულებ. თუმცა იქნებ დედა კარგად იყოს უკვე მაშინ, იქნებ, კი არა და იქნება კარგად, აბა რა, და დედაც შეგისრულებს ყველა სურვილს! ისე ჯერ იმ წელზე, მომავალ წელზე ლაპარაკი რად...
– ნახე, ერთი! ამდენი ფერი ერთ ფოთოლში თუ გინახავს ოდესმე? რა ლამაზია ეს ფოთოლი, არა?! და თან რა დიიდია! ალბათ, ყველაზე მაღლიდან ჩამოვარდა, კენწეროდან, მზესთან ახლოს იყო და სწორედ მაგიტომაა ამხელა, არა?! – სტაფილოსფერ ფოთოლს შეციებულ ლოყებთან როგორც მარაოს ისე ატრიალებდა და თვალს არ აშორებდა.
– მზესთან ახლო მყოფ ფოთოლს ყველაზე მეტად გაუჭირდებოდა ჩამოვარდნა, ლუსი, ყველაზე მაღლა თუ იყო, სითბოში, მზეს ეფიცხებოდა ყოველ დღე და მერე უცებ, შემოდგომის ქარმა მოგლიჯა და ჯერ ასე ჰაერში ატრიალა, აპამპულავა, მზეს გამოამშვიდობა, და მერე, ბრახ! მიწაზე დაანარცხა... ყველაზე მეტად ეტკინებოდა სიმაღლიდან ძირს დაცემა, ხომ გესმის, არა?
კაცი უცებ მიხვდა, რომ ლუსია არ უსმენდა და გული დასწყდა. მერე გაუხარდა, რომ ასე იოლად გადაიტანა დედის დაკარგვა და შემოდგომის წითელ-ყვითელ ფოთლებმა გადაუფერადეს უდედო ცხოვრების დასაწყისი.

ლუსიამ მანქანაში დაიძინა.
კაცმა მთელი ღამე იარა ქალაქიდან ქალაქში, სახლში მისვლის და მისი გაღვიძების ეშინოდა.

მანქანაში შემოდგომის მიწის სუნი იდგა და მშვიდი ძილის სიმარტივე. კაცს ეგონა მანქანა ოდნავადაც რომ შეენელებინა შუქნიშნებთან, ან სახლთან, ამ სიმარტივეს და სიჩუმეს შეარხევდა უნებლიედ და ლუსია ხმამაღლა ღრიალს მორთავდა.
შეშფოთებულმა აქეთ-იქით მიიხედა, ოფიციანტი მის ზურგთან იდგა, ვიღაც გამვლელს ვიწრო კაფის გასასვლელში გზას უთმობდა და კაცის მაგიდას ეტმასნებოდა უხერხულად.
ჩაი ცივია, თუმცა ხვრეპს, (უხერხულობის დასამალად, უფრო სწორად ოფიციანტის უხერხულობის ვერ შესამჩნევნად) და ფანჯრიდან იყურება.
გოგო მის წინ დგება და რაღაცას ამბობს. (ამბობს იმიტომ რომ პირს ატოკებს, ატოკებს ისე რომ თეთრი კბილები და ვარდისფერი ენა უჩანს ტუჩებს მიღმა).
ლამაზია.
– ვერ გავიგე?
– ახალი შოკოლადის ნამცხვარი გვაქვს მენიუში, ხომ არ გასინჯავდით?–გოგო იმეორებს და ლოყებზე სიწითლე უვლის.
შავადშეღებილთვალებიანი მენეჯერი შორიდან ზომავს ოფიციანტის ღიმილს, ყურადღებას და ბიზნესის შეგრძნებას კლიენტთან მიმრთებაში.
– თხილი თუ აქვს შოკოლადის ნამცხვარს?– ღიმილით უსვამს კითხვას გოგოს და მის სიცხისაგან ავარდისფრებულ სახეს თვალს არ აშორებს.
– არ ვიცი, გავიგებ და გეტყვით,– იბნევა და მენეჯერს უყურებს, მენეჯერი – კლიენტს, კაცი – გოგოს.
– უკაცრავად, სერ, სესილი ახალი ოფიციანტია აქ. რა გაინტერესებდათ? – გაწაფული ენითა და თვალებით კითხულობს მენეჯერი.
– სესილი კი არა ნამცხვარია ახალი,– ამბობს, ისე რომ პირს არ ხსნის.
– აინტერესებს თხილი თუ აქვს ნამცხვარს? – პასუხობს სესილი და უფრო წითლდება.
– კი აქვს. ნუში ოღონდ, ალერგიული ხომ არ ხართ?– მოხატულ წარბებს მაღლა წევს მენეჯერი.
– არა. უბრალოდ თხილი და შოკოლადი უხდება ერთმანეთს.
– მოგართვათ?
– ახლახანს ვჭამე და არ მშია, ასე რომ გმადლობთ.
ორივენი მიდიან. მენეჯერი სესილის რაღაცას ასწავლის გზადაგზა, დახლამდე, დახლის უკან და სესილიც მრგვალი, დამჯერი თვალებით უსტყვოდ ეთანხმება მენეჯერს ყველაფერში.
კაცს გოგო ეცოდება, მაგიდიდან იწევს და იძახის:
– სესილი, შოკოლადის ნამცხვარი მომიტანე, აბა, შენი ხათრით გავსინჯავ ერთ ნაჭერს!
სესილის ღიმილით მოაქვს თეფში, მენეჯერიც იღიმის, რომ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული ნამცხვარი გადასაყრელი აღარ გაუხდება და თავისი გამოცდილების გამოყენებით, გაყიდა ერთი ნაჭერი.
სიმჟავის გემო აქვს ნაღებს, მაგრამ კაცი არაფერს ამბობს, უბრალოდ ჭამს, რადგან შია და რადგან შოკოლადის ნამცხვარი ნუშით გემრიელი უნდა იყოს. სესილი ტოვებს დარიჩინისა და ტკბილი ჩაის სუნს ისევ და სხვის მაგიდასთან მიდის საჯდომის ქნევით.
– სახლში წაგიყვან თუ გინდა სესილი?! გარეთ წვიმს, იცი როგორ წვიმს? არა, ვიცოდი, რომ უარს მეტყოდი, მაგრამ მაინც გკითხე. ჩემი ქოლგა გინდა დაგიტოვო? ჰო, წვიმს

გარეთ, ძალიან წვიმს. მაგ თხელ თეთრ ხალათს სულ დაგისველებს წვიმა, მერე ავტობუსში თუ ახვალ, რამდენი თვალი შემოგხედავს, ხომ ხვდები, არა, სესილი? სველი ხალათი ზედ მოგეტმასნება და მაგიტომ, ჰო, ზუსტად მაგიტომ, და არა იმიტომ, რომ ვიღაცას შეეცოდები, არ გაცივდესო. ჰოდა, ქოლგას შენ გიტოვებ, სესილი. ვიცი, პატარა ხარ და სახლში დაგავიწყდებოდა. გამოიხურავდი კარს და ჩქარ-ჩქარა შემოხვიდოდი კაფეში, (რომ მენეჯერს არ დაეტუქსე დაგვიანებისთვის). სახეზეც გეტყობა რომ დაღლილი ხარ და სახლში წასვლის დროც გაქვს, სესილი. ჰოდა, აი, ქოლგას ვტოვებ და მე ისე მივდივარ. მე ქოლგა რად მინდა? კაცი ვარ და ვინ შემომხედავს, გინდაც ზედ მომასკდეს ეს ტანსაცმელი? ჰა? სულ არავინ! ჰოდა, ქოლგას აქ ვტოვებ და მე ჩემი გზით მივდივარ, სესილი.

კაცი გადის, ქოლგას დებს მაგიდის ბოლოს. სესილი ვიღაცას ჩაის უმზადებს და ღიმილით უსმენს. მენეჯერი თვალით ზომავს გოგოს სიმარდეს და კაცის მიერ მაგიდაზე დაყრილ ხურდას გულში ითვლის კმაყოფილი.

– ქოლგა გრჩებათ,– კარზე უბრახუნებს ალისფერთმიანი.

ბოხი ხმა აქვს და ჩახრენწილი, სიგარეტისგან და ცხოვრებისგან, თორემ სესილისხელას ასეთი ხმა კი არ ექნებოდა?!

– უკაცრავად, ქოლგა დაგრჩათ, – მოსდევს სესილი.

– არაა ეგ ჩემი ქოლგა, სესილი! – კაცი ფეხარეული მიდის გაწვიმებულ ქუჩაში, მხრებს წურავს ზემოთ, ყურებამდე, არაფრის ეშინია, პირიქით – რაღაც უხარია.

უნიათო მებაღე ფოცხით აგროვებს ჩამოყრილ ფოთლებს.

წელმა ორჯერ გაჰკრა და რამდენიც კი მებაღის მომარჯვებულ ფოცხს შეხედა, გულმა რეჩხი უყო. მოეჩვენა, რომ მებაღე ამ ფოცხს რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამოღუნულ წელზე უსვამდა, ძვლებს ფხანდა, იქამდე ზუსტად, სანამ ფოცხს სათითაოდ კბილები არ მოეღუნა და არ დასცვივდა.

კაცს შეეშინდა და გზის მეორე მხარეს მდგარ ტელეფონის ჯიხურში შეფრატუნდა. მანამდე არ გამოვიდა გარეთ, სანამ მებაღე არ გაქრა მისი თვალსაწიერიდან. მზე დიდი ხნის გადასული იყო. მოხუცთა თავშესაფარშიც აქა–იქღა ენთო შუქები და ერთადერთი მბჭუტავი ადგილი რაც ახლო-მახლოს იყო, ისევ ტელეფონის ჯიხური იყო. რვაციფრა ნომერი, რომელიც ძლივს მოუჩანდა ხელისგულზე აკრიფა და გაისუსა.

– რომელი ხართ?

მკაფიო, გაბზარული ხმა.

– მე ვარ.

– ვინ თქვენ?

– ...

– ან თქვით ვინ ხართ, ან ვდებ ყურმილს! ამ შუაღამისას ვინც არ უნდა იყოთ, რა დროს დარეკვაა?– ქალს ბრაზი და შეშფოთება ერთიანად ერევა ხმაში და ნაცნობი ჩრდილო–ამერიკული აქცენტიც უფრო მჭახდება ტელეფონში.

– ლუსიას მამა ვარ, ლილი.

– ბატონი სელიგა?

– ჰო, ლილი.

– რა უცნაურია! როგორ ხართ, ბატონო სელიგა? ჰა, როგორ ხართ? ან სად ხართ? რამდენი წელია უკვე თქვენი ხმა არ გამიგია! იცით, ლუსია ბოლოს რომ ვნახე სულ თქვენზე

მეკითხებოდა, რამე ხომ არ იცი მამაჩემის შესახებო?! მე რა უნდა მცოდნოდა, მაგრამ მოვატყუე, კი, სწორედ ამასწინათ მელაპარაკა და კარგადაა– მეთქი. და რა საოცარია, რომ მართლაც კარგად ხართ და მირეკავთ ახლა, ჰა, რა საოცარია, არა?!
– ლუსია როგორაა, ლილი?
– ლუსია? ჰო, ლუსია საავადმყოფოში იწვა რამდენიმე თვე, ახლა კარგადაა, ჰო, კარგადაა ახლა ლუსია, როცა სრულად გამოჯანმრთელდება, მოვა და გნახავთ, ჰო, მოვა და გნახავთ! მეც მოვალ მასთან ერთად და ლუსია გინდაც ჯერ ვერ მოვიდეს, მე მოგინახულებთ აუცილებლად... უჰ, ჰო, ის უნდა მეკითხა, ჩემი ტელეფონის ნომერი ვინ მოგცათ, ბატონო სელიგა, საიდან ჩემი ნომერი? – ჩრდილო – ამერიკული აქცენტი იჭრება და სხვანაირი ტონი ერევა მის ხმას, (აი, ისეთი ზუსტად, როგორც ბავშვობაში თავს რომ იმართლებდნენ ან იტყუებოდნენ სკოლიდან გვიან დაბრუნებული ლუსია და ლილი).
– დედაშენი ვნახე შემთხვევით და მას გამოვართვი. მითხრა ჩვენ შეხება არ გვაქვს ლილისთან და არც ვიცი, ეს ნომერია თუ სხვაო, რატომ მეთქი, უნდა მეკითხა, მაგრამ შევამჩნიე რომ უჭირდა ლაპარაკი.
– ჰო, ეგ გრძელი ამბავია, ბატონო სელიგა, გრძელი. წლებია უკვე აღარ მელაპარაკებიან ჩემები, ასაკით უფროსს გავყევი ... მამაჩემის მეგობარს და... მაგიტომ. სამი ბავშვი ავიყვანეთ და ვზრდით. არა ვზრდით კი არა, მე ვზრდი და ჩემს ქმარს ვუვლი, ასე რომ დრო ძალიან ცოტა მაქვს, და ვერც მივაკითხებ ჩემებს... დედაჩემი როგორ იყო? ... წახვედით, ბატონო სელიგა?
კაცს, ხურდები არ ეყო, მიჩუმებული ყურმილი დიდხანს ეჭირა ხელში და რაღაცას უსმენდა, სიტყვების უკან თქმულს თუ ნაგულისხმევს.
წვიმა არ იღებდა, ლამის ტელეფონის ჯიხური მოგლიჯა ქარმა და კაციანად გაიტაცა.
შემოდგომის დროს ნანახ სიზმრებს ნუ დაუჯერებო, ბებია ეტყოდა ხოლმე. აი, ფოთლები რომ სცვივა ხეს, მაგ დროს არაფერი სრულდებაო, ასე აუხსნა.
არადა, სიზმრების სულ სჯეროდა, ნაწილობრივ რაღაც მართლდებოდა სულ და იმიტომ. ბოლო ოქტომბრის შუაღამეს ესიზმრა, რომ ტრიალ მინდორში იწვა და ექიმბაში, (მებაღის სახე რომ ჰქონდა) სრიალა დანას ფრთხილად უსვამდა ხერხემალზე. დიდი ხნის კირკიტის შემდეგ ექიმბაშმა პირბადე მოიხსნა და ხელები გაასავსავა:
– ამ კაცს, ერთი ცალი ნეკნი აკლიაო.
– როგორ თუ აკლიაო? – ვიღაც ყვითელკბილებიანმა ჩინელმა თქვა გაკვირვებით და თვალები სადამდეც შეეძლო იქამდე გააფართოვა.
– აი, ის ნეკნი, ღმერთმა რომ ამოაცალა ადამსო, – ჩაიფრუტუნა ექიმმა და ფოთლების ხვატში თავის ფოცხიანად გაუჩინარდა.
– ანუ? – ვერაფერს მიხვდა ალისფერთმიანი და სიგარეტის კვამლი დაჭმუჭნული ტუჩებიდან გაბრაზებით მიაყოლა გამქრალ მებაღე–ექიმბაშს.
სესილიც იქ იყო (სადღაც) და უცხოსახიან კლიენტს უღიმოდა. ქაფქაფა ჩაის მარდად ასხამდა ფინჯანში და საითაც კი გაივლიდა, ტკბილი შოკოლადისა და დარიჩინის სუნს ტოვებდა ღიმილთან ერთად.
მენეჯერი გამალებით ცდილობდა, სესილის მრგვალი თვალების დავიწროვებას და ბიზნესის აყვავების გეგმის დახაზვას მის რბილ ხელისგულზე.

ვიღაც ჩითის კაბიანი სხვისი ღობის იქით იდგა და ორ მტრედს დაყურებდა გაოგნებით. მამალი მტრედი ბაც, პატარა მტრედს მიყვებოდა ძიგძიგით და მთელი ტანით ბობოქრობდა. გოგო მრავალმნიშვნელოვნად იღიმოდა, თითქოსდა იმ უცხო მიწაზე, უცხო რჯულის მტრედებს რაღაცას უგებდა და თან ვერც უგებდა.
ლილი სხვის სამ ბავშვს ასაკოვანი მამის სიყვარულსა და პატივისცემას ასწავლიდა, როგორც დილისა და ღამის ლოცვებს.
(და ლილის ისევ ის რბილი სუნი ჰქონდა, ქალისა კი არა, გოგოსი).
ლუსია კი სულ იქ იყო, მასთან ახლოს, მის გვერდით და კი არ უხაროდა, სწყინდა.
– მე მინდორში ვარ ახლა, ლუსია.
– ამ შუაღამისას მანდ რას აკეთებ, მამა?
– ფოთლებს ვაგროვებ.
– ფერადი ფოთლებით ადვილია, სიცარიელის გაფერადება, ხო, მამა?
– ...შენც ზუსტად ის გჭირდა, რაც დედაშენს, ლუსი?
– შეხედე ამ ფოთოლს! ხის კენწეროდან როგორ მოდის ტრიალ-ტრიალით, ბრახ და მალე მიწას დაენარცხება!.. ყველა ფოთოლი ძირს ეცემა, რომელი ადრე და რომელი გვიან, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, არა, მამა?
– გინდა გითხრა, მე რა მჭირდა მთელი ცხოვრება, ლუსი? – კითხვის დასმაში ეხმარება და ახვავებული ფოთლების უკან ლუსიას პატარა თავს თეთრი წრეწირივით ახაზავს სიშავეს.
– მე ახლა ფოთლებს ვაგროვებ და სხვა დროს მითხარი ეგ ყველაფერი, სულ სხვა დროს, მამა...

ზაზა აბზიანიძე

ამბავი დე ლა მელასი

ილუსტრაციები ავტორისა

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა და აქედან ძალიან შორს. თქვენ რომ შეგძლებოდათ ნებიერად გეფრინათ უღრანი ტყის თავზე, როგორც, მაგალითად, ცნობისმოყვარეობით განთქმულ ყვანჩალა ზიტას, უთუოდ შენიშნავდით ტყის შუაგულში, მდელოზე აჩონჩხლილ პატარა ციხესიმაგრეს ქონგურებიანი გალავნით და ამ გალავანს გაყოლებული, წყლით ამოვსებული თხრილით. უცნაური იყო ეს სათამაშოსმაგვარი ციხესიმაგრე და კიდევ უფრო უცნაური ის ამბავი, აქ რომ დატრიალდა. უცნაური იყო, რადგან ეს ციხე-დარბაზიცა და ეს გალავანიც თავის დროზე ტყის უჩინარ ბინადრებს – პატარა, ჯადოქარ გნომებს აეშენებინათ იმდროინდელი რაინდების წაბაძვით; ერთხანს უცხოვრიათ კიდეც აქ, მაგრამ მერე ისევ ძველებური და თავისუფალი ცხოვრება მონატრებიათ და ტყეში დაბრუნებულან, ციხესიმაგრე კი აქაური ტყის მელათმთავრის – დე ლა მელას მშობლებისათვის გადაუბარებიათ. გარიგების თანახმად, ციხის ახალი მეპატრონენი ყოველდღე მიაცუნცულებდნენ ქონდრისკაცებთან თავისი ღამეული ნადავლის მეოთხედს.

ასეთი იყო გარიგება წინაპართა შორის და მელაკუდები, თუმცაღა საკმაოდ ეშმაკები იყვნენ, ამ გარიგებას არ არღვევდნენ – არც ჯადოქარი გნომების განაწყენება უნდოდათ და არც თავიანთი წინამძღოლისა, რომელსაც ციხე-დარბაზთან ერთად მელათა გრაფის წოდებაც მიეღო და ახლა ისე უფრთხილდებოდა ამ რაინდულ პატივს, როგორც თავის უგრძესსა და უფაფუკეს კუდს.
ადრე, როცა კუდგრძელები ჯერ კიდევ თავ-თავიანთ სოროებში ცხოვრობდნენ ტყეში, ნადავლის მეტ ნაწილს მგელი სევასტი ართმევდა. სევასტის არნახული მადა ჰქონდა, მაგრამ სოფლის ძაღლების ეშინოდა და მარტო მელიები ჰყავდა დაჯაბნილი – სადაც კი დაიგულებდა, პირიდანვე სტაცებდა ქათამს. რომელიმე მელათაგანი რომ გაქცეოდა კიდეც – გაწბილებული სევასტი სოროს აუწიოკებდა. მომხდარა, რომ ლეკვებიც კი მოუტაცნია...
ისე იყო თუ ასე, მელათა მოდგმამ გნომებთან გარიგება არჩია. ახლა, ღამეული ნადირობის შემდეგ, მელაკუდები გარიჟრაჟზე, წინასწარ დათქმულ ადგილზე ხვდებოდნენ ერთმანეთს და მამაცი დე ლა მელას წინამძღოლობით დარაზმულნი ამაყად შედიოდნენ თავიანთ ციხესიმაგრეში.

შიმშილით ჯანგატეხილი სევასტი კბილების კრაჭუნით უვლიდა გარშემო სამელიეთის გალავანს და დე ლა მელას მოდგმის აქ დასახლების დღეს წყევლიდა...

სამელიეთის გალავანს შიგნით კი ფრიად საინტერესო ამბები ხდებოდა. გნომებისგან გაგონილმა სარაინდო ისტორიებმა ისე გაიტაცეს დე ლა მელა, რომ იგი ახლა ძალას არ იშურებდა, რათა თავისი ცუღლუტი ქვეშევრდომებისათვის ნამდვილ საგრაფოებში მიღებული წეს-ჩვეულებები და სიტყვა-პასუხი შეეთვისებინა. ამ წეს-ჩვეულებათაგან ზოგი ძალიან ლამაზი იყო, ზოგი – მომაბეზრებელი, მაგრამ არცთუ უაზრო, ზოგიც – უბრალოდ სასაცილო... გრაფის ზურგს უკან თითქმის ყველა ქირქილებდა მის ახირებაზე, მაგრამ ამ თამაშს თავისი ხიბლიც ჰქონდა და მელაკუდები თანდათან მიეჩვივნენ ახლებურ ყოფას: ღამღამობით კვლავ დასუნსულებდნენ ნადავლის საშოვნელად, დღისით კი ისე დარბაისლურად დასეირნობდნენ დე ლა მელას სასახლის გარშემო, რომ ამის შემყურე ყვანჩალა ზიტას ეჭვიც კი ღრღნიდა – ჩემს შემოსატყუებლად ხომ არ იდარბაისლებენ თავს ეს ეშმაკებიო?

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად კი – საღამოს (ხოლო მშვენიერი იყო თუ არა – ახლა ნახავთ), სამელიეთის გალავნის შიგნით ისეთი წრიალი ატყდა, რომ ცნობისმოყვარე ზიტამ ჩვეული სიფრთხილე დაივიწყა და გალავნის ქონგურს შემოაჯდა. აქედან უკვე კარგად ხედავდა, რომ მისთვის ახლა სამელიეთში არავის ეცალა: რაღაც საგანგაშო მომხდარიყო, მელიები მიმორბოდნენ და მხოლოდ დე ლა მელა, რომელსაც ზიტა უცდომლად ცნობდა უზარმაზარი და მბზინავი კუდით, აუჩქარებლად მიემართებოდა სასახლისაკენ. გრაფის ციხე-დარბაზში უკანასკნელი, ყველაზე ბალანგაცვენილი და გაუბედურებული მელაც რომ შეიძურწა და გარეთ აღარავინ დარჩა, ზიტას მთლად უმტყუნა ნებისყოფამ და ახლა უკვე სასახლის ზემო სარკმელში შეყო თავი.

როდესაც თავდაპირველი აურზაური მიწყნარდა და კუდაცახცახებული ქვეშევრდომები უფროს-უმცროსობით განლაგდნენ დე ლა მელას გარშემო, ზიტა სმენად იქცა. მალე იგი მიხვდა, რომ მთელ ამ ამბავს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ყვავებთან, მაგრამ სამელიეთს კი მართლაც დიდი გასაჭირი ადგა – ამაღამდელი ნადირობისათვის გამზადებულმა მელაკუდების რაზმმა თხრილზე გადასასვლელი ხიდი ვერ ჩაუშვა. ვიღაც მზაკვარს გარედან ისე ჩაეხერგა ხიდიცა და ალაყაფის კარიც, რომ ახლა ციხიდან ცხვირის გამყოფი არავინ იყო. რაღა თქმა უნდა, თუ გალავნიდან გადახტომას და თხრილში თავის დახრჩობას არ მოინდომებდა.
ზიტა მიხვდა, რომ წესისამებრ, სხვაზე ადრე თავისი აზრი დე ლა მელას ყველაზე კუდგრძელ კარისკაცებს – ბარონებს დე სუნსულიოსა და დე ცუნცულიოს უნდა გამოეთქვათ, მაგრამ ყვანჩალამ არ იცოდა, რომ სუნსულიო-ცუნცულიოს ვეზიროობის დროს ერთხელაც არ მომხდარა, რომ მათი აზრი ერთმანეთს დამთხვეოდა.
ახლაც ასე იყო. დე სუნსულიო დაჟინებით იმეორებდა – „სევასტი! სევასტი! სევასტი!“ , ხოლო დე ცუნცულიო ასეთივე შეუპოვრობით პასუხობდა – „ბომბოკო! ბომბოკო! ბომბოკო!“
დე ლა მელა ხან ერთს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს, თავისთვის კი ფიქრობდა, რომ თუმცაღა სევასტი ყველაფრის მკადრებელი იყო, შიმშილით მისუსტებული ბებერი მგელი ვერაფრით ამოგლეჯდა ძირფესვიანად ხეს და ხიდს ვერ ჩახერგავდა, ხოლო დათვი ბომბოკო ჯანზე კი იყო, მაგრამ მელიებთან გასაყოფი არაფერი ჰქონდა და, საერთოდ, არ ჰგავდა ამგვარი ვერაგობის ჩამდენს...

მელათმთავარმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი კარისკაცებს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ბრძენი სოფი თუ უშველიდა ახლა ჩვენს გაჭირვებას, მაგრამ ფრენა ჩვენ არ შეგვიძლია და, აბა, ხმას როგორ მივაწვდენთ?..
– მე მოგიყვანთ სოფის! – ისე უეცრად წამოიჩხავლა ზემოდან ზიტამ, რომ თვითონვე გაუკვირდა და თავი ფრთებში ჩამალა.
ბეწვბრწყინვალეთა საზოგადოებაში უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა. დე ლა მელა უძრავად იჯდა, თითქოს არც გაეგონა ზიტას წამოძახილი და მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ, რაღაც უნდობლად აიხედა იმ სარკმლისაკენ, სადაც ეგულებოდა სამელიეთის არამკითხე მხსნელი. ყვანჩალა უკვე გაფრენილიყო...
გათენებას ბევრი არ უკლდა და, ის-ის იყო, სუნსულიო-ცუნცულიო კვლავ კამათის წამოწყებას აპირებდნენ, როდესაც დარბაზში ბუ სოფი შემოფრინდა და დარბაისლურად დაეშვა დე ლა მელას ტახტის წინ.
სოფისა და დე ლა მელას მეგობრობას თავისი ისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ სამელიეთის დაარსებამდე სოფის მამას შესცოდებია და შესაჭმელად არ გაუმეტებია დე ლა მელას პატარა და-ძმა. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ სოფი და მისი წვრილშვილი დე ლა მელას მთელი მოდგმისათვის კბილშეუხებელნი გახდნენ. ეს მშვიდობიანი მეზობლობა ნელინელ მეგობრობაში გადაიზარდა: სოფი დროდადრო შემოიფრენდა ხოლმე დე ლა მელასთან – ხან სევასტის ადგილსამყოფელს დაუზუსტებდა, ხან ახალდაჭერილ თაგვს მიართმევდა, ხან სასახლის ამბებზე წაეჭორავებოდა...
გონიერ სოფის დიდი ხანი არ დასჭირვებია, მდგომარეობაში რომ გარკვეულიყო. მან ყურადღებით მოუსმინა მელათმთავარს, თვინიერად დააცალა დე სუნსულიოსა და დე ცუნცულიოს დაესრულებინათ მორიგი პაექრობა, მერე მძიმედ აფრინდა და ტყისაკენ აიღო გეზი.
მთელი ამ ხნის განმავლობაში ზიტა კვლავინდებურად სარკმელში იყო შეყუჟული და კუდგრძელებს მისი არსებობა მაშინღა გაახსენდათ, როცა სოფის გააყოლეს თვალი და ბუს მიდევნებული ყვანჩალა დაინახეს.
სოფის ყვანჩალას დამგზავრება აშკარად აწყობდა. ინათებდა თუ არა, სულ უფრო და უფრო ცუდად ხედავდა და თუ სამელიეთში უკვე გათენებულზე მოუწევდათ მიბრუნება, ზიტას უნდა მიჰყოლოდა კუდში.
ბუმ გეზი პირდაპირ ბომბოკოს ბუნაგისაკენ აიღო. დე ლა მელასთან ლაპარაკის შემდეგ, ეჭვი მაინც ღრღნიდა – ვაითუ დათვი რაიმემ გააცოფა ან ფუტკრებმა დაკბინეს და გონებადაბნელებულმა მელიებზე იყარა ჯავრიო...

ბომბოკო ბუნაგის წინ დაუხვდათ. მხარ-თეძოზე ისე არხეინად და მშვიდობისმოყვარედ წამოგორებულიყო, რომ სოფი ხმისამოუღებლად გადააფრინდა თავზე და კვლავ სამელიეთისაკენ გაეშურა. მხოლოდ ზიტამ წაიჩხავლა რაღაც მისალმებისდაგვარი და კუდი დაუქნია უცნაური წყვილის შემოფრენით ცოტა არ იყოს გაკვირვებულ დათვს.
გათენებულიყო და ახლა უკვე ზიტა მიფრინავდა წინ. მიფრინავდა ნელა და აუჩქარებლად, მაგრამ დროდადრო მაინც უკან იყურებოდა – სოფი ხომ არ ჩამორჩაო...
ის-ის იყო, ციხესიმაგრეში შეფრენას აპირებდნენ, რომ ზიტა მოცელილივით დაეშვა გალავნის ქონგურზე. სოფი უხმოდ გვერდზე მიუჯდა.
ცოტა ხანში, სული რომ მოითქვა, ზიტამ აკანკალებული ხმით ჰკითხა სოფის – მდელოზე რამეს თუ ხედავო? სოფიმ უარის ნიშნად დიდი თავი გააქნია. ზიტამ რაღაც დაბნეულად მიმოიხედა გარშემო, მაგრად მოჭუტა თვალები და მერე ისევ თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა ციხესიმაგრის წინ გაშლილ მდელოს. არა, ნამდვილად არაფერი ეჩვენებოდა – ზედ შუა მდელოზე უზარმაზარი გველეშაპი გაწოლილიყო... მერე სოფიმაც თითქოს გაარჩია რაღაც რუხი და უძრავი ბორცვი...
ზიტა შიშისაგან ადგილიდან ვერ იძვროდა. სოფის გულმა უკარნახა, რომ ახლა მხოლოდ მის საზრისიანობაზე იყო დამოკიდებული სამელიეთის ბედი და განწირულივით მოსწყდა გალავანს.
სუნთქვაშეკრული ზიტა ხედავდა, რა მძიმედ იქნევდა ფრთებს ბუ და რა ფრთხილად დაფრინდა რუხი მთის შორიახლოს. სოფი ცოტა ხანს შეყოვნდა. ეტყობოდა, ძალას იკრეფდა, მაგრამ მერე მხნედ წაბაჯბაჯდა გველეშაპისაკენ და ზედ ცხვირწინ დაუსკუპდა.
გველეშაპი მოწკურული თვალებით ბუს მიაშტერდა – ეს ვინღააო?
სოფი ცდილობდა, რაც შეიძლება ბოხი და სერიოზული ხმით ელაპარაკა და სიტყვა-პასუხიც განსაკუთრებით ზრდილობიანი ჰქონოდა – რაც უნდა იყოს, ელჩობა ჰქონდა ნაკისრი.
– პატივცემულო გველეშაპო, – როგორც იქნა, ამოთქვა სოფიმ, – მაპატიეთ, რომ სახელით ვერ მოგმართავთ.
– მე კლარა მქვია, – მოულოდნელად ნაზი და წკრიალა ხმით უპასუხა გველეშაპმა.
– მადამ კლარა, – კვლავ წამოიწყო სოფიმ, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა, მაგრამ ახლა უკვე თავისივე ხმით.
– გაუთხოვარი გახლავართ, – გააწყვეტინა სიტყვა კლარამ.
– ოო, მომიტევეთ, მადმუაზელ, ეს ხომ ისედაც ჩანს... ასეთი ნაზი და მშვენიერი არსება...
– არ დაიბნა სოფი.
– თქვენ ასე თვლით? – იკითხა კლარამ აშკარად ნასიამოვნები კილოთი.
– რაღა თქმა უნდა, ამას ხომ ბრმაც დაინახავს, – თქვა სოფიმ და ინანა, – ვაითუ კლარამ იცის, ბუები დღის სინათლეზე ცუდად რომ ხედავენო.
– როგორ დაინახავს, თუ ბრმაა? – სულ სხვანაირად შეატრიალა კითხვა კლარამ.
– გამოთქმაა ამნაირი. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: გული გამისკდაო, – მართლა ხომ არ გვისკდება გული, – გაუჭირვებლად მოიხმო მაგალითი სოფიმ.

– ჰოოო? – გაიკვირვა კლარამ, – თუმცა ყოველთვის მიჭირდა ამგვარ გამოთქმებში გარკვევა... მშობლებსაც იმიტომ გამოვექეცი...
– რატომ გამოექეცით? – ჩაეკითხა სოფი, რომელსაც კლარას გაჭირვებამ თავისი დამშეული ბარტყები გაახსენა.
– ჩვენს გამოქვაბულში შემთხვევით კვერცხს დავაბიჯე ფეხი და დედ-მამამ სულ „მოსაკლავი“ მიძახეს. შემეშინდა და აქეთ გამოვიქეცი... უკვე რამდენი ხანია მას შემდეგ... ესე იგი არ მომკლავდნენ? ეს მხოლოდ გამოთქმაა ამგვარი? აბა, თუ ბოროტები არ იყვნენ და ჩემი მოკვლა არ უნდოდათ, რატომ იძახდნენ: „ამ მოსაკლავმა ჩვენი უკანასკნელი იმედი დაამსხვრიაო?“ – მე ხომ მხოლოდ კვერცხი შემომატყდა? – თავისას არ იშლიდა კლარა.
სოფიმ მძიმედ ამოიოხრა და რაღაც უიმედოდ ახედა გველეშაპს.
– როგორ ბრძანებთ, თქვენი მშობლები, ასეთი საპატივცემულო გველეშაპები, თავიანთ ქალიშვილს მოსაკლავად როგორ გაიმეტებდნენ... იმ კვერცხიდან, ალბათ, თქვენი ძმის ან დის გამოჩეკას ელოდნენ და იმიტომაც გაცეცხლდნენ.
– არა, პირიდან ცეცხლს რომ აფრქვევენ, ისინი ჩვენი შორეული ნათესავები არიან, – დააზუსტა კლარამ,

სოფი აღარ გამოედევნა კლარას ნათესაური კავშირების დადგენას და გველეშაპთან ლაპარაკის თავდაპირველი გეგმა გაიხსენა. ერთხანს ჩუმად იყო, მერე, ნელინელ, მოთქმით წამოიწყო:
– სულ მარტოდმარტო დარჩენილი, თან ასეთი ლამაზი, ასეთი ახალგაზრდა... რა უსამართლობაა...
ბუმ უეცრად შეწყვიტა მოთქმა და რიხიანი კილოთი დაასკვნა:
– თქვენ უნდა დაბრუნდეთ! დიახ, თქვენ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ მშობლიურ კერას!
– რას დავუბრუნდე? – კვლავ ვერ გაიგო კლარამ.
– მშობლიურ გამოქვაბულს, – განმარტა გველეშაპის მიუხვედრელობით გაბეზრებულმა ბუმ.

– არასოდეს! მე მათთან საერთო აღარაფერი მაქვს და სულაც დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვრო. მე უკვე დიდი ვარ.
სოფიმ ერთი კი დააპირა შეპასუხება, – პატარა ხარო, – მაგრამ ამ ვეება მთას რომ ახედა, ენა არ მოუბრუნდა და უიმედოდ ჩაქინდრა თავი.
კლარა, პირიქით, გახალისდა, ლაპარაკის ხასიათზე დადგა და მეოცნებე ხმით განაგრძობდა:
– დიახ, მე უკვე ზრდადასრულებული ქალიშვილი ვარ და დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვრო. სხვათა შორის, საკუთარ ბედზეც უნდა ვიფიქრო. ამიტომ, პირველ ყოვლისა, ოცდაათი მელია მჭირდება.
სოფიმ ყურები ცქვიტა. „დაღუპულან“ , – გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ შეეცადა მღელვარება არ დამჩნეოდა და კლარას განზრახ დამტკბარი ხმით ჰკითხა:
– ასე მოგშივდათ, განა?
– არა, სულაც არ მშია... თუმცა ჰო, ჰო, ძალიანაც მშია და სანამ ის მელაკუდები ოცდაათ თავისიანს არ გაიმეტებენ, ციხიდან არ გამოვუშვებ!
სოფი შიშით აძაგძაგდა, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა და მელიების დასახსნელ გზას ეძებდა.
– პატივცემულო კლარა, მელიების ნაცვლად, ვთქვათ, სამასი თაგვი რომ მოგვერთმია ან ქათმები... მერწმუნეთ, გაცილებით უფრო გემრიელია...
კლარა ჭირვეულად იმეორებდა თავისას:
– არავითარი თაგვები და ქათმები! ოცდაათი მელა და მორჩა! მე არსად არ მეჩქარება, მაგათ იკითხონ.
მერე აძურწულ სოფის დახედა და დაამატა:
– ოცდაათი მელა და თან ყველაზე ლამაზი. ყველაზე ლამაზი ყველაზე გემრიელიც იქნება. ხომ ასეა?!
ეს ბოლო სიტყვები იმგვარი შეუვალობით იყო ნათქვამი, რომ სოფიმ შეპასუხება ვეღარ გაბედა, შიშისაგან გაათკეცებული თავაზიანობით დაემშვიდობა გველეშაპს და ისე ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხია უკან, რომ თავის ბოლო დაქნევასთან ერთად აფრენილიყო კიდეც და გასცლოდა იქაურობას.
ყვანჩალა, რომელიც გალავნიდან თვალს ადევნებდა ამ წარუმატებელ ელჩობას, ჰაერში შეეგება გამობრუნებულ ბუს და სოფის საგრაფო დარბაზში შეფრენისთანავე, თავის ჩვეულ ადგილზე მოკალათდა სარკმელში.
სოფი ისე მოცელილივით დაეშვა დე ლა მელას ტახტის წინ და ისე უხერხულად ჭუტავდა თავის დიდრონ თვალებს, რომ ცხადი იყო – სასიკეთოს ვერაფერს იტყოდა.
სიჩუმე ისევ დე ლა მელამ დაარღვია:
– თქვი, ჩვენზე ფიქრით ძილგამკრთალო დაო, თქვი, რა ამბავი მოგიტანია?!
– ოო, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ბუთა მოდგმის მფარველო და კეთილო მეგობარო! საზარელი ამბავი უნდა შეგატყობინოთ!
დარბაზს კუდების ცახცახმა დაუარა. უძრავად ისხდნენ მხოლოდ დე ლა მელა და მისი რამდენიმე ძველი თანამებრძოლი. მართალია, ამ უკანასკნელთ კუდები საერთოდ არ ჰქონდათ, თავის დროზე სევასტისა და სოფლის ძაღლებს მოეჭამათ, მაგრამ რომ ჰქონოდათ, ნამდვილად არ ააცახცახებდნენ.

– გვაუწყე ჩვენი უბედურების ამბავი, ქალბატონო სოფი, ნუღარ აყოვნებ! – კვლავ მიმართა დე ლა მელამ სტუმარს და თვალებმოჭუტულმა გადახედა დარბაზს.
სოფიმ ჯერ დინჯად და დაწვრილებით აღწერა გველეშაპის გარეგნობა და მათი საუბრის შინაარსი, ბოლოში კი წამოენთო და წამოიძახა:
– გველეშაპი ღელავს! ოცდაათი მელა, თან ლამაზი ყველა, უნდა შესაჭმელად!
– რა დროს ლექსებია, – ჩაიქირქილა დე სუნსულიომ.
დე ცუნცულიომ შეპასუხება არ დააყოვნა:
– დიდად სამწუხაროა, როდესაც ზოგიერთს არ ესმის, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ძალა სწორედ ასეთ წუთებში ვლინდება!
დარბაზში მოულოდნელი კისკისი გაისმა. კუდმოჭმულებმა უკმაყოფილოდ გადახედეს შორეულ კუთხეში შეყუჟულ მბზინვარექურქიან ლამაზმანებს, დე ლა მელას ნება-სურვილის თანახმად, ფრეილინებად რომ იწოდებოდნენ. ფრეილინებმა დამნაშავედ დახარეს თავები, მაგრამ წამწამებქვეშიდან ისე ეშმაკურად აციმციმებდნენ თვალებს, რომ დე ლა მელასაც კი ულვაშებში ჩაეცინა – ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ კუდფაფუკა ცუღლუტებმა სასახლის ყველა საიდუმლო იცოდნენ – ისიც, თვითონ ჩუმ-ჩუმად ლექსებს რომ წერდა და ისიც, ვის უძღვნიდა ამ ლექსებს...
ამასობაში კუდების ცახცახიც შეწყდა და მელათმთავარი მიხვდა, რომ სწორედ ახლა უნდა გაეცა პასუხი სოფისათვის.

– მაშ, ოცდაათი მელა, თან ლამაზი ყველა, უნდა შესაჭმელად?! ვერ მივართმევთ, ვერა! – ეს დაბოლოება ისეთი მჭექარე ხმით წარმოითქვა, რომ დარბაზმა ერთბაშად იქუხა.
ზიტა, რომელიც მოულოდნელობისაგან კინაღამ გადმოვარდა თავისი სარკმელიდან, ცალკეულ შეძახილებსღა არჩევდა: „გრაფს გაუმარჯოს! ვაშაა!“, „დე ლა მელა – გაგვიძეხი ყველას!“, „ძირს მზაკვარი გველეშაპი!“ და ასე შემდეგ.
საომარი ყიჟინა რომ ჩაცხრა, დე ლა მელამ კილო იცვალა:– ღრმად პატივცემულო კუდგრძელებო და უკუდონო, ქალბატონო სოფი და თქვენც, ქალბატონო ზიტა, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს გასაჭირს ყვირილით არაფერი ეშველება. სჯობს, თითოეულმა ბრძენთაგანმა გამოთქვას თავ-თავისი აზრი.
დე სუნსულიომ გაბადრულმა გადახედა დარბაზს. ემჩნეოდა, რომ ხსნის გზა ნაპოვნი ჰქონდა. ეს გზა სევასტისაკენ მიდიოდა – შევურიგდეთ და გვიშველისო.

დე ცუნცულიომ, რაღა თქმა უნდა, ბომბოკოსაკენ აიღო გეზი – თუკი სამომავლოდ ბომბოკოს თაფლს შევპირდებით, ახლა გასაჭირისაგან გვიხსნისო...
კუდმოჭმულთა აზრი უკუდოთუხუცესმა მელენტიმ გამოთქვა: ჩვენ, მისი კუდუბრწყინვალესობის ძველ თანამძრომელებს, თუმცაღა კუდები არ შეგვრჩა სევასტისთან და სოფლის მზაკვარ ძაღლებთან ორთაბრძოლაში, მაგრამ გულები, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, საგულესა გვაქვს, – აქ მან ხმას აუწია, – ამიტომაც ჩვენი საერთო გადაწყვეტილებაა – ომი და მხოლოდ ომი!
დე ლა მელამ რატომღაც სასახლის თავანს ახედა და მელენტის შემპარავი ხმით ჰკითხა, – საომარი გეგმა თუ გაქვთო?
– საომარი გეგმა ერთ კვირაში თქვენი კუდუბრწყინვალესობის წინ გაიშლება, – გაიჯგიმა მელენტი და ღირსებით აღსავსე თავდახრით დაასრულა თავისი პატაკი.

– გნომებისათვის ხომ არ გვეკითხა რჩევა, – სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა სოფიმ. დე ლა მელას არაფერი უპასუხია, მაგრამ ისეთნაირად იქნევდა თავს, ეტყობოდა, ეს აზრი სხვაზე უფრო დაუჯდა ჭკუაში.
ის-ის იყო დე ლა მელას საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვა, წინ ბებერი მელათმწიგნობარი და ალქიმიკოსი მელკიბიადესი აეტუზა. აცახცახებულ თათებში ობმოკიდებული ტყავის გრაგნილი ეჭირა. ეტყობოდა, რომ ღელავდა და რაღაც დიდმნიშვნელოვანის თქმას აპირებდა, მაგრამ გრაფის ნებართვის გარეშე ვერ ბედავდა.

გაქუცულკუდიანი მეცნიერის მიუპატიჟებლად ტახტის წინ გამოჩენა, როგორც ჩანს, საგრაფო კარზე მიღებული რომელიღაც წესის დარღვევა იყო, მაგრამ დე ლა მელამ თვალებით ანიშნა ბალანაბურძგნილ სასახლეთუხუცესს, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა და მელკიბიადესს ღიმილით მიმართა: – დიდო ალქიმიკოსო! აი, ახლა კი მოგეცა საშუალება, მთელი შენი ცოდნა გამოამჟღავნო. ჩაუჯექი შენს სინჯარებს და ერთ

კვირაში, სანამ გულადი კუდმოჭმულები საომარ გეგმას გაამზადებენ, ხელოვნური ვარიები გამოიყვანე! ხომ შეძლებ? იცოდე, უკანდასახევი გზა არა გაქვს! ერთ კვირაში ციხესიმაგრის ყველა თაგვი შეჭმული იქნება და მხოლოდღა შენი ვარიების იმედით უნდა ვიარსებოთ!
კარისკაცებმა მლიქვნელურად ჩაიხითხითეს, მაგრამ მელკიბიადესს ეს აინუნშიაც არ ჩაუგდია. დე ლა მელას არ აცილებდა თვალს და მხოლოდ მას მიმართავდა:
– თქვენო კუდუბრწყინვალესობავ! როგორც კი ბრძენმა ქალბატონმა სოფიმ ეს საზარელი ამბავი მოგვიტანა, მე გნომების ბიბლიოთეკას მივაშურე და იქ ძველისძველ ხელნაწერებში ერთი ეტრატი ვნახე, რომელშიც საოცარი რამ წერია...

– მაინც რა წერია? – ჩაეკითხა დე ლა მელა.
– გველეშაპი ხორცს არ ჭამს, გრაფო, მენდეთ... მხოლოდ ბალახს... აი, აქ წერია, ამ ეტრატზე. ჩანახატიც არის...
დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. მელკიბიადესს გარკვევით ესმოდა მისი მისამართით ნათქვამი: „გამოჩერჩეტებული ბებერი“, „კუდგაქუცული შარლატანი“, „არამკითხე ცრუმეცნიერი“... იგი დაიბნა და აიძურწა, მაგრამ თავისას მაინც არ თმობდა: მე ყველა გველეშაპს როდი ვგულისხმობ, ქალბატონმა სოფიმ რომ აგვიწერა, მხოლოდ იმაზე ვამბობო, – იმეორებდა. შემდეგ სოფის გრაგნილი გაუშალა წინ: ხომ ჰგავსო? – ჩაეკითხა.
– შეიძლება კიდევაც ჰგავს, – ფრთები აიჩეჩა სოფიმ, – მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერ გეტყვით, ხომ იცით, დღისით რა ცუდად ვხედავ.
გრაგნილმა მთელი დარბაზი შემოიარა. რაღა თქმა უნდა, უფროს-უმცროსობის დაცვით, მაგრამ ყველამ დაათვალიერა ეტრატი გველეშაპის სურათითა და მინაწერით.

ის-ის იყო, გრაგნილი კვლავ მელკიბიადესს უნდა დაჰბრუნებოდა, ზევიდან ჩხავილი გაისმა და სარკმელში ყვანჩალა ზიტა გამოჩნდა.
– თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, – ჩამოსძახა მან დე ლა მელას, – მაპატიეთ, რომ დაუკითხავად ვერევი თქვენს საქმეებში, მაგრამ ქვის გული ხომ არა მაქვს? ვიდრე აქ ბჭობდით, მე გნომებთან გადაფრენა მოვასწარი და მათი პასუხიც მოგიტანეთ.
დე ლა მელამ ზიტას ახედა, მერე სოფიზე გადაიტანა მზერა და თითქოს მისგან რაღაც უხმო დასტური მიიღოო, ყვანჩალა დარბაზში შემოიპატიჟა:
– ჩამოფრინდით, ქალბატონო ზიტა, აქ თქვენ კბილს არავინ გახლებთ. რაც უნდა მოშიებულნი ვიყოთ, თქვენგან ისე დავალებულნი ვართ, რომ...
– ცუდი ამბავი რომ მოვიტანე, გრაფო?! – ხმა ჩაუვარდა ზიტას, მაგრამ ტახტის წინ მაინც დაფრინდა.
– რითაც დაგვეხმარეთ, იმისთვისაც მადლობელნი გახლავართ... მაინც, რა თქვეს ასეთი გნომებმა?
– არაფერი შეგვიძლიაო, ჩვენი ჯადოქრობა მხოლოდ ამ ტყის ბინადრებზე ვრცელდებაო და ის გველეშაპი კი ცხრა მთას იქიდანაა გადმოხვეწილიო... მისი აქ გამოჩენის ამბავი თქვენზე ადრე გავიგეთ და რომ შეგვძლებოდა, როგორ არ დაგიხსნიდით, თვითონაც ხომ შიმშილი მოგვიწევსო... – ქვითინით ჩაამთავრა ზიტამ ეს მართლაც უნუგეშო ამბავი.
დე ლა მელას არასოდეს ენახა მტირალი ყვავი, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ზიტას კვლავინდებური სიმშვიდით მიმართა:
– ჩემო ზიტა, ჩვენ დიდი გასაჭირი გვადგას, მაგრამ სატირალი მაინც არაფერი გვაქვს. ნუ მივცემთ ცუდ მაგალითს ახალ თაობას (აქ დე ლა მელამ ნაძალადევი ღიმილით გადახედა ფრეილინებს და შემდეგ კვლავ ყვავს მიუბრუნდა), – დიახ, სატირალი არაფერია, დასაფიქრებელი კი ბევრი. ვთხოვოთ ქალბატონ სოფის კიდევ ერთხელ აგვიწეროს გველეშაპთან შეხვედრა. რაიმე წვრილმანი ხომ არ გამოგრჩათ?.. ისე აღელვებული ბრძანდებოდით... ბალახს ხომ არ ძოვდა, თქვენ რომ მოფრინდით?

– ბალახს? – ჩაეკითხა სოფი, – არა, ბალახს ნამდვილად არ ძოვდა. საერთოდ არაფერს ჭამდა, თვლემდა. შეიძლება იმიტომაც არ ჭამს, რომ ცუდ გუნებაზეა... უკვე დიდი ხანია, რაც მშობლებს გამოექცა, სულ მარტოდმარტოა და ტირის... ისე მგონია, სულ არ არის ბოროტი არსება... მაგრამ მელიებს რომ მოითხოვს?
– იმიტომაც მოითხოვს, რომ მელიათმჭამელია და მოშიებული! – წამოიძახა მელენტიმ და ნიშნის მოგებით გადახედა მელკიბიადესს.
– ნუ განვაახლებთ კამათს, – შემრიგებლური კილოთი თქვა დე ლა მელამ, – მერე წამით ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა, – ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, თუ არ ჭამს, რა ჯანდაბად უნდა ოცდაათი მელა?
– მე ვიცი... – წაიკნავლა ერთ-ერთმა ყველაზე კუდფაფუკა ფრეილინამ და იმავე წამს ცხვირი ჩამალა გვერდზე მდგარი მეგობრის ბეწვში.
– ბრძანეთ, მადმუაზელ, ახლა თქვენს ხელთაა ჩვენი ბედი! – მიმართა ეშმაკურად გაღიმებულმა დე ლა მელამ. მერე, როდესაც შენიშნა, რომ ფრეილინამ სულ ჩაიკმინდა ხმა, უკვე უფრო სერიოზულად გაუმეორა, – გისმენთ, რენატა!
აღელვებული რენატა მარაოსავით იქნევდა ფაფუკ კუდს, მაგრამ უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი ჰქონდა.
– დიახაც, ვიცი! გველეშაპი გაუთხოვარია და სულ მარტოდმარტოა... თქვენ ხომ თქვით, რომ გაუთხოვარია? – ჩაეკითხა რენატა სოფის. სოფიმ უხმოდ, თავის დაქნევით დაუდასტურა ნათქვამი.
– რა შუაშია გათხოვილი და გაუთხოვარი?! – ჩაერია დე ცუნცულიო.

– იმ შუაშია, რომ... – წამოიწყო დე სუნსულიომ და უმწეოდ გადახედა რენატას, რადგან მართლაც არ იცოდა, რა შუაში იყო და წინადადებას ვერ ამთავრებდა. ისევ რენატამ უშველა:
– დიახ, იმ შუაშია, რომ მარტოდმარტოა და კუდის სწორს ეძებს... კუდი ხომ გრძელი აქვს?
კვლავ ჩაეკითხა სოფის და ისევ უხმო დასტური მიიღო, – აბა, როგორ გათხოვდება, თუკი ვინმეს თავი არ მოაწონა, – განაგრძობდა რენატა, – თავის მოწონება კი მარტო ჩვენნაირი ფაფუკი ბეწვით შეიძლება... ჰოდა, ყელსაბურავი უნდა გაიკეთოს ჩვენგან...

ჩვენც რომ მასე შიშველ-ტიტვლებს გვერბინა და თაყვანისმცემელი არავინ გვყოლოდა, შეიძლება ჩვენც კი გავმწარებულიყავით...
დარბაზი ისევ აჩოჩქოლდა: „სისულელეა“ , „სად სიყვარული და სად გველეშაპი“ , „შეჭმა უნდა, შეჭმა უნდა“, „სიყვარული ყოვლისშემძლეა“ , „თვითონ რენატა რაღაზეა გაუთხოვარი?“ – მოისმოდა საერთო ხმაურში.
დე ლა მელამ წყრომის ნიშნად კბილები დააღრჭიალა – გაჩუმდითო! – და სუნსულიო-ცუნცულიოს წყვილს მიაჩერდა.
ბარონ დე სუნსულიოს აზრით, გამოდიოდა, რომ რენატა მართალია და სიყვარული ყოვლისშემძლეა, მაგრამ გველეშაპს მელიების შეჭმა უნდა.
ბარონი დე ცუნცულიო ამტკიცებდა, რომ რენატა ცდება და გველეშაპისათვის ისევე უცხოა სიყვარულის ამამაღლებელი გრძნობა, როგორც ხორციელი სიყვარული.
– თუ ხორცისადმი სიყვარული? – ჩაეკითხა თვალებმოწკურული მელათმთავარი.
– დიახ, დიახ, ხორცისადმი სიყვარული, – მყისვე დაეთანხმა ბარონი.
– მაშინ რაღაში სჭირდება ეს მელიები?
– გასართობად, მხოლოდ გასართობად, ხომ თქვეს, მოწყენილიაო, – სხაპასხუპით ჩაამთავრა წინადადება დე სუნსულიომ და თვალები აარიდა დე ლა მელას.
უკუდოთუხუცესმა მელენტიმ, რომელსაც, წესის მიხედვით, ბარონების შემდეგ ერგებოდა სიტყვა, მჭახე ხმით წარმოთქვა კუდმოჭმულთა აზრი:
– თქვენო კუდუბრწყინვალესობავ! ლაპარაკი სიყვარულზე იქ, სადაც წყდება სამელიეთის ბედ-იღბალი, ჩვენი კუდების ხსოვნის შეურაცხყოფად მიგვაჩნია და მოვითხოვთ, რომ მადმუაზელ რენატამ საჯაროდ ბოდიში მოიხადოს!
დე ლა მელა წამით შეცბა, მაგრამ მაინც არ დაბნეულა და შემრიგებლური გეზი აიღო:

–სინიორებო! თქვენი რაინდული წარსული გაიხსენეთ! განა თქვენ არ ებრძოდით კუდგამეტებით სევასტისა და იმ დაუნდობელ ფოქსტერიერებს – ფანის, ფანფანსა და ფანდორს? ვის შერჩა გამარჯვება?! შენ არ იყავი, მელენტი, სევასტის რომ შეატოვე კუდი, რათა რენატას დედა გადაგერჩინა?! ან შენ, შეუპოვარო მელიარეს, შენ არ გადაიკვნიტე ხმისამოუღებლად ხაფანგში მოყოლილი კუდი?! ახლა რაღა დაგემართათ?! სად გაქრა თქვენი რაინდობა?! მადმუაზელ რენატა იქნებ მართლაც ცდება, მაგრამ მოდი, ნუ დავწამებთ მას მკრეხელობას და ნუ შევუღრენთ... შეხედეთ – რა ახალგაზრდა და რა

მშვენიერია. აბა, ვინ უნდა იოცნებოს სიყვარულზე, თუ არა მან და მისმა მეგობრებმა?!... ჩვენ კი, უფროსმა თაობამ, კვლავ სახელმწიფო საქმეებზე ვიფიქროთ, – სული მოითქვა დე ლა მელამ და დასტურისათვის, რატომღაც, სოფის მიუბრუნდა, – ასე არაა, ქალბატონო სოფი?
სოფიმ ისედაც ფართოდ დაჭყეტილი თვალები კიდევ უფრო დაჭყიტა და საკმაოდ ხმამაღლა, დამარცვლით წარმოთქვა: – მე ვფიქ-რობ, რომ მად-მუა-ზელ რე-ნა-ტა მარ-თალს ამ-ბობს!
დარბაზი გაისუსა მელათმთავრის გადამწყვეტი სიტყვის მოლოდინში და ის-ის იყო, დე ლა მელამ რაღაცის თქმა დააპირა, ზიტა აჩხავლდა:
– ვიდრე რამეს გადაწყვეტდეთ, კუდფაფუკებო, უნდა გითხრათ, რომ ამას წინათ აქ ჩამოფრენილი იხვებისაგან გავიგონე – ვიღაც ყმაწვილი გველეშაპი ცხოვრობს აქედან ერთი კვირის საფრენზე, სრუტის გადაღმა ნისლიანი კუნძული რომაა, იქო... ტბაში დავინახეთ, მარტოდმარტო ცურავდაო... უზარმაზარი და საშინელი შესახედავიაო...
– ეგება გვეშველოს და ითხოვოს ეს ოჯახდაქცეული ყელსაბურავის გარეშე, – აღმოხდა დე ლა მელას.
კარისკაცები ხმას არ იღებდნენ. სუნსულიო-ცუნცულიოს უკვე აღარ ახსოვდათ, თავდაპირველად რა აზრი გამოთქვეს და ახლა ენაზე დაეჭირათ კბილები. კუდმოჭმულები რიგრიგობით მომნუსხავად აშტერდებოდნენ რენატას, სოფისა და ზიტას. ვეტერანები დარწმუნებული იყვნენ, რომ გრაფი აშკარად ტყუვდებოდა და ახლა არ იცოდნენ, ღირდა კამათის თავიდან წამოწყება თუ არა.
მელაკუდებში გაშინაურებული ყვანჩალა კი არ ცხრებოდა და სხაპასხუპით გაიძახოდა: მე ზიტა არ ვიყო, თუ ხუთ დღეში სამახარობლო ამბავი არ ჩამოგიტანოთ! თქვენ ჯერ ნამდვილი ყვავი არ გინახავთო...
ზიტა კიდევ რაღაცის დაყოლებას აპირებდა, მაგრამ გრაფის გამომცდელ მზერას წააწყდა და უცებ დადუმდა.
– ქალბატონო ზიტა, თქვენ მართლა შეგიძლიათ ხუთ დღეში ჩამოგვიტანოთ ზღვისგადაღმელი სასიძოს ამბავი? – შეეკითხა დე ლა მელა ყვავს ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მისთვის.
ზიტამ ენაზე იკბინა – ან როგორ უნდა ეფრინა ხუთ დღეში ერთი კვირის საფრენი, ან ამდენი ხნით ვის იმედად დატოვებდა თავის ახალგამოჩეკილ ბახალებს?.. – სოფიმ, თითქოს საფიქრალს მიუხვდაო, ყვავს გადაულაპარაკა, – ბარტყებზე ნუ ფიქრობ, ერთი ბუმბულიც არ დასცვივდებათ, საჭმელსაც არ მოვაკლებო.
ეს სიტყვები ისეთი გულდაჯერებით იყო ნათქვამი, რომ არც ერთი დედა არ შეიტანდა ეჭვს მათ სიწრფელეში.

– მაშ, მშვიდობით ფრენა ვუსურვოთ ჩვენს პატარა მხსნელს! – თქვა დე ლა მელამ და ზიტასკენ გადადგა თათი, მაგრამ ყვავი ტყვიასავით ავარდა ზევით. ეს დაუმშვიდობებელი გაფრენა საქმის გადაუდებლობით იყო ნაკარნახევი თუ უნდობლობით, არავინ იცოდა, ოღონდ ძალზედ სასაცილო კი იყო და მელიები

ერთიანად ახარხარდნენ... თვით სერიოზულზე სერიოზული ვეტერანებიც კი იცინოდნენ...
დე ლა მელამ შემთხვევით ისარგებლა და კუდმოჭმულების გულის მოსაგებად პირველად სწორედ მათ მიმართა:
– გულგაუტეხელო რაინდებო! საომარი გეგმა მაინც გაამზადეთ. ამასთან, თუ მოიცლით და ახალბედა მონადირეებს ჩვენს ხელოვნურ საქათმეში ავარჯიშებთ, დიდად მადლობელი დაგრჩებით. ახლა კი სადილზე გეპატიჟებით ყველას, – მეზობელი დარბაზის მიმართულებით გაიშვირა თათი დე ლა მელამ, – იმედია, არ დამძრახავთ, მხოლოდ თაგვებით თუ გაგიმასპინძლდებით.

ჰენრი და ზიტა

მეხუთე დღე ილეოდა, როდესაც სამელიეთის გალავნის ქონგურზე არაქათგამოცლილი ზიტა შემოჯდა. ამ ამბის გაგონებაზე დე ლა მელამ წამით დაივიწყა ჩვეული სიდარბაისლე და ერთი ნახტომით სასახლის აივანზე აღმოჩნდა.
– ფრთამალო და კეთილშობილო ყვავო! – ასძახა მან ზიტას, – შენნაირ მაცნეს საზეიმოდ უნდა ვხვდებოდეთ დარბაზში, მაგრამ რადგან ყველანი ეზოში ვართ, ბარემ ახლავე გვითხარი – როგორი ამბით ჩამოფრინდი?
ზიტამ ამაყად ასწია ნისკარტი და სადღესასწაულო კილოთი დაიჩხავლა:
– სამელიეთი გადარჩენილია!
ერთი წამი ან, შესაძლოა, წამის მეასედი დასჭირდა ბეწვბრწყინვალეთა საზოგადოებას, გონს რომ მოსულიყო: „ვაშაა!“, „ზიტას გაუმარჯოს!“ – დაიგრიალეს ქვევიდან მელიებმა.
ქონგურზე მჯდარი ზიტა მადლობის ნიშნად წამდაუწუმ ნისკარტს ხრიდა და გრძნობდა, რომ ამგვარი ბედნიერების წუთები აღარ გაუმეორდებოდა, თუნდაც კიდევ სამასი წელი ეცხოვრა...
დე ლა მელას ცივი თვალები ამჯერად სითბოს ასხივებდნენ:
– რაინდულ ფიცს ვდებ, – აივნიდან განაცხადა მელიების გრაფმა, – რომ ამიერიდან ჩვენი ტყის ყვავები კბილშეუხებელნი იქნებიან სამელიეთის ყველა თაობისათვის. ახლა კი, ჩვენო ფრთამალო მხსნელო, გთხოვთ დარბაზში შემოფრინდე და დაწვრილებით მოგვიყვე ყოველივეს.
ბუ სოფი სწორედ იმ დროს დაეშვა საგრაფო ტახტთან, როდესაც მელიები უფროს-უმცროსობით ჩამომწკრივდნენ თავიანთი წინამძღოლისა და ზიტას გარშემო. ახლა ყველანი აქ იყვნენ.
ზიტა დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდა, მაგრამ საყოველთაო ყურადღება ძალას უორკეცებდა:
– დიახ, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ვნახე, – აღტაცებული კილოთი განაგრძობდა თხრობას ყვავი, – ნისლიანი დღე იყო, მაგრამ მაინც ვნახე. იქაურმა ყვავებმა მიმასწავლეს. ველაპარაკე კიდეც. თვითონ გველეშაპს ველაპარაკე... ჰენრი ჰქვია. ისიც მარტოდმარტოა, მაგრამ ისეთი მახინჯია, რომ მაგასთან შედარებით ჩვენი კლარა მზეთუნახავი გეგონებათ (ფრეილინებმა მორცხვად ჩაიხითხითეს).

– მაშ, ისიც მარტოა და უარზე არაა ცოლი შეირთოს? – სულ უფრო და უფრო განცვიფრებული ეკითხებოდა ყვავს დე ლა მელა.
– რაღა თქმა უნდა! რომ იცოდეთ, როგორ გაუხარდა... თურმე ეგონა, რომ სულ მარტოა ქვეყანაზე. რაც დედ-მამა მომიკვდა, გველეშაპი თვალით აღარ მინახავსო...
– ორივე დედისერთა ყოფილა... – ჩაიკნავლა რომელიღაც ფრეილინამ.
– ასეა თუ ისე, მგონი, გვეშველა, – შვებით ამოისუნთქა დე ლა მელამ და კვლავ ყვანჩალას მიუბრუნდა, – ყელსაბურავზე თუ ჰკითხე რამეო?
ზიტა ცოტა არ იყოს შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.
– რად უნდა, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ყელსაბურავი, როცა მთელი დღე ტბაში დაცურავს და ცოლიც წყალში უნდა აცხოვროს? მე მხოლოდ კლარას გარეგნობა ავუწერე და აღტაცებული დარჩა. ჩქარა გაფრინდი და აქ ჩამომიყვანეო.
დე ლა მელა შეფიქრიანდა:
– ისე, მაინც კარგი იქნებოდა, რაინდის სიტყვა ჩამოგერთმია, რომ უკან არ გამოაბრუნებს სულმთლად შიშველ-ტიტველ პატარძალს. ვთქვათ და, ეგენი მართლა არ თხოულობენ ცოლს, რამე უცნაური თუ არ აცვია.
– არაფრით არ გამოაბრუნებს. პატარძლის საქმეს კი ჩვენ მოვაგვარებთ და არა უგვიანეს ხვალინდელი დილისა, – რიხიანად ჩაერია ლაპარაკში სოფი.
– მაშინ, კუდფაფუკო და ბეწვბრწყინვალე საზოგადოებავ, – მიმართა დარბაზს მელიათა გრაფმა, – ხვალ დილამდე დავიშალოთ და ამ კეთილშობილ ფრთოსნებს მივანდოთ ჩვენი ბედი.
სისხამ დილით სოფი და ზიტა ცხვირწინ დაუსკუპდნენ გველეშაპს. კლარას ჯერ კიდევ ეძინა. ძილში კვნესოდა, ვიღაცას ეძახდა. ეტყობოდა, რაღაც მძიმე სიზმარს ხედავდა. რომ გამოეღვიძა, უცებ ვერც კი გაერკვა, სად იყო და უაზროდ მიაჩერდა შიშით ერთმანეთზე მიკრულ ბუ-ყვავს. როგორც იქნა, კლარა მიხვდა, რომ ეს უცნაური, ოთხთვალა და ორნისკარტა არსება ორი ფრინველისაგან შედგებოდა და ამათგან ერთ-ერთს იცნობდა კიდეც.
– ააა, თქვენა ხართ, – უხალისოდ მიესალმა სოფის გველეშაპი და ისე გაიზმორა, რომ ზიტა წამსვე უკან გადახტა. ეს უცნაური უკან დახევა გველეშაპმა ყვავებში მიღებულ მისალმებად ჩათვალა და საპასუხოდ მძიმედ დაუკრა თავი. სოფი, რაღა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა და ზიტა გველეშაპს წარუდგინა.
– მადმუაზელ კლარა, გთხოვთ იცნობდეთ ჩვენს ახლო მეგობარსა და შესანიშნავ ყვავს, ზიტას, – მერე დაამატა, – ახალგაზრდა დედაა. ქალბატონ კლარას, მე მგონი, წარდგენა არც კი სჭირდება...
– მე თქვენ შორიდან გიცნობთ, უფრო სწორად, ზემოდან, – სიტყვა შეანაცვლა ზიტამ, – რომ იცოდეთ, როგორი სასიხარულო ამბავი ჩამოგიტანეთ!

კლარა გამოცოცხლდა: „რა ამბავი? საიდან? მე კი ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე“ ... აქ ისევ ბუ ჩაერია ლაპარაკში: „ცუდი სიზმარი თუ ნახეთ, ესე იგი ნამდვილად კარგ ამბავს შეიტყობთ!“

– თქვენ რა, სიზმრების ამოცნობა იცით? – ჩაეკითხა კლარა.

– როგორ გითხრათ... ძალზედ მიახლოებით...

– მაინც, გეთაყვა, რას უნდა ნიშნავდეს... – წამოიწყო კლარამ და უცებ ხმა ჩაუწყდა, უზარმაზარი თვალები ცრემლით აევსო, – არა, ამ სიზმარს ვერ მოვყვები...

– თქვენი ნებაა. ჩვენ კი მართლაც კარგი ამბები გვაქვს, – გაამხნევა სოფიმ დადარდიანებული გველეშაპი.

კლარა მართლაც მალე დამშვიდდა და მიაჩერდა ახლა უკვე დაცალკევებულ წყვილს, – მაინც რა ამბები გაქვთო?

– ჩვენი ზიტა ზღვისგადაღმელ ქვეყანაში გადაფრინდა და იქ საქმრო აღმოგიჩინათ! ახალგაზრდა, ულამაზესი, საკუთარი ტბა აქვს, ჰენრი ჰქვია... აი, უკვე მესამე დღეა, ნაპირზე ზის, არაფერს ჭამს და თქვენ გელოდებათ.

– მართლა? საქმრო?! – ხმა აუკანკალდა კლარას, – მელის?! რომ არ მიცნობს? ვთქვათ და, არ მოვეწონე?

– რას ბრძანებთ! რაინდის სიტყვა! ჩვენს დროში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა! – ეჭვმიუტანელი კილოთი განაცხადა ზიტამ და დაამატა, – პასუხს მე ვაგებ!

– როგორ აგებთ? – გულწრფელად გაიკვირვა კლარამ, რადგან მართლაც ვერ წარმოედგინა, რა პასუხი უნდა მოეთხოვა ცხრა მთას იქით გადაკარგული ყვანჩალასაგან.

– დიახაც ვაგებ, – არ ცხრებოდა ზიტა, – მთელი ჩემი ღირსებით... მე თქვენი გულისათვის ხუთი დღე-ღამე ვიფრინე, შვილები დავტოვე, – ხმა აუთრთოლდა ყვავს.

კლარას გული მოულბა და ეუხერხულა, ასე რომ ააღელვა ეს პატარა და უმწეო არსება.

– კარგი, თანახმა ვარ! მაგრამ როგორ წავიდე, როცა გზაც არ ვიცი და ყელსაბურავიც არა მაქვს?

სოფი გაშრა.

– ქალბატონო კლარა! ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ. ზიტამ გზადაგზა გააფრთხილა თავისი მეგობრები, თავდაპირველად თვითონ გაგიძღვებათ, მერე ისინი გაგაცილებენ.

– ყელსაბურავის გარეშე მაინც არ წავალ, – თავისას არ იშლიდა კლარა, – იყონ იმ თავის ცხრაკლიტულში, – ბოლოს და ბოლოს ხომ მოშივდებათ...

აქ ზიტამ გამოიდო თავი:

– მადმუაზელ! ყელსაბურავზე არც კი იფიქროთ! სერ ჰენრის რომ ვუხსენე, კინაღამ მომკლა. მელიის ბეწვზე თურმე ისეთი ცემინება უტყდება – ტბა ნაპირებიდან გადმოდის...

კლარა თვალებში მიაჩერდა ყვავს, – ხომ არ მატყუებსო, მაგრამ ზიტამ ისე თვალდაუხამხამებლად გაუსწორა მზერა, რომ მიამიტმა კლარამ ირწმუნა, – ალბათ, მართლაც ვერ იტანს ის ჰენრი ბეწვეულსო...

შორი მგზავრობისათვის მზადებას დიდი დრო არ დასჭირვებია. კლარა აშკარად ღელავდა და წამდაუწუმ სთხოვდა ყვავს, კიდევ ერთხელ შემომიფრინე ირგვლივ, როგორ გამოვიყურებიო? სოფის აღარაფერს ეკითხებოდა, რადგან ენაჭარტალა ზიტას წამოსცდა – ბუები დღისით ვერაფერს ვერ ხედავენო.

ის-ის იყო, სამზადისს მორჩნენ, გაწვიმდა კიდეც და ყვავ-ბუ-გველეშაპისაგან შემდგარი პროცესია გზას გაუდგა. სწორედ ასეთი თანამიმდევრობით მიდიოდნენ: წინ – სკუპ-სკუპით – ზიტა, მერე – ბაჯბაჯით – სოფი და ბოლოს – ზლაზვნით – კლარა.

გზად, სოფის ფორთხიალს რომ უყურებდა, კლარამ შესთავაზა – მაინც მდელოს ბოლომდე მაცილებ და რას წვალობ, ზურგზე შემაჯექიო, მაგრამ ბუმ სასტიკად იუარა – პატარძალს ტვირთის ზიდვა არ შეშვენისო!

როდესაც დე ლა მელას ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ, სოფიმ პირველად ინანა, რომ დღისით ასე ცუდად ხედავდა – რაღა თქმა უნდა, სამელიეთი ახლა უკლებლივ გალავანზე იქნებოდა გამოფენილი მთელი თავისი ბრწყინვალებითა და სილამაზით.

სანახაობა მართლაც იშვიათი იყო, მაგრამ მთლად ისეთი არა, სოფის რომ წარმოედგინა: გაწუწული, ცნობისმოყვარეობით კიდევ უფრო ცხვირწაგრძელებული მელიები ჩაკვეხებულიყვნენ ქონგურებს შორის და გამალებით იქნევდნენ სველ კუდებს. მხოლოდ დე ლა მელა იდგა მარტოდმარტო, ქონგურსა და ქონგურს შუა და მდუმარედ დაჰყურებდა, როგორ ათავისუფლებდა გველეშაპი ჩამოსაშვებ ხიდს და ამის შემდგომ, როგორ გაუდგა გზას უცნაური სამეული.

ძნელი იყო მიხვედრა, რაზე ფიქრობდა ახლა მელიათა წინამძღოლი – უხაროდა, ასე იღბლიანად რომ დამთავრდა ესოდენ სახიფათო ამბავი თუ სწყინდა, რომ ცხოვრება ისევ უბრუნდებოდა თავის ჩვეულ კალაპოტს – ქათმების პარვით, სევასტისთან და სოფლის ძაღლებთან გაუთავებელი მტრობით და სასახლის მითქმა-მოთქმით...

კვლავ წვიმდა... კლარა ნელა მიაბიჯებდა. ეშინოდა, შემთხვევით სოფისათვის ფეხი არ დაედგა. გაწუწული მელიების დანახვამ რატომღაც გული მოუკლა და დილანდელი სიხარული გაუნელა. ახლა ვერც კი წარმოედგინა, რატომ დაამშვენებდა წვიმისაგან მბზინავ მის სხეულს ოცდაათი მელიის გალუმპული ტყავი ან რა ყურთასმენა გაუძლებდა გალავანზე გადმომდგარი მელიების სასოწარკვეთილ ღნავილს, კლარას

ახლა მათ თვალწინ აჩემებული სამკაულით რომ გაევლო... – რა ბედნიერებაა, ჰენრი მელიის ბეწვზე ცემინებას რომ იწყებსო, – გაიფიქრა, ვეება, სველი თავის მოქნევით მოიცილა თვალზე მომდგარი ცრემლი და გზა განაგრძო.

გურამ ნავროზაშვილი

Red Alert

უცნობი კაპიტანი, პან კოვალევსკი, პატარა სარდინა, აზიზა, ნუსრი, კრეტინი მარიკა და სხვები

ამბავი ათასი ჯურის ძაღლზე და მამაძაღლზე (მათთვის, ვისაც ერთხელ მაინც უთამაშია კომპიუტერული თამაში „Red Alert“ და იცის, თუ ვინაა პისტოლეტებიანი შპიონი ტანია)

I
უცნობი კაპიტანი და პან კოვალევსკი

Да, командир!..

მზის ენერგიულად მანათობელი სხივების მიუხედავად, ოკეანე ცივი და ლურჯი იყო, შვეიცარიული დანის ნიკელის პირი კი მზეზე ელავდა. დანა უცნობ კაპიტანს ეჭირა ხელში და ჭიანაჭამ ვაშლს ფცქვნიდა, მისი საბოლოოდ შეჭმის მიზნით. ვაშლის წიაღიდან განდევნილ ჭიებს კი ზღვაში ისროდა.
გემი, რომელსაც არ ერქვა არც დუნკანი, არც ისპანიოლა, არც ავრორა, არც ბიგლი და რომელსაც საერთოდ არაფერი არ ერქვა, მშვიდად მიაპობდა ზღვის ტალღებს და რადარის ანტენაც მშვიდად ბრუნავდა კოშკურაზე.

რადარი ვერ აფიქსირებდა თევზების მოძრაობის მარშრუტებს. რადარი ვერც მათი გადაადგილების სისწრაფეს და ვერც იმ მეათედებს აფიქსირებდა, რომლებითაც ამ თევზების ფარფლების სიმძლავრე განისაზღვრებოდა ცხენის ძალის ერთეულთან შეფარდებით, მაგრამ თევზები მაინც მოძრაობდნენ.
მოხუცი ვეშაპი მარჯნის კლდეებზე თვლემდა – წინა დღის ვახშამი (Stradivaris Pacifics) ჯერაც ვერ მოენელებინა, თუმცა ცისფერ თვალებს მაინც აკვესებდა ხოლმე შიგადაშიგ და კბილებსაც აკრაჭუნებდა მეოთხე ოქტავის დოს ჟღერადობით.
ვეშაპის თვალთახედვის სივრცეში პერიოდულად კალმარებისა და სარდინების მომცრო ჯგუფები გადი-გამოდიოდნენ. ყველაზე უპასუხისმგებლოები, რომლებიც ვეშაპთან ახლოს მისვლას არ უფრთხოდნენ, ამავე ვეშაპის ყბებში ინაცვლებდნენ და ვეშაპის კბილების ჟღერადობა დო-დან სოლ ნოტამდე ადიოდა, თუმცა ოქტავა არ იცვლებოდა.
ვეშაპი წყალქვეშა სამყაროში უპირობო ლიდერი იყო. კოჭლი რვაფეხა კი მხოლოდ იბოღმებოდა და ნაღრძობ ფეხს ნერვიულად ამოძრავებდა ზევით-ქვევით.

წერილი უცნობი თევზსაჭერი გემის შავი ყუთიდან

[14:49:11] პან კოვალევსკი, პან კოვალევსკი... მელვილმა უფრო ადრე დაწერა „მობი დიკი“ თუ იტალიელებმა უფრო ადრე გადაიღეს „სპრუტი“, არ იცით?
[14:49:17] არა, ბატონო კაპიტანო, ეგ მელვილს არ დაუწერია. ჯონ ბონემმა დაწერა „მობი დიკი“ 1969 წელს. ინგლისში.
[14:49:29] და სპრუტი რომელ წელს გადაიღეს, არ იცით?
[14:49:41] მგონი ოთხმოციანებში, კაპიტანო.
[14:49:59] ესე იგი, ვეშაპი უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე რვაფეხა, პან კოვალევსკი?
[14:50:02] მასე გამოდის, ბატონო კაპიტანო.
[14:50:09] პან კოვალევსკი...
[14:50:17] დიახ, ბატონო კაპიტანო...
[14:50:24] არც თქვენ იცით, სადაა ძაღლის თავი დამარხული?
[14:50:33] სადმე ალპებში უნდა იყოს, წესით...
[14:50:41] და ვინ მოკლა ის ძაღლი, ან თავი რატომ მოაჭრეს, არ იცით?
[14:50:49] ალბათ რამდენიმე თავი ჰქონდა და მაგიტომ...
[14:50:53] ესე იგი, ცერბერი იყო, პან კოვალევსკი?
[14:51:01] ეგრე გამოდის, ბატონო კაპიტანო.

კაპიტანმა დანა დაკეცა, ვაშლის ნარჩენები წყალში მოისროლა და ცას მიაშტერდა.
უცნობი კაპიტანი თევზჭერით მიღებული შემოსავლით საკუთარი გემის ყიდვას აპირებდა და ფრიტოფ ნანსენის მარშრუტის ხელმეორედ გავლას გეგმავდა ჩრდილო პოლუსისკენ. პოლუსზე პინგვინების ფერმის აშენება უნდოდა და ასე სურდა ღრმა და ტკბილ სიბერემდე მისვლა. უცნაური კაცი იყო უცნობი კაპიტანი. ნანსენისა და ფრიდებერტ ტუგლასის იმქვეყნიური მეგობრობის პარალელურად, ცერნის დიდ ადრონულ კოლაიდერში ნაწილაკები სინათლის სისწრაფით მოძრაობდნენ და მიკროსკოპულ შავ ხვრელებს აჩენდნენ. ნაწილაკების ხმაურისგან პატარა სარდინას თვალი სტკიოდა და ზიგზაგით დაცურავდა, რადგან ცალ მხარეს ფარფლები აკლდა და ნავიგაციის უნარი მოშლილი ჰქონდა.
უცნობი კაპიტანის თევზსაჭერი გემის ბადე კი ძალიან დიდი იყო.

წერილი უცნობი თევზსაჭერი გემის შავი ყუთიდან (აბზაცი მეორე)

[14:49:11] უცნობი კაპიტანი გემბანზე იდგა და ბრძანებებს გასცემდა.
[14:49:15] გაშალეთ ბადეები
[14:49:21] გაშალეთ თქვენი სათევზაო ბადეები
[14:49:27] გაშალეთ დიდი სათევზაო ბადეები
[14:49:31] მოისროლეთ წყალში ბადეები
[14:49:37] მოისროლეთ წყალში სათევზაო ბადეები
[14:49:42] მოისროლეთ წყალში დიდი სათევზაო ბადეები.
[14:49:48] კაპიტანს უბიდან იოსიფ ბროდსკის ერთტომეულის ყუა მოუჩანდა.

II
აზიზა

Изучаю диаграмму.

თურქი აზიზა თავისი რეფრიჟერატორის კაბინაში იჯდა, სკოჩით და ჩინური წებოთი შეკეთებულ მაგნიტოფონში „პინკ ფლოიდს“ უსმენდა და სიგარეტს ეწეოდა. აზიზას საქმე არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ჰქონდა ბევრი ვალები და ბევრი სიგარეტი.
სალონის ტორპედოზე მიგდებულ კროსვორდების ჟურნალზე, რომლის ქვევიდანაც ბლეზ პასკალის „აზრების“ ყდა მოჩანდა, ბუზები ისხდნენ. ყველაზე მოზრდილი ბუზი კი ჰორიზონტალური სვეტის ოცდამერვე სიტყვაზე იჯდა.
აზიზას სამი ცოლი და ექვსი შვილი ჰყავდა. იმ ღამით, როცა აზიზასთან მისი ერთ-ერთი ცოლი უნდა ჩასულიყო, აზიზამ ტრაილერი დაქოქა ბოსფორის სრუტისკენ გაემართა.

მეორე წერილი უცნობი თევზსაჭერი გემის შავი ყუთიდან

[15:47:13] პან კოვალევსკი...
[15:47:17] დიახ, ბატონო კაპიტანო.
[15:47:22] ოცდარვა. დიდი სიტყვაა... აღმოსავლური ტკბილეულიო, წერია. რა იქნება?
[15:47:31] რახათლუხუმი. ან ხალვა. ან შიშ-ქებაბი. არა. შიშ-ქებაბი არაა ტკბილეული. რახათლუხუმია.
[15:47:39] სანდა საღოლ, პან კოვალევსკი.
[15:47:45] იახში, ბატონო კაპიტანო.

III
ნუსრი, ომი და კრეტინი მარიკა

Нашу базу атакуют.

ქალაქის გარეუბანში გახსნილი თურქული რესტორნის მფლობელ ტრაპიზონელ ნუსრის ბევრი ფული ჰქონდა და სიგარეტს სიმთვრალეშიც არ ეწეოდა, რადგან მუსულმანი იყო და არ სვამდა.
ნუსრი რესტორანში იშვიათად ჩნდებოდა და როცა ჩნდებოდა, მომსახურე პერსონალი მაშინვე თევზის სალათის მომზადებას იწყებდა.
ნუსრი ტრადიციული ოჯახიდან იყო. თავის დროზე, პაპამისს ამიერკავკასიის სახალხო სეიმის დელეგაციის უკან გაბრუნებასაც მიაწედნენ, როდესაც თურქები პატარა ზღვისპირა პროვინციის მითვისებას ლამობდნენ და პროლეტარიატის მომავალ აკვანს ულტიმატუმების ენით ელაპარაკებოდნენ.
ნუსრის პაპა არდაგანის ჩრდილოეთით მდებარე ტყეში დაბანაკდა თავის რაზმთან ერთად და გაზფხულის ერთ წვიმიან საღამოს, სწორედ იმ დროს, როდესაც სეიმის წარმომადგენლები გაცხარებულ კამათში იყვნენ შესულები ოპონენტებთან, სადავო ტერიტორიებს დაეპატრონა. სეიმის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს, თავები სინქრონულად გადააქნიეს ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ, მაგიდიდან წამოდგნენ და უკან გაბრუნდნენ. სულ ასე იცოდნენ ხოლმე. სულ უკან ბრუნდებოდნენ.

გარკვეული დროის შემდეგ, ავლაბრის სტამბაში ტროსტიანმა კაცმა დაიწყო გამოჩენა, ღამ-ღამობით კი ჟანგიანი „სტუდებეკერი“ მიდიოდა ხოლმე სტამბის უკანა შესასვლელთან და ქაღალდის შეკვრები მიჰქონდა.
ნუსრის რესტორანში ერთ-ერთ ოფიციანტად კრეტინი მარიკა მუშაობდა. კრეტინს იმიტომ ეძახდნენ, რომ როდესაც ფსიქოსომატურ ფაკულტეტს ამთავრებდა, სადიპლომო თემად კრეტინიზმი შეარჩია. საბოლოოდ, დიპლომიც დაიცვა, მაგრამ ვერსად ვერ მოახერხა მუშაობის დაწყება. ბოლოს, ნუსრის რესტორანში მოხვდა მიმტანად.
ნუსრისთვის გამზადებული თევზის სალათის მიტანა ყოველთვის კრეტინ მარიკას უწევდა, მაგრამ მარიკას არასდროს არ მიჰქონდა სალათი ნუსრისთვის. მარიკას დიდი ბაბუა წარმოშობით სწორედ იმ ზღვისპირა პროვინციიდან იყო, რომლის მიტაცებაც თურქებს უნდოდათ და რომლის გამოც ელაპარაკებოდნენ პროლეტარიატის მომავალ აკვანს ულტიმატუმების ენით. მარიკას მამას კი ერთ-ერთ პროვინციულ დაბაში ავტოპარკი ჰქონდა გახსნილი.
ავტოპარკში ძირითადად, თურქული ტრაილერები ჩერდებოდნენ ხოლმე, რადგან ქართულ ტრაილერებს გასაჩერებელი დრო არ ჰქონდათ – დედაქალაქში ზედმეტად ხალვათი მოძრაობა იყო და ქალაქს სხვადასხვა ჯურის მანქანებით ამარაგებდნენ. მანქანების უმრავლესობა ექიმის ან პროფესორის ნახმარი იყო, სახლი-სამსახური. სამსახური-სახლი.
ნუსრის ლიტერატურა არ უყვარდა. ნუსრის არც ქვეტექსტები უყვარდა და თევზის სალათიც იგვიანებდა.

IV

აზიზა, ანუ როგორ მღეროდნენ თურქები პაკისტანურ Dama Dam Mast Qalandar-ს ფატიჰ სულთან მეჰმეთის ხიდთან

Я потерял бомбу, она не у тебя?

თურქმა აზიზამ ტრაილერს სიჩქარე შეუცვალა. სარკეზე მოქანავე მინიატურული ქაბაბი პინკ ფლოიდის მუსიკის რიტმზე არხეინად ამოძრავდა, სიდ ბარეტი კი გაორმაგებული სტიმულით აგრძელებდა დაკვრას.
აზიზამ ტრასაზე ორი ტიპი დაინახა. ერთს რუკზაკი ჰქონდა მოკიდებული, მეორე კი ძალიან მსუქანი იყო და ცერა თითი ჰქონდა აშვერილი. აზიზას არ უყვარდა ასეთი ტიპები და როგორც წესი, არც უჩერებდა ხოლმე, მაგრამ იმ დღეს მაინც გააჩერა. მგზავრები მანქანაში ჩასხდნენ. აზიზამ სვლა გააგრძელა.
მგზავრებმა ხიდთან გაჩერება სთხოვეს აზიზას.
– ჩავიდეთ?
– ჩავიდეთ.
– აქ დაგვხვდებიან?
– კი, აქ დაგვხვდებიან.
– ისიც მოვა?
– კი. ისიც მოვა.

– მაშინ ჩავიდეთ.
ჩავიდნენ.

ბოსფორის სრუტის თავზე მზე აღარ ანათებდა. დღის იმ მონაკვეთში, როცა აზიზა სტამბულში შევიდა, ღამდებოდა. აზიზამ ტრაილერი პორტის შესასვლელთან გააჩერა და სიგარეტს მოუკიდა.
– აზიზა ჩამოვიდა! აზიზა ჩამოვიდა! – მხიარულად დაიძახა პატარა ბიჭმა და აზიზას ტრაილერისკენ გაიქცა.
დაინახა თუ არა აზიზამ მისკენ მიმავალი ბიჭი, ახალმოკიდებული სიგარეტი იმწამსვე ფანჯრიდან გადააგდო და ფანჯრის მინა ბოლომდე ასწია. დაღამდა. პატარა სარდინას თვალი ისევ ასტკივდა. ავი და ზარმაცი ზვიგენიც ენატრებოდა და ფარფლების არქონასაც ტყვეობაში ერთი–ორად განიცდიდა.
გემმა პორტისკენ აიღო გეზი და მიუხედავად იმისა, რომ პორტში უცნობი კაპიტანი არავის უყვარდა, გემი მაინც ჯიუტად მიემართებოდა ბოსფორისკენ.
მესამე წერილი უცნობი თევზსაჭერი გემის შავი ყუთიდან

[21:12:08] პან კოვალევსკი... პან კოვალევსკი...
[21:12:16] დიახ, ბატონო კაპიტანო...
[21:12:23] ხიდს მივუახლოვდით?
[21:12:29] თუ დისპეჩერმა ვარგისი რუკა გამოგვატანა (არადა, არ ვუყვარვართ მაგ ქალს) მაშინ, დაახლოებით ნახევარ საათში მივუახლოვდებით ხიდს.
[21:12:37] ჰო, არ ვუყვარვართ. თქვენც გესმით სიმღერის ხმა, ბოცმანო?
[21:12:44] დიახ, მესმის.
[21:12:53] და ვინ მღერის, ხომ არ იცით?
[21:13:01] ნუსრათ ფატი ალი ხანია ეგ, ბატონო კაპიტანო. პაკისტანელი მუსიკოსია.
[21:13:08] რა კარგად მღერის.
[21:13:15] კი, კარგი მუსიკოსია ეგ, ბატონო კაპიტანო.
[21:13:08] – [21:13:15]
Ne Sa Pa Ne Ma Pa
Ma Pa Ne Ga Re Ga Re
Sa Sa Sa Re Re Re...
Dam Mast Qalandar Mst Mst...
Ik Virđ Hai Dam Dam Ali Ali...
Sakhi Laal Qalandar Mst Mst...
Jhoole Laal Qalandar Mst Mst...
Dam Mast Qalandar Mst Mst...

[21:13:16] ასე მღეროდა ნუსრათ ფატი ალი ხანი.

მეოთხე წერილი უცნობი თევზსაჭერი გემის შავი ყუთიდან

[21:13:17] სარდინას თვალის ტკივილი აღარ აწუხებდა. არც ის აწუხებდა, ცალ მხარეს ფარფლები რომ არ ჰქონდა, რადგან ჰაერზე გონება დაკარგა.
[21:13:23] უცნობი კაპიტანი ბრძანებებს გასცემდა.
[21:13:28] ამოზიდეთ სათევზაო ბადეები
[21:13:31] ამოზიდეთ თქვენი სათევზაო ბადეები
[21:13:39] ამოზიდეთ თქვენი დიდი სათევზაო ბადეები
[21:13:46] ჩაცალეთ ბადეები აუზში
[21:13:52] ჩაცალეთ სათევზაო ბადეები აუზში
[21:13:59] ჩაცალეთ ჩემი დიდი სათევზაო ბადეები აუზში
[21:14:03] კაპიტანს ქურთუკის უბიდან მწვანე ვაშლები მოუჩანდა.

V
ორი დისპეჩერი და აზიზას რეფრიჟერატორი

Технология похищена.

დისპეჩერის კაბინის ფანჯრები პირდაპირ სრუტეს გაჰყურებდნენ. დისპეჩერი სამართავ პულტთან იჯდა, ყურანს კითხულობდა და სტენოგრამებს აგზავნიდა მეზობელი პორტის დისპეჩერთან. მეზობელი პორტიდან დისპეჩერს მეორე მეზობელი პორტის დისპეჩერი პასუხობდა, რომელიც არც ყურანს კითხულობდა და არც სტენოგრამებს აგზავნიდა და როგორ ახერხებდა პასუხის გაცემას, პორტის ადმინისტრაციამაც არ იცოდა.
აზიზას რეფრიჟერატორი დოკებში იდგა. მუშები ენერგიულად ტვირთავდნენ თევზს მანქანაში.
პატარა სარდინას თვალი ისევ ასტკივდა – ბადეში გაბმისას, ორ კამბალას შორის მოყვა და ფარფლები მეორე მხარესაც მოსძვრა. პატარა სარდინა არავის ეცოდებოდა, პატარა სარდინა ძალიან საწყალი იყო. მშობლები ადრე დაეხოცა, იაპონიის ზღვაში მორიგი ცუნამი რომ გაჩნდა, მაშინ. დინებამ წაიღო და მაცესუკე ოეს ჯებირს მიანარცხა.
იმ შეკვრას, რომელშიც სარდინა მოყვა, ზევიდან კიდევ სამი შეკვრა დაადეს, საბარგულის კარი დაკეტეს და აზიზამაც მშვიდად დაქოქა ძრავი.
დისპეჩერი დაბოღმილი თვალებით უყურებდა აზიზას ტრაილერს და სტენოგრამების გაგზავნას აგრძელებდა.

მეოთხე წერილი უცნობი თევზსაჭერი გემის შავი ყუთიდან

[22:17:18] პან კოვალევსკი, თქვენც მოგესმათ აფეთქების ხმა?
[22:17:25] დიახ, ბატონო კაპიტანო.
[22:17:28] და რა აფეთქდა, პან კოვალევსკი?
[22:17:31] შურს ძიობენ აქაურებზე, ბატონო კაპიტანო. გზებს აფეთქებენ.
[22:17:37] პან კოვალევსკი..
[22:17:43] დიახ, კაპიტანო...
[22:17:48] საიდან იცით ამდენი რამე?

[22:17:51] წიგნებს ვკითხულობ ხოლმე, ბატონო კაპიტანო. ზოგჯერ გაზეთებს ვკითხულობ, ხანდახან ჟურნალებსაც. თქვენ არ კითხულობთ არაფერს?

VI

აფეთქებული გზა, ამოყირავებული რეფრიჟერატორი, ავტორის დეჟავუ, რადგან ეგონა, რომ ეს ფრაზა როდისღაც უკვე დაწერა და პატარა სარდინა, რომელიც წვიმის სადინარში ჩავარდა

Не жди меня. Будет дымяшийся кратер.

თურქეთის ავტობანებზე ღამით მხოლოდ რეფრიჟერატორები, ევროპაში მიმავალი თუ იქიდან მომავალი ავტობუსები და კიდევ ის ტრაილერები მოძრაობენ, პროფესორების ნახმარი მანქანებით რომ ამარაგებენ ქვეყნის დედაქალაქს.
აზიზა საჭეს მშვიდად ატრიალებდა და იმედი ჰქონდა, რომ ვალების მცირე ნაწილს მაინც გაისტუმრებდა, დარჩენილი ფულით კი უფრო მეტ სიგარეტს და „პინკ ფლოიდის“ კიდევ ერთ ალბომს იყიდიდა.
კრეტინი მარიკა გზის განაპირას იჯდა, თეთრი წინსაფრის ჯიბიდან რესტორნიდან გამოყოლილი მენიუს ფურცელი მოუჩანდა და ხელში ჩინურ რადიომიმღებს ათამაშებდა.
აზიზა სვლას აგრძელებდა.
მარიკა მშვიდად იჯდა.
აზიზა იმა დგილს უახლოვდებოდა, სადაც მარიკა იჯდა.
მარიკა მაინც მშვიდად იჯდა და ხმას არ იღებდა.
აზიზა იმ ადგილს გაუსწორდა, სადაც მარიკა იჯდა და ხმას არ იღებდა.
მარიკამ რადიომიმღების ანტენა გაასწორა, ღილაკს ის თითი დააჭირა, ნუსრისთვის თევზის სალათის მომზადებისას რომ დაიწვა და ავტობანი ააფეთქა.
ავტობანზე დიდი ამბები დატრიალდა.

ტრაილერის სამი ბორბალი გზის მეორე სავალ ნაწილზე გაგორდა, იქიდან მომავალ ავტობუსის ქვეშ შეგორდა და ავტობუსიც ამოყირავდა. ამოყირავებული ავტობუსის საბარგულიდან ფუთები, შეკვრები, ფერადი და შავთეთრი ტელევიზორები, ბულგარეთის პლაჟებიდან წამოღებული სუვენირები, T–MObile–ს სიხშირეზე მომართული მობილური ტელეფონები, (რომლებიც ვერასდროს ვერ იმუშავებდნენ იმ დედაქალაქის სიხშირეზე, რომელსაც ტრაილერები პროფესორების ნახმარი მანქანებით ამარაგებდნენ) ნახმარი ველოსიპედები და მეორედი ტანსაცმლის ფუთები ცვიოდა.
აფეთქებისგან რეფრიჟერატორის ფრეონის ბალონები იმ საპნის ბუშტებივით გასკდნენ, კრეტინი მარიკა ბავშვობაში რომ ბერავდა ხოლმე და უსაქმური მამა რომ უხეთქავდა. (მარიკას სენტიმენტალური გადახვევები არ უყვარდა, მარიკა პრაგმატული ადამიანი იყო) როგორც კი ფრეონი დაიღვარა, რეფრიჟერატორში ყინულმა დნობა დაიწყო და წყლად იქცა. რამდენიმე თევზმა კუდი აამოძრავა, ზოგი მათგანი მთლიანად ამოძრავდა, ზოგმა გაცურა კიდეც.

პატარა სარდინა კუთხეში შეყუჟულიყო, აფეთქების ხმაურისგან თვალი ისევ სტკიოდა და ნერვული შოკისგან ფარფლები მეორე მხარესაც დასცვენოდა. ტრაილერმა დარჩენილ სამ ბორბალზე დგომა ვეღარ შეძლო და გადაბრუნდა. დაცემისგან რეფრიჟერატორის კარი გაიღო და ფრეონის აღარარსებობის გამო გამდნარი ყინულისგან წამოქმნილ წყლის ნაკადს უამრავი თევზი გადმოჰყვა.
თურქი საგზაო ინჟინრები გამჭრიახები იყვნენ.

მაცივრიდან გადმოღვრილი წყალი მასში მოცურავე თევზებიანად, პირდაპირ წვიმის სადინარისკენ გაემართა, მთელ ავტობანს რომ მიუყვებოდა და ალაგ–ალაგ შავ ზღვასაც რომ უერთდებოდა.
რადგან მეორე მხარესაც დასცვივდა ფარფლები, პატარა სარდინა ზიგზაგებით აღარ დაცურავდა, მაგრამ თვალი ისევ სტკიოდა.
მართალია, ტრასაზე ხმაური მიწყნარდა, მაგრამ დიდი ადრონული კოლაიდერი კვლავ მუშაობდა და ნაწილაკების შეჯახებასაც საშინელი ხმაური ახლდა თან.
დინებამ სარდინა სარფის სანაპიროებისკენ წამოიღო, სადაც კრეტინი მარიკას უსაქმური მამა თევზაობდა. ქართველი მძღოლები დაკავებულები იყვნენ, ერთადერთი თურქი მძღოლი, რომელიც მის ავტოპარკში აჩერებდა მანქანას, ააფეთქეს, ავტოპარკი ცარიელი იყო, მარიკას მამაც იჯდა და თევზაობდა. მარიკას მამას სარდინა ძალიან უყვარდა და ყოველ დილით, სანაპიროზე იმ ჭიების ჩიჩქნაც არ ეზარებოდა ხოლმე, უცნობი კაპიტანი რომ ისროდა ზღვაში. სარდინები ვაშლის ჭიაზე კარგად მოდიოდნენ.

VII
და სხვები...

Игрок проиграл.

სარდინა მშვიდად მიცურავდა. თვალის ტკივილი მინელდა, მაგრამ შიმშილის გრძნობამ იმძლავრა. სარდინას პლანქტონის მთელმა ხროვამ ჩაუქროლა გვერდით, მაგრამ ობოლმა თევზმა მოხვევა ვერ შეძლო – ფარფლები არ ჰქონდა და მისი მოძრაობა სწორედ იმ განმარტებას ექვემდებარებოდა, რომელი განმარტებითაც ფიზიკის VII კლასის სახელმძღვანელო წრფივი მოძრაობის არსს აღწერს. საბოლოოდ, კრეტინი მარიკას მამამ ვერაფერი ვერ დაიჭირა, რადგან მიუხედავად სურვილისა, სარდინა ვერაფრით მიუახლოვდა იმ ნემსკავს, რომელზეც ვაშლის ჭიები ეკიდნენ და ცურვა ჩრდილოეთისკენ განაგრძო.
ნუსრი გაბოროტებული ასკდებოდა თურქული რესტონის კედლებს, რადგან თევზის სალათი მისთვის არავის მიჰქონდა და კრეტინი მარიკაც არხეინად იჯდა სამზარეულოში, სიგარეტს ეწეოდა და ქართულ „კოსმოპოლიტენს“ ათვალიერებდა. წინსაფრის ჯიბიდან ამოჩრილ მენიუზე არსებულ საეჭვო ლაქებზე კრეტინი მარიკა სდუმდა.
უცნობი კაპიტანი და პოლონელი ბოცმანი კი მაინც აგრძელებდნენ თევზჭერას, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანმა ვერც საკუთარი გემის შეძენა შეძლო, ვერც ფრიტოფ

ნანსენის მარშრუტის გავლა მოახერხა და ვერც პინგვინების ფერმა ააშენა ჩრდილო პოლუსზე.
კაპიტანი ვაშლს ფცქვნიდა, შიგადაშიგ კითხვებსაც წამოისვრიდა ხოლმე, პან კოვალევსკიც ბეჯითად პასუხობდა ამ კითხვებს, შვეიცარიული ნიკელისპირიანი დანა კვლავ იმ მზის შუქზე ელავდა, მომდევნო დილით ისევ რომ უნდა ამოსულიყო ბოსფორის სრუტის თავზე და ზვიგენიც იმავე ჟღერადობით აკრაჭუნებდა კბილებს.
პატარა სარდინა კი ნერვიულად გადი–გამოდიოდა მის ცხვირწინ.

ქეთი კალაძე

Local area connecction

(LBA)

ბავშვობიდან მჯეროდა რომ რაღაც განსაკუთრებული ნიჭით ვიყავი დაჯილდოვებული. ამიტომ ზედმეტი სწავლით თავი არასდროს შემიწუხებია. ჩემი ნიჭის იმედზე ვიყავი. იმდენად დავრწმუნდი საკუთარ უსაზღვრო შესაძლებლობებში რომ თავი თავისით ამეწია მაღლა, წელშიც ჩემდა შეუმჩნევლად გავიმართე და ნაბიჯიც უფრო მტკიცე გამიხდა.დავდიოდი ასე ქალაქის ქუჩებში. ჩემნაირები ათასწლეულში ერთხელ იბადებიან, ამის იმდენად მჯეროდა რომ უკვე მეჩვენებოდა ხალხი ქუჩაში თავს მიკრავდა მორიდებით ჩურჩულებნენ, თან საჩვენებელ თითს შეუმჩნევლად იშვერდნენ ჩემსკენ „ეს ის არ არის, აი ისო“...

მიუხედავად იმისა რომ ცოლი მოვიყვანე და ახალ ოროთახიან ბინაშიც გადავედი მაინც მჯეროდა ჩემი თანდაყოლილი ნიჭის...

ისე ცოტა ხელისშემშლელია ცოლი, მითუმეტეს გენიოსი თუ ხარ, შენი ცოლი კი სტომატოლოგი. წარმოიდგინეთ დაჯდები სავარძელში, სიგარას მოუკიდებ და უკვე თვალწინ გიდგას შენი უდარდელი მომავალი, ხვდები რომ ცოტაც და გაღიარებენ და აი ამ დროს გვერდზე ოთახიდან შემზარავი ღმუილი ისმის, შიგადაშიგ გინებაც, მერე ვიღაც პერანგგაღეღილი და პირდაფჩენილი კაცი გამომწყვდეული ცხოველივით ეხეთქება შენი სახლის კედლებს და გასასვლელს ვერ პოულობს. შენ დგები, მშვიდი სახით უღებ კარს და სანამ კიბეზე დაეშვება ერთ შეგინებას კიდე მოასწრებს. და შენ ხვდები რომ შენმა ცოლმა ისევ ჯანსაღი კბილი ამოუღო.

არა ცოლი მაინც ხელისშემშლელია, თუნდაც იმიტომ რომ ყოველ წუთს გახსენებს რო არც სიგარა გაქვს და არც სავარძელი.

ჩემმა ცოლმა მოკლემკლავიანი მაიკების ჩაცმა დაიწყო, ეზოდან წივილ-კივილი ისმოდა, ბავშვები წუწაობდნენ, ჰაერი აშკარად ჩაიხუთა, თანაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სანაყინე მაცივრები მხვდებოდა, ბოლოს სახლში დაბრუნებულს საკუთარი ოფლის სუნი რო მაწუხებდა, მივხვდი რო დაცხა და ზაფხული მოვიდა. ზაფხული კი ყოველთვის დასვენებასთან ასოცირდება ჩემთვის. ანუ დრო იყო სადმე გამგზავრებაზე ფიქრი დამეწყო.

აი კიდევ ერთი ნივთმტკიცება რომ ცოლიხელისშემშლელია. სიბრალულნარევი ხმით შემახსენა რომ არსად გასამგზავრებელი ფული ჩვენ არ გვქონდა და სხვათაშორის უკვე ორი კვირა სრულდებოდა რაც საბანკო ანგარიში და კუჭი ცარიელი იყო. (თუმცა საბანკო ანგარიში არც არასდროს გვქონია, ეგეც ჩემი მოგონილია)

მე ისევ ჩემი ნიჭის იმედზე ვიყავი, მაგრამ აი ჩემ ცოლს რა დააჯერებდა რომ გენიოსთან ერტად იძინებდა და იღვიძებდა

– იზა! მე გენიოსი ვარ

– უი ჭირი შენ წიღი! ერთ დღეს ამოწყდით შენ და შენნაირი გენიოსები-ნერვიულობისგან ლოყები აუწითლდებოდა ხოლმე, მერე როლებში შეიჭრებოდა:
– აგერ ლენას ქმარს შეხედე, სამგან მუშაობს, დედამისსაც ეხმარება, ბავშვებს ზრდის, ლენამ მთელი ზამთარი ზამშის ჩექმებში და შუბებში გააატარა, შენ კიდე ჩამომდგარხარ აქ და რაღაც ნიჭზე მელაპარაკები, სამკვირანახერვარია ბავშვი მშიერია, ლუკმა არ გიჭმევია არადა ბავშვი საერთოდ არ გვყავს...
– იზა ! დავიხუთე
– გააღე მერე ფანჯრები შე პატრონმკვდარო
– აარა იზა! დასასვენებლად უნდა წავიდეთ
– მოუსავლეთსი წადი შენ, თავს ვერ ვყოფ გარეტ იმდენი ვალები გვაქვს, სად დასასვენებლად მეპატიჟები
– იზა! წელს პარიზში დავისვენებთ!
იზამ ორივე ხელი შუბლში იტკიცა.
– იზა მომეხმარე შემომატანინე, არ ეტევა კარში
– შნი კუბო ხო გაეტევა მაგ კარიდან, შე მიწაშიჩასადებო, ნაგავი გვაკლია სახლში? ისედაც სავსეა აქაურობა, საიდან მოათრიე ეს კარდონები გავჩუმდი...
ჩემით შემოვათრიე სახლში...ცოტა ხანი ქაღალდის ფურცელზე ვამუღამებდი ეიფელის კოშკის ხატვას, ბოლოს მთლიან კარდონზე დიდი ეიფელის კოშკი დავხატე და პირდაპირ საწოლის წინ გავაკარი მთელ კედელზე. მიახლოებით ვიცოდი კიდეც ეიფელის კოშკის ფერი და შეღებვასაც რომ მოვრჩი საკუთარი ფანტაზიით კმაყოფილმა გადავწყვიტე ჩემი თავისთვის სიურპრიზი გამეკეთებინდა და ეიფელის კოშკის ქვემოთ თეთრი ლიმუზინი მივახატე. ახლა ყველაფერი მქონდა. ეჭვი რო არავის შეპარვოდა რომ მე და ჩემი ცოლი ამრთლა პარიზში ვისვენებდით აქეთ კედელზე დიდი ასოებით მივაწერე „paris“...
სახლში დაბრუნებულ იზას თვალები ავუხვიე და ოთახში შევიყვანე
– იზა! ოცნება აგიხდა
– ნეტა ბოლო ოცნებაც ამიხდეს და შენი...
– მორჩი წყევლას, ბოლოსდაბოლოს შენ გენიოსის ცოლი ხარ! რომელსაც ბავშვობიდან უნიკალური ნიჭი გამოჰყვა...
– ცეცხლი და...
– მორჩი! ქართულად მაინც ნუ იწყევლები ამ შუა პარიზში და თვალებიდან სახვევი მოვხსენი...ეხლაც ვერ ვხვდები რა დაემართა იზას. მორთო ერთი ღრიანცელი, ხვანცალი, თითქოს ჩემი თანდაყოლილი ნიჭი დამეკარგოს..ატეხა კივილი, სუ ცინიკოსი და ნაძირალა მეძახა, აგერ ლადის შვილები და ცოლი ქვათახევში არიან, დაგაყარე მაგ თავზე ქვა და ლოდიო...მაინც ვერ ვხვდები რითია პარიზი ქვათახევზე ნაკლები. იმ დღეს ცხელ გულზე სამი ჯანსაღი კბილი ამოუღო თავის პაციენტს.
მეორე დღეს კი იზას კარადა ცარიელი იყო და აღარც საშაარე იდგა მაგიდაზე.
მე კიდე სამი კვირა ვისვენებდი პარიზში და ცოლის გაქცევით დადარდიანებული ვსვავდი (უმეტესად სასმელიც ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო და ცოლის გაქცევის გამო დასევდიანებაც). დღიურების წერაც დავიწყე, აი ერთი ორი ნაგლეჯი:
– „ეხლა პარიზში ვარ, ვწევარ საწოლზე, ვსვავ ვისკის, ვეწევი სიგარას და გავყურებ პირდაპირ ეიფელს, მართლა რა მშვენიერი ყოფილა.წინ ჩემი თეთრი ლიმუზინი მიდგას.

ბედნიერი კაცი ვარ! თუმცა ცოლის წასვლას განვიცდი.ალბათ ცუდი მოგონებები აკავშირებს პარიზთან.
„უკვე მეორე კვირაა რაც პარიზში ვარ, მალე ხელფასი გამითავდება და დაბრუნება მომიწევს, თანაც სამსახურშიც მისასვლელი ვარ, უფროსმა დამირეკა“
ეს რომ ჩემ ცოლს წაეკითხა, წამში შემახსენებდა რომ არანაირი ხელფასი მე არ მაქვს, არც სამსახური და არც უფროსი და მითუმეტეს ტელეფონი სადაც უფროსი დამირეკავდა.
საბედნიეროდ იზა გაიქცა...ასე რომ...
დასრულდა ჩემი არდადეგები პარიზში რომშიც გულით მინდოდაწასვლა მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვისწავლე კოლიზეუმის ხატვა:) მეზობლებისგან მსმენოდა დასავლეთ საქართველო ულამაზესიაო. მეც მომინდა წასვლა, ბოლოს და ბოლოს 38 წლის კაცი ვარ და დასავლეთ საქართველოში ხო უნდა ვიყო ნამყოფი...ასე რომ დარჩენილ კარდონებიდან დიდი ასოებით ამოვჭერი „დასავლეთ საქართველო“ და ეიფელის კოშკის მაგივრად მივაკარი კედელს...
ახალი ფურცელი ჩემ დღიურში ასე იწყებოდა:
– „აი უკვე დასვლეთ საქართველოში ვარ, ამრთლა რა ლამაზი ყოფილა... ბუნებას გადავყურებ, მოწევასაც თავი დავანებე...და ა.შ“ სანაყინ მაცივრებმა, ბავშვების წივილ-კივილმა და ოფლის სუნმა რომ იკლო მივხვდი ზაფხული მთავრდებოდა. ჩამოვხსენი კედლიდან „დასავლეთ საქართველო“ და სათითაოდ ცავაწყვე უჯრებში...
ჩემი მეზობლები დაბრუნდნენ აგარაკებიდან, გარუჯულები, მხიარულები, თუმცა დარწმუნებული ვარ წელს არცერთ მათგანს პარიზში არ დაუსვენია, თანაც 3 კვირით.
ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადის...
ისე შემდეგ წელს ინგლისის ნახვა მინდა
წელშიგამართული, კმაყოფილი საკუთარი თავით და ცხოვრებით ხოლმე ჩემი ქუჩის დაღმართებს...
– გაააააააამარჯობააააააააათ
ეს ჩემი მეზობელი თალიკო იყო...სიტყვების გაწელვაზე ვცნობდი
გაააააააააააააგიმარჯოოოოოოს! –- მეც გამოვაჯავრე და ემრე საკუთარ ნათქვამზე გამეცინა, თუმცა თვითონ ვერ მიხვდა
– საით გაგიწევიათ უი მართლა ცოლი სად გყავთ?ეხლა ვისთან ერთად ცხოვორბთ? და სხვა მრავალი:
პასუხი მხოლოდ პირველ კითხვაზე გავეცი:
– ჰონორარის ასაღებად!
თალიკომ ალბათ ისეთი სიტყვა ვერ მონახა კარგად რო გაიწელებოდა და თან მის ინტელექტს წარმოაჩენდა ამიტომ გაჩუმდა.
ნამდვილად არ მახსოვს ავიღე თუ არა იმ დღეს ჰონორარი.
წლები გადიოდა, სამსახურის შოვნაზე არც ვფიქრობდი.ისევ ერის სირცხვილია გენიოსი კაცი რო ვიმუშავებ სადმე, ხალხი რას იტყვის წლების ემრე ვერ აფასებენ საქართველოში გენიოსებსო.
ერთ დღესაც გადავწყვიტე ჩემი ნიჭის საძებნელად წასვლა. ნიჭი რო მქონდა ღრმად მწამდა ამის, დღესაც მწამს! მთავარი იყო გამეგო რისი ნიჭი იყო ეს და მტელი ცხოვრება ამეწყობოდა (ნუ ისედაც არაფერი მეკლდა მაგრამ მაინც). სად არ ვცადე ბედი. ჯერ ერთ ერთ ბარში შევედი.

– იცით მე დაბადებიდან მაქვს ბართან დგომის ნიჭი უფროსი სიამოვნებით დამთანხმდა სამუშაოდ აყვანაზე. მაგრამ პირველივე დღეს ერთ-ერთ კლიენტს შემთხვევით ისეთი რაღაც დავალევინე რაც მხოლოდ ერთი წვეთი უნდა უქნა კოქტეილს, ისიც ძლიერი ორგანიზმისთვის. შემეშალა. ვუყურებ, ვხედავ გადაკრა, დაცალა მთლიანი ჭიქა, დაჭყიტა უცებ თვალები და გადავარდა.სასწრაფოს მანქანამ მგონი დროულად მოუსწრო, რავიცი იმ ღამით არავის სიკვდილიარ გამოუცხადებიათ საინფორმაციოში.

აი მე კიდე სუ დედის გინებით გამომაგდი უფროსმა იმ ბარიდან. გასასვლელთან გავჩერდი და ერთხელ კიდევ შევახსენე შიგნით მსხდომთ

– მე გენიოსი ვარ!

ბენზინგასამართ სადგურშიც ვცადე ბედი, ტუმცა გულის სიღმეში საშინლად არ მინდოდა სწორედ ეს ყოფილიყო ჩემი ნიჭი. მაგრამ როგორც ყოველთვის გამიმართლა . მეორე დღესვე გამომაპანღურეს. ბენზინი ბაკის მაგივრად პირდაპი ფანჯარაში შევუსხი ვიღაც ქალს და უნდა გენახათ რა სასაცილოდ ფართხალებდა და კიოდა თავიდან ბოლომდე ბენზინიანი. თანაც ილანძღებოდა გაგდების წინ მაინც მოვახერხე შეხსენება:

– მე გენნიოსი ვარ!

სად აღარ ვეძებე ჩემი ნიჭი...

ერთ-ერთ ექსკურსიაზე გიდადაც კი წავყევი ბავშვებს ქვიშხეთში, მაგრამ სახლში დაბრუნებულმა ერთ-ერთმა ბავშვთაგანმა მშობელს რო დიდი აღტაცებით ახაა „იცი დე ქვიშხეთსი ვიყავით და ჩვენმა გიდმა ლუვრი დაგვათვალიერებინაო“ და მერე ამ მშობელმა სუ ლანძღვა-გინებით რო დამირეკა „შე თვალებდასავსებო სად ნახე ქვიშხეთში ლუვრიო“ მივხვდი რომ არც ეს იყო ჩემი საქმე.

სანამ ყურმილს დაკიდებმა მაინც მოვასწარი თქმა

– ქალბატონო!მე გენიოსი ვარ!

აბა მე რა ვიცოდი, რაღაც დანგრეული შენობა დავინახეთ და ატყდნენ რა არის, რა არისო, რა არის და ლუვრი მეთქი. არ ჯობდა ლუვრი ყოფილიყყო, ვიდრე რომელიმე მიტოვებული საერთო ტუალეტი ან სკოლა. რა უცნაური ხალხია.

ისე დიდად გული არ დამწყვეტია, გიდობა რო არ აღმოჩნდა ჩემი თანდაყოლილი ნიჭი.

ძებნას ვაგრძელებდი მასწავლებლადაც ვცადე მუშაობა, მაგრამ როცა ჩემმა მოსწავლემ გამოცდაზე დაწერა „გმირთა ვარამი“ კაკო მახარაძემ დაწერაო, რო კითხეს ეს საიდან მოიტანეო და საქმე ჩემამდე რო მოვიდა, შევეშვი მასწავლებლობას. არადა კაკო მახარაძე ჩემი მეზობელი იყო, საწყალს ერთი ოცნება ქონდა ნეტა ლევან გოთუას არ დაეწერა „გმირთა ვარამი“ ხო მე დავწერდიო. ვიფიქრე ამ უწყინარ ტყუილს კაკოს სიხარულის გარდა არაფერი მოყვებოდა, მაგრამ შევცდი დამითხოვეს. დიდად არ მიდარდია. სად არ ვცადე ბედი, თეატრალურშიც, მომღერლადაც, ტაქსის მძღოლადაც, მაგრამ ჩემი თანდაყოლილი ნიჭი არ ჩანდა.

ბედნიერი კაცი ვარ!

თითქმის ყველა დაწესებულება შემოვიარე ჩემი ნიჭის ძებნაში. არსად არ იყო. ეს უფრო მარწმუნებდა იმაში რო რაღაც ზებუნებრივთან მქონდა საქმე. მეორე წელს ზაფხულის მოახლოება ვიგრძენი თუ აეა საქმეს სევუდექი, პირველ რიგში კარგად ვისწავლე ანძის ხატვა.

წელს დასასვენებლად წასვლას არ ვაპირებდი, თბილისში უნდა დავრჩენილიყავი და კინო სცენარზე მემუშავა. გული მიგრძნობდაა იქ იმალებოდა ცემი ნიჭი.
როგორც იქნა დავხატე ანძა, თანაც ფერადი, გავაკარი კედელზე. ცოლ-შვილი დასასვენებლად გავუშვი მე კი თბილისში დავრჩი და კინოსცენარზე მუშაობა დავიწყე (იზა რო ყოფილიყო შემახსენებდა რო აღარც ცოლი მყავს და მითუმეტეს შვილი). ჩემი დღიურის ფურცლები ნელ-ნელა ივსებოდა:
– „წელს დასასვენებლად არ წავსულვარ, კინოსცენარზე ვმუშაობ! როგორც იქნა დავისვენე ცოლ-შვილის ხმაურისა და ჭიჭყინისგან. ანძა ისევ ანათებს! ღმეეეეეერთო რა ბედნიერი კაცი ვარ. ეხლა ვისადილებ და წერას განვაგრძობ“
სადილზე გამახსენდა მართლა მომშიებოდა, მაგრამ სახლში ვერაფერი ვიპოვე ორი ცალი უმი კარტოფილის მეტი, უმი კარტოფილის ჭამას ჯერ მიუჩვეველი ვიყავი. მაგრამ ხომ გაგიგიათ მშიერ კუჭზე დაწერილი კინოსცენარზე ვერცერთი მაძღარი რეჟისორიიტყვს უარსო“ (იზა რო აქ იყოს აუცილებლად მკითხავდა შე ხეპრე ერთი ისიც მითხარი ვიცი გამონათქვამია ეგო...მე კი ვუპასუხებდი: – ჩემი იზა! მე გენიოსი ვარ!)
კინოსცენარი რო დავამთავრე ზაფხულიც იწურებოდა. მთელი 3 თვე ვწერდი თავაუღებლად. სცენარი ორ კაცზე იყო რომლებიც ტრაგიკულად იღუპებიან მაგრამ სიცოცხლეს თავიანთი ცოლების გულებში აგრძელებენ. ეხლაც მაჟრიალებს.
არ დამიბეჭდეს, არც რეჟისორამდე მიმიშვეს. თუმცა მაგათ რა ესმით ხელოვნების. რედაქციიდან გამოსვლისას შევახსენე თანამშრომლებს:
– თქვენ ეხლა გენიოსს ელაპარაკეთ!
ცოტა არ იყოს დავიბენი. სად შეიძლება ყოფილიყო ჩემი ნიჭი. დაბნეულ გულზე ცოტა გართობა გადავწყვიტე. უდაბნოში მოგზაურობაზე დიდი ხანი ვოცნებობდ და ვიფიქრე ურიგო არ იქნება ამ სურვილსაც თუ ავისრულებ მეთქი.გადმოვიღე ცემი ეიფელის კოშკი და უკაანა მხარეს ცარიელ კარდონზე დავიწყე უდაბნოს ხატვა. გასამგზავრებლად ორი კვირა დამჭირდა, ორი კვირა ვხატავდი უდაბნოს:) ბოლოს წამოვგორდი ლოგინზე და დღიურის ახალი ფურცელი შევავსე:
„როგორც იქნა ჩამოვაღწიე, ეს მოგზაურობა არასოდეს დამავიწყდება. იზა! მე უდაბნოში ვარ, (იზა რა შუაშია და არ ჯეროდა რომ ერთ მშვენიერ დღეს მე უდაბნოში ვიმოგზაურებდი) ჰოდა თუ არც! ხედავ იზა? მე უდაბნოში ვარ!
უდაბნოში მოგზაურობა დიდხანს გაგრძელდა. მეზობლებმა უკვე ჭორაობა დაიწყეს. 3 კვირის მერე იძულებულნი გახდნენფანჯრიდან გადამძვრალიყვნენ.
ყველა ერთმანეტტშ მიაშტერდა.
საკუთარი დახატული უდაბნოს წინ ეგდო. მოკუნტული, ფერი შეცვლოდა... ერთი პატარა ოთახი იყო, ერთი შეხედვით ვერც მოიფიქრებდი აქ ცხოვრება თუ შეიძლებოდა. სასწრაფოს მოსვლამდე ისედაც კარგად ხვდებოდნენ, მაგრამ მაინც გამოიძახეს, თითქოს დასტურს ან ბეჭდის დასმას უცდიანო
– მკვდარია... – თეთრხალათიანმა ექიმმა საყელო გაისწორა და ოთახს თვალი შემოავლო. დეზინფექციის სამსახური გამოიძახეთ, აქ სადღაც გველია, თანაც არა მხოლოდ ერთი.
თავისდაუნებურად ყველამ კედელზე გაკრულ უდაბნოს გახედა. შემდეგ ექიმს მიაშტერდნენ.
– ჰო გველის ნაკბენი აქვს ფეხზე... თანაც შხამიანი გველის.

დაკრძალვის შემდეგ როგორც წესი ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა ეზოში.
– იქნებ მართლა გენიოსი იყო –- ისეთი დაბალი ხმით იკითხა იზამ, თითქოს თვითონვე რცხვენია თავისი ნათქვამისო...

– უდაბნო სავსეა გველებით... –-- ეს კაკო იყო, მახარაძე კიდე დიდხანს არ შეწყვეტილა ჭორაობა, აზრების გამოთქმა და ძველი ამბების გახსენება.
სადარბაზოს კარზე კი დღემდე შემორჩენილია წარწერა:
„ამ სახლში ცხოვრობდა საოცარი ფანტაზიის მქონე და თანდაყოლილი ნიჭის პატრონი ... . “
სამწუხაროდ სახელი და გვარი სიძველისგან გადაშლილია.

შოთა იათაშვილი

ამ მოთხრობის დაწერამდე 8 წელი ვიფიქრე...

როგორ გავაძევეთ სახლიდან სიკვდილი

25 აპრილი. 20 სთ. 50 წთ. 1998 წელი.
ოქსანა თავხედი არ არის. ოქსანა კვდება.

24 სთ.

ვერსად ვერ დავატიეთ, ვერ დავმალეთ ცხრა დიდი ჩანთა. ხვალ ჯანმრთელ სტუმრებს ველით.

24 სთ. 35 წთ.
არაფერს არ ჭამს, რომ არ არწყიოს. ოქსანას ხორცი არა აქვს. ოქსანა ცარიელი ძვლებია კანის თხელი ფენით დაფარული.

საათი არ ვიცი. ძალიან გვიანი ღამე.
თითო-თითო კოვზი თაფლი და ალუბლის წვენი დაასხა თეფშზე. საოცარი სურათი დაიხატა. ოქსანას სისხლი აღარაა ალუბლისფერი. იგი ახლა თაფლივით ღიაა და იქნებ ტკბილიც, თუ ოქსანა ფიქრობს ღმერთზე...

კვლავ შუაღამე.

ნეტა შენიშნა, რომ მისი მოტანილი ვარდები უწყლო ლარნაკში ეწყო? ტელევიზორი გამორთო შოთამ. მალე დავწვებით. ოქსანას საქართველოში უნდა, რომ მოკვდეს...

(თურმე მაინც შემორჩენილიყო მაშინდლიდან რაღაც... რვა წლის შემდეგ მე და მაიამ ოჯახურ არქივში აღმოვაჩინეთ მაიას მიერ რვეულის პატარა ნაგლეჯზე დაწერილი ეს რამდენიმე ფრაზა...)

ოქსანა იღიმებოდა და ტუჩის კუთხეში კანი უსკდებოდა... ხელისგულს იფარებდა პირზე და მის დაბნეულ ღიმილს სისხლი სდიოდა...

როგორც ადრე, ახლაც ბევრს ეწეოდა..... ჩემი სამი თვის ქალიშვილის წმიდა სუნთქვა ან აივანზე, ან სადარბაზოში – კიბის ბაქანზე გვყრიდა... უჩუმრად ვეწეოდით.. უფრო ჩუმად ვლაპარაკობდით... ფერფლი ძველი მოგონებების ქარს მიჰქონდა და ქალაქში ფანტავდა... ეს ოქსანას ანდერძს ჰგავდა... მაგრამ კედელს აკრულმა ქალის აჩრდილმა

ერთხელ საიდუმლოსავით მითხრა: თუ მოკვდები – მოკვდები, თუ არადა, ესე იგი შეიძლება, რომ იცოცხლო კიდეც...
აპრილის თვეში ზაფხული დაიწყო. მთელი ეს დაუჯერებლად ნაადრევი მხურვალება თითქოს უკანასკნელი ქართული საჩუქარი იყო ოქსანასათვის. ის ხომ ყინვასა და თოშს გამოექცა, რათა ადუღებულ თბილისში, სიყვარულითა და მეგობრობით გულანთებულებს შორის ამოხდოდა სული.
კვირტები დასკდნენ... კანიც სკდებოდა ოქსანას სახეზე... „გავასეირნებ“ – ვეუბნებოდი მაიას და როცა კი მეცალა, მე და ოქსანა ქალაქში გავდიოდით..... ვერის ბაღისთვის ოქროს შუქი დაედგა მზეს და ბოლომდე ამოეთბო. ოქსანა გახალისდა. უსმენდა ჟღერად ფიჭვებს, სიგარეტის კვამლის ნაცვლად მხიარული ჰაერი ჩაჰქონდა ფილტვებში და თავისი სლავური აქცენტით ცოცხლად მესაუბრებოდა ქართულად. საკმაო ხანი შევრჩით იქაურობას. ბოლოს ოქსანამ ლურჯ მონასტერში ისურვა შესვლა. გრძელი სანთელი ეკავა ოქსანას ხელში და ხატებს შესცქეროდა თავისი თვალისმომჭრელი ლურჯი თვალებით...
ერთადერთით, რაც მის სხეულში ადრინდელივით საღი და მშვენიერი იყო. და ოქსანა მხოლოდ თვალებით ლაპარაკობდა, მხოლოდ თვალებით ლოცულობდა...
ოქსანას ლურჯი თვალები... – მისი ბევრი თბილისელი ნაცნობისათვის ეს ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა იმისა, რომ ადამიანი, რომელიც მის წინ იდგა, კვლავაც ოქსანა იყო და არა ვინმე სხვა... და როცა ფართო შავ სათვალეს იკეთებდა ოქსანა, რათა პირისახის დიდი ნაწილი უცხოთა თუ შინაურთა გაფაციცებული მზერისაგან დაეფარა, იგი უკვე საბოლოოდ აღარ იყო ოქსანა...
აეროპორტში დიდი ხანი ველოდეთ მე და გიორგი მას..... და იგი სულ ბოლოს გამოჩნდა... გულისშემაღონებლად ნელა მოდიოდა. სვენებ-სვენებით მოჰქონდა საშუალო ზომის ჩანთა. დიდი, შავი სათვალე ეკეთა. ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ნუთუ ესაა?“ მის უკან აღარავინ ჩანდა. ეს ზანტი შავსათვალიანი ქალი ბოლო მგზავრი იყო. და მაშინ ვთქვი: „აი, ოქსანა“ . და ხელი დავუქნიე კიევი-თბილისი რეისის ბოლო მგზავრს. გიორგიმ გადმომხედა: „დარწმუნებული ხარ?“
კი, ოქსანა იყო. „ჩანთა გამომართვით“ – გვითხრა, როგორც კი გამყოფი ხაზი გადმოკვეთა და გადაგვკოცნა. ჩანთა მხარზე მოვიგდე და გარეთ გავედით. ტაქსის მძღოლები დაგვესიენ. „მანქანა არ გვჭირდება!“ – მოიცილა გიორგიმ ისინი. თბილოდა. მზე დაგვნათოდა. ოქსანამ მწვანე ქურთუკი შეიხსნა. და მერე შავი სათვალე მოიცილა სახიდან..... დიდი ხანი შევცქეროდით მე, გიორგი და ოქსანა ერთმანეთს. მერე ოქსანამ შეცბუნებით გაიღიმა და თქვა: „ავადა ვარ...“

(ზაფხული იყო, ამ აეროპორტიდან რომ გავაცილე ოქსანა. გავაცილე რამდენიმე წლის წინ... და უძღოდა დამთხვევების უცნაური ჯაჭვი ამ გაცილებას... რამდენიმე თვე იყო, არც კი მომეკითხა ოქსანა. და რომ მოვიკითხე, აღმოჩნდა, კიევს მიფრინავდა მეორე დღეს, დილაბნელზე. ახლობელს ეძებდა მანქანიანს და ვერ ეპოვა ამ წუთამდის... მთხოვა დახმარება ოქსანამ... რამდენიმე უშედეგო მცდელობა და მერე ზაზა: „მოიცა, მოიცა, სად მიფრინავს, კიევში?“ . „ჰო, კიევში...“ „ხვალ ნათესავები მიმყავს აეროპორტში, კიევში მიფრინავენ ისინიც...“

ჰმ!

და რაკი თვითმფრინავი ალიონზე მიფრინავს, და რაკი ოქსანა შორს ცხოვრობს, და რაკი ოქსანას გარგი ბევრი აქვს, და რაკი ზაზამ მანქანის ზედა საბარგულზე წინასწარ უნდა დაამაგროს ოქსანას გარგი, რათა დილით ნათესავებთან გავლა მოასწროს, ჩვენ მივდივართ ოქსანასთან, მოგვაქვს გარგი, ოქსანა კი რჩება ჩემთან, – დილის ექვს საათამდე, ამ დროისათვის კი მას ჩემს არკასთან მანქანა დახვდება...

ჰო, ოქსანა რჩება ჩემთან, და ამ გამოსათხოვარ საღამოს (ვიცოდით კი მაშინ, ვნახავდით თუ არა კვლავაც ერთმანეთს და როდის?) პირველად დავკოცნეთ ერთმანეთი – პირველად – და არა ვნებით, არამედ ჩვენი რამდენიმეწლიანი ნამდვილი მეგობრობის გულუბრყვილო განცდით... მერე კი, ოქსანა მიწვა და ჩაეძინა დაღლილს თვალისდახამხამებაში. და მე კარი გავიხურე და ღამის თბილისში ვიხეტიალე... შამპანური ვიყიდე, შოკოლადი... მოვბრუნდი, ვიჯექი ფუჟერით ხელში და მძინარე ოქსანას დავყურებდი... ექვსის ნახევარზე გავაღვიძე... ღამის იტირა ოქსანამ: არ სდომებია ძილი, ბოლო ღამეს ზაფხულის თბილისში ხეტიალი სურდა თურმე, მაგიდასთან ჯდომა და ალკოჰოლი ვნებიანი საუბრებისა...

ზაზას ნათესავები მუნჯურად მეტყველნი აღმოჩნდნენ. უფრო ზუსტად კი – ერთი იყო მუნჯი, დანარჩენმა ორმა კი ჟესტების ენა იცოდა. აღარ მახსოვს, როგორ დავემშვიდობეთ მე და ოქსანა ერთმანეთს, მაგრამ სხვა მახსოვს, დამშვიდობებისშემდგომი ჩვენი დიალოგი. მუნჯურად მეტყველთაგან გამცილებელი აღმოჩნდა ერთ-ერთი. იგი, მე და ზაზა გარეთ რომ გამოვედით, აეროპორტის მეორე სართულზე, მინის ფასადთან, რეგისტრაციაგავლილი ოქსანა დავინახეთ მუნჯურად მეტყველებთან ერთად. მათ ერთმანეთს შორის კვლავ გააბეს ხელების ქნევა. მე და ოქსანა ერთმანეთს შევყურებდით. მუნჯურად მეტყველნი თავიანთ ხილულ საუბარს შეყვნენ და მის მომთავრებას არც აპირებდნენ. მე რაღაც დავუყვირე ოქსანას. მან მხრები აიჩეჩა, მაჩვენა, რომ ვერაფერი გაიგონა. ხმას ავუწიე, მაგრამ უშედეგოდ. და ამ დროს ზაზამ თავის ნათესავებზე მიმანიშნა: „რას ყვირი, აგერ არ არიან, თუ რამე გინდა, უთხარი და გააგებინებენ“.

რამდენიმე წუთი ვილაპარაკეთ ასე მე და ოქსანამ: მუნჯების ენით. ჩემი გულიდან ამოხეთქილი წინადადებები ჩემს გვერდით მდგომი მუნჯურად მეტყველის ხელის მოძრაობებად გარდაიქმნებოდა. შუშის მიღმა მყოფნი ამ მოძრაობებს აკვირდებოდნენ და ოქსანას უთარგმნიდნენ ჩემს ნათქვამს. ოქსანას პასუხები ასევე ჟესტებად ცოცხლდებოდა და აწი უკვე თარჯიმნობას მე მიწევდნენ...

და ახლა, რამდენიმე წლის შემდეგ, აეროპორტის წინ მდგარი, ვუყურებდი გაძვალტყავებულ ოქსანას და ეს მუნჯური სცენა ჩვენი დრამატულად აღმდგარი ურთიერთობის ავ წინათგრძნობად მელანდებოდა...)

ბევრი ვიარეთ გიორგის მანქანით. ჯერ ბაგებში, სტუდქალაქში აგვაყვანინა თავი ოქსანამ. ვერ იპოვა იქ ის, ვისაც ეძებდა, ვინც შეიფარებდა... მერე ავჭალაში წავედით. თითქოს შავი ღრუბელი ჩამოწვა მანქანაში. მონაცვლეობით ვცდილობდით გახუმრებას, მაგრამ ეს უნიათო ხალისი შავ ღრუბელს ვერ ფანტავდა. ისევ თეატრზე ვლაპარაკობდით ყველაზე ბუნებრივად, ყველაზე გულიანად. ჩვენს ლამის უკვე გამქრალ თეატრზე... (გახსოვს, პირველი პრემიერის შემდეგ ტორტი რომ ჩამოგვიტანე? ჰო, რა თქმა უნდა ახსოვს ოქსანას, და გარდასული სილაღის კეთილი შუქი ეფინება ნატანჯ სახეზე...) დათოს, ალეკოს, ნუნუკას, ირინას შესახებ გვეკითხება ოქსანა... ჩვენ, ჩვენ თვითონ როგორა ვართ, – გვეკითხება ოქსანა... ჩემი დაოჯახების ამბავს ვუყვები, მაიას შესახებ ვუყვები, სამი თვის ხატიაზე ვუყვები..... დედაჩემზე ვუყვები, ასე კარგად რომ იცნობს და ასე რომ უყვარს ოქსანას... (ზამთრის ყიამეთ, გაყინულ ღამეებში ერთად ვუსხედით ნავთქურას და ხელებს ვიფშვნეტდით, ვლაპარაკობდით ბოლო სიტყვების ამოწურვამდე, მერე კი დედაჩემი ლოგინს უშლიდა ოქსანას და ის ჩვენთან რჩებოდა, იძინებდა შეიძლება არც ისე თბილად, მაგრამ ტკბილად...)

დახვდა ოქსანას ავჭალაში ჟუკა. ბარგი – ეს დიდი ცხრა ჩანთა მანქანიდან გადმოგვაქვს. უყურებს ჟუკა ოქსანას, მერე ჩვენ, თან იბნევა, თან მასპინძლის კეთილგანწყობას არ კარგავს... დასასრულისკენ მიედინება ეს დღე პირველი ჩვენი ხელმეორე გაერთიანებისა... მპირდება ოქსანა, რომ უახლოეს დღეებში მეწვევა სტუმრად და მოინახულებს დედას ჩემსას, მეუღლეს ჩემსას და სამი თვის ქალიშვილს ჩემსას...
გატენილი იყო ბარგით ოქსანასი შემოსასვლელი და ჟონავდა ერთ-ერთი გაბერილი ჩანთიდან რაღაც გაურკვეველი სითხე უცნაური მირონივით..... ასე იყო: წიგნები საკუთარი და სამოსი საკუთარი და წამალი საკუთარი და წარსული საკუთარი და ყოველივე, რაც კი ებადა საკუთარი, დაჰქონდა თან ოქსანას და მხურვალე გულით სურდა, თუკი მოკვდებოდა, მომკვდარიყო ყოველივე ამასთან ერთად და მომკვდარიყო ქალაქ თბილისში რატომღაც, სწორედ მაშინ, როცა ბრეზენტიდან სითხე გაურკვეველი გამოჟონავდა მირონივით და პირჯვარს გადაიწერდა მაია, და იტყოდა: მოახდინე მორიგი სასწაული ღმერთო ამ მიწაზე-ცოდვილზე და გადაარჩინე ოქსანა ლურჯთვალა-კეთილი-დაღლილი სიკვდილს...
მაია ლოცულობდა, მე – მაგიდაზე დამხობილი – ვქვითინებდი, ოქსანას კი საიდანღაც, ჯადოქრულად, ღონე მოეკრიბა დაუჯერებელი და ჩაჰქონდა ბარგი თავისი დაბლა... ჩემი ბრძოლა ოქსანასთან მარცხით დასრულდა, დედაჩემის ბრძოლა ოქსანასთან მარცხით დასრულდა, მაია ხელად მიხვდა ბრძოლის უნაყოფობას, ჩამოჯდა და წერილის წერა დაიწყო ოქსანასთვის, ოქსანა კი – გაშმაგებული და ძალაღმდგარი – ლოდივით ჩანთებს ლამისდა ფარფატით მიაქანებდა ჩემი ეზოსაკენ... ყველაფერი სრულდებოდა – სრულდებოდა ოქსანას საპროტესტო დემარშით ჩვენი ბინიდან...

ჩვენ სიკვდილი გავაძევეთ სახლიდან... – თქვა მაიამ. სამი თვის ხატია ტიროდა. მეჩვენა, რომ ოქსანას მისტიროდა. იმ ოქსანას, შორიდან რომ შესცქერდა მუდამ და უღიმოდა. ოქსანას ეშინოდა შეხებოდა ხატიას, ის გრძნობდა, რომ თითქმის ყველას ეშინოდა ამ შეხების, ამ შეხების წინაშე სუყველა ძრწოდა...

შორეული და სასტიკი სიტყვა „შიდსი“ უცებ შემოიჭრა ჩვენს ოჯახში. „შიდსი აქვს ოქსანას?“ „მალავს, შიდსს მალავს იქნებ...“ „თქვენი თავი თუ არ გენაღვლებათ, ამ თოთო ბავშვს რას ერჩით...“ „ერთი კარგად შეხედეთ, ვერ ხვდებით, რა ჭირს?“ „შიდსი... ღმერთო ჩემო, შიდსი...“ „თავხედია ეგ ოქსანა, შიდსი აქვს და ოჯახშია სტუმრად.....“ (25 აპრილი. 20 სთ. 50 წთ. 1998 წელი. ოქსანა თავხედი არ არის. ოქსანა კვდება. მ.ს.) ოქსანამ თქვა რა ავადმყოფობაც სჭირდა. რთული სიტყვა იყო, გრძელი. ვერ დავიმახსოვრე. ჩემმა ბიძაშვილმა, ექიმმა, სამედიცინო ენციკლოპედიაში ჩაიხედა და თქვა: არსებობს ასეთი ავადმყოფობა და წაგვიკითხა: „იშვიათზე იშვიათი ავადმყოფობაა. ძირითადად ემართებათ ახალგაზრდა ქალებს. დამახასიათებელი ნიშნებია: ორგანიზმის საერთო სისუსტე, სიგამხდრე, უმადობა, საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოშლა. გრძელდება წლობით. ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები დღემდე დაუდგენელია. ზოგ შემთხვევაში განკურნებადია...“ ამას ავადმყოფობის სამედიცინო ტერმინოლოგიით აღწერა მოჰყვებოდა, რასაც, ცხადია, მე აქ ვერ გადმოცემთ... მაგრამ არ იყო ყოველივე ეს დამაჯერებელი: „შიდსი აქვს ოქსანას და იგონებს რაღაცეებს...“ „იქნებ არაა ეგ დიაგნოზი ზუსტი, იქნებ შიდსი აქვს ოქსანას...“ „შიდსი...“ „შიდსი...“

ისედაც დათრგუნული გარემო აბსოლუტურად დაითრგუნა... გაიპრისა... მარტო მე და მაიას არ გვეშინოდა შიდსის, არ გვეშინოდა ოქსანასი, არ გვეშინოდა მისი ცხრა უშველებელი ჩანთის... არ გვეშინოდა მისი უსიცოცხლო მოძრაობების...

შეზლონგს ვუშლიდით ოქსანას და ის გახდას იწყებდა. მე ხანდახან ვხედავდი ოქსანას აჩრდილს, გადაჯვარედინებული ხელები ნელ-ნელა რომ აჰქონდა ქვედაკაბასთან ერთად მაღლა, და ყოველივე ეს სასპენსის შენელებულ კადრებს ჰგავდა... თხუთმეტი წუთი იხდიდა ტანთ ოქსანა... ხან ოცი წუთიც და ვინ იცის, ზოგჯერ ნახევარი საათიც... ჩვენ, ჩვენს ოთახებში შეყუჟულები, მდუმარედ, დათმინებით და აფორიაქებული გულისცემით ველოდით, როდის დაასრულებდა ოქსანა ღამის პერანგში გარდასვლას, როდის გაიჭრიალებდა სიკვდილის მიერ მოცემული შეწყალების ნიშანივით შეზლონგი და როდის ამოვისუნთქავდით შვებით...

(ვწერ, და ბოლომდე მართალს ვწერ. ვწერ და არ ვაჭარბებ. ვწერ და ვერც კი ვხვდები, რისი დოკუმენტი იქნება ეს... ვწერ: ოქსანაზე, სიკვდილის ხატად გარდაქმნილ მშვენიერებაზე, მის ნათელ-მირონზე ვწერ... ოქსანას ჩანთის ბრეზენტიდან მირონმა გამოჟონა და მაია ლოცულობდა. მე სხვა რა შემეძლო: ვტიროდი მაგიდაზე დამხობილი, ახლა კი ვუზივარ იმავე მაგიდას და ვწერ... ვწერ...)

ჰყავდა მეგობრები ოქსანას თბილისში... და თავისი ცხრა უშველებელი ჩანთით, ზურგზე აკიდებული მთელი თავისი ცხოვრებით ხან ერთის კარს მიადგებოდა, ხან მეორისას... მხოლოდ სამიოდე დღე გაუძლებდა ერთი, ხოლო მეორე ერთი კვირაც კი შესძლებდა აეტანა ეს, ვინ იცის, მთავარი გამოცდა ცხოვრებისა... ჩვენ მეტი გავძელით – არ მახსოვს ზუსტად, რამდენი – მაგრამ საბოლოოდ ჩვენც გამოვაძევეთ ჩვენი სახლიდან ოქსანა, სიყვარული-ოქსანა, მეგობრობა-ოქსანა, ანგელოზი-ოქსანა, სიკვდილი-ოქსანა...

ვერ მიუსწრო... ხორცით ნატანჯი ოქსანას სულითა და ცხრა ჩანთით დამძიმებული ტაქსი უკვე მიჰქროდა ოქსანას კიდევ ერთი მეგობრის სახლისაკენ, მაია კი იდგა ეზოში თავისი დაგვიანებული და გამამხნევებელი და გამოსათხოვარი და მდუღარე სიტყვებით ხელში და ხელი ეწვოდა... ცელოფნის პატარა პარკში ჩაელაგებინა ნაჩქარევად დაწერილი ბარათი და დედამისის მიერ ნაჩუქარი კულონი ღვთისმშობლის გამოსახულებით. და დღემდე ინახება ნაწერებით გატენილ მის ერთ-ერთ უჯრაში ეს ცელოფნის პარკი...

(ვწერ და ვშლი, ვწერ და ვშლი თითქოსდა ზედმეტ ნიუანსებს ამ ისტორიისა. ეს ბოლო აბზაციც ხომ არ წამეშალა?.. ან საჭიროა ვითომ აღწერა იმისა, თუ როგორ გვესტუმრა ოქსანა დამჭკნარი ყვავილებით ხელში, ან იმისა, თუ როგორ ლოთობდა იგი და დადიოდა შავი სათვალეებით და არყის ბოთლით ხელში ქალაქის ქუჩებში?.. საჭიროა აღწერა, თუ როგორ ვრეკავდი კიევში და ვთხოვდი ოქსანას მშობლებს, რომელიმე მისი და გამოეშვათ თბილისში, რათა მუდმივი ყურადღების ქვეშ ყოფილიყო ოქსანა – მე ხომ სამსახური მქონდა და ოჯახი მყავდა და არ შემეძლო, მუდამ ოქსანას გვერდით ვყოფილიყავი; და საჭიროა ნუთუ ამ დოკუმენტისთვის მამამისის პასუხი: რომ ძლივს შეუგროვეს ოქსანას გზის ფული და ცოტაოდენი ჯიბის ფული და რომ არა ოქსანას ისტერიული აჩემება და გაძალიანება, არც კი გამოუშვებდნენ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ოქსანას ისინი თბილისში; და საჭიროა, საჭიროა ნეტა იმის თქმაც, რომ ოქსანა სწორედ ამ ჩემმა ზარმა გაანაწყენა და გააცეცხლა – მეგობრის მხრიდან ამ პრაგმატულმა მიდგომამ და ვერშეგრძნებამ მისი ამჟამინდელი ყოფის ეგზისტენციისა...)

ბლოკნოტში მიწერია ოქსანას კიევური ტელეფონის ნომერი. ბლოკნოტი ცვდება, ფურცელ-ფურცელ იშლება და მე ახალ ბლოკნოტს ვყიდულობ: იქ გადამაქვს ძველი ნომრები. ზოგიერთი აღარც გადამაქვს, რადგან ადრინდელი ნაცნობობა ძველი ბლოკნოტივით გაცვდა, დაიშალა... რეალურად აღარც არსებობს... არის უარესი შემთხვევებიც... რამდენიმე ადამიანის ტელეფონს აღარ ვიწერ, რადგან ისინი ძველ და ახალ ბლოკნოტს შორის მონაკვეთზე დაიღუპნენ... ოქსანამდე რომ ვაღწევ, ვიბნევი: არ ვიცი, ცოცხალია თუ არა ოქსანა, უფრო ალბათ არა, მაგრამ ტელეფონის ნომერს მაინც ვათეთრებ ჩუმი იმედით... მერე ცვდება ეს ბლოკნოტიც და პროცედურა მეორდება: ძველი ნაცნობ-მეგობრების ამოკლება, ახლების ჩამატება, რაც სისხლის გადასხმასავითაა – შენი ხელი წვეთოვანზეა მიერთებული, ქუჩაში გადიხარ, კაფეში, თეატრში, თუ სუფრასთან ვიღაცას გაცნობენ, შენ მას ხელს ართმევ და სისხლის მორიგი წვეთი შენს ძარღვებში შედის, შენი ბლოკნოტის ერთ-ერთ ფურცელს ეწვეთება... ადამიანები კვდებიან, ადამიანები ქრებიან, ადამიანები იკარგებიან – და მოდიან ადამიანები... ეს, როგორც წესი, ხელოვნურ სისხლს ჰგავს, მაგრამ უამისოდ ხომ დაიცლებოდი, მოკვდებოდი... ისევ ოქსანამდე ვაღწევ, და კიდევ უფრო ვიბნევი: წლები გადის, ბევრი ამოაკლდა ჩემს ბლოკნოტებს სამარადისოდ – ისეთებიც კი, რომლებზედაც ვერც კი ვიფიქრებდი... და ამ დროს ნუთუ ოქსანას ტელეფონი კვლავაც უნდა რჩებოდეს კუთვნილ ადგილას?.. ჩუმი იმედის დოზები თანდათან მცირდება, მაგრამ მე ჯიუტად გადამაქვს ოქსანას ტელეფონი კვლავაც და კვლავაც ახალ ბლოკნოტში... და რაც დრო

გადის, მით უფრო მცირდება შანსი იმისა, რომ მე დავრეკავ კიევში და ოქსანას ვიკითხავ... დაე სიბერემდე, დაე სიკვდილამდე გადამქონდეს ეს ტელეფონი ბლოკნოტიდან ბლოკნოტში, ვიდრე ერთი ემოციური ქმედების გამო სამუდამოდ ამოვშალო იგი ჩემი ცოცხალი ნაცნობ-მეგობრების სიიდან... არა, თუ ოქსანამ თავად არ დამირეკა, მე არასოდეს, მე ვერასოდეს დავურეკავ ოქსანას... – უკვე მერამდენედ გადავწყვიტე ასე და ხელში აღებული ტელეფონის ყურმილი დავდე... თითქმის აკრეფილი ნომერი გავთიშე... ბოლომდე აკრეფილი ნომერიც კი გავთიშე რამდენიმეჯერ და ცივმა ოფლმა დამასხა...

კეთილი ანგელოზი იყო ოქსანა თუ ბოროტი ანგელოზი? კიევის ანგელოზი იყო ოქსანა თუ თბილისის ანგელოზი? ავადმყოფების ანგელოზი იყო ოქსანა თუ ლოთების ანგელოზი? ხორცის ამაოება იყო ოქსანა თუ სულის ამაოება? სიცოცხლეზე ჩაბღაუჭება გვასწავლა ოქსანამ თუ სიკვდილის გაძევება? და ბოლო-ბოლო, უნდა მეშინოდეს ოქსანას სიკვდილისა თუ არ უნდა მეშინოდეს?

ზაფხულის ოხშივრიან ღამეს, არყის მხურვალებით ბოლომდე სისხლ და ტვინადუღებულები ვისხედით მე და ჩემი მეგობარი ჩემი ბინის ლოჯიაში და მე, სიმთვრალის ბოლო სიშლეგეში შესული, მას ოქსანას ამბავს მოვუთხრობდი. და როგორც კი თხრობა დავასრულე, მეჩვენა, რომ არ უნდა მშინებოდა ოქსანას სიკვდილისა... რომ მთავარი იყო, გამეგო სიმართლე... და რომ საერთოდ და ყოველთვის, მთავარია, გაიგო სიმართლე... და ზაფხულის იმ ოხშივრიან ღამეს, მთვარისა და არყის მხურვალებით ბოლომდე სისხლ და ტვინადუღებულმა, და უშიშმა, ვითარცა ოქსანასავით უხორცომ, მე დავრეკე კიევში... და შემომესმა ქალის ხმა და ვთქვი: ოქსანას სთხოვეთ... და იყო პასუხი: ოქსანა ვარ...

მუხათწყაროს აგარაკზე პეიჯერმა დაიწრიპინა. ნატას რწევით დაღლილი და ახალჩაძინებული მაია უცებ გამოფხიზლდა, წამოჯდა და შეშფოთებულმა დახედა პეიჯერს: „OKSANA ZOZXALIA! SHOTA“ – ეწერა ლამის დაუჯერებლად. მაია დიდხანს დასცქეროდა პეიჯერს, მერე თავის გაბერილ მუცელზე დაიხედა, გაიღიმა და ზურგი იცვალა... იცოდა, სულ რამდენიმე წამში ზღვისთვალა, ჯანმრთელი ოქსანა დაესიზმრებოდა, ხატიასთან ჩახუტებული...

4 მარტი, 2006 წელი.

თეა ინასარიძე

ღამურების სახლი

ეს უცნაური ამბავი ერთ პატარა, უკარფანჯრო ოთახში დაიწყო.
ახალგაზრდა გოგომ სწორედ ამ ოთახში გაახილა თვალი.
თავი ძალიან დამძიმებული ჰქონდა, თითქოს ერთი თვე ძილში გაეტარებინოს, აზროვნებაც შენელებული... თავს ძალიან უცნაურად გრძნობდა. ვერაფრით ვერ შეძლო გონება მოეკრიბა და გაეხსენებინა აქ საიდან და როგორ აღმოჩნდა.
ოთახი მკრთალი შუქით იყო განათებული. საოცარი ის იყო, რომ თავად სინათლის წყარო არ ჩანდა. ოთახი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. მას არც კარი ჰქონდა, არც ფანჯარა... თითქოს ერთიანად ჩამოესხათ... გაუგებარი იყო, საიდან შემოდიოდა მთვარის მკრთალი შუქი. ოთახი საშუალო ზომისა იყო –
წყვილი სკამი, პატარა მაგიდა, რომელზეც ყველაფერი წყვილად ეწყო – თეფშები, ჭიქები, ჩანგლები და ა.შ. პირსაბანი, კედელზე სარკე, და – განიერი საწოლი. მხოლოდ ერთი.
ასეთ ვითარებაში აღმოჩენა ვის არ ჩააგდებს სასოწარკვეთილებაში... მაგრამ, იმედი ხომ ბოლოს კვდება...
გოგოსაც იმედი ჰქონდა, რომ მალე ყველაფერი გაირკვეოდა. ოთახში სინათლე მხოლოდ რაღაც მექანიზმის წყალობით იცვლებოდა. მთვარის შუქიდან – დღის განათებაზე და, პირიქით.
აქ დროც პირობითი იყო... ვერ გაიგებდი, როდის თენდებოდა და როდის ღამდებოდა სინამდვილეში. გოგოს გათვლით, 9 დღე იყო გასული, რაც ამ ოთახში ცხოვრობდა (თუკი ამას ცხოვრება ჰქვია). ვერ იხსენებდა, როდის დაიძინა, ხოლო გაღვიძებისას, მაგიდაზე კვერცხი, პური და ჩაი ხვდებოდა. ოთახის თითოეული სანტიმეტრი თითებით ჰქონდა Seswavlili. კედლებზე არანაირი კვალი, არანაირი ნიშანი, არავითარი ნაწიბური... ამას საერთოდ გადაჰყავდა ჭკუიდან. მეათედ რომ გაიღვიძა, ოთახი დღის სინათლით იყო განათებული, როგორც კარგ, მზიან ამინდში. გოგომ ამოიოხრა:
– ეჰ, გათენდა!..
მოულოდნელად, გვერდით რაღაც ამოძრავდა... შეშინებული გოგო წამოხტა და ადგილზე გაშეშდა – მის გვერდით ახალგაზრდა, დაახლოებით მისი ტოლი ბიჭი იწვა და ეძინა. გოგოს ყვირილზე, ისიც შეშინებული წამოხტა. ნამძინარევს ისეთი გამომეტყველება ედო სახეზე, რომ გოგო მაშინვე მიხვდა, – ისიც მისნაირი მსხვერპლი იყო. აი, თურმე რას ნიშნავდა წყვილი ჭურჭელი და სკამები... თურმე მეორე მსხვერპლის შემოყვანას აპირებდნენ!
ბიჭს არაფერი ახსოვდა გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივ დამთავრდა სამუშაო დღე ბანკში, მანაც გამორთო კომპიუტერი, ჰალსტუხი უჯრაში შეინახა და სახლისკენ გაეშურა.

ბიჭი კარგა ხანს დამუნჯებული იჯდა. გოგოს ნაამბობი რომ მოისმინა, მერეღა შეძლო ხმის ამოღება:
– ალბათ გზაში მომიტაცეს!.. გამთიშეს... ვინ ოხრები არიან?.. რა უნდათ? თუ ჩვენი აქ ამოხოცვა უნდათ...
გოგომ პირზე ხელი ააფარა და შეშინებულმა ყურში ჩასჩურჩულა:
– გაჩუმდი! რამე ისეთი არ წამოროშო. რასაც ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ! მგონი გვისმენენ!
ბიჭმა გაიხედ-გამოიხედა.
– ალბათ მართალი ხარ! გვისმენენ! კედლებში მოსასმენი აპარატები ექნებათ ჩამონტაჟებული.
– გვაკვირდებიან, გვსწავლობენ, – ამას უკვე მივხვდი!
– როგორ?
გოგო მაგიდასთან მივიდა.
– არ ისაუზმებ?
კვერცხი გაფცქვნა და ჭამა დაიწყო.
– დიდი ხანია აქ ხარ? ჭამა რომ შეგიძლია...
– კაცმა არ იცის... ...მგონი ქათმები უნდა ჰყავდეთ...
– ვის?
– ამათ! ყოველდღე კვერცხი! დილით, შუადღეს, საღამოს...
გოგომ ჩაი მოსვა.
– უჰ, ყავა რას დამამშვენებდა!!! დილა ყავის გარეშე ვერ წარმომედგინა!
– ასე უნდა შევეგუოთ ამ ყველაფერს?..
– თუ სხვა ვარიანტი იცი რამე, მეც მასწავლე! – უცნაური გემო აქვს ამ ჩაის...
ბიჭი,როგორც ჩიტი გალიაში, ისე აწყდებოდა კედლებს, yvelafers სინჯავდა.
– ტყუილად ირჯები! მე უკვე ყველა მილიმეტრი შესწავლილი მაქვს.
– მაინც ვინ არიან?!. თუ ფულის გამოძალვის მიზნით ვყავართ დაჭერილები, დიდ ხეირს ვერ ნახავენ.
– რას ამბობ! უფრო, ექსპერიმენტს ატარებენ ჩვენზე!
– ექსპერიმენტს?.. მაგათ საცდელი ვირთხები ხომ არ ვგონივართ?!.. ეგ საიდან დაასკვენი?
– აბა ამხელა დაფინანსება საიდან? როგორ ფიქრობ, რა დაჯდებოდა ამ ოთახის აშენება?.. ერთი ხვრელი არა აქვს და ვენტილაცია როგორ მუშაობს? სინათლე საიდან შემოდის?.. კედლებია შუქგამტარი... როგორ შემოდიან?
– შემოდიან?..
– აბა, საჭმლით ვინ გვამარაგებს?
ბიჭი დაბნეული და სასოწარკვეთილი ჩამოჯდება საწოლზე და თავს ხელებში ჩარგავს.
– ექსპერიმენტი... არალეგალურად!... ეს იმას ნიშნავს, რომ არ გაგვიშვებენ! ინფორმაციამ რომ არ გაჟონოს!.. ჩვენ აქ დავიხოცებით!!!
– ეს ჯერ მხოლოდ ჩემი ვარაუდია! იმედია, მცდარი.
ბიჭს უცებ გონება გაუნათდა. გოგოსთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა:
– ჩვენ არ უნდა დავიძინოთ! თავი უნდა მოვიმძინაროთ! თუ ისინი მართლა შემოდიან, როგორც შენ ამბობ... – გავიგებთ! იქნებ გავიქცეთ კიდეც...

– შენ ფიქრობ, მე არ ვცადე? ვერ ვგებულობ როდის მეძინება. ალბათ ჰაერში უშვებენ რაღაცას!
ბიჭმა საწოლს გახედა.
– საწოლი ერთია! მაგრამ, თუ მართლა ვერ გავიგებთ როგორ დაგვეძინება, მაშინ სულერთია, ერთი იქნება თუ ორი.
გოგომ სიცილი ვერ შეიკავა:
– რაც აქ ვარ, პირველად გავიცინე. უცხო მამაკაცთან ერთად ისე უნდა დავიძინო, ვითომც არაფერი...
– მოდი, ვარიანტებზე ვიფიქროთ!
– ეჰ, რაც აქ ვარ, სხვა რამეზე არც მიფიქრია!
– და... ექსპერიმენტის გარდა, სხვა რა ვერსია მოგაფიქრდა?
– ამაზე უკეთესი არაფერი!
– იქნებ, რაღაც პოლიტიკური ამბავია?! იქნებ ახალი პროექტის შემუშავებას აპირებენ და ჩვენზე სცდიან. ან რაიმე რეალურ შოუში გვიღებენ და მთელი მსოფლიო გვიყურებს...
– ეგ უფრო იმედის მომცემი ვერსიაა! მოდი, მოვლენებს მივყვეთ! როგორც შერლოკ ჰოლმსი ამბობდა: „გამოვრიცხავთ შეუძლებელს და დარჩება ჭეშმარიტება!“
– დაიწყე!
ბიჭი გოგოს პირდაპირ, სკამზე ჩამოჯდა.
– დავიწყოთ იმით, თუ რატომ აგვირჩიეს, რა მიზეზით. ჩვენს შორის რამე მსგავსებაა, თუ პირიქით... ორი უკიდურესობა ვართ! ჩვენ არ ვიცით იმათი პოზიცია, მაგრამ ვიცნობთ საკუთარ თავებს. იქნებ გასაღებიც აქ არის დამარხული, იქნებ ისინიც ამას ელოდებიან ჩვენგან?!..

– ჭკვიანურია! დაიწყე მოყოლა!
– მე... უი, რა უცნაურია!..
– რა არის უცნაური?
– ამდენი ხანი ვლაპარაკობთ და ერთმანეთის სახელები არ გვიკითხავს... როგორ მივმართავდით ერთმანეთს?
– არ მივმართავდით, უბრალოდ, ვსაუბრობდით!.. რა გქვია?..
ბიჭს გაეღიმა.
– მე... მე მქვია... ღმერთო ჩემო!..
– რა მოხდა?
– ჩემი სახელი... არ მახსოვს!.. ვერ ვიხსენებ!..
გოგომ ორივე ხელი საფეთქლებზე წაივლო. ნერვიულობისაგან მთლად აკანკალდა. ბიჭმა ხელები ჩამოაღებინა ნაზად და დაამშვიდა.
– კარგი, მაგაზე არ ინერვიულო! გაგახსენდება! აუცილებლად გაგახსენდება! მე გპირდები.
უცებ გამომეტყველება მასაც შეეცვალა. გაფითრდა. გოგო თვალებში
უყურებდა. ერთხანს ხმას ვერ იღებდა, მერე წამოდგა, გოგოს ზურგი შეაქცია.ძლივს გაბედა ხმის ამოღება:
– საკუთარი სახელი მეც არ მახსოვს!
ამოღერღა და საწოლზე მოწყვეტით დაეშვა. გოგოს ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

– ეს როგორ გააკეთეს... თუ შეუძლიათ, რომ ჩვენს მეხსიერებაში შემოვიდნენ და რაც უნდათ ის ამოშალონ, ესე იგი... ადამიანები არ არიან...
გოგო საკუთარმა სიტყვებმა ისე შეაშინა, რომ საწოლზე გადაჯდა და ბიჭს ჩაეხუტა. ორივეს უცნაურმა ჯრუანტელმა დაუარა ტანში. ერთმანეთს ერთდროულად დაცილდნენ, მაგრამ არცერთმა არ შეიმჩნია არაფერი.
– მთავარია ისინი არ მიგვიხვდნენ! –ჩურჩულით გააგრძელა გოგომ.
– რას?
– რომ მივხვდით!..
– რას მივხვდით?..
– რომ ისინი... უცხოპლანეტელები არიან!!!
შორიდან, რაღაც მექანიზმის ხმაური გაისმა. ორივეს საწოლზევე დაეძინა. ოთახში დღის განათება- ღამის განათებამ შეცვალა. უცნაური მთვარის შუქი ანათებდა მძინარეთ.

* * *

პირველად გოგომ გაიღვიძა. თავი ისევ დამძიმებული ჰქონდა. აზროვნება უჭირდა. საწოლზე წამოჯდა. ბიჭს ისევ ეძინა. სახეზე უდარდელი ღიმილი დასთამაშებდა.
– რა ლამაზი ნაკვთები აქვს!.. –გაიფიქრა გოგომ. მერე წამოდგა, პირი დაიბანა, თმა გაისწორა. სარკეში თავის თავს დააკვირდა. ოდნავ ფერმკრთალი, მაგრამ ლამაზი ორეული უყურებდა.
– რა კარგია, რომ მარტო აღარ ვარ!.. თუნდაც ცოტა ხნით... –გაიფიქრა და ჭიქა აიღო ჩაის დასასვევად. ერთი ყლუპი მოსვა და მოულოდნელობისაგან
შეჰყვირა.
– რა მოხდა?
ბიჭი შეშინებული წამოხტა ფეხზე.
– ყავა!.. ჭიქაში ყავაა!..
ბიჭმა ჭიქა გამოართვა, ჩაიხედა და მოსვა.
– ყავაა!.. შენ არ ახსენე გუშინ ყავა?..
გოგო დაფიქრდა.
– ვინატრე... რასაც ვინატრებთ, აგვისრულებენ?..
– გუშინ რაზე ვსაუბრობდით?
– ვერსიებზე! მერე... მგონი დაგვეძინა, არა?
– არა, დაგვაძინეს! და, რა ვერსიებზე ვსაუბრობდით?
გოგო დაფიქრდა. გონება დაეძაბა.
– როგორ მიჭირს გახსენება... ჰო, იქ შევჩერდით, რომ ისინი უცხო...
ბიჭმა პირზე ხელი ააფარა.
– შშშ! აღარ გაიმეორო!.. ხმამაღლა...
გოგომ ჩურჩულით განაგრძო.
– ჩემი არგჯერა, ხომ?
– არ ვიცი... ასეთი დაბნეული ცხოვრებაში არ ვყოფილვარ!
– არ გჯერა!
გოგო მაგიდასთან ჩამოჯდა და ყავის სმა განაგრძო.

– დილით შემწვარი სოსისი მინდა, კვერც... არა, კვერცხით არა... უბრალოდ შემწვარი სოსისი...
გოგომ ხმამაღლა წარმოთქვა თავისი სურვილი. ბიჭს გადახედა და თვალი ჩაუკრა. ბიჭმა პირი დაიბანა, მერე პირსაბანს დაეჯაჯგურა.
– რას აკეთებ?...
– რაღაცას ვამოწმებ!
მთელი ძალით ეცადა პირსაბანის ადგილიდან დაძვრას, მაგრამ ძვრა ვერ უყო.
– ნუთუ ერთი ხვრელი არ იქნება? სულ პაწაწინა. წყალი ხომ გადის რაღაცნაირად...
დაღლილმა და ნერვებმოშლილმა პირსაბანს თავი დაანება და ახლა სარკეს დაეჯაჯგურა. ყველასდა გასაკვირად, სარკე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოსცილდა კედელს და ხელში შერჩა.
– ეს რა ჯანდაბაა!
ბიჭმა სარკე გადმოაბრუნა, მაგრამ საკიდი ვერ იპოვა. მერე კედელს დააკვირდა. ხელითაც მოსინჯა, მაგრამ არც კედელზე იყო არაფერი.
– სარკე კედელზე მიმაგრებული არ არის! ასეთი რამ არასოდეს მინახავს...
– ხომ ხედავ, ახლაც არ დამიჯერებ?
– მოიცა, აქ რაღაც ამბავია!!! მათ უნდათ, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ. ამ ფოკუსებსაც სპეციალურად აკეთებენ. არ გამოუვათ!!!
ბიჭმა ირონიული გამომეტყველებით გაიარ-გამოიარა ოთახში.
– მაშინ, როგორ ახსნი ამ „ფოკუსის“ საიდუმლოს?
– არავითარი საიდუმლო არ არსებობს! სინამდვილეში სარკე და კედელი დ ა მ ა გ ნ ი ტ ე ბ უ ლ ი ა !
გოგომ სარკე ხელში აიღო და კედელთან მიიტანა. სარკე კედელს მიეკრა.
– დავუშვათ, მართალი ხარ! მაშინ შენ რა ვერსია გაქვს? სიამოვნებით მოვისმენდი.
– ვერსია?.. ჰმ, მანამდე, მოდი, სახელები დავირქვათ!
– დავირქვათ?- გაუკვირდა გოგოს.
– ჰო, სანამ საკუთარი გაგვახსენდება! როგორღაც ხომ უნდა მივმართოთ ერთმანეთს?!
– კარგი, შენ დაიწყე! დამარქვი რაც გინდა!
– მე თეის დაგიძახებ!
– თეის? თეი შენს შეყვარებულს ხომ არ ქვია?
– შეყვარებული არ მყავს!
– უცნაურია!.. როგორც წესი, შენნაირი ბიჭები მარტო არ დადიან ხოლმე.
ბიჭს ჩაეღიმა.
– მეც არ ვიცი თეი საიდან მოვიტანე. ალბათ ფილმში ვნახავდი... არა, ფილმში კი არა, მითოლოგიის წიგნში, ქალღმერთის სახელია!..
– მერე, მე ქალღმერთს ვგავარ? –გაეღიმა გოგოს.
– სწორედაც!
– კეთილი, იყოს თეი! მე ენდრიუს დაგიძახებ!
ბიჭმა სიცილი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გადაიხარხარა.
– ეგ რომელ ფილმში ნახე? თუ შენს შეყვარებულს ჰქვია?
– არ ვიცი... არაფერი მახსოვს გარდა იმისა, როგორ გავიზარდე, ვისწავლე, ჩემი სამუშაოც მახსოვს... ყველაფერი, პირადი ცხოვრების გარდა.

– და იქნებ სწორედ შენს პირად ცხოვრებაშია დამარხული ძაღლის თავი...
– შეიძლება, ენდრიუ... შეიძლება, ეს სახელი ჩემს შეყვარებულს, ან თუნდაც ქმარს ქვია! შენ ყველაფერი გახსოვს?
ბიჭი დაფიქრდა.
– კი... ყველაფერი! სახელის გარდა, უცნაურია!!!ალბათ ცოტა დრო უნდა გავიდეს, რომ მაგ სახელს შევეჩვიო...
– რას ვიცინებ, შენი ნამდვილი სახელი ეს რომ იყოს... თუ გეხამუშება, ენდრის დაგიძახებ!
თეიმ გადაიკისკისა.
– „რა საყვარელი სიცილი აქვს! სახეც...“ –გაიფიქრა ბიჭმა.
– მე
მომწონს ჩემი ახალი სახელი!
– ჰო, რაღაცნაირად გიხდება! მაშ, ასე... შენზე მომიყევი ყველაფერი... უფრო სწორად რაც გახსოვს!.. ჩემზე მოსაყოლი ბევრი არაფერია! კარატეს ხელოვნებას დავეუფლე. სწავლას მოვრჩი და ბანკში ვმუშაობ. მყავს და-ძმა... ჩემზე უმცროსები... და – ყველაზე პატარაა და ძალიან საყვარელია! ძმა... ისიც საკმაოდ სიმპატიურია!
– მჯერა!
ორივეს გაეღიმა.
– მე ჩემი ბავშვობა მახსოვს. სულ პატარა ვიყავი, ერთი უცნაური თვისება რომ მქონდა: რაღაც კარგი მომენტი რომ იყო, გავშეშდებოდი და გონებას ვძაბავდი, მინდოდა, ეს მონაკვეთი ისე ჩამებეჭდა გონებაში, რომ არასოდეს დამვიწყებოდა. სხვათა შორის, ეს მომენტები მახსოვს ყველაზე მკაფიოდ!
–საინტერესო ბავშვი ყოფილხარ თეი, და თუკი ამბობ, რომ ესენი…(ჩურჩულით აგრძელებს):
– უცხოპლანეტელები არიან, მაშინ… იქნებ მაგ წუთების დროს გაუშვი რაღაც „მესიჯი“, შეტყობინება კოსმოსში… შენდაუნებურად……რეებს ვბოდავ……
– არა, არ ბოდავ!!! გამორიცხული არაფერია! თანაც ღამ-ღამობით, საათობით ვაკვირდებოდი ცას, ვარსკვლავებს, და ვფიქრობდი სხვა ცივილიზაციებზე… გალაქტიკაში მარტო ჩვენი პლანეტა ხომ არ იქნება დასახლებული?..
თეი დაფიქრდა. იქნებ, მართლა მისი ბრალია, რაც აქ ხდება?... იქნებ „მსხვერპლი“ კი არა, ინიციატორია?!… თუ ასეა, მაშინ უნდა შეძლოს ამ ყველაფრიდან თავის დაღწევა! მაგრამ, ესეც, როგორც ყველა დანარჩენი ვერსია, საფუძველს მოკლებულია.
– გააგრძელე! სიამოვნებით გისმენ!
– ერთხელ, მიოლოგიის დიდი წიგნი გადმოვიღე. პაპაჩემს ჰქონდა წიგნების დიდი კოლექცია!.. ვარაუდით გადავშალე და ამოვიკითხე:
– „კიკიმორა“ –სახლის ავი სული! აქვს გრძელი დინგი და ბატის ფეხები, აშინებს ბავშვებს, კერძოდ, გამოსცემს უცნაურ ხმებს, ბურდავს ძაფის გორგლებს, აფრთხობს ქათმებს… – ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ წიგნი ხელიდან გამვარდნოდა და შეშინებული დედასთან გავქცეულიყავი, მაგრამ შიში მალევე ცნობისმოყვარეობაში გადამეზარდა! რადგან, სოფელში ვიყავი, მართლაც მესმოდა ღამით უცნაური ხმები... უცებ აკრიახდებოდნენ მძინარე ქათმები და ბებია გამუდმებით მეჩხუბებოდა თავისი

საქსოვი ძაფების აბურდვის გამო. მე ხომ ვიცოდი, რომ არ ამიბურდავს?.. მაგრამ, ვინ დაუჯერებდა 10 წლის გოგოს?
– მერე, ძალიან დამაინტერესა!!!
– მერე, შევიარაღდი და დავიწყე გამოძიება!... ოთახში ვყრიდი ძაფის გორგლებს, პატარა ხმაურზე, გამოვრბოდი ოთახიდან. ერთხელ, საქათმეშიც წავედი, თან გული მისკდებოდა შიშისგან.
– სიმართლე გითხრა, მაგას მე ვერ გავბედავდი!!! გაოცებული ვარ! მერე?..
– რა თქმა უნდა, არაფერი! –გაეღიმა თეის.
– სიმართლე გითხრა, გულიც კი დამწყდა, რომ აღარაფერი მომხდარა!
ცოტა ხნით უხერხული პაუზა ჩამოვარდა.
– ენდრი, იცი ამ ოთახს რა დავარქვი?
– თუ მეტყვი, – მეცოდინება!..…
– ღამურების სახლი!..
– ღამურების?.. საინტერესოა!..
– იცი, ჩემი თავი ღამურას მაგონებს, რომელიც დღე არავისთან
კონტაქტობს, ფრთებს შემოიხვევს და არის ასე... საკუთარ თავში ჩაკეტილი. ღამით, როცა ყველას სძინავს, თამამდება..…
– შენ საკუთარ თავში ხარ ჩაკეტილი, თეი?..
– მე ჩემი მსგავსი ადამიანი ვერ ვიპოვე! ჩემი არავის ესმოდა! არავინ მყვებოდა სიგიჟეების ჩადენაში, იძულებული გავხდი საკუთარი თავი შემეცვალა! საკუთარ პიროვნებაზე უარი ვთქვი!.. წარმოგიდგენია მაინც, ეს რა არის?..
– დაახლოებით!..
– უხილავი ფრთები შემოვიხვიე, ღამურასავით თავი დავიბრმავე. თავიდან მეგონა, შემთხვევით გავნჩდი აქ, სხვა პლანეტაზე უნდა დავბადებულიყავი..…
– და ეხლა მაგიტომ ხარ ამ დღეში?.. მაგრამ, მე? მე რა როლი მაკისრია?... არა, სისულელეა ეს ყველაფერი! აი, ნახავ! მალე ყველაფერი დამთავრდება!
თეიმ თავი დახარა და ცოტა ხნით გაჩუმდა. უცებ ენდრის თვალი-თვალში გაუყარა და ხმადაბლა თქვა:
– იცი, მგონი შენ ხარ ის ადამიანი ვინც გამიგებს! ის ერთადერთი!... ასე მგონია...
– მართლა?.. იქნებ, მართლა მე ვარ ის ერთადერთი?.. გამორიცხული არაფერია! ჩემო პატარა ღამურავ!
თეის უცნაური სითბო ჩაეღვარა სხეულში. ენდრიმ მის სკამთან ჩაიმუხლა, ხელით მის ნაზ თმას შეეხო. ყურთან გადაუწია, ნელნელა მიუახლოვდა საკოცნელად... ერთმანეთის თბილ სუნთქვას გრძნობდნენ. ტუჩებიც თითქმის მიეკრა ერთმანეთს, რომ მოულოდნელად გამაყრუებელი ხმაური მოისმა. თითქოს, ათასობით ფრინველი ეხეთქებოდა ოთახის კედლებს შემზარავი წრიპინით. შეშინებული წყვილი კუთხეში მიიყუჟა. თეი ენდრის ჩაეკრა, ყურებზე ხელი აიფარა და სახე მის მკერდში ჩამალა.

* * *

ეს ამბავი რამოდენიმე წამს გაგრძელდა… ხმაური მიწყდა და ბოლოს სულაც მიწყდა. შიშისგან თავს ვერცერთი ვერ სწევდა. ბოლოს, ენდრიმ ოთახს თვალი მოავლო და დარწმუნდა, რომ ეს ამბავი გარეთ ხდებოდა. წამოდგა, თეი თითქმის ძალით წამოაყენა.
– ეს რა იყო?.. –ძლივს ამოღერღა თეიმ.
– არ ვიცი, თითქოს მომეჩვენა.....
– თქვი!.. ღამურები, ხომ?
ენდრიმ აღარაფერი თქვა, მხოლოდ თავი დაუქნია.
– ღამურები! – „ღამურების სახლი“… ამ ყველაფერს მე ვიწვევ, მე ვქმნი!…
– მაგათაც ეგ უნდათ რომ ასე ვიფიქროთ!! ამას თვითონ აკეთებენ!..
– რისთვის? რა დავუშავეთ?.. ასე უცბად სად იშოვეს ამდენი ღამურა?.. ეს ხომ შეუძლებელია?!.. ასეთი რამის გაკეთება ადამიანის ძალებს აღემატება!
– ამ ოთახის გარეთ სივრცეა. რაღაც კოშკისმაგვარში ხომ არ ვართ?..
ჩაფიქრებული ენდრიუ თავისთვის მსჯელობდა და ოთახში სცემდა ბოლთას.
– კოშკისმაგვარში?..
– უცნაური ის არის, რომ აშკარად ოთხივე კედელს ეხეთქებოდნენ.…
– მართალი ხარ! ე.ი. გამოდის, რომ ან მაღლიდან ჩამოდიან, ან ქვემოდან.....
ორივემ ერთმანეთს შეხედა. საწოლს ეცნენ და დიდი წვალების მერე, გასწიეს გვერდზე. ორივემ მოულოდნელობისაგან შეჰყვირა. საწოლის ქვეშ, დახვეული თოკი ეგდო.
– გვეკაიფებიან!
გაბრაზებულმა ენდრიმ თოკი ხელში აიღო და შეათვალიერა.
– იციან, რომ აქედან ვერ გავაღწევთ! შენ მართალი იყავი! გვაკვირდებიან, ჩვენს თითოეულ მოქმედებას აკონტროლებენ.
– თუ ასეა, ამ თოკს ტყუილად არ დაგვიტოვებდნენ. იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან ამ საწოლს გამოვწევდით!
ენდრიმ ზევით აიხედა.
– ხო, მაგრამ, ჭერი ძალიან მაღლაა. მაგიდაზე სკამიც რომ დავდგათ, ვერ მივწვდებით. სხვაგან კი ეს თოკი რაში გამოგვადგება?
– შემთხვევით არაფერი ხდება! ეს ყველაფერი თამაშს ჰგავს!!!
– მაგაში მეც გეთანხმები, მართლა თამაშში მგონია თავი!..
– და, იქნებ ის ღამურების შეტევა არც იყო ღამურების შეტევა.
– მაგით რისი თქმა გინდა?
– იქნებ, ეს მხოლოდ და მხოლოდ რაღაც სპეცეფექტი იყო?.. მხოლოდ ხმაური?!..
– ჭკვიანური ვერსიაა! შენ ძალიან ჭკვიანი გოგო ხარ თეი,. ძალიან! ოდესმე აუცილებლად გაკოცებ!
თეის შერცხვა და მზერა მოარიდა.ენდრის გაეღიმა. უცებ, თეის სახეზე ფერი დაეკარგა, თოკს დააკვირდა, რომელიც ისევ ენდრის ეჭირა ხელში.
– იქნებ ეს თოკი იმისთვის დადეს, რომ.....
თეის ხმა აუკანკალდა.
– რატომ?..
– რომ თავები ჩამოვიხრჩოთ!!!

– რა საშინელი აზრები გიტრიალებს, ძვირფასო! მე პირადად არ ვაპირებ თავის ჩამოხრჩობას!
მტკიცედ თქვა ენდრიმ, მაგრამ უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.
– ან, იქნებ უარესიც……
თეი მთლად თეთრი იყო სახეზე, საწოლზე მოწყვეტით დაეშვა.
– უფრო უარესი? რა უნდა იყოს, ამაზე უარესი?..
– იქნებ, უკვე მკვდრები ვართ!!!
– თეის ნათქვამმა ენდრიც ჩააფიქრა.
– ჩვენ ხომ არ ვიცით როგორია საიქიო?.. არ გვინახავს!
– ასეთი ნამდვილად არ წარმომედგინა!.. ცოდვები ხომ უნდა მოგვეკითხოს?
– იქნებ, მოგვეკითხა და სასჯელს ვიხდით!
– შენ ფიქრობ, რომ ეს ჯოჯოხეთია?..
– რაღაც ამგვარი! ან, იქნებ განსაწმენდელში ვართ?
– ეგ არამართლმადიდებლურია! მერე, სად არის ღმერთი?.. ანგელოზები?... ან, თუ ეს ჯოჯოხეთია, სად არიან ჯოჯოები?..
– მაგდენი არ ვიცი… ძალიან მეშინია! ასე არასოდეს შემშინებია!
– ახლა ცხელი შხაპი გვჭირდება ორივეს!.. ყავა ხომ არ დაგისხა?..
თეიმ მხოლოდ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.
– მოდი, ცოტა ხანს წამოწექი!..
თეი დაემორჩილა. ენდრიმ ბალიში წამოუწია, რომ მიყუდება შეძლებოდა. თეის წამოწოლაში დაეხმარა, მერე მაგიდასთან მიბრუნდა, ყავის დასასხმელად. ის იყო, დაასხა, რომ თეი ყვირილით წამოხტა. ენდრის შეშლილივით ეცა, მხრებში ხელები მოჰკიდა და ნჯღრევა დაუწყო.
– მითხარი, ტუალეტში როდის იყავი ბოლოს?..
ენდრი გაშრა.
– მიხვდი?.. რაც აქ ვართ, ტუალეტი არც გაგვხსენებია!..
გაოგნებულმა ენდრიმ თეი მოიშორა, სკამზე ჩამოჯდა და სახე ხელებში ჩარგო.
– ეს როგორ დაგვემართა?.. ეგ მხედველობიდან როგორ გამოგვრჩა?..
– თეი საწოლზე დამხობილიყო და ქვითინებდა.
– ჩვენ ცოცხლები აღარ ვართ, ენდრი!.. აღარ……
– მოიცა!.. პრინციპში, რას ვჭამთ?..
– კვერცხს, პურს, ჩაის, ყავას... ორივე შარდმდენია!
– ალბათ, ისეთი საკვებია, რომ მთლიანად ვინელებთ. ან...
– არ მითხრა, რომ ძილში კუჭებსაც გვისუფთავებენ, თორემ...
ორივეს ძალაუნებურად გაეცინა.
– რა გინდა? პატივს გვცემენ, კეთილი უცხოპლანეტელები არიან! ყავა გამოგვიგზავნეს!..
სიცილი ისტერიულ ხარხარში გადაიზარდა.
– ენდრი! ერთი მუცელი მოისინჯე... გაბერილი ხომ არ გაქვს?
თეი საწოლზე გაგორდა. ენდრი ზემოდან მოექცა და ყელში ხელები წაუჭირა ნაზად. თეის თავი გვერდზე ჰქონდა გადაწეული და სარკეში უყურებდა თავის თავს. უცებ, სიცილი შეწყვიტა და ენდრის მკლავებიდან დაუსხლტა.
– რა მოხდა, გეწყინა?..

– არა! რაღაც გამახსენდა!
– მაინც?
– ადრე, ერთ თამაშს ვთამაშობდი კომპიუტერში... რაღაც მისტიკური დეტექტივი იყო!
– მერე?
– იქ იყო ერთი ადგილი, მიტოვებული სახლიდან უნდა დაგეხწია თავი. ჰოდა, საწოლის ქვეშ ვიპოვე თოკი...
ენდრი ფეხზე წამოხტა.
– აქამდე როგორ არ გაგახსენდა?.. მერე? რაში გამოიყენე თოკი?..
თეი გონებას ძაბავდა.
– გაიხსენე თეი, გაიხსენე! შეიძლება გასაღებიც მანდ იყოს!..
– თოკს მაგნიტი მოვაბი და მილში ჩავუშვი...
– მაგნიტი?..
ენდრიმ ოთახში მაგნიტის ძებნა დაიწყო. მაგიდის ქვეშ, სკამების ქვეშ, საწოლის ქვეშ... ყველგან ეძებდა.
– არსად არის...
– ვერც იპოვი!..
თეი სარკეს თვალს არ აშორებდა.
– შენ თქვი, რომ სარკე დამაგნიტებულია?
– როგორ ვერ მოვიფიქრე!
ენდრიმ სარკე ჩამოხსნა. დანით მოაცილა უკანა საფარი.
– არის?.. რას გაჩუმდი?..
ენდრიმ გამარჯვებული სახით ბრტყელი მაგნიტი ამოაცურა. თეიმ სიხარულისგან შეჰყვირა! მაგნიტი თოკის ერთ ბოლოზე გამოაბეს.
– როგორ თქვი?.. მილში ჩაუშვი?
– ჰო.
– აქ არანაირი მილი არ არის!
– არის!
თეი პირსაბანთან მივიდა.
– არ შეგიმჩნევია, რომ ჩვენს პირსაბანს ჩვეულებრივზე უფრო ფართო ხვრელი აქვს?..
– მაოცებ, ძვირფასო!..
ენდრიმ ხვრელში თოკის ჩაშვება დაიწყო.
– და... რა იპოვე იმ მილში?
– გასაღები! ოღონდ, ამისგან განსხვავებით იმ ოთახს კარი ჰქონდა!
– ჯერ გასაღები ვიპოვოთ და კარიც გამოჩნდება!
მაგნიტს რაღაც მიეკრა. ენდრიმ სასწრაფოდ მოქაჩა თოკს. თოკს პატარა, რკინის კოლოფი ამოჰყვა.
– ესეც ჩვენი გასაღები!
დარწმუნებულებს იმაში, რომ გასაღები დახვდებოდათ, იმედი გაუცრუვდათ. კოლოფში არც მეტი და არც ნაკლები... ცარცი იდო! უბრალო ცარცი.
– ცარცი!
– ცარცი?.. ეს რას უნდა ნიშნავდეს?..
– იმას, რომ გვეთამაშებიან! დარწმუნებული ვარ, მაგრად ერთობიან კიდეც!

– ცარცი რაში უნდა გამოვიყენოთ?..
– ცარცს მხოლოდ ერთი დანიშნულებით იყენებენ! წერენ!..
– იმ თამაშში არ იყო ცარცი?
– არა!
თეი ერთ-ერთ კედელთან მივიდა და ლათინური ასოებით დაწერა თავისი და ენდრის სახელები.

THEY & ENDRIY

* * *

მორიგი სიუპრიზი Semdegi გაღვიძებისას, მაგიდაზე დახვდათ შემწვარი სოსისის სახით! რეაქციის გამოხატვის თავი არცერთს არ ჰქონდა. მუნჯებივით მიუსხდნენ მაგიდას და დაიწყეს ჭამა. თეის ლუკმა გადაყლაპული არ ჰქონდა, რომ უცბად ღეჭვა შეწყვიტა და ანდრის შეხედა.
– ამჯერად რის თქმას აპირებ?..
– ნეტავ რისი ხორცია?.. ხომ შეიძლება, ადამიანისა იყოს?.. ჩვენნაირების?!.. იქნებ ჩვენ ხორცსაც აჭმევენ მერე ვინმეს..…
– როგორ გეხერხება ადამიანს ხასიათი წაუხდინო!.. არა მგონია, რომ ეს სოსისი ადამიანისა იყოს, რადგან ჩვეულებრივი, სოსისისათვის დამახასიათებელი ხორცი აქვს!.. ადამიანს კი ტკბილი ხორცი ჰქონია!..
თეიმ ჭამა განაგრძო.
– საიდან იცი?.. გასინჯულიც ხომ არ გაქვს?..
– არა! მსმენია!
– ეგ კი არა, და... ამ ყოფას ხომ არ შევეგუეთ?..
– არა!
– თითქოს აღარ ვიბრძვით...
– მიუხედავად იმისა, რომ შენთან ყოფნა ძალიან მომწონს, მაინც მინდა ჩემს წარსულ ცხოვრებას დავუბრუნდე! ოღონდ, თუ იქ შენც იქნები!
– თუ ეგრე მოხდა და... აღმოჩნდა, რომ დაქორწინებული ვარ და შვილი ან შვილები მყავს? მაშინ?
ენდრი დაფიქრდა.
– არ ვიცი!.. ძნელი სათქმელია! ალბათ, სიფრთხილეს გამოვიჩენ! ჩემი ცხოვრების მიზანი, ლამაზი ოჯახის შექმნაა!
– ასე მგონია სადღეგრძელოს ამბობ!
– რატომ სადღეგრძელოს?-გაბრაზდა ენდრი.
– აბა, რა გითხრა?.. ოჯახს დაგანგრევინებ მეთქი?..
– არა! უბრალოდ, შენი მიზანი, ცოტა არ იყოს ბანალურად გამოიყურება!
– შენი მიზანი რა იყო?! მაგალითად?..
თეიმ მაგიდიდან ხელსახოცი აიღო, სამკუთხედად გაკეცა. დანით დაბლა, ფართო ნაწილი წერტილებად დაჩხვლიტა.

– ნახე! მაგალითისათვის: – აი, აქ... ძალიან ბევრი ადგილია!
ხელსახოცი წერტილებით დაფარა. მერე,დანის წვერი სულ მაღლა, სამკუთხედის წვერთან მიიტანა და ერთი წერტილი დაამჩნია.
– ხოლო, აქ... მხოლოდ ერთი ადგილი! ჩემი მიზანიც ეს იყო! ეს ერთადერთი ადგილი დამეკავებინა! მწვერვალზე... არ დავრჩენილიყავი დუნედ მოძრავ მასაში... ხვდები, რისი თქმაც მინდა?..
– კი! მერე, შეძელი?..
– არა მგონია, ასეთ ადგილას კიდევ ბევრი იყოს!..
გაეცინა თეის. მერე, დაამატა:
– ჯერ ყველაფერი წინ მაქვს! მხოლოდ სტიმული მჭირდება! ვინმე რომ შემხვდებოდეს ცხოვრებაში... ვინც ამყვებოდა... ან, უბრალოდ გამიგებდა...
– მე?
– არა! შენ ის არ ხარ! არადა, თავიდან მეგონე... პირველად რომ დაგინახე, სწორედ ეგ ვიფიქრე... რომ მოგძებნეს და ჩემთან მოგიყვანეს… მაგრამ, ყველაფერი გაცილებით რთულადაა!
– მე მომწონხარ! თანაც, ძალიან!
– ეგ საკმარისი არარის! მოწონებამ შეიძლება ნებისმიერ წამს გაგიაროს და რა დაგრჩება?.. არაფერი! კარგი, დავანებოთ ამას თავი! შენ ისა თქვი, ცარცს რა ვუყოთ?
– როგორც მივხვდი... აქ ყველაფერი შენ გიკავშირდება! ყველა მოვლენა! ასე, რომ... თავად გადაწყვიტე!
თეიმ მაგიდიდან ცარცი აიღო. ხელის გულზე დაიდო და დააკვირდა.
– შენ ძალიან გინდა დაბრუნება, ხომ, ენდრი?.. მე ვერაფერს გამომაპარებ! ვგრძნობ! თითქოს ჩემი გეშინია!...
– სისულელეა!
– თან მოგწონვარ, მაგრამ... გეშინია!..
ენდრიმ არაფერი უპასუხა.
– სულელი ხარ!
თეი ნაწყენი სახით წამოდგა და იმ კედელთან მივიდა, რომელზეც წინა დღით სახელები დაწერა. კედელზე ზოგი ასო ვიღაცას წაეშალა. დარჩენილი ასოები ასე გამოიყურებოდა:

THE END

თეის უცნაურად გაეღიმა. კედელთან ენდრიც მოსულიყო და განცვიფრებული მიშტერებოდა ნაწერს.
– დასასრული!
წარმოთქვა თეიმ და ენდრისკენ შებრუნდა.
– ეს რას ნიშნავს?.. თეი?..
– დასასრულს! ძვირფასო!.. დასასრული კი... რაღაც ახლის დასაწყისს! არ ვიცი, ეს როგორ მოხდა! არ ვიცი, ვინ ან რამ გამოიწვია ეს ყველაფერი, არ ვიცი უცხოპლანეტაზე ვართ თუ დედამიწაზე, არ ვიცი ცოცხალი ვარ თუ მკვდარი... არ ვიცი ხვალ რა

მოხდება... ვხვდები იმას, რომ ამ ყველაფრის „რეჟისორი“ მე ვარ! ჩემდა უნებურად... ალბათ!.. და... მინდა მადლობა გადაგიხადო!..
– რისთვის?..
ენდრის ლაპარაკი უჭირდა. ღელავდა.
– იმისთვის, რომ უბრალოდ გაგიცანი... რომ აქ, ჩემთან ერთად იყავი... –ღამურების სახლში!..
თეიმ კედელზე ცარცით კარი გამოსახა, სახელური მიახატა და რამოდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. კარი გაცოცხლდა.ენდრი გახევებული იდგა და ადგილიდან ვერ იძვროდა. კარის მეორე მხრიდან, გაურკვეველი ხმაური ისმოდა. ვიღაცეების ლაპარაკს ჰგავდა. თეი ფეხისწვერებზე აიწია და ენდრის აკოცა. მერე, სწრაფად მოშორდა და კარი გამოაღო. თვალისმომჭრელი სითეთრე შემოიჭრა ოთახში. ენდრიმ სახეზე ხელები აიფარა და დაიყვირა...
– თეი!.. თეიიი!!!
თეი სითეთრეს შეერია.

* * *

– ღმერთო ჩემო!.. ენი, ძვირფასო!.. თვალი გაახილა!.. დავინახე! გაახილა და მერე დახუჭა!..
– დარწმუნებული ხართ?
– რა თქმა უნდა!
თეის ნაცნობი შეგრძნება დაეუფლა. თავი ისევ დამძიმებული ჰქონდა. თვალების გახელა უნდოდა, მაგრამ თითქოს წამწამებზე გირები ეკიდა... ლაპარაკი თანდათან უფრო მკაფიოდ და გარკვევით ესმოდა. ახალგაზრდა კაცის და ქალის ხმები იყო.
– ენი!..
– ასე ნუ აწუხებთ!.. ერთი თვე კომაშია ადამიანი... თუ მართლა გაახილა თვალი, დააცადეთ!..
– რას ქვია „თუ მართლა?“.. იმის თქმა გინდათ რომ მომეჩვენა?..
თეიმ თვალი გაახილა. თავზე თეთრებში ჩაცმული ქალბატონი და ნაცნობი სახის მამაკაცი ედგა.
– „ეს ენდრი არ არის!..“-გაიფიქრა.
– „ეს ალბათ ექიმია“..
– ენ! საყვარელო!..
მამაკაცი დაიხარა და თბილი ხელით სახეზე მიეფერა. მისი ცრემლი თეის სახეზე დაეცა.
–„ენი... ენი მქვია!..“
– ენ! თქვი რამე!..
– ჩემს პაციენტს აწუხებთ! მიმიშვით!
– ერთი თვეა აქედან ფეხი არ მომიცვლია! ერთი თვეა ველოდები, რომ ჩემმა ცოლმა თვალი გაახილოს!..
– „ცოლმა?!.. მე მისი ცოლი ვარ?!..“

– თქვენ თვითონ დამაცადეთ!..
– დაცვას გამოვიძახებ!
– სად ვარ?..
თეის (თუ ენის) ისე გაუჭირდა სიტყვის დაძვრა, თითქოს მთელი ცხოვრებაა არაფერი ეთქვას.
– რეანიმაციაში, ძვირფასო! ერთი თვეა შენს სააქაოში მობრუნებას ცდილობთ!-აუხსნა ექიმმა.
– ერთი თვე?.. ერთი თვე აქ ვიყავი?.. ამ საწოლზე?.. უცხოპლანეტელებმა არ გამიტაცეს?.. ღამურების სახლში არ მიცხოვრია?.. მატყუებთ!..
– ენი, ვიცი, როგორ გიჭირს ეს...
– არ იცი!.. არავინ არ იცის!.. შენ, ჩემი ქმარი ხარ?..
– რა თქმა უნდა! ვერ მცნობ?..
ნელნელა მეხსიერებაც აღდგა. ენის მართლაც გაახსენდა ყველაფერი! ქმარი... რომელიც სხვათა შორის ძალიან უყვარდა! პროფესიაც! – ის ხომ მწერალია!.. შვილებიც... ყველაფერი!..
– „ენდრი?.. ენდრი ვინ იყო?.. “
ასეთს ვერავის იხსენებდა. ვერც სახელით და ვერც გარეგნობით!
ის დღეც გათენდა, როცა საბოლოოდ გამოკეთდა და ბორბლებიანი სავარძლით აცილებდა მთელი მედპერსონალი. არავის ეგონა, ასეთი მძიმე ავარიის შემდეგ თუ გადარჩებოდა ცოცხალი. მედდამ ენის სავარძელი რამოდენიმე წუთით შეაჩერა კორიდორში. თვითონ საბუთების მოსატანად გავიდა. ენის სავარძელი, ერთერთი პალატის შეღებულ კართან მოხვდა. კარიდან საწოლი მოჩანდა, რომელზეც პაციენტი იწვა. – გაფითრებულ სახიანი ახალგაზრდა ბიჭი.
– „ენდრი...“
ხმამახლა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მოეჩვენა, რომ თითქოს ბიჭიც ოდნავ აღელდა მისი დანახვისას. ერთხანს მდუმარედ უყურებდნენ ერთმანეთს თვალებში... სიტყვის დაძვრას ვერცერთი ბედავდა. ენი მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მისი სავარძელი ადგილიდან დაიძრა და უკან მოიტოვა პალატა და პაციენტიც.
– იმ პალატაში ვინ წევს?.. სადაც გამაჩერეთ?..
გული საშინლად უცემდა.
– „ნეტა, მართლა ენდრიუ ჰქვია?..“-იქრობდა ენი.
– იცანით?
ზედმეტად გაკვირვებულმა შეუბრუნა კითხვა.
– უნდა მეცნო?..
– არამგონია!.. ეს მან დაგაჯახათ მანქანა! შემთხვევით, რათქმაუნდა!
უკნიდან... წესით არ უნდა დაგენახათ... ყოველშემთხვევაში, პოლიციამ ასე თქვა.
– დამეჯახა?..
ენის გაოცებისაგან თავზარი დასცემოდა.
– რა ქვია?.. მის შესახებ რა იცით?..
სწრაფად მიაყარა კითხვები გაკვირვებულ მედდას.
– შონ ანდერსონი ჰქვია! საცოლე უვლის... სხვათა შორის, ერთსადაიმავე დღეს მოხვედით გონს! ეს

სასწაულია! ამაზე მთელი საავადმყოფო ლაპარაკობს!..
ენის აღარაფერი უკითხავს!.. საავადმყოფოს კართან ოჯახის წევრები ელოდებოდნენ.

დათო ქარდავა

რატომ ავირჩიე ეს მოთხრობა? ალბათ, ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ მოთხრობაში შევეცადე მხატვრულად გამეაზრებინა ჩვენი უახლოესი ისტორია, შევეცადე მომეძებნა პასუხები შეკითხვებზე, რა და რატომ დაგვემართა? როგორ მოხდა ისე, რომ ვერ ვუპატრონეთ სამშობლოს და, შესაბამისად ვერც საკუთარ და ვერც სხვის შვილებს? როგორ მოხდა, რომ მთელ თაობას კალმის, ფუნჯის, თოხისა და შრომის სხვა იარაღების ნაცვლად, ავტომატები შემოგვაჩეჩეს?.. თუმცა არის მეორე მიზეზიც, რომლის გამოც ეს მოთხრობა ავირჩიე. სხვა ტექსტებისგან განსხვავებით, „უსუსრულო ხემმა“ არ მაწვალა და რა გასკვირია, რომ ვცდილობ „სამაგიეროს გადახდას“ და ამ გზით მნემოსინას ქალიშვილების გულების მოგებასაც...

უსასრულო ხემი

„ყოველ წამს სული სავსეა შავი წერტილებით, რომლებიც მზად არიან გაიზარდონ ან გაქრნენ.“
პოლ ვალერი

ნიკუშას მამიდა ზრდიდა, ლამაზი, მაგრამ უიღბლო ქალბატონი, რომლის მფრინავი ქმარი პატარა ბიჭს სულ სამ-ოთხჯერ თუ ჰყავდა ნანახი.

ძია ევგენი

ძია ევგენი წელიწადში ათი თვე ბგერაზე უსწრაფეს თვითმფრინავებს დააქროლებდა შორეული აღმოსავლეთიდან ბალტიის ზღვის ნაპირებამდე, თუმცა ცის უკიდეგანო სიცარიელეს შეჩვეულს მიწაზე სიარული უჭირდა. თვითონაც არაერთხელ უთქვამს, უსარგებლო საგნებით გადავსებულ სივრცეში წონასწორობას ვკარგავო. მიწაზე დაშვებული კი ადგილს ვერ პოულობდა, სულმოკლე ადამიანივით ცქმუტავდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა უკან, სადღაც სტრატოსფეროსა და იონოსფეროს შორის, სადაც მარტო იყო და საიდანაც დედამიწა მართლაც ღმერთის შექმნილსა ჰგავდა. ძია ევგენი კოსმონავტობაზე ოცნებობდა, საგანგებო რაზმშიც ჩაეწერა, მაგრამ თითქმის ერთწლიანი წვრთნის შემდეგ ისე დაიწუნეს, მიზეზი არ უთქვამთ. ძალიან განიცადა, როცა საკუთარ გვარს კოსმოდრომზე გასამგზავრებელ ოფიცერთა სიაში ვერ მიაკვლია. ფრენა კი არა, სიარულის თავი აღარ მქონდაო, იხსენებდა წლების შემდეგ ვერშემდგარი კოსმონავტი.
პირველად მაშინ გამოთვრა: გამოცდილი მფრინავების რჩევით მალენკოვის მაღალი ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა და სასწაულის მოლოდინში გაირინდა. ალკოჰოლმა

ნამარხულები სხეულის ყველა უჯრედი მოიარა და წუთის წინ თავზარდამცემი ამბით დამძიმებულმა საოცარი სიმსუბუქე იგრძნო: თითქოს დედამიწის მიზიდულობა გაქრა, ორბიტაზე გავიდა და უწონობაში ამჩატდა.
იმ დღიდან მოყოლებული ძია ევგენი ზემძლავრი ტურბინების გარეშეც ახერხებდა გრავიტაციის დაძლევას და ცაში ფრენას.
– პაიეხალი! – იტყოდა გადაკვრის წინ და საავიაციო ნავთზე უფრო ენერგოტევადი სითხით გამართული, როგორც წესი, მთელი კვირით, ხან კი მთელი თვით აიჭრებოდა ცაში, ვიდრე პოლიტგანყოფილების უფროსი არ ჩამოაგდებდა, ანდა, როგორც თვითონ ამბობდა, მოტორი არ უმტყუნებდა.
როცა ნიკუშას მამიდამ ქმარს არჩევანი შესთავაზა, ფრენა ან ოჯახიო, გამოცდილმა მფრინავმა მშვიდად თქვა, რომ არჩევანი წლების წინ გააკეთა, როცა ხელისგულისოდენა ცის წყვილი ნაჭერი – მფრინავის ლაჟვარდოვანი სამხრეები დაიბნია.
პასუხად, მამიდამ გალოთებული მფრინავი მიატოვა და მშობლების სახლში დაბრუნდა. ქმრისთვის გული რომ ეტკინა, დაბადების დღეზე ნაჩუქარი ფრანგული ბულდოგი სახელად პორთოსი, რომელიც უპროპორციო სხეულისა და სველი ლაშების გამო, არასოდეს ჰყვარებია, თან გაიყოლა.
მფრინავიც, თბილისში რომ ჩამოდიოდა, ჯერ პორთოსს მოიკითხავდა, მერეღა – გაქცეულ ცოლს. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში, ვიდრე ერთხელაც ნიკუშას მამიდამ მოძულებულ ქმარს ცუგას ახალი პატრონი არ დაახვედრა.

ქურთიევი

მამიდამ თენგიზ ქურთიევი ნევრასთენიის მორიგი შეტევის დროს გაიცნო. წინამხრებსა და მუხლისთავებზე ჩაქუჩის საგულდაგულო კაკუნის შემდეგ, ქალაქში ცნობილმა ნევროლოგმა მამიდას, საბჭოთა მოქალაქეებისათვის ჯერ კიდევ ეგზოტიკური ხილი, ნემსთერაპიის ორკვირიანი კურსი შესთავაზა.
ქურთიევი ორმოცდაათსაგადაცილებული, საშუალოზე მაღალი, ჭაღარა მამაკაცი იყო. რეპროდუქციული თვალსაზრისით ნაყოფიერი წლები დაუკმაყოფილებელი, ნევროზიანი ქალბატონების დევნაში გაელია, მაგრამ სიბერის ზღურბლზე მდგომმა, მოულოდნელად შენიშნა, რომ დაყოლიების მცდელობისას ფერტილურობის ასკის ვნებისაღმძვრელი ქალბატონები არაბუნებრივად რეაგირებდნენ. თუმცა სულ სხვანაირად მოიქცა ნიკუშას მამიდა, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებულ ნევროლოგს სამკურნალო კურსის დასრულებამდე დანებდა.
ჯვარი არ დაუწერიათ, თუმცა ქორწილი გადაიხადეს...
თამადამ, ცნობილმა ექიმმა და თბილისის საპატიო მოქალაქემ, 500 გრამიანი მეწზურა და „ერთი ჩვეულებრივი ჩაქუჩი” მოითხოვა.
ჩაქუჩის სადღეგრძელო მისი თამადობის საფირომო ნიშანი იყო და კარგად ინფორმირებული მასპინძელი, როგორც წესი, წინასწარ იჭერდა თადარიგს, მაგრამ ადრე, სანამ კრემლის ვარსკვლავი თვალისმომჭრელ სიკაშკაშეს დაკარგავდა, ცნობილი ექიმი და თბილისის საპატიო მოქალაქე ჩაქუჩთან ერთად, სუფრაზე წითელი დროშის შემოტანასაც ითხოვდა, სადღეგრძელო კი ასე იწყებოდა: „ყურადღებით შეხედეთ სხვადასხვა ქვეყნის დროშებს, და თითქმის ყოველთვის მათზე ნახავთ გარეულ მხეცებსა

თუ მტაცებელ ფრინველებს. საბჭოთა კავშირის დროშაზე კი ჩაქუჩი და ნამგალია დახატული. ათასი წლების განმავლობაში ოცნებობდნენ ხალხები მშვიდობასა და მშვიდობიან შრომაზე...“

ასეთი იყო სადღეგრძელოს შესავალი ადრე, რამდენიმე თვის წინ, მაგრამ მერე ამინდივით დროც გამოიცვალა და ცნობილმა ექიმმა და თბილისის საპატიო მოქალაქემ სუფრის წევრებს ჩაქუჩის განახლებული სადღეგრძელო შესთავაზა.

„არ მეგულება ოჯახი, სადაც ერთი, თუნდაც ტარმორყეული ჩაქუჩი არ მოიძებნება. უნდა გითხრათ, რომ ეს ამბავი სულაც არ არის შემთხვევითი. განა, რა სჭირდება ადამიანს სრული ბედნიერებისთვის? სამი რამ: სახლი, რომელიც ჩვენი ციხესიმაგრეა! სამშობლო, რომელიც ჩვენი ხატია! და ჯანმრთელობა, რომელსაც ვერ იყიდი! სახლის ასაშენებლად დურგალია საჭირო, დურგალი კი ჩაქუჩის გარეშე რა დურგალია? საკუთარ სამშობლოში, თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანაში რომ იცხოვრო, უნდა იბრძოლო. ბრძოლას მახვილი, მახვილს კი ნაწრთობი ფოლადი და მჭედლის მძიმე ჩაქუჩი სჭირდება. მერე კანონებია დასაწერი, მერე კი – ამ კანონების სამართლიანი აღსრულება. და ვინ გააკეთებს ამას თუ არა მოსამართლე, რომელიც სამართალს ასევე ჩაქუჩის ცემით გააჩენს ხოლმე! და ბოლოს, ჯანმრთელობა და ნევროლოგის ჩაქუჩი, რომელიც, ერთი შეხედვით, მსუბუქია, ჰაეროვანი და გაღუნული ლურსმნის გასწორება არ შეუძლია, მაგრამ, აბა, ერთი კარგად დააკვირდით, რა სასწაულს ახდენს იგი გამოცდილი ესკულაპის ხელში, როგორ ცოცხლდება ვითარცა კოდალა – ბუნების მისტიური მკურნალი და როგორი მზრუნველობით უკაკუნებს ადამიანის დასნეულებულ სხეულს და, როგორ ტარმოუდრეკლად დგას სიცოცხლის სადარაჯოზე!

ჩაქუჩი, ეს ერთი შეხედვით შრომის მარტივი იარაღი და პრიმიტიული სამედიცინო ხელსაწყო, მოთმინებით ელის თავის ჰომეროსს, რუსთაველსა და შექსპირს, რათა, ბოლოს და ბოლოს, აღსრულდეს სამართალი და მიეზღოს კეისარს კეისრისა. მაშ გაუმარჯოს ჩაქუჩს, ხისა და რკინის ჰარმონიულ კავშირს, კავშირს წარსულსა და მომავალს, ტრადიციასა და პროგრესს შორის! გაუმარჯოს ჩაქუჩს, რომლის გარეშე ვერ გვექნებოდა თავზე ჭერი, ვერ იქნებოდა წესრიგი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვერ იჯანმრთელებდნენ ქვეყნისთვის თავდადებული ვაჟკაცები და უსათნოესი ქართველი მანდილოსნები. ასე რომ, ჩუქუჩს გაუმარჯოს და ჩაქუჩის ხელში დამჭერნი არ დალეულიყვნენ ღვთისმშობელს მიბარებულ ჩვენს ქვეყანაში! ჩაქუჩს გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! არ ვარგა, კიდევ ერთხელ... გაუმარ-ჯოს! ჯოს! ჯოს! კარგიაააა... “

ამ იგავმიუწვდომელი ქორწილიდან იქნებოდა წელიწადი თუ წელიწადნახევარი გასული, მამიდის მფრინავმა ქმარმა კარი რომ შეაღო და მოვედიო, რომ თქვა.

ტყავის მძიმე ჩემოდანი ზღურბლთან დატოვა და პორთოსის ყეფაზე კრემლის კურსანტებს რომ შეშურდებოდათ, იმხელა ნაბიჯი შედგა, თუმცა მანამდე შეამჩნია, რომ მის გამოჩენამდე საყვარეული ნაგაზი უცნობ მამაკაცს ულოკავდა თმიან ხელს.

ერთ ჭერქვეშ ორი რაყიფის შეხვედრამ, იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნიკუშაზე, რომ ძილის წინ ლექსიც კი დაწერა:

ცხოვრობდა ერთი მფრინავი,
მასზე გულადი ვინ არი?!)

ერთხელაც ადრე დაეშვა,
ღამით რომ ძაღლი აეშვა.
...ამას რას ხედავს მფრინავი?
ცუგას პატრონი შინ არი!

პაგანინი, ბეთჰოვენი და ტატიანა ჩალაური

ნიკუშა ლექსებს მანამდეც თხზავდა, მაგრამ მამიდამ რატომღაც მაინც მუსიკალურ სასწავლებელში შეიყვანა. თანაც აიჩემა, გინდა თუ არა, ჩემი ბიჭუნა ვიოლინოს ჯადოქარი უნდა გამოვიდესო.
ნათელა ქეცბამ, საშუალო ასაკის მწითურმა ქალბატონმა, რომელიც ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში ასწავლიდა და რომელსაც მოსკოვის კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული, გასინჯა თუ არა, შეიცხადა: წუთის დაკარგვა არ შეიძლება, ბავშვს აბსოლუტური სმენა, ფანტასტიური რექცია და უნატიფესი თითები აქვსო.
– ასეთი თითების პატრონს უფლება არ აქვს ხემი არ ეჭიროს! – ბრძანა ქალბატონმა ნათელამ და იმ წუთიდან დაიწყო ნიკუშას ტანჯვა. ვიოლინოს ისე მიათრევდა, როგორც გოლგოთის გზაზე შემდგარი მაცხოვარი ჯვარს – ტანჯვითა და მოთმინებთ. ესმოდა რომ გზას, რომელიც სადარბაზოდან იწყებოდა და მუსიკალური სკოლის მეორე სართულზე დერეფნის ბოლოში, ბათქაშჩამოცვენილ ოთახში, შემაღლებულ კათედრაზე სრულდებოდა, მის მაგივრად სხვა ვერავინ გაივლიდა, თუმცა ვერ ხვდებოდა, რას ერჩოდნენ უბნელი ბიჭები. სანამ მამიდა „სკრიპკაზე შეიყვანდა", სანამ ამ წყეულ, გახუნებულ შალითაში ჩადებულ პატარა ინსტრუმენტს (ნაღდი ვიოლინოს სამმეოთხედს) ხელში დაიჭერდა, ერთად აგროვებდნენ მარკებს, ერთად იტყავებდნენ მუხლებს ფეხბურთის თამაშის დროს და ერთად აწყობდნენ ნაგავსაყრელზე გადაგდებულ ველოსიპედებს. ახლა ის ხან პაგანინია, ხან კი ბეთხოვენა; ხან პანჩურებს ურტყამენ და ხანაც ქვებს ესვრიან, თუმცა ყოველივე ამას ნიკუშას მამიდა ვერ ამჩნევდა.
– უ მოეგო კოლენკი, – ექაქანებოდა მეზობლად მცხოვრებ ტატიანა ჩალაურს, – ლუტშიე დაწნიე ჩემ უ სამოგო იაში ხეიფეცა!
– ვა, პრავდა? – პირს აღებდა მეზობელი.
ტატიანა ჩალაურმა ქალიშვილობის გვარი კუზნეცოვა ამ ოცდაათიოდე წლის წინ ქალიშვილობასთან ერთად დაკარგა, როცა ყამირის გასატეხად ჩასულმა ახალგაზრდა პარტიულმა მუშაკმა ვასილ ჩალაურმა ცელინოგრადის ერთ-ერთ საერთოსაცხოვრებელში დაიმარტოხელა.
– ცელინუ ნეტ, ნო ცელკუ ტოჩნო სლამალ! – სევდანარევი ღიმილით იხსენებდა ქალბატონი ტატიანა გარდასულ დროთა ტკბილადმოსაგონარ დღეებს, რომელთა კვალი ცხოვრების ქარტეხილებს თითქმის სრულად წაეშალა, თუ არ ჩავთვლით გივიკოს, ტატიანასა და ვასილის ერთადერთ შვილს, საგადასახადო ინსპექციის ყოფილ თანამშრომელს, უსაშველო სიმაღლის გამო მეზობლები „ჟირაფს" რომ ეძახდნენ.
ტატიანას სულ უნდოდა ეკითხა, ეს იაშა ხეიფეცი ვინ ოხერიაო, მაგრამ მამიდა ამ უცნაური სახელისა და გვარის კაცს ისეთი სიხშირითა და სითბოთი ახსენებდა, რომ ვერ გაბედა: ვაითუ, ნათესავად ეკუთვნის, ანდა კიდევ უფრო უარესი, საყვარელია?!

ნიკუშას მამიდას კი ერთი სული ჰქონდა, როდის გაიზრდებოდა მისი ბიჭუნა, როდის მოირგებდა ფრაკს, როდის შემართავდა ხემს და როდის დაინგრეოდა კონსერვატორიის დიდი დარბაზი აპლოდისმენტებით.
– იოჰან სებასტიან ბახი. ჩაკონა. – ყურში ჩაესმოდა მამიდას ბრიოლინში ნაბანავები კონფერანსიეს დაბალი ბანი, – ასრულებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდუმთავრებული, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატი ნიკოლოზ ქურციკიძე.
...ნიკუშა კი მილასლასებდა ქუჩაში და მიათრევდა მუყაოს სქელ ბუდეში ჩასვენებულ ვიოლინოსა და ხემს...

ზებედე

უბნელებიდან ნიკუშას ყველაზე მეტად ერჩოდა ზებედე, უპატრონო ბიჭი, სხვენს რომ აფარებდა თავს და ქალაქში უგზო-უკვლოდ დაკარგული მამის, მამანტი გაბედავას მოსაძებნად რომ ჩასულიყო. თუ ბაზარში არ იყო და სეზონის მიხედვით კარტოფილსა და ხახვს, ანდა საზამთროსა ნესვს არ ეზიდებოდა, მაშინ ქუჩის თავში იდგა, სიგარეტს ეწეოდა, დაბზარულ ასფალტზე აფურთხებდა და მუსიკალურ სასწავლებელში მიმავალ ნიკუშას სიცოცხლეს უმწარებდა. გასტაცებდა შალითაში ჩაკეტილ ვიოლინოს და იწყებდა დედამიწის ზურგზე ყველაზე უსამართლო თამაშს – ყველას ერთის წინააღმდეგ. ზებედეს თავხედობითა და მხარდამჭერების სიმრავლით დამფრთხალი ნიკუშა გაუბედავად მისდევდა ბიჭებს, რომლებიც გამოცდილ მორაგბეთა მსგავსად ხელდახელ ბურთაობდნენ მუსიკალური ინსტრუმენტით და, ვიდრე არ მობეზრდებოდათ, ოფლში გახვითქულ ნიკუშას აქეთ-იქით დაარბენინებდნენ.
მამიდამ კერძო რეპეტიტორთან რომ მიიყვანა, ამგვარი მძიმე დღეების რიცხვი ლამის გაუორმაგდა: ორშაბათის, ოთხშაბათისა და პარასკევის შემდეგ, დასვენების ნაცვლად შაბათ–კვირასაც მეცადინეობაში, მეზობელ ქუჩაზე მცხოვრები მოხუცი პროფესორის ერთოთახიან ბინაში ატარებდა. მამიდამ აიჩემა, ჩემი ნიკალაშა ტაშტში ჭყუმპალაობით ცურვას ვერ ისწავლისო და მიაბარა მაესტრო მიხეილ ლეოპოლდის ძე ვერჟბილოვიჩ-მიქელაძეს, რომელიც, მამიდის მტკიცებით, ზღვა კი არა, ნამდვილი ოკეანე იყო.

პროფესორი ვერჟბილოვიჩ-მიქელაძე

მაღალ, ძალიან გამხდარსა და ოთხმოცდაათსმიტანებულ პროფესორს
თხემიდან გადავარცხნილი ჭაღარა თმა შემელოტებულ კეფას ვერ უფარავდა, რქისჩარჩოიან სათვალესა და ნებაზე მიშვებულ ასევე ჭაღარა ულვაშს კი ერთმანეთისგან უზარმაზარი ცხვირი ჰყოფდა. მართალია, აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ლამის სამი ათეული წლის წინ შეეშვა, მაგრამ გოფილექტის ბაღში ჯერ კიდევ შეხვდებოდით კლასიკური მუსიკის პროფესიონალ თუ მოყვარულ თაყვანისმცემლებს, რომლებსაც კარგად ახსოვდათ ვირტუოზი ვერჟბილოვიჩ-მიქელაძე, ორიგინალური და პოეტური შესრულების გამო „ვიოლინოს შოპენს“ რომ უწოდებდნენ...
– აბა, რა გასწავლეს... დაუკარი, არ მოგერიდოს, სულიკო, – მოხუცი პროფესორი სავარძელში გადაწვა.

სულ მალე, პედაგოგის გამოცდილმა მზერამ შეამჩნია, რომ ბიჭს, დამწყები მევიოლინეებისაგან განსხვავებით, არც სამზადისის დროს და არც ინსტრუმენტზე დაკვირსას, არ ტანჯავდა შინაგანი დაჭიმულობა.
„საოცარია", – გაიფიქრა მასპინძელმა, – „მარცხენა ხელიც ამ ასაკის ბავშვისთვის უჩვეულოდ აქვს განვითარებული!"
დეკემბრის პირველი, მშრალი დღეები იდგა და ოთახში ჯერ არ ციოდა. მოხუცმა პროფესორმა, ართრიტთან მებრძოლი თითებით ცომის პაატა გუნდას რომ ზელდა, თვალები დახუჭა და ვიოლინოს სულსა და დეკებს შორის მომწყვდეული ჰაერის რხევას მიაყურადა.
„აქ, ბგერა ვერ არის სრულყოფილი," – შენიშნა მოხუცმა მევიოლინემ, –„ინსტრუმენტიც არ არის სახარბიელო მდგომარეობაში; მგონი, ჯორაკი სხვა ვიოლინოსგან უნდა იყოს ნასესხები...ხემსაც არ აწყენდა ცოტათი დაჭიმვა..."
კმარაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოულოდნელად პროფესორს მოეჩვენა, რომ ოთახი თვალისმომჭრელი სითეთრითა და ყინულის ნამცეცებზე არეკლილი სინათლის სხივებით აივსო, ჰაერი გაცივდა და სუნთქვა გაიოლდა. უნებურად, გაახსენდა ბავშვობა, პირველი თოვლით გამოწვეული სიხარული და მშობლები, რომლებიც ციდან დაცვენილი მანანის ჭამას არ ანებებდნენ...
შეცბუნებულმა გაახილა თვალები, მიმოიხედა და მიხვდა, რომ არ ჩაძინებია. მართალია, თოვლი და ელვარე სითეთრე აღარსად იყო, მაგრამ პირში ისევ ედგა თოვლის უცნაური გემო, შორეული ბავშვობა და დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მშობლები რომ გაახსენა.
ნიკუშა ვივალდის „ზამთარს" უკრავდა...

მა-მან-ტი

ზებედეს მამა, მამანტი გაბედავა გონს რომ მოვიდა, არაფერი ახსოვდა. არ ახსოვდა ის, თუ როგორ ლივლივებდა გვალვისგან დაჩაგრული სიმინდის ყანა, როგორ უბაკუნებდა აგვისტოს ხვატში დამსკდარ მიწას ოროყიან თოხს, როგორ სვამდა ზებედეს მოტანილი დოქიდან ჭის წყალს, როგორ გრილდებოდა მისი ცოლ-შვილი იქვე, შორიახლო მოჩუხჩუხე პატარა მდინარეში, როგორ აბურთავებდა მოვარდნილი ნიაღვარი მეგრული ოდებისხელა ქვის ლოდებს, როგორ უმწეოდ ზმუოდნენ მუცელგაბერილი კამეჩები, როგორ წაიღო კავკასიონის კალთებზე ნაგროვებმა წვიმის წყალმა საყვარელი მეუღლისა და ზებედეზე ორი წლით უმცროსი ტყუპი ქალ-ვაჟის სიცოცხლე, ღმერთის ნაბოძები რომ იყო და, რატომღაც, სიმინდზე იოლად მოსათხრელი რომ აღმოჩდა...
თვეების მერე, გონს რომ მოვიდა, ზებედე აჩვენეს. გაუღიმეს, შენი შვილია, თუ იცანიო. მე თვითონ ვინ ვარო, იკითხა. მამანტი ხარ, ზებედეს მამა, მამანტიო...
„მა-მან-ტი" – დამარცვლით გაიმეორა და თითქოს სინათლეც ჩაუდგა თვალებში, მაგრამ ექიმებიდან დაბეჯითებით ვერავინ თქვა, რა იყო ეს, ზებედეს ნახვით გამოწვეული სიხარული, თუ უგზოუკვლოდ დაკარგულ ცოლშვილს დადევნებული ცრემლი. თუმცა, სულ მალე მამანტი გაბედავაც ისევე გაქრა, როგორც მისი ოჯახის წევრები აგვისტოს მზიან დღეში...
ოთახში, სადაც მთელი სამი თვე დაჰყო, დასალაგებლად შესულმა სანიტარმა მოისაკლისა მხოლოდ გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების ნაჩუქარი ოთხთავი

და მაუდის შავი გადასაფარებელი, რომელსაც, როგორც ჩანს, ზამთრის სუსხიან დღეში გზასდამდგარი მწირისათვის მოსასხამის მაგივრობა უნდა გაეწია...
ცხოვრობდა გარეჯის უდაბნოში მარტოდმარტო, ღია ცის ქვეშ, ერთ მაღალ მთაზე, საიდანაც ყველა მიმართულებით გამხმარი ბალახითა და ქვიშით დაფარული ველი იშილებოდა, მაგრამ დაღუპვის ნაცვლად, როგორც ბერებმა შენიშნეს წლების შემდეგ, საკვირველი ხელმწიფება მოიპოვა ბუნების ძალებზე. მის სამყოფელთან ყოველდღე იკრიბებოდნენ უდაბნოს მკვიდრი მხეცები და საოცარი თვინიერებით ისმენდნენ წმინდა სახარების კითხვასო.
იკვებებოდა მხოლოდ იშვიათად მოსული წვიმის წყლითა და გზააბნეული თხების რძით, რომელსაც დარში ღია ცის ქვეშ ხვრეპდა, ავდარში კი თავს აფარებდა მთის თხემზე, უზარმაზარი ლოდის ქვეშ გამოთხრილ სოროს, სადაც ადამიანის გარდა ეტეოდა მხოლოდ უდაბნოს კიდეზე მოთხრილი ბალახის მცირე ბულული და ხელისუგულისოდენა სიპი ქვა...
მამანტი გაბედავამ არ იცოდა რამდენი ხანი დაჰყო უდაბნოში. ამაზე არც უფიქრია, ვიდრე თეთრწვერა მოხუცმა, რომელმაც უძილო ღამეების გრძელი ჯაჭვი გაწყვიტა, მთელი წარსული არ გაახსენა და არ ამოასუნთქა მძიმე სატანჯველისგან. გაღვიძების წინ დაანახვა წალკოტი მშვენიერი და ყვავილთა მტილში მოთამაშე ნორჩი ქალ-ვაჟი, რომლებსაც ნეტარი ღიმილით თავს ევლებოდა ლაჟვარდოვანი მაფორით მოსილი ახალგაზრდა ქალი – დიდებული როგორც ღრუბლებში გასხივოსნებული ცისარტყელა.
ნუ დრტვინავო, უთხრა მოხუცმა, მხოლოდ ბოროტად ცხოვრებულნი სულნი იტანჯებიან ცეცხლისა შინა მწარესაო.
ამის მერე, თეთრწვერება მოხუცმა სულ სხვა ალაგას დაანახვა ზებედე და კიდევ ერთი ყმაწვილი და უთხრა, აკეთე შენი საქმე და საზღაურს დროულად მიითვლიო...
უდაბნოს საზღვარი რომ მოიტოვა, ცხელმა ჰაერმა ხმა დააწია, არ დავიწყო, სხვისი ობოლიც არ დაივიწყოო...

დამსხვრეული სამკუთხედი

მამიდის, სამხედრო მფრინავისა და ნევროლოგის უგვანი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ზამთრის ერთ მზიან დღეს საქმეზე ხუთი წუთით გასული მამიდა შინ ცოცხალ-მკვდარი მიასვენეს. ზუსტად არავინ იცის, რა მოხდა. ერთნი ამბობდნენ მარჯანიშვილის ხიდზე გადადიოდა, როცა ვიღაც მამაკაცი მიეპარა და თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყაო. სხვათა მტკიცებით, მიდიოდა თავისთვის, უცბათ ფეხი გადაუბრუნდა და მოცელილივით დაეცა. ბევრმა სანდოდ სწორედ ეს უკანასკნელი ვერსია მიიჩნია, რადაგანაც სოლიდური ასაკის მიუხედავად, მამიდა ვერ ელეოდა ახალგაზრდობაში შეძენილ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს. რას იკლავ თავსო, ხშირად უკითხავს ტატიანა ჩალაურს, მაგრამ ხეირიანი პასუხი არასოდეს მიუღია. არადა, ფრანგული ლიტერატურის მოტრფიალე მამიდა ითვალისწინებდა პროფესორ ჰადოკის კვლევას, რომელიც იმდენად დიდი ხნის წინ ჰქონდა წაკითხული, რომ მისი შინაარსი აღარც კი ახსოვდა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვეულება ჰქონდა, მაღალ ქუსლზე დგომას აღარ იშლიდა.

კვირის თავზე, ნეიროქირურგმა, ჭაღარა ბალნით დაფარულ უპროპორციო სხეულს ხშირი რეცხვისგან გაცრეცილი მწვანე ხალათი რომ უფარავდა, ოჯახის წევრებს დიაგნოზი გააცნო.
ექიმი იყურებოდა განზე და ლაპარაკობდა ემოციის გარეშე, სვენებ-სვენებით. როგორც ჩანსო, ამბობდა იგი, თავის ტვინის ქერქია დაზიანებულიო, მაგრამ ტვინის ღარი მთლიანიაო და სწორედ იქიდან ხდება ფიზიოლოგიური ფუნქციების – სუნთქვის, ძილის, სიფხიზლის, საჭმლის მონელების კონტროლიო. თვალებს რომ ახელს, ეს სუფთა მექანიკური მოქმედებაა, ტვინი არ მუშაობს, მასში არ არის არც აზრი, არც გრძნობაო.
ექიმმა სულ ბოლოს ისიც თქვა, რომ ავსტრიაში წაიყვანეთ, თუ უშველიან იქ უშველიან, თუ არადა ის მაინც გეცოდინებათ, რომ გადარჩენის შანსი არ ჰქონდაო.
და რა დაჯდება ავსტრიის მოვლაო, იკითხა ძია ევგენიმ.
– ათი ან თხუთმეტი ათასი... – თქვა ნეიროქირურგმა და მზერა ფანჯრიდან ჭერზე გადაიტანა.
– ათი თუ თხუთმეტი? – დაზუსტება სცადა.
– შესაძლოა ათი, შესაძლოა თხუთმეტი და მეტიც... – ხმას აუწია ექიმმა.
ძია ევგენი მიხვდა, რომ ძალიან ცუდად იყო საქმე. არადა, ქურთიევსაც აღარაფერი შეეძლო. ცხინვალში გავარდნილი პირველი ტყვია გაცივებული არ იყო, რომ მინისტრის მოადგილედ დაწინაურებულმა ცნობილმა ექიმმა და დედაქალაქის საპატიო მოქალაქემ კაბინეტში დაიბარა და განცხადების დაწერა მოთხოვა. ქალაქში ხმა დადის ფულს აგროვებთ და ორჯონიკიძეში იარაღის შესაძენად აგზავნითო.
ქურთიევმა პასუხად ხელები გაშალა, მინისტრის მოადგილემ კი ზურგი შეაქცია.
– აი, ნიმუში, – გამოსძახა მხარსუკან და სქელი საქაღალდიდან ფურცელი ამოიღო.
ქურთიევმა ნიმუში ხმამაღლა წაიკითხა: „გთხოვთ, საკუთარი სურვილის საფუძველზე გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან...”
დერეფანში გასული ავტომატიანმა კაცებმა კუთხეში მიიმწყვდიეს და იდუმალი ხმით უთხრეს, ჩვენ ყველაფერი ვიცითო.
ქურთიევმა ვერ მოითმინა და ერთ-ერთ ავტომატიანს, ცნობილი მსახიობი ქალის შვილი რომ იყო, ჰკითხა, დაგიჯერებ ყველაფერი რომ იცი, თუ მეტყვი, რამდენი აბორტი აქვს დედაშენს გაკეთებული მამაშენის გაცნობამდეო.
ქურთიევი ისე გააგდეს საქართველოდან, რომ სამსახურში მისვლა და მუხლისთავებზე ხშირი კაკუნისგან გაცვეთილი ჩაქუჩის წაღებაც კი არ აცალეს.
რჩებოდა უკანასკნელი იმედი: ტატიანა ჩალაურის მეუღლე...
ვასილ ჩალაურს არჩევნებში გამარჯვებული მოძრაობის ლიდერებმა უზარმაზარი ყვითელი შენობის მარცხენა ფლიგელში ოთახი გამოუყვეს, ხოლო კარზე, რომლიც ადრე არაერთხელ აეჭედათ, აბრა დაამაგრეს:
ვასილ კონსტანტინეს ძე ჩალაური
კომიტეტის თავმჯდომარე

ვასილ ჩალაური

ტატიანა ჩალაურის ქმარი, ვიდრე ეროვნულ მოძრაობაში ჩაებმებოდა, ვიდრე მიტინგებზე მგზნებარე სიტყვებს წარმოთქვამდა, ვიდრე თანამშრომლებში კრემლის

აგენტების გამოაშკარავებას დაიწყებდა, საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში ხულიგნობისა და ნაციონალური შუღლის გაღვივების ბრალდებით დააკავებს. პროფკავშირების საკავშირო ყრილობაზე, ვიღაც დელეგატს, შესვენების დროს ნება-ნება რომ აბოლებდა ტალონით შემენილ არომატიზებულ „ტემპს", უთქვამს, საქართველო ძალიან ჰგავს მხეცს, რომელსაც მომთვინიერებელი სჭირდებაო. თუ მომთვინიერებელი არა ჰყავს, თავსაც ვნებს და სხვებსაცო.

იმის გამო, რომ ქართველებს რუსთაველის გამზირზე ლაღიძის წყლების ნაცვლად, ერთმანეთის სისხლი ჯერ არ ჰქონდათ დალეული, ამ მომთვინიერებლის ამბავმა ვასილ ჩალაურს გულწრფელად ატკინა გული. ორიგინალური იდეის ავტორს სილა გააწნა და უწმაწურად შეიგინა. ის ვიღაცა, სახაზინო „ტემპს" რომ აბოლებდა და ქართველებზე საუბრისას ანთროპოლოგიას ეტოლოგიაში რომ ურევდა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ქერქის ინსტიტუტის პროფკავშირის თავმჯდომარე და საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აღმოჩნდა. ატყდა ერთი ამბავი. ვასილ ჩალაური წითელსამკლაურიანმა დრუჟინიკებმა ხელებამოგრეხილი გაიყვანეს პროფკავშირების სასახლის ფოიედან, რომელიც, ბედის ირონიით, ქართველი მხატვრის მიერ იყო გაფორმებული და ფერადი კენჭებით აწყობილ უზარმაზარ პანოს „ჩრდილოეთის მზე" ერქვა.

პროფკავშირების ყრილობიდან გაძევებულ ვასილ ჩალაურს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ალექსეევკის აეროპორტში დახვდნენ, ჯერ მცხეთაში, სალობიეში წაიყვანეს, შემდეგ კი –კონსპირაციულ ბინაში.

პირველივე მიტინგზე, უნივერსიტეტის პანთეონში, ვასილ ჩალაურმა მოსკოვიდან ჩამოყოლილი სანთებელათი საჯაროდ დაწვა ჯიბეში ხშირი დებისგან კუთხეებაპრეხილი პარტბილეთი და წაიკითხა ილია ჭავჭავაძის ლექსი, რომელიც, რატომღაც, აკაკი წერეთლისა ეგონა. სულ ხუთი თუ ათი წუთი ილაპარაკა, მაგრამ წვიმაში მოყოლილი მგზავრივით დასველდა, შეეშინდა, ამდენ ხალხში ვინმემ არ მიცნოს და რუსი ქალი რომ მყავს, არ წამომაძახოსო.

მეორე დღეს ვასილ ჩალაურმა თავისი თამარა მილიციის განყოფილებაში მიიყვანა და განცხადება დააწერინა, პასპორტი დავკარგე და გთხოვთ ახალი მომცეთო. ჯარიმის, ათი მანეთის გადახდის შემდეგ, ტატიანა ჩალაურს ხელახლა შეავსებინეს ფორმა #47, სადაც გრაფაში „ეროვნება", ქმრის დაჟინებული მოთხოვნით, „უკარაინელი" ჩაწერა, თუმცა ერთი წლის თავზე, როცა უკანასკნელ საბჭოთა არჩევნებზე ვასილ ჩალაურის გვარ-სახელი პარტიულ სიაში შეიტანეს, მეუღლე დაარწმუნა, რომ მათთვის და, შესაბამისად, მათი შვილისთვისაც უკეთესი იქნებოდა, თუკი ოცდაათწლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაიყრებოდნენ.

ეს როგორ პანიმატო, იკითხა ტატიანამ, ასე იგი, რაზვოდიო?

ახ ტი შტეროჩკაო, გაუცინა ვასილ ჩალაურმა, რა თქმა უნდა, ფორმალნო და, რა თქმა უნდა, ვრემენნო, საარჩევნო გარიაჩკის ჩამთავრებამდეო...

ისევ მოხუცი პროფესორი

ქვედა დეკა ნეკერჩხლის ნაცვლად ნაძვისგან იყო გამოთლილი და ფორმითაც ვერ იყო სათანადოდ დახვეწილი, მაგრამ ამის მიუხედავად, მოწაფის ვიოლინო ნიკუშას ხელში იმაზე უფრო კეთილშობილ და გულშიჩამწვდომ ბგერებს გამოსცემდა, ვიდრე ინსტრუმენტს შეეძლო...

მოხუცმა მასწავლებელმა ნიკუშას დახმარებით გამოაღო კედელში დატანებული რკინის მძიმე კარი.რომ მოტრიალდა, წინგაშვერილ მოცახცახე ხელებზე საოცარი სილამაზის ვიოლინო ესვენა...

– ნამდვილია? – იკითხა ბიჭმა.

პროფესორი დარწმუნებული იყო, რომ სულ მალე ნიკუშას კონცერტზე მისული მსმენელი ველარ გაარჩევდა ხემის მოძრაობის მიმართულების შეცვლას და სმენას დაიტკბობდა უწყვეტი, უსასრულო ბგერით, რომელიც გარემომცველ ჰაერთან ერთად ადამიანთა სულების ათრთოლებასაც შეძლებდა. მანამდე კი, მოხუცი პედაგოგის თხოვნით, ნიკუშამ საკუთარი ნაწარმოები შეასრულა...

...ეს იყო ამბავი ობოლი ბიჭისა, რომელსაც ბეღურის გული ჰქონდა, მაგრამ ფრენა არ შეეძლო. ალბათ, სხვებივით ისიც ისწავლიდა ცხოვრებას, წინააღმდეგობის დაძლევას, მარტო რომ არ ყოფილიყო და გარეთ გასვლის რომ არ შინებოდა. სიცოცხლის ბოლომდე ასეც იქნებოდა, არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა გზად ყველაფერი დალეწა და ბიჭიც თან გაიყოლა... მერე მუსიკალური თემა თანდათან გაფართოვდა და ბიჭის ბედ-იღბალი შეცვალა. ერთი ხანობა ფრენის სისწრაფისგან გაშეშდა, უსაზღვრო სივრცემ აზროვნების უნარი წაართვა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, გაკადნიერდა, ხელები გაშალა და ჰაერის ნაკადს მიუშვირა სახე. ასე იდგა უძრავად, ვიდრე ძალა არ მოიკრიბა და ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით არ გადადგა ნაბიჯი. საოცარი ნეტარება იგრძნო, სიხარულმა თითქოს ფრთები შეასხა. საკუთარ თავზე აღარ ფიქრობდა, ადამიანებთან შეხვედრის სურვილი ძალას მატებდა...

...მოხუცი პროფესორი დაძარღვული თითებით ისტერიულად ზელდა ცომის პატარა გუნდას. ადრე, წლების წინ სტუდენტები რომ ჩააცივდნენ, რატომ ცომიო, უპასუხა, პლასტილინის ასაკიდან დიდი ხნის წინ გამოვედი და ტალახით თამაში რითაც დამთავრდა თქვენც კარგად მოგეხსენებათო.

ერთ-ერთ ლექციაზე ისიც უთხრა სტუდენტებს, რომ ვიოლინო ოცნებაა სრულყოფილ ადამიანზეო.

– კი მაგრამ, რას ნიშნავს სრულყოფილი? – იკითხეს დაბნეულმა სტუდენტებმა,

– ადამიანებს ხომ სხვადასხვა ოცნებები და შეხედულებები აქვთ?

სრულყოფილი მხოლოდ შეყვარებული ადამიანი შეიძლება იყოსო, უპასუხა პროფესორმა, ვიოლინო ერთი ჩვეულებრივი უსულო საგანია, მხოლოდ სიყვარული აქცევს მას სრულყოფილებადო.

სიყვარული რაღა არისო, აღარ გაჩერდნენ პროფესორის გულახდილობით გახალისებული სტუდენტები.

– სულების, სხვათა სულების ჭვრეტა, – მოკლედ მოჭრა, – რაც, სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლია...

– რატომ არ შეუძლია? – აღარ მოეშვნენ.

– მარტივი მიზეზის გამო, – თქვა პროფესორმა, – სიყვარულისთვის ჭვრეტის განსაკუთრებული ორგანოა საჭირო. ერთი-ორი ამ ორგანოთი იბადება, დანარჩენები კი დაუღალავი შრომით მოიპოვებენ!
...მოხუცი მასწავლებელი ხვდებოდა, რომ ნიკუშა სწორედ ამ, სხვათა სულების საჭვრეტი ორგანოთი იყო აღჭურვილი...

„აგენტი და კოსმონავტი დედა...“

ვასილ ჩალაური მთელი წლის უნახავ შვილსა და მის თანმხლებ ოფიცერს ხაზგასმული კეთილგანწყობით შეეგება. ორცხობილის, ჩაისა და თითო ღერის შემდეგ, მანსპინძელმა მაჯის საათზე დაიხედა.
ნიკუშას მამიდის ამბავი შვილისგან შეიტყო, ძია ევგენის კი სულ ტყუილად უქნია თავი, მისი ნაამბობიდან ერთი სიტყვაც კი არ შეუშვა ყურში. სამხედრო მფრინავის მოხდენილმა სააღლუმო ფორმამ და ორდენებით სავსე მკერდმა, ძია ევგენის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ვასილ ჩალაური გულგრილი დატოვა: სამხედრო ფორმებს ქუთაისის საფეიქრო ფაბრიკაშიც კერავდნენ, ბრჭყვიალა საბრძოლო ორდენები კი უკვე ბლომად ეყარა მშრალ ხიდზე ვერცხლის კოვზებსა და უხეშად დარჩილულ სამოვარებს შორის.
გული რომ გაუკეთა, მონაცემები მისაღებში დატოვეო, რომ უთხრა; დამშვიდობებისას, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, დაგირეკავთო, რომ დაჰპირდა და მხარზე ხელის ტყაპუნს რომ მორჩა, მდივანი გამოიძახა.
„კარგად დააკვირდი? სხვაში ხომ არ შეგეშლება? გვარი სწორად ჩაინიშნე?” დადებითი პასუხი რომ მიღოო, იყვირა: რაც უნდა გითხრას, რამდენჯერაც უნდა დარეკოს, ეგ კაცი აღარ დამანახვო,მაგისთვის არ ვარსებობ,მაგის აგენტი ლიოჩიკ-კოსმონავტი დედაცო...

სწავლული ჟირაფი

ძია ევგენიმ თქვა, რომ იმედი აღარ არისო.
გივიკომ კი ერთი სათადარიგო ვარიანტი მაქვს, ბაქოში კაცი მეგულება მოხუცი პროფესორის ვიოლინოში ოცდაათიათას რომ გადაიხდისო.
მერეო, ძია ევგენიმ.
რაღა მერე, ვიოლინო უნდა ავიღოთო.
არ მოგვცემსო.
გივიკომ, წავართვათ, საიქიოში სიმფონიური ორკესტრი მაინც არ არისო.
ნიკუშამ ყურებს არ დაუჯერა. ჟირაფივით მაღალი გივიკო ეზოში ყველაზე კეთილი კაცი ეგონა. ტატიანა ჩალაურიც იმას ამტკიცებდა, პატიოსანი რომ არის ჩემი სინოჩეკი,კრტამს რომ არ იღებს, იმიტომ გააგდეს სამსახურიდანო.ნიკუშას უწყინარ ჟირაფზე,ძია ევგენისთან ერთად ხშირ-ხშირად ლუდს რომ წრუპავდა,ლექსიც კი ჰქონდა დაწერილი:

„ცხოვრობდა სწავლული ჟირაფი,
ლუდის უყვარდა მას ქაფი.

აფრიკა ენატრებოდა,
ძილშიც კი ესიზმრებოდა.
ჩლიქზე აკრული ტალახი,
ეს იყო მისი ალაფი”.

რა ეფექრა, არ იცოდა. ძალიან უყვარდა მამიდა, მისი ავადმყოფობაც უკლავდა გულს, მაგრამ არ ეგონა ერთი ადამიანის სიცოცხლე მეორისას თუ გამორიცხავდა.
დამპალი ლეღვის სუნი ეცა და პირი ნერწყვით აევსო...
გათენებას დაველოდოთო, გივიკომ, ღამით კარს არ გაგვიღებსო.
სხვა რა გზააო, ძია ევგენიმ...

„ლეღვი ერთი გზასა ზედა“

მაშინაც ასე დაემართა, როცა მამა გარდაეცვალა ბაზარში, უეცრად, შუაზეგახლეჩილი ლეღვით ხელში.
თუ არ გავსინჯე, როგორ გავიგო რას ვყიდულობო, თქვა სულის ამოსვლამდე რამდენიმე წამით ადრე და გადამწიფებული ნაყოფით ნიკუშასაც ამოუვსო პირი.
ახსოვს, დედა ტიროდა და გამვლელებს ექიმის მოყვანას თხოვდა. თვითონაც ტიროდა, თუმცა გაურანდავი ფიცრებისგან შეკრულ მაგიდაზე დასვენებელი მამის ცხედარი არ უნახავს. დახლებს შორის ტომრების ხერგილს ამოეფარა, მაგრამ შიშს – ძლიერსა და ყოვლისმომცველს, მაინც ვერ დაემალა: სწორედ იმ დღეს ჩაუსახლდა სხეულის სიღრმეში და მას შემდეგ ეს მყუდრო ალაგი აღარ დაუტოვებია. მეტიც, შიში, რომელსაც დამპალი, სიმჟავეშეპარული ლეღვის სუნი და გემო ჰქონდა, ბატონობდა ნიკუშაზე, რის გამოც ხშირად ოფლიანობდა, ერეოდა გული და უმძიმდებოდა სწორი ნაწლავი...
ახლაც იგივე დაემართა. გარეთ, ჰაერზე რომ არ გასულიყო, გული აერეოდა. მიხვდა, რომ რამდენიც უნდა ეცოცხლა, თუ ახლა ვერაფერს შეცვლიდა, ამ დამპალი ხილის სიმყრალეში ამოხდებოდა სული!
სკოლაში წაკითხული გაახსენდა, ძე ღმრთისა მოვიდა და მოგვცა ჩვენ გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთიო.
– სად არის ღმერთი, – ატირდა ნიკუშა, – რატომ არ მეხმარება?
მერე დედა გაახსენდა, რატომღაც მისი იმედიც ჰქონდა...
– რატომ არ მოდის? – იკითხა ერთხელ ძილის წინ, – მიმატოვა?.
– რას ამბობ, – შეიცხადა მამიდამ, – დაიმალა, შეეშინდა და დაიმალა... შენც ხომ დაიმალე, როცა შეგეშინდა!

გულხარბი და მოჩხუბარი

კიბეები რომ ჩაათავა, ადევნებული პორთოსი და ეზოში მდგომი ზებედე მერეღა შეამჩნია. ოდნავ წინ გადახრილმა ვიოლინო პალტოში ჩამალა და გახედა ეკლესიას, რომლის ნაცრისფერი გუმბათი ქუჩის გასწვრივ ჩალაგებულ სახლებს შორის მოჩანადა.
აქეთ მოიწიო, დაუძახა ზებედემ.

არ შეშინებია. მხოლოდ იმის გამო, რომ დრო არ დაეკარგა, გაიქცა. ზებედე ადრევე დაეწეოდა, მაგრამ პორთოსი გამოენთო. ყეფითა და ღრენით გადაუდგა წინ, ერთი-ორჯერ შარვლის ტოტშიც წვდა, მაგრამ დრუნჩში რომ მოხვდა, წკმუტუნით გაშორდა იქაურობას.

ეკლესიის კართან დაეწია...

ნიკუშა მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გარეშე, დაკარგავდა ვიოლინოს, რომელიც ისე სჭირდებოდა ახლა, როგორც არასდროს.

მოქნეული მუშტი მარცხენა ლოყაში მოხვდა. ეტკინა, მაგრამ სახის დამალვა არ უცდია. დაიხარა და კისერდაჭიმული შეუვარდა წელში. დაჯახებამდე, ვიდრე მოწინააღმდეგის ნეკნები მის თავზე გაიდრიკებოდა,ძალები მოიკრიბა და მთელი ტანითაც გახტა წინ...

ზებედეს ყმუილის მაგვარი აღმოხდა...

კიდევ რამდენჯერმე გაიბრძოლეს. ის იყო ზებედეს უკან უნდა დაეხია, რომ ნიკუშას ცრემლები წასკდა. ვერ მიხვდა, რა ახლოს იყო გამარჯვებასთან და მოწინააღმდეგეს ზურგი შეაქცია, იქვე, ეკლესიის კართან აყუდებულ ვიოლინოს დაწვდა და ორივე ხელით ჩაიკრა გულში, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ამ გზით ინსტრუმენტს ვერ შეინარჩუნებდა.

ყველაფერი ასეც იქნებოდა, რომ არა უცნობი, ძონძებსა და საკუთარ თმა–წვერში გაბურდული მამაკაცი, რომელიც სიბნელეს გამოეყო და ბიჭებს მიუახლოვდა.

– ნუ იქნებით გულხარბი და მოჩხუბარი, – უცნობს მშვიდი და ლამაზი ხმა ჰქონდა, – არამედ იყავით კეთილი და მართალი სიტყვის მიმდევარი, ისეთი რომ ძაღლიც კი გილოკავდეთ წყლულებს...

ზებედემ ვიოლინოს ბუდეს ხელი გაუშვა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. გვარიანად რომ შეერია სიბნელეს, მერეღა შეაქცია ზურგი მოულოდნელად გამოჩენილ მამაკაცს და „არა, არა“-ს ძახილით,მეტი სიბნელისკენ გაიქცა.

უცნობმა გამოდევნება სცადა, მაგრამ მალევე ჩეიქნია ხელი და ნიკუშასთან დაბრუნდა.

– რას გერჩის?

– არ ვიცი, – თავი ჩაღუნა, – არაფერი დამიშავებია...

ეკლესიის მძიმე, რკინით შეჭედილი კარი უცნობის დახმარებით შეაღო და მხოლოდ ჩაბნელებული ხატების წინ დარჩენილს გაახსენდა, რომ არც სანთელი ჰქონდა და არც ლოცვა იცოდა.

თუ გწამსო, უცნობმა.

ნიკუშამ კიო, მაგრამ პასუხი დაუგვიანა.

უცნობმა, თუ ჩვენ არ გვწამს, ის მაინც რჩება სარწმუნოდ, რადგან საკუთარ თავს ვერ უარყოფსო.

არა, არა, მწამსო, ნიკუშამ და ტირილი მოუნდა.

უცნობმა თავზე ხელი გადაუსვა.მალე მოვალო, უთხრა.

დაბრუნებისას, ერთ ხელში მოციმციმე კანდელი ეჭირა, მეორეში კი თაფლის წვრილი სანთელი.

– მარტო დაგტოვებ, – გაუღიმა და თეთრი კბილები გამოაჩინა, – მე უნდა ვიცნო ჩემი და ჩემმა უნდა მიცნოს მე... წავალ, სადმე აქვე იქნება...

ვარსკვლავებისკენ...

მარტო დარჩენილმა რიყის ქვით აშენებულ საყდარს მოავლო თვალი. სიბნელის გამო, იქნებ სიძველისგან, კედლის მხატვრობის გარჩევა გაუჭირდა, მცირე ზომის საკუთრთხევლიდან ორივე მხარეს კი საფლავის ქვებიც შენიშნა.
მზერა ღვთისშობლის განათებულ სახეზე შეაჩერა და ყოყმანის შემდეგ დაუკრა ისე გულღიად, ისე გულწრფელად როგორც კი შეეძლო...
ნიკუშა ჩიოდა მკვრივი, მძიმე საგნებით სავსე სამყაროზე, რომლის მამოძრავებელი ძალა მრისხანე და შეურიგებელი იყო სასოწარკვეთილი, დაძაბუნებული ადამიანების მიმართ და, რომ ეს ადამიანები, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, სულის ნაცვლად ქვის ნატეხებს ატარებდნენ...
მონდომებით უკრავდა, თუმცა ხვდებოდა, რომ მეტი სიმძლავრე, მეტი თავდადება იყო საჭირო, რათა მომხდარიყო სასწაული და ძალას, რომელსაც რკინის ხუფის ქვეშ ჰყავდა დამწყვდეული სიკეთე, უკან დაეხია და გზა დაეთმო...
„ღმერთო, გადაარჩინე! ღმერთო, არაფერი დაუშავდეს!..“
ნიკუშამ იგრძნო, რომ მარტო არ იყო, რომ ის ადამიანები ვისთვისაც ლოცულობდა, ვისი სიცოცხლეც მასზე იყო დამოკიდებული, იქვე, კანდელით განათებულ საყდარში იდგენ და მის გამხნევებას ცდილობდნენ. ჩემი სჯერათო, გაიფიქრა და ძალის მოზღვავება იგრძნო. ვიოლინოც თითქოს გაცოცხლდა, უმშვენიერესი ბგერები დაბადა და ლოცვას მეტი სასოება, გუწრფელობა შემატა…
მოგვიანებით ნიკუშა მიხვდა, რომ ჰანგების ჰარომონიულ მდინარებას თავად ინსტრუმენტი წარმართავდა და არ გაკვირვებია, როცა დეკებს შორის მოქცეულმა „ვიოლინოს სულმა“ უხილავი კარი გაგლიჯა და ტყვეობიდან გათავისუფლდა...
„ღმერთო, გადაარჩინე! ღმერთო, არაფერი დაუშავდეს!..“
…ხემი კი არ ჩერდებოდა, მღეროდა, განწირულის ხმით ეძახდა გათავისუფლებულ სულს და როგორც ჯადოსნური საქუსალი, ათრთოლებული ჰაერისა და სანთლის მკრთალი სხივებისგან ბეჭდა ჰაეროვან, მანათობელ ქსოვილს, რომელიც თანდათანობით იშლებოდა, არღვევდა იდუმალ ბურუსს და შარავანდედითვით ეკვროდა ეკლესიას, შემდეგ კი მიიწიევდა ზევით, ცის ეკრანზე ანთებული ვარსკვლავებისკენ...
„ღმერთო, გადაარჩინე! ღმერთო, არაფერი დაუშავდეს!..“
მიტოვებულ საყდარში ჩურჩულით ნათქვამი ეს სიტყვები უსასრულობაში გაიბნა და დედამიწაზე მტრედისფერი განთიადის სახით დაბრუნდა...

უსასრულო ხემი

ეზოში გამოსულმა, საოცარი შვება იგრძნო. გათენებულიყო, მაგრამ ციური მექანიკის საწინააღმდეგოდ, მზეს ვერ დაეწვა მოციმციმე მნათობები. ნიკუშას კი წლების მერეც ახსოვდა: ხემი რომ დაუშვა და გარეთ რომ გამოვიდა, იისფერ ზოლად დაფენილ დღისა და ღამის გასაყარზე სულ სხვანაირად ელავდა დილის ვარსკვლავი...
მამიდამ თვალი გაახილა და ბიჭი სად არისო, იკითხა.

აი, ბოჟე მოი, სასცაულიო, ტატიანა ჩალაურმა კივილით მოაბრუნა საქმეზე მიმავალი, გრძელ პალტოებში იარაღჩამალული ძია ევგენი და გივიკო. გაიგვიდზა, გაიგვიდზა, სასცაული მოხდაო.

ნამდვილი სასწაული იყოო, გაიფიქრა მოხუცმა პროფესორმაც, ვიდრე ნანახი სიზმარი დაავიწყდებოდა. მთლად ბავშს ეცვა თეთრი ქათქათა პერანგი და ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი და ბედნიერი მშობლების თხოვნით სკამზე შემდგარი უკრავდა უმშვენიერეს მელოდიას, რომელიც არ მთავრდებოდა და შვილის ნიჭიერებით აღფრთოვანებულ ისედაც ლამაზი და ბედნიერი მშობლების სახებას გაქრობის საშუალებას არ აძლევდა.

სასწაული გივიკომ და ძია ევგენიმაც დაიჯერეს, მაგრამ მალევე ამოუვარდათ მეხსიერებიდან. იმ დღეს, ნიკუშას მამიდან თვალი რომ გაახილა, ყვითელ შენობას, რომლის მარჯვენა ფლიგელში ვასილ ჩალაურს უზარმაზარი კაბინეტი ეკავა, გულმოსულმა გვარდიელებმა ქვემეხის ლულა დაუმიზნეს...

ძია ევგენიმ, მოსაკლავიაო.

გივიკომ, რაც უნდა იყოს, მაინც მამაჩემიაო.

გაიყო მათი გზები, თუმცა შინ არცერთი მიბრუნებულა, არც იარაღი შეუნახავს რომელიმეს...

სასწაულიო, გაზეთებმაც აიტაცეს მეორე დღეს. მხოლოდ ქირურგმა, თმიან, უპროპორციო სხეულს გაცრეცილი ხალათი რომ უფარავდა, გაზეთის ორად გაკეცილ გვერდს გაუპასავი სახე მოარიდა და უკმაყოფილომ ჩაილაპარაკა, სასწაული!.. ამ აპარატურით სწორი დიაგნოზი რომ დაგვესვა, სასწაული ეგ იქნებოდაო!..

ნიკუშა კი ხვდებოდა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოხდა. თითქოს, ერთ ღამეში გაიზარდა, თითქოს, შიშმაც, სიცოცხლეს რომ უწამლავდა, უკან დაიხია.

შინ დაბრუნებულს, დედა გაახსენდა, მაგრამ კარადიდან მისი ნივთების გამოლაგება აღარ უფიქრია. იცოდა, რა უნდა ექნა, იცოდა, როგორ უნდა მიეწვდინა ხმა ყველაზე ძვირფასი და სანატრელი ადამიანისთვის, რომელსაც შიშმა თავგზა აუბნია და შინისაკენ მიმავალი ყველა გზა დაავიწყა...

„ისე დავუკრავ, აუცილებლად გაიგონებს.“, თქვა და აივანზე გასულმა დაწყვეტამდე დაჭიმულ სიმებზე ნელა დაუსვა ხემი, რომელიც ღამის განმავლობაში არაბუნებრივად დაგრძელებულიყო და გამხდარიყო ლამის ისეთივე უსასრულო, როგორც პატარა, ათი-თორმეტი წლის ბიჭის სიცოცხლე...

უკრავდა დაბალ ხმაზე, მხოლოდ ერთი ადამიანის გასაგონად, რომელიც, მისი აზრით, ეგდო სადღაც ჯურღმულში, იქნებ მიუვალი კოშკის რომელიღაც საკნის კუთხეში, იტანჯებოდა და ელოდა მხსნელს...

ბგერები ისე მჭიდროდ და უწყვეტად იგრიხებოდნენ ერთმანეთში, რომ მუსიკალური ჰანგებისგან ნაქსოვი ეს ბაგირი ყველაზე ღრმა ხაროსა თუ ჯურღმულის ფსკერს ჩაწვდებოდა, გაუძლებდა სიმტკიცის ნებისმიერ გამოცდას და სამშვიდობოზე გამოიყვანდა ადამიანს, ვინც სიცოცხლე აჩუქა და, ვინც ასე უსამართლოდ იტანჯებოდა...

...უკრავდა ნიკუშა და მზად იყო მთელი ცხოვრება არ გაჩერებულიყო... მაგრამ მოულოდნელად ჰაერი, რომელშიც იბადებოდა და ვრცელდებოდა ვიოლინოს ჯადოსნური ჰანგები, საშინელი ხმით უკუიქცა, თან გაიტაცა უნაზესი ბგერები და აზრი დაუკარგა ხემის წინ და უკან სრიალს.

კვემეხის ხმა იკოო, დაიჩემა აივანზე გადმომდგარმა ტატიანა ჩალაურმა...

ათი-თორმეტი წლის ბიჭის სიცოცხლე

კვირის თავზე რუსთაველის გამზირზე მისულმა ნიკუშამ შეიტყო, რომ გულმოსულმა გვარდიელებმა მართლაც მიიტანეს იერიში ყვითელ შენობაზე, რომლის მარჯვენა ფლიგელი უკვე დაეცალა ვასილ ჩალაურს და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად, რუსეთის გავლით, ფინეთში გაქცეულიყო...
დაცლილი ჰილზებით, დალეწილი ტოტებითა და ნახანძრალი მანქანებით დანაგვიანებულმა გამზირმა ნელ-ნელა დაიწყო შევსება, თუმცა კრიჭაშეკრული ადამიანები დიდხანს გაურბოდნენ ერთმანეთის მზერას და უკიდურესი აუცილებლობის გარეშე არ ლაპარაკობდნენ. ერთკვირიანი ომის შემდეგ ჩამოვარდნილ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ძონძებსა და საკუთარ თმა-წვერში გაბურდული მამაკაცი, რომელსაც თავი ცისკენ აეღერა და ხმამაღლა მოთქვამდა.
ქალაქის კომენდანტმა ცემა დაუპირა, მაგრამ ქაშუეთის ეკლესიიდან მღვდელმა არ დაანება, არ დაარტყათ, გუშინწინ მაგ უბედურს შვილი მოუკლეს ჩიტაძის ქუჩაზეო...
მერე გვარდილებმა იზეიმეს გამარჯვება. დანგრეული შენობის ფონზე სურათები გადაიღეს, მუჯლუგნები გაცვალეს და იანვრის უღრუბლო ცაში ნასროლი ტყვიებით ომის ღმერთს მადლობა შეუთვალეს.
გამარჯვებულთა შორის იყო ძია ევგენიც.
ხელით ანიშნა, მოდიო.
არ ეგონა, ასე მარტივი თუ იყო ავტომატიდან სროლა.
დაუმიზნა. ტყვიების ერთმა ნაწილმა ცეცხლისგან დაბზარული ბეტონის სვეტი მოანგრია, დანარჩენმა კი გამურული კედლის ზედაპირზე ნატყვიარების რიცხვი გაამრავლა...
შეეშინდა, მაგრამ არ გაოფლიანებულა, არც გული არევია და არც სწორი ნაწლავი დამძიმებია. წელში გაიმართა, ჯერ ძია ევგენის შეხედა, მერე – გვარდილებს.
ყოჩაღო, გამოსძახეს.
თვალი ნეკერჩხლის ფესვებზე მიყუდებული ვიოლინოსკენ გაექცა. მუსიკაზე მეჩქარებაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ გვარდიელების მოერიდა.
კიდევ ერთხელ მასროლინეო, შეეხვეწა ძია ევგენის იმის იმედად, რომ გაუწყრებოდა.
აბა, მოუსვი აქედან, შენ სკრიპკასა და კომპოზიტორებს მიხედეო, ასეთ პასუხს ელოდა, ძია ევგენიმ კი კიბეებზე ჩამომჯდარ გვარდიელს გასძახა, ტყვიები თუ გაქვსო.
იმდენი, რომ მთელი წელი ეყოფაო.
„მთელი წელი?“ – დაიჯერა ნიკუშამ, – „მთელი წელი როგორ უნდა ვისროლო, ხომ დავიღლები?“
ბევრი იცინეს ბიჭის ნათქვამზე.
რა დაგღლის, შენ ხომ მაგარი ხარო, უთხრეს გვარდიელებმა და კიდევ ერთხელ ასროლინეს...
არ დაღლილა, არც იმ და არც მომდევნო დღეებში, რომელთა რიგმა, ნიკუშასთვის უცნობი კანონზომიერებით, უსაშველოდ დაიწყო გამრავლება და მალე თითქმის სრულად შეავსო ათი-თორმეტი წლის ბიჭის სიცოცხლე – თავიდან უსასრულო რომ

ეგონა და ასაკის მატებასთან ერთად თვალსა და ხელშუა რომ გაილია. არადა, ნიკუშას წლების მერეც ახსოვდა ძონძებსა და თმა-წვერში გაბურდული მამაკაცის მოთქმა: „შევყურებ შენს ცას, შენი თითების ნამოქმედარს, მთვარეს და ვასკვლავებს, შენ რომ დაადგინე და ვფიქრობ, რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი და რომ ზრუნავ მასზე. რა არის, რომ კინაღამ ღმერთი გახადე და დიდებითა და პატივით დააგვირგვინე...”

მაშინ გაიფიქრა, გიჟი უნდა იყოს, რას გადამეკიდაო. წლები რომ გავიდა, მერეღა შეიცვალა აზრი. აიჩემა, არც ის კაცი ყოფილა, არც ეს სიტყვები უთქვამს და, საერთოდ, ყველაფერი ჩემი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფიაო.

ერთხელ, ეჭვების გასაფანტად, ვიოლინოზე დაკვრაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ხომ ვამბობდიო, ჩაილაპარაკა კმაყოფილმა და ინსტრუმენტი პატრონს, მიწისქვეშა გადასასვლელში გაცნობილ მევიოლინეს დაუბრუნა.

– მართალი ხარ, არ უნდა იდარდო, – უთხრა მუსიკოსმა, – ხალხს ქუჩის მუსიკოსებზე მეტად ხეიბრები ეცოდება... მგონი, დაყრუვდნენ, ვერც კი გვამჩნევენ...

ნიკუშამ გამვლელებს დაუწყო თვალიერება, აკვირდებოდა მათ ქცევას, სახის კუნთების მოძრაობას, იმას თუ როგორ რეაგირებდნენ მუსიკის ჰანგებზე, ყვირილსა თუ სხვა სახის ხმაურზე და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა მიწისქვეშა გადასასვლელში მდგომი მუსიკოსის სიტყვების სიმართლეში: დაყრუებულიყვნენ და ეს არ იყო ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის ბრალი. ნიკუშა ხვდებოდა, რომ ბუნებრივ სიყრუესთან ჰქონდა საქმე და არავინ იყო „ჰე, უფალოს“ მთქმელიც...

სალომე შენგელიძე

წერომანია

ე, ე, ე! – ხელი ცხვირწინ ამიფრ-ჩამიფრიალა ტუსამ. ტუსა ჩემი უახლესი (არა უახლოესი) მეგობარია. ხო იცით, სტუდენტობის პირველ დღეებში ერთმანეთს რო „გაჩითავს“ დაახლოებით ერთი „მასტის“ ხალხი– შენ აქ არა ხარ! ტუსკია სულ შენ გიყურებს და ჩვეულებრივ, შენი კომენტარები ევასება, – სახელოზე მექაჩება ტუსა. ეხლა თქვენ ტუსა და ტუსკია ერთმანეთში არა აგერიოთ. ტუსა, ხო ვთქვი, – ჩემი დაქალია, ტუსკია – ჩემი უსაყვარლესი ლექტორის გვარი. უბრალოდ რაღაც-რაღაცები ჰგავს ერთმანეთს, ყოველგვარი სემანტიკის გარეშე. ლექციაზე კიდევ მიდის საუბარი სახე-სიმბოლოებზე. ზუსტად იგივე: ფოლკნერის „საუბრები ვირჯინიის უნუვერსიტეტის სტუდენტებთან“, – ეგ ხო ფოლკნერია! (ინტრიგა შემომაქვს, ჩემს ჭკუაში). – ჰო, მე ეგ უკვე ვთქვი, ჩემო ჭკვიანო,– სიყვარულნარევი ირონიით მეუბნება ტუსკია და აგრძელებს: – სხვათა შორის შენს წიგნში იმდენი მშვენიერი სახეა, მომდევნო ლექციაზე ღირს ამაზე საუბარი.

შ ე მ რ ც ხ ვ ა! ზუსტად იგივე, როგორ მეორდება ისტორიები! –სკოლაში ერთი მასწავლებელი, მაგრად რო მიყვარდა, არ მოვასვენე. მუდმივად ვაინტრიგებდი ჩამჭრელი კითხვებით. ის იტანდა (იობის მოთმინებით). „მოვიდა სეტყვა – დახვდა ქვაო“, ასე იყო ჩვენი ამბავი. მერე, სკოლას რო ვამთავრებდი, გადამკოცნა, არა შუბლზე მაკოცა და მითხრა: – მადლობა, ჩემო ნინია, შენ მე მოდუნების საშუალება არ მომეციო...
აი მაშინაც შემრცხვა, მაგრად შემრცხვა. ბოდიშიც ვერ მოვუხადე. ადამიანი თუ ხარ, ერთხელ, ორჯერ... კარგი რა, ჭკუა ისწავლე! – ბოლო სიტყვები, ეტყობა, ხმამაღლა ვთქვი. ტუსა აზზე ვერ მოვიდა, ეგონა – იმას ვუთხარი და გაკვირვებისაგან თვალები ჭყიტა. აუ! რა საყვარელი იყო თვალებდაჭყეტილი, გაკვირვებული ტუსა. ფანქარი აცა-ბაცა ესვა თვალებზე. ეე... რატო აქამდე არ ვკითხე „ნამდვილი“ სახელი. ნუ, ალბათ, ანასტასია. – ქალბატონო ანასტასია, წამო რა, დეკანატში ავიდეთ, – ვეუბნები.

– ჯერ ერთი: ნუ აწვები კომუნისტურს ქ-ნო. დეკანატი კი არა – დეპარტამენტი. მეორეც: რატომ ანასტასია. იქნებ ჩემი ნამდვილი სახელი ასე ჟღერს, მაგ,: ტუსაღი. ჩამოაცილეს „ღი“, დარჩა ტუსა, – ღადავის ხასიათზე დგება ტუსა.
ავდივართ დეპარტამენტში და ვირჩევ „მაინორ“ სპეციალობას სოციალური მუშაობის ხაზით.

იმ კვირას ორი ლექცია მოვისმინე „სოციალურ მუშაობაში“. მაგრა დამევასა!

მაგ. გავიგე, როგორ უნდა მოხდეს სოციალურად განსხვავებული, ხშირად „არასრულფასოვანი“ ადამიანთა ჯგუფების ადაპტაცია „სრულფასოვნებთან“.
იმ კვირას მესამეკურსელებმა პირველკურსელებს „პინგვინები“ დაგვიძახეს (ესეც კომუნისტური პონტი!); მეც მივდექი და იცოცხლე! – „ბოლოს და ბოლოს, თქვენ რა გამოცდები ჩააბარეთ, თქვენ რა იცით „ეროვნული გამოცდების“, თქვე არაეროვნულებო, ბნელებო, ასეთებო, ისეთებო,“-მეთქი. მოკეტეს, რა თქმა უნდა!

ჰო, ეროვნულ გამოცდებზე გამახსენდა. ზოგადი უნარების გამოცდაზე „წერომანია“ რო დამემართა! მაგ. ამოცანა იწყება ასე: „მაგიდას უსხედან ჩხიკვი, კოდალა, ბუ, ზუსტად ასეთი თანამიმდევრობით“... აქ დროებით ვწყვეტ ამოცანის ირგვლივ აზროვნებას და ვაცხობ: „რო დაიწყებს მუზა ნადიმს, – ვერ დაგიცავს მუზარადი, მე რა ვიცი – ბუ სად არი?!“ ასეთი ასე ათი-თორმეტი ლექსი მაინც ჩავწერე ტვინის კომპიუტერში („ტვინიუმ-3“), და იმის მაგივრად, – დრო რაციონალურად გამომეყენებინა, – გავფლანგე, გავანიავე, და „თვალებიც მომეთხარა“ (დედაჩემის სიტყვა, თქმული ჩემზე „უნარების“ ქულების გაგების შემდეგ), და ასე: 90-დან 100 ქულამდე ნაწინასწარმეტყველევი ჩემი უნარი „უნარებში“ 75-ს ვერ ასცდა. „არადა, დრო არ მეყო, დრო! გაიგეთ! თორე ეგ ყველაფერი ჩემთვის მართლა არაფერი იყო! გაიგეთ, ავადა ვარ! რაღა მაგ დროს მომიარა მაგ ოხერმა წერომანიამ“, – მინდა ვიყვირო ხმამაღლა, მაგრამ აზრი არა აქვს: ან ეგონებათ, მასხარად ვიგდებ ყველას, ან მართლა საგიჟეთში მიკრავენ თავს.
ისე, კიდევ კარგი ქართულისა და გერმანულის გამოცდაზე მაღალი ქულები ავქაჩე (ავადმყოფობამ დამინდო!) და რეიტინგული ქულებით პირველ ასეულში მოვხვდი, თორემ ჩემი „პრესტიჟი“ საფრთხის წინაშე დადგებოდა (რომელიც თერთმეტი წლის განმავლობაში იძერწებოდა) და მართლა ვერ ვიხილავდი უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის კედლებს (მეცოდება, ვინც ამ „მშვენიერების“ უნახავი წავა ამ ქვეყნიდან, მე-6 კორპუსი იმიტომ, რომ ჩემი „მეიჯორი“ ჟურნალისტიკაა).
ამ კვირას მოვისმინე ლექცია პოლიტ. მეცნიერებათა შესავალში. ლექციის მიწურულს ლექტორმა ისე, ჩვენი იმედი რო არა აქვს, ყოველი შემთხვევისათვის, გვკითხა: „თქვენი აზრით, რა არის ჩვენი ასეთი ყოფის მიზეზიო?“ – თვალები ვჭყიტეთ! ხუთ წუთში ვინ გაქაჩავდა ნორმალურ პასუხს?!
აი, მაშინ წავიწეროვე: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? – არცა რა! მაგრამ აქ: სიკეთე თოხლად დაიკვლებოდა, იქ: ასო-ასო აიქნებოდა და დარჩებოდა ოხერი-ოხრად... აქ: შურის კაკლები აისხმებოდა, იქ: ამოავლებდნენ ღვარძლის ჩურჩხელას და სიყვარული დააკლდებოდათ, აქ: გალეწავდნენ კალოს კევრებით, იქ: აკურთხებდნენ სისხლიან კვერებს, შეექცეოდნენ ცოდვიან კანონს... აქ: კლავდნენ ვერძებს ოქროსტყავიანს, იქ– ამზადებდნენ ეშმაკის კერძებს და ნარჩენებით აძღობდნენ ძერებს... აქ: დგამდნენ ყინულის ფართე მოედნებს, იქ: აცეკვებდნენ გულებს ფართიზე, და ბელზებელნი მთა-ბარს მოედვნენ, მზის ცხრავე თვალის დამავსებელნი, და ნგრევის ჟინი არ ასვენებდათ. ჰა, ვიღას უკვირს: აქაც ჭირია! იქაც ჭირია!“ – ესე, პირდაპირ, იქვე „გამოვაწეროვე“ ლექსი.
ლექტორმა (კომუნისტური გარეგნობის) გარეთ გამომიშვა, – ჰაერი ჩაყლაპეო!
ეგ კიდე არაფერი!.. ამოვდივარ მეექვსე კორპუსის „პადზემკიდან“ და ციგნის (ბოშა) პატარა გოგო, „ყვითელმაიკიანი“, ესე, პირდაპირ, შემომახტა (სიმაღლე (ჩემი) 1მ. 79 სმ.)

და საყურე ჩამომგლიჯა. სისხლმა დამისვარა ყველაფერი. გაიქცა, რა გაიქცა! გამოვედევნე, რა გამოვედევნე! დავიჭირე და ვცემე! საყურემ კი არა, რაღაცა შეურაცხყოფამ, დამცირებამ, ტკივილმა მაცემინა. არავინ მიეხმარა, თავისი „შაიკაც“.

ჩავუყევი კოსტავას, რუსთაველს (ქუჩებს, რა თქმა უნდა), ერთი, ორი, სამი... რა დაითვლის ამდენ მათხოვარს!.. „ძვირფასო, ჩემი სათხოვარია: როცა ქუჩაში მათხოვარია, ნუ განიკითხავ, რა ცხოვარია! – იქნება სულაც მაცხოვარია?!“ (ეს ჩემი ლექსი არ არის). – კიდე რო მელექსება, კიდე რო მელექსება, – ვბრაზობ ჩემს თავზე.

ბილბორდები. ბილბორდები. „აუ, როგორ გაახურეს ამ დებილმა ბილბორდებმა! თქვენი თავი, ასიანი, ბილ-ბოდენთან მიგორდება“. უცებ, კიდევ ერთი პატარა ბოშა მეცა და ჩანთის წართმევა დამიპირა. ეტყობა წეროობის მომენტში გათიშული, უეშმაკო სიფათი მაქვს. დე ლა მელა მჭირდება. დე ლა მელა გამოუშვი ჩემთან, ბატონო ზაზა (აბზიანიძე), ეშმაკობის მასწავლებლად!...

იმავე კვირას ქართულის ლექტორმა „დრო მოიტოვა“ და თანამედროვე და მე-20 ს.-ის მწერლებზე ჩამოაგდო სიტყვა. აღმოჩნდა, რო ყველა ჩაციკლულია ჰემინგუეი-ჯეკ ლონდონ– კოელიოზე. მე – ფოლკნერ-ვულფ-საროიან-პავიჩზე. – „რაო, საროიანიო?“ – სახეები დაებრიცათ, „ეგ სომეხია, მაგათ მეტიც არ უნდათო!“ –„ჰო, სომხური წარმოშობა ჰქონდა, მაგარი ვინმე იყო, და საერთოდ, მაგათ იმდენი კაი ვინმე ჰყავდათ, მიკვირს, პლაგიატში რად იხჩობიან,-მეთქი; აი, პავიჩი... „რო აინთება ბრდღვიალა მზეო, ისეთი არი მაგისი ჰერო!..“ –კიდე უფრო დაიღრიცა პროფილები, ანფასებიც. „ანფასები, ანფასები... ხან ნაღდები, ხან-ფარსები!..“

ლექციის შემდეგ „პადზემკაში“ ჰოთდოგი ვიყიდე. ჩაკბეჩილი არ მქონდა, ის ბოშა გოგო დავინახე, ყვითელმაიკიანი, ბორდიურზე იჯდა. მივედი და გვერდით მივუჯექი. ერთი შემომხედა და სართულიანი შემიკურთხა. გაქცევა უნდოდა, –დავსვი. „-რა გიდე უნა მსემო?!“ (ავაზის პოზა მიიღო), –„არა-მეთქი“ და ჰოთდოგი მივაწოდე (ჯოკონდას ღიმილი – ბოშას უნდობლობა, ორივე „წრეში ჩატეული“). ნელ-ნელა ცხრებოდა ავაზა გოგოს თვალებში. ჭუჭყიანი ხელებით ჰოთდოგი გატეხა და ნახევარი ისევ მომაწოდა,– „შენ რა, ჩემისავით გახდომილი ხარო“,– შევეცოდე.

ვისხედით ჩუმად. ეხლა ყოველი სიტყვა მართლა ზედმეტი იყო. გოგომ ხელი დამისვა ხელზე. ვიგრძენი დედაჩემის ნაჩუქარი ბეჭდის თვლის (გულის) კანკალი. –„დედაჩემის ნაჩუქარია, თორე...“ აღარ დავამთავრე. ცოტა ხანს კიდევ იდო ჩემს თეთრ ხელზე გოგოს ჭუჭყიანი ხელები ტალახიანი ყვავილებივით.

იმ დღის შემდეგ ვუზიდე და ვუზიდე ჩემი, დაპატარავებული, მაგრამ სულ ახალი კაბები, შარვლები, მაიკები. მთელი ბიჟუტერია ხო მაგის ყელ-ყურზე ეკიდა! ასე დადიოდა დაზმანული. ის ყვითელი მაიკა აღარ ჩაუცვამს. ჩემი ღრმადღირებული დროის 5-10 წუთს თითქმის ყოველდღე „ვუთმობდი“ ამ გოგოს. ეხლა ზუსტად არ ვიცი, რაზე ვლაპარაკობდით, ალბათ ყველაფერზე და არაფერზე!

მომდევნო კვირას სულ ყვითელი ავტობუსით „ვიგულავებ“ რო ფული დავზოგო და ვიყიდო „სანტა-ესპერანსა“... ეე! კალგოდკა დამხევია! ჯანდაბას! – კალგოდკასაც (ჰო, კოლგოტი, ნუ გაიგიჟეთ თავი!) ვიყიდი...

მომდევნო კვირა მართლა ვიმგზავრე ყვითელი ავტობუსებით: აღმაშენებლის ძეგლთანაც წავიწეროვე: „რა დაუწუნეს შენი ცხენის გავა-უკანალს, როცა ფლოქვნი შენი

ცხენისა ამ საცოდავებს დღესაც ავგეას თავლებს უკვალავს. აღარ იციან, ვინ ვის ეფეროს?! – მიგახედეს საით, მეფეო?!“

ჰო, კალგოდკა დავკემსე (ჩექმაში მაინც არ ჩანს) და... ვიყიდე „სანტა-ესპერანსა“. მოვდივარ ჩემი (აკას) „სანტა-ესპერანსათი“ და ჩემი ბოშა გამეჩითა. ხელში რაღაცა ეჭირა და ეშმაკურად იცინოდა. – „ობობა!“ – ვიკივლე და ჩავიკეცე. არაქნეფობიამ (წერომანიასთან ერთად ესეც მჭირს) რო გამიარა, გოგოს ჩემი ხელები ეჭირა და მებოდიშებოდა: „რა იყო, გოგო, რა გეშინია, ამან რა უნა დაგიშაოს? მე აგე, იმ გასისა მეშინიან,“ – პატრულისაკენ გაიშვირა თითი.

„პატრულო, პატრულო, ცოდვები მატულობს!... რადგან ეს ცოდვის საგრაფოა. მე ვარ გრაფინია. რა-ფინი-რებული. ფურჩალ-ფურჩალები თოკზე აფენია და ფინიებივით მელაქუცებიან. თითქოს უცემიათ უმიზეზოდ, როგორ გაანათებს უმი მზეო?! მთვარე მედალია ეშმაკობისათვის დე ლა მელას მკერდზე, ან მრგვალი მაგიდა ურაინდოდ. ეს ცოდვის სასახლეა! მე ვარ მოახლე, ცოდვებში მხილებული; – ცოდვის ხილეულის ვიპოვე კალათი, – ვიგემე ნაფცქვენი, და როგორც ჯალათი, ცალთვალა, დამცქერის მთვარე და დე ლა მელია მიდგება თავდებად: ქურდობას არასდროს გავბედავ!!!“

არა გავგიჟდები! მომდევნო კვირას ვიტყვი აღსარებას და ვეზიარები, აუცილებლად.

მომდევნო კვირას ყველაფერი ჩვეულებრივ მიდიოდა: ლექციები-სახლი და შუალედში ხუთწუთიანი ლირიული გადახვევა ჩემს დაქალ ბოშა გოგოსთან.

პარასკევს, ორ საათზე (დაახლოებით) მე-6 კორპუსის წინ წივილ-კივილი ატყდა. გავიხედე, – ჩემი ბოშა მირბოდა, და რას მირბოდა! და მისდევდა ის ფორმიანი კაცი, რას მისდევდა! არ ვიცი, თვალი მომკრა თუ რა, – ქუჩა გადმოჭრა და...

მე რო მივედი, აღარ სუნთქავდა. ჩემი ნაჩუქარი გულიანი მაიკა ეცვა (ვარდისფერზე წითელი გულით) და ჭუჭყიანი ხელები ყვავილებივით ესვენა გულზე. ჩემი ნაჩუქარი შოტლანდკის კალთა გადახსნოდა და მოუჩანდა ტრუსი წარწერით „Love“. გარშემო შეშინებული ბოშა ბავშვები ეხვივნენ. სხვებიც. მერე ყველა წავიდა. დავრჩით მე და რამდენიმე ბოშა. ხელიდან დედაჩემის ნაჩუქარი ბეჭედი წავიძრე და ჭუჭყიან, ჯერ კიდევ თბილ შუათითზე გავუკეთე. რო(მ) წამოვედი, შუქნიშანთან ის ფობია-კაცი დავინახე, პოლიციელებს რაღაცას უხსნიდა. ქუჩის კუთხეში გოგო და ბიჭი (სქესთა ბალანსი!) კოცნიდნენ ერთმანეთს. ეე, „სიყვარულმა თმები შეიჭრა“ და ესენი აზრზე არ არიან. ესე ჩავიარე რუსთაველი ყვითელი ავტობუსით, წერომანიას აღარ მოუვლია, არადა, რამხელა მზე ანათებდა თბილისის ცას!

დე. დედუნა. არაფერი მინდა. ვბრუნდები სახლში და შენზე ვფიქრობ, მეშინია, დე, რომ უშენოდ მარტო ვარ ამ დიდ ქალაქში! შენც ახლა მარტო ხარ სოფლის უზარმაზარ სახლში და ფიქრობ ჩვენზე. რას იზამ, ფრენა ვისწავლეთ! ახლა მარტო ხარ და „დედის ლოცვებს“ კითხულობ. ღვთისმშობელს ავედრებ ჩვენს თავს, რომ თუ შენი კალთა ვერ გაგვწვდა, დედათა-დედამ დაგვიფაროს თავისი კალთით (ის საცოდავიც დაიფაროს!).

ახლა მარტო ხარ. ცრემლები ლუკმასავით გადგება ყელზე. ჩემი პიჟამოს სუნს ყნოსავ და წინა კვირას სავარცხელში ჩარჩენილ ჩემი თმის ღერებს უყურებ. გეცინება. აღარ მიბრაზდები. „თმის რეზინა დაგრჩენია, „ისტ. რარიტეტებიც“, რაღა მიგქონდა?“ ათჯერ მაინც წმენდ მტვერს, არარსებულს, საწერ მაგიდაზე და უჯრებში ეძებ ჩემს ბავშვობას. სულ წინა ორ ფეხზე რომ მეყენა სკამი მეცადინეობისას, თითქოს მივაჭენებდი, ახლა ამ მორყეულ სკამზეც გეღიმება. ახლა მარტო ხარ და გველოდები (მე, თიკოს, ზაზას,

ლოდინსაც აქვს თავისი ხიბლი). დედა, დედუნა (ხელები არ გაასავსავო, რვეულის ბოლოში ვიწერ), თმის საღებავი უნდა ჩამოგიტანო და... გიყიდო ფოლკნერის ახალი, მაგარი გამოცემა. და კიდე მაგარი ამბები უნდა ჩამოგიტანო და – დარდებიც, დე... რა ვქნა, მე მარტო ვერც სიხარულს და ვერც ტკივილს ჯერ ვერ მოვერიე. მერე ვისწავლი. დე, მართლა! – აღარ ვწეროობ, რაღაც ძალიან ქვეპროზაული მეჩვენება ყველაფერი. რა ვიცი, იქნებ ესეც დროებითია.

სოფია კენჭიაშვილი

რატომ ეს?

იმიტომ, რომ აქ ჩანს ყველაზე რეალურად ჩემი ემოციები და ის, რაც საერთოდ გარშემო ხდება და რაც მტკივა, რაც ფსევდოფასეულია და რის გამოც ის, რაც ჭეშმარიტად ღირებულია იკარგება, ჩანს რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრობს დღევანდელი დღითა და ღიმილით, „ჩაგრება“ გარშემომყოფთაგან, ჩანს, რომ ადამიანთა უმეტესობას ეშინია ცვლილებების და ამის გამო ძირავს მას, ვინც ცდილობს, რომ ეს „ცვლილება“ შეიტანოს მის ცხოვრებაში და თავად მასში, ეშინია სიყვარულის და განსხვავებულობის, ეშინია საზოგადოების დამოკიდებულების მისადმი და არ ფიქრობს იმაზე, რომ ცხოვრება ხანმოკლეა და არ ღირს მისი ისე გატარება, როგორც ეს თავად მას კი არა, სხვებს უნდათ, დანარჩენს მოთხრობიდან გაიგებთ.

(დაგხატავ) შავით თეთრზე, ანუ ცხოვრების წამზომი

დაგხატავ რა...
აბსოლიტურ გრძნობას დავშლი ფერებად, ცისარტყელის ფერებად, წითლად, ყვეითლად, მწვანედ, ლურჯად, წითლად, წითლად, წითლად და დაგხატავ, პალიტრაზე ფერები ერთმანეთში აიჩეხება და მხოლოდ წითელი ზოლები დარჩება, ზუსტად ისეთი ზოლები, ჩემს თმას რომ დაჰყვებიან სისხლისფერ ღელეებად, და მე უმოწყალოდ დაგხატავ, ჩემი სისხლით გამოვიყვან შენი არამიწიერი სუნთქვის ნაკვეთებს, დასვრილ ხელებს ლოყებზე შევიწმინდავ და წითლად ატირებული ცის ცხელი ემოციებით დასველებულ გზებს გავუყვები, შევალ მეთვრამეტე ნაბიჯზე შემხვედრ ბარში, სადაც ჩემს ამოჩემებულ მაგიდასთან დამხვდება წითელი ფორთოხლის ცივი წვენით სავსე ჭიქა, ყინულებისა და საწრუპის გარეშე... გულის გამალებული მოუსვენრობა ბზარებს გამიჩენს მკერდზე, რომელსაც შავი კორსეტი დააკავებს და ჩემი შავი, გრძელი ქვედაბოლო წითელი წვეთებით დაიწინწკლება... ვიტირებ? ალბათ კი, მოვუსმენ anja garbarek-ის „her room“-ს და კიდევ მოვითხოვ წითელი ფორთოხლის წვენს...
გარეთ?
გარეთ ბევრნი არიან, უსაშველოდ ბევრნი, არეულნი, აზელილნი ერთნაირ, ნაცრისფერ აზრებში, ერთმანეთის ჩაცმულობაში, ერთმანეთის გემოვნებაში, ერთმანეთში... მე კი მოვითხოვ საკუთარი გოდოლის აგებას, რათა ავიდე, ბოლომდე ავიდე, კოსმოსის ვაკუუმს მივაწვდინო ჩემი გრძელი, წითელი თმა და გავსკდე წითელი ცრემლების გაცემით, მოვითხოვო სიყვარულის კანონები, შავით თეთრზე დაწერილი კანონები, რომლებიც არ არსებობს...

უი, იცი?
სიკვდილი გვაახლოვებს სიყვარულთან, რომელიც სრულ დისონანსს ქმნის სულსა და ცნობიერებაში, ჩვენ ვეძებთ, ვალაგებთ, ვახარისხებთ, ვივიწყებთ, ვიმახსოვრებთ, გვცივა, გვცხელა, გვეშინია, გვიხარია, ვტირით, ვიცინით, ვნერვიულობთ, ვდარდობთ, ვეწევით, ვსვამთ, ვსუნთქავთ, ვისუნთქავთ, მუსიკას ვუსმენთ, ვუკრავთ, ვქმნით, ვანგრევთ, ვაფუჭებთ, ვალამაზებთ, ვგრძნობთ, ვხატავთ, ვხატავთ, წითელით შავზე ვხატავთ, აბსოლიტური ემოციებით ცხოვრებას ვცდილობთ, აბსოლიტური გრძნობით, სიყვარულით ცხოვრებას...
გამოდის?
იშვიათად, იმიტომ, რომ გვეშინია, გვეშინია ერთმანეთში არეულებისა და ვცდილობთ მათ სინაცრისფრეს შევერიოთ, ვიცხოვროთ „ნამდვილი“ კანონებით, შავით თეთრზე დაწერილი კანონებით, კოდექსებით, მუხლებით, თავებით, ქვეთავებით, შენიშვნებით, მცნებებით, ავდგეთ რვაზე, ვისაუზმოთ, საყვარელ ადამიანს წლობით ნასწავლი ღიმილით შევახსენოთ, რომ გვახსოვს მათი არსებობის შესახებ, წავიდეთ სამსახურში, გავაკეთოთ შავით თეთრზე დაწერილი საქმე, დავიღალოთ, თანამშრომლები მსუბუქად გავჭოროთ, უფროსს მლიქვნელური, წლობით ნამეცადინევი ღიმილი შევაგებოთ, ან აქეთ შეგვაგებონ, იმიტომ, რომ მდივანი გვყავს, რომელიც ყავას გვიდუღებს, ტრადიციულად სულ ტელეფონზეა ჩამოკიდებული და ჭორების თანახმად, ხანდახან მინეტსაც აკეთებს, იმიტომ, რომ საკუთარ ოფისებში ვსხედვართ და ალბათ კიდევ უფრო იმიტომ, რომ ჩვენ ვართ „უფროსები“. მერე სახლებში დაბრუნებულებმა მეორე ნახევრებს დილანდელი, ცოტა დაღლილობაშერეული ღიმილი მივაწოდოთ, შხაპი მივიღოთ, ვივახშმოთ, ტელევიზორს ვუყუროთ, თუ გაგვიმართლა და მანამდე არ ჩაგვეძინა, წამახალისებელი სექსით დავკავდეთ, იმიტომ, რომ ეს კანონია, ვიღაც გამოყლევებული დოგმატიკების მიერ დადგენილი, რვაზე კი ისევ გასაოცარი სიზუსტით დარეკავს მაღვიძარა...
და როდესაც ერთ დილას გამოსულნი შუა სინაცრისფრეში დავინახავთ ადამიანს წითელი თმებით, რომელსაც ხელში პალიტრა უკავია და ცდილობს, ნაცარს წითელი შეურიოს, ავფორიაქდებით, შეგვეშინდება, მყისვე გადავშლით შავით თეთრზე დაბეჭდილებს, გადავათვალიერებთ ტელეარხებს, ამოვქექავთ არქივებს იმ კანონის ძებნაში, რომელსაც სიყვარული და თავისუფლება ჰქვია, რომელიც ქუჩაში ფეხშიშველა დგას და ხატავს, რომელიც ოფისში შემოგვისეირნებს და დილას დალეულ წითელი ფორთოხლის წვენს ორი თითის დახმარებით მშვიდად გადაგვირწყევს კანონებზე, რომელიც გასაოცარი სიზუსტით დალაგებულ ცხოვრებას სრულ ქაოსად გვიქცევს, და რომლისაც, უბრალოდ, შეგვეშინდება, იმიტომ, რომ ჩარჩოებში ვსხედვართ, პატარა ჩარჩოებში, ზომით სამი ოთხზე, რომელიც პირადობის შავით თეთრზე დაბეჭდილ მოწმობებში გვიკიდია, პასპორტებში, საქმიან ქაღალდებში, რომლებზეც ჩვენი „ღირსებაა“ დამოკიდებული, ჩვენდამი ერთმანეთში აზელილების აზრებია დამოკიდებული, ქაღალდებზეა დამოკიდებული, რომლებსაც ერთი წითელი ნაპერწკალი ეყოფა ნაცრად ქცევისათვის. კანონებს, ბუნებრივია, ვერსად ვპოულობთ და იწყება მასობრივი აჯანყება, ყველანი უეცრად და შეთანხმებულად ყლეზე ვიკიდებთ ჩვენს „პატიოსნებასა“ და „ღირსებას“, ღვთის, ერის, რჯულის, ღირსების, პატიოსნების, მორალის, შავით თეთრზე დაწერილების, ენის, მამულისა და სარწმუნოების სახელით

ნაცარს ვაყრით ამ სიწითლეს და ვცდილობთ გავექცეთ იმას, რაც ქვეცნობიერად ყველას ძალიან გვინდა, უბრალოდ ქაღალდები გვიშლიან ხელს, ქაღალდები და ერთმანეთი...
დაგხატავ რა...
არა, მე არ მწყინს, რომ გეზიზღები, მე ხომ შავით თეთრზე არ ვწერივარ, მე ხომ ქაღალდი არ ვარ... ვიცი, იმისათვის, რომ გიყვარდე, „კანონები“ უნდა დაარღვიო, რაც, კაკ მინიმუმ, შენს ბიძაშვილებს ძალიან ეწყინებათ, არადა მე ხომ უბრალოდ მიყვარხარ, მე ხომ უბრალოდ მინდა თავისუფალი იყო...
იცი რა?
მოდი, ვითამაშოთ!
შენ კაპიტანი იყავი გემის, მე გემი.
ჩემი კაპიტანი იყავი...
შორეულ ნაოსნობაში, წავიდეთ, დავირქვათ ოკეანეში დაკარგულები და დავიკარგოთ...
მერე შტორმი წაგვლეკავს, მე სახელდახელოდ აწყობილ ტივად ვიქცევი და მხოლოდ შენ გადაგარჩენ, ვიცურებ თავდაუზოგავად, უკაცრიელ კუნძულზე გაგრიყავ და დაღლილი მივესვენები სველ და ქვიან ნაპირს, შენ ტყისაკენ წამათრევ და მზიან ადგილას დამდებ გასაშრობად.
საღამო ხანს შეგცივდება, დაანთებ ცეცხლს და შეშად ჩემს გადაღლილ სხეულს იხმარ და მე გაგათბობ უკანასკნელად, მეყვარები უკანასკნელი ნამწვის ჩაქრობამდე...
მერე მოვა სხვა გემი...
მე კი დავრჩები კუნძულზე ნაცრად ქცეულ შავ ლაქად, რომელსაც დროის განმავლობაში წვიმა გადამრეცხავს, წვიმისას გაჩენილ პატარა ღელეებს ოკეანეში ჩავყვები და ოკეანედ ვიქცევი, ჩემს გულში იქნები შენ და გემის. მერე ისევ შტორმი, მაგრამ სახელდახელოდ აწყობილი ტივი გიმტყუნებს და შენ ისევ ჩემთან დაბრუნდები...
თამაში დასრულებულია, ჩვენ ოკეანე ვართ...
იცი? საათი!
უყურებ საათს, რომელიც წამებს ითვლის და ალბათ ზიზღსაც მოგგვრიდა, ფიქროს დრო რომ გქონდეს, შენ ხომ შეიძლება ხვალ ისე გაქრე, რომ ვერც ვერავინ გაიგოს, რომ ოდესღაც არსებობდი, შენი „ღირსებებით“ გატენილი ქაღალდები მუყაოს ყუთში ჩალაგდება და თაროზე შემოიდება, სურათს სამი ოთხზე დამკრძალავი ბიუროს გვერდით არსებულ კომპიუტერული მომსახურების ოფისში დაასკანერებენ, გაადიდებენ და ქვაზე ამოტვირფავენ, გაადიდებენ, შავ ჩარჩოში ჩასვამენ და სასტუმრო ოთახის ყველაზე თვალშისაცემი კედლის შუაგულში ჩამოკიდებენ, ხანდახან სანთელს აანთებენ, შენზე ან კარგს იტყვიან, ან არაფერს, ყოველ შენს დაბადების დღეს, წლისთავს, აღდგომასა და მიცვალებულების მოხსენიების დღეს სასაფლაოზე ამოგივლიან, ღვინოს გადააქცევენ იქ, სადაც სავარაუდოდ შენი კუბო უნდა იყოს ჩაფლული, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო არასოდეს გიყვარდა და მთელი ცხოვრება „კოკა-კოლას“ სვამდი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ „კანონია“, რომლიდანაც გაქცევა საშიშია, იმიტომ, რომ მერე შენი შეეშინდებათ...
მე კი დაგხატავ...
შენ კი არ დაგაგვიანდეს სამსახურში, წამზომი ხომ უმკაცრესი სიზუსტით მუშაობს! ხო, და იქიდან გამოსულს ქამრის შეკვრა არ დაგავიწყდეს, ჭორი ოხერია, ქაღალდებში

ჩაწერილ „ღირსებებს“ გაუფრთხილდი, მე კი უბრალოდ იმიტომ მიყვარხარ, რომ სიყვარულის კანონები არ არსებობს, მაგრამ არ მეშინია...

„ადამიანი თავისი ცხოვრების ჯვარზეა გაკრული, დაბლა დახრილი თავი დაჩხვლეტილი აქვს საკუთარი აზრების ეკლებით“.
© პოლ ვალერი

მიხო მოსულიშვილი

„ალლოპლანტი“

ახლა ის უნდა მოგიყვე, გუშინწინ ღამით რომ ერთი ფეთიანი ამბავი შეგვემთხვა. შეიძლება, დაგაინტერესოს და დაწერო კიდეც... აბა, სულ იმ ვიღაც ნაომარ ძველბიჭებზე ხომ არ უნდა მოგვიყვე ხოლმე?

ამ ჩემს ქალიშვილს ხომ ადრინდელი ამხანაგებიც ჰყავს, სამედიცინო აკადემიიდან. ჰოდა, იმათში არის ერთი შალვა მარქარაშვილი, შვილი ტაგანროგში თუ სიკტივკარში მცხოვრები კრიმინალური ავტორიტეტისა, რომლის მეტსახელია ხანდახან „დომინო“, მაგრამ ძირითადად „მაკინტოში“.

ჰოდა, ეს ჯგუფელები „სასაცილო“, ანუ „შეკეთებულ“ სიგარეტებსაც ეწევიან და არც დიაბეტიკების ნემსით ნარკოტიკის შეშხაპუნებაზე ამბობენ უარს. მათ წრეში ვინც ტრიალებს, ხომ იმათებური უნდა იყოს. აი, მაგაითად, ამ ჩემი მარის ადრინდელი ჯგუფელი, თათა ნოდია დაიმეგობრეს და ის თათა ნოდია უკვე იმ სასაცილო სიგარეტებსაც ეწევა ჩუმ-ჩუმად და თუკი სახლიან მთელი ღამით ამხანაგებთან გაშვებაზე დაითანხმა მშობლები, არც ხომ ნარკოტიკს მოიკლებს და საყვარლადაც ჰყავს შალვა მარქარაშვილის ძმაკაცი, დათკა ბუაძე.

შალვა მარქარაშვილი ხშირად აწყობს ხოლმე მეგობრულ შეხვედრებს თბილისშიც, სადღაც მეიდნის ახლოს მდებარე სახლში და აგრეთვე მცხეთის აგარაკზეც, სადაც მთელი ღამით უყვართ წასვლა და მეორე დღის საღამოს ჩამოდიან.

მარი დაუმეგობრდა ამათ, მაგრამ ამათ წრეში მაინც თეთრი ყვავივით არის, რადგან დამოუკიდებელია და თან აკრიტიკებს კიდეც – თათა ნოდია რომ წავიდა ნიდერლანდებში, დათკა ბუაძემ და შალვამ ასწავლეს, რომ ჯერ პასტა გამოეშვა კბილის პასტის ტუმბოდან, მერე მარიხუანა წვრილად დაეხვია, ცელოფანში გამოეკრა ჰერმეტულად და იმ დაცლილ კბილის პასტის სათავსოში შეეცურებინა. მერე შიგ ისევ კბილის პასტა შეეშვა და ასეთი რამდენიმე ცალი წამოეღო, რადგან არ არსებობს ქვეყანაზე მებაჟე თუ გერმანული ნაგაზი ანდა კოკერსპანიელი, რომელიც იმ მარიხუანას იპოვნის.

მართლაც ასე ჩამოიტანა თათა ნოდიამ ნიდერლანდებიდან მარიხუანა. მერე მარის შეხვდენენ და ეს ამბავი დიდი სიამაყით გაუმხილა შალვამ. მარიმ უთხრა, მასეთი რამის გაკეთება როგორ შეიძლება, რომ გაეგოთ, ხომ ციხე უკან დარჩებოდა იმ საწყალ თათასო.

ამ ბოლო ხანებში ეს თათა სულ ურეკავდა მარის და ეუბნობოდა, მცხეთაში წამოდი ღამე დარჩენით შალვა მარქარაშვილის აგარაკზე, ჩვენი კუტოკი ვიკრიბებითო.

მარის ძალიან უნდოდა წასვლა, დედამისს ედავებოდა ხოლმე – მთელი ღამით გამიშვი წყნეთშიო. დედამისი ეუბნებოდა, – ერთი საღამო გაგიშვებ, მაგრამ მთელი ღამე – ვერაო. მაშინ, საერთოდ არ მინდა იქ წასვლა, ერთი ღამით გამიშვიო. იქიდან არავინ მოდის, ვიღას უნდა გამოვყვე იმ შუაღამისასო. ვერ გაგიშვებო, – დედამისი ეუბნებოდა. ეს ლაპარაკი მე მესმოდა და მახსოვდა.

აი, ასეთი წინაისტორია აქვს ამ ამბავს.

ჰო, არ დამავიწყდეს, შალვას ჰყავს დედა, საკუთარი კოსმეტიკური სალონი აქვს და ბოლო მოდელის BMV-თი დაიარება. ჰყავს მომხიბლავი, პრიალათვალებიანი დეიდაც, ნატალი, რომელიც აქაური ტოპ-მოდელების წრეში ტრიალებს და თან პოდიუმებზეც გამოდის ხოლმე, თუ კაი გუნებაზეა. იმისი კაი გუნება კიდევ თბილისში ელიტარულ ნარკოტიკად შემოტანილი კოკაინისგან არის ძირითადად და ისე, არც სუბუტექსს იწუნებს მაინცდამაინც, ოღონდ პატარა დოზებით.
ჰოდა, გუშინ საღამოსაც მარი თავის მეგობარ ნატუკასთან ერთად ვაკის რომელიღაც კლუბში წავიდა, თერთმეტი ხდებოდა.
ცოლს ვუთხარი, – ნატა, ასე გვიან რატო უშვებ მეთქი.
და, – ახლა იხსნება ყველა კლუბი, შინ ხომ არ გამოვკეტავო.
ჯანდაბას...
მოკლედ, წავიდა.
ვზივარ ჩემს მაგიდასთან და სანამ ფუტბოლი დაიწყება, ერნსტ რიფგატოვიჩ მულდაშევის „ღმერთების ქალაქის ძებნაში“-ს პირველ ტომს ვკითხულობ, რომელსაც წინაპრების ტრაგიკული გზავნილი“ ჰქვია. მოსკოვიდან გამომიგზავნა ვალოდიამ, – ჩემმა იქაურმა ჯგუფელმა, კოლეგამ და მეგობარმა, უფრო სწორად, ვლადიმირ ანდრეევიჩ ზიმამ, – მე მთლად ჭკვაში არ მომდის, მაგრამ შენ გადახედე მაინცო.
ეს მულდაშევი ისეთი მსოფლიო მასშტაბის სწავლულია, რომ იმისი ტიტულების ჩამოთვლას რამდენიმე გვერდი არ ეყოფა. მედიცინაში ახალი მიმართულების, რეგენერატიული ქირურგიის ფუძემდებელია, ანუ ადამიანის ქსოვილებს ”გამოზრდის“ ხოლმე. თვალის ტრანსპლანტაციაც პირველად მან გააკეთა.
პროფესორი მულდაშევი აღიარებს, რომ ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ჩასწვდომია თავისი მთავარი გამოგონების – ბიომასალა „ალლოპლანტის“ არსს, რომელსაც გარდაცვლილი ადამიანის ქსოვილებისგან ამზადებს და მერე ეს ქსოვილები სხვა ცოცხალი ადამიანის ქსოვილების რეგენერაციას უწყობს ხელს. ამიტომ მიმართავს რელიგიის საფუძვლებს და ეზოთერულ ცოდნას. ხუთი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო ჰიმალაებში, ტიბეტში და ეგვიპტეში...
ვკითხულობ და თან ისიც მესმის, რომ ჯერ ნატას დაურეკა მარიმ, თორმეტის ნახევარზე, – შალვა მარქარაშვილი და იმისი მეგობრები შემხვდნენ ლუდის ბარში, შალვა მარქარაშვილის სახლში მეპატიჟებიან, ნატუკას გავაცილებ და გავყვებიო. კარგი, გაყევი, ოღონდ მალე მოდიო, ნატამ. ეს დავიმახსოვრე.
გულგახეთქილი განვაგრძობ ამ მულდაშევის წიგნის კითხვას – კაცი გაიძახის, – ადამიანების ამპარტავნობა, ანუ ღმერთთან თავის გატოლება ძალიან რომ მოიმატებს დედამიწაზე, ღმერთი არიული (ესე იგი, ყველა თანამედროვე და არა მხოლოდ გერმანული) კაცობრიობის განადგურებას გადაწყვეტს ისევე, როგორც მანამდე გაანადგურა ცივილიზაციები: ანგელოზისმაგვარი ადამიანებისა, მოჩვენებისმაგვარი ადამიანებისა, ლემურიელებისა და ატლანტებისაო. ჰოდა, ამ საშინელ ამბავს რომ გადაწყვეტს უფალი, აიღებს და ჩრდილოეთის პოლუსს 6666 კილომეტრით გადასწევს მაინცდამაინც ამერიკისკენო (რუსეთისკენ რატომ არ უნდა გადმოწიოს, – ამაზე არაფერს ამბობს!) და აი, მაშინ დაიწყება მთელი რიგი უბედურებებისაო; ჯერ ერთი, მთელ დედამიწას ერთი კილომეტრის სიმაღლის ტალღა გადაუვლის და ყველაფერს დაანგრევსო; მერე მიწისძვრები დაიწყება, ვულკანები ამოხეთქავს, უღრმესი ნაპრალები

გაჩნდება და ვინც გადარჩება, ისინიც განადგურდებიანო. ხმელეთიდან ჰიმალაი-ტიბეტი და ალტაი-პამირის მიმდებარე ალაგები დარჩებაო და საქართველოს ადგილზე კავკასიონის მწვერვალებიღა იქნება კუნძულებადო, მერე რამდენიმე ასეული წელიწადი გამყინვარება იქნება, სანამ სქელი ყინულით არ დაიფარება მექსიკა-ამერიკა-კანადის ტერიტორიაო. მაგრამ ტიბეტის ქვეშ ღმერთების ქალაქიაო და იქ შემოინახავს ღმერთი კაცობრიობის უკეთეს ნაწილს და მილიონი წლების მერე, კარგი პირობები რომ დადგება, ისევ კლონირებას გაუკეთებს და უკეთეს ადამიანებს აღადგენსო...
ვაა, შენ რა გითხარი ვალოდია, ეს რა წიგნი გამომიგზავნე?! და ეს ფეხბურთიც რომ აღარ დაიწყო რა...
არც ჩემს მეორე მეგობარს, გურაშა თვალჭრელიძეს მოსწონს ეს წიგნი და რაკი გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორიც გახლავთ, თავისი კუთხით აკრიტიკებს კიდეც – ამ პროფესორ მულდაშევს ელენე ბლავატსკაიას „საიდუმლო დოქტრინა“ ამდენი რომ არ ეკითხა და ცოტა გეოლოგიაშიც ჩაეხედა, ხომ ეცოდინებოდა, რომ ეს მაგისი აკვიატებული ტიბეტიც და ჰიმალაებიც ვერ გადარჩება, კონტინენტები მოძრაობენ და სულ სხვაგან იქნება რამდენიმე მილიონი წლის მერე მთებიო...
აი, ამეებს ვფიქრობ და ნატამ გადაურეკა მარის, თორმეტი საათისკენ, – რა ქენი, ჩიტო, მიხვედი მარქარაშვილთანო?..
ჰო, დედა, ახლა მივედითო, – მარიმ უთხრა, – აი, ტელეფონის ნომერი ჩაიწერე, აქ ვიქნებიო.
და ნატამაც ჩაიწერა ტელეფონის ნომერი – შვიდი-შვიდი, სამი-სამი და ექვსი-ექვსი. თან დაუბარა, – აბა, შენ იცი, დიდხანს არ დარჩეო. ვითომ “ბლატნოი“ ნომერია, მაგრამ სამი-სამი და ექვსი-ექვსი ძალიან საშინელი რიცხვები ყოფილა პითაგორას მიხედვით...
ჰო, კარგი, პაკაო, – უთხრა მარიმ და გაუთიშა მობილი.
– თუკი ვაკის რომელიღაც კლუბში წავიდა, ლუდის ბარში რაღა უნდოდა?
რა ვიციო, – მხრებს იჩეჩავს ცოლი.
ვაგრძელებ ერნსტ რიფგატოვიჩ მულდაშევის წიგნის კითხვას, პირველის თხუთმეტი წუთია და ნატას მობილური ისევ წკრიალებს.
დიდად აღარ მივაქციე ყურადღება – ნაწყენი ვარ, რა უნდა ღამით ლუდის ბარში?..
– ვაიმე, შვილო! – იკივლა ნატამ, – რა იყო, დედა, რა მოგივიდა?
მობილური გაეთიშა.
– ვაიმე, მიშველე კახა! მარიმ დამირეკა, „მიშველე, დედა, ავად ვარ!“. ჩქარა, რაღაც ამბავია!..
კახა მე ვარ და რაღა დროს მულდაშევი და წუთი-წუთზე დასაწყები ფუტბოლია!..
წამოვხტი მაშინვე, საგარეო შარვალი ამოვიცი მხოლოდ, ზემოთ ტილოს ლურჯი სპორტული მეცვა და პირდაპირ იმაზე გადავიცი შავი, უსახელო ჟილეტი.
კიდევ დარეკა ნატამ, მაგრამ მარის უკვე ენა ებმოდა – ასე იძახის: „მიშვეე, დეე...“ მეტს ველარაფერს ამბობსო.
კიდევ დარეკა ცოლის მობილურზე და ისევ გაითიშა.
– სახლის ტელეფონზე დაურეკე მეთქი! – ვუყვირე.
დარეკა.
– მარქარაშვილის ბინაა? მარის დედა ვარ. ჩქარა, მითხარით მისამართი, თუ არადა, პოლიციით მოვდივარ!..

ამისი თქმა იყო და რამდენიც არ დარეკა ნატამ, იმდენი გაუთიშეს.
ამასობაში მზად ვიყავი.
ახლა მე დავიწყე რეკვა და სახლის ტელეფონს აღარავინ იღებდა.
ნატა კი იცმევდა და მოსთქვამდა – ვაიმე, მომიკლავენ ჩქარა, კახა, ჩქარაო.
გავრბოდით ბავშვთა საავადმყოფოსკენ, თან ნატას ვუყვიროდი:
– იმათი სახლის ტელეფონი აესე გეჭიროს ორ თითში და როგორც კი მოგთხოვ, მაშინვე მომეცი! სად უშვებდი, რო უშვებდი?! ღამის კლუბი მე მომატყუეთ, თორემ ხომ იცოდი, რომ ლუდის ბარში მიდიოდა?!
– კარგი, თავი ხომ არ უნდა მომაკვლევინო, შევცდი ერთხელ! – ტიროდა ნატა.
თან დარეკვას ვცდილობდი, მაგრამ მარის მობილი ითიშებოდა. აშკარად ვიღაც უთიშავდა.
ჰო, ასე იყო – დაირეკებოდა ნატასთან და ტირილნარევი ხმით დაიწყებდა ჩემი ცოლი – „რა იყო, დედა, მისამართი მითხარი, მისამართი. ქუჩა, ქუჩა მითხარი!..“
„ქუუჩა... ქუუჩა“, – მიუგებდა ენადაბორკილი მარი და ისევ უთიშავდა ვიღაცა.
ასე მივირბინეთ სახანძროს უკანა ეზომდე, იქ ვაჩერებ ხოლმე ჩემს მანქანას ღამეში მანეთად, სახლთან ვერ ვტოვებ, „ოპელებზე“ ხომ სარკეებს იპარავენ.
თან ბენზინი წითელანთებული იყო, სასწრაფოდ უნდა ჩამესხა. არც ყარაულების მანეთ-მანეთი მქონდა მიცემული.
ნატას ორმოცდაათი ლარი ჰქონდა ნასესხები და ის წამოიღო.
გამოვაქროლე გიჟივით მანქანა, სარაჯიშვილის აღმართიდან ჩამოვიარე, რუსთაველზე გამოვედი, დავუხვიე ელბაქიძეზე და ქვემოთ დავუყევი, „ლუკოილში“ ბენზინის ჩასხმის დრო აღარ იყო. იქვე ჩავასხი და ძნელაძეზე გავვარდი, მთაწმინდის რაიონის პოლიციაში.
შევქროლდი ეზოში, გადმოვხტი, შევირბინე შენობაში, მაგრამ იქ არავინ იყო. დავრბოდი დერეფნებში, მთელი ხმით ვღიალებდი, მაგრამ არავინ გამოსულა. მერე გამახსენდა, მთაწმინდისა და კრწანისის პოლიციები ხომ შეერთდა და მგონი, ათონელის ქუჩაზე გადავიდნენ. მაშინ კი რა მახსოვდა, ჭკუიდან ვიყავი გადასული უკვე.
დავქოქე და მეიდანში გავვარდი.
ერთხელ მარი წავიდა, მაშინაც ღამით მაგ მარქარაშვილთან და მეიდანში, ხიდის პირდაპირ მდებარე მოედნამდე მივიყვანე და ვიღაც ბიჭი დაგვხვდა და იმან წაიყვანა მაშინ მარი.
ახლაც იქ გავაჩერე მანქანა.
გზაში ნატა საპატრულო პოლიციაში რეკავდა, მაგრამ ვერ დაერეკა.
მე მანქანიდან გადმოვხტი, ტაქსი გავაჩერე და ყვირილით ვთხოვე:
– თუ საპატრულო პოლიცია ნახო, გამომიგზავნე. ტელეფონს უთიშავენ ჩემ ბავშვს და მომიკლავენ, ჩქარა!
მძღოლმა ეჭვით შემათვალიერა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.
მერე იქით, ჯიხურებთან გადავირბინე. საპატრულოში როგორ უნდა დავრეკო მეთქი.
ნულ-ორი-ორიო.
რვიანით ვერ ვრეკავ მეთქი.
წინ რვიანი არ უნდაო.
ავკიფე მეორედ და როგორც იქნა გავედი.

– გოგონა, მიშველეთ, თქვენი ჭირიმე, ვინმე გამომიგზავნეთ. ტელეფონის ნომერი ვიცი სახლის, ბავშვი ცუდად არის და სახლის მისამართს არ მეუბნებიან. მიშველეთ, არ მომიკლან, ჩქარა!
– კარგი, დამშვიდდი. წეღან თქვენმა ცოლმა დარეკა, ტელეფონი გვითხრა, მე შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერულ ცენტრში დავრეკე, სახლის მისამართი ვიცით და ჯგუფი გავიდა! – მამშვიდებდა ქალის ხმა.
ამ დროს საპატრულო პოლიციის თეთრ-ლურჯი მანქანაც გამოჩნდა, ჩართული სირენებითა და სახურავზე ანთებული მოციმციმე ფარებით.
თანაც ვიღაცა იმ უბნელები აგვივლიდნენ და ჩაგვივლიდნენ ხოლმე, რომ ჩვენი ლაპარაკი გაეგოთ.
– ჩქარა, მიშველეთ! აი, ტელეფონი, ჩემი ბავშვი იქ ჰყავთ. ქურდის ბინაა. მიშველეთ!
– დაწყნარდით, მეგობარო! – პატრულმა რაციაზე გამოიძახა მეორე მანქანა. – ის ჯგუფი გავიდა? ჰო, გასულა.
– ბელუჯის ქუჩაზეა. ოცდაექვს ნომერში. მაგრამ იქ ყველაფერი დაკეტილია.
მოვარდა მეორე საპატრულო მანქანაც.
გამოგვყევითო.
დავიძარით. მივვარდით ბელუჯის ქუჩაზე.
დაკეტილი კარი ქუჩის მხრიდან შეამტვრიეს. შევვარედით შიგნით. ავირბინეთ მეორე სართულზე. ვიღაცას გააღებინეს კარი. მე სულ წინ გავრბოდი და პატრულები უკან მწევდნენ, ჩვენ გვაცადეო!
იკითხეს მარქარაშვილის ბინა.
– აქ არ არის, მეორე მხრიდან უნდა მოუაროთ, ყურყუმელის ქუჩის ჩვიდმეტი ნომრიდანო.
გამოვიქეცით სასწრაფოდ და მოვუარეთ მეორე მხრიდან.
ეზო იყო იქ. ეზოიანი ძველებური სახლი და იმ ძველებური სახლის ეზოში ჩადგმული იყო თეთრად შეფეთქილი ორსართულიანი სახლი, ფანჯრებზე აფარებული თეთრი რკინის ჟალუზებით. დაბლა ერთი ფანჯარა, მაღლა ორი ფანჯარა. სახლი ჩაბნელებული იყო.
პატრულები რაციებზე ლაპარაკობდნენ და საბოლოოდ დაადგინეს, რომ ეს ნამდვილად ის სახლი იყო.
დარეკეს ზარი. კარი არ გააღო არავინ.
ახლაც, ამას რომ ვიხსენებ და გიყვები, სულ ხელები მიკანკალებს...
როგორ თუ რა უნდა მექნა?! შენ ხომ არ გავიწყდება, ხევსურეთიდან რომ ჩამოვიდა პაპაჩემის მამა?!
ჩემი სკალპელი მქონდა წაღებული და რაღაში მაინტერესებდა, თუ ქურდის შვილი იყო ის შალვა მარქარაშვილი – მარი რომ ცოცხალი აღარ დამხვედროდა, სულ ნაკუწ-ნაკუწ ავჩეხავდი, ხელს ვერ შემიშლიდა ამდენი პატრული ანდა იმის ხსოვნა სადღა იყო, რომ ოფთალმოლოგიაში მაქვს დაცული საკანდიდატო დისერტაცია და ეს მეორე, სადოქტორო, კიდევ დასამთავრებელია.
– გააღეთ კარი, საპატრულო პოლიციაა! – უკვე მერამდენედ უმეორებდნენ შიგნით მყოფებს.

შიგნით მართლა იყვნენ ვიღაცეები, რადგან მეორე სართულის ფანჯარაში დავინახე, ვიღაც იყურებოდა. თან ჯერ შუქი ენთო, მერე ჩააქრეს. კარგად გავარჩიე იმისი ოთხკუთხა თავის მოხაზულობა და რაკი ადრეც მყავდა ნანახი, მივხვდი, ეს იყო შალვა მარქარაშვილი.
– გააღე, შალვა! გამიღეთ, ხალხი არა ხართ, გამიღეთ, საავადმყოფოში უნდა წავიყვანო ბავშვი. ნუ მომიკალით, თქვენი დედა მეთქი! – ვღრიალებდი დროდადრო და პატრული მამშვიდებდა. სხვა პატრულები კი სახურავზე ადიოდნენ, იქნებ იქიდან იყოს ჩასასვლელიო.
– გააღეთ, თქვენი ჯიში და ჯილაგი გადაშენდა! გააღეთ, ნუ მომიკალით ბავშვი! გააღეთ, საავადმყოფოში უნდა წავიყვანო!
არ აღებდნენ, რა თქმა უნდა.
პატრული და სხვებიც მატულობდნენ. ისიც კი მოვიდა, შეთავსებით ტელევარსკვლავი რომ არის და ძირითადად პოლიციის მაღალჩინოსანი – ჯომარდი მებუკე.
გამოჩნდა ვიღაც სამოქალაქო ფორმიანი და გააღეთ, პატრულის უფროსი ვარო.
არც იმისმა თქმამ გასჭრა.
– გააღეთ! გააღეთ! – ვხაოდი მე.
მერე ერთმა პატრულმა მოირბინა და – სახურავზე ორი ბიჭი ამოვიდა იმ სახლიდან, ერთი დავიჭირეთ, ერთი კი გაგვექცაო.
მე უკვე ვფიქრობდი, რომ წამლის დიდი პარტია ჰქონდათ ამ სახლში, იმ გაქცეულმა გაიტანა სახლიდან და ალბათ, სადმე მიმალა.
მოიყვანეს დაკავებული ბიჭი.
მივარდა ნატა:
– შვილო, ვახტანგ, მარი იქ არის? შენ ხომ მარის ყოფილი ჯგუფელი ხარ?
– ვინ არის მარი, საერთოდ არ ვიცნობ! – ასე უთხრა იმ დამპალმა.
მერე ის დაკავებული ვახტანგი თავისი ხელბორკილებიანად მიიყვანეს რკინის თეთრ კართან და იმას ათქმევინეს, – აზრი არა აქვს, კარი გააღეთო! – და როგორც იქნა, გააღეს კარი.
გააღეს კარი და შევვარდი.
ჩაკეტილი ფანჯრების გამო ოთახები დახუთული იყო.
პირველ სართულზე რომელიღაც ოთახში სუფრას მოვავლე თვალი.
– მაქეთ არა, კიბეზე. – მითხრა ვიღაცამ.
კიბეზე გავვარდი.
– ახლა მარცხნივ მოუხვიე! ახლა იმ ოთახში შედი.
შევვარდი ოთახში.
ეს ის ოთახი იყო, საიდანაც ოთხკუთხა თავი მიყურებდა ფანჯრიდან.
მარი ორსაწოლიან ტახტზე იწვა, ფეხზე გახდილი ჰქონდა. თავთან, ორივე მხარეზე გულარეულები იყო, რომლებსაც სასმელის სუნი არ უდიოდა.
მივედი, ვენები ვუნახე პირველ რიგში. არაფერი ჰქონდა, მაგრამ ვეღარ ლაპარაკობდა.
– არაფერია, კახა ბიძია, რამდენიმე ჭიქა დალია, ოთხი ჭიქა არაყი და ცუდად გახდა, – თავს იმართლებდა შალვა.
– რატომ არ დარეკე, რომ საავადმყოფოში წაგვეყვანა? – უკივლა ნატამ.
– მე მეგონა, დილამდე აქ იქნებოდა და მერე მოგიყვანდით.

– წადი, მოშორდი აქედან, მე შენ კაცი მეგონე! – ვუყვირე მე, – ჩქარა, სასწრაფო.
– დარეკილია, ახლავე მოვლენ, შენ დამშვიდდი, – მითხრა ჯომარდი მებუკემ, – უბრალოდ, დალია და მეტი არაფერი.
მერე სამოქალაქოფორმიანმა მარის თვალის ქუთუთოები გადაუწია.
– გუგები დაპატარავებული არა აქვს, ნუ გეშინია, წამალი არა აქვს გაკეთებული.
მარი ყველა მისულს ხელს ჰკრავდა და რუსულად იძახდა.
– ატაიდი! ატაიდი! ატაიდი!..
ასევე არ უშვებდა სასწრაფოს ექიმებს თავისთან.
– აქ არაფერი არის საშიში! – მერე სატელევიზიო ვარსკვლავი და თან პოლიციელი ჯომარდი მებუკე მამშვიდებდა.
– იცით ვისი შვილიც არის და ყველანი ხელს აფარებთ!
იქითა ოთახში ბიჭებს ვენებს უსინჯავდნენ.
– არავინ არის კაეფში. ნუ ღელავთ, ქალბატონო. მე, პირიქით, მაწყობს, რომ იყვნენ, მაგრამ არ არიან. – ნატას ამშვიდებდა ერთი ძალოვანი.
მერე საკაცის მოტანას ველოდით.
იგვიანებდნენ.
ჯომარდი მებუკემ აიყვანა მარი და კიბემდე იმან მოიყვანა, მერე მე ავიყვანე, ჩავიარე კიბე, დავიარე დერეფანი და ერთგვარი შვება ვიგრძენი, რომ ამ სიკვდილის სუნიანი სახლიდან გამოვედი.
– მარი, ნუ გეშინია, მარი! მე კახა ვარ და ყველაფერი კარგადაა! – ვეუბნებოდი ჩემს შვილს, მაგრამ იმას არაფერი ესმოდა.
ერთი ის იყო, რომ მე აღარ მეუბნებოდა:
– ატაიდი! ატაიდი!
მივიყვანე სასწრაფომდე.
გავაღეთ კარი, დავაწვინეთ საკაცეზე.
– მიხაილოვში მივიყვანთ! – მითხრეს ექიმებმა.
– საით არის მიხაილოვი, აღარ ვიცი! – დავიჩივლე, მაგარი არეული ვიყავი, თორემ ზემელზე ვარ გაზრდილი.
– აქვე, პლეხანოვზე. ჩვენ მოგვყევი!
– დაჯექი, მე წაგიყვან! – მითხრა ჯომარდი მებუკემ.
– არა, მანქანით ვარ!
– მოიცა, კახა, მეც შენ გამოგყვები! – ნატაც მე გამომყვა.
ჩაჯდა თუ არა, სიგარეტს მოუკიდა. ხელები უკანკალებდა.
– ხომ არაფერი მოუვა, კახა? – მეკითხებოდა გზაში.
– ახლა ნუღარ გეშინია, მივხედავთ!
– როგორ იპოვე მარტო ტელეფონით, შენ რა მაგარი ყოფილხარ, კახა! – მეუბნებოდა გზაში.
შევედით მიხაილოვის საავადმყოფოში.
გავაჩერე მანქანა.
სასწრაფოდან საკაცით გადმოიყვანეს მარი და შიგნით შეარბენინეს.
მწვავე მოწამვლების რემარიმაციურ განყოფილებაში ადგილი არ იყო, მარისთვის საწოლი ჩადგეს.

იქ იყო ლურჯხალათიმარი ექიმი ნინო. მარის ვენაში ჩაუდგეს წამალი, სისხლის გამასუფთავებელი, გემოდეზი ალბათ.
– კიდევ კარგი, რომ გული აერია. – თქვა ექიმმა, – თორემ უარესი იქნებოდა.
სასწრაფოს ექიმებს თუმანი მივეცი.
ისტორიის გახსნაში ოცი ლარი გადავიხადე.
მერე ვიჯექით მე და ნატა და ვლაპარაკობდით, – თუ რატომ არ გვიღებდა შალვა მარქარაშვილი კარს, რატომ გვითიშავდა ტელეფონს, სახლისასაც და მობილურსაც.
მე ნარკოლოგიურ საავადმყოფოში წავედი, იქ ვიკითხე, რა ვქნა მეთქი.
შარდი მოგვიტანე, სისხლი არ გვინდაო.
რასაც შენ ლაპარაკობ, ეს იმისი ნიშნებია, რომ სასმელში ჩაუყარეს რაღაცაო, მითხრა ერთმა კაცმა. ეს ოხერი, ცოტა ექიმი მეც ხომ ვარ, მაგრამ არაფერი აღარ ვიცოდი!..
დავბრუნდი ნინოსთან.
– შარდი უნდა ავუღოთ.
– კათეტერს ვერ ჩავუდგამ, ცოდოა. სითხის გამომყოფს მივცემ და მალე მოშარდავს.
ნინომ ოთხმოცდაშვიდი მანეთი გადამახდევინა ალკოჰოლით მოწამვლის მკურნალობისთვის.
– დილისთვის სახლში გამოვუშვებ. იცით რა, სულ რუსულად მელაპარაკება, თავი ისევ იმ კამპანიაში ჰგონია. „Что ты выпила?“-მეთქი და „Ману“-ო. „Что, что?“ –მეთქი და „Ах, как Вы не знаете ”ману?“ – უკვირს. რა არის ეს „მანა“, ერთი გამაგებინეთ.
– არ ვიცი, ალბათ რომელიმე არყის სახელია. – ასე ვუთხარი.
მე რომ სახლიდან ფულის მოსატანად მივდიოდი, მოვიდნენ შალვა მარქარაშვილის დედა, სახელად თამარი და მოდელიერების წრეში მოტრიალე დეიდა – ნატალი.
თამარმა ნატას უთხრა, – აბა, ჩემი შალვა რა შუაშია?! მე რა ვიცი, შენმა შვილმა ჩემს სახლში მოსვლამდე რა დალია იმ ბარშიო... და ფული ხომ არ გჭირდებათო. სულ მუქარის კივილით ლაპარაკობდაო.
მაგისთანა ქალს ვერაფერს მოუხერხებს კაცი.
ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიეს უფროსმა ქეთა იაშვილმა დაიტოვა შარდი და მეორე დღეს დასკვნა მომცეს: „ბიოლოგიურ მასალაში იმუნოქრომტესტებით გამოკვლევით არ დადგინდა ბარბიტურატების და ბენზოდიზეპინის შემცველობა“.
ლაბორანტმა დიანა იმედაძემ მითხრა, რომ მართალია ფსიქოტროპული ნივთიერებები არ დადგინდა და არც ოპიატები, მაგრამ ქალაქში ძალიან არის გავრცელებული კლოფელინის გამოყენება. ოთხი ტაბლეტი კლოფელინი უნდა გახსნა ან ჩაიში, ან სასმელში, გემოს არ უცვლის და რამდენიმე წუთში ადამიანს დამბლას დასცემს, ენა ებმის, ველარ ლაპარაკობს, ითიშება. თანაც სასუნთქ გზებზე არ მოქმედებს. ჩემი დაქალი რესტორანში წავიდა მეგობრებთან და ისეთი კაცის საწოლში გამოიღვიძა, რომელიც სძულდა. გათიშული გამოუტანიათ რესტორნიდან. ეს ცნობილი მეთოდია, მთელ ქალაქში ამით სარგებლობენ გაძარცვისას, პუტანკებიც ამას იყენებენ. თანაც მთელმა კრიმინალურმა სამყარომ იცის, რომ კლოფელინის შემცველობის დამდგენი აპარატურა საქართველოში არ არსებობს, შარდის ანალიზი მოსკოვში უნდა გაკეთდეს, სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტში, რეანიმაციულ განყოფილებაში, მწვავე მოწამვლების ცენტრში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ

ლაბორატორიაში. და სანამ იქამდე ჩააღწევ, მანმადე ის შარდი აიმღვრევა, რამდენი მშრალი ყინულიც არ უნდა შემოუწყო და მორჩა, ვერაფერსაც ვეღარ გაიგებენ.
ვიყავი სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური კათედრის პროფესორ თინათინ ლისაშვილთან. ბევრი ეცადა, მაგრამ ჩვენში კლოფელინზე მომუშავე ექსპერტი საერთოდ ვერ იპოვნა.
ამ ექიმებთან ლაპარაკებისას მე ყველგან ვტოვებდი ამბავს, რომ ჩივილს კი არ ვაპირებ, უბრალოდ, ჩემთვის მინდა ვიცოდე, არის თუ არა კლოფელინი გამოყენებული. მაგრამ ამის დადგენა ვერ შევძელი.
მერე ნატა მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ თურმე, სანამ მარი წავიდოდა იმ ღამით, მანმადე დღისით ალერგიის საწინააღმდეგო სუპრასტინი დაულევია, მერე სმირნოვის არაყიც რომ დაუყოლებია, (თავისი თქმით, ერთი ჭიქა. მარქარაშვილმა კი ოთხი ჭიქა თქვა), – იმიტომ გამხდარა ცუდად. მაგრამ მე არ დავუჯერე.
მარქარაშვილს დაურეკია, ჩემი დედაო რა, თუ მე რამე დამეშავებინოს შენთვისო, ამოვალ და მამაშენს „გავუიასნებო“. მარის ეთქვა, არ ამოხვიდე, მოერიდეო.
დღეს, დილით საავადმყოფოს მორიგეობიდან რომ მოვბრუნდი, მარისთან შევედი, ყველაფერს ვუყვები ხოლმე თუ რამე მოხდება ჩემსკენ. წინა დღეს ჭაბუა ამირეჯიბი გვყავდა სტუმრად და თავისი წიგნი მაჩუქა ავტოგრაფით. ეს უნდა მეხარებინა.
შევედი, შევხედე და ენა დამება – გაოგნებული ადამიანის გამოხედვა ჰქონდა. ნუთუ შეიძლება ადამიანებმა ასეთი რამეც მოიფიქრონ? – ალბათ, ამას ამბობდნენ ჩემი შვილის თვალები... და ამ თვალებმა მიმახვედრა, რომ დავისაჯე – ეს ეზოთერული ცოდნა მთელი თავისი ბლავატსკაიაებით და შტაინერებით ხომ პირდაპირ მთავარი ეშმაკიდან მოდის... მე კიდევ ვიჯექი და პირდაღებული ვკითხულობდი თუ როგორი იქნებოდა დედამიწის აღსასრული, იგივე მეორედ მოსვლა, რომელიც ქრისტიანული სწავლებით, არავინ იცის, როდის იქნება.
და, თურმე, მარის რა ემუქრებოდა...
თუ იცი, რომ მარქარაშვილივივით სახენაყვავილარი, მუდო და ნარკუშა ხარ და მარისთანა გოგო ზედ არ მოგაძღინკებს, აფთიაქში უნდა წახვიდე და ბებიაშენის მაღალი წნევის მომიზეზებით კლოფელინი იყიდო. მერე შინ მიიტანო და კარგად, წვრილად დაფქვა ოთხი ტაბლეტი და ის დაფქული მასა რამე პატარა შუშაში საიმედოდ შეინახო.
ამის მერე თათა ნოდიასნაირ ბანძს უნდა უთხრა, რომ როგორმე ერთი ღამით მშობლებს შენს სასტავში გამოაშვებინო მარი – მცხეთაში უკეთესია, მაგრამ რაკი იქ არ ხერხდება, ჯანდაბას, იყოს ყურყუმელის ქუჩა მეიდანში.
და მარის რომ მოგიყვანს თათა ნოდია, შეპირებული წამალი უნდა მისცე და შენი სახლიდან შინ გაუშვა, რაღად გინდა?
მარის კიდევ ის შუშაში გამზადებული კლოფელინი უნდა ჩაუყარო არყის ჭიქაში და კარგად მოურიო. სულ ღიმილ-ღიმილით უნდა მიაწოდო, – ისე, რომ ვერავინ მიხვდეს.
დალევს და ცუდად რომ გახდება, უნდა უთხრა – ვაიმე, მარიშკა-ჯან, ეს რა მოგივიდა, მაღლა ადი, სპალნაში დაწექიო.
ისიც ავა და დაწვება.
დაწვება და ნელ-ნელა გაითიშება.
გაითიშება და შენია მთელი ღამე ეს მშვენიერი გოგო, რაც გინდა, ის გაუკეთე...

დილით კიდევ პატარა ისტერიკას მოგიწყობს, – ეს რა გამიკეთე, შე დეგენერატო. პატარასაც წაუტირებს და მერე იმის შიშით, რომ მშობლებმა არ გაიგონ, რომ ქალიშვილი აღარ ვარო, სულ ჩაიგდებს ენას.
ჩაიგდებს ენას და შენი საყვარელი გახდება.
გახდება და აღარ იქნება თეთრი ყვავივით შენს სასტავში.
მერე პატარა მოსაწევი, ზედაც წამალი და, – მარიშკა-ჯან, უკვე ჩვენიანი ხარ, საბოლოდ, შენი ხელით ჩამოგვიტან მარიხუანას კბილის პასტით, ნიდერლანდებში რომ გაგიშვებთ.
ოღონდ ეს მარი ოხერი გამოდგა.
ჯერ ერთი, შენი სახლის ტელეფონი მისცა თავის მშობლებს. კლოფელინიანი არყის დალევის მერე კიდევ, სანამ გაითიშებოდა, დედამისთან დარეკვა მოასწრო, მიშველეო.
შენ რომ მარქარაშვილი ხარ, ქვემოთ მოქეიფე ბიჭებთან ზიხარ და არ ჩქარობ მარიშკასთან განმარტოებას, რომ ეჭვი არ აიღოს არავინ, აი, მაშინ დარეკა სწორედ.
მერე კი, შენ რომ ახვედი, უკვე ვეღარ ლაპარაკობდა, მარტო დარეკვას თუღა ახერხებდა.
და რომელი სულელი მშობელი მიაქცევდა ყურადღებას შვილის წამდაუწუმ დარეკვას?
ახლა, მართალია, მალე მოვიდნენ და ვერაფერი მოასწარი, მაგრამ ვერაფერსაც ვერ დაგიმტკიცებენ – ჩვენს ქალაქში კლოფელინის შემცველობის გაგება არ ხერხდება. მოსკოვში თუ წაიღეს ანალიზები, მაშინ ჭაკად ექნება საქმე. მით უმეტეს, იქაური სტუდენტობის ძმაკაციც ჰყოლია.
ამიტომ აეროპორტში უნდა გაათენოს და დააღამოს სამი „სუტკა“ და მარის მამას უყარაულოს, აბა, ვინმეს ხომ არ ატანს რაიმე თერმოსს, რომელშიც შარდი იქნება.
„Ах, как Вы не знаете „ману?“ – ახლაც ყურში მიტრიალებს ეს სიტყვები. ესე იგი, „მანა“, „მანა“.
რა უნდა ყოფილიყო, ნეტავი?
არ ვიცი, შეიძლება თანამედროვე ახალგაზრდებს ძალიან ჩამოვრჩი, მაგრამ არც ისეთი ბებერი ვარ, რომ ამათ თანატოლებს ვერსაიდან მივდგომოდი.
ჰოდა, ამიხსნეს კიდეც...
„მანა“ რა უნდა იყოს, რა უნდა იყოს და, შეიძლება იმათ „სასტავში“ შემოკლებით ასე ეძახიან „მანაგუას“.
ეს „მანაგუა“ კიდევ კანაფის ფოთლებისგან იხარშება შედედებულ რძეში და ქვაბის მოსარევად გაზქურასთან მისულ იმის გამკეთებელს უცებ რომ შეხედო, ჯოჯოხეთის ცეცხლმოდებული მუგუზლებით სახეგანათებული რომელიმე დაბალი რანგის ეშმაკი გეგონება...
მოკლედ, ახლაც არ ვიცი, ოთხი ტაბლეტი კლოფელინით დავისაჯე თუ „მანაგუათი“, მაგრამ იმ საყოველთაო სიკეთის ნიღაბსამოფარებული, მაგრამ საეჭვო ღირებულების წიგნის ცოტათი დაჯერებისთვის ზეციდან რომ გამისწორეს ანგარიში და გვარიანად შემაშინეს, ფაქტია – ის ამბავი რომ მომხდარიყო, რისი გაფიქრებაც კი მზარავს, ვაითუ თავიც კი მოეკლა მარის...
ეს ერნსტ რიფგატოვიჩ მულდაშევიც კიდევ კარგი ვინმეა – რაის ეზოთერიული ცოდნები, ბლავატსკაიაები და შამბალები აგიტყდა, დაჯექი რა იმ შენს ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში და აკეთე თვალის გადანერგვის ოპერაციები ბიომასალა „ალლოპლანტით“. ისე, მართლა უცნაური არ არის – მკვდარი ადამიანის ქსოვილი რანაირად აცოცხლებს სხვა ადამიანის შესაბამის ქსოვილს?

ეგ „ალლოპლანტი“ თუკი აცოცხლებს, მაშინ უნდა მოკლას კიდეცო, – მეტყვი ალბათ და იმ ღამით, როცა აქ ეს ფეთიანი ამბავი ხდებოდა, თვალგადანერგილი „მაკინტოში“ მოსკოვის იმ ოფთალმოლოგიურ კლინიკაში გარდაიცვალა მოულოდნელად, სადაც ჩემი მეგობარი ვლადიმირ ანდრეევიჩ ზიმა მუშაობს და სწორედ ქსოვილების დაშლით... და როგორც ვალოდია მატყობინებს, „მაკინტოშისთვის” დამზადებულ ინდივიდუალურ „ალლოპლანტში“ თავისი შვილის ქსოვილებიც შედიოდა...

2005

ვახო მოსიაშვილი

წინათქმა

ეს მოთხრობა დაახლოებით ერთი თვის წინ დავწერე. ყველაფერი უბრალოდ დაიწყო, სამსახურში ვიჯექი, საქმე არ მქონდა, ინტერნეტი გაითიშა, მოკლედ შარში ვიყავი და დრო რომ გამეყვანა, წერა დავიწყე, ისე უბრალოდ, არანაირი მონახაზი არ მქონდა თავში. მერე გამოვიდა ეს, რაც არის. მოთხრობა დაუგეგმავად, ყოველგვარი წინასწარგანწყობის გარეშე რომაა დაწერილი, კარგად ეტყობა, ბევრი გადახვევაა, შემდეგ ისევ დაბრუნება ძირითად ხაზთან და ბევრიც ისეთი პერსონაჟია, თითქოს სულ რომ არ ყოფილიყო უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ის ისეთია როგორიც არის. ეს მოთხრობა ამ პროექტისთვის იმიტომ შევარჩიე, რომ ახლა მგონია თითქოს სხვებზე უფრო აქტუალურია, უფრო კონკრეტულიც და უფრო თავისუფალიც, ვინაიდან არც დასასრული აქვს და არც დასაწყისი და თემაც მრავალნაირად აღქმადია. მოკლედ ზუსტად ძნელია ვთქვა რატომ ეს და არა სხვა. დანარჩენს კიდევ წაიკითხავთ.

მეხუმრე რა

ეს არის ამბავი ადამიანებზე, ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ადამიანებზე, მაგრამ მე ისინი სწორედ ამის გამო მიყვარს. არაფერია ჩვეულებრივ ადამიანზე მშვენიერი.

1.

პირველი კადრი, რაც ჩემს მეხსიერებას შემორჩა, ეს არის ერთ ოთახიანი სახლის ჭერი, რომელიც ნელ– ნელა მომიახლოვდა. პირველად მაშინ მივხვდი რომ ფრენა სიამოვნებაა, ოღონდ რა თქმა უნდა არა ზევიდან ქვევით. ეს ალბათ ასე ორი თვის რომ ვიყავი მაშინდელი ამბავია. აი მერე კი ისაო ესაო და აი კიდეც ვიქეცი რაღაც ასაკში მყოფ ადამიანად. თუმცა რა თქმა უნდა ბავშვობის მოსაყოლად არ მცალია. ალბათ ვერც მოვიცლი კარგა ხანს. პირველადი პრობლემებია გადასჭრელი. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ათას შარში გავყავი და ზოგიერთიდან მაინც უმტკივნეულოდ უნდა გამოვიდე. მაგალითად... არა არ მიყვარს მაგალითები, მე ხომ შეგონებებისთვისაც არ მცალია. ახლა უნდა გავიდე სახლიდან, არადა გარეთ ძვალსა და რბილში გამტანი ნესტია და ვერაფრით ვთბები. სიამოვნებით ვიწვებოდი ასე, ვუყურებდი ჭერს, რომელიც ორი თვის რომ ვიყავი მაშინ პირველად მომიახლოვდა და ვიფიქრებდი ათას რამეზე. თუნდაც გუშინდელ საღამოზე. რა მოხდა გუშინ.

ისეთი არაფერი კედის დავურეკე. მოვიდა ჩერჩილის თუთიყუშივით აჭრელებული. აბა გამართეო. რომელი გამრთობი მე ვარ, მაგრამ მაინც. სულ ესე ხდება ხოლმე. დარეკავ შუა ღამისას, მერე მუსიკა, არაყი და ღამეული ორთაბრძოლა ორ სქესს შორის, რომლის

მერეც ყოველთვის სინანული მიპყრობს. რატომ თუ ვიცოდე მე ვიყო ჩვენ რო ვიცით ის. პურიტანული აღზრდის შედეგებს ვიმკი? ჰო, ნუ დროა ალბათ ასეთი. სხვა რა უნდა ვიფიქრო. მერე ვარსკვლავებს ვუყურებდი ფანჯრიდან, მერე რა რო ციოდა. დილის 6 საათზე წავიდა. გაერთო? ალბათ. მე რომელი გამრთობი ვარ მაგრამ მაინც. კედი კარგი გოგოა, თუმცა გართობის გულისთვის ყველაფერზე წავა. მეც. ოღონდ ჩვენს შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ მე მერე ყოველთვის გული მერევა საკუთარ თავზე. არაფრით მტოვებს იმის შეგრძნება რომ რაღაცას ვუშვებ ხელიდან. ჰო, რაღაცას, რაღაც მთავარს. გარეთ ცივა და ძალიან მეზარება ადგომა და სახლიდან გასვლა, არადა გვერდს ვერ ავუვლი საჭიროებებს.

სამსახურში „როგორც ყოველთვის“ სიტუაციაა. სიჩუმე და საქმე. თავჩარგული ვუზივარ ციფრებს. ბუღალტერი. ჩიფ ექაუნთენთ. მოკვდები კაცი სიცილით. სახელები, სახელები, სახელები. და რა არის სახელების უკან? არა არ ვიცი რა დგას ამ სახელების უკან, ან ამ ციფრების უკან. მონაცემები, მონაცემები, მონაცემები, ჰოდა დამუშავება, დამუშავება, დამუშავება. მერე შედეგები, შედეგები, შედეგები. ბალანსები, მოგება – წაგების თვლა, უწყისები, ბრუნვები, გადარიცხვები. მერე ისევ სახლი, ისევ მუსიკა, ისევ არაყი, ისევ კედი, ისევ ვარსკვლავები, მერე ისევ ჭერი. ჭერი. ჰო ჭერი. რამე მაინც იყოს განსაკუთრებული ამ ჭერში. მგონი ადგომის დროა. კარგია რომ არსებობს კეთილგონიერება. ეხლა უბრალოდ რამის აღწერის განწყობაზე ვარ, აი მაგალითად... ჰო მაგალითად ჩემი სამსახურის.

2

– დილა მშვიდობის – შევდივარ და ტრადიციულად ვესალმები დაცვის ავტომატიან, სერიოზულსახიან ბიჭებს. ვისურვებდი გენდერული ბალანსი დაცული ყოფილიყო და დაცვის სამსახურშიც ემუშავა რამოდენიმე მანდილოსანს.
– გაუმარჯოს – ეს ტრადიციული მისალმებაა, რომელიც არასოდეს იცვლება. ალბათ ვერც ვერასდროს შეცვლით.
ნუ მერე კიდევ რამდენიმე ასეთი სალამ– ქალამი და ემრე სამუშაო ოთახს მივაუშრებთ. სამსახური თავის ცხოვრებით ცხოვრობს. ის რაც გევალება, არის კარგად შეასრულო შენი ფუნქცია. თუ ფუნქცია არ გაქვს, მაშინ დრო უნდა გაიყვანო, იმიტომ რომ შენ ყიდი დროს და არა შრომას. უცნაურია მაგრამ იმის შეგრძნება რომ თვის ბოლოს შრომის კი არა დროის საფასურს გვიხდიან, მე და ერთ თანამშრომელს გვაქვს მხოლოდდამხოლოდ. მე და კედის. ჰო, კედი ჩემი ხშირი სტუმარია, ოღონდ არა ბუღალტერიაში. საერთოდაც სამსახურში მე „ჩიფ ექაუნთენთ“ ვარ. უსქესო ნაცრისფერი ადამიანი. მარტო ვცხოვრობ ერთ ოთახიან კომუნალურ ბინაში, სადაც როგორც უკვე მოგახსენეთ აგერ მთელი ცხოვრება გავატარე და... თუმცა სულ ესე არ ყოფილა. უბრალოდ სახლი ნელ– ნელა დაცარიელდა და ბოლოს მე დავრჩი... არა მარტო არა. ალბათ კედისთან ერთად, რომელიც საღამოობით მოდის და ხან დილით მიდის გამთენიისას, ხან შუაღამეს და მოკლედ როცა როგორ მოუხერხდება. 9-დან 6-მდე გარიგება მაქვს დადებული ეშმასთან. „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს” – ღმერთს ვთხოვ, ის კი ეშმას საშუალებით მიგზავნის სამოთხიდან. ეს ნამდვილად არაა საგანგაშო.

სხვათაშორის ეხლა სახლში ვინმე რომ იყოს, შემახსენებდა რომ წვიმიანი ამინდის მიუხედავად, სამსახურში მაგვიანდება და დროა ავწიო ერთი ადგილი ამ საწოლიდან. არადა რა ფართოა ეს დალოცვლი რამდენიმე ადამიანი კიდევ დაეტეოდა. სწორედ ამ საწოლზე შემქმნეს მე ჩემმა მშობლებმა და აი ამ კოსმიური აქტიდან 38 წლის შემდეგ მე აქ ვწევარ და სამსახურში წასვლა მეზარება. ჭეშმარიტად უზნეო საქციელია.

კარზე ზარი გაისმა. ნუთუ ვინმე შეიძლება ამ დროს მესტუმროს? კარი გავაღე. კედი იდგა. ერთი რეაქცია მქონდა მხოლოდ, თვალები გადმოვკარკლე გაკვირვებისგან. ჩვენ ხომ პატიოსანი ადამიანები ვართ და აგერ უკვე ორი წელია ერთ რეჟიმში ვცხოვრობთ, ის კი ახლა ამ დილაადრიან მოსვლით ყველაფერს ანგრევს.
– გიო მე... იქნებ შემომიშვა?
– მოდი! მოხდა რამე? – ვკითხე და ისეთი გრძნობა დამეუფლა რომ... რომ არ შემიძლია ეხლა აღვწერო.
– იცი? მოხდა. ნუ თან მოხდა თან არ მოხდა.
– ნუ მაბნევ. – გამაღიზიანა. ვერ ვიტან ასე ქარაგმებით ლაპარაკს. ჯერ კიდევ იმ დროიდან ვერ ვიტან პირველად რომ მომიახლოვდა ამ სახლის ჭერი. კედი კი შემომეხვია, ტუჩებზე მომეკრო და საწოლისკენ მიბიძგა. გაოცებისგან დავყევი, თუმცა გახდა რომ დაიწყო აზრზე მოვედი.
– გაგიჟდი? სამსახურში გვაგვიანდება.
– გავარტყი სამსახურს. აქ მინდა, შენთან.
– კედ, სულ გადაირიე ხო? ადექი ახლავე. – კი გავბრაზდი მაგრამ თან გამეფიქრა, განა ის ადამიანი არ ვიყავი, ორი წუთის წინ საწოლიდან რომ ვერ წევდა ერთ ადგილს.
– ჰო, გადავირიე, მომბეზრდა, არ შეიძლება რომ ერთხელ რამე ისე გავაკეთოთ როგორც... – ჰოდა აქვითინდა. ოღონდ ეს არა. ბავშვობიდან არაფერი მამტვრევს ისე წელში, როგორც ცრემლები. მომკალით და ესეა. ჩემს წინ ადამიანი რომ ატირდეს და მთხოვოს თავი მოიკალიო, ალბათ არ დავფიქრდები ისე მოვიკლავ. ჰოდა რაღა უნდა მექნა. იმას კიდე ისტერიკა დაემართა. ყვიროდა, ჰო ყვიროდა, სულ დამპალ, უგრძნობ, ციფრებით თავგამოტენილ ღორს მეძახდა. ასეა რა ვქნა. ბუნებით ვარ პედანტი. ესეც შენი გართობის მოყვარული კედი. ჩამოიხსნა ბოლომდე ნიღაბი. ამოალაგა სენტიმენტები, მაგრამ რა. ეს ხომ ისედაც ვიცოდი რომ მისი გართობა მხოლოდდამხოლოდ სწრაფვა იყო თავდავიწყებისკენ. და ბოლოს... ბოლოს დავნებდი. ჰოდა აი კედის თავი ჩემს მკერდზე ედო, მე სიგარეტს ვეწეოდი და ფანჯრიდან ნესტიან, ბურუსიან სივრცეს გავყურებდი. გარეთ ციოდა, ჩვენ თბილად ვიყავით. ტელეფონები გავთიშე. ალბათ გასკდნენ რეკვით. გამორიცხული არ იყო მოსულიყვნენ სახლში. კარს არ გავუღებდი. მგონი ეშმასთან გარიგება დასრულდა ჰოდა მე და კედის ახლა პურს არსობისას აღარავინ გვიწილადებდა. კი მაგრამ მეგობრები?

3

აგერ უკვე 45 წლის ვხდები და ხელშესახები არაფერი მახსენდება. უკვე 7 წელია მე და კედი აღარ ვერთობით, ჰოდა სამაგიეროდ მშვიდად ვცხოვრობთ. მე დილაობით აღარ

მეზარება სამსახურში წასვლა, იმიტომ რომ საუზმეს კედი აკეთებს, აღარც საღამოს ვფიქრობ რითი ვიყიდო არაყი, იმიტომ რომ კედი ისედაც მაძლევს, აღარც დილის 6 საათზე ვიღვიძებ იმიტომ რომ კედი აღარსად აღარ მიდის, აღარც ციფრებს ვითვლი, იმიტომ რომ აღარ ვარ ჩიფ ექაუნთენთ, აღარც ჭერს აღარ ვუყურებ იმიტომ რომ ჩემს სახლში აღარ ვცხოვრობ და ამ ნაქირავების ჭერი არაფერს მახსენებს, აღარც მეზობლების მიკითხვ– მოკითხვაში მეკარგება დრო, იმიტომ რომ არც ერთს არ ვიცნობ და აშ. და ა.შ. რა მნიშვნელობა აქვს ეხლა ამას. სამაგიეროდ... კვლავ აკაკუნებენ, მე ისევ მივდივარ კარის გასაღებად და აი თავისი გიგანტური ნაბიჯებით შემოიჭრება ტერი დევისი და....
– კედიიიიიიიიიიიიიიი. ყავა გამიკეთე რა.
– აააჰ, შაბათია დღეს? – ტერი დეივის ჩემი მეგობარია, არ შეიმჩნიოთ.
– გიოოო, მიდი რა. – აჰა, უცბად გადმომილოცა ყავის მოდუღება კედიმ.
– კედ, მეზარება. – სულაც არ მინდა ეხლა ყავის მომზადება.
– მაშინ იცოდე პირდაპირ შიშველი ავდგები და ისე გავაკეთებ ყავას – გამომძახა. დიდი ამბავი ეხლა.
– ოოო, შენც ეხლა არ უნახიხარ შიშველი რა.

ტერი ჩვენს დიალოგზე როგორც ყოველთვის გულიანად ხარხარებს და მხარზე ხელის დატყაპუნებით ცდილობს... ნუ არ ვიცი რას ცდილობს რომ მაგრძნობინოს.
– უუუ, აი სწორედ ამიტომ მიყვარს თქვენთან მოსვლა – მეუბნება და თან ისევ მხარზე ხელს მიტყაპუნებს.
– ჰო, ნუ ვერ მივხვდი რატომ მაგრამ მაინც მადლობა.
– ჰოდა მოკლედ მე კარგი ახალი ამბები მაქვს თქვენთვის.
– მაინც?
– ე.ი. გუშინ ბირჟაზე შევიძინე... – და ტერი იწყებს როგორც ყოველთვის ძალზედ მოსაწყენ მონოლოგს ფასიანი ქაღალდების ყიდვა– გაყიდვის შედეგების შესახებ და მე ვცდილობ ამ გაქნილმა მაკლერმა რამე არ მომატყუოს. ბოლოსდაბოლოს კედი უდუღებს ყავას ტერის და ასე შიშველი გვიჯდება წინ. მსჯის მგონი. თუმცა ტერი პატიოსანი კაცია და მოვალობების შესრულების დროს უსქესო, ნაცრისფერი მაკლერია. ანუ ყველაფერი რიგზეა.

მერე მე ვჯდები მანქანაში და მივდივარ „როგორც ყოველთვის სიტუაცია”– ში.

4

საკმაოდ დიდი საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ამ 7 წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა ჩემში. უბრალოდ მე ბიოლოგიურად დავეშვი დაღმართზე. ერთ 45–ს კიდევ გავქაჩავ? რთული წარმოსადგენია, მაგრამ... მაგრამ მე აღმოვაჩინე, რომ გარკვეულ ასაკამდე საერთოდ არ მიფიქრია სიკვდილზე, ალბათ ესე 30 წლამდე ჩემი დილა იწყებოდა ოცნებით ვარდისფერ მომავალზე, ანდა უკეთეს შემთხვევაში ოცნებით იმ დღის ლამაზ დასასრულზე, რომელიც ეს–ესაა თენდებოდა. 30 წლის შემდეგ, უფრო სწორად იმ დღის შემდეგ, რაც საავადმყოფოში მამაჩემს უკანასკნელად მოვწმინდე სპერმა დახეთქილი ყვერებიდან და რამდენიმე დღეში მიწაც დავაყარე... იმას ვამბობდი,

რომ იმ წუთიდან, სველი ხელსაწმენდით ყვერი რომ გავუსუფთავე, ჩემი ყოველი დილა სიკვდილზე ფიქრით იწყება, მოდი არ გავაფილოსოფოსოთ.

იმ დილას ჩემმა მდივანმა მეც უკანასკნელად მომწმინდა სპერმა და მე რაღაც ვიხუმრე ტრადიციულად. ჰო ტრადიცია მაქვს ასეთი მხოლოდ ღმერთზე ვხუმრობ და ეს ყოველთვის მკრეხელობად ინათლება. ჰოდა ელენას, რატომღაც ასე ერქვა ჩემს მდივანს, ამოასხა და მკითხა:
– რატომ ხუმრობ ყოველთვის ღმერთზე?
– ჰმ, რთულ კითხვას მისვამ.
– არა ეს უბრალოდ ჩემს რელიგიურ გრძნობას შეურაცხყოფს.
მე დამავიწყდა იმის თქმა რომ ელენა პროფესიით იურისტია. არა უფროსწორად იმ დროს როცა ეს მოხდა იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. ჰოდა აი ეს ფრაზა ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები იყო. ვინაიდან არსებობს დედამიწაზე სამი სქესი: კაცები, ქალები და იურისტი ქალები. სხვა ვერავინ გეტყვის ასეთ ფრაზას: „ეს ჩემს რელიგიურ გრძნობას შეურაცხყოფს“. წარმოვიდგინოთ რას მეტყოდა ჩემი ფიზიკის მასწავლებელი. ის აუცილებლად დაიწყებდა მოვლენათა იმ დაუსრულებელი სიის ჩამოთვლას, რომლის გარეშეც სიცოცხლე არ იარსებებდა და დააბოლოვებდა ნიუტონის ცნობილი ფრაზით, რომ „პლანეტების მზის გარშემო ორბიტაზე ბრუნვა, მხოლოდ მზის მიზიდულობის შედეგი რომ იყოს, მაშინ ყველა პლანეტა ერთ მშვენიერ დღეს მზეს დაენარცხებოდა“ – ო და ბოლოს აუცილებლად დააბოლოვებდა, რომ ჩემნაირი ღვთისპირიდან გადავარდნილი, ურჯულო, მკრეხელი ადამიანი მეორე არ დადის ცისქვეშეთში, იმიტომ რომ ყოველთვის ვხუმრობ მხოლოდდამხოლოდ ღმერთზე და ვერაფრით დავიმახსოვრე, რომ... და ერთ– ერთ ჩემს მიერ ვერ თუ არ ათვისებულ თეორიასაც ჩემი უსჯულოების დამამტკიცებელ საბუთად მოიშველიებდა. თუმცა მე რა თქმა უნდა ვერაფრით გავარკვევდი რა უფრო მეტად განსაზღვრავდა ჩემს ურჯულოებას, ის რომ ღმერთზე ვხუმრობდი, თუ ის რომ რომელიღაც თეორია, სათანადოდ არ თუ ვერ შევისწავლე. მოკლედ ალბათ მიხვდით, რომ ასეთი ვარიანტები პროფესიების მიხედვით შემიძლია უსასრულოდ ჩამოგითვალოთ. რა მოხდებოდა ელენა რომ... მაგრამ ვაღიარებ მოსაწყენი იქნება. ამიტომ მე ელენას გადავწყვიტე ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოვქცეოდი მარტივად და ვუპასუხე:
– ელენა ღმერთი ჩემთვის იმდენად ამოუცნობია, იმდენად ბუნდოვანი და იმდენად გაუგებარი, რომ მის შესახებ მხოლოდ ხუმრობით შემიძლია ლაპარაკი.
გაგიკვირდებათ და ეს მისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი აღმოჩნდა, თუმცა მაინც უკანასკნელად მომწმინდა სპერმა.

ეს დღე განსაკუთრებული აღმოჩნდა, მე ვიტყოდი იმაზე უფრო განსაკუთრებულიც კი, ვიდრე კედის მოულოდნელი შემოვარდნა ჩემს ბინაში დილის 8 თუ ცხრა საათზე და შემდეგ ჩვენი გადაწყვეტილება ერთად გვეცხოვრა. საქმე ეხებოდა ჩემს ერთ მეგობარს, რომელმაც... რომელმაც ადრეულ ახალგაზრდობაში, ასე 18– 19 წლის ასაკში საკუთარი თავი დაარწმუნა წერის ნიჭი მაქვსო და მას შემდეგ აღარც თვითონ მოისვენა და აღარც საზოგადოება მოასვენა, სანამ ერთ-ერთ წამყვან ლიტერატურულ ჟურნალში

რომელიღაც ცნობილმა ტიპმა კარგი რეცენზია არ გამოუცხო. ამ რეცენზიის ფასი ვიცოდი რაც იყო, თუმცა მოდით დავანებოთ თავი ამჯერად ამას. იქნებ მერე მივუბრუნდე კიდეც ამ თემას და მოგიყვეთ, მაგრამ ეხლა სხვა რამის მოყოლას ვაპირებდი. ჰოდა იმას ვამბობდი რომ ეს ჩემი მწერალი მეგობარი მომადგა სამსახურში და... და მე ძალიან აღელვებული, აცკმუტებული და როგორ ვთქვათ აღგზნებული მომეჩვენა.
– გიოო, რაღაც საქმე მაქვს რა შენთან და საღამოს სამსახურის მერე შეგიძლია შემომიარო სახლში?
მე ვიფიქრე საბანკო ანგარიშებზე თანხის ბრუნვას ვეღარ აკონტროლებდა და ჩემი როგორც ფინანსისტის რჩევები ჭირდებოდა. კი გავიფიქრე ამას რა აიტანს–მეთქი, მაგრამ მაინც დავთანხმდი.

ჯოშუა უცნაური ადამიანი არ იყო (მგონი ვერ ვიკავებ თავს მისი აღწერის ცდუნებისგან), პირიქით, ის ძალიან ძალიან ჩვეულებრივი და სტანდარტული ტიპი იყო, თუმცა მწერლის სტერეოტიპში კარგად იჯდა, შეიძლება სხვებზე კარგადაც, ამიტომ ხანდახან დემონსტრაციულად ჩქმეტდა ტრაკზე უცნობ მანდილოსნებს. რამდენჯერმე ამ უცნობი მანდილოსნების დაკუნთულმა ბოიფრენდებმა, საპასუხო რეაქციაც მისცეს, ხანდახან... მოკლედ ხანდახან ის განზრახ აკეთებდა ისეთ რამეებს, რომ ხაზი გაესვა საკუთარი განსაკუთრებულობისათვის. ჰოდა იმას ვამბობდი რომ იმ საღამოს მაინც რაღაც უფრო ბუნებრივად უცნაური მომეჩვენა. ჰო, რა თქმა უნდა აზრი არ ჰქონდა ჩემთან რაიმე განსაკუთრებულის თამაშს, მე ხომ მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი. მერე ალბათ არ დამეზარება და გაგიმხელთ როგორც მაგრამ... მაგრამ აი ეხლა დავფიქრდი და ღირს კი საერთოდ ამის მოყოლა? ჰო ნუ რა ვიცი.

მოკლედ როგორც მამაჩემი იტყოდა (მაგრამ ზუსტად არ მახსოვს ამას ამბობდა ხოლმე თუ არა), ბევრი რომ არ გავატრაკოთ ჯოშუამ გამიმხილა რომ ახალი რომანის წერა დაიწყო და მისი მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო გეი. მერე?..

– მერე ის, რომ ვერ ვახერხებ. ვერაფრით ვერ ვახერხებ იმიტომ კი არა რომ წერა არ შემიძლია...
– არც მიფიქრია ეგ მერწმუნე...
– უბრალოდ მე არ ვარ გეი და ჰომოფობიური გამომდის. ჰოდა ამისთვის ერთადერთი საშუალება არსებობს...
კი მივხვდი მაგრამ გამიჭირდა დაჯერება და ამიტომ უფრო ვკითხე
– რა?
– რა და მე უნდა მივიღო გეის შეგრძნება. უნდა გამოვცადო.
– რა უნდა გამოსცადო შენ შიგ ხომ არ გაქვს?
– არა, არა ხელოვნება უპირველეს ყოვლისა. მე მზად ვარ გავიღო მსხვერპლი, ჰოდა შენი დახმარება მჭირდება.
– მე რაღა შუაში ვარ შე ყლეო. მე რა პიდარასტი ვარ თუ.
– არა მე არ გთხოვ რომ სექსი და რაღაც, ერთადერთი რამ მინდა, მინეტს გაგიკეთებ რა.

მე რა თქმა უნდა ისტერიკა დამემართა და... და მოკლედ მე თვითონაც არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც დავთანხმდი. თვალები დავხუჭე და... მოკლედ ყველაზე საშინელი ის კი არ იყო, რომ ჩემი ერთ– ერთი საუკეთესო მეგობარი, თან მამაკაცი მიკეთებდა მინეტს, უბრალოდ... უბრალოდ მე მომიწია იმის აღიარება, რომ ჯოშუამ ამ საქმეს კედიზე უკეთ გაართვა თავი.

5

ბავშვობაში ვთვლიდი რომ არ გამიმართლა ჩემს ოჯახში ბევრი ექიმები რომ იყვნენ. მე მხოლოდ მე– 11 კლასში შევიცვალე გადაწყვეტილება და ჩემი ტვინი ფინანსებისკენ გადაიხარა. ამჯერად არ მოგიყვებით რატომ გადავიფიქრე ნეირო ქირურგიის შესწავლა და დავინტერესდი ფინანსებით, თუმცა ჩემმა დამ რომ გაიგო სიგარეტს ვეწეოდი, ცხარე ცრემლით იტირა, ხოლო შემდეგ დაიწყო პერიოდული ლექციების ჩატარება სიგარეტის მავნებლობის შესახებ. პირველი ღერის მოწევიდან რამდენიმე თვეში მე უკვე ვიცოდი, რომ მოწევა იწვევს რვა სახეობის სიმსივნეს, ასევე უამრავ სხვა დაავადებას, გულსისხძართვა დაავადებს, აუარესებს სუნთქვას, სისხლის მიმოქცევას, რითაც აფერხებს ტვინში ჟანგბადის მიწოდებას, რაც ხელს უშლის აზროვნებას, უზმოზე სისტემატურმა მოწევამ შეიძლება გამოიწვიოს კუჭის წყლული, ასევე აყვითლებს და აფუჭებს კბილებს და ა.შ. და ა.შ. ალბათ მიხვდით რომ ჩემი და ექიმია. ამ ყველაფერმა რომ ვერ „მიშველა", შემდეგ ვიზუალური მასალის ათვისებაზე გადავედით და მე ძალიან მალე დეტალურად შევისწავლე ფოტომასალა მწეველი და არამწეველი ადამიანების ფილტვების გამოსახულებით, ასევე გულისამრევი ვიდეოკლიპები და ამანაც რომ არ გაჭრა საქმეში რელიგია ჩაერთო. ამის საშუალებით უკვე შევიმეცნე, რომ თამბაქოს მოხმარება ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებმა აბორიგენმა ინდიელებმა დაიწყეს. ასევე სრულად გავაცნობიერე რომ თამბაქოს სატანური „ფესვები" აქვს და საშვილიშვილოდ დავიმახსოვრე რომ რელიგიური თვალსაზრისით ის „ეშმაკის საკმეველია". ნუ რაღა თქმა უნდა ესეც უშედეგო აღმოჩნდა და ლოგიკურიცაა, მე ხომ ღმერთზე მხოლოდ ხუმრობით შემეძლო ლაპარაკი, ეკლესიაზე კი დამცინავად.
მოწევა 15 წლისამ დავიწყე. თავიდან ნახევარ კოლოფს ვეწეოდი, შემდეგ წელს ერთ კოლოფზე ავედი. მწეველობის მეხუთე წელს კი მიხაროდა დღის ბოლომდე მხოლოდ ოთხ კოლოფს თუ მოვწევდი და მეხუთის გახსნა არ მომიწევდა. ამ ყველაფერს იმიტომ არ ვყვები, რომ... არა, ეს მოდი თანმიმდევრულად მოვყვეთ.
მოკლედ ჩემი ცხოვრების 47–ე წლის ერთ მშვენიერ დილით, ზურგის არეში წვა ვიგრძენი და ხველებამ შემაწუხა. რამდენიმე დღე ყურადღება არ მიმიქცევია ამ ამბისთვის. მწეველთა უმრავლესობა ხომ დილაობით ცუდ გემოს პირში და ხველას უჩივის, მაგრამ სამი დღე რომ გაგრძელდა ეს უსიამოვნო გრძნობა ფილტვებში, ერთ დილით ავდექი და გადავწყვიტე ექიმთან წავსულიყავი. გზიდანვე დავითარსე. ე.ი. ჩემდა ჭირად ჩავრთე რადიო, სადაც სასაცილო ამბებს გადმოსცემდნენ, თუ კურიოზულ შემთხვევებს თუ რაღაც ასეთს. ჰოდა ერთ– ერთი მორიგი ისტორია ძალიან ახლობელი აღმოჩნდა ჩემთვის. მე ხომ ხშირად მომდის სახლში ჯარიმის ქვითრები პოლიციიდან და აი რადიოს ვუსმენ და იქ ყვებიან ასეთ რამეს: „ერთი ინგლისელი მძღოლი ავტომატურმა რადარმა დარღვევის დროს გამოიჭირა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან

პოლიციისგან ფოსტით 40 გირვანქა სტერლინგის საჯარიმო ქვითარი და თავისი მანქანის ფოტოსურათი მიიღო. ნაცვლად იმისა, ჯარიმა გადაეხადა, პოლიციას გაუგზავნა ფოტო, რომელზეც 40 გირვანქა სტერლინგი იყო გამოსახული. გავიდა რამდენიმე დღე და მძღოლმა ისევ მიიღო კონვერტი პოლიციიდან, ამჯერად მასში ხელბორკილების ფოტოსურათი იდო. ამ ფოტოს დიდი ზემოქმედების ძალა აღმოაჩნდა, – დამრღვევმა...“ მე მეტი ვეღარ გავიგე, იმიტომ რომ ახარხარებულმა ჩემი მანქანის „პარპრეზი“ გავდორბლე და პირდაპირ გაზეთების ჯიხურში გავერჭე. იმ დღეს ექიმთან ვეღარ მივედი და მეორე დილით როგორც იქნა მივაღწიე.

დაახლოვებით სამი საათი მიკვლიეს, მსინჯეს, მოკლედ გასაყიდი საქონელივით მათვალიერეს შიგნიდან, გარედან, უსმინეს სუნთქვას, გულის მუშაობას, მოკლედ სრული გამოკვლევა ჩამიტარეს და რამდენიმე დღის შემდეგ დამიბარეს. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გამეგო რა მჭირდა. ამ ამბიდან სამი დღის შემდეგ სახლში ტელეფონი აწკრიალდა. კედიმ უპასუხა, ცოტა ხანს ილაპარაკა, რაღაც ოფიციალურად, ჰოდა შემდეგ მეორე დღეს ექიმთან წასვლა რომ დავაპირე, ცოცხალი თავით არ გამიშვა. უნდა გამოგყვე გინდა თუ არაო. ნუ ამან ცოტა გამაბრაზა, მაგრამ 10 წელიწადში ერთხელ ცოლი თუ რაც ჰქვია, რომ აგიხირდება, გაგებით უნდა შეხვდე ამ ამბავს, ბოლოსდაბოლოს იქნებ მენსტურაცია დაეწყო. მოკლედ წავედით ექიმთან, იმათ იქ რაღაც მასკარადი გააჩალიჩეს, ექიმი ჯერ მე მელაპარაკა, მერე კედი გაიყვანა გვერდით და მე უკვე მივხვდი რომ რაღაც ვერ იყო მთლად კარგად.

უკან რომ ვბრუნდებოდით კედი ტინგიცობდა, ჰოდა მივხვდი რა რომ მიმალავდა და ისე რომ მისკენ აღარც გამიხედია პირდაპირ ვკითხე:

– ფილტვის კიბო მაქვს ჰო კედ?

– ღმერთო ჩემო რა სულელი ხარ – მოკვდა სიცილით. მანქანა გავაჩერე, თავი რულზე დავდე და აღარ შემიხედია ისე ვუთხარი

– კარგი რა კედ, ჰო იცი რომ იდიოტი არ ვარ. რამდენი დამრჩა? – კედიმ თავზე დამიწყო მოფერება, თმაში მისი თითები დასრიალებდნენ და მე ტანში ჟრუანტელი მივლიდა. მგონი იმ წუთას ცხოვრებაში ყველაზე მეტად მიყვარდა და... და ალბათ ვნანობდი ყველა იმ წყენას, რაც ოდესმე მისთვის მიმიყენებია.

– გიო, სისულელეა გიო. – ხმაში ცრემლი შეეპარა. მერე თავზე მისი ლოყა ვიგრძენი და ცრემლები, რომლებიც ჩემს თმებში იკარგებოდა.

– კარგი რა არ არის საჭირო, ბოლოსდაბოლოს ოდესმე ხომ მაინც მოხდებოდა – ვუთხარი და ჩემდაუნებურად მეც ცრემლი შემეპარა. მაგრამ იმიტომ არა რომ კიბო მქონდა, არა, უბრალოდ რატომღაც კედი მეცოდებოდა.

– გიო.... – აქ უკვე ნერვებმა უმტყუნა და ვეღარ გააგრძელა, გაუშვა ბოლომდე ცრემლები და ისინი უკვე ჩემს თმებს ჩამოუყვნენ ქვევით და ვხედავდი როგორ იკარგებოდნენ სადღაც ქვემოთ.

– რამდენი ხანი დამრჩა კედ? – ხმა გავიმყარე.

– ორი თვე – და მოუმატა ტირილს. მე თავი ავწიე, ის გადაიწია ისევ და ახლა უკვე საკუთარ ხელებში ტიროდა. მანქანა დავქოქე და სახლში წავედით. გზაში ვაწყნარებდი. თან რაღაცნაირად მეცინებოდა, ვერაფრით ვერ ვიჯერებდი რომ ეს ჩემს თავს ხდებოდა.

რაღაცნაირად ყველაფერი შეიცვალა. მე და კედი ისე ვისხედით სახლში თითქოს ვიღაც უკვე გარდაიცვალა და ისეთი შეგრძნება გამიჩნდა თითქოს საკუთარ პანაშვიდზე ვიყავი. ნერვები მომეშალა.
– კედ სისულელეა ხო იცი. ეს არაფერს ნიშნავს. ოდესმე ეს მაინც მოხდებოდა.
– ვიცი. – ცივად მიპასუხა, თუმცა ისევ ეტირებოდა ვხვდებოდი.
– კედ იცი, მე სულ არ ვღელავ, რაც იქნება იქნება.
– ..... – დუმილი.
– კედ, ბოლოსდაბოლოს ჩვენ ხომ ერთმანეთს ამდენი ლამაზი წუთი ვაჩუქეთ, და რაღაა სანერვიულო. ისღა დაგვრჩენია ღმერთს მადლობა ვუთხრათ იმისთვის რაც გვქონდა – საკუთარი სენტიმენტალობა მაოცებდა და თან მეცინებოდა, მაინც ვუანგარიშე ”ამდენი ლამაზი წუთი”.
– ..... – დუმილი.
– კედ აწიე ეხლა თავი და გაიცინე რამენაირად. ხო იცი ვერ ვიტან ესე რომ ხარ მოწყენილი.
– ..... – დუმილი.
– კედ, გთხოვ რა გაიღიმე და მელაპარაკე, არ შეიძლება რა ესე, ბოლო ორ თვეს მოწყენილობაში და გლოვაში ხომ არ გავატარებთ. – ჰოდა აქ მე ძალიან უცნაური რამ ჩავიდინე...
მოკლედ კედი საღამომდე მაინც ვერ გავაცინე, მგონი ძალიან ვუყვარდი მართლა. აი მე კი ვტინგიცობდი და ვტინგიცობდი, რამენაირად ხასიათზე მინდოდა მომეყვანა და ბოლოს ჩემდაუნებურად წამომცდა: „საოცარი ადამიანი ხარ კედ, შეგიძლია ყველაფერი საშენოდ შეატრიალო. აი ეხლაც ყველაფერი ისე გამოიყურება თითქოს მე კი არა შენ გქონდეს კიბო“. ამანღა უშველა და ბოლოს როგორც იქნა გამხიარულდა. ბოლოს ჩვენ შევთანხმდით რომ ჩემი კიბოს მიუხედავად უკანასკნელ ორ თვეს ისე გავატარებდით, თითქოს არაფერი მომხდარა და მაქსიმალურად შევეცდებოდით გართობას.

6

ჰოდა ესეა რა, ეხლა რომ ვფიქრობ დიდად ვერ შემცვალა იმ ამბავმა ორი თვეღა რომ დამრჩა სიცოცხლე. ცოტა მეტად ფილოსოფიური აზრები გამიჩნდა. ისე სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა. მე და კედიმ გადავწყვიტეთ არავის გავუმხილოთ ეს ამბავი. ყოველშემთხვევაში მანამ, სანამ მეტასტაზები არ დამაგდებს. არ მინდა ხალხმა ისე დამიწყოს ყურება, როგორც... როგორც რა ვიცი, ცოცხალ მიცვალებულს. ესე იციან ხოლმე. საერთოდაც მე არ შევცვლილვარ, მაგრამ კიდევ ერთი ახალი ამბავი მოხდა მაინცდამაინც ეხლა. კედიმ აღმოაჩინა რომ ფეხმძიმედაა. ჰოდა რა ვიცი როგორ მოხდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში თავს ვიკავებდით ბავშვისგან, ჰოდა მაინცდამაინც ეხლა.... ყოველშემთხვევაში არ ღირს ამაზე წუწუნი. მე ალბათ ვეღარ მოვასწრებ ბავშვის ნახვას. არც მინდა, ესე ჯობს იმისთვისაც და ჩემთვისაც. ემრე რო ვნახავ უფრო გამიჭირდება. ეხლა სასაცილოა მაგრამ ერთადერთ რამეზე ვფიქრობ, მინდა რომ იმ მომენტში... ჰო რა ბოლოს მინდა რომ გულიანად გავიცინო. ყოველთვის მჯეროდა რო.... ჰო აი მაშინ მოხდა რა, მამაჩემი რო წავიდა იმ დღეს ეკლესიაში წავედი. დიდხანს ვიდექი რა ჩუმად, ჩემთვის, ჰოდა ესე ჟრუანტელი მივლიდა რა ტანში. ბავშვობიდან ესე ვარ, ვერ შევდივარ

ეკლესიაში ხალხი როცაა. ნერვები მეშლება რაღაცნაირად. ჰოდა ვიდექი რა, სათვალე არ მომიხსნია, მეტირებოდა და არ მინდოდა შემთხვევით ვინმე შემოსულიყო და რო დავენახე შემრცხვებოდა ვიცი და ნერვებიც მომეშლებოდა. არც მახსოვს რა რას ვეუბნებოდი და ერთი რამ კი მახსოვს, ვთხოვე რო მაშინ მომკალი როცა ამისთვის მზად ვიქნები– მეთქი. ჰოდა მზად ყოფნა როგორ გესმისო. არა ესე არ უთქვამს, ღმერთთან ლაპარაკი სად შემიძლია, უბრალოდ თავში მე თვითონ დამარტყა რას ვგულისხმობ– მეთქი. ჰოდა აი ბოლო მომენტში გაცინებას რო შევძლებ და არაფერს არ ვინანებ, მაშინ ვიქნები– მეთქი მზად. ჰოდა უფრო მაგრად დამიარა ჟრუანტელმა, თვალები დავხუჭე და მოკლედ რელიგიურ ექსტაზში ვიყავი გადაშვებული თავფეხიანად და უცბად არ ვიცი საიდან, ვიღაცა მეძგერა. გაქანებული ნევროზი მქონდა, ეგღა მეკლდა, არიქა მე ვთქვი ეგ არის და ღვთისშმობელი გადმოვიდა ხატიდან უნდა მომისამძიმროს მამის გარდაცვალება–მეთქი (რა ვქნა ვერ ვეშვები ხუმრობას), ჰოდა რა ღვთისმშობელი რის ღვთისმშობელი, ვიღაც თავშალშემოხვეული ქალი დამხვდა წინ და კიოდა: „როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება, როგორ არ გრცხვენია. შენ იცი სად ხარ? ღმერთის როგორ არ გეშინია...” ჰოდა ვიფიქრე უნებურად რამე ხო არ ვიხუმრე და მაგიტო ხო არ მეჩხუბება–მეთქი და ვკითხე რა დავაშავე ქალბატონო ასეთი–მეთქი. ამაზე უფრო გადაირია ის დალოცვილი თითქოს პირდაპირ ეკლესიაში ჟიმაობა შემეთავაზებინოს, ამოალაგა ხმის იოგები ზემოთ და ნახევარი წლის ნახველი ამოიღო რამის ფილტვებიდან, „სათვალე, სათვალე მოიხსენი უწმინდურო.“ ჰოდა ესე გამოვვარდი რა და იმის მერე ეკლესიას სულ შიშით ვუვლი გვერდს, სუ მგონია რომ შევალ თუ არა ის ქალი ისევ დამეტაკება უწმინდუროს ძახილით.

ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევი რომ... რომ არ ვიყავი მზად ვგრძნობდი. რა ვიცი აბა, ვერ გავიღიმებდი, სულ არ მეღიმებოდა, ჰოდა რაღაცნაირად შემერყა რა... აი ის შემერყა რწმენას თუ რაღაცას რო ეძახიან. მე ერთი უბრალო ფინანსისტი კაცი ვარ. ჯოშუასგან განსხვავებით არც მწერალი ვარ და არც ტერი დევისივით ვოცნებობ მილიარდის მოხსნაზე. ჩემთვის ვარ რა, ერთი ეგაა ღმერთზე ვხუმრობ ხოლმე, მეტი არაფერი, ისიც იმიტომ კი არა რომ არ მწამს, ან ვამცირებ, უბრალოდ სხვანაირად ხუმრობა არ გამომდის და თან რაღაცნაირად ჩემთვის ეგ ცნება იმდენად დიდი და ამოუცნობია, რომ სხვანაირად არ შემიძლია რა. ფინანსისტი ვარ, ალბათ ამის ბრალია. უნდა ვიანგარიშო, რამე კონკრეტულ ჯამამდე უნდა მივიდე, ჰოდა ბავშვობიდან ეს პრობლემა მქონდა. ღმერთზე რომ მელაპარაკებოდნენ ვერ მივდიოდი რამე კონკრეტულ ხელშესახებ პასუხამდე. ყოველთვის აბსტრაქტული იყო რა. ჰოდა სხვა გზა აღარ მქონდა უნდა მეხუმრა. ჰო ხვდებით არა. ჰოდა ამ თქვენ ღმერთს კიდევ სულ არ აღმოაჩნდა იუმორის გრძნობა. ადგა და ამკიდა ფილტვის კიბო. არადა მე კიდე მაგრად მჯეროდა რომ მაშინ წამიყვანდა როცა მზად ვიქნებოდი. რა აზრი აქვს წუწუნს.

ესე გავაფილოსოფოსე რა. ალბათ რო ზიხარ და ელოდები სიკვდილს სხვა გამოსავალი აღარ გრჩება. პიზდეცში მიდის ტვინი. ჰოდა უცბად მივხვდი რო ყველაფერი ისე უნდა გამეგრძელებინა ვითომ არაფერი, ფილოსოფიასაც უნდა შევშვებოდი და იმასაც რა მოხდებოდა რომ... არაფერი არ მოხდებოდა, ყველაფერი მაინც ისე იქნებოდა როგორც არის. ალბათ. მესმის რო სისულელეა და ესე არ არის, მაგრამ ეხლა გვიანია იმაზე ფიქრი რა იქნებოდა რომ... ჰოდა იმას ვამბობდი მივხვდი– მეთქი რო ეს ორი თვე შეიძლებოდა გამომეყენებინა მოსამზადებლად და ბოლო მომენტში იქნებ მომეხერხებინა გაღიმება,

ჰოდა დავიწყე ფიქრი, ოღონდ არაფილოსოფიურად. ისე უბრალოდ, ჩემთვის, თან იმის შეგრძნება არ მტოვებდა თითქოს ეს ყველაფერი მე კი არა, ვინმე ჩემთვის კარგად ნაცნობ ტიპს შემთხვეოდა.
ჰოდა ერთი დილაცაა და ხველამ გამაღვიძა. ჰოდა სისუსტე ვიგრძენი და საწოლიდან ვეღარ წამოვწიე წელი. კედისაც გაეღვიძა.რა იყო ცუდად ხარო? ჰო–მეთქი. თვალებში შევატყე შეეშინდა. მკერდზე თავი დამადო და გაიტრუნა. მგონი გულისცემას უსმენდა.
– გეშინია? – ისე ვკითხე, უბრალოდ.
– ..... – დუმილი.
– კედ, რამდენიმე დღეა ვფიქრობ, მგონი ჯობს რომ მე ძველ ბინაში გადავიდე საცხოვრებლად. მაინც ერთი თვეც აღარ დარჩა. – არადა მოვატყუე, იმ წამს მომივიდა თავში ეს იდეა. ნეტა რატო მოვატყუე, ალბათ იმიტომ რომ შემეცოდა.
– ..... – დუმილი.
– ჰო, კედ ასე ჯობს. რა საჭიროა ამას უყურო?! ტყუილად დაიტანჯები. მე ამ ამბავს მტკივნეულად მაინც არ განვიცდი.
ჰოდა დამთავრებული არ მქონდა სიტყვები რომ ჯერ ორი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე, შემდეგ კიდევ მკერდზე მომეკრა და... და დამასველა ცრემლებით. მე თავზე ვეფერბოდი.
მოკლედ ასე იყო თუ ისე გადავედი ჩემს ძველ ბინაში და მეტი დროც მქონდა მოვმზადებულიყავი ბოლო მომენტისთვის გადავწყვიტე ფარხმალი არ დამეყარა და თუ ღმერთმა არ შეასრულა პირობა, მე შემესრულებინა. აი ნახე ღმერთო როგორი სიტყვის კაცი ვარ– მეთქი. და დავიწყე და რა დავიწყე.
ჩემი გაუჩინარება კედიმ მივლინებით ახსნა, სამსახურში კი კუთვნილი შვებულება გამოვიყენე. კედი დღეში სამჯერ მოდიოდა, მოქონდა საჭმელი, პრესა, რომელსაც რატომღაც ინტერესით ვეცნობოდი, კიდევ რაღაც რაღაცეები. ტელეფონი გამორთული მქონდა. თან ახალი ამბები მოჰქონდა ტერიზე, ჯოშუაზე და ვიღაც ვიღაცეებზე. მოკლედ დრო გარბოდა და გადამწყვეტი საათიც ნელ-ნელა ახლოვდებოდა. ფილტვებში წვა მატულობდა, ხველაც, კიდევ სისუსტეც. ჰოდა მე კიდევ ვამზადებდი თავს. და აი...

7

გიომ ერთ დილით თავი მზად იგრძნო. სიხარულისგან საწოლში ხტუნვა დაიწყო. თვალები ზეშთაგონებით აღაპყრო ზეცად და თქვა; „მზად ვარ, წამიყვანე უფალო“. წაყვანის რა მოგახსენოთ და ტელეფონი აწკრიალდა. დახედა, კედი ურეკავდა. უპასუხა. კედი შეშლილივით იყო, თან იცინოდა თან ტიროდა და...
– გიო გიო, არ ყოფილა კიბო, ეს არ ყოფილა კიბო.
– რა არ ყოფილა გამაგებინე, დალაგდი ცოტა.
– გიო ეხლა ექიმმა დამირეკა, გიკითხა, მე ვუთხარი მივლინებაშია–მეთქი. ჰოდა მითხრა რომ შეგვეშალა, ანალიზის პასუხი შეგვეშალა, თქვენს მეუღლეს უბრალო ფილტვების ანთება აქვს, თუმცა სასწრაფოდ საჭიროებს მკურნალობას, რადგან ბევრი დრო დავკარგეთო. გესმის გიო? შენ არ მოკვდები გიო, შენ იცოცხლებ...

ფილტვგამომპალმა ფინანსისტმა ტელეფონი დაახეთქა იატაკზე და აღრიალდა. ღმერთოოოო, შე ყველაზე იდიოტო ხუმარა. რამდენი მაწვალე და სულ ტყუილად? ჰა? ღრიალებდა. გაცოფდა. მერე დაწყნარდა. მერე ახარხარდა. მერე ძველი სამართებელი აიღო, ცივად შევიდა აბაზანაში, თბილი წყლით გაავსო და სამართებლიანად ჩაწვა შიგნით...

გია არგანაშვილი

ბატონი გიორგი, შეპირებისამებრ გიგზავნით ტექსტს პროექტისთვის „ჩემი მოთხრობა“. არჩევანი მასზე შევაჩერე, რადგან ეს დოკუმენტური პროზაა, რომელიც ასე გვაკლია დღეს.

ჩვეულებრივი ვაჟა-ფშაველა

(დოკუმენტური პროზა)

არ უყვარდა ვაჟას ქორწილებში სიარული, არც ქეიფი და დროსტარება ალაღებდა, არც ცეკვა-თამაში, სიცილიც არ იცოდა ხეირიანი. ამიტომ არიდებდა თავს მხიარულ თავყრილობებს, იცოდა სასმელისგან შეგულიანებულ ხალხში ან ჩხუბი აიწეოდა, ან ვინმე სალექსოდ შემდგარი დაუპირებდა გატეხვას. კაცის საძრახისს რა დალევს, ამოიღებდნენ მიზანში და როგორც თხის გადასერილი კოჭიდან იწყებენ საგუდედ ტყავის გაძრობას, ისე გააშიშვლებდნენ იმის ლამაზად ჩაცმულ-დახურულ ოცნებას.

ვაჟას გატეხა მაინც სხვა რიგის სახელი იყო.

„-კაფიაობა მამამ ვერ იცოდა, ვერა... საიდან ეცოდინებოდა მამასა ეგა, შვილო, მამა ბუნების მგოსანი იყო, ბუნებისა...“ გულქანს უთქვამს.

მაშ უფრო დიდი ხალისით შეუმღერებდნენ ფრუშკა და ხაჩით ჯაბანი, ჩონქარა და ქავთარი.

ვაჟას მთელი ქვეყანა მოევლო, თვითონაც ესწავლა და სხვებისთვისაც ესწავლებინა. ახლა მწერლობისთვის მოეკიდა ხელი, წერდა და უბეჭდავდნენ, ნელ-ნელა სახელსაც იხვეჭდა, მთელი ქვეყნის პატრონობას იჩემებდა, მაგრამ ამ პატარა სოფლის კაცობას მაინც არ თმობდა.

ეს არ მოსწონდა სოფელს, ამის უფლებას ვერ მისცემდნენ პავლე მღვდლის შვილს.

მწერლობაში ხომ არ ეჯიბრებოდნენ, „ივერიის“ კორესპონდენტობას არ სტაცებდნენ ხელიდან, საქვეყნო დიდებიდან ხომ არ სთხოვდნენ წილს, ჰოდა ვაჟასაც უნდა დაეთმო კარგი მხვნელ-მთესველის, მოჭიდავის, მოჯირითის, მოკაფიავის, მონადირის სახელი. არ უთმობდა, ვაჟა უთმობდა, ლუკა – არა.

ლუკა მიიბრძოდა, თავის წილს ითხოვდა ლხინშიც, ნადირობაშიც, ჭიდაობაშიც და თავპირისმტვრევაშიც.

ერთ კაცობაზე ეწერა და ორ წილს ითხოვდა.

იმის გულში საარაყე ქვაბივით დუღდა სოფლურ-გლეხური ვარამი, ისიც დღე-მუდამ სარეველს ატრიალებდა, რომ არ მიეწვა, ზედმეტ მხურვალებას არ წაეტუსა პირველ-ნახადი.

ამ ყოველდღიურობის წინწანაქარი მოწვეთავდა ვაჟას კალმის წვერიდან, „დაე, აყროლდეს სოფელი, სრულიად დაღრღნან ჭიათაო“

ლუკას თავაშვებულობას ვაჟას სიფრთხილე სდარაჯობდა, ფხიზლობდა ვაჟა, მაგრამ ერთხელ მასაც წამოჰყარეს თავდაჭერილობის ლაგამი და ლაშარის გორზე

ფშაველებმა იხილეს იმისი გულის სიშიშვლე. „გავა დრო და ჩემს სახელზეც ისე ილოცებთ, როგორც ლაშარის ხატს ლოცულობთო“
არ უნდა ეთქვა? ჯიბრითა თქვა, ლუკაც აქეზებდა, არაფერს არ დაგითმობენ, არ გიშეღავათებენ. ბახტრიონიც რომ აიღო, შენს წილ მამულს მაინც გაგაკენჭვინებენო.
სოფელიც ადასტურებდა ამ ნათქვამს.
„– შენ სოფელს გინდა გაუმკლავდე? ეჰეე, დიდი ძალა აქვს სოფელსა, თუ მოინდომა მალე ყირაზე გადაგატარებს”.
აკი მოუნდომეს კიდეც ყირაზე გადატარება, არც ეს ამბავი დაუმალავს გულქანს.
ერთი კაცი ვეღარ უნდა მოვიკვეთოთო? დამდგარან ამ პირობაზედ, შეყრილან კაკლების ქვეშ, ულაპარაკიათ, უყაყანიათ და დაშლილან.
ვერ მოიკვეთეს, ვერ ჩაუგდეს სამანი სოფლის მიჯნასთან.
ეს ამბავი სხვა დროს მოხდა, იმ ზაფხულს კი სოფლის საქონელმა ლუკას სათიბები გაატიალა.

* * *

გაჯავრებული ბრუნდება მთიდან, დერეფანში ტრიალებს, ბობოქრობს, ვიღაცას ემუქრება... გაღმიდან ხმა ესმის, აყურადებს: – ჩალხო გეპატიჟება შვილის ქორწილშიო, – კაცი იძახის.
ჩალხოს ვაჟას მკითხველიც კარგად იცნობს, სოფელში ჩალხოს ყველა უძმოს ძმას ეძახის, რადგან სულ სხვისი გულისთვის ჩხუბობს. საკმარისია ვინმე დაჩაგრული ნახოს, რომ ჩალხომ მისთვის თავიც გადადოს სასიკვდილოდ, ამისთვის ბევრი გმობს, ბევრსაც ეშინია მისი მოქნეული მუშტისა, „ქვა დამკრა მაგ ოჯახდაქცეულმა, ნამდვილად დამკრაო“ – ჩივიან სოფელში.
ლუკას კარგი მიმოსვლა აქვს ჩალხოსთან. ერთი ცეცხლი ნთებიათ მათ მამა-პაპათ, ქორწილს ვერ გამოაკლდება. მაგრამ არც პირველ-მაყრად, მახარობლად მისვლა უნდა, ამიტომ ფეხს ითრევს, ეზო-ყურეში ჩუჩუნებს და როდის-როდის გახშირებულ პირველ ღამეს გადადის წყალ-გაღმა.
ჭალაზე ადევნებული ძაღლები ჩალხოს ეზომდე ყეფით აცილებენ, ლუკა ჯოხის ცეცებით აგნებს კარის-კარს, აღებს და მოწნულ დერეფანში შედის.
დერეფნის ბოლოს სახელდახელოდ გამართულ სამზარეულოში, რამდენიმე კაცი ტრიალებს. ზედადგარზე შემოდგმულ ქვაბს პატარა ბიჭები ცეცხლს უნელებენ. დუღს ხორც-წვენი, ტრიალებს ქაფქირი, შხივის მსუქანი სამწვადე და ხონჩებზე ხორცის დიდ-დიდი ნაჭრები იყრება.
საკიდელზე სახინკლე ქვაბი ქანაობს, მდუღარე მორევივით ბრუნავს და ორთქლადქცეული წყლის თეთრი ქაფითვით მოწიაწუულ ხინკლებს ზედაპირზე იყრის.
თანდათან უფრო მეტი და მეტი ცომის მოხარშული გუნდა იწყებს ტივტივს. ფსკერიდან წამოყრილი ჰაერის ბუშტებიც ხინკლად სკდება და ქვაბის ირგვლივ დაყუნცული ბიჭებიც იძაბებიან. მათ ახლა ეჯიბრის ალი უფრო უწვავს პირ-სახეს, ვიდრე ხმელი წიფლის აბრიალებული ნაპერწკალი. ვინ დაასწრებს, ვინ ამოიღებს მდუღარედან პირველ ლუკმას?

აგერ ერთმა ახალუხის სახელო გადაიწია, მეორემ ბოლისაგან აცრემლებული თვალები ცხელ ბურუსს ჩააშტერა. ერთდროულად დაიძრა ორი მკლავი და ორთქლის თეთრ ბინდში ერთდროულად დაიძირა.

პირველმა მაშინვე ამოჰკრა გაშლილი ხელისგული და მდუღარე ამოაშხეფა. მეორემ უფრო ღრმად ჩააწვდინა მკლავი, ერთი წამით დაახანა და კალმახივით მოთიმთიმე ხორციანი ზევით ამოაგდო, ერთი-ორჯერ ჰაერში შეათამაშა, მეორე ხელიც შეაშველა, სული შეუბერა და პირისკენ გააქანა.

– შეჭამა, აჯობა, აჯობა, – ხორხოცებენ ბიჭები.

გამარჯვებული ცალ-ფეხზე დახტის, გულ-მკერდს იბერავს და ცხელ ოხშივარს უკან, ჩათუთქულ გულ-მუცელში აბრუნებს.

ბერიკაცები სინანულით აქნევენ თავს, ახალგაზრდები ქირქილებენ, ლუკას ცალი თვალი უცინის და ზეზემოტრიალეებს ხელის ჩამორთმევით ესალმება.

სამზარეულოდან გამოვარდნილი ცხელი ორთქლი ქვის კიბეებზე მიხტის და ბანთ-უკან კალოსკენ უხვევს. ამ გზაზე ქარავანივით გაბმულა ცხელი ხინკლით სავსე ხონჩები. ლუკა უკან მიჰყვება, გზადაგზა ჩოხას იბერტყავს, ქუდს იხდის და ჭაღარამორეულ თმა-წვერს ხელისგულით ისწორებს.

სიბნელიდან შესულს, კალოს ბოძზე ჩამოკიდებული ჭრაქის მბჟუტავი შუქიც თვალსა სჭრის, მარცხენა ხელით იჩრდილავს, მარჯვენით – უპეზე ჩამონადენ ცრემლს იწმენდს და იმ კუთხისკენ მიდის, საიდანაც ხმამაღალი საუბარი და ხალისიანი შეძახილები ესმის.

– ოო, ლუკას გაუმარჯოს! მოხვედ მშვიდობით! ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

– დამხვდით მშვიდობით, მშვიდობა ამ სახლს, გაუმარჯოს ნეფიონს! – მარცვალ-მარცვალ ფანტავს ახლად შემოსწრებული, ამგვარი შემთხვევისათვის აუცილებელ სახარჯო სიტყვებს.

ლუკას, როგორც ოჯახის ახლობელს, ნეფე-დედოფალთან იწვევენ და სავსე ყანწს სთავაზობენ, ქალისა და ვაჟის მაყრები, ერთმანერთის პირისპირ, სკამ-ფიცრებზედ სხედან. ლუკა ყველას იცნობს. აი, მისი ნათლიმამა ხეხერა, იმისი ცოლისძმა – ფრუშკა, ნადირა, ჯაბანი, მჭედელა, ღვთისო, ქავთარი... ზოგი მეზობელია, ზოგიც მოკეთე ზოგს ყოველდღე ხვდება, ზოგსაც ათასში ერთხელ... ბევრთან კალთა-კალთაზე აქვს გაბმული, ბევრსაც დამდურებულია ყანის, სათიბის, ბოსტნის დანალევზე, მაგრამ ახლა, ქორწილში ყველა ერთმანერთს ურიგდება, ივიწყებენ წყენას, რომ ნამთვრალევზე კიდევ ერთხელ გაიხსენონ დამდურების მიზეზი და ხელახლა დაატრიალონ მუშტი.

ლუკა ილოცავს ქვეყნიერების დამბადებელს, ცისა და მიწის გამჩენს. მთა-ბარის წესთა გამრიგეს, თემისა და ოჯახის მფარველს, ადღეგრძელებს ახალ ჯვარდაწერილებს, ნეფიონს, ჯარს, იმის ნათქვამ სადღეგრძელოში ისმის ჩვეულებრივი სიტყვები „ნუ მაუშალოს ამ ოჯახს ქორწილი, დაიფარე მტრისგან, კეთილად მაუხდინოს ღმერთმა, კეთილად დაუბეროს“... ხმამაღლობენ საქორწილო სიტყვების მოლოდინით იმედგაცრუებული მაყრები. ლუკასაც უქრება ზედმეტი ყურადღებისგან გამოწვეული აღტაცებასავით ხალისი. ჯდება. როგორც მდინარეში შესული ადამიანი, რომელიც საკუთარი სხეულით აგუბებს დინებას, ტალღები ებრძვიან, ეხეთქებიან, ფეხქვეშ

საყრდენს აცლიან. გრძნობს, სადაცაა დაკარგავს წონასწორობას. ამიტომ სწრაფად გამოდის ნაპირზე და ტანს იბერტყავს.
ლხინის მდინარე – თავდავიწყება, ჩვეულ კალაპოტს უბრუნდება. მაყრები ხშირ-ხშირად იცვლიან ადგილს, მოყვრები ერთმანერთთან სიახლოვეს ამჯობინებენ. მელექსეებს უკვე შეურჩევიათ თავიანთი მეტოქეები და ახლა მათთან პირისპირ მოხვედრას ლამობენ. მხოლოდ მოშუღლენი სხედან გაუნძრევლად, ხელისგულებს მუშტავენ, შუბლს ინაოჭებენ, ნაბზევ კალოს ამტვერებენ და ნამთევი კურეტებივით გაჰყვირიან ერთმანერთს.
ლუკა ოჯახის უფროსს, ჩალხოს კითხულობს. სასიძო რაღაცას ბუტბუტებს, ლუკას სიტყვები არ ესმის, ხელით ანიშნებს დაბლა სახლისკენ. ვაჟის გამოხედვაში ლუკა დაეძებს მამის ალი-კვალს, ჩალხოს მარიფათს და ლაზათს.
კალოს სიღრმიდან მორატრატებს მთვრალი მაყარი, ლასტის კედელს ებღაუჭება, დედაბოძს ეხვევა და გასასვლელის ძებნით დაღლილი იმისი მუხლები ლუკას ფეხებთან ისვენებენ.
ლუკა საქამრედან აზიდავს, მკერდზე მიიყრდნობს, მიაფარფატებს სათივისკენ, მაყარი ძუძუმოსხლეტილი ხბოსავით ჭირვეულობს, ტანში იძაგრება, იბერტყება. თუმცა მალე ურიგდება ბედს და ტყავ-ჩოხის ამარა, ხმელ თივაში ეხვევა.
ლუკა დერეფანში ჩადის, გაწივებულ ნაკვერჩხალს აღვივებს, ყალიონს აწყობს და ოთახის ჩაგმანულ კარს შინაურივით აღებს.
ჩამქრალი კერიის ახლოს, ჯეჯიმგადაფარებულ ტახტზე ჩალხო წევს, მოკლე ნაბადი მხოლოდ მკერდამდის ფარავს, თავქვეშ სიპი ქვა უძევს, აქვე სამფეხაზე ბჟუტავს სანთელი. სანთლის მკრთალი ნათელი აჩენს ჩალხოს გაყვითლებულ თითებს, თეთრ თმა-წვერს, ნიაღვრისაგან ჩამორეცხილი ფერდობივით დაღარულ შუბლს.
ლუკას უკვირს, რომ ჩალხო გამტკნარებული წევს, დიდრონი მკლავები გულზე დაუკრეფია, ტივის მორებივით შეკრული მუხლები გახევებული დაუყრია გამხმარ ფიცარზედ.
უკვირს ლუკას და ცდილობს მომხდარში გაერკვეს. უახლოვდება ჩალხოს, უნდა ხელით შეეხოს იმის მხარს, კრთება, აკრთობს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები, რომელიც კუთხიდან ისმის.
– დავიღუპეთ ლუკავ, დავიღუპენით, – ქალთამზე ჩალხოს დედაკაცი გულ-მკერდს იმჯიღავს და მწუხარების ნიშნად, ორივე ხელს მუხლის თავებზე იცემს.
ლუკა გაოგნებულია. ქალთამზე უყვება, რომ ჩალხო მაყრებს დახვდა, დასხა, თვითონაც აებ-გაება მექორწილეებს, მერე დაბლა ჩამოვიდა, ქალთამზეს უთხრა: ავადა ვარ უნდა, დავწვეო. მიწვა ტახტზე და ვიდრე ქალთამზე დასამიწი ხელებით ნაბადს მიაფარებდა, მოასწრო ეთქვა: ჯარზე არ აიშალონო და მიაბარა სული უფალს.
ქალთამზეს შეცხადება ვერ გაუბედავს, მხოლოდ ბერიკაცებისთვის გაუნდვია ჩალხოს დაღუპვის ამბავი, იმათ
ჩალხო გაუპატიოსნებიათ და გადაუწყვეტიათ, ვიდრე ნეფე-დედოფალს გვირგვინს არ აჰხდიან, მიცვალებული უნდა შევინახოთო. კერიაზე ცეცხლი ჩაუქრიათ, კარი გამოუჯარავთ და ქალთამზესთვის სახვალიო რიგის მზადების ნება მიუციათ.
ჩალხოს სიკვდილი მაინც არ დამალულა. მაყრებს შეუტყვიათ ოჯახში დატრიალებული უბედურების ამბავი, მაგრამ საიდუმლო შეუნახავთ, ლხინი არ მოუშლიათ. ოჯახის

გარდაცვლილი უფროსის სადღეგრძელო: გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – ძახილით შეუსვამთ.

ლუკა დამწუხრებულია. უსმენს ქალთამზეს და აღარ იცის შვილის ბედნიერება მიულოცოს თუ მეუღლის სამძიმარი უთხრას, ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტია. სანუგეშო სიტყვები კი თავისთავად ცვივა. ქალთამზე უხმოდ იცრემლება ჩიქილის ყურში, გულისყურით უსმენს, თუმცა კი უწადინოდ ემორჩილება ლუკას რჩევა-დარიგებას. თავდახრილი გარეთ გადის.

ლუკა მარტო რჩება ცხედართან, ჩალხოს უეცარი სიკვდილით აღგზნებული იმისი გონება, სრულიად იმორჩილებს სხეულის ნებას და ისიც ანგარიშმიუცემლად დააბოტებს ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხისკენ, ფიქრობს ჩალხოზე. ჩალხოს სახე, მიცვალებულის თავთან დანთებული სანთლის ალივით, ხან თვალწინ პარპალებს, – ლუკა ამ დროს განზე იყურება, – ხანაც ჩრდილივით უკან მისდევს და წარსულში ახედებს. იქ კი ჩალხო ხან ბანზე დგას, ხან ეზოში ტრიალებს, ცხენს კაზმავს ან ხარებს თივას უყრის. ლაპარაკობს, შეუსვენებლად ლაპარაკობს, წუხს ქვეყნის უსამართლობაზე, წუხს თავის სიბერეზედ: ეს ოხერი, დიდი ჭირი ყოფილაო: და მაინც გულმაგრად ებრძვის ამ წუთისოფლის უგრძნობელობას.

კედელზე ჩალხოს მათრახი ჰკიდია, უძმოს-ძმის ერთადერთი ამხანაგი უსამართლობასთან ბრძოლაში. ლუკას ახლაც ჩაესმის იმისი შოლტების ტყაშუნი, სისხლიან კვალს რომ ტოვებდნენ მოწინააღმდეგის სხეულზე.

მრავალი ასეთი კვალი და ნიშანი ჩალხოსთვისაც დაუმჩნევია ცხოვრებას. აი, ჭრილობა, მარცხენა მხრიდან მარჯვნისკენ რომ სერავს სახეს, ორ-სამგან ჩამტვრეული ცხვირი, ნახევრად ჩამოთლილი წარბი, ჯვარედინად დასერილი ნიკაპი, ნახმლევი ტანი, რომელიც საუკეთესო საბუთია ჩალხოს განვლილი ცხოვრებისა.

დღეს კი, ჩალხო თავის გათლილ ტახტზე ასვენია. სულ მუდამ წაღმა-უკუღმა მოტრიალე მუშტები გულზე უწყვია, თუმცა ისე ძლიერად შეუკუმშავს, თითქოს ისევ ვიღაცას ემუქრება, თითქოს აი, ახლა წამოიწევს, წამოდგება და იმისი მჭექარი ხმა ისევ ახდის ბანიან ჭერს: „არ მოვკვდი, არა, ცოცხალი ვარ და დედებს ვუტირებ ყველას, ვინც ბეჩავ კაცს იჩოლფოტებს.

ლუკა ფეხზე დგება და მიცვალებულს ზევიდან დაჰყურებს, ცალი თვალი უშტერდება, გაქვავებულ მაჯას ხელით ეხება, სიცივე ნელ-ნელა გადმოდის იმის სხეულში, წყდება აზრი, რჩება ფიქრი სიტყვების გარეშე და ეს უსიტყვო განცდა უფრო ცხადად აგრძნობინებს, რომ ჩალხო რაღაც დიდ ყოვლისმომცველ ძალასაა დამორჩილებული.

თანდათან ქრება სიცოცხლეშივე ხედ და ქვად ქცეული, ახლა ამ უხილავი ნებით ხელფეხშეკრული ჩალხოს სხეული. აღარ ისმის სულ მუდამ უმინდოდ ფქვისგან გალეული წისქვილის დოლაბის ხმა. მხოლოდ მატყლის ფთილასავოთ მსუბუქი ხსოვნა დაფარფატებს სახლის ბნელ კუთხეებში, ნატრობს ერთ წვეთ ცრემლს, მუჭში ჩაკარგულ უხმო ქვითინს, რომ გაცდეს ამ ბნელ ჯურღმულს, გადაუაროს წიფლის ხეებს, სათიბებს, მწვერვალებს და ჩალხოს მოურჩენელი ტკივილიც თან წაიღოს.

ლუკას არ აშინებს მიცვალებული, ადრეც ბევრჯერ გაუთევია სხვებთან ერთად ღამე. მაშინ შენდობასა და ახლად შესვენებულის ქებაში ილეოდა დრო. ახლა კი როგორ

გაიწელა, თითქოს ჩალხო ეპოტინება წყვდიადს, არ უშვებს ღამეს, რომ გათენებამ არ დაამოწმოს ის სამწუხარო სინამდვილე, რომელიც სიზმრისეულ ჩვენებას უფრო წააგავს...
მართლაც, ლუკა ღამით მოვიდა ქორწილში, ლხინში და დღეგრძელობებშიც დიდი ღამე გაილია, მერე ბანზე იდგა, დერეფანშიც... რომ არა ქალთამზეს ცრემლი, რომ არა ეს უსიცოცხლო ცხედარი, რომელსაც ხელით ეხება, შესაძლოა ყველაფერი მართლაც დაუჯერებელი სიზმარი ყოფილიყო. ისინიც, იქ რომ არიან, ზოგი კალოში, ზოგიც ბანზე, ზოგიც სიბნელეში დააბოტებს. ქალთამზემ თქვა ყველამ იცისო, მღერიან, მხიარულობენ, ბერიკაცებს რაღა ღმერთი უწყრებათ? ან დედაკაცებს რამ გაუშროთ ცრემლი?... იქნებ?... ჰო, ფშავლებს უყვართ სიცილი, თავშესაქცევი ამბის სანახავად ათ ვერსზეც არ დაგზარდებიან წამოსვლას. ხომ არავინ ცდილობს ეს ღამისთევაც სალექსოდ გახადოს?
ლუკა ჯვალოს აგლეჯს სარკმელს, გაფაციცებული გასცქერს მთის წვერებს. იქიდან უნდა დაიძრას ცისკარი. არ ჩანს. ახსენდება: ჯერ მამალსაც არ უყივლია, ჯერ ძაღლებიც არ დამცხრალან, გარედან – მათი ღავღავი, ერდოდან – გაძლიერებული სიმღერის ხმა გუბდება ოთახში.
დაგუბებული ეჭვი ერთბაშად ამტვრევს თხელ ნაჭუჭს. ლუკა ნელ-ნელა უახლოვდება მიცვალებულს, სანთელს ანათებს, იხრება, გულისცემას აყურადებს. ჭრიალებს ძალადამდგარი ტახტი, ირწევა ჩალხოს გაცრეცილი ახალუხის ღილ-კილო, ვეება ჩრდილები დააბოტებენ სახლის ბნელ კუთხეებში.

... ...

გარეთ კი ქორწილი გრძელდება, ღვინო უცეცხლოდაც დუღს. მთვრალი მაყარი კი ადიდებულ მდინარესა ჰგავს: იმღვრევა, ხასიათს იცვლის, ჩვეულებას ღალატობს, კალაპოტიდან გადმოდის და უნაპიროდ იშლება.

მისი აღელვებული გულისთქმა ვეღარა გრძნობს მიჯნას და თავდავიწყებას ეძლევა.
მან დიდი ხანია დაკარგა რეალობის შეგრძნება, ამიტომ უანგარიშოდ სვამს, წაქცევამდე ცეკვავს, ბოლო ამოსუნთქვამდე ჩხუბობს, და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის, აყრუებს ხეობას.
ის ჯერ ქორწილის მაყარია, მოცეკვავე, მომღერალი და უდარდელი, მაგრამ როდემდე გასტანს ლხენით სიმთვრალე?
მან იცის, რომ ღამე დიდ საიდუმლოებას ინახავს. ამიტომ ღამეს ეშურება, აშინებს გამიფხიზლება და დღის სინათლე, რომელიც სინამდვილეს დაუბრუნებს, ლხინის მაყარს ჭირის მოზარედ აქცევს.
სიკვდილის ხილვა დაიმორჩილებს იმის აღელვებულ გულისთქმას, ჩაუკლავს ჟინს, დაასუებს, დააზავებს საკუთარ თავს.
ჯერ კი ღამეა და ქორწილი მხრებში იშლება. საბძელს, სათივეს, ეზო-ყურეს ეპატრონება. ერთგან თუ ცეკვავს, მეორეგან ჯიხვის ყანწსა სცლის, მესამეგან ჩხუბობს, მეოთხეგან მტერს ურიგდება.

მექორწილეთა ერთ ჯგუფს, რომელთაც ჯერ კიდევ ფხიზლად მიჰყავთ ლხინის წესრიგი, ახალგაზრდები ნეფე-დედოფალს სტაცებენ.
ბანზე იშლება საცეკვაო, ხელგაშლილი გადმოდის ვაჟის მაყარი, ქალის მხარე აქეზებს. ქორწილის წესი პატარძლის ცეკვას ითხოვს.
ისიც თავდახრილი შემოდის წრეში, მკლავები მხრების სიმაღლეზე მოაქვს გაშლილი. თითები დახრილია, მხოლოდ ნეკი იბზიკება ცისკენ, თითქოს მხოლოდ ის ცეკვავს, ის ემორჩილება გაძლიერებული ტაშის რიტმს.
– ტოში, ტოში!
ტრიალებს პატარძალი, იმის სანახავად გამორბიან ქალები, იღვიძებს სათივე, საბძელი, ფხიზლდება ქორწილი და მატულობს სანახაობა.
– აბა, დედავ, შვილის ქორწილში უნდა გაცეკვო, – ჯოხზე დაყრდნობილ ქალთამზეს მთვრალი მაყარი საცეკვაო წრისკენ მოახანხალებს.
ვიღაცა მხრებზე მოხვეულ შალს სტაცებს, სხვა ჯოხს ართმევს ხელიდან.
წონასწორობადაკარგული გაშლილი მკლავებით ეპოტინება ჰაერს. გასასვლელის ძებნაში უნებურად ტრიალებს. გზას არ აძლევენ, ახლა სხვა მხარეს მიდის, ისევ ხელგაშლილი, ველ-მინდვრებზე სიარულს შეჩვეული ფეხები თავისთავად მისრიალებენ. ცეკვავს ქალთამზე, მოძრაობა ასწრაფებს აზრს. გონება დასტრიალებს სიკვდილ-სიცოცხლის გამოცანას. ითვლის ფიქრს, როგორც წინდის ჩხირით ამოყვანილ თვლებს, უმატებს; მერე ისევ ითვლის, ამოჰყავს ახალ-ახალი, მოჰყვება ძაფი, გორაობს უცნაური გორგალი ბედ-იღბლისა, წერა-მწერლისა. უნდა გაჰყაროს ერთმანერთს იღბალი და ფათერაკი, უნდა ხურჯინის ცალ-ცალი თვალივით სხვადასხვა მხარეს გადაჰკიდოს, თავ-თავისი ადგილი მიუჩინოს ბედნიერებას და უბედურებას. გრძნობს, რომ ამაოა ამგვარი ცდა, რადგან შვილის ბედნიერება და ჩალხოს დაღუპვა ერთმანერთს დაესწორა. სჩანს, ასე იყო დაწერილი, ვერც თვითონ გაჰყრის. გვირგვინოსან შვილს რომ უყურებს, ჩალხოს ცხედარს ხედავს. ან კი როდის ყოფილა, ბედნიერებაში უბედურების წილიც არ ერიოს... ქალთამზეს ფიქრის ძაფი უწყდება, ერთი მეორის მიყოლებით იშლება თვლები, ირღვევა ნაქსოვი. ისევ ცდილობს შეაკოწიწოს... წრიდან გამოსული ერდოსთან იკუნჭება. ახლა უფრო გულმოდგინედ გამოჰყავს თვლები, ნაშალსაც აქსოვს ახლად გამონასკვულს. ჩამომჭკნარ სახეზე მოგორავს ცრემლი. ალბათ სიხარულისაა. მერე მწუხარებისას დაღვრის. დააცდის ცხოვრება, რომ სიხარულისა შეაშრეს? განა გული ერთდროულად არ იტევს ორივე გრძნობას. ენას რაღა უშლის, რომ ორივესი თქვას? იქნებ ლუკასავით ცალი თვალიდან სულ მუდამ ცრემლი უნდა გდიოდეს, ხოლო მეორე გიცინოდეს, რომ ერთდროულად ბედნიერიც იყო და უბედურიც. იქნებ ეს არის ხურჯინის ორი თვალი, ერთმანერთის საპირწონე, რომელიმე მათგანმა რომ არ გადაძალოს, რომ ადამიანი ბედნიერებამ არ დააუძლუროს უბედურებამ არ დასცეს.
მაშ რატომ გლოვის ზარს არ იტყვის? რატომ ხმამაღლა არ შეიცხადებს ჩალხოს სიკვდილს? განა გვირგვინნაკურთხი შვილ-რძალის ცრემლი საღვთო მადლსაა მოკლებული? განა მოზარეთა მოთქმა უფრო მისასვლელი არ არის სიკვდილ-სიცოცხლის დამრიგესთან, ვიდრე „თანუნანოს” ღიღინი? განა ცრემლით განათლებული ჩალხოს სული უფრო მოწყალედ არ ილოცებს შვილების ბედნიერებისთვის?

მართლაც, პურის ხმელი თავთავივით იფშვნება ეს ამბავი. ცვივა მარცვალი, ზოგი კალთაში, ზოგი მიწაზე, ზოგიც თითებშუა სხლტება და შორს იპნევა.
ოთხმოცი წლის წინანდელ ამბავს მიყვება მოხუცებული. იხსენებს დავიწყებულს, ნანახსა და გაგონილს ერთმანერთში ურევს, საჩვენებელ თითს ინერწყვავს და მარცვალ-მარცვალ აგროვებს გაბნეულს.
რა ბარაქა უნდა დაუდგეს ასეთ შემგროვებელს?

. ...

არა, არაა საკვირველი თუ ზაფხულის ერთ ღამეს, ჩარგალში, ახალგაზრდა ფშაველის ქორწილში, ამავე სოფლის მკვიდრი ლუკა რაზიკაშვილი სტუმრობდა.
ისიც დასაჯერებელია, რომ სწორედ ქორწილის ღამეს, სამეფოდ გამზადებულ ოჯახს უბედურება ეწვია, გარდაიცვალა ოჯახის უფროსი ჩალხო, მეტსახელად უძმოს-ძმა, სამაყროდ მიპატიჟებულ ლუკას კი უნებლიეთ თუ განგებისად ჭირისუფლობამ მოუწია. თუმცა, მიცვალებულის შენახვამ თუ დამალვამ ისე გააოგნა, რომ ერთ წამს კიდეც დაეჭვდა მომხდარის სინამდვილეში.
ქრისტეს აქეთ, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, მსოფლიოს ერთ-ერთ პატარა ქვეყნის პატარა სოფელში ასეთი სურათი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:
ფშაველი გლეხის საცხოვრებელი სახლი, ქვის ყორეთი შემოღობილი ეზო, ეზოში ვაშლის ხე საჩრდილობლად, ტოტებქვეშ ბანიანი ერდო, ქვევით – ოთახი, გომური, ბაკი. ზევით – ბეღელი, სათივე, კალო. კალოში ქორწილია გაჩაღებული, ოთახის ჩანაცრებულ კერიასთან მიცვალებული ასვენია, სახლის გარშემო უკუნეთი წყვდიადია და ამ უჩვეულო ღამეს ორად-ორი ჭირისუფალი – ლუკა, რომელიც თეთრად უთენებს მიცვალებულს, ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხისკენ დააბოტებს და ქალთამზე, რომელიც ერდოსთან მიკუნჭულა, რადგან ადათი უკრძალავს გარდაცვლილი ქმრის საწესო ღამისთევას. ერთი – უხმოდ, მეორე ჩუმი ქვითინით დასტირის ახლად შესვენებულის ცხედარს.
ბავშვობაში განცდილ ამ სურათზე გაყინულა მოხუცებული ფშაველის მზერა, სხვა არაფერი ახსოვს, იქნებ არც უნახავს? წყდება თხრობა... დაუსრულებელი ამბავი კი ისე ითხოვს გაგრძელებას, როგორც გაუთენებელი ღამე ელის მამლის ყივილს ან ცისკრის ვარსკვლავს.
მაგრამ, თავისთავად ხომ ვერ გათენდება? უთუოდ რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც განსაკუთრებულმა, გმირულმა მოქმედებამ უნდა გაფანტოს ღამის წყვდიადი. ლუკამ უნდა აიღოს თავისთავზე ეს მისია. ლუკამ უნდა დაუმტკიცოს მომავალ თაობას, რომ პოეტი /თანაც გენიალური/ არა მარტო აზროვნებს განსხვავებულად, არამედ მოქმედებს კიდეც, რადგან მხოლოდ განსხვავებული, გამორჩეული მოქმედება იმსახურებს საყოველთაო თანაგრძნობასა და სიყვარულს, მხოლოდ საზოგადოების მორალისა და ზნე-ჩვეულებისადმი დაუმორჩილებლობა იწვევს მკითხველის ცხოველ ინტერესს და პატივისცემას.
განა ასე არ იქცევიან მისი მარტოსული გმირები? ემორჩილებიან რა ირაციონალური იმპულსის კარნახს, არად აგდებენ აკრძალვის ზღვარს, აშკარად უპირისპირდებიან ტოტალურად დამრთგუნველი იდეოლოგიით შეკრული საზოგადოების ქცევის

ნორმებს, თვითონ, თავისი ხელით სწირავენ კურატს ურჯულოს სულის მოსახსენებლად, მასპინძლობენ ძმის მკვლელს, მღერიან ჭირის სუფრაზე და ტირიან იქ, სადაც სხვები მხოლოდ მხიარულების მიზეზსა ხედავენ.
ჰოდა, ლუკამაც უნდა გადალახოს სოფლის მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის დაწესებული საზღვარი, რადგან ახლა ისიც პერსონაჟია, ზეაღმავალი გმირია ჩვენი საუკუნის ეპოსისა. უნდა დაარღვიოს ადამიანების მიერ დაწესებული სამართალი, უმრავლესობის მიერ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ქცევის ნორმა, რომელიც ხელს უშლის სიუჟეტის, ამბის განვითარებას.
თუმცა არავინ იცის, რა უფრო მოეწონება დღევანდელ, ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქიკათა შინაარსში გარკვეულ ელიტურ მკითხველს, – ჩამოხსნას ლუკამ კედლიდან ჩალხოს მათრახი, მოზეიმე ხალხს გაერიოს და ამ მათრახით გამოაფხიზლოს თავდავიწყებაში ჩავარდნილი მაყრის დაძინებული სინდისი?
თუ სამგლოვიარო გვრინი თქვას, გაკივლებასავით ტირილის ხმაზედ რომ იმღერება, საქვეყნოდ გააცხადოს სიკვდილი, აშალოს ჯარზე მსხდომი მექორწილენი და საჭირისუფლო თალხით შემოსოს გვირგვინმოუხდელი ნეფიონი.
ლუკას ამგვარი მოქმედება აუცილებლად ხალხის აღშფოთებას გამოიწვევს. მცირე საბაბიც საკმარისი მიზეზი გახდება, რომ ლუკას მომავალი საბედისწეროდ დაუახლოვდეს მისი გმირების ბედს. ისევ შეიყრება აღელვებული თემი, აისხმება დროშიონი, ხევისბერი დაარისხებს ერთობის დამრღვევს, პირის მტეხელს, ხალხი გულიდან ამოიგლეჯს, დასწყევლის მოკვეთილს.
განა ეს ბედი ლუკასთვისაც სასურველი არ უნდა იყოს? უარი თქვას საზოგადოების რიგით წევრობაზე, ჯოგური ცხოვრებით მონიჭებულ უპირატესობაზე, დაგმოს ადამიანებთან ადამიანური ცხოვრების მთელი ამაოება, დაადგეს განკერძოების, განკაცების ამაღლებულ მიზანს – ზეკაცობისკენ მიმავალ გზას, რომელიც ერთადერთი ბილიკია პიროვნული სრულყოფისაკენ.
დაწყევლილი და შეურაცყოფილი, მოკვეთილი და ყველასაგან მოძულებული, ტიტანური ძალისხმევით გაარღვევს ბედისწერის რკალს, განჭვრეტს პიროვნების კოსმიურ არსს და უკვდავებასთან წილნაყარი მიაღწევს ერთადერთობისა და განუმეორებლობის იმ მიჯნას, რომლის მიღმა სრულქმნილი სამყარო იწყება.
ალბათ ასე განვითარდებოდა მოქმედება, ლუკაში რომ ჩვენი პოეტი, ვაჟა- ფშაველა არ იცნობოდეს. ვაჟამ უკვე იცხოვრა თავისი გმირების ცხოვრებით, იხილა ღირსებაშელახული საზოგადოების შეუბრალებელი მსჯავრი; იცის, რა ტრაგიკულია თემიდან განდევნილი, მოკვეთილი პიროვნების ბედი. მაგრამ ისიც იცის, რომ თითო-ოროლა ადამიანის რევოლუციური თავგანწირვა, რომელიც ხშირად ამპარტავნებით და ქედმაღლობით არის გამოწვეული, ოდნავადაც ვერ ასუსტებს ბოროტმოქმედებას და ბიწიერებას, ვერ სპობს შურს, უსამართლობას, ვერ ცვლის საზოგადოების ცხოვრების წესს, და თუ დღეს სიკეთე მაინც სჯობნის ბოროტებას, ეს იმიტომ, რომ ჭკვიანი ადამიანები ისევ ხალხში ტრიალებენ, იბრძვიან, სხვებთან ერთად იმარჯვებენ ან მარცხდებიან, იზიარებენ სიხარულსა და მწუხარებას და ძალდაუტანებლად სწვრთნიან ხალხის გრძნობა-გონებას უკეთესი წეს-რიგის დასამკვიდრებლად.
საკუთარი ღირსებისა და შესაძლებლობის შეგრძნება ვაჟას ხელს არ უშლის, რომ უბრალო და თავმდაბალი იყოს. ამიტომ არ უყვარს გამორჩეული, თემისაგან

განდგომილი, მოვალეობის შემგინებელი ზეკაცი, რომელიც მხოლოდ სუსტს, უსუსურს და მეწვრილმანე ადამიანს ენატრება. ამიტომ ვაჟას ცხოვრების ბოლომდე ლაშარის გორზე ვხედავთ; ვხედავთ საფიხვნოზე, სოფლის ჭირ-ვარამით შეწუხებულს, თიანეთში – მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობის მაძიებლად, შირაქში – მთიელთა ბარში ჩასახლების ორგანიზატორად და მათი იურიდიული უფლებების დამცველად.

ჩალხოს კარ-მიდამოში კი თენდება, თავისთავად თენდება. ამომავალი მზის ნათელი აფხიზლებს მთვლემარე მაყრებს. გვირგვინახდილი ნეფე-დედოფალი სამძიმარზე სხდებიან, ქალთამზე ზარს ამბობს. შაოსანი ქალები სათითაოდ მიდიან ცხედართან, ეყრდნობიან მიცვალებულის ხმალს ან ხანჯალს და მოთქმით ტირიან. იხსენებენ ჩალხოს ცხოვრებას, აქებენ მის კაიკაცობას, იგონებენ თავიანთ მიცვალებულებსაც, ჩვილთა, უასაკოთა, უწილოთა, ხალხისაგან დავიწყებულთა, მზრუნველობას ავედრებენ შავეთისკენ მიმავალს.

კაცები დაკოჟრილ ხელებს ხანჯლის ვადაზე იწყობენ, მეტისმეტი მწუხარებისგან ქვითინებენ, ცრემლს გაშლილი ხელისგულით იწმენდნენ, იგლეჯენ ვიწრო საკინძეს და გულის ამოგლეჯასავით ოხვრას გზას აძლევენ.

ლუკაც აქვეა, სადღაც საბძლის ყურესთან ან დერეფნის ბოლოს, ჯოხს დაყრდნობია, თვალცრემლიანი იზიარებს ჭირისუფალთა დარდს, ხან „ტიჰოჰოს” ძახილით უერთდება საერთო გლოვას, ხანაც სხვა კაცებივით გულმკერდს იმჯიღავს.

მერე პროცესიას მიყვება, დაღმართში ხელს აშველებს დაფერდებულ საკაცეს, მხარზე იყრდნობს, უსიტყვოდ ემორჩილება ჭირისუფლის ნება-სურვილს, სამარეს ასუფთავებს ან აკლდამის კედლისთვის მძიმე ქვებს ეზიდება. უკანასკნელად ეთხოვება უმმოს-ძმას და ცნობისმოყვარეთა მზერას გარიდებული, საყდრის ნანგრევს აფარებს თავს.

მღვდელმა აღასრულა წესი მიცვალებულის გაპატიოსნებისა, მესაფლავენი კუბოსთან ჩალხოს შვილს უთმობენ ადგილს, ის უნდა გამოეთხოვის გარდაცვლილს, გაუმზადოს საიმქვეყნიო საგზალი: წყალი, ცეცხლი, თუთუნი, პირადი ნივთები, რომელიც, მათი რწმენით, აუცილებლად დასჭირდება მიცვალებულს საიქიოში. იგივე რწმენისა თუ ჩვეულების მიხედვით, ჭირისუფალმა რაიმე ნივთი უნდა მოპაროს გარდაცვლილს, რათა იმის მოსაკითხად მრავალჯერ აღსდგეს სამზეოში იმისი სული, სიზმრისეულ ხილვებში ეჩვენოს ჭირისუფალს, მოჰხედოს დაობლებულ ოჯახს, გაუზიაროს თავისი ფიქრი, გააფრთხილოს მოსალოდნელი ხიფათისა თუ უბედურების შესახებ.

ჩალხოს ვაჟი სათითაოდ იღებს მიცვალებულის თავ-სასთუმალთან ჩაწყობილ ნივთებს, ხელიდან ხელში გადააქვს, ათვალიერებს, არჩევს რომელი დაიტოვოს. „საქვეყნო ქურდობაში” სხვებიც მონაწილეობენ: ზოგი დანის მოპარვას ურჩევს, ზოგიც საღვინე დოქს აჩეჩებს ხელში. ლუკას თვალს სტაცებს გრძელშოლტიანი მათრახის ჭრელი ტარი. უნდა, დაიძახოს: მათრახი. უძმოს-ძმის მათრახი არ შეაჭმევინოთ მიწასო. შეიძლება ყვირის კიდეც, მაგრამ იმისი ხმა აღარ ისმის ხალხის ყაყანში. ჩალხოს შვილი კი სხვისი რჩევით თუ საკუთარი გულის კარნახით, ოქროსწყლით დაშიბულ სათამბაქოეს ინახავს ახალუხის გულის ჯიბეში.

დაკრძალვა გვიანობამდე გაგრძელდა, სხვებთან ერთად ლუკამაც სამგზის ჩასძახა სანახევროდ ამოვსებულ სამარეს, „მიწა ხარ და მიწად იქეცო”. თუმცა კარგად იცოდა,

რომ იმ ნივთიერებათა შორის /ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა/, რაისგანაც შედგმულ არს სხეული კაცისა, ჩალხოში ყველაზე ნაკლები წილი ამ უკანასკნელისა იყო.

თეონა ბაკურაძე

რატომ ავარჩიე? ახალია და იმიტომ.

ბუს კვერცხები

შეყვარებული წყვილები საღამოს ელოდებიან ხოლმე ტბის გარშემო. ტბა არის მწვანე და სქელი. შეყვარებულები იცვამენ მწვანეს, რომ არ გამოჩნდნენ ტყეში და ტანსაცმლიანად გორაობენ ხეებქვეშ. ისეთი შეუმჩნევლები არიან, ისეთები, რომ ხანდახან ერთმანეთს კარგავენ. მერე, გორაობა-გორაობაში აღმოაჩენენ, რომ სხვისი შეყვარებულის ტუჩი აქვთ მოგდებული და დარცხვენილები დგებიან, ტანსაცმელს იფერთხავენ და ლოყააწითლებულები მიიპარებიან თავიანთი ნამდვილი კაბოკლოების საძებნელად. ზოგი ვეღარც პოულობს, ზოგს ახალი მეტად მოსწონს და მოკლედ, ასე საინტერესოდ გადის დღეები, უფრო სწორად მუქი საღამო-ღამეები სქელი ტბის გარშემო.

სანამ გორაობების დრო მოატანდეს, იმ ტბის პირას კონცერტები იმართება ხოლმე. ერთ დღესაც, კერძოდ კი შემოდგომის დღეს, მე და ჩემი ორი მეგობარი ავედით. არ ვიცოდით, რა გველოდა, ქალაქში უაზროდ ხეტიალისას გამვლელების საუბარი შემოგვწვდა და იქიდან გავიგეთ, რომ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჯგუფი რაღაცას აპირებდა სქელი ტბის პირას და ავბოდიალდით ჩვენც, საქმე არაფერი გვქონდა. სანამ ხალხი არ შეგროვდა, მერე არ დაიღალა და ბოლოს ნახევარი არ წავიდა, არ დაიწყეს. ჩვენ ჯიუტად ველოდებოდით, ადამიანებს ვათვალიერებდით და ადგილზე ვძუძგაობდით. მაგრად გაგვეყინა ფეხები, ნუთუ ბათინკებიც ფსევდო გვეცვა? საქმე გააჭირა რა ამ ფსევდომ, რაღაც ფსიქოლოგიური სტატია წავიკითხე რამდენიმე დღის წინ და ისე მომეკრო, როგორც ჩემი მშიშარა ძაღლი მეტმასნება ხოლმე, მეზობლის უზარმაზარი მონსტრი რომ უყეფს. ამეკვიატა და ახლაც სწორედ მაგით ვირთობდი თავს. ფსევდო რაღას აღარ მივუსადაგე ჩემს გარშემო. კონცერტიც ფსევდო გამოდგა.. იმ გაგებით, რომ არანაირი ესთეტიური სიამოვნება არ მოუტანია, ვფიქრობ ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ არავისთვის და საერთოდ, თავი და ბოლო ვერ გავუგე. მაგრამ ერთ რამეში კი მართლა მაგარი იყო. ესეც, და ყველა სხვა კონცერტიც – ემოციებში.. ვინც გამოვიდნენ და დაუკრეს (ამას თუ დაკვრა ერქვა) მათ ემოციებს ცოცხალი და თანთალა ორგანიზმებად ვხედავდი. მართალია თითოეული მონაწილე ზედ ჩვენს თვალწინ გულმოდგინედ ეცადა, self-ზე კონტროლი მოეხსნა (როგორც იტყოდნენ ყოვლისმცოდნე ფსიქოლოგები) ანუ გამომტყვრალიყო და ისე გამოვარდნილიყო ჩვენს, ანუ კაცმა არ იცის, რისი მოსურნე მსმენელის წინაშე, მაგრამ მე, როგორც ემოციების ყველაზე გულმოდგინე მაძიებელს და გაფაციცებულს, ვერაფერს გამომაპარებდნენ. კარგად ვიცოდი მათი მუხლების კანკალი და ღელვა. ინსტრუმენტების გამოტანის და დაწყობა-აწყობის პროცესიც ისე მიყვარს! ამ დროს ემოციების ბუღი დგას, რომელიც სცენიდან ეგრევე გულში გეყრება. ტანდათან შენც ისე მტვრიანდები ამ ემოციებით, რომ გაფერთხვის სურვილი გიჩნდება და იმ მიზნით, რომ ეს მტვერი შენი გულის ტუმბოდან

როგორმე გადაყარო, იწყებ როკვას. როკ-კონცერტებზე, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები როკავენ და არა ცეკვავენ. ცეკვა სხვა რამეა, კონცერტებზე მიდის როკვა. ამიტომაა, რომ არასდროს არ ვიგვიანებ კონცერტებზე, ბევრად ადრეც მივდივარ ხოლმე, თუ მოვახერხე. ანუ, თუ ბილეთის ფული მაქვს და თან არც მენანება. კონცერტებზე მოსიარულე ხალხმა ყველამ კარგად იცის, რომ თუ უფასოდ ან ნაკლებად შესვლა გინდა, კარგა მაგრად უნდა დაიგვიანო. ყველა შემსვლელი შესული როა უკვე და დაცვის ბიჭებიც გაბეზრებულ-მოწყენილები. მათ ხომ ასე ახარებთ შენი ხვეწნა-მუდარით დაჭყანული სახის ყურება.. და მერე რარიგ იბადრებიან, როცა ბოლოს და ბოლოს, მოიღებენ მოწყალებას და „ჯანდაბას, შედიო“ გეტყვიან?! განა ძნელია ამის გაკეთება? სულაც არა! თან, მთელი შემდგომი ხანი ის გახარებს და გსიამოვნებს, რომ ფული არ გადაგიხდია და ამდენ პიჟონში, ვინც ისე გამოყეყეჩდა, რომ ამისთანა დაბალი დონის კონცერტზე ბილეთი იყიდა, ერთადერთი შენა ხარ ასე მაგარი, ასეთი მეამბოხე და პატივსაცემად გაქნილი არამზადა, რომელმაც შეძლო და უსასყიდლოდ შემოაღწია! მაშ არადა, ამ სისულელეში ფულს გადაიხდიდი! მოკლედ, ეს ყველაფერი ძალიან მაგარია და ერთობ დიდი სიამოვნების მომტანი, თუმცა ხშირად ამის ე.წ. პონტი არაა ხოლმე და მეც, იმ ზემოთმოხსენიებული ყეყეჩებისდა დარად, მორჩილად ვდგავარ სალაროსთან გაჭიმულ რიგში, უზარმაზარფასიანი ბილეთის საყიდლად. ასეთ დროს თვალებს ვარიდებ ხოლმე ფულს, რომელსაც ვაწვდი მოლარეს, რომ მერე ეკლად არ შემესოს, ეს რა ჩავიდინე-მეთქი. აბა?! კონცერტებზე სიარული ერთობ დიდი რისკია – ნაცნობი, ანუ გამოცდილ-მასიამოვნებელი შემსრულებელიც კი ვერ გიხსნის ხანდახან იმედგაცრუებისაგან, სრულიად უცხოები ხომ საერთოდ, ხასიათს ხშირად აფუჭებენ. ამ ყველაფრის შემდეგ, ცოტა მიძნელდება ავხსნა, თუ რატომღა მიმიწევს გული მსგავს ღონისძიებებზე.. ვერც იმას დავაბრალებ ჩემს თავს, რომ უხეირო მუსიკოსების ხილვა გულზე მეფონებოდეს, როგორც არამონათებულ ვარსკვლავს და ჩემს დაშხამულ გულს ვიოხებდე.. ნამდვილად არა, გულისგამაწვრილებლად რომ ააჩხარუნებენ ხოლმე საკრავს, ან სამაგლად კნავიან, მათ მაგივრად საშინლად მრცხვენია და აღარ ვიცი, სად დავიმალო.. სამაგიეროდ, თუ იყოჩაღებენ და სასიამოვნოდ შეასრულებენ, თვალზე ცრემლი მადგება და ცმუკვას ვიწყებ.. თითქოს რაღაცის იმედიც კი მიჩნდება.

ამ და სხვა მსგავსი ფიქრებით გართულს უცბად ისეთი რამ მეზმანა, რასაც ახლა გაჭირვებით აღგიწერთ და მთელი ჩემი ძალებით ვეცდები, სინამდვილეს ზედმიწევნით მივუახლოვო...

საიდან და როგორ, ღმერთმანი, ახლაც ვერ ვხვდები, წვიმამ დაუშვა, თბილმა! თბილი წყალი გადაგვევლო ყველას და აზრზეც ვერ მოვედი, უკვე სულ დავლპი.. ჩემს ტანსაცმელს რომ დავყურებდი გაოცებული და წამწამებდამძიმებული, Acid JAZZ–ის ულმობელი მელოდია ჩამესმა.. არავინ არ უკრავდა! ჩემისთანა სმენის პატრონს ნამდვლად არ უნდა გამჭირვებოდა იმის მაინც გარკვევა, თუ საიდან მოდიოდა ეს ჯადოქრული რიტმები! ვერაფერიც ვერ გავარკვიე..რაღაც უსიამო გრძნობა გამიჩნდა.. ჩემი მეგობრებიც დაფეთებულ დაშტერებულები შემომცქეროდნენ. უცბად, ზედა ბილიკიდან გორგოლაჭებზე შემდგარი წითელთმიანი გოგო დავლანდე. თავქვე ეშვებოდა და მერედა რას იშველიებდა? სათხილამურო ჯოხებს! ღმერთმანი, ეს უკვე მეტისმეტი იყო, ისედაც დაბნეული, თვალებგადმოკარკლული მივაჩერდი მის ახარხარებულ სახეს, მაინც რას იცინოდა? მაგისთანა სიცილი ჩემს დღეში არ მინახავს,

შიგადაშიგ გაჰკიოდა, თავს უკან გადააგდებდა და თვალებმოჭუტული ისე ხარხარებდა, როგორც ალბათ უნდა ხორხოცობდეს ყველაზე დამთხვეული ეშმაკი. ცოტათი შემეშინდა კიდეც. ასეთი არსებისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე. მოკლედ, გასაშტერებელი სურათი იყო! წვიმა–თქეში, უცნაური (თუმცა,კარგი) მუსიკა, ჯოხებიანი და გორგოლაჭებიანი გოგო, თავზე რომაელი ჯარისკაცის ჩაჩქანით, თმების ბოლოები წითლად აღადღადებული.. ხარხარი და შეკივლება...

გვერდით ჩამიქროლა და დამიტოვა სურნელი, ჩემი ბავშვობისდროინდელი, ყველა ბაობაბზე მაღალი აკაციის ხიდან მონადენი უცხელეს ზაფხულებში.

გვერდით ჩამიქროლა და სანამ იმის მწვანე ტრიკოს ვჭამდი თვალებით, ზედა ბილიკიდან კიდევ მომესმა რაღაც ფართხაფურთხის ხმა.

boogie-woogie monsters!!!!! ამან გამიელვა ეგრევე თავში და ადგილიდან მოვწყდი.. იმ ჩაჩქანიან გოგოს ავედევნე, მეგობრებმა შემომძახეს რაღაც მაგრამ მაგათი თავი ვის ქონდა, ზურგსუკან ხმაური ძლიერდებოდა, მე კი უკვე ოფლი მასხამდა! აუ, როგორ მეშინოდა, ცალკე შიში და ცალკე თავაწყვეტილი სირბილი ასფალტის გზაზე, უმძიმესი ბათინკებით გულს გამიხეთქდა მალე, მაგრამ ასე მჯეროდა, რომ თუ გავჩერდებოდი, დამერხეოდა! გოგო დიდად შორს არ იყო ჩემგან, ერთიც არ შემოუხედავს, მიხარხარებდა და ისე გულმოდგინედ უსვამდა იმ ჯოხებს ასფალტზე, რომ ერთი ხანობა ისიც კი ვიფიქრე, ნეტა მეც მქონდეს, ხომ უფრო სწრაფად ვირბენდი მეთქი და სწორედ ამ დროს, ეშმაკმა დალახვროს, კინაღამ ინფარქტმა მგლიჯა: თავსზემოდან რაღაც მწვანე გადმომევლო, მერე კიდე იმ გოგოსაც გადაევლო! ვაიმე, ეს რა იყო, ჩავკვდი მოულოდნელობისაგან, თურმე კიდე ერთი მწვანეტრიკოიანი მიჭოკაობდა, ჭოკებით მოხტუნაობდა, რა! მე კი გავთავდი და! გოგოს სულაც არ შეშინებია, ვფიქრობ კიდეც გაეხარდა, იმიტო რო ხარხარს უმატა და ასე გასინჯეთ, მეც კი გამეცინა.. ალბათ ცოტა შვება ვიგრძენი, იმ რაღაცამ სული რომ არ გამაცხებინა და თავი ცოცხლად დავიგულე. მაგრამ კიდევ მივრბოდი, თითქოს სულ თავისუფლად, აღარც ფეხები მიმძიმდა და გულიც ჩაწყნარდა.. ეს რა დღეში ჩავვარდი მეთქი, ისევ ვფიქრობდი, ოღონდ ამჯერად შეშინებულისა და დამფრთხალის არაფერი მეცხო. ერთი ეგაა, უკან ცოცხალი თავით არ ვიხედებოდი, თითქოს ამიკრძალესო და მივჯლიგინობდი პირმორღვეული. მწვანეებში გამოწყობილი გოგო და ჭოკიანი ბუნდოვნადღა მოჩანდნენ და უცებ მივხვდი, რომ თუ ფეხს არ ავუჩქარებდი, ტყეს ისე შეერეოდნენ, რომ ვეღარ დავინახავდი..ეს გავიფიქრე, თუ არა, იმწამს ასრულდა ჩემი წინასწარმტყველება და ეს ორი დავკარგე!..

ახლაღა შევამჩნიე, რომ მარტო ვიყავი. თითქმის გაშეშებული, ცივი ოფლით სველი კისერიც მივატრიალე, როგორც იქნა – უკან კაციშვილი არ ჭაჭანებდა, არადა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ზურგსუკან უზარმაზარ მწვანეტრიკოიანთა ლაშქარს ვგრძნობდი... რა ჯანდაბა მოხდა?

წვიმა შეწყდა, ჩამოღამდა, ამ ადგილასაც ცხოვრებაში არ მომიდგამს ფეხი... „გვარიანად მირბენია“-გავიფიქრე და ცოტა არ იყოს, გული დამწყდა... ეს ხალხი მაინც არ დამეკარგა.. თუმცა, რას ვაპირებდი, რომც დავწეოდი? და საერთოდ, რა ჯანდაბად გამოვიქეცი? ბორმა მომაწვა ყელში. დებილი ვარ ნაღდი, რა...

ასეთი აზრებით მივაბიჯბდი სველ გზაზე.. ასფალტზეც აღარ მივდიოდი უკვე, ტყის ბილიკს მივუყვებოდი, მოსაცმელის ბარაქიან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. ღამის ცრემლიც კი მომერია, ასე უაზროდ რომ აღმოვჩნდი ამ უკაცრიელ ადგილას. უცებ რაღაც

შარიშურის ხმა გავიგონე, გული შემიხტა და სუნთქვა შემეკრა. ფეხები გამიშეშდა, ნაბიჯს ვერ ვდგამდი ვერც წინ, ვერც უკან, სმენად ვიყავი ქცეული. შარიშურს ხმელი ფოთლები გამოსცემდა, რაღაც ნაცნობი რიტმით.. დავუკვირდი, მხედველობა დავძაბე და ამ დროს, როცა ის ის იყო, რაღაც გავარჩიე, ზედ ჩემს სახესთან იმ მოხარხარე გოგოს სახე ამესვეტა და იმხელა პირი დააღო, რომ დედას გეფიცებით, აქამდე მიკვირს, იმწუთას როგორ არ ჩავისვარე შიშისგან!

აზრზე რომ მოვედი, უკვე თავქუდმოგლეჯილი გამოვრბოდი გზისკენ, თურმე იმ გოგოს ჩემი შეჭმა აზრადაც არ მოსვლია, უბრალოდ იმ თავის მწვანეტრიკოიანთან ერთობოდა და თავზე რომ დავადექი, დიაცურად გამომლანძღა – პირი მოაღო და სულ წივილ-კივილით მამცნო ჩემი იქ ყოფნის უადგილობა...

ეეჰ, უზარმაზარი ტალახის გუნდებიც ავიკარი ბათინკებზე და საბოლოოდ გავბანძდი. აკი ვიცოდი, რომ შეყვარებული წყვილები საღამოს ელოდებიან ხოლმე ტბის გარშემო. ტბა არის მწვანე და სქელი. შეყვარებულები იცვამენ მწვანეს, რომ არ გამოჩნდნენ ტყეში და ტანსაცმლიანად გორაობენ ხეებქვეშ!!! რა სულელი ვარ, რა მომარბენინებდა, აკი ვიცოდი!

მადლობა ღმერთს, გზა მალე ვიპოვე. აქედან უკვე ვიცოდი, როგორ უნდა ჩავსულიყავი ქალაქში.

ტყუილად აქ არავინ ამოდის...

უცებ ხარხარი ამივარდა.. მართლაც და, სასაცილო არ იყო, რა ამბავშიც გავეხვიე? ვის მივდევდი, რომ მივდევდი? რა მინდოდა?

ან ახლა რა მიხაროდა? იხვის ტოლმა და კიდევ ბუს კვერცხები მაცივარში!...

...ერთხელ მაინც ვინმემ მითხრას ნორმალურად, რა პონტია ეს ბუს კვერცხები? რა უნდათ ბუსგან??...

ლელა კოდალაშვილი

წინათქმა

მიუხედავად იმისა, რომ ჰომოსექსუალისტები კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობენ, საქართველოშიც და მეტ–ნაკლებად მთელ მსოფლიოში საკმაოდ საკამათოდ დგას მათი დანარჩენ სამყაროსთან თანაცხოვრების საკითხი.
მოთხრობაში ,,უფლება“ არის მცდელობა იმისა, რამდენადმე მაინც არაზედაპირულად იქნას დანახული ჰომოსექსუალისტის ფსიქოლოგია და მის მიდრეკილებებს გარკვეული ახსნა მიეცეს. მოთხრობაში ასევე დახატულია მამების თაობის მორალურ–ზნეობრივი პრინციპები, რის ფონზეც ხდება შვილის სხვაგვარი აზროვნების ჩამოყალიბება. ეს ნაწარმოები გაიგება როგორც მამისა და შვილის საქციელის ახსნა და არ ითვალისწინებს რომელიმე თაობის თანადგომას ან დადანაშაულებას.
ადამიანებს გვჩვევია, ზედაპირულად მივუდგეთ ერთმანეთის არჩევანს, ვერ გავცდეთ საკუთარი მსოფლმხედველობის არეალს... სწორედ ამის გამო, სასურველია, თუ ეს მოთხრობა ვიღაცას მაინც უფრო ობიექტურად დაანახვებს იმ ხალხის შინაგან სამყაროს, ვის მიმართაც ხშირად არაკომპეტენტურ განცხადებებს ვაკეთებთ ხოლმე.

უფლება

ისევ სარკესთან იდგა. დედამისის სალათისფერი მაისური ეცვა და მკერდს ითვალიერებდა. ზუსტად ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც დედას, ტანზე კი უფრო გამხდარი იყო. ზურგიდან ოთო მიუახლოვდა. ნიკაპი მხარზე ჩამოადო და ხელები მკერდზე ჯვარედინად მოუჭირა. უკვე მერამდენედ დაესიზმრა ეს სცენა. უკვირდა, რომ კადრი ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას წყდებოდა და ახლაც მაშინვე გაეღვიძა. როგორც ყოველთვის, გაახსენდა, რომ ოთოს მკლავებში კი არა, საბანში იყო მოქცეული. მისი აგზნება კი პიკს აღწევდა და ანგარიშმიუცემლად, უმისამართოდ, წარმოსახვის გარეშე გაითავისუფლა თავი. ხელები ზეწარზე შეიმშრალა და სააბაზანოში შევიდა. როგორც წესი, ცივი დუში სიზმარსაც ავიწყებდა და იმ პრობლემებსაც, რომელსაც დიდი ხანია გრძნობდა ანანოსთან, მოკლედ ანანო აღარ უნდოდა. არც ეკა უნდოდა, არც მისი დაქალი თეონა და არც ვინმე სხვა, ვისაც კი ნაზი ხელები, სრიალა კანი და წყლიანი თვალები ჰქონდა. საუზმობისას, ფეხბურთის თამაშისას, ხატვისას, ანანოსთან შეხვედრის დროსაც კი ისე ცხადად გრძნობდა მკერდზე ოთოს ხელების მოჭერას, რომ სახე უჭარხლდებოდა და მერე შეშფოთებული, ფაქტზე წასწრებულივით ათვალიერებდა გარშემომყოფებს და ცდილობდა, სახეზე სიტუაციის შესაბამისი გამომეტყველება აესახა. თუმცა გამომეტყველების შეცვლა იმ მომენტის იარაღად თუ გამოდგებოდა, საერთოდ კი, სულ უფრო და უფრო მეტად გრძნობდა, რომ ძალებს თანდათან კარგავდა. ეს რაღაც ძალიან სერიოზული იყო. აწუხებდა. ისე აწუხებდა, რომ ხანდახან ოცნებობდა – იქნებ საერთოდ აღარ დავიძინო, რომ ეს სცენა აღარასოდეს

ვნახოო. მაგრამ ასე მხოლოდ დილ–დილობით ფიქრობდა, როცა ახალი გათავებული ჰქონდა და ყოჩაღი და ენერგიული იყო. საღამოს კი, უფრო სწორად ღამეს, მოუთმენლად ელოდა, რადგან ის, რასაც იქ ოთოსთან განიცდიდა, არსად, არასოდეს, არავისთან არ განეცადა. თავიდან იფიქრა, ეს იმის ბრალია, ანანოს ასე იშვითად რომ ვჟიმავ, დროა პენსიონერული ერთკვირიანი შუალედი მოვსპო და გარდა იმისა, რომ პარასკევობით მასთან დავდივარ, სამშაბათ და ოთხშაბათ დილას, როცა არც დედაჩემია და მით უმეტეს არც მამა, მაშინ დავიბაროო.

ახლაც სწორედ ოთხშაბათი იყო. სახლი უკვე დაცარიელებულიყო და სადაცაა ანანო ზარს დარეკავდა. ამის გახსენებამ უფრო დაუმძიმა გული. ტელეფონი აიღო, იქნებ დავუმესჯო, რომ არ მოვიდეს, რამეს მოვიმიზეზებო. მაგრამ ამ დროს ზარი დაირეკა და კარი პირსახოცშემოხვეულმა გააღო. ანანოს, როგორც ყოველთვის, ჯინსის შარვალი ეცვა და სალათისფერი მაისურიდან ზუსტად ისე მოუჩანდა მკერდი, როგორც თვითონ, როცა ოთო ეხვეოდა.

– ახლა გამოხვედი დუშიდან? – ანანომ ხმა გაინაზა და კისერში უყნოსა. და მერე, როცა საწოლ ოთახში, ხალიჩაზე თვალდახუჭული იწვა, ქალის თითების მოცაცუნებას ვერაფრით ვერ ამსგავსებდა ოთოს ღონიერ ხელებს, თუმცა კი ცდილობდა.

იმ დღეს პირველად მოხდა რომ არც არაფერი გამოუვიდა. თუმცა ანანო იმდენად თავდაჯერებული ქალი იყო, რომ ეს ფაქტი უმალ უძინრობას და გადაღლას მიაწერა, ვინემ მათ ურთიერთობაში ახალი, საეჭვიანო ქალის გამოჩენას. გარდა ამისა, არ ახასიათებდა, გაყოლოდა უსიამოვნო ფაქტის კვალს და მისი ფესვები შეესწავლა. მომენტი, რომელიც იმ წუთას დიდ ვნებას არ მიაყენებდა, იქვე ავიწყდებოდა. ახლაც კეთილად გაიღიმა არა იმიტომ, თითქოს შეყვარებულზე ზრუნავდა, არამედ იმის გამო, რომ მომენტალურად შეეგუა – დღეს აღარ გაჟიმავდნენ და თავისი მომავალი გამოფენის თემაზე ალაპარაკდა. მერე მშვიდად დალია ლიმონიანი ჩაი და ლექციებზე გაიქცა.

თომა 24 წლის იყო. სკოლა რომ დაამთავრა, აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე მამის რჩევით და ოჯახური ტრადიციის ერთგულებით ჩააბარა. თუმცა ხატვა თვითონაც მოსწონდა, მაგრამ არა იმდენად, რომ თავის საქმიანობად გაეხადა. მამამისი, ვახო ბაქრაძეც მხატვარი იყო და ფერწერას ასწავლიდა სტუდენტებს. ცოტა სმა უყვარდა და ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ თუ წინა ღამეს შურიკასთან ერთად წაიქეიფებდა, დილით აუცილებლად აცდენდა ხან პირველ და ხან ორ გაკვეთილს. ასეთ სიტუაციაში თომას დედა, ქალბატონი ნანა, რომელიც ხელოვნების ისტორიას კითხულობდა იმავე დაწესებულებაში, დილის ცხრის ნახევარზე ბოლოჯერ დაუმახებდა მძინარე ქმარს: ,,ვახო, ვახო, დაგაგვიანდა!“ და როცა ლოგინში მოკუნტული ქმარი საპასუხოდ ბუზღუნით გადაბრუნდებოდა და საბანს საყვარლად შემოიკეცავდა, ნანა თავს გადააქნევდა და ნახევარ საათში ფეხაკრეფით შევიდოდა ხოლმე ვახოს მომლოდინე სტუდენტებთან, ერთს ვახოს და მეორეს თავის მაგიერ ლექციას ჩაუტარებდა, რომ ბავშვებს აკადემიის ეზოში არ ებოდიალათ და რექტორს თვალში არ მოხვედროდნენ.

შურიკა კი ვახოს სტუდენტობისდროინდელი ძმაკაცი იყო. „შურიკას“ ბავშვობიდან ეძახდნენ, რადგან რუსი ბებიისგან ცისფერი თვალები და აპრეხილი ცხვირი გამოჰყვა, თხუთმეტი წლიდან კი სათვალეების ტარება დაიწყო. მის ცოლს მეტრო ,,ღრმაღელესთან“ ბავშვთა ტანსაცმლის მაღაზია ჰქონდა გახსნილი და როცა იგი ორ თვეში ერთხელ თურქეთის თვითმფრინავში ჩაჯდებოდა ხოლმე, შურიკა და ვახო

აუცილებლად დილამდე სვამდნენ და ერთი სტუდენტებთან, მეორე კი სტუდიაში აუცილებლად აგვიანებდა, სადაც ზრდილობისთვის დადიოდა, მეზობლებს რომ არ ეთქვათ, ცოლის კმაყოფაზე ცხოვრობსო. ვახო ბაქრაძე კი, როგორც ხალხს უყვარს თქმა – წესიერი და ოჯახსა თუ სამსახურზე შეწირულ–გადაგებული კაცი იყო. იმდენად წესიერი, რომ „დამატებით შემოსავალს“ ვერ სთავაზობდნენ და ამის გამო არც არასოდეს ყოფილა მისაღები გამოცდების კომისიის წევრი. ბუნებრივია, ხელფასი არ ჰყოფნიდა და რაკი ზოგიერთი მეზობლის და თუნდაც კოლეგისგან განსხვავებით ვერც სასურსათო მაღაზია გახსნა გარაჟში, და ვერც ცოლი დაამუნათა, დაანებე ქალო მაგ ხუთლარიანი ლექციების კითხვას თავი და სტამბულსა ან პეკინში შოპ–ტური სცადე ან შურიკას, ან მეორესართულელი პაატას ცოლთან ერთადო, ადგა და დაბალი გემოვნების მომხმარებელზე გათვლილი ტილოების ხატვა დაიწყო, რომელსაც მეოთხესადარბაზოელ მეზობელს, შუქრიას აბარებდა პოსლეზე, ხოლო შუქრია სანაპიროზე იდგა და ვახოს მიერ ზეთში შესრულებულ ტილოებს თავისი ძმაკაცის, თემოს მიერ მოჭიქულ თიხის ფიალა–ქოთნებთან ერთად ყიდიდა. თომამ რომ აკადემიაში ჩააბარა, სადღაც მესამე კურსიდან, მამის რჩევით მამისავე დაწყებული ნახატების დასრულება დაიწყო და რაკი ამ ერთობლივმა შემოქმედებამ კარგი შედეგი მისცათ და შრომისნაყოფიერებაც თითქმის ორჯერ გაეზარდათ, ვახომ ახლა თავისი ნასტუდენტარის, ალიკას მომარაგება დაიწყო, რომელიც რუსთაველზე, საბაგიროსთან იჯდა და თიხის თეფშებზე თბილისის პეიზაჟებს იქვე ხატავდა და ყიდიდა. მოკლედ, თომას უკვე საკუთარი ფული გაუჩნდა და მამას აღარ უწევდა ყოველ დილას სამზარეულოს მაგიდაზე ხან სამი, ხან ხუთი ლარის დატოვება. ზოგადად კი ვახო იყო ორმოცდათხუტმეტი წლის მამაკაცი, რომელიც ოჯახის შექმნის წუთიდან კარგავს ინტერესს სამყაროს უდიდესი ნაწილის მიმართ. დადის სამსახურში, სახლში დაბრუნებისას აუცილებლად შევა კორპუსის პირველ სართულზე, მარკეტში და ყველს, კარტოფილს, კვერცხს ან ,,სადიას“ ქათამს გაიყოლებს, სიმთვრალეშიც კი ნერწყვის ყლაპვით არ შეხედავს გამვლელ, მით უმეტეს კი თანამშრომელ ან მეზობელ ქალებს. მაგრამ როცა ვინმე ძალიან ლამაზს შეამჩნევს, მასში ძველი, ძალიან ძველი ინსტინქტი გატოკდება. გაახსენდება, რომ ოდესღაც ასეთებზე მტაცებელი ცხოველის ყნოსვით ნადირობდა, უფრო მეტიც, ასეთ ქალებს უყვარდებოდათ კიდეც. მაგრამ ისე ღრმად აქვს მიწა წაყრილი ამისთანა ამბებს იმის გამო, რომ თავს რამდენი წელია გახსენების ნებასაც კი არ აძლევს, რომ თვითონვე რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ამბები წინა ცხოვრებაში იყო, თითქოს მას არც გადახდენია. ჰოდა ერთხელ თუ შეხედავს ამ ქალს ოდნავი ბოღმით და შურით სავსე გამომეტყველებით, რომ ეს სამყარო მისი აღარაა, ამ რიტუალს ვეღარასოდეს ჩაატარებს, ხოლო ეს ქალი ალბათ ვიღაც სხვა ბედნიერს ეკუთვნის. ოდნავ მოიხრება ხოლმე ასეთ დროს მხრებში, ოდნავ უფრო დაჩაგრულად იგრძნობს თავს, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთით, მერე კი ისევ გაიშლება ბეჭებში, ისევ ხალისით ესალმება მეზობლებს, სახლში მისულს კი ახსენდება, რომ თავისი მოსუქებული, შეუხედავი, მაგრამ კეთილი და მორჩილი ნანა ყველა ქალს ურჩევნია. თავს იმითაც იმშვიდებს, რომ ეს გადაპრანჭული ქალები არც ნანასავით განათლებულები არიან, არც მისნაირი მეოჯახეები და არც უბრალოდ კეთილი ადამიანები. მოკლედ, ვახო ინარჩუნებს სტუდენტობისდროინდელ ორ მეგობარს და სამეზობლოში შედარებით დაახლოებულია ერთადერთ ოჯახთან, რადგან

ძველებურად ველარ იმეტებს დროს ხალხმრავალი ურთიერთობებისთვის. მაგრამ როგორც ყველა ადამიანს, ვახოსაც სჭირდება ხანდახან რაღაც აკრძალული, აღვირახსნილი საქციელის ჩადენა და ასეთი საქციელი მისთვის სწორედ შურიკასთან ერთად დათრობაა, რის შემდეგაც ხანდახან შატალოზეც კი მიდის ხოლმე ეს კანონმორჩილი კაცი. სწორედ შურიკასთან ერთად განსხვავებული სასმისების გამოცლით და მერე ლექციების გაცდენით ვახო თავისებურად იყრის იმ პატარა ბოღმებსაც, რომელიც დალევიდან დალევამდე, ზოგი კი მთელი ცხოვრების მანძილზე უგროვდება. მერე კი სიტყვებით არა, მაგრამ განწყობით და პათოსით მთელი მისი არსება გაიძახის – „ეგეც თქვენ!“ „ეგეც თქვენ!“ ხოლო თუ სახელდობრ ვის გულისხმობს, რომც ჩაეძიოთ, ვერ აგიხსნით – ალბათ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც თავისი რბილი, უკონფლიქტო ხასიათის გამო პასუხი ვერ გასცა. იმ ცოლსაც, რომელსაც სადღაც, გულის სიღრმეში აყვედრის კიდეც, რომ მასთან ურთიერთობის ოცდახუთი წლის მანძილზე ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოხდა, ისიც ქორწინების პირველ წელს, როცა ნასვამმა თავისთვისვე მოულოდნელად მარინოჩკას კარგად ნაცნობი ქუჩისკენ გადაუხვია. დილით სახლში მისულმა კი ორსულ ცოლს ძველი თანამშრომლის ქორწილი მოუმიზეზა. გარეულ იხვებზე ნადირობა უყვარს ვახოს, მაგრამ მიაჩნია, რომ მისი ოჯახი არც ისეთ ფუფუნებაში ცხოვრობს, რომ თავს ასეთი კომფორტი შეუქმნას. ყოველი დაკარგული დღე ორი ნახატია, ორი ნახატი კი – თავის მხრივ ორმოცდაათი ლარი. მამამისის ხირიმს წელიწადში ერთხელ თუ გადმოიღებს ხოლმე, გაწმენდავს და კარადაში ინახავს ყოველთვის იმ იმედით, რომ შემდეგ სეზონს არაფრით არ გააცდენს და სანადიროდ წაჰყვება ბიჭებს. იქნებ თომაც წაიყვანოს. კაცია უკვე. როგორც ჭეშმარიტ ქართველს, მასაც ეამაყება, რომ ვაჟი ჰყავს და არა ქალი. თუმცა კი ერჩივნა, ვაჟის მერე ერთი გოგონაც შესძენოდა, მაგრამ ნანას ქალიშვილობისდროინდელი სამსანტიმეტრიანი ფიბრომა თომაზე ორსულობისას ისე გაიზარდა, რომ საშვილოსნოსთან ერთად ამოაჭრეს. ვახომ ღმერთს მადლობა უთხრა, რომ სხვა, საშიში გართულება არ მოჰყვა ამ ოპერაციას. პატარა გოგონაზე ფიქრს თავი ანება და თავისი მზრუნველური პოტენციის ზოგჯერ გამოზოგილად, ზოგჯერ კი ზღვარგადასულად ფრქვევას შეუდგა. ერთადერთი, რაც ყველაზე დიდ საშინელებად ესახებოდა, ეს იყო სადარბაზოებთან ატუზული მობირჟავეთა გუნდი, რომლის როტაციას ვახო წლების მანძილზე ისევე ვერ ამჩნევდა, როგორც თავისი სტუდენტების ახალ–ახალ თაობას. სტუდენტთა ჯგუფი მის თვალში იყო ერთი საერთო სახის მატარებელი ადამიანებისგან შემდგარი მასა, რომელიც ყოველ წელს იცვლებოდა, მაგრამ ვახოსთვის ერთ მუდმივ სხეულად აღიქმებოდა. მას რატომღაც ახლიდან ასწავლიდა ერთსა და იმავეს. ასეთივე იყო სადარბაზოსთან აყუდებული ბიჭების ერთობლიობა, რომლებიც სულ ერთი და იგივე ასაკისანი იყვნენ, ერთნაირი სახეები ჰქონდათ, ზამთარში ერთნაირად იწურავდნენ მხრებს და სიცივისგან გაბუშტული, დაწითლებული თითების გამომუშავებული მოძრაობით შორიდანვე იყრიდნენ პირში მზესუმზირას, ზაფხულობით კი, იგივე ადგილას ჩაცუცქულები, ტუჩებზე ლუდის ბოთლებს იყუდებდნენ. ვახოს მათი ლაპარაკი არასოდეს არ ესმოდა, უბრალოდ, ხანდახან მის სმენას მისწვდებოდა ხოლმე რომელიმეს წამოყვირება: „შენ შიგ ხო არა გაქ, შე ჩემა!“ ან „ბოიშვილი ვიყოო, სიაფანდს ბაზრობ რაა!“ ამ ვითომ უწყინარი დგომით, მეგობრული კინკლაობით, ბლატაობით, ჟამიდან ჟამზე მათ შორის რომელიღაც იწყებდა იმის

მტკიცებას, რომ სხვებისნაირი არაა და იმ სხვების უნებლიე შეგულიანება რომელიღაცას ადენინებდა დანაშაულს, რათა დანარჩენების თვალში გმირად ქცეულიყო. ვახოს ეშინოდა ამ ყველაფრის. თვითონ არასოდეს მდგარა სადარბაზოში, არასოდეს უცხოვრია ქუჩის ბნელი უკიდურესობებით – იშვიათად ამაღლებულად ვაჟკაცურით, შედარებით ხშირად კი უკიდურესად ბოზურით. არ იცოდა, თავისი ხაოიანი, გაუხეშებული ინტუიციით გრძნობდა მხოლოდ, რომ თომას ამ ბირჟასთან საერთო არ უნდა ჰქონოდა. ეგონა, რომიქ მხოლოდ დაღუპვა ელოდა და ამის გამო შვილი ბავშვობიდან სხვადასხვა საქმიანობით დატვირთა. თომა დადიოდა ფეხბურთზე, ცეკვაზე, ემზადებოდა ინგლისურსა და მათემატიკაში. სკოლის პერიოდში ნაკლები დრო ჰქონდა და არც თვითონ ცდილობდა, ვიღაცასთან განსაკუთრებულად ემეგობრა. როგორც კი აკადემიაში ჩააბარა, ერთბაშად თავისუფალი აღმოჩნდა და სწორედ მაშინ გაიცნო ანანო. უფრო სწორად, ანანომ გაიცნო ის ბუფეტში. ანანოს შესახებ მხოლოდ ერთ თავის კურსელს უყვებოდა, მაგრამ მშობლებმაც გაიგეს, რა თქმა უნდა, და მას მერე თვითონ ნანა არა, მაგრამ მისგან შეგულიანებული ვახო მოსვენებას არ აძლევდა შვილს, რატომღაც მიაჩნდა, რომ პირველივე გახმაურებული სასიყვარულო ისტორია ქორწინებით უნდა დამთავრებულიყო.

თომა მიჩვეული იყო მამის მიმართ მორჩილებას თუ არა, მისი რჩევებისთვის ანგარიშის გაწევას მაინც. დედა თითქოსდა არ ითვლებოდა, რადგან იგი მხოლოდ მამის სიტყვაძუნწი მოსაზრებების სიტყვაუხვი გამხმოვანებელი იყო. თუ რაიმეს დედისგან გაიგებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს აზრი მამამ უკვე გამოთქვა თომას გარეშე და დანარჩენი ძალისხმევა დედამ აიღო თავის თავზე. გვიან მიხვდა, რომPყველა იდეის ავტორი დედა იყო. თუმცა პოლიტიკური ნიშნით თომასთვის მაინც მამასთან ჯობდა ხოლმე საკითხების გადაწყვეტა, რადგან დედა თავის თავზე არც მამის მოსაზრების იგნორირებას აიღებდა, არც თომას პროტესტის ქმრამდე მიტანას. ამაში წლების მანძილზე, თანდათანობით დარწმუნდა და მერე, როცა ერთად ხატავდნენ გასაყიდ სურათებს, მამის ესა თუ ის რჩევა თუ პროტესტი ისეთ უმტკივნეულო თანხმობაში მოდიოდა მასთან, როგორც მამის დაწყებული ნახატების დასრულება. თუმცა კი, სულ სხვა რაღაცეების სურვილით იწყებდა საუბარსაც და ხატვასაც. რაღაცნაირად, მშვიდად ექცეოდა მამის გავლენის ქვეშ, იმ მომენტში რომ გეკითხათ, გულწრფელადაც კი იყო თანახმა იმაზე, რასაც მამა სთავაზობდა ხოლმე. თუმცა მერე და მერე თავისი მორჩილება იმ ნახატებივით ურევდა გულს, რომელსაც სანაპიროზე და რუსთაველზე ყიდიდნენ. ანანოს შემთხვევაში პირველად მოხდა, რომ ერთხელაც ყელში ამოუვიდა არა მაინცდამაინც ანანოს ცოლად მოყვანის იდეა, არამედ ის უნისონი, რომელიც კარგა ხანია შედგა მამასთან.

– დროა მგონი, რომ სერიოზულად იფიქრო მაგ გოგოზე. – ჩვეულებრივი, წყნარი ტონით დაიწყო ვახომ, მაგრამ მთელი მისი სიმტკიცე, მომთხოვნელობა და ნება იგრძნო თომამ.

– სერიოზულად ფიქრს რას ეძახი, მაინცდამაინც ცოლად მოყვანას, ხო? – წყნარი ტონითვე უპასუხა, მაგრამ ვახო პირველად მიხვდა, რომ შვილი დანებებას არ აპირებდა, თუმცა ეს არაფრად ჩააგდო, რადგან შეჩვეული იყო ოჯახის წევრებზე გამარჯვებას და სხვაგვარად ვერ წარმოედგინა.

– მთელი აკადემია გხედავთ, რომ ერთად დადიხართ. იმ გოგოსაც ჰყავს მშობლები. როდემდე უნდა გაწელო, ვერ გავიგე...

– არ ვიცი, მამა, მე იქნებ ჯერ ჩამოყალიბება მჭირდება. გვაცალე რა...

– სამი წელია დადიხართ, მამაძაღლი. მეტი რაღა უნდა გაცალოთ. ასე თუ ისე, არ გვიჭირს.....

აუ, ეგ კაკ რაზ რა შუაშია, რა მამა...

– როგორ არ არი შუაში. ბავშვი რომ გეყოლება, წინასწარ არ უნდა იცოდე, შეძლებ თუ არა იმის რჩენას?

– მანამდე სხვა რაღაცეებია მთავარი.

– მაგალითად?…

– მაგალითად, უნდა დავრწმუნდე, რომ ნამდვილად მიყვარს და ცოლად მინდა.

– სამი წელი გოგოსთან დადიხარ და ვერ დარწმუნდი?

– ვერა. – მოჭრილად უთხრა, ცივად. ეს იგრძნო მამამ და მის ხმაში მუქარა გაერია:

– არ მომწონს შენი ლაპარაკი.

ასეთი რამ ბოლოს ალბათ თერთმეტი თუ თორმეტი წლისამ იგრძნო პირველად, როცა მამამ გაიგო, რომ თომა სამი დღის მანძილზე სახლიდან გადიოდა, მაგრამ სკოლაში არ მიდიოდა. ხმაში მუქარის ინტონაციას მაშინ მამის მძიმე ხელიც მოჰყვა. ამის გახსენებაზე თომამ ახლაც დააპირა, გვერდზე გაწეულიყო, რადგან მამა მოულოდნელადაც ფიცხდებოდა ხოლმე, მაგრამ რაღაცამ შეაკავა. ფეხი არ მოუცვლია. ხატვა განაგრძო. ვახო შვილის სიმშვიდეს და წინააღმდეგობას მართლაც გამოჰყავდა მოთმინებიდან. თუმცა ხელი აღარ გაქცევია. ალბათ იმიტომ, რომ ბოლო დარტყმის მერე 12 წელი მაინც იყო გასული და ეს ინსტინქტი დაუჩლუნგდა. ცოლისთვის ხელი არასოდეს დაუკარებია, გარეშეებთან ხომ სიმშვიდის განსახიერება იყო. ერთადერთი, ვისაც მორჩილებას სთხოვდა, ცოლ–შვილი იყო და ამ ორთაგან პოტენციური გალახვის ღირსად მარტო ვაჟს მიიჩნევდა. ამით თვითონაც არ იცოდა, მაგრამ უნებურად აღიარებდა შვილის თანასწორობას. მართალია, თომას წინააღმდეგობა არასოდეს გაუწევია და ხელი კი არა, სიტყვაც არ შეუბრუნებია, მაგრამ მაინც მეტოქედ თვლიდა ოჯახში. ამ დარტმითა თუ დარტყმის სურვილით უფლებას აძლევდა, ისიც ისეთივე მამაკაცი ყოფილიყო, როგორიც თვითონ. მაგრამ ახლა ეს ილუზია კი არა, ფაქტი იყო. ვახო არც ცდილობდა და არც უნარი შესწევდა, ჩაღრმავებოდა შვილის ხასიათს, მაგრამ ინტუიციამ უკარნახა – მისი გავლენა მინავლულიყო და სადაცაა გაქრებოდა. ახლა თუ ლაპარაკობს მასთან, ცოტა ხანში პასუხსაც აღარ გასცემდა და მერე ყველაფერს, რაზეც მოთმინებით ჰქონდა ნათმენი, ხელახლა თვალწინ დაულაგებდა. ახლა მამას უქცევდა პრობლემად იმ საკითხების გადალახვას, რასაც ადრე შვილი მამის მძიმე ხელის შიშით თუ თავისი სიპატარავით თმობდა. ახლა მამას მოუწევდა, მიეღო მისი ნება და წვეთ–წვეთად ჩაებრუნებინა მთელი ამ წლების მანძილზე თავის ჭკუაზე ამოვსებული ჭურჭელი.

ის საღამო ასე დამთავრდა. არც ერთს აღარ ამოუღია ხმა. მოგვიანებით, როცა თომა თავის ოთახში დასაძინებლად გავიდა, ვახომ მის ნახატს დახედა და სიბრაზისგან სახე აუჭარხლდა. იმის მაგივრად, რომ მის მიერ დაწყებული შემოდგომის ტბის პეიზაჟი სტანდარტულად დაესრულებინა, ისე, როგორც ასობით სხვა – კლასიკური ფერებით, ნატურალიზმთან რაც შეიძლება მიახლოებული, თომას სულ სხვა პალიტრა გამოეყენებინა. ,,კაკაბაძეს ჰგავს? მაგრამ პოსტ იმპრესიონისტული ფერებია, და საერთოდ არც ერთს არ ჰგავს, ეს რა უბედურებაა! ამას ვინ იყიდის. ეს ხო ნაჯღაბნია იმ

ხალხისთვის, ვინც იქ სურათებს ყიდულობს. მე რო მკითხო, ჩემთვისაც ნაჯღაბნია აღორძინების მერე თითქმის ყველაფერი. თფუუუ! ჩამიყარა წყალში შრომა ამ მაიმუნმა! არა, ეს რა ქნა მაინც...“ ფიქრობდა, მაგრამ ამ საკითხის გასარკვევად შვილის საძინებელში აღარ შესულა.

თომას დიდხანს არ დაეძინა. ისევ ოთოზე ფიქრობდა. იგი მისი კლასელი იყო. ყოველთვის დასცინოდა გოგოებს და არასოდეს ჰყოლია შეყვარებული. მაღალი ბიჭი იყო, გოგოსავით ლამაზი, სქელი, ვარდისფერი ტუჩებით, გრძელწამწამებიანი თვალებით. სკოლის დამთავრების მერე შარშანღა გადაეყარა შემთხვევით. თომამ პირველად შეათვალიერა ასე ზედმიწევნით და გაიფიქრა – აი, ასეთი უნდა იყოს კაცი. ოთო მასზე მაღალი იყო და თომას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დასცინოდა. რეალურად კი მის ხმაში და გამომეტყველებაში აშკარად იგრძნობოდა ოდნავი ცინიზმი სწორედ იმის გამო, რომ თომას ასე მოეწონა. კიდევ რაღაც იყო მაშინ ოთოს მზერაში, სწორედ ისეთი, ბიჭებს რომ აქვთ ხოლმე იმ გოგოების მიმართ, ვისაც შებმას უპირებენ. მაშინ თომა ვერ მიხვდა იმ მზერის შინაარსს, თუმცა კი იგრძნო, მაგრამ იმდენად სუსტად, რომ ეს შეგრძნება გონებამდე ვეღარ მიიტანა გასაანალიზებლად.ამ შეხვედრის მერე ოთო თვეში რამდენჯერმე მაინც ურეკავდა და ათას წვრილმანზე ესაუბრებოდა. ეს საუბრები თითქოსდა სასიამოვნოდ ძაბავდა მათ ურთიერთობას. აქამდე რატომღაც სულ ისე ხდებოდა, რომ თომა უყვარდებოდათ გოგოებს და ის მხოლოდ ამის შემდეგღა ირჩევდა, დაინტერესებულიყო რომელიმე მათგანით თუ არა. ყოველი ახალგაცნობილი გოგოს პორტრეტის 10–15 წუთში შესრულებით ნატურა უკვე მახეში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ზომიერების ზუსტი შეგრძნებით ყოველთვის სწორად ხვდებოდა, რომელი უნდა აერჩია. იმასაც უტყუვრად გრძნობდა, თუ რა მომენტში უნდა შეეწყვიტა ან გაეპასიურებინა ურთიერთობა ისე, რომ სკანდალი, ისტერიკა, ცრემლები და საქმის გარჩევა თავიდან აეცილებინა. კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც სიყვარულს ვერ უწოდებდა იმ სურვილს, რის გამოც ანანოსთან პირველად იკოცნავა. თომას არ უყვარდა ურთიერთობაში გართულებები, რადგან ეს ყოველთვის ერთმანეთით უკმაყოფილებას და საყვედურებს ეხებოდა. ანანო სწორედ ისეთი იყო, როგორიც უნდოდა. მას გულთან არასოდეს არ მიჰქონდა კაცთან ურთიერთობა და დასაწყისიდანვე არ თვლიდა, რომ ეს აუცილებლად ცოლ–ქმრობით უნდა დამთავრებულიყო. ასე ფიქრობდა თომაც და მაინც არ იყო კმაყოფილი. სჯეროდა, რომ აუცილებლად იპოვნიდა, როგორც თვითონ ამბობდა, ,,უფრო მეტად თავის ადამიანს“. თუმცა კი, ყველა ქალი, ვინც კი აქამდე შეხვედრია, მართვადი იყო. ყელში ჰქონდა ამოსული წყლიანი თვალები, რომლებიც მორჩილად ამოჰყურებდნენ. ძლიერი ნება, ძლიერი მკლავი. რომელიც შეძლებდა და დაიმორჩილებდა მას, აი, რას ეძებდა ის. ამ ძებნაში ისე განზოგადდა, რომ კარგა ხნის მერე, როდესაც ოთოსთან დაკავშირებული სიზმრები გახშირდა, მისდაუნებურად წაეშალა განსხვავება ქალსა და კაცს შორის, „ძლიერი ნება“, „ძლიერი მკლავი“ – ეს სიტყვები აიკვიატა და სხვა ყველაფერი დაჩრდილა. სიზმარში ვერ გრძნობდა, რომ ქალი იყო. იქ ის თავს უბრალოდ ადამიანად აღიქვამდა, ადამიანად, ვისაც მეორე, უფრო ძლიერი ადამიანი ეხვეოდა. როცა ფხიზლდებოდა, მხოლოდ მაშინღა აცნობიერებდა, რომ ოთოს მის ძუძუებზე ჰქონდა ხელები შემოჭდობილი. გვიან მიხვდა, რომ მის ეროტიკულ წარმოსახვებში ქალი კაცმა ჩაანაცვლა. ოთოზე სიზმრების მერე ის უკვე ოცნებობდა, რომ თვითონ ყოფილიყო წყლიანთვალებიანი, მორჩილი და დამყოლი.

გადახედა თავის ნაცნობ გოგონებს, მერე მათ შეეშვა და დაიწყო ოცნება ძლიერ ადამიანზე. თანდათან გაუფერულდა, გაიდღაბნა სქესი მის წარმოსახვაში, და სწორედ მაშინ გადაეყარა ოთოს. ასე ვერ დაკონკრეტდებოდა, ვერ დაუშვებდა რომ სწორედ მისი მკლავების შემოჭდობაზე ოცნებობდა, სიზმრები უფრო თამამები აღმოჩნდნენ, ვიდრე თვითონ. მერე თავსაც კი იმართლებდა რომ არა მან, არამედ მისმა სიზმრებმა უკარნახეს, სიზმრებმა ჩააგონეს, მათ გაახსენეს, რომ დედამისის სხეულს ატარებდა, უბრალოდ ცოტათი სახეცვლილს. თომას არსებაში დამთავრდა მამის ეპოქა და დაიწყო დედის ხანა. რომელსაც თითქოს ეძინა აქამდე. მის სიზმრებამდე ამ ხანას ეძინა. ბავშვობიდან მოყოლებული ღრმად იყო ჩატკეპნილი სათამაშო მანქანებით, თოფებით, მამის ძმაკაცებით, რომლებიც მამასთან ერთად შემთვრალები, აღაჟღაჟებულები ღვინისგან და თავიანთი სქესის კიდევ ერთხელ დემონსტრირების სურვილისგან (რადგან თითოეულ მათგანს ამ დროს საკუთარი თავგადასავალი ახსენდებოდა, რომელიც თვითონვე ჩაუთვალა საკუთარ თავს ტკბილ ცოდვაში), დაუძახებდნენ ხოლმე:

–აბა, ვაჟკაც, გვაჩვენე ერთი შენი პასპორტი!.. – და თომა ბავშვურად გაბრწყინებული სახით, გაამაყებული, რომ რაღაც მნიშვნელოვანის მფლობელია, რაკი ამხელა ბიძიების ყურადღება დაიმსახურა, შარვალზე ხელს წაივლებდა ხოლმე და მერეღა ესმოდა იმათი ხარხარი და ხმამაღალი შეძახილები – „კაცი გეზრდება, ვახო–ჯან, კაცი!..“ აი, ამეებისგან ღრმად იყო იგნორირებული ის ქალი, რომელმაც გააჩინა და გაჩენამდე მისცა თავის სხეული, მერე კი იქიდანვე მოავლინა, სადაც ყოველ მორიგ ქალთან სექსისას ბრუნდებოდა და ვერ ბრუნდებოდა, ბრუნდებოდა და მაინც ვერ იკლავდა იქ დაბრუნების სურვილს. მერე, მოგვიანებით, როცა ოთოს მკლავებს, მკერდს, სხეულს და ნებას დაემორჩილა, მიხვდა, რომ ეს იყო სწორედ დედასთან დაბრუნების სრულყოფილი გზა, რომ ასე უფრო გახდებოდა ის, ვინც ცხრა თვის მანძილზე იყო მიუხედავად გამოკვეთილი გენიტალიებისა იქცეოდა უსქესო, საშუალო ადმიანად, უბრალოდ ადამიანად. მაგრამ ამისთვის ჯერ მამამისთან მისვლა დასჭირდა, ჯერ მამა გაიმეორა, მამის დონის ტექნიკა შეიძინა ხატვაში, მამასავით ითამაშა ფეხბურთი, მოინადირა არაერთი ქალი. აი, ასე, მხარდამხარ ემორჩილებოდა მამის ნებას, და როცა გადასავლელი აღარაფერი დარჩა, მხოლოდ ამის მერეღა იგრძნო – აქ დიდხანს ვეღარ გაძლებდა, დედამდე მისვლა მხოლოდ მამის დაპყრობით იქნებოდა შესაძლებელი. სწორედ იმ დედამდე, რომელიც აქამდე მეორეხარისხოვანი მშობელი, მამის მორჩილი ეგონა. თან უნდოდა, თან გაურბოდა ამ პროცესს. ემალებოდა, მორჩილ შვილს თამაშობდა, მაგრამ ვეღარ შეძლო, უნებურად გადააბიჯა და გათავისუფლდა. თითქოს აქამდე მისი გული მუშტში ჰქონდათ მოქცეული და ერთბაშად შეუშვეს ხელი.

იმ ღამეს ოთოს აღარ შემოუჭდვია ხელები ძუძუებზე, და თომა მიხვდა, – სიზმრები დამთავრდა. შეგულიანების ხანამ გაიარა. აქამდე მოზარდი იყო, ახლა კი დიდია. და მიდის სხვაგან, სულ სხვა სამყაროში. მერე კი გვიან, ძალიან გვიან, წლების შემდეგ ფიქრობდა, რომ ზოგ შემთხვევაში კაცი მიისწრაფვის, გახდეს ქალი და იმისათვის, რომ მოიხსნას პასუხისმგებლობა, მზადაა გაწიროს ყველაზე მთავარი – თავისი ნება, და დაუქვემდებაროს იმას, ვინც თავისზე ძლიერია. უფრო გვიან კი დაასკვნა, რომ გახდე ქალი, ეს ნიშნავს, შენ თავზე აიღო იმ ტვირთზე გაცილებით მეტი, რომლის მოხსნასაც აპირებდი კაცობაგადავლილ ხანაში და სწორედ ამაშია შენი საიდუმლო ძლიერება. რომ

გახდე ქალი, ეს იმას ნიშნავს, ირმის ტყავში გაეხვიო, სინამდვილეში კი ზღაპრიდან მოსული დრაკონის სიბრძნე და ძლიერება გქონდეს. საბოლოოდ კი ადამიანს თანაბრად შეიძლება უნდოდეს გახდეს ქალიც და კაციც და მას აქვს ამის უფლება, რადგან იგი ქალის და კაცის შვილია. ის, რაც თომასთვის აღმოჩნდა აქამდე მისასვლელი გზა, შესაძლოა, სხვისთვის ინსტინქტების დონეზე აღქმადი, გარშემომყოფებისთვის შეუმჩნეველი პროცესია. უმეტესობა ვერც კი აცნობიერებს, რას ატარებს თავის თავში და თავისთვისვე შეუმჩნევლად რას მიესწრაფვის.

მაგრამ თომა შეგრძნებებს ძნელად ენდობოდა, მას ხელშესახები დარწმუნებულობა სჭირდებოდა. მიხვდა, რომ თავი ისეთ ადგილას გაყო, სულ რომ არ ელოდა, მაგრამ უკან ვეღარ დაიხევდა. თომამ გადაწყვიტა, ოთოსთან თვითონ დაერეკა. ,,ალბათ იმ გოგოებსაც ასე უცემდათ ხოლმე გული, როცა ჩემთან რეკავდნენ და გულისფანცქლით ელოდებოდნენ, რას ვეტყოდი“, – ფიქრობდა და ახლა თვითონ ეჭირა ყურმილი და არ იცოდა რა ეთქვა.

– გისმენთ – თქვა ოთომ ისეთი ხმით, თომას მოეჩვენა, რომ ყველაფერი იცოდა.

– მე ვარ, – უთხრა ჩავარდნილი ხმით.

– ჰო, ძალიან კარგი, თითქოს ისევ უსიტყვოდ მიუხვდა, და დაამატა – გამო რა ჩემთან . და თომა მივიდა.

ვახოს თავი კი არ სტკიოდა, ეს ტკივილი თავში უგუგუნებდა. დღევანდელი სცენა არ ამოსდიოდა გონებიდან, როცა აუდიტორიაში შევიდა და იქ, კუთხეში მჯდარი ანანო დაინახა. პირდაპირ დაუწყო ლაპარაკი.

– როგორ მტკივა შვილო, გული, რომ იცოდე, რომ თქვენ ერთად ვეღარ გხედავთ. არადა, ღმერთია მოწამე, მეც, ნანასაც ძალიან გვინდოდა ყველაფერი კარგად გამოსულიყო. ასეთ უცნაურობას არ ველოდი, ჩემო პატარავ.....

ვახო არ იყო ის ადამიანი, რომელსაც უნარი აქვს, ადამიანის გამომეტყველებას დააკვირდეს და წინასწარ გათვალოს, თუ რა პასუხს მოისმენს მისგან, მაგრამ ახლა მანაც კი შეამჩნია, რომ როცა ლაპარაკობდა, როგორ გაუკაპასდა, გაუცეცხლდა სახე ანანოს, რომელმაც ძლივს აცალა ვახოს წინადადების დამთავრება, თითქოს ექვსი თვის მანძილზე ამ შეხვედრას ელოდაო, ხმამაღლა მიახალა:

– თქვენ ჩემზე ნუ ღელავთ ბატონო ვახტანგ, აჯობებს იმაზე იღელვოთ, რომ პიდარასტი გაზარდეთ. გესმით?

ვახო მოულოდნელი პასუხისგან დაიბნა, რა სიტყვებს ამბობო, თუ რაღაც ამდაგვარი უნდა ეთქვა, მაგრამ ზურგსუკან ჩაცინება მოესმა, მიიხედა. ანანოს ორი ჯგუფელი შემოსულიყო. ერთი ვახოს მეზობლის შვილი იყო, მეორე ანანოს დაქალი. ვახო ბოლო ხავსს მოეჭიდა და თქვა:

– ლანძღვა რა საჭიროა, შვილო, მესმის, ძნელია, როცა ამდენი წელი...

– სალანძღავი არაფერი მითქვამს, ბატონო ვახტანგ. მე უბრალოდ ფაქტი აღვნიშნე. – შეაწყვეტინა ანანომ და დაამატა. – მე ნუღარ შემიცოდებთ, ის შეიცოდეთ, ბევრად აჯობებს, და ოთო რომ მოვა თქვენთან სტუმრად, არ დაგავიწყდეთ, თქვენი დაწურული ღვინო დაალევინოთ, მთვრალი თურმე სულ სხვანაირად ჟიმავს თქვენ შვილს...

ბოლოს სიტყვები ვეღარ გაიგონა. ყურები დაუგუბდა. აუდიტორიიდან გამოლასლასდა. მთელი გზა ანანოს ხმა ჩაესმოდა: „პიდარასტი გაზარდეთ“, „ჯობია ის შეიცოდოთ“, ,,ოთო რომ მოვა თქვენთან“... სადარბაზოში შესვლისას, ჩვეულებისამებრ

ატუზული მეზობლის ბიჭები არ შეუმჩნევია. ლიფტთან რომ მივიდა, ხარხარი შემოესმა. ლამისაა გული გაუჩერდა. უკან მიიხედა. ბიჭები რაღაც ჟურნალს ათვალიერებდნენ და იცინოდნენ. სანამ კარში გასაღებს შეუყრიდა, კარის მეზობელი გამოვიდა. მიესალმა და კიბეებზე ჩაირბინა. ,,ამანაც იცის. სუყველამ იცის და მე ახლაღა გავიგე“. უცებ თექვსმეტი წლის ბიჭივით მოუნდა დათრობა, გათიშვა, რომ ყველაფერი დავიწყებოდა. მერე კი, როცა გამოფხიზლდებოდა, ცხოვრება ძველებური იქნებოდა. ,,ქუჩაში როგორ გამოვიდე ხვალ, ყველამ იცის, ყველა დამცინის. მოვკლავ. ჩავაკითხავ ბათუმში და იქ მოვკლავ. როდის ჩამოდის? ოცში. არა! სამი დღე რა მომათმენინებს. წავიღებ ჩემ თოფს და ჩემი ხელით გავუხვრიტავ შუბლს. სუფთა იდიოტი ვარ, ბრიყვი ვარ. როგორ ვერ ვგრძნობდი. ღმერთო, ეს რა ხდება ჩემს თავს, რითი დავიმსახურე ასეთი უბედურება. ნუთუ რამე დავაკელი, ნუთუ რამე შემეშალა? სად გავიქცე, ვის ვუთხრა. წავალ, წავალ სადგურში და დავჯდები ბათუმის მატარებელზე, ის ნაბიჭვარიც თუ იქ დამხვდა. არა! ის როგორ! როგორ გაბედავს. არა!. იმასაც შუბლს გავუხვრიტავ. ორივეს! ორივეს! და მერე ჩემი ფეხით წავალ პოლიციაში. კაცურად წავალ. ჩემი ფეხით. ახლა? ახლა რა ვქნა. სად გავიქცე, ვის ვუთხრა. შურიკა!“ – წამოიძახა და ტელეფონს ეცა. ხმა მოიყოჩაღა.

– ბიჯო, რას შვები, შენკენ გამოვიდოდი.....

– ვაჰ! ვახოს გაუმარჯოს! როდის გამოხვიდოდი რო?

– როდის? ეხლა, ეხლა გამოვიდოდი.

– ბიჯო, მაიკო მიფრინავს ხვალ, ხო აზზე ხარ. ხოდა დავაი, ხვალ იყოს, კაი? ახლა ვემზადებით, რამე.

– ხო, კაი.

გაახსენდა რომ დღეს ნანა დედამისთან წავიდოდა ლექციების მერე და ღამე იქ დარჩებოდა. თომა ერთი კვირაა წავიდა რაღაც ფესტივალის გახსნაზე.

მარტო იყო. სულ მარტო.

გათენებისას, სასტუმროში, ოთოს გვერდით მძინარე თომას თოფის გასროლის ხმა ჩაესმა. ოთოსაც გამოეღვიძა.

– შენც გაიგე გასროლის ხმა? – ნამძინარევმა იკითხა თომამ.

– ხო, თითქოს სიზმარში ვხედავდი, რო თოფი შენ გესროლეს...

– არა, მე მგონი ნაღდად გაისროლეს...

თუმცა ეს იყი რამდენიმეწუთიანი გამოღვიძება. რადგან თითოეულმა დაასკვნა, რომ გასროლა სიზმარში მოხდა. ზუსტად იმ დროს თბილისშიც, თომას უბანშიც გაისმა გასროლის ხმა და რატომღაც ყველა იქ მცხოვრებმა ადამიანმა იფიქრა, რომ სიზმარში გასროლის ემოციამ გამოაღვიძა. და მერე, მოგვიანებით, როცა ყველა წამოიმართა საწოლებიდან, ეს ხმა აღარც კი ახსოვდათ და ყველამ თავისი დილა დაიწყო. დილა კი გრილი და სასიამოვნო იყო, იმდენად სასიამოვნო, თითქოს სამყაროს ერთი ნაკუწიც კი არ ურღვევდა მთლიანობას.

სოფო დათუაშვილი

წინათქმა

ბევრი არაფრის თქმა შემიძლია ამ მოთხრობაზე. ასე მგონია, რომ უსაშველოდ დიდი ხნის წინ დავწერე. ეგაა, რომ, ყველაფერი რაც ამ მოთხრობაში წერია ჯერაც ცოცხალია და სუნთქავს!

მწვანე ფერი, კუ და ველოსიპედი

12 აპრილი
წერა არც არასდროს მყვარებია. სკოლაშიც კი, ჩვენი ბეჯითი ხათუნასგან ვიწერდი საშინაო დავალებებს და საკონტროლოებს (რა დამავიწყებს იმ სუნს იღლიებიდან და პირიდან რომ ამოსდიოდა!). მისი კლასში შემოსვლა და ოთახის განიავება ერთი იყო... მაგრამ, ის რომ არა, ნამდვილად არ ვიცი რა მეშველებოდა!
ჰო, ამით იმის თქმა მინდა, რომ წერა ჩემი საქმე არაა... უბრალოდ, ერთხელ მითხრეს, კარგი ხერხია დროის გასაყვანადო (მით უფრო, თუ ეს უკანასკნლეი თავზე საყრელად გაქვს)... ასე, რომ თავს ვირთობ და მეტი არაფერი.

ისევ 12 აპრილი
პია ეს წუთია წავიდა. საერთოდაც, ხშირად მოდის. ხშირად რა, თითქმის ყოველ მეორე დღეს. მოდის და მეკითხება, ხომ არაფერი მჭირდება. გუშინწინ სახის კრემი მომიტანა, ქალაქის ამ ნაწილში ცუდი წყალი მოდის და კანი არ გამოგიშრესო; კიდევ რაღაც წიგნი მაჩუქა, რომელიც არც გადამიშლია. მე არც ერთი მითხოვია და არც მეორე.
მგონი კეთილი ქალია პია, ან უნდა რომ ასეთი იყოს. საშუალო სიმაღლისაა, ქერა, ოდნავ ჩაფსკვნილი, ფიცარივით ჩამორეცხილი მკერდით. თუ არ ვცდები, რომელიღაც კომპიუტერულ ფირმაში მდივნად მუშაობს. როკოზე რვა წლით უფროსია. მგონი, სულ ხუთი წელია რაც ერთად ცხოვრობენ. ორი შვილი ყავთ, ოთხი წლის ივანი და პატარა სიმონი, რომელმაც ახლახანს აიდგა ფეხი. ორივე ბავშვი ავადმყოფურად სუსტი, ბამბასავით თეთრი და ცისფერთვალებაა.
დღეს მინდვრის ყვავილების დიდი თაიგული მომიტანა. სიმონის ამბებს მიყვებოდა, გაეშმაკებულიაო. წიგნიც გაახსენდა და მეც, სხვა რაღა დამრჩენოდა, ვიცრუე – ძალიან საინტერესოა მეთქი. გრინის ამბები გამოვკითხე და კარგად არისო, მითხრა.

მეშინია, წყლის გამოცვლა არ დაავიწყდეთ, ან ახალი სალათის ფურცლის ჩადება. ესეც რომ არა, მისი ყუთი თუ კი კარადის თავზე, ან რაიმე მაღალზე არ შემოდგეს, ივანი თავს ისევე წააცლის, როგორც მის სათამაშო რეპტილიებს! ამის გაფიქრებაც მზარავს...
გრინი ჩემი კუა. როკომ მაჩუქა, ზუსტად არ მახსოვს როდის... ალბათ, დაახლოებით ერთი წლის წინ. ერთხელ მესიზმრა, რომ ჩემი ოთახის წინ, შეზლონგზე ვიწექი, და მზეს ვეფიცხებოდი... უცებ დავიხედე და დავინახე, რომ მუცელზე ძალიან პატარა და ბაცი მწვანე ფერის კუ დამაღოღავდა... ისეთი პატარა იყო, ასანთის კოლოფშიც ჩაეტეოდა. დილით სიზმარი როკოს ვუამბე, ჰოდა, საღამოს მუყაოს კოლოფით გრინი მომიყვანა. მართალია მწვანე არაა (რუხია და ბაკანზე ბაფთა ახატია), მაგრამ სამაგიეროდ ზუსტად ისეთი პატარა და საყვარელია, როგორიც სიზმარში ნანახი კუ იყო...
სალაპარაკო მალე გამოგველია (ან კი რა გვქონდა..), ათიოდე წუთი ჩუმად იჯდა და მერე მოიბოდიშა, უნდა წავიდე, სასწრაფო და გადაუდებელი საქმე რომ არა, შენთან ყოფნას რა ჯობსო...
მიკვირს ამ ხალხის... არავინ აიძულებს იცრუოს.

13 აპრილი
ახლა გავიფიქრე, ჩემს ოთახს ავღწერ მეთქი (რომელშიც, აგერ, უკვე მეექვსე დღეს ვატარებ) და ჩემი ინგლისურის მასწავლებელი გამახსენდა, მეოთხე კლასში რომ გვასწავლიდა. მაღალი, თხელი და ლამაზი ქალი იყო, სულ ოდნავ წინ გამოწეული ქვედა ყბით. შემოვიდა და გვითხრა – მე მის ლია ვარო. მე კიდე „ნისლია“ გავიგონე და ასეც ვეძახდი კარგა ხანს. ერთხელაც, ჩემი კლასელი ბიჭი დაფასთან გაიყვანა, ოთახის აღწერას ვსწავლობდით მაშინ... მეშვიდე კლასამდე ყურებამდე ვიყავი იმ ბიჭზე შეყვარებული, მიუხედავად იმისა რომ ენა ეშლებოდა და მამამისი ჩვენი ხატვის მასწავლებელი იყო. მოკლედ, გამოვიდა დაფასთან და ბლუკუნი დაიწყო – ზერ იზ, ეემმ... ზერ აა... ეემმ.. ემმ... – თან თვალებს საცოდავად აცეცებდა.
-- ეემ, ეემმ... – თითქოს გამოაჯავრა მის ლიამ, თან ისე ზუსტად, რომ მთელმა კლასმა გულიანად გავიცინეთ. მერე თვალები უკან გადაატრიალა, რამაც უფრო გაგვამხიარულა. მაგრამ სკამიდან რომ გადმოვარდა, იატაკზე გაიშოტა, პირიდან დუჟი გადმოუვიდა და ფართხალი დაიწყო, შეშინებულები, წივილ-კივილით გავცვივდით დერეფანში.
მას მერე მის ლია აღარც გვინახავს. მაშინ ვფიქრობდი, ჩვენი ნახვა თუ სრცხვენია, იატაკზე რახან დაეცათქო... ახლა, სულ აღარ მადარდებს ეგ ამბავი, ისიც სასაცილოა – რამ გამახსენა საერთოდ...
ასეა თუ ისე, ჩემი ოთახის აღწერა უვადოდ გადაიდო...

15 აპრილი
გუშინ, საღამოს გოგოებმა მინახულეს. ერთი კილო ბალი და რამოდენიმე ბანანი მომიტანეს. მართალია მუწუკებიანმა ბენჟამენმა მითხრა ცოცხალი ხილი არ ჭამო, მუცელს გატკენსო – ბალი მაინც მთლიანად ავითვისე. ძალიან დიდები და ძალიან წითლები იყო, თუმცა არც ისე გემრიელი.
მთელი საღამო მუცელი მგვრემდა, მაგრამ როგორ გამემხილა!

მუწუკებიანი ბენჟამენი თუ არ ვცდები ამ კლინიკაში სტუდენტ-პრაქტიკანტია. ასე, ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის თუ იქნება. ცხიმიანი, მუქი ჩალისფერი თმები აქვს, დამუწუკებული სახე და მუდამ ერთიდაიგივე, უღმერთოდ ჭუჭყიანი (სავარაუდოდ ცისფერი) ჯინსი აცვია... ჩემს თავთან რომ იხრება, სუნთქვას ვიკავებ, რომ მისი პირიდან ამოსული, სიგარეტის მყრალი სუნით და ოხშივარით არ გავიგუდო (კიდევ კარგი ხალათი მაინც აცვია მიტკალივით თეთრი და გახამებული)...
მოკლედ, ეს ერთი შეხედვითაც ფრიად არაჰიგიენური კაცი ყოველ დღე მეტად ჰიგიენურ სამუშაოს ასრულებს ჩემს აგურისფერ და პირწმინდად გადაპარსულ მუცელზე –- ცვლის სახვევებს და ამოწმებს, კარგად მიდის თუ არა შეხორცება.
ამბობს არაფერი დაგეტყობაო.
საშინლად მექავება ნაკერები...

ისევ 15 აპრილი
ტელევიზორი ორშაბათს გაფუჭდა. ანუ, ჩემი მოსვლიდან მეორე დღეს. მას მერე მპირდებიან შევაკეთებთ, ან ბოლო-ბოლო გამოგიცვლით მაინცო, მაგრამ რატომღაც ამისთვის არავინ მოიცალა... მეც არ გამოვთქვამ მაინცდამაინც პრეტენზიებს, არ ვგიჟდები ტელევიზორზე, მით უფრო თუ ორ მეტრზე მეტი დაშორებით დგას ჩემგან (ეს კიდევ, ლამის ჭერზე ჰკიდია), რად მინდა, თუ ვერაფერი გავარჩიე; რა ხანია გვარიანი ახლომხედველი ვარ, მაგრამ სათვალეს არ ვატარებ, იმიტომ რომ ვერ ვიტან! ოკულისტთანაც არასდროს მივსულვარ და მეეჭვება ოდესმე მივიდე...

16 აპრილი
რა ტიპია ეს ფრაუ კუნცე, 502-ე პალატიდან!
პირველად ჩვენი კორპუსის ეზოში დავინახე, არ მახსოვს რა დღე იყო. ჩემს მშვენიერ, თეთრ და ფუნჩულა მედდას ვყავდი სასეირნოდ ჩაყვანილი რაღაც საზიზღარი ოთხთვალათი, ინვალიდების ეტლს რომ გჰავს. გული მერეოდა და ბეჭები საშინლად მტკიოდა (როგორც ამიხსნეს, ამის მიზეზი ჩემს მუცელში ოპერაციისას ჩატუმბული ჰაერი იყო, რომელიც დიაფრაგმას აწვებოდა... მოკლედ, რას გაიგებ!). ჩემთვის რომ ეკითხათ, ჩემს სალათისფერ პალატაში წოლა გაცილებით მერჩივნა, მაგრამ ექიმმა დაიჟინა – სუფთა ჰაერი უთუოდ უნდა გადაყლაპოო...
ჰოდა, დამაგორიალებდა ფუნჩულა ევა ჭრიალ-ჭრიალით და სარა კონერის რომელიღაც სულელურ სიმღერას ღიღინებდა (კიდევ კარგი ზურგს უკან იდგა და მის ამოფუებულ მკერდს ვერ ვხედავდი, რომლითაც ყოველ ცისმარე დღეს გულს მიხეთქავდა, როცა ცხვირწინ მითიმთიმებდა საუზმის ტუმბოზე დადებისას).
ერთადერთხელ ავწიე თავი და ზუსტად ამ დროს გადაიქროლა ჩვენს წინ ფრაუ კუნცემ... თავიდან ვიფიქრე – დონ კიხოტმა ხორცი თუ შეისხა მეთქი... რა ვიცოდი, თეთრ პერანგში გამოწყობილი, უცნაური, ჭაღარა და გაჩეჩილი არსება ფრაუ კუნცე თუ იყო...
ცოტა ხანში თვითონ მოგვიახლოვდა. ევას დაწვრილებით გამოჰკითხა ჩემი ამბები, პასუხს თავის კანტურით უსმენდა და პირში პროთეზს ათამაშ-არაწკუნებდა. პატარა და აპრეხილი ცხვირი ჰქონდა, მოწკურული ცისფერი თვალები და მოხუცისთვის შეუფერებლად მრგვალი და ღია ალისფერი ტუჩები. ალბათ და არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ძალიანაც ლამაზი ქალი იყო!

ერთ ხელში გაშლილი მარაო ეჭირა, რომელსაც გამალებით ინიავებდა, მეორეში კი გრძელი, ბორბლებიანი რკინის სადგამი. ზედ შარდით სანახევროდ ავსებული პარკი იყო ჩამოკიდებული, რომლიდანაც გამომავალი ასევე შარდით სავსე მილი ფრაუ კუნცეს თეთრი პერანგის ქვეშეთში უჩინარდებოდა (მართალია, კათეტერი არც ჩემთვის იყო უცხო ხილი, მაგრამ მისი ასე უპრობლემოდ გადაადგილება თუ შეიძლებოდა, ნამდვილად არ მეგონა...).
იმ დღის მერე ფრაუ კუნცე ძალიან მწყალობს. დღე არ გავა არ მინახულოს, ან სხვა გულშემატკივრები არ მომიყვანოს.
ამასწინად ვიღაც მოხუცი ახლდა, რომლის სახელიც ვერ დავიმახსოვრე და რომელსაც სკამზევე ჩამოეძინა, მას მერე, რაც ნახევარი საათი უშედეგოდ მეფლირტავა და ქმრობაც შემომთავაზა... ამ კაცს თავზე უთვალავი ნაოჭი, ორიოდე ღერი თმა და გაფანჩული წარბები ჰქონდა. ჰო, სანამ ჩაეძინებოდა, ისიც კი თქვა – შევარდნაძეს ასე არ უნდა მოქცეოდით, ბოლოს და ბოლოს, ბერლინის კედელი მაგან დაგვანგრევინაო!
გუშინ მისი დისშვილი და დის შვილიშვილი ამოიყვანა, თავზე დამაყენა, დაწვრილებით ჩაუკაკლა ჩემი ამბები. ისიც არ დაავიწყდა ეთქვა –-ახალგაზრდა ლედისთან მისი მეგობრები მოდიან და ხილი მოაქვთ ხოლმეო, თან, ამის დასტურად სტუმრებს, საწოლის გვერდით, ტუმბოზე, ბლის კურკებით სავსე თეფშისკენ მიანიშნა.
ასეთი მოუსვენარი და ცნობისმოყვარე ნერვებს მაინც არ მიშლის. ცოტათი მებრალება იმიტომ... ერთხელ მიამბო, ცხრა და-ძმა მყავს, ამათგან მე და ჩემი ტყუპისცალი ყველაზე უფროსები ვართ; ერთმანეთს ისე ვგავართ, ახლაც კი უჭირთ ჩვენი გარჩევაო... მამა ოცდათოთხმეტი წლის, მუცლის ტიფით მომიკვდა, დედაჩემმა სახლის პირველი სართული პურის საცხობად და საკონდიტროდ გადააკეთა და ასე მარტოკამ გაგვზარდა ათი შვილიო...
სამიოდე დღის წინ ამოვიდა და თავისი წამლების ყოველდღიური ულუფა ამოიტანა – ნახე რამდენიაო... არ დამითვლია, მაგრამ ოც აბზე მეტი ნამდვილად იქნებოდა. ვიცრუე, მეც დაახლოებით მაგდენს ვსვამ მეთქი, თუმცა არა მგონია ჩემი დაეჯერებინოს. ცოტა ხანი ჩუმად იჯდა, მერე მკითხა – წამლებით მორჩენილი ადამიანი თუ გინახავსო... აქ რომ მომიყვანეს, მითხრეს, მარტო ორი კვირით დაგაწვენთ, მას მერე კი ექვსი თვე გავიდა და არადა არ მიშვებენ, ალბათ ძალიან ავად ვარო... ერთ თვეში მე და ჩემს ქმარს ქორწინების 60 წელი გვისრულდება და არ მინდა ის დღეც აქ გავატაროო...
მართალია, ვერ ვიტან ზედმეტ სენტიმენტებს, მაგრამ ისე შემეცოდა, კინაღამ ვიტირე...
ხუმრობა საქმე ხომ არაა...

17 აპრილი
ორ ან სამ დღეში გაგწერთო, ამ დილით მითხრა ჩემმა ექიმმა. მეგონა გამიხარდებოდა, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. თუმცა არც მწყენია... მივეჩვიე ამ სალათისფერ ოთახს, დიდძუძუებიან ევას, ფრაუ კუნცეს და უშაქრო ორცხობილას საუზმეზე.
დღეს, ხვალ ან ზეგ როკო მოვა, ვიცი...
ის რომ არა, აქ არც იმ საღამოს და სავარაუდოდ არც არასდროს მოვიდოდი. სადღაც შვიდზე დავურეკე – დილიდან მუცელი მტკივა მეთქი, მარჯვენა ფეხის გაშლა მიჭირდა. პია მოვა და გაგსინჯავო, მთელი სერიოზულობით მითხრა. გამეცინა, თუმცა თქმით მეტი აღარაფერი მითქვამს. დაახლოებით ორი საათის მერე მომიკაკუნა – ამოდიო. მეც

ავედი და ჩემთვის ასე ნაცნობ ლურჯ, ხავერდის დივანზე დავწექი. პია იქვე იდგა, რძიან ყავას სვამდა და თვალს ადევნებდა როგორ მსინჯავდა როკო – მუცელზე ალაგ-ალაგ თითს დამკრავდა და მეკითხებოდა მტკიოდა თუ არა... კი მეთქი, ვპასუხობდი, იმიტომ რომ მართლა მტკიოდა, თუმცა არც მაინცდამაინც. მერე ამაყენა, ხელები ამაწევინა და შეხტიო მითხრა. უხმოდ ვემორჩილებოდი, ხელებაწეული ვხტოდი და ჩემს თავზე თვითონვე მეღიმებოდა...
გზაში, საავადმყოფომდე ერთი სიტყვაც არ უთქვამს; არც მე. ისე იყო ჩაფრენილი საჭეს, იფიქრებდი, მართვა გუშინ ისწავლაო.
დაახლოებით თერთმეტი იქნებოდა, როცა მოვედით. ექიმების უმრავლესობა ფოიეში, ტელევიზორთან იჯდა და ფეხბურთს უყურებდა. არ მახსოვს ვის ეთამაშებოდა გერამნია იმ საღამოს... როკომ ანგარიში იკითხა, თუმცა პასუხს არც დალოდებია, ერთ-ერთს სთხოვა ჩემთვის ანალიზები გაეკეთებინათ და ჩემი დაზღვევით ხელში სადღაც გაუჩინარდა.
სულ რაღაც ნახევარ საათში მითხრეს, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო. ცისფერ კაბინეტში ვიჯექი და ანეზთეზიოლოგის ასისტენტს ვუსმენდი, რომელიც მიხსნიდა რატომ უნდა მომეწერა ხელი ფურცელზე, რომელზეც ნარკოზით გამოწვეული რისკის ფაქტორები იყო ჩამოთვლილი... ყველაზე მეტად არ მომეწონა, კბილის ემაილს დაშლა რომ ახსენა, ლამის ხელის მოწერაც გადავიფიქრე... ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება და რაღა შენ დაგემართებაო – დამამშვიდა ასისტენტმა.
მომიტანეს ცელოფნის პარკი ჩემი ტანსაცმელისთვის, ცელოფნის ჩაჩი და ფაჩუჩები და სასაცილო ცისფერი ხალათი, რომელიც უკან მხოლოდ ერთ ღილზე, ისიც კისერთან იკვრებოდა.
შუშის კედლიდან რამოდენიმეჯერ დავინახე როკო, თანამშრომლებს ელაპარაკებოდა. ყველაზე ბრგე და მაღალი იყო, იქნებ ყველაზე სიმპატიურიც, თუმცა ძალიან შეშინებული ჩანდა. ხელში ისევ ჩემი დაზღვევა და რაღაც ფურცლები ეჭირა.
საოპერაციოში აყვანამდე მკითხეს, მინდოდა თუ არა ოჯახის რომელიმე წევრისათვის დამერეკა...
გამეცინა და თავი გავაქნიე. სახლში ბოლოს რვა თვის წინ დავრეკე და ისიც იმიტომ, რომ საბუთები მჭირდებოდა უნივერსიტეტისთვის. რატომ უნდა დამერეკა? ან, რა უნდა მეთქვა – დედა, მამა, ოპერაციას ვიკეთებ და ინერვიულეთ მეთქი?

ისევ 17 აპრილი

ფრაუ კუნცეს რეაქცია უნდა გენახათ, რომ გაიგო სამ დღეში გამწერენ! კინაღამ კრუნჩხვებში ჩავარდა! მე კიდევ მეგონა გაუხარდებოდა... მაგრამ, რომ დავინახე გათეთრდა და სული შეუგუბდა, ჩემს თავთან მოქანავე წითელ ღილაკს ჩავაფრინდი... ევა მარტოკა რომ ვერაფერს გახდა, კიდევ ერთ მედდას დაუძახა და ძლივს-ძლივობით გაათრიეს გარეთ საბრალო ფრაუ კუნცე შარდის პარკიანი სადგამითურთ! კარგა ხანს მესმოდა მისი ხმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა – მე თუ ექვსი თვეა აქ ვარ, ახალგაზრდა ლედის ორი კვირაში რატომ უშვებთო!
დამაწყნარებელს გაუკეთებდნენ...
საბრალო...

მართლა, არ დამიწერია, რომ ზოგჯერ შარდის სუნი უდიოდა?

18 აპრილი
ჩემს პალატას ის პლიუსი აქვს, რომ ზუსტად ისეთი ბაცი სალათისფერია, მე რომ მომწონს... ერთი კედელი თითქმის მთლიანად შუშისაა და რახან სულ ბოლო სართულზე ვარ, მარტო ნაძვების კენწეროებს და სადღაც შორს, მაღალსართულიანი სახლის სახურავებს ვხედავ. ხანდახან მგონია, ჰაერშია ჩემი საწოლი გამოკიდებული.
მეოთხე თუ მეხუთე დღეა დილის ექვსზე მელვიძება, ან იქნებ ცოტა უფრო ადრეც. ჩემი მეზობელი გუგულიც კი, ჩემს მერე იღვიძებს... ვწევარ ასე თვალებდაჭყეტილი და ვუყურებ, როგორ თენდება... ვუყურებ და რატომღაც ჩემი სახლის სუნს ვგრძნობ... უფრო დედაჩემის და მამაჩემის საძინებლისას. სულ მუდამ არეული იყო ხოლმე. ახლა თუ ალაგებს ნეტავი ვინმე...
მოკლედ, გამელვიძება თუ არა, რატომღაც წარმოვიდგენ რომ სახლის კარი შევაღე, ბნელ შემოსასვლელში, მერე მისაღებში შევედი და ხელისცეცებით გავუყევი კედელს... ვგრძნობ ხის კარების სიგრილეს, ხაოიან შპალერს, წიგნებით ჩაზნექილ თაროებს (მათი თანმიმდევრობაც კი მახსოვს...), თითეულ ლურსმანს კედელში, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვხედავ სურათებს, კარადაში გამოდებულ ჭურჭელს და სუვენირებს... ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ოთხი წლის წინ დავტოვე... ოღონდ ჩემს ოთახში ახლა ჩემს ძმას სძინავს, მისი სუნთქვაც მესმის, საბანი გადაუხდია, მარჯვენა ფეხი მოკეცილი აქვს, სკამზე მისი ბრაზილიის ნაკრების ყვითელი მაისურია გადაფენილი... ვფრთხილად ვაღებ ტანსაცმლის კარადებს და ღრმად ვისუნთქავ იქედან გამომავალ თბილ სუნს, სხეულის სუნს... დედაჩემის და მამაჩემის საძინებლის კარი ისევ ჭრიალებს... საწოლის გადასაფარებელი ისევ იატაკზე აგდია. ვუსმენ მშვიდ სუნთქვას და ჩემდა გასაკვირად ვგრძნობ, თუ ვხვდები... რაღაც მაკლია... ან მომნატრებია...
ხეირიანად ინათებს თუ არა და, მეც მაშინვე მეძინება. მაგრამ, დაღამდება და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება.
მეოთხე თუ მეხუთე დღეა ასეა.

19 აპრილი
დღეს საშინელ ხასიათზე გამელვიძა და ამინდიც გაფუჭებული დამხვდა... ორი დღეა არც ფრაუ კუნცე ამოდის და აღარც ევა ჩანს, სხვამ შეცვალა. კარგა ხანია ასეთ მყრალ ხასიათზე არ ვყოფილვარ...
აივანზე ვიდექი, როკო რომ მოვიდა. კარის ხმა გავიგონე, არც მოვტრიალებულვარ, ისე მივხვდი რომ ის იყო. არ ვიცი რამდენი ხანი ვიდექი მოაჯირს მიყუდებული და ეზოში ვიყურებოდი. ალბათ ათ წუთზე მეტი. როცა მოვტრიალდი, აწურული ისევ კართან იდგა და ხელში რაღაც მომცრო შეკვრა ეჭირა...
საბრალო თუ საწყალი იყო იმ წუთას... ასეთი სისაწყლე ადამიანში სიბრაზეს კი არა, ზიზღს თუ აღძრავს... ან არც იმას.
გამახსენდა, პირველად რომ ვიგრძენი მისი სუნთქვის უცნაური სუნი, არასასიამოვნოდ უცნაური... მაშიმ ვიფიქრე – ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უკვე აღარ მიყვარს მეთქი...

ახლა ვუყურებდი უზარმაზარ თეთრ ხალათში გამოწყობილ ამ აწოწილ ადამიანს და საერთოდ ვერაფერს ვგრძნობდი მის მიმართ... მიყვარდა კი ოდესმე? მეეჭვება...
მივესალმე და ისიც მომესალმა. დაჯექი მეთქი ვუთხარი და ისიც ჩამოჯდა. ის რაღაც შეკვრა მაგიდაზე დადო, თავი ჩაღუნა და წითელი ხელისგულების სრესა დაიწყო. ვუყურებდი და ველოდებოდი როდის დამშვიდდებოდა, ან არ დამშვიდდებოდა, მაგრამ რაიმეს მაინც იტყოდა.
- შენი აზრით, მე ვარ დამნაშავე? – ამოღერღა როგორც იქნა, თან პერანგის პირველი ღილი გაიხსნა და ჰაერი ხმაურით ჩაისუნთქა. მე უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე, ასე ნამდვილად არ მეგონა. ისედაც საშინლად სქელი თუჩები ერთიორად გამობურცა და თავი დააქნია – პია...
- პიამ არაფერი იცის. – შევაწყვეტინე მე..
- ვიცი, რომ არაფერი იცის, მაგრამ ვეტყვი... – სახე ხელისგულებში ჩარგო – შენ, შენ იცოდი? – მკითხა ცოტა ხანი დუმილის შემდეგ.
- არა, საიდან?!.. ხომ იცი, არ ვანგარიშობ და არც ყურადღებას ვაქცევ... – ვიციო, თავი დააქნია და ისევ გაჩუმდა.
- აი, კუ მოგიყვანე... – თავით შეკვრისკენ მანიშნა და აწრიალდა.
- რატომ? რაიმე დაემართა? – მაგიდასთან მივედი, შეკვრას თავი ავხადე, მაგრამ მოულოდნელობისაგან კინაღამ ხელიდან გამივარდა – ეს გრინი არაა... სადაა გრინი?
-- პიას სასადილოში, მაგიდაზე დარჩენია ყუთი... – როკო წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და აივანზე გავიდა. მე საწოლში შევწექი და საბანი თავზე გადავიფარე. ამ კუს დანახვაც არ მინდოდა, ისევე როგორც არც როკოსი, პიასი, ივანესი და საერთოდ – არავის!
როკო აივანზე იდგა და სიგარეტს ეწეოდა. ვერ ვხედავდი, მაგრამ სუნს ვგრძობდი.
- სქესი? – ვკითხე, როცა ოთახში შემობრუნდა.
- არ გინდა, რა...
- მინდა! – საბანი გადავიძვრე და წამოვჯექი. ალბათ საზიზღარი შესახედი ვიყავი, მოუწესრიგებელი, უპეებამოშავებული და სიბრაზისგან სახედაღრეჯილი...
-- უნდა წავიდე... – შოკოლადისფერი შუბლი და პატარა, ჩაჭეჭყილი ცხვირი ოფლით ისე დასცვაროდა, ცოტაც და თეთრ ხალათზე დაიწყებდა წვეთას.
- მე არც გაჩერებ. მითხარი და წადი...
- გოგო იყო... – როკომ კარი გამოაღო, მაგრამ ისევ მიხურა – ახლა რას აპირებ?
- სახლში წავალ... წაიყვანე შენი კუ!
როკომ თავი დამიქნია, შეკვრა აიღო და ისევ კარის სახელურს დაუწყო წვალება – ჰო, გოგო, თან შავი... შენ ხომ აზრზეც არა ხარ, როგორ გამიხარდებოდა... – თქვა და კარი გაიხურა.

20 აპრილი
ახლა თორმეტი საათი და ექვსი წუთია. პირველ სართულზე, ფოიეში ვზივარ და გოგოებს ველოდები. უკვე ექვსი წუთი დააგვიანეს...

გუშინ დავურეკე და ვთხოვე პიასთვის ოთახის ქირა გადაეხადათ, თან დაეცალათ, ტანსაცმელები ჩემოდანში ჩაელაგებიათ, ტელევიზორი, უთო და სხვა ნივთები შეეძლოთ თავისთვის დაეტოვებინათ...
ამ რამოდენიმე დღეს ან ერთთან გავატარებ, ან მეორესთან. ხუთშაბათს გავფრინდები, ბილეთი დღეს დილით დავჯავშნე.
წამოსვლისას ფრაუ კუნცეც ვინახულე, მინდოდა დავმშვიდობებოდი, თუმცა ხმა არ გამცა. დღეს ევაც დაბრუნდა და მხიარული სახით ჩამომაცილა. ლიფტიდან გამოსვლისას დავინახე, კართან ვიღაც კაცი იდგა, იღლიაში ველოსიპედი ამოეჩარა და მობილურ ტელეფონზე გაცხარებით ლაპარაკობდა. ველოსიპედს საჭეზე დიდი და წითელი ბაფთა ეკეთა.
გამახსენდა, ჩემს კარის მეზობელს, ლაშას რომ ორბორბლიანი ველოსპიედი უყიდეს... ორივენი ბაღში დავდიოდით მაშინ. ისეთი ლამაზი ველოსიპედი იყო, ორთვლიანი და კაშკაშა წითელი, ნერწვი მომდიოდა მისი ყურებისას... მთელი დღე ეზოში წრეზე დადიოდა და სიამაყით გაჯგიმული წამდაუწუმ მის ვერცხლისფერ ზარს აჟღრიალებდა. მე თითის მიკარებასაც კი მიკრძალავდა. როცა დაბინდდებოდა სადარბაზოში, მისი სარდაფის კარის წინ ფრთხილად დააყენებდა და შინ ფეხათრევით მიდიოდა.
ერთხელაც, მამაჩემმა ბაღიდან წამომიყვანა. საღამო იყო. სადარბაზოში ლაშას წითელ ველოსიპედთან ერთად, კიდევ ერთი – მწვანე ფერის ორბორბლიანი დაგვხვდა...
- ვისია, თიკოსი? – ვიკითხე ნირწამხდარმა და კინაღამ ტირილი დავიწყე.
შენიაო, მამაჩემმა მითხრა...

კარგია რომ მივფრინავ, არა?!

ნესტან-ნენე კვინიკაძე

ეს პიესა საქართველოში არსებული ორი მნიშვნელოვანი პრობლემით არის ინსპირირებული.
ერთმანეთის მიყოლებით მომხდარმა ორმა ომმა (1991-1992-სამოქალაქო ომი/1993-1994-აფხაზეთის ომი), იმ ხანად, ჩემს ქვეყანაში სამუშაოს გარეშე დატოვა მოსახლეობის 90 პროცენტი.
გადარჩენის მიზნით, ერთნი ყიდნენ ყველაფერს რაც სახლში ჰქონდათ – ანტიკვარული ვაზებით დაწყებული – საკუთარი სამეცნიერო ნაშრომებით დამთავრებული. (მყიდველი რათქმაუნდა ის 10 პროცენტი იყო).
ეს პროცესი, ახლაც გრძელდება და აწყობილ ბიზნესადაც იქცა. დღეისთვის არსებობს ყოველკვირეული გაზეთი „სიტყვა და საქმე“, სადაც ყველანაირი ნივთის ყიდვა-გაყიდვის შესახებ იბეჭდება განცხადებები. სწორედ ამ გაზეთზე დაყრდნობით მოვაწყვე ჩემი პიესის ინტერიერი.
ზემოთხსენებული, გადარჩენის მიზნით, – საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო ზუსტად კი ქალბატონებმა, ხსნა შორეულ ამერიკაში ნახეს, სადაც მოხუცებისა და ინვალიდების მომვლელებად იქცნენ, დატოვებულ საკუთარ ოჯახებში გამოგზავნილმა დოლარებმა კი ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს გადაარჩინა. 100 ათასამდე ქალმა, საკუთარი ძალისხმევის და ოფლის ხარჯზე, საქართველოს ურთულეს პერიოდში ეკონომიკა შეუნარჩუნა.
პიესის მოტივი ზემოთ ხსენებული ორი პრობლემის ლატენტური ანარეკლია, – სწორედ ამერიკაში მომსახურე ერთ-ერთი ასეთი ქალბატონის შვილი, რომელიც დედასთან წასასვლელად ემზადება და ყველაფერს ყიდის, ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდება.
ხომ შეიძლება ასეც ყოფილიყო?
ხშირად ჩვინსავე სოციალურ ფონში ისე ღრმად ვეხვევით ხოლმე, რომ პრობლემასთან გაუცხოებას ვერ ვახერხებთ, არადა ყველგან სადაც თვალი სწვდება გამზადებული ფაბულებიც იქვეა...
ამ პიესას ვირჩევ იმიტომ, რომ ჯერ ისევ ყიდიან ადამინები ძვირფას ნივთებს გადასარჩენად, და ჯერ კიდევ შრომობენ საკუთარ ოჯახებს მოწყვეტილი ქალები, შორეულ ამერიკაში ლუკმა პურის შოვნისთვის.
ჩვენ კი გამუდმებით გვიმეორებენ, რომ რეფორმების დროში ვცხოვრობთ და ყველაფერი ცუდი წარსულშია.

ამერიკა

პიესა
(ორ მოქმედებად)

მოქმედი პირნი:
გოგონა
ქალი
კაცი
ძაღლი

I მოქმედება

კედელზე გრაფიკულად გამოსახულია ოთხოთახიანი ბინა. რამდენიმე საგანი და ნივთი უტრირებულია. სცენაზე დგას მაგიდა და სავარძელი. მარცხენა მხარეს შუშაბანდი კვეთს სცენის ნახევარს. შუშაბანდს ფანჯრები აქვს.
გოგონა ოთახის შუაგულში, სავარძელში, ფეხმორთხმული ზის და ტელეფონით საუბრობს, თან თმას თითით იხვევს, პერიოდულად ფრჩხილებსაც იკვნეტს. ფეხით სათამაშო ძაღლს ეფერება, რომელიც თოკით იმართება ზემოდან და ცოცხალ არსებად აღიქმება.

გოგონა – (ტელეფონზე საუბრობს) და მაგნიტოფონი რომ მივადო და ისე ჩავიწერო?... ნუ, ისეთი ცუდი ჩანაწერი რა იქნება... (იცინის) რაა?... ორ დღეში... ხო... (კარზე ზარია) კაი, კაი... წავედი (დგება). ვიცი, რამდენჯერ უნდა მითხრა?! კაი რა, ნუ ნერვიულობ, ვერ მომატყუებს ვერავინ! ზარია, მოვიდნენ მგონი... წავედი, გკოცნიიიი.

გოგონა თვალს მოავლებს ბინას, მაგიდაზე წაქცეულ ჭიქას გაასწორებს, საფერფლეს ნამწვავებისგან დაცლის. კარს მიუახლოვდება. ძაღლი ყეფს. გოგონა აჩუმებს. კარს აღებს.

გოგონა – მობრძანდით.

ოთახში შუახნის, მაღალი და მსუქანი ქალი შემოდის, ჯინსებით და კედებით, დიდი ზომის მაისურით, დიდი ჩანთით. ხელში ფურცლების შეკვრა უჭირავს, პერიოდულად სახეს ინიავებს. უკან გამხდარი და დაბალი მამაკაცი მოყვება, თხელი წვერით. შარვალი წელს ზემოთ ასდის. ცნობისმოყვარე მზერა და მიხვრა-მოხვრა აქვს.
შემოდიან სცენის შუაგულში. ტრიალებენ.

ქალი – კიბე ჭრიალებს, მოაჯირი ტლანქია. დიზაინი მოძველებული...

გოგონა უხერხულად უღიმის უცნობებს.

გოგონა – ყავას მოგართმევთ.
ქალი – მუშაობის პროცესში? არა, გმადლობთ.

გოგონა კიდევ უფრო უხერხულად უკან იხევს და ძაღლს ეფერება.

ქალი – (ძაღლს დახედავს) თეთრი, თანაც ყავისფერლაქებიანი კურცხაარი ახლოდან არასოდეს მინახავს...

კაცი კედელზე მიხატულ ოთახებს ათვალიერებს.

ქალი – მეტყვი რამეს?
გოგონა – (დაბნეული) ფრინველზე მონადირეა... (ქალს უხერხულად გაუღიმებს.)
ქალი – შენ არ გეკითხები.
კაცი – იატაკი მოწესრიგებულია, სამი პირი ლაქი, ბამბუკის პარკეტი.
ხის კარ-ფანჯარა, საკეტებით.

ქალი ჩანთას სავარძელზე მიაგდებს.

ქალი – (პაუზის შემდეგ) მდაა... წვიმის, ქარის და მტვრისგან ვინ დამიცავს ნეტა? (გოგონას ჩააცივდება თვალებში.)
გოგონა – ხო, ველარ გავარემონტეთ, ასე მოხდა. მამა დაიღუპა, დედა წავიდა და ფული არ მეყო.
ქალი – რა ისტორიას მიყვები? საერთოდ ვერ ვხვდები... კედელზე ნახატებს და ფოტოებს აკვირდება.
ქალი – ეს ვინ არის?!
გოგონა – სოფი ლორენი.
ქალი – (გაბრაზებით) ეს კი არა, აი ეს!
გოგონა – (ჩაიცინებს) ა... ეგ დედაჩემი...
კაცი – (შორიდან, სცენაზე აღარ ჩანს) საიმპერატორო მასიური ბრინჯაოს ჭაღია, ექვსი პლაფონით და ერთი ცისფერი ბურთულით, სამი ნათურა, ანუ სულ ცხრა.
ქალი – რა ფერის ბურთულიით?
კაცი – ცისფერი.
ქალი – ტელევიზორი?
კაცი – „გრუნდიგი“, 86 სმ. დიაგონალით.
გოგონა – საერთოდ არ ვრთავ ტელევიზორს... ასე რომ, უხმარია.
ქალი – რატომ? აბა რას აკეთებ?
გოგონა – ვკითხულობ, ან კომპიუტერში...
ქალი – (ხმამაღლა) წიგნები შეგხვდა?
კაცი – აქ ცოტაა: „ერთხელ ამერიკაში“, „ნათლია“, „საუზმე ტიფანისთან“, „ქალის სურნელი“.

ქალი გოგონას მიუბრუნდება.

ქალი – (ნიშნისმოგებით) ეს არის შენი ბიბლიოთეკა?

გოგონას ეცინება.

გოგონა – ეგ ნოტებია.
ქალი – (ხმამაღლა) აზრიანად მანდ!
კაცი – ფრანგული წიგნები, 1910 წელს გამოცემული. დამხმარე ფონდების და გარანტიების გამცემი...
გოგონა – (აწყვეტინებს) გრანტების.
კაცი – გამცემი ორგანიზაციების ცნობარი; საფრანგეთში გამოცემული ფრანგული ენის სახელმძღვანელო „მოჟე“, 5 ტომი; პარჩევსკის „ფრანგული ენა ყველასთვის“; სინელნიკოვის ატლასის ოთხტომეული... და ლექსიკონები.
ქალი – ფრანგული იცი?
გოგონა – არა, დედა...
ქალი – სად არის დედა, საფრანგეთში?
გოგონა – არა.
(ქალი ისევ აგრძელებს კედლების თვალიერებას.)
ქალი – სად არის თამრი?

გოგონა ფითრდება.

გოგონა – თქვენ იცნობთ დედაჩემს? (ფრჩხილებს იკვნეტს.)
ქალი – (ალმაცერად იღიმის) დამშვიდდი, რამ აგაფორიაქა? აქ ამოვიკითხე, ეს ხომ შენი ბავშვობისდროინდელი ნახატია.
(გოგონა ქალს მიშტერებია.)
ქალი – მე და დედიკო თამრი. (ქალი ნახატზე გამოსახულ წარწერას გააყოლებს თითს.)
კაცი – (ექო) პიანინო „როინიში“, „ტიულპანის“ ფეხებზე; არა აქვს კლავიშები, სამი ოქროს მედლით, ტალღისებური დაფით.
ქალი – ვინ გააკეთა?
გოგონა – მამა უკრავდა.
ქალი – (სავარძელში ჩაჯდება. უხეშად ამოისუნთქავს) ასეთ სახლებში როგორ ცხოვრობთ?!
გოგონა – როგორ...
ქალი – გერმანული, იატაკზე დასადგამი საათი; რუმინული გარდერობი;
ინგლისური სამეული, ფრანგული მუხის კაბინეტი, რესტავრირებული; ლომისთავებიანი სკამებით; ვენური ხის სკამები; ორადგილიანი არაბული ტახტი. ეს ახლა ნორმალურია? შენ აცნობიერებ, რამდენი რამე ტრიალებს ამ სახლში?! ერთხელ მაინც ამაზე თუ გიფიქრია?! როგორ იძინებთ, ამხელა კულტურულ ომში?!
გოგონა – ეს ხომ... ჩემს სახლს სხვანაირად მოვაწყობ! (შეშინებულია).

ქალი – აბა ახლა ვისთან ვართ? არა დედა, არა მამა. შენი განცხადება არ იყო გაზეთში? (ქალი სავარძელიდან წამოიწევა. გოგონა ჩაკუზულია და ძაღლს აღარ შორდება.) შენ არ ამბობდი, ყველაფრიანად ვყიდი სახლსო?!
გოგონა – (შეშინებული სახე აქვს) დიახ.

რეკავს ტელეფონი.
გოგონა ძაღლიანად ტელეფონის აპარატთან მიდის.

გოგონა – ერთ საათში დამირეკე... გთხოვ... მეეც.
კაცი: (ექო) გასაბერი რეზინის ნავი, 2-ადგილიანი, რუსეთის, სანადირო- სათევზაო. ამერიკულ კოსტიუმთან ერთად.
ქალი – ჩაიცვი, გაბერე, გამოიტანე! დამენახე და მანახე. (გოგონას მიუბრუნდება.)
ქალი – რამდენი თევზია? (თან აკვარიუმზე უთითებს.)
გოგონა – 45. ოქროსი.
ქალი – ძაღლი არ ერჩის?
გოგონა – ძაღლს არ ვყიდი.
ქალი – (ნერვიულად დაუმარცვლავს სიტყვებს) ძაღ-ლი არ ერ-ჩისს???!!!
გოგონა – არა, ეს ფრინველებზე ნადირობს...
ქალი – თან მიგყავს?
გოგონა – დიახ...
ქალი – ეგ როგორ? (წამოდგა და ძაღლისკენ გაწია ხელი. ძაღლი უღრენს.)
ქალი – ეგ როგორ ხდება?

გოგონა უკან იხევს.
ისმის ხმაური. კაცი გაბერილი ნავით და ამერიკული კოსტიუმით გამოდის.
ქალი სერიოზული სახით ათვალიერებს ნავს. წრეს ურტყამს.
კაცი ჭურჭლის კარადას ითვისებს.

კაცი – ინგლისური სადილის სერვიზი... ტააკ... ფაიფურებიც...
ძველებური „მადონას“ ჩაის სერვიზი ოქროს გირჩებით... (თან თავი ახლოს მიაქვს ნახატებთან, რომ კარგად გაარჩიოს). ჩეხური ბროლის, ხელით ნაკეთი „კრუშონიცა“, დიდი მრგვალი და-სა-დგა-მიიით.
ქალი – ერთი წუთით გაჩუმდი. (ხელებს ზემოთ ასწევს, ნავს აკვირდება...) – რაღაც გამახსენა ამ ნავმა. რაღაც შეგრძნება მაქვს.
კაცი – (შეშინებული): ცუდად ხომ არ ხართ?

ქალი თითქოს ასტრალში გადის. მერე სავარძელში ბრუნდება, ჯდება.

ქალი: მცივა...
კაცი: წაულას ქურქს მოგიტანთ, ზუსტად თქვენი ზომაა.

გოგონა ჭიქას უწვდის.

ქალი – (ხელის ქნევით უარს ამბობს.) მხოლოდ გამჭვირვალე ჭიქით...

გოგონა ჭიქას გამოცვლის. ამასობაში მამაკაცი ქურქით ხელში გამორბის და ქალს ახურავს. ჭიქის იმიტაციაა გათამაშებული.

ქალი – (ძალაგამოცლილი) ერთხელ მარტო დამტოვეს ნავში...

სიჩუმეა.

ქალი (კაცს) – კარგად გროვდება?
კაცი – კი, იქ კიდევ ელექტრო გიტარაა, თხილამურები, საკერავი მანქანა.
ქალი (სევდიანად) – რომელ ი ელექტრო გიტარა?
კაცი – კორეის გამოშვების, „WASHBRN“, 24 ლადით და ჰამბაკერით, შავი, ახალი, შალითა და სადენი მოყვება.
ქალი – კაია.

გოგონა გაოგნებული დგას. სახეზე სინანული ეტყობა.

კაცი – მაცივარია მუშა მდგომარეობაში. კიდე ახალი ნოუთბუქი (ერთმანეთს მიაყრის), პენტიუმ 4, ცენტრინოტოშიბასატელაიტიმ55ს325პ-მ-740 ჩანთით. შენ რომ გიყვარს... (თან ეფერება) ყველაფერი არის... შენ მაგიტო თუ ნევრიულობ...

გოგონა ძაღლს დასვამს და კუთხეში მიიკუჭება. შუშაბანდთან. ცრემლი ერევა.
ნაწყეტ-ნაწყვეტ ესმის კაცის რეპლიკები: ოვალური... 11 ჭიქით... მელქიორის ბოკალები შამპანურისთვის... ყინულის... „ვიქტორია“... ლეიბები... მუხის ფეხებზე... ფუმფულა ბალიშები... სამფრთიანი სარკე...
ვერც გრძნობს, შუშაბანდის ფანჯრიდან როგორ გამოუყვია ქალს თავი, ზემოდან დასცქერის. გოგონა მოულოდნელად წამოიძახებს:

გოგონა – არა! აღარაფერს ვყიდი!
ქალი – (სინანულით აქნევს თავს) რა თავქარიანები ხართ ამ ასაკში!... ყველაფრიანად უნდა ვიყიდო. სამოსის და კბილის ჯაგრისის გარდა! ასეთი იყო განცხადების პირობა. ეს ჩემი სამსახურია. მე დრო დავხარჯე.

ხმაში სიბრაზე ერევა. ჩანთას ხსნის. გოგონას ცრემლები მოსდის. ქალი ჩანთიდან ბლოკნოტს იღებს. ტელეფონთან მიდის. მოულოდნელად გოგონა მკლავში ეცემა.

გოგონა – (სასოწარკვეთილი) ეგ არ იყიდება!
ქალი – რაა? (გარდაისახება... კივის). მე აქ ყველაფერი უნდა ვიყიდო!!! ასეთი იყო განცხადება! ვინმემ დაგაძალა?!
გოგონა – (ტირილით) არა!

გოგონა ტელეფონს გადაეფარება. ქალი კაცს ეძახის.

ქალი – მოდი აქ!!!

კაცი გამოვა. მიზანმიმართული სვლით გოგონას მიაუხლოვდება და ხელს სახეში გაარტყამს. გოგონა გაოგნებული უყურებს.

გოგონა – (გამწარებული) წადით აქედან!!! არაფერს არ მოგყიდით!!! თუ არ წახვალთ, პოლიციას დავურეკავ.
ქალი – ტელეფონი შენი აღარ არის... გაიგე! თინეიჯერო!!!

გოგონა ღრიალებს, ძაღლი ყეფს.

კაცი – სამზარეულოში თეთრი ბუფეტია, ხის ტახტით...
ქალი (კაცს) – კაი, გაიხადე ეგ. (მშვიდად)

კაცი იქით ოთახში გადის.
გოგონა ეცემა ქალს, ხელს კრავს და ნავში ჩააგდებს.

გოგონა – (კრიჭაშეკრული) შენ არ არსებობ! გაიგე! შენ არ ხარ!

გოგონა ძაღლს კიდებს ხელს, მაგიდიდან სიგარეტის კოლოფს იღებს და გარბის.

II მოქმედება

კედელზე შეცვლილია დეკორაცია. სცენის შუაში დგას მაგიდა. მაგიდაზე დგას ლამპა და მხოლოდ ამ ლამპის განათებით ვხედავთ მაგიდასთან შემომსხდარ ქალს და მამაკაცს. თეთრებში გამოწყობილები ყავას მიირთმევენ. ერთ წერტილს მისჩერებიან – ტელევიზორს უყურებენ, რომელიც გრაფიკული დეკორაციის ნაწილია. რეკავს ტელეფონი. ქალი და კაცი ტელეფონს გამოხედავენ, მაგრამ არ იღებენ. ირთვება ავტომოპასუხე.

ქალის ხმა – სად ხარ დედი?... ავად ხო არ ხარ? ამდენი ხანია ვრეკავ. მომისმინე, ყველაფერი გავარკვიე, რა დროს ჩამოდიხარ. ახლა აიღე კალმისტარი და ფურცელი და ჩაინიშნე... მოკლედ... მომისმინე, როგორც კი გამოხვალ, ავტობუსები ცენტრისკენ მოდის, ჩაჯდები, გზად დიდი სასაფლაოებია. არ შეგეშინდეს, მკვდრები არიან მხოლოდ (დაბალ ხმაზე ელექტრონული მუსიკა ისმის), ემოციებს არ აყვე, რო იცი ხოლმე! სივრცემ არ დაგთრგუნოს, არც ხალხმა. ჩვეულებრივად იყავი. რამე შეკითხვა თუ გექნება, თამამად იკითხე. ყველა გიპასუხებს. არ დაიკარგები! ბევრნაირ ადამიანს ნახავ... აქ ყველა მხრიდან მოდიან; ქალები, კაცები, აყვავებული პროვინციების შვილები და

მარტოხელა მოხუცები... (მუსიკის ხმა მატულობს)... იცოდე, რომ მე აქ ვარ, გხვდები და ნუ გეშინია. იმწამსვე მიცნობ... ცოტათი შევიცვალე. დედიკო, მოკლედ, გამაგებინე პასუხი.... ხო, ჩემი გამოგზავნილი პალტო ჩაიცვი, აქ აცივდა. ვიცი, არ მოგწონს და დიდი გაქვს. რა ვქნა, უკვე აღარ ვიცი რა მოგწონს. მოკლედ, კიდევ დავრეკავ, შეიძლება მანდ გვიანი იყოს, მაგრამ მაინც დავრეკავ.

ხმა წყდება. მხოლოდ მუსიკა ისმის. ხმამაღლა. უფრო მატულობს. ქალი და კაცი ტელევიზორს უყურებენ.

ფარდა

2006 ივნისი

ეფემია ლორია

წინათქმა

„ჩვენ ყოველთვის რაღაცის მიჯნაზე ვდგავართ, რაღაცის გასაყარზე...
ცხოვრება სპირალივით ბრუნავს... იცვლება მხოლოდ დეკორაციები, ადამიანთა ვნებათაღელვა – უცვლელია...
კიდევ კარგი, რომ არსებობს „დღეს“ – სხვაგავარად სხვაობას „გუშინდელსა„ და „ხვალინდელს„ შორის ვერ გადავიტანდით...„

დროის გასაყარზე

– ყავა შემომიტანე, ლიზი, – სელექტორს ხელი დააჭირა და დილის პირველი ყავა შეუკვეთა, – თავი მტკივა, რაღაც არა ვარ კარგად.
– ახლავე, ქალბატონო, მაკა, – გაისმა მუდამ მორჩილი, უცვლელი ტონი.
მაკა სავარძელში გადაწვა და მოთმინებით შეაჩერდა კომპიუტერის მონიტორს, რომელიც თავაზიანად სთხოვდა, მოითმინეთ, სანამ მე ჩემს ოპერაციას დავასრულებ და მერე შეამოწმეთ თქვენი საფოსტო ყუთი და რამდენიც გნებავთ, ათვალიერეთ ინტერნეტმაღაზიებიო. რაღაც ახალს იყიდდა სიამოვნებით, გაზაფხული ჰა, ჰა და მოვიდა – გაიხალისებს თავს რაიმე ახალი „შმოტკით“. აი, თეთრი თხელი მანტო მოეწონა იმ დღეს, თეთრი ბეწვით მანჟეტებსა და საყელოზე. მისი სტილია, მოუხდება, მისი ახალი დასაცემი ჩექმაც მაგრად წავა ამ მანტოზე და მისი ტყავის უუმაგრესი ჩანთაც, იმ დღეს რომ იყიდა უგუნებობის დასაძლევად.
– ინებეთ, ქალბატონო, მაკა, ორმაგია.
უცებ ვერ მიხვდა, რას სთავაზობდნენ, სულ გადაავიწყდა, რომ ორი წუთის წინ ყავა ითხოვა:
– უი, ჰო, ჰო... აი, აქ დადგი.
– რამე ხომ არ გნებავთ კიდევ?
– არა, არაფერი.
– წამალი ხომ არ გინდათ რამე, მოგიტანთ.
– არა, ყველაფერი მაქვს. მე უკვე იმ ასაკში ვარ, წამლები ჩანთით რომ უნდა ატარო, – თქვა და რაღაც ნერვიულად და ნაძალადევად გაიცინა.
– რას ამბობთ, რა დროს თქვენი ასაკი და წამლებია, თქვენ ისე კარგად გამოიყურებით, ისეთ კარგ ფორმაში ხართ, – ძალიან გულწრფელი ჩანდა იმ წუთას ლიზი – ესიამოვნა.
– მართლააააა? – ჩაეკითხა მცირედი უნდობლობით, – ასე ფიქრობ?

– მეე? მარტო მე კი არა, ყველა ასე ფიქრობს ირგვლივ, – სასწრაფოდ მოიშველია რამდენიმე სანდო სახელი.

– ჰო, კაი, კაი... არ მინდა... ვიცი, მე მაგათი ამბავი.

მაკა ოდნავ დაიხარა ჭიქისაკენ, ყავა ფრთხილად მოსვა და ქვეშიდან ახედა ლიზის. თითქოს პირველად ხედავსო, თვალი ვერ მოაშორა. ჯერ მისი წაბლისფერი თმები და თეთრად მოშიშვლებული ყელი შეათვალიერა, მერე – მისი პატარა, მაგრამ ლამაზად გამოკვეთილი მკერდი, მისდა გასაკვირად აღმოაჩინა, რომ ფეხებიც კოხტა ჰქონია ლიზის და ძალიანაც უხდებოდა მუხლს ზემოთ მომდგარი ჭრელი, ნაქსოვი კაბა.

– შენ... შენ ის მითხარი, შენ რამდენის ხარ? – შეეკითხა და ლიზის მრგვალ მუხლისთავებს მიაშტერდა.

– 19-ის, 20-ის ვხდები ივნისში.

– 19-ის,– ჩაილაპარაკა თავისთვის და გონებაში შეეცადა გადაეანგარიშებინა, რამდენი წლის წინ იყო თვითონ 19-ის, მაგრამ სიზუსტეს გაექცა, არაფერში სჭირდებოდა ასეთი ზედმიწევნითი არითმეტიკა – 22-ის, 23-ის, იქნებ, 24 წლის წინაც კი. მაგრამ ამ თავდაცვითმა უზუსტობამაც ვერ იხსნა იგი წარმავლობის დამთრგუნველი განცდისაგან და ისედაც მძიმე ხასიათი კიდევ უფრო დაუმძიმა.

– კარგი, წადი... და ვინც არ უნდა დარეკოს ან მოვიდეს, არ დამიძახო, – უცებ მოიშორა თავიდან, ერთი სული ჰქონდა, მარტო დარჩენილიყო.

– ვინც არ უნდა მოვიდეს? – ჩაეკითხა გაოცებული და რაღაცნაირად დამფრთხალი.

– ჰო, ვინც არ უნდა მოვიდეს, – გაუმეორა შეძლებისდაგვარად მშვიდად, ისე, რომ მონიტორისთვის თვალი არ მოუშორებია. მხოლოდ „მაუსზე“ შემოწყობილ თითებზე აციმციმებული ბეჭდებით ჩანდა, რომ ნერვებს აჰყოლოდა.

– კი, მაგრამ, ქალბატონო მაკა... ბაჩო უნდა მოვიდეს მალე, დილით დარეკა, გამოვივლიო.

რამდენიმე წამი სიჩუმე ჩამოვარდა. მაკამ მძიმედ მოაშორა თვალები მონიტორს და მთელი ეს სიმძიმე შემცბარ და დაბნეულ ლიზიზე გადაიტანა. კარებთან უხერხულად ატუზული ლიზი სულ ტყუილად ცდილობდა, თავი დაეღწია ამ გამჭოლი მზერისათვის, მის გახვრეტას და კედელზე მიჭედებას რომ ლამობდა.

– ბაჩო შენთვის დაიტოვე, გაერთეთ რამით. იმ დღეს ხომ მშვენივრად ხალისობდით უჩემოდ.

– ქალბატონო, მაკა... – ესღა მოახერხა ლიზიმ, სახე აუწითლდა და საკუთარი გულისცემა გაიგონა აწივლებულ ყურებში.

– რა იყო, რა მოხდა? – ვითომ გაიკვირვა, – სიმართლე რომ ვთქვათ, ბაჩო შენ უფრო შეგეფერება, ვიდრე მე... თანაც, ის სულაც არ არის შენ მიმართ გულგრილი.

– რას ამბობთ, ქალბატონო მაკა, – აღარ იცოდა, რა ექნა, გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

– ჰო, ასეა... ადამიანს უნდა შეეძლოს, სიმართლეს შეხედოს თვალებში... ის შენ ისე გიყურებს ხოლმე... და დარწმუნებული ვარ, აქაც შენი გულისთვის მოდის.

– რა სისულელეა, – ათასი გრძნობა აერია ერთმანეთში – უსამართლობის, შეურაცხყოფის, დამცირების და რაღაც სიტუაციის აბსურდულობის თითქოს.

– სისულელე? შენ გინდა თქვა, რომ მე სისულელეს ვლაპარაკობ?

– არა, რას ამბობთ, ეგ სულაც არ მინდოდა მეთქვა.

– აბა, ე.ი. მართალს ვამბობ.

– არა, არა... ეგ არ არის მართალი...
– ლიზი, ჩემი გოგო, – როგორ სასტიკად გაისმა ეს „ჩემი გოგო“ – მე საკმარისი მინახავს იმისთვის, რომ ასეთ წვრილმანებში არ ვცდებოდე.
– ქალბატონო მაკა, – რაღაცის თქმას აპირებდა ლიზი, ვერ ახერხებდა, სულს ძლივს ითქვამდა... რას გადაეკიდა მაინც ეს ქალი, რა ჯანდაბა დაემართა დღეს.
– არ მინდა, წადი... არაფრის მოსმენა არ მინდა.
– მომისმინეთ, გთხოვთ...
– წადი, – ისევ მონიტორს დაუბრუნა მზერა მაკამ.
ლიზიმ ჩუმად გაიხურა კარი.

* * *

რამდენიმე საქმიანი წერილია, რამდენიმეც – პირადული. არ აინტერესებს, არც ერთს არ გახსნის. ედიშერი, ალბათ, კვლავ კონტრაქტის პირობების გადახედვას სთხოვს, სულ ქალბატონობით და მაღალფარდოვანი სიტყვებით მიმართავს და საღამოს „ბიზნესვახშამზე“ ეპატიჟება „ზოგიერთ დეტალზე“ მოსალაპარაკებლად. „ფუჰ, სირი!“ – სახე დაეჯღანა მაკას. ნინის ი-მეილი – ფულს სთხოვს ალბათ, ის ი-მეილებს მაშინ იწერება, როცა ტელეფონზე უტყდება, რომ ფული ითხოვოს: „აუუუ, დეეე, მიდი რა, ერთი ათასი დოლარი გამომიგზავნე, რააა...“ უნდა, ალბათ, სადმე საფრანგეთის ალპებში სათხილამურო თავისი გაურკვეველი ორიენტაციის „ბოიფრენდთან“ ერთად. აი, არ გახსნის არც ერთ ი-მეილს და არ ეცოდინება, რას ითხოვენ მისგან, დაიკიდებს, ხომ შეიძლება ერთხელ დაიკიდოს ყველა და ყველაფერი – აი, ისე, როგორც გიგი ასწავლის: „დეე, დაიკიდე რააა....“ და მას ხანდახან მართლა გულით უნდა, ისწავლოს „დაკიდება“. ნეტა, როგორია ეს „დაკიდება“ – რამე რომ გაწუხებს და ვითომ არ გაწუხებს, არა?.. „ვითომ“, ჰმ – ეს ხომ სირაქლემას პოზაა და ეს პოზა სრულიად სხვა რამეშია გამოსადეგი და არა პრობლემებისგან თავის დასაღწევად.
თეთრი მანტო გაახსენდა. მაგრა მოუხდება, გაახალისებს ცოტას. გახსნა საიტი – მაგარი „ნაშები“, მაგარი „შმოტკებით“... შუბები შიშველ სხეულებზე... მაღალი ჩექმები და მოკლე ჟაკეტები... ელასტიკებში გამოკვეთილი ნაკვთები... მოშიშვლებული, ვითომ შემთხვევით ამოვარდნილი მკერდი და გამობზეკილი უკანალები... ფერადი საცვლების საყოველთაო „აჟურული ეროტიზმი“... გამობუშტული, გაბუტული ტუჩები და მიბნედილი სახეები... აქსესუარები, სამკაულები – ხელის, ფეხის, ჭიპის...
და უცებ მიხვდა, რომ ჰკიდია, მართლა ჰკიდია ეს თეთრი მანტოც თავისი მთელი ატრიბუტიკით, მისი დასაცემი ჩექმაც, უუუმაგრესი ჩანთაც, ბაჩოც, ლიზიც, ნინიც და გიგიც თავისი პრობლემებით, ედიშერი ხომ ჰკიდია და ჰკიდია და კიდევ ბევრი რამე და ვინმე ჰკიდია და რომ იცოდეს, სადაა „საყრდენი“, ერთ წამში დაუფიქრებლად ამოატრიალებდა, „სამ ასოზე“ გაუშვებდა ამ დედამიწერილ დედამიწას და წუთითაც არ ინანებდა ამ წამოვლილ სიგიჟეს.

* * *

– მე მინდა, რომ ყავა მომიდუღო და მინეტი გამიკეთო, მეტი არაფერი არ მინდა ამ წუთას შენგან, –უთხრა მის კაბინეტში სავარძელში წამოწოლილმა ბაჩომ.
უცებ შეცბა. არა, არ გაბრაზებულა, არც სწყენია, გაეღიმა კიდეც. ორი ქმარი ჰყავდა, რამდენიმე – ოფიციალური საყვარელი, რამდენიმეც – ხანმოკლე თუ შემთხვევითი ურთიერთობა და არასდროს ასე პირდაპირ და გაჭრილად არ უთქვამთ, რა უნდოდათ მისგან. და უნდოდათ ყოველთვის იმაზე მეტი, ვიდრე მას შეეძლო, მიეცა მათთვის, ვიდრე ეს ყავა და მინეტია – ზოგს მისი გრძნობა, ზოგს – უგრძნობლობა, ზოგს – დრო, ზოგს – ფული, ზოგს – ერთგულება და თავდადება... ეს ლაწირაკი ბიჭი კი თვალებში უყურებს და ეუბნება: – მეტი არაფერი არ მინდა შენგან – ყავა მომიდუღე და მინეტი გამიკეთეო. და უცებ აღმოაჩინა, რომ არც თუ ცუდია, იყო ქალი, რომელიც ადუღებს ყავას და აკეთებს მინეტს და მეტი არაფერი არ უნდათ მისგან.
სიგარეტს მოუკიდა, საკუთარ თითებს შეავლო თვალი, არააა, ასაკი ჯერ ნამდვილად არ ეტყობათ მის ძვირფასთვლებიან თითებს – მასაჟი, საუნა, სოლარიუმი, აუზი, ტრენაჟორი – და ის იტოვებს უფლებას, ჰყავდეს 10, 15 წლითაც კი პატარა საყვარელი, მაგრამ.... რაღაც აღარ არის ისე, რაღაც შიგნიდან აღარ არის ისე, სადღაც სიღრმეში გაჩნდა პირველი ნაოჭი – გულზე თუ სულში, სადღაც უფრო ღრმად, უფრო მიმალულსა და მიუწვდომელ ადგილას და მას არ შესწევს ძალა, ჩასწვდეს, ხელი შეახოს, ოქროს ძაფებით გადაჭიმოს ეს პირველი ნიშანი დროისადმი უნებური მორჩილების.

* * *

ის თორმეტი წლისაა, აცვია ჩითის ყვავილებიანი კაბა, გაცვეთილი სანდლები. მუხლები დატყაული – ორღობეებში და ხეებზე ბღოტიალით. ორჯერ უკვე ჩამოვარდა ტყემლის ხიდან, ერთხელ თუთიდან, ერთხელ სახურავზე კრამიტი ჩაუტყდა, შუა ცეცხლშიც ჩავარდა საჯდომით. ყველა თმით ჰყავს ნათრევი ირგვლივ, ბიჭიც და გოგოც – მაინც ვერ ოკდება, მაინც ვერ ისვენებს, სულ მუდამ რაღაცა აწუხებს, სულ მუდამ რაღაცას დაეძებს.

სოფელში ცხელა, სამეგრელოს ღრმა და გულისგულ სოფელში. „ძღაბი, შენ რა ქალაქელი ხარ, სოფლის ახტაჯანა ხარ ნამდვილი“, – ეუბნება ელისე, მათი კეთილი მეზობელი: „ამ ძღაბს ქალის არაფერი სცხია, ნენე“, – გადმოსძახებს ახლა ბებიამისს. სიცილით შეჰყურებენ ქალები მაკას ოინბაზობას. „ნუ გეშინია, ელისე, გაიზრდება, გაიღვიძებს ქალი – ნამდვილი ქალი, აგერ ნახე, თუ არა, ჩვენს გვარში ყველა ქალმა იქალა, ნეტაი, მომასწრო მაგ დღეს“, – სიყვარულით შესცქერის შვილიშვილს: „მე მგავს ელისე, გესმის? მე მგავს, მასეთი ვიყავი მეც პატარობისას, რომ გითხრა ნამდვილი“, – იცინის ბებია. „რასაა, რო ამბობ, შენისთანა ქალი ბარე ორი არ იყო და არაა საჩვენოში“, – ქათინაურს არ იშურებს კეთილი მეზობელი.
საღამოს ცოტა აგრილდება, წიფლის ოდის წინ მწვანე კოინდარზე წამოგორდება მაღალი მსხლის ქვეშ და ბებიას ტვინს წაუღებს – „მომიყევი რა, მომიყევი, როგორი მოიტაცა ბაბუაშენმა ბებიაშენი...“ და ბებიაც ყვება შორეულ ამბავს, არნახულ გმირობას მეგრელი ვაჟკაცისას, რომელმაც საკუთარი ქორწილიდან მოიტაცა პატარძალი, თავადის ქალი მაკინე.

„და მეც მაგიტომ, მაგიტომ დამარქვით მაკინე, ხო? მაგიტომ?“ – არ ისვენებს მაკა და უკვე მეასეჯერ აყოლებს ბებიას, როგორი ქალი იყო მაკინე. „ოოო, მაკინე? ულამაზესი ქალი იყო მაკინე, ამაყი და თავმოყვარე საოცრად, ზრდილი, თავდაჭერილი და კეთილშობილი.“ „და მაკინე ვისი შვილი იყო? რას მეუბნებოდი? ვისი შვილი იყო მაკინე?“ „თავადის ქალი მაიასი და მისი აშიყის, ოდიშის თავადის ვეფხი ჩიჩუასი, მათი უკანონო შვილი იყო მაკინე. ვეფხის და მაიას ერთმანეთი პატარაობიდან უყვარდათ, მაგრამ მამამ სხვა საქმრო შეურჩია ერთადერთ ქალიშვილს – აფხაზეთის ბრწყინვალე თავადი ჰაიდბეი ჩაჩბა. თავადს არნახული ძღვენი მიურთმევია ოჯახისათვის, აი, მართლა ისეთი, ჩვენი კაი მწერალი რომ წერს, ხომ გახსოვს, რო წაგიკითხე – „თავადის ქალი მაია“ – გახსოვს, თავს რომ იხრჩობს მაია, ზღვაში? ჰოდა, აბა თუ გახსოვს, პირველად რომელ სამკაულს შესწირავს ზღვას? – აფხაზეთის შვიდი დედოფლის ნაქონ სამაჯურს. „ძველი არისო ეს სამაჯური, როგორც ჩვენი ქვეყანაო, და ისე ნაკვეთი და ისე მშვენიერი, როგორც იგივე ჩვენი ქვეყანა არისო“ – ასე არ მიართმევენ მაიას იმ სამაჯურს? ჰოდა, ვეფხიმ ქორწილის დღეს მოკლა სასიძო ჰაიდბეი, ვერავინ რომ ვერ გაიგო, ისე. ზამთარი იყო და ინგურზე ფონით გადმოდიოდნენ. ვეფხი უნდა შეჰგებებოდა რჩეული ვაჟკაცებით შემდგარი ამალით სასიძოს. შეეგება კიდეც და მერე ვერავინ გაიგო, როგორ მოხდა, რომ ხუთასი კაცის თვალწინ ინგურში დაიღუპა ბრწყინვალე თავადი ჰაიდბეი ჩაჩბა.

მაკა სუნთქვაშეკრული, ვინ იცის, მერამდენეჯერ ისმენს მისი მითიური წინაპრის ამბავს. როგორ შეეძინა თავადის ქალ მაიას პატარა გოგო, მისი ბებიის ბებია მაკინე და როგორ ჩუმად გააშვილეს შორეულ ნათესავებში და მრავალი წელი სადუმლოდ ინახავდნენ ამ ამბავს. მაკინეს დაბადებას ოდიშის თავადი ვეფხი ჩიჩუა არ მოსწრებია, ის მოკლა სხვამ, ვისაც თავადის ქალი მაია შეჰყვარებოდა უზომოდ.

„რატომ, რატომ მოიკლა თავადის ქალმა მაიამ თავი, ბეეე, რატომ მოიკლა?“ „დროის გასაყარზე ცხოვრობდა თავადის ქალი – დროის გასაყარზე ცხოვრება ძნელია, ყველას არ შეუძლია, ვერ უძლებს“. „დროის გასაყარზე? რა არის დროის გასაყარი, ბეეე?“ „დროის გასაყარი? დროის გასაყარი არის, როცა რაღაც ძალიან უცებ და მალე იცვლება და შენ უნდა შეეჩვიო, შეეგუო, გადაიტანო...“ „და თავადის ქალმა ვერ გადაიტანა, ჰო?“ „მძიმე დრო იყო მაშინ, ძალიან მძიმე... რევოლუციამ თავადის ქალს წაართვა – ქონება, სახელი, წლებმა – ახალგაზრდობა და სილამაზე და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ ის აღარავის აღარ სჭირდებოდა, გესმის? არავის აღარ სჭირდებოდა“.

და მთელი ღამე უსმენდა მაკა, როგორ ფუსფუსებდნენ ხის ჭიები ასწლოვანი მეგრული ოდის კედლებში, სადღაც შორით სოფლის ძაღლები ყეფდნენ და ღია ფანჯარაში შემოჭრილი მთვარის შუქი რკინის საწოლიდან გადმოფენილ მაკას თმებს ჩრდილებად ათამაშებდა. და ხედავდა მაკა, როგორ დადიოდა თავადის ქალი ანაკლიის სანაპიროზე, როგორ ასკდებოდნენ აქაფებული ტალღები მის მუხლისთავებს, როგორ უსველდებოდა და ეტმასნებოდა კაბა მის სიბერეშეპარულ ოდესღაც ლამაზ სხეულს და როგორ სათითაოდ, გამეტებით ჩუქნიდა თავის უძვირფასეს სამკაულებს ზღვას.

* * *

რატომღაც შეცბა. კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა და კვლავ უნებურად შეავლო თვალი საკუთარ თითებს. ეუცნაურა, რამდენი წელია არაფერი მსგავსი არ გახსენებია – რა დროს თორმეტი წლის მაკას დატყაული მუხლებია და მსხლის ძირის ქვეშ მოყოლილი ბებეს ამბები.
ცხოვრება ამ მონიტორთანაა გადაშლილი, ათას გახსნილ თუ გაუხსნელ ი-მეილში, ედიშერის კონტრაქტს, გიგის ტოტალიზატორს, ნინის „ბოიფრენდებს“, ბაჩოსთვის მოდუღებულ ყავასა და მინეტს და კიდევ ათას ყოველდღიურ მნიშვნელოვან საქმეებსა თუ უმნიშვნელო წვრილმანებს შორის.
უცებ რაღაც მოებჯინა ყელში, ძლივს მოახერხა ნერწყვის გადაყლაპვა, თვალები და ცხვირი დაუსველდა, ცხივრსახოცს დასწვდა და სახეზე აიფარა. რაღაც ყრუდ ეტკინა, სადღაც ღრმად მიმალულსა და მიუწვდომელ ადგილას, ალბათ, იქ, სადაც პირველი უნებური ნაოჭი უკვე გასჩენოდა.
„შენ გგონია, მე შენ არ გიღალატებ?“ – მოგონილი გულგრილობით, ისე, ვითომ სხვათა შორის, ჰკითხა ბაჩომ. მაკამ იცოდა, ბაჩოს რეალურ პასუხზე მეტად საკუთარი თავისუფლების ხაზგასმა სჭირდებოდა –ორი დღით ადრე შემთხვევით შეავლო თვალი, როგორ ხარბად მოექცია ბაჩოს თავის გაშლილ ხელისგულში ლიზის მრგვალი მუხლისთავი და ახლა ამ კითხვით თავის საქციელზე საკუთარი უფლების დაცვა უნდოდა.
მაკამ ისე შეხედა ბაჩოს, როგორც ცარიელ კედელს. „მიღალატებ? მე შენ იმდენად სულაც არ მიღირხარ, რომ ჩემად მინდოდე და ვინმეს გაჟიმვა ღალატად ჩაგითვალო“.
„ლაწირაკი“. ვის, ვის და მაკას არ ესწავლება ღალატი, არასდროს უფიქრია, რომ უნდოდა ან შეეძლო ერთგულება. მისმა პირველმა ქმარმა, როგორც იქნა რომ უღალატა, შვებით ამოისუნთქა, არც დაფიქრებულა, ისე გაშორდა და, რა თქმა უნდა, იმიტომ სულაც არა, რომ არ შეეძლო ეპატიებინა. საქმე? – საქმე სხვაა, საქმეში იმ სირ ედიშერსაც არ დააღალატებს, მაგრამ იქ, სადაც ადამიანური ვნებებია და იქ, სადაც ტკბილი ცოდვანი ტრიალებს, მაკამ არ იცის, რაა ერთგულება. გამოგონილი, პირობითი მორალური ღირებულებები ვერ აკავებს, ვერ თრგუნავს მის თანდაყოლილ ინსტიქტს სიყვარულისას, ლტოლვისას, ვნებისას. მის ხელში ღალატი კარგავს საკუთარ არსს, თითქოს ღალატი საკუთარ თავს ღალატობდეს მაკას დაუდგრომელ ხორციელებაში. ვინმესადმი ერთგულება იქნებოდა სწორედ ყველაზე დიდი ღალატი მისთვის, რადგან მაკამ მაშინ საკუთარ თავს უნდა უღალატოს – ამას კი ვერ დაუშვებს, ვერ შეძლებს, ვერასდროს ვერავისთვის ვერ გააკეთებს ამას, ქვეყნად ყველაზე საუკეთესო საყვარლისთვისაც კი.

* * *

ცხელი აგვისტოა, ელიობის წინა ღამე. მაკას საკუთარი გულისცემა ესმის, ბებემ „ღამისთევაზე“ უნდა წაიყვანოს, სულებისა და კუდიანების „დასაფრთხობად“. ისე, როგორც ოდითგანვე ჭიჭეთობდნენ – ჭიაკოკონობდნენ სამეგრელოში და ყიჟინითა და როკვით რეკდნენ ავსულებსა და როკაპებს უსიერ ტყეთაგან, აი, ისე, ზუსტად ისე უნდა განდევნოს მაკამ ყოველი ავსული და ბოროტი, კუდიანნი და მზაკვარნი.

„ისე იქნება ყველაფერი, ისე იქნება, როგორც იქ წერია?“ – კითხულობს აღტაცებული და ცდილობს, წარმოიდგინოს, როგორ ატყლაშუნებს კუდიანების უფროსი დედაბერი როკაპი ასკილის ეკლიან შოლტს, როგორ დასჭექს იდუმალთმეტყველი უბელო მგელზე ამხედრებული მენცარი და კუდიანების შიშისზარდაცემული მაყრიონი სტვენითა და კივილით მოსწყდება ადგილს. ხის წვერზე შესკუპებული გრძნეული მესიაკონი კი გაჰყურებს ზღვის პირას შეგროვილი ხალხის ამღგზნებ როკვას და ცადავარდნილი კოცონის ენებს უფრთხის და ძრწის.

„ჰოი, ძაბრა, ძაბრალეეე...„ – მხარი მხარს ჯაჭვივით გადააჭდო ხალხმა და კოცონს გარშემო სალტე შემოარტყა. ცეცხლისა და ზღვის ხმა და სუნი ერთმანეთში აირია, ხალხის ამღგზნები როკვისა და გუგუნისაგან თითქოს მიწა იძრა, მაკა ტორტმანებს, სუნთქვა ეკვრის. ვიღაცამ ხელი მკლავზე მძლავრად ჩაავლო და წამში შეკრული წრის ერთ-ერთ რგოლად აქცია. შემცბარმა ჯერ სუსტად, გაუბედავად შეარხია ტანი, მხოლოდ ოდნავ შეძლო მიწისათვის ფეხის აშორება, მერე ნელ-ნელა თითქოს ძალა მიეცაო მის დამფრთხალ სხეულს, გაიხსნა, გაიშალა, გათამამდა და საკუთარმა სითამამემვე აღაგზნო თითქოს. მაკა ჰაერში სულ უფრო მაღლა და მაღლა ხტის, შეისვრის დატყაულ მუხლებს და ბოლო ხმაზე ყიჟინებს: „ჰოი, ძაბრა, ძაბრალეე... აშო მომისარგალე„... და თვითონ ალქაჯებისა და ავსულების დამწიოკებელს კი არა, ჭინკათა ჭინკას – ჭინკების დედოფალს ჰგავს, ყველა ეშმაკი, კუდიანი თუ მზაკვარი მის თვალებში რომ ლამობს შეძრომას და სამუდამოდ იქ დაბუდებას, როგორც ყველაზე სასურველ და სანდო სამყოფელში.

მერე წყვილებად დაიწყეს დაშლა, მაკას ვიღაც ორი თავით მაღალმა ბიჭმა ჩაავლო ხელი და კოცონისაკენ გააქანა, ახლოს, სულ ახლოს, ისე, რომ მოცეკვავეებს ცეცხლის ალი ლამის ტანზე ედებოდათ. ცეკვა არ ეთქმოდა მათ პირველყოფილ როკვასა და ღრიანცელს. „ჰოი, ძაბრა ძაბრალეეე“ ყიჟინებდნენ და აღტკინებულები გიჟური მოძრაობებით აღაგზნებდნენ ერთმანეთს. უცებ მაკას წრე შემოეცალა, ხალხმა ყიჟინითა და ტაშის კვრით დაიხია უკან, წრეში, ლამის კოცონის შუაგულში დარჩნენ მაკა და მისი „გამტაცებელი“ – ცეკვა არ შეუწყვეტიათ, პირიქით, უფრო გახელდნენ, ნამდვილ ალქაჯებად და ავსულებად იქცნენ, არნახული გზნებით ირხეოდნენ, თავდავიწყებით როკავდნენ. მაკას სიცილი ზარივით რეკდა, მრავლდებოდა, ტალღებად გადადიოდა და წალეკვით ემუქრებოდა ყველას და ყველაფერს. დუღდა, ჩქეფდა პირველყოფილი თუ პირველქმნილი სიცოცხლე ირგვლივ.

ხალხმა ნელ-ნელ კიდევ უკან დაიწია, ტაშმა იმატა, გაძლიერდა ყიჟინა: „ჰოი, ძაბრა, ძაბრალე“ – გუგუნებდა მიწა. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ცას ატყორცნილ კოცონზე უნდა გადამხტარიყვნენ, უფრო კი, ალბათ, გადაფრენილიყვნენ მროკავნი. ცეცხლი ცოცხალი იყო, ცეცხლი სუნთქავდა, ათას მოძრაობად ცაში აჭრილი, თვითონ ასრულებდა საცეკვაო რიტუალს და იხმობდა მაკას, იწვევდა, თავისკენ იზიდავდა... „აშო მომისარგალე, აშო მომისარგალე – ახლოს მომითრიე, ახლოს მომითრიე...“ გიზგიზებდა ცეცხლი... მაკა წამით შედგა, სულ ერთი წამით, თვალი თვალში შიშვლად გაუყარა თავის მეწყვილეს, თითქოს ნიშანს ეძებსო თანაზიარობის, თანახვდენის – ეცნაურა, ახლობელ სულად თუ ავსულად მიიღო, რაც იქ ენიშნა. ცეცხლი, რომელსაც ისინი ერთმანეთის თვალებში ხედავდნენ, მათ წინ ცადატყორცნილ კოცონს ამეტებდა სიმწველითა და გზნებით. უსიტყვოდ ჩასჭიდეს ხელი ერთმანეთს, ისე მტკივნეულად,

თითქოს ერთმანეთის თითების დამტვრევას ლამობდნენ, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხიეს, წამით შეყოვდნენ და მაშინ, როცა ბრბო მყისიერად გაირინდა, მიწას მოსწყდნენ და თითქოს გაფრინდნენ... უუუუუუუუუ – დაიგრგვინა ბრბომ და შეკავებული სული ამოაყოლა. ცეცხლმა მწველი ენით მაკას დატყაული მუხლისთავები მოულოკა, გაწეწილი თმები აუწკიპინა, მაგრამ ამ არნახული თავგანწირვისთვის მშვიდად და უდრტვინველად გადაატარა თავის ცხელ გულ-მკერდზე.
მცირედად შემცბარი ნენე თავშეკავებული აღტაცებით უმზერდა შვილიშვილს, ტუჩებზე სიყვარულნარევი სიამაყის ღიმილი დასთამაშებდა და უნებურად მომდგარ ცრემლს თითით მალულად იშორებდა: „ნამდვილი ქალი დადგება, ნახეთ, როგორი ქალი დადგება„, – ამბობდა უფრო საკუთარი თავისთვის, ვიდრე სხვის გასაგონად – „ჩვენს გვარში ყველა ქალმა იქალა, რომ იცოდეთ, ყველამ.“

* * *

მაკამ თვალი მონიტორს მოაშორა და ჩანთას დასწვდა. სკდება ეს თავი, არა, უწამლოდ ვერ გადარჩება. გამაყუჩებლის ნახევრადცარიელი ფირფიტა ამოიღო და რატომღაც შეათვალიერა. უცებ გაახსენდა, აგერ ახლახან, როგორ ჩაანაცვლა გიგიმ გამაყუჩებელი სუბუტექსის ტაბლეტებით, ვითომ „კონსპირაციისთვის“. უცებ სიბრაზენარევმა ზიზღმა გადაურბინა სახეზე. სულ ახვარი და ნაბიჭვარი ეძახა შვილს, დამპალი ნარკომანი და არაკაცი. „ეგ შავი სათვალეები მაინც მოიხსენი სახლში, შე ავადმყოფო... მაგის ჭკუა მაინც გეყოს...„ კაი, რა, დეეე, რააა... ნარკომანი არა, ისააა.... რა ნარკომანი მე ვარ, დეეე, რაააა.... კაი, რააააˮ.... არასდროს ასე წყობიდან არ გამოსულა მაკა, მაშინაც კი, როცა გიგის ტოტალიზატორში „უწყინარი გართობისათვის„ საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა და არც მაშინ, როცა გიგიმ სულ ცინცხალი „ჯიპი“ დაუმტრია, სავარაუდოდ, წამლის ქვეშ მყოფმა.
არა, ყველა პრობლემას აგვარებს მაკა, თითქოს პრობლემების არსი იმაში მდგომარეობდეს, რომ გამუდმებით მაკამ უნდა აგვაროს ისინი. რას ჰქვია დაუძლეველი წინაღობები, გადაულახავი სიძნელეები თუ მიუღწეველი მიზანი. არა, ასეთი არასდროს ყოფილა და არც იქნება. ცხოვრებას კი არ ემორჩილება მაკა, მაკას ემორჩილება ცხოვრება – ასე უნდა მაკას და ასე იქნება ყოველთვის. მაგრამ იმ დღეს, მისდა უნებურად, როცა გამწარებულმა და წყობიდან გამოსულმა გიგის ყვავილებიანი ვაზა გაუქანა და თავზემოთ მიალეწა, უმწეობა და უსუსურობა უფრო იგრძნო, ვიდრე საკუთარი ძალა და ურყევი ნება.
მძიმედ წამოდგა, თავის ტკივილი კლავდა და ვერც გამაყუჩებელი შველოდა. ალბათ, წნევის ბრალია, ამ ბოლო დროს რაღაც უშნოდ შემოეჩვია.ფანჯარა გამოაღო, მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო, ყველაფერთან ერთად, სიმაღლის შიშიც დასჩემდა, ძირს თამამად ვეღარ იყურება. ქალაქმა თავისი ხმაური შემოიტანა, გაზაფხულის პირველი ნიშნებიც შემოიპარა ღია ფანჯარაში.
აყვავებული მსხლის ხე გაახსენდა თავისი ოდის წინ. რამდენი ხანია, არ ყოფილა, ალბათ, სტუდენტობის შემდეგ, აგერ, უკვე რამდენი წელია. დრო შეიცვალა, გზები აირია, ახლა ევროპაში დადის, ისე, როგორც ადრე სოფელში დადიოდა. ნინიმ უკვე მერამდენე კოლეჯი გამოიცვალა, ზამთრის არდადეგებს ალპებში ატარებს, ზაფხულისას

– კანში. „დეეე, შენ ჩამო რააა, მე რა მინდა მაქ.... მე და ტიმს ესპანეთში გვინდა, წამო შენც, პრობლემა არაა....“
„ქალისგან ხარ ფეხმძიმედ თუ კაცისგან?“ – გესლიანად, მაგრამ თავდაჭერილი აგრესიით ჰკითხა შვილს. ნინის თვალები გაუფართოვდა, ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ. „რაო?“ – ჩაეკითხა. „ჰო, იმ მოპიდარასტო ქალივით ტიპისგან ხარ ფეხმძიმედ თუ კაცს რომ ჰგავს, მაგრამ სირი რომაა?“ – დაუზუსტა მაკამ. „კაი რა, დეე რააა.... ვითომ არ იცი....“ „რა უნდა ვიცოდე, კი მაგრამ?“ – ხმას აუწია მაკამ და შვილს თვალებში დაუნდობლად შეხედა. ნინი სრულებითაც არ ცდილა, თვალი აერიდებინა: „ვითომ არ იცი, რამდენი ხანია, ორივეს დავშორდი... ზუკასგან....“
„უტიფარია, ყოვლად უტიფარი, – ფიქრობდა მაკა, როცა ნინის ახალგაზრდული ვნებათაღელვის „შეცდომა“ გამოასწორეს, – ჰმ, ვნებათაღელვა... ვნებათაღელვა მაინც ჰქონდეს –ყველას კი არ ეძლევა მაგის უნარი – რომელი ვნება, რისი ღელვა. ნინისთვის ყველა გრძნობა და ემოცია მსგავსია თუ ერთნაირი – კარგიც და ცუდიც, სიყვარულიც და არსიყვარულიც. ისე ადვილად შეუძლია მოეწონოს, როგორც, მაგალითად, არ მოეწონოს, ან ისე ადვილად შეუძლია დათმოს, როგორც მიიღოს. არც რამე აბრაზებს განსაკუთრებულად და არც რამე უხარია გამორჩეულად. არა, ფლეგმატური სულაც არაა, სიცოცხლე უყვარს და ხალისობს თავისებურად, მაგრამ ისე, რაღაცნაირად მისებურად, შუალედურად თუ არაფრისმთქმელად თითქოს.

მაკას თუ რამ ჰქონდა ცხოვრებაში – და ისიც, რაც არ ჰქონია – ყველაფერი ყოფილა დიდი განცდის, მტანჯველი ფიქრის, უსაზღვრო ვნების, გრძნობათა ჭიდილის, გათენებული ღამეების, გაორებების, დაკარგული თუ ნაპოვნი თავის და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ადამიანური სისუსტისა თუ სიმტკიცის გავლით. მაკა თუ არასდროს შეუშინებია პრობლემებს, მხოლოდ იმიტომ, რომ შეეძლო, შესჭიდებოდა და დაეძლია ისინი, ნინი კი იტყვის „პრობლემა არაა“ და მისთვის მართლაც იქ მთავრდება ყველა პრობლემა.

* * *

ისევ უნებურად დაუსველდა თვალები და ცხვირი, ისევ რაღაც გაეჩხირა ყელში გადაუყლაპავი და მოუნელებელი. რაღაც ვეღარ იყო ისე, რაღაც ნამდვილად ვეღარ იყო ისე, როგორც აქამდე და როგორც ყოველთვის.
თანამედროვე, მოდერნიზებულმა რევოლუციამ მას უამრავი რამ მოუტანა, წაართვა კი არა. დაიმსახურა კიდეც – ბევრი იზრუნა, იშრომა, იწვალა. მას შეუძლია, იყოს ამაყი და კმაყოფილი საკუთარი თავით, საკუთარი ცხოვრებით, რატომაც არა... და იყო კიდეც, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ეგონა, რომ იყო. იქნებ, თავს იტყუებდა და თვითონაც მთელი ცხოვრება სირაქლემას პოზაში გაატარა, რომ არ დაენახა ის, რისი დანახვაც არ უნდოდა – რაც არ იცი, ის ხომ არ არსებობს.
ათასი ვნება და თავდავიწყება იქცა ოდენ ამბად. დღეს, მგონი, ვეღარც შეძლებს, ვინმე შეუყვარდეს. ვინმეს კი, იქნებ, აღარც ყავის მოსადუღებლად და მინეტისთვის მოუნდეს მაღე. შვილებს იგი მხოლოდ სჭირდებათ. ყველა დანარჩენი კი იტანს მის არსებობას მიზეზთა გამო. საკუთარ უხასიათობას „შმოტკებით“ ებრძვის და ვითომ შველის –

არადა, რამდენი ხანია, აღარაფერი გახარებია ადამიანური, გულწრფელი სიხარულით. უცებ, ყველაფერი, რაც კი ყოფილა ცხოვრებაში, რაც კი უკეთებია ან რასაც აკეთებს, ერთ დიდ უაზრობად მოეჩვენა, სისულელედ და მეტად არაფრად.
ღია ფანჯრის რაფას მოაჭდო თითები, ისე მაგრად, რომ ეტკინა კიდეც, თითქოს უნდოდა, ამ მძლავრი ჩაჭიდებით თავისი სხეულიდან ეს ყოვლადაუტანელი ტკივილი და სევდა გამოედევნა. საკუთარი თითებისაკენ გაექცა კვლავ მზერა, ძვირფასი ქვები აციმციმდნენ მის წამწამებში. რატომღაც ისევ მსხლის ხე გაახსენდა აყვავებული და მერე უცებ – ზღვა, ნაპირს რომ ეხეთქება აქაფებულ ტალღებად, ხმაც გაიგონა და სუნიც იგრძნო მისი.
გააჟრჟოლა, არასდროს უგრძვნია სულის ასეთი ძალუმი ამბოხი და დაუმორჩილებლობა. რაღაცას თხოვდა, რაღაცას ჯიუტად მიანიშნებდა შინაგანი ღრმად მიმალული საკუთარივე თავი მის სხეულს, მის მოვლილ, ნაპატიებ და შემკულ სხეულს. თითიდან ბეჭედი სწრაფად წაიძრო და მუჭში მოიქცია. მთელი სხეული ხმაურობდა – გული, საფეთქლები, საკუთარი სუნთქვის ხმაც ესმოდა და საკუთარი კანკალისაც. ყურებში სისხლი წიოდა და ცივი ოფლი უნამავდა შუბლსა და სახეს. უცებ შეკრული მუშტი გახსნა, ბეჭედი თითებში შეათამაში და ისე, როგორც კენჭი ზღვაში, შორს გაიქნია. მერე ერთმანეთის მიყოლებით იხსნიდა სამკაულებს და ფანჯრიდან ისროდა.

* * *

„დროის გასაყარზე ცხოვრება ძნელია, ყველას არ შეუძლია, ვერ უძლებს“, – ეუბნება ბებია და თავზე ხელს უსვამს. მაკა მსხლის ძირას წევს, თავი ბებიას კალთაში უდევს და შესცქერის მერცხლებიან საღამოს ცას.
მთელი ფირფიტა დალია, იმოქმედებს, ალბათ, მალე...
„ჰოი ძაბრა-ძაბრალეეეე... აშო მომისარგალეეე“, – კისკისებს მაკა და მისი ხმა ტალღასავით ედება იქაურობას... კოცონი გუგუნებს, მაკას ცხლად უკოცნის ლოყებს და პატარა კოცონებს უნთებს სხეულში... „ახლოს მომითრიე, ახლოს მომითრიე“, – ეძახის მაკას და მაკაც უფრო თამამად და აღგზნებულად იცინის და ცეკვავს, ცეკვავს თავდავიწყებით...
ნეტავ საიდან იწყება სიკვდილი და მიხვდება თუ არა, რომ ეს ბოლო წამია... ახლა წნევა დაეცემა, სულ ქვემოთ, ქვემოთ... და დამთავრდება, მალე დამთავრდება... სულაც არ ეშინია... არ ეშინია...
„ქალბატონო მაკა, მე ფრიად მოხარული ვიქნები, თუ დამდებთ პატივს და..“ – ედიშერს რაღა უნდა, რატომ ახლა მაინც აღარ დაანებებს თავს... „ქალბატო მაკა, თქვენნაირი ქალი....“ „ჩემნაირი ქალი... ოჰ, ღმერთო ჩემო, ბატონო ედიშერ... ჩემნაირი ქალი...“
არა, არ გახსნის ი-მეილებს, რაში სჭირდება, ისედაც კარგად იცის, რა ეწერება... სავარძელში გადაწვა, შეციებული ხელები უღონოდ ჩამოაწყო სახელურებზე...
„დეეე, კაი რააა.... პრობლემა არაა, რა.... რა გინდა, ვერ გავიგე...“
„დაიკიდე რა, დეეე, რა... რატო არ შეგიძლია, რო დაიკიდო, კაი რაააა...“
„რა არაა პრობლემა ან რა დავიკიდო, გამაგებინეთ, გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ მაინც...“

ლიზის მრგვალი მუხლისთავები გაახსენდა და გაიფიქრა, ბაჩო, ალბათ, უკვე მოვიდა და უკვირს, ჩემთან რომ არ უშვებენო. თუმცა, ვინ იცის, იქნებ, არც უთხოვია შემოსვლა, აღარც მისი მოდუღებული ყავა უნდა და აღარც მისი გაკეთებული მინეტი. ლიზის მრგვალი მუხლისთავი ურჩევნია ყველაფერ იმას, რისი მიცემაც მაკას შეუძლია მისთვის. შესცივდა. „ალბათ, უკვე მალე... ახლა უკვე მალე...“ ხომ არ ეშინია? ხომ არ ნანობს?... არა, ასე აღარ უნდა.... ასე, ნამდვილად, აღარ უნდა... და რომ ცდილიყო შეეცვალა რამე? შეიძლებოდა კი ყოფილიყო რამე სხვანაერად? ...ისე, ხვალ ჯინსებს ჩაიცვამდა და მაკიაჟის გარეშე გამოვიდოდა სახლიდან. ფეხით წავიდოდა სამსახურში ან სულაც არ წავიდოდა, გადაუხვევდა სადმე... და იქნებოდა კიდეც „რამე სხვანაირად“.

თვალები აუჭრელდა და დამძიმებულ ქუთუთოებს მიანდო თავი. ზღვა აქაფებულ ტალღებად ეხეთქება ნაპირს. თოლიები ჭყივიან და ფრთების ტყლაშუნით უფრენენ თავზე. ის ზღვის ნაპირზე დადის, ქარი სახეში სცემს და თმებს უწეწავს.

უცბად გამკრთალმა სურვილმა ხვალინდელი დღისამ სადღაც სიღრმეში უნებურად მოიკიდა ფეხი და უდაბნოს ყვავილივით გადაიშალა გამომშრალ სულში.... ძალა რომ შესწევდეს, იქნებ, სელექტორისთვისაც კი დაეჭირა ხელი... მაგრამ უკვე გვიანაა, მგონი, ვეღარ შეძლებს... სავარძლიდან წამოწევა სცადა – თვალებს ვერ ახელს, სცივა და ძილი ართმევს თავს. მაგიდისკენ ძლივს გადმოზიდა სხეული და მარჯვენა ხელი ნელ-ნელა გააცურა, რომ როგორმე სელექტორის ღილაკს მისწვდომოდა...

ორნი არიან, ზღვის ტალღები ასკდებათ სხეულზე, კაბები უსველდებათ, თმები ეწეწებათ, მაგრამ მათ უხარიათ, უხარიათ და იცინიან, გულით იცინიან...

ვერა, ვერ შეძლო... ვერ მისწვდა, ძალა არ ეყო... გრძნობს, რომ მაგიდიდან ცურდება, სადაცაა ჩავარდება საკუთარ მაგიდასა და სავარძელს შორის.... იქნებ, ამ ხმაზე მაინც შემოვიდეს ვინმე... ბაჩო აქ არის და ის იძალებს, რას ჰქვია, არ უშვებენ... ლიზიც გაიგონებს და შემოვა, აბა, რას იზამს... ორივემ რომ დაიკიდოს, აი, ისე, გიგი რომ ასწავლის „დაიკიდე რაა, დეეე...“ და ვითომც არ გაუგონიათ, ან, იქნებ, მართლაც ვერ გაიგონონ...

ზღვის ტალღები მკერდამდე ასკდებათ, არას დაგიდევენ, საკუთარ სხეულებს აგებებენ შემოხეთქებულ წყალს და იცინიან, გულიანად იცინიან... აქაფებულ ტალღებში ძლივს მიიწევენ წინ, ღრმად, სულ უფრო ღრმად... რიგრიგობით იხსნიან ძვირფას სამკაულებს და ისვრიან ზღვაში: „აჰა, შენ... ესეც შენი იყოს“, – იცინის ერთი.... „აჰა, ჩემიც შენ გქონდეს“, – კისკისებს მეორე...

როცა მაკა მაგიდასა და სავარძელს შორის მოწყვეტით ჩაეშვა, გაიფიქრა, ხვალ ჯინსებს ჩავიცვამდიო.... და გონება დაკარგა.

ირაკლი ლომოური

ეს მოთხრობა, ალბათ, ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხებს ეხება, რაც კი ოდესმე დამიწერია და ამიტომაც ავირჩიე.

მიველ, ვნახე…

(აშკარად დაუჯერებელი ამბავი)

„მიველ, ვნახე ქვეყანა, რამ შეჭამა ქვეყანა? მიველ, ვნახე ქვეყანა, კაცმა ჭამა ქვეყანა, მიველ, ვნახე კაცი, რამ შეჭამა კაცი? მიველ, ვნახე კაცი, შურმა ჭამა კაცი, მიველ, ვნახე შური, რამ შეჭამა შური? მიველ, ვნახე შური,..“
გაიჭედა.
„რა ჯანდაბა შეჭამს შურს? თუ კარგი რამეა, შურს პირსაც არ დააკარებს,.. თუ ცუდია,.. შურზე ცუდი რა უნდა იყოს?.. მმ,.. ჯანდაბა!“
ტახტზე გულაღმა გაშოტილიყო. ხელში ეჭირა ჟურნალი, „ახალი სატირიკონი“, სადაც გამოეცხადებინათ „ორიგინალური, აქტუალური, საჭირბოროტო თემატიკის ამსახველი, შემოქმედებითი, სახალისო კონკურსი ცნობილი ხალხური ლექსის მოტივებზე…“
ერთობ სიფრიფანა ჟურნალი იყო, მაგრამ ფურცლის ამოსადებად რისვაივაგლახით მაინც გამოდგებოდა, ფურცლისა, რომელზეც წერდა „ცნობილი ხალხური ლექსის“ აქტუალურ ვარიანტს. ფანქარი კბილებში ჰქონდა გაჩრილი, რატომღაც მხოლოდ ფანქრით წერდა ხოლმე, ანდა მელნით…
დაწერილი გადაიკითხა… ფურცელი ხელის ერთი მოძრაობით მოჭმუჭნა, ჟურნალი კი მოისროლა… „სატირიკონი“ კედელს მიეტყლუმპა და ისეთი მოულოდნელი ნახტომი იკისრა, თითქოს რეზინის იყო და არა ქაღალდის… საწერ მაგიდაზე ხის ჩინურ ფართოპირიან ლარნაკს დააცხრა, გადმოაყირავა… ფანქრებმა, კალმებმა, ჭიკარტებმა, სკრეპებმა იატაკზე რაკა-რუკითა და წკარა-წკურით იწყეს ცვენა, თითქოს საკანცელარიო სეტყვამ დაუშვაო … ადგომა დაეზარა.
„ჯანდაბას, ეყაროს… – გაიფიქრა, – ისე, რა თავს ვიმტვრევ?!.. მოიგონებენ რა, კონკურსებს… თუმცა, პირველი პრემია კარგი იქნებოდა,.. ჯიბის ფულად,.. მაგრამ ვინ მოგცემს… ჩაწყობილ-გამოწყობილი იქნება დიდი ხანია… არა, ისევ ჯობია წავიკითხო…“
ორი ახალთახალი, წაუკითხავი წიგნი ელოდებოდა, გაახსენდა და სიამოვნებისაგან თავისდაუნებურად კინაღამ აკრუტუნდა, კატასავით, ვალერიანის წვეთების სუნი რომ იკრა.
„პელევინი თუ აკუნინი? ჯერ რომელი?“

ვერაფრით გადაწყვიტა, მიხვდა – ბურიდანის ლურჯასავით მომდისო, თვალები მოხუჭა და ტახტზე ხელისფათურით მოძებნა წინასწარ მომზადებული წიგნები, უკვე ერთ-ერთი უნდა აეღო, რომელიც მოხვდებოდა, უეცრად ტელეფონი აჟღურტულდა.
„ისევ ძველი ზარი ჯობდა, – რატომღაც გაუელვა, – მკაცრი, გამჭოლი, ძია სტიოპა მილიციონერივით, მაგრამ, კიდეც თითქოს მშობლიური… ეს ვითომ ლაღი ჟღურტული კი ნერვებზე მოქმედებს…“
ეზარებოდა წამოდგომა, მაგრამ ბოლოს მაინც დასწვდა ყურმილს – „რა იცი, ვინ რეკავს,.. იქნება, სულაც, შურის მომრევია ვინმე, ოხერი?“
ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ ყურმილიდან ჩანჩქერივით გადმოხეთქა ყოველგვარი პაუზების გარეშე:
– ჰოლდენ მანქანას ატარებ სასწრაფოდ გამოდი ჩემთან ახალ ოფისში „ლენდროვერი“ გვაჩუქეს მძღოლად გაფორმებ ქუთაისში მივდივართ ალინ პარკინსონი უნდა წავიყვანოთ!
სოფო ბრძანდებოდა, მისი ღვიძლი ქალიშვილი, 15 წლისა, „სინ-ძინრუის“ რომ ეძახდა ბოლო დროს (ეს მხოლოდ ერთ-ერთი იყო მის მეტსახელთაგან)…
რატომღაც მსხვილკალიბრიანი საზენიტო ტყვიამფრქვევი გაახსენდა. სანამ სიტყვის თქმას მოასწრებდა, ყურმილში უკვე ისმოდა ნანატრი პაუზებით:
– ტუ… ტუ… ტუ…
„აი, საღოლ… – გაიფიქრა ერთდროულად გაოცებით, გაღიზიანებით, და ერთგვარი, ღრმად შენიღბულ-კონსპირირებული, სიამაყითაც, – ვის დაემსგავსა, ნეტავ?! საინტერესოა, როგორი იქნებოდა, საწყალი დედამისი ცოცხალი რომ ყოფილიყო …“
აზრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრო, ტელეფონი ისევ აჟღურტულდა.
– ჰოლდენ პირადობის მოწმობა და პრავა არ დაგავიწყდეს გელოდები!
– მოწმობა არა მაქვს, მაქვს საბჭოთა პას,..
– ტუ… ტუ… ტუ…
„მამაძაღლი, რა მძღოლი, რის მძღოლი, – უცებ გაბრაზდა, – რამდენი წელია მანქანა მივაყიდე, ჯერ კიდევ კუპონობა იყო…“
თუმცა, ბოლოსდაბოლოს მაინც ადგა, თავისი, მაიაკოვსკისეულად საყოველთაოდ შესაშური ურონამგლიანი გულის ჯიბეში ჩაუშვა და წაბანცალდა… თან არ უნდოდა, მაგრამ თან მაინც მიეხეტებოდა… ის კი არა, თითქოს წინააღმდეგობას ვერ უწევდა საკუთარ ქალიშვილს... ანდა უარს ვერ ეუბნებოდა... ანდა, სულაც, ეშინოდა… არა, არა… უბრალოდ, ბრძოლასა და ჩხუბს ერჩივნა, დაჰყოლოდა. ცხოვრებაში ყველაზე მეტად გართულებებს ერიდებოდა… თანაც ახალი ოფისის ნახვაც უნდოდა… თანაც, რა აჩუქეს, ისიც აინტერესებდა… თანაც…
ხიდით გადავიდა ვაკეში, „მზიურზე“, ისე მიდიოდა, თითქოს მისეირნობდა, აგვისტო იყო, ცხელი და ნოტიო, და ფიქრიც, მდინარე ვერეს კეთილსურნელოვანი ნაკადივით, თავისით მიჩუხჩუხებდა…
„ვინ შეჭამა შური, სინ-ძინ?.. „ლენდროვერი“ ხოშიანი მანქანაა… არა, ვის დაემსგავსა? იქნებ, სულაც,.. მმ,.. მუტანტია?!.. ანდა, კიდევ უკეთესი… ჰუმანოიდი?!.. ზოგჯერ ისეთ რაღაცას გაჯახებს, დედამიწა ყირამალა დგება, გრავიტაციის კანონი უქმდება თითქოს… და ლივლივებ ფეხებგაფარჩხული ჰაერში…“
გაახსენდა, როგორ ჰკითხა სოფომ ამას წინათ სრულიად სერიოზულად, საქმიანად:

– ჰოლდენ, იმპოტენტი როდის გახდი?
პასუხის ნაცვლად ნერწყვი გადაყლაპა. 15 წლის ქალიშვილისგან ასეთ კითხვას, მით უფრო ჩვენს მზიანვარდებიან ქვეყანაში, იშვიათად თუ ელის მშობელი მამა.
– ცოლი რატომ არ შეირთე მეორედ?! –სოფომ „ბელარუსფილმის“ გესტაპოელივით გააგრძელა.
„მიდი და უხსენი!“
– სინ-ძინ, კდემამოსილი ქართველი ქალიშვილი ბრძანდები თუ… ნაჯახი?
– ნაჯახი?
– ნამეტანი პირდაპირა ჭრი და ჩეხავ… რაღა!
– ეხლა ეგრეა საჭირო! ცხოვრებაში!
ერთადერთი, რაც მოახერხა, რატომღაც სევდანარევი სინანულით, „ლირიკულად“ ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა:
– ეეჰ, ჩემო სინ-ძინ… დაე, ჰყვაოდეს ათასი ყვავილი…
ოდნავ ხელოვნურად გამოუვიდა,. თვითონაც მიხვდა და ქალიშვილიც.
– ჰოლდენ, თავს ნუ იტანჯავ,.. აი, მალე დიდ გრანტს მივიღებთ და ცოლსაც შეგრთავ… კი ხარ ბეხრეკი,.. მაგრამ ძველი ხარისა, ხო იცი… ისიცა ხნავს!
„ელაპარაკე ეხლა მაგას! რომელი ბეხრეკი მე მნახა! სულ რაღაც 52 წლის მოწიფული მამაკაცი ვარ,.. სახურავის ბინადარი კარლსონისა არ იყოს… – ნახევრადირონიულად ჩაიცინა, ხელი მუცელზე მოისვა. პატარა, მომცრო ღიპი მართლა ეზრდებოდა, – არა, თან რომ გაშაყირებს, მასხრად გიგდებს… არა, აბუჩად!.. მაგრამ თან რომ გვინახავს!.. 15 წლის ლაწირაკი ოჯახს ინახავს! უკვე ერთი წელია!.. და რავარია, როცა იძულებული ხარ საკუთარ შვილს ეღრიჯო, ეხვეწო სიგარეტის ფული… არადა, ოხერია, სიამოვნებს, როცა ეხვეწები, თავისით არ იძლევა… მოწევა მავნებელიაო თქვენი ჯანმრთელობისთვის!.. ძალიან ანაღვლებს ჩემი ჯანმრთელობა!.. უბრალოდ, სიამოვნებს, როცა მაწრუწუნებს!.. არა, ნამდვილად მუტანტია!.. თავის ბებიას ჯერ კიდევ შარშან უთხრა: ბაბულ, წნევა გაქვს, შეეშვი მოსწავლეებს, დაისვენე, გეყო, რაც აწვალე საწყალი ა-ბითურ-იენტები… არადა, ეს ყველაზე მძიმე წლები დედაჩემის კერძო გაკვეთილებმა გადაგვატანინა… მაგრამ მოტყდა, მოხუცდა, მუდმივად 200 აქვს 120-ზე… ეეჰ, ვინ შეჭამა შური?.. საწყალი ჩემი ცოლი ამ,.. „კარკანტილის“ გაჩენას რომ არ გადაჰყოლოდა, იქნება არც გამოსულიყო ეგეთი,.. მმ,.. ჰუმანოიდი… მაგრამ რა გამოვიდოდა, ვინ იცის?.. შეცდომა დავუშვი?.. როდის?.. სად?.. რაში?.. როცა სამშობიაროდან გამოვიყვანეთ და ოდნავ გონს მოვედით, მას მერე დღე და ღამე ველაპარაკები, ზღაპრებს ვუყვები, წიგნებს ვუკითხავ, ვანათლებ, ასე ვთქვათ, ვანვითარებ და ამის ბრალია?.. სამი წლისამ ისწავლა კითხვა და მას მერე კითხულობს და კითხულობს გაუჩერებლად… ჩვენ კიდევ, სულელებს, გვიხაროდა,.. პრობლემებს არ გვიქმნიდა, იჯდა თავისთვის წიგნში თავჩარგული… მაგის ტოლები თოჯინებს ანანავებდნენ, ეგ კიდევ დეილ კარნეგის ამუშავებდა… ფანქრით ხელში კითხულობდა… ადგილებს ინიშნავდა… თუმცა, მერე მოისროლა… მიხვდა, რა პრიმიტივიცაა,.. მიხვდა თორმეტი წლის ასაკში!.. ეეჰ, ვინ შეჭამა შური?.. ცამეტი წლისამ საზეიმოდ გამოგვიცხადა – მე მივიღებ ნობელის პრემიას ლიტერატურაში… 2039 წელს!.. ზუსტად გამოთვალა!.. გამეცინა, მაგრამ ცალყბად გამომივიდა, სიცილი სახეზე შემადნა, რადგან ამ სიტყვებს მოაყოლა საქაღალდე, რომელსაც ყდაზე შავი ფლომასტერით, დიდრონი ასოებით ეწერა – „ბეჭის ბიჭი“… 200 გვერდიანი რომანი იყო, კომპიუტერზე

აწყობილი!.. მთელი ღამე ვკითხულობდი, ორჯერ გადავიკითხე… პროფესიონალი ლიტერატორი რომ არ ვიყო, შეიძლება კიდეც დამეჯერებინა, მისი დაწერილია, მაგრამ პროფესიონალი ვარ და ვერ დავიჯერე… მაგრამ ვისი უნდა ყოფილიყო, ვერ მივხვდი,.. კომპილაციაა?

– საიდან გადმოწერე?!

პასუხად საჩვენებელი თითი მიიკაკუნა საფეთქელზე რამდენჯერმე, ხაზგასმულად ნელა. ეხლაც არ ვიცი, რა იგულისხმა – „აქედანო“, თუ „ხომ არ გააფრინეო?..“ გატრიალდა და გავიდა… თხუთმეტ წუთში მის ოთახში შევიხედე… იჯდა და რაღაცას წერდა გამალებით… არა, გამგელებით… ვაიმე, შვილი გამიგრაფომანდა!.. გულზე შემომეყარა,.. რა ვქნა, რა ვუშველო?!

ისე, ჩვენში დარჩეს და, ასაკის გათვალისწინებით, ეგ მაგის „ბეჭის ბიჭი“ მაინც რაღაც იყო… ერთ რამედ ღირდა, ოღონდ რად?.. კიდეც გამოსცა წიგნად, ფული სად იშოვა, დღესაც არ ვიცი… სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი გამოქვეყნების, მაგრამ რად გინდა… ვინ გისმენს… არა, რომანს გავლენები აშკარად ეტყობოდა, პირველი, რაც გაგახსენდებოდა კაცს, ცხადია, „თამაში ჭვავის ყანაში“ იყო…

მსგავსი განწყობა, მსგავსი ინტონაცია… თუმცა, ამბავი სრულიად სხვა… სხვათა შორის, იმ დროიდან მეძახის ჰოლდენს… მიუხედავად ჩემი პროტესტებისა და პირდაპირი აკრძალვისა – აბა, სად მე და სად ჰოლდენ კოლფილდი! ნამდვილად არაფრით ვგავარ სელინჯერის გმირს,.. ეს იგივეა, რომ, ვთქვათ, კრისს ბაში აჩუკი დაუძახო მხოლოდ იმიტომ, რომ ისიც თავშიშველია, მელოტია (თუ გადახოტრილი?)… „სინ-ძინრუი“ სწორედ ჰოლდენის საპასუხოდ შევარქვი… „ახალი კაცობრიობაა“ იაპონურად… ის მე მაშაყირებს, მე – იმას,.. მოკლედ, ერთ სიამტკბილობაში ვართ… თავის რომანშიც კი მაშაყირა, ასე ვთქვათ, გამომაჭენა – „ბეჭის ბიჭის“ გამზრდელი ბიძა აშკარად ჩემი კარიკატურაა… მაიმუნი!.. აი, ასეა,.. ზედ გადაჰყვები, უკითხავ, ანათლებ, ავითარებ… და მერე შენვე… ბითურდები…

მაგრამ ბოლო მისმა მეორე რომანმა მომიღო… რომანია… მითრიდატე პონტოელზე!.. იმედის ნაპერწკალი მქონდა, კითხვას რომ ვიწყებდი, იქნებ ლევან გოთუასგან აქვს-მეთქი ნათრაქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე,.. იქ იწყება, სადაც გოთუასი მთავრდება… ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ შვილი გამიგიჟდა… არა, გამიცოფდა… ეეჰ, ვინ შეჭამა შური?!..“

„ფრანციას“ ჩაუარა ფეხის ათრევით, კიდევ ასიოდე მეტრიც გაიარა და,.. ა, ბატონო, ახალი ოფისი… აბრაა ისეთი, სულ ზიმზიმი გაუდის: „თინეიჯერ მწერალთა და ჟურნალისტთა ქართულ-ევროამერიკული ასოციაცია“… იქვე, აბრის ძირას, ახალთახალი „ლენდროვერი“ მოყუჩებულა…

შესასვლელთან გაჩერდა, მანქანა დაგემოვნებით აათვალიერ-ჩაათვალიერ-შემოათვალიერა, შემდეგ ისევ აბრას ჰკიდა თვალი, გაახსენდა, როგორ უთხრა თავის დროზე:

– სინ, „თინეიჯერს“ ქართულად მოზარდი ჰქვია, ისე, თუ გინდა იცოდე, არსებობს ძველი ქართული სიტყვა, „ნინველი“, 10-15 წლის მოზარდს ნიშნავს… და მერე, ეს „ევროამერიკული“ რაღა შუაშია?

სოფომ ირონიულად გაუღიმა, არაფერი უპასუხა, მაგრამ მზერაში აშკარად ჩანდა, რაც გაიფიქრა: “ბევრი გესმის”!

მძიმე, ფოლადის (დაჯავშნული?) კარი ნელა შეაღო და შეაბიჯა. ჰოლში, ზედ კართან უნიფორმიანი, განყენებულღიმილოვანი ამბალი იჯდა.
– ვინ გნებავთ?
– სოფო,.. სოფო ვაჩნაძე…
– პრეზიდენტი?.. პრეზიდენტი დაკავებულია… ამერიკელი სტუმარი ჰყავს…
– იცით,.. მე,.. მმ,.. მამა ვარ მისი… – აჩიკოს, თავისდაუნებურად, თითქმის მუდარასავით გამოუვიდა, თავის თავზე გაბრაზდა.
– აჰ, მამა? – არასაუწყებო ჯიშის „გორილამ“ ინტერესით აათვალიერ-ჩაათვალიერა, მზერა ერთი წამით ფეხსაცმელზე შეაჩერა, მაგრამ მაინც დიდსულოვნად მიუჩოჩა ტელეფონის აპარატი.
– დარეკეთ 1-01.
რა უნდა ექნა, დარეკა.
– სინ,.. შვილო… სოფო,.. მე ვარ,..
– ყურმილი გადაეცი! – მოუჭრა საქმიანად.
გადასცა. ამბალმა თავი დააქნია, ისე, თითქოს ვიდეოტელეფონი ედგა წინ და დაინახავდნენ. ტურნიკეტი უხმოდ შეუხსნა.
შევიდა. შევიდა, მაგრამ სად შევიდა! კინაღამ ტუჩზე იკბინა, პირი რომ არ დაეღო,.. ფინთი გოიმივით.
„თუ ესაა თქვენი ევრო-ამერიკა, – გაიფიქრა, – თანახმა ვარ, შევიდეთ,.. თუ მიგვიღეს, ოღონდაც… ეჰ, რამ შეჭამა შური?!“
ისეთი სისუფთავე იყო, ისეთი სიგრილე (თითქმის სიცივე, მით უფრო კონტრასტული იმ ზაფხულის მოტროპიკო ხვატთან), ჰაერში ისეთი გამამხნევებელ-გამაჯანსაღებელი სურნელება დაფრქვეულიყო, ისეთი მინიმალისტურად ნატიფი, დახვეწილი, რაფინირებული ინტერიერი გაემართათ, რომ,.. შერცხვა,.. ოღონდ რისი, არ იცოდა…
ცხოვრებაში არსად იყო ნამყოფი, „ქვეყნისგულ“ მოსკოვს თუ არ ჩავთვლით (მაგრამ, აბა, როგორ არ ჩავთვლით?). როცა სამსახურში, ჯერ კიდევ ძველ დროს, მშრომელებზე დღენიადაგ მზრუნველი პროფკავშირის მეცადინეობით ტურისტული საგზურები გაიჩარხებოდა ხოლმე, იტყოდა, – არსადაც არ წავალ, თავი გამანებეთ!.. ისე ამბობდა, თითქოს ვინმე კალთებს ახევდა, წამოდი, წამოდიო, და მერე ხსნიდა, რატომ ამბობდა უარს, – არ მინდა მათხოვრად ვიგრძნო თავი და გადარბენაზე ვიყო, ჯოგში,.. თანაც, იკრას მე ვერ გავასაღებ და ლუსტრებს მე ვერ ჩამოვზიდავ…
„ლუსტრების“ ხსენებას კოლეგები „უმალსმაცში“ (უცხოური მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო მთარგმნელობით ცენტრში) ლამისაა პირად შეურაცხყოფად იღებდნენ… ამიტომაც არ უყვარდათ…
– ღრჯო კაცია, უწყინარი კი არა,.. თავს იკატუნებს, აქაოდა ბუზს არ ავაფრენო,.. ვაი, ვაი, ეგ ვითომ-ინტელიგენტი!. ვის რაში სჭირდება მაგის ნათარგმნი ვოლტერი,.. რაღა დროს ვოლტერია! – რატომღაც ენის წლაპუნით ჩურჩულებდნენ თანამშრომელი ქალები და ყავის ფინჯნებს ფრთხილად ატრიალებდნენ…
…მოხდენილმა ქალიშვილმა, როგორც ჩანს, ე.წ. მდივანმა-ქალმა (სოფოზე 5-6 წლით იქნებოდა უფროსი) კაბინეტის კარი შეუღო და აჩიკო დიდ, ნათელ, კომპიუტერებით და კიდევ რაღაც ტექნიკით გაწყობილ ოთახში აღმოჩნდა. შუაგულში, ირეგულარული ფორმის მაგიდასთან ორნი ისხდნენ, სოფო და ვიღაც ქალი. შევიდა თუ არა, ქალი ზეზე

წამოიჭრა, ეცა და… გულში ჩაიკრა! ეს იმდენად მოულოდნელად, მართლა ელვისებურად მოხდა, რომ დაბნეულობისაგან თვითონაც მთელი ძალით ჩაეხუტა.
– ო, ჯორჯია! ო, გორჯეს! – აღმოხდა ქალს და განთავისუფლება სცადა. აჩიკომ ეხლაღა იგრძნო, გვერდში ძვალი ერჭობოდა და ქალს ხელი უშვა. ერთობ ხმელ-ხმელი აღმოჩნდა, მეტი რომ არა ვთქვათ. კუთხეებისგან შედგენილ ავღანურ მწევარს ჩამოჰგავდა რაღაცით.
– ჰოლდენ, ეს ალინ პარკინსონია, „შემოქმედ ბავშვთა და თინე,.. მოზარდთა მსოფლიო საქველმოქმედო ფონდის“ პრეზიდენტი…
„მოზარდთა? – გაუკვირდა, – კოჭი გამიგორა? ნეტავი, რატომ?“
ამ დროს სოფო რაღაცას ინგლისურად ხმადაბლა უხსნიდა ქალბატონ ალინს. თუმცა, ხმამაღლა რომც ელაპარაკა, აჩიკო მაინც ვერაფერს გაიგებდა, ინგლისური თითქმის არ იცოდა, სამაგიეროდ პროფესიონალი მთარგმნელი იყო ფრანგულიდან…
ალინმა დაკვირვებით შეხედა, გაუღიმა, უცებ ხელები ფართოდ გაშალა და ეტყობა, ისევ ჩასახუტებლად გაიწია.
– ჰოლდენ, ეს კეტლინ კიტინგის სისტემაა. – უთხრა ქალიშვილმა.
– სისტემა? – ვერ გაიგო, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, თვითონაც დაიძრა ალინისაკენ.
– ურთიერთგაგების მეთოდია!
– და ყველას ასე უნდა,.. – სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ქალმა ისევ გულში ჩაიკრა და აბა, რა უნდა ექნა, უზრდელი ხომ არ იყო?
ერთი სიტყვით,.. ურთიერთგაგება დამყარდა. და რადგან ალინს ცოტა დრო, პროგრამა კი ძალზე დატვირთული ჰქონდა (ერევანსა და ბაქოშიც უნდა ჩასულიყო), ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ჩაბარგდნენ „ლენდროვერში“ და… გაგრიალდნენ.
– ქუთაისში ფილიალს ვხსნით,.. ალინი ჩვენი ასოციაციის საპატიო პრეზიდენტიცაა, – აუხსნა სოფომ.
მანქანაში კიდევ ერთი მგზავრი ბრძანდებოდა, როგორც სოფომ წარუდგინა, ალინის ოფიციალური თარჯიმანი, ბატონი თენგიზ გვიმრაძე (თუ მამრაძე).
– რად უნდა თარჯიმანი? – უჩურჩულა სოფოს, – შენ რა, ვერ უთარგმნი თუ?
– ეგეთი წესია, თარჯიმანი ეკუთვნის... მიუჩინეს…
– ვინ?
სოფომ არაფერი უპასუხა.
…ქუთაისამდე სულ სიმღერ-სიმღერით იარეს. პირდაპირი გაგებით, სიმღერით – სოფო და ალინი ხან ქართულს უბერავდნენ (უცნაური რეპერტუარი ჰქონდათ, ბანალურ-ტრაფარეტული „სულიკოთი“ დაწყებული, მოხევური მგზავრულითა და სვანური, ქალებისთვის სრულიად შეუფერებელი, სიმღერებით დამთავრებული), ხანაც, აჩიკოსთვის უცნობ ინგლისურ ბალადებს…
როგორც გაიგო, ალინი, თურმე, საქართველოში მესამედ ჩამოსულიყო და უკვე სამი წელია, რაც ქართულ ჩანაწერებს უსმენს, ლამისაა ყოველ დღე, და ზეპირადაც უსწავლია… სოფო კი ერთხელ იყო ალინთან ამერიკაში და იქ აითვისა ბალადები… აჩიკოს სმენის ნატამალიც არ ჰქონდა (დათვმა კი არა, ბრონტოზავრმა დამაბიჯა ყურზეო – თვითონვე შაყიროობდა), მაგრამ ეჩვენებოდა, – კარგად მღეროდნენ, შეწყობილად…

რაღაცით ჰგავდნენ კიდეც ერთმანეთს, უფრო როგორც დები, და არა როგორც დედა-შვილი… თუმცა, რამდენი წლისა ბრძანდებოდა ქალბატონი ალინი, ძალიან ძნელი სათქმელი იყო, შეიძლება 39, შეიძლება 46, შეიძლება 51… ორივე გამხდარი, ორივეს მოკლედ, ბიჭურად შეკრეჭილი შავი თმა (ალინს, ალბათ, შეღებილი), ორივე ჯინსებში, თითქოს ელექტრობით დამუხტულები (გეგონებოდა, ხელს თუ შეახებ, ტკაცა-ტკუცი აუტყდებათო)…

ოღონდ არსებითი განსხვავებაც იყო მათ შორის – ალინი სულ იღიმებოდა, ჩაწიკწიკებული, იმდენად ნატურალური რომ, ალბათ, ხელოვნური, კბილებით აღსავსე პირი ჰალოგენის პროჟექტორივით ანათებდა, თანაც იმხელა პირი ჰქონდა, იფიქრებდი, ამის შესავსებად 32 კბილი ნამდვილად არაა სამყოფიო… სოფო კი მუდმივად სერიოზული იყო, უფრო სწორად, კონცენტრირებული, იშვიათად იღიმებოდა და კიდევ უფრო იშვიათად იცინოდა… რაღაცით მართლა მიაგავდა იაპონელ აქსელერატ ყმაწვილს… ამართლებდა მეტსახელს… თვალის ჭრილითაც და თავდარწმუნებული, მშვიდი, ერთგვარად განყენებული თუ „სასტიკი“ შეუვალობით… როცა აჩიკო რაღაცაზე გაუბრაზდებოდა, „ხუნვეიბინკას“ ეძახდა…

მთელი გზა ისე იარეს, ბატონ თენგიზს კრინტი არ დაუძრავს, არათუ ინგლისური ენის მცოდნის, საერთოდ გაუხმოვანებელი პერსონაჟის, მუნჯი კინოს პერსონაჟის შთაბეჭდილებას ტოვებდა. შარვალ-კოსტიუმ-ჰალსტუხსა და შავ, ლაქირებულ ფეხსაცმელში გამოწყობილი სპორტული ტიპის ბრგე, ახალგაზრდა კაცი ბრძანდებოდა, ჯანმრთელი, ერთობ გლუვიც კი,.. ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გარეშე – საშუალო სიმაღლის, საშუალო წონის (ალბათ), საშუალო გარეგნობა-გამომეტყველების… ყველაფერი საშუალო… და უსახური.

აჩიკოს მანქანა თავიდან ძალზე ფრთხილად, ნელა, თითქმის ტაატით მიჰყავდა, ეტყობა, გულის სიღრმეში შიშობდა, ვაითუ საჭე გამექცესო, მაგრამ მალევე გაუშინაურდა, გათამამდა და გააქროლა…

ალინსა და სოფოს რეპერტუარი, როგორც იქნა, ბოლოსდაბოლოს, დაელიათ… მცხეთის სალობიეში ნაყიდი ღვეზელები და კოკა-კოლები მანქანის გაუჩერებლადვე შთანთქეს, და მიიძინეს… ბატონი თენგიზი ისეთი სახით იჯდა, თითქოს უკვირს, აქ რა მინდა, საიდან მოვხვდიო… პერიოდულად თვალებს ხუჭავდა, თითქოს თვლემდა… მხოლოდ ერთადერთხელ წარმოთქვა სამი სიტყვა, ისიც რუსულად და თითქოს თავისდაუნებურად, წამოცდასავით… სანამ სოფო თვალებს დახუჭავდა, აჩიკომ მოასწრო და მხიარული ხმით ჰკითხა,

– სინ, ვინ შეჭამა შური?

– მურიმ, – იმავე ტონით მიუგო სოფომ და თვალები მილულა.

– თუ მურმა? – გაეცინა აჩიკოს.

სწორედ ამ დროს ჩაილაპარაკა ბატონმა თენგიზმა თითქოს თავისთვის:

– მურ,.. მოსკოვსკი უგოლოვნი როზისკ…

უღელტეხილზე რომ გადავიდნენ და კიდევ რომ იარეს, ბატონმა თენგიზმა მოულოდნელად აჩიკოს შესთავაზა:

– ეხლა მე წავიყვან, აქ ახალი გზაა, უფრო მოკლე, ვიცი, სად გადავუხვიო…

აჩიკოს საჭე არ ეთმობოდა, მანქანის მართვისაგან ისეთ სიამოვნებას იღებდა, როგორც პატარა ბიჭი ველოსიპედის ტარებისაგან არდადეგების პირველ დღეს… არ ეთმობოდა,

მაგრამ უცებ იგრძნო, რომ ძალზე დაიღალა, იმდენად ფიზიკურად არა, რამდენადაც, ალბათ, ფსიქოლოგიურად… მოუნდა თვალი მოეხუჭა, თუმცა მანქანაში ძილს ვერასოდეს ახერხებდა… გააჩერა, გადმოვიდა, ადგილები გაცვალეს… როგორც კი მილულა თვალები, რაღაც უცნაური სუნი იგრძნო და წამსვე ჩაეძინა, თითქოს გაითიშაო…

საკმაოდ მწარე მუჯლუგუნმა გამოაფხიზლა. თავიდან ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, თავი უსკდებოდა. ვიღაც შავნიღბიანმა ჯეელებმა მანქანიდან გადმოათრიეს. „ლენდროვერი“ ვიწრო გრუნტის გზაზე იდგა შუაგულ ტყეში. იქვე იყო ორხიდიანი „გაზ-66“,.. უცებ თვალი მოჰკრა ალინსა და სოფოს, რომლებსაც ხელები თოკით ჰქონდათ შეკრული, პირზე კი – ფართე სკოჩი,..

აჩიკომ გახვანცალებაც ვერ მოასწრო, თვალის დახამხამებაში ისიც გაკოჭეს, მერე სამივე სატვირთო მანქანის ძარაზე შეყარეს, შეიძლება ითქვას, აისროლეს. იქ უზარმაზარი საბურავები და ბრეზენტი აღმოჩნდა. ნიღბოსანმა ჯეელებმა საბურავებზე დააგორეს, ფეხებიც შეუკრეს, ზემოდან ბრეზენტი გადააფარეს და პანტა-პუნტით ჩაცვივდნენ ძირს. მანქანამ დაიღრიალა და რახრახით დაიძრა… ვიწრო გზის ორივე მხარეს ტოტებსა და ბუჩქებს დრედნოუტივით მიაპობდა…

ყველაფერი ისეთ ტემპში მოხდა, და თან ისე არარეალური ჩანდა ეს ყველაფერი, რომ აჩიკომ ვერც შეშინება მოასწრო, ვერც აღშფოთება… გაბრუებული, გაშტერებული, დაბნეული, პროვინციული თოჯინების თეატრის თვალებდაჭყეტილ პამპულას ჰგავდა… თანაც ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ცხოვრებაში რაც კი ოდესმე ზომაზე მეტი ალკოჰოლი დაელია, ყველაფრის ზარხოში თუ უქეიფობა (ქართველები „პახმელიას“ რომ ვეძახით), ერთიანად დაატყდა თავს…

ალინიც და სოფოც გაბრუებულებსა ჰგავდნენ.

სხვათა შორის, ამან უშველათ. მერე მოისაზრა, რომ სწორედ ამან გადაატანინათ მგზავრობა – მიბნედილები თითქმის ვერ აღიქვამდნენ, რა ხდებოდა… ვეება საბურავებში ჩაკვეხებულებს, ბრეზენტგადაფარებულებს თითქოს ეძინათ, არც ეძინათ, ლაყლაყებდნენ ტყეში ზიგზაგოვან ოღროჩოღროზე და ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. თუმცა გაგების არც თავი ჰქონდათ, არც უნარი. რადგან ერთმანეთს ვერ ელაპარაკებოდნენ, ყველაფერი სიზმარს ჰგავდა, კოშმარულ სიზმარს, როცა გრძნობ – მე აღარა ვარ „მე“, ჩემი სხეული ფიტულია, „მე“ კი ამ ფიტულის საინვენტარიზაციო ნომერი…

რამდენ ხანს იარეს ასე ტყე-ტყე, არ იცოდნენ… ვერც გაარკვიეს… 5 საათი? 7? 10? როცა, ბოლოსდაბოლოს, მანქანა გაჩერდა, უღრანი ღამე ჩამოწოლილიყო. მანქანიდან გადმოათრიეს და კარტოფილით დატენილი ტომრებივით შეყარეს სადღაც… ფარების შუქზე რაღაც ხის ფარდულის („სარაიას“ რომ ვუწოდებთ ქართველები) მსგავსი ნაგებობა დალანდეს, მერე კი, შიგნით, რაღაც შედარებით რბილზე აღმოჩნდნენ… სასიამოვნო სურნელებაზე მიხვდნენ, ნახერხი იყო, ბლომად ნახერხი.

ორხიდიანი მანქანა აღმუვლდა და უშვერი ღრიალით დაეშვა დაღმართში…

ისეთი სიჩუმე ჩაიღვარა და დაგუბდა ყურებში, როცა ვარსკვლავების კასკასიც კი შეიძლება გაიგონო… აჩიკო ზედ ფარდულის კედელთან ეგდო და ცდილობდა როგორმე გაერკვია, სად იყვნენ. ღრიჭოში ჩანდა ორნაირი სიშავე – მეტად ბლანტი, თითქოს შედედებული (ტყე უნდა ყოფილიყო) და ოდნავ გაცრეცილი (ალბათ, ცა)… უმთვარო, უვარსკვლავო…

აჩიკოს თითქოს გონება დაეწმინდაო, უცებ ერთიანად გააცნობიერა, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდნენ, მაგრამ რატომღაც შიშის შეგრძნება არა ჰქონია, უბრალოდ, სასტიკი უღონობა იგრძნო… ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ისევ დედის მუცელშია მოკრუნჩხული, მაგრამ თურმე დედა ბოროტი ჯადოქარი ყოფილა, და განზრახ გადაუკარგავს საკუთარი მუცელი სადღაც ჯურღმულში… თუ ჯანდაბაში…
პირი კვლავაც აკრული ჰქონდათ და ერთადერთი, რაც მოახერხა, ნაცემი ძაღლის წკმუილის მსგავსი ხმა გამოსცა,
– მმ… მმმმ… მ…
პასუხად მოესმა,
– ჰმმ!.. ჰმმ!.. – ალინი უნდა ყოფილიყო.
– გმმმ! – სოფო იყო.
აჩიკოს ტირილი მოუნდა, ხმამაღალი ტირილი, ბღავილი… მაგრამ ესეც კი არ შეეძლო. სიმწრისაგან ჩათვლიმა…
ირიჟრაჟა და ფარდულის კარიც გაჭრიალდა. აჩიკომ კარის ჭრილში საშუალო სიმაღლის ბნელი სილუეტი დალანდა, მთლიანად შავი, ფარდულში შემოსულს თავზე ნაქსოვი ნიღაბი ჩამოეცვა, თვალებსა და პირზე მრგვალად ამოჭრილი… ხელში „კალაშნიკოვი“ ეჭირა, ზურგჩანთა ეკიდა, ქამარზე რაცია, „ხიშტ-დანა“, მათარა და ხელყუმბარა („ლიმონკას“ რომ ვეძახით ქართველები) ჰქონდა.
„რა პატარა ყოფილა“, – სრულიად უადგილოდ მოუვიდა აჩიკოს თავში. ხელყუმბარა მართლა სათამაშოსა ჰგავდა.
შავნიღბოსანმა იქაურობა მიზვერ-მოზვერა, გვამებივით გართხმულ „ტუსაღებს“ დააცქერდა, ზურგჩანთა მოიხსნა, კუთხეში მიაყუდა და გარეთ გავიდა. აჩიკომ ხმა გაიგონა, თუმცა სიტყვები ვერ გაარჩია… ცოტა ხნის შემდეგ კი მკაფიოდ მოესმა:
– პრიომ… ტოჩკაზე ვარ,.. პრიომ…
ნიღბოსანი შემოვიდა და აჩიკოს დაადგა თავზე. აჩიკომ რის ვაი-ვაგლახით ასწია ჰაერში გათოკილი ხელები და საწყალობლად დაიწკმუვლა,.. გამიხსენიო, შეეხვეწა…
„პატრონმა“ (აჩიკომ გონებაში რატომღაც „პატრონი“ შეარქვა ნიღბოსანს) დანა ამოიღო, დაიხარა, თოკი გადაუჭრა, გასწორდა და მოულოდნელად ფეხი ჰკრა გვერდში, თუმცა არც ისე ძლიერად, ეტყობა, უბრალოდ პროფილაქტიკის მიზნით. აჩიკოს იმდენად არ სტკენია, რამდენადაც გაუკვირდა, ამაზე რატომღაც საერთოდ არ ჰქონდა ნაფიქრი წინასწარ, და არ მოელოდა.
შემდეგ „პატრონმა“ ხანჯალივით დანა აჩიკოს ყელზე მიაბჯინა. სანამ შეშინებას მოასწრებდა, ერთი მოწყვეტილი სწრაფი, მკვეთრი მოძრაობით სკოჩი ჩაუჭრა (თავზე ჰქონდა ირგვლივ რამდენჯერმე შემოხვეული) და სკოჩს კანიც მიაყოლა ყვრიმალქვეშ…
აჩიკომ იგრძნო, როგორ ჩაეღვარა ბლანტი თბილი სითხე კისერში… რატომღაც თავი სასტიკად შეურაცხყოფილად იგრძნო („ღორებს ჭრიანო ასე ყელს“ – გაუელვა), გადაჭრილი სკოჩი აიძრო, რაც საზარლად მტკივნეული პროცედურა აღმოჩნდა, პირი დააღო და უკვე უნდა ეთქვა, დაეყვირა: „შენი დედა მო,..“ მაგრამ ხმა ვერ გაიღო. პატრონის თვალებს შეხედა და იმიტომ…
ყველანაირი თვალები და ყოველგვარი მზერა ენახა ცხოვრებაში აჩიკოს, ცივიც, გაყინულიც, გესლიანიც, ერთმნიშვნელოვნად და მარტივად ბოროტიც, მაგრამ ეს რაღაც კიდევ სხვა იყო… გათოშილი, წკვარამი… მკვდარი…

„პატრონმა“ ალინს და სოფოსაც გადაუჭრა ხელებზე თოკი, მაგრამ სკოჩი პირზე რატომღაც აღარ ჩაუჭრია. შემდეგ აჩიკოს გაკოჭილი ფეხებიც გაუთავისუფლა და თავით ანიშნა, მიდი, მიეხმარეო…

აჩიკო ძლივს, მართლა რის ვაი-ვაგლახით ადგა, კედელს აჰყვა ნელ-ნელა, პოტინ-პოტინით, – ისევ სტეხდა ტანში, თითქოს კარგა ლაზათიანად იყო ნაბეგვი. ფეხზე კი დადგა, მაგრამ ვერ გაიარა… ოთხზე დაეშვა, ჯერ სოფოსთან მიფოფხდა, ხელები მოისრის-მოიფშვნიტა და სკოჩის აძრობა დაიწყო,.. დიდხანს იწვალა, ბოლოს მოახერხა როგორღაც… სოფო ამ პროცედურას მშვიდად იტანდა, მხოლოდ ცხვირი ეჭმუხნებოდა დროდადრო…

– ჰოლდენ, გილოცავ,.. – უჩურჩულა სოფომ, როგორც კი პირი გაუნთავისუფლა.

– მილოცავ?!

აჩიკომ ისე შეხედა, პირუცინარ სოფოსაც კი გაეცინა.

– ნაღდი თავგადასავალია,.. იცი, რას დავწერ ამაზე!

აჩიკომ არაფერი თქვა, მხოლოდ თავი გადააქნია და ალინს მიუბრუნდა. სოფოც მიეხმარა და სკოჩი შედარებით სწრაფად ააგლიჯეს. ააგლიჯეს თუ არა,.. იფეთქა, გადმოხეთქა:

– შენ!… ტერორისტო!… საძირალა!… ჩემი პრეზიდენტი… მომპოვებს!… და შენ… მიცა ჩამო!

მოულოდნელად ალინმა რაღაც სიმღერა წამოიწყო ხმამაღლა, კისერშეღერებულმა, ნახერხზე მჯდომმა…

„ამერიკის ჰიმნია,“ – მიხვდა უცებ აჩიკო და მოულოდნელობისაგან კინაღამ სიცილი წასკდა, – „იანკი დუდლ!“

„პატრონმა“ ცოტა ხანი უყურა, მერე იქვე მდგარი ვედროდან ტოლჩით წყალი ამოიღო, მშვიდად მივიდა ალინთან, დაიხარა და აჩიკომ უკვე იფიქრა, წყალი უნდა დაალევინოსო(?), რომ უცებ სახეში შეასხა. ალინი გაშრა (სინამდვილეში კი, გაიწუწა) და ხმა ვეღარ ამოიღო. სუნთქვა შეეკრა, მერე ხველა აუტყდა. აჩიკომ, რომელიც მიწაზე იჯდა კედელთან, იმპულსურად, გაუაზრებლად სტაცა ხელი რაღაც ფიცრის ნატეხს და „პატრონს“ გაუქანა.

რა თქმა უნდა, ააცილა.

„პატრონი“ მშვიდად მივიდა აჩიკოსთან და აკურატულად, საკმაოდ ენერგიულად, სწრაფად და ძლიერად ჩააზილა მუცელში ფეხი რამდენჯერმე. ისეთ მოძრაობას აკეთებდა, როგორც ტალახიანი „ბათინკების“ გაწმენდის დროს, როცა თან სახლში შესვლა ეჩქარებათ.

აჩიკოს სლოკინი აუტყდა და გვერდზე გადავარდა. ალინს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ პირი დააღო. სოფომ თვალები მოწკურა და კბილები გააკრაჭუნა… ისე უყურებდა „პატრონს“, ცოტაც და… დაიფერფლებოდა „პატრონი“…

„პატრონი“ გატრიალდა, ზურგჩანთიდან რაღაც ამოიღო, მობრუნდა, – ნიკელირებული ბორკილები ეჭირა ხელში.

ჯერ აჩიკოს გაუკეთა მარჯვენა მაჯაზე და კედელზე, მიწის დონიდან დაახლოებით ორმოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლეზე მიმაგრებულ რკინაზე, – გრძელი სახელურის მსგავს რკინაზე – მიაბა. შემდეგ იგივე „ოპერაცია“ ჩაუტარა ალინსა და სოფოს. სამივე ძაღლივით დაბმული აღმოჩნდა, შუაში აჩიკო, მარჯვნივ ალინი, მარცხნივ სოფო.

– ამერიკული ჰუმანიტარული დახმარება იქნება… – გაჭირვებით ჩაილაპარაკა აჩიკომ, ვითომ იანგლა და ჩაცინება სცადა. ბორკილები ისეთი ბრჭყვიალა და თან ელეგანტური იყო, სამკაულსა ჰგავდა, ანდა სათამაშოს.
ალინი უცებ თითქოს გამოერკვა და ისევ დაიწყო ხმამაღლა, მუქარით:
– ჩემი ძმა… კონგრესმენ! გაამოაგზავნოს… ჩემი არმი!… მოვიდეს… და… თქვენ… საძირალები, ლაჩარები… ტერორისტები… ინ ფრიზონ… ჩაგდებენ!.. ციხეში!..
„ოღონდ ახლა სიმღერა არ დაიწყოს“… – გაიფიქრა აჩიკომ. გაიფიქრა თუ არა, ალინმა უმალ შემოსძახა.. გაჯგიმული იჯდა და სადღაც მაღლა, სივრცეში იყურებოდა.
„დროშას ხედავს… – მოისაზრა აჩიკომ, – თუ არწივს?.. ეეჰ, რამ შეჭამა შური?!“
რატომღაც ძალიან მოუნდა თვითონაც ემღერა საკუთარი ქვეყნის ჰიმნი, მაგრამ არ იცოდა, და თავისდამოულოდნელად, ალინს მისცა ბანი, როგორც შეეძლო, უსიტყვოდ, ღიღინ-ღმუილით, მელოდიას მიჰყვებოდა მიახლოებით…
ამ „ვოკალიზს“ პატრონმა ვეღარ გაუძლო და გარეთ გავიდა.
ალინმა სიმღერა შეწყვიტა და აჩიკოს გაუღიმა.
– ჯიგარი ხარ, ჰოლდენ! – შეაქო სოფომ და მხარში ხელი წაუთაქა.
სრულმა სიჩუმემ დაისადგურა, მხოლოდ შორიახლოს ტყეში რაღაც ფრინველი ჭახჭახებდა უხალისოდ, ზანტად, ხანგამოშვებით, თითქოს მოვალეობას იხდისო. აგვისტო იყო, მაგრამ იმ ტყეში რატომღაც უკვე შემოდგომის სუნი ტრიალებდა. ნელ-ნელა სიჩუმეს რაღაც შეუმჩნეველი ხმა შეემატა, რაღაც ოდნავი წკაპა-წკუპი.
„წვიმს“, – მიხვდა უცებ აჩიკო.
„პატრონი“ შემობრუნდა და ისე, რომ თავისი „ტუსაღებისთვის“ ზედაც არ შეუხედავს, ზურგჩანთიდან საძილე ტომარა ამოიღო, ფარდულის მეორე კუთხეში, ზედ კართან გაშალა და წამოწვა.
აჩიკომ სოფოს გადახედა – დაუჯერებლად მშვიდი ჩანდა, თითქმის განყენებულიც კი…
ალინი რაღაცას ბუტბუტებდა ოდნავგასაგონად თვალდახუჭული, – ლოცულობდა?
სოფომ მამის მზერა დაიჭირა, გასწორდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და უჩურჩულა:
– ნუ გეშინია…
– არ მეშინია…
– გტკივა?
– არა.
– მართლა?
– მართლა…
– თენგო სად გაქრა?
– მე მეკითხები?! – აჩიკო უცებ გაღიზიანდა.
– მანქანიდან რომ გადმოგვყარეს, იქ აღარ იყო…
– იქნებ იყო, ოღონდ… – აჩიკომ პაუზა გააკეთა, – ნიღაბი ეკეთა?
– ა,.. არაა… – არცთუ დარწმუნებით მიუგო სოფომ და ჩაფიქრდა.
უცებ აჩიკომ სასოწარკვეთით იგრძნო, რომ ერთდროულად საშინლად სწყურია და თან, რაც მთავარია, სასტიკად უჭირს… თითქოს რაღაც დაუზიანდაო, მუცელს ქვემოთ ეწვოდა სიღრმეში, ცივმა ოფლმა დაასხა, ისეთმა ცივმა, რომ ეგრევე თითქმის შეეყინა სახეზე, სასა და მთელი ხახა კი თითქოს ჩაეკალა და თავისდაუნებურად, განწირული, სვემოკვეთილი ხავილი აღმოხდა…

– მამა! – სოფომ შეშფოთებულმა ჩახედა თვალებში, ხელი მაჯაზე მოუჭირა მთელი ძალით. „მამას“ არ ეძახდა არასოდეს, და ამ სიტყვამ აჩიკოს თითქოს უშველა, გამოაფხიზლა.
აჩიკოს ხავილის ხმამ, რომლის განმეორება, ანდა გადმოცემა, უბრალოდ, შეუძლებელია, ალინზე უცნაურად იმოქმედა, თითქოს პროსტრაციაში ჩააგდო, თითქოს რეალობიდან რაღაც წარმოსახვით განზომილებაში გადაიყვანა, აქ კი მხოლოდ მისი გარსიღა დარჩა…
„პატრონი“, რომელიც გულაღმა გაუნძრევლად იწვა, და არ ჩანდა, თვალღია იყო თუ თვალდახუჭული, ანდა იქნებ, სულაც, ეძინა, ამ საზარელი ხავილის გაგონებაზე წამოიმართა, რატომღაც ავტომატი მოიმარჯვა, გააჩხაკუნა და აჩიკოსკენ წავიდა, თავზე წამოადგა.
– მიჭირს!.. – იყვირა აჩიკომ, – ტუალეტ!!
„პატრონი“ დაიხარა, ბორკილი შეხსნა რკინას და თავის მკვეთრი მოძრაობით ანიშნა, ადექიო. აჩიკო ოხვრა-ხვნეშით, მაგრამ საკმაოდ სწრაფად აიჩონჩხლა, თუმცა ბოლომდე ვერ გასწორდა, მუცელში ყრუდ ეწვოდა და სჭრიდა, მთელი სხეული კი თითქოს დაბეჟვოდა. ძლივს გადადგა ერთი ნაბიჯი, წაბარბაცდა, ძალაუნებურად დაეყრდნო „პატრონის“ მკლავს და უცებ იგრძნო, თუ მოეჩვენა, რომ მამაკაცის ხელს კი არ ეყრდნობოდა, არამედ მოზარდის, – გამხდარი, საშუალო სიმაღლის, თითქმის კაფანდარა ბიჭუნას ხელს, მაგრამ „პატრონის“ თვალებიდან ისეთმა დამზრალმა, კუნაპეტმა სიბნელემ შეანათა (თუკი შეიძლება სიშავე ანათებდეს), რომ მუცლის ტკივილიც გადაავიწყდა, თავისი შეგრძნებებიც და გარეთ გავიდა დაუხმარებლად. წვიმდა. ნელ-თბილი წვიმის შხეფებმა საბოლოოდ გამოარკვია, თხუთმეტიოდე ნაბიჯი გაიარეს ბილიკით, კიდევ ერთ ფარდულს ჩაუარეს (როგორც ჩანს, ესეც სამხერხაო თუ საწყობი უნდა ყოფილიყო) და სოფლური ტუალეტის, ე.წ. „ჩეჩმის“ წინ აღმოჩნდნენ…
„ტყეში ტუალეტი აქვთ?“ – გულწრფელად გაუკვირდა და კარი შეაღო, შევიდა. „პატრონს“ გახედა ღრიჭოში, ავტომატმომარჯვებული, ნიღბიანი, ცელოფნისმოსასხამიანი წვიმაში რატომღაც სულაც არ გამოიყურებოდა საშიშად, უფრო საფრთხობელას მიაგავდა. ცელოფნის მოსასხამის ქვეშ სიგარეტს ეწეოდა, კვამლი ავსებდა ცელოფნის კარვისებურ „ლაბადას“ და „პატრონს“ რაღაც ფანტასტიკურ არსებას ამსგავსებდა…
ტუალეტის უკანა კედელი მოსინჯა ხელით და რატომღაც გაახსენდა ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი ასეთივე ჩეჩმაში.
მერე გაიფიქრა, – „თუ სოფოს,.. რამეს უზამს,.. ვითომ გაქცევას დავაპირებ,.. და მესვრის…“
ამოისუნთქა, თითქოს მძიმე პრობლემა გადაწყვიტაო და გარეთ გამოვიდა… როცა „პატრონმა“ თავის ადგილას დააბა, აჩიკომ თითქმის მხიარულად სთხოვა,
– თუ შეიძლება, წყალი დამალევინეთ,.. რა…
„პატრონმა“ უხმოდ დაუდგა წყლით სავსე ვედრო და ტოლჩაც მიუგდო, თან რატომღაც ისევ გააჩხაკუნა ავტომატი… ალინს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სადღაც სხვაგან იყო, ძალიან შორს, სოფოს კი დაძაბული და თან დაინტერესებული სახე ჰქონდა, გეგონებოდა ე.წ. „მძაფრსიუჟეტიან“ ვიდეოფილმს უყურებსო. აჩიკომ სამი ჭიქა დალია და მერე ალინს მიაწოდა, უთხრა,
– ფლიიზ, ვოთა… – ამდენი ინგლისური კი იცოდა.

ინგლისურის გაგონებაზე თითქოს რაღაც ღილაკს დააჭირესო, ალინმა მყისვე ააჟღერა თავის „ფირფიტა“.
– სინ, გეხვეწები,.. გააჩერე რა,.. – უჩურჩულა აჩიკომ.
– როგორ? – მხრები აიჩეჩა სოფომ.
„პატრონი“ გარეთ, წვიმაში გავიდა. ალინი მალევე დადუმდა. როგორც ჩანს, „არიოზო“ პირადად „პატრონს“ ეძღვნებოდა. სოფომ ალინს რაღაც უთხრა ინგლისურად. ალინმა უპასუხა და ძალზე დიდხანს ილაპარაკა, ალბათ, მთელი საათი, ყოველ შემთხვევაში, აჩიკოს ასე მოეჩვენა. ზუსტად კი ვერ იტყოდა, რადგან გამტაცებლებმა არც საათი დაუტოვეს, და არც არაფერი – საბუთები, ფული, ალინის და სოფოს მობილურები, ალინის ვიდეოკამერა, ყველაფერი წაიღეს… და როცა აჩიკომ საკუთარი ქურთუკის ჯიბეში სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი და ასანთი აღმოაჩინა, ეს ნამდვილ სასწაულად აღიქვა,.. თითქმის ისევე გაეხარდა, როგორც „დინამოს“ გამარჯვება თასების თასზე...
მთელი დღე წვიმდა. აჩიკო სიგარეტს გამოზომილად ეწეოდა, ნაფაზ-ნაფაზ. ჩააქრობდა, „დააბიჩოკებდა“, აანთებდა. ალინი და სოფო ხმადაბლა ბაასობდნენ. აჩიკო შუაში იყო გაჩხერილი, მაგრამ, თავისდაგასაოცრად, ეს გაუთავებელი ლაპარაკი თითქმის გაუგებარ ენაზე არ აღიზიანებდა, პირიქით, რაღაცით სიამოვნებდა კიდეც, როგორც ზღვის ტალღების ნაპირზე მონოტონური მოქცევა-მიქცევის ყურება შეიძლება სიამოვნებდეს კაცს.
„პატრონი“ მდუმარედ ეწეოდა უფილტრო სიგარეტს, პერიოდულად იღებდა ავტომატს, დაშლიდა, მანქანის ზეთიანი ჩვრით წმენდდა და ისევ აწყობდა. დაშლიდა, ააწყობდა, დაშლიდა, ააწყობდა. ჩანდა, რომ ეს პროცესი სიამოვნებას ანიჭებს… თუმც კი ყველაფერს მექანიკურად აკეთებდა… რამდენჯერმე ჩართო რაცია დღის განმავლობაში, მაგრამ კავშირი ვერ დაამყარა. ხშირად იყურებოდა საათზე, ეტყობოდა, რომ ვიღაცას, თუ ვიღაცეებს ელის და ნერვიულობს…
„პატრონი“ ადგა, ფარდულის შორეულ კუთხეში დახვავებული ფიცრები გადაალაგა და ძველისძველი თუნუქის ღუმელი გამოაძვრინა (ქართველები „ჟესტის ფეჩს“ რომ ვეძახით). მოგრეხილ, ტარაკნის ფეხებივით წვრილ სადგარზე შეყენებული ღუმელი მომცრო სარკმელთან (ფარდულს სარკმელი ჰქონდა, რომელიც შიგნიდან იხურებოდა ვერტიკალური დარაბით) მოათავსა, დაშლილი მილიც ამოათრია, ააწყო, სარკმელში გაიყვანა და ცეცხლი დაანთო. საწვავი ფარდულში თავზე საყრელად იყო, – ყველა ზომის და ფორმის ფიცრები და მორები. მერე საიდანღაც გამურული ქვაბიც გამოიღო, წყალი ჩაასხა, კარტოფილი ჩაყარა და ღუმელზე დადგა. წყალი დიდხანს დუღდებოდა, აჩიკომ მოასწრო და ჩათვლიმა კიდეც… წვიმა გაძლიერდა, აქა-იქ ფარდულშიც დაიწყო ჩამოსვლა უკვე წვეთ-წვეთობით კი არა, წვრილ-წვრილ, კოქტეილის საწრუპავის სიმსხო ნაკადებად…
– შენ გგონია, მუნჯია? – ჰკითხა უცებ სოფომ.
– ვინ? – ვერ გაიგო აჩიკომ.
სოფომ თავის მოძრაობით „პატრონზე“ ანიშნა.
აჩიკომ უარის ნიშნად თავი გადააქნია.
– საწყალი ბაბულა, როგორ ნერვიულობს, ალბათ… – ჩაილაპარაკა სოფომ.
აჩიკომ არაფერი უპასუხა, ამაზე ფიქრიც კი არ უნდოდა, არათუ ლაპარაკი… როცა ადამიანს მუდმივად 200 აქვს 120-ზე…

როგორც იქნა, კარტოფილი მოიხარშა. „პატრონმა“ ბრეზენტის მოზრდილი ნაკუწი გაშალა ნახერხზე ისე, რომ „ტუსაღები“ მისწვდომოდნენ, ზედ მოხარშული კარტოფილები დაყარა და რუხი ფერის მარილით სავსე პატარა პარკიც დააგდო. კარტოფილი, ცხადია, კანიანად იყო მოხარშული. აჩიკომ უცებ იგრძნო საოცარი შიმშილი, არადა, აქამდე საჭმელი არც გახსენებია, აიღო კარტოფილი და კანიანად ჩაკბიჩა.

– მე გაგიფცქვნი, რას შვები, გაგიჟდი?! – ისეთი ხმით შეჰკივლა სოფომ, რომ აჩიკოს კარტოფილი ხელიდან გაუვარდა.

სოფომ ელვისებურად გააცალა კანი კარტოფილებს, თუმცა დაბორკილ ხელს, ცხადია, თავისუფლად ვერ ამოძრავებდა. ჯერ ალინს მიაწოდა, მერე მამას. ამ დროს „პატრონი“ თავის საძილეზე წამოწოლილი ჭამდა, განცალკევებით… აჩიკომ შენიშნა, რომ ალინი კარტოფილს უმარილოდ ჭამს და მიაწოდა.

– ნოუ… სოლთ ნოუ… – თავი გააქნია ალინმა უარის ნიშნად.

– მარილს არ ჭამს პრინციპულად, – აუხსნა სოფომ.

– რატომ?

– რისკ-ფაქტორიაო…

– მაგისთვის თუ მარილია რისკ-ფაქტორი, საინტერესოა, საქართველო რაღაა? – ვითომ იოხუნჯა აჩიკომ.

– საინტერესოა, სადა ვართ? – იკითხა სოფომ უცებ.

– როგორ თუ სად? – ვერ გაიგო აჩიკომ.

– ჰო, სად?

– რა ვიცი მე, სად… კოდორში, პანკისში, ჩეჩნეთში, აფხაზეთში, ჯანდაბაში! – გაღიზიანდა უცებ აჩიკო.

ჩამობნელდა. ღუმელში დანთებული ცეცხლი სინათლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. ცა ღრუბლებით იყო დაფარული, კვლავაც წვიმდა, ღუმელის ლიცლიცა შუქი ფარდულს არათანაბრად, ალაგ-ალაგ ანათებდა და იქაურობას რაღაც ჰეროიკულ-პატრიოტული დრამის დეკორაციას ამსგავსებდა.

– როგორ გგონია, რამდენს მოითხოვენ გამოსასყიდს… მილიონს? – იკითხა სოფომ.

– შენ გგონია, ფულისთვის გაგვიტაცეს? – კითხვა შეუბრუნა აჩიკომ.

– აბა?

– პოლიტიკაა, სინ-ძინ, პოლიტიკა,.. – უთხრა აჩიკომ, თუმცა თვითონაც არ იცოდა კარგად, რას გულისხმობდა.

ფარდულში ჩამოსულმა წვიმამ დახერხილი ფიჭვისა თუ ნაძვის სურნელება თითქოს ერთიორად გააძლიერა… ისეთი არაჩვეულებრივი ჰაერი იყო, აშკარად სამკურნალო და სამარგებლო, და თან სასიამოვნო, ცინცხალი, სოფოს იდეა მოუვიდა თავში,

– შესაძლებელი რომ იყოს ტექნიკურად ამ ჰაერის დაპრესვა, დაკონსერვება და საექსპორტოდ გატანა,..

– სინ-ძინ, ეგ არავისთან წამოგცდეს, თორემ გაზიდავენ და მერე ჰაერიც სანატრელი გაგვიხდება, ჩვენი ამბავი რო ვიცი…

უცებ ალინი აჩიკოსკენ შებრუნდა, რამდენადაც ამის საშუალებას ბორკილი აძლევდა, მხარზე საჩვენებელი თითი მიაბჯინა და ჰკითხა:

– იუ,.. რატომ არ ფროტექტინგ… ზრუნველობ… თქვენი ქვეყანა?.. თქვენი არის თქვენი?!.. არა, კი? იეს?
– იეს, იეს,.. არა, კი,.. თქვა ალინ არაკი… – ვითომ იანგლა აჩიკომ.
მაგრამ ალინი არ მოეშვა:
– ასეთი… ვანდერფულ… ასეთი… ლამაზი… თქვენ კიდევ, როგორც კლონდაიკ, გინდა ისე…
– კლონდაიკი? – გაუკვირდა აჩიკოს, – რა შუაშია?!
– თქვენ ოქრო გინდა… დაგლიჯო… და მილიონერ ინ ე მოუმენთ… მუშაობა არ გინდა…
– მუშაობა არ მინდა? მე არ მინდა მუშაობა?! – აფეთქდა უცებ აჩიკო, – მთელი ცხოვრება ვმუშაობ და რა?! რა ჯანდაბა და რა ხეირი?! მთელი ცხოვრება ვმუშაობ, ვთარგმნი, ვწერ, ვაქვეყნებ და რა მათხოვარიც ვიყავი, ისევ ის მათხოვარი ვარ… ადრე პურის ფული მაინც მქონდა!
– და რის ხარჯზე?! – ჩაურთო მოულოდნელად სოფომ.
– რა, რის ხარჯზე?! – ვერ გაიგო აჩიკომ.
– რატომ გაძლევდნენ მაგ პურის ფულს? რაში?
– რაში?!
– იმაში, რომ მოკეტილში იჯექი!
აჩიკო უცებ წამით დაიბნა, პირიც კი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა.
სოფომ გააგრძელა:
– მიყიდული იყავი და გაჭმევდნენ!
აჩიკომ აღშფოთებისაგან ისეთი ძალით დაარტყა მუშტი მიწას, ნახერხის ბუღი დააყენა და ლამისაა ბორკილი გაწყვიტა.
– მე ვიყავი მიყიდული?! რეებსა ბოდავ?! მე ეგენი ყოველთვის მეზიზღებოდნენ!.. ალინი ხან სოფოს შეხედავდა, ხან აჩიკოს, მისი თავის ჩრდილი ხან ერთს ეცემოდა, ხან მეორეს.
„პატრონი“ გაუნძრევლად იწვა, მაგრამ აჩიკო გრძნობდა, თუ ეჩვენებოდა, ისიც ინტერესით უსმენს…
– გეზიზღებოდნენ, მაგრამ ჩუმად იყავი!
– რა ვქნა, ყველა ვერ იქნება,.. მმ,.. გმირი!
– ჰოდა, მაგაში,.. მაგ კონფორმიზმში გაჭმევდნენ პურს!
უცებ ალინი ჩაერია.
– ენდ ნაუ,.. ეხლა ფოლიტიკ რატომ არ აკეთებ?
– ვერ ვიტან პოლიტიკას! – მოუჭრა აჩიკომ.
– ჰოდა, შენისთანა გნილოი ინტელიგენტების ბრალია ყველაფერი! – დაახეთქა სოფომ. სიტყვა „გნილოი“ დამარცვლით წარმოთქვა.
– ვითომ, რა ყველაფერი? – მოულოდნელად მშვიდი, ირონიანარევი ტონით გამოეპასუხა აჩიკო.
– ხელის გასვრას არ კადრულობთ, განზე დგეხართ, თავი კაი ტიპები გგონიათ,.. ქვეყანა კი ჩათლ,..
ამირლების ხელშია!
„პატრონი“ უცებ წამოჯდა თავის საძილეზე, კედელს მიეყუდა და სიგარეტს მოუკიდა.

– იეს, იეს, თქვენი ქვეყანა როგორც სახლი… თავისი სახლი… უნდა ქლინინგ…
– დაასუფთავო, – სოფომ ინგლისური სიტყვა ქართულად გაიმეორა და მერე დაამატა, – დაწმინდო…
– მოიცა რა,.. მე დამლაგებელი კი არა ვარ…
– აბა, ვინ ხარ?
– ვიზიონერი!
სოფო წამით შეყოვნდა. წვეთების წკაპაწკუპი მოულოდნელად ჩამოვარდნილ სიჩუმეში უჩვეულოდ ხმამაღლა გაისმა, ღუმელში რაღაც გატკაცუნდა. მერე სოფომ ძალიან წყნარად ჰკითხა,
– ჰოლდენ, არა გგონია, რომ როცა სახლი იწვის, ვიზიონერიც კი ვალდებულია, ერთი ვედრო წყალი მაინც მოიტანოს?!
– ერთი ვედრო მომაქვს! – დაუფიქრებლად განაცხადა აჩიკომ.
– როგორ?
– ეე… არჩევნებში ვმონაწილეობ…
– არა, ჰოლდენ, ეგ არაა ერთი ვედრო წყალი, რა თავს იტყუებ, – მწარედ ჩაეცინა სოფოს,
– ეგ იგივეა, რომ ცეცხლში ჩააპურჭყო და მერე იტრაბახო, ხანძარს მეც ვაქრობდიო!
აჩიკო სასტიკად გაღიზიანდა, მაგრამ შეეცადა როგორმე შეენარჩუნებინა წონასწორობა, სიგარეტს მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და რაც შეეძლო, მშვიდად დაიწყო,
– არ გვინდა ეს ბრტყელ-ბრტყელები, სინ-ძინ,.. მე არ ვიცი, პატივცემული ალინის დემოკრატიულ ელდორადოში რა მდგომარეობაა, მაგრამ ჩვენში, კარგად უნდა მოგეხსენებოდეს, პოლიტიკა ერთობ ბინძური სიამოვნებაა… ესაა თამაში ყოველგვარი წესების გარეშე… და ამ თამაშში თუ ჩაერთვები, შენც იგივე ხდები, გინდა თუ არ გინდა, იგივე ჩათლ,.. ანუ ნაძირალა, როგორც თავად ბრძანე… ჩვენს ქვეყანაში იმდენი მძღ,.. უკაცრავად, იმდენი ექსკრემენტი დაგროვდა, რომ აქაური ავგიას თავლების გაწმენდას ჰერაკლეთა ბატალიონიც კი ვერ მოახერხებდა, ალბათ…
– და ვისი ბრალია? – უკან არ დაიხია სოფომ.
– ვისი?!
– თქვენი! თქვენი თაობის!
– იმ ღორებმა საქართველო გაყიდეს და ჩემი ბრალია?!
– დიახ, შენი! ჩუმად რომ იყავი, და უყურებდი, როგორ ყიდდნენ,.. და ყიდიან!
– და რა შემეძლო?!
სოფომ არაფერი უპასუხა. არც ალინს ამოუღია ხმა. „პატრონი“ ადგა, ღუმელში ფიცრის ნასხლეტების ახალი „ულუფა“ შეყარა, ქვაბში წყალი ჩაასხა და ღუმელზე შემოდგა. შემდეგ ზურგჩანთიდან ჩაის ერთჯერადი პაკეტები და კიდევ ერთი ემალის ტოლჩა (ქართველები „კრუშკას“ რომ ვეძახით) ამოაძვრინა და ბრეზენტზე დადო. სანამ „პატრონი“ საქმიანობდა, სოფომ აჩიკოს ყურში ჩასჩურჩულა:
– უნდა გავიქცეთ!..
– რას გაიქც,.. აა!

სოფომ მთელი ძალით ჰკრა გაშლილი ხელი მუცელში, გაჩუმდიო. მერე ჩურჩულითვე გააგრძელა:
– ალინს გადაეცი, რაც გითხარი… ოღონდ ჩუმად…

აჩიკოს მსგავსი ლაპარაკი ბავშვის ტიტინად მოეჩვენა, მაგრამ ქალიშვილს კამათი აღარ დაუწყო და მორჩილად გადასცა ალინს დანაბარები.
– ისქეიფ? ო, იეს! – გაეხარდა ალინს ისე, თითქოს უკვე სამშვიდობოს იყო გასული.
– და როგორ აპირებ?! – აჩიკო ჩურჩულით, ოდნავ ირონიულად ჩაეკითხა სოფოს.
– მოვიფიქრებთ, – უპასუხა სოფომ და ჩურჩულითვე გააგრძელა, – როცა ტუალეტში გაგვიყვანს, მე და ალინი თავს დავესხმებით…
– არც იფიქრო! – რაც შეეძლო კატეგორიული სისინით აუკრძალა აჩიკომ და მერე ხმამაღლა დააყოლა, – მიველ, ვნახე ქვეყანა, რამ შეჭამა ქვეყანა?!
წვიმა გაძლიერდა, ხმაზე ეტყობოდა, ნამდვილი ჟგლეთი წვიმა უნდა ყოფილიყო… ფარდულში უკვე ბევრგან ჩამოდიოდა წყალი, ალაგ-ალაგ მიწის იატაკი კიდეც ატალახდა… საგრძნობლად აცივდა, მაგრამ ღუმელი გემრიელად გუზგუზებდა. „პატრონმა“ მდუღარე ორ ტოლჩაში ჩაასხა, პაკეტი ჩაუშვა, ჯერ ერთში, მერე მეორეში, ერთი თავისთვის დაიდგა, ერთი კი სოფოს მიაწოდა.
– რა კეთილი ხართ, დიდი მადლობა! – უთხრა სოფომ.
ამის გაგონებაზე აჩიკოს კინაღამ გაეცინა, მაგრამ მერე იფიქრა, რომ, შესაძლოა, სოფომ გადაწყვიტა კონტაქტი დაამყაროს „პატრონთან“, რათა ყურადღება მოუდუნდეს მომავალი თავდასხმისა და გაქცევის წინ. თუმცა, არც ის იყო გამორიცხული, რომ სოფომ სრულიად გულწრფელად უთხრა მადლობა „პატრონს“. აჩიკოს გაახსენდა სადღაც წაკითხული, რომ გატაცებულებს, როგორც წესი, ტერორისტების მიმართ მადლიერების გრძნობა უჩნდებათ, თუკი დიდხანს არიან მათთან ურთიერთობაში, და მათზე დამოკიდებულნი, ზოგჯერ უყვარდებათ კიდეც და ცოლადაც გაჰყოლიან!
აჩიკომ წამით წარმოიდგინა, რომ სოფო „პატრონის“ ცოლი გახდა, თვითონაც ჩამოიცვა თავზე შავი ნიღაბი და ფარდულში დასახლდა… აჩიკოს გააჟრჟოლა… თავი ენერგიულად გააქნ-გამოაქნია, ეს სურათი როგორმე რომ ამოეგდო გონებიდან.
თუმცა, მერე გაიფიქრა, – „კონტაქტის დამყარება ყველა შემთხვევაში გამოგვადგება“, და „პატრონს“ უთხრა:
– მე საკმაოდ კარგი ფიზიონომისტი ვარ, და ვხედავ (რა-რა, და „პატრონის“ ფიზიონომია ნამდვილად არ ჩანდა), რომ თქვენ ნამდვილი მებრძოლი ხართ,.. ბოევიკი… ამ სიტყვის კარგი გაგებით… პროფესიონალი… „ტყის ძმა“,.. თუ „თეთრი ლეგიონი“?
„პატრონს“ რეაქცია არა ჰქონია. ადგა, მოზრდილი ფიცარი კედელზე მიაყუდა, ფეხი ჩაჰკრა, ჩაამტვრია და ღუმელს შეუკეთა. მერე სოფოს ტოლჩა აიღო და ალინს დაუსხა მდუღარე, იგივე პაკეტი ჩაუდო და მიაწოდა.
„მე არ მომცემს?“ – გაიფიქრა აჩიკომ.
– ჩემი,.. გრენდ… გრენდფაზერ… ბაბუის,.. ბაბუი,.. ქონდა ბევრი-ბევრი სლეივზ… – დაიწყო ალინმა
– მონები, – ჩაურთო სოფომ.
– იეს… მონები… ნიგროუზ,..
– დღეიდან ბიძია თომა დამიძახეთ! – გამოაცხადა აჩიკომ ხმამაღლა, – სინ-ძინ, ჰკითხა ერთი ალინს, მისი წინაპრის ცოდვებმა ხომ არ გვიწია?
– ჩვენ ჩვენი საკუთარიც გვეყოფა. – მეტისმეტად ცივად, შეიძლება ითქვას, სუსხიანად, უპასუხა სოფომ.

– ცოტა მეტი ჰუმორი, სინ-ძინ! – თითქმის მართლა მხიარულად შესძახა აჩიკომ, რადგან დაინახა, რომ „პატრონი“ ცარიელ ტოლჩაში მდუღარეს ასხამს.
– ჰოლდენ, ჯიგარი ხარ! – სოფომ მამას ზურგზე ხელი დაჰკრა ერთობ ენერგიულად.
– ე, სინ, ცოტა ნაზად! გოგო ხარ თუ,.. პერშინგი?
ამის გაგონებაზე ალინი უცებ გამოცოცხლდა.
– იეს, ჯენერალ… ფერშინგ… ჰიროუ… ჩვენი არმი აქ მოვიდეს და… გაამო,.. ათავისუფლებს!
– კი, როგორ არა,.. გაამო,..თ! – ვითომ იოხუნჯა აჩიკომ.
– რა,.. არა?.. რატომ არა?! – შეშფოთდა ალინი.
– იმიტომ არა, რომ ამერიკული არმია რუსეთში ვერ შემოიჭრება…
– რუსეთში? ინ რაშა? ჩვენ რუსეთში ვართ?! – ერთხმად შეჰკივლეს სოფომ და ალინმა.
– აბა, სად ჯანდაბაში ვართ? საქართველო რომ რუსეთშია, პირველად გაიგეთ? – დაიმანჭა აჩიკო და წაიღიღინა, – საქართველო რუსეთია, საქართველო ისე ჰქვია…
ალინი ამ განმარტებამ, ცხადია, ვერ დააკმაყოფილა.
– ეს არ არის,.. ინდეფენდენთ ჯორჯია?
– ინდეფენდენთ დამოუკიდებელს ნიშნავს, არა? – სიმწრით ჩაეცინა აჩიკოს, – პატივცემულო ალინ,.. ჩვენ, სინამდვილეში, ვიმყოფებით დიდ შავ ხვრელში, რომელსაც ეწოდება რუსეთი… მთელი ეს ინდეფენდენთი თავის ბაზარ-ვაგზლიანა ამ ხვრელშია…
– ხ,.. ვ,.. რ,.. ელში? – დამარცვლა ალინმა.
– ბლექ ჰოულ, – თქვა სოფომ, – ქოლლაფსედ სთარ…
– ამო,.. ამომიხსენით… – სთხოვა ალინმა რატომღაც აჩიკოს და არა სოფოს.
– აგიხსნათ? – აჩიკომ უცებ თავი დაიჭირა იმაზე, რომ რატომღაც აღარ აღიზიანებს ალინის „ტკბილქართული“.
– იეს, იეს!
– ო კეი! – აჩიკომ იგრძნო, ლაპარაკის იშტაზე მოვიდა.
წვიმა ოდნავ მინელდა, ისე გააფთრებით აღარ ასხამდა. ღუმელი გემრიელად ღუღუნებდა. აჩიკომ, როგორც იქნა, სანატრელი ტოლჩა მიიღო, მართალია, ჩაის ფერი აღარ ეტყობოდა, მაგრამ დიდი ყლუპი მაინც მოსვა ხარბად და… დაიწყო:
– ძვირფასო ალინ, დე იურე, ეს მართლაც ინდეფენდენთ ჯორჯიაა, მაგრამ ამერიკა თავის სახელოვან „არმის“ ვერ შემოიყვანს აქ, რადგან დე ფაქტო, ეს ტერიტორია (მიაქციეთ ყურადღება, ტერიტორია, და არა სახელმწიფო) ისევ და ისევ რუსეთის ორბიტაში რჩება…
– ორბიტაში? – გაიმეორა ალინმა.
– ნუ, რუსეთის გავლენის სფეროა… აი, წარმოიდგინეთ, ვთქვათ, პატარა ქრცვინი,..
– ქრცვინი? – ვერ გაიგო ალინმა.
– ცხოველია პატარა, რუსულად, ხამიაკი,.. თუ სუსლიკი… სოფო, უთარგმნე… – სთხოვა აჩიკომ.
– ქრცვინი არ ვიცი… ჰო, შეიძლება, ესაა… ჰამსთერ…
– მოკლედ, ერთი ციცქნა ჰამსთერი, რომელსაც სორო აქვს ტყეში,.. მოვიდა დიიდრონი დათვი და ამ სოროს თავზე მოიწყო ბუნაგი… ისმის კითხვა, ვისი გავლენის ქვეშ იქნება დასახელებული ქრცვინი?.. მეზობელი დათვისა თუ ცხრა მთას იქით მცხოვრები ბიზონის?

– საქართველო არავითარი ქრცვინი არაა! – თითქოს ეწყინა სოფოს, – და ცხრამთასიქითა ბიზონიც აღარაა ცხრამთასიქითა,.. აქვეა,.. და ეს ყველაფერი, საერთოდ, ტყეში კი აღარ ხდება, არამედ ცხოველთა ფერმის ეზოში,.. დათვი კი, სულაც, გალიაშია…
– გეგონოს!.. რა ილუზიებია? – გულწრფელად გაუკვირდა აჩიკოს, – და ეს ფერმა საიდანღა მოიტანე? რა, ჯორჯ ორუელი გაგახსენდა?
სოფომ პასუხი არ გასცა.
– კეთილი და პატიოსანი, – გააგრძელა აჩიკომ, – არაა ქრცვინი და ნუა, მაგრამ რას უზამ იმას, რომ რუსეთი ჩვენშია შინაგანად, ჩვენს ცნობიერებაში?
– არავითარი რუსეთი ჩემს ცნობიერებაში არაა! – კატეგორიულად გამოაცხადა სოფომ.
– შენ, ჩემო ძვირფასო სინ-ძინრუი, ახალი მოდგმა ხარ, ასე ვთქვათ, ახალი გენერაცია, შენზე არაა ლაპარაკი, – ერთობ შემრიგებლური ტონით გააგრძელა აჩიკომ, – ლაპარაკია იმ ხალხზე, ვინც საბჭოთა პერიოდში დაიბადა და გაიზარდა, ვინც მართავს საქართველოს და ვინც თავს ამართვინებს… ჩვენ ყველანი ისევ იქა ვართ… პიონერლაგერში…
– და რათომ ვერ,.. გამო,.. აქციეთ?
– რატომ ვერ გამოვაღწიეთ? – მიხვდა აჩიკო, – ჰოო, ერთი სიტყვით ამის ახსნა ცოტა ძნელია… ჩვენი ცნობიერება დაპროგრამებულია… მაგრამ საქმე მხოლოდ კომუნისტებში არაა, პატივცემულო ალინ, ეს გაცილებით ადრე დაიწყო, XIX საუკუნეში, მეფის რუსეთმა გახრწნა ჩვენი ცნობიერება, და გადააგვარა…
– ჰოლდენ, არ გგონია, რომ ყველაფრის რუსეთზე გადაბრალებით აპრიმიტივებ, და პასუხისმგებლობასაც იხსნი? – ერთობ მკაცრად იკითხა სოფომ.
– არა, მე უბრალოდ… ფაქტის კონსტატაციას ვახდენ,.. და პროცესებს მინდა თვალი გავადევნო, – თითქოს თავი იმართლა აჩიკომ, – და, რაც მთავარია, ის მინდა ვთქვა, რომ რუსეთი განსაკუთრებული მოვლენაა, უნიკალური… ესაა უსაზღვრო, უკიდეგანო, მეტაფიზიკური სიცარიელე, რომელიც გიწოვს, გისრუტავს, შავი ხვრელივით… და სულიც ამოგვწოვა… ესაა სიცარიელე, საიდანაც ვერ გამოხვალ, ვერ გამოაღწევ, ისეთი ძალა აქვს…
– სიცარიელეს ძალა აქვს? – დაეჭვებით იკითხა სოფომ.
– უდიდესი ძალა, – თავი დაუკრა აჩიკომ, – რადგან სიცარიელეა, შინაგანად ცარიელია, უარსოა, ნებისმიერი სახის მიღება შეუძლია, ნებისმიერად წარმოგიდგენს თავს… ის ხან ევროპაა, განათლებული, პროგრესული, პრაგმატული,.. ხანაც აზია, – იდუმალი, ბნელი, მისტიკური… და სინამდვილეში კი არცერთი არაა, სიცარიელეა… ვაკუუმი…
– კარგად არ,.. გავიგე… – თქვა ალინმა ოდნავი ყოყმანით.
– კარგად არც მე მესმის… – მიუგო აჩიკომ, – და, ალბათ, არც არავის… და ამ სიცარიელეს თვალებში თუ ჩახედავ, შეძრწუნდები, შეირყევი,.. გაგიჟდები და,.. მოკვდები… ისეთი საზარელია და,.. იდუმალი… როგორც გოგოლის ვიი, რომელსაც არ უნდა შეხედო, არ შეიძლება, თორემ,..
– ვიი? –გააწყვეტინა ალინმა აჩიკოს და სოფოს შეხედა, მითარგმნეო.
– როგორ ვუთარგმნო? – მიუბრუნდა სოფო მამას.
– მე რა ვიცი?! – რატომღაც გაბრაზდა აჩიკო. – შინაარსი აუხსენი, არ იცი, რა იგულისხმება?
– არა, – გულახდილად აღიარა სოფომ.

– გოგოლის „ვიი“ არა გაქვს წაკითხული?! – აჩიკო გაოცებული და თითქმის შეურაცხყოფილიც კი
ანდა.
– არა. – მშვიდად უპასუხა სოფომ.
– არა? აბა, რა გაქვს, საერთოდ?!
სოფომ არაფერი უპასუხა. შემდეგ კი ცივი, უემოციო, მექანიკური ინტონაციით, თითქოს მორზეს დროინდელი ტელეგრაფის აპარატი ამუშავდაო, ჩაარაკრაკა:
– ეგ შენი ნათქვამი არაფერს არ ხსნის, ჰოლდენ… დავუშვათ რუსეთი სიცარიელეა,.. დავუშვათ, მართლა „შავი ხვრელია“… უნდა ახსნა, რატომ… უნდა განმარტო… შენი ეგ ნათქვამი ცარიელი სიტყვების რახარუხია… მეტი არაფერი…
– ეგ ჩემი ნათქვამი არაა! – გაბრაზდა აჩიკო.
– აბა?
– თვითონ რუსები წერენ!
– მაგალითად?
– დმიტრი ბიკოვი, თუნდაც… მიკვირს შენი, სინ-ძინ,.. მეგონა ნაკითხი ქალიშვილი მყავდა…
სოფომ არაფერი უპასუხა. დემონსტრაციულად იცვალა გვერდი და სიბნელეს მიაშტერდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ლაპარაკის სურვილი აჩიკოსაც დაეკარგა, სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან ისე, არც დაუთვლია, რამდენი ღერი დარჩა, და მოუკიდა,.. ბოლომდე ჩაკლა, დაუბიჩოკებლად.
სიბნელე თითქოს კიდევ უფრო შედედდა. ღუმელი ოდნავღა ბჟუტავდა. წვიმის ხმა მინავლდა, ან, შეიძლება, ყური შეეჩვია და ვეღარ აღიქვამდა. „პატრონი“ ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა ზურგით კედელს მიყრდნობილი, თვალდახუჭული, მაგრამ აჩიკო გრძნობდა, ქუთუთოებს შორის დარჩენილ ღრიჭოდან ისევე უთვალთვალებდა, როგორც ტანკისტი ტანკის საჭვრეტიდან.
მოულოდნელად ალინი ალაპარაკდა ინგლისურად, რაღაცას უყვებოდა სოფოს, შეუჩერებლად, დიდხანს, მღელვარედ – და აჩიკომ თავი დაიჭირა იმაზე, რომ ერთიან ნაკადად ქცეულ გაუგებარ სიტყვებში რაღაც მუსიკის თუ მელოდიის მსგავსი ჩაესმის, და სიამოვნებს… სოფო უხმოდ უსმენდა ალინს, მხოლოდ ერთხელ ჰკითხა რაღაც… ალინი ისევე უეცრად დადუმდა, როგორც დაიწყო.
ოფომ მამას მხარზე შეახო ხელი, თითქოს ანიშნა, მოსასმენად მოემზადეო, ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო:
– იყო ერთი ბიჭი, ჰენრი შეკლტონი… ალინს უყვარდა ძალიან…
– აბა, რა იქნებოდა… – ოდნავ სარკასტულად ჩაილაპარაკა აჩიკომ.
– ნუ მაწყვეტინებ! დამავიწყდება! – საახალწლო კონცერტის რეპეტიციაზე გამოსული ბეჯითი ბავშვივით შესძახა სოფომ და განაგრძო, – ერთად იზრდებოდნენ, მეზობლები იყვნენ და მეგობრები, ერთ კლასში სწავლობდნენ…
– რომელ კლასში? – იკითხა უცებ აჩიკომ.
– რა, რომელში? – ვერ გაიგო სოფომ.
– რომელ კლასში შეუყვარდა? – დააზუსტა კითხვა.
– კარგი რა, მამა… – ხმადაბლა, პაუზებით უთხრა სოფომ. „მამა“ ისეთი იშვიათობა იყო სოფოს ლექსიკაში, რომ აჩიკომ იგრძნო, მართლა უნდა გაჩუმებულიყო.

– თურმე, ის ბიჭი ძალიან ამაყობდა თავისი წინაპრით… პოლარული მკვლევარი და მოგზაური ყოფილა შეკლტონი, ერნსტ ჰენრი შეკლტონი. 1909 წელს მის ექსპედიციას თითქმის მიუღწევია სამხრეთ პოლუსამდე… ცოტაღა დააკლდათ… მისი ჩანაწერების წიგნი, მისი დღიური ზეპირად იცოდა… ალინს უყვებოდა, როგორ მიდიოდნენ თოვლში, როგორ შიმშილობდნენ, როგორ იყინებოდნენ… როგორ ვაჟკაცურად გაუძლეს ყველა განსაცდელს… ოცნებობდა, რომ თვითონაც მოგზაური გახდებოდა… ხშირად იმეორებდა სიტყვებს დღიურიდან: „ადამიანები შორეულ, უცხო ქვეყნებში სხვადასხვა მიზეზის გამო მიემგზავრებიან: ზოგიერთს ამისკენ უბიძგებს უბრალოდ თავგადასავლების სიყვარული, ზოგს – დაუძლეველი ცნობისწადილი, ზოგიც კარგად გაკვალული გზებიდან გადაჰყავს ელფების მიმზიდველ ხმებს, შეუცნობელ იდუმალებასა და ხიბლს,..“

– ელფების მიმზიდველ ხმებს? – გაიმეორა აჩიკომ.

– ჰო,.. მომნუსხველ… – დააზუსტა სოფომ და გაჩუმდა.

– მერე? – ჰკითხა აჩიკომ.

– მერე… მოკლედ… არაფერი… მასაც ესმოდა ელფების ხმა… დაეხეტებოდა ტყე-ღრე… ზოგჯერ ალინიც მიჰყვებოდა… ის ბიჭი სათავგადასავლო მოთხრობებს წერდა… ალინს უკითხავდა… ერთხელაც ჟურნალში გააგზავნა, ნიუ-იორკში, მაგრამ დაუწუნეს,.. წერილი გაუგზავნეს… იმ საღამოს მარტო წავიდა ტყეში, თუმცა ამინდი ფუჭდებოდა, ქარიშხალი იწყებოდა… და მერე… მერე… მოკვდა. მეხმა დაარტყა.

– მეხმა დაარტყა?!

აჩიკო რატომღაც ასეთ დასასრულს არ ელოდა, გაუკვირდა და თან რატომღაც ჟრუანტელმაც დაუარა. თუმცა, იმავდროულად, კინაღამ გაეცინა – ასეთ სიკვდილში არის რაღაც… რაღაც ისეთი… ხელოვნური… ანდა, პირიქით… ზებუნებრივი…

– და მერე, დიდი ხნის მერე გაიგო ალინმა შემთხვევით, რომ ის გამოჩენილი მოგზაური შეკლტონი თურმე სულაც არ ყოფილა მისი წინაპარი…

– გამოიგონა?

– უბრალოდ, მოგვარე ყოფილა… და ალინმა მითხრა ბოლოს, როცა მსოფლიოში ვმოგზაურობ და შემოქმედ ბავშვებს ვეხმარები, ისეთი შეგრძნება მიჩნდებაო, რომ,.. თითქოს… რომ,.. რომ,.. – სოფოს ხმა ოდნავ აუკანკალდა. გაჩუმდა.

აჩიკო კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) განცვიფრდა. სოფოსგან ამას ნამდვილად არ მოელოდა, ვერც კი წარმოიდგენდა. ყველა-ყველა, მაგრამ სოფოს, რკინის სოფოს, რომელსაც ზოგჯერ სოფო ტეტჩერს ეძახდა, ხმა აუკანკალდა!

– მე წავედი… ანტარქტიკ… საუს პოლ… – თქვა უცებ ალინმა.

– ფეხით? – არ დაიჯერა აჩიკომ.

– ნოუ, – თქვა ალინმა და სოფოს რაღაც გადაულაპარაკა.

– იმით ყოფილა,.. მუხლუხოებიანი,.. ვეზდეხოდით! – თქვა სოფომ და გაჩუმდა.

უეცრად იელვა, იქაურობა თითქოს აფეთქდაო, ისე განათდა და ისე დაიგრუხუნა, ზესკნელის ჩამონგრევის ხმასა ჰგავდა…

მფრინავი ჰოლანდიელის ანძასავით ბებერი, ხმელი, ურიცხვგრიგალგადატანილი ფიჭვი მათ თვალწინ ცეცხლში გაეხვია და აბრიალდა…

მაშხალასავით იწვოდა, წვიმა აქრობდა, მაგრამ ვერ ერეოდა, ხეს თითქოს შიგნიდან ემატებოდა სიმხურვალე და ალი შესუსტების ნაცვლად ძლიერდებოდა… ცეცხლი იყო

უცნაურად თეთრი, კაშკაშა, მფეთქავი, თითქოს თვითონ ელვა შემოხვეოდა ხეს… გაშტერებულები უყურებდნენ ამ, პირდაპირი გაგებით, თვალისმომჭრელ სანახაობას სარკმელში ისე, თითქოს კინოეკრანზე… თვალს ვერ სწყვეტდნენ… მაგრამ უცებ წვიმამ დასცხო და ცეცხლი მოაშთო… დაბნელდა.
– აი, ესაა… ადამიანის ცხოვრება… – ჩაილაპარაკა აჩიკომ.
– რა ეს? – იკითხა სოფომ საყვედურნარევი ხმით, თითქოს გული დასწყდა, მდუმარება რომ დაირღვა.
– დაგატყდება ზეციური ცეცხლი, აინთები,.. ვერ მოასწრებ აგიზგიზებას და,.. გაქრობს ისევ ზეციდან მოსული… წყალი…
– წყალი… წყალობა… – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა სოფომ, – იქნება ეს ჩვენთვის იყო… ნიშანი… ეს მეხი და,..
– კარგი რა, სინ-ძინ,.. რა ზღაპრებია! ნიშანი! რამდენი მილიონი კილოვოლტი დაიხარჯა ამ ვითომ ნიშანზე? და რაც მთავარია, სრულიად გაუგებარია, რისი ნიშანია! – გააწყვეტინა აჩიკომ, ცოტა არ იყოს, აგდებული ტონით.
– ტყუილად გეძახდი, ეტყობა, ჰოლდენს… – ჩაილაპარაკა სოფომ თითქმის ნაღვლიანად, – ფანტაზია არა გყოფნის, თუ რაა…
აჩიკოს უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაც ძალიან გესლიანი კაცობრიობის მომავლისა და „ნათელი“ პერსპექტივების შესახებ, მაგრამ ამის ნაცვლად ჩაილაპარაკა:
– რომელი საათი იქნება, საინტერესოა…
„პატრონმა“ გაიგონა ეს, თუ, უბრალოდ, დამთხვევა მოხდა, იმავე წამს საათზე დაიხედა. ფოსფორწამსმული, სიბნელეში მანათობელციფრებიანი საათი ჰქონდა. მისი ეს მოძრაობა სოფომაც შენიშნა და მოულოდნელად დაუმახ:,
– ჰეი, გვითხარით რა, რომელი საათია,.. დაგველაპარაკეთ,.. ნუ გეშინიათ, კი არ შეგჭამთ!
„პატრონი“ არც კი შეტოკებულა.
„კაიფში ხომ არ არის?“ – გაიფიქრა აჩიკომ.
სოფომ თავი მიადო მხარზე მამას და თვალები დახუჭა. ასევე მოიქცა ალინიც. აჩიკო ოდნავ შეიშმუშნა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ალინს ისე აღიქვამდა უკვე, როგორც დიდი ხნის ახლობელს და არა როგორც უცხო ქალს,.. ქალს, რომელიც თან არ მოგწონს, მაგრამ თან გინდა, რომ მას მოეწონო…
„რა აბსურდია, – ფიქრობდა აჩიკო, – რა არარეალური აბსურდია… რაღაც ვოდევილსა ჰგავს… ვინმეს მოეყოლა, არ დავიჯერებდი, რომ შეიძლება გაგიტაცონ და მერე ასეთ ადგილას ყავდე… და ისე ყავდე, როგორც… სანატორიუმში.“
რატომ მოუვიდა ასეთი შედარება თავში, თვითონაც არ იცოდა,.. ამ ფარდულის სანატორიუმთან შედარებაც აბსურდი იყო თავისთავად… აჩიკომ კიდევ ერთი ღერი მოწია. კინაღამ ჩაეძინა ანთებული სიგარეტით ხელში, გამოფხიზლდა, გაიფიქრა, „ხანძარი ხომ არ გავაჩინო?“ მაგრამ ავანტურიზმი მისგან ისევე შორს იყო, როგორც სამხრეთ პოლუსი, ამიტომ ნამწვი საგულდაგულოდ ჩააქრო და ისე დაიძინა…
გამთენიისას ჩაესმა:
– პრიომ,..
„პატრონი“ გარეთ გასულიყო, წვიმაში, მაგრამ ეტყობა იქვე იდგა, ფარდულის კედელთან და რაციით ლაპარაკობდა. აჩიკო დაიძაბა, წამოიწია – ალინს და სოფოს მოკუნტულებს

ეძინათ აქეთ-იქით, არც განძრეულან – ყურიც კი მიადო კედლის ფიცარს, უკეთესად რომ გაეგონა ლაპარაკი… მხოლოდ წვეთების წკაპა-წკუპი ისმოდა, მერე ისევ:
– პრიომ,.. პრიომ,.. რაა? ხიდი წაიღო?!. პრიომ…
ეს იყო და ეს, რაც გაიგონა… „პატრონი“ კარგა ხნის მერე შემოვიდა და საძილეზე მიეგდო. აჩიკოს უცებ მოეჩვენა, მეტად აღელვებულია. „საწყალი“, – შეეცოდა უნებურად, და მერე თავის თავსა და თავის გულჩვილობაზე გაეცინა…
„აბსურდის თეატრი მიმიქარავს…“ – გაიფიქრა.
ის დღე აჩიკოს მეხსიერებაში ბუნდოვან ლაქად დარჩა – გადატანილი ნერვიულობის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაძაბულობის ბრალი იყო, თუ უბრალოდ, ორგანიზმს რესურსი ამოეწურა და ძალების აღდგენა სჭირდებოდა, მაგრამ მთელი დღე ძილ-ბურანში გაატარა, თვლემდა და ვერაფრით ფხიზლდებოდა. მხოლოდ ერთხელ, როცა „პატრონმა“ კარტოფილი მოხარშა (ეტყობა, ფარდულში სადღაც მარაგი ჰქონდა დამალული) და ისაუზმეს, ისადილეს და ივახშმეს ერთდროულად, ცოტა ხნით გამოერკვა, მაგრამ მაინც ისე გამოიყურებოდა, თითქოს ზეზეულად ეძინა თვალგახელილს.
ალინი და სოფო მთელი დღე უწყვეტად ლაპარაკობდნენ, არა, უფრო ლაქლაქებდნენ, ინგლისურად, და მათი ხმა მარჯვნიდან და მარცხნიდან, ორივე ყურში იავნანასავით, არა, ბავშვობისდროინდელ, სამზარეულოში მუდმივად ჩართული რეპროდუქტორის ბუტბუტივით ჩაესმოდა. კიდევ მაშინ გამოფხიზლდა რამდენჯერმე, როცა ალინმა „იანკი-დუდლი“ შემოსძახა…
„ნამაზია, მამაძაღლი?!“ – გაიფიქრა აჩიკომ, როცა მეხუთედ ჩაესმა ალინის შთაგონებული სოპრანო. მერე მიხვდა, მოგვიანებით, ალინისთვის მშობლიური ჰიმნი იგივე იყო, რაც ნარკომანისთვის ახალი დოზა,.. არა, რაც „კალაშნიკოვისთვის“ – ახალი მჭიდი.
„პატრონი“ ალინის „კონცერტებს“ ეტყობა შეეგუა თუ მიეჩვია, და არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა, ძირითადად, გაშოტილი იწვა თავის საძილეზე, თავქვეშხელამოდებული და ჭერში იყურებოდა, თუმცა, შეიძლება არც იყურებოდა, შეიძლება, თვალები დახუჭული ჰქონდა. აჩიკო თავისი ადგილიდან ამას ვერ ხედავდა. პერიოდულად დგებოდა. ავტომატს შლიდა-აწყობდა, შლიდა-აწყობდა…
აჩიკოს რაღაცნაირი უღონობა დაემართა, ძილქუშნარევ-სასომიძინებული…
მაშინაც კი არ შესტოკებია ემოციის წარბი, როცა, წესით, უნდა აღელვებულიყო, როცა ქალებმა ტუალეტში გაყვანა ითხოვეს. ერთადერთი, რაც მოახერხა, სოფოს უთხრა:
– აბა, ჭკვიანად…
თან თავი დაიმშვიდა – „არა, მართლა გიჟები ხომ არ არიან, ავტომატიან კაცს ეცენ…“ საბედნიეროდ, ტუალეტში ღაშქრობამ ექსცესების გარეშე ჩაიარა.
მაგრამ სოფო და ალინი სერიოზულად რომ ფიქრობდნენ გაქცევას, მალევე დარწმუნდა. რაღაც მომენტში აშკარად ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი, შესამჩნევად ხმამაღლა და ცოტა ხანში აჩიკო მიხვდა, რაშიც იყო საქმე – ეს იმისთვის დასჭირდათ, რომ ხმაური ჩაეხშოთ, – ალინი და სოფო ერთდროულად, რიტმული თუ სინქრონული მოძრაობით ცდილობდნენ მოერყიათ ზურგსუკან ის რკინა, რომელზეც ბორკილებით იყვნენ მიბმულები. მაგრამ რკინა შურუპებით იყო მიმაგრებული ფიცრის კედელზე და

მიუხედავად ფარდულის ზოგადი და თვალშისაცემი ფარღალალობისა, მაინც საკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა.
– გაჩერდით! – შემცბარმა უჩურჩულა სოფოს, – აზრი არა აქვს…
– კარგი რა, ჰოლდენ, – რაღაცნაირი, თითქმის გულისგანმგმირავი სინანულით უთხრა სოფომ, – მე შენზე უკეთესი წარმოდგენა მქონდა.
აჩიკომ დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი სოფოს, გვერდზე წამოწვა, ბორკილიანი ხელი თავქვე ამოიდო და ალინის პროფილს მიაჩერდა – ორმოციოდე სანტიმეტრი ჰყოფდათ…
„რატომ არ მომწონს ეს ქალი? – ფიქრობდა აჩიკო და თავისი თავისა უკვირდა, – როცა გვერდით ქალი გიწევს, მთლად მათხოჯი რომც იყოს, მაინც უნდა იგრძნო რაღაც, ქალი ქალია…“ არადა ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ გრძნობდა და სწორედ ეს აღიზიანებდა ყველაზე მეტად – საკუთარი უგრძნობელობა. აღიზიანებდა და თანაც აოცებდა…
რა ელოდათ, ამაზე არ ფიქრობდა. თუ რამე იყო მისთვის ფსიქოლოგიურად კომფორტული ასეთ, ერთობ „თავისებურ“, მდგომარეობაში (თუკი რამ შეიძლება საერთოდ ყოფილიყო!) სწორედ ის იყო, რომ მასზე პირადად არაფერია დამოკიდებული, საერთოდ აღარაფერი, და რადგან პასუხისმგებლობაც აღარ ეკისრებოდა, შინაგანად ერთგვარად თავისუფლად იგრძნო თავი. ტყუილად კი არ ამბობდა, „ვიზიონერი“ ვარო…
სასიამოვნოა მოვლენებს უყურო გვერდიდან, როცა მათ შუაგულში ხარ გაჩხერილი…
დაღამდა. წვიმა ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, შეწყდა, თუმცა, აჩიკოსთვის მაინც რატომღაც უეცრად და მოულოდნელად. სარკმელში სავსე მთვარემ შემოანათა, ბადრზე ბადრმა, ვეებერთელამ… ღრუბლები თითქოს ფარდასავით ერთიანად გადასწია უხილავმა მარჯვენამ. ისეთმა სიჩუმემ და სიმყუდროვემ აავსო იქაურობა, რომ ღუმელში იშვიათი გატკაცუნებაც კი უადგილოდ და უხამსად გაისმა.
და უცებ… ყმუილი! გულისშემძვრელი, მკივანი, ძარღვებდამხეთქავი…
„მგელი!.. ასე ახლოს?!“ – გაუელვა აჩიკოს და იგრძნო, როგორ მიეკვრნენ ორივე მხრიდან ქალები.
საზარელი ხმა განმეორდა და უეცრად აჩიკო მიხვდა, – ხმა ფარდულის შიგნით ისმოდა… ეს ხმა,.. ეს ხმა,..
პატრონის“ ხმა იყო!
მთვარის შუქზე აჩიკომ დალანდა „პატრონი“, რომელიც ძალიან ნელა წამოიმართა, ერთ ადგილზე დაბზრიალდა უხმოდ რამდენჯერმე, მუხლებზე დაემხო, ხელები საფეთქლებზე მიიჭირა მთელი ძალით, თითქოს უნდაო საკუთარი თავის ქალა ჩასრისოს, ჩაამტვრიოს, ჩალეწოს და რაღაც საზარელი, შიგნით ჩაბუდებული, გარეთ გამოუშვას...
„პატრონმა“ მთვარეს ახედა, ამოიგმინა და კიდევ ერთხელ დაიყმუვლა, ხორხში დაჭრილი მგელივით…
გაოგნებული აჩიკო უცებ მიხვდა – ეს ტკივილის ყმუილი იყო, ისეთი გაუსაძლისი ტკივილისა, რომელსაც ცოცხალი არსება ვერ დაითმენს, რადგან სიკვდილზე მეტია… მეტია იმიტომ, რომ სიკვდილსაც იტევს თავის თავში…
„ლომკაშია?!“

„პატრონი“ ფეხზე წამოდგა და სომნამბულასავით წავიდა თავზეხელებშემოჭერილი პირდაპირ კედლისკენ ისე, თითქოს ვერ ხედავსო კედელს… აჩიკომ უცებ თავი დაიჭირა იმაზე, რომ მსგავსი სცენები უნახავს, თანაც არაერთხელ, ოღონდ რეალურ ცხოვრებაში კი არა, არამედ სრულიად ბრიყვულ ვიდეოფილმებში… სოფოს გადახედა… გამომეტყველება ჰქონდა ისეთი, ხიჩკოკის მოძულე მაყურებელს რომ დაამშვენებდა…
„ნუთუ შეიძლება რეალობა იყოს კინოს პაროდია?!“ – გაიფიქრა. მერე ოსკარ უაილდის სენტენცია გაახსენდა,
„ცხოვრება ხელოვნების იმიტაციაა“…
ეს ყველაფერი უკვე მართლა სცილდებოდა ყოველგვარ ფარგლებს, წარმოსადგენსაც და წარმოუდგენელსაც, დასაშვებსაც და დაუშვებელსაც…
„პატრონი“ კედელს დაეჯახა, გვერდზე გადაქანდა, და აჩიკოს უკვე ეგონა, რომ ღუმელს გადაემხობოდა, მაგრამ გადარჩა, სასწაულად შეინარჩუნა წონასწორობა. მოულოდნელად საკუთარი ღერძის გარშემო შემობრუნდა და მოპირდაპირე კედლისკენ წავიდა…
ალინის, სოფოს და აჩიკოს არსებობა, ეტყობა, დაავიწყდა, ალბათ, ვერც აღიქვამდა. „პატრონმა“ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რაღაცას წამოედო, დაეცა, დაიკრუნჩხა და ძაგძაგი დაეწყო, გულყრის მაგვარი, კონვულსიური… აჩიკომ ამას ვეღარ გაუძლო და თვალები დახუჭა…
„პატრონი“ აღარ ყმუოდა, ხმას საერთოდ არ იღებდა, მიწაზე ეგდო და ისეთ საზარელ მოძრაობებს აკეთებდა მთელი ტანით და ყველა კიდურით, თანაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რომ ამას, ალბათ, ჯობდა ეყმუვლა…
აჩიკომ ცალი თვალი გაახილა, – იგრძნო სოფოს მოძრაობა, – და რას ხედავს! სოფო იქვე გართხმულ, უკვე გონდაკარგულ თუ გათიშულ „პატრონს“ ნაქსოვ ნიღაბს აძრობს და… აჩიკომ „პატრონის“ სახეს დახედა და თვალები უმალ დახუჭა… სახეზე კანი სანახევროდ თითქოს ამოჭმული ჰქონდა, თითქოს ცარიელი შიშველი ხორციაო, წითელი,.. ბაზარში, დახლზე ნანახი წითელივით…
როცა აჩიკომ კიდევ ერთხელ გაბედა თვალის გახელა, დაიბნა, ვერ მიხვდა, რას უკეთებდა სოფო „პატრონს“… ხელს აჭერდა, თითქოს სტკენდა და თან ეფერებოდა… და უცებ მოისაზრა… წერტილოვან მასაჟს უტარებდა!
„ვაჰ… აუჰ!.. ერიჰაა…“ – ამის გაფიქრებაღა მოახერხა აჩიკომ, არც სიტყვები ეყო, არც აზრი… მხოლოდ ემოცია ავსებდა, რომელსაც ვერ გამოხატავდა, რომლის სახელიც არ იცოდა… რაღაც ახალი იყო, რთული, შედგენილი, მრავალშრიანი – ერთდროულად ზიზღიც, აღფრთოვანებაც, გაოგნებაც, თანაგრძნობაც, სიძულვილიც, აღშფოთებაც და კიდევ რაღაც…
ალინი რაღაც მომენტამდე გაყუჩებული იყო, მხოლოდ თვალები ჰქონდა დაჭყეტილი ისე, რომ იფიქრებდი, მისი პაპის პაპის განაწვალები ყველა ნეგროიდის აჩრდილი ერთდროულად მოელანდაო. მაგრამ ალინი, ბოლოსდაბოლოს, ეტყობა, გამოერკვა, და მისთვის ჩვეული ენერგიულობით გადაწყვიტა დახმარებოდა სოფოს, აჩიკოს სრულიად უცერემონიოდ გადააწვა ზედ, „პატრონს“ რომ მისწვდომოდა. აჩიკოს რაღაც შეერჭო გვერდში, გაახსენდა როგორ ჩაეხუტა ალინი პირველ დღეს სოფოსთან ოფისში და, თავისდაუნებურად, საკუთარი თავისთვის მოულოდნელად, ალინს,.. აკოცა. კოცნით კი აკოცა, მაგრამ ისე უხერხულად, რომ კინაღამ თვითონვე გაეცინა, ალინის წვეტიანი

ნიკაპის მთლად წამახვილებულ ბოლოს შეეხო ოდნავ ტუჩებით… რატომ გააკეთა ეს, არ იცოდა, შეიძლება იმიტომ, რომ უნდოდა შეემოწმებინა, იგრძნობდა რაიმეს, თუ არა… ალინმა ეგრევე, თანაც, საკმაოდ უხეშად, მოიშორა, ხელი ჰკრა, თუმცა სოფოს მიშველება ვეღარ მოახერხა, ჯერ ერთი, „პატრონს“ ვერ მისწვდა (საკმარისად შორს ეგდო მისგან), მეორეც, „პატრონი“ უცებ წამოჯდა და თვალები გაახილა…
მთვარის შუქზე ეხლაღა დაინახა აჩიკომ გარკვევით, რომ 17-18 წლის ბიჭი იყო, სახეზე საზარელი ნაიარევით…
„პატრონი“ ცოტა ხანი გაუნძრევლად იჯდა, მერე სახეზე ხელი მოისვა, მიხვდა, რომ ნიღაბი აღარ აქვს, წამოხტა და გარეთ გავარდა…
გავიდა თუ არა გარეთ, მთვარეს ღრუბელი მოეფარა. დაბნელდა. ისევ აწკაპუნდნენ წვეთები, ჯერ ზანტად, მერე მალი-მალ, თითქოს გამხიარულდნენო.
აჩიკო, სოფო და ალინი ისხდნენ ნახერხით მოფენილ, ალაგ-ალაგ წვიმის წყლისაგან დასველებულ და ატალახებულ მიწის იატაკზე და ხმას ვერ იღებდნენ.
– როგორ ბნელა,.. – თქვა აჩიკომ მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც ეთქვა. სიჩუმე გაუსაძლისი იყო.
– სანთელი მაინც გვქონოდა… – ჩაილაპარაკა სოფომ. – ღუმელიც ჩაქრა…
ალინი შეეცადა ღუმელში ფიცრის ნასხლეტი შეეგდო, მაგრამ ააცილა. ღუმელი მისგან მოშორებით და თან გვერდულად იდგა.
ამ დროს „პატრონი“ შემოვიდა, ზურგჩანთა გახსნა, ფარანი აანთო, რაღაცას ძებნა დაუწყო, მალევე იპოვნა და თავზე ჩამოიფხატა – ახალი ნაქსოვი ნიღაბი აღმოჩნდა, ამჯერად მუქი მწვანე ფერისა (შავი ნიღაბი, რომელიც სოფომ ააძრო, სადღაც სიბნელეში ეგდო). მერე მომცრო სანთელი ამოიღო ზურგჩანთიდან, აანთო, ფარანი ჩააქრო, „ტუსაღებთან“ მივიდა და სანთელი რაღაც დანადგარზე, შიგნეულობაამოცლილ, გაფატრულ, საკმაოდ მოზრდილ ელექტროძრავაზე დაამაგრა, რომელიც სოფოს მხარეს ეგდო კედელთან, და იქვე დაჯდა, ფეხმორთხმით.
საკმაო ხანი ისხდნენ ასე, მდუმარედ, პირისპირ და სანთლის მქრქალ შუქზე უყურებდნენ ერთმანეთს, – ისე ათვალიერებდნენ, თითქოს პირველად ნახესო ერთურთი...
აჩიკოს მოეჩვენა, რომ „პატრონს“ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობს,.. მის ბნელ, ჩამქრალ თვალებში თითქოს რაღაცა გაკრთა, თითქოს აციმციმდნენო თვალები, თუმცა, შესაძლოა, ეს უბრალოდ, სანთლის შუქი ირეკლებოდა…
– რა კარგი იქნებოდა, ადამიანები ტელეპატები რომ ვყოფილიყავით! – დაახეთქა უცებ სოფომ.
– ტელეპატები? – თითქმის ბავშვური, გულუბრყვილო ინტონაციით, თუმც კი კაცური, ბოხი ხმით იკითხა „პატრონმა“.
აჩიკოს მოულოდნელობისაგან ხველა აუტყდა.
ალინმა გადაიკისკისა და ტაშიც შემოჰკრა.
სოფოს წარბიც არ შეუხრია, თითქოს არაფერი მომხდარა განსაკუთრებული, მშვიდად უპასუხა:
– ლაპარაკი არ დაგვჭირდებოდა, პირდაპირ გავიგებდით ერთმანეთის აზრებს…
– არა, არ მინდა… – უცებ თქვა „პატრონმა“– თქვენი პოდლი აზრები...

„პატრონის“ მეტყველებაში რაღაც თავისებურება, აქცენტისმაგვარი რაღაც იყო, რის გამოც აჩიკომ იმპულსურად ჰკითხა:
– სუხუმსკი?.. სოხუმელი ხარ?
„პატრონი“ დაიძაბა. თავისდაუნებურად მოსჭიდა ხელი ხანჯალივით დანას, ქამარზე რომ ეკიდა.
– რა იცი?!
– ისე… ლაპარაკზე მივხვდი… მთელი ცხოვრება სოხუმში ვისვენებდი ზაფხულობით… წელი არ გამიშვია…
– ომის დროსაც?!
– არა… – აჩიკოს უნდოდა რაღაც ეთქვა, თუ როგორი სუსტი ჯანმრთელობა აქვს, და საერთოდ, რომ ბრტყელტერფიანია, მაგრამ, რატომღაც, ხმა არ ამოიღო.
„პატრონი“ დუმდა. პაუზა უსაშველოდ გაიწელა. აჩიკოს მოეჩვენა, თითქოს „პატრონი“ დუმდა ხაზგასმულად განყენებულად თუ გაუცხოებულად, თავჩაქინდრული. მერე აჩიკოს ამოხედა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:
– ია ბილ პაცანომ,.. ომის დროს… ვერ ვიომე…
– და ეხლა ომობ?! – აჯახა სოფომ, რაღაცნაირად დაუნდობლად. ისე ჰკითხა, თითქოს გამოწვევა უნდოდა და თან გაღიზიანებაც. ახლა უკვე აჩიკო დაიძაბა, რაღაცის შეეშინდა, სოფოს მხარზე ხელი დაადო, მაგრამ „პატრონმა“ სოფოს არ უპასუხა, ადგა, ღუმელთან მივიდა, დამტვრეული ფიცრის ნაკუწები შიგ შეყარა, ჩაიმუხლა, სული შეუბერა, მინავლებული ცეცხლი გააჩაღა, მერე თავის ადგილს დაუბრუნდა, დაჯდა, შიგნეულობამოცლილ ელექტროძრავას დაეყრდნო იდაყვით და დაიწყო მშვიდად, თითქოს ზღაპარს ყვებაო:
– მაჭარკაში იყო ჩვენი ხატა, სოხუმთან…
„ლაპარაკი მოენატრა, ალბათ“, – გაიფიქრა აჩიკომ.
– მამა ომობდა,.. დედა ჰოსპიტალში ექიმი იყო… მარტო ვიყავი… ჩემი და-ძმა პოლზე დაღოღავდა,.. იეი ბილო პალტარა გოდა, ემუ ტრი… როცა ტირილს იწყებდნენ, პურის ქერქს ვაძლევდი, ჩუმდებოდნენ… მთელი დღეები ფანჯარაში ვიყურებოდი, ველოდებოდი… როცა აბსტრელი იწყებოდა, სოხუმიდან დატვირთული მანქანები გამოვარდებოდნენ ხოლმე, ვიღაც-ვიღაცეები სოფლებში ითესებოდნენ… დროებით… ქალაქში კი მებრძოლების მანქანები შედიოდნენ… ფანჯარასთან ვიჯექი და ვითვლიდი, რამდენი გავიდა, რამდენი შევიდა… სოხუმს და აბსტრელს ერთმანეთს ვაჯიბრებდი… უფრო ხშირად აბსტრელი უგებდა სოხუმს, უფრო მეტი მანქანა გადიოდა, ვიდრე შედიოდა…
უცებ აჩიკო ადგილზე წამოიწი:,
– მოიცა, მოიცა, შენ,.. შენ ლევანი ხომ არ გქვია?! – ისეთი ხმით შესძახა, ტელესერიალებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ და 20 წლის შემდეგ სასწაულებრივად ნაპოვნ შვილებს რომ მიმართავენ ხოლმე.
– არა… და რატომ უნდა მერქვას?! – გაუკვირდა „პატრონს“.
– გურამ ოდიშარიას იცნობ?!
– არა…
– არა?!
– არა…

აჩიკომ თავი გააქნია, ხელები გაშალა და გაწბილებულმა დაეჭვებით ჩაილაპარაკა, – ეგეთი დამთხვევა?!.. გურამ ოდიშარიას უწერია, რაც შენ მოყევი… 5 წლის ლევანზე… თავის წიგნში „სოხუმში დაბრუნება“… უნდა მეთარგმნა ეგ წიგნი, შეკვეთა უნდა მოეცათ, შეთანხმებულები ვიყავით, ჰოდა, ორჯერ წავიკითხე… მაგრამ მერე რატომღაც ჩაიშალა...

– 93 წელს 9 წლისა ვიყავი… 1 სექტემბერს გავხდი 9 წლის, – თქვა „პატრონმა“ ისე, თითქოს ბოდიშს იხდიდა…

– რატომ არ გველაპარაკებოდი აქამდე? – სოფომ ისეთი აღშფოთებით სტყორცნა კითხვა, თითქოს მთელი დაგროვილი ბოღმისგან ერთიანად უნდაო განთავისუფლება.

აჩიკოს შეეშინდა, სიტუაცია არ დაიძაბოსო და მდგომარეობის განმუხტვის მიზნით თვითონვე უპასუხა საკუთარ ქალიშვილს:

– არ გვიცნობდა, და ალბათ იმიტომ,.. აი, როცა გაგვიცნო,.. მაგრამ „პატრონმა“ გააწყვეტინა:

– არა, გაცნობა ნე პრი ჩომ,.. – „პატრონი“ ნაქსოვ ნიღაბს შეეხო, სოფოს თვალებში შეხედა და გააგრძელა, – სანამ მასკას მომხსნიდი, არ მაინტერესებდით… თქვენს „შენახვაში“ მაყუთი უნდა ამეღო და ვინ იყავით, მე არ მეხებოდა, არც მინდოდა გამეგო,.. იარაღისთვის მაყუთი მჭირდება, სულ ორი-სამი დღე უნდა შემენახეთ, სანამ პერევალზე გადაგიყვანდნენ... მაგრამ ეხლა, როცა…

– როცა ტკივილი მოგიხსნათ ჩემმა ქალიშვილმა, – წარმოთქვა აჩიკომ თითქმის პათეტიკურად, შეუნიღბავი სიამაყით. „პატრონს“ სიტყვა გააწყვეტინა, რადგან ეჭვი არ ეპარებოდა, მადლიერია სოფოსი, და ვინ იცის, იქნებ სულაც გაათავისუფლოს…

– მაგრამ ეხლა, როცა უნდა დაგხვრიტოთ, – გააგრძელა „პატრონმა“ ისე, თითქოს აჩიკოს ნათქვამი ვერც გაიგო, – გეკითხებით, რა გაგიკეთებიათ ცხოვრებაში… ვისაც ვარასხოდებ, ვეკითხები ხოლმე…

მთელი ეს ფრაზა ისე პროზაულად წარმოთქვა, ნათქვამის ფორმა იმდენად არ შეესაბამებოდა შინაარსს, რომ თავიდან, უბრალოდ, ვერ გაიგეს, რა უთხრა, ვერ აღიქვეს.

დუმილი, ალბათ, სამი წუთი მაინც გაგრძელდა. ასეთი საუბრის დროს, ამგვარ სიტუაციაში, ეს თითქმის უსასრულობის ტოლფარდი იყო.

– ვოთ, ვოთ?.. რა უნდა,.. გახვრიტო? – იკითხა ბოლოს ალინმა.

„პატრონმა“ ძალზე მშვიდად, ოდნავ დაღლილი ხმით გაიმეორა:

– უნდა დაგბრიდოთ,.. გაგარასხოდოთ…

– კი მაგრამ, რატომ?! – აჩიკო მაინც ვერ იჯერებდა, არ შეეძლო დაჯერება.

– თქვენ არ უნდა გენახათ, რაც ნახეთ,.. – და „პატრონმა“ მარჯვენა ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს სახეს იბანდა.

– და,.. მერე რა?!

– არაფერი,.. თქვენ მოკვდებით,.. არავის არა აქვს უფლება, მნახოს… მაგრამ სანამ გაგიყვანდეთ, მინდა გავიგო, თუ გაქვთ რამე აპრავდანიე,.. – თქვა „პატრონმა“ ისეთი ჩვეულებრივი, ყოველდღიურ-ყოფითი ინტონაციით, თითქოს სიკვდილზე კი არა, ძილის წინ კბილების გახეხვაზე ლაპარაკობდა.

„შეშლილია!“ – უცებ გაუელვა აჩიკოს.

ალინმა, როგორც ჩანს, მაინც ვერ გააცნობიერა, რას ეუბნებოდნენ,.. და უცებ გამოაცხადა:

– თქვენ ტერორისტი არა ხარ,.. აი სიი,.. თქვენ ხარ ჰიუმანისტ,..

ამის გაგონებაზე აჩიკოს ხარხარი აუტყდა, – ალინმა, ალბათ, „ჰიუმორისტი“ თქვა, მაგრამ აჩიკომ გაიგო, რაც გაიგო, და ნამდვილი ისტერიკა დაემართა. ყივანახველას მსგავსი ეს კივანა სიცილი ისეთი შემზარავი მოსასმენი აღმოჩნდა, რომ სოფომ ყველა ღონე იხმარა, რათა მამა როგორმე სასწრაფოდ ჩაეჩუმებინა, – ჯერ მაჯაზე მოუჭირა ხელი მთელი ძალით, მერე ზურგში სთხლიშა მუშტი, ბოლოს ერთი ტოლჩა წყალიც კი დაასხა თავზე, მაგრამ ამანაც არ იმოქმედა თითქმის,.. უფრო სწორად, იმოქმედა, ოღონდ ძალიან ნელა…

ალინი, როგორც იქნა მიხვდა, – რაღაც უბედურება ტრიალებს, და სოფოს კითხვები დააყარა, ეტყობა, ეხვეწებოდა, ამიხსენი რა ხდებაო, მაგრამ სოფო ყურადღებას არ აქცევდა და „ჩაბჟირებული“ მამის გონზე მოყვანას ცდილობდა…

აჩიკოს ხვიხვინისგან არაქათი წაერთვა და ბოლოს გულიც გაუხდა ცუდად,.. სპაზმები დაეწყო…

– მამა, რა მოგდის?!.. მამა! – ჩასძახოდა სოფო.

აჩიკო, ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, მოსულიერდა და პატრონს უკვე ჩვეულებრივად, მშვიდად უთხრა:

– კარგი, გეტყვი… მოგიყვები,.. ოღონდ ჯერ შენ მითხარი, რაში გაინტერესებს ჩვენი ცხოვრება…

„პატრონმა“ ხმა არ გაიღო.

„როგორმე უნდა ავალაპარაკო, – გაიფიქრა აჩიკომ, – დრო უნდა გავიყვანო…“

როგორც ჩანს, სოფოსაც იგივე აზრი მოუვიდა თავში, რადგან მოულოდნელად „პატრონს“ მიმართა:

– მე სოფო მქვია, ეს ალინ პარკინსონია,.. ეს კიდევ მამაჩემი,.. აჩ,.. არჩილ ვაჩნაძე, – ისე ბაასობდა, ლორდ-მერის მიღებაზე გეგონებოდათ, – თუ შეიძლება თქვენც გაგვაცანით თავი,.. რა გქვიათ?

– კობრა, – მარტივად უთხრა „პატრონმა“.

სოფო არ დაბნეულა,

– მეცა მაქვს კლიჩკა, „სინ-ძინრუი“… იაპონურად „ახალ კაცობრიობას“ ნიშნავს,.. მომავალი ხომ ჩვენია, ახალგაზრდების?

– არა. – მოკლედ მოუჭრა „პატრონმა“.

– აი ქენ ჰელფ იუ! – გამოაცხადა უცებ ალინმა მღელვარედ, ეტყობა, რაღაცას მიხვდა, მაგრამ აჩიკო გრძნობდა, ბოლომდე მაინც ვერ გაერკვა სიტუაციაში. თუმცა, „პატრონმა“ ლაპარაკის გაგრძელება არ აცალა, ავტომატი გააჩხაკუნა („ეტყობა, გადატენა“ – გაიფიქრა აჩიკომ, ასეთ რაღაცეებში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა), ნელ-ნელა ასწია და პირდაპირ შუბლში მიუშვირა აჩიკოს,

– ეხლა მე შენ მიგახვრიტავ,.. გაქვს რამე აპრავდანიე?!.. გაგიკეთებია რამე?! – სამხედრო პროკურორის, არა, უფრო ყბადაღებული „სამეულის“ შუაგული წევრის ინტონაციით მიმართა…

აჩიკოს, რაც არ უნდა უცნაური იყოს, რატომღაც არ შეშინებია, გაიფიქრა, – „არა, მიმიქარავს აბსურდის თეატრი…“ მაგრამ მეორე წამს რაღაც დაემართა, თავი სასტიკად დამცირებულად თუ შეურაცხყოფილად იგრძნო და მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა ყველაფერზე თავი დაეკრა, ყველაფერი შეესრულებინა, რასაც „პატრონი“ ეტყოდა, ოღონდ კი დრო გაეყვანა, გადაწყვეტილება შეცვალა, გაიფიქრა, ხმას

არ ამოვიღებო, მაგრამ მოულოდნელად გონებაში თავისით ამოუტივტივდა საკუთარი ცხოვრების ერთი ძველისძველი, სრულიად დავიწყებული ეპიზოდი, თუ სურათი, და თავისდაუნებურად დაიწყო:
– ალახაძეში ვისვენებდი მშობლებთან ერთად, ციტრუსების სოვხოზში, 14-15 წლის ვიქნებოდი, ეს ჯერ კიდევ მჟავანაძის დროა,.. ერთხელ ზღვისკენ მივდიოდით სეირნობით სადილის შემდეგ…
აღამოვდებოდა, იღრუბლებოდა… სიმშვიდე იყო რაღაცნაირი მაძღარი, ტკბილი, ბლანტი, ჟოლოს მურაბასავით… მივდივართ და უცებ ვხედავ, რომ ტრაქტორზე დაყენებული ე.წ. ვადამიოტი, რომელიც აუზიდან ქაჩავდა წყალს და ჰაერში საშინელი ძალით, ჭავლისებურად აფრქვევდა (ხეებს რწყავდა, ასე ვთქვათ), წყალს ასხამს 4-5 წლის ბიჭუნას… დგას ის შტერი ტროპიკული თქეშის ქვეშ ერთ ადგილას გაშეშებული და ღრიალებს… იმპულსურად, დაუფიქრებლად გავექანე, შევვარდი ჩანჩქერივით ნაკადში, ხელში ავიტაცე და გამოვიყვანე სირბილით… ყველაფერი, ალბათ, წამის მეათედებში მოხდა… ვდგავარ გაწუწული, ბავშვს რატომღაც ხელს არ ვუშვებ, ძლივს მიჭირავს… ის სულელი კიდევ აგრძელებს ღნავილს… მობრძანდა იმ დროს მისი ქერათმიანი დედიკო და ისე ჩამომართვა, მადლობაც არ უთქვამს…
– და? – იკითხა „პატრონმა“.
– და… და კიდევ… ვაშლი მახსოვს… ძალიან გემრიელი, დიდრონი, წვნიანი, სურნელოვანი ვაშლები იყო ალახაძეში… ერთი ეგეთი ეჭირა იმ ბავშვს ხელში, ლოყაწითელი… როცა დედამ აიყვანა, ხელი უშვა და დააგდო…
– შენ აიღე? – ჰკითხა სოფომ.
აჩიკომ არაფერი უპასუხა, რადგან „პატრონმა“ გაიმეორა:
– და?.. და რა?
– არაფერი…
– და როცა ომი იყო, შენ სად იყავი?!.. როცა მამაჩემი ომობდა, შენ სად იყავი?! როცა ჩემი და-ძმა პერევალზე იყინებოდა, შენ სად იყავი?! როცა დედაჩემი,..
„პატრონმა“ სიტყვა აღარ დაამთავრა, გაჩუმდა.
აჩიკოს რატომღაც ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს პირი ძმრით გამოივლო, მას მერე, რაც კბილები ქვიშით გაიხეხა…
– სანთელი ქრება,.. – ჩაილაპარაკა მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც ეთქვა.
– სად იყავი,.. შენ?! – გაიმეორა „პატრონმა“.
აჩიკოს აღარ უნდოდა ლაპარაკი, ეს ბოლო „შენ“ დედის გინებაზე უარესად მოხვდა ყურში, მაგრამ მაინც თქვა:
– ეგ ომი წაგებული იყო წინასწარ… გაყიდული… დანაშაულებრივი…. მაგ ომის დაწყება არ შეიძლებოდა… რომც ჩამოვსულიყავი, რა შეიცვლებოდა?!..
– და იქნებ იმიტომაც იყო წაგებული, რომ უმრავლესობა შენსავით ფიქრობდა? შენსავით იჯდა სახლში?! მთელი საქართველო რომ ჩასულიყო სოხუმში, მაშინ?! – ჩაერია უეცრად სოფო.
აჩიკომ ისე შეხედა, თითქოს ქალიშვილმა ზურგში ხანჯალი ჩასცა. მაგრამ სოფომ თვალი გაუსწორა და გააგრძელა:
– რატომ არ იფიქრე, რომ პასუხს მოგთხოვდი?
– შეენ?! – გულწრფელად გაოცდა აჩიკო.

– მე. – სოფოს მაგივრად უპასუხა „პატრონმა“, და შემდეგ გააგრძელა, – იმაზე მეშლება ნერვები, რომ პატარა ვიყავი და მამამ ომში ვერ გამიყოლა… ლინდავასთან იბრძოდა ბოლოს,.. მერე აღარავის უნახავს…
– იქნებ ტყვედაა? – თითქოს დაიმედება უნდაო, ისე ჰკითხა სოფომ.
„პატრონმა“ არაფერი უპასუხა.
– და სოხუმიდან როგორ გამოხვედით? – ჰკითხა სოფომ ცოტა ხნის მერე.
„ყოჩაღ, სოფო, ალაპარაკე, ალაპარაკე!“ – გაიფიქრა აჩიკომ.
– ფეხით წამოვედით,.. საკენ-ჭუბერის გზა გაგიგია?
– არა… – უპასუხა სოფომ, – მაშინ მე პატარა ვიყავი…
– და შენ? – „პატრონმა“ აჩიკოს შეხედა, – შენ,.. შენ თუ გაგიგია?!
– კი, როგორ არა,.. გურამ ოდიშარიას წიგნიდან… შარშან წავიკითხე… – უპასუხა აჩიკომ.
– და მანამდე? – ჰკითხა „პატრონმა“. აჩიკომ არაფერი უპასუხა.
სანთელი ჩაიწვა და აბჟუტდა, რამდენჯერმე გაიციმციმა… და ჩაქრა. სიბნელე ფელამუშივით შესქელდა, მთვარე ღრუბლებს მოეფარა, ისევ აწკაპუნდნენ წვეთები, ამჯერად, როგორც აჩიკოს მოეჩვენა, გულისგამაწვრილებლად და თან ნაღვლიანად. პატრონი ადგა, ფარანი აანთო, ახალი სანთელი მოიძია ზურგჩანთაში, ამოიღო, მოიტანა, ჩამწვარის ადგილას დაარჭო, აანთო, დაჯდა. აჩიკომ უცებ აღმოაჩინა, რომ ალინს ჩასძინებოდა და ამან რატომღაც უზომოდ განაცვიფრა. არადა, ძალზე გვიან უნდა ყოფილიყო წესით, თუმცა, რომელი საათი იქნებოდა, დაახლოებითაც კი ვერ ხვდებოდა, – დროის შეგრძნება სრულიად დაჰკარგვოდა.
„პატრონმა“ სიგარეტს მოუკიდა სანთლიდან, ღრმად შეისუნთქა და მერე ნესტოებიდან გამოუშვა... აჩიკოს ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ „პატრონი“ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის სათქმელად ემზადებოდა. აჩიკომ სოფოს გადახედა. სოფო დაძაბული, დაჭიმული, შეიძლება ითქვას, კონცენტრირებული და მაქსიმალურად მობილიზებული ჩანდა, ასტრონავტივით სტარტის წინ.
– სულ ფეხით მოვდიოდით…, – დაიწყო „პატრონმა“, – პაზორნი აღმართები იყო,.. და ტალახი,.. პაზორნი ტალახი… ხალხი ოხრად… ბავშვები ტიროდნენ… მე ჩემ დას მოვათრევდი… დედამ ცელოფანში ჩასვა და ზურგზე მომაბა… ჩემი და ხანდახან ენას ყოფდა და კისერს მილოკავდა,.. მეღიტინებოდა და ვეჩხუბებოდი, ვუყვიროდი – „გაჩერდი!..“ მაშინ მკბენდა… მაგრამ ჩერდებოდა… გავივლიდი ათ ნაბიჯს და იგივე მეორდებოდა… ყელში ამომივიდა, მოვიხსენი ცელოფანი, მიწაზე დავსვი და დედას ვუთხარი, აღარ ვატარებ-მეთქი,.. დედამ არაფერი მითხრა, თავზე ხელი გადამისვა, აიყვანა და ყელში უკბინა, – „აი, შე მამუნო, კარგია კბენა?..“ ჩემს დას მოეწონა და აღუღუნდა… იმ ღამეს გაიყინა…
– მოკვდა?! – სოფომ ისე შეჰკივლა, რომ ალინს გაეღვიძა.
– მოკვდა, – ჩაილაპარაკა „პატრონმა“ მშვიდად, – იმავე ღამეს ჩემი ძმაც მოკვდა…
– შენი ძმაც მოკვდა?! – ჩაილაპარაკა სოფომ ამჯერად ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ისეთი, მართლა სასოწარკვეთილი ხმით, თითქოს ეს სხვის კი არა, მის საკუთარ და-ძმაზე იყო ლაპარაკი…
ალინი როგორც ჩანს, ჯერ ბოლომდე ვერ გამოფხიზლებულიყო, მაგრამ ამ განწირულმა ინტონაციამ ისე იმოქმედა, რომ ეტყობა თავისდაუნებურად, გაუაზრებლად, ჩასახუტებლად გაიწია, ალბათ უნდოდა დაემშვიდებინა, თუ ენუგეშებინა, მაგრამ

რადგანაც შუაში აჩიკო იყო „გახიდული“ (ნახევრად კედელსმიყრდნობილს ფეხები გაჩაჩხული ჰქონდა, მარცხენა იდაყვს ეყრდნობოდა), ზედ გადააწვა, თუმცა სოფოს მაინც ვერ მისწვდა. ამჯერად აჩიკომ ჰკრა ხელი, მოიშორა, მართალია, მსუბუქად, მაგრამ აშკარად და ხაზგასმულად უხეშად, თუმცა ალინმა ამას ყურადღება რატომღაც არ მიაქცია, თითქოს ვერც აღიქვა…
„პატრონმა“ თითქმის ბოლომდე ჩამქრალ ღუმელში ფიცრები შეყარა, მაგრამ ცეცხლი რატომღაც აღარ გაუჩაღებია, ადგა, ღრუბლებში გახვეულ მთვარეს ახედა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:
– მთვარე იყო,.. პროჟექტორივით ანათებდა,.. დედამ კურტკა გაიძრო, მიწაზე გაშალა, ჩემი და და ძმა ზედ დააწვინა, ერთად გაახვია, დიდხანს უყურა (სახეები უჩანდათ მხოლოდ)… მერე ადგა, ხელი მომკიდა, პირველივე ჯარისკაცთან მიმიყვანა, რაღაცა უთხრა, ეგრევე შეტრიალდა, ხელში აიყვანა, ჩაიხუტა და წავიდა წინ…
– სად წინ?.. რა იყო წინ?! – სოფოს უცნაურად გაუფართოვდა თვალები, თითქოს ხედავდა იმას, რასაც უყვებოდნენ…
აჩიკო უცებ მიხვდა, რას უპასუხებდა „პატრონი“… ბოლო ღერი ამოიღო კოლოფიდან და მოუკიდა,.. მერე რატომღაც კოლოფსაც მოუკიდა ცეცხლი…
– წინ იყო ხრამი,.. – ისევ ძალზე მშვიდად თქვა „პატრონმა“.
– რატომ არ გადაარჩინა არავინ?! – თითქოს თავის თავს ჰკითხა სოფომ, თითქმის ჩურჩულით.
„პატრონი“ დუმდა. სიგარეტს ეწეოდა. სადღაც შორს, სივრცეში, ოღონდ მაინც საკუთარ თავში იყურებოდა. სოფომ გააგრძელა, უკვე ხმამაღლა:
– ვერტმფრენებიდან ხომ შეეძლოთ ჩამოეყარათ საჭმელი,.. და ტანსაცმელი?!
„პატრონი“ დუმდა. უეცრად ალინი ჩაერთო:
– და თქვენი,.. გავემენთ… დახმარება არ აკეთებდა?!.. რატომ არ ზრუნველობდა?!
„პატრონი“ დუმდა. აჩიკომ გესლიანად ჩაილაპარაკა:
– და თქვენი,.. იუნისეფი და გაერო რატომ,.. არ ზრუნველობდა?!
ალინმა არაფერი უპასუხა. „პატრონი“ ადგა, სარკმელთან მივიდა, მერე საძილეზე წამოწვა პირით კედლისკენ…
აჩიკომ სარკმელში გაიხედა. ღამის სიბნელე ოდნავ გაცრეცილიყო. ეტყობა გათენებას ეპირებოდა.
ალინი, როგორც ჩანს, საბოლოოდ გამოფხიზლდა და გადაწყვიტა აქტიურ მოქმედებაზე გადასულიყო. რამდენადაც ბორკილი საშუალებას აძლევდა, წამოიწია და „პატრონს“ გასძახა:
– იუ, ფლიიზ,.. მოდი აქ,..
„პატრონი“ გადმობრუნდა და ალინს გახედა უხმოდ.
– იუ,.. ფლიიზ,.. გითხრამ,.. დახმარება,.. ჰელფ,.. ამერიკაში,.. ოფერეიშენ გააკეთო…
„პატრონი“ ისევ კედლისკენ შებრუნდა. მაშინ სოფომ გასძახა:
– კობრა... ეს ყველაფერი დაწერე და მე გამოგიცემ,.. მე ვარ მოზარდ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი… ამერიკაში წაგიყვანთ,..
„პატრონს“ რეაქცია არა ჰქონია. სოფო გაჩუმდა, ცოტა ხანი, ეტყობა, ელოდებოდა, იქნებ რამე მიპასუხოსო. მერე ისევ გასძახა:
– კობრა, რატომ გვაშინებდი,.. რატომ თქვი, უნდა დაგხვრიტოთო?

„პატრონი“ გადმოტრიალდა, ადგა, ნელი ნაბიჯით მივიდა სოფოსთან, ჩაცუცქდა, თვალებში შეხედა და უთხრა:
– არ გაშინებდით,.. როცა გათენდება, გაგიყვანთ და,..
აჩიკომ ამას ვეღარ გაუძლო, და თუმცა, თან ეჭვი ეპარებოდა ყველაფრის რეალობაში, ვერ მოითმინა, იფეთქა:
– მადლობის მაგიერია?!.. სოფომ ტკივილი მოგიხსნა,..
– ვინ ეხვეწებოდა?! – გააწყვეტინა „პატრონმა“.
– კი მაგრამ, ხომ გიშველე?.. აღარ გინდა, კიდევ გიშველო? – მშვიდად ჰკითხა სოფომ.
„პატრონს“ ჩაეცინა:
– ამით გინდა,.. რომ,.. იქნებ მე,.. ამ ტკივილით ვარ,.. იქნებ მჭირდება ეს ტკივილი?!
– გჭირდება?!.. ვის შეიძლება სჭირდებოდეს ტკივილი?!.. რა, მაზოხისტი ხარ?! – გაოცებით ჰკითხა სოფომ.
– მჭირდება,.. – სერიოზულად მიუგო „პატრონმა“, – მთვარე და… ტკივილი… იმ ღამეში მაბრუნებს…
ერევალზე… და ძალას მაძლევს…
– ძალას?!.. რის ძალას?!.. სიძულვილის?!..
„პატრონი“ წამით შეყოვნდა და შემდეგ გააგრძელა:
– მე მძულს ყველა, ვინც ესროლა მამას,.. მე მძულს ყველა, ვინც გაწირა დედა,.. და-ძმა,.. მე მძულხართ თქვენ, ვინც დროს ატარებდით მაშინ, როცა ჩვენ ვიხოცებოდით… არც იცით და არც გაინტერესებთ, რა გამოვიარეთ,.. ამქვეყნად არავის ვენაღვლებით,.. და არც მე მჭირდება არავინ,.. მე იმისთვის ვარ, რომ შური ვიძიო…
– რამ შეჭამა შური? – თავისდაუნებურად ჩაილაპარაკა აჩიკომ.
„პატრონმა“, როგოც ჩანს, გაიგონა და თითქოს უპასუხაო, თქვა:
– მე შევჭამე შური,.. და დავლევ სისხლს…
– მერე ჩვენი სისხლის დალევას აპირებ?! ადამიანი არა ხარ?! იმათი დალიე, ვინც გებრძოდა,.. თუ ვაჟკაცი ხარ! – შესძახა აჩიკომ და თავისდაგასაოცრად იგრძნო, რომ შიში რატომღაც სრულიად გაუქრა.
„რატომ, ნეტავ?“ – თვითონვე გაუკვირდა.
– მივხვდი, რატომ გინდა ჩვენი,.. მოშორება,.. – ჩაილაპარაკა სოფომ.
– რატომ?
– იმიტომ კი არა, რომ შენი,.. სახე ვნახეთ,.. არა,.. შენ, უბრალოდ, გეშინია, რომ შეიძლება უცებ აღმოაჩინო,.. თურმე შენც გჭირდება ვიღაც,.. და სანამ ამას აღმოაჩენდე, გინდა მოსპო ყველა, ვინც შენთვის შეიძლება გახდეს,.. ის ვიღაც… რადგან თუ გახდა, მაშინ შენს ომს, საკუთარ, პირად ომს ვეღარ გააგრძელებ,.. სიძულვილი აღარ გეყოფა…
– რატომ არ ეყოფა? – ვერ გაიგო აჩიკომ.
– ენერგია შეიცვლის ნიშანს…
– ნიშანს?
– პოლარობას… მინუსს პლუსზე… ნაწილობრივ მაინც… და ძაბვაც, შესაბამისად... დაეცემა… სიძულვილის…
– ასე მგონია, მარია კიურის ველაპარაკები, – ჩაილაპარაკა აჩიკომ. ეტყობა, ისევ იოხუნჯა.

სოფომ ხელი ასწია ჰაერში და „პატრონისკენ“ გააცურა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მის წინ იყო, ჯერ ჩაცუცქული, მერე კი ნახერხზე მჯდომარე ფეხმორთხმით, თვალდახუჭული…

– მაგრამ, კობრა, ყველას მაინც ვერ მოსპობ… წინასწარ, ცხოვრებაში,.. ყველას, ვინც შეიძლება შეგეხოს… – თქვა სოფომ, წინ გადაიწია და ხელი „პატრონის“ სახეს, უფრო სწორად, ნიღაბს შეახო… „პატრონმა“ თვალი გაახილა და უკან გაიწია მკვეთრი მოძრაობით.

– ნუ გეშინია,.. – უთხრა სოფომ ისე, როგორც დედა ეტყოდა ხუთი წლის შვილს, რომელსაც აცრა უნდა გაუკეთონ, – შენ გეშინია, რომ არავინ შეგიყვარებს,.. და თან გეშინია, რომ ვინმე შეგიყვარდება… შენ გგონია, რომ,.. საშინელი ხარ,.. და კიდევ უფრო საზარელი გინდა გამოჩნდე… თავი რომ დაიზღვიო…

„მაგარია, შობელძაღლი!“ – გაიფიქრა აჩიკომ.

„პატრონი“ სოფოს მონუსხულივით უსმენდა, თვალებში უყურებდა. ალინიც, ეტყობა, გრძნობდა მომენტის განსაკუთრებულობას და ხმას არ იღებდა.

– მოიხსენი ნიღაბი და… გაკოცებ… – ძალიან ჩუმად თქვა სოფომ.

მოულოდნელად „პატრონმა“ ხმამაღლა გადაიხარხარა,

– ეხლა მოვედი აზრზე,.. გინდა დამაბა, არა?! – „პატრონი“ უკვე აღარ იცინოდა, – ყველაფერზე მიდიხარ, ოღონდ კი,..

„პატრონმა“ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო. სოფო გაფითრდა, სახე თითქოს გაებზარა, გარდაუტყდა, სხივი რომ გარდატყდება ხოლმე წყალში (აჩიკოს რატომღაც გონებაში ამოუტივტივდა: „გადალესილი ცოფითა“), ხელი გაიშვირა წინ, ძველი რომაელების მისალმების მსგავსად, და მის გვერდით მიწაზე დაგდებული გამოშიგნული ელექტროძრავის ჩარჩოზე დამაგრებულ ანთებულ სანთელს დაადო,.. უფრო სწორად, ხელი ზედ გააჩერა ჰაერში… ვერც აჩიკომ და ვერც „პატრონმა“ ვერ მოისაზრეს, რას აკეთებდა, სანამ დამწვარი ხორცის სუნი არ იგრძნეს… აჩიკო გონს მოეგო, სოფოს მკლავში სწვდა და გამოქაჩა მთელი ძალით, სოფოს ხელი სანთელზე მოუხვდა, სანთელი ჩამოვარდა და ჩაქრა…

სარკმელში მზის პირველი სხივი შემოიწვერა. თენდებოდა.

„პატრონი“ ადგა და გარეთ გავიდა.

სოფო მოიკუნტა, გვერდზე დაწვა ჩანასახის პოზაში, თავი მუხლებთან მიიტანა, დამწვარი ხელი – ტუჩებთან…

ალინმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ აჩიკო მაჯაზე შეეხო, გააჩერა. მერე სოფოს თავზე ხელი გადაუსვა. სოფო არ შერხეულა.

აჩიკომ უცებ სასტიკი დაღლილობა იგრძნო, თვალები დახუჭა და თავისდაუნებურად ჩათვლიმა… რამდენი ხანი ეძინა, ვერ გაიგო, გააღვიძა ფარდულში „პატრონის“ შემოსვლამ… გვარიანად გათენებულიყო. „პატრონმა“ ავტომატს სტაცა ხელი, მერე მივარდა, თვალისდახამხამებაში გაუხსნა სამივეს ბორკილები და დაუყვირა:

– ჩქარა! გადით!

აჩიკო, სოფო და ალინი გაშტერებულები უყურებდნენ. ადგილიდან არ იძროდნენ.

– ჩქარა! – ისევ დაიყვირა „პატრონმა“, – გაიქეცით!

აჩიკოს უეცრად მანქანის ხმა მოესმა. შორიდან ნელ-ნელა ახლოვდებოდა დაძაბული, თითქოს დამაშვრალი ღმუილით მძიმე საბარგო მანქანა, ეტყობა აღმართზე ამოდიოდა…

სოფო პირველი გამოერკვა, წამოხტა, ალინს ხელი ჩასჭიდა და კარისკენ გაიქცა, ალინი თან წაიყოლა. აჩიკოც მიჰყვა…
გარბოდნენ… ტყეში გადაბმული წვიმების მერე თითქოს აშმორებულიყო, ფეხი სრიალებდა, სირბილი ჭირდა. სრულიად უგზო-უკვლოდ გარბოდნენ, ერთი მიზანი ჰქონდათ, რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ…
ირბინეს მანამ, სანამ სროლის ხმა არ შემოესმათ. ჯერ ერთი ავტომატი აკაკანდა, მეორე დაერთო, ბოლოს ცალკეული, უფრო სუსტი, ეტყობა, პისტოლეტის გასროლებიც დაემატა…
ერთმანეთს უყურებდნენ გაფართოებული თვალებით, აქლოშინებულები, და ხმას ვერ იღებდნენ. უცებ ალინმა თქვა:
– აილ გოუ… მარტო არის…
– გაგიჟდი?! – აჩიკომ ხელი მაგრად მოუჭირა მკლავზე, აგრძნობინა, არსად გაგიშვებო.
სოფო ხეს მიეყრდნო ზურგით, თვალები დახუჭა და ნელ-ნელა ჩაცურდა, მიწაზე დაეშვა. აჩიკომ მიიხედ-მოიხედა, შედარებით მშრალი ადგილი მოძებნა,დაჯდა. ალინი სოფოს გვერდით ჩაცუცქდა, სოფოს შუბლზე აკოცა…
სროლა კიდევ ერთი წუთი გაგრძელდა და მიწყდა. უცებ აჩიკო წამოდგა, თქვა:
– მივალ,.. ვნახავ…
– ჩვენც წამოვალთ, – უთხრა სოფომ, მაგრამ რატომღაც ადგილიდან არ დაძრულა.
– არა, აქ იყავით! – თქვა აჩიკომ გადაჭრით, კატეგორიულად, – მალე დავბრუნდები…
ისე დიდხანს იარა ტყეში, თავისი ჭკუით, ფარდულის მიმართულებით, რომ შეეშინდა, ვაითუ მხარი მეცვალაო, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მიაგნო. ფოთლებში ფარდულის ალაგ-ალაგ მიმპალი ზურგი გამოჩნდა. შესასვლელი და მის წინ გაჩერებული მანქანა არ ჩანდა. აჩიკო მოკლე გადარბენებით უახლოვდებოდა (კინოში ჰქონდა ნანახი), ხესთან მიირბენდა, მიეკრობოდა, ფრთხილად გამოიხედავდა და გზას აგრძელებდა… ჩამი-ჩუმი არ ისმოდა,.. საყლაპავამდე ამოსული ბაგაბუგის გარდა… როგორც იქნა, მიაღწია ფარდულს, კედელს აეკრო, გაჰყვა ნაბიჯ-ნაბიჯ, კუთხეში შეჩერდა, და გაბედა,.. გამოიჭყიტა… ფარდულის წინ მომცრო დამრეც მდელოზე სამი კაცი ეყარა. ერთ-ერთი ორხიდიანი მანქანის ბორბალთან ღიად დარჩენილი კარის ქვეშ. ეტყობა, გადმოხტა, მანქანის ქვეშ შეწვა და იქიდან ისროდა. ავტომატიც იქვე ეგდო. კაცს თავი ბალახში ჩაერგო, პირქვე დამხობილიყო, არ ინძრეოდა.
მეორე მანქანის წინ გულაღმა ეგდო, ხელში პისტოლეტით. სპორტული, ბრგე აღნაგობისა იყო. აჩიკომ შეხედა და იმავე წამს მოაშორა მზერა. ავტომატის ტყვია ეტყობა შიგ თვალში მოხვედროდა.
მესამეს მხოლოდ ცალი ფეხი უჩანდა, ბუჩქებში შემალულს… შავი, პრიალა, ელეგანტური შტიბლეტი სრულიად შეუფერებლად და უადგილოდ გამოჩხერილიყო ნაწვიმარ ტყეში…
აჩიკომ ნაბიჯი გადადგა და ფარდულის ღია კარში შეიხედა. სარკმელთან „პატრონი“ დაინახა. გულაღმა იწვა, იქვე ავტომატი ეგდო. აჩიკო მივარდა, მაგრამ დახედა თუ არა, მიხვდა, დააგვიანა…
„პატრონს“ თვალები ღია დარჩენოდა… აჩიკოს გაახსენდა, პირველად რომ ჩახედა „პატრონს“ თვალებში, როგორ შეაძრწუნა მისმა ბნელმა, შავმა, მკვდარმა გამოხედვამ.

ახლა კი, უცნაურია, მოეჩვენა, თითქოს ეს სხვა თვალები იყო, სხვისი, თითქოს სადღაც სიღრმეში რაღაც მინავლებულის ანარეკლი იკითხებოდა…
აჩიკოს გაახსენდა, ასეთ შემთხვევაში თვალებს უხუჭავენო, მაგრამ ხელი არ ახლო… უეცრად შენიშნა, მარჯვენა ხელში რაღაც ჰქონდა ჩაბღუჯული. ფრთხილად ამოართვა – ფოტოსურათი აღმოჩნდა, მომენტალური „პოლაროიდით“ გადაღებული. დახედა, შუაში ბიჭი იდგა, აქეთ-იქით წვერებიანი კაცი და მომღიმარი ქალი პატარა ბავშვებით ხელში. გადაატრიალა – უკანა მხარეს წარწერა ჰქონდა: „აჩიკოს დედიკოსა და მამიკოსაგან, 1993 წ. 1 სექტემბერი, სოხუმი“.

ლაშა გველესიანი

ბეღურები ყავას არ სვამენ

დღეს მისი ცხოვრების რიგითი დღეა, თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, კაფეში ყოველდღე არ ზის – მთლად რომ არ დაკარგოს რეალობის განცდა. და საერთოდ, რისთვის კითხულობს ახლა ვირჯინია ვულფის მოთხრობებს, თითქოს დახვეწილი ინგლისელი ლედი ყოფილიყოს, სერიოზული, მაგრამ ლიბერალური; ის ხომ სულ რაღაც ოცი წლისაა, უმწიკვლო ბავშვი, რომელიც მაგიდიდან კანფეტებს მოიპარავს, ჯიბეში ჩაიყრის და ნელი ნაბიჯით გაეშურება ვირჯინია ვულფი მდინარისკენ, ჩაიყრის ჯიბეებში ქვებს, რათა ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ჩაიფიქრა, და, ბოლოს და ბოლოს, მოიკლავს თავს...

– ...როგორც ოფელია?..

– უკაცრავად...

–არაფერი... ერთი ფინჯანი ყავა, თუ შეიძლება.

მოდის ჰამლეტი, საბედნიეროდ, თორემ კიდევ რამეს წამოროშავს და ყველა იფიქრებს, გიჟიაო. ისე კი... რაღაცით მართლაც ჰგავს: ისეთივე ცხვირი, ტუჩები. მხოლოდ თვალები... მხოლოდ თვალებში არაა ის სევდა, ის მოლოდინი, ის წუხილი: "სად იყავი? – არ მახსოვს. – რისთვის? – მზესუმზირა ვიყიდე. – იქნებ პარიზშიც წასულიყავი, ორი მუჭა წაბლი გეყიდა... – რა აგრესიული ხარ!" სამწუხაროა, მაგრამ კანფეტი უკვე დნება, ჯიბეში ვეღარ ჩაიყრის. ოფელია? არა, ყველაფერი უფრო რთული იყო, უფრო მძაფრი და თანაც მათს საუბარს მთელი კაფე უსმენდა: „როგორ გგონია, იჩხუბებენ? – ერთი მაგათიც!.." ალბათ, რამე მაგდაგვარს ჩურჩულებდნენ დასავლურსლავურად კაცები, ქალები, მოლარე გოგონა და ოფიციანტი.

–მგონი, არავის ელოდება...

–შენც აიღე და მიდი, დაელაპარაკე ამინდზე, ხიდებზე, ბეღურებზე, როგორ მოგწონთ ჩვენი კაფე, კიდევ შემოიარეთ, ჩემთან ხომ არ წავსულიყავით... აბა რა!

ხანდახან აუტანელი იყო, დაძაბული და მდუმარე, ხანდახან ყვავილებსაც სჩუქნიდა, თეთრსა და წითელს, ნაყიდს, დაკრეფილს, მოპარულს. ეს იყო რომანტიკული და სახიფათო თავგადასავალი, თავბრუდამხვევი ვირაჟებითა და მუდმივი არითმიით, როცა სუნთქვა ხშირდება, გუგები ფართოვდება და გრძნობ, რომ კვდები. და ამ დროს ვიღაცის ხელი მოისვრის ფინჯანს და აღმოაჩენ, რომ ეს მისი ხელია. ეს ხელი მუდამ ებღაუჭებოდა ქალის, გოგონას, ბავშვის მაჯას. ძლიერი და უსუსური ხელი... მოედანზე ბეღურები კენკავდნენ დაბნეულ მზესუმზირას. „რა დასანანია... – შემომხედე! – რა გინდა? – მოდი, წავიდეთ აქედან." ქალბატონი მორჩილად მიდის და მხოლოდ მოლარე გოგონა გააყოლებს თვალს – არა, მას არა, უკვე ზეპირად იცის მისი გარდერობი, ისიც იცის, რომ ხვალაც მოვლენ და იკამათებენ. აი, ისევ სხედან და ფიქრობენ, ისევ კითხულობს ვირჯინია ვულფის მოთხრობებს და სულაც არ ფიქრობს თავის „მეგობარზე", აღარც ის მასზე, ყველა კმაყოფილია, რადგან დამშვიდობებაც კი აღარაა საჭირო. ბეღურები გუშინდელ მზესუმზირას კენკავენ და, წარმოიდგინეთ, ჩვენს

უმწიკვლო ბავშვს აღარ უნდა, რომ იყოს სერიოზული ინგლისელი ლედი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ლიბერალური, რომლის ცხოვრებაში სხვებიც იქნებიან, სხვებიც მოუტანენ ყვავილებს, თეთრსა და წითელს, ნაყიდს, დაკრეფილს ან მხოლოდ მოპარულს. რა, არ შეიძლება? ის იქნება მარტო, მოწყენილი, მასთან მოვა ოფიციანტი, ესაუბრება ამინდზე, ხიდებზე, ყავაზე, როგორ მოგწონთ ჩვენი კაფე; მშვენიერია; არ დაგვივიწყოთ, შემოგვიარეთ; რა თქმა უნდა; ისე, სხვათა შორის... „ჩემთან ხომ არ წავსულიყავით?..” უკაცრავად?! განა ის არ აღშფოთდება, არ მოისვრის საცოდავ ფინჯანს, არ დააფრთხობს მშიერ ბეღურებს მზესუმზირის თქეშით?! განა ის არ გაიქცევა მდინარისკენ და არ მოიკლავს თავს, როგორც, როგორც... ოფელია? არა, ის მშვიდად იბაასებს ოფიციანტთან, დალევს ყავას, ახედავს ცისფერ ცას, დაემშვიდობება ნაცნობებს და წავა სახლში. მარტო.

გიორგი გაბუნია (ჯუზეპე)

ყვავილების ქვეყანა, ანუ ბრიყვთა მხარის ქრონიკები

„ჭლექიანი დღე იყო,
ეს ფოთოლი ცვიოდა...“
(ქალაქური ფოლკლორი)

ბრიყვთა მხარეში ერთი ჯადოსნური მინდორი იყო – სასწაულთა მინდორს ეძახდნენ. ამოთხრიდი ღამით ამ მინდორში ორმოს, ჩააწყობდი ოქროებს, მოაყრიდი მარილს, მორწყავდი, სამჯერ იტყოდი: „კრეკს, ფეკს, პეკს“ და დილით რომ გაიღვიძებდი, იმ ადგილას ოქროსფოთლებიანი ხე დაგხვდებოდა ამოსული.
ერთი სიტყვით, როგორც ჩვენს მხარეშია...

... ...

ზაფხულში სიმამრმა, რამდენიმე თავისნაირ საზრიან და მოხერხებულ მეზობელთან ერთად, სოფლის სკოლის ორსართულიანი ხის შენობა დაშალა და ზამთრისათვის შეშად მოიმარაგა. ასე რომ ცოლ-შვილს სითბო არ მოაკლდებოდა. გიორგის სიმამრი, სხვა მხრივაც ჭკვიან და შეძლებულ კაცად ითვლებოდა – სოფლის განაპირას, სამანქანო გზასთან, ბენზინის გასამართი პატარა სადგური ჰქონდა, ნავთს და ბენზინს ერთმანეთში ურევდა, თუ ნავთი გაძვირდებოდა ნავთად ჰყიდდა, თუ ბენზინი – ბენზინად, ჩალიჩობდა როგორც იტყვიან და ყოველდღიური თავშესანახი და ცოტაოდენიც შავი დღისათვის მოსატოვებელი შემოსავალი ჰქონდა.
გიორგიმ უსაქმურობისაგან ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა – ტყეს შევუნახავ შვილებსა, მამა ვარ, ჩემი ვალიაო, მაგრამ მერე დაეზარა, სამომავლოდ გადადო ეს საქმე და აივანზე გავიდა.
მეზობელი სახლის აივანზე, მექათმეობის მინისტრი პურჯანაძე, უკმეხად მაძღარი სახით, უმცროს მექათმეს გენერატორში საწვავს ასხმევინებდა, საცაა აარახრახებდა და ტელევიზორს მიუჯდებოდა. გიორგის რამდენიმე წელი იყო სახლში ტელევიზორისთვის არ ეცქირა და შეშურდა მეზობლის. “ხვალვე გავუშვებ რამდენიმე ჯიბგირს – გაიფიქრა გიორგიმ – ვიშოვი რაღაცას და მომავალი ზამთრისათვის უფრო ძლიერ გენერატორს და რამდენიმე ცოცხალ ქათამსაც ვიყიდი.” – ცოცხალი ქათამი ენატრებოდა, უკანასკნელად ტელევიზორში, „კინომოგზაურთა კლუბში“ ჰყავდა ნანახი დიდი ხნის წინათ და ახლა, გასაყიდათ გამოტანილ, უცხოური ქათმის ბარკლებს რომ დაინახავდა, ორი რამე უკვირდა – ნეტავი დანარჩენი ნაწილები სად მიაქვთ, ან ეს მექათმეობის მინისტრი რაში გვჭირდებაო?
ამ ფიქრებში იყო, როდესაც კარებზე კაკუნი გაისმა.
– ვინ არის? – იკითხა გიორგიმ და და სათვალურში გაიჭვრიტა.
სიბნელეში, ორი მამაკაცის სილუეტი გაილანდა.
– გააღეთ თუ შეიძლება, „ელასიდან“ ვართ – გაისმა გარედან.
ბოლო წლების გადამკიდე, გიორგის „ელასთან” აშკარად არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ კარების გაუღებლობაც სილაჩრეში რომ არ ჩათვლოდა, ქამარში სატაბელო იარაღი გაირჭო, იქვე მაგიდაზე მდგარი ბროლის მძიმე საფერფლე შეიგულა და კარები გააღო.
ოთახში ორმა, ჟოლოსფერ, ჩაფართხუნებულ პალტოიანმა, მაღალმა და დაბალმა, თავიანთი ჭკუით საქმიანმა თუ საქმოსანმა, გაურკვეველი ასაკის მამაკაცმა შემოალაჯა.
–არა ვართ, ბრატ, ჩვენ ელასიდან – დაიწყო მაღალმა, ხელში „დიპლომატი“ რომ ეჭირა – და არც მასავით ბნელები ვართ მაგიორში. საქმეზე ვართ მოსულები და თუ გაგვიგებ, კმაყოფილები დავრჩებით ყველანი. ამ პორთველში დიდი ფული დევს და შეიძლება დაგვრჩეს ეს აქანა შემთხვევით, თუკი ღუტუნა სამ დღეში სახლში იქნება, ხომ მართალი ვარ ბრატ? – მიუბრუნდა დაბალს.
–მართალი ხარ ძმი! – დაუდასტურა დაბალმა და რატომღაც გაიღრიჭა.
გამოცდილი, მრავალჭირგადანახადი გამომძიებელი, ასეთი პირდაპირობისაგან, ცოტა არ იყოს დაიბნა. სროლა და აყალმაყალი უადგილო იყო, შინ შეპატიჟება და სტუმარ-მასპინძლობის გათამაშებაც გაურკვეველ სიტუაციას ქმნიდა. სახლში ბნელოდა, ციოდა და დიდი ხნის გაურეცხავი ჭურჭლისა და ტანსაცმლის სუნი იდგა; არადა, რაიმე უნდა ეპასუხა ან მოემოქმედებინა. ამ დროს კვლავ ტელეფონმა დარეკა და გიორგის დროის მოგების საშუალება მისცა.

– გისმენთ – აიღო მან ყურმილი.
– მოვიდნენ ბიჭები? – იკითხა იმავე ქალის ხმამ – არ აწყენინო მაგათ. იცოდე ფრთხილად იყავი, თორემ კარები დაიკეტება. შემდეგი სადგურია გოცირიძე. გთხოვთ გაათავისუფლოთ... – და ტელეფონი გაითიშა.
გიორგის უცებ გაუნათდა გონება და გაახსენდა პატიმარი სოლომონ გოცირიძე, მეტსახელად ღუტუნა, გვარდიის გენერალი და მუშკეტერთა კაპიტანი, უმწიკვლო მაფიოზი, პატრიოტთა ლეგიონის კავალერი, ფილოსოფიის საპატიო დოქტორი, ჰუმანიტარული დახმარების კურატორი შორიახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. – ამ ყველაფერმა წამში გაუელვა თავში, შიშმა გადაუარა, გონება დაეწმინდა და „ოთახში შემობრძანდითო” – მიმართა მოულოდნელ სტუმრებს.
– რა ამბებია შორაპანში? – იკითხა გიორგიმ სიტყვის მასალად, როდესაც ჩამოსხდნენ. – ხომ არ დალევდით რამეს? მარტო ვარ, მაგრამ კვერცხს მაინც შევწვავდი მშრალ სპირტზე.
– დაიწმინდა ყვირილა როგორც იქნა და ციხეც გადავთხარეთ მეტ-ნაკლებად. ვიპოვით ალბათ რამეს – ოქროს, ნავთობს ან ალმასებს და არც თქვენ დაგივიწყებთ, თუ გავუგებთ ერთმანეთს. – უპასუხა მაღალმა – მშრალი სპირტი კი რა საკადრისია, ბრიგადა გვყავს მოყვანილი, მივეცით ას-ასი და ჩართავენ მალე შუქს, გაზს, გათბობას, წყალს და კანალიზაციას, ტელეფონი ქე ჩართეს უკვე, თქვენ იყავით ოღონდ კარქათ...
„მიქვითავენ საშემოსავლოს – გაიფიქრა გიორგიმ – რა ჩემი გადასახდელია მთელი უბნის კეთილმოწყობა” – ხმამაღლა კი იკითხა:
– მაინც რაზე შეწუხებულხართ? – და ყოველი შემთხვევისათვის, მაგიდის ქვეშ დამონტაჟებული დიქტოფონი ჩართო შეუმჩნევლად.
– ღუტუნა მოგვენატრა ძმი – როგორც იქნა ხმა ამოიღო დაბალმა, რომელიც დროდადრო „ა”-ს ნაცვლად, რატომღაც „ი”-ს ამბობდა, სოფელს გამოქცეოდა, მაგრამ ჯერ ვერ გაქალაქებულიყო, ბოლომდე ვერ გადაზელილიყო და ფენა-ფენა, ხან სოფელს აჩენდა, ხანაც ვითომ ქალაქს – ჩვენი ძმა და პირის ზიარება, ჯიგარი და ოქრო კაცი. დაბადების დღე აქ ორ დღეში, ვემზადებით და ნუ ჩაგვიყრი წყალში პურმარილს და სიყვარულს, ეს პაპკაა თუ რაღაც, მართლა გვრჩება მგონი აქანა და ნუ გამოგვეკიდები უკან, მარა ზეგ თუ მოგვიწია კიდო მოსვლა, სხვანაირად მოვალთ, იცოდე ბატონო ჩემო! – და სტუმრები წასასვლელად გაემზადნენ.
გიორგიმ შევაჭრებაც ვერ მოასწრო, რომ ყოველი მხრიდან საზარელი ხმაური გაისმა, რომელიც სწრაფად მოახლოვდა. მალე აივანზე ვერტმფრენები ჩამოსხდნენ, კარებში ტანკის ლულა გამოჩნდა და ერთდროულად აივნიდან, ფანჯრებიდან, სავენტილაციო ხვრელებიდან და იატაკის ღრიჭოებიდან, ყოველმხრივ შეიარაღებული და საგანგებოდ გაწვრთნილი, ნიღბიანი დანაყოფები თუ ქვეგანაყოფები შემოცვივდნენ, სააბაზანოსა და ტუალეტში ხელყუმბარები ააფეთქეს და მწარედ აღრიალდნენ:
– „ერთიანი სამშობლოს” ლიდერის სახელით, ამწამსვე ყველანი დაპატიმრებულები ხართ! ახლავე დაწექით, ხელები მაღლა და კრინტი არ გავიგო თქვენი! სპეცოპერაცია დამთავრებულია, გაუმარჯოს კარდინალს!
გიორგის, თავისი პროფესიის წყალობით, ამაზე უარესიც ენახა და ბევრად უარესიც გაეგონა, თანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, მაინც დასაძინებლად ემზადებოდა და რომ უთხრეს დაწექიო, „გამოვიძინებ მაინცო”, გაიფიქრა, მოხერხებულად მოეწყო,

წაიღიღინა: „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, ერთხელ არ დამიკვნესია”-ო და ღიღინ-ღიღინში, ტკბილად ჩაეძინა. სიზმარში აყვავებული ალუჩები ნახა, მერე ცოლ-შვილი დაესიზმრა, მერე შიშველი, ცნობილი კინომსახიობი ქალი და ბოლოს თავისი, განსაკუთრებით განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილების უფროსი, გენერალი ლავრენტი პავლეს-ძე, რომელიც დროდადრო თვალს უკრავდა და იარაღს ფუჭი ვაზნებით უტენიდა.
მისი სტუმრები კი ამ დროს იატაკზე, უკაცრავი პასუხია და, ეყარნენ. მათ აღარც თავიანთი ჟოლოსფერი პალტოები ახსოვდათ, აღარც მიხვრა-მოხვრა და ზემოიმერული ზრდილობა – ცალ თვალს გიორგისკენ აპარებდნენ, მეორეს გმირული შენაერთებისკენ, დანარჩენებს კი მაგიდაზე დატოვებული პორტფელისაკენ, სადაც, ფერადი ქსეროქსის მეშვეობით, რომელიღაც სარდაფში, გაზეთის ქაღალდზე დაბეჭდილი ასდოლარიანები ეწყო და იმასღა ფიქრობდნენ – ახლა რაღა გვეშველებაო.
თუმცა ყოჩაღ მეომრებს მათთვის აღარ სცხელოდათ. მათ, ჩხრეკისას, აივანზე, ღვინით სავსე ოცლიტრიანი ბოცა და ხახვით გამოტენილი, დიასახლისის ძველი, თვალებწასული წინდა ენახათ, ნიღბები და იარაღი იატაკზე დაეყარათ და რადგან ისედაც არ იცოდნენ რა ესაქმებოდათ ამ სახლში, ასმეთაურის თამადობით და კაცური სადღეგრძელოებით გულაჩუყებულნი, თვალცრემლიანად ქეიფობდნენ.
უპატრონოდ მიტოვებული ტანკი, ვერტმფრენები და ლამაზეთის ტბის ოქროს აკვანი, გიორგის მეზობელს, ტარიელ ბარგიანს, სამზარეულოში შეეთრია, ნავთქურაზე ჯართად ადნობდა და სამხრეთის ქვეყნებში გასატანად ამზადებდა. ვერტმფრენებს არა უშავდა, მაგრამ ტანკი და აკვანი ძნელად დნებოდა და შეწუხებული მეტალურგი ბავშვებს, ფეხებში რომ ედებოდნენ და “რას ჩამოგვიტან მამი”-ო შესტიროდნენ, სამზარეულოდან ერეკებოდა.

... ...
თენდებოდა...

გიორგი რაღაც გაურკვეველმა, დიდი ხნის წინათ დავიწყებულმა შეგრძნებამ გამოაღვიძა. გარეთ ჯერ კიდევ ბინდი იყო, მაგრამ ოთახში მზიანი დღე იდგა. გიორგიმ თავი გაიქნია, თვალები აახამხამა, მიიხედ-მოიხედა და უცებ მიხვდა რაშიც იყო საქმე – ჭერში ნათურა ენთო, ირგვლივ ღამენათევი და ნამთვრალევი ჯარისკაცები მიმოფანტულიყვნენ და ხვრინავდნენ. საქმიანი სტუმრები, თავის ძღვენიანად, არსად ჩანდნენ. სახლი გასარემონტებელი იყო, შემოსასვლელში დამწვარი ტანკის და აკვნის სუნი ტრიალებდა, ბოთლებიც ჩასაბარებელი იყო და ბევრი სხვა რამეც მისახედი, მაგრამ განსაკუთრებულ საქმეთა თათბირის დაწყებამდე ოციოდე წუთიღა რჩებოდა და გიორგიმ (კიდევ კარგი, რომ ჩაცმულს ეძინა) გამხმარი პურის ნატეხს სტაცა ხელი, კიბეებზე ხახვის ფცქვნით დაეშვა, ფაეტონი გააჩერა და სამსახურში რომ მიირბინა, ის-ის იყო დიდი ბატონი, გენერალი ლავრენტი პავლეს-ძე, თათბირს იწყებდა:

– ამხანაგებო, თფუ, თქვენი დედა ასე და ისე, ბატონებო, კვლავ თქვენი დედა ასე და ისე, მიღებულია შეტყობინება – დედათა და ბავშვთა მონასტრიდან ექვსი მონაზონი მოუტაცნიათ გუშინღამ ყივჩაღებს – სად არის ზემდეგი ხოფელია? – წადი მონასტერში

ხოფელია, ეფრეიტორი შაფათავაც გაიყოლე და საღამოზე მოგვახსენე, რა ხდება იქ გაუგებარი! – მერე კიდევ, ბოლო გაჩერებაზე ბოზები უნახავთ და ნუთუ ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს? – გაუკვირდა გენერალისიმუსს – და კიდევ, იმასაც ამბობენ, წუხელის, ქალაქის იქითა მხარეს, ცა განათებულა, თითქოს დირიჟაბლების ქარხანა ამუშავდაო. არ დავინახო არც ცაში და არც მიწაზე, არც ერთი დირიჟაბლი, არც ერთი ნათურა, და არც ერთი ქარხანა ამუშავებული, სანამ არ მოგვცემენ იმას, რაც გვეკუთვნის, ის რომ ქვია, ჩვენ რო ვიცით ყოველმხრივ და საერთოდ, ბევრი რამ ჰხდება, ნაბოზვრებო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ. ახლა კი დაიშალეთ და აღარ ვნახო მიტინგები და მოძრაობები, თქვენი დედა ასე და ისე, კვლავ კიდევ და კიდევ და უფრო უარესადაც მითუმეტეს!

გიორგის ძლიერ უყვარდა თავისი გენერალი ფაცურია, მას მეტად ჭკვიან და გამჭრიახ კაცად თვლიდა, მასზე კაფიაც ქონდა შეთხზული და მხოლოდ რაიმე სამაგალითო ქეიფს ელოდებოდა, ხმამაღლა რომ გამოეთქვა: „კაცი თუ ხარ კაცურია, უნდა იყო ფაცურია!“-ო, მაგრამ, რადგანაც ქეიფი ჯერჯერობით არ ჩანდა, გამომძიებელი კაბინეტში ჩავიდა და სანამ საქმეებს შეუდგებოდა რადიო ჩართო. რადიოში „ცისფერი ტრიო“ მღეროდა. გიორგის უყვარდა ცისფერი ფერი, კაბინეტიც ცისფრად ჰქონდა შეღებილი, ტელეფონის აპარატიც ცისფერი ედგა და კიდევ ერთი კაფიაც ჰქონდა დაწერილი:

„აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორაც ქალაქ ჩიკაგოს მერი
არის ცისფერი და მწუხარება.”

შეიძლება ჩიკაგოს მერი ცისფერიც იყო, მაგრამ ჩიკაგო განგსტერების ქალაქია და მისი მერიც, ჩვენისაგან განსხვავებით, ცხადია მწუხარე იქნებოდა, მაგრამ ჩიკაგო მაინც შორს იყო, გიორგის კი ამასობაში გაახსენდა, რომ ხელზე მოვაჭრეთა დარბევის ოპერაცია უნდა ჩაეტარებია, ზემდეგ მძელურს დაუძახა და უბრძანა:
– ვანო, ბიჭო, მოამზადე ასეული და ჯავშანტექნიკა, მონასტრიდან თუ დაბრუნდა, შაფათავაც გამოიყოლე და ათ წუთში საქმეზე უნდა გავიდეთ!

– ახლავე უფროსო! – შეისმინა მძელურმა, შებრუნდა და გაიქცა.
ერთი საათის შემდეგ, ყოველმხრივ აღჭურვილი ასეული ბაზრობისაკენ გაემართა. მთავარ ქუჩაზე ასეული, მოულოდნელად, ომს გადააწყდა. ქუჩის კუთხიდან პატარა ბიჭებს თავები გამოეყოთ და ომს უყურებდნენ. მათ სახეებზე შიშნარევი გაკვირვება ასახულიყო – ეს ომი კინოში ნანახს არ გავდა, რადგანაც ერთმანეთს კარგი და ცუდი ჯარისკაცები კი არა, ჩვეულებრივ ტანსაცმლიანი თავისიანები ეომებოდნენ. თუმცა ასეულმა, რომელსაც აქ არაფერი ესაქმებოდა, მედგრად გააგრძელა გზა. ციოდა; თოვლშერეული წვიმა თუ წვიმაშერეული თოვლი მოდიოდა. ომან მურმანიძის დროით სამი საათი ხდებოდა და მიზანიც ახლოს იყო, მაგრამ მოულოდნელად, დიდ ქუჩაზე რომ გადაუხვია, რაზმს გზა გადაკეტილი დახვდა. მაღლივი კორპუსების ოთხმოცი ათასი უმუშევარი მცხოვრები ქუჩაში გამოსულიყო და სამუშაოს ითხოვდა. გიორგიმ

იცოდა, რომ ქუჩების გადაკეტვა ამ უსაქმოდ დარჩენილი ხალხისთვის, ერთგვარი გართობა იყო და გულის მოფხანის მეტი არაფერი მოჰქონდა, მაგრამ ასეა თუ ისე, გადაკეტილი ქუჩა, ახლა მაინც დაბრკოლება იყო, რომლის გადალახვასაც დიდი გარჯა არ დაჭირდებოდა, გიორგის რომ რამდენიმე ვიდეოკამერიანი ყმაწვილი არ შეემჩნია. ამ აპარატურის თავიანთ პატრონებზე გადამტვრევაც იოლი საქმე იყო და მეომრებში სულაც არ გამოიწვევდა სინდისის ქენჯნას, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, რაიმე ვიდეოშარს რომ არ გადაყროდა, გიორგიმ შენაერთები უკან მოაბრუნა და რადგან მათ განტვირთვა ჭირდებოდათ, ქალაქიდან გაიყვანა, მოულოდნელი შეტევით რამდენიმე სოფელი აიღო და საღამოსათვის გამარჯვებული, ნადავლითა და ალაფით დატვირთული ჯორ-აქლემებით, აღმოსავლეთის მხრიდან მოადგა ქალაქის კარიბჭეს.
გიორგის ერთი სული ჰქონდა მონატრებული ტელევიზორისთვის შეეხედა, ამიტომ შენაერთი სწრაფად დაშალა, თავთავიანთ აულებსა და ყიშლაყებში გაუშვა, ნადავლი ბიუჯეტს ჩააბარა ხელწერილით, თვითონ სახლისაკენ გაეშურა და მისვლისთანავე ტელევიზორი ჩართო. ეკრანზე, სახელმწიფოს ხარჯზე შეზარხოშებული და ჩვენი დაჭმუჭნული სამშობლოსთვის თაგადადებული მეგობრები – ლევ ტუშონკა, ბოზ ნესენსკი და კახპა დულინა გამოჩნდნენ, რომლებიც ერთმანეთს მასპინძელთა ქება-დიდებაში ეჯიბრებოდნენ და კუბოს კარამდე ერთგულებას და სიყვარულს ეფიცებოდნენ.
დაჭმუჭნულმა სამშობლომ გიორგის რაღაც გაახსენა და მძელურს დაურეკა:
– ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო – მიმართა ზემდეგს – ოდესღაც დიდი ყოფილა სამმართველო, მერე, შენც იცი, თითქმის გაგვანახევრეს. ახლა მგონი კიდევ გვამცირებენ და კარგი იქნება შენც დამეხმარო და ხვალ დილისათვის ერთი-ორი შტატი შეამცირო.
– ახლავე ვიზამ უფროსო! – უპატაკა მძელურმა და სარაკეტო პულტის ღილაკს თითი დააჭირა. რამდენიმე წამში ოკლახომა და კანზასი ჰაერში აიჭრნენ და კიდევ კარგი, რომ შეერთებული შტატები იყვნენ, თორემ ზემდეგის წყალობით შეიძლება რაიმე ხიფათსაც გადაყროდენ.
დილით გიორგიმ ზემდეგი საერთაშორისო კონფლიქტის წამოწყების მცდელობისათვის მკაცრად დატუქსა, შემდეგ დაზარალებული შტატების გუბერნატორებს დაუკავშირდა, გაუგებრობისათვის ბოდიში მოუხადა და საღამოსთვის ვახშმად მიიპატიჟა. გუბერნატორებმა სიამოვნებით მიიღეს მოწვევა, იმავე საღამოს საკუთარი თვითმფრინავებით და ოჯახებით ჩამოფრინდნენ, აქაურ-მამა-პაპურად წაიქეიფეს, ღამით, ცნობილი მთიდან, წყვდიადში ლამაზად ჩაფლულ ქალაქს გადმოხედეს, მერე აეროდრომისკენ გაეშურნენ, გიორგის და ვანოს კაცური ხვევნა–კოცნით დაემშვიდობნენ და თავთავიანთ, დროებით უპატრონო შტატებს მიაშურეს..
როგორც კი თვითმფრინავები აფრინდნენ, გიორგის გაახსენდა, რომ ორივე გუბერნატორს, ბედნიერი შემთხვევის წყალობით თუ რაღაც ჭირად, გრანტი ერქვა სახელად. ამ ამბავმა იგი გაახალისა და სახელდახელო კაფიაც აუკიაფა ფოლკლორულ თავში: “ამ უცხოელ გრანტებს, მოვიგონებ კვლავ”-ო, გაიფიქრა და მართლაც, გაივლის წლები და პარაშის მოლოდინში ჩაფსმის პირას მყოფი გიორგი, ზამთრის იმ ცივ დღეს გაიხსენებს, ცხოვრებაში პირველად და ალბად უკანასკნელადაც, უცხოური გრანტები რომ გაუშვა ხელიდან, ანუ სამშობლოში რომ გააცილა.

მაგრამ ეს მოგვიანებით იქნება, მანამდე კი, აეროდრომიდან უკან დაბრუნებისას, გიორგიმ გაზეთები შეიძინა და გადაათვალიერა. „გალია სამმართველოდან" გვამცნობდა: "ცნობილმა რეჟისორმა კოლეგა სასიკვდილოდ გაიმეტა", „მაჭარაშვილი პოლიციაში მოკლეს?!", „ციხიდან საკუთარ დაკრძალვაზე", „შიში და კვნესა აბასთუმნის ქუჩაზე", „მოვკალი, მაგრამ თავები მე არ მომიჭრია"– აი ასე ამხნევებდა მკითხველებს „გალია", თუმცა არც სხვა გაზეთებს აკლდა იუმორი და ოპტიმიზმი. „დროებანი" იუწყებოდნენ: „დაახრჩვეს და გააუპატიურეს", „ნაჯახით დაჩეხილი ცოლი", „თავანისათვის ორი გვამი", „მკვლელობა საახალწლო ნაძვის ხის წვიმებით", „ხალადეცი ქმრის ყურებისაგან" – და სხვა თავშესაქცევ ამბებს.
წაკითხულისაგან გახალისებულმა გამომძიებელმა ენერგიის მოზღვავება იგრძნო და სამმართველოში დაბრუნებისთანავე, ხელქვეითებს გოცირიძის მოყვანა დაავალა. ცოტა ხანში მძელურმა და შაფათავამ ოთახში შუახნის, კარგად შენახული, სახეზე ირონიული გამომეტყველებით, სიმპათიური მამაკაცი შემოიყვანეს.
გამომძიებელს ერიდებოდა და ოდნავ კიდეც ეშინოდა მისი. ამიტომ ფრჩხილების დაძრობას, დენზე მიერთებას, ბოთლზე დასმას, დაუთოებას და სხვა თავშესაქცევ მეთოდებს გამორიცხავდა და ის კი არა, ზოგჯერ ბატონობით და თქვენობითაც მიმართავდა.
– დაბრძანდით – შესთავაზა გიორგიმ პატიმარს – და მივხედოთ ნელ-ნელა საქმეს. აი, თქვენს საქმეში წერია, რომ თქვენ დაამთავრეთ იტონის კოლეჯი და სორბონის უნივერსიტეტი – კი მაგრამ, გვარდიის გენერალი და მუშკეტერების კაპიტანი როგორღა გახდით?
– ჩვენთან ყველა გენერალია ვისაც არ ეზარება – მიუგო სოლომონმა – მუშკეტერები კი ბავშვობიდან მიყვარდა, ჩემო კარგო.
მე შენი კარგი არა ვარ! – ეწყინა გამომძიებელს.
– მე „შენი კარგი"... მეთქი არ მითქვამს, მე „ჩემო კარგო" გითხარით, ჩემო კარგო.
– ფილოსოფიის დოქტოროობა რაღაში მოგანიჭეს?
– ფილოსოფიაში, რათქმაუნდა.
– კი, მაგრამ, რა თემაში? – დაინტერესდა გიორგი.
– „აღმავალი სპირალის ტრაექტორიის საბოლოო დაღმასვლის დიალექტიკა" – მიუგო სოლომონმა.
– გასაგებია – თქვა გიორგიმ, თუმცა ვერაფერი გაიგო – აი კიდევ, თქვენ საქმეში წერია, რომ მაფიასთან გაქვთ კავშირი – ვინ არის და სად არის მაფია? – იოლად მოუნდა ყველაფრის გაგება გამომძიებელს.
– მაფია ყველგანაა! – მოკლედ მოჭრა ეჭვმიტანილმა.
– კარგი ბატონო. ჰუმანიტარული დახმარების კურატოროობაში თქვენს საქმიანობაზე რაღას იტყვით? – სხვა მხრიდან სცადა პატიმრის გამოჭერა გამომძიებელმა.
– ო, ეგ სულ უბრალო რამ არის – კუვეიტში და ბრუნეის სულთანთან ტყემალი და აჯიკა ჩამქონდა და ნავთსა და ბენზინში ვცვლიდი, რომლებსაც აქ ქვრივ-ობლებს ვურიგებდი. ეს იყო და ეს.
– მერე, დავიჯერო უფულოდ ურიგებდი? – დაინტერესდა გიორგი.
– თქვენისთანებს რას დააჯერებს კაცი, ფულის მეტი რომ არაფერი გახსოვთ. აბა ყური დამიგდე, იაპონური ტანკაა ასეთი: „წყაროს თავს ვიდექ, ჩაფიქრებული დავცქეროდი

ნესტიან მიწას, ფული რომ მქონდეს, ერთიანად ფანჯარაში გადავუშვებდი”, ან შეიძლება ასეცაა, არ მახსოვს კარგად: „ქალი მიყვარდა, არ ვიცოდი სიცოცხლის ფასი, ფული რომ მქონდეს, ერთიანად ფანჯარაში გადავუშვებდი”, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ორივე ტანკაში...

– იაპონურ ტანკებს ჩვენი „ტ-34” ჯობნიდა ომის ბოლოს – დამაჯერებლად შეაწყვეტინა გიორგიმ – მაგას ჯობია ის მითხრა, პატრიოტთა ლეგიონის კავალროზა რაღაა, მაგაში გიხდიდნენ ხელფასს? – შეშურდა გამომძიებელს.

– პატრიოტობა პროფესია არაა ამხანაგო ოპელკაპიტანო, პატრიოტობა ისაა, მე რომ ბურების გვერდით ვიბრძოდი აფრიკაში, მაჰათმა განდისთან ინდოეთში, მერე ესპანეთში, მერე კორეასა და ავღანეთში და კიდევ სხვაგან და სხვაგან მაჩაბლებისა და შარვაშიძეების მხარდამხარ, თქვენ კი ამ დროს გაზიან წყალს სვამდით ზოოპარკში და მერე ქვეშ იფსამდით.

– პატიმარო გოცირიძევ, თუ შეიძლება წესიერად ილაპარაკეთ – გორგი ნელ-ნელა მთავარ კითხვას ეპარებოდა და ამიტომაც გამკაცრდა – ახლა კი მითხარით, ვინ იყვნენ ის მაღალი და დაბალი კაცი, გუშინწინ რომ მომიგზავნეთ?

– მაღალი და დაბალი? – წამით დაფიქრდა გოცირიძე – თუ ფეხით იყვნენ მოსულები, დურემარი და ყარაბას-ბარაბასი იქნებოდნენ, ხოლო თუ ცხენითა და ვირით, მაშინ დონ კიხოტი და სანჩო პანსა.

გამომძიებელს „ბურატინოს თავგადასავალი“ წაკითხული ჰქონდა და მიხვდა, რომ ამასხარავებდნენ, მაგრამ გენერატორი და ქათმები გაახსენდა და თავის შეკავება ამჯობინა.

– კი მაგრამ, რა უნდოდათ?

– გეტყოდნენ ალბათ, რაც უნდოდათ.

– რაღაც კი თქვეს, მაგრამ ხომ იცით, რომ ზემოდან მაქვს ნაბრძანები არ გაგიშვათ, სანამ არ ჩამოგახრჩობთ.

– ჰოდა, იჯექი მაშინ ამ ოთახში და თვეში ორმოც ლირად უბრახუნე გვერდებში წიხლები უდანაშაულო ხალხს, ამხანაგო დობერმან-მაიორო. გამიშვი ახლა მე ჩემ საკანში, წამოვწვები ფანჯარასთან, შენ კი საღამომდე კიდევ კარგად მოიფიქრე ყველაფერი.

სინამდვილეში გიორგი გრანდმაიორი იყო და ვიცე-პოლკოვნიკობაზე ოცნებობდა, როდესაც ხელფასი ორმოცდაათი ლირა გაუხდებოდა და შეიძლება კიდევ ერთი ჯავშანმანქანისთვისაც გამოეკრა ხელი, ხოლო თუ რაიმე საბაბით გოცირიძეს გაუშვებდა, ამ ყველაფერს უნდა დამშვიდობებოდა, რაც ჰქონდა იმასაც დაკარგავდა და შეიძლება გოცირიძის ადგილიც დაეკავებინა მეხუთეში, ოღონდაც ფანჯარასთან ნამდვილად არავინ წამოაწვენდა. უცებ გამომძიებელს რაღაც აზრმა გაუელვა თავში და სოლომონს მიუბრუნდა:

– რას იტყვით, გაქცევა რომ მოგიწყოთ?

– გაქცევა რომ მდომოდა, თქვენ არ შეგეკითხებოდით, ოცდაათჯერ გავიქცეოდი აქამდე, მაგრამ სად ვირბინო ახლა, ჩემი ხნის კაცმა, სვანეთში ან ბრაზილიაში, საყვარელი ოჯახი მყავს აქ, შვილები და შვილიშვილები, ნათესავები და მეგობრები, რაღა დროს ჩემი სირბილია. წიგნი მაქვს დასამთავრებელი სპირალების სხვადასხვაგვარ

ტრაექტორიებზე, ათასი სხვა საქმე მაქვს კიდევ და საერთოდ, რისთვის დამაპატიმრეთ, გამაგებინე თუ კაცი ხარ?
– მართალი გითხრათ, არც მე ვიცი. ოფიციალური ვერსიით – „ავტობუსის უკანა კარიდან ჩამოსვლისათვის", მაგრამ მე მგონი აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს, იმიტომ, რომ საქმეში წერია, თითქოს სახლში სამხედრო აეროდრომი, ბირთვული იარაღის საწყობი და სამი ტონა კოკაინი აღმოგიჩინეს. ისე, როდისმე ლავრენტი პავლოვიჩისთვის ხომ არ გიწყენინებიათ რამე?
– ავტობუსში და მაგისთანებში ცხოვრებაში არ ვმუშაობარ, აეროდრომი და იარაღი ხომ სისულელეა, ლავრენტის კი არ ვიცნობ, მაგრამ გამიგია, ფელდმარშალი უნდა იყოს მგონი თქვენი.
– რა ვქნათ აბა? – შეწუხდა გამომძიებელი.
– რა ვქნათ და გამომიწერე საშვი და წავალ სახლში, შენც სახლში წადი, იქ პატარა ჩემოდანი დაგხვდება, მოკიდე ხელი და შენ ირბინე საზღვარგარეთ, თუ მოისურვებ, რამდენიც გინდა.
– სპირალები არა, მაგრამ ოჯახი მეც კი მყავს. – ეწყინა გიორგის.
ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტში გენერალი ფაცურია შემოვიდა. გამომძიებელი ფეხზე წამოხტა, მაგრამ გენერალს მისთვის არც შეუხედავს, ხელებგაშლილი პირდაპირ სოლომონისკენ გაექანა და გადაეხვია:
– ამას ვის ვხედავ, ასე უნდა ბიჭო ღუტუნა ძმობის დავიწყება? რაზე შეწუხებულხარ, თუ რამე საქმე გქონდა პირდაპირ ჩემთან ვერ მოხვედი, შე კაი კაცო? ისე რას შვრები, ოჯახში ხომ კარგად ხარ? გახსოვს ბიჭო, რა კარგი იყო ბარდნალა, როგორი სათაყვანები? ისიც თუ გახსოვს, პატარაობისას წიხლი რომ ამომარტყი და მაღრიალე?
„არ აცდება გოცირიძეს გილიოტინა"- გაიფიქრა გიორგიმ. ლავრენტი კი განაგრძობდა:
– მაგრამ აბა ეს რა გასახსენებელია, ისე ვთქვი, სიტყვის მასალად. ახლა ხომ ხარ მაგრად? დამიცადე აქ ცოტა ხანს, საჩქარო საქმე მაქვს ახლა, მერე კი დავუჯდეთ და ვიჭუკჭუკოთ ძველებურად – მერე კი გამომძიებელს მიუბრუნდა – ამხანაგო გიორგი, ყველა საქმე რაც წარმოებაშია, სწრაფად და რაც მთავარია ობიექტურად გამოიძიეთ. უმთავრესი ყურადღება დაუთმეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქცევის წესების დარღვევებს. ხომ იცით, ახლა ტრანსპორტის კვირეული ტარდება და ჩვენი წვლილიც შევიტანოთ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. აბა თქვენ იცით! – და ოთახიდან გავიდა.
საქმის ასეთმა შემობრუნებამ, მრავლისმნახველი სოლომონიც დააბნია. ლავრენტი გაახსენდა, მაგრამ მაშინ მას ლავროსის ეძახდნენ და მამამისს თუ პავლე ერქვა, აბა საიდან უნდა ცოდნოდა, ბავშვობაში ხომ მამის სახელებით არ მიმართავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა მთავარი ეს არ იყო. მთავარი ის იყო, რომ მიხვდა რისთვისაც დააპატიმრეს და გამოსავალზე დაიწყო ფიქრი. მთელი უბედურება იმაში იყო, რომ ლავრენტი ისეთ კაცად ითვლებოდა, სულ პატარა წყენასაც რომ გულში ინახავდა და ადრე თუ გვიან, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ყველანაირად იძიებდა შურს.
გიორგისაც თავისი საფიქრალი გაუჩნდა – ახლა კი ნამდვილად აღარ შეიძლება ამის გაშვება, თორემ მის მაგივრად მე დამსვამენ ელექტროსკამზე, – ფიქრობდა იგი. – დავრჩი უგენერატოროდ და ეგაა, გენერატორი კი არა და, ცოლ-შვილი მრჩება მგონი მშიერი.
გიორგის ცოლ-შვილი ენატრებოდა, მაგრამ ალბათ სექტემბრამდე ვეღარ ნახავდა. ცივი ზამთარი იდგა, სკოლები გამოყინული იყო და ჭკუისკოლოფობის მინისტრმა, სანამ

დაიჭერდნენ, ზამთრის არდადეგები მაისამდე გააგრძელა ბიუჯეტის ხარჯზე. მაისში კი უკვე ზაფხულის არდადეგები დაიწყებოდა და თუ სექტემბერიც ცივი დადგებოდა და ისევ გადადებდნენ სწავლის დაწყებას, შეიძლება რამდენიმე წელიც ვერ ენახა ცოლ-შვილი. არადა განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს სოფლებში სასეირნოდ აბა სად ეცალა – ერთი შანსი იყო, თუ იმ სოფელში რაიმე განსაკუთრებული დანაშაული მოხდებოდა და მის გამოძიებას გიორგის დაავალებდნენ, თუმცა არც ეს იქნებოდა მოულოდნელი, რადგანაც სიმამრის სოფელში ბუნებრივი სიკვდილით თითქმის არავინ კვდებოდა, ამ საქმეში ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა, საკმაოდ ხშირად და წარმატებითაც.

ამ ფიქრებში იყო გიორგი, რომ დერეფანში რაღაც ალიაქოთი ატყდა და შემზარავი ღრიალი გაისმა. გიორგიმ გაიხედა და ისეთი რამ დაინახა, თმები ყალყზე დაუდგა – ზემდეგი ვანო მძელური, ხელებზე ბორკილებდადებულ გენერალ ფაცურიას კინწისკვრით მოათრევდა და უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდა, რაც შერბილებულად დაახლოებით ასე ჟღერდა:

– ამ შობელძაღლს მაშინ წავასწარი, ტრანსფორმატორის ჯიხურის ქვეშ დინამიტს რომ დებდა. სულ რაღაც ეჭვი მჭამდა და ვუთვალთვალებდი, ამისი ბოზი დედა ასე და ისე, ჩემი ხელით დავახრჩობ ამ ნაბიჭვარს! ასეთების გულისთვის ვზივართ სიცივეში და სიბნელეში მესამე წელია!

გიორგი გაშრა და გაშეშდა. კაბინეტებიდან სხვა გამომძიებლებსაც გამოეყოთ თავები, მაგრამ ყველა დაბნეული და გაოგნებული იყო. „აი თურმე რა საჩქარო საქმეზე მიდიოდა” – ამის გაფიქრებაღა მოახერხა გიორგიმ. გამეხებულმა მძელურმა გამოაშკარავებული გენერალი წიხლისკვრით გიორგის კაბინეტში შეაგდო, სადაც, თუ გახსოვთ, სოლომონ გოცირიძე იჯდა. სოლომონმა, რომელიც ბრძენი იყო, უცებ გაიაზრა ყველაფერი და მიხვდა, რომ გადარჩა.

– უფროსო, გატყობთ, რომ თქვენ ახლა ანერვიულებული ხართ და მე თვითონ დავკითხავ ამ დედაშერცხვენილს! – სთხოვა ზემდეგმა გამომძიებელს. დაბნეულმა გიორგიმ უსიტყვოდ დაუქნია თავი, მერე გოცირიძე შეამჩნია, ცოტათი გონს მოეგო, მივიდა, ხელკავი გამოსდო – მაშინ ჩვენ დაგტოვებთ და აბა შენ იციო – დაუბარა მძელურს და გოცირიძე დერეფნის ბოლოში გაიყვანა – ვატყობ სიტუაცია შეიცვალა, მოვილაპარაკოთ, ოღონდ ერთი პირობით – საშვი და პორთველი ხელი-ხელში, ცოტა ხანში ზემდეგს კაბინეტს დავატოვებინებ, გენერალს, ძალიან კი მიყვარს, მაგრამ თქვენ ადგილას ჩავაყუდებ, დარეკეთ ტელეფონზე, დაველოდოთ ჩემოდანს და ვისაუბროთ მანამდე. ჭკვიანი კაცი ხართ, მასწავლით რამეს სპირალებზე, ბაზრებთან რომ ყიდიან, თორემ ამბობენ, თუ მაგნიტით არ გასინჯე, შეიძლება უვარგისი შემოგატყუონო.

ამ დროს კაბინეტიდან მძელური გამოვიდა და მოსაუბრეებისაკენ გამოეშურა – გამოვტეხე უფროსო – მოუხაროდა ზემდეგს – სულ მიკვირდა, თუ ნამდვილი გენერალია, რატომ ანდუყაფარი, ქაიხოსრო ან ნაპოლეონი მაინც არ ქვია მეთქი და მართალიც აღმოვჩნდი. ჩრდილოეთის დაზვერვის აგენტი აღმოჩნდა “ელასის” ხაზით. ეგ იყო თურმე მოკლე ჩართვებს რომ ახდენდა, სადარბაზოებში ნათურებს იპარავდა, ბლოკებს ხანძარს უჩენდა, დისპეჩერებს ათრობდა, წამდაუწუმ უაზრო ჩართვა-გამორთვებს აიძულებდა და კიდევ ათასგვარ მამაძაღლობებს სჩადიოდა – რა ვუყოთ ახლა, მაგ თითონ მამაძაღლს?

– ყოჩაღ მძელურო! – შეაქო გამომძიებელმა – ყოველთვის მქონდა შენი იმედი და აუცილებლად წარგადგენ რაიმე ჯილდოზე, ახლა კი ისე ვატყობ, გოცირიძის ადგილი გამოთავისუფლდება და ჯერჯერობით იქ ჩაიყვანე, მერე მოვიფიქრებ რამეს. შენ კი წადი სახლში და დაისვენე, დღეს ეს ნამდვილად დაიმსახურე.
– ვემსახურები საბჭოთა კავშირს! – ახალგაზრდობის ნოსტალგიით დასჭექა ზემდეგმა, შებრუნდა და ბრძანების შესასრულებლად გაემართა.
ცოტა ხნის შემდეგ გამომძიებელი და სოლომონი თავისუფალ კაბინეტში შევიდნენ, სოლომონმა სადღაც დარეკა და ის–ისაა სპირალებზე საუბარს უნდა შედგომოდნენ, რომ ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. პასუხს არ დალოდებია, კარები ისე გაიღო და ოთახში ძველი ნაცნობები, ჟოლოსფერ პალტოიანები შემოვიდნენ, ჩემოდანი მაგიდაზე დააგდეს, სოლომონისკენ გაექანენ, გულში ჩაიხუტეს, მხრებზე ბრაგუნი აუტეხეს, საკნის მტვერი აადინეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოუბრუნდნენ გიორგის:
– გამარჯობათ პატივცემულო გამომძიებელო, ხომ ვართ სიტყვის ხალხი, დაგპირდით და აი, მოვედით კიდევაც. ცოტა კი შეგვაგვიანდა, ლიფტი გაფუჭებულა და ფეხით ამოვიარეთ ეს თხუთმეტი სართული – დაიწყო მაღალმა.
– გაგიმარჯოთ ბატონო მეგობრებო, სახელებიც კი არ ვიცი თქვენი – ხასიათზე მოვიდა გიორგი – ოღონდაც მითხარით, უსაშვოდ როგორ შემოხვედით შენობაში?
– ძმისავ, ხომ გითხარით, ჩვენ ელასიდან ვართ, ელასი კი ყველგანაა. გასვლა ჭირს ზოგჯერ, თორემ შესვლა ადვილია. ახლა კი დროს ნუღარ ვკარგავთ, ლიმუზინი გველოდება ქვემოთ და თქვენც წამოხვალთ ჩვენთან ერთად თუ დარჩებით პატარა ხანს?
– ჩემი წამოსვლა ჯერ არ გამოვა – უპასუხა გიორგიმ ჯიბიდან ხელთათმანები ამოიღო, გაიკეთა და “დიპლომატს” ოდნავ ახადა სახურავი – შიგნიდან მეხამრიდის გამომგონებლის, ბენჟამენ ფრანკლინის პორტრეტიანმა მწვანე დასტებმა გამოანათეს ბლომად.
– რამდენია? – ხმა აუკანკალდა გიორგის.
– რამდენიც ჩაეტია იმდენია და საკმარისია მე მგონი! – მოუთმენლად უპასუხა მაღალმა.
გამომძიებელმა ხელთათმანები გაიძრო, მაგიდის უჯრა გამოაღო, საშვი ამოიღო, შეავსო, მერე სეიფიდან კონიაკი და ოთხი ჭიქა გადმოიღო, დაასხა – წამსვლელ-დამრჩენს გაუმარჯოს, სულ კეთილად გევლოთ და თუ კიდევ შევხვდით ერთმანეთს, უკეთეს ადგილას შევხვედროდეთო – და გადაკრა. წამსვლელებიც დაილოცნენ, ჭიქები დაცალეს, საშვი აიღეს, გიორგის ხელი ჩამოართვეს და სწრაფად გაუჩინარდნენ კარებს იქით.
მარტოდ დარჩენილმა გამომძიებელმა კიდევ ერთი ჭიქა კონიაკი დალია, მერე ცოტა ხნით ჩაფიქრდა და გადაწყვეტილება მიიღო. მას თავისი ოჯახი და პროფესია ძლიერ უყვარდა. ოჯახის წილი სიყვარულით მან ფული დაიტოვა; ახლა პროფესია ითხოვდა თავის წილს. გიორგიმ შიდა ტელეფონის ყურმილი აიღო და როცა გაიანგარიშა, რომ სამეული სამშვიდობოს იქნებოდა, მორიგეს დაუკავშირდა:
–სასწრაფოდ შემოარტყით ალყა შენობას და გადაკეტეთ ყველა გასასვლელი. კაბინეტში ყაჩაღები შემომიცვივდნენ, იარაღით მაიძულეს საშვი გამომეწერა და პატიმარი გაიტაცეს. თუ როგორ შემოგეპარნენ შეიარაღებული ბანდიტები, მაგას მერე გავარკვევ, ახლა კი დროზე მიხედეთ საქმეს! – მერე მორიგეს გაქცეულების გარეგნობა აუწერა, ყურმილი დადო, ხელთათმანები კვლავ გაიკეთა, „დიპლომატს“ ხელი დაავლო და

სათადარიგო კიბეებით სასამსახურო გასასვლელისკენ დაეშვა, ქუჩაში გასვლისთანავე რიქშა დაიქირავა და თავისი მისამართი უკარნახა. რიქშა ტროტუარის გასწვრივ გაცუხცუხდა, გიორგი სკამზე გადაწვა და ფიქრებს მიეცა:

გენერატორი, ქათმები და ბევრი სხვა რამეც, შეიძლება ითქვას, უკვე ხელში ეჭირა. ახლა მთავარი იყო შეცდომა არ დაეშვა, არ აჩქარებულიყო და მოზომილად ემოქმედა. იმისი დარდი არა ჰქონდა, რომ ვინმე მოჰკითხავდა – საიდან ეს ყველაფერიო? – იმ დროისათვის ყველა შეძლებული კაცი, ქურდი ან ყაჩაღი იყო და პატივი და დაფასებაც ნაქურდალ-ნაყაჩაღარის რაოდენობის შესაბამისი ჰქონდა. ამას არც არავინ მალავდა და ერთი-ორი ბრიყვის გარდა, არც არავის უკვირდა. ახლა გიორგის მთავარი საზრუნავი, პორთფელის საიმედოდ გადამალვა იყო.

ამასობაში რიქშამ გიორგის სახლს მიაღწია და შესასვლელთან გაჩერდა. გიორგი უკვე იმდენად მდიდარი იყო, რომ გულუხვობა აღარ შეშვენოდა, ამიტომაც რიქშას ხურდა ფული მიუყარა და მეტი დამაჯერებლობისათვის, პროფესიული წიხლიც მიაყოლა. რიქშამ იგრძნო ვისთანაც ჰქონდა საქმე და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

გიორგიმ მიიხედ-მოიხედა, ხელთათმანიანი ხელით ჯიბეში გასაღები მოძებნა, კიბეებზე დაეშვა და სარდაფის კარი გააღო, მერე პორტფელი გახსნა, ერთი დასტა ამოიღო, ჯიბეში ჩაიჩარა, პორთფელი შეშის გროვაში ღრმად შეტენა, ხელთათმანები გაიხადა, ცეცხლი წაუკიდა და დაელოდა სანამ ფერფლის გროვად იქცეოდა, ფერფლი ფეხებით გასრისა, გარეთ გაიჭვრიტა და როცა დარწმუნდა ვერავინ ხედავდა, სარდაფის კარები გამოიკეტა და კიბეებს სახლისკენ აუყვა. დიდხანს სახლშიც ვერ გაძლო, ფული აწუხებდა, ჯიბეს უწვავდა და გარეთ ექაჩებოდა. გენერატორის ყიდვას დღეს ვეღარ ასწრებდა, ცოცხალი ქათმების მომვლელი არავინ იყო და საქმე წინ რომ წაეწია, იფიქრა ფულს მაინც გადავახურდავებო. იღბლად მთავარი ბანკი სახლთან ახლოს ჰქონდა. გიორგიმ ფერადი სათვალე გაიკეთა, თავზე მელოტის პარიკი წამოიცვა, ტუჩებზე დიდი ულვაშები დაიწება და მეტი კონსპირაციულობისთვის, აივნიდან თოკით დაეშვა.

ბანკის თანამშრომელი გოგონა, გიორგის დანახვაზე, წელზე თოკის ნარჩენი რომ შერჩენოდა და ცალი ულვაში უშნოდ აპრეხოდა, ცოტა არ იყოს შეშინდა, მაგრამ მალე გონს მოეგო, გიორგის გაუღიმა და სასიგნალო ღილაკს ფეხი დააჭირა.

გიორგიმ გაიფიქრა, აქ ისე მიღიმიან, ეტყობა ჩინს მომცემენ, ტემლაკებსაო, მაგრამ იმდენი მამა უცხონდეს, რამდენიც იმას მისცესა – უცებ საიდანღაც ორი, თავისზე უარესი ახვარი გამოხტა, გიორგის ხელები გადაუგრიხეს, ჯიბიდან ყალბი ფულების დასტა ამოაცალეს, ერთი-ორიოდ პანღური ამოჰკრეს, წიხლისკვრით მანქანაში შეაგდეს, მშობლიური, წინასწარი პატიმრობის მეხუთე საკანში გააქანეს და მალევე, ყალბი ფულის მოჭრისა და მოლარე გოგონას გაუპატიურების მცდელობისათვის უმკაცრესი მუხლები შეუფარდეს.

გიორგის ქვეყანა პატარა იყო და საკანში რომ შეაგდეს, მილიონი სამუშაო ადგილის, თაღლით ჯამბაკურ გალუასა და ერთი-ორი უცხო ჯიბგირის გარდა, ყველა ნაცნობი იქ დახვდა, თუმცა დაპირდნენ, დანარჩენებსაც მალე მოგისვამთ გვერდითო და აბა უკეთესს რას ინატრებდა კაცი – ძალა ხომ ერთობაში იყო და თუკი ეს ერთობა ციხეში იქნებოდა, მთლად უკეთესი, ციხე შიგნიდან გატყდებოდა, გატეხილი კი დაჟეჟილს ხომ სჯობდა და როგორც ცოტა ხნის წინ წავიოცნებეთ – აბა უკეთესს რას ინატრებდა კაცი?!

მანამდე კი ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა:

„მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა...
...ვიღაცას ციოდა, ვიღაცას შიოდა...
...დრო კი გადიოდა”...
ასე იარა დრომ, იარა და ამასობაში:
გიორგი კანონიერ ქურდებს შემოეჭამათ საკანში, დიდი შიმშილობის დროს და ცოტა ხანში ამნისტიაც შეეფარდა. მისი ამნისტირებული ძვლები სამმართველოს ეზოში, საპატიო დაფასთან დაკრძალეს.
გიორგის კაბინეტი მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა, ყოფილმა ზემდეგმა, ამჟამად ვიცე-პოლკოვნიკმა ვანო მძელურმა ჩაიბარა დაუმთავრებელ საქმეებთან ერთად და შეჰფიცა, რომ ღირსეულად გააგრძელებდა თავისი წინამორბედის ეკლიან, მაგრამ საპატიო და სამართლიან გზას.
ნაგენერლარი ფაცურია, საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლა ლინჩის წესით და „გოელროს“ გეგმის ჩაშლისათვის, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, ათმაგი ხელფასის დაქვითვით.
ეფრეიტორი ლოთი (ნაპოლეონ) შაფათავა, როგორც „ქალაქელთა კავშირის“ წევრი, გენერლის წოდებით დააჯილდოვეს, ლავრენტი ფაცურიას ადგილზე დანიშნეს. დაწინაურებასთან დაკავშირებით, გვარიც ერთი დღით დაუწინაურეს და კვირაიად აქციეს.
სოლომონ გოცირიძემ, რომელიც გაქცევის დღესვე დაიჭირეს, კალმის ნატეხით გვირაბი გათხარა, თავი ავსტრალიაში ამოყო, განტენბაინი დაირქვა და სანამ ისევ დაიჭერდნენ, იქაური ბიუჯეტის ხარჯზე, კენგურუების მოშენებას მიჰყო ხელი.
ჟოლოსფერ პალტოიანები ისე აიყვანეს ეშაფოტზე, რომ მათი სახელებიც კი არ შემორჩა შთამომავლობას და როდესაც რეაბილიტაციამ მოუწიათ, არავინ იცოდა მათ საბუთებში რა ჩაეწერათ.
გიორგის ქალიშვილი კონდოლიზა, თავისი პაპის სოფელში, არდადეგებიდან დაუბრუნებლად გათხოვდა იქაურ ფერმის გამგეზე და ქმართან ერთად, სახლში ბავშვებისა და ფერმაში საქონლის სულადობის ზრდას დაუკავშირა თავისი ლამაზი ცხოვრება.
გიორგის უფროსმა ვაჟიშვილმა, მამისეულ სარდაფში შეშის დალაგებისას, ნამდვილი ვალუტით გამოტენილი პორთფელი იპოვა, სასწაულთა მინდორში წაიღო, პატარა ორმო ამოთხარა, ფული შიგ ჩაფლა, სამჯერ „კრეკს, ფეკს, პეკს!“ წარმოთქვა, მარილი მოაყარა, კარგად მორწყა და დასაძინებლად წავიდა. მეორე დილით ამ ორმოში ამოსულ ხეზე, ფოთლების ნაცვლად, გაასმაგებული ფული დახვდა და სანამ სამართალშემტევი ორგანოები დაიჭერდნენ და ყველაფერს წაართმევდნენ, შეძლებულად და ბედნიერად ცხოვრობდა.
გიორგის მეზობელმა, უცხო მოყმემ ვინმემ, ტარიელ ბარგიანმა, ჯართი და აკვანი სარფიანად გაყიდა მეზობელ ქვეყანაში. ბავშვებს კაკებიც ჩამოუტანა და უზრუნველი ცხოვრებაც მოუწყო საშვილიშვილოდ, თვითონ კი, სანამ დაიჭერდნენ, ჰაერის გამოსაცვლელად მთებში გაემგზავრა, ბიუჯეტის ხარჯზე.
ბედის მაძიებელმა, მალხაზმა ბიჭმა გიჟვრაცუაშვილმა, შიბნ გადიარა კლდისანი, არქტიკაში ბორჯომის საბადო აღმოაჩინა, მიდგა-მოდგა, პოლუსი გაასუფთავა და ის-ის იყო ჩამოსხმა უნდა დაეწყო, რომ პოლუსების მინისტრმა ჯიბილო ბოტიჩელმა წილი

მოთხოვა, არქტიკის ანტარქტიკად გადაკეთება მოინდომა, პოლუსისა – ფალოსად, მალხაზისა – ფილხაზად, გიჟვრაცუაშვილი გააკოტრა, მერეც იმდენი იჩალიჩა, რომ სანამ დაიჭერდნენ, ბიუჯეტის ხარჯზე, ერთი აისბერგის თეატრი და „ჯიბილობანკი“ გახსნა ბრიყვთა მხარეში.

ქოსატყუილების და კაკა-კუილების მინისტრმა კახაბერ მარტიროსოვმა, ბიუჯეტის ხარჯზე, საიდანღაც კუდიანი ვარსკვლავები, შავი ხვრელები და ნისლეულები ჩამოიტანა და ეს ყველაფერი ლორდთა პალატას ხალას ვარსკვლავებად შეასაღა, აღებული ფულით თავისთვის ორი უკაცრიელი პლანეტა იყიდა, დისშვილების სახელზე გააფორმა და მათზე საზამთროს მოყვანა ჩაიფიქრა, მაგრამ ლორდებმა ეს ოინები რომ გაუგეს, თითქოს თვითონ უმანკონი იყვნენ, გაკიცხვა მოუწყვეს, დასაჭერად გაამზადეს, ჩამოტანილი ნივთები კი, როგორც ყოვლად გამოუსადეგარი რამ, უპატრონო ბავშვთა უპატრონო სახლს გადასცეს უანგაროდ.

იძულებით გადმოადგილებულმა პირმა ითმინა, ითმინა და პატრონი რომ აღარ გამოუჩნდა, სხვა გადმოადგილებულებთან ერთად, მშვიდობიანი მოლაპარაკებებით, ჯერ თავისი სამშობლო დაიბრუნა, მერე ოდესღაც დაკარგული მიწებიც შემოიერთა, ქვეყანა ქვეყანას დაამსგავსა, შეაკავშირა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განავრცო (ისემც რა ვუთხარი) და როდესაც მიზანი მიღწეულად ჩათვალა, კვლავ დედაქალაქს დაუბრუნდა, წერად დაჯდა და „სიმღერანი სიხარულისანი“ დაწერა.

მექათმეობის მინისტრმა, მშობლიურ ენასთან მწყრალად რომ გახლდათ და „თხუთმეტის” მაგივრად „თუთხმეტს”, ხოლო „წიგნის“ ნაცვლად „წინგს“ გაიძახოდა დროდადრო, წისქვილების აქციების საკონტროლო პაკეტი და გრინვიჩის მერიდიანი შეისყიდა ბიუჯეტის ხარჯზე და სანამ დაიჭერდნენ, პურისა და მერიდიანების მონოპოლისტი გახდა ამიერ-ბაიკალეთში, ამის შემდეგ თავის განვლილ ცხოვრებას ანალიზი გაუკეთა და ეს ანალიზი განავალი ცხოვრებისა აღმოჩნდა.

სახელმწიფო გადატრიალების მინისტრი, მისი უდიდებულესობა ბარნაბა ეძგვერაძე, სანამ ნამდვილ გადატრიალებას მოაწყობდა და დაიჭერდნენ, სართიჭალელ ტურფებთან ერთად საწოლში ტრალებდა.

მეყაჩაღეობის მინისტრმა, ბატონმა აკაკი (კაკო) ბღაჭიაშვილმა და მეპატიოსნეობის მინისტრმა, ბატონმა არსენ ოძელაშვილმა, ჩესტერფილდში გამართულ რაინდთა ტურნირში გაიმარჯვეს და კასპის გამოქვაბულში გადამალული და კუდიგორის გზაზე ნაყაჩაღარი ფულები ისე გაიყვეს, თითქოს ყანაში მუშაობისას ეშოვნათ.

მინისტრთუხუცესმა ფილთაქვამ, მეტსახელად „ლადომ“, კვერცხი დადო, რომელიც იმთავითვე ლაყე აღმოჩნდა, რამაც კვერცხების მსოფლიო ბაზარზე დიდი რყევები გამოიწვია.

მექრთამეობის მინისტრი ხუან (იგივე მიხაკო) შიშკინი, რეფორმების დროს კინაღამ მშობიაროზას გადაჰყვა. როგორც კი მოასულიერეს, მაშინათვე სახელმწიფო ქონების კანონიერად დატაცების მინისტრად აქციეს. სამაღარიჩოდ მან სასწრაფოდ მიიტაცა ყველა ფრაქცია, აქციებად აქცია, მიჰკარგ-მოჰკარგა და როცა მოჰქარგა, დედამ თავისთან მიიხმო, ველურ გულში ჩაიკრა და გულამოსკვნილმა ჰკითხა:

– შვილო ხუან, ხომ იცი, რომ როცა გათხოვდები, ქალიშვილობას დაჰკარგავ?!

– ვიცი დედი, მაგრამ აბა რა ვქნა?!

– ვაიმე, შვილო!

– ვაიმე, დედი!
ასე დამთავრდა მათი საუბარი, რომლის შემდეგაც მინისტრი, სანამ დაიჭერდნენ, ბიუჯეტის ხარჯზე ჰააგაში გაემგზავრა, სრულიად მსოფლიო ქონების დატაცების კონგრესზე და ამით არაფერი დაუკარგავს, თუ აქეთ არ იშოვა რამე.
თითქმის ყველა დედა ერთნაირია და ერთნაირად უყვართ შვილები, ამიტომ ერთ დიალოგსაც შემოგთავაზებთ, რომელიც წვეთი წყალივით გავს წინას. ერთხელაც, როდესაც სენატორი ზურაბ რიშელიე კვლავ ძლიერ გვიან დაბრუნდა სამსახურიდან, ძილგატეხილმა დედამ გულისტკივილით უსაყვედურა:
– შვილო ზურაბ, სადამდის?!
– ვაიმე დედა, ყელამდის, ყელამდის ვარ ჩაფლული საქმეებში, მაგრამ რა ვქნა, შენც ხომ იცი, როგორ ჭირდება ჩვენ სამშობლოს სურამის ციხეები?
– ვაიმე, შვილო!
– ვაიმე, დედი!
აი, ასეთი იყო ზურაბი, რომელიც მალე, სანამ რამეს დამართებდნენ, სხვადასხვა შორეულ ქვეყნებში გაემგზავრა ბიუჯეტის ხარჯზე და დიდხანსაც მოგზაურობდა, ხოლო როდესაც დაბრუნდა, თუმცა არც მანამდე გამოიყურებოდა დაჩაგრულად, ბევრად მოკეთებული და თვითკმაყოფილი ჩანდა.
მეჭურჭლეთუხუცესმა პანტელეიმონ მიცუბიშიმ კი, მეტსახელად „კუტიამ“, სანამ ეს ამბები ხდებოდა, ჭურჭელი დარეცხა და ხელები იქვე მდგომ უცნობ, სრულიად უდანაშაულო კაცს შეახოცა.

... ...

გაზაფხულზე, უმშვიდესი, უდიდესი და უბრწყინვალესი მზე მოევლინა ქვეყანას, ვარდსაც და ნეხვსაც ერთნაირად მოეფინა და ასე მზიურად დაამთავრა ეს ნახევრად სევდიანი ამბავი, რომელიც, ცხადია, სულ მალე თავიდან დაიწყებოდა, რადგანაც კაცი, ნამდვილად დიდი, კვლავ არა და არ ჩანდა…

1995 წელი

ლია მეტრეველი

მარტო

წვეთი-წვეთ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს,
რომელსაც „მარტო“ დავარქვი, ვუძღვნი
ბატონებს თემურ ჟღენტს, გომარ სიხარულიძეს,
გოგი ქავთარაძეს

მაშინვე შევამჩნიე...
იქ შემომჯდარიყო სადაც თავდაპირველად გაიკეთეს ბუდე, მეზობლის კარს მაღლა, ნათურასთან. – მარტო...
მაშინვე ვიგუმანე, რაღაც დაემართა.
თოთქოს შავი ჩაეცვა.
გამაოცა აღმოჩენამ – მე მგავდა.
– რა მოგივიდა? სად დაიკარგეთ?! – გამოველაპარაკე, თავი ჩაღუნა.
გულთან რაღაც ჩამწყდა.
დაქვრივდი?!
– ჩავეკითხე.

* * *

გაზაფხულზე მოცვივდნენ... არაფერი იკითხეს, არც ხალხის მოძრაობას დაერიდნენ და თამამად, მეორე სართულზე, ბედნიერი ოჯახის – ცოლ-ქმრისა და ორი ლამაზი ბიჭის ბინის კარს ზემოთ, ნათურასთან, ერთ კვირაში, ულამაზესი ბუდე მოქარგეს.
ბოლო ხანს შევამჩნიე, საქართველოში მხოლოდ ასეთი მერცხლები დაფრინავენ – შავი ფრთებით, გადაჯვარედინებული ბოლოებით, თეთრი, თეთრი გულებით.
ბრწყინავდნენ ბედნიერებისაგან. ერთმანეთი გაგიჟებით უყვარდათ – ჩანდა. ვარსკვლავებს აფრქვევდა მათი ბუმბული. ბუდეს აშენებდნენ, ხარობდნენ, ჟღურტულებდნენ, უერთმანეთოდ არც მიფრინავდნენ, არც მოფრინავდნენ.

მიხაროდა, კარგი მეგობრებივით ვესალმებოდით დილით ერთმანეთს და ვემშვიდობებოდით ძილის წინ.
მარტოობაც გამილამაზეს.
ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ჩემი არ ესმოდათ. ესმოდათ და მერე როგორ!

* * *

დაიკარგნენ, რამდენიმე დღე აღარ გამოჩნდნენ. შევწუხდი, მეზობლებს შევჩივლე. არაფერი მითხრეს, ალბათ გაიფიქრეს, საწყალი, მარტოობისაგან მთლად შეიშალა...

* * *

როგორც იქნა, გამოჩნდა, მოვიდა. მარტო… მეწყვილეს გარეშე.
თითქოს შავი ჩაეცვა, ბუმბული არარ უბრწყინავდა, თეთრი გული აღარ უჩანდა.
მე მგავდა... გაოგნებამდე მგავდა.
– დაქვრივდი ?! – ჩავეკითხე, ვუთანაგრძნე და უილაჯოდ დავამშვიდე – ხომ იცი, მეც ქვრივი ვარ! თითქოს თავი დამიქნია.

* * *

მას შემდეგ აღარ მოსულა… თბილ ქვეყანაში გაფრენამდე კიდევ ქონდა ალბათ ერთი თვე დარჩენილი.
მაინც აღარ მოსულა.

* * *

ტელეფონის ყურმილი შორს დავიჭირე, გუნებაზე ისედაც არ ვიყავი, ჩემი საფიქრალი სადარდელი პირთამდე მავსებდა და სარეკელასავით მიყრილი სიტყვებიდან ნახევარიც არ მესმოდა.
დიახ, არა – ვპასუხობდი შიგა და შიგ, იძულებით.
ქალთან, რომელიც მირეკავდა, კამათს აზრი მაინც არ ქონდა.
ერთი კი ჩავუგდე, ძლივს – ჩემს კომპეტენციაში არ შედიოდა და ვერ დაგეხმარებოდი მეთქი! მთლად გადაირია, გამოძვრა ყურმილში.
ისევ „დიახ“ და „არაზე“ გადავედი. ვარჩიე არაფერი მომესმინა.
მერე, მერე თითქოს წყალი გადამასხეს, უცებ გამოვფხიზლდი...
– მეც მარტოხელა ვარ, შვილი მარტომ გავზარდე და ვიცი, ყველა ქალს უფლება აქვს ერთი კაცი ყავდეს! – გავიგონე.
ჩემს გასაღიზიანებლად სხვა თემაზე გადავიდა და... მიზანსაც მიაღწია...
რა?! – ჩავეკითხე, ერთი კაცი?! მეც?!
ხო, ხო, შენც, შენ სამსახურში...
მერე, მერე არც მახსოვს რა მითხრა და რა ვთქვი. სისხლი სადღაც საფეთქელთან ადუღდა, ათუხთუხდა. ერთი კია, საკუთარი თავი შემზიზღდებოდა „ყურმილისათვის“, თავის მართლებასავით, გადაუღებელი წვიმების მიზეზით, იმ ერთადერთი კაცის, რომელიც მიყვარდა უკვე მერამდენედ ჩაწოლილი საფლავის მეტი სხვა არაფერი მტკენს გულს მეთქი, – რომ მეთქვა. ქალი ამის გამგები ნამდვილად არ იყო და ისეთი ხმით გავიცინე, სიცილის გარდა ყველაფერს რომ გავდა.
კიდევ კარგი ერთი კაცი ყოფილა და მეტი არა, – საკუთარ თავს შავი იუმორითღა შემოვუძახე ვითომ.
უგუნებობა უგუნებობას დაეწონა და გადამიყოლა.

მობილურს დავწვდი მეგობრის ნომრის დანახვა გამიხარდა... როგორ ხარო, მკითხა. მერე ჩამეძია, პირადი საქმეები როგორ გაქვს, შენსკენ რამე ხომ არ შეიცვალაო. – პასუხს არც დაელოდა, აღიარე, რა იყო, რაღაა დასამალიო!
რა დღეა, ნეტავ მალე დაღამდეს მეთქი! – გავიფიქრე.

ტელეფონმა კვლავ რომ დარეკა, ყურმილის აღებას აღარც ვაპირებდი. თითქოს გულმა მიკარნახა. დედა გირეკავს უპასუხე, მაგას მაინც ნუღა დააფეთებო.
კარგად ვარ დე, ვუპასუხე – შენ რასა იქმ, შენი მოციმციმე არითმია როგორ გვყავს მეთქი – უნიათოდ შევახალისე.
სად ხარ, მთელი დღეა გეძებ, ტელეფონს არ პასუხობ, მობილური გამორთული გაქვს.
მოციმციმე არითმია არც გახსენებია დედას… გასაგები იყო სხვა რაღაც აწუხებდა, რაღაც სხვა უნდოდა ეთქვა.
მოხდა რამე ?! – ხმა თითქოს შიგნით, ყელსქვემოთ ჩავიბრუნე, ისე ვიკითხე.
რა ამბავია შენს თავსო, მინდა კარგად იყოო, არ დაიტანჯოო...
უცებ მივხვდი.
შენც გითხრეს – გულსგარეთ ვიკითხე.
დე, მერე დაიჯერე მეთქი? – ჩავეძიე.
– არა დედა, არაფერი დამიჯერებია, მაგრამ ადამიანები ვართ, ყველაფერი ხდება, გკითხე, ვიცი მე არაფერს დამიმალავო.
დასამალიც რაღა მქონდა, კაცს ხომ არ გამოვიგონებდი ჭორის გასამართლებლად. ერთი კია, დედასაც კი აღარ ვუთხარი, მხოლოდ იმ ერთი კაცის ჩაწოლილი საფლავის გამო რომ ვიჯექი გულამღვრეული, ვინც მიყვარდა.
ვითომ შემეშინდა რომ არ დამიჯერებდა და ამ ნათქვამს თავისმართლებად ჩამითვლიდა?!
ფანჯრიდან გადაუღებელ წვიმის ფარდას გავუშტერე თვალი.
იქნებ მხოლოდ იმ წვიმის გაბმულ ხაზებს ესმოდათ ჩემი, ზეცას და მიწას მხოლოდ ჩემთვის რომ აკავშირებდნენ ერთმანეთთან. შედეგზე კი, უბრალოდ, აღარც ფიქრობდნენ.

* * *

გუშინაც მითხრეს…
გუშინწინაც…
ადრეც…
დაგინახეთ, მარტო მიდიოდი, აღმართს ათავებდი მარტო.
ჩამეცინა. იოლი ყოფილა იდუმალ შეყვარებულთან ერთად ხეტიალი, ვერავინ ხედავს, თითქოს უხილავ სამოსშია შებურვილი.
იოლი ყოფილა.
ჭორები აღარ ვრცელდება. შენზე ჭორაობით თავს ვეღარ იბედნიერებენ ადამიანები.
შენ კი… შენ სავსე ხარ. შენთვის იცი – როცა მარტო დადიხარ სხვაა, ხოლო როცა მარტოობასთან – სულ სხვა.

მე რამდენი ხანია მარტოობასთან ერთად დავეხეტები! შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ი ვარ. ისიც სულ ხელგადახვეული დამყვება, მეამბორება, თმაზე ხელს მისვამს, იცის ვგიჟდები, როცა თმაზე მეფერებიან.
ირგვლივ გონიათ რომ მარტო ვარ.
მე კი ვღალატობ კაცს, რომელსაც ჩემი ქმარი ერქვა, მარტოობასთან ვღალატობ.
სამაგიეროს ვუხდი მიტოვებისათვის. ღამეებს ვათეთრებ მასთან ერთად, ვეხუტები და სითბოს გაზიარებას ვთხოვ, ვხვდები, არა ვიცი, დაბეჯითებით ვიცი, მასაც გაგიჟებით ვუყვარვარ.
მითხრეს, დაგინახეთ ...
აღმართს ათავებდი მარტო...
მე კი მარტოობასთან ხელგადახვეული მივეხეტებოდი.

კოკა არჩვაძე

თავგასების საიდუმლო ცხოვრება

– მოყევით ჯოუნს, ნუ წელავთ. – თქვა მისტერ დოუპსონმა და აგენტ ჯოუნსის მომღიმარ სახეს მიაჩერდა.

– რა გითხრათ სერ, გატაცებული ბავშვის გარდა, კიდევ ორი ტყვე აღმოვაჩინეთ; ორი წლის წინ გაუჩინარებული მისტერ რიჩარდ ჰამფრი და შარშან ზაფხულში გამქრალი, ატლანტა ჰოუქსის თავდამსხმელი მაკემბე ლილონგვე. სამივე ფსიქიკა შერყეული, მაგრამ ასე თუ ისე უვნებელი.

– სად მალავდა?

– ბავშვს სხვენზე სერ, იმ ორს კი სარდაფში. მცირე ზომის ელექტროსადგური დაუმონტაჟებია საკუთარი სამზარეულოს ქვეშ, როგორც ჩანს თვითონ შექმნა. მისტერ ჰამფრი და კალათბურთელი ამუშავებდნენ, ორივე გამორჩეული ფიზიკური ძალის პატრონია სერ. მგონი კიდევ უფრო გაძლიერდნენ ამდენი შრომისგან. ასე აიხსნა ეჭვმიტანილის მიერ ელექტროენერგიის ხარჯვის მკვეთრი შემცირება. პრაქტიკულად არ ჭირდებოდა საკუთარის გარდა. აპრილს თუ არ ჩავთვლით. აპრილში მისტერ ჰამფრი ავადმყოფობდა, არაფერი სერიოზული, უბრალო გრიპი, მაგრამ ლილონგვე მარტო მაინც ვერ გაუმკლავდა იმავე სიმძლავრეზე დარჩენას.

– ბავშვი? როგორც მახსოვს, ბავშვი უნარშეზღუდული იყო, რა მდგომარეობაშია?

– უფრო ჭკვიანი არ გახდა სერ, ამას თუ გულისხმობთ. – აგენტ ჯოუნსს პირის და თვალების გარდა, ყურებითაც კი გაეღიმა. – ჯანმრთელობა რიგზე აქვს, ჭამა–სმა არ აკლდა. თავსატეხებით და კონსტრუქტორებით სავსე ოთახში აღმოვაჩინეთ, თუმცაღა აწყობილი არცერთი იყო. მხოლოდ ერთი საინტერესო დეტალი სერ – თმა საერთოდ არ ჰქონდა, წარბებიც კი მოუპარსავს ეჭვმიტანილს.

– მოკლედ, გიჟია ჯოუნს?

– ო სერ, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით.

ის რომ მოკლე ვარ და თავი ტანთან შედარებით ძალიან დიდი მიჩანს არასოდეს მავიწყდება, ანდა ვინ დამავიწყებს; სკოლაში ხან თავგასას მეძახდნენ, ხან შუბლას. იმდროინდელი მეგობრები არც ახლა მაკლებენ. გამელოტებით კი სულ ახლახან გავმელოტდი, მაგრამ გული მიგრძნობს, ამასაც მივეჩვევი, მიმაჩვევენ ჩემიანები.

ეს არ არის მთავარი. მთავარია რომ ქრისტეს შობიდან ყველაზე სასაცილო წელი 2007, განსაკუთრებით კი შემოდგომა, ინტერნეტში ქექვაში გავატარე. მახსოვს იმ საღამოს სტუმრები მყავდა და რომ დაიშალნენ, გადანახული „პიტაჩოკი“ ამოვიღე და კომპიუტერს მივუჯექი. მუსიკის მოსმენა მინდოდა, მგონი ოკენფოლდის, მაგრამ სადაც ვეძებდი იმ საიტს ფორუმიც აქვს და რა ჯანდაბამ დამაწყებინა კითხვა არ ვიცი.

თემას რომელმაც დამაინტერესა „მართმადიდებლური vs. კათოლიკური ეკლესია” ერქვა, უცხო მტაცებლის წინააღმდეგ, რაღა. ვიღაც აჟიტირებული ღლაპი, ბიბლიიდან

ციტატებით ებრძოდა კათოლიციზმს და რეფორმაციას, თუმცა არც კათოლიკე ჩანდა სადმე და არც პროტესტანტი. მთელი თემა ინტელექტის შადრევანი იყო, როგორც ხვდებით, მაგრამ ერთ–ერთმა პოსტმა მაინც განსაკუთრებით გამართო:

„წარსულშიც და დღესაც მრავალი ბოროტი ძალა ცდილობს განხეთქილების ჩამოგდებას მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მაგრამ ეს არასდროს არ მოხდება...

რადგანაც თვით იესო ქრისტე ამბობს შემდეგს:

„...და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და გჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას!“

გაკადნიერდება ვინმე და იტყვის რომ ეჭვი ეპარება უფლის ამ სიტყვებში?!

ჩვენთან არს ღმერთი!!!“

ამინ! „განხეთქილების ჩამოგდება მართმადიდებლურ ეკლესიაში“ მართლაც რთული საქმეა; ჩვენი ჰერმეტიულად დახუფული თავები, ვერც რუსული მართმადიდებლობის სიბნელემ „განხეთქა“, ვერც ბერძნულის ხელმრუდობამ და ვანდალიზმმა. ჩვენთან არს ღმერთი! რა აზრი ჰქონდა გიო 87-ისთვის იმის თქმას რომ, „კლდე“ პეტრე მოციქული, რომის პირველ პაპად ითვლება? ღმერთი მაინც მასთან დარჩებოდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინტერნეტი ძირითადი წყარო გახდა ჩემი შთაგონების. არანაკლებ მხიარულ ხასიათზე, რომელიღაც ონლაინ ბიბლიოთეკას ვსტუმრობდი. თვალში მომხვდა ავტორის სახელი – ჯერი მილერი. იქნებ ჩემთვის უცნობი მოგვარეა თქო ვიფიქრე, მაგრამ ნაწარმოებებს რომ გადავხედე, მივხვდი რომ შეცდომა იყო. საიტის ადმინისტრაციისადმი რაღაც სხვა საქმეზე მიწერილ წერილს, იქ შეცდომა გაგეპარათ, ჰენრი ქვია მაგ კაცს მეთქი, მივაყოლე. პასუხმა აღმაფრთოვანა – ჰენრის სხვებიც ჰყავდა გვარშიო, მოკლედ მომიჭრა ადმინმა. გიო 87-ის საკონტაქტო ინფორმაცია მივაწოდე. სხვა რა მექნა.

2007-ის შემოდგომა, როგორც აღვნიშნე, ადამინური იდიოტიზმის კუთხით, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. რთველმაც თავისი ქნა; გამოლაგდა ათასობით გასხივოსნებული, აწ მერამდენე რევოლუციის მოსახდენად, როგორც 15 წლის წინ ზუსტად ისე „ტირანი, ტირანი”-ს ყვირილით და როგორც მაშინ ვიღაც მორიგი მეღვინის დემაგოგიას აყოლილები.

მაჭარი უღიტინებდათ.
ახალი ტირანი ძველზე ჯიუტი აღმოჩნდა – გაურუმბა თავები და დაიშალნენ, ისე ჩქარა რომ ვერც მივხვდი ვისკენ ვიყავი...
ამ და სხვა წმინდა ქართული შედევრების გარდა, რა თქმა უნდა საზღვაგარეთიც მახარებდა; მუჰამედის კარიკატურების გარშემო ატეხილი სკანდალი, როგორც

მოსალოდნელი იყო, აფეთქებებით დასრულდა. თავზე ბომბით გამოსახულ მუჰამედს, მაჰმადიანთაგან განსაკუთრებით ნეტარებმა, ბომბებითვე უპასუხეს.

ვისთან არს ღმერთი?

აგენტი ჯოუნსი კაკუნის გარეშე შემოსეირნდა უფროსის კაბინეტში.

– მთელი ქსელია, სერ! – თქვა მან და მისტერ დოუპსონის მაგიდაზე რამოდენიმე საფოსტო მისამართებით აჭრელებული ფურცელი დადო.

– spinoza2000@yahoo.com, genis-jim@hotmail.com, brightmind@gmail... მეილებია. და როგორ გავიგოთ ეს?

– რაღაც საერთო იდეოლოგიით, იქნებ რელიგიური წარმოდგენებითაც კი, გაერთიანებული ადამიანების ინტერნეტ პორტალია. ამ პორტალის მომხმარებელთა მეილების სიაა. ჩვენი ეჭვმიტანილი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იუზერი იყო სერ. აიპი მისამართების გამოყენებით დადგენილ იქნა კიდევ რამდენიმე მომხმარებლის ვინაობა. უკვე დავკითხეთ მასაჩუსეტში, როუდ-აილენდზე და კონეკტიკუტში მცხოვრები სამი იუზერი. ჩატარდა ჩხრეკა. ბოსტონელის სახლში დაახლოებით იგივე სურათი დაგვხვდა რაც ჩვენი ეჭვმიტანილისაში, ოღონდ ბავშვის გარეშე. მასთანაც აღმოვაჩინეთ ტყვე, რომელიც ახალი ეჭვმიტანილის სახლში რემონტს აკეთებდა, იძულებით რაღა თქმა უნდა. ეს ეჭვმიტანილიც ჩუმადაა. ჩვენი სპეციალისტები პორტალს შეისწავლიან, კონტენტი დაბლოკილია, აიქიუ ტესტებით – მაღალ ქულას თუ ვერ დააგროვებ, შინაარს ვერ გაეცნობი – თუმცა ერთი რამ ნათელია; პორტალი ქართველმა, რუსების მონათესავე ერია ეგეთი...

– ვიცი ჯოუნს. განაგრძეთ.

– დიახ, ქართველმა, ვინმე რატი ფერაძემ შექმნა და ჩვენი აზრით სერ, პასუხებიც საქართველოში უნდა ვეძებოთ.

– კეთილი მგზავრობა ჯოუნს. – თქვა მისტერ დოუპსონმა და ჯოუნსის მოტანილ საფოსტო მისამართების სიას ჩაუღრმავდა. აგენტმა ჯოუნსმა უხმოდ დატოვა კაბინეტი.

თომა აქვინელი აქ ჯერ არ დაბადებულა. გარშემო ზღაპარია და ხალხიც ზღაპარში ცხოვრობს. თეთრ, თუ გნებავთ ქრისტიანულ სამყაროში, საქართველოზე ზღაპრული ქვეყანა მხოლოდ რუსეთია, თავისი მესიანისტურ-დათვური დოსტოევშინით და რა ბედი გინდა კაცს, ეს ორი ქვეყანა ერთი ქვეყანა რომ იყო და შენ მანდ და მაშინ დაიბადე.

„ჯერი მილერი", ამპარტავანი გაუნათლებლობის პირმშო. უძველესი ქრისტიანული ერის ყველაზე თვალშისაცემი თვისება – ამპარტავნება. გონებაშეზღუდული ბრბო დროშებით და პლაკატებით ხელში, „საქართველო პრეზიდენტის გარეშე" ან რამე მსგავსი. ერთი ლოგოკრატიული მთავრობა ცვლის მეორეს და ბრბო ინერწყვება იმედით... საინტერესოა ჰქონდათ თუ არა პავლოვის ძაღლებს იმის იმედი რომ ხორცის მორიგი ნაჭერი წინაზე გემრიელი იქნება? ვინ იყო სინამდვილეში ფსევდო-დიონისე არიოპაგელი? რა მნიშვნელობა აქვს? პეტრე იბერიდან მერაბ მამარდაშვილამდე, დაკარგულები ვართ დიდთავა ადამიანები, მომიტინგე მიკროცეფალთა თავებში დარღვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მსხვერპლნი. ძაღლი უკვე სიგნალის გარეშე ინერწყვება.

ეს არ არის მთავარი. მთავარია რომ ნათესავი ჩამოვიდა მარტვილიდან ამ გაგანია გალიაკში. ახლა კომპთან ზის და ნარდს ეთამაშება ვიღაცას ემესენით. მე საწოლზე

ვგდივარ გაღიმებული სახით, საკუთარი აზრები მართობს. წინა ორი აბზაცი ხმამაღლა ამოვთქვი, ნათესავი სიცილით დაიხრჩო და სუნთქვა რომ დაიბრუნა გაკლიაო.

მე რატი ფერაძე ვარ. დღეს 2009 წლის 9 აპრილია. გუშინ აგენტი ჯოუნსი გავიცანი.

სულ თავიდან დავიწყოთ: ჩემი გარეგნობა სიტყვებით რომ აღვწერო, უცხოპლანეტელს ვგავარ ძალიან, უფრო სწორად უცხოპლანეტელებზე ჰოლივუდის წარმოდგენას. დაბალი ვარ, მინდა, მაგრამ ვერ ვარ "საშუალო სიმაღლის კაცს" რასაც ეძახიან, მეტრით და სამოცდარვა სანტიმეტრით "საშუალო სიმაღლის ქალი" უფრო ვარ. მაქვს დიდი თავი, რასაც ჩემი სიმაღლე, უფრო სწორად კი სიდაბლე, კიდევ უფრო უსვამს ხაზს და როგორც უკვე ვთქვი, გავმელოტდი, ისე რომ გვერდებში დარჩენილი თმა არ მიხდებოდა და ისიც მოვიპარსე. ახლა კვერცხივით სლიპინა თავი მაქვს. არც ტანი მაქვს თმიანი, თითქმის ქოსა ვარ, ძალიან გამხდარი, განუვითარებელი მუსკულატურით. ამ ყველაფერს ისიც ემატება რომ ფერმკრთალი ვარ, ლამის ნაცრისფერი. უცხოპლანეტელები კი ან მწვანეები არიან ან ნაცრისფერები. მე ნაცრისფერი ვარ. რუხი.

იმას რომ უცხოპლანეტელი ვარ დიდხანს ვხვდებოდი, საბოლოოდ გიო 87-მა მიმახვედრა. პატარა, დიდთავა უცხოპლანეტელები თანამედროვე ადამიანთან შედარებით ევოლუციური კიბის უფრო ზედა საფეხურზე მდგომი რასაა, სუსტები, ჭკვიანები. მე და ჩემნაირები უფრო ახლოს ვდგავართ მათთან ვიდრე დანარჩენი კაცობრიობა. გიო 87-ს კი ევოლუციური კიბის ქვეშ ძინავს და ღმერთზე ფიქრობს.

ან არ ძინავს და ჩემი ფანჯრების ქვეშ ქუჩა აქვს გადაკეტილი თავისნაირ ნეტარებთან ერთად.

მე ვარ რატი ფერაძე, ახალი რასის წინასწარმეტყველი, წმინდა იყოს სახელი ჩემი. მე შევქმენი tavgas.ge, საიტი ჭკვიანი ადამიანებისთვის, თანამედროვე სამყაროს ყოვლისმომცველი იდიოტიზმით გადაღლილმა.

სულ ეს იყო; დიდთავა, ქოსა ადამიანები ევოლუციის მოწინავე ხაზს წარმოვადგენთ მეთქი და ჩვენთან არს ღმერთი თქო. ერთი-ორმა შიგნაკრავმა გულთან ახლოს მიიღო, მაგრამ მე რა დავაშავე თუ აღარც აიქიუ ტესტები გვიცავენ კრეტინებისგან?

სანამ საიტზე შეხვიდოდი 150 ქულა მაინც უნდა მიგეღო, მე თვითონ 148 მაქვს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავი დავიზღვიე. მერეც, ყველა სტატიაზე და ფორუმის თემაზე პაროლად აიქიუ ტესტი იდგა და წმიდათა წმიდა, ახალი რასის დაბადების ამბავიც, მხოლოდ რჩეულთათვის ცხადდებოდა.

აგენტ ჯოუნსს თუ დავუჯერებთ, სწორედ ჩემი პორტალი გახდა, თანმიმდევრობით: მონათმფლობელობის, კიდნეფინგის და ელექტროენერგიის მოპოვების ორიგინალური ხერხის გამოგონების მიზეზი. დიდთავა ბავშვის გატაცება მეც კი არ მომივიდოდა აზრად. ძლიერ გაერთო აგენტი ჯოუნსი.

– თვითონ უწყინარი გიჟია, უკანონო არაფერი ჩაუდენია, მარიხუანას თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ეგ უკვე ჩვენი საქმე არ არის, ხომ მართალი ვარ სერ?

– რა თქმა უნდა. რა მარიხუანა? – გაღიზიანდა მისტერ დოუპსონი - საქმეზე ილაპარაკეთ ჯოუნს. კიდევ ერთხელ; თავი დიდთავა უცხოპლანეტელები გონიათ?

– არა სერ, ევოლუციური ნახტომის მაგალითებად მოიაზრებენ თავს, უცხოპლანეტელებთან მიახლოებულებად. რამდენიმე თვისებას გამოყოფენ: ტანმორჩილობა, დიდი თავი, თმიანი საფარის სიმცირე...

– მაგათ უცხოპლანეტელები ქოსებად წარმოუდგენიათ?
– როგორც კინოში სერ.
– ალფაცენტავრელები არ უნახავთ მაგათ.
– დიახ სერ, ალფაცენტავრელებისგან კარგი ქურქები გამოვიდოდა.
– ნუ ხართ რასისტი ჯოუნს.
– მაპატიეთ სერ.

ბელა ჩეკურიშვილი

კავშირი

„გამიშვი, მარია“, – მესამე დღეა მექანიკურად იმეორებს ვიტორიო და ფიქრს ქარის ზუზუნს აყოლებს. მესამე დღეა მონადირის ქოხში ხის მერხებზე წვანან და საძილე ტომრებიდან ცხვირები მოუჩანთ. იციან, რომ მალე პრიმუსში ნავთი გათავდება და ჩაისაც ვეღარ დალევენ. ზაქრო ამბობს, რომ უკან უნდა დაბრუნდნენ - მთა არ უშვებთ. მაგრამ ვიტორიომ იცის, რომ მთა კი არა, მარია არ უშვებს, რომ მარიას ეშინია, ვიტორიო არ დაკარგოს და ამიტომ არ უშვებს. შარშანაც ასე იყო და შარშანწინაც. ორჯერ ჩამოვიდა ვიტორიო კავკასიაში, ორჯერ დაიძრა სტეფანწმინდიდან მყინვარის პლატოსკენ, ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ ნისლი გადაივლიდა და მწვერვალი გამოჩნდებოდა, მაგრამ მოხევეების პროგნოზი მართლდებოდა, ამინდს გამოდარების პირი არ უჩანდა და ვიტორიოსაც ამ მოგზაურობიდან მხოლოდ ფოტოკარდები რჩებოდა.
მისი ფოტომოწყობილობის დანახვაზე გლეხები იცინოდნენ, ხელებს იქნევდნენ და რაღაცას უხსნიდნენ. ვიტორიოც იცინოდა და ფოტოებს უღებდა მათ, მათ შვილებს, მათ სახლებს, მათ ცხენებსა და თივის ზვინებს.

ამ რამდენიმე დღის წინ სტეფანწმინდაში ბერნანდოსთან ერთად ამოვიდა. ცხენიდან ჩამოხტა თუ არა, ბავშვებმა იცნეს, შემოეხვივნენ და პირდაპირ ზაქროს სახლისკენ წაიყვანეს. გზაში გლეხები ხვდებოდნენ, ნაცნობები, უცნობები, ქუდს იხდიდნენ და ესალმებოდნენ.
მისი დანახვა ზაქროს არ გაჰკვირვებია. იმ ღამეს ისევ ის უცნაური გემოს არაყი დაალევინა და გათენებისას ყაზბეგის მთისკენ წამოუძღვა. იმ ცოტა რუსულით, რაც ზაქრომ იცის, და კიდევ უფრო ცოტა სიტყვებით, რაც ვიტორიოს ესმის, მოხევე ცდილობს, იტალიელებს აუხსნას, რომ მთა არ უშვებთ, რომ ყაზბეგმა ასე იცის, თუ განწყობაზე არ არის, არ აგიშვებს. მაგრამ ვიტორიო სხვაგვარად ფიქრობს, ზაქროს ამას ვერ გააგებინებს, ამდენი რუსული სიტყვა ვიტორიომ არ იცის და რომც იცოდეს, ალბათ ზაქრო არ დაიჯერებს, რომ მთა კი არა, მარია არ უშვებს, რომ მარიას ეშინია, ვიტორიო არ დაკარგოს.
მარიას უკვე ათი წელია ეშინია. ზაფხული რომ მოდის და ვიტორიო ზურგჩანთის ჩალაგებას იწყებს, მარია უძილობას იმიზეზებს და ღამეებს ოთახებში ბორიალში ათენებს. იყო დრო, როცა ვიტორიო მხოლოდ მარიას ხედავდა და ყველა ფოტოსურათს მარიას სახელი ერქვა: შადრევანს ქალაქის მოედანზე და თვითონ მოედანს, და სახლებს და აივნებს ამ სახლებზე, და ქუჩებს და ხიდებს ამ ქუჩებზე, და სოფლებს ქალაქის გარშემო და ბაღებს ამ სოფლებში. მარია წვიმდა ვიტორიოს ფანჯრებზე და მარია იღვრებოდა შუქად მის ოთახში განთიადთან ერთად.
მაგრამ მერე ვიტორიომ მთებისკენ დაიწყო ყურება და ფოტოსურათებზეც მთები გაჩნდა. თოვლით აივსო ოთახები, თოვლიანი მთები წამოსდგომოდნენ მარიას თავზე, სახლის ყველა კუთხეში აღმართულიყვნენ და ვიტორიომდე მისასვლელი გზა

ჩაეხერგათ. ვიტორიომ მარია ლომბარდიის მთებზე გადაცვალა. თოვლიანი მთები გაჩნდნენ მათ შორის და მარიას ღამეები თოვლივით გაათეთრეს.
როცა შეამჩნია მარიას უძილო ღამეები, ვიტორიო ისე შეცბუნდა, თითქოს ქუჩაში ღიღინით მიმავალს მოულოდნელად მხრებში ხელი ჩაავლეს და შეანჯღრიეს. ვიტორიომ თავი დამნაშავედ იგრძნო. მაგრამ მორიგი მარშრუტი შედგენილი იყო და ჩანთაც ჩალაგებული. ძალიან, ძალიან დასევდიანდა ვიტორიო, ძალიან, ძალიან მაგრად მოეხვია მარიას და ძალიან, ძალიან ჩუმად უთხრა: „გამიშვი!“ მარია დუმდა. და ამ დუმილში ვიტორიომ გაარჩია: „მეშინია, არ დაგკარგო!“ ეს მარიას მხრებმა თქვეს, უღონოდ ჩამოყრილმა მხრებმა და მერე მკლავებმა გაიმეორეს. თვალები კი კიოდნენ: „რა გინდა იქ, რა დაგრჩენია?!“ ეს საკოცნელად რომ დაიხარა, მაშინ მოესმა. მაგრამ ვიტორიოს პასუხი არ ჰქონდა. მისი პასუხი ის ფოტოსურათები იყო, მწვერვალებზე რომ იღებდა და დაბრუნებული სახლს ავსებდა. ეგონა, რომ მარიას ესმოდა, ვიტორიოს „რა დარჩენოდა იქ“. როგორც სიბერეში გადასულ ცოლებს ესმით უსიტყვოდ მოღალატე ქმრების ვნებები მათი ახალგაზრდა სატრფოს დანახვისას.
სახლი სავსეა ვიტორიოს ვნების ვულკანებით, მაგრამ ახლა, ამ მოგუგუნე ვულკანთა შორის, განსაკუთრებით შემაშფოთებლად ჟღერს „კავკასია“. ვიტორიომ ეს მთები ჯერ სხვისი ფოტოებით შემოიყვანა სახლში, მერე თვითონაც წავიდა მათ სანახავად. ისე წავიდა, როგორც სატრფოსთან შესახვედრად გარბიან ხოლმე გიმნაზიელები – სულსწაფად, ფართიფურთით.
ვიტორიომ კიდევ ერთხელ უთხრა: „გამიშვი“, მაგრამ მარიამ ტუჩების შერხევაც კი ვერ შეძლო თანხმობის ნიშნად. მარიას ეშინია ამ მთების. დაზაფრულია. არა, მარია ამ მთებზე არ ეჭვიანობს. ეს უფრო მეტია, ვიდრე ეჭვი. ეს უსახელო შიშია. როგორც დედას ეშინია წამოზრდილი შვილის შეღამებულზე სახლიდან გასვლის. და ეს შიში ისეთი ძლიერია, ვიტორიოს მთაზე არ უშვებს. მარიას შიში ვიტორიოს სურვილზე ძლიერია, ხვდება ამას ვიტორიო. ამ შიშს მარიასავით დიდი თვალები აქვს და მარიასავით დიდი გული. ამ შიშს სიყვარული ჰკვებავს და იცის ვიტორიომ, რას ნიშნავს, როცა გრძნობას სიყვარული ჰკვებავს.
ქარი არ ჩერდება, სამი დღეა ნამქერს ატრიალებს და მათი ქოხის კედლებს აყრის. სამი დღეა ბერნანდოს სამი სიტყვა არ უთქვამს ზედიზედ. ის ვიტორიოს გადაწყვეტილებას ელოდება. ზაქროც ვიტორიოს გადაწყვეტილებას ელოდება. ვიტორიო კი წევს და მარიას ევედრება, რომ გაუშვას.

* * *

გათენებისას ქარი ჩადგა. ქოხმა მოულოდნელად შეწყვიტა რყევა, ვიტორიომ ეს ძილში იგრძნო. თანამგზავრებს გადახედა. ზაქროს თავი წამოეწია და ვიტორიოს უღიმოდა. ნეტავ რამდენი წლისაა? გაიფიქრა ვიტორიომ. მისთვის ასაკი აქამდე არ უკითხავს. შავ წვერში უკვე ჭაღარა აქვს შერეული, მაგრამ რას გაიგებ, კაფანდარაა, მუდამ წელში გამართული დადის და საუკეთესო მონადირედ ითვლება სტეფანწმინდაში. ვიტორიოს მის სახლში უაზარმაზარი ჯიხვის რქები აქვს ნანახი კედელებზე. დათვის ტყავები უგია საწოლზე და იატაკზე.

ზაქრო იღიმება და ახლა ბერნანდოს უყურებს. ბერნანდო დგება და პრიმუსს ანთებს. ზედ კარდალას დგამს ჩაისთვის. ზაქრო ისევ იმ უცნაური გემოს არაყს იღებს აბგიდან და პატარა რქაში ასხამს. ვიტორიო უკვე მიეჩვია ამ სასმელსაც და ამ რქასაც...
მერე ზაქრო წინ მიდის და ნაპრალებზე აფრთხილებთ. ვიტორიოს გულისკოვზთან რაღაც უღიტინებს, ლამისაა ხმამაღლა იმღეროს: „მარია“, „მარია“. ამ სახელს ყოველთვის იმეორებს, როცა მწვერვალისკენ მიდის. მარიამ არ იცის, რომ ვიტორიო მის სახელს იმეორებს, როცა მწვერვალზე ადის, როგორც არ იცის, რა დარჩენია ვიტორიოს მთებში.
ვიტორიო თოკშია ჩაბმული ზაქროსთან და ბერნანდოსთან ერთად, ფოტომოწყობილობით აღჭურვილი ხშირად ჩერდება და იმის ფიქსაციას ახდენს, რასაც მისი გული გრძნობს და ხედავს. ვიტორიოს ფოტოსურათები თოვლიან მწვერვალებზე დაწერილი ოდები, ჰიმნები და საგალობლებია. ვიტორიო მყინვარის გვერდით გაწოლილ გველეშაპს იღებს. ზაქრომ ჯერ კიდევ სამი წლის წინ, სტეფანწმინდაში მოუყვა ამ გველეშაპის შესახებ, კავკასიონზე მიჯაჭვული გმირის შესაჭმელად რომ წამოვიდა, მაგრამ ქართველმა წმინდა მხედარმა გააქვავა და მწვერვალამდე აღარ აუშვა. ისე როგორც მარია არ უშვებდა ვიტორიოს, შიშის ემისრებს გზავნიდა კავკასიაში და ქარბორბალას ატრიალებდა.
ვიტორიო ფოტოზე აფიქსირებს მზის პირველ სხივებს, მთებს რომ ეცემა და თვალს აყოლებს უფსკრულებს, სადაც ეს სხივი ვერ აღწევს. მისი კამერა გრძნობს, როგორ უახლოვდება ნელ-ნელა მყინვარწვერი. კამერა ვიტორიოს გულია, რომელიც მის ხელებში პულსირებს და იმაზე ადრე ამჩნევს ყველაფერს, ვიდრე თვალი დაინახავდეს.

* * *

ბერნანდომ ვიტორიოს მორიგ შესვენებაზე ჩანთიდან ლიმონი ამოიღო და ზაქროსკენ წავიდა. ვიტორიომ იგრძნო, რომ თოკმა დაქაჩა და ვიდრე გაიაზრებდა რა მოხდა, წონასწორობა დაკარგა და შტატივს გადაემხო. ზაქროს ყვირილი რომ მოესმა, უკვე თოვლზე მისრიალებდა. მექანიკურად მოიქნია წერაყინი და თოვლში ჩაასო. თავი რომ ასწია, ზაქრო დაინახა. ისიც წერაყინზე ჩამხობილი იწვა. მერე საიდანღაც ბერნანადოს კვნესაც გაიგონა, ყრუ კვნესა და ძახილი. და ვიტორიო მიხვდა, რომ ნაპრალის პირას იწვა.

„ბერნანდო!, ბერნანადო!“ – ყვირის ვიტორო და საფეთქლები უგუგუნებს. „მარია!, მარია!“, შხუის სისხლი მის ყურებში და სმენას უხშობს.
ნაპრალი ფართოა და ღრმა. ზაქრო თოკებს ქაჩავს, ვიტორიო ჩასვლას იწყებს, ბერნანდოს ხელები აქვს დაზიანებული, ვერ ეხმარება. ზაქრო მარჯვე და კუნთმაგარი მონადირეა, ასობოთ ჯიხვი ჰყავს აქ მოკლული, ორჯერ დაფლა უკვე თოფი, სისხლგამძღარი და ყავლგასული. ეს ნაპრალი არასდროს შეუმჩნევია, აქ ნაპრალს რა უნდა, მთაში ნაპრალების მეტი რა იცის, ზოგი ზაფხულში ჩნდება და ზოგიც შემოდგომის პირას, მაგრამ ეს ნაპრალი არასდროს უნახავს, აქ ნაპრალს რა უნდა!
ვიტორიოს სჯერა, რომ ზაქროს არაფერი შეშლია, რომ ზაქრო დამწაშავედ ტყუილად გრძნობს თავს, რომ ვიტორიომ იცის, ადრე აქ ნაპრალი არ იქნებოდა, არც ზაქროს ბავშვობაში იქნებოდა, პირველად რომ გამოჰყვა ბიძაშვილებს ამ გზაზე, მაგრამ ახლა

ახსნის დრო არ არის, ამდენი რუსული ვიტორიომ არ იცის, და რომც იცოდეს, ვერ აუხსნის, ზაქრო არ დაუჯერებს, თუ ვიტორიო ეტყვის, საიდან გაჩნდა აქ ნაპრალი. ახლა ახსნის დრო არ არის, ახლა მთავარია, ბერნანდო ჩაიყვანონ სტეფანწმინდამდე, ხელები რომ აქვს დამტვრეული და ტკივილისგან დროდადრო გრძნობას კარგავს. ვიტორიოს ბათინკი გაეხა ნაპრალში, თოვლი შევიდა და დასველდა. მარჯვენა ფეხში თანდათან მასაც ეკარგება გრძნობა, მაგრამ ფეხის გაბუჟება რა მოსატანია, უნდა იარონ, სწრაფად უნდა იარონ, ხელებდამტვრეული ბერნანდო როგორმე სტეფანწმინდამდე უნდა ჩაიყვანონ.

* * *

ვიტორიო თვალს მილანის საავადმყოფოში ახელს. ცდილობს გაიხსენოს, რა მოხდა სტეფანწმინდიდან მილანამდე. ბერნანდო? ხელები არტახებში ჩაუსვეს მოხევეებმა. მას კი ფეხი სტკიოდა. მოყინული, გაშავებული ფეხი დაუზილეს, მაგრამ ტკივილი არ ჩაცხრა. ახლა აღარ სტკივა. ვიტორიო ხვდება, რომ მარჯვენა ფეხი აღარ სტკივა. ვიტორიოს შეუძლია ადგეს და გაიგოს, როგორაა ბერნანდო. ორივე ხელი ალბათ თაბაშირში აქვს. სადმე იქნება ახლოს. ეს ხომ საავადმყოფოა. ვიტორიო საავდმყოფოში წევს. ბერნანადოც სადმე ახლოს იქნება. უნდა ადგეს ვიტორიო და ბერნანდოს ამბავი მოიკითხოს. მაგრამ ვერ დგება. ფეხი აღარ სტკივა, მაგრამ მაინც ვერ დგება. ვიტირიო ფრთხილად წევს საბანს და საკუთარ სხეულს დაჰყურებს. როგორც ზევიდან, მწვერვალიდან დაჰყურებს ხოლმე ხეობებს, ფსკერამდე რომ თვალს ვერ აწვდენს, მზის სხივიც რომ გზაში ჩერდება. ვიტორიო ზევიდან დაჰყურებს საკუთარ სხეულს, როგორც უცნობ, დღემდე უნახავ ხეობას და თვალი უშტერდება. როგორც მისი ფოტოკამერა ყუჩდება და იძაბება უჩვეულო კადრის დანახვისას. ვიტორიოს მარჯვენა ფეხის ადგილას სიცარიელე აქვს, დიდი, თეთრი სიცარიელე, დოლბანდში გახვეული მუხლის სიქათქათეს რომ აგრძელებს, როგორც მყინვარის ქუდს მისი ენა...
„ვიტორიო! გაიღვიძე? რა კარგია! ჩემთან ხარ! კიდევ კარგი, არ დაგკარგე!“ – მარია ლოგინზე წამომჯდარ, გაკვირვებულ ვიტორიოს იხუტებს. „კიდევ კარგი, არ დაგკარგე!“ – დაუსრულებლად იმეორებს მარია და ცრემლები ღვარად ჩამოსდის – „ფეხი არაფერია, ძვირფასო, მთავარია სიცოცხლე არ დაგიკარგავს!“ - ცდილობს გაიცინოს.
„არ დამიკარგავს“, – დუმილით ეთანხმება ვიტორიო, – თვითონ დავიკარგე... და მარიას ვეღარ ხედავს...

23 მარტი, 2009 წელი

ლევან რამიშვილი

ძმა

ნაცრისფერ სპორტულ მანქანაში ოთხნი ჩავსხედით: მაიკლი და ლუი წინ, მე და ვიღაც უცნობი – უკან. მაიკლმა მანქანა დიდ გზაზე გაიყვანა, არ ვიცი, რა ქვია, ავტობანი თუ ჰაივეი, და მუსიკა ჩართო – რაღაც კლასიკა, ვითომ ამაღლებული, სინამდვილეში პომპეზური და დიქტორის ტვინივით ცარიელი.

დიდხანს ჩუმათ მივდიოდით. მე ჩემი ძმას, ლუის მეტს არავის ვიცნობდი. ლუი აქ დაირქვა, თორემ ისე ლუარსაბი ქვია. ამ მაიკლსაც ისეთი ეჭირა... სად მე სად თქვენო, ფიზიონომიაზე ეწერა, განსაკუთრებით კარგად მოვლილ ბლანჟეზე. აბა რა იქნებოდა – ის ნამდვილი ამერიკელი იყო, თანაც აგენტი (შპიონი კი არა, აი ის, ხალხს რომ ასაქმებენ და ამაში პროცენტს რომ იღებენ), ჩვენ კიდევ ვიღაც გუშინ ჩამობობღებულები რაღაც გაურკვეველი ქვეყნიდან. ეს ყველაფერი თავისთავად იგულისხმებოდა ყველაფერში – მანერებში, ტონში, სიჩუმეშიც კი, და მეც არ მიკვირდა. მეშინოდა კიდეც, რაიმე არ ეკითხა – ინგლისური კარგად არ ვიცოდი და ყოველი წინადადების თქმა და სხვისი ნათქვამის მოსმენაც ნამდვილი ტანჯვა იყო. ახალი ჩასული ვიყავი. ჩემი ძმა კი უკვე წლები იყო, რაც იქ ცხოვრობდა.

– კარგი მანქანაა, – უთხრა ინგლისურად, – მომწონს ეს მოდელი.
– ჰო, მაგარია, – მაიკლმა კმაყოფილმა გამოხედა ლუის, – წლევანდელი მოდელია. „ვენი“ გავყიდე, ეს რომ მეყიდა. ფულიც დავამატე და კიდევ ხუთი წელი უნდა ვიხადო, მაგრამ მაინც ღირდა. მაგრად გამიმართლა – 150 000 ღირს ეს მოდელი მაღაზიაში, მე კიდევ 80 000-ად მომცა ერთმა ტიპმა.
– ძალიან გაგმართლებია, – ჩემი ძმა გიჟივით, ნამდვილი მანიაკივით ისრუტავდა ყველა ამერიკულ გამოთქმას და უკვე თვითონაც ნამდვილი ამერიკელივით ლაპარაკობდა, – ვიცი ეს მოდელი, ბევრი ახალი რამე აქვს დამატებული.
მაიკლმა აშკარა მოწონებით გადმოხედა ლუის.
– ძალიან მაგარი ნავიგაციის სისტემა აქვს, ჯერ ვერც გავერკვიე ბოლომდე, იმდენი ფუნქციებია. ვერ ვიცლი, რომ ერთი კარგად ჩავუჯდე...
კლასიკური მუსიკა გამჭვირვალე კედელივით იდგა ჩვენს შორის. უცნობი ჩემს გვერდით ფანჯარეში იყურებოდა. ხეები მიქროდნენ უკუმიმართულებით. უხერხულობა ვიგრძენი.
– თქვენც შეხვედრა გაქვთ? – ვკითხე რუსულად, რადგან ვიცოდი, რომ ბალტიისპირელი იყო, მაიკლმა თქვა, ერთი ბალტიისპირელიც უნდა წამოვიყვანოო. უცნობი უცებ გამოცოცხლდა.
– სტასიკ, – მითხრა და ხელი გამომიწოდა. რომ ჩამომართვა, ცისფერი თუ მწვანე თვალები ისე მიმნდობად შემომანათა, რომ უხერხულობა ვიგრძენი.
– ბალტიისპირეთიდან ხართ?

– ჰო, იქიდან... თქვენ?
– საქართველოდან.
– მართლა? – სტასიკა წამოჯდა, – როგორ მიყვარს საქართველო! ნამყოფიც ვარ. მეგობარი მყავს ქართველი. გურამი ქვია. საქართველო... – თავი გვერდზე გადაწია და თვალები ოცნებაით მილულა, – რუსთაველი, ფიროსმანი... გალაკტიონი მიყვარს ძალიან. ხომ იცით გალაქტიონი?
გამეღიმა.
– გეცოდინებათ, აბა რა. რა თქმა უნდა იცით...
– მეც ძალიან მიყვარს...
– მართლა? – ლამის წამოხტა, – რა კარგია! იცი, როგორ მიყვარს პოეზია? ზოგჯერ ლამისაა ვიტირო ხოლმე. ბოდიში, შენობით რომ მოგმართავ, ხომ შეიძლება?
– პრობლემა არაა.
– მიხარია შენნაირი ადამიანების გაცნობა, გეტყობა რომ კარგი ადამიანი ხარ. თავიდანვე ვიგრძენი. ვგრძნობ ხოლმე ადამიანის აურას... შენ კარგი აურა გაქვს.
მესიამოვნა და თან სადღაც გამკრა, ცოტა დარტყმული ხომ არ არის მეთქი.
– მე ცოტა დარტყმული ვარ. ეს ისე, ცნობისათვის... აბა ისე საინტერესო არაა. ჩემი მტერი იქნა ნორმალური, არ მეთანხმები? – დამტვრეული რუსულით ლაპარაკობდა და უამრავ შეცდომას უშვებდა, – ძალიან მოსაწყენია ნორმალურების სამყარო – ერთნაირი ფიქრები, ერთნაირი სურვილები – უბადრუკი, უბადრუკი სამყარო... – ეს სიტყვები, „უბადრუკი“ იმხელა განცდით წარმოთქვა, რომ წამსვე თვალწინ დამიდგა ვიღაცის უფერული, ერთფეროვანი ცხოვრება.
ცოტა არ უყოს, შევცბი და გაჩუმება ვარჩე.
კლასიკური მუსიკა ჯაზმა შეცვალა – ასევე კლასიკურმა, გულისგამაწვრილებელმა და უაზრომ...
– ყოჩაღ, შენც მაგარი პროფი ყოფილხარ, – ეუბნებოდა მაიკლი ლუის, – „ბენგ ენდ ოლაფსენის“-ის აპარატურა ხუმრობა არაა. ერთ დროს „პივეი“ მქონდა, მაგრამ გავყიდე.
– „პივეი“ კარგია, მაგრამ წლები რომ გადის, ხვდები, რომ მაინც „შირპატრებია“ და აღარ გაკმაყოფილებს. „ჯენელეკის“ და „ბენგ ენდ ოლაფსენის“ საუნდი სულ სხვაა. ეგენი მარტო „ჰაი კლასის“ აპარატურაზე მუშაობენ, ზე-გამტარებს, პლატინას და ტიტანს იყენებენ. მაგათი ფასები რვა ათასიდან იწყება...
– მაგარია, მართლა მაგარია. ერთ ჩემს მეგობარს აქვს. სულ სხვა საუნდია...
– მეც მაგრა გამიმართლა. წარმოიდგინე, „ბი-ჯეი“-სთან ვდგავარ, აპარატურის მაღაზია როა, ხომ იცი?
– როგორ არა, სულ მანდ არა ვარ?
– მეც! – შეთქმულებივით გადახედეს ერთმანეთს, – ჰოდა ვდგავარ და ვიღაც ტიპი აჩერებს დიდ „ვენს“. ეი, ჯიგარო, მაგარი აპარატურა ხომ არ გინდაო. რა აპარატურა-მეთქი. მანქანაში ჩაჯექიო. ჩავჯექი. ვხედავ, ნამდვილი „ბენგ ენდ ოლაფსენის“ დინამიკები. თვალებს არ დავუჯერე. ეს ტიპი მეუბნება, თუ ახლავე გადამიხდი, 3 000 ბაქსად მოგცემო.
– ეგ როგორ? – გაუკვირდა მაიკლს.
– საწყობში ვმუშაობო. ეს აპარატურა კლიენტთან მქონდა წამოღებული, საწყობში რომ დავბრუნდი, დაკეტილი დამხვდა და სახლში წამოვედი, რომ მოვედი, საბუთები

დავათვალიერე და აღმოვაჩინე, რომ ჩემს უფროსს სიაში ამ დინამიკების შეტანა დავიწყებია, ჰოდა იაფად ვყიდი, დღესვე უნდა გავყიდოო.
– რა უცნაურია...
– ჰო, რა ვიცი, მეც გამიკვირდა. შეიძლება სულ სხვა ამბავი იყო, მაგრამ რა ჩემი საქმეა – მთავაზობენ და მეც ვყიდულობ. მე მგონი კანონს არ ვარღვევ...
– მართალია, შენ რაში გეხება. კანონს არ არღვევ…
ჯაზი შემაწუხებელი გახდა. ვერ ვიტან, როცა ვიღაც გაუწონასწორებელი ტიპები საკუთარ მნიშვნელობას ამ ქვეყანაზე საქსაფონზე ბევრი ნოტის აღებით ამტკიცებენ.
– მუსიკა გიყვარს? – მკითხა სტასიკამ. ქერათმიანი იყო და რბილი ნაკვთები ქონდა. დამჯდარსაც ეტყობოდა, რომ დაბალი უნდა ყოფილიყო.
– როგორ არა, ვუკრავ კიდეც, – გავიმარიაჟე.
– მართლა? – ისევ გაუხარდა, – რაზე?
– გიტარაზე, ფორტეპიანოზე...
– რა კარგია. მე არ ვიცი დაკვრა – ნიჭი არა მაქვს, – ძალიან უბრალოდ თქვა, თავის შეცოდების ან სინანულის გარეშე, – მაგრამ მუსიკა ძალიან მიყვარს. უმუსიკოდ არ შემიძლია. მე თუ მკითხავ, ყველაზე დიდი ხელოვნებაა. პოეზია ასოციაციების გზით მაინც ტვინს გაივლის, მუსიკა კი პირდაპირ გულში გხვდება, კაცმა არ იცის, როგორ... სასწაული არ არის? – პირდაპირ თვალებში შემომხედა.
თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ვიგრძენი, რომ მისი ასეთი პირდაპირობა მაღიზიანებდა, თუმცა მის საქციელში სიყალბეს ან თამაშს ვერაფრით ვიჭერდი.
– რა მუსიკა გიყვარს?
– რა ვიცი... როკი, კლასიკა... – ამ კითხვას ყოველთვის სერიოზულად ვპასუხობ, თითქოს ჩემს პასუხზე იყოს დამოკიდებული მსოფლიოს მუსიკალურ მიმდინარეობათა ბედ-იღბალი, – ყველაფერი მიყვარს, ინდური მუსიკაც კი...
– რაა? ინდური მუსიკა? – სტასიკამ თავი ლამის ჭერს აარტყა, – ღმერთო! – და არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ გადამეხვია, თან ხელი ხელზე მაგრად მომიჭირა, – ღმერთო ჩემო, ინდური მუსიკა! კირტანები, ბჰაჯანები...
– რაგა… – ჩავურთე მე.
– რაგა, აბა რა, რაგა! რავი შანკარი, ალი აკბარ ხანი!..
– ჰარიპრასად ჩაურასია!
– ჩაურასია! აბა რა! – ისე ხმამაღლა წამოიძახა აღტაცებულმა, რომ მაიკლმა და ლუიმ მოიხედეს, მაგრამ ისევ მიიხედეს, გართულები იყვნენ საუბარში.
– ინდური ფლეიტა რომ მესმის, პირდაპირ ცრემლები მომდის!
– ინდური ვიოლინოც კარგია...
– კი, ვიოლინოც, ვიოლინოც... სიტარა?
– სიტარაც მაგარია. – საოცრებაა, რა მისტიური ბგერა აქვს, არაამქვეყნიური... მაგრამ ინდური ფლეიტა სულ სხვაა – ჩაურასიას რომ ვუსმენ, გული ყელში მებჯინება. ამ დროს ვგრძნობ, რა მშვენიერეი ყველაფერი – ხეები, ცა, ჰაერი... რა სილაღეა, რა სიმსუბუქე სამყაროში... – თვალგანათებული ლაპარაკობდა, – ასე მგონია, ინდურ ფლეიტას ადამიანი კი არა, თვითონ ბუნება უკრავს... და... იცი რა არის ამ მუსიკაში ყველაზე საოცარი? ის უსასრულოა... იცი, რისი თქმა მინდა?.. თვითონ მის შიგნით არის უსასრულობა. ზოგი მუსიკა იწურება, გბეზრდება, ეს კი არა – რაც უფრო მეტჯერ

მოუსმენ, მით უფრო სიღრმეში შეხვალ... ასეთი უსასრულობა მხოლოდ ბუნებაშია... როგორ მიაგნეს ბუნების ამ თვისებას? – შორს იყურებოდა და თავისთვის ლაპარაკობდა,
– კარგი, მიგნებით მიაგნეს, მაგრამ როგორ შექმნეს ასეთი მუსიკა, სასწაული არ არის? – თვალებში მიყურებდა მერე ფანჯარაში გაიხედა და დადუმდა.
– სილამაზე მარტივია, მშვენიერება - ღრმა და უსასრულო... - თავისთვის თქვა.
კი-მეთქი, დავეთანხმე და გავუღიმე. მსიამოვნებდა მისი საუბარი, მაგრამ ვერაფრით ვიშორებდი დაძაბულობას და რაღაც გაურკვეველ, უხერხულ გრძნობას.
– ბიჭებო, – გადმოგვძახა მაიკლმა, – ხომ არ მოიწყინეთ მანდ?
– არა, – უთხრა სტასიკამ თავის რუსულზე უარესი ინგლისურით, – ძალიან საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა თქვენი მეგობარი...
ასეა, დაკვირვებული ვარ, ჩუმად როცა ვზივარ, ზუსტად მაშინ ამბობენ ხოლმე, საინტერესო მოსაუბრეაო...
– ერთ ორმოც წუთში მივალთ, – თქვა მაიკლმა, – სტას, შენ სხვაგან უნდა წამეყვანე, მაგრამ ის ვარიანტი გაიმაზა, მართვის მოწმობა მოითხოვეს. შენ ხომ არ გაქვს?
– არა.
– ჰო, მახსოვდა და ვუთხარი... მოკლედ ახლა ორივეს ტომსრივერში წაგიყვანთ. ორივეს გაგესაუბრებიან. ვისაც აირჩევენ, ის დარჩება. ჰო, იმას გაუბნებოდი, – მიუბრუნდა ლუის, – მაგარი რამეა. რადარებს ატყუებს – 300-ითაც რომ მიდიოდე, 70-ს აჩვენებს! აზრზე ხარ? მაგარია! რაც ეს ვიყიდე, დავისვენე. ხომ იცი, ძალიან ბევრს რომ დადიხარ, გჭირდება. თან ზოგჯერ გეჩქარება, მოსასწრები გაქვს რამე საქმე, ან სადმე გელოდებიან, შენც გაზს აწვები და მერე სახლში 300 დოლარიანი ქვითარი მოგდის... ამან ამომასუნთქა.
– მაგარია, მეც უნდა ვიყიდო, – სერიოზულად დაინტერესდა ლუი, – რა ღირს?
– 560 დოლარი ღირს. მე 400 მივეცი „იბეიზე“.
– ნაღდად უნდა ვიყიდო.
– აბა რა, ჯიგარო, ნაღდად საყიდელია, მაგრად გამოგადგება. რა გყავს?
– დოდჯი.
– მეც მყავდა ერთ დროს, ერთი ათი წლის წინ...

– როგორც ჩანს, აღმოსავლეთს კარგად იცნობ, – განაგრძობდა სტასი, – არ ვცდები, არა?
– აღმოსავლეთი ჩემი სტიქიაა...
– „ერთხელ, როს ჩემი ლეში ბუდას შეხვდა...“ – მეოცნებე თვალები ფანჯარას მიაპყრო და მგზნებარედ წარმოთქვა, მერე მოტრიალდა და გამიღიმა, – ბუდა, ბოდჰი, будить, бодрствовать... ერთი ძირი აქვს. რა მარტივი და რა გენიალური რამ მოიტანა არა ბუდამ?
– გაღვიძება, სიფხიზლე... როს ჩემი ლეში ბუდას შეხვდა...
– რას ამბობ, ეგ ხომ სატანისეულია!..
გაგვეცინა.
– ვიცი, რასაც გულისხმობ, მაგრამ ნუ დასცინი, ყველას თავისი გზა აქვს. მე არაფერს ვუარყოფ. აი, კათოლიკე ვარ, – გულისპირიდან ჯვარი ამოიღო და დამანახა, – სინამდვილეში წინააღმდეგობები არ არსებობს... შენ წარმოგიდგენია, რომ წმინდანებმა იჩხუბონ?
– ან თუნდაც იკამათონ?

– ჰო, ორმა წმინდანმა, ვთქვათ ძენის ოსტატმა და ინდიელმა შამანმა რომ იკამათონ...
– სასაცილოა...
– საოცარია! ნამდვილი საოცრებაა – სად შეგხვდი!.. აქ, ამერიკაში... არაფერი არ ხდება შემთხვევით, მე ამის მჯერა. ბევრს გონია, რომ ყველაფერი შემთხვევით ხდება, მაგრამ არა, ყველაფერი კანონზომიერია. ამას მერე ხვდები, როცა უშუალოდ გეხება... იცი, ჩემთან, ტალინში არის ერთი-ორი ადამიანი, ვისაც ფიქრის მატერიალიზაცია შეუძლია – ისინი თვითონ ქმნიან თავიანთ ბედს და ყველაფერი ეძლევათ, ფულიც კი... ჰო, ეს შესაძლებელია, ოღონდ ნამდვილად სასიცოცხლოდ უნდა გჭირდებოდეს და არა გასართობად. მხოლოდ მაშინ, როცა ფიზიკურ გადარჩენაზეა საქმე... ისინი შყვარებულები არიან... ოღონდ ერთი ქალი, ან კაცი კი არა, ყველა ადამიანი, ცხოველი, მცენარე და ნივთებიც კი უყვართ... ჩვენსავით თეორიულად კი არა... უმეტესობისთვის ეს წარმოუდგენელია... მთელი გულით უყვართ, ისე როგორც რომეოს ჯულიეტა, და დღე და ღამე გული ტკბილად უფრიალებთ...
სტასმა რაღაცას გაუღიმა.
– მოვედით, – თქვა მაიკლმა, გზიდან გადაუხვია და ერთ სახლთან, უფრო სწორედ სასახლესთან გააჩერა, – ჯერ მე შევალ, მერე დაგიძახებთ და შემოხვალთ, პირველი სტასი შემოვა.
მანქანიდან გადმოვედით. მაიკლი სახლში შევიდა.
– ეს სტასია, გაიცანი, ვუთხარი ლუის.
ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გაუღიმეს.
– სტას – დაუახა მაიკლმა, – შემოდი.
სტასი შევიდა.
– ვახ, ეს გინდოდა ახლა? – თქვა ლუიმ, – რა დროს კონკურენტი იყო! ისე ცოტა ისეა არა?
– და საფეთქელთან თითი დაიტრიალა, – რაღაცეები მესმოდა... ეს მაიკლიც კაი მელაკუდაა – ვითომ სხვაგან მიყავდა და ვითომ გაიმაზა, სინამდვილეში თავი დაიზღვია, ორიდან ერთს ხომ მაინც აირჩევენ. ერთი რომ წამოეყვანა და დაეწუნებინათ, ტყუილად დაკარგავდა დროს, მარა არა უშავს, მე ვიცი მაგათი... მთავარია შენ არ დაიბნე და თამამად ილაპარაკე. ამათ თამამები უყვართ. ჩვენთან რომ თავმდაბლობას და მორცხვობას აფასებენ, აქ ეგრე არაა, აქ ეგეთები ეზიზღებათ. იცი რა არის ამ ქვეყნის დევიზი? – აგრესიული უნდა იყო! აგრესიული, ანუ აქტიური, გაიგე? ყველაფერზე ვიციო, უნდა უთხრა. არ გაგიჟდე და რამეზე არ ვიციო, არ თქვა, გაიგე, მართლა გეუბნები!
– თუ არ ვიცი?
– მაინც ვიციო, უთხარი, თორემ არ აგიყვანენ, გეუბნები, აქ ეგრეა, – ლუის ხმაში წყენა შეეპარა, იგრძნო, რომ სრულ თანხმობას არ ვუცხადებდი.
– მერე რომ მომთხოვენ იმ საქმის გაკეთებას?
– მერე როგორმე გააკეთებ, სხვა გზა არ არსებობს. რამდენი ხანია სამსახურს ეძებ? ექვსი თვე ხო არის?
თავი დავუქნიე.
– ჰოდა კიდევ ექვსი თვე ეგრე იჯდები, თუ არ გამოფხიზლდები, გაიგე?

– ლუი! – დაიძახა მაიკლმა პარმაღიდან. ლუიც შევიდა. მარტო დავრჩი. სახლის წინ ლამაზად გაკრეჭილი მდელო იყო. მდელოს გასწვრივ პატარა, ერთნაირი ფიჭვები იდგა სიმეტრიულად. ნათელი დღე იყო. სიჩუმე ზუზუნებდა. ყველაფერი სამოთხეს გავდა.
სტასი გამოვიდა.
– რაო, რა გითხრეს?
– რა ვიცი, რაღაცეები მკითხეს...
ერთხანს ჩუმად ვიდექით. სიგარეტს მოვუკიდე. ვნერვიულობდი – „რას მკითხავენ, რას ვუპასუხებ, ან კითხვა რომ ვერ გავიგო, რა უნდა ვქნა?..“
– შეხედე, - მითხრა სტასმა და უახლოეს ფიჭვზე მიმითითა, – ხე.
– რა საოცრებაა... – ჩამეღიმა მე.
– მართლა საოცრებაა... ცოცხალია! – ისეთი გრძნობით თქვა, უნებურად ხეს მივაჩერდი,
– ხანდახან ხეებს ვეხვევი და ვკოცნი... სხვას არ ვეტყოდი, შენ გეუბნები... ნახე რა საყვარელია! როგორ დგას და სუნთქავს! ზოგჯერ ისე ვგრძნობ, რომ ხე ჩემ ძმაა, ჩემი და... – ტოტზე ეფერებოდა ხეს, – ხომ გრძნობ, რომ ერთი ვართ – ერთი სიცოცლე...
– კი...
ლუი გამოვიდა. გვერდზე გამიყვანა.
– ახლა შენ შეხვალ, - ხმას დაუწია, – კარგ ინგლისურს ითხოვენ. მე ვუთხარი შენზე, ჩემმა ძმამ ამაზე ბევრად უკეთესი ინგლისური იცის-მეთქი, ოღონდ ისე ვუთხარი, იმას არ გაუგია... ჩემი ინგლისური და ამერიკული მანერები მოეწონა იმ კაცს და მითხრა, თუ შენი ძმაა, ინგლისურიც კარგად ეცოდინება და წესიერი ბიჭიც იქნებაო, ასე რომ შანსი გაქვს. ახლა მთავარია, არ ჩააფლაო... ბევრი არ ილაპარაკო, მოკლედ უპასუხე კითხვებს. ასე ჯობია. რაც უფრო მოკლედ იტყვი, მით უკეთესი – ნაკლებ შეცდომას დაუშვებ... აბა მიდი, შენ იცი!
დიდ, განათებულ დარბაზში შევედი. მაღალი, ხმელი კაცი შემხვდა, ხელი ჩამომართვა და სავარძლებზე მიმითითა. თვითონ ჩვენს პირდაპირ დაჯდა, ხანშიშესული, მაგრამ ახალგაზრდულად მორთული, გამხდარი ქალის გვერდით.
– ჩვენი პირობები ალბათ იცით.
– იცის, – თქვა მაიკლმა.
– ჩვენ გვჭირდება ინგლისურის კარგი მცოდნე, რომ ტელეფონს უპასუხოს, სტუმრებს შეხვდეს, მაღაზიაში წავიდეს. თქვენ იცით ინგლისური?
– დიახ.
– კარგი ბიჭი ჩანს.
– ჰო, მაგრამ ზარმაციც არ უნდა იყოთ. დილიდან ჭურჭელი დასარეცხია, საუზმე მოსამზადებელი, სუფრა გასაწყობი. მერე სადილი მოდის, ვახშამი. კარგად ამზადებთ?
– დიახ.
– სარეცხიც უნდა დარეცხოთ, – თქვა ქალმა, – სარეცხი მანქანის ხმარება ხომ იცით?
– დიახ.
– და ბაღსაც უნდა მოუაროთ, სულ გახმა ჩემი გეორგინები... მე და ჯორჯს გაზეთები უნდა წაგვიკითხოთ. ეჰ, ჩემო მაიკლ, სულ აღარ გვივარგა თვალები...
– არაა საჭირო, ჯეინ, გაზეთს მე თვითონ წავიკითხავ.
– რატომ უნდა წაიკითხო შენ, როცა ეს ყმაწვილი აქაა. შენ თვალები უნდა გაიფუჭო და ეგ ტყუილად უნდა იჯდეს?

– ნუ გეშინია, ტყუილად არ იჯდება, შენ ხელში საქმეს რა გამოლევს, – ხმადაბლა და ოდნავ დაძაბლად გადალაპარაკა კაცმა და მაშინვე ნაძალადევად შემოგღვღიმა,– მანქანის ტარება თუ იცით?
– დიახ.
– ამერიკაში გიტარებიათ?
– არა, – ლუის დარიგება გამახსენდა და ოფლმა დამასხა.
– ოო, ეს ცუდია, – თქვა კაცმა.
– იმ ბიჭს ამერიკაშიც უტარებია, ჯორჯ, – უთხრა ქალმა. ალბათ სტასზე ამბობდა, – შენ რას გვირჩევ, მაიკლ?
დაძაბულობისგან თავი მიწიოდა. „სად გამოეკვეხა...“ – გავიფიქრე და გავმწარდი.
– ორივე კარგი ბიჭია. ორივე სანდოა, თქვა მაიკლმა.
– რასაკვირველია. ამიტომაც დაგირეკეთ, რომ გენდობით, მაიკლ...
– მე არჩევანის საშუალება მოგეცით...
– ამ ყმაწვილს ისეთი ძმა ყავს, – თქვა კაცმა ფიქრის შემდეგ, – ზედვე ეტყობა, რომ ნამდვილად წესიერი კაცია, ნამდვილი ამერიკელია...
– მართალია, – თავის ქნევას მოყვა ქალი, – ნამდვილი ამერიკელია!
– მეც ასე ვიცნობ, – თქვა მაიკლმა, – ყოველმხრივ მოწესრიგებული კაცია, მეც ძალიან მომწონს.
– მოკლედ, მე მგონი გადაწყვეტილია, ყმაწვილო, – თქვა კაცმა, – შეგიძლიათ საქმეს შეუდგეთ. თქვენს ძმას უმადლოდეთ...
გარეთ გამოვედით. სტასი ლუის რაღაცას ეუბნებოდა გაღიმებული.
– რაო? – მკითხა ლუიმ.
– შენი ძმა რჩება, – თქვა მაიკლმა და მანქანისკენ წავიდა, – აბა გადმოიღე შენი ჩანთა, ჩვენ კი წავედით.
– მართლა? მომილოცავს! – იყვირა სტასმა და გადამეხვია, მე გახევებლი და გაღიზიანებლი ვიდექი, – ვიცოდი, რომ შენ დარჩებოდი, ძალიან გამიხარდა. ეს სამუშაო შენ გჭირდება... ყველაფერი კარგად იქნება!
– გმადლობთ სტას... – დავიბენი, – ბოდიში, რომ ასე გამოვიდა...
– ჩემზე ნუ დარდობ, მე არ ვიყავი მიჯაჭვული ამ სამსახურს… – თქვა სტასმა უბრალოდ, გამიღიმა და კიდევ ერთხელ გადამეხვია.
ლუი და მაიკლი გაკვირვებულები მოგვჩერებოდნენ. ლუი უსიამოვნოდ შეიშმუშნა...
– კარგი, გვეყო გულის აჩუყება, წავედით, დრო არაა, – თქვა მაიკლმა.
მანქანაში ჩასხდნენ. მანქანა დაიძრა, რამოდენიმე მეტრი გაიარა და გაჩერდა. მანქანასთან მივირბინე. ლუიმ ფანჯარა ჩასწია და თავი გამოყო.
– რა იყო?
– არაფერი, ნომრების გაცვლა უნდა ამას, მაგრამ პასტა არა გვაქვს. არაუშავს, მე ჩავიწერ და მერე მოგცემ.
– კარგი... ოღონდ არ დაგავიწყდეს... – ვიცოდი, რომ დაავიწყდებოდა.
მანქანა წავიდა.
მე ჩანთით ხელში ვიდექი გზაზე. ირგვლივ კარგად გაკრეჭილი მდელო იყო. მხოლოდ რამოდენიმე ერთნაირი ფიჭვი იდგა სიმეტრიულად ჩამწკრივებული. მზიანი დღე იყო. ყურებში სიჩუმე ზუზუნებდა და ყველაფერი სამოთხეს გავდა.

ქეთი გზირიშვილი

კონსტანტინოპოლი*

(სიზმარი**)

4.
ერთხელ წითელქუდას ლურჯქუდა დაუძახეს.
სწორედ მაშინ, როცა თავის წითელ ქუდზე ყვავილი ამოქარგა და ფეიერვერკების მოედნისკენ მიმავალ გზას ასკინკილით გაუდგა.
ლურჯქუდაო! ვარდისფერქუდა მაინც ეთქვა, ჰა – ცისფერქუდა.
რაღა ლურჯი.
თან ისე გამოთქმით!
საქმე იმაშია, ის ლურჯი ქუდი ნანახი ჰქონდა და საშინლად არ მოსწონდა. სიზმარშიც კი არ ასვენებდა: გამოყოფდა კედლის კუთხიდან ლურჯქუდიან თავს მისი უჩინარი პატრონი და წითელქუდას სასწრაფოდ ეღვიძებოდა.
ჰოდა, დაუძახეს თუ არა, კეფა გაეყინა და მიხვდა, სინამდვილეში მაგარი სულელი იყო.

საცოდავია წითელქუდა.
თავისი თავი ებრალება.
კიდევ ერთი პრობლემა აქვს – ენა ჩაუვარდა და მუცელი ჩაცვენილი სიტყვებით ამოექოლა.
ზის ახლა მინდორში. ხან მგელი ელანდება, ხან მგლისფერი მონადირე. ხან კბილების კრაჭუნი ესმის, ხან – თოფის ტკაცუნი.
ისე კი, ერთ ბოთლ „ბორჯომს“ ნატრობს მუცლის ტკივილის დასაამებლად და საძილე აბებს.

3.
იყო ერთი კიბე.
ხან წვებოდა, ხან დგებოდა.
ხანაც ეყუდებოდა.
წვებოდა, როცა ხელს უშვებდნენ.
დგებოდა, როცა ხელებს მხრებში ჩაავლებდნენ
და ეყუდებოდა, როცა ავიწყდებოდათ... ასვლა, ჩამოსვლა, ან მოსვლა.

ერთხელ უცნაური რამ მოხდა.
მასთან ჩაიმუხლეს და დააცქერდნენ.
ასეთი რამ არასდროს მომხდარა, ჰოდა, კიბეს სიხარულისგან გული აუჩუყდა.
აჩუყებულ გულს გადაშლა სჩვევია და კიბემ თუ მისმა გულმა, ცალ–ცალკე თუ ერთად,

გაშალეს მკლავები...
სწორედ ამ დროს ჩამუხლულის ჯიბეში მაღვიძარამ დარეკა..
კიბეს საფეხური ჩამოტყდა.

2.

კაცი იყო, ფაფახი ეხურა.
ერთხელ კაცმა ირმის მუცელზე წინწკლები დათვალა.

1.
აქედან წახვალ, აქ მოხვალ.

...
წითელქუდამ თვალები დახუჭა.
ვერ მიხვდა, აბები გადაყლაპა თუ ბორჯომის წყალი.
ვიღაცის ხელმა მხრებზე პლედი წააფარა, მაგრამ წითელქუდას ეს აღარ დაუნახავს.

_____

* კონსტანტინოპოლი (ბერძ.: Κωνσταντινούπολις) ..... რის გამოც მას „ქალაქთა დედოფალი“ შეარქვეს.
წყარო: ქართული ვიკიპედია.

** მოქმედი პირები: ემხვარ კახაძის ისტორიიდან – ამ ისტორიის მოსაყოლად.

ლევან ტატიშვილი

ორფევსი ანუ Si non Troppo

– კვარტეტმა როსინის C-Dr სონატის მე-3 ნაწილი შეასრულა. ვიოლოჩელისტმა, 40 წლის მამაკაცმა, ბლანჟეთი, კმაყოფილებით მიმართა ანსამბლის წევრებს:
– დღეს კარგი იყო. ასე თუ გავნაგრძობთ თვით ფრანგებსაც კი გავაკვირვებთ. როდის არის გენაცვალე, ქალბატონო რუსიკო, ჩვენი გამოსვლა ფესტივალზე? – მიმართა ვიოლონჩელისტმა უკვე ხანშესულ ქალბატონს.
– 9 სექტემბერს.
– კარგი, ძალიან კარგი.... Très bien.. mais si non tropo, Да, си сильно не берите, в особенности это относится к вам, дорогая Мария и милая Ната. Давайте-ка еще раз пройдемся – di capo!
ანსამბლმა გაიმეორა ნაწყვეტი.

ძალიან კარგი რამ გამოვა, მერწმუნეთ, მერწმუნეთ თუ ცოტა რამ გამეგება ამ საქმეში... მართალია კაზაუსი ვერ გამოვედი, მაგრამ ცოტა რამ მაინც გამეგება... კარგით, დღეს მოვრჩეთ. შემდეგში მეტრონომით ვივარჯიშებთ. თქვენ კი რუსიკო, ხვალამდე до завтра проигрываете про себя, но не вслух. Когда это освоите, то проделаете тоже самое, но со счетом. Сначала вслух, а потом опять про себя. При этом глаза должны быть на одном уровне, но устремленными влево, а после должны тоже самое проделать с глазами устремленными вправо дабы все это запомнить. Когда все это освоите – привяжите музыку и счет к зрительному образу, вернее к действию: с глазами, устремленными влево, а после освоения с целью запоминания – вправо. И наконец, все это вместе взятое привяжите к чувствам, вернее наоборот, чувства ... только глазами вниз влево...кинестетически..
– Кааааак? – იკითხა გაკვირვებულმა ნატამ – საშუალო ასაკის სიმპათიურმა მევიოლინემ.
– пробовала, пробовала, но со зрительными образами ничего не получилось, გაბუტვით თქვა ქალბატონმა რუსიკომ.
– Получится милая, получится. Ты представь как приезжает на коне принц, скажем, Кондé, перебивает охрану и похищает тебя… простите, вас, с балкона. Разбейте все это действие по тактам и все получится.
რუსიკო მიინაბა:
– Уже кажется получается.
– Вот видите милая, все получилось, благодаря принцу Кондé. Между прочим … მაგარი ვინმე იყო... მაგრამ ამაზე შემდეგ...

ანსამბლის წევრები ფოიეში ჩამოვიდნენ. ვიოლონჩელისტი ქალბატონებს მოსასხამების ჩაცმაში მოემსახურა. ნატა ვიოლონჩელისტთან მარტო დარჩა. უფრო სწორედ, დაელოდა სანამ ორკესტრანტები წავიდოდნენ.

– Ты милая становишься опасно красивой. Начинаешь меня пугать да смущать, თან ეხმარება ჩაცმაში.

– Сегодня я вне обществе супруга. Может утешишь мое одиночество?

– Утешить решил я птенчика милой, но умертвил я его...

Passer, deliciae meae pellae,

qicm ldere, qem in sin tenere...

…милая, я страшно боюсь как бы окончательно не влюбиться в тебя с неистовым рвением и неисцелимым забвением.

– Ну и что же в этом дурного?

– Как же... ведь влюбляться в богин не только опасно, но и – нагло!

– Ах ты мерзкое существо. შე გათახსირებულო, გარყვნილო, ბაბნიკო! არ დაგინახო, რომ ჩამაცვა! გაწიე ხელი! გაეთრიე!

ვიოლონჩელისტი ამაოდ ცდილობდა ვითარების გამოსწორებას:

– ძვირფასო ნუ ცხარობ, ალექსანდრიულ ლექსს მოგიძღვნი!

უშედეგო მცდელობის შემდეგ მოხუცებულ პორტიეს მიმართა:

– ანთიმოზ, ერთი ჩემი ძონძები მომაწოდე. დაიმახსოვრე, ანთიმოზ, ქალბატონებთან არასდროს არ უნდა იყო გულახდილი, არც მაშინ როცა მათ გულს ინადირებ, ანუ აბამ, და არც მაშინ როცა მათგან თავის დაღწევას ლამობ, ანუ ითესები. ისე კი მეორე უფრო ძნელია: зашить – легко, развестись хорошо – трудно... или даже невозможно.

ვიოლონჩელისტს მოხდენილი აფორიზმებით მოსალოდნელი ეფექტის ნაცვლად ანთიმოზის სიმშვიდემ და სიდინჯემ საბოლოოდ გაუფუჭა ხასიათი.

– ეჰ, ისე კი ნეტავ მეც შენ დღეში ვიყო, ანთიმოზ, და სულ არ მაღელვებდნენ ეგ ეშმაკის შექმნილი უმშვენიერესი ურჩხულები, რათა როგორც ღვთაებრივი სოფოკლე ბრძანებდა, ვნებებისგან, ვით ხარბ და ვერაგ ბატონისგან შემძლებოდა თავის დაღწევა! – სოფოკლეს პირფერული ციტირებითაც ვიოლონჩელისტმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. თუმცა უკვე არც არავითარ ეფექტს არ ელოდებოდა. როგორც ჩანს ინერციით წამოცდა ან შეიძლება, მხოლოდ თავის თავს გაეპრანჭა. მოგეხსენებათ, ესთეტს რაოდენ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს სხვებისთვის შეუმჩნეველი პოზიორობა. ვიოლონჩელისტიც ის ესთეტი გახლდათ, რომელიც ამ ქვეყანაზე არც კეთილდღეობისთვის, არც მშვიდი ცხოვრებისთვის და არც, როგორც ღვთაებრივ ბერძენ ფილოსოფოსებს ეგონათ, ბედნიერიბისთვისაც კი არ მოსულიყო, არამედ მხოლოდ – დრამატული განცდებისა და დახვეწილი კეკლუცობით შთამბეჭდავი ეფექტებისთვის. სამყაროს მისადმი მტრულ დამოკიდებულებას მხოლოდ მაშინ ამჩნევდა, როცა მისი დახვეწილი არტისტობა შეუმჩნევლად ჩაივლიდა ხოლმე. ამ შემთხვევებში, სასოწარკვეთილს მხოლოდ ერთი სვლა-ღა ჰქონდა შემონახული თუმცა სხვადასხვა ვარიაციებით: ნერონისა არ იყოს, ეჩვენებინა თუ რა არტისტით ტოვებდა ამ გულქვა სამყაროს. ახლაც, თავის უბრალო და გაცრეცილი ლაბადის კალთას დახედა ნაღვლიანად, მაგრამ უმალ გასწორდა, მრისხანე გამომეტყველება მიიღო და ჩაიბუტბუტა:

– Хватит Антисфен, красоваться продырявленным плащем!

* * *

ვიოლონჩელისტმა სახლში მისვლისთანავე ფირსაკრავზე მე-16 საუკუნის ლიუტნის მუსიკა ჩართო. მოულოდნელად საესტრადო მუსიკის ხმა მოესმა ზედა სართულიდან. მუსიკის ხმა თანდათან მატულობდა. ბოლოს ვიოლონჩელისტმა ვერ მოითმინა და მეზობელს დაურეკა:

– უკაცრავად, თუ არ შეწუხდებოდით, ცოტა ხმადაბლა ხომ ვერ დაუკრავდით მუსიკას. რაღაც... სარეპეტეციო მაქვს...

მუსიკის ხმამ, დაწევის მაგივრად, უფრო იმატა. ვიოლონჩელისტი აღშფოთებული გაემართა კარებისკენ, მაგრამ როგორც კი კარებთან მივიდა მკვეთრად შემობრუნდა.

– ბარბაროსები, ვანდალები. რომ მიუშვა რომს ისევ თვალის დაუხამხამებლად დაარბევენ! გაზის კამერებში უნდა შეუშვა წურწუმიას, მეფარიძის და უცნობის მუსიკის ქვეშ. ატიპიური პნევმონიის და ქათმის გრიპის იმედი-ღა დამრჩა...!

ბოლოს ხმაური გაუსაძლისი გახდა. ვიოლონჩელისტმა ისევ ტელეფონი აიღო:

– უკაცრავად, ისევ მე გაწუხებთ. ძალიან სასიამოვნო მუსიკაა.. ცოტა ხმას ხომ არ აუწევდით? მეც უფრო კარგად გავიგონებდი. რა ანსამბლია? ...აა, ძალიან საინტერესო და სასიამონოა, მადლობთ, მადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

ამგვარმა ტაქტიკამ მართლაც რომ შედეგი გამოიღო და მეზობლებმა მუსიკას ხმა მნიშვნელოვნად დაუწიეს.

კარებზე ზარი გაისმა. ვიოლონჩელისტმა კარები გააღო. კარებთან ახალგაზრდები იყვნენ:

– ბიძაჩემო, აქ ბოჭორიძეები სად ცხოვრობენ?

– ზევით მარჯვნივ, მაქვს ბედნიერება – ჩემ თავზე.

კარებზე ისევ ზარი გაისმა. იგივე შეკითხვით ახალგაზრდათა სხვა ჯგუფმა მიმართა ვიოლონჩელისტს. ვილონჩელისტმა კვლავ დააკვალიანა ახალგაზრდები. შემდეგ კარებზე ფურცელი გააკრა წარწერით: „ბოჭორიძეები ცხოვრობენ ზევით, მარჯვნივ, შავი კარები“.

კარებზე ისევ ზარი გაისმა. კარებთან ისევ ახალგაზრდები იყვნენ:

– ბიძაჩემო, აქ შარაფი სად არის?

– ზევით მარჯვნივ, აქვს ბედნიერება ჩემ თავს!

– სპასიბა.

ვიოლონჩელისტმა ფურცელს მიაწერა: „შარაფიც იქვეა“ და დანა-ჩანგალი და ისარიც მიუხატა.

ზედა სართულიდან ბრაგა-ბრუგის ხმა თანდათან მატულობდა. ბოლოს ვილონჩელისტმა მოთმინება დაკარგა და განრისხებული ზევით აიჭრა. კარი გალეშილმა, დაბოლილმა, დაკაიფებულმა, შავებში გამოწყობილმა ოქროს ჯაჭვიანმა მუტრუკმა გააღო. ვიოლონჩელისტი დაიბნა:

– გამარჯობათ, უკაცრავად... ზედმეტი... შამპანური ხომ არ გექნებოდათ.. ცოტა?

– ვაა, მოდი შამპანიური, კაკაინი, მოსაწევი, წამალი...

– არა, არა მადლობთ, კონიაკი, მოსაწევი და თავის ტკივილის წამალი მეც მაქვს, მხოლოდ ცოტა შამპანური მინდოდა, წამლად. დილით ადრე და ძილის წინ ვსვამ – ხოლმე, რომ კარგად დამეძინოს და აი, დღეს აღმოვაჩინე, რომ, ეშმაკმა დალახვროს, თურმე არ მქონია, სულ გამომლევია. ისე, კი კარგი იქნებოდა მქონოდა და არ შემეწუხებინეთ.
– ნიჩივო, შემოდი, შემოდი. – მასპინძელმა ვიოლონჩელისტს ხელი წაავლო და ბინაში შეათრია.
ბინაში, რომელიც გადატენილი იყო მოცეკვავე და მოქეიფე ახალგაზრდებით, საშინელი კვამლი და ბუღი იდგა. მასპინძელმა რატომღაც თავი ვალდებულად ჩათვალა ვიოლონჩელისტი წარედგინა დამსწრეთათვის:
– ეს ჩემი მეზობელია...
– ალექსანდრე...
– ჰო, ალიკა...
ერთ-ერთმა მთვრალმა მოქეიფემ მასპინძელს და ვიოლონჩელისტს მიმართა:
– თამადა დაგვეთესა. როგორც უფროსი კაცი... სუფრას უნდა გაუძღვეს. აბა შემოსწრებულს გაუმარჯოს... განსხვავებული.
ვიოლონჩელლისტს ფერი ეცვალა ჯერ თამადად რომ დანიშნეს და მერე მთლად გამწვანდა განსხვავებული სასმისი რომ დაინახა – რაღაც ძველებური ამურებიანი თასი. თავიდან შეეცადა თავის დაღწევას:
– არა, იცით, დღეს ვერ დავლევ. ხვალ კონცერტი მაქვს. უნდა მაპატიოთ
– ვა, შენ ზვეზდაც ყოფილხარ! აბა უნდა იმღერო!

ვიოლონჩელისტს შეეშინდა კიდევ რაიმე სისულელით თავისი მდგომარეობა უფრო არ დაემძიმებინა და გადაწყვიტა ბედის კეთილგანწყობას მინოდობოდა. თასს ხელის ორი მოსაკიდებელი ჰქონდა. ერთი ფსიქე, მეორე კი აფროდიტე რომელთა თავები ვაზის პირის გასწვრივ იყვნენ და ერთამანეთს უცქერდნენ. ვიოლონჩელისტმა აფროდიტეს მხარი დაიჭირა, კონცენტრაცია ფსიქეზე გააკეთა და შეუდგა სმას. რაც მეტს სვამდა მით უფრო მაღლა ადიოდა ფსიქე და შესაბამისად აფროდიტე დაბლა ჩადიოდა რომლის მხოლოდ ღაწვებს ხედავდა და ფსიქე მით უფრო მომღიმარად და მხიარულად ეჩვენებოდა მისი მშვიდი, ოდნავ გაღიმებული სახე. როგორც იქნა ეს საშინელი სასმისი დაცალა. საკმაოდ გამხირულებულმა ჭიქას ხელი დაავლო:
– აბა, მე მინდა ფსიქეს და ეროსის სადღეგრძელო შევსვა.. – უკმაყოფილება რომ შეატყო მოქეიფეებს, მიხვდა შეცდომას და განმარტა: – ანუ სიყვარულის!

მოქეიფეებიც შეურთდნენ მას. თურმე მასპინძლის, ანუ იმ მუტრუკის ნიშნობა ყოფილა. ამ ამბის გაგებამ ფრიად გამოაცოცხლა ვიოლონჩელისტი. მან აღტაცებით და დაწვრილებით უამბო ვაზაზე გამოსახული ფსიქეს და ეროსის გამიჯნურების მითი და დაუკავშირა ახალ დანიშნულებს, რითაც, რასკვირველია, მხოლოდ გაღიზიანება გამოიწვია მოქეიფეთა შორის. ბოლოს, ამ მითოგრაფიული წიაღსვლებით ტანჯვა არ აკმარა მოქეიფეებს და ახალდანიშნულებისთვის სპეციალურად მე-16 საუკუნის კომპოზიტორის, დე ნარვაესის ნაწარმოები ,,ძროხები მიმწყესე“ გიტარაზე შეასრულა, რითაც საერთო აღშფოთება გამოიწვია.

როგორ საკვირველადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ახლად დანიშნულ, მოხდენილ და ლამაზ ყმაწვილ ქალს ეს რეპერტუარი მოეწონა და ამჯერად მან შეასრულა გიტარაზე

Domenico Scarlatti d-moll K. 121 L. 144 გიტარისთვის გადაკეთებული საკალვესინო სონატა, რამაც უკვე ვიოლონჩელისტი აღაფრთოვანა და ამჯერად მან შეასრულა სხვა ნაწარმოებები, რამაც ლამის ახლად დანიშნული ყმაწვილი ქალის ექსტაზი გამოიწვია. ,,საზოგადოება“ იძულებული იყო მოეთმინა ამ ორის არსების მუსიკალური არქაიზმების შესრულებაში ,,შეჯიბრი“ თუ ერთობლივი ექსტაზი. ბოლოს მოთმინება ამოიწურა:

– ბიძა, შენ თავი ფილარმონიაში ხომ არ გგონია? რეებს მიედ-მოედები, რა ფსიქო, რა ეროსიო?! ,,რუსთავი 2“ ხომ არ გგონია? ქაჯები ვართ...? ან გოიმები? რიჟა ბაზარით გვაბოლებ?

ვიოლონჩელისტს დაბნეულობა შეეტყო სახეზე და რეპერტუარი სასწრაფოდ გადაახალისა: დე ნარვაესი შეცვალა ესტრადის რეპერტუარმა, რამაც მნიშვნელოვნად გამოასწორა ვიოლონჩელისტის შელახული რეპუტაცია. ბოლოს ვიოლონჩელისტმა მოიბოდიშა და წასვლა დააპირა, მაგრამ მოქეიფეები აღარ უშვებდნენ. მაშინ ვიოლონჩელისტი, უკვე გაღიზიანებით ისევ „მაღალი ჟანრის“ რეპერტუარს დაუბრუნდა.

– მაიცა ბიძაჩემო, პანანგინი, ჩაიკოვსკი და პიდ... – ბი არ გვინდა...

– რაა, თქვე კლინკურო იდიოტებო! ჯერ საკუთარ სახლში არ მომასვენეთ თქვენი ქაჯობით, მერე მთელი საათია რაღაც პორნოგრაფიას მაკვრევინებთ... მე რომ დიქტატორი ვიყო თქვენნარიებს გაზის კამერებში ამოვახრჩობდი ამ თქვენი რეპრეტუარის ბოლო ხმაზე, რომ აღარსადოს არავის...

ვიოლონჩელისტმა ვეღარ მოასწრო მგზნებარე „მამხილებელი“ სიტყვის დასრულება. შეურაცხყოფილი დამსწრეები გარს შემოევლენ. „კულტურული ენთუზიაზმის მსხვერპლმა“, მაგიდაზე შემხტარმა კრივის დაცვით პოზიციაში, გადაწყვიტა შეწყვეტილი პათოსის განწირულ ფიზიკურ წინააღმდეგობაში გაგრძელება, მაგრამ მოძალადეები რაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით უფრო საკუთარი მდგომარეობა უკვე არა მხოლოდ უიმედოდ და განწირულად, არამედ შემაძრწუნებელადაც კი ეჩვენებოდა; მისი მგზნებარე ეპიკური პათოსიდან შიშმა მხოლოდ საღი აზრი-ღა დაინდო, რამაც ვიოლონჩელლისტს სხვა ვერაფერი უკეთესი ვერ შეთავაზა გარდა საპირფარეშოსი, საიდანაც მისი ერთადერთი თაყვანისმცემელი, ახლადდანიშნული ყმაწვილი ქალი გამოდიოდა. ვიოლონჩელისტი საპირფარეშოში შევარდა, მისი თაყვანისმცემელიც შეათრია და შიგნიდან ჩაიკეტა. მისი თაყვანისმცემელი შემოეხვია მას და კოცნა დაუწყო. ვიოლონჩელისტმა მას გახდა დაუწყო.

ამასობაში შეურაცხყოფილები კარებს მიეძალნენ და ცემა დაუწყეს.

– მოვასწრებთ? – იკითხა შიშით და ვნებით შეპყრობილმა ქალმა.

– უნდა მოვასწროთ! – უპასუხა ვიოლონჩელისტმა.

ვიოლონჩელისტმა ქალს ტანსაცმელი გახადა და თავადაც გაიხადა მერე კი ქალის ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

– ქალის ტანსაცმელი თუ არ ჩაიცვი ის არ შეგიძლია? – იკითხა დაღონებულმა და გაკვირვებულმა ქალმა.

– ამითაც არ ვიცი შევძლებ თუ არა!!!

ქალად გამოწყობილმა ვიოლონჩელისტმა, მოიკრიბა სიმამაცის უბადრუკი ნარჩენები, გამოაღო საპირფარეშო კარები და მოძალადეებს მათ გასაოცრად უმშვენიერესს და ქედმაღალა ქალბატონად მოევლინა:

– რა ხდება, რა ამბავია?! საპირაფარეშოშიც აღარ მასვენებენ! – თქვა მსუყე კონტრალტოთი და გაბუტულმა ჩაურა დაბნეულ მოძლადეებს. ერთ-ერთმა გაკვირვებით იკითხა:
– საიდან გამოტკვრა?
– ჩეჩმიდან! რა მნიშვნელობა აქვს!

ვიოლონჩელისტი ნელი ნაბიჯით როგორც კი კარებს მიუახლოვდა, სწრაფად გააღო და გარეთ გავრდა. საპირფარეშოდან ნახევრად შიშველი, კაცის პერნაგში გამოწყობილი ახლლადდანიშნული გამოვარდა ყვირილით ,,მაუპატიურებენ“. მოძალადეთა ნაწილი საპირფარეშოსკენ გაიქცა, ნაწილი კი – კარებისკენ. კარების სახელური გარედან ვიოლონჩელისტს დაეჭირა რის გამოც მდევრები კარებს ვერ აღებდნენ. ამასობაში კიბეებზე უცნობი ჩამოდიოდა, რომელმაც ,,მშვენიერ ქალბატონს“ დახმარება შესთავაზა:
– დაგეხმარებით.
– ძალიან კარგი იქნებოდა. კარები დამიჭირეთ გასაღები რომ გამოვიღო. ბავშვები მარტო დავტოვე... მე კი რეპეტიცია მაქვს... გენერალური... ხვალ კონცერტი მაქვს. ბავშვებმა კი იმის მაგივრად რომ იმეცადინონ... ოჰ, რა ონავარები არიან!
უცნობი სახელურს ჩაებღაუჭა. ვიოლონჩელისტმა თავისი კეთილისმყოფელი შეატოვა მდევრებს და კიბეებისკენ გაიქცა. მდევრებმა იოლად დაძლიეს დაბნეული უცნობის წინააღმდეგობა. ვიოლონჩელისტმა მოახერხა ახლომდებარე პარკში მიმალვა, დაბნელებისთანავე ნატასთან მივიდა, მეორე სართულზე ჩუმად ავიდა და ზარი დარეკა.
– ვინ არის? – კარებს მიღმა მიძინებული და გულგრილი ალტით იკითხარ ნატამ.
– Это я, твой попугайчик! С александрийским стишком!
ნატამ კარი შეაღო, მაგრამ სამოსელით შეძრწუნებულმა შეეცადე კარების დახურვას; ვიოლონჩელისტმა მოასწრო ფეხის ჩადგმა და შეევედრა:
– ეს სპეციალურად გავაკეთე... შენი რეპუტაცია რომ არ შევლახო.
– რეებს ბოდავ?! რა რეპუტაცია?! სულ გამოშტერდი? ორიენტაცია შეიცვალე? ახლა მოდაშია.
– რა, ორიენტაცია უცვლელია. все еще монархист! გააღე რა!
– რომელი ანარქიატი... პანელიდან ხარ? По подъездам зарабатываешь?
გამიღეეეე... თორემ პანელიზე კი არა და и на виолончели некому уже будет зарабатывать!
– დიდი ამბავი!!! შენც მყავხარ რა! ზამენას მოგიძებნით.
– ფესტივალამდე ვერ მოეწრება. თანაც, ნუ დაგავიწყდება, თქვენი ხუდ რუკი ვარ!
ნატა შეყოყმანდა. ფესტივალის არგუმენტმა დააბნია და დააფიქრა.
– და საერთოდ, თუ არ შემომიშვებ, ყვირილს დავიწყებ!
ვიოლონჩელისტმა წამოიყვირა:
– არ დაგნებდებით !!! მაუპატიურებენ! Насилуют!!!
ნატამ უმალ გააღო კარები, ვიოლონჩლისტი შევარდა და ისტორიულად დაიწყო კარების ყველა საკეტზე ჩარაზვა.
– А впрямь – попугай! ეგ რა ჩაგიცვამს?
– დამაცადე, სული მოვითქვა. ბორჯომი ან ჩაი არა გაქვს?
– კიდევ რა მოგართვათ?! ფარაონის ხარჭად გამოწყობილი გათხოვილ ქალს მივარდები სახლში და კიდევ ბოჯომი და ჩაი გინდა რომ მოგართვა?!

– მეუღლე ხომ მივლინებაშია?
– მერე და რა? დღეს არ იყო, რომ „опасно, богиня“ რაღაც სისულელეებს ბოდავდი!
– ეგ დილით იყო... რეპეტიციის მერე, როცა თქვენ... უფრო სწორედ შენ კი არა, არამედ რუსიკო და იმ მეორეს რა ქვია... დამფრთხალ კრუხს რომ გავს... ნერვები ამიშალეთ! კარგი, ჯანდაბას, ონკანის წყალი იყოს.
ნატა ჩაისთვის სამზარეულოში წავიდა. მცირე პაუზის შემდეგ, უსიამოვნო ახსნა-განმარტებების მოყოლის, რომლის გარდაუვლობა დროის გასვლასთან ერთად მატულობდა, ასარიდებლად, ვითომ სხვათაშორის, ვიოლონჩელიტსმა იკითხა;
– შენ ხომ გაქვს კამპრა? მე ჩაგიწერე.
– ჰო, ყველა შენი „ზაპისი “ სანაგვეშია... თუ გინდა მოქექე.
ვიოლონჩელიტს გაუხარდა კიდეც, რომ სანაგვეში ქექვით ახსნა-განმარტებებს თავს აარიდებდა.
ერთ-ერთი სანგვეში ნაპოვნი დისკი პლეიერზე დადო და ნატა მიიწვია საცეკვავად. მათ ცეკვა დაიწყეს.

მოულოდნელად ნატამ ცეკვა შეწყვიტა და ჭირვეული ტონით ჰკითხა :
– ჩემი ალექსანდრიული სად არის?
ვიოლონჩელისტი: – ახლავე.

ვიოლონჩელისტმა კეთილშობილური პოზა მიიღო, ქიტონივით ზეწარი შემოიხვია და დაიწყო დეკლამირება:

Знавал девицу – полулошадь,
Прекрасную, умеющую судьбы прорицать,
Хирон мудрейший отцом ей был, Ее же мать,
Богиня быстрых рек, нарушив воду гладь,
Дала ей жизнь, решив и имя даровать
Окюроен. Простишь сравнение. Да не будешь порицать:
Ты тоже ведь дитя кентавра, Хоть и небесного, не будешь отрицать,
Ты тоже ведь божественна прекрасна,
Тебе не в труд Бессмертныѣ обольщать.
Как дщери той пришлось невинным злодеяньем
Лик де́вичий на лошадинный обменять,
Боюсь тебе таким же преступленьем
Кобылицей гнедой иль огненной не стать.
И спутницей став небосовда вечного
Тебя всего лишь издали придется созерцать.

მცირე პაუზის შემდეგ ნატა:
– Офигено! მაგრამ, მართალი გითხრა, ეგ კი ვერ გავიგე ცხენთან რა საერთო მაქვს.
– როგორ თუ ცხენთან?
– ჰო, ცხენთან.
– ცხენთან კი არა კენტავრ ქირონის ქალიშვილ, ანუ ფაშატ კენტავრ, ოკიუროენთან.
– გინდა ფაშატი და გინდა კენტავრი იყოს!

– ჯერ ეს ეგ ერთი წლებით ცეცხლოვანი რაში ხარ, მეორეც მშვილდოსანის, ანუ კენტავრ ქირონის ნიშნის ქვეშ ხარ დაბადებული და მეასმეც დღე და ღამეს სულ იმ აყროლებულ ჰიპოდრომზე ათენებ და აღამებ. რეპეტიციებსაც მაგიტომ მიცდენ- ხოლმე!
– კაი ჯანდაბას შენი თავი! მერე ფაშატად რატომ უნდა გადავიქცე?
– როგორ თუ რატომ? აბა ზეცად როგორ ამაღლდები? თანაც ოვიდიუსის metamorphoses მიხედვით, ფაშატად უნდა გადაიქცე!
– და რატომ მიშვებ ზეცაში, აქ მოგბეზრდი არა?
– ნუუუუ... თუ არ გინდა… колхоз – дело добровольное! ვიფიქრე, ისე ლამაზი ხარ, რომ არ დავბრმავდე, შენი მხოლოდ შორიდან ჭვრეტაა დასაშვები... ჩვენთვის... უბადრუკი მოკვდავებისთვის.
უცბად კარებზე გასაღების ჩხაკუნის ხმა გაისმა.
– ვაი, ტრისტანა დაბრუნდა.
– როგორ თუ ტრისტანა?! რა უნდა?! საიდან?!
ვიოლონჩელისტი წამოხტა, მაგიდას შემოურბინა და გაშეშდა:
– იქნებ თაგვია?
– ვინ? ტრისტანა? თუ ტრისტანა თაგუნიაა... მაშინ შენ მართლა თუთიყუში, უფრო ზუსტად კი პეპელა ყოფილხარ.…
გასაღებმა კვლავ გაიჩხაკუნა, მაგრამ კარი არ გაიღო. ვიოლონჩენისტი კარადისკენ გავარდა, მაგრამ კარადაში მხოლოდ უჯრები იყო. დაბნეულობისგან ვიოლონჩელისტი უჯრაში ჩაძრომას ეცადა.
– სად ძვრები შე უხერხემლო ინფუზორიავ! ჩქარა გაეთრიე!
ვიოლონჩელისტი საწოლის ქვეშ ეცადა დამალვას, მაგრამ ნატამ ქეჩოში წაავლო და გამოათრია:
– მიდი, აბა, დავაი, ჩქარა აივნიდან парнокопытный попугайчик!
– თუთიყუში... თუთიყუში... გეგონება მართლა ფრთები ან ბურტყლები მქონდეს!
– მიდი, აბა გადაფრინდი, თორემ თუ დაგიჭირა, სულ ღერა– ღერა გაგაცლის ბურტყლებს!
– სად უნდა გადავფრინდე?! რენბო ხომ არ გგონივარ!
– გადახტი, თორემ იმ პირუტყვმა თუ დაგიჭირა აი, რემბოს მაშინ ნახავ!
– ჰო, კარგი, კარგი. ისე მხოლოდ მეორე სართულია.
ვილონჩელისტი აივანზე გავიდა, გადაძვრა მოაჯირზე, გისოსებს ჩამოეკიდა და ჩახტა.
მძიმე დაცემის შემდეგ ის ის იყო ცოტათი სული მოითქვა და ძლივს ადგა რომ მას ორი მუტრუკი დაადგა თავს:
– ეე, იუზგარ, ტრისტანას აივანზე რა გინდოდა?
– ვრეპეტიციობდით, სექტემებერში კონცერტი გვაქვს... ეს კოსტიუმიც სპეციალურადაა... ოსირისის დაბადებას ვუკრავთ, Jean, Baptiste ...Philippe ჰო, ფილიპე რამოსი, და კოსტიუმირებული იქნება...
სადარბაზოდან ტრისტანა გამოვარდა.
– შენ ხარ არა, შე ახვარო... გამოგჭრი ყელს... შე..
ერთ-ერთმა მუტრუკმა ვიოლონჩელლისტს მუშტი მოუქნია, მაგრამ ვიოლონჩელისტი სასწაულებრივად დაუსხლტა, გაიქცა, იმავე პარკში შეასწრო და ბუჩქებში მიიმალა.

* * *

პარკში სხვადასხვა ჯურის ბომჟი იწვა. ზოგი გრძელ სკამზე, ზოგიც, ვისაც ადგილი არ ეყო – მიწაზე. ერთ ბომჟს ისიც კი მოეხერხებინა, რომ იოგასავით ორ ქვის სკამს შორის ისე გაწოლილიყო, რომ თავსა და ფეხებს შორის არაფერი არ ჰქონდა დაგებული.

– აი ვირტუოზი! ახლა ვითომ მე ასევე ოსტატურად ვაწრიპინებ ვიოლონჩელს როგორც ეს მოსვენებას ახერხებს?

ვიოლონჩელისტმა ორ ბომჟს ფეხსაცმელი, გრძელი მოსასხამი და ქუდი მოპარა. ერთ-ერთმა ბომჟმა მოასწრო გამოღვიძება და ვილონჩელისტს ქურდობაზე წაასწრო. ვიოლონჩელისტი გაიქცა. ბომჟები დაედევნენ. ბომჟები ვიოლონჩელისტს უკვე თითქმის დაეწივნენ და ალბათ, კარგად გვარიანდაც დაზელდნენ შემოვლაზე მყოფ პატრულს რომ არ გადაერჩინა უბადრუკი მსხვერპლი.

პოლიციის მანქანიდან გადმოსულმა თანამშრომლებმა ვიოლონჩელისტიც და ბომჟებიც გააკავეს. მანქანიდან გადმოვიდა პოლიციის ზემდეგი და მიმართა დაკავებულ მუშებს:

– სად მუშაობთ?

– მრავალპროფილიანი მუშა: სვარკა, მალიარკა, პარკეტი, კაფელი.

ზემდეგი თავისთვის:

– ... Слесарь-гинеколог.

მუშა:

– ჰო. ესენიც ჩემთან არიან. უფროსო, ამან მოგვპარა შალვარ-კოსტუმი და ტუფლი.

ზემდეგი მუშას:

– შენი ტურტლიანი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ვის რა ჭირად უნდა!

ზემდეგი ვიოლონჩელისტს:

– შენ სად მუშაობ?

ვიოლონჩელისტი:

– მე ასეთი მრავალპროფილიანი ვერა ვარ. მხოლოდ ჩელოს ვაწრიპინებდი აქამდე... აწი არ ვიცი...

ზემდეგი ვიოლონჩელისტს:

– ჰოო, ცოტა არ არის, მაგრამ როგორ დაგიჯეროთ, რომ მართლა აწრიპინებთ. რაღაც არ ჰგავხართ რეპეტიციიდან წამოსულს. ძნელი წარმოსადგენია რომ ასე გამოწყობილები რეპეტიოციობენ ჩელისტები. მარტო ბლანჟეა მუსიკოსისა.

ვილონჩელისტი:

– ეჰ, თქვენ რა იცით მუსიკისა.. რა გაგეგებათ...

ზემდეგი პოლიციელებს:

– აბა, ბიჭებო იცით ჩელო რა არის? – მიმართა ოფიცერმა ხელქვეითებს.

პოლიციელი:

– კი,

– რავა არ ვიცი, ეს არაა. – ერთ-ერთმა ხელქვეითმა ვიოლინოზე ხემით დაკვრის იმიტირება დაიწყო. ვიოლონჩელისტმა იმიტაციითვე გაუსწორა ხელქვეითს: მარჯვენა ხელით, წელს ქვემოთ ვითომ ხემი გატარ-გამოატარა.

პოლიციელი ვიოლონჩელლისტს:

– რა, წვერი ნახევრად რო გაგიპარსია, გვაშაყირებ? – გაცხარებულმა ხელქვეითმა გაიწია და გაქაჩა ვიოლონჩელისტი.
პოლიციელი ვიოლონჩელლისტს:
– ვწუხვართ ბატონო ვიოლონჩელისტო, მაგრამ ვერ დაგვარწმუნეთ. მგონი თქვენ ქურდი უნდა ბრძანდებოდეთ და არა ვიოლონჩელისტი. ბლანჟეც სამართალდამცავი ორგანოების შეცდომაში შეყვანისთვის მოგიშვიათ და ამ ძონძებშიც იმიტომ გამოწყობილხართ.

ვილონჩელისტი დაუძვრა ხელქვეითს და წამღერებით და ხელების მოძრაობით, ვითომ ვიოლონჩელოზე დაკვრის იმიტირებით, „შეასრულა“ როსინის C-Dr სონატის მე-3 ნაწილის მცირე ნაწყვეტი. დასრულებისთანავე ალტის პარტია, წამღერებითვე განაგრძო პოლიციის ზემდეგმა. ვიოლონჩელისტი გაკვირვებისგან სახტად დარჩა. ზემდეგმა ნაწყვეტის დასრულებისთანავე ვიოლონჩელლისტს ირონიით მიმრთა:
– დამეთანხმებით, რომ ასე შესრულება აჯობებს: Si non troppo! მართალია, თქვენ უდანაშაულობაში დაგვარწმუნეთ, მაგრამ იმედები კი გაგვიცრუეთ. Не оправдали высокого доверия, товарищ! ასე რომ ჩვენც გაგვეგება ცოტა რამ. ჩააყუდეთ!
ხელქვეითები ვიოლონჩელისტს მიცვივდნენ.
ზემდეგი პოლიციელებს:
– ბატონ ვიოლონჩელისტს თავი დაანებეთ! მრავალპროფილიანი მუშები!
ბომჟები პოლიციის მანქანაში ჩაყარეს და წაიყვანეს. ვიოლონჩელისტი კარგ ხანს იდგა გაშეშებული. მის ყურებში კი საზარლად ხმამაღლად გუგუნებდა პოლიციის ზემდეგის მიერ შესრულებული როსინის C-Dr სონატის მე-3 ნაწილის ალტის პარტიის ნაწილის მცირე ნაწყვეტი...
წყვეტი ალტის პარტია...

შორენა ლებანიძე

კამანის ალყა

აფხაზეთი, სოფელი კამანი. 1993 წლის 4 ივლისი, ღამის 10 საათი.

ტყიანი ფერდობებიდან ხეობის სიღრმემდე სროლის ხმა აღწევს. ახალშენის მხარეს ცა წითლად ნათდება და ჰორიზონტზე რუხი, მოძრავი წერტილები მოჩანს. ისინი ეშერას დასტრიალებენ, მერე დაბლა მოიწევენ, ამზარას უახლოვდებიან.
გუმისთის პირას ჩასაფრებულ გურამ გვიჩიანს, ავტომატების უწყვეტ კაკანთან ერთად, ახლა უკვე ძრავების ყრუ, დახშული გუგუნი ესმის. ღამის სიბნელეში რუსული სამხედრო ვერტმფრენების სილუეტები იკვეთება. გურამი ბინოკლს ჩაჰყურებს.
მის წინ ამზარაა, მოშორებით - ტყე, ზემოთ - ვერტმფრენი, საიდანაც თოკი ეშვება. დაჭიმულ ბაგირზე ერთმანეთის მიყოლებით მოცოცავენ თავიდან ფეხებამდე შეჭურვილი მეომრები და ხშირ წიწვნარში უჩინარდებიან. ახლა მეორე ვერტმფრენიდან უშვებენ თოკს, მესამედან... „დესანტი ჩამოსხეს“, - რაციით გადასცემს შტაბს ბოლო, საგანგაშო ინფორმაციას გვიჩიანი.
შტაბში უკვე იციან, რომ: ბომბორას სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადა შეტევაზე გადასვლას აპირებს. კამანი ალყაშია. გენერალ ლებედის სპეცდანიშნულების 500-კაციანი ბატალიონი ეშერა-ამზარადან მოიწევს, ჩეჩნურ-სომხური და აფხაზური შენაერთები - შუბარი-ახალშენიდან და აჩადარა-ზეგანიდან. ანუ მოსალოდნელია სამმხრივი შტურმი აფხაზეთის მთებში ჩაკარგულ პატარა სვანურ სოფელზე, რომელსაც 32 ადგილობრივი მებრძოლი იცავს...
კამანელთა ტრაგიკულ-ჰეროიკული ისტორიის დაწყებამდე უკანასკნელი წუთებიღა რჩება. სოფელი ელის თავდასხმას. მას ტყეში გახიზვნა შეუძლია, მაგრამ არავინ არსად მიდის. პაკელიანები, გერლიანები, გვიჩიანები, კახიანები უთანასწორო, თავგანწირული წინააღმდეგობისთვის ემზადებიან.
პირველი გასროლის მოლოდინში კამანი დაძაბულ, სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს. სიცოცხლის ნიშან-წყალი მხოლოდ გუმისთისპირა პოზიციებზე იგრძნობა. სანგრებიდან ფეხის ხმა და ფრთხილი გადალაპარაკება ისმის. მებძოლები საგუშაგოებზე ნაწილდებიან...
შტურმამდე დარჩენილი უკანასკნელი წუთების ათვლა იწყება. დილის 5 საათია.

* * *

1993 წლის ივლისის დამდეგს, როდესაც კამანზე თავდასხმა გადაწყდა, გუდაუთის დაჯგუფებები ფრონტის გუმისთისპირა ზოლს თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ. სოხუმის მიმდებარე დასახლებები - ეშერა, ამზარა, შუბარი, ახალშენი, ზეგანი - აფხაზების ხელში იყო.
სოხუმამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. ქართული სამხედრო ძალებისგან გაწმენდილ ტერიტორიაზე უკანასკნელ წინაღობას 42-კომლიანი სვანური სოფელი - კამანი - ქმნიდა.

ის გუდაუთადან ყველა მიმართულებით დაძრულ შენაერთებს გზას ზედ ქალაქის მისადგომებთან, 15-იოდე კილომეტრის მანძილზე, უკეტავდა.
კამანის აღება სოხუმის გარდაუვალ დაცემას ნიშნავდა...

* * *

სროლის ხმა კამანში პირველად გაგრის დაცემის შემდეგ, 1992 წლის 3 ნოემბერს, გაისმა.
სულ მალე ტყვიის წუილი, ჭურვის აფეთქება, გვამები - სანგრებში, მდინარის ზედაპირზე, გზებზე, ეზოებში ყოველდღიურობად იქცა.
სოფელი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. ფრონტის წინა ხაზი მის სახლებზე, მის უბნებზე, მის ხეობაზე გადიოდა.
ბრძოლები წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა.

ერთი წლის შემდეგ კამანს 65-ის ნაცვლად 32 ადგილობრივი ჯარისკაცი ჰყავდა. დანარჩენები დაიღუპნენ. სახლები დაინგრა, ხოლო მათ ადგილას ზოგან უშველებელი ღრმულები დარჩა. გაუქმებული წყალსაცავები, მიტოვებული ბუნკერები და სარდაფები სანგრებად, ბლინდაჟებად იქცა.

მშვიდობის ხანა, სამოქალაქო ცხოვრების რიტმი თითქოს სამუდამოდ დასრულდა.
კამანმა თავდასხმებს გაუძლო. ის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც იხსნა. სოფელი მიუდგომელი იყო. მის დასაბომბად უახლესი ტიპის საარტილერიო დანადგარების გამოყენებაც ვერ ხერხდებოდა...
და მოწინააღმდეგე ეშერადან კამანისკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკის გაფართოებას შეუდგა. ამ გზაზე სამხედრო ტექნიკას უნდა ევლო, თანაც გუდაუთა-ამზარას ტრასას შრომის ხიდამდე შეერთებოდა. კამანი ალყაში ექცეოდა. სამმხრივი შტურმის დღე ახლოვდებოდა...

5 ივლისი. 5 საათი და 10 წუთი.

ცა იქუფრება. წინწკლავს. სოფლის თავში, ხიდთან მოწყობილ პირველ საგუშაგოზე, 28 წლის ადამ გვიჩიანი ექვს თანამოსანგრეს საბრძოლო მითითებებს აძლევს. ის ოცმეთაურია, ლეიტენანტი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილი ოფიცერი, სპორტსმენი, ძიუდოისტი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი...
„მოემზადეთ,“ - სიტყვის დასრულებას ვერც ასწრებს, მის ხმას ნაღმსატყორცნების მოულოდნელი გრუხუნი ფ `არავს, - „ჯანდაბა, უკვე დაიწყო... ამზარადან გვბომბავენ... მალე სოფელს მოადგებიან...“
სოფელში შეჭრა ორი გზით შეიძლება - ხიდიდან და სანაპიროდან. ხიდი დანაღმულია. შვერილებიც გამოცლილი აქვს. ტექნიკის სიმძიმეს ვერ გაუძლებს. ჯარს გადაადგილების საშუალებას არ მისცემს. სანაპირო კლდოვანია, გუმისთა - ადიდებული. რელიეფი მხოლოდ ერთგან მარტივდება. ციცაბო ფერდობებს ქვიშიანი დაბლობი ენაცვლება, კალაპოტი ვიწროვდება... აქ, საერთო საცხოვრებლის შენობაში, მეორე საგუშაგოა. საგუშაგოზე ცხრანი არიან - შვიდი მამაკაცი და ორი ქალი.

* * *

35 წლის მერი პაკელიანმა გუშინ დილას დატოვა სოფელი, შვილები დასთან, გალში გახიზნა და უკან სასწრაფოდ გამობრუნდა.
სოფელი საბრძოლო მზადყოფნაში დახვდა. ერთ-ერთი შეტევისას აფხაზებისთვის წართმეული ტყვიამფრქვევი ინვალიდთა თავშესაფრის - ე.წ. წითელი კორპუსის - მესამე სართულზე აეტანათ. გუმისთის გაღმა, ტყეში ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები ჩაემარხათ. ხიდის ბურჯი მოერყიათ. სანგრები გაეთხარათ...
სახლები ცარიელი იყო. დიდ-პატარიანად, ქალიან-კაციანად ყველა პოზიციებზე გაკრეფილიყო.
ქმარი, საშა გამსახურდია, მეორე საგუშაგოზე მოძებნა. ახლაც გვერდით უზის. მერი მჭიდებს ამოწმებს, ავტომატს ტენის. წუთით ჩერდება, ფიქრობს. მერე ჯგუფის მწირი არსენალიდან ხელყუმბარას იღებს და ჯიბეში მალავს...

* * *

ახალშენისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, მესამე საგუშაგოზე, სოფლის შტაბიდან მამა-შვილს - ვლადიმერ და მალხაზ კახიანებს - აგზავნიან.
მალხაზი დაზვერვის ათმეთაურია. რამდენიმე თვის წინ ეშერას ქვემოთ, სოფელ დიმიტროვკაში ჩასაფრებულ სნაიპერებს, რომლებმაც კამანს მოსვენება დაუკარგეს, თავს დაესხა. ორი მოკლა, ერთი გაექცა, ერთიც ტყვედ ჩაიგდო. ის რუსი მაიორი, ფსკოვის სადესანტო ბატალიონის ხელმძღვანელი აღმოჩნდა...
75 წლის ვლადიმერმა გუშინ დილას ახალშენიდან საგანგაშო ინფორმაცია ჩამოიტანა. სოფელი ალყაში იყო. სასწაულებრივად გადარჩენილი, ტყეს შეფარებული ქალები და ბავშვები კამანისკენ გზის გაგნებას ვერ ახერხებდნენ. კახიანმა ისინი შრომის ხიდამდე ჩააცილა. უკან დაღლილი, შეშფოთებული დაბრუნდა:
„ყოველი მხრიდან მოიწევენ... ვერ შევაჩერებთ... ცოტანი ვართ... თითზე ჩამოსათვლელნიღა დავრჩით... უნდა წავიდეთ... სოფელი უნდა გაიხიზნოს," - ამაოდ ცდილობდა ადგილობრივი შენაერთის მეთაურის, მაიორ ზაზა პაკელიანის დარწმუნებას. პაკელიანი ჯიუტად დუმდა. ბოლოს თქვა:
„შრომაში ყველაფერი იციან. ხვალ დამხმარე ძალა მოვა."

* * *

შრომაში ყველაფერი იციან, მაგრამ დამხმარე ძალა არ მოდის... მსხვილკალიბრიანი ნაღმსატყორცნებით დაბომბვა გრძელდება. სადაც არის, ქვეითებიც გამოჩნდებიან. ტყვია-წამლის მარაგი ცოტაა, შეიარაღება - მწირი. ტექნიკა კი კამანელებს საერთოდ არ აქვთ.

სოფლის პრობლემები საქართველოს უმაღლეს მთავარსარდლობას კამანელმა პედაგოგმა, აფხაზეთის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, ელგუჯა გვიჩიანმა ორიოდე კვირის წინ შეატყობინა.
ვითარება არ შეცვლილა. დღეს 63 წლის გვიჩიანი სოფლის განაპირას, ფერმებთან მოწყობილ მეოთხე საგუშაგოზე, შვილის, გურამის გვერდით დგას. ის მოკლე სადესანტო ავტომატით არის შეიარაღებული. ბრეზენტის ძველებური ლაბადა მოუსხამს და, წვერმოშვებულს, სვანური ქუდი დაუხურავს. ერთი შეხედვით, რიგით მოქალაქეს, უწყინარ მოხუცს გავს, თუმცა პროფესიონალი სამხედროა, საბჭოთა ჯარების ყოფილი ოფიცერი...

* * *

ფერმისგან 200-იოდე მეტრის მოშორებით სოფელს წმინდა ვასილისკოს წყარო ჩამოუდის. წყაროსთან ეგნატე კვიციანის სახლი დგას. ეგნატე სახლის წინ, ხიდთან ზის. „გეკო“ უჭირავს. ცნობილი მონადირეა. შინ შვილების დანატოვარი ავტომატები, ტყვია-წამლის მარაგი ეგულება. ეზოში, კაკლის ქვეშ, გაუქმებული წყალსაცავი შეუძლია, სანგრადაც გამოიყენოს.
შორს, გუმისთის გადაღმა, რუსი „ბოევიკების“ პირველი ათეულები ფერდობებზე ეშვებიან. ნაღმსატყორცნების გუგუნი წყდება. გენერალ ლებედის სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადა თავდასხმისთვის ემზადება.

* * *

კამანის შუაგულში, პატარა გორაკზე, წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიაა.
სწორედ იმ დროს, როდესაც სოფლის განაპირას დენთის სუნი ტრიალებს, აქ საკმეველი იწვის. გარეთ სროლებია, აქ ლოცულობენ. ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ებრძვიან, აქ, საკურთხეველთან, მაცხოვრის ხატის წინ, აფხაზი იური ანუა და ქართველი მამა ანდრია გვერდიგვერდ ჩაჩოქილან.
„მაკურთხე, მამაო,“ - სთხოვს მოძღვარს იური ანუა.
„დარწმუნებული ხარ, რომ უფალს თავი სრულიად მიანდე?“
„დარწმუნებული ვარ.“
„მაშ, არც ამქვეყნიური, არც მარადიული სატანჯველისა არ გეშინია?“
„არ მეშინია.“
„გინდა, უფრო ღირსეულად წარსდგე უზენაესის წინაშე?“
„მინდა, მამაო.“
„იყოს ნება ღვთისა...“
მამა ანდრიას მომცრო სათავსოდან სტიქარი გამოაქვს, ანუას აცმევს და იპოდიაკვნად აკურთხებს.
ამ წუთიდან იური ანუა, რომელმაც საერო ცხოვრება მთლიანად კამანის წმინდა ადგილების მოვლა-პატრონობას მიუძღვნა, სასულიერო პირია. მან აღადგინა კამანის ეკლესია და წმინდა ვასილისკოს წამების ადგილი, სოხუმის საკათედრო ტაძრიდან

კვლავ სოფელს დაუბრუნა იოანე ოქროპირის ქვის სარკოფაგი, იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილამდე აღმართა 1500-საფეხურიანი კიბე...
იური ანუა ქველმოქმედია. მას სოფლისთვის კიდევ ბევრი რამის გაკეთება სურს, მაგრამ... სიცოცხლის ბოლომდე ძალიან ცოტა დრო რჩება... სულ რაღაც ათიოდე საათის შემდეგ ანუასა და მამა ანდრიას ბედი სამუდამოდ გადაეჯაჭვება ერთმანეთს.
27 წლის ბაღდათელმა მამა ანდრიამ, პაატა ყურაშვილმა, აფხაზეთის ომის მსვლელობისას დატოვა სხალთის მონასტერი, რომ კამანის ტაძარში დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი საღმრთო ლიტურგია აღესრულებინა. ერთხელ, როდესაც ფრონტისპირა სოფლის დატოვება ურჩიეს, მშვიდად გაიღიმა და თქვა:
„განსაცდელი უფალმა სულის საცხოვნებლად მოგვივლინა... მხოლოდ ღვთის წმინდა ნებას ვემორჩილები...“

* * *

5 საათი და 20 წუთი.
პირველი საგუშაგო.

თენდება. წვიმს. სპეცდანიშნულების ბატალიონი სანაპირო ზოლისკენ მოიწევს. ის სოფელს ბრძოლის დაწყებას ყუმბარმტყორცნების გამაყრუებელი გრუხუნით ამცნობს.
ხიდთან, სანგარში ჭურვი ფეთქდება. ადამ გვიჩიანი ძლიერ დარტყმასა და აუტანელ ტკივილს გრძნობს. მარჯვენა ფეხი არ ემორჩილება. ძვალი გადამსხვრეული აქვს. დაფლეთილი შარვლიდან სისხლი სდის. წუთით გონს კარგავს. მომდევნო ჭურვის ხმა აფხიზლებს. ვიღაც განწირულად ყვირის. ორ ზურას - გიორხელიძესა და გურჩიანს - სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა.
ეს პირველი მსხვერპლია.
პირველი მსხვერპლია მოწინააღმდეგის მხარესაც. საგუშაგოდან გახსნილი ცეცხლი „ბოევიკების“ რამდენიმე ათეულს ანადგურებს, მაგრამ 5 კამანელის
პირისპირ, ხიდის თავში, ახლა სხვა, უფრო რიცხვმრავალი შენაერთი დგას. ხიდი არ ფეთქდება. ჩანს, განაღმეს.

* * *

6 საათი და 35 წუთი.
მეორე საგუშაგო.

საერთო საცხოვრებლიდან მოჩანს ადგილი, სადაც გუმისთა სოფლის გარშემო ნახევარრკალს ქმნის. მოჩანან ჯავშან-ჩაჩქანიანი ჯარისკაცებიც.
„დროა,“ - საშა გამსახურდია სანაპიროდან გამოყვანილ მავთულებს დენის წყაროს უერთებს. ტყეში ჩამარხული ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო 5 ნაღმიდან 3 სკდება. რუხ-მოყავისფრო ბუღი და ცეცხლის ენები, დალეწილი ტოტები, მიწის გორახები, ადამიანები ერთმანეთში ირევიან. აფეთქების ტალღა „ბოევიკების“ პირველ მწკრივს

ადგილზე ცელავს. მათი დამწვარი, დასახიჩრებული, დანაწევრებული გვამები მდინარის ზედაპირზე ტივტივებს.
„ცეცხლი," - ყვირის ჯიმშერ გადრანი. 9 ავტომატის მჭიდები ელვისებურად იცლება. „ბოევიკების" მომდევნო მწკრივი უკან, ტყისკენ იხევს.
„ტყვიამფრქვევის ჯერიც დადგა," - ამბობს ჯიმშერი და წითელი კორპუსისკენ მიხოხავს. სხვებიც მიჰყვებიან. ჭურვების ნამსხვრევები სეტყვასავით ცვივა. თანმხლებთაგან ერთი იღუპება, მეორე საგუშაგოზე ბრუნდება. გადრანი კორპუსში შერბის.
აი, აფხაზებისთვის წართმეული „დეშეკა", 56-ვაზნიანი ლენტით. ჯიმშერი იარაღს ტენის და, სანამ ლულას სანაპიროსკენ მიმართავს, პირჯვარს იწერს:
„ღმერთო, მაპატიე კაცის კვლა, თან დამეხმარე, რომ ყოველი მეორე ტყვია მაინც არ ავაცდინო სამიზნეს..."

* * *

8 საათი და 45 წუთი.
პირველი საგუშაგო.

„ალყაში ვართ... აბა, ყველანი ჩქარა შტაბისკენ!" - ბრძანებას გასცემს მარჯვენა ფეხში დაჭრილი ოცმეთაური, ადამ გვიჩიანი და თანამებრძოლებს, რომლებიც წამოყენებას უპირებენ, ხელით იშორებს, - „წადით... სროლას არ შევწყვეტ... დაგიცავთ." „კი მაგრამ..."
„არავითარი მაგრამ... ყველანი მიდიხართ-მეთქი, გასაგებია?... მხოლოდ მე ვრჩები."
თანამებრძოლები, ეკლესიის გავლით, სოფლის ცენტრისკენ გარბიან.

* * *

წმინდა ოქროპირის სახელობის ტაძარს მრევლი მისწყდომია. წინამძღვარი მამა ანდრია და იური ანუა ჭიშკარს აღებენ. ხალხი ეზოში, შემდეგ ტაძარში შერბის.
„ყველაფერი ღვთის ნებაა, - სიმშვიდეს ინარჩუნებს მამა ანდრია, - ღმერთს არ მივუტოვებივართ. ეცადეთ, ქრისტიანული ღირსებითა და მორჩილებით მიიღოთ ყველაზე მძიმე განსაცდელი."

* * *

მეოთხე საგუშაგო.

ფერმებთან, სანგარში, ეთერ ჩხეტიანის ორივე ვაჟი იღუპება. უმცროსი - 15 წლის მერაბი - ზუსტად ერთი თვის წინ, 5 ივნისის შეტაკებისას, მოკლეს.

* * *

მეხუთე საგუშაგო.

წმინდა ვასილისკოს წყაროსთან ჩასაფრებული ეგნატე კვიციანი სნაიპერის სიზუსტით ისვრის. მისი საიმედო და მოხერხებული სამალავიდან მოწინააღმდეგის გუმისთისპირა, მოშიშვლებული პოზიციები ხელისგულივით მოჩანს. მიზანში ამოღებული ჯარისკაცები წყალში ცვივიან.
„ეს ოცდამეერთე, . . ესეც ოცდამეორე,“ - აზარტში შედის კვიციანი.

* * *

შეტევა 8 საათზე მეტხანს გაგრძელდა. დილის 5-დან შუადღის 2-ის ნახევრამდე სადესანტო-იერიშმიმტანმა ბრიგადამ გუმისთის გადალახვა და სოფელში შეღწევა ვერ შეძლო. ეშერას მთაზე განლაგებული რუსულ-აფხაზური ბატალიონების სარდლობამ ალყის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. მორიგი, უნაყოფო იერიშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა: მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი - კამანი - კბილებამდე შეიარაღებული, რიცხვმრავალი შენაერთებით საიმედოდ დაცულს ჰგავდა...
ბრძოლის ბედი, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოულოდნელად ქართველების მხრიდან გახსნილი ინტენსიური ცეცხლი კანტი-კუნტმა სროლებმა შეცვალა...
რატომ? რა მოხდა კამანში?

* * *

5 ივლისი, 13 საათი და 25 წუთი.
შტაბი.

მაიორი ზაზა პაკელიანი შრომას რაციით უკავშირდება და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ერთსა და იმავეს იმეორებს:
„...ხალხი გაწყდა... 20-იოდე კაციღა დავრჩით... ტყვია-წამალი იღევა... წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევთ... სადაც არის, სოფელში შემოვლენ... ვიხოცებით... სასწრაფოდ გამოგზავნეთ დამხმარე ძალა, შეიარაღება, ტყვია-წამალი...“
კავშირი წყდება. ზაზას შუბლზე ოფლს ასხამს, ღელავს, სახეზე უიმედობა ეტყობა, შტაბის წევრებს მაინც მტკიცე ხმით მიმართავს:
„გამაგრდით, ბიჭებო... დარწმუნებული ვარ, შევსება მოვა.“

* * *

13 საათი და 30 წუთი.
პირველი საგუშაგო.

თავსხმა წვიმაა. ხიდქვეშ, სანგარი წყლით ივსება. ადამ გვიჩიანი, რომელმაც სროლა ყუმბარმტყორცნით აფეთქების შემდეგღა შეწყვიტა, უგრძნობლად წევს.
მოიერიშე ბრიგადა კამანში შედის. ბრძოლა უკვე სოფლის შუკებში, ლამის თითოეულ სახლთან მიმდინარეობს.

* * *

ტაძრის ეზოში ქალი შერბის. სამხედრო ფორმა აცვია. მდევარი გზას უღობავს. ქალი ხელიდან უსხლტება. ცდილობს, სამრეკლომდე მიაღწიოს. „მიშველეთ!“ - გული ყელში ებჯინება. „ბოევიკების“ ფეხის ხმა და ქოშინი გარკვევით ესმის. სამრეკლოსთან ძალა ელევა. გრძნობს, სადაც არის, მკლავში სწვდებიან... „ოღონდ ტყვეობა არა...“ ქალი ჯიბიდან ხელყუმბარას იღებს. სანამ მდევრები გონს მოსვლას მოასწრებენ, ყუმბარა სკდება. აფეთქების ადგილას ხუთი გვამია: „ბოევიკების“ და... მერი პაკელიანის.

* * *

გამაყრუებელი გრუხუნი, წივილ-კივილი ტაძარშიც აღწევს.
„მოემზადეთ ზიარებისთვის,“ - მამა ანდრიას საკურთხევლიდან ბარძიმი გამოაქვს და თითოეული მლოცველისგან აღსარებას იბარებს.
„ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია,“ - კითხულობს იოანეს სახარებას იური ანუა.
„ღვთისმშობელო, ღვთისმშობელო,“ - ჩურჩულებს ანუას მეუღლე, ზოია ადამია.
„მეშინია, წმინდა გიორგი, დაგვეხმარე,“ - ცრემლმორეული იწერს პირჯვარს ანუას ქალიშვილი, მანანა.
კარზე ბრახუნია, - „გააღეთ!“ „ღმერთო, გვიშველე!“. . „გააღეთ!“ - ბრძანებას ავტომატების ჯერი მოსდევს. ქვის იატაკს სარკმლიდან ზრიალით ჩამოცვენილი შუშის ნამსხვრევები ფარავს. ბრახუნი მეორდება. წუთიც და, მოშლილ საკეტს შემოლეწავენ.
იური ანუა მამა ანდრიას უხმოდ შეჰყურებს.
„გააღე,“ - ნებას რთავს წინამძღვარი და ორივენი გასასვლელისკენ მიემართებიან.
საკეტი იმტვრევა. მამა ანდრია მკერდზე მიკრული ღვთისმშობლის ხატით ცდილობს იარაღშემართული ბრბოს შეკავებას:
„ოღონდ ხალხს ნუ ესვრით!“
„ხმა გაკმინდე!...“ - ხატს ხელიდან გლეჯენ, გარეთ გაჰყავთ.
გვამებით მოფენილ, სასაკლაოდ ქცეულ ეზოში ათიოდე „ბოევიკი“ ანუას გარს შემორტყმია.
„ვინ ხარ?“ - უბღავიან, - „აფხაზი? მერე ქართველებთან რა გინდა? რაო? ძმები ვართო? რეებს ამბობ? ...“
მამა ანდრიას ზურგში კონდახს ურტყამენ, - „დაიჩოქე, დაიჩოქე მეთქი!“

მოძღვარი ლოცვას იწყებს. ტყვია კეფაში ხვდება, მაგრამ პირქვე კი არა, გულაღმა ეცემა.
ტაძარში ვიღაც შერბის და გაჰყვირის, - „თქვენი მოძღვარი მოკლეეეს...“
ჯარისკაცები კედლებს ცხრილავენ, იოანე ოქროპირის სარკოფაგს ძირს ანარცხებენ, ზედ ფეხით დგებიან, ლეწავენ: „განძი სად არის, თქვენი...“ სროლა-სროლით შერბიან სათავსოში. იქ მხოლოდ 12 მოხუცი ქალი და იური ანუას ცოლ-შვილია...

* * *

მეორე საგუშაგო.

საერთო საცხოვრებელში ექვსნიღა დარჩნენ. გუნტერ გულედანი მოკლეს, მერი პაკელიანი ტაძარში უნდა იყოს, ჯიმშერ გადრანი - შტაბში.
შენობის სახურავს ცეცხლი ეკიდება. 27 წლის დათო გადრანი მეორე სართულზე ასვლას ამაოდ ცდილობს. კიბე იწვის. დანარჩენები ზემოთ არიან. გადრანი ფანჯრისკენ მიხოხავს. ფანჯრის წინ „ბოევიკთა“ ასეულია.
„რა ვქნა?“ - დათოს გონება გამალებით მუშაობს, - „სროლა განვაგრძო? უკანასკნელი „რაჟოკი“ დავცალო? რა აზრი აქვს? სიკვდილი ან ტყვედ აყვანა არ ამცდება. . .“ - სამალავს ეძებს და უეცრად მისი დაძაბული მზერა ძველთაძველ, ნესტიან, ჩრჩილისგან დაჭმულ ლეიბებზე ჩერდება...
მეორე სართულზე, ცოლ-ქმარი - ლოლა გერლიანი და ანატოლი ჩაჩხიანი - „არსენალის“ ნაშთს ამოწმებს. თითო-ოროლა ტყვია, რამდენიმე ხელყუმბარა და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვიღა დარჩენიათ. იარაღს ძირს დებენ, ცეცხლმოდებული სარკმლიდან შენობისკენ მწყობრი ნაბიჯით დაძრულ „ბოევიკებს“ გაჰყურებენ, სდუმან.
„გავიდეთ?“ - გაუბედავად კითხულობს ანატოლი.
„რას ამბობ?“ - არ ეთანხმება ლოლა.
გარეთ შეტევისწინა დაძაბული სიჩუმეა. შენობის ირგვლივ კედელივით აღმართული ასეული გადამწყვეტი თავდასხმისთვის ემზადება.

* * *

შტაბი.

ე.წ. თეთრი კორპუსის მარცხენა ფლიგელში, პირველ სართულზე ჩასაფრებულ მებრძოლებს ჯიმშერ გადრანი და მამა-შვილი კახიანები შეერთებიან. ჯიმშერი ჭიშკრიდან შემოჭრილ მოწინააღმდეგეს ცეცხლს უხსნის. ტყვია ზუსტად ხვდება სამიზნეს, მაგრამ „ბოევიკი“ ერთს ჩაიჩოქებს, მერე კვლავ ფეხზე დგება და წინ შეუფერხებლად მიიწევს.
„ჯანდაბა,“ - ამბობს გამწარებული გადრანი, - „ჯავშანჟილეტები აცვიათ. თავსა და ფეხებში ესროლეთ!“

გარეთ ყურისწამღები გრუხუნია. ერთდროულად რამდენიმე ტყვიამფრქვევი კაკანებს, ერთდროულად რამდენიმე ნაღმი და ყუმბარა სკდება, მაგრამ ქვით ნაგები თეთრი კორპუსის სქელ, მყარ კედლებს ვერაფერი ანგრევს.
ზაზა პაკელიანი კვლავ შრომას უკავშირდება, მერე ტყვია-წამლის ნაშთს თანაბრად ანაწილებს: „ორ-ორი მჭიდი - შეტევის მოსაგერიებლად, თითო ხელყუმბარა - ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, თავის ასაფეთქებლად.“

* * *

მეოთხე საგუშაგო.

ელგუჯა გვიჩიანს შვილი და დისშვილი სამშვიდობოზე გაჰყავს. თვითონ უკან ბრუნდება. სოფლის განაპირას, გვამებით სავსე დიდ თხრილთან, აფხაზ მეომრებს ხედავს. იქვე, კამანელი მოხუცი ნიჩბის ტარს დაყრდნობია.
„რა ხდება?“ - კითხულობს ელგუჯა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, სვანურქუდიანი, წვერმოშვებული, უწყინარ ბერიკაცს ჰგავს, თუმცა არავინ იცის, რომ ბრეზენტის საწვიმარქვეშ უკვე გადატენილ და ჩახმახშეყენებულ მოკლე სადესანტო ავტომატს მალავს.
„ქართველებისთვის საფლავს ვთხრით,“ - უდარდელად პასუხობს ერთ-ერთი მეომარი და უეცრად პირზე ღიმილი ეყინება: ლაბადის კალთიდან შავად მოლაპლაპე ლულა მოჩანს, - „ჰეი, ვინ ხარ?“ - ყვირის გონსმოსული, თავზარდაცემული და სანამ მხარზე გადაკიდებული იარაღისკენ ხელის წაღებას მოასწრებს, ქალაახდილი, თხრილში ვარდება.
„ჯანდაბამდის გზა გქონიათ!“ - ავტომატის მჭიდს ელვისებურად ცლის და აყაყანებულ აფხაზთა მთელ ათეულს ადგილზე ცელავს ელგუჯა გვიჩიანი.

* * *

მეხუთე საგუშაგო.

ეგნატე კვიციანი მეზობელი სახლებიდან გამოცვენილ ქალებს ტყისკენ სროლა-სროლით მიუძღვის.
„კამანი უკვე აღებულია... მარტოდმარტო რას გახდები?. . წამოგვყევი, ეგნატე.“
„ჰო, კარგი... იარეთ... მალე შემოგიერთდებით,“ - ჰპირდება მეზობლებს და შინისკენ გარბის. შვილების დანატოვარ ავტომატებს პოულობს, კაკლის ხის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ სანგარში ჩააქვს, სხვადასხვა ადგილას ათავსებს და მონაცვლეობით ისვრის, რომ მოწინააღმდეგეს შენაერთთან ბრძოლის შთაბეჭდილება შეუქმნას. მიზანს ერთხელაც არ აცილებს.

* * *

13 საათი და 40 წუთი.
მეორე საგუშაგო.

საერთო საცხოვრებლის წინ გამწკრივებული ასეული ბრძანებას ელის. არცერთი სიტყვა, არავითარი მოძრაობა. მხოლოდ ლოდინი. გაქვავებული სახეები, მკვდრული მდუმარება და უეცრად - „ცეცხლი!“
ოთახში, რომელსაც 5 კამანელი შეხიზვნია, ფანჯრის მინები ზრიალით იმსხვრევა და აფეთქებების ტალღას ტყვიების, ჭურვის ნამსხვრევების ნიაღვარი შემოაქვს.
ცეცხლი დაბლა მოიწევს, კედლებს მოჰყვება, დერეფანში გიზგიზებს. აალებული იატაკი ტკაცუნობს. ჩამონგრეული ჭერიდან ბათქაში ცვივა. ირგვლივ საშინელი მხუთრი და ბუღია. სუნთქვა ჭირს.
... უეცრად სროლა წყდება. „ბოევიკები“ ავტომატების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების ლულებს ძირს ხრიან. ერთხანს კვლავ უძრავად დგანან, მერე კი... მიდიან.
„დახოცილები ვგონივართ,“ - ამბობს ანატოლი.
„გადავრჩით,“ - შვებით იღიმება ლოლა.

13 საათი და 50 წუთი.
მეორე საგუშაგო.

პირველ სართულზე ვიღაც დააბიჯებს. სუნთქვაშეკრული დათო გადრანი სამალავიდან იხედება. ორ „ბოევიკს“ აფხაზი მეგზური ახლავს. ჩამწვარ კიბეს უახლოვდებიან. მეორე სართულზე ასვლას ცდილობენ. ამაოდ. აქეთ-იქით იხედებიან, შენობას ზვერავენ, ხმადაბლა საუბრობენ, იცინიან.
მეგზური ძველთაძველ, ჭუჭყიან, ჩრჩილისგან დაჭმულ ლეიბებთან ჩერდება. ზედ ძაღლი წევს. აფხაზი ძაღლს დაჰყურებს, მერე ჯიბიდან სიგარეტს იღებს, უკიდებს, მშვიდად აბოლებს, ნამწვს იატაკზე აგდებს, გარეთ გადის და „ბოევიკებს“ სოფლის ცენტრისკენ მიუძღვის.
იმავე წუთს ლეიბქვემოდან ვიღაც გამოდის...., ეს დათო გადრანია.

* * *

14 საათი.
მეხუთე საგუშაგო.

„ორმოცდამეთხუთმეტე, ორმოცდამეთექვსმეტე,..“ - აზარტში შესული ეგნატე კვიციანი საფრთხეს ვერ გრძნობს... მაგრამ ვაზნები იღევა. ეგნატე უკანასკნელ მჭიდს დებს ავტომატში. ისვრის და... ლულიდან ტრასირებული, მანათობელი, ტყვიები ცეცხლოვანი ნაკადივით იფრქვევა...

„ჯანდაბა, ნუთუ სამალავი გავეცი?“ - ფიქრობს თავზარდაცემული კვიციანი და იმავე წამს ყუმბარმტყორცნის გრუხუნიც ისმის.

* * *

შტაბი.

ზაზა პაკელიანი საბოლოოდ უკავშირდება შრომას:
„ისინი უკვე შტაბში არიან... ბარემ ჩვენთან ერთად დაიხოცონ... ჩაინიშნეთ კოორდინატები და დაუყოვნებლივ დაგვარტყით!...“

14 საათი და 10 წუთი.

„ლოდინს აზრი აღარ აქვს,...“ - ამბობს ჯიმშერ გადრანი.
„რა ვქნათ?“
„ფანჯრიდან გადავხტეთ.“
ფანჯრის წინ, 20-იოდე მეტრში, ძველი შენობის ნანგრევებია. მერე ტყე იწყება.
„ნანგრევებამდე თუ მივაღწევთ, აღარაფერი გვიშავს...“
ზაზა ფიქრობს:
„კარგი...“
ორ-ორად ხტებიან. წელში მოხრილნი გარბიან. ნანგრევებთან ჩერდებიან. დანარჩენებს უცდიან. ისვრიან.
რვა მებრძოლი სამშვიდობოზეა. ბოლოს მალხაზ კახიანი ხტება. გარბის. ტყვიები ფეხდაფეხ მისდევს. ტყის პირამდე სამიოდე ნაბიჯიღა რჩება. ერთი, ორი...

მამა - ვლადიმერი - ხედავს, უეცარი ტკივილისგან ადგილზე როგორ შეშდება და შემდეგ, ხელგაშლილი, პირაღმა, მოწყვეტით როგორ ეცემა კეფაში სასიკვდილოდ დაჭრილი მისი შვილი ...
ყველაფერი დამთავრდა.

* * *

სროლა დღის ბოლოს შეწყდა. მეორე დილას სოფელში ჩეჩნურ-სომხური ბატალიონები გამოჩნდნენ.
6 ივლისს, სამშვიდობოზე გასულმა ჯიმშერ გადრანმა შრომის მთიდან გარკვევით დაინახა სამი თვითმცლელი, რომლითაც სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადის მებრძოლთა გვამებს ეშერისაკენ მიასვენებდნენ. მსხვერპლი დიდი იყო.
დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, 1993 წლის 15 აგვისტოს, კამანის გმირები სოხუმთან ახლოს, სოფელ მაჭარაში დაკრძალეს.
5 ივლისს 32 კამანელი მებრძოლიდან 23 დაიღუპა.

დასახიჩრებული, გონდაკარგული ადამ გვიჩიანი ტყვედ ჩაიგდეს და წამებით მოკლეს.
ადამის ბიძა, ელგუჯა გვიჩიანი, აფხაზთა დაჯგუფების გაჟლეტის გამო, დახვრიტეს და დაწვეს.
ეგნატე კვიციანი, რომელიც მოწინააღმდეგეს ცხრა საათის განმავლობაში მარტოდმარტო იგერიებდა, ყუმბარმტყორცნით ააფეთქეს.
დაჭრილი ვლადიმერ კახიანი ჯერ აწამეს, მერე თავი მოკვეთეს.
ზაზა პაკელიანი, 5 ივლისსვე, მესამე საგუშაგოსთან მოკლეს.
საშა გამსახურდია, მერი პაკელიანის მეუღლე, სოფლის აღებიდან ერთი კვირის თავზე დახვრიტეს.
ქართველთა გვამები ადგილობრივ მოხუცებს დაამარხვინეს და შემდეგ ისინიც ჩახოცეს.
ტაძარს შეფარებული 12 ხანდაზმული ქალი კი დაინდეს.
ანუას ცოლ-შვილმა ტყვეობაში 52 დღე დაჰყო. მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ შეიტყვეს, რომ იური ანუა „ბოევიკებმა“ წმინდა ვასილისკოს წყაროსთან სასტიკად სცემეს, ფეხები გადაუმსხვრიეს, ბოლოს ხეზე დაჰკიდეს და დაცხრილეს, თუმცა მის გვამს ჭირისუფლებმა ვერსად მიაგნეს.
მამა ანდრია, რომლის სისხლი თურმე სამი დღე-ღამის განმავლობაში არ შედედდა, ხოლო სხეული მწველი მზის ქვეშ არ გაიხრწნა, ტაძრის კედელთან დაკრძალეს.
ანატოლი ჩაჩხიანი და ლოლა გერლიანი გადარჩნენ. მათ 5 ივლისის ღამე ინვალიდთა საერთო საცხოვრებლის ბუნკერში გაათიეს, ხოლო გამთენიისას გუმისთის დინებას შრომისკენ დაუყვნენ. შრომაში ელგუჯა გვიჩიანის ვაჟი, გურამი, დათო და ჯიმშერ გადრანები დახვდნენ.
კამანის აღებიდან ზუსტად 22 დღის შემდეგ, 1993 წლის 27 ივლისს, მეორე სამშვიდობო - რუსულ-ქართულ-აფხაზური - ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ სროლები მხოლოდ თვენახევრით შეწყდა. 16 სექტემბერს სოხუმის შტურმი დაიწყო. 27-ში ქალაქი დაეცა.
30 სექტემბერს გუმისთის გაერთიანებული ფრონტების მთელი შემადგენლობა მდინარე ენგურს მიადგა. ხიდზე რუსული საგუშაგო გაიხსნა და ზედ აფხაზეთის დროშა აფრიალდა.
ამ დღიდან მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში ტერიტორია ფსოუდან ენგურამდე სიმბოლურად ახალ სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოექცა. ორი ერის თანაცხოვრება შეწყდა. საქართველომ აფხაზეთი დაკარგა...

ქარდა ქარდუხი

ნოსირი

მე თვითონვე მაფრთხობს მობილურის ზარი, ამ ნახევარი წლის წინ რომ დავაყენე. პირველივე ბგერებიდან მაჟრჟიალებს ხოლმე ტანში. რამდენმა მითხრა, – რა დროს „შავლეგ, შენი შავი ჩოხააო“, – მაგრამ რაღაც ჯიუტად არ ვცვლი. იმ საღამოსაც გამცრა ტანში, ზარისა თუ სიმღერის ხმაზე, დავხედე მობილურს, ბესო იყო.

– ბარო, ბესო! – რაღაც შხრიალი ისმოდა, – ბესო, გამარჯობა! – უფრო ხმამაღლა ჩავძახე. გაითიშა საერთოდ. რა ხდება? არ ახასიათებდა ბესოს ზარის გამოშვება. სანამ მე დავრეკავდი, ისევ გაისმა: „შავლეგ, შენი შავი ჩოხა...“

– ალოოო, ბესო? არ გესმის? – ისევ შხრიალის ხმა.

– ბესო... ბესო! – ვიღაც მძიმედ სუნთქავდა.

– ბესო!

– ჰო, – მომესმა უცებ. რაღაცნაირად შვებით ამოვისუნთქე.

– ბესო, არ გესმოდა? რა გჭირს?

– ბიჭო, ის მოკვდა... დემური...

– რააა?

– ჰო, რა, მოკვდა დემური. – შევძრწუნდი. მამამისზე ამბობდა. მე და დემური კლასელები ვიყავით, მამამისი ქართულს გვასწავლიდა.

– რა მოუვიდა, ბეს? როდის?

– გუშინ მოკვდა, შაბათს ვასაფლავებთ, ვისაც შეძლებ, უთხარი.

– ჰო, ბესო, კარგი.

– კარგი აბა.

– დროებით, კარგად. – გაითიშა მობილური და დაბნეული და შეწუხებული მივაჩერდი ტელევიზორის ეკრანს.

– ვინ იყო? – მკითხა ცოლმა, სასხვათაშორისოდ, ვითომ არ აინტერესებდა.

– ბესო იყო, მამა მომიკვდაო.

– რომელი მა, აქ რომ იყო, ის ბესო? – მითხრა შვიდი წლის ქიმ.

– ხო, ქი, ის ბესო.

* * *

სამიოდე დღის ნაპოვნი მყავდა ბესო, გაოცებისაგან სამარშრუტი ტაქსი გავაჩერე და ჩამოვედი, როცა მობილურში ჩამძახა, – ბესო ვარო. ოთხმოცდაცამეტი წლიდან არ მენახა, თექვსმეტი წელი იყო გასული. მეორე დღესაც დამირეკა და მითხრა, – ნახევარ საათში მაქ ვიქნებიო. აზრზე არ ვიყავი, საიდან გაიჩითა გულანშაროში. საქართველოში მეგულებოდა, სენაკში. ვინაა? – მაშინაც მკითხა მეუღლემ.

– კლასელია, ათ წუთში მოვლენ.

– არ წავიდეთ? – მკითხა. პანაშვიდზე მივდიოდით. გავბრაზდი.

– შენ წადი!

– რა გაყვირებს? არ წავალ თუ საჭიროა! უბრალოდ, მელოდებიან თანამშრომლები. მე მაინც წავალ და მალე მოვალ.

– წადი-თქო, აბა რა გითხარი?

– არა, ნაწყენი ხარ და იმიტომ!

– ვაა! გეუბნები, თექვსმეტი წლის უნახავი კლასელი მოდის-მეთქი და კიდევ იმას ამბობ, – თუ წავიდე და თუ წამოვიდეო.....

– ჰოდა, მოვალ მალე, ხო?!

– ჰოდა, წადი-მეთქი! – ვცდილობ, მშვიდად ვთქვა. სადარბაზოში ჩავდივარ. მეზობელი მესალმება და ბანკის ვებერთელა კარში უჩინარდება; პატარა ტაქსა ვერ ასწრებს მინის კარში შესვლას და გარეთ რჩება; მეზობელი გზას ვერ აგრძელებს ეტყობა, ღიმილით აღებს კარს და ტაქსას აცლის შესვლას. სიგარეტს ვუკიდებ. კორპუსის ყვითლად შედღაბნილ კედელს ვეყრდნობი. ყველაზე მეტს მე და ბესო ვჩხუბობდით კლასში, არა ჩხუბში ერთადერთხელ გადაგვეზარდა, ისიც ფედის წყალობით; ქურდობას აპირებდა, მაშინ მეათეში იყო, ჩვენ – მერვეში; ბესოს უთხრა, – მამა როგორ შეგაგინა ამანო? არადა, სისულელე იყო, ყველაზე მეტად ვაფასებდი მამამისს, როგორ შევაგინებდი? და ამ სისულელეზე თავის მართლებაც არ გამომივიდა; მოკლედ, კარგა დიდხანს ვურტყით ერთმანეთს, სანამ კლასელებმა არ გაგვაშველეს, სახე აწითლებული ჰქონდა, მე – პერანგი ჩამოხეული. მისი სპორტული მოსასხამი გადავიცვი და ისე შევედით კლასში, თან დემურის გაკვეთილი გვქონდა, გაოცებული გვიყურებდა. მიხვდა ეტყობა, რომ ვიჩხუბეთ. სულ სხვა გზა აირჩია. ერთხელ მითხრა, – მამაჩემმა ამოიოხრა, ამის დედა ვატირე, შენ კი არა ოდი უნდა იყოს ჩემი შვილიო.

* * *

ომის შემდეგაც პირველი, ბესო ვნახე. ვნახე რა, გამოიქცა საქართველოდან. არ ვიცი, იჩხუბა თუ წაიშმაკა, არ უთქვამს და არც მიკითხავს. უბრალოდ, – ძაღლები მომსდევენო, – მოთხრა. აქაც, გულანშაროშიც, არ იყო მაშინ მშვიდი მდგომარეობა, დოჟ დაბალის დიქტატურა მძვინვარებდა საპოლიციო მმართველობის ოჩოფეხებზე შემდგარი. ბესოს ისეთი თავისუფალი და ლაღი ხასიათი ჰქონდა ორჯერ კინაღამ დააპატიმრეს. ორ კვირაში კი მამამისი ჩამოვიდა და წაიყვანა ისევ სენაკში, ეტყობა ჩააწყნარა იქაური სიტუაცია.

– სად ხარ ბესო?—დავურეკე ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ

– ბიჭო, ვერ მოგაგენი, კარგად აუხსენი აგერ ამას.

– გამარჯობმა ძმაო, – მომესალმა ყურმილში ბავშვური, ძალად დაბოხებული ხმა.

– გაგიმარჯოს, მისმინე იცი გულანშარო?

– კი, ორჯერ ვარ ნამყოფი.

– ჰო, მაშინ ძველი სადგური რომ იყო იქ მოდით, ყოფილი ნეველის ქუჩა, ახლა ჰერაკლეს გამზირი ჰქვია, გაიგე?

– კი, მალე მოვალთ.

* * *

დემურის გულანშაროში მაშინდელი ჩამოსვლის გახსენებაზე გული დამწყდა; ქართული მწერლობის მეოთხე ტომი ნახა ჩემთან და ნაღვლიანად მითხრა, – ყველა ტომი მაქვს, მაინცა და მაინც, მეოთხე დავკარგე, არადა მახსოვს, რომ ისიც ჩავდე ყუთებში, გუმიდან რომ გამოვედითო. ეტყობა, ბესომ ან ვიღაცამ ათხოვა სხვას და დამიკარგესო. ვიფიქრე, აუცილებლად გავატან ბესოს-მეთქი, ან როგორ მასვე არ გავატანე-მეთქი. უფრო სწორედ ვატანდი მაშინაც, ბესოს დარჩა; დემური ადრე წავიდა სადგურში, ბესო მერე მე გავაცილე, მაგრამ მხოლოდ ფოიემდე; სიცხიანი ვიყავი და სიარული არ შემეძლო, ჯერაც ძველი სადგური იყო გულანშაროში, დევნილების სატუმროც იდგა, ლამაზად.

სადარბაზოსთან შავი მერსედესი გაჩერდა. ბესო იყო საჭესთან. დიდი კეპით. გადმოვიდა.

– ვა, რამხელა ხარ, ოდი! – მოვიქციე მკლავებში და ზურგზე ავუბრახუნე ხელისგულები, კინაღამ ცრემლი წამომივიდა.

– რა დროს სათვალეა, ბეს! – დავუწყე სიცილით, აღელვება რომ დამემალა.

– სათვალე და ახლა ნახე, – მითხრა და კეპი მოიძრო: აბსოლიტურად მელოტი თავი აულაპლაბდა, ულიანოვის მსგავსად ჰქონდა თმა კეფაზეღა შერჩენილი.

– სად გააქრე ტო, თმა? – გულწრფელად გამიკვირდა, მეც საკმაოდ მელოტი ვიყავი, მაგრამ ბესომ მაინც გამაოცა.

– წარმოიდგიონე, მამაჩემმაც კი არ იცის მელოტი რომ ვარ, ამ კეპით ვწვები ლოგინში, – გაიცინა კაცურად.

– რუსეთში მეგულებოდი...

– ვიყავი, ორი წელი...

– როდიც ჩამოხვედი? მას მერე სულ სენაკში ხარ?

– ბიჭო, შვილი მომიკვდა შარშანწინ, მოსკოვში და მერე წამოვედი.

– რას ამბობ, რა დაემართა? – ისე ზერელედ თქვა ვერც მივუსამძიმრე.

– ჰო, რა, სამი თვის იყო, დაბადებდან დაჰყვა ხერხემლის რაღაც, არ ვიცი, მოკლედ თერთმეტი ოპერაცია გავუკეთეთ, არაფერმა არ უშველა... – ახლაღა დაეტყო სევდა.

– ცოლი?

– ცოლი, დარჩა იქ, მოსკოვში, რაღაც ვერ შევეწყვეთ მერე. ჰო, აი, გაიცანი, ფედი გახსოვს? აი, იმის დისშვილია, ესენიც სენაკელები არიან, კარგი ბავშვებია. – სამნი იყვნენ. ასე, ცხრამეტ-ოცი წლისანი. მივესალმე სამივეს.

– აბა, წავედით...

– არა, არა ჩვენ პატარა საქმეზე ვართ, – მითხრა ბესომ. გამიკვირდა.

– შენ ხომ არ გაგიჟდი?! წამოდი, საქმე მოიცდის.

– არა, მართლა საქმე გვაქვს, ზარს ველოდებით, – მითხრა ფედის დისშვილმა. შავგრემანი იყო. გამეღიმა, სწორედ ფედი რომ გამახსენდა ბესოს მოლოდინში.

– თქვენ დამცინით? – გაოცებული მივაჩერდი, – აბა, ავედით და მაგი თქვენი საქმე იქიდან მოაგვარეთ!

* * *

– ეს ჩათქმული მქონდა, ყველაზე ახლობელისთვის უნდა გამეხსნა, – ვეუბნები ბესოს და ოცლიტრიან მინის ბოცას ვდგამ მაგიდაზე,.
– არ გინდა ბიჭო, ვერ დავლევ, თან ნასვამი ვარ, – მეუბნება ბესო, სხვები უფრო მორცხვობენ, ბავშვები არიან ჩვენთან შედარებით.
– მოიცა რა! შენა და, მოსკოვში, ტორო თუ ნახე?
– ოუ, როგორ არ ვნახე, მაგის ჭკუა მოვ...ნ! – გადაიხარხარა ბესომ, —წარმოიდგინე, რესტორანში ვარ, და როინი მეუბნება, – გინდა ტორო განახოო. როგორ არ მინდა, ათი წელია არ მინახია-მეთქი. წამოდიო, – და მივყავარ. ვხედავ, დარბაზში ზის ტორო, ირგვლივ ჩაჰალსტუხებული „როჟები” და აბამს თუ აბოლებს. არ იცნობ? არ შეცვლილა. რა აფერისტი და სია ბანდიჩ იყო, ისეთია. ჩემს ნახვაზე გაეყინა სიფათი. ეტყობა, იფიქრა, რამე ისეთი არ მითხრას ახლა ამანო, მაგრამ ვის ეცალა ამდენი ფიქრისთვის. რავა ხარ შე ბოზო-მეთქი და გადავეხვიეთ ერთმანეთს. —სიხარულისგან ხარხარებს.
– ვა, საქმეებს აწყობს?
– ხო რა, ზოგს ატყუებს, ზოგს აგდებს, ზოგისგან ყიდულობს, ზოგთან ასაღებს და დასდევენ მერე, ერთი ქალაქიდან მეორეში, მოსაკლავად.
– მომატყუა, ვითომ? დამირეკა, აქ ვყიდი ყველაფერს და გულანშაროში ჩამოვალ, იქ ვიყიდი სახლ—კარსო.
– იმის ტყუილები არ გაიშვა! – გაიცინა ბესომ.
ამასობაში ჩემი ცოლი მოვიდა. გავაცანი და ახლა იმათ გააბეს მუსაიფი. ბესო ადრეც ძალიან უშუალო იყო და დარჩენილა ასეთი. ხარხარი და სიცილი ენაცვლებოდა ერთმანეთს. თუ არ ჩავთვლით ტოროს, არავინ მყავდა ნანახი კლასელებიდან, ოთხმოცდაცამეტის მერე. არათუ ნანახი, ხმაც არ გამიგონია რომელიმესი. ბესომ მითხრა, რომ ჩვენი სამი მეგობარი, ასევე კლასელი, იყვნენ სენაკში მასთან მეზობლად.
– გინდა ნომერი?
– აბა, არ მინდა?
– გელასი და კუსასი მაქვს.
– გოგოები არა არიან მაქ, ჩვენები, ვინმე?
– გოგოები ვინ, გელას დაა და მორჩა, ვასია! მარა თბილისში ვიცი, თეასი და თაკოსი. შენ სკაიპი გაქვს?
– კი, ჩავრთავ ახლა კომპს.
– ვა, კარგია, თეას სკაიპი ვიცი. მოიცა დავრეკავ ახლა ჩართე-მეთქი.
– მომე, მე დავრეკავ! – ვეუბნები და ვკრეფ მის ნაკარნახებ ნომერს. გავიდა.
– დიახ, გისმენთ? – ისმის ხმა, თითქოს ერთი თვე გასულიყოს, უცებ აღდგა ნაცნობი ხმა.
– თეა, შენ ხარ?
– დიახ, თეა ვარ. რომელი ხარ?
– ოდი, ვარ თეა, როგორა ხარ?
– ვიინ?
– ოდი ვარ, გოგო, შენი კლასელი...
– ვაიმეე, ოდი!... – ყვირილი ისმის, – თაკო, ოდია, გესმის, ქალდანი!
– თეა, როგორ ხარ, ძლივს გიპოვე...

– რამდენი ვეძებეთ შენი ნომერი, არავინ არ იცოდა... ისევ კუნძულზე ხარ?
– კი აქა ვარ, ბესო მოვიდა ეს წუთია ჩემთან და იმან მომცა ნომერი...
– მომე რა, – მითხრა ბესომ და გამომგლიჯა ტელეფონი.
– სვეტებო როგორა ხართ?... რა ვიცი, შემთხვევით მომიწია აქ მოსვლა... ხო გოგო, სკაიპში შემოდი, რა... ხო, ჩავრთავთ ახლა... მითხარი... კი... კი ჩავიწერ... როგორ? ერთი. ცხრა. თეა. ცხრა. სამი. რაა გოგო ეს, როგორი სკაიპია?
– წამო რა, ვნახოთ... – მითხრა ბესომ. მოუთმენლობა ეტყობოდა და შევედით კაბინეტში.
– გახსოვს, მარის რომ გაჯავრებდით სკოლაში? – მეუბნება ბესო და ვიცინით.
– აბა, არ მახსოვს? – მერე მე ვკითხე, – შენ ხომ არ განგიახლდა თეას სიყვარული, ჰაა?
– არა, კაცო, რა სიყვარული?! – შეშფოთდა ბესო, მაგრამ შევატყვე, რაღაც სიხარულით აუელვარდა სახე.
– თეა, შენ ხარ ?
– კი მე ვარ, ვიდეოთვალი არ გაქვს?
– არა, მაგრამ შენ გხედავთ.
– რა არის გოგო, რამხელა გასუქებულხარ! – ყვირის ბესო.
– არ დაუჯერო თეა, არც კი შეცვლილხარ! – ვეუბნები მხნედ, მაგრამ გულს მწიწკნის თეას დაქალებული, ოდნავ მობერებული სახე, – როგორა ხარ თე, რამდენი შვილი გყავს?
– ორი, პირველი მეორე კურსზეა, მეორე – მერვე კლასში...
– რა ამბავია გოგო, გაგიზრდია, – ყვირის ბესო, – ქმარი სად გყავს? დაგვენახოს ერთი, სიძე.
– ქმარი აქაა, მოვა ახლა.
– მომიკითხე, თე! – ვეუბნები, მინდა ცოტათი დავამშვიდო ბესო თორემ ვხედავ, თავს ვეღარ ერევა. – თაკო არაა ახლოს?
– არა, თორემ მოვიდოდა. დავურეკე, ბიჭები, დაგველაპარაკებიან-მეთქი.
– სადაა გოგო და, შენი ქმარი დაგველაპარაკოს ერთი, – ბესო ვერ ამჩნევს, მიკროფონ ვთიშავ.
– ალო, ალოოო! – შეწუხებული გვიყურებს ეკრანიდან თეა, – არ ისმის თქვენი ხმა.
– რა ჭირს? – ამბობს ბესო, – რატო არ ისმის?
– მოიცა, მივწერ, არ ისმის-მეთქი... – ვკრეფ ასოებს კლავიატურაზე.
– ბიჭებო, არ ისმის!
– მოიცა, შევეცდები ჩავრთო, ითიშება ხანდახან ინტერნეტი.
უცებ ითიშება ეკრანი. ბესო გაკვირვებული მიმზერს.
– შენ გათიშე?
– არა, არა...
– რა, არ გათიშე, ვასია! – ისე წყინს, შემეცოდა.
– მოიცა, ვცდი ისევ.
– არა, არ გინდა, იყოს.
– წამო, წამო ახლა თორემ, გატყობ, სიყვარულის ახსნას დაუწყებ მალე.
– რა, ბესო, ახლაც გიყვარს? – შეეკითხა ჩემი ცოლი.
– ხო რა, გოგო! ქმარი არ ყავდეს, ახლაც მოვიყვანდი ცოლად.

– გახსოვს, მის დაბადების დღეზე, კინაღამ რომ გვცემეს? – ვეუბნები მოგონებებში გადავარდნილი.
– რა კინაღამ, მაგენის დედა მოვ...ნ, – ხარხარებს ბესო, – თეას სამივე ძმა მე დამესია. დედამისს ის შტერი, პიჟონი ვანო სიძედ მიაჩნდა უკვე; მე რაში ვაწყობდი, ავარნდილი ბიჭი. სამივე ერთად მაკავებდნენ. ისე, ხელი როგორ არ დამარტყეს, კი მიკვირს. ვანოს, დედამისს და მამამისს ერთად ამოვუტრიალე ყველაფერი... საცოდავი გენა, მოსკოვში დაიბრიდა შარშან. სამმა გაიჩხირა რაღაც ბანძობა, მაინცადამაინც ამან ვერ გაუძლო.
– ის უმცროსი იყო, ხომ? – ვეკითხები, თან ვგრძნობ, მეთანაღრება გული.
– ხო, უმცროსი... უფროსი სტავროპოლშია, მომდევნო – ვორონეჟში.
– პეტრესი რა იცი? არსად გამიგია მაგაზე.
– არც მე, ვასია, მაგას ხო გახსოვს, დედა ბერძენი ყავდა და ათეწშია, მგონი; ოუ, გაცინო, შარშანწინ შემთხვევით კუსას შეხვედრია მარტვილში, ორივე დამჯდარან და უტირიათ. წარმოიდგინე, ერთი საათი ტიროდნენ თურმე. – ხარხარებს ბესო და ვგრძნობ, მასაც ცოტა უკლია ტირილს.

– იცი რამე ნომერი?
– კუსამ იცის, დავურეკოთ, მოგვწერს.
– ნანა, ნანასი იცი რამე?
– ხო, ნანა წალენჯიხაშია, გათხოვდა. მაგისი ძმა გახსოვს?
– კი, პაატა...
– ხო, მაგიც დაიბრიდა, ოთხი წლის წინ. გაიჩხირა უაზროდ.
– მოსკოვში რამაზი თუ ნახე?
– კი, კარგადაა.
– რაო, როგორაა, ქურდობა უნდოდა, მახსოვს.
– უნდოდა კარგია, ვის არ უნდა, მეც მინდა აგერ, – გაიცინა ბესომ.
– არა აქვს შანსი?
– რა ვიცი, შანსი ყველას აქვს, მთავარია, როგორ გამოიყენებს. თუ გინდა რამე, იქითკენ მიდიოდე უნდა; აი, შენ რაც გინდოდა, ხომ იმას აკეთებ ბავშვობიდან? ხატავ და არ იცვლი ხომ ამ გზას?
– კი, მასეა. ხუთი წლიდან სხვა რამ არც მდომებია, – ვიგრძენი მიამიტურად გამომდიოდა, მაგრამ ბესოსთან არაგულწრფელობა და პოზა ტეხავდა, არასოდეს თვითონ არაგულწრფელი არ ყოფილა ჩემთან.
– ა, ბიჭებო, შეხედეთ, – მიუბრუნდა ყმაწვილკაცებს, – რაც თავი მახსოვს, სულ წიგნები და ხატვა. თავის თავისთვის არ უღალატია კაცს. – ბიჭები ცოტა არ იყოს, სამუზეუმო ექსპონატივით მიყურებენ, მაგრამ არ ვაქცევ ყურადღებას.
– ბესო, არ დაგავიწყდეს იცოდე, დემურთან კატალოგს გაგატან, ჩემი ნახატებისაა, პატარა ბროშურა, და მწერლობის მეოთხე ტომიც უნდა გაგატანო.
– აბა ბიჭო, როგორ დამრჩა მაშინ? იცი რამდენი მიყვირა. ძაან გაუხარდება. ამ ბროშურაზე საერთოდ გაგიჟდება.
– ჩხუბობდით ბესო? – ეკითხება ჩემი ცოლი.
– ჰოო, – ჩაფიქრდა ბესო, – სულ ომში ვარ ჩემო დაო, იქ კი – არა, რა! რაღაც ჩემებური შეხედულებები მაქვს...

– მაგას არ გეკითხება, ერთმანეთში თუ ჩხუბობდითო.
– ოოო, რას ქვია თუ ვჩხუბობდით, – დაიწყო ხარხარი, – მოკლული მყავდა ცემით ოდი,
– ხარხარებს, მერე ქის რომ შეხედა, დაამატა, – აბა, ქი, სულ ვჩხუბობდით, ვხოცავდით ერთმანეთს.

* * *

წიგნი და კატალოგი მაინც დარჩა ბესოს იმ დღეს. ღამის ოთხზე თუ დილის ოთხზე დამირეკა, ძლივს გამოვფხიზლდი.
– ოდი, იცი ოდი...
– ვიცი ბესო, წიგნი დაგრჩა...
– ხო, ამის დედა მოვ..ან, გადაირია დემური, როგორ დაგავიწყდაო.
– ნუ იდარდებს ბიჭო, ჩამოვალ ან გამოგიგზავნი. რაც მთავარია, მისამართი ვიცი უკვე. არ ადარდო მაგაზე კაცი.
– ხო, ვასია.
– როგორ იმგზავრე, ყველა მთავრალი იყავით?
– არაა პრობლემა, ბოლო ბორანს მივუსწარით, სულ სიცილ ხარხარით ვიმგზავრეთ. კუსა და გელა გადავრიე. გაგიჟდნენ, უჩვენოდ როგორ წახვედიო. დავთქვით, ერთხელაც სამივენი ჩამოვალთ.
– გაიხარე! აბა, თქვენ იცით. დემური მომიკითხე.
– კარგად, ვასია.

* * *

– სენაკისკენ როდის გადის? – ვეკითხები ავტოსადგურში მძღოლს. ჩასუქებული კაცია, სუმოს მოჭიდავის ტიპის, მიყურებს და მეუბნება:
– თერთმეტზე მე გავდივარ თბილისში და წაგიყვან.
– მერე, იქ როდის იქნები?
– თუ ბორანზე არ დაგვაგვიანდა, 5 საათზე.
– ო, არა... უფრო ადრე არის რამე?
– ადრე ბაქო გადის და იმას უთხარი, თუ წაგიყვანს.
ვეძებ ბაქოს ავტობუსს, ძლივს დავითანხმე მძღოლი, რომ წავეყვანე. მოუვლელი ავტობუსია, „ლაზი” რომ ერქვა საბჭოთა დროს და ახლაც, რა თქმა უნდა, იგივე ქვია, ოღონდ ახლა თუ გამოდის, არ ვიცი.
როგორც კი ბორანზე ავიდა ჩვენი ავტობუსი, ვებერთელა უკრაინული ხომალდი იყო, რაღაცნაირად, უმწეობის გრძნობამ შემიპყრო. პირველად მივდივარ საქართველოში 16 წლის შემდეგ, თან კლასელები უნდა ვნახო რამდენიმე. ვინც საქართველოც შემორჩნენ, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ არ მინახავს.
ძველ სენაკში ვაჩერებინებ, ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. პატარა, მოკლეზე გადაჭრილი ბილიკით შევდივარ ტიპიური რუსული სამხედრო საცხოვრებლებით მოფენილი დასახლებისაკენ. როგორც კი მატარებლის ლიანდაგებზე გადავდივარ, სამგლოვიარო მუსიკის ხმა მეფეთება. იქვე შემოღობილიში მოხუცი

უჩხიკინებს გიდელს. მოდი, ვკითხავ-მეთქი, გამიელვა ფიქრმა და სწორედ მაშინ მომიბრუნდა თვითონ.
– უკაცრავად ბატონო, საათი ხომ არ იცით რომელია?
– სამია, ბატონო ჩემო. თუ იცით, აქ ვისი პანაშვიდია?
– სოხუმელია ბატონო. ვინ, – არ ვიცი.
– მადლობთ, ძია კაცო, – რაღაც კომიკურ ხასიათს იღებდა ამდენი ბატონოს ძახილი. გადავეჩვიე, ეტყობა.
მივუახლოვდი კორპუსს. იქ გვერდზე გამდგარ რამდენიმე ადამიანთან დავაზუსტე, რომ მართლა ჩემი მასწავლებლის გასვენება იყო. შემდეგ რამდენიმე ადამიანს შევუერთდი და შევედი მისასამძიმრებლად. დაფხავებული იყო კიბის სახელურებიცა და საფეხურებიც, ჩამონგრეული კედლები სარემონტოდ გამზადებულს გავდა. მასწავლებელს ღია ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. თმა მთლიანად თეთრი. გამახსენდა, გუმში ერთადერთი კაცი იყო, ვინც თმას იღებავდა. დამენანა. სიბერეს დანებდა, ეტყობა. ბესოს ჩამოვართვი ხელი და ჩავედი ეზოში. სასწრაფოდ დავურეკე კუსას.
– სად ხარ, კუსა?
– აქ ვარ, სუფრას ვუზივარ.
– ხო, მე ჩამოვედი და ეზოში ვარ.
– კარგი.
ცოტა ავღელდი, ველოდები, როდის გამოვა. ვებერთელა სეფაა გაშლილი, ბრეზენტით გადახურული.
– უკაცრავად, ბატონო, აქეთ მობრძანდით, თუ შეიძლება. – მეპატიჟება ხნიერი კაცი სეფისკენ.
– არა, მადლობთ, მეგობრებს ველოდები. – მერე მეღიმება და ვეუბნები, – მე ფარნავაზის ბიჭი ვარ. – თვალებში ცრემლი უკიაფებს.
– ვაი, ჩემს თავს! – და მიკრავს მკერდში, – კი ვერ გიცანი, შვილო, მაპატიე.
– რას ამბობ, როგორ მიცნიობდი? – ვეუბნები და გული მეთანაღრება, ვერც სახელს ვიხსენებ მისას და ვერც გვარს. უბრალოდ, სახეზე ვცნობ.
– შენი მასწავლებელი იყო, ხომ?
– დიახ, თან ბესოს კლასელი ვარ.
– ვა, საცოდავი მამაშენი. ტირილშიც ვერ ჩამოვედი.
– არა, მამა კარგადაა, ცოტა გული აწუხებს.
– ვაა, ჯანდაბა ჩემს თავს, აბა, რა გავიგე კაცო... – შეწუხდა, – ვაი, მგონი და დაგეღუპა, ხომ? – თავს ვუქნევ, – ხო, საცოდავი. აბა ფარნავაზი კარგადაა, ხომ.? – ტირის კაცი, – მომიკითხე, იცოდე. კაცური კაცია მამაშენი. სოფლის ბურჯი იყო, იცოდე.
– გაიხარე!
– მართლა, ერთი ჭიქა თქვა უნდა, კუნძულიდან ჩამოხვედი კაცი.
– აუცილებლად. კუსას ველოდები და გელას, და ერთად დავსხდებით. – ვემშვიდობები და ეზოს ბოლოში ვებერთელა თეთრგაზეთგადაკრულ მორზე ვჯდები. რაღაცნაირად მწყდება გული. ერთი საათი გავიდა და კუსა არ ჩანს. გელას ვურეკავ, არ გადის. ვდგები და ვწრიალებ. რამდენიმე ადამიანი ვიცანი, მაგრამ სახელი არ ვიცი არცერთის და არ მივდივარ. უცებ მობილური ახმაურდა – „შავლეგ...”. საჩქაროდ გავთიშე, კუსაა.

ავიხედე. ისაა. ბავშვური სახე, მე რო მახსოვდა, გავსებია, ჩასუქებულა, ეშმაკური ღიმილთღა ვიცანი.
– დავრეკე, თუ ხელი მობილურისკენ წაიღო, ისაა-მეთქი, – გადამეხვია კუსა. – ქუჩაში ვერ გიცნობდი!
– როგორა ხარ ?
– რა ვიცი, ოდი, ვართ, რა. გელა სადაა ამდენ ხანს, ნეტა? მოიცა, დავურეკო. სად ხარ ბიჭო?... როდის... გზაზე... მოიცა.
– მოვდივართო, მითხრა.
გავიხედე შარასკენ. ვხედავ, მოდის გელა. ტანი ისეთივე გალეული აქვს როგორიც იყო. სახე გაუხეშებია ცოტა, მაგრამ დიდად არაა შეცვლილი. თვითონ თქვა, – სანამ არ გაიღიმე ვერ გიცანიო. მისი დაც არ შეცვლილა. და ხატია, ასევე ჩვენი კლასელი, რომელიც მეთერთმეტე კლასიდან გათხოვდა. ეტყობა, მე ვერ მიცნო. სახე იმდენად აქვს შენარჩუნებული, შეუძლებელია, არ იცნო. გამოხედვაც იგივე, – ბავშვობისდროინდელი.
– ხატია, როგორ ხარ? – ვეკითხები და მეღიმება.
– ვაიმე, ოდი! – გადამეხვია, – შენა ხარ, კი ვერ გიცანი! – ცრემლი უდგას მასაც თვალებში. – აგერ ჩემი ბიჭია, გაიცანი. – ხელს ვართმევ ყმაწვილს, თვრამეტის იქნება ალბათ, დაიხარა და გადამკოცნა.
– როდის მოასწარი, გოგო? – მეღიმება.
– შენ რამდენი გყავს, ოდი?
– მე, ერთი.
– გოგო თუ ბიჭი?
– ბიჭი, შვიდისაა. – მეღიმება, მაგრამ მათი ცქერისას ვხვდები, რამდენად ვარ შეცვლილი. მაინც მოულოდნელი იყო იმის მოსმენა, თითქმის ყველანი რომ აღნიშნავდნენ, – გზაში შეხვედრისას, ვერ გიცნობდითო.
– წამოდი, შეგვყევით. – გვეუბნება გელა
– ჩვენ ვიყავით უკვე.
– მერე რა, ისევ შევიდეთ ერთად
– გაგიჟდი, რა წესია? – გაბრაზდა კუსა.
– მიდით, ეგერ, ერთი ჯგუფი შედის და შეყევით. – ვეუბნები. მიდიან.
– როგორ შეცვლილა ხატია?! – ამბიობს კუსა სინანულით.
– კი, მაგრამ, აქვე ვცხოვრობო. ამდენ ხანს როგორ ვერ ნახეთ შენ და გელამ მაინც? – ვეუბნები გაკვირვებით.
– რა ვიცი, არ შეგვხვედრია როგორღაც.
– პეტრეზე მითხრა ბესომ, რომ გინახავს.
– აბა ბიჭო, ისე მოულოდნელი იყო, გაშეშებულები ვიყავით კარგა ხანს. რენესი ხომ არ იცი რამე?
– მისი ძმა გამეჩითა ამას წინათ სკაიპში, ტელეფონის ნომერს მოგცემო და მერე არ შემოსულა.
– რომ გაიგებ, ძმურად, მეც მომწერე.
– აბა, რას ვიზამ? ტოროსი იცი? – ვეკითხები ღიმილით.
– სად ნახე?
– მოსკოვიდან დამირეკა, დამპირდა ჩამოვალ გულანშაროშიო.

– როგორ ძლებენ იმ მოსკოვში? მთელი გუმი იქაა: ჩვენი ოცმეთაური, ასმეთაური, კამბატი... ყველა იქაა. ბოლო—ბოლო მათ არ ვებრძოდით? იმ მოსკოვში როგორ ძლებენ?
– თავზე შემოიწყო ხელები კუსამ.
– რა ვიცი, მე გამიჭირდებოდა. იმიტომაც არ წავედი. ისევ კუნძული ვარჩიე.
– აქ რატომ არ ჩამოდიხარ, ახლა ხომ უკეთესი სიტუაციაა? – გაოცებული ვუყურებ და ვეუბნები:
– ახლაც ჩათვალე არ ვარ. ეს საქართველო არაა, რაღაც კოშმარია. ასე დასაცინი არასოდეს ვყოფილვართ ქართველები.
– რა გვექნა, ოდი, რუსს რას მოუგებ?!
– მაშინ, არ დაგვეწყო.
– არ დაგვიწყია! – ამბობს მტკიცედ, – ყველა ვარიანტში შემოგვიტევდა.
– ისევ სამხედროში ხარ?
– კი, ახლა, ცოტა ხნით ტრენინგების სამსახური მაბარია, მაგრამ როგორც კი შტატები ჩამოვა, ისევ საწყობში გადავალ.
– ომში მოგიწია?
– სენაკში ვიდექით, მერე ბათუმში გადაგვიყვანეს, მთელი სამე თვე იქ ვიყავით.
– შენ რა გითხარი, მცოდნოდა... სამი საათის სავალია კუნძულიდან ბორანით! – ვამბობ დანანებით.
– არ ვიცოდი. ხომ გეუბნები, ბესომ ააგდო შენი ადგილი. აგერ ერთი თვის წინ. – ამბობს კუსა და წამწამებს აფახულებს ჩქარჩაქარა. ესღა შემორჩენია ჭაბუკობიდან. – სამივენი ვაპირებდით წამოსვლას, ერთ კვირაში, შენთან. ეჰ, საცოდავი დემური. რამდენს გვეჩიჩინებოდა, გახსოვს.

* * *

დემური მღვდლის შვილი იყო, ტრაბახობდა კიდეც ამით. – ამ გლახებივით უტვინოების შთამომავალი კი არ ვიყავი, წიგნი ჩვენი ოჯახის ხელობა იყოო, – ხანდახან გამოურევდა გაკვეთილზე. მართლაც ოთხივე ძმა ნასწავლი იყო: დემური ფილოლოგი, დიომოდე ფიზიკოსი, დურმიშხანი ქიმიკოსი და დემნა მათემატიკოსი.
– ოდი, სად ხარ, თბილისში? – მეკითხება ხატია და ცხვირსახოცს მალავს ჩანთაში.
– არა, ხატია, კუნძულზე ვარ, გულანშაროში.
– ვინმე არის ჩვენებური?
– არა, უკვე მარტო ვარ, თითქმის ყველა შარშან წავიდა თბილისში, ომამდე..
– თბილისში ხომ არიან ჩვენები, ნომერი იცით ვინმემ? – ამბობს გელას და ნინო.
– ბესომ მითხრა, ახლახან რომ იყო ჩვენთან და მას შემდეგ ხშირად ვესაუბრები თეას და თაკოს. დავურეკე, მაგრამ მითხრეს, ბავშვებს ვერ ვტოვებთ და შენ მიუსამძიმრე ბესოს ჩვენს მაგივრადაცო.
– მოდი, ბესოსთან ავიდეთ. – ვეუბნები გელას.
– წამო, – ამბობს კუსა და ავდივართ მეორე სართულზე. ბესო ჩვენს დანახვაზე გვანიშნებს და პატარა ოთახში მიგვიძღვის, მიცვალებული სადაც ასვენია, იმის მოპირდაპირედ. ეტყობა, მართლა რემონტია მთელს სახლში.
– რა დაემართა, ბესო, ასე უცებ?

– რა ვიცი, ბიჭო, კარგად იყო. დაულევია ცოტა და მარშუტკაში, ყველას ეგონა თურმე, ძინავსო... გათავებულა კაცი. წიგნი ედო მუხლებზე თურმე გადაშილილი.
– საცოდავი, რამდენჯერ დავაპირე წამოსვლა... – ხელი ჩავიქნიე.
– გოგოებს უთხარი? – მეკითხება ბესო.
– გისამძიმრებენ, ბესო, ვერ წამოვალთო, მითხრეს. ბავშვებს ვერ ვტოვებთ ვერავისთანო.
– ბესოს სახე წაუხდა.
– ჰო, კარგი, – მაინც ვერ დამალა, – სად ყავთ ასე პატარა ბავშვები?
– რა ვიცი, შეიძლება საშუალება არ ჰქონდათ, – ვცდილობ, რაღაც ვთქვა.
– შენ რომ ამბობდი, კლასელები შევიკრიბოთ სენაკშიო, – მიუბრუნდა კუსა ბესოს, – აქ ჩამომსველები იყვნენ ისინი?
– ბესო, მოდი, ქუთაისლები არიან... – შემოდის ბესოს და. ისეა შეცვლილი, თავიდან ბესოს დედა მეგონა. მერეღა ვიცანი, ასე ახალგაზრდა როგორ იქნება-მეთქი ბესოს დედა. ისიც მასწავლებელი იყო, მუსიკას გვასწავლიდა. ყოველთვის ღიმილი გადამივლის ხოლმე მის გახსენებაზე. სულ ერთი და იგივე შენიშვნას მაძლევდა: სიმღერების ტექსტს რომ ვწერდი, ფერადად ვაფორმებდი ხანდახან. ის კიდევ, – ჩემი ნაწერის ქვეშ წითელი ხაზი არ გაუსვა, არ შეიძლება ჩემი ნაწერი შენ გაასწოროო. ეტყობა, მე ვერ ვხატავდი ტალღებს კარგად.
ისეთი სევდა მომაწვა, ვინანე, რამ წამომიყვანა-მეთქი.
– ბიჭებო, მარი მოვიდა, წამო ვნახოთ, – ამოვიდა ხატია.
– ვა, მარიც მოვიდა! – წამოიძახა კუსამ და ორაზროვნად გამიღიმა. რაღაცნაირად შემითრთოლდა გული.
ჩავედით ყველანი, სეფაში შეგვიძღვა გუმელი მეზობელი, რომლის სახელი ისევ ვერ გავიხსენე და კუთხეში მარტო მგდარ ქალთან მიგვიყვანა, რომელსაც ორი ბავშვი ჰყავდა ატატებული მკერდთან, ორი—სამი წლისანი თუ იქნებოდნენ. გვრდით გელას და ედგა. მას მიუბრუნდა და უთხრა ხმამაღლა:
– ეს კუსა, გოჩა და ეს ოდი, ხომ? – ნინომ თავი დაუქნია. გადავკოცნეთ სამივემ. ვცდილობ როგორმე ამოვიცნო მასში მარი: საშინლად გამხდარი, გალეული, კბილები რაღაცნაირად ჩაშავებული თუ რაღაც. ხმა, ხმა მაინც ხომ უნდა შერჩენოდა? ხმა რაღამ შეუცვალა? არც ღიმილი, არც გამოხედვა. ღმერო, ასე რამ შეცვალა?

* * *

სასაფლაომდე ფეხით გავყევით გზას. ზვიადი დამემგზავრა, მთელი რუსეთის ამბები მომიყვა. თუ მიდიხარ ისევ-მეთქი, – ვკითხე. „ალბათ კიო”, „მერედა რას მიდიხარ იმ გასაწყვეტლებში-მეთქი”, ეშმაკურად გაიღიმა, „გასაწყვეტადო” და გაიცინა.

* * *

– ამის დედა ვატირე, კაცს დაბადებიდან წიგნი არ გაუგდია ხელიდან! – დამწუხრებული დაჰყურებს ბესო საფლავის ბორცვს, ნიჩბით რომ ასწორებენ ჭირისუფლები. დანანებით ვუქნევ თავს. ლამისაა გული ამომივარდეს, ათიოდე წუთი ვყრიდი მიწას სამარეში და კინაღამ გამივარდა ნიჩაბი ხელიდან. კიდევ კარგი, გელამ, –

დააგდე და მე გავაგრძელებო, – მითხრა. უცებ ვერც მოვედი გონზე, მერე გამახსენდა, ხელში ნიჩბის მიწოდებაზე, „ვააშინერსო” რომ ამბობდნენ და დავაგდე.

* * *

მესამე ჭიქის მერეღა ვკითხე მარის, – მათემატიკას რა უყავი-მეთქი?
– ესენი ვარჩიე, – მითხრა, ბავშვებზე მიმითითა და გაიღიმა. შორიდან, ძალიან შორიდან მოვიდა, მის გაბადრულ სახეში ამოტივტივდა ოცი წლის წინანდელი გოგოს სახება.
– ეს ვინაა, რაა! – ბორგავს კუსა.
– რა მოხდა?
– შტერია ეს ახვარი, ერთი საათია სამი სადღეგრძელო აქვს ნათქვამი. ქორწილი ხომ არაა?
– კარგი მოეშვი, – კინაღამ გამეცინა.
– ამ ჩათლახს ჯერ დემურის ხსენების არ უთქვამს და ვიღაც თესლის შვილის ხსენებას ამბობს!
– კარგი დაწყნარდი, – შევწუხდი.
– მოკლეს კაცი და ახლა კიდევ დასცინიან!
– ბიჭებო, აბა, კარგად, მე უნდა წავიდე! – წამოდგა მარი, – მეუღლე მელოდება.
– წამო, გავაცილოთ, – ვეუბნები კუსას.
– წამოდი, ამ ახვართან მაინც არ გაიჩერება.
– რა ქნეს ასეთი?
– ახვრებმა, ბიჭო, დემური გამოუშვეს სკოლიდან და ვიღაც თესლი არჩიეს. და ამ ახვარმა გუმელმა სევერიანმა, იმას დაუჭირა მხარი. დემურის დაბარებული ჰქონდა, – ის ახვარი არ მოუშვათ ჩემს ტირილშიო. ეს კიდევ სადღეგრძელოებს უკვეთავს.
– დემური როგორ გამოუშვეს სკოლიდან? – გაოცებისაგან არ ვიცი, რა ვთქვა, – მერე ვინ მიიღეს, ეს რომ გაუშვეს?
– მაგათი დედაც! – გავეშებულია კუსა.
მივყვებით ყველანი მარის.
– ერთი გაგვაცანი, რა ქმარი გყავს ასეთი, – ამბობს გელა, – ხუთი ბავშვის მამა.
მარის ეცინება.
– აი, გაიცანით, – არ ველოდი ასე უცებ. „გაზ ოცდაოთხთან” ატუზელი, ორმოციოდე წლის საქმიანი კაცი წარმოგვიდგინა. ყველამ გადავკოცნეთ.
– ხშირად დაგირეკავთ აწი, – ვეუბნები მარის.
– რა თქმა უნდა. მე არ მაქვს მობილური, მაგრამ აგერ მეუღლეს დაურეკეთ და არაა პრობლება.
– აუცილებლად, რომ მოხვდებით ჩხოროწყუში, აუცილებლად გვნახეთ. – ამბობს დინჯად ბატონი ბაგრატი და ნაზად სვამს მარის მანქანაში.
– ვინაა? – ვეკითხები კუსას, როცა საკუთარ გამონაბოლქვში უჩინარდება მანქანა.
– ჩხოროწყუს გამგებელია.
– იქნება. – ვამბობ ჩუმად. მერე ბიჭებს მივუბრუნდი და ვეუბნები.
– მეც წავედი ბიჭებო.
– რას ამბობ, ხომ თქვი ვრჩები დღეს შენთანო, – ამბობს გელა.

– არა, წავალ, – ერთი სული მაქვს ახლავე გავიქცე.
– წამო, ბესო ვნახოთ. – ამბობს კუსა. ბესო გამოვიხმეთ. ბრაზდება:
– არა, გამორიცხულია. ჩვენ ჩამოვჯდეთ უნდა.
– არა, რა! კარგ შემთხვევაში, ახლა მაინც არ გვექნება რამეს თავი. მერე ჩამოვალ. თქვენაც ჩამოხვალთ და მაშინ ჩამოვჯდეთ. ახლა არაფრის ხალისი არა მაქვს. – ვეუბნები და მივდივარ ცენტრალური მაგისტრალისკენ. ბესო გადამეხვია ერთხელაც და წავედი. გელა და კუსა მომყვებიან. მეც წამოვალო, ბესომ.
– ხომ არ გაგიჟდი?! შენ მიხედე რა, შენს საქმეს.
– ხო, კარგი. აგერ ბიჭები გაგყვებიან.
გავედით მაგისტრალზე და ველოდები ფოთისკენ მიმავალ მანქანას. ძლივს ერთმა გაგვიჩერა, მაგრამ სწორედ მაშინ გვირეკავს ბესო და იძულებული ვართ, გავუშვათ ავტობუსი.
ცოტა ხანში თვითონ მოდის შავი მერსედესით.
– დაჯექით.
– ბიჭო, მიხედე შენს საქმეს! – შევწუხდი სერიოზულად.
– ჰო, რა, დაჯექით ახლა.
სამივენი უკანა სავარძელზე ვსხდებით.
– გაიცანით ეს ჩემი ცოლია, – გაოცებული ვაჩერდები წინა სავარძელზე მოკალათებული ქალის კეფას. – გაიცანი, გოგო, ჩემი ძმები არია. – ქალი უხერხულად იხედება ჩვენსკენ და უხმოდ გვიქნევს თავს. – ეს წუთია ჩამოვიდნენ მოსკოვიდან ეს და დედამისი. – ოდი, საით, ფოთში, ხომ?
– და რა, იქ უნდა წამოხვიდე? – ვეკითხები უკმაყოფილოდ.
– მერე რაა, ოც წუთში მიგიყვან.
– გამორიცხულია!
– რაა გამორიცხული, ბიჭო? რა უნდა მაგას.? – ამბობს ბესო და სიჩქარეს უმატებს.
– გააჩერე.
– რა იყო?
– გააჩერე, არ მივდივარ. – არ აჩერებს და სარკიდან მიყურებს.
– გააჩერე არ მივდივარ, გელასთან ვრჩები ნოსირში.
– აგაშენა ღმერთმა! – ამბობს გელა.
– ნაღდად? – ეჭვით მიყურებს ბესო.
– ნაღდად. წაგვიყვანე ნოსირში.
ბესო მანქანას მკვეთრად ატრიალებს და ნოსირისკენ კრეფს სიჩქარეს. ელვის უსწრაფესად უჩინარდებიან მაგისტრალის გაყოლებაზე ხეები და სარკმლის წინ მიმქროლავი სანახები შეუმჩნევლად მიმაქანებენ წინ, ბავშვობაში.

20. V. 2009

გივი ალხაზიშვილი

ზღვარი სინამდვილესა და ზმანებას შორის

მახსენდება ის ვაშლის ხე, მეზობლის ღობესთან რომ იდგა. იმ გაზაფხულზე ისე აყვავდა, რომ არც ერთი ტოტი არ უჩანდა, თუ სადმე ფუტკარი იყო, ამ უშველებელ, გადაპენტილ თაიგულს დაბზუოდა.
მალე გაირბინა გაზაფხულმა. დადგა ზაფხული და ტოტებდახუნძლულ ვაშლის ხეს მეზობელმა ორკაპა ჭიგოები შეაშველა, ტოტები რომ არ დამტვრეოდა. ქარიან ამინდში მკაფიოდ მესმოდა ღამღამობით მწიფე ნაყოფის ძირს დაცემის ხმა და ძილში ჩაყოლილი სურვილი: მე დამესწრო სხვებისთვის ახალჩამოყრილი ვაშლის აკრეფა, ადრიანად, დილაბინდზე მაღვიძებდა. წამოვვარდებოდი ლოგინიდან, ისე, რომ პირზე წყალსაც არ შევისხამდი, კარს გამოვაღებდი და კიბეს ჩავირბენდი. მოლზე რამდენიმე ლოყაწითელი ვაშლი ღაღანებდა. ახლა რომ ვიხსენებ, ის ქარიანი დილები თვალწინ მიდგას, – ჰაერი რომ სიმწიფის სურნელით გაჟღენთილიყო და ფილტვებს გაურკვეველი სიამით მივსებდა. ჯერ ერთ ვაშლს დავწვდებოდი და ჩავკბეჩდი, მერე მეორეს, რამდენს უნდა მოვრეოდი, დანარჩენებს ავკრეფდი და შინ შემქონდა. ვიდრე ძილს შევიბრუნებდი და მოგვიანებით წამოვიზლაზნებოდი, ამასობაში ქარი რამდენიმე ვაშლს მაინც ჩამოყრიდა მოლზე და ჩემი „საქმიანობა“ უფროსებს შეუმჩნეველი რჩებოდათ.

თენდებოდა ისეთი დილაც, როცა ქარი არ ქროდა, მაგრამ ჭიანი ნაყოფი თავისით ცვიოდა, უფრო ცოტა, ვიდრე ქარში, მაგრამ გასაკვირი ის გახლავთ, რომ ვაშლის ხეს თითქოს ნაყოფი არ აკლდებოდა.

ერთხელ, სისხამ დილით, როცა კიბე ჩავირბინე და ჩვეული საქმით ვიყავი გართული, ვიღაც გოგო შევნიშნე, ჩემზე შვიდიოდე წლით უფროსი, ბებიაჩემის მდგმური, ისიც ნახევრად ტიტლიკანა გამოტანტალებულიყო თავისი ოთახიდან და მითვალთვალებდა. შევცბი და უკან გაპარვა დავაპირე, მაგრამ ევამ, რატომღაც ასე ერქვა იმ გოგოს (ამბობდნენ, დედით გერმანელიაო), დამიძახა, მეც შემკრთალი მივადექი. ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ერთი ვაშლი მთხოვა. ყველაზე დიდი ლოყაწითელა ვაშლი მივაწოდე. ევამ ვაშლი ხალათის კალთით გაასუფთავა. ამ დროს, არ შეიძლებოდა არ შემენიშნა მისი ქათქათა მუხლისთავები და უფრო ზედა მიდამოები, რომლებმაც ვაშლები კი არა, თავიც დამავიწყა. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი და როგორც ომისშემდგომი თაობის ყველა მოზარდს – ბიჭებს ვგულისხმობ, ცხადია, ქალზე ზოგადი წარმოდგენა მქონდა და, ცოტა არ იყოს, მტრულადაც კი ვიყავი განწყობილი. მაგრამ არ ვიცი, სად გაქრა ის ჩვეული მტრობა, გოგოების წვალებით რომ გამოიხატებოდა, როცა ჯერ თავზე, ხოლო შემდეგ ზურგზე ხელი მომითათუნა და იმ დროს კინაღამ გონი დავკარგე. ვაშლებით სავსე პერანგის კალთას ხელები უნებლიეთ გავუშვი და ლენჩივით დავდექი ღობესთან. ახლა ევამ წამოკრიფა დაბნეული ვაშლი, ხალათის კალთაში შეაგროვა და უფრო უკეთ რომ

გამოუჩნდა არა მხოლოდ მუხლები, ღილებაწყვეტილი ხალათიც, თავის დიდრონი ნაპრალებიდან ამოსახტომად გამზადებულ მკერდს რომ ძლივს იჭერდა.
– წამო ჩემთან, ერთად ვჭამოთ ვაშლი... – წამიჩურჩულა ევამ და თავისი ოთახისკენ წამიძღვა.
ახლა რომ ვიხსენებ, გულიანად მეცინება. ეს იყო ჩემი პირველი და დაუვიწყარი ცდუნება. თითქმის იმ ბიბლიური იგავის განმეორება, ყველა ჩვენგანს რომ თავისებურად განუცდია. მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი მის მკლავებში და ელვის სისწრაფით გავითიშე აქამდე განუცდელი სიამისგან, რომლის მსგავსი რამ მხოლოდ სიზმარში მემართებოდა და ძალიან ვწუხდი, რადგან რაღაც გაურკვეველი, მოურჩენელი ავადმყოფობა მეგონა.
ყოველ დილაბინდზე ვიღვიძებდი, მაგრამ მოლზე ჩამოყრილი ვაშლისკენ კი არა, ევას ოთახის კარისკენ ვიყურებოდი. იმ დილის მერე იგი აღარ გამოჩენილა.
ერთხელ მის კარზე ფრთხილად დაკაკუნება გავბედე, მაგრამ შიგნიდან ვიღაცის ხრინწიანი, ბოხი ხმა შემომესმა და შემკრთალმა კიბე ზემოთ, მეორე სართულისკენ სასწრაფოდ ავირბინე.
ვერ წარმოიდგენთ რამდენიმე დღე როგორ მიყვარდა ევა, თავგზააბნეული დავეხეტებოდი წინ და უკან. დილაობით თმას წყლით ვისველებდი და ჩემს აპრეხილ ქოჩორს გულდასმით ვივარცხნიდი. ავივლიდი ევას ფანჯარასთან და ჩავივლიდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი მუდმივი სტუმარი შევნიშნე, ახმახი, წვერგაბურძგნილი, ჭროღათვალება მეფუნთუშე – ევა სამუდამოდ შევიძულე. როგორც ახლა ვხვდები, ეს სიძულვილი კი არა, მეტოქეობისა და ეჭვიანობის განცდა უფრო იყო, სიყვარულს რომ მიმძაფრებდა.
ზაფხულის ერთ დილით, როცა მოლზე მოფენილ ვაშლებს ვაგროვებდი, დავინახე, რომ ევას ფანჯარა ღია იყო, შევიჭყიტე და რას ხედავს ჩემი თვალები, ევა სრულიად მარტოა, ნახევრად შიშველი წევს თავის საწოლზე და ფშვინავს. ფანჯრიდან ოსტატურად გადავიპარე და ევას თავზე წავადექი. ხმაურმა გამოაღვიძა.
– რა გინდა, რას გადამეკიდე, რატომ გამაღვიძე? – შემიბღვირა.
არაფერი მიპასუხია, ვაშლები მაგიდაზე სათითაოდ დავალაგე, ერთ-ერთი, დიდი და ყველაზე მწიფე ნაყოფი, ევას გავუწოდე. ჩემდა გასაკვირად, მან ვაშლი ჩაკბიჩა და გამომიწოდა, მერე მეც ჩავკბიჩე და მას გავუწოდე, და ასე, მანამ, სანამ ვაშლი არ გავათავეთ. იმ დილის მერე ევა ფანჯარას ღიად ტოვებდა და თვითონაც მელოდა.
ამასობაში გავიზარდე, სულ რაღაც ორ კვირაში თითქმის დავკაცდი, ხმაც დამიბოხდა და დედამიწაზე უფრო მტკიცედ დავაბიჯებდი. ეს სიამტკბილობა მანამ გაგრძელდა, სანამ ერთ დილით გვიანობამდე არ შევრჩი ევასთან, თურმე ფანჯარა ღია დაგვრჩენოდა და დიდედაჩემს დავუნახივართ იქიდან.
მეორე დღეს „პოლუტორკა“ მოადგა ჩვენს ეზოს, შოფერი თვითონ ეხმარებოდა ევას საწოლისა და სხვა ნივთების გადატანაში. დიდედაჩემს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. მოჩვენებითი სიბრაზის იქით, ღრმად თუ ჩავხედავდი თვალებში, მიმალულ კმაყოფილებასაც ვამჩნევდი და თავჩაქინდრული ვიდექი მეზობლის ჭიშკართან.
ევას ბევრი არაფერი ჰქონდა წასაღები და გაზიდვას, მანქანაზე დალაგებას მალე მორჩნენ. ევამ წასვლის წინ ახლოს ჩამიარა, ვითომ ჩამოგდებულ ვაშლს დასწვდა და

ჩურჩულით მითხრა: ახალ მისამართს აუცილებლად შეგატყობინებო. გული სიხარულით ამევსო და ადგილს ვერ ვპოულობდი.
თითქმის ყოველდღე ველოდი მის გამოჩენას, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა უფროსმა ბიძაშვილმა, ისე, საუბრისას, სასხვათაშორისოდ არ უთხრა დიდედაჩემს:
– შენი მდგმური რომ იყო, ევა, გათხოვილა!
– ახლა ასეთები უფრო თხოვდებიან! - ჩაიბურტყუნა დიდედაჩემმა.
ეს ამბავი ვაშლის ხემ გამახსენა, ახლაც რომ ყვავის იმ საერთო ღობესთან და არც ფოთოლი და არც ტოტი არ უჩანს, ერთიანად უთვალავი ყვავილის თაიგულად ქცეულა. რაც კი ფუტკარია იმ არემარეში, ვაშლის ხეს დაბზუის. მე ამ მოყვავილე ვაშლის ხეს ევა დავარქვი, ეს ჩემთვის, გულში, თორემ სხვებს როგორ გავუმხელდი.
თქვენ წარმოიდგინეთ, ევას ნახვა ახლაც მაინტერესებს. დროდადრო მახსენდება კიდეც: ნეტავ სად არის, რას საქმიანობს, შემხვდებოდეს მაინც სადმე.
ამ ქალაქში ჩამოსვლა და ნათესავებთან სტუმრობა გაზაფხულზე, ვაშლის ყვავილობისას, როგორც ჩანს, შემთხვევით არ მიყვარს. ხოლო გვიანი ზაფხული ისე არ გაივლის, ქარიან დილით, როცა მწიფე ვაშლების მოწყვეტის და ძირს დაცემის ხმა ისმის, ევა არ გამახსენდეს. ვიხსენებ და რატომღაც გული მწყდება, ალბათ იმიტომ, რომ სამუდამოდ გადაიკარგა და ალბათ კიდევ იმიტომ, რომ ყველაფერი ტკბილი სიზმარივით მახსოვს, იმ სიზმარივით, რომლის დავიწყება შეუძლებელია, რადგან რეალობა იმდენადაა გადაზრდილი სიზმარში, რამდენადაც სიზმარი რეალობაში. თუმცა, ვინ იცის, იყო კი ეს სიზმარი ან სინამდვილე? მე მგონი უფრო ზღვარი იყო სინამდვილესა და ზმანებას შორის გამკრთალი.